

# საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი

2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით

## Commentary on the Criminal Procedure Code of Georgia

As of October 1, 2015



თბილისი  
Tbilisi  
2015

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI), ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტიწარკობიერების და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით ეხმარება საქართველოს მოქალაქეებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში.

წინამდებარე მასალა მომზადდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“-ს (ABA ROLI) მიერ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტიწარკობიერების და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით 2015 წელს.

კომენტარში მოცემული ინფორმაცია ყოველთვის არ გამოხატავს ABA ROLI-ის ან INL-ის მოსაზრებებს.

დაუშვებელია მოცემული მასალის ან მისი ნაწილის გადანერა, გაყიდვა ან სხვა საშუალებით გამოყენება ABA ROLI-ის ან INL-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) განსაკუთრებულ მადლობას უხდის მოცემული პუბლიკაციის ავტორებს:

- პროფ. ლალი ფაფიაშვილს** – მუხლები (3, 4-18, 73-78, 81-83, 170-181, 196-208);
- პროფ. გიორგი თუმანიშვილს** – მუხლები (1-2, 3, 38-58, 72);
- ბ-ნ. დავით კვაჭანტირაძეს** – მუხლები (3, 41-46, 111, 221-224);
- ქ-ნ. ლარისა ლიპარტიანი** – მუხლები (3, 19-31, 59-66, 112-114, 182-195, 279-291, 310-333);
- ბ-ნ. გერმანე დადეშქელიანს** – მუხლები (85-99, 219, 220, 258-278);
- ქ-ნ. შორენა გუნცაძეს** – მუხლები (225-257, 292-299, 300-309);
- ქ-ნ. ნათია მეზერიშვილს** – მუხლები (3, 32-37, 115-135, 1431-14310, 209-218,);
- ქ-ნ. ლონდა თოლორაიას** – მუხლები (3, 67-71, 79-80, 100-110, 136-138, 144-165, 166-169).

აგრეთვე, „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) განსაკუთრებულ მადლობას უხდის მოცემული კომენტარის მთავარ რედაქტორს **ბ-ნ. გიორგი გიორგაძეს**.

მოცემული მასალის მომზადება და რედაქტირება შესაძლებელი გახდა ABA ROLI-ის საქართველოს წარმომადგენლობის შემდეგ თანამშრომელთა დიდი ძალისხმევითა და თავდაუზოგავი მუშაობით:

- ბ-ნ. მამუკა მამაცაშვილი**, სამხარეო დირექტორის მოადგილე;
- ქ-ნ. მედეა მათიაშვილი**, უფროსი იურისტი;
- ქ-ნ. ანა ლორია**, უფროსი იურისტი.

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABAROLI) პუბლიკაციის შექმნისას განეული დახმარებისათვის დიდ მადლობას უხდის შემდეგ პირებსა და ორგანიზაციებს: ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს იან კელის, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილეს ნიკოლას ბერლინერს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) პროგრამის დირექტორს ტრეისი ნიუელს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო გვენეტაძეს. ასევე: ელიზაბეტ ანდერსენს, ალექსანდრა ბელენკაიას, დევიდ რუბინოს, კრისტი კონტაკს, ეიპრილ ჰიუკოს, თეა ჭელიძეს, ჯუდიტ კემბელს, კრისტინ ტეფტს, თამარ ნასარიძეს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL), საქართველოს უზენაეს სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

აღნიშნული პუბლიკაცია შეიქმნა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“-ს (ABA ROLI) მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) დახმარებითა და ფინანსური მხარდაჭერით.

---

The American Bar Association Rule of Law Initiative (ABA ROLI) in Georgia with assistance and funding provided by the Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL) is working to help the citizens of Georgia have access to justice.

These materials were created in 2015 by ABA ROLI with funding from INL.

The opinions expressed herein are not necessarily those of ABA ROLI or INL.

No part of these materials may be copied, sold, or used in any way without express written permission of ABA ROLI or INL.

ABA ROLI thanks the authors of the publication:

**Prof. Lali Papiashvili** – articles (3, 4-18, 73-78, 81-83, 170-181, 196-208);  
**Prof. Giorgi Tumanishvili** – articles (1-2, 3, 38-58, 72);  
**Mr. Davit Kvachantiradze** – articles (3, 41-46, 111, 221-224);  
**Ms. Larisa Liparteliani** – articles (3, 19-31, 59-66, 112-114, 182-195, 279-291, 310-333);  
**Mr. Germane Dadeshkeliani** – articles (85-99, 219, 220, 258-278);  
**Ms. Shorena Guntsadze** – articles (225-257, 292-299, 300-309);  
**Ms. Natia Mezvrishvili** – articles (3, 32-37, 115-135, 1431-14310, 209-218);  
**Ms. Londa Toloraia** – articles (3, 67-71, 79-80, 100-110, 136-138, 144-165, 166-169).

ABA ROLI also thanks the Chief Editor of the commentary **Mr. Giorgi Giorgadze**.

These materials have been edited and modified by ABA ROLI staff members. The work on this commentary was done by the following dedicated staff members of ABA ROLI Georgia:

**Mr. Mamuka Mamatsashvili**, Deputy Country Director  
**Ms. Medea Matiashvili**, Senior Staff Attorney  
**Ms. Ana Loria**, Senior Staff Attorney

ABA ROLI thanks the following persons and organizations for helping to make this publication possible: The U.S. Ambassador to Georgia Ian C. Kelly, Deputy Chief of Mission Nicholas Berliner, INL Program Director Tracey Newell, and The Chairperson of the Supreme Court of Georgia Ms. Nino Gvenetadze. Also: Elizabeth Andersen, Alexandra Belenkaya, David Rubino, Kristi Kontak, April Hewko, Tea Chelidze, Judith Campbell, Christine Tefft, Tamar Nasaridze and the Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL), The Supreme Court of Georgia, Tbilisi City Court, Chief Prosecutor's Office of Georgia, Georgian Bar Association and Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

**This publication is provided by the American Bar Association Rule of Law Initiative (ABA ROLI) through support and funds provided by the Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL).**

## სარჩევი

წინასიტყვაობა .....	15
აბრევიატურების ნუსხა .....	17

### ზოგადი ნაწილი

კარი I. სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობა და პრინციპები .....	21
თავი I. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, მისი ამოცანები და მოქმედების სფერო .....	21
მუხლი 1. კოდექსის მიზანი .....	21
მუხლი 2. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის გამოყენების წესი, კანონის ანალოგია .....	22
მუხლი 3. ძირითად ტერმინთა განმარტება ამ კოდექსის მიზნებისთვის .....	26
თავი II. სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები .....	42
მუხლი 4. პიროვნების ღირსების ხელშეუვალობა .....	42
მუხლი 5. უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფიცია .....	49
მუხლი 6. ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა .....	59
მუხლი 7. სისხლის სამართლის პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა .....	61
მუხლი 8. სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება .....	70
მუხლი 9. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა .....	84
მუხლი 10. სასამართლო სხდომის საჯაროობა და ზეპირობა .....	91
მუხლი 11. სისხლის სამართლის პროცესის სახელმწიფო ენაზე განხორციელება .....	98
მუხლი 12. კანონიერება და სასამართლოს დამოუკიდებლობა .....	103
მუხლი 13. მტკიცებულება .....	112
მუხლი 14. მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევა .....	116
მუხლი 15. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება .....	123
მუხლი 16. სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა .....	127
მუხლი 17. ბრალის წაყენება დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე .....	129
მუხლი 18. განმეორებით დაკავების, ბრალის წაყენებისა და მსჯავრდების აკრძალვა .....	131
კარი II. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები .....	139
თავი III. სასამართლო .....	139
მუხლი 19. სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების ორგანო .....	139
მუხლი 20. სასამართლოს უფლებამოსილება .....	140
მუხლი 21. ტერიტორიული განსჯადობა .....	143
მუხლი 22. სასამართლოთა შემადგენლობა .....	145
მუხლი 23. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე .....	146
მუხლი 24. სასამართლო სხდომის მდივანი .....	147
მუხლი 25. სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა .....	148
მუხლი 26. სასამართლოს შუამდგომლობა .....	149
მუხლი 27. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობა .....	150
მუხლი 28. ნაფიცი მსაჯულის (მსაჯულობის კანდიდატის) სოციალური გარანტიები .....	151
მუხლი 29. მოთხოვნები ნაფიცი მსაჯულისადმი .....	152
მუხლი 30. შეუთავსებლობა .....	152
მუხლი 31. უარი ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე .....	153
თავი IV. პროკურორი, გამომძიებელი .....	154
მუხლი 32. პროკურატურა .....	154
მუხლი 33. პროკურორი .....	159
მუხლი 34. გამომძიებლის ორგანოები .....	167
მუხლი 35. საგამომძიებო ქვემდებარეობა .....	169
მუხლი 36. ტერიტორიული საგამომძიებო ქვემდებარეობა .....	170

მუხლი 37. გამომძიებელი .....	170
<b>თავი V. ბრალდებული, ადვოკატი.....</b>	<b>176</b>
მუხლი 38. ბრალდებულის უფლება-მოვალეობანი .....	176
მუხლი 39. ბრალდებულის უფლება, მოიპოვოს მტკიცებულება .....	189
მუხლი 40. ბრალდებულის დასწრების უფლების შეზღუდვა .....	190
მუხლი 41. ბრალდებულის მიერ ადვოკატის აყვანა.....	192
მუხლი 42. ბრალდებულის ან მსჯავრდებულის შუამდგომლობით სასამართლო განხილვის დაუშვებლობა.....	193
მუხლი 43. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობის კონფიდენციალურობა.....	195
მუხლი 44. ბრალდებულის ადვოკატის სამართლებრივი მდგომარეობა.....	197
მუხლი 45. სავალდებულო დაცვა.....	201
მუხლი 46. დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე .....	203
<b>თავი VI. მონმე და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეები.....</b>	<b>205</b>
მუხლი 47. მონმე.....	205
მუხლი 48. მონმის მიერ ფიცის დადება .....	207
მუხლი 49. მონმის უფლება-მოვალეობანი.....	208
მუხლი 50. პირი, რომელიც არ არის ვალდებული, იყოს მონმე.....	211
მუხლი 51. ექსპერტი .....	213
მუხლი 52. ექსპერტის უფლება-მოვალეობანი.....	213
მუხლი 53. თარჯიმანი .....	215
მუხლი 54. თარჯიმნის უფლება-მოვალეობანი .....	216
მუხლი 55. სასამართლოს მეგობარი (Amicus Curiae) .....	216
<b>თავი VII. დაზარალებული .....</b>	<b>217</b>
მუხლი 56. პირის დაზარალებულად ცნობა .....	217
მუხლი 57. დაზარალებულის უფლებები .....	219
მუხლი 58. ინფორმაცია და განმარტება .....	224
<b>თავი VIII. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები, აცილება.....</b>	<b>227</b>
მუხლი 59. სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის ან სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები.....	227
მუხლი 60. სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები .....	231
მუხლი 60 <sup>1</sup> . არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლობის გამომრიცხავი გარემოებები (ამოღებულია) .....	232
მუხლი 61. სისხლის სამართლის პროცესში თარჯიმნის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები .....	233
მუხლი 62. თვითაცილება .....	234
მუხლი 63. აცილების შუამდგომლობის დაყენების წესი .....	235
მუხლი 64. აცილების შუამდგომლობის გადაწყვეტის წესი.....	237
მუხლი 65. მოსამართლის ან სასამართლოს მთელი შემადგენლობის აცილების შემთხვევაში საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა ან საქმის განმხილველი სასამართლოს ახალი შემადგენლობის განსაზღვრა.....	237
მუხლი 66. აცილების შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრება .....	238
<b>თავი IX. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების წესი .....</b>	<b>239</b>
მუხლი 67. პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძვლები .....	239
მუხლი 68. პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების სახე და მის გამოყენებაზე უფლებამოსილი პირი .....	241

მუხლი 69. ამოღებულია .....	241
მუხლი 70. გადაწყვეტილება დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ .....	241
მუხლი 71. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება .....	242

### კარი III. მტკიცებულება

<b>თავი X. მტკიცებულება, მტკიცების საგანი და პროცესი .....</b>	<b>243</b>
მუხლი 72. დაუშვებელი მტკიცებულება .....	243
მუხლი 73. პრეიუდიცია .....	251
მუხლი 74. ბრალდებულის ჩვენება .....	255
მუხლი 75. მონმის ჩვენება .....	258
მუხლი 76. ირიბი ჩვენება .....	264
მუხლი 77. ნივთიერი მტკიცებულება .....	269
მუხლი 78. დოკუმენტის მტკიცებულებითი ძალა .....	274
მუხლი 79. ნივთიერი მტკიცებულების შენახვა .....	280
მუხლი 80. გადაწყვეტილება ნივთიერი მტკიცებულების შესახებ სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე .....	282
მუხლი 81. გადაწყვეტილება ნივთიერი მტკიცებულების შესახებ სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებისას .....	284
მუხლი 82. მტკიცებულების შეფასება .....	287
მუხლი 83. შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლა მხარეების მიერ .....	298
მუხლი 84. ამოღებულია .....	306

### თავი XI. საპროცესო პასუხისმგებლობა სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა

<b>შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის .....</b>	<b>307</b>
მუხლი 85. პასუხისმგებლობა სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის .....	307

### თავი XII. საპროცესო ვადები და ხარჯები .....

მუხლი 86. საპროცესო ვადების გამოთვლის წესი .....	315
მუხლი 87. ვადის დაცვა .....	315
მუხლი 88. ვადის გაცდენის შედეგი .....	316
მუხლი 89. გაცდენილი ვადის აღდგენა .....	316
მუხლი 90. საპროცესო ხარჯები .....	317
მუხლი 91. საპროცესო ხარჯების გადახდევინება .....	318
მუხლი 92. ზიანის ანაზღაურება .....	319

### თავი XIII. შუამდგომლობა, საჩივარი და მათი განხილვის ზოგადი წესი .....

მუხლი 93. შუამდგომლობის დაყენების უფლება და წესი .....	320
მუხლი 94. შუამდგომლობის გადაწყვეტა .....	322
მუხლი 95. საჩივრის შეტანის უფლება და წესი .....	323
მუხლი 96. გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით .....	325
მუხლი 97. საჩივრის განხილვის ზოგადი წესი .....	325
მუხლი 98. გადაწყვეტილება საჩივარზე .....	326
მუხლი 99. საჩივარზე გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინება .....	326

## კერძო ნაწილი

### კარი IV გამოძიება .....

<b>თავი XIV გამოძიების საფუძვლები .....</b>	<b>329</b>
მუხლი 100. გამოძიების დაწყების მოვალეობა .....	329
მუხლი 101. ინფორმაცია დანაშაულის შესახებ .....	330
მუხლი 102. საქმის ქვემდებარეობის მიხედვით გადაგზავნა .....	331

მუხლი 103. გამოძიების ვადა .....	332
მუხლი 104. გამოძიების მონაცემების გამჟღავნების დაუშვებლობა .....	334
მუხლი 105. გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის საფუძველები .....	335
მუხლი 106. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება .....	356
მუხლი 107. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინების გასაჩივრება .....	359
მუხლი 108. შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის განახლება .....	360
მუხლი 109. სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება. ....	361
მუხლი 110. სისხლის სამართლის საქმის გამოყოფა.....	362
<b>თავი XV საგამოძიებო მოქმედებები .....</b>	<b>364</b>
მუხლი 111. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზოგადი წესი .....	364
მუხლი 112. სასამართლოს განჩინებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება.....	367
მუხლი 113. გამოკითხვის წესი .....	378
მუხლი 114. გამოძიების დროს დაკითხვის წესი .....	378
მუხლი 115. დაკითხვის ზოგადი წესი .....	382
მუხლი 116. არასრულწლოვნის დაკითხვა (ამოღებულია).....	384
მუხლი 117. ყრუ-მუნჯისა და მძიმედ დაავადებულის დაკითხვა .....	386
მუხლი 118. მოწმის დაკითხვა საქმის არსებითი განხილვის დროს.....	386
მუხლი 119. ამოღებისა და ჩხრეკის მიზანი და საფუძველი.....	387
მუხლი 120. ამოღებისა და ჩხრეკის წესი.....	389
მუხლი 121. პირადი ჩხრეკა .....	392
მუხლი 122. ამოღება და ჩხრეკა დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში და დიპლომატიურ წარმომადგენელთან .....	393
მუხლი 123. ჩხრეკა, ამოღება და დაყადაღება მასმედიის, გამომცემლობის რედაქციაში, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რელიგიური, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების სათავეებში .....	395
მუხლი 124. ამოღებული ობიექტის დაბრუნება .....	396
მუხლი 124 <sup>1</sup> . საბანკო ანგარიშების მონიტორინგი .....	396
მუხლი 125. დათვალიერება.....	397
მუხლი 126. დათვალიერების ზოგადი წესი .....	399
მუხლი 127. შემთხვევისა და სხვა ადგილის დათვალიერება.....	403
მუხლი 128. გვამის დათვალიერება .....	407
მუხლი 129. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მიზანი .....	408
მუხლი 130. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების წესი.....	409
მუხლი 131. პირის და ობიექტის ამოსაცნობად წარდგენა.....	413
მუხლი 132. ექსპუმაციის საფუძველი და მიზანი .....	416
მუხლი 133. ექსპუმაციის წესი .....	416
მუხლი 134. ზოგადი დებულებანი საგამოძიებო მოქმედების ოქმის შესახებ.....	417
მუხლი 135. ცალკეული საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენის თავისებურებანი .....	418
<b>თავი XVI კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები .....</b>	<b>422</b>
მუხლი 136. დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა.....	422
მუხლი 137. ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება .....	424
მუხლი 138. შინაარსობრივი მონაცემების მოპოვება .....	425
მუხლი 139. ამოღებულია .....	426
მუხლი 140. ამოღებულია .....	426
მუხლი 141. ამოღებულია .....	426
მუხლი 142. ამოღებულია .....	426
მუხლი 143. ამოღებულია .....	426
<b>თავი XVI<sup>1</sup> ფარული საგამოძიებო მოქმედებები .....</b>	<b>427</b>
მუხლი 143 <sup>1</sup> . ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეები .....	427
მუხლი 143 <sup>2</sup> . ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პრინციპები.....	427



მუხლი 143 <sup>3</sup> . ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესი .....	429
მუხლი 143 <sup>4</sup> . ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების უფლებამოსილების მქონე ორგანო .....	440
მუხლი 143 <sup>5</sup> . ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩამატარებელი ორგანოს მიერ ინფორმაციის შენახვისა და აღრიცხვის ვალდებულება .....	440
მუხლი 143 <sup>6</sup> . ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტა .....	441
მუხლი 143 <sup>7</sup> . ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მინიმუმამდე დაყვანა .....	442
მუხლი 143 <sup>8</sup> . ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/მასალის განადგურება.....	442
მუხლი 143 <sup>9</sup> . ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინება .....	445
მუხლი 143 <sup>10</sup> . ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრი .....	447
<b>თავი XVII სხვა საპროცესო მოქმედებები.....</b>	<b>448</b>
მუხლი 144. ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი .....	448
მუხლი 145. საექსპერტო კვლევის ობიექტი .....	451
მუხლი 146. ექსპერტის დასკვნა .....	452
მუხლი 147. ნიმუშის აღება .....	454
მუხლი 148. ნიმუშის აღების საფუძველი .....	456
მუხლი 149. გამოცხადების სავალდებულობა, მიყვანა .....	456
მუხლი 150. მიყვანის შესახებ გადანყვეტილების აღსრულება .....	459
მუხლი 151. ქონებაზე ყადაღის დადების მიზანი და საფუძველი .....	460
მუხლი 152. ქონებაზე ყადაღის დადებისას უფლებამოსილებათა შეზღუდვა .....	463
მუხლი 153. ქონება, რომელსაც არ შეიძლება ყადაღა დაედოს.....	463
მუხლი 154. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობა და მისი განხილვის წესი.....	464
მუხლი 155. დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.....	465
მუხლი 156. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრება.....	466
მუხლი 157. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ განჩინების (დადგენილების) აღსრულების წესი .....	466
მუხლი 158. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინების მოქმედების ვადა.....	468
მუხლი 159. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების საფუძველი.....	468
მუხლი 160. სასამართლოს განჩინება ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ.....	470
მუხლი 161. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების ვადა .....	471
მუხლი 162. ზოგიერთი პირის თანამდებობიდან გადაყენება (თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისაგან ჩამოცილება) .....	472
მუხლი 163. ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების საფუძველი .....	472
მუხლი 164. გადანყვეტილება ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების შესახებ .....	474
მუხლი 165. ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების ვადა .....	476
<b>კარი V სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, აღკვეთის ღონისძიების შერჩევა, საპროცესო შეთანხმება.....</b>	<b>478</b>
<b>თავი XVIII სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველები, დაკავება, ბრალდებულად ცნობა .....</b>	<b>478</b>
მუხლი 166. სისხლისსამართლებრივი დევნა.....	478
მუხლი 167. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და სასამართლო განხილვის არდაწყება და შეჩერება .....	481
მუხლი 168. დისკრეციული დევნა .....	485
მუხლი 168 <sup>1</sup> . განრიდება.....	487
მუხლი 168 <sup>2</sup> . განრიდების გამოყენების წესი .....	491
მუხლი 169. პირის ბრალდებულად ცნობა.....	492
მუხლი 170. დაკავება .....	499
მუხლი 171. დაკავების საფუძველი .....	501
მუხლი 172. პირი, რომელსაც აქვს დაკავების უფლება.....	511
მუხლი 173. იმუნიტეტი დაკავებისას.....	512

მუხლი 174. დაკავების წესი .....	513
მუხლი 175. დაკავების ოქმი .....	518
მუხლი 176. დაკავებულის გათავისუფლების საფუძველი და წესი .....	521
მუხლი 177. შეტყობინება დაკავების, დაპატიმრების ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ .....	524
მუხლი 178. დაკავებული, დაპატიმრებული ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირის კმაყოფაზე მყოფი პირის, მისი საცხოვრებელი ბინისა და სხვა ქონების მეურვეობის ღონისძიებანი.....	527
მუხლი 179. სისხლის სამართლის პროცესის წარმოება არაიდენტიფიცირებული ბრალდებულის, მსჯავრდებულის მიმართ.....	529
მუხლი 180. პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება .....	531
მუხლი 181. სამედიცინო დაწესებულებაში პირის ყოფნის ვადა .....	534
<b>თავი XIX სასამართლო განხილვის ზოგადი დებულებანი.....</b>	<b>536</b>
მუხლი 182. სასამართლო სხდომის საჯაროობა .....	536
მუხლი 182 <sup>1</sup> . ამოღებულია .....	539
მუხლი 183. საქმის განხილვისას სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობა.....	539
მუხლი 184. სათადარიგო მოსამართლე.....	539
მუხლი 185. სასამართლო განხილვის ადგილი და უწყვეტობა.....	540
მუხლი 186. სასამართლო სხდომის განაწესი.....	542
მუხლი 187. სასამართლო სხდომის დაწყება.....	543
მუხლი 188. მხარის გამოცხადება სასამართლო სხდომაზე .....	543
მუხლი 189. ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა .....	544
მუხლი 190. პროკურორისა და ადვოკატის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და მათი გამოუცხადებლობის შედეგები .....	544
მუხლი 191. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა საქმის არსებითი განხილვის დროს. შეურაცხაობის საკითხის განხილვა .....	545
მუხლი 192. სასამართლო სხდომაზე განჩინების გამოტანის წესი.....	548
მუხლი 193. სასამართლოს თათბირი და კენჭისყრა კოლეგიური განხილვის დროს .....	548
მუხლი 194. სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნება .....	549
მუხლი 195. სასამართლო სხდომის ოქმი.....	549
<b>თავი XX ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში, აღკვეთის ღონისძიებანი .....</b>	<b>551</b>
მუხლი 196. ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში.....	551
მუხლი 197. ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა, უფლებათა განმარტება.....	553
მუხლი 198. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები და საფუძველი .....	558
მუხლი 199. აღკვეთის ღონისძიების სახეები.....	570
მუხლი 200. გირაო .....	574
მუხლი 201. არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა – ამოღებულია.....	582
მუხლი 202. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.....	582
მუხლი 203. პირადი თავდებობა .....	584
მუხლი 204. სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა.....	587
მუხლი 205. პატიმრობა .....	589
მუხლი 206. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, შეცვლა და გაუქმება .....	613
მუხლი 207. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრების წესი.....	626
მუხლი 208. მაგისტრაცი მოსამართლის გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ.....	629
<b>თავი XXI საპროცესო შეთანხმება.....</b>	<b>632</b>
მუხლი 209. საპროცესო შეთანხმების არსი .....	632
მუხლი 210. საპროცესო შეთანხმების დადება.....	634

მუხლი 211. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის ფორმა .....	637
მუხლი 212. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვა .....	640
მუხლი 213. სასამართლოს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე .....	642
მუხლი 214. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობა .....	645
მუხლი 215. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა და გასაჩივრება .....	646
მუხლი 216. განაჩენის გადაცემა .....	647
მუხლი 217. დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების დადებისას .....	648
მუხლი 218. ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან .....	649
<b>კარი VI წინასასამართლო სხდომა და საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში .....</b>	<b>652</b>
<b>თავი XXII წინასასამართლო სხდომა .....</b>	<b>652</b>
მუხლი 219. წინასასამართლო სხდომა .....	652
მუხლი 220. საქმის არსებითი განხილვისათვის მომზადება .....	658
მუხლი 221. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიის შედგენა .....	659
მუხლი 222. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა .....	662
მუხლი 223. ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, აცილება და თვითააცილება .....	663
მუხლი 224. კანდიდატის დანიშვნა ნაფიც მსაჯულად .....	666
<b>თავი XXIII საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში .....</b>	<b>668</b>
მუხლი 225. საქმის არსებითი განხილვის დაწყების დრო .....	668
მუხლი 226. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო .....	669
მუხლი 227. სხდომის თავმჯდომარე .....	674
მუხლი 228. მხარისა და მოწმის გამოცხადება .....	674
მუხლი 229. სასამართლოს შემადგენლობის გამოცხადება. პროცესის მონაწილეთა საქმეში მონაწილეობის გამორიცხვის და აცილების საკითხის გადაწყვეტა .....	676
მუხლი 230. სხდომის თავმჯდომარის მიერ ბრალდებულის ვინაობის დადგენა და უფლებების განმარტება .....	677
მუხლი 230 <sup>1</sup> . აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის საკითხის გადაწყვეტა საქმის არსებითი განხილვის დროს .....	680
მუხლი 231. სხდომის თავმჯდომარის განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი .....	682
მუხლი 232. ნაფიცი მსაჯულის შეცვლა სათადარიგო მსაჯულით .....	691
მუხლი 233. უფროსი მსაჯული .....	692
მუხლი 234. ნაფიც და სათადარიგო მსაჯულთა მიერ ფიცის დადება .....	692
მუხლი 235. ნაფიც მსაჯულთა უფლებანი .....	693
მუხლი 236. ნაფიც მსაჯულთა (სათადარიგო მსაჯულთა, მსაჯულობის კანდიდატთა) მოვალეობანი .....	695
მუხლი 237. ნაფიცი მსაჯულების სავალდებულო ინფორმირება საპროცესო შეთანხმების არსებობის თაობაზე .....	696
მუხლი 238. ბრალდებულის წასამართლობა .....	697
მუხლი 239. შუამდგომლობის დაყენება და გადაწყვეტა .....	698
მუხლი 240. საქმის განხილვა პროცესის მონაწილეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში .....	702
მუხლი 241. მხარეთა შესავალი სიტყვები .....	704
მუხლი 242. მტკიცებულებათა გამოკვლევის ზოგადი წესი .....	706
მუხლი 243. მოწმის დეპონირებული ჩვენების გამოკვლევა და მისი დისტანციური დაკითხვა .....	707
მუხლი 244. პირდაპირი დაკითხვა .....	709
მუხლი 245. ჯვარედინი დაკითხვა .....	710
მუხლი 246. ხელახალი პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა. სადავო შეკითხვები .....	711
მუხლი 247. ბრალდებულის მიერ საქმის არსებით განხილვამდე მიცემული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების დაუშვებლობა .....	712
მუხლი 248. მტკიცებულების დემონსტრირება სასამართლო განხილვის დროს .....	713

მუხლი 249. მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულება.....	715
მუხლი 250. ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე უარის თქმა.....	715
მუხლი 251. მხარეთა დასკვნითი სიტყვები.....	716
მუხლი 252. რეპლიკა.....	717
მუხლი 253. ბრალდებულის საბოლოო სიტყვა .....	718
მუხლი 254. ამოღებულია .....	719
მუხლი 255. სასამართლოს მიერ შემაჯავებელი გადაწყვეტილების მიღება.....	719
მუხლი 256. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირი .....	719
მუხლი 257. დამატებითი განმარტებების მიღება .....	721
<b>თავი XXIV სასამართლოს განაჩენის დადგენა და მისი აღსრულება .....</b>	<b>723</b>
მუხლი 258. სასამართლოს განაჩენის დადგენა და გამოცხადება საქართველოს სახელით. სასამართლოს განაჩენი დგინდება და ცხადდება საქართველოს სახელით. ....	723
მუხლი 259. სასამართლოს განაჩენის კანონიერება, დასაბუთებულობა და სამართლიანობა .....	723
მუხლი 260. განაჩენის დადგენისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხები .....	724
მუხლი 261. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი .....	726
მუხლი 262. ვერდიქტის ფორმა.....	728
მუხლი 263. ვერდიქტის გამოცხადება .....	728
მუხლი 264. სასჯელის დანიშვნის სხდომა.....	729
მუხლი 265. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი .....	730
მუხლი 266. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება.....	732
მუხლი 267. სასამართლოს თათბირისა და საქმის ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი.....	735
მუხლი 268. სასამართლოს განაჩენის სახეები.....	736
მუხლი 269. გამამტყუნებელი განაჩენი .....	736
მუხლი 270. გამამართლებელი განაჩენი .....	738
მუხლი 271. განაჩენის ფორმა .....	738
მუხლი 272. განაჩენის შესავალი ნაწილი.....	739
მუხლი 273. გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი .....	739
მუხლი 274. გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი .....	741
მუხლი 275. გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი .....	742
მუხლი 276. გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი .....	743
მუხლი 277. განაჩენის გამოცხადება .....	743
მუხლი 278. განაჩენისა და განსხვავებული აზრის ასლის გადაცემა .....	744
მუხლი 279. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა და აღსასრულებლად მიქცევა.....	744
მუხლი 280. განაჩენის, განჩინების, დადგენილების აღსასრულებლად მიქცევის წესი.....	745
მუხლი 281. შეტყობინება განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შესახებ.....	746
მუხლი 282. მსჯავრდებულის ძებნა .....	747
მუხლი 283. განაჩენის აღსრულების გადავადება .....	749
მუხლი 283 <sup>1</sup> . საქართველოში ექსტრადირებას დაქვემდებარებული მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა.....	751
მუხლი 284. ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლება.....	754
მუხლი 285. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა .....	757
მუხლი 286. განაჩენის აღსრულება სხვა აღუსრულებელი განაჩენის არსებობის დროს .....	761
მუხლი 287. გადაწყვეტილების აღსრულებისას გამოვლენილი ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრა .....	762
მუხლი 288. სასამართლოს მიერ ნასამართლობის მოხსნის საკითხის განხილვა.....	763
მუხლი 289. უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მსჯავრდებული პირის მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში მოხდასთან დაკავშირებული პროცედურა ...	763
მუხლი 290. უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან შესაბამისობის დადასტურება .....	767
მუხლი 291. განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების გასაჩივრება .....	768

<b>თავი XXV აპელაცია.....</b>	<b>769</b>
მუხლი 292. ზოგადი დებულებანი .....	769
მუხლი 293. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა და ფორმა .....	771
მუხლი 294. მხარისათვის სააპელაციო საჩივრის ასლის გადაგზავნა, შესაგებელი.....	772
მუხლი 295. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტა .....	773
მუხლი 296. მხარეთა გამოცხადება .....	775
მუხლი 297. სააპელაციო სხდომა .....	776
მუხლი 298. სააპელაციო განაჩენი და შებრუნება საუარესოდ .....	779
მუხლი 299. სააპელაციო საჩივრის სარევიზიო სანქისი .....	781
<b>თავი XXVI კასაცია.....</b>	<b>783</b>
მუხლი 300. ზოგადი დებულებანი .....	783
მუხლი 301. საკასაციო საჩივრის ფორმა.....	786
მუხლი 302. საკასაციო საჩივრის შეტანა.....	787
მუხლი 303. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტა .....	788
მუხლი 304. საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა .....	792
მუხლი 304 <sup>1</sup> . ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი საკონსულტაციო დასკვნისათვის მიმართვა.....	793
მუხლი 305. მხარეთა გამოცხადება .....	795
მუხლი 306. საკასაციო სხდომა .....	796
მუხლი 307. საკასაციო განაჩენი .....	797
მუხლი 308. შებრუნება საუარესოდ .....	798
მუხლი 309. საკასაციო საჩივრის სარევიზიო სანქისი .....	799
<b>თავი XXVII ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი .....</b>	<b>800</b>
მუხლი 310. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძვლები .....	800
მუხლი 311. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ვადა .....	802
მუხლი 312. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაყენება ..	802
მუხლი 313. შუამდგომლობის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმება .....	803
მუხლი 314. სასამართლო სხდომა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. განაჩენი .....	804
<b>კარი VII ცალკეული კატეგორიის საქმეთა წარმოება .....</b>	<b>805</b>
<b>თავი XXVIII ამოღებულია .....</b>	<b>805</b>
მუხლი 315. ამოღებულია .....	805
მუხლი 316. ამოღებულია .....	805
მუხლი 317. ამოღებულია .....	805
მუხლი 318. ამოღებულია .....	805
მუხლი 319. ამოღებულია .....	806
მუხლი 320. ამოღებულია .....	806
მუხლი 321. ამოღებულია .....	806
მუხლი 322. ამოღებულია .....	806
მუხლი 323. ამოღებულია .....	806
მუხლი 324. ამოღებულია .....	806
<b>თავი XXIX პროცესი იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს.....</b>	<b>807</b>
მუხლი 325. კოდექსის ნორმების მოქმედება იურიდიული პირის მიმართ.....	807
მუხლი 326. იურიდიული პირის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებისა და სხვაგვარი შეზღუდვების გამოყენება .....	807
მუხლი 327. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნა.....	808
მუხლი 328. იურიდიული პირის მიმართ გამოტანილი სასამართლოს განაჩენის გამოქვეყნება .....	808

<b>კარი VIII გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი.....</b>	<b>809</b>
<b>თავი XXX გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი.....</b>	<b>809</b>
მუხლი 329. ძალადაკარგული ნორმატიული აქტი .....	809
მუხლი 330. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დროებითი განსჯადობა.....	810
მუხლი 331. დამსწრე.....	812
მუხლი 332. გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესი .....	812
მუხლი 332 <sup>1</sup> . დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესის შეცვლასთან დაკავშირებით ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის დამატებითი საფუძველი.....	813
მუხლი 332 <sup>2</sup> . სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ნივთიერი მტკიცებულების სახით ამოღებული სატრანსპორტო საშუალების შემძენისათვის დაბრუნება .....	813
მუხლი 332 <sup>3</sup> . ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის ამოქმედება.....	814
მუხლი 332 <sup>4</sup> . 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ პირებთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება გარდამავალ პერიოდში.....	815
მუხლი 333. კოდექსის ამოქმედება.....	815

## წინასიტყვაობა

2010 წლის 10 ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. აღნიშნულმა კანონმა მანამდე არსებული ინკვიზიციური სისტემის ნაცვლად, შევიბრებიტობის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლო სისტემის შემოღებით, საქართველოში დაამკვიდრა სამართლებრივი განვითარების ახალი ეპოქა.

მოცემული გამოცემა წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირველ კომენტარს, რომელიც შეიქმნა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“-ს (ABA ROLI) მიერ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტიწარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით.

მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს სრულყოფილად გააანალიზოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. იქიდან გამომდინარე, რომ კანონი და მისი განმარტება შესაძლოა შეიცვალოს, კომენტარიც შესაძლოა დაექვემდებაროს გადასინჯვას. შესაბამისად, ABA ROLI-მ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობდა მართლმსაჯულების ყველა რგოლი (სასამართლო, პროკურატურა და ადვოკატთა კორპუსი) და იურიდიული სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები. ამასთან, კომენტარის შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული ქართული იურიდიული საზოგადოება. კერძოდ, ნაშრომის ნაწილები იხილებოდა გაფართოებული სამუშაო ჯგუფის ფორმატში.

ABA ROLI იმედოვნებს, რომ წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს პრაქტიკოს იურისტებს, მოსამართლეებს, სხვა პროფესიონალებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სათანდო გამოყენებაში.

### დევიდ რუბინო

რეგიონალური დირექტორი,

ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა

## Preface

In October 2010, Georgia's new Criminal Procedure Code (CPC) took effect. This unique legislation has established a new era of legal development in Georgia by creating an adversarial system of justice in place of the previous inquisitorial one.

This publication contains the first set of commentaries developed on the new CPC. The commentary was created by the American Bar Association Rule of Law Initiative (ABA ROLI) with assistance and funding provided by the Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL).

Though this work makes every attempt to provide a comprehensive analysis of the CPC, laws and their interpretation are, by their nature, subject to revision and change. To balance this uncertainty, ABA ROLI engaged representatives of all parties of the judicial sector (Judges, Prosecutors and Defense Attorneys) and Academia to ensure a uniform and credible final product. In addition, Georgian legal society was actively involved in the drafting process through large working group meetings and direct engagement.

It is the sincere hope of ABA ROLI that this commentary will serve as a valuable tool for legal practitioners, judges and officials attempting to navigate this important and complex piece of legislation.

**David Rubino,**  
Regional Director,  
American Bar Association Rule of Law Initiative



## აბრევიატურების ნუსხა

### ქართულ ენაზე:

ა.შ. – ასე შემდეგ

აშშ – ამერიკის შეერთებული შტატები

გვ. – გვერდი

ე.ი. – ესე იგი

ევროპული კონვენცია – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

ე.ნ. – ეგრეთ წოდებული

თბ. – თბილისი

იხ. – იხილეთ

მაგ. – მაგალითად

მმს – Multimedia Messaging Service მულტიმედიაურ შეტყობინებათა სერვისი

მუხ. – მუხლი

ნან. – ნაწილი

სს – სისხლის სამართალი

სსკ – სისხლის სამართლის კოდექსი

სსსკ – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

საქ. კონსტ. – საქართველოს კონსტიტუცია

სხვ. – სხვა

შს – შინაგან საქმეთა

შსს – შინაგან საქმეთა სამინისტრო

ქ. – ქალაქი

### უცხოურ ენებზე:

ABA ROLI – American Bar Association Rule of Law Initiative ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა

BGH – Bundesgerichtshof, გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო

dec. – decision on admissibility გადანაცვებლობის შესახებ

DGI – The Directorate General of Human Rights and Rule of Law ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატი

DHR – The Directorate of Human Rights ადამიანის უფლებათა დირექტორატი.

ICC – International Criminal Court სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო

ICCPR – International Covenant on Civil and Political Rights

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

INL – Bureau of International Narcotics and Law Enforcement Affairs (INL)

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიურო

ECtHR – European Court of Human Rights

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო

GC – Grand Chamber დიდი პალატა

HRC – Human Rights Council გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო

OSCE/ODIHR – Organization for Security and Co-operation in Europe/ Office for Democratic Institution and Human Rights ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია/ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი

UK – United Kingdom გაერთიანებული სამეფო

UNCCPR – The United Nations International Covenant on Civil and Political Rights

გაერთიანებული ერების საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

UN – United Nations გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

UNHRC – United Nations Human Rights Committee

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტი

US – United States შეერთებული შტატები

v – Versus წინააღმდეგ

WiFi – wireless fidelity უსადენო ინტერნეტი

КПЧ – КОМИТЕТ ПО ПРАВАМ ЧЕЛОВЕКА ადამიანის უფლებათა კომიტეტი

საქართველოს სისხლის სამართლის  
საპროცესო კოდექსი

ზოგადი ნაწილი



# კარი I

## სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობა და პრინციპები

### თავი I

#### სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, მისი ამოცანები და მოქმედების სფერო

#### მუხლი 1. კოდექსის მიზანი

ეს კოდექსი ადგენს დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს.

- 1. ნორმის მიზანი:** დანაშაულის დასჯა სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა. ვინაიდან თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეებს თვითიუსტიცია ეკრძალებათ, სახელმწიფოზე გადადის მოქალაქეთა დასაცავად სამართლებრივი ნორმების მიღების, მათ შესრულებაზე კონტროლისა და სამართლებრივი ნორმების დარღვევისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარების ვალდებულება. სამართლებრივ სახელმწიფოში დანაშაულის დასჯის მიზნით სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებები გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებშია მოქცეული. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესში უდანაშაულო პირები დაცული უნდა იყვნენ გაუმართლებელი დევნისა და თავისუფლების შეზღუდვისგან, ხოლო დანაშაულის ჩამდენი პირები არ უნდა დარჩნენ დაცვის შესაძლებლობების გარეშე. ამდენად, სამართლებრივ სახელმწიფოში ცალკეული ინდივიდებისა და საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის დასაცავად სახელმწიფომ დანაშაულის დასჯის უფლებამოსილების რეალიზაცია უნდა მოახდინოს სამართლებრივად წინასწარ განსაზღვრული წესების დაცვით. სწორედ აღნიშნულ წესებს ადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. სსსკ-ის 1-ლ მუხლში მითითებულია სისხლის სამართლის ის ძირითადი ეტაპები, რომელთა ფარგლებშიც სახელმწიფო ახორციელებს დანაშაულის დასჯის უფლებამოსილებას.
- 2. გამოძიება.** გამოძიების საკანონმდებლო დეფინიცია მოცემულია სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილში, რომლის თანახმად, იგი წარმოადგენს უფლებამოსილი პირის მიერ სსსკ-ით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობას, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება. გამოძიება არის სისხლის სამართლის პროცესის სანყისი ეტაპი (სტადია), რომლის დროსაც დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვების გზით უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად წარმოეშობა სახელმწიფოს დანაშაულის დასჯის უფლებამოსილება. მაგალითად, საგამოძიებო ორგანოები დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში ინყებენ გამოძიებას და სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების განხორციელების მეშვეობით მოიპოვებენ მტკიცებულებებს დანაშაულისა და დამნაშავის შესახებ. ამ გზით უნდა დადგინდეს, თუ რამდენად არსებობს სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულის დასჯის საფუძველი.
- 3. სისხლისსამართლებრივი დევნა.** თუ გამოძიების შედეგად გამოვლინდა ფაქტების ან ინფორ-

მაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა და თუ ამავე დროს დანაშაულის დასჯის მიმართ არსებობს საჯარო ინტერესი, პროკურატურა უფლებამოსილია დაიწყოს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა. სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლებში ხდება კონკრეტული პირის (პირების) ბრალდებულად ცნობა, ასევე სახელმწიფო ბრალდების მხარდასაჭერად საჭირო მტკიცებულებების შეგროვება. სისხლისსამართლებრივ დევნას შესაძლოა თან ერთვოდეს ბრალდებული პირის მიმართ სისხლის საპროცესო-სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენება. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებითა და განხორციელებით პროკურატურა მიუთითებს იმაზე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს სახელმწიფოს მიერ დანაშაულის დასჯის საფუძვლები და სახელმწიფო ბრალდებისთვის მხარდაჭერით ცდილობს ხელი შეუწყოს დანაშაულის დასჯის სახელმწიფოს უფლებამოსილების რეალიზაციას.

- 4. მართლმსაჯულების განხორციელება.** მართლმსაჯულება არის სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა და მას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ საერთო სასამართლოები. („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი; საქ. კონსტ.-ის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტი). სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულება ხორციელდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში. მხოლოდ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის შედეგად საბოლოოდ უნდა დადასტურდეს სახელმწიფოს მიერ დანაშაულის დასჯის საფუძვლების არსებობა და ასეთის არსებობის შემთხვევაში, გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის გზით უნდა მოხდეს დანაშაულის დასჯის სახელმწიფოს უფლებამოსილების რეალიზაცია.

## მუხლი 2. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის გამოყენების წესი, კანონის ანალოგია

1. სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება ის საპროცესო ნორმა, რომელიც მოქმედებს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს.
2. სისხლის სამართლის საპროცესო კანონში შეტანილი ცვლილებები იწვევს წინათ გამოტანილი საპროცესო აქტის გაუქმებას ან შეცვლას, თუ ამით უმჯობესდება ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მდგომარეობა.
3. საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.
4. დანაშაულის ჩადენის ადგილის მიუხედავად, სისხლის სამართლის პროცესი საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამოიყენება აგრეთვე საქართველოს დროშით ან ამოსაცნობი ნიშნით საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ საჰაერო თუ საზღვაო ხომალდზე ჩადენილი დანაშაულის გამო, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
6. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზედაც.
7. საქართველოს მოქალაქე, რომელიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობს, აგრეთვე საზღვარგარეთ მყოფი მისი ოჯახის წევრები, თუ ისინი ნებაყოფლობით არ დათანხმდებიან ადგილსამყოფელი ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებას, ექვემდებ

ბარებიან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იურისდიქციას.

**8. საქართველოს ტერიტორიაზე საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს თუ საგამოძიებო ორგანოს შუამდგომლობის შესრულებისას შეიძლება ამ სახელმწიფოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებაც, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.**

1. **ნორმის მიზანი:** სსსკ-ის მე-2 მუხლი განსაზღვრავს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის გამოყენების წესსა და ფარგლებს, რაშიც მოიაზრება კანონის მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ. ამავე მუხლით დადგენილია ასევე კანონის ანალოგიით გამოყენების პირობები.
2. **სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება დროში.** სისხლის სამართლის საპროცესო კანონი მოქმედებს განსაზღვრულ დროსა და სივრცეში. სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება ის საპროცესო ნორმა, რომელიც მოქმედებს გამოძიებისა და სამართლო განხილვის დროს. განსხვავებით სისხლის სამართლის კოდექსისაგან, სადაც სისხლის სამართლის ნორმის დროში მოქმედება დანაშაულის ჩადენის დროის მიხედვით განისაზღვრება (სსსკ-ის მე-2 მუხლი), სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულის ჩადენის დროს მნიშვნელობა არ ენიჭება. თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ სისხლის სამართლის საპროცესო კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, ყოველთვის გამოიყენება ახალი ნორმა. მაგალითად, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედებდა ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების დროს დამსწრის მონვევის დროებითი წესი. სსსკ-ის 331-ე მუხლის თანახმად, გამოძიებელი ან პროკურორი ვალდებული იყო ბრალდებულის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყო საგამოძიებო მოქმედებაში დამსწრის მონაწილეობა. სსსკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ბრალდებულის საცხოვრებელში ჩატარებული ჩხრეკისას მას აღარ აქვს დამსწრის მონვევის სამართლებრივი შესაძლებლობა, იმისდა მიუხედავად, რომ ბრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა 2012 წლის 1 ოქტომბრამდე. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დროში მოქმედებასთან მჭიდრო კავშირშია კანონის უკუძალის საკითხი. სსსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონში შეტანილი ცვლილებები იწვევს წინათ გამოტანილი საპროცესო აქტის გაუქმებას ან შეცვლას, თუ ამით უმჯობესდება ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მდგომარეობა. მაგალითად, თუ ბრალდებული პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით მოთავსებულ იქნა სამედიცინო დაწესებულებაში 20 დღით (სსსკ-ის 180-ე და 181-ე მუხლები), მაგრამ აღნიშნული ვადის გასვლამდე კანონში შეტანილი ცვლილებით სამედიცინო დაწესებულებაში ბრალდებულის მოთავსების საერთო ვადა შემცირდა 15 დღემდე, მაშინ სავალდებულო გახდება სასამართლოს განჩინების შეცვლა და მისი საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა.
3. **სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება სივრცეში.** სსსკ-ის მე-2 მუხლის მე-4, მე-5, მე-6 და მე-8 ნაწილები განსაზღვრავენ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის სივრცეში მოქმედების საკითხს, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დანაშაულის ჩადენის ადგილის მიუხედავად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამოიყენება აგრეთვე საქართველოს დროში ან ამოსაცნობი ნიშნით საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ საჰაერო თუ საზღვაო ხომალდზე ჩადენილი დანაშაულის გამო, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ზოგ შემთხვევაში, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზედაც. მაგალითად, თუ საქართველოში დანაშაულის მსხვერპლი გახდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რის შემდეგაც მათ დატოვეს საქართველოს ტერიტორია, საერ-

თაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილი წესის დაცვით შესაძლოა ეთხოვოს უცხოელი დაზარალებულების ადგილსამყოფელ სახელმწიფოს, რომ ქართველმა სამართალდამცავებმა აწარმოონ აღნიშნულ სახელმწიფოში საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად გარკვეული საპროცესო მოქმედებები დანაშაულის შესახებ მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად და საჭირო მტკიცებულებათა მოსაპოვებლად. მსგავსად ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს თუ საგამოძიებო ორგანოს შუამდგომლობის შესრულებისას შეიძლება ამ სახელმწიფოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებაც, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

- 4. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება პირთა წრის მიმართ.** სისხლის სამართლის საპროცესო კანონი გამოიყენება ყველა იმ პირის მიმართ, რომელსაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მათი მოქალაქეობის მიუხედავად. რამდენადაც, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონი მოქმედებს პირის მიმართ მაშინაც, როცა იგი იმყოფება საქართველოს საზღვრებს გარეთ. სისხლის საპროცესო კანონის მოქმედებას პირთა წრის მიმართ გააჩნია შემდეგი გამონაკლისი: ა) საერთაშორისო-სამართლებრივი გამონაკლისი – ის პირები, რომლებსაც გააჩნიათ დიპლომატიური იმუნიტეტი („ექსტერიტორიალობის“ პრინციპი), არ ექვემდებარებიან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იურისდიქციას. დაუშვებელია დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, მის ან მისი ოჯახის წევრის მიერ დაკავებულ შენობასა და სატრანსპორტო საშუალებაში ამოღება ან ჩხრეკა. აღნიშნული დაიშვება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანხმობით ან თხოვნით (სსსკ-ის 122-ე მუხლი). დაუშვებელია ასევე ზემოაღნიშნული პირების დაკავება (სსსკ-ის 173-ე მუხლი). დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის, დაპატიმრებისა და მათ მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებული წესი განისაზღვრება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით (სსსკ-ის 167-ე მუხლის მე-5 ნაწილი). ბ) კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამონაკლისები – მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, გენერალურ აუდიტორს, მოსამართლეს იცავს იმუნიტეტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად და ზოგიერთი საპროცესო მოქმედების განსახორციელებლად საჭიროა კანონით დადგენილი წესით შესაბამისი ორგანოებისგან თანხმობის მიღება (სსსკ-ის 167-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მე-5 ნაწილი), დაუშვებელია აგრეთვე ამ პირების დაკავება, თუმცა დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის წევრის, გენერალური აუდიტორის, საქართველოს სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისა და მოსამართლის დაკავება, იმუნიტეტის მიუხედავად, ნებადართულია. საქართველოს მოქალაქე, რომელიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობს, აგრეთვე საზღვარგარეთ მყოფი მისი ოჯახის წევრები, საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისთვის თუ ისინი ნებაყოფლობით არ დათანხმდებიან ადგილსამყოფელი ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებას, ექვემდებარებიან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იურისდიქციას (სსსკ-ის მე-2 მუხლის მე-7 ნაწილი).
- 5. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენება.** სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენების საკითხი რეგულირდება სსსკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით



გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. მაშასადამე, თუ საპროცესო კანონით არ არის რაიმე შემთხვევა დარეგულირებული, მაგრამ მას მსგავსი შინაარსი აქვს, როგორც კანონით ზუსტად განსაზღვრულს, მაშინ შესაძლებელია კანონით ზუსტად დარეგულირებული შემთხვევა ანალოგიით გავავრცელოთ ასევე კანონით დაურეგულირებულ შემთხვევაზე, თუ ამით არ იზღუდება პროცესის მონაწილისთვის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით მინიჭებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ნებადართული ნორმის ანალოგიით გამოყენების მაგალითად გამოდგება შემდეგი შემთხვევა: სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი თავისუფლებს ბრალდებულის ახლო ნათესავს მონმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულებისაგან. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ახლო ნათესავთა წრეს მიეკუთვნება მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული). აღნიშნულ ნორმათა სიტყვასიტყვითი ინტერპრეტაციის მიხედვით, ბრალდებულთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა პირმა, რომელიც ბრალდებულთან ერთად წლების განმავლობაში ეწევა საერთო მეურნეობას და ჰყავთ საერთო შვილებიც (რაც არცთუ ისე იშვიათი შემთხვევაა ქართულ რეალობაში), ბრალდებულის საზიანოდ უნდა მისცეს ჩვენება სასამართლოში, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით მეუღლე (სკ-ის 1106-ე, 1151-ე მუხლები) არის პირი, რომელიც იმყოფება პირთან კანონმდებლობით დადგნილი წესით რეგისტრირებულ ქორწინებაში. სამოქალაქო კანონმდებლობა ამჟამად არ აღიარებს ასევე საეკლესიო ქორწინებას. მაშინ, როდესაც განქორწინებული მეუღლეც კი თავისუფლდება მონმის ვალდებულებისაგან, ბრალდებულთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირისთვის მონმის ვალდებულების დაკისრება აშკარად უსამართლო და ყოველგვარ რაციონალურ საფუძველს მოკლებულია. ამიტომ აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ხარვეზს კანონმდებლობაში. თუ მოვახდენთ სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის ობიექტურ-ტელეოლოგიურ განმარტებას და ვიტყვით, რომ მეუღლის მონმის ვალდებულებისაგან გათავისუფლებით კანონი სისხლის სამართლის საქმეზე ქვეპუნქტების დადგენის ინტერესთან შედარებით უფრო მაღლა აყენებს ბრალდებულის ოჯახური კეთილდღეობის ინტერესს, მაშინ მიზანშეწონილი და გამართლებულია, რომ აღნიშნული ნორმა ბრალდებულთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მიმართაც გავრცელდეს. ბრალდებულის განქორწინებულ მეუღლესთან (რომელიც კანონით თავისუფლდება მონმის ვალდებულებისაგან) არსებულ ურთიერთობაზე მეტად, ცალკეულ შემთხვევებში უფრო მეტ დაცვას იმსახურებს ისეთ პირთან ბრალდებულის ოჯახური ურთიერთობა, რომელთანაც მას ჰყავს საერთო შვილები, იმყოფება საეკლესიო ქორწინებაში და წლების განმავლობაში ეწევა საერთო ოჯახურ მეურნეობას<sup>1</sup>. სხვა მაგალითიც შესაძლებელია მოვიტანოთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენებასთან დაკავშირებით: სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იმ დანაშაულის საქმეში, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები

<sup>1</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა „ოჯახის“ საერთაშორისო-სამართლებრივი გაგება. „ოჯახისა“ და „ოჯახური ცხოვრების“ ცნების განსაზღვრისა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ რეგისტრირებული ქორწინება ნებისმიერ შემთხვევაში წარმოშობს ოჯახურ ცხოვრებას, თუმცა, სასამართლო თავის გადანყვეტილებებში ხშირად უსვამს ხაზს, რომ ოჯახის ცნება შეიცავს სხვაგვარ დე ფაქტო ოჯახურ კავშირებსაც, სადაც პირები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე. უფრო მეტიც, სასამართლომ თავის გადანყვეტილებებში ხაზი გაუსვა, რომ ევროკონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მიზნებისთვის ქორწინების გარეშე მცხოვრები ოჯახების განსხვავება ქორწინებაში მყოფებისაგან ეწინააღმდეგება კონვენციის მე-14 მუხლს (დისკრიმინაციის აკრძალვა); იხ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგი გადანყვეტილებები: *Abdulaziz, Cabales and Balkandali v. the United Kingdom*, ECtHR, 28/05/1985, §62; *Keegan v. Ireland*, ECtHR, 26/05/1994, §44; *Mutant v. Kroon and Others v. the Netherlands*, ECtHR, 27/10/1994, §30; *Elsholz v. Germany*, ECtHR, 13/07/2000 §43; *Lebbink v. the Netherlands*, ECtHR, 01/06/2004, §34; *Marckx v. Belgium*, 13/06/1979, §31.

ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს. ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლე განსაზღვრება ნილისყრით. ზემოაღნიშნული მსჯელობის მსგავსად, თუ იმ ნორმას, რომელიც განსაზღვრავს ახლო ნათესავთა წრეს (სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი) ანალოგიით არ გამოვიყენებთ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების მიმართ, მივიღებთ სამართლებრივ-მორალურად აუტანელ შედეგს, როდესაც დანაშაულის შედეგად გარდაცვლილ პირს არ ჰყავს არც ერთი ახლო ნათესავი. იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულს შედეგად მოჰყვა დაზარალებულის დაღუპვა, კანონის ანალოგიით გამოყენების გზით დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილ უნდა იქნეს პირი, რომელიც იმყოფებოდა დანაშაულის მსხვერპლთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში და მასთან ერთად ეწეოდა საერთო ოჯახურ მეურნეობას.

### მუხლი 3. ძირითად ტერმინთა განმარტება ამ კოდექსის მიზნებისთვის

1. არასრულწლოვანი – პირი, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია.
2. ახლო ნათესავი – მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).
3. ოჯახის წევრი – მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი ან გერი, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი.
4. კანონიერი წარმომადგენელი – ახლო ნათესავი, მეურვე, მზრუნველი, მხარდაჭერი, რომელიც მონაწილეობს სისხლის სამართლის პროცესში ისეთ შემთხვევაში, როდესაც პროცესის მონაწილე არის არასრულწლოვანი, შეზღუდულქმედუნარიანი, თუ მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაიცვას თავი, აგრეთვე მხარდაჭერის მიმღები, თუ სასამართლოს გადანყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (20.03.2015 №3358 ამოქმედდეს 2015 წლის 1 აპრილიდან).
5. მხარე – ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადოკატი, გამომძიებელი, პროკურორი.
6. ბრალდების მხარე – გამომძიებელი, პროკურორი.
7. დაცვის მხარე – ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადოკატი.
8. მსჯავრდებული – პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.
9. ადოკატი – პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით იცავს ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ინტერესებს და უწევს მათ იურიდიულ დახმარებას.
10. გამოძიება – უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება.
11. დასაბუთებული ვარაუდი – ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებებით სტანდარტი.
- 11<sup>1</sup>. საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები – მტკიცებულებები, რომლებიც დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე (24.07.2014. №2517).
12. ალბათობის მაღალი ხარისხი – წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადანყვეტილების მიღებისას მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტი, რომელიც ეყრდნობა სხდომაზე წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ

მტკიცებულებათა ერთობლიობას და საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისათვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი (14.06.2013. №741).

13. გონივრულ ეჭვს მიღმა – სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

14. განაჩენი – პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას.

15. განჩინება – სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენის და განკარგულების გარდა) ნებისმიერ საკითხზე.

16. დადგენილება – გამომძიებლის, პროკურორის გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე.

17. ლამე – დრო 22 საათიდან 6 საათამდე.

18. საპატიო მიზეზი – სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობა, რაც გამოწვეულია მისი ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით, სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებებით, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროცესზე გამოცხადებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამონმებული დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. წინასწარ ცნობილი საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე შეტყობინება უნდა წარედგინოს სასამართლოს პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ პროცესის დაწყებამდე არა უგვიანეს 48 საათისა. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს გამოუცხადებლობიდან 5 დღეში.

19. ბრალდებული – პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.

20. მონმე – პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მონმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ.

21. ექსპერტი – სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში.

22. დაზარალებული – სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.

23. მტკიცებულება – კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

24. მონმის ჩვენება – მონმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ.

25. ნივთიერი მტკიცებულება – საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარ-

მოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს.

26. გამოძიების ადგილი – საგამოძიებო ორგანოს ადმინისტრაციული შენობის მდებარეობის ადგილი.

27. კომპიუტერული სისტემა – ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი) (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).

28. კომპიუტერული მონაცემი – კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის, პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).

29. მომსახურების მომწოდებელი – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მომხმარებლებს უზრუნველყოფს შესაძლებლობით, ურთიერთობა განახორციელონ კომპიუტერული სისტემის საშუალებით, ასევე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ამუშავებს ან ინახავს კომპიუტერულ მონაცემებს ამგვარი საკომუნიკაციო მომსახურების ან ასეთი მომსახურების მომხმარებელთა სახელით (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).

30. ინტერნეტტრაფიკის მონაცემი – კომუნიკაციებთან დაკავშირებული და კომპიუტერული სისტემის მიერ გენერირებული ნებისმიერი კომპიუტერული მონაცემი, რომელიც კომუნიკაციათა ჯაჭვის ნაწილია, მიუთითებს კომუნიკაციის წყაროს, დანიშნულების ადგილს, მიმართულებას, დროს, თარიღს, ზომას, ხანგრძლივობას, ძირითადი მომსახურების ტიპს (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).

31. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა – ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც გამორიცხავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე სამართალდამცავი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მეშვეობით ობიექტის აქტივაციის შესახებ ბრძანების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას (30.11.2014 №2870).

32. ამ კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილების მქონე შესაბამისი სახელმწიფო ორგანო – ამ კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის მიზნებისათვის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი (08.07.2015 №3955 ამოქმედდეს 2015 წლის 1 აგვისტოდან).

33. ინფორმაციის მოხსნა კავშირგაბმულობის არხიდან – უფლებამოსილი ორგანოს მიერ ელექტრონული კავშირიდან (ელექტრონული ფოსტა), კომპიუტერული ქსელიდან, სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემებიდან გადაცემული, შეკრებილი, დამუშავებული ან დაგროვებული ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით (30.11.2014 №2870)

1. არასრულწლოვანი – პირი, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია.

1. არასრულწლოვანის ქვეშ კანონმდებელი მოიაზრებს როგორც 18 წელს მიუღწეველ ბრალდებულს, ისე დაზარალებულსა და მოწმეს. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს განსაკუთრებულ წესებს არასრულწლოვანი პირების მიმართ საპროცესო ღონისძიებების განხორციელებისას. მაგალითად, გასხვავებული წესით ხორციელდება არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართალწარმოება, არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა.

2. ახლო ნათესავი – მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს ახლო ნათესავთა წრეს (მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა,

- მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული). აღნიშნულ განსაზღვრებას სისხლის სამართლის პროცესში გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა. მაგალითად, ბრალდებულს უფლება აქვს მოახდინოს დაცვის უფლების რეალიზაცია ახლო ნათესავის მეშვეობით, კერძოდ, ამ უკანასკნელის დახმარებით მოიწვიოს ადვოკატი. გარდა ამისა, მხოლოდ ბრალდებულთან ახლო ნათესაურ ურთიერთობაში მყოფ პირებს გააჩნიათ მონაწილის პრივილეგია (იხ. სსსკ-ის 50-ე მუხლის კომენტარი). ზოგ შემთხვევაში საპროცესო იძულების ღონისძიება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ბრალდებულის ახლო ნათესავის მიმართაც. მაგალითად, კანონით დასაშვებია ბრალდებულის ახლო ნათესავის ქონებისათვის ყადაღის დადება. ამიტომ, სავალდებულოა, რომ კანონმა ზუსტად დაადგინოს ასეთი პირების წრე.
3. იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულს შედეგად მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი, სისხლის სამართლის პროცესში მისი უფლებამონაცვლე ხდება ამ უკანასკნელის ახლო ნათესავი. ამასთან, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროცესის მონაწილის ახლო ნათესავის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიება, როდესაც ამ უკანასკნელის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას ემუქრება საფრთხე.
4. ახლო ნათესაური ურთიერთობა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილესთან დაკავშირებულია ასევე სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი პირის აცილების საკითხთანაც. მაგალითად, მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი ან სასამართლო სხდომის მდივანი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ არის ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი.
- 3. ოჯახის წევრი – მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი ან გერი, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი.**
5. განსხვავებით ახლო ნათესავისაგან, შედარებით ვიწროა ოჯახის წევრთა წრე. აღნიშნულ პირებს კანონი მიაკუთვნებს მეუღლეს, არასრულწლოვან შვილს ან გერს და მასთან მუდმივად მცხოვრებ პირს. ზემოაღნიშნული პირების ცალკე განსაზღვრის აუცილებლობა ძირითადად უკავშირდება დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ საერთაშორისო სამართლით ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე ცალკეული საპროცესო მოქმედებების განხორციელების შეზღუდვას. მაგალითად, დაუშვებელია დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე მის ან/და მისი ოჯახის წევრის მიერ დაკავებულ შენობასა და სატრანსპორტო საშუალებაში ამოღება ან ჩხრეკა დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანხმობის ან თხოვნის გარეშე. ასევე, არ შეიძლება დაკავებულ იქნენ დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი და მისი ოჯახის წევრები, თუ ადგილი არ აქვს დანაშაულზე წასწრებას.
- 4. კანონიერი წარმომადგენელი – ახლო ნათესავი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, რომელიც მონაწილეობს სისხლის სამართლის პროცესში ისეთ შემთხვევაში, როდესაც პროცესის მონაწილე არის არასრულწლოვანი, შეზღუდულქმედუნარიანი, თუ მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაიცვას თავი, აგრეთვე მხარდაჭერის მიმღები, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.**
6. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ცალკეულ პირებს აქვთ უფლება გარკვეულ საპროცესო მოქმედებებში მიიღონ მონაწილეობა კანონიერ წარმომადგენელთან ერთად და ასევე ამ უკანასკნელის დახმარებით მოახდინონ კანონით მინიჭებული უფლებების რეალიზაცია. უფრო მეტიც, ზოგიერთი საპროცესო მოქმედება ტარდება კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით (მაგალითად, არასრულწლოვანის დაკითხვა). შესაბამისად, კანონმდებელი ზუსტად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებსაც მიეცემათ სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა.
- 5. მხარე – ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის, მათი ადოკატი, გამომძიებელი, პროკურორი.**

7. თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის პროცესი წარმოადგენს მხარეთა პროცესს. სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესებს პროცესში იცავს ბრალდების მხარე, ხოლო დაცვის მხარედ ბრალდებული და მისი ადვოკატი (ასევე მსჯავრდებული, გამართლებული და მათი ადვოკატი) გვევლინება. მხოლოდ მხარეების კომპეტენციაა მტკიცებულებების მოპოვება, სასამართლოში მათი წარდგენა და გამოკვლევა. მხარეებს შეუძლიათ პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაამთავრონ საქმისწარმოება ბრალდებაზე უარის თქმის ან საპროცესო შეთანხმების გზით. მოსამართლე საქმის არსებითი განხილვისას არ აწარმოებს დამოუკიდებლად სასამართლო გამოძიებას, რადგან მტკიცებულებათა გამოკვლევა მხარეების ამოცანაა. იგი ხელმძღვანელობს სასამართლო პროცესს და ინარჩუნებს ნეიტრალურ პოზიციას. სასამართლო მხარეების მიერ გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

#### **6. ბრალდების მხარე – გამომძიებელი, პროკურორი.**

8. ბრალდების მხარეს წარმოადგენენ: პროკურორი და გამომძიებელი. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე, სისხლის სამართლის საქმეში არის მხოლოდ ერთი მხარე – ბრალდების მხარე. შესაძლოა სისხლის სამართლის საქმეზე საერთოდ არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა და ისე მოხდეს მასზე გამოძიების შეწყვეტა.

9. გამომძიებელი სახელმწიფო თანამდებობის პირია. მისი უმთავრესი ფუნქციაა სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, კერძოდ, დანაშაულის ფაქტისა და მისი ჩამდენი პირის დადგენა. ამ მიზნით იგი ატარებს სისხლის სამართლის საქმეზე ყველა საჭირო საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებას. პროკურორი წარმოადგენს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელს, რომელიც უფლებამოსილია მისცეს მითითებები გამომძიებელს, გააუქმოს გამომძიებლის მიერ მიღებული უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები და საკმარისი მტკიცებულებების არსებობისას მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან არდაწყების შესახებ.

#### **7. დაცვის მხარე – ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი.**

10. პირს ბრალდებულის სტატუსი ენიჭება დაკავებისთანავე ან პროკურორის მიერ შესაბამისი დადგენილებით ბრალდებულად ცნობის შემდეგ. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების შემდეგ კი ბრალდებული იწოდება გამართლებულად, გამამართლებელი განაჩენის მიღების შემთხვევაში, ხოლო მსჯავრდებულად, თუ მის მიმართ გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი.

11. სსსკ დაცვის მხარის ქვეშ მოიაზრებს ბრალდებულს, მსჯავრდებულს, გამართლებულს და მათ ადვოკატს. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-19 ნაწილის თანახმად ბრალდებულია პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. ამ დროს ხდება პირის დაკავება ან პირის ბრალდებულად ცნობა. მსჯავრდებულის ცნება განმარტებულია ასევე მუხლის მე-8 ნაწილში – მსჯავრდებულია პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. გამართლებულის ცნებას პირდაპირ არ განსაზღვრავს სსსკ-ის მე-3 და არც სხვა რომელიმე მუხლი. თუმცა, მოიაზრება, რომ ესაა პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი. სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირი გამართლებულად ითვლება ასევე თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არ შეწვეს უნარი მიიღოს გადაწყვეტილება. როგორც ბრალდებულს, ასევე მსჯავრდებულსა და გამართლებულს აქვს ადვოკატის ყოლის უფლება. თუ მათ ჰყავთ ადვოკატი, ადვოკატი წარმოადგენს დაცვის მხარეს.

12. ამდენად, სსსკ დაცვის მხარეში გულისხმობს როგორც ბრალდებულს, მსჯავრდებულს/ან გამართლებულს, ასევე მათ ადვოკატსაც. თუმცა მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მათი საპროცესო უფლებები განსხვავებულია. ადვოკატი ვერ ისარგებლებს იმ უფლებებით, რაც თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება მხოლოდ ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა/გამართლებულმა ისარგებლოს.

- 8. მსჯავრდებული** – მსჯავრდებული არის პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. გამამტყუნებელი განაჩენი შეიცავს სასამართლოს გადანყევტილებას ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შესახებ. გამამტყუნებელი განაჩენი (ისევე როგორც გამამართლებელი განაჩენი) ძალაში შედის გამოცხადებისთანავე. მსჯავრდებულს აქვს აპელაციის შეტანის უფლება, ხოლო სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დასრულების შემდეგ, საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება. ასევე, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება.
- 9. ადვოკატი** – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან ამოღებულ იქნა ტერმინი „დამცველი“ და მისი ადგილი დაიკავა ადვოკატმა. კოდექსი ადვოკატს განმარტავს როგორც პირს, რომელიც კანონით დადგენილი წესით იცავს ბრალდებულის, მსჯავრდებულისა და გამართლებულის ინტერესებს და უწევს მათ იურიდიულ დახმარებას.
- 13.** სსსკ-ის 41-ე მუხლის თანახმად, ადვოკატს ირჩევს ან იყვანს ბრალდებული ან, მისი ნების გათვალისწინებით, მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. საქმეში მონაწილეობისთვის დასაშვებად ადვოკატი პროცესის მწარმოებელს წარუდგენს ორდერს და ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემულ მოწმობას.
- 14.** ადვოკატისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფის ურთიერთობები რეგულირდება როგორც სსსკ-ის საფუძველზე, ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებითაც, რაც მოცემულია კანონში „ადვოკატთა შესახებ“ (საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“ 2001 წლის 20 მაისი) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი 2006 წლის 15 აპრილი).
- 15.** ადვოკატს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით გაეცნოს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მიიღოს მტკიცებულებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, აგრეთვე ისარგებლოს ბრალდებულის ყველა უფლებით და ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებებით. ადვოკატი ვერ ისარგებლებს იმ უფლებებით, რომლებითაც, თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ ბრალდებულმა ისარგებლოს.
- 10. გამოძიება – უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება.**
- 16.** გამოძიება წარმოადგენს მხარეების მიერ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების პროცესს, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება. შეჯიბრებითი პროცესის და მხარეთა თანასწორობის პირობებში, გამოძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს და მის ადვოკატს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას თანაბარი უფლებამოსილება გააჩნიათ. თითოეული მხარეს (ბრალდების და დაცვის) უფლება აქვს გამოძიება დამოუკიდებლად აწარმოოს – მოიპოვოს და სასამართლოს წარუდგინოს პირის ბრალეულობის დამადასტურებელი და მისი გამამართლებელი მტკიცებულებები. ამ მიზნით მხარეები სარგებლობენ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის, შესაბამისი დანებსებულებიდან მტკიცებულების გამოთხოვის უფლებით.
- 17.** მიუხედავად ამისა, სსსკ-ის 37-ე მუხლი გამოძიებელს გამოძიების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად ჩატარების ვალდებულებას აკისრებს, რაც გარკვეულწილად მის მიერ როგორც პირის ბრალეულობის დამადასტურებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებების მოპოვებას გულისხმობს. გამოძიებელი ვალდებულია სისხლის სამართლის საქმეზე ყველა საჭირო და შემხვედრი საგამოძიებო მოქმედება ჩაატაროს. გამოძიებელი საქმის გამოძიების პროცესში არ უნდა იყოს მიკერძოებული და ორიენტირებული მხოლოდ პირის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებაზე. აღნიშნული გულისხ-

მოხს არა იმას, რომ გამოძიების მთელი ძალისხმევა მიმართული იყოს გამამართლებელი მტკიცებულებების მოპოვებისკენ, არამედ იმას, რომ გამოძიების პროცესში ნამოჭრილი თითოეული ვერსია და ეჭვი, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გზით გადამოწმდეს.

**11. დასაბუთებული ვარაუდი – ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.**

13. დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ყველაზე უფრო დაბალი ხარისხის მტკიცებულებით სტანდარტს, რომელიც გამოიყენება გამოძიების ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე ცალკეული საგამოძიებო მოქმედებათა განსახორციელებლად და სხვა საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოსაყენებლად. აღსანიშნავია, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი არ ითხოვს იმ ხარისხის მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობას, რომელიც საკმარისი იქნებოდა საქმის არსებითი განხილვისას ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის მტკიცებულებების ერთობლიობა აძლევს პროკურორს უფლებას, პირი ცნოს ბრალდებულად, ასევე სასამართლოში დააყენოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების ან ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, რომელიც ზღუდავს პირის კონსტიტუციურ უფლებებს (ჩხრეკა, ამოღება, საბანკო ანგარიშების მონიტორინგი და სხვა).

**11<sup>1</sup>. საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები – მტკიცებულებები, რომლებიც დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე (24.07.2014. №2517).**

14. საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები წარმოადგენს მტკიცებულებათა იმ სტანდარტს, რომელიც დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე.

15. მტკიცებულებათა აღნიშნული სტანდარტი სსსკ-ში 2014 წლის 24 ივლისს განხორციელებული ცვლილების შედეგად დამკვიდრდა. მასში მოიაზრება, როგორც დასაბუთებული ვარაუდის, ისე ალბათობის მაღალი ხარისხის და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტები, საქმის ფაქტობრივი გარემოებების და იმის მიხედვით სისხლის სამართლის პროცესის რომელ სტადიაზე განიხილება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების საკითხი.

**12. ალბათობის მაღალი ხარისხი – წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტი, რომელიც ეყრდნობა სხდომაზე წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას და საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისათვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი (14.06.2013. №741).**

16. ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი გამოიყენება წინასასამართლო სხდომის სტადიაზე. იგი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტთან შედარებით უფრო მაღალი ხარისხის მტკიცებულებითი სტანდარტია და ითხოვს გაცილებით მეტ მტკიცებულებას, რომლითაც საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს წინასასამართლო სხდომის მოსამართლე. აღსანიშნავია, რომ წინასასამართლო სხდომაზე მთავარი აქცენტი გადატანილია ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე. მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ ბრალდებულისთვის



წარდგენილი ბრალდება საფუძვლიანია და იგი იმსახურებს სასამართლოში არსებით განხილვას. სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა. წინააღმდეგ შემთხვევაში წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას.

**13. გონივრულ ეჭვს მიღმა – სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.**

17. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი მტკიცებულებითი სტანდარტის ყველაზე მნიშვნელოვანი და უმაღლესი საფეხურია, ეს არის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. მოცემულ შემთხვევაში მთავარი აქცენტი ეჭვის ხარისხზეა გადატანილი და არა ვარაუდზე. ასევე ამ დროს ყურადღება გადატანილია არა მოსამართლეზე, არამედ „ობიექტურ პირზე“, რომელიც ობიექტური, მიუკერძოებელი, ნეიტრალური დამკვირვებელია.
18. მოცემული მტკიცებულებითი სტანდარტი ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად დამკვირვებელ პირს (ამ შემთხვევაში მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულს) სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების შედეგად ცალკეული ფაქტების არსებობაში, ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდების ჭეშმარიტებაში და ამ უკანასკნელის ბრალეულობაში გონივრული ეჭვის საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ (ე.წ. *In dubio pro reo*-ს პრინციპი).

**14. განაჩენი – პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას.**

19. განაჩენი – ეს არის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლო პირს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას წარდგენილ ბრალდებაში. სასამართლოს განაჩენი შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი. იგი შეიძლება ბრალდების ზოგ ეპიზოდში გამამტყუნებელი იყოს, ხოლო ბრალდების სხვა ეპიზოდში – გამამართლებელი. გამამტყუნებელი განაჩენი შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებას ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შესახებ, ხოლო გამამართლებელი განაჩენი ნიშნავს ბრალდებულისთვის წაყენებული ბრალის დაუდასტურებლობას. განაჩენის გამოტანის უფლება აქვს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს (სასამართლო კოლეგიას); სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას.

**15. განჩინება – სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენის და განკარგულების გარდა) ნებისმიერ საკითხზე.**

20. განჩინება – ეს არის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე, გარდა განაჩენისა და განკარგულებისა. განჩინება ისევე, როგორც სასამართლოს სხვა გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულოებლად. მაგალითად, სასამართლოს განჩინება გამოაქვს აცილების საკითხის გადაწყვეტის დროს, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლისა და გაუქმების თაობაზე და ა.შ.

სასამართლოს კერძო განჩინება გამოაქვს მხოლოდ გაძევებული ბრალმდებლის ან ადვოკატის არასათანადო ქცევის შესახებ, რომელიც ეგზავნება შესაბამისად საქართველოს მთავარ პროკურატურას ან ადვოკატთა გაერთიანებას.

**16. დადგენილება – გამოძიებლის, პროკურორის გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე.**

- 21.** დადგენილება – ეს არის გამოძიებლის ან პროკურორის მიერ გამოტანილი საპროცესო დოკუმენტი, რომლის შედგენა ხდება არა მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, არამედ მაშინაც, როცა ამის აუცილებლობის შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ არის მითითებული. მაგ.: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პირდაპირ არ არის მითითებული არაიდენტიფიცირებული პირის იდენტიფიკაციის შემთხვევაში დადგენილების გამოტანის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, გამოძიებელს/პროკურორს გამოაქვს დადგენილება „პიროვნების დაზუსტების შესახებ“, რომელშიც მითითება დადგენილი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები და გადანყვეტილება მონაცემების დადგენამდე გამოტანილი საპროცესო დოკუმენტების რეალურ საიდენტიფიკაციო მონაცემებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.
- 22.** დადგენილების გამოტანილი პირის განსაზღვრა ხდება იმის მიხედვით, თუ ვის პრეროგატივას წარმოადგენს იმ გადანყვეტილების მიღება, რომელზეც დადგენილების გამოტანა ხდება. მაგ.: დადგენილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, დადგენილება პირის დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ, დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყების შესახებ, დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ, დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, დადგენილება საქართველოს მოქალაქის პასპორტის/ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების გაუქმების შესახებ, დადგენილება გამოძიებლის აცილების საკითხის განხილვის შესახებ, დადგენილება სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების შესახებ, დადგენილება ფარული საგამოძიებო მოქმედების გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარების შესახებ, დადგენილება პროცესის მონაწილის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ შეიძლება გამოიტანოს მხოლოდ პროკურორმა, ვინაიდან ზემოაღნიშნული გადანყვეტილებების მიღების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ პროკურორს. რაც შეეხება სხვა დადგენილებებს, მათი გამოტანა შეუძლია როგორც პროკურორს, ასევე გამოძიებელს (მაგ.: დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, დადგენილება საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედების გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარების შესახებ).
- 23.** სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს ისეთ შემთხვევებს, როცა დადგენილების გამოტანის უფლებამოსილება წარმოადგენს მხოლოდ ზემდგომი პროკურორის პრეროგატივას ან დადგენილების გამოსატანად საჭიროა ზემდგომი პროკურორის, მთავარი პროკურორის, მთავარი პროკურორის მოადგილის ან მთავარი პროკურორის მიერ უფლებამოსილი პირის თანხმობა. მაგ.: პროკურორის აცილების თაობაზე გადანყვეტილებას დადგენილებით იღებს ზემდგომი პროკურორი; პროცესის მონაწილის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებისათვის საჭიროა მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობა; საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან საქმის ამოღებისა და გამოსაძიებლად სხვისთვის გადაცემის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მთავარ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს (უფლებამოსილი პირი განისაზღვრება მთავარი პროკურორის ბრძანებით).

**17. ღამე – დრო 22 საათიდან 6 საათამდე.**

- 24.** სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის ღამის დროდ ითვლება დრო 22 საათიდან 6 საათამდე.
- 25.** ზოგადად, ყველა საგამოძიებო მოქმედება, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს დღის საათებში. საგამოძიებო მოქმედების ღამით ჩატარება დაუშვებელია, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა.

**18. საპატიო მიზეზი – სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობა, რაც გამონვეულია მისი ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით, სხვა განსაკუთრებუ-**

- ლი ობიექტური გარემოებებით, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროცესზე გამოცხადებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დანესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამონმებული დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. წინასწარ ცნობილი საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე შეტყობინება უნდა წარედგინოს სასამართლოს პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ პროცესის დაწყებამდე არა უგვიანეს 48 საათისა. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს გამოუცხადებლობიდან 5 დღეში.
26. როგორც წესი მხარე, ასევე პროცესის სხვა მონაწილე ვალდებულია, რომ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდეს დადგენილ დროს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობა საპატიოდ მიიჩნევა, თუ გამოუცხადებლობა გამონვეულია:
- ავადმყოფობით;
  - ახლო ნათესავის გარდაცვალებით;
  - სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებებით, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროცესზე გამოცხადებას.
27. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დანესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ გაცემული დოკუმენტით, რაც ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ და დამონმებული უნდა იყოს ბეჭდით. დოკუმენტში პირდაპირ უნდა იყოს აღნიშნული სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.
28. ამასთან, წინასწარ ცნობილი საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს შეტყობინება უნდა წარედგინოს პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ პროცესის დაწყებამდე არა უგვიანეს 48 საათისა. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს გამოუცხადებლობიდან 5 დღეში.
- 19. ბრალდებული – პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.**
29. სსსკ-ით ჩამოყალიბებულია ბრალდებულის ერთიანი ცნების დეფინიცია. განსხვავებით ძველი საპროცესო კანონმდებლობისაგან, რომელიც სხვადასხვა სტატუსს ანიჭებდა დაცვის მხარეს სხვადასხვა საპროცესო ეტაპზე. „კანონმდებლის აზრით, ისეთი განსხვავება ეჭვმიტანილს, ბრალდებულს თუ განსასჯელს შორის, რომელიც ეყრდნობოდა მხოლოდ ფორმალურ დადგენილებებს ანდა საქმის საგამოძიებო ორგანოდან სასამართლოში გადასვლას – არსებითი უფლებრივი ცვლილების გარეშე – არ არის გამართლებული, განსაკუთრებით კი მოქმედი საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ერთიანი გამოძიების სისტემაში. შესაბამისად, „ბრალდებულის ერთიან სტატუსს, რომელიც ასევე მოიცავს ეჭვმიტანილისა და განსასჯელის ფორმალურ ნიშნებს, ეძლევა ერთადერთი დატვირთვა, რომელიც შესაძლებელია ჰქონდეს საპროცესო სტატუსს მკაფიოდ განსაზღვრული, უცვლელი და ეფექტური უფლებებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი, რომელიც მას, როგორც პროცესის მხარეს, გააჩნია მთელი პროცესის განმავლობაში. პირი ბრალდებულის სტატუსით და შესაბამისი უფლებებით სარგებლობს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან (ე.ი. მისი დაკავების ან ბრალდებულად ცნობიდან) პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე.“<sup>2</sup>
- 20. მოწმე – პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების**

<sup>2</sup> სახელმძღვანელო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გაძლიერებული ტრენინგისთვის, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა, ABA ROLI, თბ., 2012, 15-16.

**შემდეგ-**

30. მოწმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სასამართლოში, მას შემდეგ, რაც იგი დადებს ფიცს და გაფრთხილებული იქნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე.

**21. ექსპერტი – სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში.**

31. „საპროცესო კოდექსი გვთავაზობს ექსპერტის ცნების ახლებურ გაგებას. კერძოდ, ექსპერტი, განსხვავებით ადრე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობიდან, შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნა, ჩვევები და გამოცდილება მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, ხელობის დარგში ან ნებისმიერ სხვა სფეროში და სისხლის სამართლის საქმეზე მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ.“<sup>3</sup> შესაბამისად, ექსპერტს აღარ მოეთხოვება, რომ ჰქონდეს რაიმე სპეციალური ლიცენზია, გარდა გარკვეული საგამონაკლისო შემთხვევებისა (კონკრეტული სახის ექსპერტიზის ჩატარება გულისხმობს ექსპერტის მიერ შესაბამისი ლიცენზიის ქონას), ან მუშაობდეს რომელიმე საექსპერტო დაწესებულებაში.<sup>4</sup> „გარდა ამისა, ექსპერტის ცნება ასევე მოიცავს სპეციალისტსაც, რომელიც მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში.“<sup>5</sup>

**22. დაზარალებული – სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.**

32. „სსსკ-ის მიხედვით დაზარალებული აღარ წარმოადგენს პროცესის (ბრალდების) მხარეს. დაზარალებულის სტატუსი და უფლებები ახლებურადაა მოწესრიგებული. იგი არის პროცესის მონაწილე. მას გააჩნია სახელმწიფო ბრალდებისაგან ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების ფართო უფლებები, თუმცა, აღარ აქვს ძველი საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მრავალი გასაჩივრებისა და პროცესის მსვლელობაში ჩარევის უფლება. ამასთან, დაზარალებულს შეუძლია ქონებრივი ინტერესების დაცვა სამოქალაქო წესით. სამოქალაქო სარჩელის განხილვა არ არის დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის შედეგზე. ამასთანავე, საპროცესო კოდექსი არ იცნობს სამოქალაქო მოპასუხისა და სამოქალაქო მოსარჩელის ცნებებს.“<sup>6</sup>

**23. მტკიცებულება – სსსკ-ის თანახმად, მტკიცებულება არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზე მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ახორციელებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.**

<sup>3</sup> იქვე, 24.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე, 17-18.

- 33.** მოცემული მუხლი ეხება მტკიცებულების განსაზღვრებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის, ასევე განსაზღვრავს მტკიცების საგანს. ამ მუხლის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მტკიცებულება მხოლოდ სასამართლოსათვის წარდგენილი ინფორმაციაა. მთავარი აქ ის პრინციპია, რომ ამგვარი ინფორმაციის მტკიცებულებად გადაქცევა მხოლოდ სასამართლოში წარდგენის გზით ხდება. პროცესის მონაწილისათვის, ამ შემთხვევაში, არ გააჩნია გადაწყვეტი მნიშვნელობა, მის მიერ ან მისგან მოპოვებული ინფორმაცია ფორმალურად „მტკიცებულებას“ წარმოადგენს თუ არა; მთავარია არის კონკრეტულ საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებული ნორმების მოთხოვნათა შესრულება. სასამართლოში წარდგენის მომენტიდან ინფორმაცია მტკიცებულების სტატუსს ავტომატურად იძენს. თუმცა, მტკიცებულების (ინფორმაციის) მხარის მიერ სასამართლოსათვის წარდგენა, ამ მასალას (ინფორმაციას) ავტომატურად არ აქცევს გასაზიარებელ მტკიცებულებად, რადგან წარდგენის შემდეგ, მტკიცებულებამ უნდა გადალახოს რამდენიმე „ბარიერი“, ანუ მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი), რადგან არც ერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილი).
- 34.** ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეულ ამ „ბარიერს“ (რელევანტურობა, დასაშვებობა, უტყუარობა) თავისი მნიშვნელობა ენიჭება და შესაძლებელია კონკრეტული მტკიცებულება აკმაყოფილებდეს ორ „ბარიერს“, მაგრამ მესამეს გადაულახაობის გამო, იგი არ იქნეს გაზიარებული.
- 24. მონმის ჩვენება არის მონმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ, როგორც წესი, ზეპირი ფორმით (იშვიათად – წერილობითი სახით, ვესტიკულაციით მის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი და ა.შ.).**
- 35.** პოტენციურ მონმეთა წრე განუსაზღვრელია და მისი კანონმდებლობით წინასწარ მკაფიოდ იდენტიფიცირება პრაქტიკულად შეუძლებელი, ვინაიდან ფართოა მონმის ჩვენების საგანი. მონმედ სისხლის სამართალწარმოებაში შესაძლებელია გამოვიდეს ნებისმიერი პირი მისი ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, განათლების, სოციალური სტატუსის და სხვა გარემოებების მიუხედავად, თუ არ არსებობს მონმის სახით პირის მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოებები.
- 36.** მონმედ შეიძლება დაიკითხოს ასევე დაზარალებული, ექსპერტი, საქმისმწარმოებელი გამომძიებელი, პროკურორი, ოპერატიული მუშაკი და ა.შ. შესაბამისად, მონმის ჩვენების საგანი პრაქტიკულად შეუზღუდავია და შეიძლება ეხებოდეს ბრალდებულის პიროვნებას, დაზარალებულის ვინაობას, მის ურთიერთკავშირს საქმეში მონაწილე სხვა მონმებთან, დაზარალებულთან, ცალკეული საპროცესო თუ საგამომძიებო მოქმედების მიმდინარეობას, ბრალდებულის საცხოვრებელ ადგილს, დაზარალებულის ქონებრივ მდგომარეობას, დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანებების ხასიათსა და სიმძიმეს, განხორციელებული საექსპერტო კვლევის შედეგებს და ა.შ.
- 37.** იმ გარემოებების ამომწურავი განსაზღვრა, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, შეუძლებელია. მონმე შეიძლება დაიკითხოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელიც შედის მტკიცების საგანში, ხოლო მისი ჩვენებები შესაძლებელია წარმოადგენდეს როგორც ძირითადი ფაქტის დადგენის, ასევე შუალედური გარემოებების/ფაქტების დადგენის საშუალებას (რაც გამოიყენება სხვა მტკიცებულებათა სარწმუნოების შემოწმების, დადასტურების ან უკუგდებისათვის) როგორც გამამართლებელი, ასევე გამამტყუვნებელი ხასიათის, პირდაპირი ან ირიბი, თავდაპირველი ან ნაწარმოები. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ჩადენილი დანაშაულის გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიღება მონმისგან ყოველთვის გაშუალდებულ ალქმას უკავშირდება, ამიტომ მონმის ჩვენება ამა თუ იმ გარემოების დასამტკიცებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს

მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

**25. ნივთიერი მტკიცებულება** – ნივთიერი მტკიცებულება ზოგადად შეიძლება განიმარტოს როგორც საგნები, რომლებიც ობიექტურად, საკუთარი თვისებების ან/და ასევე სხვა გარემოებებთან მათი კავშირის გამო შეიძლება ემსახურობდეს მტკიცების საგანში შემავალი და საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას. ობიექტურობის ნიშანი არსებითია ნივთიერი მტკიცებულების არსისათვის. ის გულისხმობს, რომ საგანში/საგანზე არსებული ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, ყალიბდება არა სუბიექტური მიზნით – მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა პროცესის მწარმოებელი პირისათვის, არამედ რაიმე სხვა მიზნით ან სულაც ყოველგვარი მიზნის და ადამიანის ნება-სურვილის გარეშე. მაგალითად, ბრალდებულის წერილი, რომლითაც ის დახმარებას სთხოვს პირს მოწმეებზე ზემოქმედებაში, მოპარული ქონების გადამალვაში და ა.შ. ნივთიერი მტკიცებულებაა მისი ობიექტური ხასიათიდან გამომდინარე. ბრალდებულის მიზანი არ იყო აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გამხდარიყო პროცესის მწარმოებელი პირისათვის. პირიქით, მისი მიზანი იყო თავად ამ წერილისა და მისი შინაარსს დამალვა. ანალოგიურად, დანაშაულის იარაღი კვალს, როგორც წესი, ინახავს არა იმიტომ. რომ დამნაშავე პირს სურდა კვალის დატოვება (თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არც ეს არის გამორიცხული) არამედ იმიტომ, რომ ასეთია ობიექტური ვითარება საგნების ფიზიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე. ფული, ძვირფასეულობა, ქონება შეიძლება ნივთ-მტკიცება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება მათი ობიექტური კავშირი დანაშაულთან (მაგალითად, იყოს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული, წარმოადგენდეს დანაშაულის ჩადენის იარაღს ან საშუალებას, დანაშაულის საგანს და ა.შ.). მაგალითად, ბრალდებულის ბინის სამალავში ფულის აღმოჩენა აღნიშნულ ფულის ერთეულებს სძენს ნივთიერი მტკიცებულების მნიშვნელობას; პირის მიერ თვითმკვლელობამდე დაწერილი და შემთხვევის ადგილას დატოვებული წერილი ამ წერილს სძენს არა დოკუმენტის, არამედ ნივთიერი მტკიცებულების სტატუსს და ა.შ. იმავდროულად თავად საგნები/ ნივთიერი მტკიცებულებები შესაძლებელია არც შეიცავდეს უშუალოდ საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. მთავარია მათი კავშირი თანმხლებ მტკიცებულებით ფაქტებთან. იმ მტკიცებულებითი ფაქტების შესახებ ინფორმაციის არარსებობა, რაც უკავშირდება სხვა საგნების წარმოშობას, ადგილმდებარეობას, ფუნქციას ან საგნის გამოყენებას, აკარგვინებს მათ ნივთიერი მტკიცებულების მნიშვნელობას. ამიტომ საგანი, რომლის წარმოშობა უცნობია (მაგალითად, ბრალდებულის თითის ანაბეჭდებიანი დანა, რომელიც გამოძიებულს უცნობმა ადამიანებმა ანონიმურად მიანოდეს), ვერ ჩაითვლება ნივთიერი მტკიცებულებად, თუ არ დადგინდება მისი წინარე ისტორია. ასევე დაუშვებელია ე.წ. ანალოგი-საგნების გამოყენება ნივთიერი მტკიცებულებად (მაგალითად, აღმოჩენილი მკვლელობის იარაღის დანის მაგივრად ექსპერტიზაზე იმავე ტიპის დანის/ ანალოგის გაგზავნა). მიუხედავად იმისა, რომ ანალოგ-საგნის წარმომავლობა ცნობილია, ის არ არის დაკავშირებული გამოძიების ძირითად საგანთან და შესაბამისად, არ არსებობს მტკიცებითი ფაქტი.

- 38.** ნივთიერი მტკიცებულებას მიეკუთვნება: 1) დანაშაულის ჩადენის იარაღი – ნებისმიერი მატერიალური ობიექტი, რომელიც სპეციალურად დამზადებული/გადაკეთებული/ შემთხვევის ადგილას შემთხვევით ნაპოვნია და რომელიც გამოყენებული იყო დანაშაულის მოსამზადებლად, ჩასადენად ან დანაშაულის კვალის დასაფარად (მაგალითად, ნიჩაბი, რომელიც გამოყენებულ იქნა დაზარალებულის გვამის დასამარხად; ცეცხლსასროლი იარაღი, რომლიდანაც განხორციელდა გასროლა დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანების/ მოკვლის მიზნით; ყალბი დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა სხვისი ქონების მისაკუთრება/გადმოფორმება – მაგალითად ყალბი მინდობილობის საფუძველზე საკუთრების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში; ქრთამის სახით გადაცემული ნივთი; სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოყენებულ იქნა ნაძარცვის გადასატანად/დაზარალებულის გვამის ტრანსპორტირებისთვის/რომელიც იქნა გატაცებული და სხვა. მაგრამ

- სატრანსპორტო საშუალების ავტოფარეხიდან ქურდობის ფაქტზე/ ან ნაძარცვის ავტოფარეხში შენახვის/რეალიზაციის შემთხვევაში ავტოფარეხი არ არის ნივთიერი მტკიცებულება; 2) საგნების, რომლებმაც შეინარჩუნეს მათზე აღბეჭდილი დანაშაულის კვალი – მაგალითად, თითის ანაბეჭდი, საბურავების პროტექტორების კვალი, და სხვა. კვალის მეშვეობით შესაძლებელია მოგვიანებით იმ ნივთის/საგნის მახასიათებლების განსაზღვრა, რომელმაც დატოვა აღნიშნული კვალი; 3) დანაშაულის საგანი – დანაშაულებრივი ხელყოფის უშუალო ობიექტი. მაგალითად, მოპარული ნივთი, გატაცებული მანქანა; 4) დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონება – ფასიანი ქალაქდები, ფული, ძვირფასი ლითონი, უძრავი ქონება, ცალკეული ნივთები და სხვა, რაც დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების გზით აღმოჩნდა ბრალდებულის მფლობელობაში/საკუთრებაში; ასევე ნებისმიერი ქონება, რომელიც კანონიერად იქნა შექმნილი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით. ამ ქონების მტკიცებულებითი მნიშვნელობა ნაწარმოებია და გარკვეულწილად ჰგავს ასლის/ანაბეჭდის მტკიცებულებით მნიშვნელობას; 5) დანაშაულებრივი ქმედების „პროდუქტი“ – მაგალითად, ფალსიფიცირებული საქონელი.
39. ნივთიერი მტკიცებულების ჩამონათვალი სანიმუშოა და მას შესაძლებელია მიეკუთვნებოდეს ნებისმიერი საგანი/ნივთიერება/კვალი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. ამასთან, ნივთიერ მტკიცებულებას აღნიშნული საგნები წარმოადგენს იმ შემთხვევაში თუ მათი არსი და დანიშნულება გასაგებია ყოფითი აღქმისათვის, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სასამართლოში საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად და რომელთა გადაცემა შესაძლებელია ხელიდან ხელში (რომელთა ფიზიკური დათვალიერებაა შესაძლებელი. მაგალითად, თითის ანაბეჭდი, რომელიც გადატანილია შესაბამის ლენტზე, დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული სამზარეულოს დანა, დაზარალებულის სისხლიანი პერანგი, აუდიო/ვიდეო ჩანაწერი და სხვა).
40. ნივთიერ მტკიცებულებას წარმოადგენს ასევე სულიერი ცხოველი/არსება, რომელიც წარმოადგენდა დანაშაულის ჩადენის საგანს ან გამოყენებული იყო დანაშაულის ჩასადენად (მაგალითად, შინაური პირუტყვის ქურდობის შემთხვევაში, სხვისი ქონების (მსხვილფეხა პირუტყვის) განზრახ განადგურებისას და სხვა), თუმცა აღნიშნულის სხდომის დარბაზში წარდგენა დათვალიერებისათვის არ დაიშვება.
41. ნივთიერ მტკიცებულებას არ წარმოადგენს მატერიალური სამყაროს ნივთები/საგნები, რომელთა აღქმა პროცესის მონაწილეების გრძნობის ორგანოების მიერ შეუძლებელია. მაგალითად, ნანონაწილაკები/მიკრონაწილაკები, რომელთა დათვალიერება შესაძლებელია მხოლოდ მიკროსკოპის მეშვეობით და საჭიროებს სპეციალურ ცოდნას. მაგრამ ნივთიერ მტკიცებულებას წარმოადგენს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული შალითა, რომელზეც საექსპერტო კვლევის შედეგად აღმოჩენილი იქნება აღნიშნული ნანონაწილაკები, თუ ეს მიუთითებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებაზე (მაგალითად, რომ ბრალდებული იქ იყო).
- 26. გამოძიების ადგილი – საგამოძიებო ორგანოს ადმინისტრაციული შენობის მდებარეობის ადგილი.**
42. გამოძიების ადგილი არის საგამოძიებო ორგანოს ადმინისტრაციული შენობის მდებარეობის ადგილი. მაგ.: თუ სისხლის სამართლის საქმეს იძიებს ქ. თბილისის პროკურატურა, გამოძიების ადგილი არის ქ. თბილისის პროკურატურის შენობის მდებარეობის ადგილი. როგორც წესი, გამოძიების ადგილზე წარმოებს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება (მაგ.: მოწმეთა დაკითხვა, ამოცნობა, საპროცესო დოკუმენტების შედგენა), გარდა იმ შემთხვევისა, როცა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარება გამოძიების ადგილზე შეუძლებელია (მაგ.: ბინის ჩხრეკა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, მძიმედ ავადმყოფი მოწმის დაკითხვა).
43. გამოძიების ადგილის მიხედვით ხდება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენა, საპროცესო შეთანხმებით სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში წარმართვა, საგა-

- მოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვა, ზემდგომი პროკურორის მიერ დაზარალებულად ცნობის შესახებ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის გასაჩივრება, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების გასაჩივრება.
- 27. კომპიუტერული სისტემა – ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მონყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი). (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).**
44. კომპიუტერული სისტემა არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს. კომპიუტერულ სისტემას მიეკუთვნება: პერსონალური კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, ნებისმიერი მონყობილობა მიკროპროცესორით (მიკროპროცესორი არის ინფორმაციის დამუშავების პროგრამულად მართული მონყობილობა, რომლის დანიშნულებაა ინფორმაციის მიღება, დამუშავება და გადაცემა, ასევე კომპიუტერში მიმდინარე პროცესების კონტროლი).
- 28. კომპიუტერული მონაცემი – კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას.**
45. კომპიუტერული მონაცემი არის კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის, პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას.
- 29. მომსახურების მომწოდებელი – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მომხმარებლებს უზრუნველყოფს შესაძლებლობით, ურთიერთობა განახორციელონ კომპიუტერული სისტემის საშუალებით, ასევე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ამუშავებს ან ინახავს კომპიუტერულ მონაცემებს ამგვარი საკომუნიკაციო მომსახურების ან ასეთი მომსახურების მომხმარებელთა სახელით.**
46. ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მომხმარებლებს უზრუნველყოფს შესაძლებლობით ურთიერთობა განახორციელონ კომპიუტერული სისტემის (მაგ.: კომპიუტერის, მობილურის ტელეფონის) საშუალებით, ასევე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ამუშავებს ან ინახავს კომპიუტერულ მონაცემებს ამგვარი საკომუნიკაციო ან ასეთი მომსახურების მომხმარებელთა სახელით.
47. მომსახურების მიმწოდებელია, მაგ.: სატელეკომუნიკაციო კომპანია („სილქნეტი“, „კავკასუს ონლაინი“, „ჯეოსელი“, „მაგთი“, „ბილაინი“), საბანკო დაწესებულება.
- 30. ინტერნეტტრაფიკის მონაცემი – კომუნიკაციებთან დაკავშირებული და კომპიუტერული სისტემის მიერ გენერირებული ნებისმიერი კომპიუტერული მონაცემი, რომელიც კომუნიკაციათა ჯაჭვის ნაწილია, მიუთითებს კომუნიკაციის წყაროს, დანიშნულების ადგილს, მიმართულებას, დროს, თარიღს, ზომას, ხანგრძლივობას, ძირითადი მომსახურების ტიპს (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).**
48. ინტერნეტტრაფიკის მონაცემი არის კომუნიკაციებთან დაკავშირებული და კომპიუტერული სისტემის მიერ გენერირებული ნებისმიერი კომპიუტერული მონაცემი, რომელიც კომუნიკაციათა ჯაჭვის ნაწილია, მიუთითებს კომუნიკაციის წყაროს, დანიშნულების ადგილს, მიმართულებას, დროს, თარიღს, ზომას, ხანგრძლივობას, ძირითადი მომსახურების ტიპს.
49. ინტერნეტტრაფიკის მონაცემი არ გულისხმობს კომუნიკაციის შინაარსს. ინტერნეტტრაფიკის მონაცემი არის მხოლოდ ინტერნეტით განხორციელებული პროცესის თაობაზე ინფორმაცია. მაგ.: პირი სარგებლობს ელექტრონული ფოსტით. ინტერნეტტრაფიკის მონაცემია, ინფორმაცია იმის შესახებ: ვის შორის, რა ინტენსივობით, რა დროს, რომელი



- ადგილებიდან, ვისი მხრიდან განხორციელდა კომუნიკაცია, რა მოცულობის ფაილები გადმოიტვირთა/გადმოიგზავნა და ა.შ.
- 31. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა – ტექნიკურ და პროგრამულ გადანყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც გამოირიცხავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე სამართალდამცავი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მეშვეობით ობიექტის აქტივაციის შესახებ ბრძანების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას (30.11.2014 №2870).**
50. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა – ტექნიკურ და პროგრამულ გადანყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც გამოირიცხავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე სამართალდამცავი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მეშვეობით ობიექტის აქტივაციის შესახებ ბრძანების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას.
- 32. ამ კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების უფლებამოსილების მქონე შესაბამისი სახელმწიფო ორგანო – ამ კოდექსის 143<sup>4</sup> მუხლის მიზნებისათვის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი (08.07.2015 №3955 ამოქმედდეს 2015 წლის 1 აგვისტოდან).**
51. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ (სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩანერა) და „ბ“ ქვეპუნქტებით (ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან, კომპიუტერული სისტემიდან) გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი.
52. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არის საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დანესებულებათა სისტემა, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვას.
53. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფია ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება.
- 33. ინფორმაციის მოხსნა კავშირგაბმულობის არხიდან – უფლებამოსილი ორგანოს მიერ ელექტრონული კავშირიდან (ელექტრონული ფოსტა), კომპიუტერული ქსელიდან, სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემებიდან გადაცემული, შეკრებილი, დამუშავებული ან დაგროვებული ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით (30.11.2014 №2870).**
54. ინფორმაციის მოხსნა კავშირგაბმულობის არხიდან – უფლებამოსილი ორგანოს მიერ ელექტრონული კავშირიდან (ელექტრონული ფოსტა), კომპიუტერული ქსელიდან, სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემებიდან გადაცემული, შეკრებილი, დამუშავებული ან დაგროვებული ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.

## თავი II სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები

### მუხლი 4. პიროვნების ღირსების ხელშეუვალობა

1. მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეები ვალდებული არიან სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე დაიცვან პროცესის მონაწილეთა ღირსება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

2. დაუშვებელია ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუების, სამედიცინო ჩარევის, ჰიპნოზის, ასევე სხვა ისეთი ღონისძიებების გამოყენებით, რომლებიც ზემოქმედებს ადამიანის მეხსიერებაზე ან აზროვნებაზე. აგრეთვე დაუშვებელია მუქარა ან ისეთი შელავათების დაპირება, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული.

3. სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში იძულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

1. **ნორმის მიზანი:** სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილე პირის პატივისა და ღირსების დაცვა, ჯეროვანი სამართალწარმოების უზრუნველყოფა.
2. აღნიშნული უფლება გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით, გაეროს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული კონვენციის მე-2 მუხლით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველი და მე-5 მუხლებით, ევროპული კონვენციის მე-3 და მე-15 მუხლებით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 და მე-10 მუხლებით, ევროპის საბჭოს 1987 წლის წამების საწინააღმდეგო კონვენციით, გაეროს პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების, სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა გაეროს ქცევის კოდექსის მე-5 მუხლით, ძირითადი უფლებების შესახებ ევროპის კავშირის ქარტიით (2000/C 364/01) , ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-5 მუხლით.
3. ღირსება: ღირსების ხელშეუვალობა საერთაშორისო-სამართლებრივი და დარგთაშორისი ხასიათის უნივერსალური პრინციპია, რომლის მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ სისხლის სამართალწარმოებით.
4. მე-4 მუხლი მიმართულია სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე ყველა პირის (ბრალდებულის, მოწმის, ექსპერტის, დაზარალებულის და ა.შ.) უფლებების დასაცავად, რომ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში პროცესის მონაწილე გამოდიოდეს როგორც თანასწორუფლებიანი სუბიექტი და არა როგორც ობიექტი.
5. არ არსებობს „ადამიანის ღირსების“ საყოველთაოდ აღიარებული განმარტება. პიროვნების ღირსება უკავშირდება ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და სულიერი იდენტობის პატივისცემას, პიროვნების შეფასებას სხვათა მიერ (გარშემომყოფები, საზოგადოება) და არა მის ობიექტურად არსებულ პირად თვისებებს ან თვითშეფასებას. ღირსება ადამიანის, როგორც გონიერი, თავისუფალი ნების და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა, ემყარება ადამიანის, როგორც უმთავრესი ღირებულების აღიარებას და გააჩნია ყველა ადამიანს განურჩევლად მისი წარმოშობისა, სქესისა, რასისა, ქონებრივი, სოციალური თუ ჯანმრთელობის (ფიზიკური ნაკლი, სულიერი ავადმყოფობა) მდგომარეობისა, პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვა შეხედულებისა. მათ შორის გარდაცვლილ ადამიანს და ემბრიონს. იურიდიულ პირს ღირსების ნაცვლად გააჩნია რეპუტაცია.
6. ღირსება აბსოლუტური და წარუვალაი კატეგორიაა. დაუშვებელია მისი შეზღუდვა/ჩამორთმევა და არ შეიძლება მისი დაკარგვა ან ადამიანის მიერ მასზე უარის თქმა.

7. პატივი – პირის რეპუტაცია, მორალური თვისებები და პრინციპები, რომლებიც საზოგადოების მხრიდან პატივისცემას იმსახურებს. პატივი ილახება იმით, რომ გარკვეული გარემოებების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია შეარყიოს პირის იმიჯი, მოახდინოს მისი დისკრედიტირება, ხელმისაწვდომი ხდება პირთა მეტ-ნაკლებად ფართო წრისათვის.
8. აღნიშნული ნორმა კრძალავს პირის რეპუტაციის და თვითშეფასების მხოლოდ უკანონოდ შეზღუდვას. შესაბამისად, უკანონოდ ითვლება და იკრძალება საქმისწარმოების პროცესში მუქარის, იძულების და ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც ხელყოფს პირის უნარს მიიღოს თავისუფალი და გაცნობიერებული გადაწყვეტილება. აქ ასევე იგულისხმება, ბრალდებულის მიმართ დაკავების ან/და დაპატიმრების გამოყენება ჩვენების მიცემის იძულების მიზნით, დაკითხვის წარმოება გაუმართლებლად დიდი ხნის განმავლობაში, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის დაკითხვა ანდა პირის დაკითხვა ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მას არ გააჩნია ადეკვატური უნარი საკუთარი პოზიციის დასაცავად, დაკითხვის პროცესში სიტყვიერი შერაცხყოფის, უცენზური გამოხატვამების გამოყენება ან/და შემწყნარებლობა და სხვა.
9. როგორი მძიმეც არ უნდა იყოს პირისათვის შერაცხული დანაშაული და როგორ უარყოფით დამოკიდებულებასაც საზოგადოება არ უნდა ავლენდეს პროაქტიულად ბრალდებულის მიმართ, დამამცირებელი, დამაკნინებელი, ამპარტავანი და განრისხებული დამოკიდებულება მის მიმართ, მისი დევნა ან მისდამი როგორც საგნისადმი მოპყრობა სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე არ დაიშვება.
10. მე-4 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევას ადგილი აქვს სასამართლო პროცესზე ხელბორკილის, ან გისოსების/გალიის გამოყენებისას,<sup>7</sup> როდესაც ბრალდებული არ წარმოადგენს განსაკუთრებით საშიშ პირს, არ არსებობს კონკრეტული და იდენტიფიცირებული საფრთხე, მაგალითად, მიმალვის, ძალადობის, სხვათა დაზიანების და ა.შ. სასამართლოს მიერ ბრალდებულების პიროვნებასთან დაკავშირებული საფრთხეების ადეკვატურად შესწავლა-შეფასების გარეშე სასამართლო სხდომის დარბაზში ბრალდებულების საბრალდებო სკამზე ხელბორკილით, გისოსებს მიღმა ან შუშით შემოღობილ სივრცეში მოთავსება ხელს უწყობს დამნაშავეებად მათ აღქმას, ლახავს მათ ღირსებას, ხელს უშლის დაცვის უფლების (ადვოკატთან კომუნიკაციის/რჩევის ოპერატიულად მიღება) რეალიზაციას. შესაბამისად, სასამართლომ წინასწარ უნდა შეაფასოს თითოეული ბრალდებულის მხრიდან კონკრეტული და იდენტიფიცირებადი საფრთხის რეალურობა და ინტენსივობა და აღნიშნულის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული ბრალდებულის (და არა ყველა თანამონაწილის) იზოლირებულ სივრცეში მოთავსების შესახებ.
11. ღირსების დაცვის ვალდებულება ეკისრება სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილე ყველა პირს უკლებლივ მათი საპროცესო-სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად – როგორც პროცესის მწარმოებელ პირს/ორგანოს, ასევე ბრალდებულს, ადვოკატს, დაზარალებულს, მონემს, თარჯიმანს, ექსპერტს და სხვა. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება სასამართლოს, რომელიც პროაქტიულად უნდა იცავდეს პროცესის ნებისმიერი მონაწილის ღირსებასა და პატივს, რისთვისაც შეუძლია გამოიყენოს, მაგალითად, დაცვის სპეციალური ღონისძიებები, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისათვის სსსკ გათვალისწინებული საშუალებები, მონემის დაკითხვა ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან გაყვანის პირობებში და სხვა.
12. ღირსების დაცვის ვალდებულება არ უკავშირდება სამართალწარმოების საჯაროობას. ღირსების დაცვის ვალდებულება არსებობს მათ შორის დახურულ სასამართლო პროცესზე, გამოძიების ორგანოში დაკითხვისას თუ სხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების წარმოებისას, რომელიც ხორციელდება უცხო პირების მონაწილეობის გარეშე.

<sup>7</sup> Piruzyan v Armenia, ECtHR, 26/06/2012, §74; Svinarenko and Slyadnev v Russia, ECtHR, 17/07/2014, §§137-138; Ramishvili and Kokhreidze v Georgia, ECtHR, 27/01/2009, §100-101; Mikheil Pustovoi v Ukraine, UN HRC №14/05/2005 §9.2; 9.3; 10.

13. პირის პატივისა და ღირსების დამცირებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას არ წარმოადგენს პირის იძულებითი მოთავსება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სამედიცინო მკურნალობისათვის; მტკიცებულების მოპოვების მიზნით ანატომიური ან/და ბიოლოგიური ნიმუშების აღება, როდესაც დადასტურებულია აღნიშნულის აუცილებლობა; გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, რაც გარკვეულწილად უარყოფით გავლენას ახდენს მსჯავრდებულის პატივსა და ღირსებაზეც და სხვა.
14. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა<sup>8</sup>: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ინდივიდის ავტონომიურობის, დამოუკიდებელი განვითარების, მისი ღირსების დაცვის წინაპირობაა.<sup>9</sup>
15. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა გულისხმობს „ინდივიდის შესაძლებლობას საკუთარი შეხედულებისამებრ წარმართოს თავისი კერძო ცხოვრება და იყოს დაცული მის კერძო სფეროში სახელმწიფოს და სხვა პირების ჩარევისგან. იცავს ადამიანის არჩევანს იარსების გარე სამყაროსგან დამოუკიდებლად, იყოს მარტო, ასევე თავისუფლად გადაწყვიტოს რა პირობებში და მოცულობით ექნება ურთიერთობა საზოგადოების სხვა წევრებთან“<sup>10</sup> თავად განსაზღვროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ფარგლები, დრო, ინტენსივობა, ფორმები.
16. პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს ინდივიდის ცხოვრების ინტიმურ, კერძო და სოციალურ სფეროებს. მიუხედავად იმისა, რომ ინტიმურ სფეროს მიკუთვნებული საკითხები, როგორც წესი, დაცვის უფრო მაღალი სტანდარტით სარგებლობს და შეზღუდვის კანონიერება ექვემდებარება ე.წ. მკაცრი ტესტ შემოწმებას, საქართველოს სისხლის საპროცესო კანონმდებლობა ამ ინფორმაციას არ მიაკუთვნებს აბსოლუტურად დაცულ უფლებათა სფეროს; არ ითვალისწინებს განსხვავებულ მიდგომებს პირად ცხოვრებაში შემავალი ინფორმაციის დაცვის ხარისხის თვალსაზრისით აღნიშნული დაყოფის შესაბამისად.
17. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას. კანონმდებლობა კრძალავს მხოლოდ თვითნებურ და უკანონო შეზღუდვას პროცესის ნებისმიერი მონაწილის, მათ შორის დაცვის მხარის, დაზარალებულის თუ მოწმის მხრიდან და ითვალისწინებს საპროცესო გარანტიას მის დასაცავად: უფლების შეზღუდვის განსაკუთრებული წესის დადგენის და აღნიშნული წესის დარღვევით მოპოვებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად აღიარების სახით; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების გზით.
18. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ეხება პირადი ხასიათის ინფორმაციის და პერსონალური მონაცემების შენახვის/დამალვის შესაძლებლობას სხვებისგან, ხოლო კონფიდენციალურობა – იმ უწყების საქმიანობას, რომელმაც შეაგროვა აღნიშნული მონაცემები სხვა პირებისგან (ფიზიკური და იურიდიული პირებისგან) – რისთვის, როგორ, რა მოცულობით და რამდენი ხნის განმავლობაში დაიშვება პერსონალური ინფორმაციის შეგროვება-გამოყენება.
19. სსსკ მუხლი 4. 3. ითვალისწინებს იძულების გამოყენების აკრძალვას. იძულების ცნება (მოცემულია სსკ 150-ე (მუქარა – 151-ე მუხლი) მუხლში და გულისხმობს ფიზიკურ და ფსიქიკურ იძულებას. სუბიექტი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი პირი – როგორც პროცესის მწარმოებელი ორგანო/თანამდებობის პირი, მისი უშუალო ხელმძღვანელი ან ზემდგომი, ასევე ნებისმიერი გარეშე პირი (მაგალითად, ბრალდებული/დაზარალებული, მათი ახლობელი).
20. „ფსიქიკური იძულება შეიძლება გამოიხატოს მუქარაში, ხოლო ამ დანაშაულის შემადგენლობა სახეზეა, თუ პირს აიძულებენ, შეასრულოს ან არ შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომლის განხორციელება ან მისგან თავის შეკავება მისი უფლებათა და კანონით მისი გადა-

<sup>8</sup> იხ., ასევე სსსკ მე-7 მუხლის კომენტარი.

<sup>9</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 10/06/2009 წლის განჩინება №458, II-4.

<sup>10</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 29/02/2012 წლის გადაწყვეტილება №484, II-2.

- სანყვეტია ამ მოქმედებას განახორციელებს თუ არა. ამდენად, ქმედების ამ დანაშაულად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, რომ შეზღუდვა იყოს უკანონო, ხოლო ქმედება – მსხვერპლის ნება-სურვილის სანინააღმდეგო.<sup>11</sup> შეიძლება გამოიხატოს ან კონკრეტული ქმედების განხორციელების მუქარაში ან კონკრეტული ქმედების განხორციელებით პირის ნება-სურვილზე ზემოქმედებაში. მაგალითად, პირის ან მისი ახლობლის მიმართ ფიზიკური ძალადობის, გაუპატიურების, ქონების განადგურების, მის მიმართ ცრუ დასმენის განხორციელების ან სახელგამტეხი ცნობების გახმაურების, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიწოდების, სამსახურიდან გათავისუფლების, ალკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების ან პატიმრობის ვადის გაგრძელების მუქარაში; პირის მიმართ განრიდების/ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გამოყენებაზე უარის თქმის მუქარაში; პირის ან მისი ახლობლების მძევლად აყვანაში ან მათ დაკავებაში<sup>12</sup> და ა.შ.
21. ფიზიკური იძულება გულისხმობს პირის ნების სანინააღმდეგოდ გარკვეული შედეგის მიღწევის მიზნით მისი ან მისი ახლობლების მიმართ ცემის ან/და ფიზიკური ძალდატანების სხვა მეთოდების გამოყენებას, რომელიც არ აღწევს წამების ან არაადამიანური მოპყრობისათვის დამახასიათებელი სისასტიკის ინტენსივობას.
  22. ვინაიდან იძულება შეიძლება გამოყენებული იყოს პროცესის ნებისმიერი მონაწილის მიმართ, მისი გამოყენების მიზანიც შეიძლება განსხვავებული იყოს. მაგალითად, მოწმის/ დაზარალებულის იძულება შეცვალოს ჩვენების შინაარსი, მისცეს ჩვენება ან თავი შეიკავოს ჩვენების მიცემისგან; ბრალდებულის იძულება უარი თქვას დამცველის დახმარებაზე ან აღიაროს წაყენებული ბრალი, ითანამშრომლოს გამოძიების ორგანოსთან; ბრალდების მხარის მიმართ განხორციელებული იძულება, არ გამოიყენოს ბრალდებულის მიმართ განრიდება; ალკვეთის ღონისძიებად მოითხოვოს პატიმრობის გამოყენება, დამალოს/გაანადგუროს საქმეში არსებული მტკიცებულებები, შეცვალოს ბრალდების ფორმულირება და სხვა.
  23. მე-4 მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში იძულების გამოყენების შესაძლებლობას (მაგალითად, დაკავება, დაპატიმრება; საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევაში სხდომის დარბაზიდან გაძევება; მოშიმშილე პატიმრის იძულებითი კვება მისი სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით; იძულებითი მიყვანა; პირის იძულებითი მოთავსება სამედიცინო დაწესებულებაში და სხვა.), თუ აღნიშნული სახის იძულების ღონისძიება: 1. გათვალისწინებულია კანონით; 2. საპროცესო ფორმის და განხორციელების წესის მიხედვით შეესაბამება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია თანაზომიერების, აუცილებლობის, მინიმუმაციის პრინციპები.
  24. სსსკ ითვალისწინებს საპროცესო იძულების ღონისძიებებს, რომელთა ნაწილი ზღუდავს პირის თავისუფლების უფლებას (მაგალითად, სსსკ 205-ე მუხლი, 171-ე მუხლი), ნაწილი – საკუთრების (მაგალითად, ქონებაზე ყადაღის დადება), პირადი ცხოვრების (მაგალითად, მუხლი 136-138), კომუნიკაციის ხელშეუხებლობას (მაგალითად, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8-8<sup>3</sup> მუხლები) და სხვა.
  25. სსსკ არ გამორიცხავს ფიზიკური იძულების გამოყენების შესაძლებლობას სამართალწარმოებაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადით. დაუშვებელია გადამეტებული ძალის გამოყენება (მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება. გამონაკლისია შეიარაღებული წინააღმდეგობის შემთხვევები), უკანონო ბრძანების შესრულება (მაგალითად, ხელმძღვანელი პირის მითითება პატიმრის წამების შესახებ მისგან აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით), საპროცესო უფლებამოსილების თვითნებურად ან უკანონოდ გამოყენება და სხვა.

<sup>11</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი საქმეზე №202 აპ-13.

<sup>12</sup> იბ., Nikolaishvili v Georgia, ECtHR, 13/01/2009.

26. მე-2 ნაწილი აკრძალვის საფუძვლად ითვალისწინებს ნებისმიერი პირის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედებას მისი განხორციელების ხერხის მიუხედავად. ჩამონათვალი სანიშნოა და გულისხმობს ყველა ღონისძიებას, რომელსაც ობიექტურად შეუძლია ზემოქმედება ადამიანის მესხიერებაზე ან აზროვნებაზე, იმისდა მიუხედავად, გამოიწვია თუ არა ასეთი შედეგი. მაგალითად, სამედიცინო ჩარევა – როგორც ტკივილის განზრახ მიყენების, ასევე, მაგალითად, ნარკოტიკული და ძლიერმოქმედი ფსიქოტროპული ნივთიერების გამოყენება წინააღმდეგობის განევის უნარის დაქვეითების მიზნით; საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას ქირურგიული ან სამედიცინო გამოკვლევის ისეთი მეთოდების/საშუალებების გამოყენება, რომლებიც იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას ან სამედიცინო ცდების წარმოება პირზე გარკვეული მოვლენების შესახებ ინფორმაციის იძულების წესით მოპოვების ან დაზინყების, მესხიერების დამახინჯების ან აზროვნების უნარის დაქვეითების მიზნით; პირის მიმართ დაკავების ან პრევენციული პატიმრობის გამოყენებით მუქარა, თუ ის უარს იტყვის ჩვენების მიცემაზე; დაკითხვის განხორციელება ისეთი ხანგრძლივობით და დასაკითხი პირის ჯანმრთელობის (ფიზიკური მდგომარეობის) ისეთ პირობებში, რაც მას უსპობს საკუთარი პოზიციის ადეკვატურად დაცვის საშუალებას ან შეურაცხყოფელ ვითარებაში და სხვა.
27. ისეთი შეღავათის დაპირება, რომელიც კანონით არ არის გათვალისწინებული, შეიძლება უკავშირდებოდეს, როგორც: 1. სამართალწარმოების პროცესს უშუალოდ – მაგალითად, ბრალდების მხარის დაპირება, რომ საპროცესო შეთანხმება არ გამოიწვევს ნასამართლეობას; გამომძიებლის დაპირება ბრალდების ფორმულირების შეცვლაზე ან ბრალის ნაწილობრივ მოხსნაზე და სხვა; 2. დაპირება, რომელიც იმავდროულად ითვალისწინებს გარკვეულ შეღავათებს სამართალწარმოების მიღმაც – მაგალითად, ჩვენების მიცემის სანაცვლოდ კერძო სექტორში დასაქმება, დაზარალებულის მიერ ჩვენების შეცვლის შემთხვევაში სახელმწიფოს წინაშე მისი ფინანსური ვალდებულებების ჩამონერა; თანამშრომლობის სანაცვლოდ საზღვარგარეთ გამგზავრებაში დახმარება (სავიზო საკითხი) და სხვა. ამასთან, პირს შესაძლებელია ჰქონდეს დაპირებული ქმედების განხორციელების რეალური შესაძლებლობა და ცალკე აღებული აღნიშნული ქმედება კანონიერიც იყოს, მაგრამ, ვინაიდან მისი მიზანია პროცესის მონაწილის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება, სსსკ მე-4 მუხლით იკრძალება (მაგალითად, მონმისთვის ბინის შექმნა თანამშრომლობის სანაცვლოდ. სხვა პირისთვის ბინის შექმნა კანონიერია, თუმცა მიზნიდან გამომდინარე წარმოადგენს მონმის მოსყიდვას და იკრძალება).
28. წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის განმარტება მოცემულია „წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ გაეროს 1984 წლის კონვენციაში და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (იხ. სსკ 144,<sup>1</sup> 144,<sup>2</sup> 144<sup>3</sup> მუხლები).
29. წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა აბსოლუტური ხასიათის მატარებელია და იკრძალება მათ შორის საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროსაც. დაუშვებელია აღნიშნული სახის მოპყრობის გამოყენება პროცესის ნებისმიერი მონაწილის – როგორც ბრალდებულის, ასევე მონმისა და დაზარალებულს მიმართ მათგან აღიარებითი/გათქმითი ჩვენების მოპოვების ან ჩვენების კორექტირების მიზნით, პირისთვის სსსკით მინიჭებულ პრივილეგიაზე უარის თქმის, გამოძიების ორგანოსთან თანამშრომლობის იძულების და სხვა მიზნით. „წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება ვერ იქნება დასაშვები მაშინაც კი, თუ მას არ გააჩნია გადამწყვეტი ან წონადი მნიშვნელობა ბრალდებულის ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტაში.“<sup>13</sup>
30. შერაცხული დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი (მაგალითად, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ტერორიზმი, ორგანიზებული ტრანსსასაზღვრო დანაშაული და სხვა), ბრალდებულის პიროვნება; სისხლისსამართლებრივი დევნის, დანაშაულის გა-

<sup>13</sup> Yusuf Gezer v Turkey, ECtHR, 01/12/2009, 40-45.

- მოძიების, სახელმწიფო უშიშროების, მოსახლეობის უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის, მართლმსაჯულების განხორციელების და სხვა მიზანი არ ამცირებს პირის უფლებას დაცული იყოს არასათანადო მოპყრობისგან.
- 31.** აკრძალვა ეხება როგორც უშუალოდ აღნიშნული ქმედებების განხორციელებას, ასევე ნაქეზებას ან შეგუებას, სათანადო რეაგირების არარსებობას პრევენციის ან/და გამოძიების მიზნით. მუხლში პირდაპირი ჩანანერის არარსებობის მიუხედავად, იგულისხმება, რომ აკრძალულია წამების მუქარაც.<sup>14</sup>
- 32.** აღნიშნული სახის ქმედების განხორციელების საფრთხე განსაკუთრებით მაღალია პირის მოწყვლად მდგომარეობაში ყოფნისას (მაგალითად, ე.წ. პრევენციული პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში, დაკავების განხორციელებისას). მე-4 მუხლის მოთხოვნები ირღვევა, თუ პირად ჩხრეკას, რომელსაც თან ახლავს გაშიშვლება, ატარებს იმავე სქესის პირი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლის თანდასწრებით,<sup>15</sup> თუ ადგილი აქვს ე.წ. მგრძობელობის გამქრობი მეთოდების გამოყენებას დაკითხვისას (კედელთან დგომა, ე.წ. ნილაბი, ხმაურისადმი დაქვემდებარება, ელექტროშოკის გამოყენება, ჯაჭვით დაბმა, ცივი წყლის ჭავლის ქვეშ დაყენება და სხვა). ფსიქოლოგიურ წნეხს – პირადად მის მიმართ ან მისი ახლობლის მიმართ ძალადობის განხორციელების მუქარა; ძილის, წყლის, საკვების სრულად აკრძალვა ან ზღვრული ნორმის შემცირება, ისეთ პირობებში მოთავსება, რომელიც ლახავს პირის ჯანმრთელობასა და ღირსებას<sup>16</sup> და სხვა. მე-4 მუხლით აკრძალულ ქმედებას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ასევე ნიმუშის აღების, დათვალიერების, ჩვენების ადგილზე შემომნების და სხვა შემთხვევაში, თუ მას თან ახლავს პირის მიმართ დამამცირებელი მოპყრობა.
- 33.** მეთოდი დამამცირებელია, როდესაც იწვევს შიშის, ტკივილის და არასრულფასოვნების განცდას, რომელსაც მისი შეურაცხყოფა, დამცირება, ფიზიკური თუ მორალური შეუვალობის დარღვევა შეუძლია იმ ინტენსივობით, რაც სცილდება სამართალწარმოებაში ნებადართულ ფარგლებს (მაგალითად, კანონიერი სასჯელის, იძულების ღონისძიების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში), პირის სინდისის/მსოფლმხედველობის საწინააღმდეგო მოქმედების ჩადენის იძულება მისი აბუჩად აგდების მიზნით. პირის დამცირებამ საკუთარი თავის ან სხვა პირთა თვალში უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. „თავისუფლებააღკვეთილი პირის შემთხვევაში ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც არ არის აუცილებელი, ამცირებს ადამიანურ ღირსებას და პრინციპში წარმოადგენს მე-3 მუხლით აღიარებული უფლების დარღვევას.“<sup>17</sup>
- 34.** განხორციელებული მოპყრობის შეფასებისას გამოიყენება ობიექტური კრიტერიუმი-ქმედება, რომელიც ობიექტურად აყენებს პირს ტანჯვას (ფიზიკურ/სულიერს), ჩაითვლება მე-4 მუხლის დარღვევად იმისდა მიუხედავად, აღნიშნული პირი სუსტი თუ ძლიერი ფიზიკური ამტანიანობით ხასიათდება და შეუძლია თუ არა შეიგნოს მის მიმართ წარმოებული ქმედების მნიშვნელობა (ასაკიდან, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე). სუბიექტურ კრიტერიუმს დამხმარე მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირს სასტიკი მოპყრობით არ მიადგა აუტანელი ტანჯვა, ქმედება წამებად დაკვარიფიცირდება თუ ობიექტურად სხვა პირთან მიმართებით გამოყენების შემთხვევაში მას გარდუვალად მოჰყვებოდა ტანჯვა. და პირიქით, სუბიექტურ კრიტერიუმს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ პირის ასაკი, სქესი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე განხორციელებული მოპყრობა მხოლოდ მის მიმართ იწვევს ტანჯვას (მაგალითად, საჭირო მედიკამენტის არ მიცემა), ხოლო სხვა პირთან მიმართებით, ის არ აღწ-

<sup>14</sup> იხ., *Gafgen v Germany*, ECtHR, 01/06/2010, §91.

<sup>15</sup> *Valasinas v Lithuania*, ECtHR, 24/07/2001.

<sup>16</sup> იხ., *Ramishvili and Kokhraidze v Georgia*, ECtHR, 13/01/2009; *Patsuria v Georgia*, ECtHR, 06/02/2008.

<sup>17</sup> *Dvalishvili v Georgia*, ECtHR 18/03/2013, §37.

- ევს სისასტიკის აღნიშნულ ზღვარს. საკითხის შესწავლისას მხედველობაში მიიღება საქმის გარემოებათა ერთობლიობა: მოპყრობის ხანგრძლივობა, ფიზიკური/ფსიქიკური შედეგები, პირის ინდივიდუალური მახასიათებლები.
- 35.** სახელმწიფოს ეკისრება უფლების დაცვის პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულება. კერძოდ, პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია თავი შეიკავოს უფლებაში არასანქცინირებული ან გადამეტებული ჩარევისგან და უზრუნველყოს სხვა პირთა მხრიდან უფლებაში ჩარევის პრევენცია ან/და ჩარევის შემთხვევაში შესაბამისი პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება. მე-4 მუხლის მოთხოვნა დარღვეულია იმ შემთხვევაშიც, თუ ბრალდებულის ექსტრადირება/მსჯავრდებულის გადაცემა ხდება ქვეყანაში, სადაც არსებობს მისი წამების, არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საფრთხე;<sup>18</sup> როდესაც პროცესის მწარმოებელი ორგანოს/პირის მხრიდან ადგილი აქვს აკრძალული მოპყრობის შესახებ ინორმაციაზე არაადეკვატურ რეაგირებას, არაეფექტიანი, არადროული, არასრული, ტენდენციური ან/და ფორმალური გამოძიების წარმოებას,<sup>19</sup> სასამართლოს მხრიდან ხდება მტკიცებულებათა შეფასებისადმი არასწორი მიდგომა; გადანყვეტილება ეფუძნება ძირითადად ინციდენტში მონაწილე პოლიციელთა ჩვენებებს, ბრალდებულის აღიარებით ჩვენებას და ბრალდებულის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში შეკრებილ მტკიცებულებებს; საქმეში მონაწილე პოლიციელების დაკითხვა ზერელეა, მათი შინაარსი კი – შაბლონური; კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგება იმ პოლიციელთა ჩვენება ვისი პასუხისმგებლობის (სისხლისსამართლებრივი/დისციპლინური) განსაზღვრის მიზნითაც ტარდება გამოძიება; არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლის სამედიცინო გამოკვლევა არ ტარდება პოლიციელების და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების დასწრების გარეშე, რათა დაცულ იქნეს დამოუკიდებლობის და სიზუსტის სტანდარტი<sup>20</sup> და ა.შ.
- 36.** სახელმწიფოს ევალება ეფექტიანი რეაგირება ბრალდებულის განცხადებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ ბრალდებულმა არ განუცხადა მის მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ მისი დაკავების პირველივე დღეებში პროკურორს/გამომძიებელს/სასამართლოს, რაც არ ამცირებს მისი ბრალდების დამაჯერებლობას, ვინაიდან ბრალდებულმა შესაძლოა ვერ გაბედოს აღნიშნული, ვინაიდან იმყოფება იმ პირთა კონტროლს ქვეშ, ვისაც ადანაშაულებს მის მიმართ არასათანადო მოპყრობაში; არ სარგებლობს ადვოკატის დახმარებით<sup>21</sup> და სხვა. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს დაკავების დროს ან შემდგომ აღნიშნება ფიზიკური დაზიანებები, დაზიანების წარმოშობის და იძულების არარსებობის მტკიცების ვალდებულება ეკისრება გამოძიების ორგანოს. კერძოდ, რომ დაზიანებები არ არის მიყენებული გამოძიების/სასჯელალსრულების, პოლიციის ორგანოს წარმომადგენლების მიერ უშუალოდ, მათი დაკვეთით ან მათი თანხმობით.
- 37.** როდესაც ბრალდებული ასაჩივრებს მის მიმართ არასათანადო მოპყრობას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ „მტკიცებულებათა შეფასებისადმი სწორ მიდგომას“. მაგალითად, არასათანადო მოპყრობის შესახებ ბრალდების შემონშებისას დაკავების განმახორციელებელი პოლიციის თანამშრომლის ჩვენებების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ აღნიშნული ჩვენებები შესაძლებელია იყოს სუბიექტური და მიზნად ისახავდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებას და სხვა<sup>22</sup>
- 38.** პროცესის მწარმოებელ ორგანოს არ აქვს უფლება თუნდაც ჭეშმარიტების დადგენის/

<sup>18</sup> იხ., Shamayev and others v Georgia and Russia, ECtHR, 12/04/2005.

<sup>19</sup> იხ., Gharibashvili v Georgia, ECtHR, 29/07/2008; Dvalishvili v Georgia, ECtHR, 18/03/2013.

<sup>20</sup> Dvalishvili v Georgia, ECtHR, 18/03/2013, §47; Lopata v Russia, ECtHR, 13/07/2010, §114.

<sup>21</sup> იხ., Nardosov v Russia, ECtHR, 31/07/2008, §33.

<sup>22</sup> იხ., Dvalishvili v Georgia, ECtHR, 18/03/2013, 18/12/2012, §50.



მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით გამოიყენოს კანონით აკრძალული საშუალებები და ღონისძიებები. ბრალდებულის თანხმობაც ვერ ახდენს აკრძალული მეთოდით მიღებული მტკიცებულების გამოყენების ლეგიტიმაციას.<sup>23</sup>

## მუხლი 5. უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია

1. პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.
2. არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ბრალმდებელს უფლება აქვს, უარი თქვას ბრალდებაზე.
3. მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.
4. პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადასტურდა მისი დაპატიმრების აუცილებლობა.
  1. **ნორმის მიზანი:** სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობა ბრალდებულის ხელშეუხებლობის და დაცვის უფლების ეფექტიანობის უზრუნველყოფის გზით.
  2. აღნიშნული პრინციპები განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 და მე-18 მუხლებში, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველ, მე-3, მე-9 და მე-11 მუხლებში, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 და მე-14 მუხლებში, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებში, ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-6 და 48-ე მუხლებში, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-7 მუხლში, ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპებში და სხვა.
  3. უდანაშაულობის პრეზუმფცია განსაზღვრავს ბრალდებულის სამართლებრივ სტატუსს, როგორც სისხლის სამართალწარმოების, ასევე ყველა სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რომელშიც ის მონაწილეობს. შესაბამისად, დაუშვებელია პირის ბრალეულობის საბოლოო დადასტურებამდე მისი სამსახურიდან გათავისუფლება, მისი საარჩევნო უფლების შეზღუდვა და სხვა.
  4. უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმედება იწყება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებით და გრძელდება მთელი სამართალწარმოების განმავლობაში *res judicata* განაჩენის დადგენამდე (მიუხედავად იმისა, რომ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა ხორციელდება განაჩენის გამოტანისთანავე, ვინაიდან არსებობს განაჩენის გასაჩივრების და შესაბამისად მისი შეცვლის, მსჯავრდებული პირის გამართლების შესაძლებლობა სააპელაციო/საკასაციო სამართალწარმოების შედეგად, უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმედება აღნიშნულ სტადიებზეც ვრცელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, წინასწარ ჩამოყალიბებული მოსაზრების არსებობამ შეიძლება პროცესი და სასამართლო განხილვა ფორმალური განხილვის).<sup>24</sup> სასამართლო თავისი უფლებამოსილებას (მათ შორის განაჩენის კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმებას) უნდა ახორციელებდეს ბრალდებულის უდანაშაულობის რწმენით იმისათვის, რომ ბრალდებულს ჰქონდეს თავისი დაცვის სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა.<sup>25</sup>
  5. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან არამარეაბილიტირებელი საფუძვლებით გამოტანილი განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ. მაგალითად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ბრალდებულის/განსასჯელის გარდაცვალების გამო და სხვა – უდანაშაუ-

<sup>23</sup> იხ., Rogall, Sk-stop, 2010, §136a, გვერდითი ველი 97 და 105.

<sup>24</sup> X. v Federal Republic of Germany, ECtHR, 18/04/1964; Stefan Trechsel, Human Rights in Criminal Proceedings, OUP, 2006, 163; Imbrioscia v. Switzerland, ECtHR 24/11/ 1993, Kraska v. Switzerland, ECtHR, 19/04/1993; Hornsby v. Greece, ECtHR, 19/03/1997.

<sup>25</sup> Barbera, Messegue and Jabardo v. Spain, ECtHR, 13/06/1994, §77; Janosevic v. Sweden, ECtHR, 23/07/2002, §97.

- ლობის პრეზუმფცია სრულად არ წყვეტს ფუნქციონირებას და ეს პირები არ ითვლებიან დამნაშავეებად, ვინაიდან ამ შემთხვევაში პირის ბრალეულობა დგინდება მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის /გამოძიების შეწყვეტის მიზნებისათვის და არ ხდება მათი დამნაშავედ ცნობა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, რის გამოც აღნიშნული არ იწვევს არც ნასამართლეობას.
6. პრეზუმფციის *ratlone personae* ვრცელდება როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე და მისი დაცვის ვალდებულება ეკისრება, როგორც პროცესის მწარმოებელ ორგანოს და ბრალდების მხარეს, ისე პროცესის მონაწილეებს, მედიას, ხელისუფლების ყველა შტოს და დონის წარმომადგენელს, ასევე გავლენიან აქტორებს, რომლებმაც სისხლისსამართლებრივი დევნის ნებისმიერ ეტაპზე თავი უნდა შეიკავონ ისეთი განცხადებებისგან, რაც შეიცავს წინასწარ დასკვნებს სასამართლო განხილვის შედეგების შესახებ.<sup>26</sup>
  7. პრეზუმფცია განსაზღვრავს ფსიქოლოგიურ გარემოს, რომელშიც უნდა განხორციელდეს საქმის განხილვა და პროცესის მწარმოებელი ორგანოს/სახელმწიფოს მხრიდან იმ პირთან ურთიერთობის ხასიათს და მოპყრობას (ფაქტობრივი და ვერბალური მოპყრობა), ვის მიმართაც არსებობს დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვი, იმისდა მიუხედავად, დაწყებულია თუ არა მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა, ბრალდებულისადმი მოპყრობა არ უნდა გამოორიცხავდეს მის უდანაშაულობას. დაუშვებელია ნებისმიერი ღონისძიების განხორციელება და განცხადება, რომელიც ისეთ წარმოდგენას ქმნის, თითქოს პირის ბრალეულობა უკვე დადგენილია. მაგალითად, გამოძიების ორგანოს განცხადება, რომ მათ განახორციელეს დამნაშავე პირის ცხელ კვალზე დაკავება.
  8. პრეზუმფცია პირის დამნაშავედ ცნობას უკავშირებს ობიექტურ სამართლებრივ კატეგორიას – სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლას. ამიტომ ბრალდების მხარის, პროცესის მონაწილეების თუ საზოგადოების სუბიექტურ დამოკიდებულებას ბრალდებულის ბრალეულობისადმი, სამართლებრივი მნიშვნელობა არ ენიჭება. პირის ბრალეულობის საკითხი ღიად უნდა დარჩეს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაზე მიუთითებს ბრალდებულის აღიარება, აუდიო-ვიდეოჩანაწერები, საექსპერტო დასკვნები, მონშეთა ჩვენებები და სხვა.
  9. ბრალდებულის ბრალეულობასთან დაკავშირებით ეჭვის გამოთქმა დაიშვება ბრალდებულის ბრალეულობის არსებითად გადაწყვეტამდე.<sup>27</sup> ამიტომ გამამართლებელი განაჩენის ძალაში შესვლის მომენტიდან, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვის გამოთქმა; განცხადება, რომელიც ეჭვს ტოვებს გამართლებულის ბრალეულობაში – შეუთავსებელია უდანაშაულობის პრეზუმფციასთან.<sup>28</sup>
  10. უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ფაქტის განსაზღვრა ხდება ობიექტური და სუბიექტური ტესტის/კრიტერიუმების საფუძველზე. დარღვევის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ბრალდებულის სუბიექტურ შიშს, არამედ ობიექტურად რამდენად დასაბუთებულია მისი შიში მოცემულ ვითარებაში.<sup>29</sup> ამიტომ საკითხი იმის შესახებ, არღვევს თუ არა მოსამართლის ანდა ხელისუფლების წარმომადგენლის განცხადება უდანაშაულობის პრეზუმფციას, განხილულ უნდა იქნეს შესაბამისი განცხადების გაკეთების

<sup>26</sup> *Kakabadze and others v Georgia*, ECtHR 02/01/2013, §77; *OSCE/ODiHR*, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო. 09/12/2014, §96; იხ., ასევე *Ilgar Mammadov v Azerbaijan*, ECtHR, 22/05/2014, §125-128; *Ismoilov and others v Russia*, ECtHR, 24/04/2008, §160-170; შეაღ., *Böhmer v. Germany*, ECtHR, 03/10/2002, §54, 56; *Nešták v. Slovakia*, ECtHR 27/02/2007, §88-89.

<sup>27</sup> *Sekanina v Austria*, ECtHR, 25/08/1993, §30.

<sup>28</sup> იხ., *Minelli v. Switzerland*, ECtHR, 25/03/1983, §37; *Nerattini v. Greece*, ECtHR, 18/12/2008, §23; *Didu v. Romania*, ECtHR, 14/04/2009, §41.

<sup>29</sup> იხ., *Wloch v Poland*, ECtHR, 19/10/2000. *Daktaras v Lithuania*, ECtHR, 11/01/2000; *Mustafa (Abu Hamza) v the United Kingdom*, ECtHR, 18/01/2011, §§37-40.

- გარემოებების გათვალისწინებით (მოსამართლის განცხადებების მიმართ გამოიყენება უფრო მკაცრი მიდგომა).
11. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე მიმდინარე სამართალწარმოების თავშეუკავებელმა საინფორმაციო კამპანიამ შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს სამართლიან სასამართლო განხილვაზე<sup>30</sup>, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების გზით უზიდავს სასამართლოს ან/და ნაფიც მსაჯულებს გამოიტანონ გამამტყუნებელი ვერდიქტი/განაჩენი. მედიის გავლენის საფრთხე უფრო მაღალია ნაფიც მსაჯულებზე, ვინაიდან პროფესიული სასამართლოს შემთხვევაში მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი გამოცდილება და კვალიფიკაცია, რომ უზრუნველყონ საკუთარი მიუკერძოებლობა. ამიტომ, დაუშვებელია, მედიის წარმომადგენლებმა ეჭვქვეშ დააყენონ სამართალწარმოების სამართლიანობა საქმის შედეგის წინასწარ განჭვრეტის გზით ან ზეგავლენა იქონიონ საქმის ბედზე გამომხატვის თავისუფლების და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებაზე აპელირებით.
  12. საზოგადოების ინფორმირება სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების შესახებ ბრალდებულის ვინაობის მითითებით, ბრალდებულის ფოტოსურათის გამოქვეყნება ან ბრალდებულის დაკავების/დაპატიმრების შესახებ ინფორმაციის გაშუქება არ არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, თუ საქმის გარემოების გაშუქების ან/და კომენტარებისას ბრალდებული არ ცხადდება დამნაშავედ შესაბამისი ქმედების ჩადენაში. მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს განცხადებები იმის შესახებ, რომ მოცემული პირი ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში და განცხადება იმის შესახებ, რომ კონკრეტულმა ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული.<sup>31</sup> სასამართლო ვალდებულია სიფრთხილე გამოიჩინოს პრესასთან ურთიერთობისას და, ცალკეულ შემთხვევაში, უარი თქვას სამართალწარმოების კომენტარებაზე პროვოკაციის შემთხვევაშიც კი.<sup>32</sup>
  13. დარღვევას აქვს ადგილი, როდესაც მაღალი თანამდებობის პირები აკეთებენ განცხადებებს ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ, რაც ფართოდ შუქდება და ტირაჟირდება მედიის საშუალებებით,<sup>33</sup> სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში სასამართლოს მიერ გამართლებულისთვის კომპენსაციის გაცემაზე უარის თქმა მის უდანაშაულობასთან დაკავშირებით არსებული ეჭვის საფუძველზე (მაგალითად, ბრალის დაუდასტურებლობის, ამნისტიის, ბრალდებაზე უარის თქმის გამო სამართალწარმოების დასრულებისას),<sup>34</sup> განაჩენის დადგენამდე მოსამართლის/სასამართლოს განცხადება, რომელიც შეიცავს მოსაზრებას ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ; განაჩენის გამოტანამდე, პრესასთან საქმის კომენტარებისას მოსამართლის მიერ განცვიფრების გამოხატვა ბრალდებულის მიერ საკუთარი უდანაშაულობის მტკიცებასთან და ნაყენებული ბრალის უარყოფასთან დაკავშირებით<sup>35</sup>; დაკავებული ბრალდებულების სასამართლო სხდომის დარბაზის შუშით შემოღობილ სივრცეში მოთავსება, როდესაც აღნიშნული ქმნის მათი დამნაშავეებად აღქმის რისკს და ზღუდავს ადვოკატთან კომუნიკაციის შესაძლებლობას, თუ ასეთი ზომების გამოყენებამდე არ ხდება საფრთხის შეფასება; მოსამართლეების მიერ ბრალდებულის წინა ნასამართლეობაზე მსჯელობის რუტინულად დაშვება (და არა მხოლოდ სასჯელის განსაზღვრის, ნასამართლეობის, ბრალდებულის

<sup>30</sup> Viorel Burzo v Romania, ECtHR, 30/06/2009, §160; Akay v Turkey, ECtHR, 24/10/2006, §224.

<sup>31</sup> Fatullayev v Azerbaijan, ECtHR, 22/04/2010 §§160-163; Khuznin and other v Russia, ECtHR, 23/10/2008, §§93-97.

<sup>32</sup> Buscemi v Italy, ECtHR, 16/09/1999, §67.

<sup>33</sup> Francisco Juan Larranaga v. Philippines, UN CCPR/C/87/D/1421/2005, 24/07/2006, §7.4.

<sup>34</sup> Sekanina v Austria, ECtHR, 25/08/1993, §30; Asan Rushiti v Austria, ECtHR, 21/03/2000, §§31-32; Tendam v Spain, ECtHR, 13/07/2010 §§35-41; Geerings v Netherlands, ECtHR, 01/03/2007, §§41-51; Hammern v Norway, ECtHR, 11/02/2003, §§47-49.

<sup>35</sup> Lavents v. Latvia, ECtHR, 28/11/2002 (58442/00).

- ჩვენების სარწმუნოების ან სსსკით პირდაპირ განსაზღვრული სხვა მიზნებისათვის); ხელისუფლების წარმომადგენლების საჯარო განცხადებები ბრალდებულთა ბრალეულობის შესახებ განაჩენის დადგენამდე; არაპირდაპირი მონოდება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისკენ; ბრალდების დადგენილების მტკიცებულებად მიჩნევა, რაც პრაქტიკულად ნიშნავს მისი მცდარობის მტკიცების ტვირთის დაცვის მხარეზე გადატანას<sup>36</sup>. ასევე – სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენამდე ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ საკუთარი მოსაზრების წინასწარი გამოხატვის შემთხვევაში<sup>37</sup> – მათ შორის სასამართლო პროცესზე ან სასამართლოს განჩინებაში ისეთი გამონათქვამების გამოყენების შემთხვევაში, რომლებიც, მართალია, პირდაპირ არ ახდენენ ბრალდებულის ან პროცესის სხვა მონაწილის<sup>38</sup> დამნაშავედ მოხსენიებას, მაგრამ შეიცავენ წინასწარჩამოყალიბებულ დასკვნას მისი ბრალეულობის შესახებ (პროცესის სხვა მონაწილის, მაგრამ არა ბრალდებულის). მაგალითად, პროცესზე გაუღერდა, რომ ბრალდებულმა ქალბატონს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, და მოსამართლე ჩაეკითხა ბრალდებულს: „რა დაგიშავა იმ ქალმა, რომ სცემე?; ბრალდებული: „ვიმყოფებოდი ნასვამ მდგომარეობაში“; მოსამართლე: „რამდენი დალევი, იმდენი ქალებს უნდა სცემო?“<sup>39</sup>
14. პროცესის მწარმოებელ პირს/ორგანოს, სუბიექტური დამოკიდებულების მიუხედავად, ეკრძალება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, ისეთი კომენტარის გაკეთება ან ქმედების განხორციელება, რაც მიუთითებს, რომ ის დარწმუნებულია ბრალდებულის ბრალეულობაში. საკითხი ბრალეულობის შესახებ ღია უნდა დარჩეს მაშინაც, თუ ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები დამაჯერებელია.
  15. უდანაშაულობის პრეზუმფცია არ კრძალავს ყოველგვარი იურიდიული და ფაქტობრივი პრეზუმფციის (მაგალითად, 260-ე მუხლთან მიმართებით ბრალდებულის ბინაში გარკვეული ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერების აღმოჩენის საფუძველზე ივარაუდება გასაღების მიზნის არსებობა) გამოყენების შესაძლებლობას, თუ: 1. პრეზუმფციის შინაარსი და მოქმედების ფარგლები მკაფიოდ არის განსაზღვრული; 2. დაცვის მიზნებისათვის შესაძლებელია აღნიშნული პრეზუმფციის უკუგდება.
  16. უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას აქვს ადგილი, როდესაც მოსამართლეს დასკვნა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ გამოაქვს განაჩენის დადგენამდე.
  17. უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის საკითხი შესაძლებელია წარმოიშვას ასევე ჯგუფური ან თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე სამართალწარმოების ფარგლებში, როდესაც ადგილი აქვს ერთი ან რამდენიმე პირის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფას.
  18. ვინაიდან სასამართლოს ეკისრება თითოეული ბრალდებულის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განსაზღვრა ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია საჭირო გახდეს მესამე პირების ან სხვა ბრალდებულების/თანამონაწილეების როლზე მითითება განაჩენში მაშინ, როდესაც მათ მიმართ სამართალწარმოება ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, ასეთ დროს სასამართლო უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ მტკიცებულებებით, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის.
  19. ეჭვი/ვარაუდი: მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი ყურადღებას ამახვილებს მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილ ეჭვზე. სისხლის სამართალწარმოებაში მტკიცებულება ფას-

<sup>36</sup> OSCE/ODiHR, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში. საქართველო. 09/12/2014, §9.

<sup>37</sup> იხ., Nestak v. Slovakia, ECtHR, 27/02/2007, §88; Garycki v. Poland, ECtHR, 06/02/2007, §66.

<sup>38</sup> Diamantides v Greece, ECtHR, 19/05/2005.

<sup>39</sup> იხ., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგი ბათუმის, ქუთაისის და თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში. ანგარიში №6 (ანგარიშ-ავვისტო 2014), 55.

- დება დასაშვებობის, რელევანტურობის, საკმარისობის და უტყუარობის მიხედვით. *in dubio pro reo* გულისხმობს როგორც ცალკეულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით არსებული ეჭვის, ასევე მთლიანად ბრალდების დასაბუთებულობასთან დაკავშირებული ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადანყევტას. *in dubio pro reo* განიმარტება შეზღუდულად:
1. ეხება მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და 2. ეჭვს, რომლის დადასტურება ვერ ხერხდება.
20. აღნიშნული დებულების ამოქმედებისათვის აუცილებელია რამდენიმე წინაპირობის არსებობა: 1. საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები არ იძლევა ერთგვაროვანი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას ბრალდებულის ბრალეულობის/უდანაშაულობის შესახებ; 2. ამონურულია კანონმდებლობით გათვალისწინებული მტკიცებულებათა მოპოვების პრაქტიკულად ყველა ხერხი და საშუალება და ეჭვის გაქარწყლება ან დადასტურება ჩატარებული გამოძიების მიუხედავად ვერ ხერხდება.
  21. შესაბამისად, თუ მტკიცებულებასთან/ ბრალდებასთან დაკავშირებული ეჭვის გაქარწყლების პრაქტიკულად ყველა საშუალება ამონურულია, მოცემულ საქმეზე ვარგისი მტკიცების ყველა ხერხის და საშუალების გამოყენების შემდეგ, აღნიშნული მტკიცებულება არ უნდა იქნეს გათვალისწინებული, ხოლო ბრალის დაუსაბუთებლობის შემთხვევაში – საქმისწარმოება უნდა შეწყდეს ან სასამართლომ გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი.
  22. აქ იგულისხმება შემთხვევები, როდესაც ობიექტურად არ არსებობს ბრალდებულის ბრალეულობის/უდანაშაულობის შესახებ რაიმე ახალი მტკიცებულება, ან ასეთი მტკიცებულებები შესაძლებელია ობიექტურად არსებობდეს, მაგრამ მხარეები არ ახდენენ სასამართლოსთვის მათ წარდგენას და ვინაიდან სასამართლო მოკლებულია საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოთხოვის შესაძლებლობას, მას არ შეუძლია არსებული ხარვეზის გამოსწორება.
  23. იმავდროულად, აღნიშნული წესი ეხება სისხლის სამართლის საქმის მხოლოდ ფაქტობრივ მხარეს: ქმედების სისხლისსამართლებრივად რელევანტურ ნიშნებს (ხერხი, მიზანი, მოტივი, ზიანის ოდენობა და სხვა); ბრალდებულის პიროვნებას; ცალკეული იმ მტკიცებულებების დასაშვებობას რომელთა მეშვეობით ხდება ქმედების დანაშაულებრივი ხასიათის და პირის ბრალეულობის მტკიცება; ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს და სხვა. თუ ეჭვი ეხება კანონის განმარტებას, დანაშაულის კვალიფიკაციას ან/და სასჯელის ზომას, ნორმის შინაარსის განმარტება უნდა მოხდეს განმარტების სხვადასხვა ხერხის გამოყენებით.
  24. ეჭვი არ მიიღება მხედველობაში განაჩენის გამოტანისას და მას მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ გააჩნია. მაგალითად, თუ ოთახში მყოფი 2 ადამიანიდან ერთერთის წასვლის შემდეგ დარჩენილი პირი დაუყოვნებლივ აღმოაჩენს ფულის გაქრობის ფაქტს, ლოგიკურად ივარაუდებს, რომ ვინაიდან იქ სხვა არავინ იყო, სხვა ვერავინ აიღებდა. თუმცა ეს ვარაუდი არ არის საკმარისი ქურდობაში პირის ბრალდების, დაკავების, ან მსჯავრდებისათვის. ეს ინფორმაცია გამოსადეგია მხოლოდ ვერსიებისთვის.
  25. მტკიცების ტვირთი: სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის გადანაწილების პირობითად ორ სახეს: 1. *Affirmanti incumbit probatio* – მტკიცების ტვირთი ეკისრება საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების ინიციატორ მხარეს, რომელიც ვალდებულია ამტკიცოს თავისი პოზიციის სისწორე. მაგალითად, სააპელაციო/საკასაციო სასამართლოში განაჩენის გასაჩივრებისას აპელანტს/კასატორს აკისრია განაჩენის დაუსაბუთებლობის ან/და უკანონობის მტკიცების ტვირთი იმისდა მიუხედავად, თუ ვინ ასაჩივრებს – დაცვის თუ ბრალდების მხარე. აპელანტი/კასატორი არის ვალდებული ამტკიცოს თავისი საჩივრის დასაშვებობა და დასაბუთებულობა, თავისი მოსაზრებების სისწორე. ინიციატორი მხარეა ვალდებული ამტკიცოს დაყენებული შუამდგომლობის დასაბუთებულობა და საფუძვლიანობაც. მაგალითად, დაცვის მხარე ვალდებულია დაასაბუთოს შუამდგომლობა ჩხრეკის/ ექსპერტიზის ჩატარების შესახებ; ალკვების

- ლონისძიების გასაჩივრების შემთხვევაში – სასამართლოს განჩინების უკანონობა ან დაუსაბუთებლობა და სხვა. 2. ბრალდებულის ბრალეულობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს – გულისხმობს ბრალდების მხარის ვალდებულებას ამტკიცოს როგორც ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა, მისი ბრალეულობა, ასევე თავად დანაშაულებრივი ქმედების არსებობა და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების/ინფორმაციის ან/და მოსაზრებების დაუშვებლობა. ბრალდებული არ არის ვალდებული მოიძიოს და წარმოადგინოს დანაშაულის ჩადენაში მისი მონაწილეობის გამომრიცხველი მტკიცებულებები. იმავდროულად, ბრალდების მხარე ვალდებულია ამტკიცოს დაცვის მხარის მხოლოდ დასაბუთებული პრეტენზიის/მოსაზრების სიმცდარე. შესაბამისად, ბრალდების მხარეს არ ეკისრება დაცვის მხარის ზერელე/დაუსაბუთებელი განცხადებების უკუგდების ვალდებულება. მაგალითად, თუ დაცვის მხარე ამტკიცებს, რომ ბრალდების დასაბუთებისათვის გამოყენებული ექსპერტის დასკვნა ფალსიფიცირებულია, ბრალდების მხარეს აღნიშნულის უკუგდების ვალდებულება ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცვის მხარე საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად მიუთითებს რაიმე კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში დაცვის მხარის პრეტენზია დაუსაბუთებელია და ვერ გამოიწვევს ექსპერტის დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას, რის გამოც ბრალდების მხარეს არ ეკისრება მისი უკუგდების ვალდებულება.
26. დაცვის უფლება: სისხლის სამართალწარმოებაში დაცვის უფლების განხორციელების 2 ძირითად სახეს გამოყოფენ: 1. პროაქტიულ დაცვას – გულისხმობს აქტიურ მონაწილეობას ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებების მოძიების და წარმოდგენის პროცესში. მათ შორის – ნივთიერი მტკიცებულებების, დოკუმენტების, შუამდგომლობის დაყენებას, ცალკეული ქმედებების კანონიერებასა და დასაბუთებულობის გასაჩივრებას, ჩვენების მიცემას, მოწმეების მოძიებას, ექსპერტიზის ჩატარებას და სხვა. 2. პასიურ დაცვა – დაცვის მხარე ძირითადად ყურადღებას უთმობს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის, რელევანტურობის, სარწმუნოების, შენაცვლებლობის და ავთენტურობის, მტკიცებულებათა შორის წინააღმდეგობის არსებობის და სხვა საკითხების შესწავლას, მაგრამ არ ახდენს ახალი მტკიცებულებების მოძიებას.
27. ფაკულტატიური დაცვის შემთხვევაში შესაძლებელია ბრალდებული პროტესტს უცხადებდეს სამართალწარმოებას და საერთოდ არ იღებდეს მონაწილეობას სამართალწარმოებაში.
28. მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარეზე დაკისრებით, კანონმდებელი ბრალდებულს ათავისუფლებს პროაქტიული დაცვის წარმოების ვალდებულებისგან და მის მონაწილეობას მტკიცების პროცესში ბრალდებულის ნება-სურვილს უკავშირებს.
29. შესაბამისად, აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, ბრალდებულის უარი მტკიცების პროცესში მონაწილეობაზე, დუმილი, და მისი სრული პასიურობა მთელი სამართალწარმოების განმავლობაში, როგორც წესი, არ შეიძლება უარყოფითი შედეგების მატარებელი იყოს ბრალდებულისთვის არც მისი ბრალეულად ცნობის და არც სასჯელის განსაზღვრის ნაწილი; არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის – იმაზე აპელირებით, რომ ბრალდებულის ბრალეულობა დასტურდება მათ შორის იმ გარემოებითაც, რომ ბრალდებულმა ვერ შეძლო საკუთარი თავის გამამართლებელი ვერც ერთი არგუმენტის დასახელება და მტკიცებულების წარმოდგენა.
30. მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარეზე დაკისრება ასევე გულისხმობს, რომ დაუშვებელია ბრალდებულის იძულება ჩვენების მიცემის ანდა მის ხელთ არსებული მტკიცებულების წარმოდგენაზე, პროცესის მწარმოებელ ორგანოსთან თანამშრომლობაზე. ბრალდებულის უფლებათა მიიღოს გადაწყვეტილება პროცესის მწარმოებელ ორგანოსთან თანამშრომლობის და დაცვის უფლებით სარგებლობის შესახებ. შესაბამისად, ბრალდებულის უარი მთლიანად დაცვის უფლების განხორციელებაზე არ შეიძლება მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.
31. სასამართლოს ეკრძალება ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ გადაწყვეტილე-

- ბა დააყრდნოს ბრალდებულის დუმილის უფლებით სარგებლობას. თუმცა აღნიშნული აკრძალვა არ არის აბსოლუტური ხასიათის და როდესაც საჭიროა ბრალდებულის მამხილებელ მტკიცებულებებთან დაკავშირებით ბრალდებულის განმარტება (მაგალითად, როგორ აღმოჩნდა ეს ნივთმტკიცება ბრალდებულთან), ხოლო ბრალდებული დუმილის უფლებას იყენებს, იგულისხმება, რომ ან ბრალდებულს არაფერი აქვს სათქმელი საკუთარი თავის გამართლებისათვის, ან მას გარკვეული მოსაზრებებიდან (სხვა უფრო მძიმე დანაშაულის დაფარვის, სხვისი დანაშაულის საკუთარ თავზე აღების, ჩადენილის გამო მძიმე მორალური მდგომარეობის და სხვა გარემოებების გამო) გამომდინარე სურს ხელი შეუწყოს გამოძიების ორგანოს სწორედ ამ დანაშაულში საკუთარი თავის ბრალდებაში.
- 32.** პრეზუმფციის მიუხედავად, ცალკეულ შემთხვევებში ბრალდებულს არაპირდაპირ მაინც ეკისრება მტკიცების შემხვედრი მოვალეობა შეზღუდულ ფორმატში, რაც გულისხმობს მის მოვალეობას წარმოადგინოს გარკვეულ გარემოებებთან/ვითარებასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება. მაგალითად, ბრალდებულის ბინაში ნაძარცვი ქონების აღმოჩენისას ბრალდებულმა უნდა განმარტოს აღნიშნული ქონების მართლზომიერი ფლობა ან ბრალდებულის ბინაში მძევალის აღმოჩენისას – წარმოადგინოს პირის ბინაში მოხვედრის და მასთან ერთად ერთ ბინაში ყოფნის გონივრული ახსნა და სხვა. აღნიშნულს შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს, როდესაც დაცვის მხარის მიერ ფაქტების გონივრული ახსნის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულს მოითხოვს სალი აზრი, საქმეზე შეკრებილი ფაქტობრივი გარემოებები აშკარად მეტყველებს ბრალდებულის წინააღმდეგ. ასეთ დროს სასამართლოს შეუძლია დაცვის საწინააღმდეგო დასკვნა გამოიტანოს სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ დაცვამ ვერ შეძლო ზემოაღნიშნული გარემოების ახსნა.<sup>40</sup>
- 33.** ვითარება რადიკალურად განსხვავდება, როდესაც დაცვის მხარე ობიექტურად უპირატეს მდგომარეობაშია ბრალდების მხარესთან შედარებით და ბრალმდებელს უნევს ე.წ. უარყოფითი ფაქტის (negative non probantur) უკუგდება, რომლის მტკიცება საარწმუნოობის საჭირო ხარისხით პრაქტიკულად შეუძლებელია. ასეთი უარყოფითი ფაქტის მტკიცება, როგორც წესი, შესაძლებელია მხოლოდ სხვა, დადებითი ფაქტებით. მაგალითად, სსკ 236-ე მუხლით გათვალისწინებული ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შექმნის ფაქტთან დაკავშირებით დადასტურებული უნდა იყოს კონკრეტული პირის არსებობა, რომლისგანაც მოხდა იარაღის უკანონოდ შექმნა. აღნიშნულის დამტკიცების გარეშე ბრალდებულის ბრალეულობა, რომელიც ემყარება უკანონობას, დაუდასტურებელი რჩება. მაგალითად, ტაქსში აღმოჩენილია ჩანთა 3 ცალი კალაშნიკოვის ავტომატითა და საბრძოლო ვაზნებით. ტაქსის მძღოლის განმარტებით, ჩანთა დარჩა ერთ-ერთ მგზავრს, რომლის ვინაობა მისთვის უცნობია. აღნიშნული მგზავრის არსებობის და აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის კუთვნილების დადგენის გარეშე, პირი უდანაშაულოდ უნდა იქნეს ცნობილი. მოცემულ შემთხვევაში უარყოფითი ფაქტის მტკიცებისათვის საჭიროა გარკვეული დადებითი ფაქტობრივი გარემოებების მტკიცება, რომელთა მოძიება შესაძლებელია ზოგჯერ საჭირო გახდეს პრაქტიკულად განუსაზღვრელ დროსა და სივრცეში. პირი, რომლის მფლობელობაშიცაა შეზღუდულ სამოქალაქო ბრუნვაში არსებული ან სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ნივთები, ვალდებულია დამაკმაყოფილებელი სახით განმარტოს რა გზით აღმოჩნდა ეს ნივთი მასთან (შემთხვევით, მართლზომიერად, საპატივებელი შეცდომის საფუძველზე და სხვა). წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავს ვითარებაში პირის დამნაშავედ ცნობა ლეგიტიმურია.<sup>41</sup>
- 34.** ბრალდებულის პასიურობა პროცესში, როგორც წესი, არ შეიძლება მოგვიანებით მისსავე წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული, თუმცა შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე,

<sup>40</sup> იხ., John Murray v UK, 08/02/1996, ECtHR, (GC), §54.

<sup>41</sup> იხ., სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, (განკუთვნილია საერთო სასამართლოების მოსამართლეებისთვის), 2015, 376.

- რაც უფრო სრულყოფილად ხორციელდება დაცვის უფლება, მით უფრო მაღალია ბრალდებულის სასარგებლოდ განაჩენის გამოტანის ალბათობა.
35. აღნიშნული პრინციპი მტკიცების ვალდებულებისგან ათავისუფლებს მხოლოდ ბრალდებულს და არა დაცვის მხარეს მთლიანად. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია ამტკიცოს ბრალდებულის უდანაშაულობა/ნაკლები ბრალეულობა, წარმოადგინოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი/გამომრიცხველი გარემოებები, აწარმოოს ეფექტიანი დაცვა.
  36. პრინციპის მოქმედება სრულდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანით. შემდგომ სტადიებზე მოქმედებს მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი, რომლის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო / ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ინიციატორ მხარეს.
  37. სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება ბრალმდებლის დისკრეციული უფლებამოსილებაა. შესაბამისად, სსსკ მხოლოდ პროკურორს ანიჭებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.<sup>42</sup>
  38. ბრალდებაზე უარის თქმის უფლება ბრალდების მხარეს ენიჭება მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში დასკვნითი სიტყვის წარდგენამდე. შესაბამისად, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოებისას ბრალდების მხარეს არ აქვს უფლება უარი თქვას ბრალდებაზე. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ, „მართალია, სსსკ-ის 166-ე მუხლის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა, მაგრამ ამავე კოდექსის 250-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას დასკვნითი სიტყვის წარდგენამდე ბრალდების მხარეს უფლება აქვს ზემდგომი პროკურორის თანხმობით უარი თქვას ბრალდებაზე, რაზეც სასამართლო განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის ბრალდებაში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კი პროკურორმა ბრალდებაზე უარი თქვა საკასაციო პალატის სხდომაზე, რასაც საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში საქმეზე არსებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება ან შეცვლა, საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და საპროცესო კოდექსის თანახმად შეუძლია მხოლოდ სასამართლოს.“<sup>43</sup>
  39. უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს მთელი სამართალწარმოების განმავლობაში პირის მსჯავრდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგების მიუხედავად.
  40. უდანაშაულობის პრეზუმფცია ირღვევა, თუ საჯარო მოხელე საჯარო განცხადებაში მანამდე მიუთითებს სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირზე რომ ის დამნაშავეა, ვიდრე ეს დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საჯარო მოხელეების მიერ საჯარო განცხადებებში სიტყვებისა და ფორმულირებების სწორად შერჩევას.
  41. უდანაშაულობის პრეზუმფცია არ არის აბსოლუტური უფლება და შეიძლება შეიზღუდოს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ხელისუფლების ორგანოები დაიცავენ სამართლიან ბალანსს განსახილველ საქმესა და დაცვის უფლებებს შორის.<sup>44</sup>
  42. სატელევიზიო სიუჟეტებში, რომლებიც ეხება მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეთა განხილვას, დაკავებული პირების სახის ჩვენება და მათი ვინაობის იდენტიფიცირება, დაკავებულთა „აღიარებითი ჩვენებების ან/და სატელეფონო საუბრების ჩანაწერების თუ ფარული თვალთვალის გზით მოპოვებული ვიდეომასალის გადაცემა მედიასაშუალებებით, ბრალდების მხარის განცხადებები, რომ კონკრეტული პირი დაკავებულ

<sup>42</sup> იხ., სსსკ., 105-ე, 166-ე და 250-ე მუხლების კომენტარები.

<sup>43</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 26/12/2012 წლის განჩინება საქმეზე №370აპ-12; 26/12/2012.

<sup>44</sup> იხ., მაგალითად, Falk v Netherlands, ECtHR, 19/11/2004.



- იქნა კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე/დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით საფრთხეს უქმნის და ხშირ შემთხვევაში არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას.
43. თავისუფლების უფლება: თავისუფლების უფლება იცავს პირს სამართალწარმოების ფარგლებში არამართლზომიერი და თვითნებური თავისუფლების შეზღუდვისგან.<sup>45</sup>
44. ადამიანის თავისუფლება გულისხმობს პირის ფიზიკური გადაადგილების და ადგილსამყოფელის არჩევის თავისუფლებას. კერძოდ, მის უფლებას თავისუფლად აირჩიოს/შეცვალოს საცხოვრებელი ადგილი, თავისი ნების შესაბამისად იმყოფებოდეს გარკვეულ ადგილას. „თუ პირი საკუთარი ნებით მიდის პოლიციის განყოფილებაში გამოძიებაში მონაწილეობის მისაღებად და იცის, რომ თავისუფალია და ნებისმიერ დროს შეუძლია წავიდეს, მას თავისუფლება შეზღუდული არ აქვს.“<sup>46</sup>
45. თავისუფლების შეზღუდვა გულისხმობს იმ პირის თანხმობის არარსებობას, ვის მიმართაც ხდება მისი გამოყენება. თავისუფლების შეზღუდვა გულისხმობს პირის ნების სანაწილად დეგოდ ან თავისი ნების გარეშე (სუბიექტური ელემენტი), განსაზღვრულ, შეზღუდულ ადგილას გარკვეული დროის მონაკვეთში შეკავებას (ობიექტური ელემენტი).<sup>47</sup> თავისუფლების შეზღუდვა იწვევს ბევრი სხვა უფლების შეზღუდვასაც (მაგალითად, გაერთიანების, შეკრების, ოჯახური ცხოვრების), ზღუდავს შეჯიბრებითობისა და დაცვის უფლების ჯეროვნად განხორციელების შესაძლებლობას, განსაკუთრებით, როდესაც ბრალდებული დაცვის უფლებას დამოუკიდებლად ახორციელებს.
46. უფლების ხასიათიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება ნეგატიურთან ერთად პოზიტიური ვალდებულება – დაიცვას პროცესის მონაწილის თავისუფლების უფლების ხელშეუხებლობა სხვა პირთა მხრიდან მისი უკანონო შეზღუდვისგან (მაგალითად, ბრალდებულის მიერ მოწმეთა თავისუფლების შეზღუდვისგან, დაზარალებულის მხრიდან ბრალდებულის თავისუფლების შეზღუდვა და ა.შ.). მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად უფლებაზე ნებაყოფლობით უარის თქმა გამორიცხავს მასში ჩარევას, თავისუფლების უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, აღნიშნული წესი არ ვრცელდება სისხლისსამართალწარმოების ფარგლებში პროცესის მონაწილის ნაბაყოფლობით თანხმობაზე მის მიმართ თავისუფლების შემზღუდველი საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაზე – მაგალითად, ბრალდებულის თანხმობა მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების, პირის მიერ სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევისას მისი თანხმობა მის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენებაზე და ა.შ. არ ათავისუფლებს პროცესის მწარმოებელ სუბიექტს თავისუფლების შეზღუდვის კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულებისგან.
47. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი საუბრობს დაპატიმრების გამოყენებაზე, დაპატიმრება აქ გამოყენებულია ფართო გაგებით და გულისხმობს სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში განხორციელებული თავისუფლების შეზღუდვის ყველა სახეს: შეჩერებას, დაკავებას, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის და სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას.
48. თავისუფლების პრეზუმფცია გულისხმობს თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევების და ხანგრძლივობის მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის და მინიმალური ხანგრძლივობით გამოყენებას, საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, შეუძლია გადაწონოს პიროვნების თავისუფლების მოთხოვნა.<sup>48</sup> ასეთ გარემოებად მიიჩნევა მიმალვის, მტკიცებულების განადგურების, მართლმსა-

<sup>45</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 06/04/2009 წლის გადაწყვეტილება №415, II-2, II-3.

<sup>46</sup> იხ., Jessop v New Zealand, №1758/2008 §7.9-7.10, CCPR/C/GC/35, General Comment No:35– Article 9, (Liberty and Security of Person), UN HR Committee, 28/10/2014.

<sup>47</sup> იხ., Storck v Germany, ECtHR, 16/06/2005, §74.

<sup>48</sup> J.G. v Poland, ECtHR, 06/04/2004, §50,56; Labita v Italy, 06/04/2000, §152.

- ჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, საზოგადოებისათვის აშკარა და მნიშვნელოვანი საფრთხე, რომლის განეიტრალება სხვაგვარად შეუძლებელია.
49. თავისუფლების პრეზუმფცია იმპერატიული ხასიათისაა და გულისხმობს, რომ პრეზუმფცია ყოველთვის გათავისუფლების სასარგებლოდ არსებობს.<sup>49</sup> ამიტომ პირის მიმართ თავისუფლების შეზღუდვის გამოყენება დაიშვება გამონაკლისის სახით აბსოლუტური აუცილებლობის არსებობისას. შესაბამისად, პირის მიმართ თავისუფლების შეზღუდვის საკითხის განხილვა მოსამართლემ უნდა დაიწყოს იმ მრწამსით, რომ დაკავებული უნდა გათავისუფლდეს – სასამართლომ არა მხოლოდ შეზღუდვების საფუძვლების დასაბუთებულობა უნდა შეამოწმოს, არამედ თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობაც.
50. თავისუფლების უფლება არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას. თუმცა მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით, მისი შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც:
- თავისუფლების შეზღუდვა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს – მაგალითად, დანაშაულის პრევენციას, დანაშაულის გამოძიებასა და მართლმსაჯულების განხორციელებას და ა.შ.
  - აუცილებლობა-თავისუფლების შეზღუდვა წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნების მიღწევის ერთადერთ ვარგის საშუალებას
  - თავისუფლების შეზღუდვა კანონიერია მატერიალური და საპროცესო თვალსაზრისით (გამოყენების წინაპირობების და ფორმის დაცვის ასპექტი).
51. მატერიალური კანონიერება – თავისუფლების შეზღუდვის გამოყენება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგალითად, დაკავების გამოყენების უფლება იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. საპროცესო კანონიერება გულისხმობს თავისუფლების შეზღუდვის გამოყენებას კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების/მიზნების და საფუძვლის არსებობისას უფლებამოსილი პირის მიერ, კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურის დაცვით, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით, სასამართლო კონტროლით.
52. პირის თავისუფლების შეზღუდვისათვის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მტკიცებითი სტანდარტის დაკმაყოფილების აუცილებლობას. რაც ერთ შემთხვევაში შესაძლებელია იყოს გონივრულ ეჭვი (პოლიციასთან მიმართებით), ხოლო დაკავების ან/და დაპატიმრების შემთხვევაში – დასაბუთებული ვარაუდი, და სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისას – გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი.
53. თავისუფლების აღკვეთა თვითნებურია, თუ ის მოიცავს „შეუსაბამობის, უსამართლობის და წინასწარგანჭვრეტადობის არარსებობის ელემენტებს.“<sup>50</sup>
54. თავისუფლების შეზღუდვა თვითნებურია, როდესაც ხორციელდება სს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მაგრამ არ არის დაცული თანაზომიერების ან/და საპროცესო კანონიერების მოთხოვნები. აღნიშნული თავის მხრივ გულისხმობს თავისუფლების შეზღუდვის გამოყენებას მაქსიმალურად შემჭიდროვებული ვადით, თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის პერიოდულ გადამოწმებას გონივრული ინტერვალებით.
55. დარღვევას აქვს ადგილი, თუ გადაწყვეტილების მიღება თავისუფლების შეზღუდვის შესახებ ხორციელდება ფორმალურად, სტანდარტული დასაბუთებით, კონკრეტული საქმის ინდივიდუალური სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე, ფორმალური სასამართლო განხილვის პრობებში<sup>51</sup> და პრევენციული თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში, რაც მიზნად ისახავს ზოგადად და არა კონკრეტული დანაშაულის თავიდან აცილებას.
56. სსკ ითვალისწინებს პასუხიმგებლობას თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის (143-ე მუხლი), განზრახ უკანონო დაკავებისა ან დაპატიმრებისათვის (სსკ 147-ე მუხლი), უკანონო

<sup>49</sup> იბ., *Patsuria v Georgia*, ECtHR 06/11/2007, §66-67; *Nikolaishvili v Georgia*, ECtHR 13/04/2009, §75.

<sup>50</sup> OSCE/ODIHR, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში. საქართველო. 09/12/2014, §140.

<sup>51</sup> *Assenov and other v Bulgaria*, ECtHR, 28/10/1998, §162; *Svipsta v Latvia*, ECtHR, 09/03/2006, §130-134.

- ნო მოთავსებისა ან დაკავებისთვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (149-ე მუხლი) და სხვა.
57. საქართველოს კანონმდებლობით და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული გარანტია თავისუფლების თვითნებური ან/და უკანონო შეზღუდვისგან, მართალია, არ არის აბსოლუტური ხასიათის მატარებელი და დაიშვება მისი შეზღუდვა ლეგიტიმური საჯარო მიზნის მისაღწევად თანაზომიერების მოთხოვნის დაცვით, მაგრამ საგანგებო მდგომარეობა და სხვა ანალოგიური ვითარება ვერ გაამართლებს თავისუფლების შეზღუდვას, რომელიც არაგონივრულია და არ არის აუცილებელი მოცემულ ვითარებაში.<sup>52</sup>
  58. თავისუფლების შეზღუდვა უკანონოა, როდესაც პირის შეწყალების ან/და დანიშნული სასჯელის ვადის მოხდის, სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის, სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ გადაწყვეტილების მიუხედავად არ ხდება პირის გათავისუფლება თავისუფლების შეზღუდვის ადგილიდან.
  59. საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინების შემთხვევაშიც კი, დაუშვებელია პირის თავისუფლების უფლებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საფრთხეს შორის ბალანსის შერყევა.<sup>53</sup> დაკავება არ შეიძლება გამართლებულ იქნეს სახელმწიფოსა და დაკავებულის ინტერესებს შორის ბალანსის დაცვისკენ მოწოდებით.<sup>54</sup>

## მუხლი 6. ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა

1. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კოდექსით გათვალისწინებული სპეციალური ნორმების საფუძველზე.
2. პირის დამნაშავედ ცნობა და მისთვის სასჯელის შეფარდება მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა.
3. უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას.
  1. **ნორმის მიზანი:** პროცესის მწარმოებელ ორგანოთა უფლებების გამიჯნვა, პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვა გაუმართლებელი შეზღუდვისგან.
  2. მუხლის მოქმედება ვრცელდება პროცესის უკლებლივ ყველა მონაწილეზე მათი საპროცესო სტატუსის და ინტერესის მიუხედავად – ბრალდებულის თავისუფლების უფლების შეზღუდვა, დაზარალებულის/მონმის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მათ მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედებების წარმოებისას; ბრალდებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას მასთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრების საკუთრების/ნივთების ჩხრეკა და სხვა.
  3. პროცესის მონაწილეთა უფლებები დარგობრივი სისხლის საპროცესო-სამართლებრივი აქტების გარდა მოცემულია პირველ რიგში საქართველოს კონსტიტუციაში (მაგალითად, მუხლები 16-21, 40, 42), რომელიც უფლებებს ორ ნაწილად ყოფს: აბსოლუტურ და შეზღუდვად უფლებებად. საპროცესო სამართლის კონსტიტუციური უფლებები, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წესი, ერთდროულად ორივე აქტში გვხვდება, მათი კონსტიტუციური დაცვის სტანდარტი უფრო მკაცრია, ვიდრე ვინაო დარგობრივი. მაგალითად, კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურობისათვის ჩარევის ინტენსივობიდან გამომდინარე, კონსტიტუციურ-სამართლებრივი წარმოება ითვალისწინებს მკაცრი ტეს-

<sup>52</sup> CCPR/C/GC/35, General Comment No35–Article 9 (liberty and Security of Person) UNHCR, IV-32; 28/10/2014, §8.9.

<sup>53</sup> Baisuev and Anzorov v Georgia, 18/12/2012, §60; ასევე იხ., Assenov and other v Bulgaria, ECtHR, 28/10/1998,

<sup>54</sup> იქვე.

- ტის გამოყენების შესაძლებლობას უფლების შეზღუდვის გამართლებისთვის მისი ხანგრძლივობიდან, სხვა უფლებათა რეალიზაციის შესაძლებლობაზე მისი გავლენის და ა.შ. გათვალისწინებით, ხოლო სსსკ აღნიშნული უფლების შეზღუდვისათვის საკმარისად თვლის დასაბუთებული ვარაუდის და დაპატიმრების აუცილებლობის არსებობას.
4. მუხლი ყურადღებას ამახვილებს კონსტიტუციით დაცული უფლება-თავისუფლებების შეზღუდვის შესაძლებლობაზე და უფლებების შეზღუდვას ითვალისწინებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით და სსსკ-ით (და არა საპროცესო კანონმდებლობით) გათვალისწინებული სპეციალური ნორმების საფუძველზე (მაგალითად, მესამე პირების საკუთრების უფლების შეზღუდვა საპოლიციო მიზნებიდან გამომდინარე, რაც გათვალისწინებულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით, მაგრამ არა სსსკ-ით ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს) და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ უფლების შეზღუდვა განხორციელდა ყველაზე ნაკლებად მზლუდავი ფორმით. კერძოდ, სსსკ ითვალისწინებს სპეციალურ წესს საპროცესო იძულების, საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისათვის, მათ შორის სსსკ 180-ე მუხლით გათვალისწინებული წესით ბრალდებულის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებისათვის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას. აგრეთვე პირადი ჩხრეკისას (სსსკ 121-ე მუხლის მე-4 მუხლით დადგენილი წესით), პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვისას (მაგალითად სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩანერა, კავშირგაბმულობის არხიდან/საფოსტო-სატელეგრაფო გზაგადაცემის კონტროლი, ყადაღის დადება და ამოღება, ბრალდებულის კორესპონდენციის მონიტორინგი), საკუთრების და მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვას (მაგალითად, ქონებაზე ყადაღის დადება, ჩხრეკა- ამოღება) და სხვა.
  5. სსსკ ითვალისწინებს კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობას, რისთვისაც განსაზღვრავს სპეციალურ პროცედურას. ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება ბრალდებულის კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების გზით. მათ შორის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების, ქონებაზე ყადაღის დადების, იძულებითი მიყვანის და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისათვის პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების (სსკ 180-ე მუხლი), ჩხრეკა-ამოღების წარმოების გზით და ა.შ.
  6. უფლების შემზღუდველი სამართლის ნორმები უნდა პასუხობდეს ასევე განჭვრეტადობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს.
  7. კონსტიტუციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ხარვეზის ან კოლიზიის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება კონსტიტუციის დებულებას, ხოლო 39-ე მუხლიდან გამომდინარე, კონსტიტუციაში მოცემული საყოველთაოდ აღიარებული უფლებების, თავისუფლებების და გარანტიების ჩამონათვალი ამომწურავი არ არის
  8. მუხლის თანახმად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფლება-თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას. როგორც წესი, კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა უნდა პასუხობდეს თანაზომიერების მოთხოვნას, რაც გულისხმობს უფლების შეზღუდვის პროპორციულობის შემოწმებას თანაზომიერი ან მკაცრი ტესტით. კერძოდ, შეზღუდვის კანონიერებისათვის ორივე შემთხვევაში შეზღუდვა:
    - უნდა ემსახურებოდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული კანონიერი მიზნის მიღწევას;
    - უნდა იყოს კანონიერი – როგორც განხორციელების საფუძველების, ასევე განხორციელების პროცედურის მიხედვით. კერძოდ, შეზღუდვა დაიშვება:
    - თუ აღნიშნული გათვალისწინებულია საპროცესო კანონმდებლობით და საქართველოს კონსტიტუციით;
    - თუ განხორციელების პროცედურის კანონიერება-შეზღუდვის წესი, ხანგრძლივობა, უფლება-ამოსილი პირი და ა.შ. შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;
    - თუ დაცულია პროპორციულობის მოთხოვნა – უფლების შეზღუდვა უნდა იყოს საჯარო

- მიზნის თანაზომიერი და უნდა განხორციელდეს იმ მინიმალური მოცულობით, რაც მოცემულ შემთხვევაში ქმნის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას (მაგალითად, დაკავების დროს ბრალდებულის წინააღმდეგობის დაძლევისათვის საჭირო ძალის გამოყენება, ჩხრეკის წარმოებისას – წინააღმდეგობის განწევის შემთხვევაში პროპორციული ძალის გამოყენება, რაც შეიძლება გამოიხატოს ჩხრეკის ადგილზე მყოფი პირების დაკავებაში, დაკეტილი საცავების შემტვრევაში და სხვა). თუმცა ამ შემთხვევაში პროცესის მონაწილეს აქვს კანონიერი მიზნის მიღწევის რამდენიმე შესაძლებლობა, რომელთაგან მან უნდა ამოირჩიოს ყველაზე ნაკლებად მზღუდველი ღონისძიება. მაგალითად, ბრალდებულის მიმალვის თავიდან აცილებისათვის პროკურორს შეუძლია ბრალდებულის მიმართ პატიმრობის, გირაოს, თავდებობის და აღკვეთის სხვა ღონისძიებებიდან ერთ-ერთის ამორჩევა. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც საპროცესო/საგამოძიებო მოქმედება ან სასამართლოს გადაწყვეტილება ზღუდავს კონსტიტუციურ უფლებას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის საფუძველზე, ან უფლების შეზღუდვა უკავშირდება უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევას, მაშინ შეზღუდვის კანონიერებისათვის შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ერთადერთ ვარგის საშუალებას. მაგალითად, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების კანონიერებისათვის პრევენციული დაპატიმრება უნდა წარმოადგენდეს ბრალდებულის მიმალვის თავიდან აცილების ერთადერთ საშუალებას. თუ მიმალვის თავიდან აცილება შესაძლებელია ასევე, მაგალითად, დიდი ოდენობის გირაოს შეფარდებით, ან გირაოსთან ერთად ელექტრონული მონიტორინგის გამოყენებით, მაშინ თავისუფლების უფლების შეზღუდვა არ აკმაყოფილებს მკაცრი ტესტის მოთხოვნას და წარმოადგენს უფლებაში გადაჭარბებულ ჩარევას.
9. მკაცრი ტესტის გამოყენების შემთხვევაში აღნიშნულ მოთხოვნას ენაცვლება აუცილებლობის სტანდარტი, რომლის თანახმად უფლების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ერთადერთ ვარგის საშუალებას.
10. სსსკ ახდენს უფლებათა მკაფიო გამიჯვნას პროცესის მწარმოებელ პირებს/ორგანოებს შორის – როგორც სასამართლოს არ აქვს უფლება დაიწყოს დევნა, ასევე არც ერთ სხვა ორგანოს არ აქვს მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება სამივე ინსტანციაში და მათ შორის ახლად გამოვლენილ გარემოებათა საფუძველზეც.

## მუხლი 7. სისხლის სამართლის პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

1. გამოძიების პროცესში მხარეს არა აქვს უფლება, თვითნებურად და უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. კერძო საკუთრების ან სხვა მფლობელობის და ნებისმიერი საშუალებით განხორციელებული კერძო კომუნიკაციის ხელშეუხებლობა გარანტირებულია კანონით.
2. საპროცესო მოქმედების ჩამტარებელმა არ უნდა გაამყლავნოს ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს საჭიროდ მიაჩნია.
3. პირს, რომელსაც ზიანი მიადგა მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამყლავნებით, აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის სრულად ანაზღაურების უფლება (1.08.2014 № 2634).
1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაცულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლით, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლით, პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციით, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით (პირადი ცხოვრების უფლებაში შემავალი ცალკეული უფლებრივი კომპონენტები ასევე დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-16, 36-ე 41-ე და სხვა მუხლებით) და სხვა.

2. სამართალწარმოების ფარგლებში პირადი ცხოვრების უფლებაში ნებადართული ჩარევის ფარგლები და წესი განსაზღვრულია ასევე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, „პოლიციის შესახებ“ კანონით, პატიმრობის კოდექსით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით და სხვა.
3. პირადი ცხოვრების დაცულობას უზრუნველყოფს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ხელშეუხებლობის ზოგი ქმედებისთვის (სსკ 157-160-ე მუხლები).
4. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობით დაცულია პროცესში მონაწილე ნებისმიერი პირის პირადი ცხოვრება. მათ შორის იურიდიული პირების კომუნიკაციის და საკუთრების ხელშეუხებლობა, სასჯელალსრულებით დაწესებულებაში მყოფი პირების პირადი ცხოვრება და კომუნიკაცია.
5. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის/განმარტოების უფლება, რომელიც ადრე უკავშირდებოდა საკუთრების (მოძრავი/უძრავი ქონების) ხელშეუხებლობას, დღეს წარმოადგენს პირზე ორიენტირებულ კონცეფციას.
6. პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს პირადი ცხოვრების ყველა უფლებრივ კომპონენტს.<sup>55</sup> მათ შორის: პირადი საქმიანობის ადგილს, კერძო სფეროში განხორციელებულ კომუნიკაციას, ოჯახურ ურთიერთობებს, ისევე როგორც სხვა პერსონალურ კავშირებს ადამიანთა გარკვეულ წრესთან<sup>56</sup> სახელის, პერსონალური და ბიომეტრიული მონაცემების, საცხოვრებლის, ოჯახური ცხოვრების (მათ შორის *de facto* ოჯახურ ურთიერთობას, თუ ერთად ცხოვრების ხანგრძლივობა ან/და სიმყარე ადასტურებს ფაქტობრივი ოჯახის არსებობას<sup>57</sup>), იდენტობის/ სექსუალური ორიენტაციის და ცხოვრების საიდუმლოება, გენდერული კუთვნილება, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებები, სამედიცინო გამოკვლევის შედეგები, ინფორმაცია პირის საცხოვრებელი ადგილის, ქონების, შემოსავლის, ნასამართლეობის შესახებ და სხვა. განაპირობებს რა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არსს, თითოეული მათგანი, იმავდროულად, დამოუკიდებელი შინაარსის მატარებელია. პირადი ცხოვრების ნებისმიერი კომპონენტის ხელყოფისას იზღუდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ზოგადად,<sup>58</sup> თუმცა დარღვევის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლებაში ჩარევის ინტენსივობას და შესაბამისად, თანაზომიერების პრინციპის დაცვას.
7. პირად ცხოვრებაში ჩარევას წარმოადგენს ასევე უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ კონკრეტული პირების შესახებ მონაცემების სისტემატიური შეკრება და შენახვა, თუნდაც ეს ინფორმაცია იკრიბებოდეს საჯარო ადგილებში<sup>59</sup> ან ეხებოდეს ადამიანის პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობას.<sup>60</sup> პირად ცხოვრებაში ჩარევას წარმოადგენს ასევე პირის მანქანაზე GPS-ის სისტემის მონეობილობის დამაგრება, რომელიც აგროვებს ინფორმაციას მისი ადგილსამყოფელისა და გადაადგილების შესახებ.<sup>61</sup>
8. პირადი ცხოვრება იმდენად ფართო კონცეფციაა, რომ არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრას. ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით, „საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ შეიქმნება ახალი ინსტიტუტები, რაც პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული

<sup>55</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 19/12/2008 წლის გადაწყვეტილება № 454, II-2.

<sup>56</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 10/06/2009 წლის განჩინება საქმეზე № 458, II-21.

<sup>57</sup> *Marckx v Belgium*, ECtHR, 13/06/1979, §31.

<sup>58</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/12/2007 წლის გადაწყვეტილება №407, II-4.

<sup>59</sup> *Peck v UK*, ECtHR, 28/01/2003, §59.

<sup>60</sup> იხ., *Amann v Switzerland*, ECtHR, (GC), 16/02/2000, §§65-67; და *Rotaru v Romania*, ECtHR, (GC), 04/05/2000, §§43-44.

<sup>61</sup> *Uzun v Germany*, ECtHR, 02/09/2010, §§51-53, იხ. ასევე *Shimovolos v. Russia*, ECtHR, 21/06/2011.

- ინფორმაციის მატარებელი იქნება. აღნიშნული ფორმულირება შესაძლებლობას იძლევა, რომ მომავალში სასამართლომ დაიცვას ისეთი სახის ურთიერთობები და ინფორმაცია, რომელიც ნორმაში პირდაპირ სახელდება არ არის მოცემული.<sup>62</sup>
9. თანამედროვე იურიდიულ დოქტრინაში გამოყოფენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის 7 ძირითად სფეროს:
    10. პიროვნული – მაგალითად, ბიომეტრიული მონაცემები და გენეტიკური კოდები;
    11. ქცევისა და მოქმედების კონფიდენციალურობა – სექსუალური ორინტაცია, რელიგიური შეხედულებები, პოლიტიკური საქმიანობა და სხვა აქტივობა, რაც ხორციელდება როგორც საჯარო სივრცეში საზოგადოდ, ასევე მკაცრად პირად სფეროში (მაგალითად, უფლებას ეძინოს შეხვედრაზე, ჩაიცვას არაადეკვატურად);
    12. პირადი კომუნიკაციის კონფიდენციალურობა – უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებას, იცავს ადამიანს კომუნიკაციის მიყურადებისა და მინიტორინგისგან, მათ შორის, სპეცმონყობილობების, ჩიპების, ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი მოწყობილობების გამოყენებისგან, სატელეფონო თუ უკაბელო კავშირურთიერთობის მიყურადება-ჩანერის და ელექტრონული კომუნიკაციის ხელმისაწვდომობისგან.
    13. გამოსახულებისა და პერსონალური მონაცემების დაცვა – უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას მათი ავტომატური დამუშავებისას, კრძალავს მათ ხელმისაწვდომობას გარეშე პირების /ორგანიზაციებისათვის, არადანიშნულებისამებრ გამოყენებას; შესაბამის პირს ანიჭებს საკუთარი პერსონალური მონაცემების შინაარსსა და მათ გავრცელებზე;
    14. გრძნობებისა და ფიქრების ხელშეუხებლობა – ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი აზრების გაზიარების თუ გაზიარებაზე უარის თქმის შესაძლებლობა. უნდა გაიმიჯნოს აზრები, ქცევა და გრძნობები. ქცევა ყოველთვის უპირობოდ არ გამოხატავს ადამიანის აზრებს;
    15. ადგილმდებარეობა და ლოკალიზაცია – ადგილმდებარეობის/მოძრაობის მარშრუტის იდენტიფიცირების თუ მონიტორინგის გარეშე გადაადგილების უფლება.<sup>63</sup> თავის მხრივ, ეს მოიცავს განმარტოების უფლებას ისეთ ადგილებში როგორცაა სახლი, მანქანა, ოფისი);
    16. გაერთიანების კონფიდენციალურობა – ნებისმიერ ადამიანთან/ პირთა ჯგუფთან გაერთიანების თავისუფლება. აღნიშნული მოიცავს, ერთი მხრივ, საკუთარი სურვილით გაერთიანების თავისუფლებას. მაგალითად, პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები, რელიგიური დაჯგუფებები და ა.შ., ასევე – პირის კუთვნილებას გარკვეული ჯგუფისადმი მისი სურვილისგან დამოუკიდებლად. მაგალითად, კონკრეტული ოჯახისადმი მიკუთვნება დნმ-ის პროფილის მიხედვით, ეთნიკური/ ეროვნული/რასობრივი ჯგუფისადმი და ა.შ.
    17. პირადი ცხოვრების უფლების ფარგლების განსაზღვრისას გამოიყენება „გონივრული მოლოდინის ტესტი“<sup>64</sup> – პირს არ გააჩნია მიზეზი იფიქროს, რომ თვალყურს ადევნებენ. მაგალითად, პირი შეიძლება ლეგიტიმურად ვარაუდობდეს, რომ მისი სამსახურებრივი სატელეფონო ხაზი არ ისმინება, თუ ამის შესახებ მას არ მიუღია ფორმალური გაფრთხილება.<sup>65</sup> ხელშეუხებლობის დარღვევას ადგილი არ აქვს, თუ პირის მოლოდინი მის პირად ცხოვრებას მიკუთვნებული ინფორმაციის დაცულობის შესახებ სუბიექტური და არაგონივრულია. მაგალითად, მის პირად ცხოვრებაში შემავალი ინფორმაცია, რომლის გამოყენებაც ხორციელდება მტკიცების მიზნებისათვის, საჯაროა და ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისათვის (მაგალითად, ქონებრივ დეკლარაციაში აღნიშნული უძრავ-მოძრავი ქონება, შემოსავლები, ქონების შექენა-გასხვისების თარიღები და შესაბამისი ხელშეკრულებების რეკვიზიტები, ოჯახის წევრების ვინაობა, დაბადების თარიღები და ადგილი და ა.შ.).

<sup>62</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 10/06/2009 წლის განჩინება №458, II-17, II 19.

<sup>63</sup> იხ., *Uzun v Germany*, ECtHR, 02/09/2010.

<sup>64</sup> აშშ-ში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინის ტესტი დადგენილ იქნა საქმეზე *Katz v US 389, US 347(1967)*

<sup>65</sup> იხ., *Halford v UK*, ECtHR, 25/06/1997, §42; იხ., ასევე *Kopp v Switzerland*, ECtHR, 25/03/1998.

18. არ არსებობს პირადი ცხოვრების დაცვის მოლოდინი, თუ რაიმე თვალნათელია საზოგადოებისთვის სწორად მოძებნილი დაკვირვების ადგილიდან (თუ დამკვირვებელს გააჩნია კარგი ლოკალიზაცია) და რისი დანახვაც შეუძლია ნებისმიერ პირს, მაგალითად, ვერტმფრენით სივრცის პატრულირებისას ჩანს, რომ ეზოში მოჰყავთ კანაფი, სათბურის დაზიანებული სახურავიდან მოჩანს რისი გამოყვანა ხდება სათბურში,<sup>66</sup> მავთულხლართიანი ლობის მიღმა ჩანს ეზოში მკვლელობის ფაქტი და სხვა, თუ აღნიშნული ინფორმაციის მოძიება არ წარმოადგენდა წინასწარგამიზნული თვალთვალის შედეგს.
19. არასწორად გაგებული ნდობის დოქტრინა – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არ იცავს პირს კომუნიკაციის მეორე მხარის მიერ ინფორმაციის გასაჯაროებისგან. მაგალითად, თუ მოსაუბრე აღმოჩნდება ინფორმატორი/კონფიდენტი ან პროცესის მწარმოებელ ორგანოს მიაწვდის ინფორმაციას შემდგარი კომუნიკაციის ფაქტის ან/და შინაარსის შესახებ. კომუნიკაციის დროს მხარეები თავად კისრულობენ კომუნიკაციის ფაქტთან დაკავშირებული ინფორმაციის არადანიშნულებისამებრ/მოტყუებით გამოყენების რისკს<sup>67</sup>, მაგალითად, სსსკ 50-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციისათვის პრივილეგირებული სტატუსის მოხსნის შესაძლებლობას ინფორმაციის მიმწოდებლის ნების შემთხვევაში, სსსკ 112-ე მუხლის პირველი ნაწილი და სხვა. ასევე კომპიუტერის ხელოსნის შეტყობინება პოლიციისათვის, რომ მისთვის შესაკეთებლად გადაცემული კომპიუტერი შეიცავს ბავშვთა პორნოგრაფიას.
20. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვას ასევე არ აქვს ადგილი და სასამართლოს ნებართვა არ არის საჭირო ნარკოტიკების მადებარი ძალის გამოყენების,<sup>68</sup> წასაღებად გამზადებული გადაყრილი ნაგვის/ ნაგვის ბუნკერის ჩხრეკის,<sup>69</sup> და სხვა შემთხვევაში. რაც შეეხება ნიმუშის აღებას, ვინაიდან ის შესაძლებელია ეხებოდეს ადამიანის ბიოლოგიურ ან ანატომიურ თავისებურებას, მისი აღებისათვის საჭიროა ან შესაბამისი პირის თანხმობა (რაც გულისხმობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ნებაყოფლობით შეზღუდვას), ან სასამართლოს განჩინება. გამონაკლისია, ის ბიოლოგიური/ანატომიური თავისებურებები, რომლებსაც ადამიანი ნებაყოფლობით ტოვებს საჯარო სივრცეში. პირად ცხოვრებაში აკრძალულ ჩარევას არ წარმოადგენს არც საჯარო თავშეყრის ადგილებში ფოტოგრაფირება, საჯარო ადგილებში პირის ქცევაზე მონიტორინგის მიზნით აუდიო-ვიზუალური დაკვირვება, სათვალთვალო კამერების რუტინული გამოყენება (მაგალითად, სავაჭრო ცენტრებში, რკინიგზაზე, ქუჩაში, საჯარო დანესებულებებში, შენობების შესასვლელში და ა.შ.) თუ არ ხდება ვიზუალური ინფორმაციის ჩანერა ან/და ფოტოსურათების დამუშავება მათზე ალბეჭდილი პირების იდენტიფიცირების მიზნით. მეორე მხრივ, ვიდეო-ჩანაწერების გამოყენება პირის იდენტიფიცირებისთვის და სასამართლო სხდომაზე მისი დემონსტრირებისათვის წარმოადგენს ჩარევას პირად ცხოვრებაში და უნდა აკმაყოფილებდეს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
21. სამართალწარმოების ფარგლებში, პირად ცხოვრებაში ჩარევის არაერთ საშუალებას ითვალისწინებს სსს კანონმდებლობა. მაგალითად, ზედაპირული შემოწმება, ჩხრეკა, მიყურადება, ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი, პირის შესახებ საჯარო/კერძო დანესებულებაში არსებული ინფორმაციის გამოთხოვა, გენეტიკური/ტრასოლოგიური/დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა და სხვა.
22. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა შესაძლებელია გამოიხატოს როგორც უფლებაში პირდაპირი უხეში ჩარევით, ასევე ურთიერთობის კონტროლით და თვალყურის დევნებით. მათ შორის, როგორც კერძო საკუთრებაში უნებართვო შესვლა,

<sup>66</sup> იხ., მაგალითად, Florida v Riley US445 (1989).

<sup>67</sup> იხ., მაგალითად, Hoffa v United States 385, U.S.293(1966).

<sup>68</sup> Illinois v Caballes, 543 U.S.405 (2005).

<sup>69</sup> California v. Greenwood, 486 U.S. 35(1988).



- შელწევა, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მფლობელობაზე აკუსტიკური/ ვიზუალური/ თერმული დაკვირვებით, ასევე პირზე აუდიო-ფოტო-ვიდეო დაკვირვებით, სანავიგაციო სისტემების მეშვეობით პირის გადაადგილების მონიტორინგით, ჩანაწერის შენახვა და დამუშავება, პირის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, შენახვა და დამუშავება, უარი სადავო პირადი ხასიათის ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე მისი სისწორის კონტროლის მიზნით, მის შესწორებაზე, მონაცემთა ელექტრონულ ბაზებში პირის შესახებ არსებული ინფორმაციის უარყოფის შესაძლებლობის არარსებობა და სხვა. თითოეული ამ ელემენტის არსებობა საკმარისია უფლებაში ჩარევის დასადგენად.
- 23.** სსკ-ი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვას ითვალისწინებს:
- 24.** სასამართლოს ნებართვის საფუძველზე – *ex ante* და *ex poste* სასამართლო კონტროლი, რომელიც პირადი ცხოვრების შეზღუდვისათვის მოითხოვს დასაბუთებულ ვარაუდის არსებობას. მაგალითად, ღია სივრცის დოქტრინა – დაიშვება საგნების ამოღება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ისინი წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის მტკიცებულებას; მოძრავი სატრანსპორტო საშუალების ჩხრეკა, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის შეიცავს დანაშაულებრივი საქმიანობის მტკიცებულებას; შემთხვევის ადგილზე პირის დაკავების თანმდევი ჩხრეკა – არსებობს დასაბუთებული ვარაუდი მტკიცებულების ან იარაღის აღმოჩენის მიზნით და სხვა.
- 25.** არ არის აუცილებელი არც დასაბუთებული ვარაუდი და არც სასამართლოს ნებართვა, მაგალითად, უფლების ნებაცხოვრებით შეზღუდვა, ადმინისტრაციული ჩხრეკა, სასაზღვრო ჩხრეკა – საბაჟო მოსაკრებლის გადახდის უზრუნველყოფის და სსკ 214-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების პრევენციისთვის. პირს უფლება აქვს ნებაცხოვრებით უარი განაცხადოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე. ამასთან, საკმარისია უფლებამოსილ პირთაგან ერთ-ერთის უარი, თუ ის აკმაყოფილებს ნებაცხოვრებითობის, სამართლებრივი სიცხადის, გაცნობიერების მოთხოვნებს<sup>70</sup>
- 26.** სასამართლოს ნებართვის გარდა დამატებითი ნებართვის საჭიროება, მაგალითად, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირების/ დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე ჩხრეკა; საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მოსამართლეთა პირადი ცხოვრების შეზღუდვით მათ შორის ჩხრეკის წარმოების გზით და სხვა
- 27.** აბსოლუტურად დაცული ურთიერთობები – მაგალითად, დაუშვებელია სათათბირო ოთახში თვალთვალის/მიყურადების გამოყენება.
- 28.** მე-7 მუხლი იცავს მთლიანად კერძო საკუთრებისა და მფლობელობის ხელშეუხებლობას. აღნიშნული მოიცავს როგორც მოძრავ, ასევე უძრავ ნივთებს, საცხოვრებელს, სამუშაო ადგილს (იმისდა მიუხედავად, სამუშაო ადგილი ტერიტორიულად გამოცალკევებული/ დაშორებულია საცხოვრებლისგან თუ ბინაშია, როგორც თავისუფალი პროფესიების შემთხვევაში. მაგალითად, სტომატოლოგიური კაბინეტი, ადვოკატის ოფისი, მუსიკის მასწავლებლის სამუშაო სივრცე და სხვა), დამხმარე ნაგებობას, ავტოფარეხს, სანაოსნო, სატრანსპორტო საშუალებას, მიწის ნაკვეთს, მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას (მანქანა, საჰაერო/საზღვაო ხომალდი), ტელეფონს, ძვირფასეულობას, შინაურ პირუტყვს, ასევე მასმედიის, გამომცემლობის რედაქციის, სამეცნიერო/საგანმანათლებლო, რელიგიური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, პოლიტიკური პარტიების სათავსებს<sup>71</sup> და სხვა. სპეციალურ რეგულირებას ექვემდებარება დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე ან დიპლომატიური წარმომადგენლის, მისი ოჯახის წევრის მიერ დაკავებული შენობის და სატრანსპორტო საშუალების ჩხრეკა.<sup>72</sup>

<sup>70</sup> იხ., სსსკ. 111-ე მუხლის კომენტარი.

<sup>71</sup> იხ., სსსკ. 123-ე მუხლის კომენტარი.

<sup>72</sup> იხ., სსსკ. 122-ე მუხლის კომენტარი.

29. იმავდროულად, მე-7 მუხლი იცავს ნივთის ხელშეუხებლობას საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათის მიუხედავად – საკუთრებაში, მფლობელობაში თუ სარგებლობაში აქვს აღნიშნული ქონება პირს.<sup>73</sup> იმისდა მიუხედავად, მუდმივად ახორციელებს აღნიშნული ნივთით სარგებლობას პირი თუ დროებით/სეზონურად (მაგალითად, ბინა, კერძო სახლი, აგარაკი, სასტუმროს ნომერი, საერთო საცხოვრებელი, კარავი, საცხოვრებელი ფურგონი და სხვა). პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია შესაბამის ქონებასთან პირის ფაქტობრივი ბმის ხასიათის (და არა სამართლებრივი) განსაზღვრა, ვინაიდან მუხლის დაცვის მიზანი არის არა საკუთრებითი, არამედ პირადი ხასიათის ურთიერთობა. შესაბამისად, სტრასბურგის პრეცედენტული სამართლის და თავად მუხლის სულისკვეთების შეუსაბამო იქნება გაქირავებული ბინის მესაკუთრის თანხმობა ჩხრეკაზე, ვინაიდან აღიშნული ფართის ჩხრეკისას საფრთხე ექმნება დამქირავებლების პირად ცხოვრებაში შემავალი ინფორმაციის გამჟღავნებას. საერთო საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისას მნიშვნელოვანია ინდივიდუალურ პირად საკუთრებაში შემავალი საკუთრების იდენტიფიცირება და თანხმობის ფარგლების სწორად განსაზღვრა.
30. კომუნიკაციის ხელშეუხებლობა: მე-7 მუხლი იცავს ნებისმიერი საშუალებით განხორციელებული კერძო კომუნიკაციის ხელშეუხებლობას, რაც გულისხმობს სატელეფონო, ვერბალურ, წერილობით კომუნიკაციას და კომუნიკაციას ჟესტიკულაციის მეშვეობით.
31. კომუნიკაციის ხელშეუხებლობა გულისხმობს კომუნიკაციის დაცვას გარეშე პირების არასასურველი მონაწილეობისგან და უზრუნველყოფს ნებისმიერი სახის მონაცემების ხელშეუხებლობას, რომელთა გადაცემა, შენახვა და გენერირება ხდება კავშირგაბმულობის საშუალების (მობილური და კაბელური ტელეფონები, ტელეგრაფი და სხვა), ან კომპიუტერული სისტემის მეშვეობით. მათ შორის მონაცემები შემავალი და გამავალი სიგნალების შესახებ, საფოსტო, სატელეგრაფო შეტყობინებები, მესიჯები, ელექტრონული ფოსტა, კომუნიკაცია სოციალური ქსელების გამოყენებით (მაგალითად, facebook, messenger, skype, viber, twitter, tumblr, whatsapp, pinterest, instagram, cloud და სხვა.), მმს-ები, ამანათები, ჩვეულებრივი ფოსტით წერილების მიღება-გაგზავნა, ინტერნეტაქტივობის ისტორია, რაც გულისხმობს, რომ დაცულია როგორც შინაარსი, ასევე თავად კომუნიკაციის არსებობის ფაქტის, მისი ხანგრძლივობის, თარიღისა და სიხშირის, ადგილმდებარეობის, კონტაქტების და დამეგობრებული პირების შესახებ ინფორმაცია, ინფორმაცია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების მომხმარებლების შესახებ. კომუნიკაციის თავისუფლება შესაძლებლობას აძლევს პირს თავად დამოუკიდებლად განსაზღვროს კომუნიკაციის ხერხი, შინაარსი, პარტნიორი, ინტენსივობა, თავისუფლად და გარეშე მონიტორინგის შიშის გარეშე გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები, სურვილები, პოზიცია, დამოკიდებულება და სხვა. ამიტომ სსსკ ითვალისწინებს სასამართლოს კონტროლს კორესპონდენციის დაყადაღების, სატელეფონო საუბრების მიყურადებისა და ინტერნეტკომუნიკაციის მონიტორინგზე.
32. სსსკ ითვალისწინებს მხოლოდ კერძო კომუნიკაციის ხელშეუხებლობას, რომელიც არ არის მიმართული პირთა განუსაზღვრელი წრისკენ (მაგალითად, სატელევიზიო დებატების, თოქ-შოუს და ა.შ. ფორმატში) და განკუთვნილია იდენტიფიცირებული პირებისათვის. უფლება ვრცელდება ასევე იურიდიულ პირებსა და სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულებზე/მსჯავრდებულებზე პატიმრობის კოდექსით დადგენილი სპეციფიკის გათვალისწინებით. მიმონერის ხელშეუხებლობა გამორიცხავს თავისუფლება-შეზღუდულ პირთა კორესპონდენციაზე აბსოლუტურ კონტროლს და მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას საკითხისადმი კერძო და საჯარო ინტერესების სამართლიანი დაბალანსების პირობებში.
33. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას. იკრძალება მხოლოდ თვითნებური და უკანონო ჩარევა. უფლება პირად ცხოვრებაზე ე.წ. დაცვითი უფლებაა და გულისხმობს, რომ მასში ჩარევა დაიშვება მხოლოდ

<sup>73</sup> მთავარია, პირს გააჩნდეს შესაბამის ქონებაზე კანონიერი უფლება.

- კანონმდებლობით მკაცრად განსაზღვრული წესით და პირობებში.
34. პირადი ცხოვრების უფლების ლეგიტიმური შეზღუდვისათვის აუცილებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის/უფლების შეზღუდვის საპროცესო ფორმის დაცვა და შესაბამისი მატერიალური საფუძვლების არსებობა, კერძო და საჯარო ინტერესთა სამართლიანი და თანაზომიერი ბალანსის უზრუნველყოფა, უფლების შეზღუდვა დასაშვები მინიმალური ხანგრძლივობით და მოცულობით, კანონიერი მიზნის არსებობა.
  35. მე-7 მუხლი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას ორ ნაწილად ყოფს პასუხისმგებელი პირებისა და რეგულირების სფეროს მიხედვით. კერძოდ:
  36. გამოძიების სტადიაზე – კერძო საკუთრების და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის დაცვის ვალდებულებას აკისრებს მხოლოდ მხარეებს (მე-7 მუხლის პირველი ნაწილი). მუხლის სიტყვასიტყვითი ფორმულირებიდან გამომდინარე აღნიშნული ვალდებულება არ ეკისრება სასამართლოს. სასამართლოს ვალდებულება გათვალისწინებულია სსსკ სხვა მუხლებით (მათ შორის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილითაც ნაწილობრივ).
  37. მთელი სამართალწარმოების მანძილზე – პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელშეუხებლობის დაცვის ვალდებულებას აკისრებს საპროცესო მოქმედების განმახორციელებელ ნებისმიერ პირს და სისხლის სამართლის საქმის გამოძიება-განხილვის პროცესთან რაიმე სახით დაკავშირებულ/ მემხებლობაში მყოფ ყველა პირს, – როგორც გამომძიებელს (მათ შორის იმ გამომძიებელს, რომელიც ატარებს ჩხრეკას დაცვის მხარის ინიციატივით სასამართლოს განჩინების საფუძველზე (სსსკ 111-ე მუხლის პირველი ნაწილი). ასევე ადვოკატს, ბრალდებულს, ექსპერტს, ვინც უშუალოდ ახორციელებს შესაბამის საპროცესო მოქმედებას), თარჯიმანს (იხ. სსსკ 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი), საპროცესო მოქმედებაში მონაწილე სხვა პირებს. მაგალითად, გვამის ექსპერტიზისას – სასაფლაოს ადმინისტრაციის წარმომადგენელს, პირებს, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საფლავის გახსნას, ჩხრეკის წარმოებისას – დამსწრე პირებს, თარჯიმანს და სხვა.
  38. ცნობების გამჟღავნების აკრძალვა: მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი ეხება საპროცესო მოქმედების მწარმოებელ პირს, რომელიც პროცესში შესაძლებელია არ იყოს მხარე მაგალითად, ექსპერტი, თარჯიმანი. პირადი ცხოვრების/დაცული სფერო აქ კიდევ უფრო ფართოვდება და იყოფა პრაქტიკულად ორ ნაწილად: 1. ცნობები, რომლებიც ეხება პირად ცხოვრებას და 2. პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს მიაჩნია საჭიროდ.
  39. მე-7 მუხლის პირველი ნაწილი კრძალავს მხარეების მიერ საკუთრებისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის თვითნებურ და უკანონო შეზღუდვას.
  40. თვითნებურ შეზღუდვას წარმოადგენს უფლებაში ჩარევა არაუფლებამოსილი პირის მიერ, ან უფლებამოსილი პირის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. თვითნებური შეზღუდვა იმავდროულად უკანონოცაა. უკანონო შეზღუდვას მიეკუთვნება უფლებაში ჩარევა სათანადო საფუძვლის ან/და წინაპირობის არარსებობის შემთხვევაში, არაუფლებამოსილი პირის მიერ, გადამეტებული ინტენსივობით (არეალი ან ხანგრძლივობა); კანონით დადგენილი წესით, მაგრამ საპროცესო ფორმის დაუცველად.
  41. პირის ინტერესი, არ დაუშვას კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია.<sup>74</sup> მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს პირად ცხოვრებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას და ადგენს რა სახის ინფორმაცია შეიძლება იქნეს შენახული პრივატულად და ვისგან ხდება ამ ინფორმაციის დაფარულად შენახვა.
  42. პირად ცხოვრებას მიკუთვნებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვან-

<sup>74</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30/10/2008 წლის გადაწყვეტილება № 406, 408, II-15.

- ნია: მოპოვებული ინფორმაციის დანიშნულება/რისთვის იქნება გამოყენებული, საიდან ხდება ინფორმაციის მოპოვება, ინფორმაციის წყარო, შედეგები იმ პირისათვის, რომლის პირადი ცხოვრების შემადგენელ ინფორმაციასაც ეხება საკითხი. მაგალითად, ე.წ. ქუჩის სათვალთვალ კამერების ჩანაწერის გადაცემა და გავრცელება მედიით, რომელზეც ასახულია პირის თვითმკვლელობა მაჯებზე ვენების გადახსნის გზით, ხელყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.<sup>75</sup>
- 43.** იკრძალება პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების და პირადი ხასიათის ცნობების გამოქვეყნება. პირადი ცხოვრების შესახებ ცნობები გულისხმობს – ინფორმაციას პირის შემოსავლების, ფინანსური ვალდებულებების, ნასამართლეობის, ქონების, ოჯახის წევრების და ახლო მეგობრების, ინტერესის სფეროების, მსოფლმხედველობის, ორიენტაციის, კონკრეტული საკითხისადმი მისი დამოკიდებულების და ა.შ. შესახებ, როდესაც აღნიშნული არ არის საჯაროდ გაცხადებული და პირს სურს ამ ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვა.
- 44.** საჯარო პირებთან მიმართებით პირად ცხოვრებას მიკუთვნებული ინფორმაცია უფრო ვიწროა, ვიდრე კერძო პირების შემთხვევაში. ვინაიდან საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნული პირები ამ ინფორმაციის ნაწილის საჯაროდ გაცხადებას ნებაყოფლობით ახდენენ, მაგალითად, თანამდებობრივი და ქონებრივი დეკლარაციების შევსებით, პოლიტიკურ დებატებში/ ინტერვიუებში საკუთარი პოზიციის, სხვადასხვა საკითხისადმი დამოკიდებულების საჯაროდ და ღიად გამოსატყობით, ბიოგრაფიული მონაცემები, პროფესიული/სამუშაო გამოცდილების და ა.შ. ისინი ნებაყოფლობით აცხადებენ უარს ამ თემებთან მიმართებით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების გამოყენებაზე.
- 45.** პირადი ხასიათის ცნობებს მიეკუთვნება პერსონალური მონაცემები, პირადი ხასიათის ჩანაწერები, მათ შორის პირის მიერ ხელნაწერის, ბეჭდური თუ აუდიო/ვიდეო ფორმით განხორციელებული ჩანაწერი (მაგალითად, დღიურის/წიგნაკის, მემოს და ა.შ. სახით), ასევე გამგზავნა და მიმღებს შორის ნებისმიერი სახით მოძრავი კერძო კორესპონდენცია, რომელიც ეხება პირის პირადი ცხოვრების დაცულ სფეროს ან პროფესიულ საქმიანობას და არ არის განკუთვნილი საჯარო ხელისუფლების ან პირთა თუნდაც შედარებით ფართო წრისათვის, ფოტოსურათები, ინფორმაცია ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, პერსონალური მონაცემები. პერსონალურ მონაცემებს წარმოადგენს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება (საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ, 2011 წლის 28 დეკემბერი). პერსონალური მონაცემის დაცვაში საბოლოოდ პრიორიტეტი ენიჭება არა მგრძობიარობის, არამედ იდენტიფიკაციის კრიტერიუმს – მონაცემი დაცვას ექვემდებარება, უკეთეს შემთხვევაში პირის იდენტიფიკაცია.<sup>76</sup> „პირის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებად არ შეიძლება მხოლოდ მისი სახელის, საცხოვრებელი ადგილის და ა.შ. მონაცემები ჩაითვალოს....ფინანსებთან დაკავშირებულ ინფორმაციაში იგულისხმება ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ ფულსა ან ფულად ურთიერთობებს შეეხება და სრულ ან ნაწილობრივ წარმოდგენას ქმნის პირის ფინანსურ მდგომარეობაზე. ფინანსებთან დაკავშირებულ ინფორმაციაში იგულისხმება მონაცემები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ასახავს პირის კერძო სფეროს მატერიალურ მხარეს, მისი არსებობის თუ საქმიანობის მატერიალურ საფუძველს.“<sup>77</sup> ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის გამოყენება გამართლებულია ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელის განსაზღვრის, პოტენციური დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასებისთვის და სხვა.
- 46.** დაუშვებელია სისხლის სამართალწარმოების მიზნებისათვის მონიშნულ ტექნოლოგიების და თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების გამოყენება უფლებათა ბალანსის დაცვის გარეშე.

<sup>75</sup> იხ., მაგალითად, Peck v the UK, ECtHR, 28/01/2003.

<sup>76</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30/05/2013 წლის № ბს-527-518(კ-12) განჩინება.

<sup>77</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 22/06/2012 წლის №3-155/12 გადაწყვეტილება.

- შესაბამისად, განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს დნმ-ის პროფილების, უჯრედული ნიმუშების, თითის ანაბეჭდების საგამოძიებო მიზნებისათვის შენახვასთან დაკავშირებული საკითხები (შენახვის ხანგრძლივობა, შენახვის ფორმატი/წესი (ინფორმაცია ინახება დამუშავებული თუ დაუმუშავებელი სახით), ბაზებისადმი ხელმისაწვდომობა, აღნიშნული ბიოლოგიური ნიმუშების აღების დასაშვებობის წინაპირობები, შესაბამისი პირების შერჩევის კრიტერიუმები და სხვა).<sup>78</sup>
47. ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება უკავშირდება სუბიექტურ კრიტერიუმს (იმ პირის სუბიექტური პოზიცია ინფორმაციის გამჟღავნების საკითხისადმი) და არა ობიექტურს (ინფორმაციის კონფიდენციალურობის აუცილებლობა გამოძიების მიზნებისათვის ან/და ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის). კანონმდებლობა არ განსაზღვრავს რამდენად გონივრული უნდა იყოს პირის მოთხოვნა.
  48. მე-7 მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს კომპენსაციას პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის უკანონოდ გამჟღავნებისათვის.
  49. სსსკ არ გამორიცხავს ლეგიტიმური საჯარო მიზნებისთვის (მაგალითად, დანაშაულის გამოძიება, მართლმსაჯულების განხორციელება, პრევენცია, სახელმწიფო უსაფრთხოება და სხვა) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას. შესაბამისად, პროცესის მონაწილე პირს გარკვეულ შემთხვევაში ეკისრება თმენის ვალდებულება, მათ შორის მის პირად ცხოვრებაში შემავალი ინფორმაციის გამჟღავნების საკითხში. მაგალითად, თუ ქმედების სწორი კვალიფიკაციითვის საჭიროა პირის ნასამართლეობაზე მითითება, მისი ფსიქიკური/გონებრივი ჯანმრთელობის საკითხის განხილვა, სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა გამოძიებისას – მისი ინტიმური ცხოვრების დეტალების, იდენტობის და ა.შ. საკითხების განხილვა.
  50. დაცვის მხარეზე მოქმედი კერძო პირების მხრიდან (ადვოკატი/ბრალდებული) მესამე პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებების შეზღუდვის პრევენციისათვის, სსსკ ითვალისწინებს ვალდებულებას, რომ დაცვის მხარის შუამდგომლობით ჩასატარებელი ჩხრეკა-ამოღება განახორციელოს გამოძიებელმა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო პასუხისმგებელია ინფორმაციის დაცულობასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე.
  51. აღნიშნული უფლება ეკუთვნის ნებისმიერ პირს, რომლის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებასაც ჰქონდა ადგილი სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში ან სამართალწარმოებასთან დაკავშირებით მოწმეს, დაზარალებულს, ბრალდებულს, თარჯიმანს, პროცესის მწარმოებელ პირს და სხვა. ინფორმაციის გამჟღავნება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პროცესის მწარმოებელი პირის/ორგანოს, ასევე პროცესში მონაწილე ნებისმიერი სუბიექტის, სამართალწარმოებაში არმონაწილე პირების მხრიდან. მაგალითად, საფინანსო ინსტიტუტების, სამედიცინო დაწესებულების, პირადი ექიმის, სადაზღვევო კომპანიის მიერ და სხვა.
  52. მე-7 მუხლის მე-3 ნაწილი პირს კომპენსაციის უფლებას ანიჭებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება განხორციელდა:
  53. უკანონოდ.
  54. მხოლოდ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით/ სამართალწარმოების ფარგლებში.
  55. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურების საკითხი, თუ ეს არ უკავშირდება სისხლის სამართალწარმოებას, რეგულირდება სპეციალური დარგობრივი კანონმდებლობით და არა სსსკ მე-7 მუხლის მე-3 ნაწილით.
  56. გამჟღავნების ხერხის უკანონობა: ინფორმაციის მოპოვება კანონიერად ხდება, მაგრამ ხდება მისი „გაჟონვა“, არადანიშნულებისამებრ გამოყენება. მაგალითად, პროცესის მწარმოე-

<sup>78</sup> იხ., მაგალითად, S and Marper v UK, ECtHR, 04/12/2008. აღნიშნულის საპირისპიროდ იხ., B.B. v France, Gardel v. France, M.B. v France, ECtHR, 17/12/2009, სადაც სასამართლომ სქესობრივი დანაშაულის ჩამდენი პირების ეროვნულ ბაზაში კონკრეტული ბრალდებულების მონაცემების შენახვა 30 წლის ვადით დასაშვებად მიიჩნია.

- ბელმა პირმა არ გააფრთხილა მოწმე/თარჯიმანი ინფორმაციის გამჟღავნების აკრძალვის შესახებ; საფინანსო დაწესებულებამ გასცა ინფორმაცია მოწმის/დაზარალებულის/ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (შემოსავლები, ფინანსური ვალდებულებები, თანხების ბრუნვა ანგარიშებზე, პლასტიკური ბარათით წარმოებული ტრანსაქციების და ა.შ.); სამედიცინო პერსონალის მიერ გასაჯაროვდა პირის სამედიცინო ისტორია (მის მიერ გადატანილი დაავადებები, ნოზოლოგია, ჩატარებული მკურნალობა და ა.შ.).
57. უკანონოდ გამჟღავნებას ადგილი აქვს, თუ, მაგალითად, პერსონალური მონაცემების/პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების გამჟღავნება ხდება;
  58. სანებართვო პროცედურების დარღვევით;
  59. იმაზე მეტი მოცულობით, ვიდრე ეს აუცილებელია;
  60. ემსახურება უკანონო მიზანს – მაგალითად, დაზარალებულის/მოწმის დისკრედიტაციის მიზნით მის აქტიურ სექსობრივ ცხოვრებაზე აპელირება და სხვა.
  61. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ ადგენს კომპენსაციის უფლებას, კომპენსაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა არ ხდება სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში. პირს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება გააჩნია სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში / ნესით. „სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებასა და პირისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენის შემთხვევაში, უნდა მოხდეს ზიანის სრული კომპენსირება.“<sup>79</sup> ანაზღაურებას ექვემდებარება პირველ რიგში მიყენებული მორალური და ქონებრივი ზიანი.

#### **მუხლი 8. სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება**

1. **ბრალდებულს (მსჯავრდებულს, გამართლებულს) აქვს სამართლიანი პროცესის უფლება.**
2. **ბრალდებულს აქვს უფლება სწრაფი მართლმსაჯულებისა ამ კოდექსით დადგენილ ვადებში.** პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს ამ უფლებაზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მომზადებისათვის.
3. **სასამართლო ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.**
1. **ნორმის მიზანი:** ბრალდებულის უფლებების სასამართლოს მეშვეობით ეფექტიანად დაცვის უზრუნველყოფა.
2. სამართლიანი სასამართლოს უფლება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით და ზოგიერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტით. მათ შორის, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მე-9 და მე-14 მუხლი), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მე-5 და მე-6 მუხლი), ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია (47-ე მუხლი), ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (მე-8 მუხლი).
3. სამართლიანი სასამართლოს უფლება ეხება როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს.
4. **სწრაფი მართლმსაჯულება:** სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი მოითხოვს სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფას სამართალწარმოების სისწრაფეს და სამართალწარმოების ჯეროვნად განხორციელებას შორის. ხელს უწყობს ბრალდებულის გაურკვევლობაში ყოფნის, მის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების ხანგრძლივობის და ბრალდებულის რეპუტაციისათვის ზიანის მინიმუმამდე შემცირებას.
5. მართლმსაჯულების გაჭიანურება ზიანს აყენებს მართლმსაჯულების ეფექტიანობას და სარწმუნოებას და ხშირ შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის ტოლფასია, ვინაიდან სამართალწარმოების ხანგრძლივობა შესაძლებელია უარყოფითად აისახოს მტკიცებულებათა ხარისხსა თუ დასაშვებობაზე. მაგალითად, დროის ხანგრძლივობასთან ერთად შესაძლებელია მოწმეს გაუჭირდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ცალკეული დეტალების გახსენება, მოწმეთა ნაწილი შესაძლებელია გარდაიცვალოს,

<sup>79</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 7/12/2009 წლის გადაწყვეტილება № 423, II-7.

- შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი, მტკიცებულებები განადგურდეს მათ შორის ბუნებრივი მოვლენების მოქმედების შედეგად, დაკარგოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე თვისებები და სხვა. დაყოვნება შესაძლებელია უარყოფითად აისახოს სასჯელის პრევენციულ მნიშვნელობაზეც, როდესაც დიდია დროის შუალედი დანაშაულის ჩადენასა და დამნაშავისათვის სასჯელის დანიშვნას შორის.
6. უფლება სწრაფ მართლმსაჯულებაზე არსებობს ბრალდებულის შუამდგომლობის მიუხედავად და არ არის დამოკიდებული იმაზე, შუამდგომლობს თუ არა აღნიშნულის შესახებ ბრალდებული.
  7. სწრაფი მართლმსაჯულების უფლების დარღვევის დასადგენად არ მოითხოვება ბრალდებულის მიერ დაყოვნებით მისთვის ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცება და დავის შემთხვევაში, პროცესის მწარმოებელ ორგანოს ეკისრება ასეთი ზიანის არარსებობის მტკიცების მოვალეობა.
  8. ვადის ათვლა იწყება პირისთვის ბრალდებულის სტატუსის მინიჭებით და სრულდება სისხლისსამართლებრივი დევნის დასრულების მომენტში – განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლით (გასაჩივრების მექანიზმების გამოყენებაზე უარის თქმა, ან/და გასაჩივრების პროცედურების ამონურვა) ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტით. შესაბამისად, აღნიშნული ვადა მოიცავს როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ხანგრძლივობას, ასევე წინასასამართლო, პირველი ინსტანციის სასამართლოში არსებითი განხილვის, სააპელაციო და საკასაციო წარმოების ხანგრძლივობასაც. შესაბამისად, ყველა სტადიაზე სამართალწარმოება უნდა ხორციელდებოდეს „უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე“.
  9. აღნიშნული პრინციპი არ მოითხოვს სამართალწარმოების დაყოვნების გარეშე განხორციელებას. ის კრძალავს მხოლოდ გაუმართებელ დაყოვნებას. სწრაფი სამართალწარმოების პრინციპის დარღვევას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამართალწარმოება ცალკეულ ეტაპებზე სწრაფად ხორციელდება.<sup>80</sup> ვადის გონივრულობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია არა მხოლოდ სსსკ დადგენილი შესაბამისი საპროცესო ვადების ფორმალურად დაცვა, არამედ აღნიშნული ვადის ეფექტიანად გამოყენება საპროცესო მიზნებისათვის. ამიტომ სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი დარღვეულია, როდესაც პროცესის მწარმოებელი ორგანო იცავს სსსკ დადგენილი ვადის მაქსიმალურ ხანგრძლივობას, მაგრამ საქმისწარმოების პროცესში ვხვდებით „უმოქმედობის“ ხანგრძლივ პერიოდებს. კერძოდ, პერიოდს, როდესაც საქმისწარმოება გაჩერებულია და არ ხდება ახალი მტკიცებულების მოპოვების მიზნით შესაბამისი საგამოძიებო/საპროცესო ან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოება, თუმცა ამის გაკეთება შესაძლებელი და საჭირო იყო.
  10. არც საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა და არც საერთაშორისო სამართალი არ ადგენს სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობას. ვადის გონივრულობა განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით საქმის ინდივიდუალური გარემოებების საფუძველზე. ვადის გონივრულობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს: საქმის სირთულე, დაცვის მხარის ქცევა, პროცესის მწარმოებელი ორგანოს ქმედებები<sup>81</sup>. დამატებით, მხედველობაში მიიღება:
    - ბრალდებულისათვის მოსალოდნელი შედეგები (მათ შორის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, თავისუფლების შეზღუდვა და სხვა);
    - წარდგენილი ბრალდების სიმძიმე;
    - მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრე.<sup>82</sup>

<sup>80</sup> Dobbertin v France, ECtHR, 25/02/1993, §44.

<sup>81</sup> Kharitonashvili v Georgia, ECtHR, 41957/04, 10/02/2009, §39; König v. Germany, ECtHR, 10/03/1980, §99; Neumeister v. Austria, ECtHR, 27/06/1968, §21; Ringeisen v. Austria, ECtHR, 22/06/1972, §110; Pelissier and Sassi v. France, ECtHR, (GC), 25/03/1999, §67; Pedersen and Baadsgaard v. Denmark, ECtHR, 17/12/2004, §459.

<sup>82</sup> КПЧ, Замечание общего порядка №32, §35; Kemmache v France, ECtHR, 02/11/1993, §60; Mc Farlane v. Ireland,

11. საქმის სირთულე – საქმის სირთულის განსაზღვრისათვის საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტორი უნდა იყოს შეფასებული. საქმის სირთულე შესაძლოა დაკავშირებული იყოს როგორც ფაქტებთან, ასევე სამართლებრივ საკითხებთან.<sup>83</sup> გათვალისწინებულ უნდა იქნეს შერაცხული დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი, ბრალდების (სისხლის სამართლის კოდექსის რამდენი მუხლით/პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ედება პირს ბრალი), სავარაუდო თანამონაწილეთა, მოძიებული მტკიცებულებების და მოწმეთა რაოდენობა<sup>84</sup>, საქმის ფაქტობრივი გარემოებების და სამართლებრივი საკითხების სირთულე,<sup>85</sup> საქმის მასალების დიდი მოცულობა, განსახორციელებელი გამოძიების ხასიათი და გამოძიების ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობის გამოყენების საჭიროება (მაგალითად, როდესაც საქართველოში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში საჭირო ხდება ზოგიერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების განხორციელება საქართველოს ფარგლებს გარეთ), მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების ხასიათი<sup>86</sup>, საქმეთა გაერთიანება<sup>87</sup>, სამართალწარმოებაში ექსპერტების, თარჯიმნების და სხვა პირების მონაწილეობა,<sup>88</sup> ექსტრადიცია და სხვა.
12. შედარებით რთულ დანაშაულად მიიჩნევა და უფრო ხანგრძლივ ვადას საჭიროებს ეკონომიკური, ნარკოტიკული, ტერორისტული, ტრანსსასაზღვრო ორგანიზებული დანაშაული, საერთაშორისო მასშტაბის მქონე, ლატენტური დანაშაული, ე.წ. თეთრსაყელიანთა დანაშაული, იურიდიული პირების მხრიდან განხორციელებული ფართომასშტაბიანი თაღლითობები, რაც საჭიროებს დიდი რაოდენობით საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის შესწავლას არაერთი ექსპერტის მონაწილეობით და სხვა.
13. დაცვის მხარის ქცევა – ბრალდებულს არ ევალება პროცესის მწარმოებელ ორგანოებთან თანამშრომლობა.<sup>89</sup> ამიტომ, თუ ბრალდებული არ ეხმარება გამოძიებას, აქტიურად არ თანამშრომლობს პროცესის მწარმოებელ ორგანოსთან და არ ცდილობს სამართალწარმოების დაჩქარებას, აღნიშნული არ ამართლებს სამართალწარმოების ხანგრძლივობის გაზრდას.<sup>90</sup> დაუშვებელია ბრალდებულის არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება დუმილის უფლების გამოყენების, დაცვის ჯეროვნად მომზადების, მტკიცებულების წარმოდგენის უზრუნველყოფის მიზნით სასამართლო განხილვის გადადების დასაბუთებული მოთხოვნის ან მისი სხვა უფლების გამოყენების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში საქმისწარმოება ობიექტურად დროში უფრო გახანგრძლივდება, გახანგრძლივებული ვადა გონივრული იქნება. მაგრამ თუ სამართალწარმოების გაჭიანურება გამოწვეულია დაცვის მხარის მიერ სსსკ კოდექსით ბრალდებულისთვის/ადვოკატისთვის მინიჭებული უფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენებით (მაგალითად, გასაჩივრების, შუამდგომლობის დაყენების, აცილების და სხვა უფლებები), თუ ბრალდებული მიმალვამია, ახდენს მოწმეებზე ზემოქმედებას, მტკიცებულების დამალვას ან განადგურებას და სხვა, მაშინ ბრალდებულის ქცევა ამართლებს პროცესის ხანგრძლივობას და გაზრდილი ვადების გონივრულობას.
14. აშშ უზენაესმა სასამართლომ საქმეზე ბარკერი ვინგოს<sup>91</sup> წინააღმდეგ აღნიშნა, რომ პროცესის გაჭიანურება უცხო ტაქტიკა არ არის დაცვის მხარისათვის, განსაკუთრებით, როდესაც

ECtHR, (GC), 10/09/2010, §§140-156; Kudla v. Poland, ECtHR, (GC), 26/10/2000, §§124-131; Межамериканский суд: Хилари, Константин, Бенджамин и другие против Тринидада и Тобаго, (2002) §143.

<sup>83</sup> Katte Klitsche de la Grange v. Italy, ECtHR, 27/10/1994.

<sup>84</sup> Angelucci v. Italy, ECtHR, 19/02/1991.

<sup>85</sup> Pischalnikov v. Russia, ECtHR, 24/09/2009, §49.

<sup>86</sup> Triggiani v. Italy, ECtHR, 19/02/1991.

<sup>87</sup> Diana v. Italy, ECtHR, 15/11/1996.

<sup>88</sup> Maniery v. Italy, ECtHR, 27/02/1992.

<sup>89</sup> Eckle v. the Federal Republic of Germany, ECtHR, 15/06/1982.

<sup>90</sup> Ceteroni v. Italy, ECtHR, 15/11/1996.

<sup>91</sup> Barker v. Wingo, 407 U.S.514, 1972.



- ბრალდებულის ბრალეულობა მოწმეების ჩვენებით დასტურდება. როდესაც დანაშაულის ჩადენიდან სასამართლო განხილვამდე დიდი დროა გასული, მოწმეების სასამართლოში წარდგენა შესაძლებელია შეუძლებელი გახდეს (მაგალითად, გარდაცვალების, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის და სხვა მიზეზით) ან მათ მეხსიერებას პრობლემები შეექმნას, რაც მნიშვნელოვნად შეასუსტებს ბრალდების მხარის პოზიციას და, საბოლოო ჯამში, შესაძლებელია ბრალდებისათვის შეუძლებელი გახადოს ბრალდებულის ბრალეულობის მტკიცების ტვირთის განხორციელება.
- 15.** პროცესის მწარმოებელი ორგანოს ქმედებები – გაჭიანურებას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. გამოძიების ეტაპზე გაჭიანურება შეიძლება მოიცავდეს უსარგებლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს<sup>92</sup>, არაერთი საექსპერტო მოსაზრების მოპოვებას<sup>93</sup> და სხვა. სასამართლო განხილვის ეტაპზე გაჭიანურება გამოიხატება განხილვის არაეფექტურ ორგანიზებაში, მათ შორის საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოქვეყნების მიზნით დაუსრულებელი სასამართლო პროცესების გამართვა,<sup>94</sup> დოკუმენტების გადაგზავნის,<sup>95</sup> სასამართლო სხდომების ოქმების ან განაჩენის მომზადების გაჭიანურება, პროცესების გადადება და სხვა.
- 16.** თუ პროცესის მწარმოებელი ორგანო არ ახდენდა მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით კონკრეტულ საქმიანობას, ითვლება, რომ დარღვეულია სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების და შესაბამისად სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (მაგალითად, თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში მტკიცებულებების შეკრება-მოძიება გამოძიების ორგანომ დაასრულა თავისუფლების შეზღუდვიდან 30-ე დღეს, მაგრამ ის აგრძელებს ბრალდებულის პატიმრობაში დატოვებას შემდეგი 30 დღის მანძილზე, ვინაიდან წინასასამართლო სხდომამდე მას დამატებით გააჩნია 30 დღე სასამართლოს ნებართვის საფუძველზე პირის პატიმრობაში დატოვებისათვის. ასეთ დროს ითვლება, რომ 31 დღიდან პროცესის მწარმოებელი ორგანოს მხრიდან განხორციელდა სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპის დარღვევა და პროცესის გაჭიანურება).
- 17.** სასამართლო ვალდებულია ჯეროვნად და დროულად განიხილოს მისთვის წარდგენილი საქმე. მოსამართლის ავადმყოფობა, ხელისუფლების ორგანოთა გამოუცდელიობა ახალი ტიპის დანაშაულთან ბრძოლაში არ წარმოადგენს საპატიო მიზეზს, სასამართლოთა გადატვირთულობა კადრების სიმცირე, დანაშაულის დონის ზრდა და სხვა არ წარმოადგენს დაყოვნების გამამართლებელ გარემოებას. სახელმწიფოს ევალება სათანადო ფინანსური და ლოჯისტიკური საკითხების რეგულირება სასამართლოთა გადატვირთულობის თავიდან აცილების, სწორი მენეჯმენტის განხორციელების და სამართალწარმოების გაუმართლებელი დაყოვნების პრევენციისათვის; სასამართლო სისტემის იმგვარად ორგანიზება, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამართალწარმოების გონივრულ ვადაში განხორციელება.<sup>96</sup>
- 18.** სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი მოითხოვს სასამართლოს მხრიდან პროცესის სწორ ადმინისტრირებას და სამართლიანი სასამართლოს ყველა კომპონენტის თანაბრად დაცვას. რაც გულისხმობს როგორც მხარეებისათვის საკუთარი მტკიცებულებების სრულყოფილად წარმოდგენის, ისე პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების ვალდებულებას. მათ შო-

<sup>92</sup> *Corigliano v. Italy*, ECtHR, 10/12/1982, §49, 50; *Reinhardt and Slimane-Kaid v. France*, ECtHR, 31/03/1998, §100; *Pelissier and Sassi v France*, ECtHR, (GC), 25/03/1993, §73.

<sup>93</sup> *Szeloch v Poland*, ECtHR, 22/02/2001, §110.

<sup>94</sup> *Yagci and Sargin v Turkey*, ECtHR, 08/06/1995, §68-69.

<sup>95</sup> *Ilijko v Bulgaria*, ECtHR, 26/07/2001, §118.

<sup>96</sup> *Probstmeier v. Germany*, ECtHR, 01/07/1997, §64; *Pavlyulynets v. Ukraine*, ECtHR, 06/09/2005, §51; *G.H. v. Austria*, ECtHR, 03/11/2000, §20. ასევე იხ., საქართველოს კანონი „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“, მუხლი მე-13, რომელიც საქმეთა განხილვის ვადების დარღვევის პრევენციის მიზნით, ითვალისწინებს მოსამართლის მივლინებას იმ სასამართლოში, სადაც შეინიშნება განსახილველი საქმეების მკვეთრი ზრდა ან მოსამართლის არყოფნა საპატიო მიზეზის გამო.

რის, ადეკვატურ რეაგირებას მხარეების არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობაზე, სხდომის გადადებაზე პროცესის მონაწილეთა გამოუცხადებლობის, პროცესზე მხარის მიერ წარმოდგენილი ახალი მტკიცებულების შესწავლის, დაცვის უფლების განხორციელების, მტკიცებულება გამოკვლევის მოცულობის და სხვა საკითხებზე.

19. უფლება სწრაფ მართლმსაჯულებაზე ირღვევა, თუ სასამართლო არ ატარებს ეფექტიან „დისციპლინურ“ ზომებს მხარეების მიმართ პროცესის ორგანიზებული მსვლელობის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში; მხარის შუამდგომლობის საფუძველზე პროცესის გადადებისას, თუ შემცვლელი პროკურორი ჯერ დამატებით დროს ითხოვს მოსამზადებლად და მომდევნო პროცესზე აყენებს შუამდგომლობას თვითაცილების შესახებ ბრალდებულის ახლო ნათესავთან შესაძლო პირადი ნაცნობობის გამო, რაც იწვევს ახალი პროკურორის დანიშვნას და მისთვის მოსამზადებლად საჭირო ვადით პროცესის ხელმეორედ გადადებას.
20. სასამართლომ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს პროცესის გადადებასთან მიმართებით, როდესაც საქმე ეხება პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს, ვინაიდან ამ შემთხვევაში იზღუდება ბრალდებულის უფლება სწრაფ მართლმსაჯულებაზე, თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება და დაცვის ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობა.
21. პროცესის გაჭიანურებას ადგილი აქვს სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ყოველგვარი დასაბუთებისა და მიზეზების დასახელების გარეშე სასამართლო განხილვის გადადების შემთხვევაშიც, მით უმეტეს, რომ საქმის გადადება არ ექვემდებარება გასაჩივრებას და სასამართლოს ინიციატივით საქმის განხილვის გადადების დროს ფორმალურად არ არსებობს დასაბუთების ვალდებულება.
22. პროცესის გაჭიანურების საფრთხეს შესაძლებელია ქმნიდეს ასევე მხარეების მიერ მოწმეების განმეორებითი და არარელევანტური დაკითხვების მიმართ სასამართლოს არაეფექტური რეაგირება. მხარეთა დისკრეცია, განსაზღვრონ მტკიცებულებათა რიგითობა და მათი გამოკვლევის მოცულობა, არ ათავისუფლებს სასამართლოს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების ვალდებულებისგან. შესაბამისად, გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების დარღვევას ადგილი აქვს სასამართლო პროცესის არაჯეროვანი ადმინისტრირების შემთხვევაში. კერძოდ, მოსამართლე ვალდებულია შეზღუდოს მხარის უფლება მტკიცებულების წარმოდგენაზე ამ მტკიცებულებების დასაშვებობის და რელევანტურობის, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის მისი მნიშვნელობის და სწრაფი სასამართლო განხილვის მიზნებიდან გამომდინარე; განსაზღვროს დოკუმენტების, ექსპერტის დასკვნების წარმოდგენის კონკრეტული ვადა,<sup>97</sup> მიუთითოს მხარეებს თავი შეიკავონ მოწმეებისთვის განმეორებითი, საქმესთან კავშირის არმქონე შეკითხვების დასმისგან, შეზღუდოს საქმესთან კავშირის არმქონე მტკიცებულებების პროცესზე წარმოდგენის შესაძლებლობა (მაგალითად, მხარის შუამდგომლობა სასამართლო განხილვაზე 4000 მოწმის დაკითხვის შესახებ, გონივრული ეჭვის მიუხედავად, რომ მოწმეთა უმრავლესობის ჩვენებების შინაარსი გამეორდება<sup>98</sup>), განუსაზღვროს მხარეებს მოწმეთა დაკითხვისათვის და დასკვნითი სიტყვების წარმოდგენისათვის გონივრული ვადა<sup>99</sup>; უზრუნველყოს სასამართლო სხდომების სწორი და ოპტიმალური დაგეგმვა, რასაც ეწინააღმდეგება სხდომის ჩატარება იმ ფორმატში, როდესაც სხდომაზე ხდება მხოლოდ ერთი მოწმის დაკითხვა.
23. პროცესის არასწორი მართვა ხშირ შემთხვევაში იწვევს შეყოვნებას, რაც ნეგატიურად აისახება ბრალდებულის გონივრულ ვადაში გასამართლების უფლებაზე. ამიტომ სასამართლო განხილვის ადმინისტრირებისას სასამართლომ, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოს დაცვის მომზადებისათვის საკმარისი დროისა და საშუალების გამოყოფა ბრალ-

<sup>97</sup> Kharitonashvili v Georgia, ECtHR, 10/02/2009, §45; Rachevi v. Bulgaria, ECtHR, 23/09/2004, §90; Peryt v. Poland, ECtHR, 02/12/2003, §57; Sobierajska-Nierzwicka v. Poland, ECtHR, 27/05/2003, §112.

<sup>98</sup> OSCE/ODIHR, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში. საქართველო. 09/12/2014, §191.

<sup>99</sup> იხ., სსსკ 244-ე და 245-ე მუხლების კომენტარი.

- დებულისათვის, მეორე მხრივ, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის სამართლიანი პირობების შექმნა; და სასამართლო განხილვის ჩატარება გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე.
- 24.** უფლება სასამართლოს მოტივირებულ გადაწყვეტილებაზე<sup>100</sup> უფლება სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე იცავს პირს თვითნებობისგან მართლმსაჯულების განხორციელებაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების და გადაწყვეტილების ეფექტიანად გასაჩივრების გზით;<sup>101</sup> შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს და საზოგადოებას გაიგონ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები და მიზეზები, შეაფასონ სასამართლო მსჯელობის სისრულე და კანონიერება.<sup>102</sup>
- 25.** სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობა ხელს უწყობს მხარეების და საზოგადოების ნდობას სასამართლოსადმი, განაჩენში მხარეთა პოზიციების ანალიზი და იმის დემონსტრირება, რომ მხარეების არგუმენტები და საქმის არსებითი გარემოებები მოსმენილ და გათვალისწინებულ იქნა, რითაც უფრო მისაღებს ხდის სასამართლოს გადაწყვეტილებას მხარეებისათვის,<sup>103</sup> შესაძლებლობას აძლევს მათ ეფექტიანად ისარგებლონ გასაჩივრების უფლებით, როდესაც გადაწყვეტილებიდან ნათელია, თუ რას ემყარება იგი,<sup>104</sup> დაარწმუნოს ობიექტური დამკვირვებელი გადაწყვეტილების სამართლიანობაში, დასაბუთებულობასა და გონივრულობაში.
- 26.** დასაბუთებულობის ვალდებულება ვრცელდება როგორც განაჩენზე, ისე საპროცესო საკითხებთან დაკავშირებით გამოტანილ განჩინებებზე. მაგალითად, განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, სსსკ 111-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო და საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შესახებ და სხვა.
- 27.** საკმარისი არ არის გადაწყვეტილების სისწორე და კანონიერება, ის იმავდროულად უნდა იყოს სამართლიანი, დასაბუთებული და ადვილად გასაგები. გასაჩივრების უფლების ეფექტიანი განხორციელებისათვის პირისათვის გასაგები უნდა იყოს ის მიზეზები, რაც საფუძვლად უდევს სასამართლოს თავდაპირველ გადაწყვეტილებას. ამიტომ სასამართლომ საკმარისი სიზუსტით უნდა მიუთითოს გადაწყვეტილების გამოტანის მოტივები<sup>105</sup> და მსჯელობა დააფუძნოს ობიექტურ არგუმენტებს.<sup>106</sup>
- 28.** დასაბუთებულობა უნდა ატარებს კონკრეტულ ხასიათს. შესაბამისად, დასაბუთებად არ ითვლება სსსკ შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მიზეზების ან/და საფუძვლების ფორმალური მითითება (მუხლით გათვალისწინებული მიმალვის, მტკიცებულებათა განადგურების მოწმეებზე ზემოქმედების და სხვა საფრთხეების მოტივით აღნიშნულის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებების ანალიზის გარეშე). არ არის საკმარისი არც მხოლოდ მტკიცებულების ჩამოთვლა და შემდეგ დასკვნის გამოტანა სამართლებრივი ანალიზის გარეშე.

<sup>100</sup> იხ., სსსკ 259-ე მუხლის მე-3 ნაწილის კომენტარი; CDL-AD (2014)030-e ვენეციის კომისიისა და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დირექტორატის (DGI) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR) ერთობლივი დასკვნა ცვლილებების კანონპროექტებზე საქართველოს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსებში (მიღებული ვენეციის კომისიის მე-100 პლენარულ სხდომაზე, რომი 10-11 ოქტომბერი, 2014); OSCE/ODIHR-ის საქართველოში სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიში, 9 დეკემბერი, 2014.

<sup>101</sup> Ruiz Torija v. Spain, ECtHR, 09/12/1994, §§29-30; Suominen v. Finland, ECtHR, 01/07/2003, §37.

<sup>102</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27/02/2014 წლის გადაწყვეტილება №558, II-37.

<sup>103</sup> Boldea v. Romania, ECtHR, 15/02/2007, §30,15; Taxquet v. Belgium, ECtHR, (GC),16/11/2010, §89.

<sup>104</sup> Hadjianastassiou v. Greece, ECtHR, 16/12/1992, §33; Kuznetsov and Others v. Russia, ECtHR, 11/01/2007, §85.

<sup>105</sup> Jgarkava v Georgia, ECtHR, 24/02/2009, §71.

<sup>106</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 24/12/2014 წლის გადაწყვეტილება №577, II-11.

29. მოტივირებული გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს: ძირითად დასკვნებს, სამართლებრივ არგუმენტაციას, მტკიცებულებათა ანალიზს და შემაჯამებელ დასკვნას. საქმისათვის მნიშვნელოვანი თითოეული მტკიცებულების სარწმუნოობა, სანდოობა და რელევანტურობა უნდა იყოს დასაბუთებული. განაჩენიდან/განჩინებიდან ნათელი უნდა იყოს რატომ მივიდა სასამართლო კონკრეტულ დასკვნამდე, რომელ მტკიცებულებებს/არგუმენტებს ემყარება მისი გადაწყვეტილება,<sup>107</sup> როგორ შეაფასა ფაქტის და სამართლის საკითხები. რატომ არ გაითვალისწინა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები; მტკიცებულებები, რომლებიც მცდარ სამართლებრივ დასაბუთებს ეყრდნობა ან სამართლებრივი თვალსაზრისით დაუშვებელია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მონმის მამხილებელი ჩვენებების შეფასებას და მსჯელობა უნდა ემყარებოდეს ობიექტურ არგუმენტებს,<sup>108</sup> რაც საშუალებას მისცემს მხარეს ეფექტურად ისარგებლოს განაჩენის გასაჩივრების უფლებით.<sup>109</sup>
30. სასამართლო არ არის ვალდებული განაჩენსა თუ განჩინებაში იმსჯელოს მხარეების მიერ წარმოდგენილ ყველა არგუმენტზე.<sup>110</sup> მთავარია, რომ გადაწყვეტილებიდან აშკარა იყოს, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი იქნა განხილული და გათვალისწინებული. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოყვანილი მიზეზები შეიძლება გაზიარებულ იქნეს ამ დასაბუთების განმეორებით მოყვანის გარეშე.<sup>111</sup>
31. დასაბუთების ვალდებულების ხარისხი შეიძლება განსხვავდებოდეს სასამართლოს გადაწყვეტილების ბუნებიდან და საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. დასაბუთების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საკითხის გადაწყვეტას ეხება განჩინება, განაჩენის სახეზე, საქმეში არსებული მტკიცებულებების მრავალფეროვნებაზე.<sup>112</sup> განაჩენი შესაძლებელია განსხვავდებოდეს გამოტანის საფუძვლების, ფორმისა და შინაარსის, გადაწყვეტილების სახის/ხასიათის, განაჩენის გამომტანი სასამართლოს სპეციფიკის მიხედვით (მაგალითად, იმისდა მიხედვით გამოტანილია პროფესიული სასამართლოს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, პირველი ინსტანციის თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ).
32. თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ფორმულირებიდან გამომდინარე მსჯავრდებული ვერ იგებს რომელ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს ეყრდნობა განაჩენი, ვერ იგებს რატომ ცნო სასამართლომ ის დამნაშავედ შერაცხულ ქმედებაში, ირლვევა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება.
33. ვინაიდან ნაფიცი მსაჯულები არ ასაბუთებენ მათ მიერ გამოტანილ ვერდიქტს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს თვითნებობისგან დაცვის მექანიზმები.
34. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი შეიძლება არ ასახელებდეს მის განმარტობებელ მიზეზებს, მაგრამ ეს მიზეზები და ის, თუ რის საფუძველზე მოხდა პირის მსჯავრდება, ნათელი უნდა იყოს საქმის შემადგენელი სხვა ელემენტებიდან (მაგალითად, ბრალის დადგენილება, მსაჯულების შეკითხვებიდან და სხვა).<sup>113</sup>
35. სხდომის თავმჯდომარის მიერ მსაჯულებისთვის მიცემული განმარტებებიდან; მი-

<sup>107</sup> Grădinar v. Moldova, ECtHR, 08/04/2008, §107; Georgiadis v. Greece, ECtHR, 29/05/1997, §43.

<sup>108</sup> De Moor v. Belgium, ECtHR, 23/06/1994 §5; Dulaurans v. France, ECtHR, 21/03/2000, §38.

<sup>109</sup> Hadjianastassiou v. Greece, ECtHR, 16/12/1992, §33.

<sup>110</sup> Suominen v. Finland, ECtHR, 24/07/2003, §34; Van de Hurk v. the Netherlands, ECtHR, 19/04/1994, §61; Ruiz Torija v. Spain, ECtHR, 09/12/1994, §29; Hiro Balani v. Spain, ECtHR, 09/12/1994, §27; Grădinar v. Moldova, ECtHR, 08/07/2008, §107; Tatishvili v. Russia, ECtHR, 09/07/2007, §58; Boldea v. Romania, ECtHR, 15/05/2007, §29; Taxquet v. Belgium, ECtHR, 16/11/2010, §91.

<sup>111</sup> Hirvisaari v. Finland, ECtHR, 27/09/2001, §32.

<sup>112</sup> Salov v. Ukraine, ECtHR, 06/09/2005, §89; Ruiz Torija v. Spain, ECtHR, 09/12/1994, §29; Hiro Balani v. Spain, ECtHR, 09/12/1994, §28-29; Suominen v. Finland, ECtHR, 24/07/2003, §34.

<sup>113</sup> Taxquet v. Belgium, ECtHR, 16/11/2010, § 91.

- თითებიდან დადგენილად ცნობილ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთაც შეუძლიათ გავლენის მოხდენა ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხარისხზე; მსაჯულებისთვის დასმული კითხვების ფორმულირებიდან (რაც წარმოადგენს გამოსატანი გადანყვეტილების საფუძველს), და პასუხებიდან ნათელი უნდა იყოს რომელი მტკიცებულებების და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე გამოიტანეს მსაჯულებმა ვერდიქტი.<sup>114</sup>
- 36.** სასამართლოს გადანყვეტილება დასაბუთებულობასთან ერთად უნდა იყოს საკმაოდ მკაფიო და ცხადად ფორმულირებული, იმისათვის, რომ უზრუნველყოს მხარის მიერ გასაჩივრების შესაძლებლობის ეფექტიანად გამოყენება. მაგრამ არ მოითხოვება განაჩენის იმგვარად ფორმულება, რომ მისი შინაარსი გასაგები იყოს ნებისმიერი პირისათვის. განაჩენის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი გასაგები უნდა იყოს იურიდიული განათლების მქონე პირისათვის. მაგალითად, სასჯელის გადავადების შემთხვევაში განაჩენში დასაბუთებული უნდა იყოს როგორც გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრის, ასევე მისი აღსრულების გადავადების აუცილებლობა.
- 37.** სასამართლოს დასაბუთება უნდა მოიცავდეს ყველა მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა: მტკიცებულებების შეფასება და ფაქტების დადგენა, სამართლებრივი არგუმენტები და საპროცესო საკითხები. ამიტომ, უფლება სასამართლოს მოტივირებულ გადანყვეტილებაზე ირღვევა, თუ ადგილი აქვს, მაგალითად: 1. მტკიცებულების არასათანადოდ შეფასებას მათი სარწმუნოების და რელევანტურობის კუთხით – სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების მხოლოდ მოკლე შინაარსის გამეორება, მათი სამართლებრივი ანალიზის გარეშე, ასევე მნიშვნელოვანი მტკიცებულების შეფასების გარეშე დატოვება ენინალმდეგება სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნებს.<sup>115</sup> მტკიცებულებათა ჯეროვნად შეფასება იმაზეც მიუთითებს, რომ სასამართლომ მოუსმინა მხარეებს; 2. სასამართლოს არათანაბარ ყურადღებას მხარეების არგუმენტებისადმი. მხარეების მიერ წარმოდგენილი ურთიერთსაინალმდეგო არგუმენტებიდან ერთ-ერთის გათვალისწინება მეორე არგუმენტის უკუგდების მიზეზების მითითების გარეშე; 3. სამართლებრივი ანალიზის სიმწირეს ან არარსებობას – განაჩენში საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და ბრალდებულის დამნაშავედ/უდანაშაულოდ ცნობა შუალედური ანალიზის განხორციელების გარეშე,<sup>116</sup> დანაშაულის ელემენტების განმარტების და/ან მათი არსებობის (გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით) ფაქტობრივი გარემოებებით დადგენის გარეშე. მაგალითად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ბრალდებულის მსჯავრდებისას, სასამართლომ განაჩენში ჯერ უნდა განსაზღვროს უფლებამოსილების ფარგლები და შემდეგ მათი გადამეტების ფაქტი და ხერხი.<sup>117</sup> შესასამისად, დასაბუთების მოთხოვნა ირღვევა, თუ განაჩენში სასამართლო მხოლოდ მიუთითებს რომ „ზემოთ აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ბრალდებულები ცნობილი არიან დამნაშავედ/უდანაშაულოდ; 4. სასჯელის განსაზღვრის ფაქტორების შეფასების ნაკლებობას – ფაქტორების დასახელება საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის გარეშე. მაგალითად, „სასამართლომ გაითვალისწინა ბრალდებულის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, დანაშაულის მოტივი და მიზანი, ხერხი, გამოყენებული მეთოდები და პიროვნული თვისებები.“ თუ ამას არ მოჰყვება შემდგომი მსჯელობა და განმარტება, თუ როგორ ზემოქმედებენ ეს ფაქტორები მოცემულ საქმეში კონკრეტული სასჯელის განსაზღვრის საკითხზე.
- 38.** სამართლებრივი ანალიზის ნაკლებობა, მათ შორის მტკიცებულებათა არასაკმარისი შეფასება და სასჯელის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შეფასების არარსებობა, გადანყვეტილებაში არსებული მნიშვნელოვანი შეუსაბამობები, ზედმეტად ფართო და არაგონივრულია ინტერპრეტაცია (მაგალითად, დანაშაულის შემადგენელი

<sup>114</sup> Bellerin Lagares v. Spain, ECtHR, (GC), 16/11/2010.

<sup>115</sup> Kuznetsov and others v Russia, ECtHR, 11/01/2007, §§84-85.

<sup>116</sup> OSCE/ODIHR, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში. საქართველო. 09/12/2014, §27.

<sup>117</sup> იქვე, §227.

- ელემენტების), ბრალდებულის მამხილებელი გარემოებების არასრულად წარმოჩენა, სასამართლოს მიერ ყოველგვარი ახსნის გარეშე საქმეში არსებული მნიშვნელოვანი მტკიცებულებების არ გათვალისწინება,<sup>118</sup> დასაბუთება, შეუსაბამობა, ურთიერთგამომრიცხველი არგუმენტების არსებობა და ა.შ. ხელყოფს უფლებას სასამართლოს მოტივირებულ გადაწყვეტილებაზე.
- 39.** სამართლიანი სასამართლოს ცნება: სამართლიანი სასამართლოს/სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება არაერთი უფლებრივი კომპონენტისგან შედგება, რომელთა ერთობლიობამაც უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, ადამიანების რეალური შესაძლებლობა სრულყოფილად და ადეკვატურად დაიცვან საკუთარი უფლებები, ხოლო, მეორე მხრივ, დაიცვას ადამიანი სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობისგან<sup>119</sup> და ინვევდეს სასამართლოს სამართლიანობის აღქმადობას საზოგადოების მხრიდან. „სასამართლოს სამართლიანობის აღქმადობას პირველ რიგში განაპირობებს და უზრუნველყოფს სასამართლოს (მოსამართლეთა) ინსტიტუციური და პერსონალური დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, გადანწყვეტილებათა დასაბუთებულობის დამაჯერებელი ხარისხი.“<sup>120</sup>
- 40.** სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც მინიმუმ, უნდა მოიცავდეს შემდეგ უფლებებს კუმულაციურად: პირის უფლებას, მიმართოს სასამართლოს, მოითხოვოს მისი საქმის სამართლიანი საჯარო განხილვა, გამოთქვას მოსაზრებები და მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით, სასამართლო განხილვას გონივრულ ვადებში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.<sup>121</sup>
- 41.** სამართლიანი სასამართლოს ელემენტები წარმოადგენს მინიმალურ საპროცესო გარანტიებს და მათი უმეტესობა სსსკ სხვადასხვა მუხლშიც იმავდროულად ცალკეა მოცემული. კერძოდ, უდანაშაულობის პრეზუმფცია, უფლება საკმარის დროსა და საშუალებაზე დაცვის მოსამზადებლად, დაცვის უფლება, უფლება მტკიცებულებათა თანაბარ პირობებში გამოკვლევაზე, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლება, გასაჩივრების უფლება და სისხლის სამართლის კანონის რეტროსპექტიული მოქმედების აკრძალვა. თითოეული ამ გარანტიის დაცვა უპირობოდ არ უზრუნველყოფს სამართალწარმოების სამართლიანობას. უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე უფრო ფართოა, ვიდრე ცალკეული მინიმალური გარანტიების ერთობლიობა და დამოკიდებულია მთლიანი სამართალწარმოების საერთო შეფასებაზე. იმავდროულად, სამართალწარმოების დროს დაშვებული დარღვევები ცალკე-ცალკე შესაძლებელია ასევე არ ინვევდეს პროცესის უსამართლობას, თუმცა ერთიანობაში არღვევდეს სსსკ-ის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას და ქმნიდეს განაჩენის გაუქმების წინაპირობას. ხარვეზების ნაწილი შესაძლებელია გამოსწორდეს ზემდგომ ინსტანციაში საქმისწარმოებისას, ხოლო ნაწილის გამოსწორება შეუძლებელია დარღვევის ინტენსივობის/შეზღუდული უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, რაც ინვევს გამოტანილი განაჩენის გაუქმებას (მაგალითად, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სამართალწარმოების ენის არმცოდნე ბრალდებულისთვის არ არის უზრუნველყოფილი ადვოკატის მომსახურება). უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე ირღვევა, თუ ზეპირი სასამართლო განხილვა წარმოებს ქაოტურ პირობებში, როდესაც მოსამართლე არ/ვერ უზრუნველყოფს წესრიგის დამყარებას, რის გამოც ბრალდებული პრაქტიკულად მოკლებულია ადვოკატთან კომუნიკაციის შესაძლებლობას, პროცესის მონაწილეებს არ ესმით მოწინააღმდეგე მხარის და სასამართლოს ხმა, ადგილი აქვს

<sup>118</sup> Kuznetsov and Others v. Russia, ECtHR, 11/01/2007, §84.

<sup>119</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 23/05/2014 წლის გადაწყვეტილება № 574, II-88.

<sup>120</sup> იქვე, II-101.

<sup>121</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 15/12/2006 წლის გადაწყვეტილება №1/3/393,397, II-1; ასევე-23/05/2014 წლის გადაწყვეტილება საქმეზე № 574; სსსკ არ განსაზღვრავს სამართლიანი სასამართლოს ცნებას.

- ჟურნალისტების მხრიდან უნებართვო ჩარევებს, მობილური ტელეფონების გამოყენებას ან/და დამსწრე საზოგადოების მხრიდან რეპლიკებს და კამათს.<sup>122</sup>
42. სამართლიანი სასამართლოს უფლება წარმოადგენს როგორც ბრალდებულის, ასევე მოწმეთა და დაზარალებულთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას, უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ მოწმეთა/დაზარალებულთა/ექსპერტთა სათანადო ინფორმირებას მათი უფლებების შესახებ, ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას არ დაუშვას მხარეების ან/და დამსწრე საზოგადოების მხრიდან მოწმეთა/დაზარალებულთა მიმართ მუქარის შემცველი ან/და შეურაცხმყოფელი მოპყრობა, მათი უსაფრთხოების საფრთხის ქვეშ დაყენება, უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა საპროცესო უფლება-მოვალეობების ჯეროვნად განხორციელება.
43. უფლების მოქმედება ვრცელდება სამივე ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოებაზე, თუმცა განსხვავებული მოცულობით. სამართლიანი სასამართლოს უფლების ყველა ელემენტი თანაბრად და უკლებლივ არ გამოიყენება საკასაციო ან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში საქმისწარმოებისას. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, როგორც წესი, ასევე არ ვრცელდება გამოძიების ეტაპზე. გამონაკლისია საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები, რომელთაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ მოგვიანებით სასამართლოში საქმისწარმოების სამართლიანობაზე. მაგალითად, პროცესის მწარმოებელი ორგანოს უარი სამართალწარმოების ენის არმცოდნე ბრალდებულისთვის თარჯიმნის ან/და ადვოკატის დანიშვნაზე, უკანონო დაკავების ან უკანონო მტკიცებულების საფუძველზე პირისათვის ბრალის წაყენება, უარი დაცვის მხარისათვის სსსკ 83-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდებაზე და სხვა.
44. ვინაიდან უფლება სამართლიან სასამართლოზე, პირველ რიგში, წარმოადგენს მატერიალური უფლებების დაცვის საპროცესო გარანტიას, მისი უფლებრივი კომპონენტები იმ შემთხვევაში და იმ მოცულობით უნდა გამოიყენებოდეს, რაც ობიექტურად აუცილებელია კონკრეტული უფლების დასაცავად.<sup>123</sup> შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლება არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათ რიცხვს და სსსკ ითვალისწინებს მისი ცალკეული ელემენტების შეზღუდვის შესაძლებლობას ლეგიტიმური საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე კანონიერი მიზნების მისაღწევად (მაგალითად, *in absentia* სამართალწარმოება). მაგრამ შეზღუდვა არ უნდა ლახავდეს თავად უფლების არსს და არ უნდა აქცევდეს მას ილუზორულად.<sup>124</sup> შეზღუდვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პროცესის მწარმოებელი ორგანოს ან ბრალდების მხარის ინიციატივით, ასევე ბრალდებულის ინიციატივითაც. უარის თქმა მთლიანად სამართლიან სასამართლო განხილვაზე (მის ყველა ელემენტზე) არ დაიშვება.
45. სსსკ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სწრაფი მართლმსაჯულების უფლებაზე უარის თქმის უფლებას და აღნიშნულ შესაძლებლობას ანიჭებს პირადად ბრალდებულს და არა მის ადვოკატს. აღნიშნულის მიუხედავად სსსკ ითვალისწინებს სწრაფი მართლმსაჯულების უფლებაზე უარის თქმის უფლებას როგორც ბრალდებულის, ასევე ადვოკატის მიერ, უფლების შეზღუდვას მხარის ან სასამართლოს ინიციატივით, როდესაც საქმის გარემოების სრულყოფილი შესწავლა და მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს ამას, ან როდესაც ადგილი აქვს მხარის მიერ საკუთარი საპროცესო უფლებებით მანიპულირებას პროცესის გაჭიანურების მიზნებისათვის, მათ შორის სასამართლოში გამოცხადების და საპროცესო მოქმედებასა თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობის უფლებით. ბრალდებულის უარი შეიძლება გამოხატული იყოს სიტყვიერად, წერილობით, ქმედებით, პირდაპირ ან ნაგულისხმევად (მაგალითად, ბრალდებულის შუამდგომლობა *In absentia*

<sup>122</sup> იბ., Ramishvili and Kokhraidze v Georgia, ECtHR, 1704/06, 13/01/2009, §§129-131.

<sup>123</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 23/05/2014 წლის გადაწყვეტილება № 574.

<sup>124</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 28/06/2010 წლის გადაწყვეტილება № 1/466, II-15; 15/12/2006 წლის გადაწყვეტილება №1/3/393/397, II-1; 23/05/2014 წლის გადაწყვეტილება, № 574, II-64.

- განხილვაზე). ბრალდებულის უარი იურიდიული ძალის მატარებელია, თუ უარი ნათლად/ არაორაზროვნად არის გამოხატული, ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს უარის თქმის შედეგები, უარი ბრალდებულის თავისუფალი ნების გამოვლინების შედეგია და მის მიმართ ადგილი არ ჰქონია ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, უარს ახლდა მინიმალური საპროცესო გარანტიები (მაგალითად, ბრალდებულისთვის მისი უფლებების განმარტება) და არ ეწინააღმდეგება მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს. მაგალითად, მხარეს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით წინასასამართლო სხდომამდე ვადის გონივრულ ვადამდე გაგრძელების შესახებ (სსსკ 208-ე მუხლის მე-3 ნაწილი); საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ, თუ ეს არ იწვევს ბრალდებულის უფლებების და გარანტიების არამართლზომიერ შეზღუდვას (სსსკ 89-ე მუხლის პირველი ნაწილი) და სხვა.
- 46.** სასამართლოში საქმეთა წარმოება ხორციელდება რიგითობის მიხედვით. აღნიშნულიდან გამოკლისს ითვალისწინებს მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი და ადგენს, რომ, ვინაიდან ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენება ზღუდავს ბრალდებულის თავისუფლების და უსაფრთხოების უფლებას და შესაბამისად, დაცვის უფლების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობასაც (განსაკუთრებით პროაქტიული დაცვის ნაწილში), სასამართლომ საქმეთა რიგითობის განსაზღვრისას სსსკ-ით დადგენილი შესაძლებლობის ფარგლებში პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს თავისუფლება შეზღუდული ბრალდებულის საქმის განხილვას, მით უმეტეს, რომ სსსკ ითვალისწინებს შეზღუდულ ვადებს აღნიშნული კატეგორიის პირთა საქმისწარმოებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ბრალდებულის პატიმრობის ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს, ხოლო პატიმრობის საერთო ვადა – 9 თვეს.
- 47.** ბრალდებულს დაცვის უფლება ენიჭება პროცესში მისი შემოსვლის მომენტიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. „დაცვის უფლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირს .... გააჩნდეს შესაბამის პროცედურასა და მის შედეგზე ეფექტური ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა.“<sup>125</sup> სსსკ ითვალისწინებს ბრალდებულის მიერ საკუთარი თავის დამოუკიდებლად ან ადვოკატის დახმარებით დაცვის შესაძლებლობას, ადვოკატის მონაწილეობას მოწვევით ან დანიშვნით, ადგენს სისხლის სამართალწარმოებაში ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობის შემთხვევებს, პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ ბრალდებულისთვის მისი უფლება-მოვალეობების განმარტებას და ცალკეულ შემთხვევებში ასევე – დახმარებას მათ რეალიზებაში, არეგულირებს ბრალდებულსა და ადვოკატს შორის ურთიერთობის წესს და კომუნიკაციის კონფიდენციალურობას, ბრალდებულის უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიის სახით ითვალისწინებს პროცესში მოწვეული ადვოკატის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ბრალდებულისთვის დამატებით ადვოკატის დანიშვნას სახაზინო წესით და სხვა.
- 48.** სსსკ ითვალისწინებს დაცვის უფლებას და უფლებას ადვოკატზე, რაც დაცვის უფლების შემადგენელი ნაწილია. დაცვის უფლება ადვოკატის დახმარების გარდა ასევე მოიცავს გასაჩივრების, შუამდგომლობის დაყენების უფლებას, უფლებას საპროცესო და საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაზე, დუმილის უფლებას, უდანაშაულობის პრეზუმფციას, საუარესოდ შებრუნების აკრძალვას და სარევიზიო საწყის, კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას, საპატიო მიზეზით გაშვებული ვადის აღდგენის აკრძალვას, თუ ეს იწვევს ბრალდებულის უფლებებისა და გარანტიების არამართლზომიერ შეზღუდვას; უფლებას დაცვის მოსამზადებლად ადეკვატურ დროსა და საშუალებებზე, მათ შორის უფლებას ინფორმაციაზე – დაკავების საფუძვლების/ ბრალდების შესახებ და სხვა.
- 49.** დაცვის განხორციელების უფლება პირველ რიგში ბრალდებულს ეკუთვნის. ამიტომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პროცესში ბრალდებულის ინტერესებს იცავს ადვოკატი,

<sup>125</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 13/04/2013 წლის გადაწყვეტილება № 503,513, II-55.



- ბრალდებულს უფლება აქვს თავადაც აქტიურად მიიღოს მონაწილეობა მტკიცებულებათა მოძიებასა და გამოკვლევაში, მიიღოს გადაწყვეტილება სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე (მაგალითად, საპროცესო შეთანხმების, გასაჩივრების, პროცესზე დასწრების და სხვა), უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული დამცველის დახმარებაზე ან დაცვაზე საერთოდ, მიიღოს გადაწყვეტილება წაყენებული ბრალის აღიარება/არაღიარების შესახებ, განუსაზღვროს ადვოკატს დაცვის ძირითადი ხაზი და სხვა.
- 50.** სასამართლოს ხელმისაწვდომობა: სასამართლოსადმი მიმართვის უფლება სასამართლო ხელისუფლებას აკისრებს თვითნებობისგან დაცვის ინსტიტუციური გარანტიის ფუნქციას. იმავდროულად, აღნიშნული უფლება მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, არამედ საპროცესო გარანტიებს, რომლებიც იძლევა ამ უფლების სრული მოცულობით რეალიზაციის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს პირის უფლებებში ეფექტიან აღდგენას სასამართლო განხილვის გზით.<sup>126</sup>
- 51.** სსსკ ითვალისწინებს პროცესის მონაწილის უფლებას საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. აღნიშნული მოიცავს გასაჩივრების უფლებას და უფლებას სასამართლოს დახმარებაზე მტკიცებულებათა მოპოვებაში. ეს უფლება პირველ რიგში ეკუთვნის ბრალდებულს (მაგალითად უფლება სასამართლოს განაჩენის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებაზე, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების გასაჩივრება, გამოძიებლის ქმედების გასაჩივრება პროკურორთან და სხვა) და მხარეებს.
- 52.** მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დამატებით გარანტიას წარმოადგენს გასაჩივრების უფლება. გასაჩივრების უფლება, ერთი მხრივ, წარმოადგენს პროცესის მწარმოებელი ორგანოს მხრიდან თვითნებობის თავიდან აცილების მექანიზმს, უზიდავს მას თავიდან აიცილოს შესაძლო შეცდომები, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას, ხელს უწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.<sup>127</sup>
- 53.** სსსკ ითვალისწინებს საპროცესო აქტების, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების გასაჩივრებას პროცესის მწარმოებელ ორგანოსთან ან სასამართლოში, გასაჩივრებას „კერძო“ საჩივრის შეტანის გზით ან შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად.
- 54.** სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის აბსოლუტური. სახელმწიფოს უფლება აქვს შეზღუდოს გასაჩივრების ან/და სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. შეზღუდვის მიზანია სამართალწარმოების ეკონომიურობის, ეფექტიანობის და სისწრაფის უზრუნველყოფა, გაუმართლებელი დაყოვნების თავიდან აცილება. თუმცა შეზღუდვა არ უნდა იყოს არათანაზომიერი და ზიანს არ უნდა აყენებდეს თავად უფლების არსს. შეზღუდვა შეიძლება ეხებოდეს გასაჩივრების ვადებს, სუბიექტებს, საპროცესო აქტებს, რომელთა გასაჩივრებაც დაიშვება, საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმებს, საჩივრის ფორმის დაცვის ვალდებულებას, სასამართლო ხარჯებს, საკასაციო სასამართლოში და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის სასამართლოსადმი მიმართვის წინაპირობებს და სხვა.
- 55.** საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოები თავს იკავებენ საპროცესო კანონმდებლობის ზედმეტად მკაცრად გამოყენებისგან, რაც პრაქტიკულად გასაჩივრების უფლების ანუღირების ტოლფასი იქნება, განსაკუთრებით, როდესაც საჩივარი ეხება პირის კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის კანონიერებას.
- 56.** უფლების დარღვევას აქვს ადგილი, თუ სასამართლო უარს ეტყვის თავისუფლებაზეზღუდულ პირს გაშვებული ვადის აღდგენაზე, როდესაც ვადის გაშვება გამონწვეულია განაჩენის ასლის მისთვის დაგვიანებით გადაცემით; ან თუ პროცესის მწარმოებელმა ორგანომ არ განუმარტა მსჯავრდებულს, რომელიც დამოუკიდებლად იცავდა თავს, გასაჩივრების ვადები და წესი და ა.შ.
- 57.** სამართლიანი სასამართლოს შემადგენელი ელემენტია ბრალდებულის უფლება დაცვის

<sup>126</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 08/10/2014 წლის გადაწყვეტილება № 532-533, II-144.

<sup>127</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27/02/2014 წლის გადაწყვეტილება №558, II-55.

- მოსამზადებლად ადეკვატურ დროსა და საშუალებაზე, რაც ხელს უწყობს დაცვის ეფექტიანად განხორციელებას. ის თუ რა ითვლება დროის საკმარის ხანგრძლივობად და ადეკვატურ საშუალებად, დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე. მათ შორის საქმის სირთულეზე, ადვოკატის დახმარებით სარგებლობაზე, სამართალწარმოების სტადიის სპეციფიკაზე და სხვა.
- 58.** იგი მოიცავს ბრალდებულის დროული ინფორმირების უფლებას როგორც წარდგენილი ბრალდების და მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებების შესახებ, ისე ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში გამოძახებულ მოწმეთა ვინაობის შესახებ
- 59.** ბრალდებულს პროცესში შემოსვლისთანავე აქვს ინფორმაციის მიღების უფლება, როგორც მინიმუმ, შემდეგ სამ საკითხთან მიმართებით: 1. საპროცესო უფლება-მოვალეობების და გარანტიების შესახებ; 2. მისთვის წარდგენილი ბრალის შესახებ; 3. ბრალის საფუძვლების შესახებ.<sup>128</sup>
- 60.** საქმის გარემოებებიდან გამომდინარე განსხვავებულია ინფორმაციის „დეტალიზაციის“ ხარისხი. ბრალდებულს, როგორც მინიმუმ, უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმ მოცულობით, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ გაერკვეს/გაიგოს წაყენებული ბრალდების არსი, და რაც საჭიროა დაცვის ჯეროვნად მომზადებისათვის.
- 61.** ბრალდებული ჯეროვნად უნდა იქნეს ინფორმირებული ბრალდების ნებისმიერი ცვლილების შესახებ და უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მტკიცებულების შესწავლის სათანადო დროით და საშუალებებით დაცვის მოსამზადებლად. ანალოგიურად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დამატებითი დროით ექსპერტის მიერ ჩვენების შეცვლის, ბრალდების მხარის მიერ ახალი მტკიცებულებების წარმოდგენის, ბრალდების ცვლილებების და სხვა შემთხვევებში.
- 62.** პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, ბრალდებულის დაცვის ადეკვატური და ეფექტიანი საშუალებით უზრუნველყოფასა და მეორე მხრივ, სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს შორის. სსსკ მე-8 მუხლი ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას უარი თქვას სწრაფი მართლმსაჯულების უფლებაზე, როდესაც ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მომზადებისათვის. ამიტომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ადგილი აქვს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას, ან/და ინურება სსსკ პატიმრობისათვის განსაზღვრული ზღვრული ხანგრძლივობა, აღნიშნული საფუძვლით ბრალდებულისთვის უარის თქმა საქმის მოსამზადებლად დამატებითი ვადის გამოყოფის შესახებ ლახავს სამართლიანი სასამართლოს და ბრალდებულის დაცვის უფლებას.
- 63.** აღნიშნული უფლება ირღვევა ბრალდების მხარის მიერ პროცესზე ახალი მტკიცებულების წარმოდგენის შემთხვევაში, თუ დაცვის მხარეს არ ეძლევა დამატებითი დრო მტკიცებულების შესასწავლად, სსსკ 83-ე მუხლით დადგენილი წესით და მოცულობით ბრალდებულისათვის საქმის მასალების არგადაცემის შემთხვევაში, სასამართლო განხილვის თარიღის ბრალდებულისათვის სასამართლო სხდომამდე მცირე ხნით ადრე შეტყობინების და სხვა შემთხვევები.
- 64.** ბრალდებულის დასწრების უფლება: ბრალდებულს გააჩნია სასამართლო სხდომაზე დასწრების და სასამართლო განხილვაში ეფექტური მონაწილეობის უფლება. ბრალდებულის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში, არ არის აბსოლუტური და შესაძლებელია ნაწილობრივ შეიზღუდოს. ცალკეულ შემთხვევებში სსსკ ითვალისწინებს ბრალდებულის დაუსწრებლად სასამართლო განხილვის განხორციელების შესაძლებლობას. მაგალითად, სსსკ ითვალისწინებს ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან გაყვანის პირობებში მოწმეთა დაკითხვის შესაძლებლობას, სხდომის დარბაზიდან ბრალდებულის გაძევებას საზოგადოებრივი წესრიგი არაერთგზის ან/და უხეში დარღვევისათვის, ბრალდებულის მიერ ნებაყოფლობით უარის თქმას განხილვაში მონაწილეობის უფლებაზე, დაუსწრებელ

<sup>128</sup> Mattoccia v. Italy, ECtHR, 25/07/2000.

- წარმოებას მიმალვაში მყოფი ბრალდებულის მიმართ და სხვა. ცალკეულ შემთხვევებში ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე სასამართლო განხილვის მიზანია მტკიცებულებათა განადგურების თავიდან აცილება. *In absentia* სამართალწარმოების დროს სასამართლო ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები იმისათვის, რომ უზრუნველყოს ბრალდებულის დაცვის უფლების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა ერთ შემთხვევაში მხოლოდ ადვოკატის მონაწილეობის უზრუნველყოფით, ხოლო სხდომის დარბაზიდან ბრალდებულის გაყვანის შემთხვევაში ასევე – ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის და სხდომის მიმდინარეობაზე მონიტორინგის შესაძლებლობით. ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან გაყვანა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მწვავე აუცილებლობისას, როდესაც შესაბამისი მიზნის მიღწევა შეუძლებელია სხვა გზით და იმ ხანგრძლივობით, რაც მკაცრად აუცილებელია.
- 65.** ბრალდებულს შეუძლია ნებაყოფლობით უარი განაცხადოს სასამართლო განხილვაში მონაწილეობაზე/დასწრებაზე, მაგრამ ასეთი უარი უნდა იყოს მკაფიო, არაორაზროვანი, გაცნობიერებული, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებს. უარის შემთხვევაში სავალდებულოა ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა.
- 66.** დაუსწრებელი წარმოებისას იზღუდება თანასწორობისა და შეჯიბრებითობის, ზეპირი განხილვის პრინციპები. ამიტომ დაუსწრებელი წარმოება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული აშკარად და ნათლად აცხადებს უარს სამართალწარმოებაში მონაწილეობაზე და სამართალწარმოება ხორციელდება ორი მხარის მონაწილეობის პირობებში (ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობა) სამართლიანი სასამართლო განხილვისათვის დამახასიათებელი მინიმალური გარანტიებით. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის სასამართლო განხილვაზე გამოუცხადებლობა გამოწვეულია საპატიო მიზეზით, სსსკ ითვალისწინებს პროცესის მწარმოებელი ორგანოს დროული ინფორმირების შემთხვევაში სხდომის გადადების შესაძლებლობას. მაგრამ სსსკ არ ითვალისწინებს სასამართლოს მოვალეობას გამოარკვიოს იყო თუ არა ბრალდებული დროულად და ჯეროვნად ინფორმირებული სასამართლო განხილვის დროის და ადგილის შესახებ, ასევე განაცხადა თუ არა მან მკაფიოდ უარი სასამართლოში გამოცხადების უფლებაზე, ასევე არასაპატიო მიზეზით (მაგალითად, თავის არიდება, მიმალვა) სასამართლო განხილვაზე გამოუცხადებლობის დასაბუთებულობა.
- 67.** დაუსწრებელი განხილვა არ დაიშვება, თუ ბრალდებულის გამოუცხადებლობა გამოწვეულია მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით, *force majeure* გარემოებებით (მენყერი, წყალდიდობა, ავტოსაგზაო შემთხვევა და სხვა).
- 68.** სსსკ ითვალისწინებს დაუსწრებლად გასამართლებული პირის უფლებას მის მიმართ გამოტანილი განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე და აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით ადგენს გასაჩივრების ვადის ათვლის განსხვავებულ წესს (სსსკ 292-ე მუხლის მე-3 ნაწილი), მაგრამ სსსკ არ ითვალისწინებს დაუსწრებლად გასამართლებული პირის საქმის ხელმეორედ განხილვის შესაძლებლობას.
- 69.** ბრალდებულის პროცესზე დასწრების და მასში მონაწილეობის უფლება შესაძლოა გარკვეული პირობების არსებობისას სხვა ადგილიდან იქნეს უზრუნველყოფილი, სასამართლო სხდომის დარბაზთან ვიდეოკავშირის მეშვეობით.
- 70.** საერთაშორისო სამართალი არ გამორიცხავს/არ კრძალავს ბრალდებულის მხრიდან სამართლიან სასამართლო განხილვის უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობას. თუმცა იმისათვის, რომ ასეთი უარი იყოს სამართლებრივი შედეგების მატარებელი, ის უნდა იყოს ნებაყოფლობითი და გაცნობიერებული, არაორაზროვანი და მკაფიო, თან უნდა ახლდეს საქმის სირთულის/მნიშვნელობის შესაბამისი მინიმალური გარანტიები, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს და მას ჰქონდა უარის თქმის

შედეგების განჭვრეტის ობიექტურად დასაბუთებული შესაძლებლობა.<sup>129</sup>

## მუხლი 9. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა

1. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.  
2. მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.

1. **ნორმის მიზანი:** სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფა მხარეებისათვის საკუთარი პოზიციის დაცვის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებისა და ფუნქციათა გამიჯნვის გზით.
2. სამართლიანი სასამართლო განხილვის ფუნდამენტურ ასპექტს წარმოადგენს სისხლის სამართალწარმოების შეჯიბრებითი ხასიათი მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით.
3. მხარეთა თანასწორობა და სამართალწარმოების შეჯიბრებითი ხასიათი უზრუნველყოფილია საქმისწარმოების ყველა სტადიაზე – სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან სამართალწარმოების დასრულებამდე (*mutatis mutandis*)<sup>130</sup>, მათ შორის სასამართლო განხილვის, გამოძიების ეტაპზე და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოებისას. მაგრამ არ მოქმედებს გამოძიების სტადიის იმ ნაწილზე, რომელიც ხორციელდება ერთი მხარის არსებობის პირობებში, სანამ გამოძიების ორგანოს მიერ არ იქნება იდენტიფიცირებული დაცვის მხარე და არ დაიწყება კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა; ასევე-ნასამართლობის მოხსნის შუამდგომლობის განხილვასთან დაკავშირებული სამართალწარმოების დროს.
4. **შეჯიბრებითობა:** შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, პირველ რიგში, გულისხმობს მხარის უფლებას „იყოს მოსმენილი.“ შესაბამისად, შეჯიბრებითობა უზრუნველყოფს ორივე მხარის შესაძლებლობას, მოიპოვოს და წარმოადგინოს საკუთარი მტკიცებულებები; უფლებას გაეცნოს, გამოიკვლიოს და საკუთარი მოსაზრება გამოთქვას მოწინააღმდეგე მხრის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებთან<sup>131</sup> დაკავშირებით; მასალებთან, შუამდგომლობასთან/საჩივართან დაკავშირებით იმისდა მიუხედავად, აღნიშნული ეხება ფაქტების დადგენას, სამართლებრივ არგუმენტს, საქმის არსებით გარემოებებს, თუ პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საპროცესო საკითხს<sup>132</sup> პროცესის განხორციელებას ფუნქციათა მკაფიო გამიჯნვის პირობებში.
5. ამდენად, შეჯიბრებითობის პრინციპის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს:
  - მართლმსაჯულების, ბრალდებისა და დაცვის ფუნქციის გამოცალკევება;
  - შეჯიბრებითობა როგორც სასამართლო, ასევე გამოძიების სტადიაზე;
  - მხარეთა უფლება მტკიცებულების მოპოვებაზე;
  - მხარეთა თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მტკიცებულების წარმოდგენაზე;

<sup>129</sup> იბ., *Hermi v Italy* ECtHR, (GC), 18/10/2006, 7; *Sejdovic v Italy* ECtHR, (GC), 01/03/2006, 86.

<sup>130</sup> იბ., რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს 14/02/2000 წლის №2-II/2000 დადგენილება.

<sup>131</sup> *Laukkanen and Manninen v Finland*, ECtHR, 03/02/2004, §34; *Kamasinski v. Austria*, ECtHR, 19/12/1989, §102; *Brandstetter v. Austria*, ECtHR, 28/08/1991, § 67; *Rowe and Davis v. UK*, ECtHR, (GC), 16/02/2000, § 60; *Fitt v. UK*, ECtHR, (GC), 16/02/2000, §44; *IJL, GMR and AKP v. UK*, ECtHR, §112; *Goc v Turkey*, ECtHR, (GC), 11/07/2002, §34; *Meftah v. France*, ECtHR, (GC), 26/07/2002, §51; *PG and JH v. UK*, ECtHR, 25/09/2001, §67; *JJ v the Netherlands*, ECtHR, 27/03/1998, §43; *Ernst et al. v Belgium*, ECtHR, 15/07/2003, §60; *Duricz-Costes v France*, ECtHR, §32; *Skondrianos v Greece*, ECtHR, 18/12/2003, §29.

<sup>132</sup> „ბრალდებულს უნდა მიეცეს სადავო ფაქტთან დაკავშირებით მოპოვებული მტკიცებულების თაობაზე კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა იმ შემთხვევაშიც, თუ ფაქტები ეხება უფრო პროცესუალურ საკითხებს, ვიდრე სავარაუდო სამართალდარღვევას“ იბ., *Kamasinski v. Austria* ECtHR, 19/12/1989, §102.

- მონინალმდეგე მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის უფლება.
6. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაცვისა და ბრალდების ფუნქციები გამოყოფილია სასამართლო ხელისუფლებისგან. სასამართლო გამოდის მედიატორის როლში, არ მონაწილეობს მტკიცებულებათა მოძიებაში, არ გააჩნია საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოკვლევის უფლება; მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფისათვის, შეუძლია მხარეებთან შეთანხმებით დასვას დამაზუსტებელი კითხვა (სსსკ 25-ე მუხლის პირველი ნაწილი); შეზღუდულია ბრალდების ფორმულირებით, რის გამოც ბრალდების/ბრალდების ნაწილის მოხსნის შემთხვევაში სამართალწარმოება შესაბამის ნაწილში წყდება, და შეზღუდულია საჩივრის ფარგლებით, რის გამოც სასამართლოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოთხოვნა საჩივარში არ არის სწორად დაყენებული, არ აქვს საჩივრის ფარგლების გაფართოვების უფლება. მაგალითად, თუ მხარე სადავოდ ხდიდა მხოლოდ სასჯელის კანონიერებას, ხოლო სასამართლო სასჯელის სამართლიანობის შემომწმებისას აღმოაჩინა მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის ისეთ შემამსუბუქებელ გარემოებებს, რის გამოც პირი საერთოდ უნდა გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისგან, სასამართლოს არ შეუძლია *sua sponte* გადაწყვეტილების მიღება და საჩივრის განხილვის ფარგლების გაფართოვება „ვიწროდ“, იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც ნათლად, ან/და გონივრულად გამომდინარეობს მხარის მიერ საჩივარში მითითებული მოთხოვნიდან და იმ აუცილებლობიდან, რომელიც ზემდგომმა სასამართლომ აღმოაჩინა.<sup>133</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საფუძველსმოკლებულია მტკიცება, რომ სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ისეთი კონსტიტუციური პრინციპების აღსრულება, როგორცაა პასუხისმგებლობის გამაუქმებელი კანონის უკუძალით გამოყენება ან პირის განმეორებითი მსჯავრდებისგან გათავისუფლება, როდესაც ამას არ მოითხოვს მოსარჩელე, *per se* ზღუდავს შეჯიბრებითობის პრინციპს.... კანონისმიერი ვალდებულება, რომელიც ბოჭავს მოსამართლეს საქმეში არ გამოიყენოს და უგულებელყოს ფუნდამენტური და იმპერატიული კონსტიტუციური პრინციპები იმ მიზეზით, რომ მხარეები არ აპელირებენ მათზე, გამორიცხავს სამართლიანი სასამართლო განხილვის და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანს<sup>134</sup>... შეჯიბრებითი სამართალწარმოების შესახებ არ მოითხოვს მოსამართლეების უგამონაკლისო და ბლანკეტურ ბოჭავს მოსარჩელეთა მოთხოვნის ფარგლებით, როდესაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემამსუბუქებელი კანონის გამოყენების ან განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას.“<sup>135</sup> სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სსსკ 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ბლანკეტურად გამორიცხავდა საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს საჩივრის ფარგლებს და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლოს პირი იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედების ჩადენის შემდეგ მიღებული კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას. სასამართლომ ასევე არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას გასცდეს საჩივრის ფარგლებს, როდესაც სახეზეა ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებითი მსჯავრდება.
7. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო არ მონაწილეობს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, ის ახდენს მხარეების მიერ სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების შეფასებას<sup>136</sup> (დასაშვებობის) საკმარისობის და უტყუარობის თვალსაზრისით პირის მსჯავრდების და

<sup>133</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარდგინება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 17/09/2014, № 608.

<sup>134</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 05/10/2015 წლის გადაწყვეტილება № 608,609, II-20.

<sup>135</sup> იქვე, II-23.

<sup>136</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 09/03/2009 წლის, №1198აპ-08, განჩინება.

სასჯელის სამართლიანობის მიზნებისათვის.

8. საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს სასამართლოს ე.წ. ლეგალურ სუბსიდიარულ აქტივობას – სასამართლოს პროაქტიულ მონაწილეობას მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში, სასამართლო განხილვისას, მხარეთა შორის არსებული ფაქტობრივი უთანასწორობის გამოსწორების მიზნით. მაგრამ სასამართლო ვალდებულია მხარეებს შეუქმნას მათი უფლებების რეალიზაციისათვის საჭირო პირობები, მათ შორის გამონაკლის შემთხვევაში დაეხმაროს მტკიცებულების მოპოვებაში.
9. მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს საქმისწარმოებაზე; ჰქონდეს საკუთარი ინტერესების წარმოდგენის გონივრული შესაძლებლობა, მტკიცებულებების იმ პირობებში მოპოვების და წარდგენის შესაძლებლობა, რომელიც არ აყენებს მას მონინალმდეგე მხარესთან შედარებით vis-a-vis არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ დაცვის მხარეს ანიჭებს პარალელური გამოძიების წარმოების უფლებას, ცალკეულ შემთხვევაში აღნიშნული უფლების რეალიზაცია ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე საჭიროებს დახმარებას პროცესის მწარმოებელი ორგანოს მხრიდან. სსსკ 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი არეგულირებს აღნიშნულ ვითარებას და ადგენს სასამართლოს პროაქტიულ დახმარებას დაცვის მხარისათვის, თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ვერ ატარებს ბრალდებული/ადვოკატი დამოუკიდებლად. მაგალითად, ქონებაზე ყადაღის დადება (151-ე მუხლის პირველი ნაწილი), ჩხრეკაზე უფლების რეალიზაციისათვის საჭიროა სასამართლოს ნებართვა და აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების წარმოების დავალდებულება გამომძიებლისათვის (ობიექტური კრიტერიუმი). სუბიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე, როდესაც დაცვის მხარე ვერ ახორციელებს სსსკ მისთვის მინიჭებულ უფლებას. მაგალითად, თუ მხარე ნებაყოფლობით ვერ იღებს საექსპერტო კვლევის ობიექტს, რომელიც მეორე მხარესთან ინახება და რომელიც საჭიროა ექსპერტიზის ჩასატარებლად, ინიციატორი მხარე უფლებამოსილია საექსპერტო კვლევის ობიექტის ექსპერტისათვის გადაცემის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს (144-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ანალოგიურად მიმდინარეობს ნიმუშის აღება (147-ე მუხლის პირველი ნაწილი), იძულებითი მიყვანა (149-ე მუხლის მე-4 ნაწილი) და სხვა.
10. აღნიშნული ფორმულირება ყურადღებას ამახვილებს მტკიცებულებათა მოპოვების ორ ნესზე – მოპოვებაზე, როდესაც ხდება პრაქტიკულად მტკიცებულების შექმნა მისი ფიქსაციის გზით და გარკვეულ ადგილას/პირთან არსებული მტკიცებულების გამოთხოვა (მაგალითად, საექსპერტო კვლევის ობიექტის, შესადარებელი ნიმუშის, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა და სხვა).
11. მე-9 მუხლი უზრუნველყოფს მხარეთა თანაბარ სამართლებრივ შესაძლებლობებს საკუთარი უფლებების/პოზიციის დამტკიცებისათვის და არ მოითხოვს მხარეთა ფაქტობრივ თანასწორობას მატერიალური ან/და ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.<sup>137</sup> მაგრამ რეალური შეჯიბრებითობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ფაქტობრივი და არა ფორმალური თანასწორობა. შეჯიბრებითობის პრინციპი არ არის აბსოლუტური უფლება და კანონმდებლობა ითვალისწინებს მისგან გამონაკლისებს. მაგრამ ნებისმიერი გამონაკლისი შეჯიბრებითობიდან უნდა ეფუძნებოდეს გონივრულ საფუძველს. სსსკ ითვალისწინებს ზოგიერთ საპროცესო მოქმედებას, რომელთა წარმოების ან რომელთა შედეგების შესახებ ინფორმაციის მოპოვების უფლება დაცვის მხარეს საერთოდ არ გააჩნია ან არ გააჩნია გარკვეულ დროის პერიოდამდე. მაგალითად, უფლება ფარული საგამოძიებო მოქმედების წარმოებაზე, კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული ინფორმაციის მატარებლების გამოკვლევის

<sup>137</sup> Prosecutor v. Nahimana, Barayagwiza, & Ngeze, ICTR-99-52-A, 28/11/2007, §220; Prosecutor v. Dario Kordić and Mario Čerkez, i T-95-14/2-A, ICTY, 17/12/2004, §§175-176.

- უფლების თავდაპირველად ბრალდების მხარისათვის მინიჭების შესაძლებლობა (სსსკ 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი) და სხვა. თუ მხარეებს თავიდანვე არათანაბარი შესაძლებლობები გააჩნიათ, უთანასწორობა უნდა დაბალანსდეს მათთვის სხვადასხვა უფლების მინიჭების გზით, რაც ქმნის ე.წ. დაცვის საგამონაკლისო უფლებებს. აღნიშნულს ემსახურება სისხლის სამართლის პროცესში, მაგალითად, უდანაშაულობის პრეზუმფციის, მათ შორის მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარეზე დაკისრება, ყოველგვარი ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადანყვეტა, დუმის უფლება, საუარესოდ შებრუნების აკრძალვა და სხვა.
12. იმავდროულად, მტკიცებულების მოპოვება მხარეთა პრეროგატივაა. მხარეები თავიანთი შეხედულებისამებრ მოიპოვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებს. ვერავინ დაავალდებულებს მხარეს მოიპოვოს ან არ მოიპოვოს ესა თუ ის მტკიცებულება. „შესაბამისად, ვერავინ აუკრძალავს მხარეს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით, ამა თუ იმ მტკიცებულების მოპოვებას. ამიტომ, თუ დაცვის მხარე არ დაუსვამს ბრალდების მხარეს/ბრალდების მხარის მონმეს კითხვას კონკრეტული მტკიცებულების წარმომავლობის შესახებ, არ ისარგებლებს მტკიცებულებათა მოპოვების უფლებით და თვითონ არ დანიშნავს ექსპერტიზას, მაგალითად, ბრალდებულის ქურთუკის შიდა ჯიბეში (დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის მიხედვით, სადაც აღმოჩნდა ხელყუმბარა) ლითონის მიკრონაწილაკების კვალის თაობაზე, რასაც სასამართლო შემდგომ გახდოდა მსჯელობის საგნად. მას არ შეუძლია მოგვიანებით იდავოს შეჯიბრებითობის უფლების დარღვევაზე. ანალოგიურად, დარღვევას ადგილი არ ექნება, თუ არც გამოძიების და არც სასამართლო განხილვის დროს ბრალდების მხარე ბრალდებულს არ დაუსვამს შეკითხვას, თუ საიდან, ვისგან, რა პირობებში, რა მიზნით შეიძინა ხელყუმბარა და რას გეგმავდა იგი, „როდესაც აღნიშნული საკითხების გამორკვევის შესაძლებლობა ჰქონდა დაცვის მხარეს და მან არ ისარგებლა, ხოლო ბრალდების მხარე აღნიშნულ საკითხს დადგენილად მიიჩნევს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებიდან გამომდინარე“.<sup>138</sup>
  13. თანასწორობა: სამართალწარმოების სამართლიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მხარეთა თანასწორობაზე, რაც გულისხმობს სამართალწარმოების მხარეებისათვის ერთნაირი საპროცესო უფლებების მინიჭებას.<sup>139</sup>
  14. შეჯიბრებითი პროცესის ცნება უფრო კონკრეტულია და გულისხმობს, მხარის უფლებას საკუთარი არგუმენტების წარდგენაზე, ხოლო თანასწორობის უფლება – ორივე მხარისათვის თანაბარი გონივრული შესაძლებლობის მინიჭებას, მოიპოვონ და წარმოადგინონ მტკიცებულებები, საკუთარი მოსაზრებები და არგუმენტები იმ პირობებში, რომლებიც არ აყენებს მას მონინალმდეგე მხარესთან შედარებით vis-a-vis არსებითად არახელსაყრელ პირობებში.<sup>140</sup> მხარეთა თანასწორობა ფარდობითი ხასიათისაა და მონინალმდეგე მხარესთან შედარების მიზანია სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფა მხარეებს შორის.
  15. მხარეთა თანასწორობა არ არის აბსოლუტური უფლება და არ გულისხმობს მტკიცებულებათა წარმოდგენის უფლების შეუზღუდაობას. უბრალოდ, შეზღუდვა არ უნდა ეხებოდეს მხოლოდ ერთ მხარეს ან/და არ უნდა იყოს აბსოლუტური, ბლანკეტური და არათანაზომიერი, არ უნდა ინვევდეს მხარის უფლებების ისეთ არსებით შეზღუდვას, რაც პრაქტიკულად მისი ფუნქციის განხორციელების შეუძლებლობას გამოიწვევს, ან აზრს დაუკარგავს დეკლარირებულ უფლებას.
  16. რომელიმე მხარის უპირატესობა, საბოლოო ჯამში, არ უნდა ინვევდეს დისბალანსს. მაგალითად, თუკი ერთ საკითხში ბრალდების მხარეს აქვს მეტი შესაძლებლობა, დაცვის

<sup>138</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე № 1/ბ-555-12, 07/11/2012.

<sup>139</sup> Doucet v UK, ECtHR, 24/06/2003, §41; ICCPR, მუხლი 14(3)(დ); ECHR, მუხლი 6; G.B. v France, ECtHR, 02/10/2001, §58; Brandstetter v. Austria, ECtHR, 28/08/1991, §66.

<sup>140</sup> Bulut v Austria, ECtHR, 20/11/2007, §47; Foucher v. France, ECtHR, 18/03/1997, §34; Bobek v. Poland, ECtHR, 17/07/2007, §56; Klimentyev v. Russia, ECtHR, 16/11/2006, §95; Mantovanelli v. France, ECtHR, 18/03/1997, §33-36.

მხარეს უნდა ჰქონდეს მეტი უფლებრივი გარანტია. ანუ მთლიანი პროცესი უნდა იყოს შეჯიბრებითი და რომელიმე მხარის უპირატესობა, საბოლოო ჯამში, არ უნდა ქმნიდეს არსებით უთანასწორობას.

17. თანასწორობისა და შეჯიბრებითობის დარღვევის არსებობის საკითხის განხილვისას სასამართლო საკითხს იხილავს ორი კუთხით: 1. რაში გამოვლინდა და რა გავლენა იქონია უკვე აღნიშნულმა უთანასწორობამ მხარის უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობაზე; 2. აღნიშნულ უთანასწორობას რა გავლენის მოხდენა შეუძლია/მოახდინა სასამართლოს გადანყვეტილებაზე. ორივე შემთხვევაში, მხარის უპირატესობის გავლენის შეფასებისას გამოიყენება საქმის გარემოებათა ერთობლიობის ტესტი, რომლის საფუძველზეც სასამართლო სამართალწარმოების მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით აფასებს იმ საკითხს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ერთი მხარისათვის მინიჭებული უპირატესობა შედეგობრივი თვალსაზრისით, ანუ რა გავლენა მოახდინა უთანასწორობამ მხარის ინტერესებზე.<sup>141</sup>
18. თანასწორობის უფლების შეზღუდვას ადგილი ექნება სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლების ერთი მხარისათვის მინიჭების შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს არ მიეცემა სააპელაციო სასამართლოში საქმის დახურულ განხილვაზე დასწრების უფლება,<sup>142</sup> ან/და არ ეძლევა სასამართლოში საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებზე, ბრალდებულისთვის უფლებების შესახებ სათანადო ინფორმაციის არმინოდება სასამართლო პროცესის მსვლელობისას, რაც მათ აყენებს არათანაბარ პოზიციაში ბრალდების მხარესთან შედარებით, რის შედეგადაც მოსალოდნელია მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა<sup>143</sup>. დაცვის მხარისათვის იმ მოწმეთა წარმოდგენის შესაძლებლობა, რომელიც მათი განცხადებით ბრალდებულის არაბრალეულობას ადგენდა და სხვა. მაგრამ, თუკი მოწმის ჩვენება ეხება საკითხს, რომელიც გავლენას ვერ მოახდენს შედეგზე, მაშინ თანასწორობის მოთხოვნაც არ არის დარღვეული.
19. მასალების გაცნობის უფლება: უფლება შეჯიბრებით სასამართლო განხილვაზე გულისხმობს მხარეთა შესაძლებლობას, გაეცნოს ყველა წარმოდგენილ მტკიცებულებებს და გამოთქვას საკუთარი მოსაზრება საქმესთან დაკავშირებულ ყველა მტკიცებულებასთან მიმართებით<sup>144</sup> პროცესის მწარმოებელ ორგანოზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, იმისდა მიუხედავად, სასამართლო სხდომა იმართება ზეპირად თუ ზეპირი განხილვის გარეშე.
20. საქმის მასალების დროული და ადეკვატური გაცნობის გარეშე მხარე მოკლებული იქნება საკუთარი აზრის გამოთქმის ან/და იმპიჩმენტის უფლების გამოყენების შესაძლებლობას, სწორად ვერ განსაზღვრავს სად და რა სახის დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობა შეიძლება არსებობდეს საქმეზე. ამიტომ მტკიცებულებათა გაცნობა არა მხოლოდ მტკიცებულების მოკლე შინაარსის ან მათი ძირითადი მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას გულისხმობს, არამედ მათ საფუძვლიან შესწავლას და დეტალურ შემოწმებას (პირველ რიგში, დასაშვებობის/სარწმუნოობის თვალსაზრისით). მნიშვნელოვანია, როგორც ყველა იმ მტკიცებულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომელთა გამოყენებასაც მონინაალმდევე მხარე აპირებს სასამართლოში თავისი პოზიციის დასაბუთებისათვის, ისე ამ ინფორმაციის გაცნობისათვის საკმარისი დროის და ადეკვატური საშუალებების მინიჭება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ ითვალისწინებს მხარეთა ვალდებულებას, საკუთარი ხარჯით გადასცენ ერთმანეთს წერილობითი მტკიცებულების ასლები, მისცენ ნივთიერი მტკიცებულების დათვალეიერების შესაძლებლობა,

<sup>141</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 09/03/ 2009 წლის №1198 აპ-08 განჩინება.

<sup>142</sup> Zhuk v. Ukraine, ECtHR, 21/10/2010, §35.

<sup>143</sup> OSCE/ODIHR, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, 09/12/2014, §12,10.

<sup>144</sup> იხ., მაგალითად, Vermelen v. Belgium, ECtHR, 20/02/1996.



თუ ეს არ იწვევს მის ან მასზე არსებული კვალის დაზიანებას/განადგურებას,<sup>145</sup> ავალდებულებს გამოძიების ორგანოს გადასცეს დაცვის მხარეს მის ხელთ არსებული ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებები და სხვა.<sup>146</sup> დროის საკმარისობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასამართლო განხილვის საგანი, სტადია, საქმის სირთულე და სხვა.

- 21.** ბრალდების მხარემ დაცვის მხარეს უნდა გადასცეს მის ხელთ არსებული ბრალდებულის მამხილებელი თუ გამამართლებელი ნებისმიერი მტკიცებულება.<sup>147</sup> დაცვისთვის მტკიცებულებების გაუმჟღავნებლობა შეიძლება მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევად იყოს მიჩნეული.<sup>148</sup> მაგრამ მტკიცებულებების გაუმჟღავნების ვალდებულება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. შეზღუდვა შესაძლოა განხორციელდეს ისეთი საჯარო ინტერესის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, როგორცაა, მაგალითად, ეროვნული უსაფრთხოება, მოწმეთა დაცვის ან/და ცალკეული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების საიდუმლოების დაცვა, მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესების ან/და მესამე პირის ძირითადი უფლებების დაცვა და სხვა. დაცვის მხარის უფლებების რელიზაცია ამ ინტერესების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.<sup>149</sup> ასეთ გამონაკლისს ითვალისწინებს, მაგალითად, სსსკ 83-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, დაცვის მხარის უფლება ინფორმაციის მიღებაზე შეიძლება შეზღუდოს ბრალდების მხარის შუამდგომლობით სასამართლომ მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში და მხოლოდ წინასასამართლო სტადიაზე. მაგრამ სასამართლომ არ შეიძლება მსჯავრდება დააფუძნოს უმთავრესად იმ მტკიცებულებებზე, რომლის შინაარსი არ არის ცნობილი ბრალდებულისათვის. აღნიშნული საკითხის განხილვისას, ევროპული სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ რამდენად შეაფასა მოსამართლემ ინფორმაციის გამხელის აუცილებლობა, რამდენად მოხდა ადვოკატის ინფორმირება გაუმხელელ მასალასთან დაკავშირებით და თუ მიეცა მას ამ კუთხით გადანყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის საშუალება.<sup>150</sup> აღნიშნული არ წარმოადგენს კონვენციის დარღვევას თუ გადანყვეტილება ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შესახებ მიღებულ იქნა სათანადო პროცედურის დაცვით (აღნიშნული ინფორმაცია წარედგინა სასამართლოს, რომელმაც ინფორმაციის მნიშვნელობის, კერძო და საჯარო ინტერესთა ბალანსის შეფასების შედეგად მიიღო გადანყვეტილება აღნიშნული ინფორმაციის დაცვის მხარისათვის არგადაცემის შესახებ), წარდგენილი ბრალდება არ ეყრდნობა აღნიშნულ მასალებს<sup>151</sup> და აღნიშნული აბსოლუტურად აუცილებელია დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად.<sup>152</sup>
- 22.** ცალკეულ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებები შესაძლებელია გადაეცეს გასაცნობად ადვოკატს, მაგრამ მათი გაცნობის უფლება შეიზღუდოს ბრალდებულისათვის. ამ შემთხვევაში მტკიცებულებისადმი ხელმიუწვდომლობა ბრალდებულს არ უნდა ართმევდეს უფლებას გამოძიების სტადიაზე წარადგინოს მტკიცებულებები, ადვოკატის მეშვეობით ბრალდებულმა გააკეთოს კომენტარები საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან და-

<sup>145</sup> დეტალურად იხ., სსსკ 83-ე მუხლის კომენტარი.

<sup>146</sup> იხ., 37-ე მუხლის კომენტარი.

<sup>147</sup> *Rowe and Davis v. the United Kingdom* ECtHR, (GC), 16/02/2000, §60. მხარეებს შორის მტკიცებულებათა გაცვლის წესსა და ფარგლებთან დაკავშირებით იხ., 83-ე მუხლის კომენტარი.

<sup>148</sup> *Kuopila v. Finland*, ECtHR, 27/04/2000, §38.

<sup>149</sup> *Khan v. the United Kingdom*, ECtHR, 12/05/2000, §§ 34-40; *Edwards v. the United Kingdom*, ECtHR, 27/10/2004, §§33-39.

<sup>150</sup> პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა მოცემულია საქმეში *A. and others v. UK*, ECtHR, (GC), 19/02/2009, §§205-211.

<sup>151</sup> იხ., *Jasper v the United Kingdom*, ECtHR, (GC), 16/02/2000, 58.

<sup>152</sup> *Van Mechelen and Others v the Netherlands*, ECtHR, 30/10/1997, §58.

- კავშირებით და სხვა. მაგრამ თუ ბრალდებული დამოუკიდებლად ახორციელებს დაცვას, მაშინ მისგან საქმეში არსებული მტკიცებულებების დამალვა არღვევს დაცვის მხარის უფლებას.
- 23.** დაუშვებელია ბრალდებულისთვის გასაცნობად გადაცემული მტკიცებულებებიდან ასლის გადაღების, ამონაწერების განხორციელების უფლების შეზღუდვა.<sup>153</sup>
- 24.** აღნიშნული პრინციპის დარღვევას ადგილი აქვს, როდესაც დაცვის მხარეს დროულად არ გადაეცემა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის გამოც ის მოკლებულია დაცვის ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობას; არ ეძლევა საკუთარი მოწმეების იმავე პირობებში დაკითხვის შესაძლებლობა, როგორც ბრალდების მხარეს; დაცვის მხარეს უარი ეთქვა ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო სასამართლო განხილვის გადადების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე<sup>154</sup> და ა.შ. მხარეთა თანასწორობის პრინციპი შეიძლება ასევე დარღვეულად იყოს მიჩნეული, თუ ბრალდებულის წვდომა საქმის მასალებზე ან სხვა დოკუმენტებზე შეიზღუდება სახელმწიფო ინტერესების მოტივით.<sup>155</sup>
- 25.** ინფორმაციისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა წარმოადგენს თანაბარი შესაძლებლობების პრინციპის შემადგენელ ელემენტს, ვინაიდან მხოლოდ ამ საკითხში თანასწორობა მისცემს შესაძლებლობას ბრალდებულს ეფექტიანად განახორციელოს საკუთარი თავის დაცვა. მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდების დროულობა და სისრულე. ინფორმაცია დროულად უნდა გახდეს ხელმისაწვდომი მხარისათვის, რომ შეძლოს მისი გამოიყენება საკუთარი პოზიციის დასაცავად. ამიტომ არ არის საკმარისი, რომ ბრალდებულს შესაძლებლობა ჰქონდეს გაეცნოს პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველს და მიზეზს მხოლოდ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ბრალდებულისთვის რელევანტური ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტამდე. მაგალითად, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების განხილვა-გადაწყვეტამდე. დაცვის მხარისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ის მტკიცებულება თუ არგუმენტი, რომელიც შეიძლება სასამართლომ გაითვალისწინოს ბრალდებულის ბრალეულობის განსაზღვრისას, უნდა ჰქონდეს აღნიშნული მტკიცებულების გასაჩივრების ან/და გაბათილების შესაძლებლობა.
- 26.** მტკიცებულების მოპოვება მხარის უფლებაა და მისი გადასაწყვეტია, რომელ მტკიცებულებას, რა რაოდენობის მტკიცებულებას მოიპოვებს და წარადგენს სასამართლოში. მეორე მხარეს არ აქვს უფლება საკუთარი პოზიციის დასაცავად მიუთითოს იმაზე, რომ მოწინააღმდეგე მხარემ არ მოიპოვა რომელიმე კონკრეტული სახის მტკიცებულება, თუ 1. აღნიშნული მტკიცებულების დამოუკიდებლად მოპოვების შესაძლებლობა და უფლება თავადაც გააჩნდა; 2. თუ აღნიშნული მტკიცებულების წარმოდგენის გარეშეც მოწინააღმდეგე მხარე სსსკ დადგენილი სტანდარტით ადასტურებს საკუთარი პოზიციის სისწორეს. მაგალითად, დაუსაბუთებელია დაცვის მხარის პრეტენზია, რომ ბრალდებამ სსკ 178-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეზე არ დანიშნა ტრასოლოგიური ექსპერტიზა ნაძარცვ ქონებაზე ბრალდებულის თითის ანაბეჭდების არსებობის დასადასტურებლად, როდესაც ბრალდებულის ბრალეულობა დასტურდებოდა დაზარალებულის, თვითმხილველი მოწმეების, პირადი ჩხრეკისა და ამოცნობის ოქმებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ სსსკ შესაბამისად, „მტკიცებულების მოპოვება მხარეთა პრეროგატივაა. ისინი თავიანთი შეხედულებისამებრ მოიპოვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებს....დაცვის მხარე უფლებამოსილი იყო საჭიროების შემთხვევაში თავად მოეპოვებინა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა.“<sup>156</sup> შესაბამისად, „უსაფუძვლოა კასატორის მითითება გამომძიებ-

<sup>153</sup> იხ., Rasmussen v Poland, 28/04/2009, §48-49; Moiseyev v Russia, 09/10/2008, §213-218; Matyjek v Poland, 24/04/2007, §59; Seleznev v Russia, 26/06/2008, §§64-69.

<sup>154</sup> UNCCPR/C/35?D/223/1987/(1989), §10.4.

<sup>155</sup> Matyjek v. Poland, ECtHR, 24/04/2007, §65.

<sup>156</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27/02/2015 წლის განაჩენი საქმეზე №283 აპ-14.

ლის ვალდებულებაზე – მოეპოვებინა რიგი მტკიცებულებები, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მტკიცებულების მოპოვება მხარეთა პრეროგატივაა. ისინი თავიანთი შეხედულებისამებრ მოიპოვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებს. შესაბამისად, დაცვის მხარე უფლებამოსილი იყო, საჭიროების შემთხვევაში თავად მოეპოვებინა ის მტკიცებულებები, რომელთაც საჭიროდ მიიჩნევდა თავისი პოზიციის დასადასტურებლად.<sup>157</sup>

## მუხლი 10. სასამართლო სხდომის საჯაროობა და ზეპირობა

1. სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება საჯაროდ და ზეპირად. სხდომის დახურვა დასაშვებია მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ.

3. ამოღებულია (18.01.2013. №205)

4. სასამართლოს შენობაში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება, სტენოგრაფირება და აუდიოჩანწერა ხორციელდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით (1.05.2013. №583).

1. სასამართლო სხდომის საჯაროობის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლით და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლით.<sup>158</sup> აღნიშნული პრინციპი ეხება მხოლოდ სასამართლო განხილვას და ვრცელდება ყველა ინსტანციის და პრაქტიკულად ყველა სახის სასამართლო განხილვაზე.

2. უფლება საჯარო სასამართლო განხილვაზე იცავს მხარეებს მართლმსაჯულების ფარულად და თვითნებურად განხორციელებისგან, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების გამჭვირვალობას და სასამართლო სისტემის საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ანგარიშვალდებულებას და მართლმსაჯულების მიმართ მოსახლეობის ნდობის განმტკიცებას.

3. უფლება საჯარო სასამართლო განხილვაზე გულისხმობს პროცესის მონაწილეთა, საზოგადოების და მასმედიის წარმომადგენლების უფლებას, დაესწრონ სასამართლო განხილვას. პროცესზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ პირს 14 წლის ასაკიდან, ამავე კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

4. იმავდროულად, საქმის საჯარო განხილვა გულისხმობს როგორც პროცესზე დასწრების ასევე პროცესის მიმდინარეობის აუდიო-ვიდეო-ფოტო-კინოგადაღების შესაძლებლობას. სსსკ აღნიშნულ უფლებას ორ ასპექტში განიხილავს: 1. სასამართლოს ეზოსა და შენობის დერეფანში გადაღება ნებადართულია და მისი შეზღუდვა საჭიროებს უსაფრთხოების ინტერესების დაცვის აუცილებლობის მტკიცებას სასამართლოს წარმომადგენლის მხრიდან; 2. სასამართლოს სხდომის დარბაზში გადაღება, როგორც წესი, აკრძალულია და დაიშვება მხოლოდ სასამართლოს ნებართვით.<sup>159</sup>

5. საჯარო სასამართლო განხილვის უფლება შედგება სხვადასხვა ელემენტისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ კონტროლს მართლმსაჯულების განხორციელებაზე. ამ მექანიზმებს მიეკუთვნება, მაგალითად, სასამართლო განხილვის მიმდინარეობის ჩანწერა და გაშუქება, საზოგადოების ინფორმირება სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, სასამართლო სხდომის ჩატარება პროცესის საჯაროობის მიზნებისათვის შესაფ-

<sup>157</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22/04/2015 წლის განაჩენი საქმეზე №384 აპ-14.

<sup>158</sup> ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია მუხლი 10 და 11(1), საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მუხლი 14(1)) და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 6 (1).

<sup>159</sup> სასამართლო სხდომის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქების, მხარეების/ პროცესზე დამსწრე პირების მიერ პროცესის მიმდინარეობის გადაღების საკითხებზე იხ., სსსკ 182<sup>1</sup> მუხლის კომენტარი.

- ერისი ზომის სხდომის დარბაზში<sup>160</sup>, საზოგადოების სასამართლო პროცესზე დასწრების შესაძლებლობის გონივრული და თანაზომიერი შეზღუდვა და სხვა, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული უფლების ეფექტურ რეალიზაციას. სასამართლო პროცესისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია სხდომის ჩატარება დიდ დარბაზში, საჯაროობის პრინციპის დაკმაყოფილებისათვის, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, მაგალითად, სასამართლოს სხდომების პირდაპირ ეთერში ვიდეოგადაცემა სასამართლოს შენობის სხვადასხვა ადგილას დამონტაჟებულ ეკრანებზე.<sup>161</sup>
6. სასამართლო პროცესი საჯაროობის მოთხოვნას აკმაყოფილებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებას საშუალება აქვს ადვილად მოიპოვოს ინფორმაცია მისი ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ. რაც შესაძლებელია განხორციელდეს ცხელი ხაზის, სასამართლოს მუდმივად განახლებადი ვებგვერდის, ან საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლებისგან სხდომის ჩატარების თარიღის, დროის და ადგილის შესახებ ინფორმაციის მიღების გზით. იმავდროულად სასამართლოს განრიგში დაუგეგმავი ცვლილებების შემთხვევაში (სხდომის ადგილის თარიღის ან დროის შეცვლა) უზრუნველყოფილი უნდა იყოს აღნიშნული ინფორმაციის დაუყოვნებელი ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის მკაფიო ფორმით, რომ საკმარისი დრო ჰქონდეთ ახალ პირობებში სხდომაზე დასწრებისათვის. პროცესის სასამართლოს დარბაზის გარეთ გამართვის შემთხვევაში (მაგალითად, სასჯელალსრულების დაწესებულებაში) სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოების და მასმედიის სათანადო ინფორმირება პროცესის ჩატარების ადგილის შესახებ და მისი ეფექტიანი ხელმისაწვდომობა (მათ შორის, შესაბამისი დაწესებულების ტერიტორიაზე დაშვება<sup>162</sup>).
7. საჯარო სასამართლო განხილვის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. სსსკ ითვალისწინებს როგორც ბრალდებულის მიერ აღნიშნულ უფლებაზე უარის თქმის, ასევე ბრალდების მხარის ან/და სასამართლოს ინიციატივით სხდომის დახურვის შესაძლებლობას და ადგენს სხდომის დახურვის კანონიერების რამდენიმე წინაპირობას: 1. სხდომის დახურვა დაიშვება მხოლოდ სსს კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში; 2. სასამართლო ვალდებულია განმარტოს სხდომის დახურვის მიზეზები; 3. მინიმიზაციის პრინციპი – სხდომის დახურვა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული სიკეთის დასაცავად. სასამართლო ვალდებულია დახურვის საფუძვლების სპეციფიკის გათვალისწინებით პერიოდულად გადაამოწმოს სხდომის დახურვის აუცილებლობის კვლავაც არსებობა; 4. სხდომა უნდა დაიხუროს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის<sup>163</sup> შემთხვევაში, როდესაც სხვაგვარად შეუძლებელია სახელმწიფო უსაფრთხოების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, დაზარალებულთა და პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოების, პატივის, ღირსების და სხვა ლეგიტიმური ინტერესების დაცვა საამისოდ აუცილებელი ვადით და ფარგლებში.
8. კანონმდებლობა სხდომის დახურვის საფუძვლებს ორ ნაწილად ყოფს: 1. კანონმდებლობით მკაფიოდ გათვალისწინებული შემთხვევები, როდესაც საქმის საჯაროდ განხილვა აკრძალულია (მაგალითად, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მასალების განხილვისას (სსსკ 182 მუხლის მე-2 ნაწილი), ან როდესაც სასამართლოს სხდომას ესწრება არასრულწლოვანი ბრალდებული – (სსსკ 317-ე მუხლის პირველი ნაწილი)); 2. სასამართლოს გადაწყვეტილებით კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე

<sup>160</sup> Riepan v Austria, ECtHR, 14/11/2000, §29, 31; Mikhail Marinich v Belarus CCPR/C/99/D/1502/2006 (2010) §10.5; ასევე Felix Kulov v Kyrgyzstan, CCPR/C/99/D/1369/2005(2010), §8.6.

<sup>161</sup> OSCE/ODIHR, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, 09/12/2014 §.64.65.

<sup>162</sup> Riepan v Austria, ECtHR, 14/11/2000, §§28-31; Hummatov v Azerbaijan, ECtHR, 29/11/2007, §140-152.

<sup>163</sup> Olujic v Croatia, ECtHR, 05/05/2009, §71.

- თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე. მაგალითად, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოების, პროცესის მონაწილის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და პერსონალური მონაცემების დაცვის, პირადი უსაფრთხოების, არასრულწლოვნის ინტერესების, დაზარალებულთა პატივისა და ღირსების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე და სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვისათვის.
9. სასამართლო სხდომის/მისი ნაწილის დახურვა შესაძლებელია განხორციელდეს მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ან სასამართლოს ინიციატივით. ამ შემთხვევაშიც კანონმდებლობა ითვალისწინებს დუალისტურ მიდგომას. ერთ შემთხვევაში სასამართლო პროცესის დახურვა შესაძლებელია განხორციელდეს მხარის შუამდგომლობის ან სასამართლოს ინიციატივით (მაგალითად, პირად ცხოვრებას მიკუთვნებულ საკითხებზე), ხოლო მეორე შემთხვევაში – სასამართლოს ექსკლუზიურ უფლებას და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის ვალდებულების ნაწილს წარმოადგენს (სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით).
  10. იმავდროულად, სსსკ 182-ე მუხლში მოცემული გარემოებები არ წარმოადგენს სასამართლო სხდომის დახურვის იმპერატიულ საფუძველებს. სსსკ 182-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას და ვალდებულებას, სასამართლო სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ საქმის გარემოებათა ერთობლიობის შეფასების, უფლებათა შეზღუდვის თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით.
  11. თუ მხარე არ აყენებს შუამდგომლობას პროცესის დახურვის შესახებ, თუ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლო პროცესზე გამოსაკვლევი საკითხები შესაძლებელია ეხებოდეს პროცესის მონაწილის პერსონალურ მონაცემებს, სასამართლოს უფლება აქვს დახუროს სასამართლო სხდომა საკუთარი ინიციატივით.
  12. საჯაროობიდან გამომდინარე, სხდომის სრულად ან ნაწილობრივად დახურვის შემთხვევაში სასამართლომ უნდა მიუთითოს სხდომის დახურვის მიზეზი (იხ. სსსკ 182-ე მუხლის მე-6 ნაწ.) და დაასაბუთოს სხდომის დახურვის აუცილებლობა აღნიშნული ლეგიტიმური მიზნისათვის.
  13. ღია/დახული სასამართლო განხილვის ჩატარების საკითხის გადანყვეტისას შეფასებულ და გათვალისწინებულ უნდა იქნეს კონკრეტულ ვითარებაში სასამართლო დარბაზში უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი, განხილულ უნდა იქნეს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყველა შესაძლო ზომა და უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ ღონისძიებით შესაძლებელია იმავე მიზნის მიღწევა.<sup>164</sup>
  14. კონფიდენციალური ან/და საიდუმლო ინფორმაციის არსებობა საქმის მასალებში არ გულისხმობს ავტომატურად სასამართლოს სხდომის დახურვის აუცილებლობას. სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლომ უნდა დაადგინოს სხდომის დახურვის აუცილებლობა ღირებული საჯარო ინტერესის დაკმაყოფილებისათვის, აღნიშნული მიზნის მიღწევის შესაძლებლობა უფრო ნაკლებად მზლუდავი ზომების გამოყენებით და დახურვა გამოიყენოს მხოლოდ იმ ზომით, რაც აუცილებელია სსსკ განსაზღვრული ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად – კონკრეტულ მტკიცებულებასთან, მონმესთან ან საკითხთან და არა მთელ პროცესთან დაკავშირებით.<sup>165</sup>
  15. დარღვევას აქვს ადგილი, როდესაც: პროცესზე საზოგადოების დასწრების უფლება იზღუდება სასამართლოს მიერ ისე, რომ არ ხდება წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რამდენად აუცილებელია ეს შეზღუდვა ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვისათვის,<sup>166</sup> არ ხდება იმის გადამოწმება, ნამდვილად შეიცავს თუ არა გამოსაკვლევი მტკიცებულება სახელმწიფო საიდუმლოს შესახებ კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას ან/და რამდენად დასაბუთებულია მხარის მტკიცება სახელმწიფო საიდუმლოზე მითითების შესახებ. როდე-

<sup>164</sup> Krestovskiy v Russia, ECtHR, 28/01/2011, §29.

<sup>165</sup> Belashev v. Russia, ECtHR, 04/05/ 2009, §83; Welke and Bialek v. Poland, ECtHR, 15/09/ 2011, §77.

<sup>166</sup> OSCE/ODIHR, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, 09/12/2014, §64, 65.

- საც იხურება მთლიანი სხდომა და არა სხდომის ის ნაწილი/ ის სხდომები, რომელზეც უნდა განხორციელდეს იმ მტკიცებულებების განხილვა, რომელთა საიდუმლო/კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარეც მიიღო სასამართლომ სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება
16. გარკვეულ სირთულეს შეიძლება წარმოადგენდეს პოტენციურად სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამორიცხვა სხვა მტკიცებულებიდან, თუ სასამართლოს მიერ წინასწარ სათანადოდ არ მოხდება იმის შეფასება, თუ რამდენად წარმოადგენს გამოსაკვლევ ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოს (ინფორმაციის საიდუმლო ხასიათი დადასტურებული უნდა იყოს იმ ორგანოს მიერ, რომელიც ინახავს აღნიშნულ ინფორმაციას „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად), ამან შესაძლოა უსამართლოდ გამორიცხოს გარკვეული ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის და ჩამოართვას ბრალდებულს საჯარო მოსმენის უფლება. ამიტომ, თუ მოწმე ჩვენებას იძლევა საჯარო და სახელმწიფო საიდუმლობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შესახებ ერთდროულად, სასამართლომ, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის საჯაროდ განხილვა და სასამართლო სხდომის დახურვა მხოლოდ იმ დოკუმენტის წარდგენისას, რომელიც სახელდება, როგორც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი.
  17. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განსხვავებას ექსპერტების და ჩვეულებრივი მოწმეების დაკითხვას შორის, ვინაიდან ექსპერტებს აქვთ შესაბამისი ცოდნა, თუ როგორ დაიცვან საიდუმლო ინფორმაცია გამჟღავნებისგან დაკითხვის პროცესში, ხოლო ჩვეულებრივი მოწმეებს – არა.
  18. ზეპირი მოსმენები უნდა ჩატარდეს ისეთ პირობებში, სადაც ზეპირი პასუხები და აუდიო-ვიზუალური კომუნიკაცია მხარეებსა და სასამართლოს შორის ხორციელდება სათანადოდ, დინამიკურად და შეუფერხებლად. ქაოტურ პირობებში ჩატარებული ზეპირი მოსმენა, როდესაც ბრალდებული მოკლებულია ადვოკატთან კომუნიკაციის შესაძლებლობას, იძულებულია იყვიროს იმისათვის, რომ მოსამართლეს მიაწვდინოს ხმა, დამსწრეთა კამათის და მედიის წარმომადგენლების უნებართვო ჩარევების გამო, როდესაც კამერების განათებები ხელს უშლის დაცვის მხარეს კონცენტრირებაში და ა.შ. სასამართლო განხილვა ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად.<sup>167</sup>
  19. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სასამართლოში წესრიგის დაცვაზე უმთავრეს პასუხისმგებლობას აკისრებს სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს (სსსკ მუხლი 85.1) და უფლებას ანიჭებს, საკუთარი ინიციატივით, ნაწილობრივ ან სრულად დახუროს სასამართლო სხდომა (სსსკ მუხლი 182.4).
  20. სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვის მიზნებისათვის სხდომის დახურვა სასამართლომ უნდა გამოიყენოს, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. საჯარო განხილვის უფლების შეზღუდვაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, სასამართლომ უნდა განიხილოს სსსკ-ით გათვალისწინებული გაფრთხილების, ჯარიმის, გაზრდილი ჯარიმებისა და ცალკეული პირების დაპატიმრებების გამოყენების ეფექტიანობა სხდომის დარბაზში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.<sup>168</sup> მთლიანად საზოგადოების არდაშვება სასამართლოს განხილვაზე, როდესაც ცალკეული წევრების დაჯარიმება ან გაძევება საკმარისია წესრიგის დასამყარებლად, არ აკმაყოფილებს თანაზომიერების მოთხოვნას, ვინაიდან ვრცელდება საზოგადოების იმ ნაწილზეც, რომელსაც არ დაურღვევია სასამართლო წესრიგი. წევრების გაფრთხილება, ჯარიმები, ჯარიმების გაზრდა, გაძევება და დაპატიმრება უნდა განიხილებოდეს ამავე თანმიმდევრობით, სანამ მიიღება გადაწყვეტილება საჯარო სასამართლო პროცესზე უფლების შეზღუდვაზე.<sup>169</sup>

<sup>167</sup> Ramishvili and Kokhredze v Georgia, ECtHR, 13/01/2009, §129-131.

<sup>168</sup> OSCE/ODIHR, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, 09/12/2014, §28. 18.

<sup>169</sup> იქვე, §88, 62.

21. წესრიგის დაცვის მიზნით სხდომის დახურვის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს პროცესის აუდიო/ვიდეორეგისტრაციის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა, კონფიდენციალობის შეთანხმებაზე ხელის მოწერის გარეშე, ვინაიდან პროცესის დახურვა არ უკავშირდება კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებას.<sup>170</sup>
22. გადაწყვეტილება სასამართლო სხდომის დახურვის შესახებ შესაძლებელია მიღებულ იქნეს სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, სათათბირო ოთახში სასამართლოს გასვლამდე.
23. განხილვის მიმდინარეობისას შესაძლებელია დაიხუროს მთლიანი სასამართლო სხდომა ან სხდომის ცალკეული ნაწილი (მაგალითად სასამართლო განხილვაზე გამოძახებული მონმის დაკითხვა მთლიანად ან მონმის დაკითხვის ის ნაწილი, რომელიც ეხება სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას).
24. სასამართლო სხდომის დახურვის შემთხვევაში სხდომაზე დასწრების უფლება გააჩნიათ მხოლოდ მხარეებს და პროცესში მონაწილე პირებს (თარჯიმანი, მონმე). დახურულ სხდომაზე არ დაიშვებიან მედიის წარმომადგენლები, ხოლო დაზარალებულის დასწრება სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული. კერძოდ, სასამართლოს უფლება აქვს, თუმცა არ არის ვალდებული დაზარალებულ პირს მიაწოდოს დახურულ სხდომაზე დასწრების უფლება.<sup>171</sup>
25. სამართალწარმოების საჯაროობას გააჩნია ორი ასპექტი: ღია სასამართლო განხილვის წარმოება და სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება.
26. იმისდა მიუხედავად, საკითხი განხილულ იქნა ღია თუ დახურულ სხდომაზე. სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს საჯაროდ, ვინაიდან კოდექსი ყურადღებას ამახვილებს გამოცხადებაზე და არა გამოქვეყნებაზე. საჯაროდ გამოცხადება კი გულისხმობს სხდომის დარბაზში გადაწყვეტილების სავალდებულო წესით წაკითხვას. შესაბამისად, გადაწყვეტილების ასლის მხარეებისათვის გადაცემა ან/და სასამართლოს ვებგვერდზე ატვირთვა არ ჩაითვლება გამოცხადებად. ამიტომ, სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოცხადდეს საჯაროდ, ხოლო სამოტივაციო ნაწილი მხარეებს შესაძლებელია მოგვიანებით გადაეცეთ წერილობითი სახით.
27. სსსკ ცალკეულ შემთხვევებში ითვალისწინებს გამონაკლისს აღნიშნული წესიდან. მაგალითად, ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება საჯაროდ არ ცხადდება (მუხლი 143<sup>3</sup> ნან. 13).
28. ზეპირი სასამართლო განხილვა: სსსკ ითვალისწინებს უფლებას ზეპირ სასამართლო განხილვაზე.<sup>172</sup> ზეპირობა ხელს უწყობს საქმეში არსებული და მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებების საქმის მონაწილეების და მხარეების მიერ უშუალოდ აღქმას.
29. „საქმის ზეპირი მოსმენა ითვალისწინებს რა მხარეთა უშუალო მონაწილეობას საქმის განხილვაში, რაც ნიშნავს მათ შესაძლებლობას, წარადგინონ მტკიცებულებები, გამოთქვან მოსაზრებები, დაიცვან თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით, სწორედ ამ გზით, წარმოდგენს მნიშვნელოვან გარანტიას პროცესის შეჯიბრებითობის, დაცვის უფლებით ადეკვატურად სარგებლობისათვის, ამასთან, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს მხარეთა შესაძლებლობას, უკეთ დაიცვან საკუთარი ინტერესები, გავლენა მოახდინონ საქმის გადაწყვეტაზე, ხელი შეუწყონ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას<sup>173</sup>, აძლიერებს როგორც მხარეთა, ასევე საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულებისადმი, განაპირობებს სასამართლოს გადაწყვეტილებათა მეტ გამჭვირვალობას და ამცირებს შეც-

<sup>170</sup> იქვე, §90, 63.

<sup>171</sup> იხ., სსსკ. 182 მუხლის 4<sup>1</sup> ნაწილის კომენტარი.

<sup>172</sup> იხ., ასევე სსსკ. 182-ე მუხლის პირველი ნაწილის და 248-ე მუხლის კომენტარები.

<sup>173</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 23/05/2014 წლის გადაწყვეტილება №574, II.61.

დომის დაშვების ალბათობას.<sup>174</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, ზეპირი სასამართლო განხილვა „ხელს უწყობს გადაწყვეტილების დასაბუთებულობას, აძლიერებს მომავალში მხარის გასაჩივრების უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას და აძლიერებს გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი საფუძვლების – დაუსაბუთებლობის ან/და უკანონობის არსებობას/არსებობის ალბათობას.“<sup>175</sup>

- 30.** სსსკ კოდექსი ითვალისწინებს სასამართლო განხილვის ორ ძირითად ფორმას: ზეპირი განხილვით და ზეპირი განხილვის გარეშე. იმავდროულად, სსსკ ადგენს შემთხვევებს, როდესაც: 1. მოითხოვება სავალდებულო წესით ზეპირი განხილვა (მაგალითად, 206-ე მუხლის მე-9 ნაწ.) და იმპერატიულად განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც საკითხი განხილულ უნდა იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე (მაგალითად, სსსკ 112-ე მუხლის პირველი, მე-5 და მე-7 ნაწილები, 208-ე მუხლის მე-3 ნაწ. და სხვა); 2. შემთხვევები, როდესაც სასამართლოს ეკუთვნის დისკრეციული უფლებამოსილება საკითხის ზეპირი წესით განხილვაზე (მაგალითად, 112-ე მუხლის პირველი და მე-5 ნაწილები); 3. შემთხვევები, როდესაც სასამართლოს შეუძლია საკითხის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე (მაგალითად, 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-5 ნაწილი); 4. ე.წ. შეკვეცილი ზეპირი განხილვა ერთი მხარის მონაწილეობის პირობებში, როდესაც სასამართლო განხილვას ესწრება მხოლოდ შუამდგომლობის ინიციატორი მხარე (მაგალითად, სსსკ 112-ე მუხლის პირველი ნაწ., 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-5 ნაწ. და სხვა).
- 31.** ზეპირობა განსაზღვრავს პროცესის მონაწილეებს შორის ურთიერთობის ფორმას და იმავდროულად წარმოადგენს მტკიცებულების გამოკვლევის მეთოდს. აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ინფორმაციის, მტკიცებულების, საკითხის გამოკვლევა სასამართლოში ხორციელდება ზეპირად – მხარეთა შუამდგომლობები, დასკვნითი სიტყვები, მოწმეთა დაკითხვა, მტკიცებულებების გამოკვლევა სასამართლოში უნდა განხორციელდეს ზეპირად, ისევე როგორც მოწმეთა ჩვენებები, საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებები და დოკუმენტები, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ოქმებიც ასევე საჯაროდ უნდა იქნეს წაკითხული სასამართლოში, ვინაიდან განაჩენი ეყრდნობა მხოლოდ სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებებს. შესაბამისად, ყველა მტკიცებულება, რომელიც არ დაექვემდებარა ზეპირ განხილვას ან/და გამოქვეყნებას, არ შეძლება საფუძვლად დაედოს განაჩენს (*quod non est in for a, non est in mundo*).
- 32.** სამართლიანი სასამართლოს უფლებრივი კომპონენტების გამოყენება არ უნდა იყოს თვითმიზანი. მათი უზრუნველყოფა საჭიროა, როდესაც ამას ობიექტურად შეუძლია გავლენის მოხდენა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.<sup>176</sup> ამიტომ, როდესაც საქმის განხილვა უკავშირდება ფორმალურ-სამართლებრივი საკითხების დადგენას, ნაკლებია ზეპირი მოსმენის გამართვის ინტერესი. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი *jura novit curia* (სასამართლო იცის კანონი) და მხარეების მიერ სამართლებრივ გარემოებებზე მითითებას მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აქვს. განსხვავებულია მიდგომა, როდესაც სასამართლო წყვეტს როგორც ფორმალურ-სამართლებრივ საკითხებს, ასევე აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს. ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემთხვევაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზეპირი მოსმენის ჩატარებასა და პირისათვის მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობის მინიჭებას.<sup>177</sup>
- 33.** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის აუცილებლობა არსებობს, როდესაც პირის მონაწილეობას პროცესში შეუძლია

<sup>174</sup> იქვე, II. 63.

<sup>175</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27/02/2014 წლის გადაწყვეტილება №558, II-41.

<sup>176</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 23/05/2014 წლის გადაწყვეტილება №574, II.66.

<sup>177</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27/02/2014 წლის გადაწყვეტილება №558, II.42.



- გავლენის მოხდენა საკითხის გადაწყვეტაზე. კერძოდ, როდესაც ხდება ფაქტობრივი გარემოებების შეფასება (ან თავიდან შეფასება), ამასთან, როდესაც პირს შეუძლია ახალი ფაქტების, გარემოებების წარდგენა, რომელთა შეფასება ჯერ არ მომხდარა და როდესაც მისი უშუალო მონაწილეობა პროცესში ამა თუ იმ გარემოებიდან გამომდინარე (რომელიც ინდივიდუალურად შეფასებადია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში), პოტენციურად ზრდის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის ალბათობას.<sup>178</sup>
- 34.** სისხლის სამართალწარმოების ეფექტიანობის და საპროცესო ეკონომიის მიზნებიდან გამომდინარე, სსსკ ზეპირი განხილვის გარეშე საკითხის განხილვის შესაძლებლობას, ითვალისწინებს იმ შემთხვევებში, როდესაც განსახილველი საკითხი ეხება ტექნიკურ საკითხებს, მაგალითად, შუამდგომლობის/საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა, ან, როდესაც ეხება მაგალითად, პირის მიმართ დაკავების გამოყენებას (სსსკ. მუხლი 171.1), საკითხი ეხება, მხარეების მიერ უკვე გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე მხოლოდ სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტას, მაგალითად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მხოლოდ სასჯელის შემცირების შესახებ საჩივრის განხილვას, ასევე საჩივარს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე (სსსკ 295-ე მუხლის მე-7 ნაწილი), საქმისწარმოება საკასაციო ინსტანციის სასამართლოში და სხვა.
- 35.** ზეპირი განხილვა არ არის აუცილებელი, როდესაც არ ისმის საკითხი წარმოდგენილი მტკიცებულებების სარწმუნოების შესახებ ან სადავოდ გამხდარი ფაქტები, საჭიროს არ ხდის მტკიცებულებების ზეპირად წარმოდგენას, მონმეთა ჯვარედინ დაკითხვას და ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილი იყო საკუთარი არგუმენტების და პოზიციის წერილობით წარდგენის შესაძლებლობა.
- 36.** ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოებისას ზეპირი სასამართლო სხდომა მოითხოვება, თუ საჩივარი ეხება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ან, მართალია, გასაჩივრებულია სამართლებრივი საკითხები, მაგრამ მათი შეფასება შეუძლებელია საქმის ფაქტობრივ გარემოებათა გამოკვლევის გარეშე
- 37.** ევროპული კონვენცია არ ითხოვს ზეპირ სასამართლო განხილვას სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციაში, თუ ბრალდებული უზრუნველყოფილი იყო საჯარო სასამართლო განხილვის უფლებით ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში და საჩივარი ეხება მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს (და არა ფაქტობრივ გარემოებებს).<sup>179</sup> თუ პატიმრის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების საქმე იხილება სასჯელალსრულებითი დაწესებულების ტერიტორიაზე, უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესიგის დაცვის მოსაზრებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია საზოგადოება არ იქნეს დაშვებული სხდომაზე.<sup>180</sup>
- 38.** იმავდროულად, ნივთიერი მტკიცებულებებისა და დოკუმენტების ზეპირად გამოკვლევა გარკვეულ სპეციფიკასთან არის დაკავშირებული, ისევე როგორც გამოძიების სტადიაზე დაკითხული პირების ჩვენებების გამოქვეყნება. ამ შემთხვევაში ზეპირობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით ხდება მათი სრულად ან ნაწილობრივ გამოქვეყნება. ანალოგიურად, მაგალითად, დეპონირებული ჩვენებების გამოყენება სასამართლოში, როდესაც ინფორმაციის წყაროს სასამართლო პროცესზე წარმოდგენა ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია (გარდაცვალება, ადგილმდებარეობა უცნობია და სხვა). ამ შემთხვევაში, მართალია, ხდება მათი გამოქვეყნება, თუმცა მათი უშუალო გამოკვლევა გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ სადავო გახადონ აღნიშნული მტკიცებულება მთლიანად, ან ნაწილობრივ, ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას დაუსვან კითხვები უშუალოდ ინფორმაციის წყაროს.
- 39.** ზეპირობა უკავშირდება უშუალობას, მაგრამ არ არის მისი იდენტური. ზეპირობის პრინციპი დამახასიათებელია მთლიანი სამართალწარმოებისათვის, ხოლო უშუალობა – სასა-

<sup>178</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 23/05/2014 წლის გადაწყვეტილება №574, II. 77.

<sup>179</sup> *Monnell and Morris v. the United Kingdom*, ECtHR, 02/03/1987, §58; *Sutter v. Switzerland*, ECtHR, 22/02/1984, §30.

<sup>180</sup> *Campbell and Fell v UK*, ECtHR, 28/06/1984, §87.

მართლო გამოძიების/ სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის ნაწილისათვის და ეხება როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ მტკიცებულებებს.

## მუხლი 11. სისხლის სამართლის პროცესის სახელმწიფო ენაზე განხორციელება

სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება ქართულ ენაზე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე. პროცესის მონაწილეს, რომელმაც არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ამ კოდექსით დადგენილი წესით დაენიშნება თარჯიმანი.

- 1. ნორმის მიზანი:** სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფა ბრალდებულისათვის დაცვის უფლების ეფექტიანად განხორციელების და მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევის (მათ შორის იმ დაზარალებულთა და მოწმეთა მონაწილეობის უზრუნველყოფით, რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოების ენას) გზით.
- თარჯიმნის უფასო მომსახურებით სარგებლობის უფლება ენიჭება ბრალდებულს,<sup>181</sup> მოწმეს, დაზარალებულს, ექსპერტს მათი მოქალაქეობის მიუხედავად.<sup>182</sup> აღნიშნული უფლება არ ეხება პროცესის მწარმოებელ პირებს.
- თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობის უფლება პირს ენიჭება სისხლის სამართალწარმოებაში შემოსვლის მომენტიდან, ხოლო პროცესის მწარმოებელი ორგანოს ვალდებულება თარჯიმნის უზრუნველყოფაზე წარმოიშობა პროცესის მონაწილის მიერ სამართალწარმოების ენის არცოდნის შესახებ განცხადების გაკეთების ან სამართალწარმოების არცოდნის ფაქტის დადგენის მომენტიდან (თუ პროცესის მონაწილე უშუალოდ არ ითხოვს თარჯიმნის დანიშვნას). მაგალითად, მოწმის/დაზარალებულის დასაკითხად დაბარების შემთხვევაში დაკითხვის დაწყებამდე პროცესის მწარმოებელი პირი ვალდებულია გამოარკვიოს სამართალწარმოების ენის ცოდნის ფაქტი და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს თარჯიმნის მონაწილეობა. ბრალდებულთან მიმართებაში თარჯიმნის დანიშვნის აუცილებლობა შესაძლებელია აშკარა იყოს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე ან გამოვლინდეს დევნის დაწყების შემდეგ, მაგალითად, ბრალის წაყენების, დაკავების ან/და პირადი ჩხრეკის წარმოებისას.
- გადაუდებელი აუცილებლობის გამო პირადი ჩხრეკა/დაკავება ძირითადად ხდება არასტანდარტულ არასამუშაო პირობებში, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ, რომლის დროსაც, ხშირ შემთხვევაში ფიზიკურად შეუძლებელია პოლიციის მუშაკებმა წინასწარ მიიღონ ზომები თარჯიმნის გამოსაძახებლად. მით უმეტეს მაშინ, თუ თარჯიმნის საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის არავითარი წინაპირობა სახეზე არ არის, გასაჩხრეკი პირის მიერ სამართალწარმოების ენის არცოდნის ეჭვი არ ჩნდება და კომუნიკაციის დამყარების პრობლემაც არ დგას.<sup>183</sup> აღნიშნულ შემთხვევაში პირისათვის თარჯიმნის დანიშვნა ხდება მისი ჩხრეკის/დაკავების შემდეგ მაქსიმალურად მოკლე ვადაში. პირადი ჩხრეკის ოქმზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი აღნიშვნა სამართალწარმოების ენის არცოდნის შესახებ და ოქმს, როგორც წესი, ბრალდებული არ აწერს ხელს. ცალკეულ შემთხვევებში გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე დაკავების განხორციელებისას, რასაც საფუძვლად უდევს, მაგალითად, კონფიდენციალური მონოდედებული ინფორმაცია ან კერძო პირის შეტყობინება, საგამოძიებო ორგანოსთვის წინასწარ არის ცნობილი ბრალდებულის მიერ სამართალწარმოების ენის არცოდნის შესახებ. მაგალითად, 1. ინფორმაციის წყარო პირდაპირ მიუთითებს აღნიშნულის შესახებ; 2. დასაკავებელი პირის ეთნიკური წარმოშობიდან გამომდინარე არსებობს თარჯიმნის საჭიროების შესახებ

<sup>181</sup> უფლება თარჯიმანზე უზრუნველყოფილია ასევე ევროპის კავშირის პროცედურულ უფლებათ შესახებ 2010/64/EU დირექტივით თავი 1, ნაწილი 4.3.2.

<sup>182</sup> *Hermi v Italy*, ECtHR, (GC), 18/10/2006, §72.

<sup>183</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება საქმეზე № 1გ/983, 03.10.2014.

- გონივრული ეჭვი; 3. დასაკავებელი პირის სამართალდამცავ სისტემასთან/ გამოძიების ამ ორგანოსთან წინარე კომუნიკაციიდან გამომდინარე, მაგალითად, შეტყობინება ეხება სსკ 273-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით ამავე საგამოძიებო ორგანოს მიერ არაერთგზის დაკავებულ პირს, რომლისთვის თარჯიმნის დახმარების აუცილებლობა დადგენილი იყო წინა სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებისას. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, საგამოძიებო ორგანო უზრუნველყოფს თარჯიმნის მონაწილეობას პირის დაკავების ოპერაციაში.
5. პირს თარჯიმნის უფასო მომსახურების უფლება ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცის ან მას, მართალია, ესმის სამართალწარმოების ენა, მაგრამ ის თავისუფლად ვერ საუბრობს, კითხულობს ან/და წერს სამართალწარმოების ენაზე, რის გამოც უჭირს კომუნიკაცია და საკუთარი მოსაზრებების გადმოცემა, საქმის მასალების შინაარსის გაცნობა, დასმული შეკითხვების/გაკეთებული განცხადებების შინაარსის სწორად გაგება.
  6. პროცესის მწარმოებელი პირი ვალდებულია განსაზღვროს რამდენად ფლობს პროცესის მონაწილე სამართალწარმოების ენას და თარჯიმნის მოწვევის აუცილებლობის საკითხი. ამასთან, თარჯიმნის მოწვევის აუცილებლობის საკითხი გამორკვეულ უნდა იქნეს უშუალოდ სამართალწარმოების ენის არმცოდნე პროცესის მონაწილესთან.
  7. თუ ბრალდებული არ თანამშრომლობს პროცესის მწარმოებელ ორგანოსთან, ბრალდებულის ენის ცოდნის დონის შემოწმება შესაძლებელია რთული იყოს. ასეთ დროს პროცესის მწარმოებელმა ორგანომ მტკიცებულებების საფუძველზე (მაგალითად, მოწმეების გამოკითხვა, ბრალდებულის მიერ დაწერილი ტექსტების შემოწმება და ა.შ.) უნდა განსაზღვროს თარჯიმნის დანიშვნის აუცილებლობის საკითხი.
  8. თარჯიმნის მოწვევის აუცილებლობის საკითხი აშკარაა, როდესაც ბრალდებული საერთოდ ან/და გაჭირვებით მეტყველებს სამართალწარმოების ენაზე, მაგრამ საკითხი გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, როდესაც ბრალდებულმა გარკვეულ დონემდე იცის სამართალწარმოების ენა, თუმცა ამტკიცებს, რომ საჭიროებს თარჯიმანს. ენის ცოდნის დონის ობიექტური შემოწმება რთულია, ამიტომ ასეთ დროს გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: 1. საკმარისი არ არის ყოველდღიური სასაუბრო ენის ცოდნა. აუცილებელია იურიდიული ტერმინოლოგიის გარკვეულ დონეზე ცოდნა, რომელიც გამოიყენება სასამართლო განხილვის დროს და შესაძლოა აბსოლუტურად გაუგებარი იყოს ადამიანისათვის, რომელიც საკმაოდ კარგად საუბრობს ყოფით დონეზე; 2. საქმეში არსებული გარემოებები მარტივია (მაგ., სსკ 170-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული) თუ რთული (მაგ., ეკონომიკური დანაშაული). მაგალითად, ბრალდებულის მიერ სისხლის სამართლის პროცესის ენის ფლობის ფაქტი სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია შემდეგ მტკიცებულებებზე დაყრდნობით: ადვოკატის განმარტება; ბრალდებულის დაკითხვის ოქმი, რომელშიც ბრალდებულმა ადვოკატის თანდასწრებით თავისი ხელით დაწერა ჩვენება; მისივე ხელით ქართულ ენაზე დაწერილი ავტობიოგრაფია; ბრალდებულის მიერ ხელმოწერილი დათვალიერების ოქმი; არასრული საშუალო განათლების დამადასტურებელი მოწმობა, საიდანაც ირკვევა, რომ მას ქართულ ენასა და ლიტერატურაში აქვს დადებითი შეფასება.<sup>184</sup>
  9. პირს შესაძლებელია შეეძლოს კომუნიკაცია საყოფაცხოვრებო ან/და ვინროპროფესიულ დონეზე, მაგრამ ვერ იგებდეს ან/და სრულყოფილად არ ესმოდეს სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. ამასთან, თუ ბრალდებული გარკვეულწილად საუბრობს და ესმის სამართალწარმოების ენა, მაშინ თარჯიმნის დანიშვნის საკითხი წყდება საქმის სირთულის – ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების სირთულიდან გამომდინარე.<sup>185</sup> ამასთან, თუ ბრალდებულს საკმარისად კარგად ესმის და საუბრობს სამართალწარმოების ენაზე, მაგრამ ითხოვს მის მშობლიურ ან სხვა ენაზე თარგმანის უზ-

<sup>184</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება საქმეზე №-1გ/112, 19.02.2013.

<sup>185</sup> Hermi vityly, ECtHR, (GC), 18/10/2006, §71.

- რუნველყოფას, სახელმწიფოს არ ეკისრება თარჯიმნის მომსახურების უზრუნველყოფის ვალდებულება.<sup>186</sup> განსხვავებულ ვითარებას ითვალისწინებს სსსკ მონმესთან მიმართებით და მონმეს ანიჭებს უფლებას ჩვენება მისცეს მშობლიურ ან მისთვის სასურველ სხვა ენაზე (იხ., სსსკ 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).
10. სსსკ და საერთაშორისო სამართალი არ უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას მშობლიური ენის გამოყენებაზე. თარჯიმნის დახმარება ემსახურება სამართალწარმოების ფარგლებში კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზანს. შესაბამისად, საკმარისია სამართალწარმოებასთან დაკავშირებული მასალის თარგმნა იმ ენაზე, რომელიც ბრალდებულს ესმის და რომელზეც შეუძლია საუბარი, თუნდაც ეს არ იყოს მისი მშობლიურ ენა.
  11. ბრალდებულის დაუინებელი მოთხოვნა სხვა ენის გამოყენების თაობაზე, რაც არ უკავშირდება ენობრივ პრობლემებს და სამართალწარმოების საჭიროებებს, წარმოადგენს ბრალდებულის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებას.
  12. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ბრალდებულის მხრიდან თარჯიმნის დახმარებაზე უფლებით მანიპულირებას. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ პირს თარჯიმნის დახმარების უფლება ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ აცხადებს, რომ სათანადოდ არ ფლობს სამართალწარმოების ენას, პროცესის მწარმოებელ ორგანოს ეკისრება ენის ცოდნის დონის შემოწმების ვალდებულება.
  13. იმავდროულად, თუ თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობა პროცესის მონაწილის უფლებაა და მნიშვნელოვანწილად მის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, მაშინ ბრალდებულთან მიმართებით – თარჯიმნის მონაწილეობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბრალდებული არ ითხოვს თარჯიმნის მოწვევას. უარი თარჯიმნის მომსახურების უზრუნველყოფაზე, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას.<sup>187</sup>
  14. ბრალდებულისათვის თარჯიმნის მოწვევა სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამართალწარმოების ენის არმცოდნე ბრალდებული წარმოდგენილია ადვოკატით, რომელიც ფლობს სამართალწარმოების ენას და არ ითხოვს თარჯიმნის მოწვევას, ან ადვოკატის განცხადებით ის წარმატებით შეძლებს „გაიგოს და აუხსნას“ ბრალდებულს პროცესის მიმდინარეობა.<sup>188</sup>
  15. არ არის საკმარისი, რომ სამართალწარმოების ენა იცის ადვოკატმა და არა ბრალდებულმა. პროცესის მიმდინარეობის თარგმანი საჭიროა იმისათვის, რომ უშუალოდ ბრალდებულს ჰქონდეს უნარი გაიგოს სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და შესაბამისი მითითებები მისცეს ადვოკატს.
  16. პროცესის მწარმოებელს პირს, რომელიც ფლობს პროცესის მონაწილის სასაუბრო ენას, ეკრძალება თარჯიმნის ფუნქციის შეთავსება, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა კრძალავს ერთდროულად ორი ფუნქციის განხორციელებას. შესაბამისად, დარღვევას აქვს ადგილი, თუ ბრალდებულის დაკითხვაზე დამსწრე ორი გამომძიებელიდან ერთ-ერთი შეითავსებს თარჯიმნის ფუნქციას და წერილობით თარგმნის ბრალდებულის დაკითხვის ოქმს.<sup>189</sup>
  17. იმავდროულად, იმისათვის, რომ თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლება იყოს პრაქტიკული და შედეგიანი, პროცესის მწარმოებელი ორგანოს ვალდებულება არ შემოიფარგლება თარჯიმნის დანიშნით და მოიცავს კონტროლს თარგმანის ხარისხზე, რაც შეიძლება გამოიხატოს თარჯიმნის შეცვლის ვალდებულებაში, როდესაც ბრალდებული

<sup>186</sup> Shukuru Juma v. Australia, UN CCPR/c/78/D/984/2001(2002) §7.3; 9 Guesdon v. France, Communication No. 219/1986, U.N. Doc. CCPR/C/39/219/1986 (1990), §10.2-10.3.

<sup>187</sup> Omar Faruk Bozbey v Tuskmenistan, CCPR/C/100/D/1530/2006 (2010), §7.2

<sup>188</sup> Cuscani v UK, ECtHR, 24/09.2002, §38.

<sup>189</sup> Singarasa v Sri Lanka, CCPR/C/81/D/1033/2004 §7.2.

- ხარვეზიანი თარგმანის გამო ვერ იგებს მტკიცებულების არსს, ვერ ახერხებს მონაწილეობას მოწმეთა პირდაპირ ან/და ჯვარედინ დაკითხვაში<sup>190</sup> და სხვა. თარგმანის მონაწილეობის მიზანია უზრუნველყოს ბრალდებულის აქტიური მონაწილეობა სამართალწარმოების პროცესში, მათ შორის მოწვეული ადვოკატის მომსახურების კონტროლის შესაძლებლობით.
18. თარგმანი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც ფლობს სამართალწარმოების ენას. ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ მას ჰქონდეს სპეციალური ფილოლოგიური განათლება, თარგმანის კვალიფიკაცია ან/და მუშაობდეს თარგმანად. მთავარია, რომ პირს გააჩნდეს შესაბამისი ცოდნა და უნარები თარგმანის მოვალეობის განსახორციელებლად. თარგმანის სახით შესაძლებელია გამოვიდეს ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ფლობს როგორც სამართალწარმოების, ასევე იმ ენას, რომელზეც საუბრობს პროცესის შესაბამისი მონაწილე.
  19. თარგმანის მომსახურებაზე უარის თქმის უფლება ენიჭება მხოლოდ ბრალდებულს და არა მის ადვოკატს.
  20. უფლება თარგმანის მომსახურებაზე გულისხმობს პირველ რიგში ზეპირი თარგმანის უზრუნველყოფის ვალდებულებას. პროცესის მწარმოებელი ორგანო არ არის ვალდებული უზრუნველყოს პროცესის მონაწილისათვის ყველა საპროცესო დოკუმენტის წერილობითი თარგმანი. ამასთან, ზეპირი თარგმანის შემთხვევაშიც არ არის აუცილებელი დოკუმენტის ტექსტის/ზეპირი ჩვენების სიტყვასიტყვითი თარგმანა. თარგმანი უნდა იყოს იმდენად დეტალური, რომ იძლეოდეს ბრალდებულის მიერ მის წინააღმდეგ წარმოებული საქმის სრულყოფილად გააზრებისა და პროცესში ადეკვატური მონაწილეობის შესაძლებლობას. ამდენად, ზეპირი თარგმანი ან ზეპირი შეჯამება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ეს არ უქმნის საფრთხეს სამართალწარმოების სამართლიანობას.<sup>191</sup>
  21. თარგმანის მიერ ბრალდებულისათვის განეული მომსახურება შესაძლებლობას უნდა აძლევდეს ბრალდებულს იცოდეს საქმეში არსებული მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მათ გამოკვლევაში და დაიცვას თავი სასამართლოსათვის საქმის გარემოებების შესახებ საკუთარი ვერსიის წარდგენის გზით.<sup>192</sup>
  22. როგორც წესი, უნდა ითარგმნოს მთლიანი სასამართლო განხილვა და არა მხოლოდ ბრალდებულისათვის დასმული შეკითხვები და მისი პასუხები. ბრალდებულს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს თავიდან ბოლომდე თვალყური ადევნოს სასამართლო განხილვას და გაიგოს თითოეული წინადადების აზრი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს მას უშუალოდ არ უკავშირდება. ბრალდებულს უნდა ესმოდეს მოწმისთვის დასმული შეკითხვებისა და გაცემული პასუხების შინაარსი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება მოწმის მიერ გაცემული პასუხების განრიდების/აცილების მოთხოვნა და ჯვარედინი დაკითხვის ეფექტიანად განხორციელება.
  23. პროცესის მწარმოებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს იმ დოკუმენტების წერილობითი თარგმანი, რომლებიც აუცილებელია სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფისათვის. მათ მიეკუთვნება შემაჯამებელი ხასიათის დოკუმენტები, ასევე იმ საპროცესო და საგამოძიებო მოქმედების ოქმები, რომლებიც საჭიროებს ბრალდებულის ხელმოწერას (მაგალითად, რომლებიც ტარდება ბრალდებულის მონაწილეობით) ანდა რომელთა სავალდებულოდ გადაცემას ბრალდებულისათვის ითვალისწინებს სსს კანონმდებლობა. ასეთ დოკუმენტებს მიეკუთვნება, მაგალითად, განაჩენი, ჩხრეკის ოქმი, სასამართლოს განჩინება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, სასამართლოს განჩინება იძულებითი მიყვანის,

<sup>190</sup> Kamasinski v Austria, ECtHR, 9783/82, 19/12/1989, §74, 83.

<sup>191</sup> იხ., ევროპის კავშირის პროცედურულ უფლებათ შესახებ 2010/64/EU დირექტივით თავი 1, ნაწილი 4.3.2.

<sup>192</sup> Kamasinski v. Austria, ECtHR, 19/12/1989, §74; Hermi v. Italy, ECtHR, (GC), 18/10/2006, §70; Protopapa v. Turkey, ECtHR, 24/02/2009, §80.

- პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ და სხვა. აღნიშნული თანაბრად ვრცელდება როგორც იმ პირებზე, რომლებიც არ საუბრობენ სამართალწარმოების ენაზე, ასევე მათზე, ვინც საუბრობს, მაგრამ ვერ კითხულობს ქართულ/ აფხაზურ ენაზე, ასევე ყრუ-მუნჯებზე და უსინათლოებზე.
24. დანარჩენი საქმის მასალები ბრალდებულსა და პროცესის შესაბამის მონაწილეს (მაგალითად მოწმე) წარედგინება სამართალწარმოების ენაზე ზეპირი თარგმანის უზრუნველყოფით.
  25. ბრალდებულს ენიჭება თარჯიმნის დახმარების უფლება, იმ შემთხვევაშიც, თუ მას აქვს ისეთი ნაკლი, რომელიც გამორიცხავს მასთან კომუნიკაციას თარჯიმნის გარეშე (სსსკ 38-ეს მე-8 ნაწილი). მაგალითად, მხედველობის, სმენის ან/და მეტყველების ნაკლი.
  26. უფლება თარჯიმნის უფასო მომსახურებაზე ეხება პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ დანიშნული თარჯიმნის მომსახურებას და ვრცელდება სამართალწარმოების ყველა სტადიაზე, მათ შორის დაკავების, გამოკითხვის, დაკითხვის, ადვოკატთან კომუნიკაციის, პირველ წარდგენაზე და ა.შ.<sup>193</sup>
  27. თარჯიმნის შრომის ანაზღაურება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. თარჯიმნის მომსახურების ხარჯები არ შეიძლება დაეკისროს ბრალდებულს იმისდა მიუხედავად, თუ რა შედეგით დამთავრდება სამართალწარმოება ან გააჩნია თუ არა თარჯიმნის მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობა ბრალდებულს/პროცესის სხვა მონაწილეს. ბრალდებულს აქვს თარჯიმნის უფასო დახმარებით სარგებლობის უფლება მაშინაც კი, როდესაც ის გადახდისუნარიანია.
  28. ბრალდებულს თარჯიმნის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება შესაძლებელია დაეკისროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ ის სათანადოდ ფლობდა სამართალწარმოების ენას და შესაბამისად, არ არსებობდა თარჯიმნის დანიშვნის წინაპირობები.
  29. სისხლის სამართალწარმოებაში თარჯიმანი შეიძლება მონაწილეობას იღებდეს ბრალდებულის მოწვევით ან პროცესის მწარმოებელი ორგანოს დანიშვნის საფუძველზე. თარჯიმნის მოწვევის შემთხვევაში თარჯიმნის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მსჯავრდებულს (სსსკ 91-ე მუხლის მე-2 ნაწ.). მაგალითად, თუ ბრალდებულის მიერ მოწვეული ექსპერტი, რომელმაც ჩაატარა ალტერნატიული ექსპერტიზა, არ საუბრობს სამართალწარმოების ენაზე (აღნიშნული ექსპერტის მოწმის სახით დაკითხვის შემთხვევაში, სახელმწიფოს ეკისრება თარჯიმნის მომსახურების უზრუნველყოფა), ექსპერტიზის ჩატარების მიზნებისათვის დაცვის მხარეს შესაძლებელია მოუწიოს ექსპერტის უზრუნველყოფა თარჯიმნის დახმარებით, მათ შორის ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის თარგმანი ექსპერტისათვის გასაგებ ენაზე და მისი დასკვნის სამართალწარმოების ენაზე ნათარგმნი სახით წარდგენა პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის.
  30. ბრალდებულისათვის თარჯიმნის დახმარების უზრუნველყოფაზე უარი წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის არსებით დარღვევას და შესაძლებელია განაჩენის გაუქმების საფუძველი გახდეს.

## მუხლი 12. კანონიერება და სასამართლოს დამოუკიდებლობა

1. პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის განსჯადობასაც კანონით ექვემდებარება მისი საქმის განხილვა.
2. სისხლისსამართლებრივ დევნას ამ კოდექსით დადგენილი წესით ახორციელებს მხოლოდ პროკურორი.
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის წესი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთნაირად უნდა იქნეს დაცული.

<sup>193</sup> Hermi v. Italy, ECtHR, (GC), 18/10/2006, §69; EC 2010/64 (2010) დირექტივის მე-2 მუხლი.

რიაზე ერთიანია და სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის ყველა მონაწილისათვის.

**4. ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირის კანონიერ ინტერესს პრიორიტეტი აქვს დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესთან შედარებით. პირის კანონიერი ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოების ინტერესებს ემსახურება.**

1. **ნორმის მიზანი:** უზრუნველყოს პირისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სამართალწარმოების კანონიერება.
2. პირისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლების განხორციელების შესაძლებლობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებაზე (სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები, 2002), რაც, პირველ რიგში, გულისხმობს საქმისწარმოებას კომპეტენტური და დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ.
3. პირის უფლება, მისი საქმის უფლებამოსილი სასამართლოს მიერ განხილვაზე წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს კონცეფციის ნაწილს. აღნიშნული უფლება გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლით და სხვა.
4. მე-12 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლება გულისხმობს როგორც განსჯადობას ფორმალური კრიტერიუმების მიხედვით, ასევე უფლებამოსილი სასამართლოს მიუკერძოებლობას. შესაბამისად, განსჯადობის ობიექტურ საწყისებზე საკანონმდებლო გზით რეგულირების ვალდებულება ვრცელდება ერთდროულად კონკრეტულ მოსამართლეზე და მთლიანად სასამართლოზე. პირის უფლებას კომპეტენტურ სასამართლოზე გულისხმობს: 1. სასამართლოს კომპეტენტურობას განსჯადობის პრინციპიდან გამომდინარე; 2. საქმის განმხილველი კონკრეტული სასამართლოს შემადგენლობის კანონიერებას.
5. პირის უფლება კომპეტენტური სასამართლოს მიერ მისი საქმის განხილვაზე, მოიცავს სასამართლოს საქმიანობას სამართალწარმოების მთელი პროცესის განმავლობაში, როგორც პირის გასამართლების, წინასასამართლოს სხდომის, პირველი წარდგენის, ბრალდებულის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების, სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებებზე ნებართვის გაცემის, მათ შორის მონმეთათვის ე.წ. დეპონირებული ჩვენებების ჩამორთმევის, მტკიცებულებათა გამოთხოვაში მხარეებისათვის დახმარების მიმართულებით და სხვა.
6. სსსკ ითვალისწინებს სასამართლოს განსჯადობას ტერიტორიული, საგნობრივი, პერსონალური ნიშნების მიხედვით.<sup>194</sup> საგნობრივი კომპეტენცია ასევე განსაზღვრულია, მაგალითად, სსსკ 330-ე მუხლით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონით (მე-17 მუხლი) და სხვა.
7. განსჯადობის ერთგვარ სახეს წარმოადგენს მოსამართლის პერსონალური განსჯადობა. მოსამართლეებს შორის საქმეთა განაწილების წესი განისაზღვრება „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონით და ხორციელდება შემთხვევითობის პრინციპზე დაყრდნობით წინასწარ განსაზღვრული მკაფიო და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.<sup>195</sup> არაობიექტურ საფუძველზე კონკრეტული მოსამართლის იურისდიქციის განსაზღვრა და სასამართლოს შემადგენლობის ხელოვნური ცვლილება თვითნებობაა და ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.<sup>196</sup> აქ იგულისხმება რო-

<sup>194</sup> იხ., სსსკ მე-20 და 21-ე მუხლების კომენტარი.

<sup>195</sup> მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეებს შორის საქმის განაწილება ეროვნული სასამართლო სისტემის გადასაწყვეტია, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო აღნიშნულ საკითხს იხილავს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ჭრილში.

<sup>196</sup> Posokhov v Russia, ECtHR, 04/03/2003, §39; Moiseyev v Russia, ECtHR, 06/04/2009, §§181,184-185.

- გორც მოსამართლეებს შორის საქმეთა განაწილების წესი, ასევე მოსამართლეთა გადაყვანა სხვა სასამართლოში ე.წ. მიმაგრების წესის ფარგლებში, საქმეთა განაწილების რიგითობის ხელოვნური შეცვლა სასურველ შემადგენლობაზე საქმის განაწილების მიზნით, საქმისწარმოებისგან მოსამართლის ხელოვნურად ჩამოცილება ახალი შემადგენლობის ფორმირების მიზნით და სხვა.
8. მოსამართლის საქმის განხილვისგან ჩამოცილება უნდა ხორციელდებოდეს კანონით მკაფიოდ განერილი საფუძვლებით და შემთხვევებში როგორც აცილების საფუძვლების, ასევე, თუ მოსამართლე ვერ აუდის სამუშაო დატვირთვის, წარმოებაში აქვს საქმეები, რომლებიც დიდ დროს საჭიროებს, ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო და სხვა. მოსამართლეს თავდაცვა არ აქვს უფლება დაუსაბუთებლად განაცხადოს აცილება ან უარი მართლმსაჯულების განხორციელებაზე (მაგალითად, არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღების თავიდან აცილების მიზნით).
  9. კანონიერი სასამართლოს პრინციპის დარღვევას აქვს ადგილი, თუ დარღვეულია ინსტანციურობის პრინციპი, ან საქმეს არსებითად იხილავს მაგისტრრატი მოსამართლე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯად საქმეს იხილავს პროფესიული სასამართლო, საქმეს იხილავს სასამართლოს უკანონო შემადგენლობა და სხვა. აღნიშნულ შემთხვევებში შესაძლებელია დაისვას განაჩენის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის საკითხი (სსსკ 310-ე მუხლი).
  10. კერძო ინტერესის პრიორიტეტულობა: პირის კანონიერი ინტერესების დაცვისათვის პრიორიტეტის მინიჭება უზრუნველყოფს საზოგადოებაში საგამოძიებო ორგანოების მხრიდან უფლებებში უკანონო ჩარევის შიშის სინდრომის აღმოფხვრას, კრძალავს დანაშაულის გახსნის და დამნაშავის სამართლიანი დასჯის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას ნებისმიერი საშუალებით, წარმოადგენს საგამოძიებო ორგანოების თვითნებობისგან დაცვის დამატებით გარანტიას, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს საზოგადოების ნდობას საგამოძიებო და სასამართლო სისტემისადმი.
  11. პრინციპის გამოყენების წინაპირობად კანონმდებელი ადგენს:
    - ორი დაპირისპირებული ლეგიტიმური ინტერესის არსებობას;
    - ეხება ნებისმიერი პირის კანონიერ ინტერესს – სამართალწარმოებაში მისი მონაწილეობის სტატუსის მიუხედავად;
    - მოქმედების შეზღუდული ეფექტი გააჩნია და წარმოადგენს საგამონაკლისო ნორმას, რომელიც ეხება სსსკ მხოლოდ პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებს.
  12. მათ შორის ბრალდებულის კანონიერი ინტერესი, რომ მის მიმართ არ განხორციელდეს მისი უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვა, ვიდრე ეს აუცილებელია საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.
  13. პროცესის მონაწილის უფლების შეზღუდვა დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ ეს ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, ხორციელდება კანონით დადგენილი წესის შესაბამისად (უფლებამოსილი პირის მიერ სსს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურით), წარმოადგენს აღნიშნული მიზნის მიღწევის ვარგის და აუცილებელ საშუალებას და აკმაყოფილებს უფლების შეზღუდვის თანაზომიერების მოთხოვნას.<sup>197</sup> წარმოადგენს აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთადერთ ან ნაკლებადმზლუდავ საშუალებას. მაგალითად, ანონიმური მონმის ჩვენება, ფარული საგამოძიებო ღონისძიებები, მონმის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება მართლმსაჯულების განხორციელებისა და ბრალდებულის დაცვის უფლება და სხვა.
  14. საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსების დუალისტურ მიდგომას: 1. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების და განხილვისას, როგორც წესი, პრიორიტეტი ენიჭება დანაშაულის გახსნის და დამნაშავის დასჯის მიზანს ცალკეული პირების კერძო ინტერესთან შედარებით. მაგალითად, კერძო პირის მოწვევა

<sup>197</sup> იხ., სსსკ.მე-6 მუხლის კომენტარი.



- ამოსაცნობად წარდგენის პროცედურაში მონაწილეობისათვის, პოლიციელის მოთხოვნა გარკვეული ტერიტორიის განსაზღვრული ვადით დატოვების შესახებ (პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლი), პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი), პირისათვის მონმის სტატუსის მინიჭება, ცხელ კვალზე მიდევნება, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული ჩხრეკა, დაკავება და სხვა. დისკრეციული დევნის საკითხის გადაწყვეტისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საჯარო ინტერესის ტესტს. 2. სსსკ პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში კი პრიორიტეტი ენიჭება პირის კანონიერ ინტერესს დანაშაულის გახსნის და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესთან შედარებით.
15. მძიმე, განსაკუთრებით მძიმე ტერორისტული, ტრანსსასაზღვრო ან სხვა ორგანიზებული დანაშაულის გამოძიების შემთხვევაშიც კი დაუშვებელია პროცესის მონაწილეების/კერძო პირების უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვა, ვიდრე ის, რაც აუცილებელია დამნაშავის დასჯის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მაგალითად, სსსკ 143<sup>7</sup> მუხლი ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედების მინიმუმაციის პრინციპს სატელეფონო საუბრების მიყურადებისას, ჩხრეკააქტების წარმოებისას კანონმდებლობა ითვალისწინებს განჩინებაში გამოძიების მწარმოებელი ორგანოს უფლებამოსილების ფარგლების მაქსიმალურად ზუსტად განსაზღვრას და დაუშვებლად თვლის კონკრეტული ნომრიდან შემავალი და გამავალი უკლებლივ ყველა საუბრის მიყურადებას, კერძო პირების უფლების დაცვის მიზნით ითვალისწინებს სასამართლოს მხრიდან მონიტორინგს კონსტიტუციით გათვალისწინებული ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვაზე, ცალკეულ შემთხვევებში აღნიშნული უფლების დაცვის მიზნით ადგენს, მაგალითად, სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსების მაქსიმალურ/ზღვრულ ხანგრძლივობას და ითვალისწინებს უფლებათა ხელყოფის/შეზღუდვის დაუშვებლობას პროცესის მწარმოებელი ორგანოს მხრიდან თავად უფლების სუბიექტის თანხმობის შემთხვევაშიც კი. რაც უფრო მაღალია უფლებაში ჩარევის ინტენსივობა, მით უფრო მყარ საფუძველს და ჩარევის აუცილებლობას ითვალისწინებს სსსკ. მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების სახით პირის პატიმრობის გამოყენება დაუშვებელია, თუ საგამოძიებო ორგანო ვერ ამტკიცებს ბრალდებულის მიმალვის საფრთხის რეალურობას.
16. იმავდროულად, კერძო ინტერესის პრიორიტეტულობა უზრუნველყოფილია მხოლოდ სსსკ-ით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. სხვა შემთხვევაში, როდესაც სსსკ არ ახდენს უფლებათა ბალანსის რეგულირებას, გამოიყენება უფლებაში ჩარევის თანაზომიერების ტესტი. მაგალითად, გზავნილის დაყადაღება, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე სსსკ 111-ე მუხლით განსაზღვრული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება და სხვა.
17. სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, საზოგადოების ლეგიტიმური საჯარო ინტერესის დაცვა და, მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს პროცესის მონაწილეებს თავისი უფლებების რეალიზებაში და დაიცვას გარეშე პირები მათ უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისგან. შესაბამისად, აღნიშნული აკრძალვა იცავს როგორც პროცესში მონაწილე პირებს (მონმე, დაზარალებული, ბრალდებული, ექსპერტი, თარჯიმანი), ასევე გარეშე პირებსაც მათ უფლებებში სახელმწიფოს მხრიდან გადაჭარბებული ან გაუმართლებელი ჩარევისგან საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებების განხორციელების გზით. მაგალითად, მესამე პირთა უფლებები სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადების ან ინტერნეტკომუნიკაციის მონიტორინგის შემთხვევაში, ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება, დუმილის უფლება და სხვა.
18. იკრძალება აღნიშნული პირების მხოლოდ კანონიერი ინტერესის შეზღუდვა. შესაბამისად, აღნიშნული დებულება არ მოქმედებს, თუ პირი აპროტესტებს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვას, როდესაც ჩხრეკა ხორციელდება გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში კონფიდენცისგან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, რომ

- აღნიშნულ ბინაში ხორციელდება ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შენახვა-რეალიზაცია.
19. კანონიერება: სსსკ მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს კანონიერების პრინციპს ფართო გაგებით, რომელიც პროცესის ყველა მონაწილეს სამართალწარმოების ყველა სტადიაზე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ავალდებულებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვას.
  20. აღნიშნული დებულების თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ერთნაირი მიდგომის გამოყენება. აღნიშნული ეხება პირველ რიგში სსსკ-თი გათვალისწინებული იმპერატიული ნორმების თანაბრად გამოყენებას ტერიტორიულობის პრინციპიდან გამომდინარე პროცესის მონაწილეთა მოქალაქეობის, სოციალური კუთვნილების თუ სამსახურებრივი მდგომარეობის მიუხედავად, იმისდა მიუხედავად, ვის მიმართ ხორციელდება პროცესი ან ვის წინააღმდეგ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით ტარდება სამართალწარმოება.
  21. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესი თანაბრად სავალდებულოა სამართალწარმოებაში მონაწილე ყველა პირისათვის, როგორც სახელმწიფო ორგანოების, მათ შორის პროცესის მწარმოებელი სუბიექტების, ასევე პროცესში მონაწილე კერძო პირებისათვის იმისდა მიუხედავად, გააჩნიათ თუ არა მათ სპეციალური ინტერესი სამართალწარმოებაში (მონაწილეობა, თარჯიმანი, ექსპერტი, დაზარალებული, ბრალდებული, ადვოკატი და სხვა). მით უმეტეს, რომ დაცვის მხარეს აქვს პარალელური გამოძიების წარმოების უფლება, რომლის ფარგლებში მასაც ისევე ევალება საპროცესო კანონმდებლობის დაცვა, როგორც ბრალდების მხარეს.
  22. აღნიშნული არ გულისხმობს აბსოლუტურ იგივეობას და ცალკეულ შემთხვევაში სსსკ ადგენს სპეციფიკურ რეგულირებას განსახორციელებელი ღონისძიების სახის თუ ბრალდებულის მიხედვით. თუმცა ამ შემთხვევაშიც განსხვავებული მოპყრობის საფუძველი და წესი განსაზღვრული უნდა იყოს კანონმდებლობით, რომელიც უნდა პასუხობდეს სამართლებრივი სიცხადის, განჭვრეტადობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს პროცესის მწარმოებელი ორგანოების მხრიდან თვითნებობის და დისკრიმინაციული მოპყრობის თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, სსსკ არასრულწლოვნებთან დაკავშირებული სამართალწარმოების მარეგულირებელი ნორმები, პარლამენტის წევრის დაკავების/დაპატიმრების, მის მიმართ ჩხრეკის წარმოების წესი (საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილი), მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების/დაპატიმრების და ჩხრეკის (საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი ნაწილი) წარმოების საგამონაკლისო წესი, კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების წარმოება (136-138-ე მუხლები) და სხვა.
  23. უზრუნველყოფს სამართლებრივ სიცხადეს და განჭვრეტადობას, დისპოზიციური ნორმების და დისკრეციული ინსტიტუტების ერთგვაროვან გამოყენებას და ინტერპრეტირებას, როგორც პროცესის მონაწილე უწყების შიგნით (მაგალითად, ერთნაირ ინტერპრეტაციას პირველი ინსტანციის ყველა სასამართლოს მიერ), ასევე ზემდგომი ინსტანციის მიერ დისკრეციის არსის დაკნინების გარეშე, მაგალითად, სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის მინიჭებული უფლების ერთგვაროვანი ინტერპრეტაცია, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკის ერთგვაროვნობას და სააპელაციო საჩივრების რაოდენობის შემცირებას. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლის სამართლებრივი დევნის საკითხში, სასამართლოს უფლებას ცალკეული საკითხების ზეპირი განხილვის გარეშე განხილვასთან დაკავშირებით (საჩივრის დასაშვებობა (მაგ., 206-ე მუხლის მე-9 ნაწილი), არსებით სასამართლო სხდომაზე მხარის მიერ დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენაზე უფლების მინიჭების საკითხთან დაკავშირე-

- ბით (239-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და სხვა.
24. უზრუნველყოფს სამართალწარმოების სამართლიანობას ფართო გაგებით ერთნაირ მდგომარეობაში მყოფი (მაგ., ბრალდებულების ერთნაირი ასაკობრივი ჯგუფი, დანაშაულის კატეგორია, დანაშაულის ჩადენის ადგილი, ხერხი და სხვა) ყველა ბრალდებულის მიმართ, მის მიერ დანაშაულის ჩადენის თუ გამოძიების ადგილის მიუხედავად საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საპროცესო/საგამოძიებო მოქმედებების მიმართ გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთნაირი წესები. თუმცა აღნიშნული წესიდან შესაძლებელია არსებობდეს გამონაკლისებიც. მაგალითად, სსსკ 330-ე მუხლი ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედებას ეტაპობრივად ტერიტორიულობისა და საგნობრივი განსჯადობის პრინციპზე დაყრდნობით; სსსკ 332-ე მუხლი – გამოძიებისას დაკითხვის დროებით წესს და სხვა.
25. სსს კანონმდებლობით (და არა მხოლოდ სსსკ-ით) დადგენილი წესები ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყოველგვარი გამოწვევის გარეშე. საპროცესო კანონმდებლობა მოიცავს როგორც სსსკ-ს, ასევე ყველა იმ ნორმატიულ აქტს, რომელიც ეხება სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების საკითხებს.<sup>198</sup>
26. კანონიერება გულისხმობს საქმისწარმოებას საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით. აღნიშნული ვალდებულება თანაბრად ვრცელდება პროცესის ყველა მონაწილეზე – პროცესის მწარმოებელ პირებზე/ორგანოზე, დაცვისა და ბრალდების მხარეზე, დაზარალებულზე, ბრალდებულზე, მოწმეზე, ექსპერტსა თუ თარჯიმანზე. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა ერთ შემთხვევაში იწვევს განაჩენის გაუქმებას, ხოლო მეორე შემთხვევაში – მხოლოდ ცალკეული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას. მაგალითად, თუ საქმისწარმოება ხორციელდება არაუფლებამოსილი პირის მიერ ან დადასტურდება პროცესის მწარმოებელი პირის მიკერძოება, აღნიშნული წარმოადგენს გამოტანილი განაჩენის გაუქმების საფუძველს, მაგრამ თუ კანონიერების პრინციპი დარღვეულია ცალკეული საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას, აღნიშნული ყოველთვის არ იწვევს მთლიანად სამართალწარმოების უსამართლობას და შესაბამისად განაჩენის გაუქმებას. შედეგი დამოკიდებული იქნება სამართლიანი სამართალწარმოების უფლებაში ჩარევის ინტენსივობაზე და იმ ზიანზე, რაც გამოიწვია ან/და იმ საფრთხეებზე, რაც შეიქმნა კანონიერების პრინციპის დარღვევით. მაგალითად, მოწმის მიერ ცრუ ჩვენებების მიცემის ფაქტის დადგენის შემთხვევაში განაჩენის გაუქმების საკითხი დაისმის თუ აღნიშნული ჩვენება წარმოადგენდა პირის მსჯავრდების ძირითად მტკიცებულებას.
27. ასხვავებენ საპროცესო და მატერიალურ უკანონობას. საპროცესო უკანონობა გულისხმობს საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების წარმოებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ფორმის დაუცველად, მაგალითად, ჩხრეკის/დაკითხვის ოქმის ფორმის დაუცველად შედგენა. მატერიალური უკანონობა გულისხმობს: 1. საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების წარმოებას არაუფლებამოსილი პირის მიერ: ა. პირის მიერ, რომელსაც არ გააჩნია საერთოდ აღნიშნული კომპეტენცია, მაგალითად, გამოძიებლის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა; ბ. პირის მიერ, რომელსაც გააჩნია აღნიშნული უფლებამოსილება მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევაში, მაგალითად, გამოძიებლის მიერ არასანქცონირებული დაკავების წარმოება, როდესაც საქმის გარემოებებით არ დასტურდება გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა; 2. საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების წარმოება სათანადო საფუძვლის არარსებობისას, მაგალითად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დასაბუთებული ვარაუდის არსებობის გარეშე, პირისათვის ბრალის წაყენება იმ ქმედებისთვის, რომელიც არ არის გათვალისწინებული სსკ-ით ან პირის მსჯავრდება კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საფუძ-

<sup>198</sup> საპროცესო კანონმდებლობის სივრცეში მოქმედების/ტერიტორიულობის საკითხთან დაკავშირებით იხ., სსსკ. მე-2 მუხლის კომენტარი.

- ველზე; 3. მტკიცებულების მოპოვება უკანონო გზით, უკანონო წყაროდან ან უკანონო ხერხით.
- 28.** კანონიერი სასამართლო: სასამართლოს კანონიერება გულისხმობს როგორც სასამართლოს ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლის არსებობას, ასევე საქმის განმხილველი სასამართლოს კონკრეტული შემადგენლობის (კოლეგიის/პალატის, მაგისტრატი მოსამართლის..) კანონიერებას,<sup>199</sup> ასევე სასამართლოს მიერ საკუთარი ფუნქციების განხორციელებას კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და წესით. კანონიერი სასამართლოს მოთხოვნა დარღვეულია, თუ, მაგალითად, საქმეს იხილავს სასამართლოს უკანონო შემადგენლობა ან სასამართლო განსჯადობის წესების დარღვევით და სხვა. შესაბამისად, სასამართლო უნდა იყოს:
- შექმნილი კანონის საფუძველზე;
  - უფლებამოსილი განიხილოს აღნიშნული საქმე (განსჯადობა; მოსამართლეს უფლებამოსილება არ უნდა ჰქონდეს შეჩერებული ან შეწყვეტილი/ამოწურული);
  - სასამართლოს შემადგენლობა არჩეული/დანიშნული კანონით დადგენილის წესით.
- 29.** სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით, „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით, სასამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებში, საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსში, გაეროს სასამართლოს დამოუკიდებლობის ბაზისური პრინციპებით, მოსამართლეთა სტატუსის ევროპული ქარტიით და სხვა. სასამართლოს დამოუკიდებლობის განსაზღვრისას ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: 1. მოსამართლეთა დანიშვნის წესი, 2. მოსამართლეებზე ზეგავლენისგან დაცვის გარანტიები, 3. სასამართლოს დამოუკიდებლობის გარეგანი ნიშნები<sup>200</sup>
- 30.** დამოუკიდებლობა გულისხმობს როგორც სასამართლო სისტემის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას – ფაქტობრივ და სამართლებრივ დამოუკიდებლობას ხელისუფლების სხვა შტოების, თანამდებობის პირების, პირთა ჯგუფის, მედიის თუ საზოგადოების, პროცესის მონაწილეთა გავლენისგან, ისე კონკრეტული მოსამართლის პერსონალურ დამოუკიდებლობას ნებისმიერი გავლენისგან. იკრძალება ყოველგვარი პირდაპირი თუ ირიბი შეზღუდვა, არამართლზომიერი ზეგავლენა, წაქეზება, ზეწოლა, მუქარა, ჩარევა, ვისი მხრიდანაც არ უნდა მოდიოდეს და რა მიზეზითაც არ უნდა იყოს განპირობებული.<sup>201</sup>
- 31.** სასამართლოს მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ ჩამოყალიბებული დამოკიდებულების და მიკერძოების არარსებობას, რისი გადამონმებაც რამდენიმე ხერხით ხორციელდება.<sup>202</sup> კერძოდ, ხელმისაწვდომი იყო თუ არა მოსამართლისათვის საკმარისი გარანტიები, რომ გამოირიცხო ნებისმიერი დასაბუთებული ეჭვი მის მიუკერძოებლობაში.<sup>203</sup> როგორც წესი, მოსამართლის ქცევა შესაძლებელია ერთდროულად არა მხოლოდ ობიექტურად იწვევდეს ეჭვს მის მიუკერძოებლობაში გარეგანი დამკვირვებლის პოზიციიდან (ობიექტური კრიტერიუმი), არამედ იმავდროულად ეხებოდეს ასევე მის სუბიექტურ/პირად ჩამოყალიბებულ რწმენას (სუბიექტური ტესტი).
- 32.** სუბიექტური ტესტის თანახმად, მოსამართლის პირადი მიუკერძოებლობა ივარაუდება, ვიდრე საწინააღმდეგო არ იქნება დამტკიცებული.<sup>204</sup> ასეთ მტკიცებულებას შესაძლებ-

<sup>199</sup> Gorgiladze v Georgia, ECtHR, 20/01/2010, §69.

<sup>200</sup> იბ., Findlay v the United Kingdom, ECtHR, 25/02/1997, §73.

<sup>201</sup> იბ. გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, გენერალური ასამბლეის რეზოლუცია № 40/32, 29/11/1985, §2.

<sup>202</sup> იბ., Kyprianou v Cyprus, ECtHR, (GC), 15/12/2005, §118; Micallef v Malta, ECtHR, (GC), 15/10/2009, §93.

<sup>203</sup> იქვე, Kyprianou v Cyprus, ECtHR, (GC), 15/12/2005, §118; Micallef v Malta, ECtHR, (GC), 15/10/2009, §9; Piersak v Belgium, 01/10/1982, §30; Grieves v the United Kingdom, ECtHR, (GC), 16/12/2003, §69.

<sup>204</sup> იბ., Kyprianou v Cyprus, ECtHR, (GC), 15/12/2005, §119; Hauschildt v Denmark, ECtHR, 24/05/1989, §47.

- ლია წარმოადგენდეს, მაგალითად, რამდენად გამოხატავდა მოსამართლე მტრულ დამოკიდებულებას მხარისადმი, ცდილობდა თუ არა საქმის მისთვის გადაწერას პირადი მოტივებიდან გამომდინარე და სხვა. ვინაიდან სუბიექტური კრიტერიუმის მტკიცება დამატებით სირთულეებთან არის დაკავშირებული, ევროპული სასამართლო, როგორც წესი, ყურადღებას ამახვილებს ობიექტურ კრიტერიუმზე. ობიექტური კრიტერიუმი მოითხოვს ობიექტური ფაქტობრივი გარემოებების არსებობის მტკიცებულებას, რომელიც ქმნის სასამართლოს შემადგენლობის/მისი ცალკეული წევრის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს. საკითხის განხილვისას მხედველობაში მიიღება მოსარჩელის (მხარე, რომელიც აყენებს აღნიშნულ საკითხს) მოსაზრება, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ იმ გარემოებას, თუ ობიექტურად რამდენად დასაბუთებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული აღნიშნული ეჭვი.<sup>205</sup> მხედველობაში მიიღება მოსამართლის დამოკიდებულება პროცესში მონაწილე პირთან, რაც ადასტურებს მოსამართლის მიკერძოებას. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ასეთი ურთიერთობის ხასიათი და ინტენსივობა რამდენად მეტყველებს სასამართლოს მიკერძოებაზე.<sup>206</sup>
- 33.** სასამართლო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა უდგებოდეს პრესასთან ურთიერთობის საკითხს მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც ადგილი აქვს სასამართლოს პროვოცირებას. თუ სასამართლოს თავმჯდომარე ინტერვიუში იყენებს გამონათქვამებს, რომლებიც ქმნის საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მას უკვე ჩამოყალიბებული აქვს თავისი რწმენა/დამოკიდებულება საქმისადმი სასამართლო სხდომის გამართვამდე, ასეთი განცხადებები ობიექტურად ქმნის საფუძველს სასამართლოს მიუკერძოებლობაში დაეჭვებისათვის.<sup>207</sup> დარღვევას არ აქვს ადგილი, როდესაც ინტერვიუში სასამართლო აკრიტიკებს სასამართლო განხილვის თანმხლებ ვითარებას, რომელშიც მიმდინარეობდა სასამართლო განხილვა, დაცვის სტრატეგიასა და სხვა საკითხებს, მაგრამ არ ეხება არც პირდაპირ და არც ირიბად ბრალდებულის ბრალეულობის საკითხს.
- 34.** მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს დამოუკიდებლობისადმი. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს როგორც აღსრულებული (სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები, 2002, ღირებულება 3). შესაბამისად, დამოუკიდებლობის მოთხოვნა ირღვევა, როდესაც სხდომის დარბაზში დიდი რაოდენობით ფარული თანამშრომელი, სპეცრაზმელი იმყოფება და სასამართლო დარბაზში ვითარებას სხვა სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები უფრო აკონტროლებენ, ვიდრე თავად მოსამართლე, მოსამართლის სათათბირო ოთახი ღიაა უცხო პირთათვის და ისინი თავისუფლად შედიან/გამოდიან იქ და სხვა.<sup>208</sup>
- 35.** პერსონალური დამოუკიდებლობა გულისხმობს, რომ გადანყვეტილების მიღებისას მოსამართლე არ უნდა ექცეოდეს პოლიტიკური, სოციალური, საზოგადოებრივი თუ მხარის ზეგავლენის, მოსალოდნელი შეფასების თუ კრიტიკის ზეგავლენის ქვეშ. მოსამართლე ვალდებულია ობიექტურად შეაფასოს პირის ბრალეულობის საკითხი მაშინაც, როდესაც მისი გადანყვეტილება უარყოფითად იქნება შეფასებული საზოგადოების მხრიდან; საზოგადოებაში ჩამოყალიბებულია პოზიტიური/ნეგატიური დამოკიდებულება ბრალდებულის ბრალეულობის და მოსამართლის დამოუკიდებლობის/ პატიოსნებისადმი, რაც ფართოდ შუქდება მედიით; სასამართლო პროცესი ხორციელდება საპროტესტო აქციების ფონზე; საკითხისადმი საზოგადოებრივი/ საერთაშორისო რეზონანსის და მოსამართლის ეთნიკური/ეროვნული წარმომავლობის, აღმსარებლობის, სექსუალური ორიენტაციისადმი და ა.შ.

<sup>205</sup> Padovani v Italy, ECtHR, 26/02/1993, §27.

<sup>206</sup> Pullar v the United Kingdom, ECtHR, 10/06/1996, §38.

<sup>207</sup> Buscemi v Italy, ECtHR, 16/09/1999, §68; Lavents v Latvia, ECtHR, 28/11/2002, §119.

<sup>208</sup> Ramishvili and Kokhreidze v Georgia, ECtHR, 13/01/2009, §135.

- საზოგადოებაში ჩამოყალიბებული დამოკიდებულების მიუხედავად.
- 36.** მოსამართლე დამოუკიდებელია გადაწყვეტილების მიღებისას და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს ანგარიში მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. მას ასევე ეკრძალება გადაწყვეტილების მიღებამდე მისაღები გადაწყვეტილების შეთანხმება ვინმესთან – კოლეგიის/პალატის/ სასამართლოს ხელმძღვანელობასთან, იუსტიციის საბჭოსთან და სხვა. აღნიშნული არ გამორიცხავს მოსამართლის უფლებას რჩევა/ მოსაზრება ჰკითხოს და კონსულტაცია მიიღოს კოლეგებისგან, მეცნიერი თუ პრაქტიკოსი იურისტებისგან იმ პირობით, რომ რჩევა ეხება აბსტრაქტულად გადასაწყვეტ პრობლემას და არა კონკრეტულ საქმეს. ეკრძალება დავალების/რეკომენდაციის შესრულება, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს ის – ადმინისტრაციული ფუნქციის განმახორციელებელი მოსამართლის, მაღალი რანგის თანამდებობის პირების, ახლობლების/ნათესავების და სხვა, თუ ეს ეწინააღმდეგება მის შინაგან რწმენას და ლახავს მის დამოუკიდებლობას. დაუშვებელია კოლეგიის/სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან მოსამართლეზე ზეგავლენა მის წარმოებაში არსებულ საქმეზე სასამართლო განხილვის კონკრეტული თარიღის დადგენის მიზნით. ადმინისტრაციული ფუნქციის მწარმოებელმა მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს პირდაპირი და არაპირდაპირი ან მენტალურ-ფსიქოლოგიური ზეგავლენისგან.<sup>209</sup> ვინაიდან მოსამართლის დამოუკიდებლობის ფარგლებში მხოლოდ მოსამართლე წყვეტს მასზე დაწერილი საქმეების დამუშავების რიგითობას, სამსახურებრივ ზედამხედველობას მაშინაც არ შეუძლია სთხოვოს მოსამართლეს, რომ დააჩქაროს მისი დეცერნატიდან რომელიმე კონკრეტული საპროცესო საქმის დამუშავება, თუ მიაჩნია, რომ სახეზეა მოსამართლის მხრიდან სავალდებულო ქცევის დარღვევა.<sup>210</sup> აღნიშნული აკრძალავს ეხება ასევე ე.წ. შუალედურ გადაწყვეტილებას სასამართლო განხილვის სავარაუდო სამომავლო თარიღის შესახებ, რომელთან დაკავშირებითაც პროცესზე ხდება გადაწყვეტილების მიღება (მაგ., წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრა ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე). ასეთი გადაწყვეტილება მოსამართლის ფუნქციასთან – დაადგინოს სამართალი – უკვე, იმიტომ არის მჭიდრო კავშირში, რომ პროცესის მონაწილეები იღებენ ინფორმაციას როდემდე შეუძლიათ წარადგინონ მტკიცებულებები, შუამდგომლობა, საჩივარი. შუალედური გადაწყვეტილება საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადის თაობაზე უშუალო კავშირშია იმ გადაწყვეტილებასთან, რომელიც ეხება ცალკეული საქმის განხილვის რიგითობას, რასაც მხოლოდ მოსამართლე წყვეტს თავისი დამოუკიდებლობის ფარგლებში.<sup>211</sup> გამონაკლისია, როდესაც მოსამართლე საქმის განხილვის ჩანიშნვისას არღვევს თავის მოვალეობას და ქმნის მის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების საფუძველს.<sup>212</sup>
- საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან ამ საქმეზე *res judicata* განაჩენის დადგენამდე, ასევე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე, ეკრძალება მოსამართლესთან პროცესის მონაწილეთა, დაინტერესებულ პირთა, საჯარო მოსამსახურეთა და სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა კომუნიკაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან და არღვევს სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპებს (საქართველოს კანონი „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“, მე-3 მუხლი). აღნიშნული გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებასთან ერთად დაჯარიმებას

<sup>209</sup> BGH გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს 20/06/2001 წლის გადაწყვეტილება – RiZ(R) 2/00, NJW-RR 2002, 574; იხ., ასევე BGH, 27/01/1995 წლის გადაწყვეტილება RiZ (R) 3/94, Driz 1995,352,353; BGH, 31/01/1984 გადაწყვეტილება - RiZ(R) 3/83, BGHZ90,41,43f.

<sup>210</sup> BGH, 06/11/1986 გადაწყვეტილება - RiZ(R) 4/86, NJW1987, 1197, 1198.

<sup>211</sup> BGH, 03/11/2004 გადაწყვეტილება - RiZ(R) 4/03, NJW-RR 2005, 433.

<sup>212</sup> BGH, 20/06/2001 გადაწყვეტილება - RiZ(R) 2/00, NJW-RR 2002, 574.

- 5000 ლარამდე (პროცესის მონაწილე, დაინტერესებული პირის, საჯარო მოსამსახურის შემთხვევაში) ან 10000 ლარის ოდენობით (სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი). ეს თანაბრად ვრცელდება, როგორც სახელმწიფო ბრალმძებელზე, გამომძიებელზე, ადვოკატზე, პროცესის მონაწილეზე, გარეშე პირზე, ისე მოსამართლეებზე.
- 37.** მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს მიღებული გადაწყვეტილების კომენტირებისგან, *res judicata* განაჩენის დადგენამდე, რომ ხელი არ შეუშალოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს დამოუკიდებლად შეამოწმოს გამოტანილი განაჩენის კანონიერება/დასაბუთებულობა. აღნიშნული არ გამორიცხავს მოსამართლის უფლებას საქმესთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების თაობაზე გააკეთოს კომენტარი.
- 38.** მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობის თუ შეხედულებისგან, გარეშე ზეგავლენისგან და დამოუკიდებლად, კანონმდებლობის და შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ის არ არის ანგარიშვალდებული რომელიმე ორგანოს წინაშე მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. ეს არ გამორიცხავს დისციპლინური ზემოქმედების ზომების გამოყენების შესაძლებლობას უფლებამოსილების არაჯეროვნად შესრულების ან შესრულებაზე უარის თქმისთვის. მაგრამ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაცული უნდა იყოს მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიები. სამსახურებრივი ზედამხედველობის ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსს, დაუშვებელია, თუ იგი სცილდება გარეგანი წესრიგის ფარგლებს.<sup>213</sup> სამსახურებრივი შეფასება ხელყოფს მოსამართლის დამოუკიდებლობას მხოლოდ მაშინ, თუ ის პირდაპირ ან არაპირდაპირ გადის მითითებაზე, თუ როგორ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს მოსამართლემ საქმე. ამ მიმართულებით მოსამართლის სამსახურებრივმა შეფასებამ თავი უნდა შეიკავოს ყოველგვარი ფსიქოლოგიური ზეწოლისგან. იგი დაუშვებელია, თუ მასში მოცემული კრიტიკა ნაახალისებს მოსამართლეს, რომ მომავალში მიიღოს სხვაგვარი არსებითი და საპროცესო გადაწყვეტილებები, ვიდრე ამას გააკეთებდა კრიტიკის გარეშე.<sup>214</sup> სამსახურებრივ ზედამხედველობას ექვემდებარება მოსამართლის მიერ საკუთარი საქმეების გაძღოლა და მოგვარება, როცა საქმე ეხება სასამართლოს/მოსამართლის კანონშესაბამისად მუშაობას. სამსახურებრივი საქმეების მოგვარების გარეგან ფორმას ან ისეთ საკითხებს, რომლებიც სამართალწარმოების მთავარ სფეროს იმდენად არის დაცლებული, რომ ისინი შეიძლება მხოლოდ გარეგანი წესრიგის სფეროს იქნეს მიკუთვნებული.<sup>215</sup> შეუსაბამოდ გრძელი ვადები შეიძლება დისციპლინური მონიტორინგის საგანი გახდეს.
- 39.** ინსტიტუციური დამოუკიდებლობიდან გამომდინარე იკრძალება სასამართლოს განაჩენის გადასინჯვა, შეცვლა ან გაუქმება საკანონმდებლო (მაგ., პარლამენტის საგამომძიებო კომისია) ან/და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ. გამონაკლისია შეწყობა და ამნისტია.
- 40.** დევნის წარმოება პროკურორის მიერ: სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს ბრალდების საქმიანობას, რომელიც მოიცავს გამომძიების წარმოებას დანაშაულის ჩადენაში კონკრეტული პირის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოძიების მიზნით, საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენებას, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას სასამართლოში.
- 41.** გამომძიებისგან განსხვავებით, რომელიც ხორციელდება დანაშაულის ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება კონკრეტული პირის მიმართ. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის ბრალდებით ან დაკავებით და მთავრდება *res ju-*

<sup>213</sup> BGHZ, 42, 163, 169, 171, 275.

<sup>214</sup> BGH, 04/06/2009, RiZ(R) 5/08, BGH 181, 268.

<sup>215</sup> BGH, 22/02/2006, RiZ(R) 3/05, NJW 2006, 1674.

- dicata განაჩენის გამოტანით – სახელმწიფო ბრალდების ფუნქცია ხორციელდება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოებისას, პროფესიული და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას.
42. სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანია დანაშაულის ჩადენაში დამნაშავე პირის გამოვლენა და დასჯა, კერძო და საჯარო/გენერალური პრევენციის უზრუნველყოფა.
43. სსსკ ითვალისწინებს საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას, რაც გულისხმობს ბრალდების მხარის ვალდებულებას ნებისმიერი სახის დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში დაიწყოს გამოძიება დაზარალებულის განცხადების, ან დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის შერიგების/მორიგების მიუხედავად. შესაბამისად, ბრალდებულის მიმართ სს დევნა ხორციელდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაზარალებული არ უჩივის ბრალდებულს ან საერთოდაც არ განუცხადებია მის მიმართ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ (ეს ცნობილი გახდა გამოძიების ორგანოსათვის სხვა წყაროდან) ან შუამდგომლობს სს დევნის შეწყვეტას ბრალდებულის მხრიდან მისთვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების გამო.
44. სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება პროკურორის ექსკლუზიური უფლებაა. შესაბამისად, მხოლოდ პროკურორს აქვს უფლება უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების საკითხთან მიმართებით.<sup>216</sup>

### მუხლი 13. მტკიცებულება

1. მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.
2. ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან) (ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას.. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 22.01.2015 №1/1/548).
1. **ნორმის მიზანი:** ბრალდებულის დაცვა დაუსაბუთებელი ბრალდებისა და მსჯავრდებისგან.
2. მტკიცებულებათა შეფასების თავისუფლების პრინციპი სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის ერთ-ერთი გამოხატულებაა, რომელიც კრძალავს მტკიცებულებათა ფორმალურ სისტემას სისხლის სამართლის პროცესში. სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით კანონმდებელს ეკრძალება საკანონმდებლო წესით განსაზღვროს მტკიცებულებათა სახეების იერარქია და განსხვავებული მტკიცებულებითი ძალა. არანაირ მტკიცებულებას არ ენიჭება წინასწარ დადგენილი უპირატესობა არც მტკიცებულების სახის (მაგალითად, საექსპერტო დასკვნა, დაზარალებულის ჩვენება, ნივთმტკიცება), და არც მისი შინაარსიდან გამომდინარე (მაგალითად, ბრალდებულის აღიარება). დაუშვებელია მტკიცებულების წინასწარი როგორც გადაჭარბებული შეფასება, ასევე მის მიმართ ტენდენციური დამოკიდებულება ან უნდობლობა (მაგ., დაკავების განმახორციელებელი პირის ჩვენება დაკავებისას პროპორციული ძალის გამოყენების და ბრალდებულის მიერ თვითდაზიანების მიყენების შესახებ). მტკიცებულების მნიშვნელობა კონკრეტული საქმისათვის შესაძლებელია განისაზღვროს მხოლოდ მისი შეფასების შედეგად, მაგრამ არა ინტუიტიურად, არამედ საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობის საფუძველზე.

<sup>216</sup> იბ., სსსკ. 105-ე, 250-ე მუხლის კომენტარები.



- ზე. შესაბამისად, ფორმალური ნიშნების მიხედვით არანაირ მტკიცებულებას წინასწარ დადგენილი ძალა არ გააჩნია, მათ შორის ბრალდებულის აღიარებას, ექსპერტის დასკვნას, ნივთმტკიცებას.
3. ყველა მტკიცებულება ექვემდებარება დასაშვებობის, სარწმუნოების და რელევანტურობის ტესტზე თანაბარ შემოწმებას, მიუხედავად იმისა, მათ შექმნაში გამოყენებულია საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო მეთოდები, რომლებიც დადასტურებულად მაღალი საიმედოობით გამოირჩევა, თუ მიეკუთვნება იმ მტკიცებულებებს, რომელთა მიმართაც არსებობს ცდომილების შედარებით უფრო მაღალი ალბათობა (მაგ., მონმის ჩვენების შემთხვევაში არსებობს ალბათობა, რომ მან სწორად ვერ აღიქვა, დაინახა, გადმოსცა ფაქტობრივი გარემოება; ნივთმტკიცებასთან დაკავშირებით უნდა გაირკვეს მისი იქ მოხვედრის მიზეზი, საიდანაც იქნა ამოღებული, ბმა დანაშაულთან და ა.შ.).
  4. მტკიცებულებათა ერთობლიობა გულისხმობს, მტკიცებულებებს შორის შინაარსობრივი კავშირის არსებობას და გამორიცხავს მათ შორის წინააღმდეგობას. ისინი უნდა მიუთითებდნენ და ადასტურებდნენ ერთსა და იმაზე გარემოებებსა და ფაქტებს და ადგენდნენ ბრალდებულის ბრალეულობას, დანაშაულის ჩადენის ფაქტს და მტკიცების საგანში შემავალ სხვა გარემოებებს ისე, რომ არ ტოვებდნენ არსებით გარემოებებში დაეჭვების გონივრულ საფუძველს. მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა არსებობდეს დანაშაულის შემადგენლობის თითოეულ ელემენტთან დაკავშირებით ცალკე-ცალკე და არა მთლიანად დანაშაულის ჩადენის შესახებ.
  5. მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპის დარღვევას წარმოადგენს განაჩენებში ე.წ. „შტამპების“ გამოყენება, რაც მიუთითებს მტკიცების პროცესში მტკიცებულებათა ფორმალური შეფასების გამოყენებაზე, მაგალითად, „სასამართლოს ბრალდებულის ჩვენება მიაჩნია ნაკლებად სარწმუნოდ, ვინაიდან ის ცდილობს თავი აარიდოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და მსჯავრდებას“, „სასამართლოს სარწმუნოდ არ მიაჩნია ბრალდებულის ჩვენება, ვინაიდან, სასამართლო განხილვისას მან რამდენჯერმე შეცვალა თავისი ჩვენება“, „სასამართლოს არ აქვს საფუძველი არ მიიჩნიოს სარწმუნოდ პოლიციის თანამშრომლების განცხადებები, ვინაიდან როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მათ ბრალდებულთან არ აკავშირებს პირადი ნაცნობობა“, „სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის ინიციატივით ჩატარებული საექსპერტო კვლევის შედეგებს და შესაბამისი ექსპერტის ჩვენებას, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილი წესით ბრალდების მხარის მიერ გამოძიების ეტაპზე დანიშნული ექსპერტიზის შედეგებს“ და ა.შ.
  6. ბრალდებულის აღიარება: დანაშაულის აღიარებას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, როგორც გამოძიების დაწყებამდე (პირის გამოცხადება სამართალდამცავ ორგანოში დანაშაულის ჩადენის აღიარებით), ასევე გამოძიების ეტაპზე პირის დაკითხვის ან სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას.
  7. ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარებას შეიძლება ბევრი მიზეზი ჰქონდეს: სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ზენოლა, თანამონაწილეთა დაფარვა, ანგარება, შანტაჟი, უფრო მძიმე დანაშაულის დაფარვა და სხვა. არ არის გამორიცხული არც მეხსიერების ხარვეზიდან გამომდინარე შეცდომები და შეცდომა აღქმადობაში – შესაძლებელია ბრალდებულმა არასწორად აღიქვა განხორციელებული ქმედება დანაშაულის ჩადენის მომენტში განცდილი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე და ა.შ.
  8. მტკიცებულებად მიიჩნევა არა თავად აღიარების ფაქტი, არამედ აღიარებაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ექვემდებარება გადამოწმებას საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობასთან. მტკიცებულებას არ წარმოადგენს ბრალდებულის განცხადება, რომ ის სადავოდ არ ხდის თავის ბრალეულობას, მაგრამ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები არ ახსოვს ძლიერი სიმთვრალის გამო. მტკიცებულებითი მნიშვნელობა გააჩნია მხოლოდ მონაცემებს საქმის კონკრეტული გარემოებების შესახებ, რომლებიც ადასტურებენ მის შემხებლობას დანაშაულებრივ

- ქმედებასთან და, რომლებიც ობიექტურად დასტურდება საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებებით.
9. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ბრალის აღიარებას არ ანიჭებს უპირატესობას მტკიცებულებათა შეფასების პროცესში, საპროცესო კანონმდებლობა სხვადასხვა საპროცესო ინსტიტუტის გამოყენებას პირდაპირ თუ ირიბად უკავშირებს ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარებას (მაგ., განრიდება, საპროცესო შეთანხმება, სასჯელის ზომის გასაზღვრისას გათვალისწინება და სხვა) და გამოძიების ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილს.
  10. აღიარება არ უზრუნველყოფს მინოდებული ცნობების სარწმუნოებას და ყოველთვის არ მიუთითებს ბრალდებულის ჭეშმარიტ ბრალეულობაზე დანაშაულის ჩადენაში – ბრალდებულის სუბიექტური დამოკიდებულება განხორციელებული ქმედებისადმი, შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს ობიექტურად არსებულ გარემოებებს. ეს შეიძლება ხორციელდებოდეს განზრახ – ფაქტობრივი გარემოებების დამახინჯების სურვილის შემთხვევაში ემსახურებოდეს პროცესის მწარმოებელი პირით მანიპულირებას სასჯელის შემსუბუქების მიზნებისათვის. ამიტომ აღიარების ფაქტისათვის დამატებითი მნიშვნელობის მინიჭება, ქმნის უსამართლობის საფრთხეს ან წარმოადგენს შეცდომის შედეგს, მაგალითად, აღიარებს პირის მკვლელობას, მაგრამ სინამდვილეში დაჭრის მომენტში პირი უკვე იყო გარდაცვლილი (მცდელობა უვარგის ობიექტზე). სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ აღიარება მტკიცება და ჩვენებაში არ ჩანს რაიმე ვარაუდები ან დაეჭვება.
  11. სსსკ პირდაპირ არ აკონკრეტებს რომელი და რამდენი სხვა მტკიცებულებით უნდა დასტურდებოდეს აღიარება, თუმცა მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ორგვარ რეგულირებას:
    - თუ აღიარება გამოიყენება ახალი მტკიცებულების მოპოვებისათვის, მაგ., საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარებაზე ნებართვის მოსაპოვებლად (ჩხრეკა, ამოღება, კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები, ჩვენების ადგილზე შემოწმება), აღიარების სისწორე შესაძლებელია დადასტურდეს საქმეში არსებული სხვა ირიბი მტკიცებულებებით. მაგალითად, მოწმეთა ჩვენებებით, რომლებიც ეყრდნობა ბრალდებულის მიერ მათთვის მინოდებულ ინფორმაციას (მაგ., ბრალდებულმა აღიარა მათთან საუბარში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ან მოუყვა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ის იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენის მიმდებარე ტერიტორიაზე და სხვა).
    - თუ აღიარება გამოიყენება განაჩენის დასაბუთებისათვის, ის უნდა დასტურდებოდეს საქმეში არსებული მხოლოდ პირდაპირი მტკიცებულებით. პირდაპირი მტკიცებულება უნდა გახდეს განაჩენის დასაბუთების ძირითადი არგუმენტი და ფოკუსირება სწორედ მასზე უნდა მოხდეს. თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს მისი უტყუარობის შემოწმებას, ვინაიდან ფაქტები შესაძლებელია სხვადასხვაგვარად იყოს აღქმული ან/და გადმოცემული.
  12. როგორც წესი, აღიარებითი ჩვენების შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს რამდენიმე გარემოება: 1. აღიარება არ წარმოადგენს ბრალდებულზე უკანონო ზემოქმედების შედეგს და მისი თავისუფალი ნებისა და გაცნობიერებული გადაწყვეტილების შედეგია; 2. ჩვენება აღწერს შერაცხულ ქმედებას და მასთან დაკავშირებულ საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს; 3. ბრალდებულის დეკლარაციული ხასიათის განმარტება, რომ აღიარებს მისთვის შერაცხულ ბრალს ცალკე აღებული მტკიცებულებითი ძალის მატარებელი არ არის, ვინაიდან მტკიცებულებითია ინფორმაცია საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. ამიტომ, თუ აღიარების დროს ბრალდებული არ უთითებს განსახილველი საქმისათვის მნიშვნელოვან რაიმე გარემოებას, აღიარებას მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ გააჩნია. იმავდროულად, ბრალდებულის აღიარებით ჩვენებაში მოცემული მტკიცებულებები უნდა დასტურდებოდეს სხვა მტკიცებულებებით.
  13. მე-2 ნაწილი განსაზღვრავს გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენ სტანდარტს და მას ორ ნაწილად ყოფს:
    - გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ემყარება ბრალდებულის აღიარებას. მე-13 მუხ-

ლის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, განაჩენის დასადგენად პირის აღიარების გამოყენება დაიშვება იმ შემთხვევაშიც, თუ ის დასტურდება საქმეში არსებული მისი ბრალეულობის დამადასტურებელი თუნდაც ერთი პირდაპირი მტკიცებულებით. პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა დაიშვება თეორიულად ორი მამხილებელი მტკიცებულების საფუძველზე, საიდანაც ერთი ბრალდებულის აღიარებითი ჩვენებაა. ასეთი ინტერპრეტაციის შემთხვევაში აზრს კარგავს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტზე მითითება.

- გამამტყუნებელი განაჩენი საქმეზე, სადაც არ არსებობს ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

14. ამდენად, მტკიცებულებებს შორის არ უნდა არსებობდეს ლოგიკური წინააღმდეგობა, უნდა იყოს დამაჯერებელი წყაროს სარწმუნოების და მტკიცებულების შინაარსის თვალსაზრისით (მაგალითად, ობიექტურად უნდა იყოს შესაძლებელი იმის განხორციელება, რაზეც მიუთითებს). თუმცა, ვინაიდან განაჩენის გამოტანა ხდება წარსულში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, განაჩენის დასადგენად არ მოითხოვება აბსოლუტური სიზუსტით ვითარების აღდგენა ან/და ბრალდებულის ბრალეულობის ყოველგვარი ეჭვის გარეშე დამტკიცება. სსსკ მოითხოვს მხოლოდ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის<sup>217</sup> და *In dubio pro reo* პრინციპის დაკმაყოფილებას. განაჩენი შესაძლებელია დასაბუთებული იყოს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნებით ან გამყარებული<sup>218</sup> იყოს ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდით და არა კონკრეტული ფაქტებით. მაგალითად, თავის და ყველის ნაჭრის დახურულ მუყაოს ყუთში ჩადებიდან რამდენიმე წუთში, თუ თავსახურის ახდის შემდეგ ყუთში დაგვხვდება მხოლოდ თავი, შეგვიძლია გონივრულად ვივარაუდოთ, რომ ყველი თავგმა შეჭამა, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი არანაირი პირდაპირი მტკიცებულება არ გავაჩნია; თუ დახურულ საცავში ბრალდებულის განმარტობით ყოფნის შემდეგ საცავის მაგიდიდან ქრება დოკუმენტი, გონივრულად ივარაუდება, რომ ვინაიდან დოკუმენტის არსებობა და საცავში სხვა პირთა ყოფნა შემომნდა ბრალდებულის შეშვებამდე და გამოსვლის შემდეგ, დოკუმენტები ბრალდებულმა აიღო/დამალა/შეჭამა). განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებას, დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან.<sup>219</sup>
15. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი უნდა ემყარებოდეს არა მტკიცებულებათა/ინფორმაციის ნებისმიერ ერთობლიობას, რომელიც დაარწმუნებს ობიექტურ დამკვირვებელს, არამედ მხოლოდ: 1. სათანადო წესითა და ფორმით მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც სასამართლოს მიერ დასაშვებ მტკიცებულებად არის ცნობილი; 2. რომლის უშუალო გამოკვლევა განხორციელდა არსებით სასამართლო სხდომაზე (მაგ., ვერ გამოიყენებს არასაპროცესო ფორმით მოპოვებულ ინფორმაციას, ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციას, პირადი დაკვირვების შედეგებს და სხვა); 3. თუ მტკიცებულებითი ინფორმაცია გამომდინარეობს რამდენიმე დამოუკიდებელი პირველწყაროდან („პირდაპირი მტკიცებულებების სიმრავლის“ თეორია). მტკიცებულებათა ერთობლიობა არასაკმარისია, თუ ემყარება ერთ პირველწყაროს, ანუ ყველა მტკიცებულება არის ერთი პირდაპირი წყაროდან ნაწარმოები (მაგ., მონმეთა ჩვენებები, რომლებიც ეყრდნობა ერთი და იმავე თვითმხილველი მონმის

<sup>217</sup> იხ., სსსკ. მე-3 მუხლის კომენტარი.

<sup>218</sup> *Salman v Turkey*, ECtHR, 27/06/2000, §100.

<sup>219</sup> იხ., *El Masri v the Former Yugoslav Republic of Macedonia*, ECtHR, (GC), 13/12/2012; *Hassan v the UK*, ECtHR, (GC), 16/09/2014.

- მიერ მათთვის მიწოდებულ ინფორმაციას), ვინაიდან იკრძალება ირიბი მტკიცებულების გამოყენება განაჩენის დასაბუთებისათვის.
16. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი უნდა ეყრდნობოდეს თითოეული მტკიცებულების ცალკე-ცალკე და საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების მთლიანობაში/ერთობლიობაში შეფასებას. მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეფასება არ გულისხმობს, რომ მნიშვნელოვანია მხოლოდ საერთო შთაბეჭდილება, რომელიც შეიქმნა გამოკვლევით მტკიცებულებებით. შესაბამისად, სასამართლომ უნდა შეაფასოს ყველა ის მტკიცებულება, რომელიც გამოკვლევულ იქნა სასამართლო პროცესზე და არა მხოლოდ ისინი, რომელთაც იყენებს განაჩენის დასაბუთებისათვის (*nihil habet forum ex scena*), დაასაბუთოს რატომ ეყრდნობა ერთს და უარყო მეორე მტკიცებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება განაჩენის სააპელაციო გასაჩივრების საფუძველი.
17. გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტი არ გულისხმობს ყველა შესაძლო ეჭვს მიღმა მტკიცებას, ან მტკიცებას მათემატიკური სიზუსტით. ეჭვი არ არის გონივრული, თუ ის ეფუძნება ვარაუდს, სპეკულაციას, წინათგრძნობას. მაგრამ თუ ეჭვი ეფუძნება ლოგიკას, საღ აზრს, მსჯელობას, მიზეზს, გამოცდილებას, გონივრულია, ეს არის ეჭვი, რომელიც საშუალო სტატისტიკურ გონიერ ადამიანს გაუჩნდებოდა ყველა მტკიცებულების ანონ-დანონის შედეგად. ეს ეჭვი შესაძლებელია ეხებოდეს მტკიცებულებათა საკმარისობას, მტკიცებულების შინაარსს და ა.შ. მაგალითად, მოქალაქის ჯიბიდან საფულის მოპარვის ფაქტზე სსკ 177-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების საქმეზე, სადაც ბრალდებულის ბრალეულობა მისთვის შერაცხულ დანაშაულში დასტურდებოდა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას დაზარალებულის კუთვნილი საფულის ამოღების ფაქტით, ერთი თვითმხილველი მოწმის ჩვენებით და 5 ირიბი ჩვენებით, სასამართლომ მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო ბრალდებულის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი. სასამართლოს განმარტებით, პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთმტკიცებით პირდაპირ ვერ დასტურდება საფულის ქურდობის ფაქტი. შესაბამისად, სასამართლომ ერთი პირდაპირი მტკიცებულება და ერთი ირიბი მტკიცებულება არ მიიჩნია საკმარისად ბრალდებულის ბრალეულობის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დამტკიცებისათვის.<sup>220</sup>

#### მუხლი 14. მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევა

1. სასამართლოს (ნაფიც მსაჯულებს) არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.
2. მხარეს უფლება აქვს, სასამართლოში მოითხოვოს მოწმის უშუალოდ დაკითხვა და წარადგინოს საკუთარი მტკიცებულება.
1. **ნორმის მიზანი:** შეჯიბრებითი და სამართლიანი სამართალწარმოების უზრუნველყოფა.
2. პრინციპი გულისხმობს: 1. მხარეების უზრუნველყოფას მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის შესაძლებლობით სასამართლომდე, 2. მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის თანაბარ შესაძლებლობას; 3. სასამართლოში მოწმის უშუალოდ დაკითხვის მოთხოვნის უფლებას; 4. საკუთარი მტკიცებულების სასამართლოსთვის წარდგენის შესაძლებლობას.
3. შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო განხილვაზე დაიშვება მხოლოდ ისეთი მტკიცებულებების გამოყენება, რომლებიც მხარეების მიერ გამოკვლევული იქნა უშუალოდ და ზეპირად.
4. უშუალობა და ზეპირობა წარმოადგენს მტკიცებულებების გამოკვლევის გარეგან ფორმას და ვრცელდება როგორც სასამართლოში საქმისწარმოების, ასევე გამოძიების სტადიაზე.

<sup>220</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16/04/2015 წლის განაჩენი საქმეზე №510აპ-14.

5. პრინციპის მიზანია ხელი შეუწყოს შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაციას მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სარწმუნოების ეფექტიანად ეჭვქვეშ დაყენების გზით, რისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული შესაძლებლობის რეალიზაციას სასამართლომდელ სტადიებზე. მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს მტკიცებულებებს სასამართლო სხდომამდე და წარადგინოს მოსაზრებები მტკიცებულების არსებობასთან, მის შინაარსთან და ნამდვილობასთან დაკავშირებით.<sup>221</sup>
6. მე-14 მუხლის პირველი ნაწილი სასამართლოსათვის მტკიცებულების წარდგენის წინაპირობად წარსადგენი მტკიცებულების უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის განხორციელების შესაძლებლობას ადგენს. შესაბამისად, მოწმის ჩვენების, ნივთიერი მტკიცებულების, დოკუმენტის, ექსპერტის დასკვნის და ა.შ. გამოყენება არსებით სასამართლო განხილვაზე დაუშვებელია, თუ მხარეს არ ჰქონდა სასამართლომდე მისი უშუალოდ შესწავლა-გამოკვლევის შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში (მაგ., ბრალის დადგენილებაში მითითებული მტკიცებულებების შესწავლის/გამოკვლევის გარეშე), ის მოკლებული იქნება თავისი ფუნქციის (როგორც დაცვის, ასევე სახელმწიფო ბრალდების) ეფექტიანად განხორციელების, მონინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების სანდოობის ეჭვქვეშ დაყენების შესაძლებლობას. ახალ მტკიცებულებებთან მიმართებით, რომელთა არსებობა მხარისათვის უცნობი იყო სასამართლო პროცესის დაწყებამდე, მაშინაც კი, თუ დოკუმენტური მტკიცებულება წარდგენილ და ნაკითხულ იქნა სასამართლო პროცესზე, დაცვის მხარის უფლება შეჯიბრებით პროცესზე ვერ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად. ამიტომ სსსკ ადგენს მხარეთა ვალდებულებას საქმის მასალების დროულად გაცვლის შესახებ და სხდომის გადადების შესაძლებლობას ახალი მტკიცებულების შესწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის. მაგალითად, 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომამდე არა უგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიანოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად წარდგენასაც აპირებენ სასამართლოში. ასევე გადასცენ წერილობითი მტკიცებულების ასლები (სსსკ 83-ე მუხლის მე-8 ნაწილი).
7. სასამართლოში საქმისწარმოებისას, უშუალოდ პრინციპი ხელს უწყობს სასამართლოს (განსაკუთრებით ნაფიც მსაჯულებს) შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას კონკრეტულ მტკიცებულებებთან და ბრალდებულისათვის წაყენებული ბრალის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით. უზრუნველყოფს სასამართლო განხილვის მონაწილეების მიერ საქმის გარემოებების და წარმოდგენილი მტკიცებულებების პირდაპირ, გამოძიების მწარმოებელი პირების სუბიექტური გავლენისაგან თავისუფალ აღქმას; წარმოდგენილი მტკიცებულებების კრიტიკულად შეფასებას და საკუთარი მოსაზრების შექმნას ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ. უზრუნველყოფს პროცესის მონაწილეებს შესაძლებლობით დააკვირდნენ მოწმეთა ქცევას დაკითხვისას, მხარეებს შეკითხვები დაუსვან და სადავო გახადონ მოწმის ობიექტურობა და კეთილსინდისიერება, მის მიერ მიცემული ჩვენების და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების სარწმუნოება.<sup>222</sup> გულისხმობს სასამართლოს უშუალო კონტაქტს დასაკითხ პირებთან, ბრალდებულის უფლებას დაუპირისპირდეს მოწმეებს იმ მოსამართლის თანდასწრებით, რომელმაც საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქმეზე, რათა შესაძლებელი გახდეს მოწმის ქცევასა და სანდოობაზე დაკვირვება.<sup>223</sup>
8. მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის უზრუნველყოფის დამატებითი გარანტიის სახით სსსკ ითვალისწინებს სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობას, რაც ხელს უწყობს მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა აღქმის მთლიანობას და სამართლიანი გად-

<sup>221</sup> Krcmar and Others v. Czech Republic, ECtHR, 03/03/2000, §§38-42.

<sup>222</sup> იბ., Bocos-Cuesta v. the Netherlands, ECtHR, 10/11/2005, §71; P.S. v. Germany, ECtHR, 20/12/2001, §26; Accardi and Others v. Italy (dec.) ECtHR, 20/01/2005; S.N. v. Sweden, ECtHR, 02/07/2002, §52.

<sup>223</sup> MatIIsina v Russia, ECtHR, 27/03/2014, §153.

- ანყვეტილების მიღებას. შემადგენლობის შეცვლის შემთხვევაში სსსკ 183-ე მუხლი ადგენს საქმის განხილვის თავიდან დაწყების ვალდებულებას.
9. უშუალოდ პრინციპი გულისხმობს პირობითად ორ ასპექტს:
    - მტკიცებულების უშუალოდ აღქმა და გამოკვლევა პროცესის მწარმოებელი პირის და მხარის მიერ, შუალედური რგოლის გარეშე;
    - პროცესის მწარმოებელი პირის და მხარის მიერ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიღება უშუალოდ ინფორმაციის წყაროსგან (ეს შეიძლება იყოს როგორც პირველწყარო, თვითმხილველი, ასევე პირი, რომელმაც შექმნა, ვისთანაც ინახებოდა, ვინც მოიპოვა/წარადგინა შესაბამისი დოკუმენტი).
  10. უშუალოდ პრინციპიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ სსსკ-ით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. მაგალითად, სსსკ 297-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი (სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დაიშვება მხოლოდ სააპელაციო ინსტანციაში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულების გამოკვლევა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულება გამოკვლეულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით და მხარე აყენებს შუამდგომლობას ამგვარი მტკიცებულების ხელახალი გამოკვლევის თაობაზე).
  11. მონმეთა გამოძახების და დაკითხვის უფლება<sup>224</sup> მტკიცებულების წარმოდგენის უფრო ზოგადი პრინციპის სპეციალური ასპექტია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მხარეს განახორციელოს საკუთარი პოზიციის აქტიური დაცვა და გავლენა იქონიოს სამართალწარმოებაზე. „სამართლიანი სასამართლოს კონცეფციიდან გამომდინარე, ის გულისხმობს მხარის უფლებას მონმის ჩვენების/განცხადების ნებისმიერ ასპექტში შედავების შესაძლებლობას დაპირისპირების ან დაკითხვის დროს.“<sup>225</sup>
  12. მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მონმის უშუალოდ დაკითხვა სასამართლოში, მაგრამ მონმის მოსმენის საჭიროებისა და მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს პრეროგატივაა.<sup>226</sup> სასამართლოს გადასაწყვეტია, რომელ მონმეს დაიბარებს პროცესზე დასაკითხად. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა უზრუნველოს განხილვის სამართლიანობა, მხარეთა თანასწორუფლებიანობა და შეჯიბრებითი პროცესი. კანონმდებლობა არ ითხოვს შუამდგომლობაში მითითებული ყველა მონმის დაბარებას სასამართლოში.<sup>227</sup> შესაბამისად, შუამდგომლობის გადაწყვეტისას მხედველობაში მიიღება:
    - არის თუ არა საქმის განხილვისათვის არსებითი ის ასპექტი, რომლის დამტკიცებასაც მხარე აპირებს შესაბამისი მონმის ჩვენებით;
    - რამდენად აუცილებელია შემოთავაზებული მონმის დაკითხვა აღნიშნული ასპექტის დასამტკიცებლად;
    - რამდენად დაეხმარება ამ მონმის ჩვენება სასამართლოს საკითხის გადაწყვეტაში;
    - მონმის ჩვენების მნიშვნელობა ინიციატორი მხარისათვის.
  12. მე-14 მუხლი უზრუნველყოფს მტკიცებულებების თანაბარ პირობებში გამოკვლევის შესაძლებლობას. ამიტომ, თუ სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა მხარის მოთხოვნა პროცესზე კონკრეტულ მონმეთა გამოძახების შესახებ, აღნიშნული პრინციპის დარღვევას ადგილი ექნება, თუ მხარე დაამტკიცებს, რომ მონმეთა დაკითხვა აუცილებელი იყო მართლმსაჯულების განხორციელებისათვის<sup>228</sup> (რატომ არის აუცილებელი ამ მონმეების

<sup>224</sup> საკუთარი მონმის გამოძახების უფლებასთან დაკავშირებით იხ., ასევე 149-ე მუხლის პირველი ნაწილის კომენტარი.

<sup>225</sup> ICCPR მუხლი 14(3)(ე), იხ., *MatlIsina v Russia*, ECtHR, 27/03/2014, §153.

<sup>226</sup> *Accardi and Others v. Italy (dec.)*, ECtHR, 02/07/2002, §44.

<sup>227</sup> *Vidal v Belgium*, ECtHR, 28/10/1992, §34.

<sup>228</sup> *Patsuria v Georgia*, ECtHR, 30779/04, 06/11/2007, §89; იხ., ასევე *Bocos-Cuesta v. the Netherlands*, ECtHR, 10/11/2005, §67; *Perna v. Italy (GC)*, ECtHR, 06/05/2003, §29.

- დაკითხვა და მისი მნიშვნელობა ქეშმარიტების დადგენისათვის) და მას უარი ეთქვა იმ პირობებში, როდესაც სანინალმდეგო მხარის იმავე შინაარსითა და ფორმით დაყენებული შუამდგომლობა სასამართლომ დააკმაყოფილა.
13. თუ შუამდგომლობა მონმის გამოძახების შესახებ დასაბუთებულია, ეხება ბრალდების არსებით ასპექტებს და ჩვენებას შეუძლია დაცვის პოზიციის გამყარება ან ბრალდებულის გამართლება, სასამართლომ საფუძვლიანი მიზეზები უნდა დაასახელოს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისათვის.<sup>229</sup> ურთიერთგამომრიცხველ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მსჯავრდების შემთხვევაში, დაცვის მხარის მონმის მოსმენაზე უარის თქმა, მისი ჩვენებების რელევანტურობის მიუხედავად, ზღუდავს დაცვის უფლებას, რაც შეუსაბამოა სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან.<sup>230</sup>
  14. აღნიშნული წესიდან სსსკ ითვალისწინებს გამონაკლისს იმ მტკიცებულებებთან მიმართებით, რომლებიც მნიშვნელოვანია საქმისათვის და რომელთა უშუალოდ წარმოდგენა სასამართლოში ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია:
    - მონმის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო;
    - არსებობს მონმის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებისთვის საკმარისი საფუძველი;
    - მონმეს ეშინია დაცვის მხარის შურისძიებისა;
    - მონმე არის სექსუალური ძალადობის მონმე/მსხვერპლი.
  15. მონმის წარმოდგენისა და გამოკვლევის უფლება არ გულისხმობს შეზღუდვად უფლებას, რომელიც მოიცავს ნებისმიერი მონმის ნებისმიერ დროსა და ნებისმიერი ფორმით დაკითხვის შესაძლებლობას. უფლება მონმის უშუალოდ დაკითხვაზე შეიძლება შეიზღუდოს თანაზომიერების პრინციპის დაცვით ორივე მხარესთან მიმართებით თანაბრად.
  16. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს პროცესზე გამოძახებული მონმების და დაზარალებულის უსაფრთხოება და გაუმართლებელი რისკების თავიდან აცილება, უზრუნველყოს სწორი და სამართლიანი ბალანსი შუამდგომლობის ინიციატორი მხარის და მონმეთა ინტერესებს შორის.
  17. უფლება მონმეთა დაკითხვაზე შესაძლებელია შეიზღუდოს მონმეთა/დაზარალებულთა უსაფრთხოების, სწრაფი და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე. მაგალითად, როდესაც, მონმის დაკითხვა შეუძლებელია ობიექტური მიზეზების გამო (გარდაცვალება), არსებობს მონმის ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხე, ან მონმე მიეკუთვნება მოწყვლად კატეგორიას (არასრულწლოვანია ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლია).
  18. პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოების, საპროცესო ეკონომიის და მტკიცებულება უშუალოდ გამოკვლევის მიზნების დაბალანსებას ემსახურება რიგი საერთაშორისო აქტებით და სსსკ-ით გათვალისწინებული მონმის დისტანციური დაკითხვა, რაც სასამართლოს და მხარეებს შესაძლებლობას აძლევს არა მხოლოდ გადაამონმონ საქმეში არსებული ჩვენების სარწმუნოობა და მონმის სანდოობა, არამედ ასევე თვალყური ადევნონ დაკითხვისას მონმის ქცევას.
  19. მონმის უშუალოდ დაკითხვის უფლების შეზღუდვამდე სასამართლომ უნდა გამოარკვიოს უფლების შეზღუდვის საფუძვლის არსებობა. უფლების შეზღუდვისას დაცული უნდა იყოს თანაზომიერებისა და მინიმიზაციის პრინციპი, უფლება უნდა შეიზღუდოს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია და სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ დაცვის მხარის უფლების შეზღუდვა დაკომპენსირდეს მტკიცებულებათა სარწმუნოობის სამართლიანი და ჯეროვანი შეფასებით. მაგალითად, ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან გაყვანის პირობებში მონმის დაკითხვისას სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ბრალდებულის დაცვის ფუნქციის რეალიზაცია და თუ ბრალდებულს არ ჰყავს ადვოკატი, რომელიც

<sup>229</sup> Topic v. Croatia, ECtHR, 10/10/2013 §42; Polyakov v. Russia, ECtHR, 29/01/2009, §§ 34-35.

<sup>230</sup> Popov v. Russia, ECtHR, 13/07/2006, §188.

- დაესწრებოდა მოწმის დაკითხვას, მაშინ დაუნიშნოს.<sup>231</sup>
- 20.** მოწმის უშუალოდ დაკითხვის წესიდან გამონაკლისს ითვალისწინებს, მაგალითად, სსსკ 116-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმე ან დაზარალებულია, სასამართლო სხდომაზე შეიძლება მისი ჩვენების აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის დემონსტრირება. ამასთან, მისი დაკითხვათა რაოდენობა შეძლებისდაგვარად შეზღუდული უნდა იყოს და განპირობებული უნდა იყოს პროცესის მიზნების მიღწევის აუცილებლობით (116-ე მუხლის მე-5 ნაწ.), მოწმის სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხის არსებობის შემთხვევაში, ან დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით და ითვალისწინებს მოწმის დაკითხვის შესაძლებლობას მაგისტრალი მოსამართლის წინაშე მეორე მხარის წინასწარი ინფორმირების და დასწრების გარეშე (114-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილები) და მისი უშუალო დაკითხვა აღარ ხდება საქმის არსებითი განხილვის დროს. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ქვეყნდება მისი წინასასამართლო ჩვენება. მაგრამ ეს ჩვენება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდება პირის ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით (118-ე მუხლის მე-3 ნაწ.).
- 21.** ვინაიდან მტკიცებულება „ცოცხლად“ უნდა იქნეს წარდგენილი იმ ორგანოს წინაშე, რომელსაც ევალება საქმის შეფასება და ფაქტების დადგენა, მოწმის ჩვენების ვიდეოჩანაწერის დემონსტრირება სასამართლო სხდომაზე ვერ ჩაითვლება საკმარისად, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მხარეს შეუძლია დააკვირდეს მოწმის ქცევას დაკითხვის მიმდინარეობისას, მას არ აქვს მოწმისათვის კითხვების დასმის ან/და მოწმის ჩვენებაში მოცემული ცალკეული დებულებების სადავოდ გახდომის შესაძლებლობა.<sup>232</sup>
- 22.** მოწმეების მიერ ადრე მიცემული ჩვენების გამოქვეყნების შემთხვევაში ორივე მხარისათვის ცნობილია ასეთი მოწმის ვინაობა და მხარეს შეუძლია სადავო გახადოს აღნიშნული ჩვენება მოწმის სანდოობაზე ან/და ჩვენების სარწმუნოობაზე აპელირებით, თუმცა მოწმის გამოუცხადებლობის გამო მათი ჩვენების შემომწმება ვერ ხორციელდება სასამართლო პროცესზე. შესაბამისად, ასეთი მტკიცებულებებიც სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის დროს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:
- აღნიშნული ჩვენება არ უნდა წარმოადგენდეს ბრადებულის ბრალეულობის ერთადერთ ან ძირითად მტკიცებულებას;
  - მოწმის გამოუცხადებლობის საპატიო და დამაჯერებელი მიზეზის არსებობა.
- 23.** როდესაც ბრალდება მთლიანად ან მნიშვნელოვნად ეყრდნობა სხდომაზე არმყოფი მოწმის ჩვენებას, მოითხოვება მნიშვნელოვანი საპროცესო გარანტიები, რამაც უნდა უზრუნველყოს მტკიცებულებათა სამართლიანი და სწორი შეფასება. გარანტიათა საკმარისობის საკითხი წყდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით ინდივიდუალურად. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა აღნიშნული სახის მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაიშვება მხოლოდ გამონაკლისის სახით, უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ჩვენებები მნიშვნელოვანია საქმისათვის<sup>233</sup> და არსებობს მათი სარწმუნოობის გადამოწმების რაიმე მექანიზმი.<sup>234</sup>
- 24.** მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაიშვება მოწმის (მათ შორის სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობის მოწმე/მსხვერპლი არასრულწლოვნის) დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით

<sup>231</sup> HRC, UN CCPR/C/100/D/1390/2005 (2010) §7.5.

<sup>232</sup> D. v Finland, ECtHR, 07/07/2009, § 50; A.L. v. Finland, ECtHR, 27/01/2009, §41.

<sup>233</sup> Al-Khawaja and Tahery v the UK, ECtHR, (GC), 15/12/2011, §§125,147.

<sup>234</sup> იბ., Labita v Italy, ECtHR, (GC) 06/04/2000.



- იმავე ან სხვა სასამართლოს ან სხვა ადგილიდან, რაც წინასწარ ეცნობებათ მხარეებს.<sup>235</sup>
- 25.** მონმის მიმართ დაცვის სპეციალური საშუალების გამოყენების შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:
- ჰქონდა თუ არა სასამართლოს და დაცვის მხარეს შესაძლებლობა თვალყური ედევნებინა მონმის ქცევისათვის დაკითხვის მიმდინარეობისას;
  - რა მოცულობით მიენოდა ინფორმაცია დაცვის მხარეს მონმის სანდოობის და მის მიერ მიცემული ჩვენების სარწმუნოების შესახებ;
  - რა მოცულობით შეეძლო დაცვას მონანიღობის მიღება მონმის დაკითხვაში მის მიერ მიცემული ჩვენების სარწმუნოების შემომნების მიზნით;
  - როგორ შეაფასა სასამართლომ მონმის ანონიმურობის აუცილებლობა და სასამართლო განხილვის სამართლიანობა.
- 26.** ბრალდებულს უნდა ჰქონდეს მისი მამხილებელი იმ მოწმეების სანდოობის შემომნების შესაძლებლობა, რომელთა მიმართ გამოყენებულ იქნა დაცვის სპეციალური საშუალებები.<sup>236</sup> ჩვენების შეფასებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მონმის საქმიანობის სპეციფიკა და საქმის კონკრეტული გარემოებები. დაცვის სპეციალური საშუალების ცალკეული სახეების გამოყენება ართულებს მონმის და მისი ჩვენების სანდოობის შეფასებას, მიკერძოების, მტრული დამოკიდებულების, სიძულვილის ან სიცრუის თქმის სხვა მიზეზის მტკიცებას ან ეჭვის გამოთქმას. რთულდება იმის გარკვევა, ნამდვილად შეეძლო თუ არა მას დაენახა/გაეგო ის, რაზეც მიუთითებს ჩვენებაში და სხვა.
- 27.** დაკითხვის უფლება გულისხმობს მოწმეებისათვის შეკითხვების დასმის შესაძლებლობას, მაგრამ არ უზრუნველყოფს შესაბამისი პასუხების მიღების უფლებას. ამიტომ, თუ მონმის სახით დასაკითხი პირი უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე ან ცალკეულ საკითხთან მიმართებით იყენებს დუმილის უფლებას, მოთხოვნა შესრულებულად ითვლება, როდესაც მხარეს აქვს მონმისათვის კითხვების დასმის შესაძლებლობა.
- 28.** მტკიცებულებათა ზეპირად გამოკვლევა: სსსკ მე-10 მუხლის პირველ ნაწილში და 182-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასამართლო სხდომის საჯაროობის და ზეპირობის უზრუნველყოფის მიზნით, სსსკ მე-14 და 248-ე მუხლები ითვალისწინებს სასამართლოში მტკიცებულებათა ზეპირად განხილვის სავალდებულოობას.
- 29.** აღნიშნული გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას უშუალოდ სასამართლო პროცესზე მოუსმინოს პროცესის მონანიღეებს; პროცესის მონანიღეთა მოვალეობას სასამართლოში მტკიცებულებები წარადგინონ და გამოიკვლიონ ზეპირად; ზეპირად წარმოთქვან შესავალი, დასკვნითი სიტყვები და საბოლოო სიტყვა; სასამართლოსთან და პროცესის მონანიღეებთან კომუნიკაცია განახორციელონ მხოლოდ ზეპირი ფორმით (მაშინაც კი, თუ წერილობითი ფორმით აყენებს შუამდგომლობას სასამართლოს წინაშე); სასამართლო პროცესზე საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა საკითხი გადაჭრან ზეპირი ფორმით; საქმეში არსებული მტკიცებულებების სასამართლო პროცესზე გამოქვეყნებას. აღნიშნულის გარეშე აზრს მოკლებული იქნებოდა პროცესის საჯაროობის და სასამართლო განხილვის ზეპირობის პრინციპი.
- 30.** მტკიცებულებათა ზეპირად გამოკვლევის მოთხოვნა გულისხმობს როგორც სასამართლოში დასაკითხი პირების მიერ ჩვენების მიცემის ფორმას, ისე საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა წერილობითი მტკიცებულების საჯაროდ წაკითხვას სასამართლო სხდომაზე (სსსკ 248-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აღნიშნულს მიეკუთვნება, მაგალითად, საპროცესო და საგამოძიებო მოქმედების ოქმები, ექსპერტის დასკვნა, ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, 136-ე მუხლის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაცია, მიღება-ჩაბარების აქტები, დოკუ-

<sup>235</sup> იხ., სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-3-4 ნაწილები. მონმის დეპონირებული ჩვენების გამოკვლევის და მისი დისტანციური დაკითხვის წესთან დაკავშირებით იხ., 118-ე და 243-ე მუხლების კომენტარი.

<sup>236</sup> *Birutis and Others v Lithuania*, ECtHR, 28/03/2002, §29; *Van Mechelen and Others v the Netherlands*, ECtHR, 30/10/1997, §59.

- მენტები, აუდიო-ვიდეორჩანანერები და სხვა.
- 31.** ნივთიერ მტკიცებულებებთან მიმართებით ზეპირობის პრინციპი გულისხმობს, ერთი მხრივ, იმ პირის დაკითხვას, ვინც წარადგინა, შექმნა, ვისთანაც ინახებოდა, ვინც აღმოაჩინა და ამოიღო შესაბამისი ნივთი, ასევე – ნივთიერი მტკიცებულების დათვალიერების შედეგების განხილვას სასამართლოში. საქმეში არსებული ნივთიერი მტკიცებულება თავისთავად, შესაბამისი სიტყვიერი განმარტებების და კვლევის გარეშე სამართალწარმოების მიზნებისათვის არარელევანტურია. მაგალითად, მკვლელობის ადგილიდან ამოღებული დანაშაულის იარაღი (ცეცხლსასროლი იარაღი) თავისთავად, ცალკე აღებული არ წარმოადგენს ღირებული ინფორმაციის მატარებელს სამართალწარმოებისათვის, თუ არ მოხდება იმ პირის დაკითხვა, ვინც განახორციელა მისი ამოღება და არ გაქარწყლდება ეჭვი თუნდაც მისი გამოცვლის, მასზე არსებული კვალის გაქრობის, კვალის არევის მიზნით შემთხვევის ადგილას მისი შეგნებულად განთავსების და ა.შ. შესახებ. აღნიშნული თანაბრად ეხება საქმეში არსებულ აუდიო-ვიდეორჩანანერებს და ე.წ. ციფრულ/ელექტრონულ მტკიცებულებებს. ის თუ რა მოცულობით განახორციელებს მხარე აღნიშნული ნივთიერი მტკიცებულებების (მაგ., სრულად მოხდება აუდიო -, ვიდეორჩანანერის, საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებათა ოქმების გამოქვეყნება თუ მათი მხოლოდ ნაწილის) გამოქვეყნებას პროცესზე, მისი გადასაწყვეტია. მაგრამ სასამართლოს განაჩენის დადგენისას შეუძლია დაეყრდნოს და თავისი გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის გამოიყენოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, მტკიცებულებათა ის ნაწილები, რომლებიც გამოქვეყნებული და მხარეთა მიერ უშუალოდ იყო გამოკვლეული სასამართლო სხდომაზე.
- 32.** სსსკ ცალკეულ შემთხვევებში ითვალისწინებს მტკიცებულებათა ზეპირად გამოკვლევის წესის მოდიფიცირებას, როდესაც ნაწილობრივ იცვლება სასამართლო განხილვის დროს კომუნიკაციის ფორმა, მაგრამ უცვლელი რჩება მტკიცებულების უშუალოდ გამოკვლევის წესი. მაგალითად, თუ მოწმე მუნჯია, მას შეუძლია შეკითხვებზე პასუხები წერილობით გასცეს (117-ე მუხლის მე-2 ნაწილი); თუ მოწმეს უჭირს სიტყვიერად აღწეროს მოვლენა, რომლის თვითმხილველიც იგი იყო, მას შეუძლია თავისი ჩვენება ჩამოაყალიბოს სხვა ნიშნობრივი ფორმით – ნახაზის, სქემის, ჩანახატის ან სხვა სახით (115-ე მუხლის მე-5 ნაწილი) და ა.შ. ასევე ცალკეულ შემთხვევებში სსსკ ითვალისწინებს ცალკეული საპროცესო გადაწყვეტილებების მიღებას მტკიცებულებათა ზეპირი ფორმით გამოკვლევის გარეშე. მაგალითად, შუამდგომლობათა დასაბუთებულობის საკითხის განხილვა, საქმისწარმოება საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ცალკეულ შემთხვევებში ზეპირი განხილვის გარეშე საკითხის განხილვა და სხვა.
- 33.** მტკიცებულებათა ზეპირი ფორმით განხილვა ხელს უწყობს მათ აღქმას, შინაგანი რწმენის ფორმირებას და წარმოადგენს საჯაროობის უზრუნველყოფის საშუალებას.
- 34.** დაცვის მხარეს ბრალდების მხარის თანაბარი უფლება უნდა ჰქონდეს მოწმეთა მოწვევასა და დაკითხვაზე. ამავე დროს, მოწმეთა მოწვევის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და შესაძლებელია შეიზღუდოს მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე.<sup>237</sup> სასამართლოს უფლება აქვს განსაზღვროს დაცვის მხარის მიერ მოთხოვნილი მოწმის გამოძახების და დაკითხვის აუცილებლობა. ამასთან, ბრალდებულმა უნდა დაასაბუთოს მოწმის დაკითხვის აუცილებლობა მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისათვის<sup>238</sup>
- 35.** იმავდროულად, თუ განაჩენი მთლიანად ემყარება ბრალდების მოწმეთა ჩვენებებს, რომელთა გამოკვლევის შესაძლებლობა დაცვის მხარეს არ მიეცა, აღნიშნული ავტომატურად არ გულისხმობს სამართლიან სასამართლო განხილვაზე უფლების ხელყოფას. საკითხი განხილულ უნდა იქნეს საქმის გარემოებებთან ერთობლიობაში და განაჩენს საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მტკიცებულება ჯეროვნად სან-

<sup>237</sup> Polyakov v Russia, ECtHR, 29/04/2009, §31.

<sup>238</sup> იქვე.

დოა და კონკრეტული საქმის გარემოებების შესაბამისია.<sup>239</sup>

36. განსაკუთრებული სირთულეები არსებობს იმ მოწმეებთან მიმართებით, რომლებიც არ ესწრებიან სასამართლო სხდომას ან/და ანონიმური მოწმეების ჩვენებასთან დაკავშირებით. ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოწმის ვინაობის საიდუმლოდ დატოვებასთან დაკავშირებულ საშიშროებაზე და აღნიშნული საკითხისადმი მკაცრ მიდგომას ითვალისწინებს. გამოძიების სტადიაზე მოწმის ვინაობის გასაიდუმლოება არ ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, როდესაც აღნიშნული განპირობებულია ლეგიტიმური საჯარო ინტერესით და გამოიყენება გამონაკლისის სახით კანონმდებლობით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევაში, მაგრამ მოწმის ვინაობის გასაიდუმლოება არსებითი სასამართლო განხილვის დროს, როგორც წესი, არ დაიშვება.<sup>240</sup>

## მუხლი 15. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება

არავინ არ არის ვალდებული, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის ან სხვა პირთა წინააღმდეგ, რომელთა წრეც განისაზღვრება ამ კოდექსით.

1. **ნორმის მიზანი:** პროცესის მონაწილეთა დაცვა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან არასათანადო იძულებისგან და მართლმსაჯულების შეცდომის თავიდან აცილება, ბრალდებულის თავისუფალი არჩევანის უზრუნველყოფა – ილაპარაკოს თუ აირჩიოს დუმილი დაკითხვის დროს.
2. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის და თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია (*nemo tenetur se ipsum accusare vel prodere*) სისხლის სამართლის პროცესში მოქმედ ფუნდამენტურ უფლებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური გარანტიაა, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმფციის მსგავსად წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ძირითად ასპექტს და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ სტანდარტს.<sup>241</sup>
3. უფლებით ეფექტიანი სარგებლობისათვის, უფლების არსი ბრალდებულს უნდა განემარტოს სისხლის სამართალწარმოებაში მისი შემოსვლისთანავე, ხოლო მოწმეს – დაკითხვის წინ.
4. გარანტიის *Ratione materiae* – პრივილეგია ვრცელდება სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში. სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდება და ხშირად ამ ინფორმაციას შეიძლება უარყოფითი შედეგები მოჰყვეს (მაგალითად, როდესაც პირს ევალება წარადგინოს საგადასახადო ინსპექციაში კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები, რაც მოგვიანებით შესაძლებელია გახდეს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი).
5. *Ratione personae* – უფლებას მოქმედების შედარებით ფართო სპექტრი გააჩნია და ის იცავს: 1. ბრალდებულს მამხილებელი დოკუმენტების/ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან არასათანადო ზეწოლისგან,<sup>242</sup> 2. პროცესის ნებისმიერ მონაწილეს საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის, და 3. სსსკ 50-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პირებს ამავე მუხლით

<sup>239</sup> Al-Khawaja and Tahery v UK, ECtHR, (GC), 15/12/2011, §147.

<sup>240</sup> Doorson v Netherlands, ECtHR, 26/03/1996, §§ 70-76.

<sup>241</sup> იხ., მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლი, გაეროს „ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპები“, 1988წ., 21-ე პრინციპი; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი და სხვა.

<sup>242</sup> Saunders v. the United Kingdom, ECtHR, (GC), 17/12/1996, §68; Heaney and McGuinness v. Ireland, ECtHR, 21/12/2000, §40; Jalloh v. Germany, ECtHR, (GC), 11/07/2006, §100; Gäfgen v. Germany, ECtHR, (GC), 01/06/2010, §168.

- განსაზღვრული ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულებისგან.
6. აღნიშნული დებულება ეხება პრივილეგირებულ ინფორმაციას, რომლის მოპოვება და პროცესში გამოყენება სრული მოცულობით დამოკიდებულია იმ პირების ნებაზე, რომლებიც სარგებლობენ აღნიშნული პრივილეგიით. ამიტომ უფლება ვრცელდება არა მხოლოდ დანაშაულის აღიარებასთან დაკავშირებულ ან საკუთარი თავის მამხილებელ განცხადებებზე, არამედ ნებისმიერ ჩვენებაზე, რომელიც შესაძლებელია შემდგომში სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროცესში ბრალდების პოზიციის გასამყარებლად იყოს გამოყენებული,<sup>243</sup> და ვრცელდება უკლებლივ ყველა სისხლის სამართლის საქმეზე – გამოსაძიებელი დანაშაულის სიმძიმისა და სახის მიუხედავად, მათ შორის იურიდიულ პირებზეც.
  7. დუმილისა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება გამოიყენება სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ნებისმიერი ხანგრძლივობით. შესაბამისად, დუმილის გამოყენება პირს არ ართმევს უფლებას მისცეს ჩვენება მოგვიანებით სასამართლოს ან/და ითანამშრომლოს გამოძიების ორგანოებთან განსახილველი სისხლის სამართლის საქმის სხვა ასპექტებთან მიმართებით, ან მოგვიანებით უარი თქვას დუმილის უფლების გამოყენებაზე.
  8. დუმილის/თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის გამოყენება არ საჭიროებს მისი გამოყენების მიზეზების განმარტებას. შესაბამისად, პროცესის მწარმოებელ ორგანოს არ აქვს უფლება გამოარკვიოს თუ რის საფუძველზე/ რატომ და რამდენად დასაბუთებულად ამბობს, მაგალითად, ბრალდებული ამ უფლებაზე აპელირებით უარს ჩვენების მიცემაზე.
  9. საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება ორი ელემენტისგან შედგება: დუმილისა და ბრალის იძულებით აღიარებაზე უარის თქმის უფლება. ბრალდებულთან მიმართებით აღნიშნული გულისხმობს, რომ დაუშვებელია ბრალდებულის იძულება მისცეს ჩვენება და ბრალდებულის მიერ დუმილის უფლებით სარგებლობა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ და განიმარტოს ბრალდების მხარის სასარგებლოდ (სსსკ 38-ე მუხლის მე-4 ნაწილი).
  10. იგულისხმება, რომ ადამიანს ამოძრავებს თვითგადარჩენის სინდრომი და ის არ უნდა იქნეს დაყენებული მისთვის საზიანო ჩვენების მიცემასა და შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის მსჯავრდებას შორის არჩევანის წინაშე. საქართველოს სსსკ ითვალისწინებს ანგლოსაქსურ მიდგომას, რომლის თანახმად, ბრალდებული თავისუფალია არჩევანში მისცეს თუ არა ჩვენება მოწმის სახით, თუმცა თანხმობის შემთხვევაში მას ეკისრება სიმართლის თქმის ვალდებულება და დგება ცრუ ჩვენების მიცემისათვის მსჯავრდების საშიშროების წინაშე იმ ნაწილში, რომელზეც არ ვრცელდება თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია.
  11. nemo tenetur-ის პრინციპი არ არის აბსოლუტური. მისი შეზღუდვა დასაშვებია სსსკ პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით (მაგალითად, მოწმის იძულებითი მიყვანა, მის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამოყენება ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის და სხვა), თუ შეზღუდვის ინტენსივობიდან გამომდინარე არ ილახება უფლების არსი. გამოყენებული იძულების კანონიერების განსაზღვრისათვის სტრასბურგის სასამართლო აფასებს: 1. გამოყენებული იძულების სახესა და ხარისხს; 2. შესაბამისი პროცესუალური განატიების არსებობას; 3. იძულების გზით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენების მიზანს; 4. კერძო და საჯარო ინტერესთა თანაფარდობას.<sup>244</sup>
  12. ბრალდებულს არ აკისრია ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება, მაგალითად, დოკუმენტაციის გადაცემა.<sup>245</sup>
  13. nemo tenetur-ის პრინციპი არ გამოიყენება იმ მტკიცებულებებთან მიმართებით, რომელთა არსებობა არ არის დამოკიდებული ბრალდებულის ნებაზე და რომელთა მოპოვება შესაძლებელია ბრალდებულისგან საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული იძულების

<sup>243</sup> Saunders v. the United Kingdom, ECtHR, (GC), 17/12/1996, §71.

<sup>244</sup> Pavlenko v. Russia, ECtHR, 01/04/2010, §100; Bykov v. Russia, ECtHR, 10/03/2009, §92.

<sup>245</sup> Funke v. France, ECtHR, 25/02/1993, §44.

- ლონისძიებების გამოყენების გზით (მაგალითად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე მოპოვებული დოკუმენტები, ჰაერის, წყლის, სისხლის, შარდის, თმის, ხმის ნიმუშები და გენეტიკური ანალიზისათვის საჭირო სხეულის ქსოვილის ნიმუშები,<sup>246</sup> ბრალდებულის სხეულში დამალული ნარკოტიკების მოპოვება ბრალდებულის გულისრევის ხელოვნურად/ იძულებით გამოწვევის გზით, პირადი ჩხრეკის შედეგადად ამოღებული ნივთები და სხვა).
- 14.** ფიზიკური იძულების გამოყენება აღნიშნული მასალების ან „რეალური“ მტკიცებულებების მიღების მიზნით დასაშვებია. მაგრამ დაუშვებელია აღიარების, დოკუმენტის ან ნივთიერი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, ასევე ნივთიერი მტკიცებულებების მიღების მიზნით ბრალდებულის ფიზიკურ ანატომიაში იძულებითი ჩარევა.<sup>247</sup> ამდენად, აღნიშნული პრინციპი კრძალავს არა ყველა სახის იძულებას, არამედ მხოლოდ „არასათანადო იძულებას.“
- 15.** რაც შეეხება ბრალდებულის მიერ საკუთარი ნებით კერძო პირისთვის მინოდებული ინფორმაციის მოგვიანებით მის წინააღმდეგ გამოყენებას, პრივილეგიის დარღვევას აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, თუ კომუნიკაციის მხარე წარმოადგენს სამართალდამცავი სისტემის თანამშრომელს (მაგალითად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში), რომლის სამსახურებრივ ამოცანას წარმოადგენს ბრალდებულთან ნდობით ურთიერთობებში შესვლა და მისგან აღიარებითი ჩვენების მოპოვება, როდესაც ასეთი ინფორმაციის მოპოვება ხორციელდება ბრალდებულზე არაპირდაპირი ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად, საუბარი სინამდვილეში დაკითხვის სახეს ატარებს და ბრალდება ძირითადად ემყარება ამ გზით მოპოვებულ ინფორმაციას.<sup>248</sup> მეორე მხრივ, როდესაც კომუნიკაციის მხარე არ ახდენს საუბრის მიმართულების განსაზღვრას, ფორსირებულად ყურადღების გამახვილებას გამოსაძიებელი საქმის დეტალებზე, ბრალდებულს გააჩნია არჩევანის შესაძლებლობა როგორც საუბრის თემის არჩევის, ასევე მოსაუბრესთან შეხვედრის ან/და საუბრის წარმოების საკითხში და არ არსებობს კომუნიკაციის მხარეებს შორის დაქვემდებარებული დამოკიდებულება (მატერიალურად, სამსახურებრივად და სხვა).<sup>249</sup>
- 16.** ცალკე საკითხია ბრალდებულსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის არასაპროცესო ურთიერთობის ფარგლებში ბრალდებულისგან მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება სამართალწარმოებაში. მაგალითად, ბრალდებულის დაკავების შემთხვევაში გამოძიებლის, ოპერატიული მუშაკის დაკითხვა დაკავების განხორციელებისას, დაკავების განმავლობაში ან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში ბრალდებულისგან, საგამოძიებო და

<sup>246</sup> Saunders v. UK, ECtHR, (GC), 17/12/1996, §69; O'Halloran and Francis v. the United Kingdom ECtHR, (GC), 29/06/2007, §47; P.G. and J.H. v the UK, ECtHR, 25/09/2001, §80.

<sup>247</sup> იბ., Jalloh v Germany, ECtHR, (GC), 11/06/2006, §103-123.

<sup>248</sup> Allan v. UK, ECtHR, 05/11/ 2002, §52: მკვლელობაში ბრალდებულმა უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე, რის გამოც პოლიციამ მასთან ერთად წინასწარი დაკავების საკანში მოათავსა კონფიდენტი. ბრალდებულის მიერ კონფიდენტთან საუბარში მინოდებული ინფორმაცია გახდა მოგვიანებით მის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის ერთ-ერთი გადამწყვეტი მტკიცებულება. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულის აღიარება „წარმოადგენდა არა განმცხადებლის ნებაყოფლობით აღიარებას, არამედ კონფიდენტის მხრიდან განხორციელებული დაჟინებული დაკითხვის შედეგს, რომელმაც მათ შორის შემდგარი დიალოგი მიზანმიმართულად გადაზარდა მკვლელობის საქმესთან დაკავშირებულ განხილვაში, რაც პრაქტიკულად წარმოადგენდა დაკითხვის ფუნქციურ ეკვივალენტს განხორციელებულს ყოველგვარი დაცვის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობის გარეშე (მათ შორის დაცვის იმ საშუალებების გარეშე, რაც ხელმისაწვდომი იქნებოდა გამოძიების ორგანოს მიერ განმცხადებლის დაკითხვის შემთხვევაში). რის გამოც დარღვა კონვენციის მე-6 მუხლი. განსხვავებული ვითარება იყო საქმეზე: Bykov v. Russia, ECtHR, (GC), 10/03/2009, §94-105: მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირის საუბრები კონფიდენტთან ჩანერილი და სასამართლოში მის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. დიდმა პალატამ მე-6 მუხლის დარღვევა არ დაადგინა, ვინაიდან: განმცხადებელი არ იმყოფებოდა პატიმრობაში, მას ჰქონდა კონფიდენტთან შეხვედრის და საუბრის შესახებ არჩევანის თავისუფლად გაკეთების შესაძლებლობა, აღნიშნული ჩანაწერი არ წარმოადგენდა განაჩენის ერთადერთ ან ძირითად მტკიცებულებას, ის გამოკვლეული იყო მხარეების მიერ სასამართლო პროცესზე და განმცხადებელს ჰქონდა განხორციელებული ფარული ღონისძიების კანონიერების გასაჩივრების შესაძლებლობა.

<sup>249</sup> იბ., Bykov v Russia, ECtHR, (GC), 10/03/2009, §102.

- საპროცესო მოქმედების მიღმა, მოპოვებული ინფორმაციის შესახებ.
17. სამართალდამცავ სისტემასთან თანამშრომლობა ბრალდებულის უფლებაა, რის გამოც თანამშრომლობაზე უარის თქმა არ შეიძლება წარმოადგენდეს მისი საპროცესო მდგომარეობის დამამძიმებელ გარემოებას. ამიტომ დაუშვებელია ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ფაქტზე აპელირება აღკვეთის ღონისძიების შერჩევის თუ განაჩენის დასაბუთების მიზნებისათვის ან/და მისი გამოყენება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ისეთი მინიშნების გაკეთება, რაც შეიძლება გულისხმობდეს ამ ფაქტორის გათვალისწინებას პირის წინააღმდეგ გადაწყვეტილების გამოტანისას.
  18. პირის წინასწარი გაფრთხილება, რომ დუმილი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ, ყოველთვის უნდა ჩაითვალოს „არაჯეროვან იძულებად“.<sup>250</sup>
  19. ზოგჯერ უმნიშვნელო საკითხებზე დაკითხვა შეიძლება განსაკუთრებული რისკის შემცველი იყოს ბრალდებულისათვის. უყურადღებობის შემთხვევაში არაგონივრული ჩვენებების და ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებების რისკი მატულობს, რაც ასუსტებს ბრალდებულის პოზიციებს და ეჭვქვეშ აყენებს მისი ჩვენებების სანდოობას.
  20. უფლების დარღვევას აქვს ადგილი, როდესაც ბრალდების მხარე იძახებს ბრალდებულს ბრალდების ვერსიის დასადასტურებლად, ვინაიდან ბრალდებულის მოწმედ გამოძახებით, ბრალდების მხარე მოითხოვს ბრალდებულისგან ბრალდების პოზიციის სასარგებლოდ ჩვენების მიცემას, ანუ იმის მტკიცებას, რომ ბრალდებული დამნაშავეა. ამიტომ, დაცვის მხარემ უნდა გააპროტესტოს ბრალდებულის გამოძახება ბრალდების მხარის მიერ და აცხადებინოს/პროტესტის საფუძველად მიუთითოს, რომ აღნიშნული არღვევს დუმილის უფლებას ან ბრალდებულის პრეროგატივას თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით.
  21. დარღვევას აქვს ადგილი, ასევე როდესაც ბრალდების მხარე ერთსა და იმავე შეკითხვას ბევრჯერ უსვამს ბრალდებულს, რომელსაც არ სურს პასუხის გაცემა; ან მოსამართლის დაუინებელი მოთხოვნა, რომ ბრალდებულმა უპასუხოს თანამსრულებლებთან დაკავშირებულ კითხვებს, როდესაც ყველა ბრალდებულს ერთსა და იმავე ფაქტებთან დაკავშირებით აქვთ ბრალი წაყენებული, თუნდაც შეკითხვა ფორმალურად სხვა თანამონაწილის ქმედებას ეხებოდეს. დარღვევას აქვს ადგილი იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსამართლე ბრალდებულისგან ითხოვს პასუხს ბრალდების მხარის შეკითხვაზე, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულმა აიცილა კითხვა, მხოლოდ იმ მოტივით, რომ ადვოკატს აღნიშნული კითხვა არ გაუპროტესტებია.<sup>251</sup>
  22. *nemo tenetur* პრინციპი მოქმედებს მაშინ, როდესაც პირს უკვე ჩადენილი აქვს დანაშაული და ამ დანაშაულთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება. ხოლო დანაშაულის პროვოკაცია მიმართულია პირის სამომავლო ქმედებისკენ სპეციალური მიზნით, ამიტომ ამ შემთხვევაში *nemo tenetur* პრინციპი არ მოქმედებს.
  23. შესაძლებელია გაიმიჯნოს ბრალდებულის იძულება ცალკეული სახის მტკიცებულების წარმოდგენაზე და ბრალდებულის დუმილიდან გარკვეული დასკვნების გამოტანა.<sup>252</sup> დარღვევის დასადგენად სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს: ზენოლის ხასიათი და ხარისხი, დაცვის შესაბამისი საშუალებების არსებობა, შემდგომ სამართალწარმოებაში ამ გზით მოპოვებული მასალების გამოყენება.<sup>253</sup> ამასთანავე, უფლების დარღვევა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა სახის და მნიშვნელობის მტკიცებულებები იქნა მოპოვებული ზენოლის, დუმილის უფლების ხელყოფის შედეგად. შესაბამისად, დარღვევა შეიძლება დადგინდეს იმ

<sup>250</sup> Murray v UK, ECtHR, (GC), 28/10/1994, §46,47.

<sup>251</sup> OSCE/ODIHR, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში. საქართველო. 09/12/2014, §§67, 133,227-229;

<sup>252</sup> იბ., მაგალითად, O'Halloran and Francis v UK, ECtHR, 29/06/2007, §45-46.

<sup>253</sup> იბ., მაგალითად, Jalloh v Germany, ECtHR, 11/07/2008, §§112-123.

შემთხვევაშიც, თუ სამართალწარმოება აღარ გაგრძელდება ან/და პირი გამართლდება.<sup>254</sup> დუმილის უფლება ბრალდების მხარეს უკრძალავს საკუთარი პოზიციის დასაუბრებისათვის გამოიყენოს მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებულია ბრალდებულის იძულებით ან მის მიმართ ძალის გამოყენების გზით.<sup>255</sup>

24. ერთი მხრივ, ბრალდება მთლიანად ან ძირითადად არ უნდა ეყრდნობოდეს ბრალდებულის დუმილს ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმას, მაგრამ, მეორე მხრივ, დუმილის უფლება არ წარმოადგენს დაბრკოლებას იმისათვის, რომ ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ვითარება პირდაპირ მოითხოვს ბრალდებულისგან განმარტებას, გათვალისწინებულ იქნეს სხვა მტკიცებულების შეფასებისას. ამდენად, მთელი სამართალწარმოების მანძილზე დუმილის უფლების გამოყენებას შესაძლებელია ჰქონდეს გარკვეული ნეგატიური შედეგები ბრალდებულისათვის.

## მუხლი 16. სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა

**სისხლისსამართლებრივი დევნის დანაშაულის და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით.**

1. სსსკ პროკურორს ანიჭებს ფართო დისკრეციას საკუთარი შეხედულებით გადაწყვეტოს სისხლისსამართლებრივი დევნის დანაშაულის ან შეწყვეტის, საპროცესო შეთანხმების დადებისა და სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
2. ქართული სისხლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის დანაშაულის ვალდებულებას, გამოძიების დანაშაულის ვალდებულებისგან განსხვავებით. გადაწყვეტილების მიღება სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების შესახებ სსკ გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის საჯარო ფაქტთან დაკავშირებით პროკურორის ექსკლუზიური უფლებაა და არც ერთ სხვა სტრუქტურას/ პირს არ გააჩნია დევნის დანაშაულის ან/და ბრალდებაზე უარის თქმის კომპეტენცია.<sup>256</sup>
3. გამოსაძიებელი საქმეების სიმრავლის პირობებში დისკრეციული უფლებამოსილება ხელს უწყობს პროცესის მონაწილეთა ემოციური მდგომარეობის შემსუბუქებას, სტიგმატიზაციის თავიდან აცილებას და სასჯელის ეფექტიანობის გაზრდას, სისხლისსამართლებრივი სისტემის მოქნილობასა და ეფექტიანობას, საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, ხარისხიანი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებას, საპროცესო ეკონომიას, ადამიანური თუ მატერიალური რესურსების დაზოგვას.

ყოველი საქმე უნიკალურია და საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას საქმის კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით. ამიტომ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების საკითხის გადაწყვეტისას პროკურორი ითვალისწინებს, ერთი მხრივ, დანაშაულის პრევენციისა და სასჯელის გარდუვალობის პრინციპს და მეორე მხრივ, ინდივიდუალიზებული მიდგომის საფუძველზე, დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სასჯელის მიზნების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებას, უფლებების არათანაზომიერად შეზღუდვის გარეშე. ამიტომ, როდესაც სახეზეა დასაბუთებული ვარაუდი პირის მიერ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ, პროკურორმა გადაწყვეტილება დევნის წარმოების შესახებ უნდა მიიღოს შინაგანი რწმენის და საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. მათ შორის, დანაშაულის ჩადენაში მხილებული პირის პიროვნული მახასიათებლების და დანაშაულის სპეციფიკის გათვალისწინებით; საზოგადოებაზე დანაშაულის

<sup>254</sup> იხ., Marttinen v Finland, ECtHR, 21/04/2009, §64.

<sup>255</sup> Bykov v Russia, ECtHR, (GC), 10/03/2009, §92.

<sup>256</sup> სისხლისსამართლებრივი დევნის არდანაშაულის ან/და შეწყვეტის შესახებ იხ., სსსკ 105-ე მუხლის კომენტარი.

- პოტენციური ზეგავლენის, დაზარალებულის ინდივიდუალური თავისებურებების და ინტერესის გათვალისწინებით და სხვა.
- დევნის წარმოების საკითხის გადაწყვეტისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საჯარო ინტერესს კერძო ინტერესთან შედარებით. რაც, ერთ შემთხვევაში, შესაძლებელია გულისხმობდეს სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების აუცილებლობას (მაგალითად, თუ დანაშაული მცირემნიშვნელობის მიუხედავად სისტემატურ და ფართომასშტაბიან ხასიათს ატარებს მოცემულ რეგიონში), ხოლო, მეორე შემთხვევაში, როდესაც თუნდაც დაკმაყოფილებულია მტკიცებულებითი ტესტი და მაღალი ალბათობით პირის მიმართ არსებობს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობა, – დევნის დაწყების/განხორციელების მიზანშეწონილობას. მაგალითად, შვილიშვილს სასწრაფოდ დასჭირდა ფული. სახლში მისულს არავინ დახვდა და დაუკითხავად გაყიდა მასთან ერთად მცხოვრები ბაბუის კუთვნილი ტელევიზორი. სახლში დაბრუნების შემდეგ ბრალდებულმა აღიარა, აუნაზღაურა მიყენებული ზიანი დაზარალებულს, ითანამშრომლა გამოძიებასთან და სხვა. დისკრეციული უფლებამოსილება ფართო და მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, ქმნის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფრთხეს. არასწორად მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს როგორც კონკრეტული პირის უფლებებსა და ინტერესებს, გააჩინოს უნდობლობა საზოგადოებაში პროკურატურის სისტემის მიმართ. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების მიღება ხორციელდებოდეს გამჭვირვალე და თანმიმდევრული პროცესის საფუძველზე, ემყარებოდეს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შედეგის დაგვარად ერთგვაროვანი პრაქტიკის პირობებში. იმისათვის, რომ ფართო დისკრეციის გამოყენებისას უზრუნველყოფილი იყოს სამართლებრივი სიცხადე და განჭვრეტადობა, სხვადასხვა რეგიონში/ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში ერთი და იმავე დანაშაულის მსგავსი კატეგორიის პირების მიერ ჩადენის შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდეს სხვადასხვა პროკურორის მიერ რადიკალურად განსხვავებულ მიდგომას, სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხის გადაწყვეტა ხდება ე.წ. სრული ტესტის საფუძველზე (სრული ტესტი შედგება მტკიცებულებითი და საჯარო ინტერესის ტესტისგან).<sup>257</sup>
4. დევნის განხორციელების მიმართ საჯარო ინტერესის არსებობის საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები, დანაშაულის სახე და სიმძიმე, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, პირის ბრალეულობის ხარისხი, პიროვნული მახასიათებლები, საქმის სხვა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები. პროკურორმა საქმესთან დაკავშირებული სხვადასხვა ინდივიდუალური ფაქტორების ანალიზის საფუძველზე უნდა განსაზღვროს, არის თუ არა საჯარო ინტერესში დევნის დაწყება და დევნა არ უნდა დაიწყოს, თუ დევნის წარმოების მიზანშეწონილობა აშკარად გადანონის პირის დასჯის ლეგიტიმურ ინტერესს.
  5. დევნის დაწყება შეიძლება მიზანშეწონილი იყოს თუ ჩადენილია ჯგუფური დანაშაული, ჩადენილია მოწყვლად კატეგორიას მიკუთვნებული პირის მიმართ; ჩადენილია დისკრიმინაციის მოტივით, განსაკუთრებული სისასტიკით ან მიეკუთვნება მძიმე კატეგორიას და სხვა
  6. სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლებელია არ იყოს მიზანშეწონილი, თუ სასჯელის მიზნების მიღწევა შესაძლებელია მსჯავრდების გარეშე, მიყენებული ზიანი უმნიშვნელოა და ბრალდებულმა აანაზღაურა.  
დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება არ საჭიროებს სასამართლოს მხრიდან ნებართვას ან დამტკიცებას.<sup>258</sup> ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პროკურორის გადაწყვეტილება დევნის წარმოებასთან დაკავშირებით, იყოს ობიექტური, დასაბუთებული და ასახავდეს საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესს.

<sup>257</sup> დისკრეციული დევნის გამოყენების და საჯარო ინტერესის შესახებ უფრო დეტალურად იხ., სსსკ 105-ე მუხლის კომენტარი.

<sup>258</sup> გასაჩივრებასთან დაკავშირებით იხ., სსსკ 106-ე და 107-ე მუხლების კომენტარი.



7. დისკრეცია არ გულისხმობს დაუსჯელობას და ჩადენილი დანაშაულის რეაგირების გარეშე დატოვებას. დისკრეციის გამოყენების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა დევნის ალტერნატიული საშუალებების არსებობა. ამიტომ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება პრაქტიკულად გამორიცხულია იმ პირების მიმართ, ვისზეც არ ვრცელდება განრიდების ან/და მედიაციის ინსტიტუტი. მაგალითად, პირების მიმართ, ვისაც ბრალი ედებათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, ვის მიმართაც ადრე უკვე იყო გამოყენებული აღდგენითი მართლმსაჯულება და სხვა.

## მუხლი 17. ბრალის წაყენება დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე

1. პირს ბრალი წაყენება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული.
2. პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა.

1. **ნორმის მიზანი:** დაიცვას მოქალაქეები დაუსაბუთებელი და ნაჩქარევი ჩარევისაგან განმარტოების უფლებაში, დაუსაბუთებელი ბრალდებების წარდგენისაგან და უზრუნველყოს საზოგადოების დაცვა.
2. დასაბუთებული ვარაუდი, ანუ ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ჩადენაში – არის ის მტკიცებულებითი სტანდარტი, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად. დასაბუთებული ვარაუდის არსებობა მოწმდება მტკიცებითი ტესტით<sup>259</sup> და ემყარება საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და პროკურორის შინაგან რწმენას.
3. ვარაუდის დასაბუთებულობა დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე, დამოკიდებულია არა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების /ინფორმაციის რაოდენობაზე, არამედ მათ „ხარისხზე“ – რამდენად დასტურდება მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების არსებობა და უნდა ემყარებოდეს ობიექტურ, გადამოწმებად ფაქტობრივ გარემოებებს. კერძოდ, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით უნდა იქნეს დადგენილი დანაშაულებრივი შემთხვევის არსებობა, კონკრეტული პირის მიერ აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების სავარაუდოდ ჩადენა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების აუცილებლობა/მიზანშეწონილობა.
4. დასაბუთებული ვარაუდი ბრალდებისათვის გულისხმობს საქმისწარმოების მოცემული მომენტისათვის გამოძიების ორგანოსთვის ცნობილ სარწმუნო ფაქტებს და გარემოებებს, რომელიც საკმარისია, რომ გონიერმა ადამიანმა ირწმუნოს პირის მიერ დანაშაულის ჩადენა.<sup>260</sup> დასაბუთებული ვარაუდი არის რწმენის გონივრული საფუძველი, რომელიც არ არის გამყარებული საკმარისი (prima facie) მტკიცებულებებით, მაგრამ აღემატება უბრალო ეჭვს. შესაბამისად, დასაბუთებული ვარაუდის არსებობის მტკიცებისათვის საჭიროა დანაშაულის ჩადენის და მასში კონკრეტული პირის მონაწილეობის შესახებ ვარაუდის და არა ქმედების ფაქტობრივი მხარის მტკიცება.<sup>261</sup> იმავდროულად, ვარაუდი უნდა ეყრდნობოდეს საქმის გარემოებათა ერთობლიობის ანალიზს, რაც გულისხმობს არსებული ვითარების რეალისტურ ანალიზს სამართალდამცავი პირის პოზიციიდან.<sup>262</sup> ამდენად, დასაბუთებული ვარაუდი უნდა ეყრდნობოდეს ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებიდან გამომდინარე ლოგიკურ დასკვნებს, ინდივიდუალიზებულ ეჭვს და არა უბრალოდ განზოგადებას.

<sup>259</sup> მტკიცებულებითი ტესტის შესახებ იხ., სსსკ 105-ე მუხლის კომენტარი.

<sup>260</sup> იხ., Beck v Ohio, 379 U.S.89,91,1964; Smith v. Thornburg, 136 F.3d 1070, 1074, 6<sup>th</sup> Cir. 1998

<sup>261</sup> Illinois v Gates, 462 U.S.213,244 n.13 (1983).

<sup>262</sup> United States v Ferguson, 8F.3d 385,392, 6<sup>th</sup> Cir. 1993.

- ამასთან, ფაქტის, გარემოების თუ ვარაუდის არსებობა ან/და არარსებობა ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს მტკიცებულებიდან.<sup>263</sup> დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შეფასება ეყრდნობა ობიექტურ სტანდარტს, თუმცა გარკვეულწილად ითვალისწინებს ასევე სუბიექტურ ფაქტორებსაც (მაგ., ბრალდების მხარის გამოცდილება ცალკეული კატეგორიის საქმეთა წარმოების სფეროში).
5. დასაბუთებული ვარაუდის საკითხის განხილვისას ჩვენ საქმე გვაქვს ვარაუდთან. ეს არის არატექნიკური, ფაქტობრივი და პრაქტიკული მოსაზრებები დაკავშირებული ყოველდღიურ ცხოვრებასთან, რის საფუძველზეც პრაქტიკული და გონიერი პირი მოქმედებს.
  6. ბრალის წაყენების მომენტში არ არის აუცილებელი, პროკურორს ყველა ის მტკიცებულება ჰქონდეს ხელთ, რომელთა გამოყენებასაც სასამართლო განხილვაზე გეგმავს. საკმარისია, პროკურორი დარწმუნებული იყოს, რომ სასამართლო განხილვის სტადიაზე მას ხელთ ექნება კანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულებები, რაც საკმარისი იქნება ბრალდების დასაბუთებისათვის სასამართლოში.
  7. პირისთვის ბრალის წაყენება ხორციელდება მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობის საფუძველზე, რომელიც პროკურორს უქმნის რწმენას ქმედების დანაშაულებრივი ხასიათის, პასუხისმგებლობის მისაცემი პირის ამ ქმედების ჩადენაში ბრალეულობის და დელიქტუარობის (იმუნიტეტის არარსებობაში) შესახებ. ამ მომენტისათვის გამოძიების ორგანოს შეიძლება არ ჰქონდეს ინფორმაცია ქმედების მაკვალიფიცირებელი გარემოებების თუ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი/შემამსუბუქებელი გარემოებების შესახებ. მაგრამ შეგროვილი ინფორმაცია ეჭვს არ უნდა იწვევდეს იმაში, რომ ქმედება, რომლის განხორციელებაშიც მონაწილეობდა პირი, წარმოადგენს დანაშაულს, ამ დანაშაულს ნამდვილად ჰქონდა ადგილი და პირს დანაშაულის ჩადენის მომენტში ან ბრალის წარდგენისას არ იცავს იმუნიტეტი. მაგალითად, ბრალის წაყენებისას პროკურორმა შეიძლება არ იცოდეს, რომ პირს ადრეც ჰქონდა ჩადენილი იმავე კატეგორიის დანაშაული; რომ ის არ მოქმედებდა მარტო და ჰყავდა თანამონაწილე; გარემოებები, რაც გამოიწვევს ქურდობის გადაკვალიფიცირებას ყაჩაღობაზე, ან ქურდობის სპეციალურ შემადგენლობაზე (საგნის მიხედვით) და სხვა. თუმცა აღნიშნული ხარვეზი არ გულისხმობს ბრალის წაყენებისათვის საჭირო დასაბუთებული ვარაუდის არ არსებობას.
  8. ამდენად, ბრალდებისთვის საჭიროა როგორც ფაქტობრივი გარემოებების, ასევე ინფორმაციული საფუძვლის (საკმარისი რაოდენობის მტკიცებულებების, მაგრამ არა ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების გზით მოპოვებული ინფორმაციის) არსებობა. ამასთანავე, თუ გამოძიების დაწყებისათვის საკმარისია დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვის არსებობა, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო წესით გადამოწმებას, მაშინ დევნის დაწყებისათვის, საჭიროა პირის სავარაუდო ბრალეულობის შესახებ ვარაუდის სარწმუნოების გარკვეული ხარისხით დაკმაყოფილება, ვინაიდან, ერთი მხრივ, დევნის წარმოება დისკრეციული ინსტიტუტია და გადანყვებილების მიღებისათვის საჭიროა ე.წ. სრული ტესტის არსებობა და მეორე მხრივ, უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში უკანონოდ მიცემა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. თუმცა სარწმუნოება შეფასებითი ხასიათისაა. ამ მომენტისათვის შეგროვებული მტკიცებულებები საკმარისია იმისათვის, რომ დაარწმუნოს პროკურორი პირის მიერ დანაშაულის ჩადენაში, თუმცა არ არის საკმარისი სასამართლოსთვის. იმავდროულად, აღნიშნული ვარაუდი პირობითია და შესაძლებელია გამოძიების სტადიაზევე შეიცვალოს რადიკალურად დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ან/და გამოძიების მომდევნო ეტაპზე მოძიებული ახალი მტკიცებულებების საფუძველზე. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარებას დაემატოს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვა-შექენა;
  9. ამდენად, საქმის მასალები უნდა ადგენდეს დანაშაულებრივი შემთხვევის არსებობას, მის კვალიფიკაციას, ბრალის სახეს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხ-

<sup>263</sup> Fox, Campbell and Hartley v the United Kingdom, ECtHR, 20/08/1990, §32.

ველი გარემოებების არარსებობას; ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც ქმნის დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობას. მათ შორის დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი, მავნე შედეგი და მიზანი, როდესაც აღნიშნულს გააჩნია მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა

10. ბრალის წაყენების უფლება პროკურორის გარდა არ გააჩნია არც ერთ სხვა თანამდებობის პირს ან ორგანოს, მათ შორის არც სასამართლოს მაშინაც კი, როდესაც არსებით სასამართლო სხდომაზე დგინდება და მოწმეც აღიარებს შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტს, ექსპერტი დასკვნის სიყალბეს და ა.შ.
11. სსსკ არ ითვალისწინებს პროკურორის მიერ ბრალის წაყენების უფლების გამომძიებელზე დელეგირებას, რაც უზრუნველყოფს დაუსაბუთებელი დევნისგან დაცულობის მეტ ხარისხს. სწორედ პროკურორმა უნდა განახორციელოს ბრალდების ფუნქცია და დაიცვას დევნის შესახებ გადანყვეტილების სისწორე (კანონიერება/დასაბუთებულობა) სასამართლოში საქმისწარმოების შემდგომ სტადიებზე.
12. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას, რომლის თანახმად, პირის მიმართ დევნის წარმოება სახელმწიფოს პრეროგატივაა და არ არის დამოკიდებული სხვა პირთა ქმედებასა თუ ნება-სურვილზე. მაგალითად, თუ დაზარალებული არ აცხადებს მის მიმართ დანაშაულის ჩადენის შესახებ ან ბრალდებულთან შერიგების, ახლო ნათესაური კავშირის და სხვა გარემოებების გამო შუამდგომლობს ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების/შენწყვეტის შესახებ, სახელმწიფოს ეკისრება სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება, თუ არ არსებობს სსსკ 105-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები.
13. ბრალდების ფუნქციას პროკურორი ახორციელებს სასამართლოში. პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმა იწვევს სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას, ვინაიდან არც ერთ სხვა ორგანოს/პირს (მათ შორის არც დაზარალებულს) არ აქვს ბრალდებულის ბრალდების ან ბრალდების მხარდაჭერის ფუნქციის განხორციელების უფლება.

## მუხლი 18. განმეორებით დაკავების, ბრალის წაყენებისა და მსჯავრდების აკრძალვა (14.06.2013. №741)

1. დაუშვებელია პირის განმეორებით დაკავება მხოლოდ ერთი და იმავე მტკიცებულებების ან/და ინფორმაციის საფუძველზე.
2. არ შეიძლება პირს წაეყენოს ბრალი ან/და დაედოს მსჯავრი იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი ერთხელ უკვე გამართლებულ ან მსჯავრდებულ იქნა.

1. **ნორმის მიზანი:** ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებების დაცვა და მეორე მხრივ, სამართლებრივი სიცხადის და განჭვრეტადობის უზრუნველყოფა.
2. *ne bis In Idem*<sup>264</sup> პრინციპი გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14(7) და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლით, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტის მე-20 მუხლით, ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის 50-ე მუხლით, აშშ კონსტიტუციის მე-5 შესწორებით და სხვა. თუმცა მისი შინაარსი ყველა დოკუმენტში იდენტური არ არის. მაგალითად,

<sup>264</sup> *non bis in idem* – კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, *double jeopardy* – საერთო სამართლის ქვეყნებში. საფუძვლად უდევს ლათინური მაქსიმა – *neto debet bis vexari pro eadem causa*.

- საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს განმეორებით მსჯავრდებას, ხოლო სსსკ – ასევე განმეორებით დაკავებას და ბრალის ნაყენებასაც.
3. აღნიშნული დებულების დაზუსტება მოცემულია ამავე კოდექსის 250-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის თანახმად, „ბრალდების მხარის მიერ უარყოფილი ბრალდება ან ბრალდების ნაწილი და ის მტკიცებულებები, რომლებსაც იგი ეყრდნობოდა, არ შეიძლება ხელახლა წარედგინოს სასამართლოს იმავე ბრალდებულის მიმართ“. ასევე 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებში, რომლებიც უფრო მაღალ სტანდარტს ადგენენ და დაუშვებლად მიიჩნევენ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას/წარმოებას, თუკი იმავე ბრალდების გამო სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა პროკურორის დადგენილებით ან მოსამართლის განჩინებით ან არსებობს პროკურორის დადგენილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ.
  4. განმეორებით გასამართლების აკრძალვა აბსოლუტური ხასიათის მატარებელი უფლებაა და მისი შეზღუდვა დაუშვებელია მათ შორის საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს.<sup>265</sup>
  5. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს პრაქტიკულად სამ დამოუკიდებელ გარანტიას და კრძალავს: 1. ხელახალ დაკავებას 2. განმეორებით ბრალდებას და 3. განმეორებით მსჯავრდებას.
  6. მუხლის მოქმედება თანაბრად ვრცელდება ყველა დანაშაულზე მისი სიმძიმის ან სახის მიუხედავად და აუცილებელი არ არის, რომ ორივე შემთხვევაში დაზარალებული იყოს ერთი და იმავე პირი. თუ პირი მსჯავრდებულია დანაშაულისთვის, რომლითაც მან ზიანი მიაყენა რამდენიმე ადამიანს, ახალი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება იკრძალება იმ შემთხვევაშიც, თუ ამას მოითხოვს იმავე ქმედებით დაზარალებული სხვა პირი, რომელიც არ მონაწილეობდა თავდაპირველ სამართალწარმოებაში. მაგალითად, ტერორისტული აქტის, ან 2 ან მეტი პირის მკვლელობისათვის პირის მსჯავრდების შემთხვევაში თუ მოგვიანებით აღმოჩნდება რომ იმავე ქმედებამ გამოიწვია მესამე პირის გარდაცვალება (მაგალითად, მოგვიანებით გარდაიცვალა მიყენებული ჭრილობებისგან ან მისი გვამი მოგვიანებით იქნა აღმოჩენილი), რაც უცნობი იყო პროცესის მწარმოებელი ორგანოსთვის სამართალწარმოების დროს.
  7. სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის გამოყენების წინაპირობაა პირის მიმართ თავდაპირველი სისხლის სამართალწარმოების არსებობა. ანუ პროცესის მიზნებისთვის ორი სისხლის სამართლის საქმე, როგორც წესი, დროში დაშორებულია ერთმანეთისგან.
  8. კონვენცია კრძალავს თანმიმდევრულად განმეორებით სამართალწარმოებას, როდესაც პირველ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება უკვე ძალაშია შესული განმეორებითი სამართალწარმოების ინიცირების მომენტისათვის (§42)
  9. პარალელურად და ერთდროულად რამდენიმე სამართალწარმოების განხორციელება ერთსა და იმავე ფაქტთან დაკავშირებით არ იკრძალება,<sup>266</sup> იმ პირობით, რომ როგორც კი რომელიმე აღნიშნული სამართალწარმოება დასრულდება საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანით, ყველა დანარჩენიც შეწყდება *ne bis in idem* პრინციპიდან გამომდინარე. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება სსსკ მე-18 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევას.<sup>267</sup>
  10. **განმეორებითი დაკავების აკრძალვა** ყურადღებას ამახვილებს სამ გარემოებაზე: 1. ბრალდებულის იგივეობა – ეხება ერთსა და იმავე ბრალდებულს; 2. ინფორმაციის/მტკიცებულების იგივეობა, და 3. თავდაპირველი დაკავების არსებობა.

<sup>265</sup> იხ., ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის განმარტებითი ბარათი, §33.

<sup>266</sup> *Garaudy v. France (dec.)*, ECtHR, 24/06/2003.

<sup>267</sup> *Tomasović v. Croatia*, § 31; *Muslija v. Bosnia and Herzegovina*, ECtHR, 14/01/2014, § 37; *Nykänen v. Finland*, 20/05/2014, §52; *Glantz v. Finland*, 20/05/2014, §62.

11. აკრძალვის საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ იმავე მტკიცებულების ან ინფორმაციის არსებობა. შესაბამისად, არ იკრძალება პირის განმეორებითი დაკავება იმავე დანაშაულთან დაკავშირებით, მათ შორის იმავე მტკიცებულებების ან/და ინფორმაციის საფუძველზე, თუ საქმეში წარმოდგენილია დაკავების გამამართლებელი დამატებითი ახალი მტკიცებულება ან/და ინფორმაცია, რომელიც თავდაპირველი დაკავების განხორციელების მომენტში უცნობი იყო პროცესის მწარმოებელი სუბიექტისათვის. მაგრამ კანონმდებელი არ განმარტავს რამდენი ან/და რამდენად მნიშვნელოვანი უნდა იყოს ახალი მტკიცებულება/ინფორმაცია. შესაბამისად, მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, დასაშვებია პირის განმეორებითი დაკავება თუნდაც რამდენიმე ახალი ინფორმაციის/მტკიცებულების საფუძველზე, რომელიც მიუთითებს პირის მიმართ დაკავების გამოყენების აუცილებლობასა თუ დასაბუთებულობაზე. მაგრამ მუხლის ფორმულირება არ მოითხოვს, რომ დაკავების საფუძველი და მიზანი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადასტურებული იქნეს ახალი მტკიცებულებებით/ინფორმაციით.
12. განმეორებითი დაკავების აკრძალვის პრინციპის მოქმედება უფრო ფართოა განმეორებითი მსჯავრდების პრინციპთან შედარებით, და უკავშირდება, პირველ რიგში, ინფორმაციის/მტკიცებულების (და არა ქმედების ან ბრალდების/მსჯავრდების) იგივეობას.
13. რამდენად კრძალავს აღნიშნული მუხლის ფორმულირება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დაკავების გამოყენებას, თუ თავდაპირველად ადგილი ჰქონდა პირის მიმართ ადმინისტრაციულ დაკავებას? მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე იკრძალება ნებისმიერი სახის განმეორებითი დაკავება, თუ ის ხორციელდება ერთი და იმავე პირის მიმართ ერთი და იმავე ინფორმაციის/მტკიცებულების საფუძველზე. ქმედების კვალიფიკაციას ან/და პირის ბრალეულობას შესაბამისი ქმედების ჩადენაში მნიშვნელობა არ ენიჭება. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირის მიმართ დაკავება გამოყენებულ იქნა 12 საათის განმავლობაში და პირი გათავისუფლდა ბრალის წაყენების გარეშე, იკრძალება მოგვიანებით მისი განმეორებითი დაკავება იმავე ინფორმაციის/მტკიცებულების საფუძველზე.
14. **განმეორებითი მსჯავრდების ან ბრალდების აკრძალვა:** აღნიშნული პრინციპი მოიცავს სამ გარანტიას და ადგენს, რომ არავინ უნდა იყოს განმეორებით: 1. მიცემული პასუხისგებაში და წაყენოს ბრალი; 2. გასამართლებული, ან 3. მსჯავრდებული იმავე ქმედებისათვის.<sup>268</sup>
15. განმეორებითი ბრალდების/მსჯავრდების აკრძალვის წინაპირობად სსსკ ითვალისწინებს კუმულაციურად ორი გარემოების არსებობას: 1. იგივე დანაშაული – მუხლის ფორმულირება ყურადღებას ამახვილებს არა ქმედების იგივეობაზე, არამედ დანაშაულის, როგორც სამართლებრივი კატეგორიის იგივეობაზე, რომელიც უკავშირდება კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის და შესაბამისად კონკრეტული მუხლით კვალიფიკაციის საკითხს. 2. მსჯავრდების/გამართლების ფაქტის არსებობა – ხელახალი ბრალდება/მსჯავრდება იკრძალება მხოლოდ აღნიშნულ დანაშაულში პირის გასამართლების შემდეგ. ამდენად, არ იკრძალება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა და მოგვიანებით იმავე მტკიცებულების საფუძველზე მისი განახლება, რითაც განსხვავდება პირველი ნაწილით გათვალისწინებული განმეორებითი დაკავების აკრძალვისგან, რომელიც აკრძალვის წინაპირობად სწორედ მტკიცებულების/ინფორმაციის იგივეობას ადგენს.
16. მიუხედავად იმისა, რომ მუხლის ფორმულირება პირდაპირ არ მიუთითებს იგულისხმება, რომ აკრძალვა უკავშირდება კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენს (*res judicata*), რომლითაც ერთხელ უკვე გადაწყდა ქმედების ჩადენაში პირის ბრალეულობის საკითხი. განაჩენს, რომლის გასაჩივრება იკრძალება სსსკით (მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი, საკასაციო სასამართლოს განაჩენი), გასულია განაჩენის გასაჩივრების ვადა და არ მომხდარა მისი აღდგენა სასამართლოს მიერ, ან მხ-

<sup>268</sup> იბ., *Zolotukhin v Russia*, ECtHR, (GC), 10.02.2009, §110; *Nikitin v Russia*, ECtHR, 20/07/2004, §36; *Franz Fischer v Austria*, ECtHR, 29/05/2001, § 29.

- არეებმა ნებაყოფლობით უარი თქვეს გასაჩივრების უფლების გამოყენებაზე და გაუშვეს საამისოდ დადგენილი ვადა და სხვა.<sup>269</sup>
17. პირის განმეორებითი ბრალდება ან/და მსჯავრდება იკრძალება, თუ იმავე ბრალდებით პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ერთხელ უკვე იყო დასრულებული ნებისმიერი სახის განაჩენით (მაგალითად, გამამართლებელი განაჩენი, გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად, სასჯელის დანიშვნით, სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისგან გათავისუფლებით, დევნა შეწყდა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე განრიდების ან მედიაციის გამოყენებით, სსსკ 191-ე, 213-ე მუხლის შესაბამისად და სხვა). მას შემდეგ, რაც პირი გამტყუნდება, გამართლება, შეწყდება მის მიმართ დევნა ან გამოყენებულ იქნება აღდგენითი მართლმსაჯულების რომელიმე ღონისძიება, რომელიც კრძალავს შემდგომი პასუხისმგებლობის დაკისრებას, იკრძალება იმავე ქმედებისთვის პირის სისხლისსამართლებრივი დევნა, თუნდაც მას შედეგად მოჰყვებოდა გამამართლებელი განაჩენი<sup>270</sup>.
  18. სამართალწარმოების შეჩერება არ წარმოადგენს დევნის განახლების დამაბრკოლებელ გარემოებას. შესაბამისად, შეჩერებული გამოძიების ან/და შეჩერებული სისხლისსამართლებრივი დევნის განახლება წინააღმდეგობაში არ მოდის აღნიშნულ პრინციპთან, მიუხედავად იმისა, რომ პირის მიმართ იმავე ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე ხდება სამართალწარმოების განახლება, ვინაიდან შეჩერება არ წარმოადგენს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას.
  19. დაუშვებელია პირის განმეორებით მსჯავრდება იმავე დანაშაულისათვის იმისდა მიუხედავად, მოიხდა თუ არა პირმა მისთვის მისჯილი სასჯელი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის მოხდისგან გათავისუფლებით, განმეორებითი მსჯავრდება დაუშვებელია, რადგან სსსკ აკრძალავს უკავშირებს თავდაპირველი მსჯავრდების/ გამართლების ფაქტს და არა სასჯელის დანიშვნა/არდანიშვნას ან მოხდას.
  20. პრინციპს გააჩნია მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო ბუნება და ვრცელდება სამართალწარმოების ყველა სტადიაზე, რომელზეც შესაძლებელია დადგინდეს, რომ ადრე უკვე ჰქონდა ადგილი აღნიშნული პირის მიმართ იმავე დანაშაულის და იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივ დევნას.
  21. პრინციპი არ იზღუდება მხოლოდ განმეორებით დასჯის/მსჯავრდების აკრძალვით და მოიცავს ასევე ორჯერ ბრალდებისა და გასამართლების აკრძალვასაც.
  22. პრინციპი ემყარება ბრალეულობის იდეას, ქმედებასა და სასჯელს შორის თანაზომიერების და სასჯელის სამართლიანობის პრინციპს. პრინციპი კრძალავს ერთი და იმავე ქმედებისათვის ორი, თუნდაც ერთგვაროვანი, მსჯავრის და ორი სასჯელის დაკისრების შესაძლებლობას. გამორიცხავს პირის მსჯავრდებას და დასჯას ერთი და იმავე ქმედებისათვის, ერთი და იმავე ქმედების კვალიფიკაციას სსკ რამდენიმე მუხლით, თუ სსკ შესაბამის მუხლებს შორის არის ზოგადის და კერძოს სახით მიმართება, ან როგორც მთლიანის და ნაწილის, ასევე გამორიცხავს ერთი და იმავე გარემოების ორმაგად გათვალისწინების შესაძლებლობას (მაგ., ნასამართლეობა, დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა მუხლის შენიშვნით გათვალისწინებული დანაშაული) – როგორც ქმედების მაკვალიფიცირებელ, იმავდროულად სასჯელის სახის და ზომის განსაზღვრისას როგორც პასუხისმგებლობის ან/და ბრალის დამამძიმებელი გარემოება.
  23. დასჯილი პირისათვის დამატებითი ან უფრო მკაცრი სასჯელის დაკისრება დაუშვებელია. გამონაკლისია ახალი გარემოება, რომლის სამართლებრივი შეფასება არ მომხდარა სამართალწარმოების ფარგლებში. მაგრამ ეს ნორმა არ იცავს პირს იმავე ქმედებისათვის

<sup>269</sup> სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილ განაჩენთა საერთაშორისო აღიარების შესახებ ევროპული კონვენციის განმარტებითი ბარათი.

<sup>270</sup> იხ., Zolotukhin v Russia, ECtHR, (GC), 10/02/2009, §110; KIIvery v. Finland, ECtHR, 10/02/2015, §41.

- დამატებით დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრებისაგან.<sup>271</sup>
24. მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ანგლოამერიკულ მიდგომას, რომელიც ხელმეორედ მსჯავრდებას კრძალავს იმავე დანაშაულის და არა იმავე ქმედების საფუძველზე.
  25. აშშ უზენაესი სასამართლოს მიდგომის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა ერთი და იმავე ქმედებით გამოწვეულ ორ დანაშაულზე არღვევს *ne bis in idem* პრინციპს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც თითოეული შემადგენლობა მოითხოვს ისეთი დამატებითი გარემოების არსებობის მტკიცებას, რომელსაც არ მოითხოვს მეორე. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კი უნდა გაირკვეს მოიცავს თუ არა ერთი დანაშაული ყველა იმ დარღვევას, რომელსაც სხვები შეიცავს, ან აქვს თუ არა „იგივე არსებითი ელემენტები“.
  26. თუ პირი მსჯავრდებული იყო დაზარალებულის მონამვლის გზით მკვლელობის მცდელობისათვის და სამართალწარმოების დასრულების შემდეგ დაზარალებული საწამლავის შენელებული მოქმედების შედეგად გარდაიცვლება, ბრალდებულის მიმართ სამართალწარმოების დაწყება განზრახ მკვლელობისათვის არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ პრინციპს.
  27. მაგრამ იმავე საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული, ახალი გარემოების გამოჩენა, მაგალითად პირის მსჯავრდებიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ დაზარალებულის ჯანმრთელობის გაუარესება ან მისი გარდაცვალება, არ შეიძლება ჩაითვალოს საქმის განახლების და ამ „ახალი“ დანაშაულისათვის პირის დასჯის საფუძველად.
  28. იგივე დანაშაული: ევროკავშირის სასამართლოს განმარტებით *ne bis in idem* პრინციპი კრძალავს განმეორებით პასუხისმგებლობას (სისხლისსამართლებრივი დევნა, მსჯავრდება ან სასჯელის შეფარდება) შემდეგი სამი პირობის კუმულაციურად არსებობის შემთხვევაში:<sup>272</sup> 1. ერთი და იგივე ფაქტის გარშემო; 2. ერთი და იმავე პირის და; 3. იგივე სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზნით. მრავალ ეპიზოდთან და კომპლექსურ საქმეებთან მიმართებით ევროკავშირის სასამართლო იყენებს *in concreto ne bis in idem* მიდგომას და „ერთსა და იმავე ფაქტში“ მოიაზრებს ქმედებებს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია დროში, სივრცეში ან შინაარსით.<sup>273</sup>
  29. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს აზრით, ტერმინ „დანაშაულის“ ვიწრო ინტერპრეტაცია, როდესაც ყურადღების გამახვილება ხდება ორი სამართალდარღვევის სამართლებრივ დახასიათებაზე, ზედმეტად ავიწროებს მუხლის რეგულირების სფეროს და ვერ უზრუნველყოფს უფლებით პრაქტიკულ და ეფექტიან და არა თეორიულ და ილუზორულ სარგებლობას.<sup>274</sup>
  30. კონვენცია კრძალავს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებას ან მსჯავრდებას განმეორებით თუ განმეორებითი მსჯავრდება/ბრალდება ემყარება იმ ფაქტებს, რომლებიც იმ ფაქტობრივი გარემოებების ანალოგიური ან იდენტურია, რომლებსაც ემყარებოდა თავდაპირველი ბრალდება/მსჯავრდება. სტრასბურგის სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ფაქტებზე და არა სამართლებრივ კვალიფიკაციაზე და აკრძალავს უკავშირებს იდენტურ ან დიდწილად ერთსა და იმავე ფაქტებს.<sup>275</sup> კერძოდ, „(...) კონკრეტულ გარემოებათა ერთობლიობა, რომლებიც შეეხება იმავე ბრალდებულს და დროში და სივრცეში ერთმანეთთან განუყოფლად არის დაკავშირებული და რომელთა დადასტურება აუცილებელია, რათა ამით შესაძლებელი გახდეს მსჯავრდება ან სისხლისსამართლებრივი

<sup>271</sup> იხ., ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის განმარტებითი ბარათი, §32.

<sup>272</sup> Aalborg Portland and others v. Commission, C-204/00 P, C-205/00 P, C-211/00 P, C-213/00 P, C-217/00 P, C-219/00 P, 07.01. 2004, §338.

<sup>273</sup> Leopold Henri Van Esbroeck, C-436/04, 09/03/2006, §36.

<sup>274</sup> იხ., Zolotukhin v Russia, (GC), ECtHR, 10/02/2009.

<sup>275</sup> იხ., Zolotukhin v Russia (GC), ECtHR, 10/02/2009, §81; Ruotsalainen v. Finland, ECtHR 16/06/ 2009, §48; Maresti v. HRV, ECtHR, 25/06/2009, §62; Tsonyo Tsonev v. Bulgaria, 14/01/2010, §51.

- დევნის განხორციელება. შესაბამისად, საკითხის გადანყვეტიცას უნდა განხორციელდეს იმ ფაქტების ანალიზი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას იმავე ბრალდებულის ირგვლივ და განუყოფლად არის დაკავშირებული ურთიერთთან დროსა და სივრცეში და რომლის არსებობაც უნდა დადასტურდეს, რათა ადგილი ჰქონდეს ბრალდებას ან სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოების დაწყებას.<sup>276</sup>
- 31.** დარღვევას ადგილი ექნება, თუ სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში პირი გაამართლა ხულიგნობაში, ხოლო მოგვიანებით – სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ხულიგნობის დანაშაულში ცნო დამნაშავედ იმავე ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე.
- 32.** *ne bis in idem* პრინციპის დარღვევას ადგილი არ ჰქონდა ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვის გამო პირის დაჯარიმების და მასზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას, რაც ორი სხვადასხვა უწყების მიერ სხვადასხვა სამართალწარმოების ფარგლებში განხორციელდა, ვინაიდან მათ შორის არსებობდა მჭიდრო კავშირი როგორც არსობრივად, ასევე დროითი თვალსაზრისით და ადგილი არ ჰქონია პირის დასჯას იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ის უკვე ერთხელ იყო გასამართლებული.<sup>277</sup>
- 33.** გამონაკლისი ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის პრინციპიდან: დარღვევას არ აქვს ადგილი, თუ საქმის ხელახალი განხილვა ემსახურება მსჯავრდებულის ინტერესებს. სსსკ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის განახლებას ძირითად მსჯავრდებულის მარეაბილიტირებელ გარემოებებს უკავშირებს. მათ შორის, როდესაც ეს აუცილებელია მსჯავრდებულის კანონიერი უფლებების და ინტერესების დასაცავად მათ შორის სამართალწარმოების ფარგლებში დაშვებული სასამართლო შეცდომის გამო, რამაც გამოიწვია პირის უკანონო ან დაუსაბუთებელი მსჯავრდება (მაგალითად, პირის მიმართ იძულების გამოყენების ან მოწმის მიერ ცრუ ჩვენების, ქრთამის მიცემის ფაქტის დადგენა და სხვა).
- 34.** სსსკ 310-ე მუხლი იძლევა საბოლოო განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობას, რომ, როცა ახლად გამოვლენილი გარემოებების არსებობის შემთხვევაში
- 35.** სსსკ კრძალავს განაჩენის სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციაში გასაჩივრებისას *reformation in peius* (საუარესოდ შებრუნება) და მსჯავრდებულის არასასიკეთო გადანყვეტილების გამოტანას. საუარესოდ შებრუნება დაიშვება 2 პირობის კუმულაციურად არსებობის შემთხვევაში: თუ განაჩენი გასაჩივრებულია ბრალდების მხარის მიერ აღნიშნული მოთხოვნით და თუ მას ასეთივე პოზიცია ეკავა ქვემდგომ ინსტანციაში საქმისწარმოებისას (სსსკ 298-ე მუხლის მე-4 ნაწილი და 308-ე მუხლის მე-2 ნაწილი).
- 36.** საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა, რომ განაჩენთა ერთობლიობისას სახელმწიფო ბრალმდებელს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის და, შესაბამისად, სასამართლოს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბრალმდებელს ასეთივე პოზიცია ეკავა ყველა ინსტანციის სასამართლოში. შესაბამისად, თუ სახელმწიფო ბრალმდებელს აღნიშნულ საკითხზე პირველი ინსტანციის სასამართლოში არ დაუფიქსირებია პოზიცია, შემდგომში იმავე საკითხზე მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების თვალსაზრისით გასაჩივრება სამართლებრივად საფუძველს მოკლებული და უპერსპექტივოა.<sup>278</sup>
- 37.** აღნიშნული დებულების დარღვევას არ აქვს ადგილი *In absentia* პირის მიმართ გამოტანილი განაჩენის ხელახალი განხილვისას მსჯავრდებულის ინიციატივით. პრინცი-

<sup>276</sup> იბ., *Zolotukhin v Russia* (GC), 10/02/2009, §84.

<sup>277</sup> *R.T. v Switzerland* (dec.), ECtHR, 30/05/2000; *Nilsson v Sweden* (dec.), ECtHR, 13/12/2005; *Kiiveri v Finland*, ECtHR, 10/02/2015, §44.

<sup>278</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2014 წლის 25 თებერვლის გადანყვეტილება საქმეზე №227აპ-13.



პი ასევე არ ირღვევა საქმის გადასინჯვისას, როდესაც აღნიშნულს საფუძვლად უდევს სსსკ 310-ე მუხლით გათვალისწინებული ახალი გარემოება, რომელიც მიუთითებს ახალი მტკიცებულების არსებობაზე, რომელიც არ იყო ცნობილი განაჩენის დადგენის დროს, სასამართლო შეცდომაზე, ან წინა სამართალწარმოების განხორციელებისას ისეთი არსებითი ხარვეზის არსებობაზე, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროცესის სამართლიანობაზე ან საქმის შედეგზე.<sup>279</sup> შესაბამისად, პირის გასამართლების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემდეგ, ახალი მტკიცებულების აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც განსხვავებული დასკვნისა და ქმედების განსხვავებული კვალიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა, პირის ხელმეორედ გასამართლება არ არღვევს ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის პრინციპს.

- 38. საერთაშორისო ასპექტი:** პრინციპის მოქმედება ვრცელდება ეროვნულ დონეზე,<sup>280</sup> იცავს პირს საერთაშორისო ინსტიტუტების მხრიდან განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნისგან, არ აქვს ტრანსნაციონალური მოქმედება და არ უკრძალავს მე-2 სახელმწიფოს ხელახალ გასამართლებას თუ არ არსებობს აღნიშნულის შესახებ სპეციალური შეთანხმება, ან ქვეყანა არ აღიარებს სხვა ქვეყნის განაჩენთა მოქმედებას.<sup>281</sup>
- 39.** დარღვევას არ აქვს ადგილი, როდესაც ერთი და იმავე ქმედებისათვის პირის დამნაშავეობის საკითხი გადაწყვეტილ იქნა საქართველოს ეროვნული სასამართლო ან/და საგამოძიებო ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო მოგვიანებით მისი საქმე განიხილა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ (საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წესდების მე-20 მუხლი, §3), ან განხილულ იქნა სხვა სახელმწიფოს სასამართლოს მიერ (მაგალითად, მსჯავრდებულთა გადაცემის ან ექსტრადიციის შემთხვევაში, როდესაც მიმღები სახელმწიფოს სასამართლო უზრუნველყოფს პირისათვის წაყენებული ბრალდების ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას). მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პირი ჯერ მსჯავრდებულ იქნა რომელიმე საერთაშორისო სასამართლოს მიერ, მოგვიანებით მისი გასამართლება იმავე ქმედებისათვის საქართველოს სასამართლოს მიერ დაუშვებელია.
- 40.** *ne bis in idem* პრინციპი აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს საქართველოს სასამართლოს მიერ გასამართლებას, რის გამოც სხვა სახელმწიფოს სასამართლოების მიერ გასამართლების შემთხვევაშიც პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით იმ დანაშაულისათვის, რომელიც მან უცხო სახელმწიფოში ჩაიდინა, მაგრამ *ne bis poena in idem* პრინციპის საფუძველზე სასამართლომ სასჯელის შეფარდებისას უნდა გაითვალისწინოს უცხო სახელმწიფოს მიერ მისჯილი სასჯელის მოხდილი ნაწილი.<sup>282</sup>
- 41.** სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილ განაჩენთა საერთაშორისო აღიარების შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 თავის პირველი ნაწილი განსაზღვრავს *ne bis in idem*-ის საერთაშორისო-სამართლებრივ მოქმედებას.<sup>283</sup>

<sup>279</sup> იხ., Nikitin v. Russia, ECtHR, 20/07/2004, §45.

<sup>280</sup> Christine Van den Wyngaert, Tom Ongena, *Ne Bis in idem Principle, including issue of Amnesty*, in Antonio Cassese, Paola Gaeta, John R.W.D. Jones (eds.), *The Rome Statute of the international Criminal Court*, (OUP, 2007, V1), 707. პრინციპის საერთაშორისო დონეზე გამოყენების საკითხები მონესრიგებულია, მაგალითად, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციით, სისხლისსამართლებრივ განაჩენთა ურთიერთცნობისა და აღიარების შესახებ ევროპული კონვენციით, სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული კონვენციით, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტით, *ad hoc* საერთაშორისო ტრიბუნალების წესდებით და რეგლამენტით და სხვა.

<sup>281</sup> John A.E. Vervaele, *Transnational ne bis in idem Principle in the EU*, *Utrecht Law Review*, V1, 2005 100-118, 105.

<sup>282</sup> Gerhard Conway, *Ne bis in idem and the International Criminal Tribunals*, *International Criminal Law Review* 3: 217-244, 2003, 226-7.

<sup>283</sup> აღნიშნულის შესახებ უფრო დეტალურად იხ., სსსკ 289-291-ე მუხლების კომენტარი.

42. იმავდროულად, სახელმწიფოს არ ეკისრება პასუხისმგებლობა და განმცხადებელი კარგავს მსხვერპლის სტატუსს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში, თუ ეროვნულ ორგანოებში საქმისწარმოებისას პროცესის მწარმოებელი ორგანო აღმოაჩენს რა ორჯერ მსჯავრდების პრინციპის დარღვევის ფაქტს, წყვეტს სისხლის სამართალწარმოებას აღნიშნული საფუძვლით.<sup>284</sup>

---

<sup>284</sup> იბ., Zolotukhin v Russia, ECtHR, (GC), 10/02/2009, §115.

## კარი II სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები

### თავი III სასამართლო

#### მუხლი 19. სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების ორგანო

1. სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთდერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი.

2. მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა დაუშვებელია. სასამართლო ვალდებულია ამ კოდექსით დადგენილი წესით, განსჯადობის მიხედვით განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, შუამდგომლობა და საჩივარი.

1. **ნორმის მიზანი:** სსსკ-ის მე-19 მუხლი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე განსაზღვრავს მართლმსაჯულების განახორციელებელ ორგანოს და სისხლის სამართლის სფეროში მისი უფლებამოსილების ფარგლებს. აღნიშნული მუხლისა და საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ საერთო სასამართლოებს.

2. **სასამართლოს უფლებამოსილება.** საერთო სასამართლოები განსჯადობის მიხედვით ვალდებული არიან განიხილონ სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანონ კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი, რომელიც შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი. თუ როგორია კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი, აღნიშნული განსაზღვრულია სსსკ-ის 259-ე მუხლით, კერძოდ, სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში. სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადანყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. გარდა იმისა, რომ კანონი შეიცავს ზოგად მითითებებს სისხლის სამართლის სფეროში სასამართლოს უფლებამოსილების შესახებ, იგი ასევე შეიცავს კონკრეტულ მითითებებს იმ მოქმედებების შესახებ, რომელსაც სასამართლო განიხილავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. კერძოდ, განსჯადობის მიხედვით საერთო სასამართლო ვალდებულია განიხილოს: სისხლის სამართლის საქმე, შუამდგომლობა და საჩივარი. მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის საქმის, შუამდგომლობისა და საჩივრის განხილვა განხორციელდეს კანონით დადგენილი წესით, რაც გულისხმობს იმას, რომ როგორც სისხლის სამართლის საქმის, ასევე შუამდგომლობისა და საჩივრის განხილვა მოხდეს განხილვის დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების შესაბამისად.

3. მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა არის დაუშვებელი. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით განსაზღვრულია ადამიანის უფლება იმის თაობაზე, რომ მას უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. ადამიანის ამ უფლებებს ასევე მტკიცედ იცავს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. ადამიანის აღნიშნული უფლებების რეალიზება ხდება სასამართლოსათვის მათი მიმართვის ან სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გადაგზავნის გზით. საერთო სასამართლოების მოსამართლეები ვალდებული არიან განახორციელონ მართლმსაჯულება და მათ უფლება არა აქვთ უარი თქვან მის განხორციელებაზე. მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმად არ მიიჩნევა ისეთი შემთხვევები, როდესაც არსებობს საქმის განხილვისაგან მოსამართლის აცილების კანონიერი საფუძველი და მოსამართლეს გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის განხილვისაგან მისი აცილების შესახებ. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსამართლის საქმის განხილვისაგან აცილება ემსახურება სწორედ სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების ჯეროვნად და კანონის შესაბამისად განხორციელებას, იმას, რომ სასამართლომ გამოიტანოს, კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.
4. სასამართლო ვალდებულია ამ კოდექსით დადგენილი წესით, განსჯადობის მიხედვით განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, შუამდგომლობა და საჩივარი. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს სასამართლოს ვალდებულებას, რომ მან სსსკ-ით დადგენილი წესით განსჯადობის მიხედვით განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, შუამდგომლობა და საჩივარი. აღნიშნული დაკავშირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ უფლებასთან, რომლის თანახმადაც ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.
5. სისხლის სამართლის საქმის, შუამდგომლობისა და საჩივრის განხილვის განსჯადობას ადგენს თავად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მაგალითად, სსსკ-ის 21-ე მუხლი ადგენს ტერიტორიულ განსჯადობას, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში განიხილება იმ ადგილის მიხედვით, სადაც ბრალდებული პირველად წარედგინა სასამართლოს, ხოლო გამოძიებისას მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე შუამდგომლობას განიხილავს სასამართლო გამოძიების დამთავრების ადგილის მიხედვით. კანონი ითვალისწინებს განსჯადობის დადგენილი წესიდან გამონაკლისსაც, რომლის მიხედვითაც ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით სისხლის სამართლის საქმე მასში მონაწილე დაზარალებულთა და მონმეთა უმრავლესობის ადგილსამყოფლის მიხედვით ან სხვა მიზეზით, რომელიც დაკავშირებულია ნაკლები საპროცესო ხარჯების განევასთან, განსახილველად გადასცეს სხვა სასამართლოს. განსხვავებული წესებია დადგენილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შუამდგომლობებისა და საჩივრების განხილვისათვის. გარდა მუხლში მითითებული ჩამონათვალისა, სასამართლო ასევე განსჯადობის მიხედვით იხილავს წარდგინებებს „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

## მუხლი 20. სასამართლოს უფლებამოსილება

1. თუ სისხლის სამართლის საქმეს პირველი ინსტანციით არ განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მას პირველი ინსტანციით განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო.
2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციაა ადამიანის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისა და იძულებით ღონისძიებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანა, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხ-

ვევებში გამოძიების ან/და პროკურორის უკანონო ქმედების გამო საჩივრის გადანაცვება, ასევე ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება. ამ ნაწილით გათვალისწინებულ საკითხებზე გადანაცვტილებას იღებს იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ტარდება, ჩატარდება ან ჩატარდა გამოძიება ან საპროცესო მოქმედება. ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში გადანაცვტილება შეიძლება მიიღოს სხვა მაგისტრატმა მოსამართლემ. ამ კოდექსით მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობისთვის მიკუთვნებული საკითხები მისი არყოფნისას ან იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიების ადგილი არ ემთხვევა დანაშაულის ჩადენის ადგილს, შეიძლება განიხილოს სხვა მაგისტრატმა მოსამართლემ ან გამოძიების ადგილის მიხედვით შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლემ (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე მიღებული გადანაცვტილებების გამო საჩივარს ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში განიხილავს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია.

4. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ან მაგისტრატი მოსამართლის განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადანაცვტილებების გამო სააპელაციო საჩივარს განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო პალატა.

5. სააპელაციო სასამართლოს განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადანაცვტილებების გამო საკასაციო საჩივარს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

6. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადანაცვტილებების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ საჩივარს.

1. **ნორმის მიზანი:** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოებია რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო. სწორედ საერთო სასამართლოების უფლებამოსილებათა განსაზღვრული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმით.
2. მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმის პირველი ინსტანციით განმხილველ სასამართლოს და ასეთად მიუთითებს საქალაქო (რაიონულ) სასამართლოს, თუ სისხლის სამართლის საქმეს არ განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. სსსკ-ის 330-ე მუხლი ადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის დროებით წესებს, რომლის მიხედვითაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავენ თბილისის, ქუთაისის და ბათუმის საქალაქო სასამართლოებში. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო იქმნება და მისი სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადანაცვტილებით. რაიონული სასამართლო იქმნება მუნიციპალიტეტში (მუნიციპალიტეტებში). საქალაქო სასამართლო იქმნება თვითმმართველ ქალაქში. საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია თვითმმართველ ქალაქთან ერთად შეიძლება მოიცავდეს მუნიციპალიტეტსაც (მუნიციპალიტეტებსაც).
3. რაიონული (საქალაქო) სასამართლო არის პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც მისი განსჯადობისთვის მიკუთვნებულ საქმეს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს ერთპიროვნულად ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, – კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით. რაიონული (საქალაქო)

სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ მაგისტრადი მოსამართლეები. მაგისტრადი მოსამართლე ეწოდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრადი მოსამართლის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

- ადამიანის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისა და იძულებით ღონისძიებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანა.
- ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა.
- სსსკ-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოძიებლის ან/და პროკურორის უკანონო ქმედების გამო საჩივრის გადაწყვეტა, ასევე ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრადი მოსამართლე, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ტარდება, ჩატარდება ან ჩატარდა გამოძიება ან საპროცესო მოქმედება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება გადაწყვეტილება მიიღოს სხვა მაგისტრადი მოსამართლემ. მაგისტრადი მოსამართლის განსჯადობას მიკუთვნებული საკითხები მისი არყოფნის შემთხვევაში შეიძლება განიხილოს სხვა მაგისტრადი მოსამართლემ ან გამოძიების ადგილის მიხედვით შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლემ.

4. მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 ნაწილები განსაზღვრავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრადი მოსამართლის განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების და ასევე მაგისტრადი მოსამართლის და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენების გასაჩივრების წესს.

საქართველოში მოქმედებს ორი სააპელაციო სასამართლო – თბილისის სააპელაციო სასამართლო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლო. თითოეულ სააპელაციო სასამართლოში მოქმედებს სამოქალაქო საქმეთა პალატა, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა და საგამოძიებო კოლეგია („საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მაგისტრადი მოსამართლის განსჯადობისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების გამო საჩივარს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში განიხილავს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე ერთპიროვნულად, ხოლო რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ან მაგისტრადი მოსამართლის განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამო სააპელაციო საჩივარს განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო პალატა 3 მოსამართლის შემადგენლობით, თუმცა გარკვეული კატეგორიის საქმეებზე დაწესებულია სააპელაციო საჩივრების ერთპიროვნული განხილვა საპროცესო კანონით დადგენილი წესით. გარდა ზემოთ აღნიშნული საჩივრებისა, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ საჩივარს.

5. გარდა რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების განსჯადობისა, აღნიშნული მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხებს, რომლის მიხედვითაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა განიხილავს თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამო შეტანილ საკასაციო საჩივარს.

## მუხლი 21. ტერიტორიული განსჯადობა

1. სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში განიხილება იმ ადგილის მიხედვით, სადაც ბრალდებული პირველად წარედგინა სასამართლოს (7.12.2010. №3891 ამოქმედდეს 2010 წლის 10 დეკემბრიდან).
2. მოსამართლე არკვევს მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობას, ასევე საკითხს, დაყენებულია თუ არა შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. შუამდგომლობის დაყენების შემთხვევაში მოსამართლე მოქმედებს ამ კოდექსის XXI თავის შესაბამისად.
3. გამოძიებისას მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე შუამდგომლობას განიხილავს სასამართლო გამოძიების დამთავრების ადგილის მიხედვით.
4. ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით სისხლის სამართლის საქმე მასში მონაწილე დაზარალებულთა და მოწმეთა უმრავლესობის ადგილსამყოფლის მიხედვით ან სხვა მიზეზით, რომელიც დაკავშირებულია ნაკლები საპროცესო ხარჯების განწევასთან, განსახილველად გადასცეს სხვა სასამართლოს.
5. თუ სასამართლო დაადგენს, რომ სისხლის სამართლის საქმე მისი განსჯადი არ არის, იგი განჩინებით საქმეს განსჯადობის მიხედვით გადასცემს სხვა სასამართლოს.
6. განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე.

1. **ნორმის მიზანი:** ნორმის მიზანია სისხლის სამართლის საქმის ტერიტორიული განსჯადობის განსაზღვრა.
2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის პირველ ნაწილში 2010 წლის 07 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სისხლის სამართლის საქმე განიხილება იმ ადგილის მიხედვით, სადაც განხორციელდა ბრალდებულის პირველი წარდგენა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლი ასეთ სასამართლოდ განსაზღვრავს გამოძიების მიმდინარეობის ადგილას არსებულ სასამართლოს, რადგან ამ ნორმის თანახმად, ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში ხორციელდება გამოძიების ადგილის მიხედვით. სისხლის სამართლის საქმის საგამოძიებო და ტერიტორიულ ქვემდებარეობას, საქართველოს სსსკ-ის 35-ე და 36-ე მუხლების თანახმად, საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინებით განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ერთი ბრალდებულის მიმართ სხვადასხვა საგამოძიებო ორგანოში მიმდინარეობს რამდენიმე საქმის გამოძიება და ბრალდებულის რამდენჯერმე წარედგინება სასამართლოში (მათ შორის სხვადასხვა სასამართლოში), რა დროსაც თითოეულ საქმეზე ცალ-ცალკე ხდება საქმის განხილვის დროისა და ადგილის განსაზღვრა. აღნიშნული ცალკე აღებული, თუკი გამოძიება ცალ-ცალკე იქნება დასრულებული, არ წარმოადგენს სირთულეს, მაგრამ, როცა გამოძიების დროს ხდება ამ საქმეთა გაერთიანება და არსებობს რამდენიმე განჩინება ერთ ან რამდენიმე სასამართლოში წინასასამართლო სხდომის დანიშვნასთან დაკავშირებით, დღის წესრიგში დგება სისხლის სამართლის საქმის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა. ასეთ შემთხვევაში ზოგადად გაერთიანებული საქმისათვის განსჯად სასამართლოს წარმოადგენს ყველა ის სასამართლო, სადაც განხორციელდა ბრალდებულის პირველი წარდგენა. არსებული პრაქტიკის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმე განსახილველად ეგზავნება იმ სასამართლოს, რომელსაც თავდაპირველად წარედგინება ბრალდებული. გაერთიანებულ საქმეზე განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის მიზნით, პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით მიმართავს მაგისტრატ მოსამართლეს (რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს), სისხლის სამართლის საქმეზე ერთი წინასასამართლო სხდომის ადგილისა და დროის განსაზღვრის მოთხოვნით, რის შემდეგაც მოსამართლის განჩინებით განისაზღვრება სისხლის სამართლის საქმის განხილვის ადგილი და დრო.

3. მოსამართლე სისხლის სამართლის საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე არკვევს მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობას, ასევე საკითხს, დაყენებულია თუ არა შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. ამ საკითხს სასამართლო არკვევს როგორც პირველი წარდგენის სასამართლო სხდომაზე, ასევე წინასასამართლო და საქმის არსებითი განხილვის სხდომებზეც. თუკი გაირკვევა საკითხი, რომ დაყენებულია შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, ასეთ შემთხვევაში სასამართლო იხილავს აღნიშნულ შუამდგომლობას სსსკ-ის 21-ე თავით დადგენილი წესით და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
4. როდესაც საპროცესო შეთანხმება ფორმდება გამოძიების ეტაპზე, ასეთ შემთხვევაში შუამდგომლობას საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე განიხილავს სასამართლო გამოძიების დასრულების ადგილის მიხედვით, სსსკ-ის 21-ე თავით დადგენილი წესით.
5. როგორც აღინიშნა, სისხლის სამართლის საქმის განხილვა ხდება იმ ადგილის მიხედვით, სადაც ბრალდებული პირველად წარედგინა სასამართლოს, თუმცა სსსკ უშვებს ამ წესიდან გამონაკლისს, რა დროსაც საქმე განსახილველად შეიძლება გადაეცეს სასამართლოს დაზარალებულთა და მოწმეთა უმრავლესობის ადგილსამყოფელის მიხედვით. სხვა სასამართლოსათვის საქმის გადაცემა ასევე შეიძლება განხორციელდეს სხვა მიზეზითაც, რომელიც დაკავშირებული იქნება ნაკლები საპროცესო ხარჯის განევასთან. თუ რა შეიძლება იყოს ასეთი მიზეზი დღეს არსებული განსჯადობის პირობებში, ძნელად წარმოსადგენია. ასეთი შესაძლოა იყოს საქმეზე ისეთი ნივთიერი მტკიცებულებების არსებობა, რომელთა სასამართლოში წარმოდგენა არის შეუძლებელი და ტერიტორიულად არ იმყოფება სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს ტერიტორიაზე. ასეთ შემთხვევაში მისი დათვალიერება უნდა განხორციელდეს ნივთიერი მტკიცებულების განთავსების ადგილზე, რაც დაკავშირებულია სასამართლოს, მხარეთა და ბრალდებულის გადაადგილების ხარჯებთან. სისხლის სამართლის საქმის სხვა სასამართლოსათვის განსახილველად გადაცემის საკითხი ყველა შემთხვევაში განიხილება მხარის (როგორც ბრალდების, ასევე დაცვის) შუამდგომლობის საფუძველზე. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ამ სახის შუამდგომლობის განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დასაშვებია სისხლის სამართლის საქმის შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში გადაგზავნის სტადიაზე, ანუ დაუშვებელია შესაბამის განსჯად სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის შესვლის შემდეგ ამ ტიპის შუამდგომლობის განხილვა და გადაწყვეტა, რადგან ამ შემთხვევაში ფაქტობრივად მოხდება სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის საქმის განხილვისაგან ჩამოცილება, რაც საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლი (სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის ან სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები) კი მოსამართლის სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებად ზემოაღნიშნულს არ ითვალისწინებს. მხარის შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმის სხვა სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ უნდა წარედგინოს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს სისხლის სამართლის საქმის განსჯადობის მიხედვით, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმის სხვა სასამართლოსათვის გადაცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ.
6. სსსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე დაადგენს, რომ სისხლის სამართლის საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის, მაშინ მოსამართლის განჩინებით საქმე გადაეცემა განსჯადობის მიხედვით.
7. თუკი სისხლის სამართლის საქმე განსჯადობის მიხედვით გადაეცემა ერთი სასამართლოდან მეორე სასამართლოს და მეორე სასამართლოს მოსამართლე (სასამართლო) დაადგენს, რომ სისხლის სამართლის საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის, მაშინ მეორე



რე სასამართლოს მოსამართლის განჩინებით სისხლის სამართლის საქმეზე განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტად გადაეცემა ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმის განსჯადობის თაობაზე. მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და სისხლის სამართლის საქმე განიხილება იმ სასამართლოს მიერ, რომელიც ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით მიჩნეულ იქნა სისხლის სამართლის საქმეზე განსჯად სასამართლოდ.

## მუხლი 22. სასამართლოთა შემადგენლობა

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ან მაგისტრატი მოსამართლე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად.
  2. იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა კოლეგიური შემადგენლობით საქმეთა განხილვისათვის, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუ საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის ან საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულისაა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე განიხილება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.
  3. ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განიხილება ნაფიცი მსაჯულებისა და მოსამართლის მონაწილეობით.
  4. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად.
  5. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმე სააპელაციო წესით განიხილება კოლეგიურად სამი მოსამართლის შემადგენლობით.
  6. ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განაჩენებისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილებების გამო საჩივრები შესაძლებელია სააპელაციო წესით ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლემ.
  7. საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში განიხილება კოლეგიურად სამი მოსამართლის შემადგენლობით, ხოლო დიდ პალატაში – ცხრა მოსამართლის შემადგენლობით.
  8. სასამართლოს შემადგენლობის ყველა მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღების თანაბარი უფლება აქვს.
  9. თუ სისხლის სამართლის საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადია და ბრალდებულს თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას, საქმეს სასამართლო განიხილავს მის დაუსწრებლად, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.
1. **ნორმის მიზანი:** სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს უფლებამოსილებისა და შემადგენლობის განსაზღვრა.
  2. განსახილველი მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ან მაგისტრატი მოსამართლე, როგორც წესი, განიხილავს ერთპიროვნულად.
  3. აღნიშნული წესიდან კანონი ადგენს გამონაკლის შემთხვევას, როდესაც სისხლის სამართლის საქმე რაიონულ სასამართლოში შესაძლოა განიხილოს კოლეგიურად შემადგენლობამ, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონულ (სამოქალაქო) სასამართლოში არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა კოლეგიური შემადგენლობით საქმეთა განხილვისათვის, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუ საქმის განხილვასა და გადა-

- ანყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის ან საქმე ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულისა. კანონის აღნიშნული დანაწესი არ ვრცელდება იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ.
4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს კიდევ ერთ გამოწვევას რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვის წესთან დაკავშირებით, კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმე რაიონულ სასამართლოში განხილვა ნაფიცი მსაჯულთა და მოსამართლის მონაწილეობით.
  5. სსსკ-ის 226-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, საქმეს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებული შუამდგომლობს, საქმე განხილულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ნაფიც მსაჯულთა განსჯადობის საკითხს განსაზღვრავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 330-ე მუხლი, რომელიც შეიცავს წესებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დროებითი განსჯადობის შესახებ.<sup>285</sup>
  6. სსსკ-ის 22-ე მუხლის მე-4-6 ნაწილები განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვის წესს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, ხოლო სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმე, როგორც წესი, განიხილება კოლეგიურად სამი მოსამართლის შემადგენლობით. თუმცა კანონი უშვებს ამ წესიდან გამონაკლისს, კერძოდ, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებზე რაიონული სასამართლოს განაჩენებისა და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების გამო საჩივრები შესაძლებელია ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლემ.
  7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივარი განიხილება სამი მოსამართლის შემადგენლობით, ხოლო დიდ პალატაში ცხრა მოსამართლის შემადგენლობით.
  8. სსსკ-ის 22-ე მუხლის მე-8 ნაწილი ეხება მოსამართლეთა კოლეგიურ შემადგენლობას და მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლოს შემადგენლობის ყველა მოსამართლეს აქვს გადანყვეტილების მიღების თანაბარი უფლება.
  9. როგორც ზემოთ აღინიშნა, რაიონულ სასამართლოში კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმე განხილულ იქნეს ნაფიცი მსაჯულთა და მოსამართლის მონაწილეობით. სსსკ-ის 22-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, თუ სისხლის სამართლის საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადია და ბრალდებული თავს აარიდებს სასამართლოში გამოცხადებას, საქმეს სასამართლო განიხილავს მის დაუსწრებლად, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.

### მუხლი 23. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე

სასამართლო სხდომის თავმჯდომარე წარმართავს სხდომას, სასამართლოს თათბირის მიმდინარეობას, მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, დაუბრკოლებლად წარადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებანი, უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, აგრეთვე ახორციელებს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

1. **ნორმის მიზანი:** არის სასამართლო სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილების განსაზღვრა.

<sup>285</sup> იხ. სსსკ-ის 330-ე მუხლის კომენტარები.

2. სისხლის სამართლის საქმის კოლეგიური შემადგენლობით განხილვისას სასამართლო სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილებას, როგორც წესი, ახორციელებს სისხლის სამართლის საქმის მომხსენებელი მოსამართლე.
3. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე წარმართავს სასამართლო სხდომას, ასევე სასამართლოს თათბირის მიმდინარეობას, მხარეებს აძლევს შესაძლებლობას დაუბრკოლებლად წარადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები, იგი უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას და ასევე ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, კერძოდ, სისხლის სამართლის საქმის განხილვას განარიდებს ყველაფერს, რასაც კავშირი არა აქვს სისხლის სამართლის საქმესთან, მხარეებს განუმარტავს მათ უფლება-მოვალეობებს და ა.შ.
4. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქმის ერთპიროვნულად განხილვისას სასამართლო სხდომას წარმართავს საქმის განმხილველი მოსამართლე, რომელიც სარგებლობს იმავე უფლებამოსილებით, რაც კოლეგიური განხილვისას გააჩნია სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს.

## მუხლი 24. სასამართლო სხდომის მდივანი

1. სასამართლო სხდომის მდივანი ამონიშნება, გამოცხადდა თუ არა სასამართლო პროცესზე გამოძახებული პირი, და ამის თაობაზე მოახსენებს სასამართლოს; სხდომის თავმჯდომარის წინადადებით საჯაროდ კითხულობს საპროცესო დოკუმენტს; აწარმოებს სასამართლო სხდომის ოქმს.
2. სასამართლო სხდომის მდივანი ვალდებულია სრულად და სწორად დააფიქსიროს სასამართლო სხდომის ოქმში სასამართლოს მოქმედება და გადაწყვეტილება, აგრეთვე სასამართლო სხდომის ყველა მონაწილის მოქმედება, განცხადება, შუამდგომლობა, ჩვენება და ახსნა-განმარტება. მდივანს უფლება აქვს, ოქმის მომზადებისას გამოიყენოს სტენოგრაფია, დიქტოფონი და სხვა ტექნიკური საშუალებანი.
3. სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა შენიშვნები სასამართლო სხდომის ოქმთან დაკავშირებით განიხილოს მათი მონვევის გარეშე. სასამართლო სხდომის მდივანი იძლევა წერილობით განმარტებებს.

1. **ნორმის მიზანი:** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოში საქმეები იხილება სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობით. ნორმის მიზანია, სასამართლო სხდომის მდივნის, როგორც პროცესის მონაწილის, უფლებამოსილების განსაზღვრა.
2. სასამართლო სხდომის მდივანი ვალდებულია შეადგინოს სასამართლო სხდომის ოქმი, სადაც სრულად და სწორად უნდა დააფიქსიროს, როგორც სასამართლოს მოქმედება და გადაწყვეტილება, ისე სასამართლო სხდომის ყველა მონაწილის მოქმედება, განცხადება, შუამდგომლობა, ჩვენება და ახსნა-განმარტება.
3. გარდა სასამართლო სხდომის ოქმის შედგენისა, სასამართლო სხდომის მდივანი ვალდებულია შეამოწმოს გამოცხადდნენ თუ არა სასამართლო სხდომაზე გამოძახებული პირები და ამის თაობაზე მოახსენოს სასამართლოს. სასამართლო სხდომის მდივანი სხდომის თავმჯდომარის წინადადებით საჯაროდ კითხულობს საპროცესო დოკუმენტებს.
4. სასამართლო სხდომის ოქმის მომზადებისას სასამართლო სხდომის მდივანი უფლებამოსილია გამოიყენოს სტენოგრაფია, დიქტოფონი და სხვა ტექნიკური საშუალება.
5. თუ სასამართლო სხდომის ოქმთან დაკავშირებით მხარემა გამოთქვეს შენიშვნები, შენიშვნებს განიხილავს იმავე საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო), რომელსაც სასამართლო სხდომის მდივანი აძლევს წერილობით განმარტებებს. ამასთან, სასამართლო

(მოსამართლე) უფლებამოსილია, რომ მხარეთა შენიშვნები განიხილოს მათი მოწვევის გარეშე.<sup>286</sup>

## მუხლი 25. სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა

1. სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.
2. სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.
3. განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მოსამართლეს უფლება არა აქვს, აზრი გამოთქვას ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე.
4. თუ სასამართლო სხდომაში ორივე მხარე მონაწილეობს, ერთი მხარის შუამდგომლობასთან ან საჩივართან დაკავშირებით სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც.

1. **ნორმის მიზანი:** საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. აღნიშნულ ნორმას დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. ის ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. ნორმის მიზანს მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა და მათთვის თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად თანაბარი შესაძლებლობების შექმნა წარმოადგენს. მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა ეხმარება მოსამართლეს საქმის ყოველმხრივ გამოკვლევის საფუძველზე გამოიტანოს ობიექტური, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.
2. სისხლის სამართლის პროცესში მხარეები არიან ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამოძიებელი და პროკურორი. სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი პრონციპია. მხარეთა შეჯიბრებითობის უზრუნველყოფა ევალუა სასამართლოს, რომელიც ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები, ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო რეალიზაციის უზრუნველყოფა. სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს განხორციელების ერთგვარი საზომი, გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს. სასამართლო მხარეთა შეჯიბრებითობის პროცესში წარმოადგენს არბიტრს, რომელიც მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხზე. თანაბარი შესაძლებლობების შექმნა გულისხმობს მხარეებისათვის მტკიცებულებების წარდგენის თანაბარი შესაძლებლობით უზრუნველყოფას და ამ მტკიცებულებების თანაბარ პირობებში გამოკვლევას. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მონაწილეობის უზრუნველყოფას, თუ პროცესის რომელიმე მონაწილე არ ფლობს სამართალწარმოების ენას და ა.შ.
3. განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილი ხაზს უსვამს რა სასამართლო პროცესში მხარეთა შე-

<sup>286</sup> იხ., ასევე სსკ-ის 195-ე მუხლის კომენტარები.

- ჯიბრებიტობის მნიშვნელობას, კრძალავს სასამართლოს მიერ ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა მოპოვებასა და გამოკვლევას. მხოლოდ მხარეები არიან უფლებამოსილი მოიპოვონ და სასამართლოს წარუდგინონ მათი სასარგებლო მტკიცებულებები. მხარეები განსაზღვრავენ მათ მიერ სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა თანმიმდევრობას და თავად არიან უფლებამოსილნი უარი თქვან ამა თუ იმ მტკიცებულების წარდგენასა და გამოკვლევაზე. მხარეები პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის გზით აწარმოებენ ასევე მონმეთა დაკითხვას. მოსამართლე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად, უფლებამოსილია დასვას დამაზუსტებელი შეკითხვა. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია სასამართლომ მხარეებს განუმარტოს დამაზუსტებელი კითხვის აუცილებლობა, რათა მხარეებმა გაიაზრონ ამ კითხვის აუცილებლობა და აღნიშნული არ იქნეს აღქმული მხარეთა შეჯიბრებიტობაში ჩარევად.
4. სასამართლოს, რომელიც წარმოადგენს რა მართლმსაჯულების განხორციელების ერთადერთ ორგანოს და მხარეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის გარანტს, განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, უფლება არა აქვს, აზრი გამოთქვას ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე. მოსამართლის მიერ განაჩენის გამოტანამდე გამოთქმული აზრი ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე შესაძლოა საფუძვლად დაედოს მისი სისხლის სამართლის საქმის განხილვისაგან აცილებას, როგორც ისეთი გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით.
5. სასამართლო სხდომაში ორივე მხარის მონაწილეობის შემთხვევაში, ერთი მხარის შუამდგომლობასთან ან საჩივართან დაკავშირებით სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას მხარის შუამდგომლობის თუ საჩივრის დაკმაყოფილების თუ მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. მსგავსი შინაარსის დებულებას შეიცავს ასევე სსსკ-ის 94-ე მუხლის მე-3 ნაწილიც, რომლის მიხედვითაც, თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობს პირი, რომლის ინტერესებსაც ეხება შუამდგომლობა, აგრეთვე მისი ადვოკატი, მათ ეძლევათ შესაძლებლობა მისცენ განმარტებები და ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებები. შუამდგომლობის განხილვისას მეორე მხარის, ასევე დაინტერესებული პირის მოსაზრების მოსმენა ემსახურება სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების განხორციელებას და შესაბამისად, სწორი გადაწყვეტილების მიღებას.

## მუხლი 26. სასამართლოს შუამდგომლობა

1. თუ რომელიმე საპროცესო მოქმედების ჩატარება სისხლის სამართლის საქმის განხილვის ადგილზე შეუძლებელია, სასამართლოს უფლება აქვს, ამ მოქმედების ჩასატარებლად დავალება გაუგზავნოს იმავე ან ქვემდგომი დონის სხვა სასამართლოს.
2. უცხო სახელმწიფოს სასამართლოსა თუ საგამოძიებო ორგანოში სასამართლოს შუამდგომლობის გაგზავნის წესი განისაზღვრება საქართველოსა და ამ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულებით სამართლებრივი დახმარების შესახებ.
1. **ნორმის მიზანი:** პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის განსჯადობასაც კანონით დადგენილი წესით ექვემდებარება მისი საქმის განხილვა. სასამართლოს არ უნდა წარედგინოს ისეთი მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ. განსახილველი მუხლი იძლევა საპროცესო მოქმედების სხვა სასამართლოს მიერ ჩატარების შესაძლებლობას. აღნიშნულის მიზანია სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება.

2. თუ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე საპროცესო მოქმედების ჩატარება შეუძლებელია, სასამართლოს უფლება აქვს ამ საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად დავალება გაუგზავნოს იმავე ან ქვემდგომი დონის სასამართლოს.
3. ასეთი დავალება შეიძლება გაეგზავნოს მხოლოდ იმავე ინსტანციის ან ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს. დაუშვებელია სასამართლო დავალება გაეგზავნოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს უფლება აქვს დავალება გაუგზავნოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და არა თბილისის ან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებს. ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს დავალება გაუგზავნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ან ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს და არა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.
4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა არ შეიცავს მითითებას იმ საპროცესო მოქმედებათა შესახებ, რომელთა ჩატარებაც შეიძლება საქმის განმხილველმა სასამართლომ დაავალოს სხვა სასამართლოს. ასეთ საპროცესო მოქმედებას შეიძლება წარმოადგენდეს, მაგალითად, უწყების ჩაბარების დავალება იმ პირისათვის, რომელიც ცხოვრობს დავალების მიმღები სასამართლოს ტერიტორიაზე და საქმის განმხილველი სასამართლო ტერიტორიული სიშორის გამო ვერ ახერხებს მისთვის უწყების ჩაბარებას. კანონი არ შეიცავს დებულებებს დავალების ფორმის შესახებ, თუ რა სახით უნდა მოხდეს მეორე სასამართლოსათვის დავალების მიცემა, წერილობითი თუ ზეპირი ფორმით. წერილობითი ფორმის შემთხვევაში ეს უნდა იყოს უბრალოდ წერილი, თუ საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა მიიღოს განჩინება.
5. მსგავსი შინაარსის დებულებას შეიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლი, რომელიც, განსხვავებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან, უფრო ნათლად მიუთითებს დავალების სახეს, ფორმასა და შინაარსს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს მიერ გამოსათხოვი ან შესამოწმებელი მტკიცებულებები სხვა ქალაქში ან რაიონშია და მათი წარმოდგენა თუ შემოწმება საქმის განმხილველ სასამართლოში შეუძლებელი ან ძნელია, სასამართლოს შეუძლია დასაბუთებული განჩინებით მტკიცებულებათა შეგროვება (შემოწმება) დაავალოს იმ სასამართლოს, რომლისთვისაც ტერიტორიულად ეს უფრო მოსახერხებელია. სასამართლო დავალების შესახებ სასამართლო განჩინებაში მოკლედ უნდა ჩამოყალიბდეს განსახილველი საქმის შინაარსი, დასადგენი გარემოება და მტკიცებულებანი, რომლებიც უნდა შეაგროვოს (შეამოწმოს) დავალების შემსრულებელმა სასამართლომ, აგრეთვე დავალების შესრულების ვადა.
6. უცხო სახელმწიფოს სასამართლოსა და საგამოძიებო ორგანოში შუამდგომლობის გაგზავნის ნესი განისაზღვრება საქართველოსა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივი დახმარების შესახებ დადებული ხელშეკრულებით.

## **მუხლი 27. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობა**

1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 მსაჯულისგან და 2 სათადარიგო მსაჯულისგან, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები – მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ათზე ნაკლები – განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.
1. არსებობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ორი მოდელი – კლასიკური და შერეული მოდელები. „კლასიკური მოდელის“ დროს პირის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის შესახებ ვერდიქტი გამოაქვთ ნაფიც მსაჯულებს, ხოლო მოსამართლე დამნაშავედ ცნობილ

- პირს უფარდებს სასჯელს და წყვეტს სხვადასხვა პროცესუალურ საკითხს. „შერეული მოდელის“ დროს კი, ხდება მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულების მიერ ბრალდებულის ბრალეულობისა და სასჯელის საკითხის ერთობლივად გადანყვეტა.
2. საქართველოში მოქმედებს ე.წ. „კლასიკური მოდელის“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელიც, როგორც განსახილველი მუხლის პირველ ნაწილშია მითითებული, შედგება 12 მსაჯულისა და 2 სათადარიგო მსაჯულისაგან.
  3. როგორც აღინიშნა, საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 მსაჯულისა და 2 სათადარიგო მსაჯულისაგან. კანონი ასევე ადგენს მსაჯულთა რაოდენობის მინიმალურ ზღვარს დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით. კერძოდ, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები მსაჯული; მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები მსაჯული, ხოლო განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეზე ათზე ნაკლები.

## მუხლი 28. ნაფიცი მსაჯულის (მსაჯულობის კანდიდატის) სოციალური გარანტიები

1. ნაფიც მსაჯულს და მსაჯულობის კანდიდატს უფლება აქვთ დროულად მიიღონ სახელმწიფოსგან ყველა იმ ხარჯის ანაზღაურება, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან. დღიური, სამგზავრო და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
  2. დასაქმებულ პირს ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის დროს უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და ანაზღაურება.
  3. სასამართლო ვალდებულია ინდივიდუალურად გაითვალისწინოს ნაფიცი მსაჯულის კანონიერი ინტერესები. სასამართლო თავისუფლდება ამ ვალდებულებისაგან, თუ ნაფიცი მსაჯულის კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილებით დაცული სიკეთე ნაკლებია, ვიდრე მართლმსაჯულებისათვის ან შესამე პირისათვის მიყენებული ზიანი. ასეთ შემთხვევაში პირი არ უნდა გათავისუფლდეს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისაგან.
1. **ნორმის მიზანი:** ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მართლმსაჯულების ყველაზე დემოკრატიულ ფორმად არის მიჩნეული, რადგან ამ შემთხვევაში თავად ხალხი გვევლინება მოსამართლედ თანამოქალაქის მიერ დანაშაულის ჩადენაში ბრალეულობის საკითხის გადანყვეტის დროს. საზოგადოების როლი მართლმსაჯულების განხორციელებაში მეტად მნიშვნელოვანია. იგი მოიცავს საზოგადოების სამოქალაქო აქტიურობას, ასევე მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქის პირად პასუხისმგებლობას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ნაფიცი მსაჯულისათვის (მსაჯულობის კანდიდატისათვის) სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა, რათა ნაფიცმა მსაჯულმა (მსაჯულობის კანდიდატმა) შეძლოს მისი მოქალაქეობრივი მოვალეობის სრულყოფილად შესრულება.
  2. ნაფიც მსაჯულსა და მსაჯულობის კანდიდატს უფლება აქვთ, დროულად მიიღონ სახელმწიფოსაგან ყველა იმ ხარჯის ანაზღაურება, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან. დღიური, სამგზავრო და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურებას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
  3. გარდა დღიური, სამგზავრო და სხვა პირადი ხარჯების ანაზღაურებისა, ნაფიც მსაჯულს სასამართლო პროცესში მონაწილეობის დროს უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და ანაზღაურება. კანონის ეს ნორმა შეეხება, როგორც საჯარო მოსამსახურეებსა და სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ ორგანიზაციებში დასაქმებულ პირს, ასევე კერძო სანარმოებში დასაქმებულ პირებს. არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ კანონის აღნიშნული ნორმა შეეხება მხოლოდ საჯარო მოსამსახურეებს და სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებს. მოცემული განმარტება არაზუსტია, რადგან

- ამ შემთხვევაში კერძო საწარმოში დასაქმებული პირები აღმოჩნდებოდნენ არათანაბარ პირობებში საჯარო მოსამსახურებთან და იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც დასაქმებული არიან სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ ორგანიზაციებში. იმდენად, რამდენადაც ნაფიც მსაჯულად მონაწილეობა მოქალაქის ვალდებულებაა, დასაქმებულ ნაფიც მსაჯულს, იქნება ის კერძო თუ სახელმწიფო სექტორში დასაქმებული, უნდა ჰქონდეს სამუშაო ადგილის შენარჩუნებისა და ანაზღაურების მიღების გარანტია, სხვაგვარად ეს გამოიწვევდა მათი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმას.
4. სასამართლო ვალდებულია, ინდივიდუალურად გაითვალისწინოს ნაფიცი მსაჯულის კანონიერი ინტერესი. სასამართლო თავისუფლდება ამ ვალდებულებისაგან, თუ ნაფიცი მსაჯულის კანონიერი ინტერესით დაცული სიკეთე ნაკლებია, ვიდრე მართლმსაჯულებისათვის ან მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი. ასეთ შემთხვევაში პირი არ უნდა გათავისუფლდეს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისაგან.

### მუხლი 29. მოთხოვნები ნაფიცი მსაჯულისადმი

- პირი უფლებამოსილია ნაფიც მსაჯულად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში, თუ:
- ა) საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებულია, როგორც 18 წელს გადაცილებული პირი (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).
  - ბ) იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;
  - გ) ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი;
  - დ) შეზღუდული არა აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობები, რაც ხელს არ შეუშლის მის მიერ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებას.
1. მუხლი შეიცავს იმ ძირითადი კრიტერიუმების ჩამონათვალს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სასამართლო პროცესში ნაფიც მსაჯულად მონაწილეობის უფლებამოსილების მქონე პირი. ნაფიც მსაჯულად გვევლინებიან საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული 18 წელს გადაცილებული პირები, რომლებმაც იციან სისხლის სამართლის პროცესის ენა და ცხოვრობენ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს განსჯადობის ტერიტორიაზე. ამავე დროს, ნაფიც მსაჯულად შესარჩევ პირს არ უნდა ჰქონდეს შეზღუდული ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები, რაც ხელს შეუშლის მის მიერ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებას.

### მუხლი 30. შეუთავსებლობა

- პირი ვერ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას ნაფიც მსაჯულად, თუ არსებობს ამ კოდექსით დადგენილი ნაფიცი მსაჯულის აცილების რომელიმე საფუძველი ან/და:
- ა) იგი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია;
  - ბ) იგი გამომძიებელია;
  - გ) იგი პოლიციელია;
  - დ) იგი ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში;
  - ე) იგი სასულიერო პირია;
  - ვ) იგი აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა;
  - ზ) იგი ბრალდებულია;
  - თ) იგი ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირია;
  - ი) მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად აღნიშნულ საქმეში აშკარად უსამართლო იქნებოდა ამ პირის მიერ გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე;



- კ) იგი ფსიქოლოგია;  
 ლ) იგი ფსიქიატრია;  
 მ) იგი იურისტიკა.

1. მხოლოდ სსსკ-ის 29-ე მუხლში მითითებული პირობების დაკმაყოფილება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირმა დაიკავოს ნაფიცი მსაჯულის სავარძელი. იგი ამავდროულად არ უნდა იყოს შეუთავსებელი ნაფიცი მსაჯულობისათვის. შეუთავსებლობას ადგილი ექნება, თუ არსებობს ნაფიცი მსაჯულის აცილების შემდეგი საფუძველი: პირი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია; გამომძიებელია; პოლიციელია; ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში; სასულიერო პირია; აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა; იგი ბრალდებულია; ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირია; მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად აღნიშნულ საქმეში აშკარად უსამართლო იქნებოდა ამ პირის მიერ გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე; ფსიქოლოგია; ფსიქიატრია; იურისტიკა.

### მუხლი 31. უარი ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე

პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე:

- ა) თუ უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული;
- ბ) თუ ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს;
- გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;
- დ) თუ ხანგრძლივად იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ;
- ე) თუ 70 წელს გადაცილებულია.

1. ნაფიც მსაჯულად მონაწილეობის მიღება მოქალაქის ვალდებულებაა, თუმცა არსებობს გარკვეული გარემოებები, რა დროსაც პირს უფლება აქვს უარი განაცხადოს აღნიშნული მოვალეობის შესრულებაზე. ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის საფუძველია: პირი უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული; ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს; მას ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს ამის საშუალებას; ხანგრძლივად იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ და თუ პირი 70 წელს გადაცილებულია.
2. განსხვავებით სსსკ-ის 29-ე და 30-ე მუხლებისა, სადაც მოცემულია იმ პირობების ჩამონათვალი, რომელთა არსებობა ან არარსებობა წარმოადგენს ნაფიც მსაჯულად მონაწილეობის გამომრიცხავ სავალდებულო გარემოებას, აღნიშნულ ნორმაში მითითებული პირობები არ ატარებს სავალდებულო ხასიათს. აღნიშნული პირობების არსებობა თავისთავად არ წარმოადგენს მსაჯულად არჩევაზე უარის თქმის საფუძველს. ამ პირობების არსებობა მსაჯულად ასარჩევ პირს აძლევს უფლებას უარი თქვას მსაჯულად მონაწილეობაზე, რადგან ეს პირობები თავისი ბუნებით წარმოადგენს საპატიო მიზეზს იმისათვის, რომ მოქალაქემ უარი თქვას მისი მოქალაქეობრივი ვალდებულების შესრულებაზე. თუკი პირს ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს რომ მონაწილეობა მიიღოს საქმის სასამართლო განხილვაში, ეს მხოლოდ მისი სურვილის შემთხვევაში იქნება ამ მოვალეობისაგან გათავისუფლების საფუძველი, სხვა შემთხვევაში ის მონაწილეობას მიიღებს მსაჯულთა შესარჩევ სხდომაში და ეს გარემოება სასამართლოს ინციპიენტით ვერ დაედება საფუძველად მსაჯულად მონაწილეობაზე უარის თქმას. იგივე შეიძლება ითქვას სხვა გარემოებებთან მიმართებაშიც.
3. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებული პირობები პირს მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის საფუძველს აძლევს, როგორც მსაჯულად არჩევამდე, გამოძახების ეტაპიდანვე, ასევე მსაჯულად არჩევის შემდეგაც, რადგან, მაგალითად, პირს შეი-

ძლება ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდეს ნაფიც მსაჯულად არჩევის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში კი მას შეუძლია უარი თქვას ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე და მას ჩაანაცვლებს სათადარიგო ნაფიცი მსაჯული.

## მუხლი 32. პროკურატურა

**პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. პროკურატურა ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.**

- 1. ნორმის მიზანი:** საქართველოს სსსკ-ის 32-ე მუხლი პროკურატურის უფლებამოსილებას განსაზღვრავს. მასში წარმოდგენილია პროკურატურის ძირითადი ფუნქციები სისხლის სამართლის პროცესში გამოძიების მიმდინარეობის, დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპებზე. მუხლი ერთმანეთისგან გამოყოფს წმინდა საპროკურორო და პროკურატურის, როგორც დანაშაულის ცალკეულ ფაქტებზე გამოძიების მწარმოებელი ორგანოს, საგამოძიებო ფუნქციებს.
- 2. პროკურატურის ფუნქციების ზოგადი მიმოხილვა:** საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილებას სსსკ-ის გარდა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 21 ოქტომბრის კანონი განსაზღვრავს.

სისხლის სამართლის პროცესში პროკურატურას სამი ძირითადი ფუნქცია გააჩნია – სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის. აღნიშნულ ფუნქციებს პროკურატურა პროკურორების მეშვეობით ახორციელებს. თითოეულ ეტაპზე პროკურორს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი აქვს. მისი უფლებების რეალიზება მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენის მომენტს არ უკავშირდება. პროკურორი საკმაოდ აქტიურად მონაწილეობს სისხლის სამართლის პროცესში (დანაშაულის ფაქტზე გამოძიების დაწყებიდან სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში წარმართვამდე), საპროცესო ხელმძღვანელობას უწევს გამოძიების მიმდინარეობას, დანაშაულის ფაქტის და მისი ჩამდენი პირის დადგენის მიზნით. საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგ კი მონაწილეობს სასამართლო სხდომაში და სახელმწიფოს სახელით მხარს უჭერს ბრალდებას – ითხოვს პირის დამნაშავედ ცნობას.

ზემოაღნიშნული სამი ძირითადი ფუნქციის გარდა, სსსკ-ის 32-ე მუხლი პროკურორს გამოძიების სრული მოცულობით ჩატარების უფლებამოსილებასაც ანიჭებს. ამ დროს პროკურორი სარგებლობს გამოძიებლის ყველა უფლებით და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა. სწორედ ამიტომ, პროკურატურა ხშირად საგამოძიებო უწყებად აღიქმება, მიუხედავად იმისა, რომ მისი საქმიანობა მნიშვნელოვანწილად საპროკურორო ფუნქციების განხორციელებაში გამოიხატება.

სსსკ-ის 32-ე მუხლის თანახმად, პროკურატურის ფუნქციებია:

- სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება;
- გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა;
- სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა;
- გამოძიების სრული მოცულობით ჩატარება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სსსკ-ის 32-ე მუხლი პროკურატურის უფლებამოსილებაში აერთიანებს როგორც საპროკურორო (სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის), ისე საგამოძიებო (გამოძიების სრული მოცულობით ჩატარების) ფუნქციებს. პროკურატურას

- მსგავს უფლებამოსილებებს ანიჭებს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 21 ოქტომბრის კანონი, რომლის მე-3 მუხლი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის-აგან განსხვავებით, პროკურატურას იმავდროულად დამატებითი ფუნქციებით აღჭურავს. კერძოდ, კანონის მიხედვით პროკურატურა, ზემოაღნიშნულთან ერთად, ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას და კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას. ამასთან, საპროკურორო კონტროლი, გარდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა, პატიმრობისა და სასჯელაღსრულების დანესებულებებში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზეც ვრცელდება. სსსკ-ში პროკურატურის უფლებამოსილების შედარებით ვიწროდ განხილვა თავად კოდექსით მოწესრიგებული საკითხების შინაარსით არის განპირობებული. იმის გათვალისწინებით, რომ სსსკ-ი გამოძიების და სასამართლო განხილვის ნებსებს ადგენს, პროკურატურის უფლებამოსილებაც სწორედ გამოძიების და სასამართლო განხილვის ქრილშია წარმოდგენილი.
- 3.** სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება
- დევნის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი – მოქმედი კანონმდებლობით (სსსკ-ის 32-ე და 166-ე მუხლები) პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. მხოლოდ პროკურორს შეუძლია, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობისას, გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ და სათანადო მტკიცებულებების არარსებობისას, შეწყვიტოს პირის მიმართ დანეყებული სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთან, დევნის დანეყებისა და შეწყვეტის საკითხი პროკურორის დისკრეციულ<sup>287</sup> უფლებამოსილებას განეკუთვნება. პროკურორს დევნის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება საქართველოს 2009 წლის 09 ოქტომბრის (მოქმედმა) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა შესძინა. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებამოსილებას გამომძიებელსაც<sup>288</sup> ანიჭებდა. კერძოდ, პირის მიმართ ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანა შეეძლო როგორც პროკურორს, ისე გამომძიებელს პროკურორის თანხმობით<sup>289</sup>. შეიძლება ითქვას, რომ 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი უშვებდა ერთი და იმავე სუბიექტის მიერ გამოძიების წარმოების და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესაძლებლობას. მართალია, პროკურორის თანხმობის გარეშე გამომძიებელს დევნის განხორციელება დამოუკიდებლად არ შეეძლო, მაგრამ კანონი თეორიულად დევნის განხორციელებისას არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების ალბათობას ქმნიდა.
- 4.** პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება – სისხლისსამართლებრივი დევნის დანეყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით (სსსკ-ის 166-ე მუხლი). პროკურორი დისკრეციული უფლებამოსილებით აღიჭურვა 2010 წლის 01 ოქტომბრიდან, მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა ახალი (მოქმედი) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორ-

<sup>287</sup> იურიდიული ლექსიკონი დისკრეციულ უფლებამოსილებას განმარტავს, როგორც მოსამართლის ან საჯარო მოხელის უფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს სხვადასხვა საკითხი კანონის ფარგლებში <http://legal-dictionary.thefreedictionary.com/discretion> [01/10/2015], ხოლო პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას, როგორც პროკურორის უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს პირის მიმართ დევნის დანეყების, საპროცესო შეთანხმების გაფორმების და სხვა საკითხები <http://www.yourdictionary.com/prosecutorial-discretion> [01/10/2015].

<sup>288</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია, მუხლი 75-ე, ნაწილი 1 – „ბრალდებულად ითვლება პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება მისი ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ“;

<sup>289</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია, მუხლი 22-ე – „პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი ვალდებულია დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ საამისოდ არსებობს საკმარისი საფუძველი“.

ცივლება პროკურორის ვალდებულება (სსსკ, 1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია, მუხლი 22 – „პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამოძიებული ვალდებულება დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ საამისოდ არსებობს საკმარისი საფუძველი“) იყო, დევნის დისკრეციული უფლებამოსილების ცნებას კი ძველი სსსკ-ი არ იცნობდა. შესაბამისად, დანაშაულის ჩადენის შესახებ მტკიცებულებათა სათანადო სტანდარტის არსებობის შემთხვევაში, პროკურორს ეკისრებოდა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ვალდებულება.

დისკრეციული უფლებამოსილების არსი, საჯარო ინტერესის არარსებობის მოტივით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმაში ან დევნის შეწყვეტაში მდგომარეობს. ამ დროს არსებობს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს ქმნის, მაგრამ პროკურორი, საჯარო ინტერესის არარსებობის გამო, მიზანშეწონილად მიიჩნევს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმას ან დაწყებული დევნის შეწყვეტას.

სსსკ-ის ის მუხლები, რომლებიც პროკურორს დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს, გადანყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმების ჩამონათვალს არ განსაზღვრავს, კერძოდ, სსსკ-ის მე-16 მუხლის მიხედვით „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადანყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით“. სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა აგრეთვე არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს“. სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა აგრეთვე არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს“. ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის – განრიდების გამოყენებისგან განსხვავებით, სსსკ-ი არც დანაშაულის კატეგორიების მიხედვით, აწესებს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებაზე შეზღუდვას. შესაბამისად, სსსკ-ის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენოს როგორც ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის, ისე მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ.

ერთი შეხედვით, ამგვარი ფართო დისკრეცია თეორიულად უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას ქმნის, რაც იურიდიულ ლიტერატურაში შერჩევითი დევნის (Selective Prosecution) სახელით მოიხსენიება. ამგვარი მოსაზრების ავტორები მიიჩნევენ, რომ შესაძლოა, სათანადო კანონისმიერი კონტროლის არარსებობის პირობებში, პროკურორმა გადანყვეტილება სუბიექტურ ფაქტორებზე დაყრდნობით მიიღოს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად, აშშ-ს) კანონმდებლობა შერჩევითი დევნის განხორციელების მტკიცების ტვირთს ბრალდებულს აკისრებს<sup>290</sup>. იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ში არსებობს დევნის განხორციელების სამართლიანობის პრეზუმფცია, ბრალდებული ვალდებულია ამტკიცოს, რომ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება სუბიექტური მოტივებით (ასაკი, რასა, სქესი და ა.შ.) იყო განპირობებული<sup>291</sup>, ვინაიდან მსგავს გარემოებებში თანაბარი სიმძიმის დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. აღსანიშნავია, რომ პროკურორისთვის საქართველოს სსსკ-ით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება არ არის შეუზღუდავი. კანონი პროკურორის უფლებამოსილებას ერთგვარ ჩარჩოებში აქცევს, რითაც მისი ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად მყარ გარანტიებს ქმნის.

<sup>290</sup> Weaver R. L., Abramson L. W., Burkoff J. M., Hancock C., Principles of Criminal Procedure, third edition, 292.

<sup>291</sup> იქვე, 293.

ერთის მხრივ, ასეთ გარანტიად გვევლინება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ და თავად მოქმედი სსსკ-ი, რომლის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილება სწორედ იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებულ სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებთან უნდა იყოს შესაბამისობაში.

გარდა ამისა, მოქმედი სსსკ-ი ითვალისწინებს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომ პროკურორთან, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას, რაც დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ერთგვარ გარანტს წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დისკრეციული უფლებამოსილების არსი საჯარო ინტერესის არარსებობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმაში ან მის შეწყვეტაში გამოიხატება, თუმცა, საჯარო ინტერესის შეფასების კრიტერიუმების განხილვამდე, დისკრეციული უფლებამოსილების არსის სწორად გასაგებად, მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, მტკიცებულებათა იმ სტანდარტის და იმ საპროცესო საფუძვლების მიმოხილვა, რომელთა არსებობის გარეშეც დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება და შეწყვეტა შეუძლებელი იქნებოდა. კერძოდ, პროკურორი მხოლოდ მაშინ არის უფლებამოსილი გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება, თუ:

- სახეზეა დანაშაულებრივი ქმედება;
- დადგენილია დანაშაულის ჩამდენი საჯარაუდო პირი;
- შეკრებილია მტკიცებულებები, რაც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია კონკრეტული პირის მიერ.

დასაბუთებული ვარაუდი არის ის მტკიცებულებითი სტანდარტი, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-არდაწყების და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პროკურორი უნდა დარწმუნდეს არა მხოლოდ დანაშაულის ფაქტის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის არსებობაში, არამედ ამ დანაშაულის კონკრეტული პირის მიერ ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის არსებობაში. გარდა იმისა, რომ კონკრეტული პირის დადგენის აუცილებლობაზე მიუთითებს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი, რომელიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის განმარტებას იძლევა, კონკრეტული პირის დადგენა აუცილებელია იმისთვის, რომ პროკურორმა ობიექტურად შეაფასოს საჯარო ინტერესის არსებობა-არარსებობის საკითხი.

მას შემდეგ, რაც პროკურორი, მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე, დარწმუნდება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობაში, მან უნდა შეაფასოს არსებობს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან გაგრძელების საჯარო ინტერესი, რომლის შეფასების კრიტერიუმებსაც „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის ბრძანება განსაზღვრავს.

ბრძანების მიხედვით, გარდა იმისა, რომ პროკურორმა შინაგანი რწმენით და კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებით უნდა იხელმძღვანელოს, მხედველობაში უნდა მიიღოს სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები, დანაშაულის ბუნება და სიმძიმე, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები და სხვა ფაქტორები (იუსტიციის მინისტრის ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“, 2010

ნლის 08 ოქტომბერი, ნაწილი 3, ქვეპუნქტი „ბ“). ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს მაშინ, როცა პიროვნების დასჯის ინტერესი გადაწონის დევნის განხორციელებაზე უარის თქმის საჯარო ინტერესს.

დისკრეციული უფლებამოსილების გამოსაყენებლად მტკიცებულებათა სტანდარტის (Probable Cause) დაკმაყოფილებასა და საჯარო ინტერესის შეფასების აუცილებლობაზე მიუთითებს აშშ-ს ზოგიერთი შტატის კანონმდებლობაც. ამასთან, საჯარო ინტერესის შეფასების კრიტერიუმებად საქმის სიძლიერეს, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციულ გავლენას, სახელმწიფოს სამართლებრივ პრიორიტეტებს და სისხლის სამართლის პოლიტიკასთან კონკრეტული საქმის გარემოებების შესაბამისობას<sup>292</sup> განსაზღვრავს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანება საჯარო ინტერესის განსაზღვრის კრიტერიუმების ამომწურავ ჩამონათვალს არ იძლევა, გადანყვეტილება ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებების და თავისებურებების გათვალისწინებით უნდა იქნეს მიღებული. თუმცა ბრძანებაში მითითებული გარემოებები კანონიერი და სამართლიანი გადანყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვან წინაპირობებს ქმნის.

5. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა – დანაშაულის ფაქტზე გამოძიების დაწყება და განხორციელება, დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენის მიზნით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება, გამოძიებლის უფლებამოსილებაა. აღნიშნულ პროცესზე ერთგვარ კონტროლს პროკურორი ახორციელებს. საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქცია გამოძიების დაწყების მომენტიდან ამოქმედდება და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განსახილველად წარმართვის დროს სრულდება. აღნიშნულ პროცესში პროკურორის უფლებამოსილება ძირითადად გამოძიებლისთვის ამა თუ იმ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ მითითებების მიცემაში, გამოძიების მიმართულებების განსაზღვრაში, მტკიცებულებების მოპოვების ხელშეწყობაში, საჭიროების შემთხვევაში, საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობაში ან/და საგამოძიებო მოქმედებების დამოუკიდებლად ჩატარებაში გამოიხატება.

მოქმედი კანონმდებლობა პროკურორს გამოძიების პროცესში – დანაშაულის ფაქტზე გამოძიების დაწყების მომენტიდან მის დასრულებამდე, აქტიურ სუბიექტად განიხილავს, რაც მას შესაძლებლობას აძლევს ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვეს გამოძიების მთელ პროცესს და სწორად განსაზღვროს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობის საკითხი გამოძიებლისთვის საქმის დამატებითი გამოძიებისთვის უკან დაბრუნების და ყოველგვარი გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.

პროკურატურა გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად ახორციელებს – ამგვარი განმარტების შესაძლებლობას იძლევა სსსკ-ის 32-ე მუხლი.

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქცია მსგავსი მოცულობით არის წარმოდგენილი საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში (მაგალითად, გერმანია<sup>293</sup>), თუმცა არსებობს ქვეყნები (დიდი ბრიტანეთი<sup>294</sup>, აშშ<sup>295</sup>), რომლებიც პროკურორს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციას არ აკისრებენ ან მის ამ უფლებამოსილებას შედარებით ვიწროდ განიხილავენ. ამ ქვეყნებში საპროკურორო უფლებამოსილება გამოძიების ეტაპზე ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად სასამართლოსგან ნებართვის მოპოვებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების

<sup>292</sup> Weaver R. L., Abramson L. W., Burkoff J. M., Hancock C., Principles of Criminal Procedure, Third edition 292, 291.

<sup>293</sup> Krey V., The Public Prosecution's Role in Criminal Proceedings under the Rule of Law – Legal Situation in Germany with Comparative Law Remarks on UK and USA, Institut für Rechtspolitik an der Universität Trier, 5, 14, 16.

<sup>294</sup> იქვე, 7.

<sup>295</sup> იქვე, 8.

- ფუნქციებით შემოიფარგლება, ხოლო გამოძიების დაწყება, წარმართვა და დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენა მთლიანად საგამოძიებო ორგანოების უფლებამოსილებაა. ამგვარი პრაქტიკის პირობებში, პროკურორი გამოძიების პროცესში მაშინ ერთვება, როცა საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად სასამართლოდან ნებართვის გამოთხოვაა საჭირო და როცა გადასაწყვეტია გამოძიების მიერ იდენტიფიცირებული დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-არდაწყების საკითხი.
6. სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა – მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში წარიმართება, მოქმედებას იწყება სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ფუნქცია, რაც სასამართლო სხდომაში მონაწილეობასა და სახელმწიფოს სახელით ბრალდების მხარდაჭერაში (ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის მოთხოვნაში) გამოიხატება.<sup>296</sup>
7. გამოძიების სრული მოცულობით ჩატარება – გამოძიების სრული მოცულობით ჩატარების უფლება პროკურატურის საგამოძიებო უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება. ამ დროს პროკურორი გამოძიებლის ყველა უფლებამოსილებით სარგებლობს.
- პროკურატურის აღნიშნულ უფლებამოსილებაზე, საქართველოს სსსკ-ის გარდა, მიუთითებს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონი, თუმცა არც ერთი და არც მეორე კანონი არ განსაზღვრავს იმ დანაშაულთა კატეგორიას, რომლის გამოძიების უფლებაც პროკურატურას აქვს. პროკურატურის საგამოძიებო უფლებამოსილებას მიკუთვნებულ დანაშაულთა კატეგორია განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 07 ივლისის ბრძანებით „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“, რომლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით, პროკურატურის გამოძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება საქმეები: საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს მოსამართლის, სახალხო დამცველის, გენერალური აუდიტორის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, პროკურატურის მუშაკის, პოლიციელის, თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ დანაშაულთა თაობაზე. აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164<sup>1</sup>, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 220-ე, 221-ე, 332-ე-335-ე, 337-ე-342-ე (გარდა ბრძანების დანართის მე-4, მე-5 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), 194-ე და 194<sup>1</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები. იუსტიციის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოძიება უნდა დაიწყოს და განახორციელოს საქართველოს პროკურატურის გამოძიებელმა. ამასთან, თუ გამოძიება დაიწყოს სხვა საგამოძიებო ორგანომ, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხი.
- გამოძიების პროცესში, პროკურორი, როგორც გამომძიებელი, უფლებამოსილია ჩაატაროს ნებისმიერი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება და ისარგებლოს სსსკ-ის 37-ე მუხლით გათვალისწინებული გამომძიებლის ყველა უფლებით.

### მუხლი 33. პროკურორი

1. პროკურორი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. სასამართლოში პროკურორი არის სახელმწიფო ბრალმდებელი. მას ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი.
2. სასამართლოში თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას პროკურორი დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.

<sup>296</sup> პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის უფლებამოსილების შესახებ იხ., სსსკ-ის 33-ე მუხლის კომენტარი.

3. ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული უკანონო ან/და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, შეიტანოს მასში ცვლილება ან შეცვალოს იგი ახალი გადაწყვეტილებით.

4. პროკურორი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სასამართლო სხდომაში.

5. ამ კოდექსის საფუძველზე გამოძიებისას პროკურორის დადგენილების შესრულება სავალდებულოა.

6. პროკურორი უფლებამოსილია:

ა) საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაავალოს ამა თუ იმ სამართალდამცავ ორგანოს ან გამოძიებულს; საქმე ჩამოართვას ერთ გამოძიებულს და გადასცეს მეორეს. საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს; გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობიდან ჩამოაშოროს ქვემდგომი პროკურორი და მისი ფუნქციები დააკისროს სხვა პროკურორს;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში ან თვითონ აწარმოოს წინასწარი გამოძიება სრული მოცულობით;

გ) გამოძიებისას სავალდებულო მითითება მისცეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს ან/და ქვემდგომ პროკურორს;

დ) მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის ცალკეული მასალები ან მთლიანად სისხლის სამართლის საქმე;

ე) ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, ადამიანის უფლებათა შემზღვეველი საგამოძიებო მოქმედების ან/და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების მისაღებად, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს (24.09.2010.№3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).

ვ) გააუქმოს გამოძიებლის ან ქვემდგომი პროკურორის დადგენილება;

ზ) შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება ან შეაჩეროს სისხლისსამართლებრივი დევნა;

თ) გადაწყვიტოს საჩივარი გამოძიებლის მოქმედების ან/და დადგენილების გამო, ხოლო მისი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში საჭირო ახსნა-განმარტება მისცეს სასამართლოს;

ი) შეცვალოს ბრალდება;

კ) ბრალდებულთან დადოს საპროცესო შეთანხმება და სასამართლოში წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე;

ლ) სასამართლოში წარადგინოს მტკიცებულება, მონაწილეობა მიიღოს მისი დასაშვებობის საკითხის განხილვაში;

მ) სასამართლოს მიმართოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით;

ნ) მოითხოვოს და დაუბრკოლებლად მიიღოს სახელმწიფო ორგანოებიდან დოკუმენტი თუ სხვა ნივთიერი მტკიცებულება;

ო) გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ძებნის შესახებ;

პ) პირი ცნოს დაზარალებულად და განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობები;

ჟ) განახორციელოს ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

1. **ნორმის მიზანი:** სსსკ-ის 33-ე მუხლი პროკურორის უფლებამოსილებას განსაზღვრავს. კერძოდ, მასში წარმოდგენილია გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესში პროკურორის ის ძირითადი უფლებამოსილებანი, რომელთა მეშვეობითაც პროკურორამ სისხლისსამართლებრივი დევნის, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და სახელ-



- მნიფო ბრალდების მხარდაჭერის ფუნქციები უნდა განახორციელოს.
2. პროკურორი, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი: გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა პროკურატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, რომელსაც უწყება პროკურორების მეშვეობით ახორციელებს. როგორც სსსკ-ის 32-ე მუხლის კომენტარებისას აღინიშნა, პროკურორს, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელს, გამოძიების პროცესში საკმაოდ აქტიური როლი აქვს. ის არა მხოლოდ შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს აძლევს გამომძიებლებს, რითაც ფაქტობრივად განსაზღვრავს გამოძიების მიმართულებებს, არამედ მას უფლება აქვს უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა საგამომძიებო მოქმედებებში და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, თვითონ აწარმოოს სრული მოცულობით გამოძიება. გამომძიებლისთვის შესასრულებლად სავალდებულო მითითებების მიცემა, გამოძიების პროცესში აქტიური მონაწილეობა, დანაშაულის ფაქტის და დანაშაულის ჩამდენი პირის დროულად დადგენის, სრულყოფილი გამოძიების ჩატარების მიზანს ემსახურება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროკურორს, გარკვეული პერიოდულობით, სისხლის სამართლის საქმის ან მისი ცალკეული მასალების მოთხოვნის უფლება აქვს. საქმის მოთხოვნა კი, თავის მხრივ, მისი შესწავლისა და მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასების მიზნებს ემსახურება. საქმის შესწავლის შემდეგ, პროკურორი უფლებამოსილია, რამდენიმე ტიპის გადაწყვეტილება მიიღოს:
- მითითებები მისცეს გამომძიებელს ცალკეული საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ;
  - საკმარისი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში (დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი), გადაწყვიტოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით დევნის დაწყება-არდაწყების საკითხი;
  - სათანადო საფუძვლების არსებობისას (სსსკ-ის 105-ე მუხლი) შეწყვიტოს გამოძიება.
3. გამოძიების მიმდინარეობის პროცესში პროკურორს, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელს, უფლება აქვს გააუქმოს გამომძიებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება როგორც უკანონო ან დაუსაბუთებელი, განიხილოს საჩივრები გამომძიებლის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო, საგამომძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით საქმე ჩამოართვას ერთ გამომძიებელს და გადასცეს მეორეს. აღსანიშნავია, რომ პროკურორი უფლებამოსილია, გამომძიებლის მოქმედების ან გადაწყვეტილების თაობაზე საჩივარი განიხილოს მხოლოდ გამოძიების ეტაპზე. საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გამომძიებლის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ საჩივარი წარედგინება საქმის განმხილველ მოსამართლეს. ამ ეტაპზე პროკურორი ვერ იქნება საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი პირი, ვინაიდან საქმე აღარ იმყოფება გამოძიების ეტაპზე, რომლის საპროცესო ხელმძღვანელობასაც პროკურორი ახორციელებს. ამასთან, პროკურორი გამომძიებლის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო განიხილავს მხოლოდ იმ პირის მიერ წარმოდგენილ საჩივარს, რომელსაც საჩივრის წარდგენის უფლებამოსილებას სსსკ-ი ანიჭებს<sup>297</sup>. საჩივრის განხილვის პროცესში პროკურორი ამოწმებს გამომძიებლის მოქმედების ან გადაწყვეტილების კანონიერებას და დასაბუთებულობას. კანონიერების განსაზღვრისას პროკურორი აფასებს, არსებობდა თუ არა გადაწყვეტილების მიღების კანონისმიერი საფუძველი, გამომძიებლის მიერ გაკეთებული დასკვნები გამომდინარეობს თუ არა კანონმდებლობიდან, საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებები, რომლებსაც გამომძიებლის გადაწყვეტილება ემყარება, ჩატარდა თუ არა სსსკ-ის მოთხოვნათა დაცვით დასაბუთებულობის განსაზღვრისას პროკურორი აფასებს, რამდენად არგუმენტირებულია გამომძიებლის გადაწყვეტილება და გამომდინარეობს თუ არა გამომძიებლის არგუმენტაცია საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან. საჩივართან დაკავშირებით პროკურორი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
- უცვლელად ტოვებს გამომძიებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას;

<sup>297</sup> იხ., სსსკ-ის 95-ე მუხლის კომენტარები.

- ცვლილება შეაქვს გამომძიებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში;
  - აუქმებს გამომძიებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.
4. პროკურორის როლი გამოძიების პროცესში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მთელ რიგ საგამომძიებო/საპროცესო მოქმედებებს გამომძიებელი მისი თანხმობის და საგამომძიებო/საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის მოპოვების პროცესში მისი უშუალო მონაწილეობის გარეშე, დამოუკიდებლად ვერ ატარებს. კერძოდ, მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით იმგვარი საგამომძიებო ან საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის (განჩინების) გაცემის შესახებ, რომელიც ზღუდავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი უფლებამოსილება, 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედების პირობებში, პროკურორის თანხმობით, გამომძიებელსაც ჰქონდა. მოქმედი სსსკ-ის მიხედვით კი, მხოლოდ პროკურორს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს:
- ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით;
  - ჩხრეკის, ამოღების და სხვა საგამომძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ნებართვის (განჩინების) გაცემის შუამდგომლობით;
  - ქონებაზე ყადაღის დადების, პირადობის მოწმობის მოქმედების ვადის შეჩერების ან სხვა საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ნებართვის (განჩინების) გაცემის შუამდგომლობით;
  - პირის დაკავების შესახებ ნებართვის (განჩინების) გაცემის შუამდგომლობით;
  - ფარული საგამომძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ნებართვის (განჩინების) გაცემის შუამდგომლობით;
  - ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ ნებართვის (განჩინების) გაცემის შუამდგომლობით.
5. სსსკ-ი არ ადგენს პროცედურას, თუ რა წესით უნდა მოხდეს გამომძიებლის მიერ პროკურორის ინფორმირება საგამომძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების საჭიროების შესახებ. კანონი არც პროკურორისთვის შეტყობინების ფორმაზე მიუთითებს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი პრაქტიკაში სხვადასხვაგვარად რეგულირდება. ზოგ შემთხვევაში გამომძიებელი ზეპირად – ტელეფონის ან სხვა ტექნიკური საშუალების – გამოყენებით ახდენს პროკურორის ინფორმირებას, ხოლო ზოგ შემთხვევაში – წერილობით. შეიძლება ითქვას, აღნიშნული მთლიანად გამომძიებლისა და პროკურორის ურთიერთშეთანხმებაზეა დამოკიდებული. სსსკ-ი არც პროკურორისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის შინაარსს განსაზღვრავს, თუმცა სსსკ-ის შესაბამისი ნორმების ანალიზი იძლევა იმგვარი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას, რომ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ცნობებს საგამომძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების ფორმალური (საპროცესო) და ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძვლების შესახებ, ვინაიდან პროკურორს სსსკ-ი სასამართლოს წინაშე სწორედ მითითებული საფუძვლების დასაბუთებას ავალდებულებს. კერძოდ, გამომძიებელმა პროკურორს უნდა წარუდგინოს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საგამომძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების აუცილებლობის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს იძლევა. მაგალითად, ბინაში ჩხრეკის ჩასატარებლად აუცილებელია ინფორმაციის მიწოდება მტკიცებულებათა იმ ერთობლიობის შესახებ, რომელიც ქმნის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ნივთის/საგნის ბინაში არსებობის შესახებ დასაბუთებულ ვარაუდს. გარდა ზემოაღნიშნულისა, სსსკ-ი ცალკეული საპროცესო გადაწყვეტილებების მიღების უფლებას მხოლოდ პროკურორს ანიჭებს. კერძოდ, მხოლოდ პროკურორს შეუძლია პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობა, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიმართ ძებნის გამოცხადება. მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი ბრალდებულთან სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე გააფორმოს საპროცესო შეთანხმება და მიმართოს სასამართლოს არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ შუამდგომლობით. გამოძიების პროცესში შემაჯამებელი გადაწყვეტილების

- (სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების შეწყვეტის) მიღების უფლებაც მხოლოდ პროკურორს აქვს.
6. პროკურორის, როგორც საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრაზე უფლებამოსილი პირის, სისხლის სამართლის საქმეთა უწყებრივი და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობა განსაზღვრულია საქართველოს სსსკ-ით და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 07 ივლისის ბრძანებით „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“.
  7. მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი უწყებრივი და ტერიტორიული ქვემდებარეობის შესაბამისად, სსსკ-ისა და იუსტიციის მინისტრის ბრძანების მოთხოვნთა დაცვით, გადააგზავნოს სისხლის სამართლის საქმე ერთი საგამოძიებო უწყებიდან მეორე საგამოძიებო უწყებაში. გამომძიებელს მსგავსი უფლებამოსილება არ გააჩნია. თუ გამოძიების დაწყების შემდეგ ან მიმდინარეობის დროს დადგინდა, რომ სისხლის სამართლის საქმე სხვა საგამოძიებო უწყების ტერიტორიულ ან უწყებრივ ქვემდებარეობას განეკუთვნება, გამომძიებელი, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, სისხლის სამართლის საქმეს ქვემდებარეობის საკითხის გადასაწყვეტად წარუდგენს პროკურორს, რომელსაც გამოაქვს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის ქვემდებარეობით გადაგზავნის შესახებ. მაგალითად, ძველი თბილისის შს სამმართველოში გ-ს განცხადების საფუძველზე დაიწყო გამოძიება მითვისების ფაქტზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 07 ივლისის ბრძანებით, „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“, აღნიშნული დანაშაული ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უწყებრივ ქვემდებარეობას განეკუთვნება. შესაბამისად, ძველი თბილისის შს სამმართველოს გამომძიებელი ვალდებულია, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, სისხლის სამართლის საქმე ქვემდებარეობის საკითხის გადასაწყვეტად წარუდგინოს პროკურორს. ამ უკანასკნელმა კი უნდა გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება, საქმის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისთვის ქვემდებარეობით გადაგზავნის შესახებ (უწყებრივი ქვემდებარეობა). ან/და, მაგალითად, თბილისის შს სამმართველოში გ-ს განცხადების საფუძველზე დაიწყო გამოძიება ზუგდიდში მის მიმართ ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 07 ივლისის ბრძანებით, „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ აღნიშნული დანაშაული ზუგდიდის შს სამმართველოს ტერიტორიულ ქვემდებარეობას განეკუთვნება. შესაბამისად, თბილისის შს სამმართველოს გამომძიებელი ვალდებულია, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ სისხლის სამართლის საქმე ქვემდებარეობის საკითხის გადასაწყვეტად წარუდგინოს პროკურორს. ამ უკანასკნელმა კი უნდა გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება, საქმის ზუგდიდის შს სამმართველოსთვის ქვემდებარეობით გადაგზავნის შესახებ (ტერიტორიული ქვემდებარეობა).
  8. აღსანიშნავია, რომ პროკურორს უფლება აქვს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს მხოლოდ უწყებრივი და ტერიტორიული ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით. ამგვარი მოთხოვნების დაუცველად, ანუ ქვემდებარეობის მიუხედავად, სისხლის სამართლის საქმის ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოღების და სხვა საგამოძიებო ორგანოსთვის გადაცემის უფლებამოსილებით მხოლოდ მთავარი პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სარგებლობს.
  9. სსსკ-ი არ განსაზღვრავს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად საქმის გამოსაძიებლად გადაცემის საფუძველებს, კერძოდ, არ ჩამოთვლის იმ შემთხვევებს, როცა მთავარი პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ქვემდებარეობის წესის დარღვევის უფლება აქვთ. შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით, აღნიშნული მთლიანად მთავარი პროკურორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის შეხედულებაზე დამოკიდებული. თუმცა აღნიშნულ საკითხზე

გადაწყვეტილების მიმღებ პირს სსსკ-ის ის ნორმა ზღუდავს, რომელიც გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირის მხრიდან ნებისმიერი გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობაზე მიუთითებს. საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მთავარი პროკურორი და მის მიერ უფლებამოსილი პირი საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, სისხლის სამართლის საქმის სხვა საგამოძიებო ორგანოსთვის გადაცემის გადაწყვეტილებას ძირითადად შემდეგ საფუძვლებზე მითითებით იღებენ:

- სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უმრავლესობა ცხოვრობს სხვა საგამოძიებო ორგანოს ქვემდებარეობას მიკუთვნებულ ტერიტორიაზე, რაც აადვილებს საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებში მათ მონაწილეობას;
- სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი საგამოძიებო ან/და საპროცესო მოქმედებების უმრავლესობა ჩასატარებელია სხვა საგამოძიებო ორგანოს ქვემდებარეობას მიკუთვნებულ ტერიტორიაზე;
- სისხლის სამართლის საქმეზე გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა სხვა საგამოძიებო ორგანომ და საქმის საგამოძიებო ქვემდებარეობით გადაგზავნა გამოიწვევს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურებას ან/და სხვაგვარად ხელს შეუშლის გამოძიების ინტერესებს;
- დანაშაული გამოვლენილია სხვა საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლების მიერ;
- სხვა საგამოძიებო ორგანოსთვის საქმის გამოსაძიებლად გადაცემა მნიშვნელოვნად შეამცირებს საპროცესო ხარჯებს;
- საქმის სხვა საგამოძიებო ორგანოსთვის გადაცემა უკეთ უზრუნველყოფს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების ჩატარებას.

მაგალითად, თბილისში მომხდარი ქურდობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო ქუთაისში. დაზარალებული და დანაშაულის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მქონე მონმეთა უმრავლესობა ცხოვრობს ქუთაისში. გამოძიების პროცესში მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციით, მოპარული ნივთები ინახება ქუთაისში, ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში, სადაც აუცილებელია ჩხრეკის ჩატარება. მსგავს შემთხვევაში, მთავარ პროკურორს შეუძლია ზემოაღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, საქმეზე დროული და ეფექტური გამოძიების უზრუნველსაყოფად, სისხლის სამართლის საქმე გამოსაძიებლად დაუქვემდებაროს ქუთაისის შს სამმართველოს, მიუხედავად იმისა, რომ საქმე თბილისის შს სამმართველოს ტერიტორიულ ქვემდებარეობას განეკუთვნება.

- 10. პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი:** სასამართლოში პროკურორი სახელმწიფოს სახელით მოქმედებს, მხარს უჭერს ბრალდებას – ითხოვს ბრალდებულის დამნაშავედ ცნობას. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებისას პროკურორი ემორჩილება მხოლოდ კანონს. ბრალდებული არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. სასამართლო სხდომაზე ბრალდების მტკიცების მოვალეობა პროკურორს ეკისრება, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის შეზღუდული არ არის შეცვალოს ბრალდება ან უარი თქვას ბრალდებაზე, თუ სასამართლოს სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით პირის ბრალეულობა არ დადასტურდება. ბრალდების მთლიანად ან ნაწილობრივ მოხსნის უფლებამოსილებას პროკურორს სსსკ-თან ერთად „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონი ანიჭებს. პროკურორის მონაწილეობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის სააპელაციო და საკასაციო განხილვისას სავალდებულოა. პროკურორს უფლება არ აქვს უარი თქვას სასამართლო სხდომაში მონაწილეობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს თვითაცილების კანონით გათვალისწინებული საფუძველი. სასამართლო სხდომაზე პროკურორი საკმაოდ ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს. სხდომის დასაწყისში და დასასრულს ის მოსამართლის (ნაფიცი მსაჯულების) წინაშე შესავალი და დასკვნითი სიტყვებით წარდგება, წარმოადგენს საკუთარ მტკიცებულებებს და მონაწილეობს დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაში, სარგებლობს შუამდგომლობების დაყენების უფლებით. აღსანიშნავია, რომ 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსი პროკურორს სასჯელის მოთხოვნის უფლებამოსილება-საც ანიჭებდა. მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით კი პროკურორი სასამართლო სხდომაზე სასჯელს აღარ ითხოვს. სასჯელის განსაზღვრა მთლიანად მოსამართლის უფლებამოსილებაა. პრაქტიკაში დავას ინვესს საკითხი – უნდა ჰქონდეს თუ არა პროკურორს და ზოგადად მხარეს (ბრალდების და დაცვის) სასჯელთან დაკავშირებით პოზიციის გამოხატვის უფლება – არა სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის მოთხოვნის, არამედ საქმეში არსებული შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარამოებების გათვალისწინებით, პირის მკაცრად ან ლმობიერად დასჯის მოთხოვნის უფლება. სსსკ-ის შესაბამისი მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარე ამგვარი უფლებამოსილებით უნდა სარგებლობდეს, სხვაგვარად ის მოკლებული იქნება სასჯელის ნაწილში განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობას ან/და ამგვარი გასაჩივრება ფორმალურ ხასიათს შეიძენს. მხედველობაში გვაქვს სსსკ-ის 298-ე და 308-ე მუხლები. სსსკ-ის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, თუ ბრალდების მხარემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამავე კოდექსის 308-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს უფლება აქვს, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, თუ ბრალდების მხარემ შეიტანა საკასაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებში. სსსკ-ის მითითებულ ნორმათა მიზანი ვერ იქნება მიღწეული, თუ მხარეს არ მიეცემა სასჯელთან დაკავშირებით პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში პოზიციის დაფიქსირების უფლება. ამასთან, პოზიციის დაფიქსირების აუცილებლობაზე პირდაპირ მიუთითებს სსსკ-ის 298-ე და 308-ე მუხლები. სხვაგვარად მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების ალბათობა სასჯელის ლმობიერების მოტივით განაჩენის გადასინჯვის შესახებ, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი და სასჯელის შეცვლის მოტივით საქმის განხილვა ზემდგომ ინსტანციაში ფორმალურ ხასიათს შეიძენს.

11. ზემდგომი პროკურორის უფლებამოსილება გამოძიების პროცესში: პროკურატურა იერ-არქიულად დაქვემდებარებული სტრუქტურაა. ყოველი ქვემდგომი პროკურორი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ზემდგომ პროკურორს ექვემდებარება და ეკისრება ზემდგომი პროკურორის კანონიერი მოთხოვნის და მითითების შესრულების ვალდებულება. ზემდგომი პროკურორისადმი ქვემდგომის დაქვემდებარების ფორმებს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს. კანონის მიხედვით, ამგვარი დაქვემდებარება გულისხმობს ქვემდგომი პროკურორის მიერ ზემდგომი პროკურორისათვის თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშის, ინფორმაციის, საქმეებისა და მასალების წარდგენას; ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომი პროკურორისათვის პროკურატურის ორგანიზაციის და საქმიანობის საკითხებზე მიცემულ მითითებათა შესრულების სავალდებულოობას; ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომი პროკურორის გადანყვეტილებებისა და აქტების გაუქმებას, მათში ცვლილებების შეტანას, მათი სხვა გადანყვეტილებებით ან აქტებით შეცვლას; ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომი პროკურორის გადანყვეტილებებსა და აქტებზე საჩივრების განხილვას. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონისგან განსხვავებით, ზემდგომი პროკურორის უფლებამოსილებას ქვემდგომთან მიმართებაში მთლიანად სისხლის სამართალწარმოების ძრილში განხილვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ზემდგომ პროკურორს გამოძიების მიმდინარეობის დროს მნიშვნელოვან ფუნქციებს აკისრებს. ზოგჯერ ზემდგომი პროკურორი ერთგვარი მაკონტროლებლის ფუნქციას ასრულებს, რაც ქვემდგომის მიერ კანონიერი და სამართლიანი გადანყვეტილების მიღებას უზრუნველყოფს. გარდა იმისა, რომ ზემდგომ პროკურორს აქვს ქვემდგომი პროკურორისთვის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სავალდებულო მითითებების მიცემის უფლება, მას შეუძლია გააუქმოს სისხლის სამართლის საქმეზე ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული უკანონო ან დაუსაბუთებელი გადანყვეტილება.

უფრო მეტიც, თუ ობიექტური გამოძიება და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება სხვაგვარად ვერ იქნება უზრუნველყოფილი, ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობიდან ჩამოაშოროს ქვემდგომი პროკურორი და მისი ფუნქციები დააკისროს სხვა პროკურორს. სსსკ-ი შეიცავს ზოგიერთ ისეთ ნორმას, რომელიც ზემდგომ პროკურორთან ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას ითვალისწინებენ. მაგალითად, ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრებას ექვემდებარება ქვემდგომი პროკურორის ისეთი გადაწყვეტილებები, როგორცაა:

- დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ;
- დადგენილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ;
- დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის შესახებ;
- დადგენილება დაზარალებულად ცნობაზე უარის შესახებ;
- დადგენილება დაზარალებულად ცნობის დადგენილების გაუქმების შესახებ.

ზემდგომ პროკურორთან საჩივრდება ასევე ქვემდგომი პროკურორის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც, საჩივრის ავტორის აზრით, უკანონო ან დაუსაბუთებელია.

12. პროკურატურის სტრუქტურა, ქვემდგომი პროკურორის დაქვემდებარება ზემდგომისადმი: ზემდგომი პროკურორისადმი ქვემდგომის დაქვემდებარების საკითხის უკეთ გასარკვევად მიზანშეწონილია, პროკურატურის სტრუქტურის მიმოხილვა. საქართველოს პროკურატურას ხელმძღვანელობს მთავარი პროკურორი, რომელსაც სამსახურებრივად პროკურატურის სისტემაში შემავალი ყველა სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი და რიგითი პროკურორი ექვემდებარება. პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფებია:

- მთავარი პროკურატურის დეპარტამენტები;
- ქ. თბილისის პროკურატურა;
- საოლქო პროკურატურები;
- აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურები;
- რაიონული პროკურატურები.

13. მთავარი პროკურატურის დეპარტამენტები – თითოეულ დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც ჰყავს მოადგილე (მოადგილეები). ზოგიერთ დეპარტამენტში შექმნილია სამმართველო (სამმართველოები), რომელსაც ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი. დეპარტამენტი დაკომპლექტებულია პროკურორებით. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი (დეპარტამენტი), რომელიც, მისი საგამოძიებო ფუნქციებიდან გამომდინარე, აგრეთვე დაკომპლექტებულია გამომძიებლებით.

14. ქ. თბილისის პროკურატურა – ხელმძღვანელობს ქ. თბილისის პროკურორი, რომელსაც ჰყავს მოადგილეები. ქ. თბილისის პროკურატურაში შექმნილია განყოფილება და საგამოძიებო ნაწილი, რომლებსაც ხელმძღვანელობენ შესაბამისად განყოფილებისა და საგამოძიებო ნაწილის უფროსები. ქ. თბილისის პროკურატურა დაკომპლექტებულია პროკურორებითა (განყოფილებაში) და გამომძიებლებით (საგამოძიებო ნაწილში).

15. საოლქო პროკურატურები – საქართველოს მასშტაბით, ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, შექმნილია ხუთი საოლქო პროკურატურა (დასავლეთ საქართველოს, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის). თითოეულ მათგანს ხელმძღვანელობს საოლქო პროკურორი, რომელსაც ჰყავს მოადგილე. საოლქო პროკურატურაში შექმნილია განყოფილება და საგამოძიებო ნაწილი, რომლებსაც ხელმძღვანელობენ შესაბამისად განყოფილებისა და საგამოძიებო ნაწილის უფროსები. საოლქო პროკურატურები დაკომპლექტებულია პროკურორებითა (განყოფილებაში) და გამომძიებლებით (საგამოძიებო ნაწილში).

16. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურები – თითოეულ მათგანს ხელმძღვანელობს აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი,

რომელსაც ჰყავს მოადგილე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში შექმნილია განყოფილება და საგამოძიებო ნაწილი, რომლებსაც ხელმძღვანელობენ შესაბამისად განყოფილებისა და საგამოძიებო ნაწილის უფროსები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა დაკომპლექტებულია პროკურორებითა (განყოფილებაში) და გამომძიებლებით (საგამოძიებო ნაწილში).

17. რაიონული პროკურატურები – ქვეყნის მასშტაბით, ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, ფუნქციონირებს 28 რაიონული პროკურატურა. თითოეულ მათგანს ხელმძღვანელობს რაიონული პროკურორი, რომელსაც ჰყავს მოადგილე. რაიონული პროკურატურა დაკომპლექტებულია პროკურორებით.
18. რაიონული პროკურატურები საოლქო პროკურატურების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურისა და ქ. თბილისის პროკურატურის შემადგენლობაშია გაერთიანებული. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში გაერთიანებულია ქუთაისის, სამტრედიის, ზესტაფონის, საჩხერისა და ამბროლაურის რაიონული პროკურატურები.  
რაიონული პროკურატურის თითოეული პროკურორი სამსახურებრივად, პირველ რიგში, ექვემდებარება რაიონულ პროკურორს და მის მოადგილეს, შემდეგ შესაბამის საოლქო პროკურორს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს, ქ. თბილისის პროკურორსა და მათ მოადგილეებს, ხოლო შემდეგ მთავარი პროკურორის შესაბამის მოადგილესა და მთავარ პროკურორს.
19. საოლქო პროკურატურის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის, ქ. თბილისის პროკურატურის თითოეული პროკურორი და გამომძიებელი სამსახურებრივად, პირველ რიგში, ექვემდებარება შესაბამისი განყოფილებისა და საგამოძიებო ნაწილის უფროსს, შემდეგ შესაბამის საოლქო პროკურორს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს, ქ. თბილისის პროკურორსა და მათ მოადგილეებს, ხოლო შემდეგ მთავარი პროკურორის შესაბამის მოადგილესა და მთავარ პროკურორს.
20. მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორი სამსახურებრივად, პირველ რიგში, ექვემდებარება დეპარტამენტში შემავალი შესაბამისი სამმართველოს უფროსს, შემდეგ დეპარტამენტის უფროსსა და მის მოადგილეს, ხოლო შემდეგ – მთავარი პროკურორის შესაბამის მოადგილესა და მთავარ პროკურორს.  
რაიონული პროკურორები სამსახურებრივად, პირველ რიგში, ექვემდებარებიან შესაბამის საოლქო პროკურორებსა და მათ მოადგილეებს, ხოლო შემდეგ – მთავარი პროკურორის შესაბამის მოადგილეებსა და მთავარ პროკურორს.
21. საოლქო პროკურორები, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორები, ქ. თბილისის პროკურორი, მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის უფროსები, სამსახურებრივად ექვემდებარებიან მთავარი პროკურორის შესაბამის მოადგილეებსა და მთავარ პროკურორს.
22. საქართველოს პროკურატურის სტრუქტურის გათვალისწინებით და ქვემდგომი პროკურორის ზემდგომისადმი სამსახურებრივი დაქვემდებარების წესიდან გამომდინარე, შეგვიძლია, განვიხილოთ ვინ ითვლება ზემდგომ პროკურორად და შესაბამისად, საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ პირად, ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნებისათვის. მაგალითად, თუ პირი ასაჩივრებს ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორის გადაწყვეტილებას, საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილია როგორც ძველი თბილისის რაიონული პროკურორის მოადგილე და რაიონული პროკურორი, ქ. თბილისის პროკურორის მოადგილე და ქ. თბილისის პროკურორი, ისე მთავარი პროკურორის მოადგილე და მთავარი პროკურორი. ან/და თუ პირი ასაჩივრებს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორის გადაწყვეტილებას, საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ ზემდგომ პროკურორს წარმოადგენს როგორც სამმართველოს უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და დეპარტამენტის უფროსი, ისე მთავარი პროკურორის მოადგილე

და მთავარი პროკურორი. ან/და თუ პირი ასაჩივრებს საოლქო პროკურატურის პროკურორის გადაწყვეტილებას, საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ ზემდგომ პროკურორს წარმოადგენს როგორც შესაბამისი განყოფილების და საგამოძიებელი ნაწილის უფროსი, საოლქო პროკურორის მოადგილე და საოლქო პროკურორი, ისე მთავარი პროკურორის შესაბამისი მოადგილე და მთავარი პროკურორი.

### **მუხლი 34. გამოძიების ორგანოები (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან)**

1. სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას აწარმოებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო დანაყოფების გამომძიებლები (08.07.2015 №3955 ამოქმედდეს 2015 წლის 1 აგვისტოდან).
2. უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, ყველა გამომძიებელს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვს და მათ მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით ჩატარებული ყველა საგამოძიებო მოქმედება თანაბარი იურიდიული ძალისაა.
3. გამომძიებელს, რომელიც უშუალოდ არ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, უფლება აქვს, პროკურორის დავალებით აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ჩაატაროს ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო მოქმედება.

1. **ნორმის მიზანი:** სსსკ-ის 34-ე მუხლი განსაზღვრავს იმ უწყებების ჩამონათვალს, რომლებსაც სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების უფლება აქვთ. ამასთან, აღნიშნული ნორმა, უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, გამოძიების პროცესში ყველა გამომძიებელს თანაბარ უფლებამოსილებას ანიჭებს, ხოლო მათ მიერ ჩატარებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ მიიჩნევს.
2. საგამოძიებო ორგანოები: სსსკ-ის 34-ე მუხლში მითითებულ საგამოძიებო ორგანოთა ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულთა ჩამონათვალი<sup>298</sup> განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 07 ივლისის ბრძანებით „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“.
3. დანაშაულის ფაქტზე გამოძიებას, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში მითითებული უწყებრივი ქვემდებარეობის წესის დაცვით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფების გამომძიებლები ახორციელებენ.
4. სსსკ-ის 34-ე მუხლში ჩამოთვლილი უწყებების გარდა, სხვა უწყებას გამოძიების ჩატარების უფლებამოსილება არ აქვს. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს პროკურატურა, რომლის საგამოძიებო უფლებამოსილების შესახებ „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 07 ივლისის ბრძანება და სსსკ-ის შესაბამისი მუხლები (32-ე, 33-ე) მიუთითებენ.
5. გამომძიებლებს, მიუხედავად უწყებრივი კუთვნილებისა, გამოძიების პროცესში თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ – თითოეულ მათგანს გამოძიების ყოველმხრივ, სრულყოფილად და ობიექტურად ჩატარების ვალდებულება აკისრია, თითოეული მათგანი უფლებამოსილია დანაშაულის ფაქტისა და მისი ჩამდენი პირის დასადგენად ჩაატაროს ნებისმიერი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, მიმართოს შესაბამის დაწესებულებას მტკიცებულებათა გამოთხოვის მოთხოვნით. თითოეული მათგანის მიერ სისხლის სამართლის საპ-

<sup>298</sup> დანაშაულთა კატეგორიები უწყებრივი ქვემდებარეობის მიხედვით იხ. სსსკ-ის 35-ე მუხლის კომენტარი.



- როცესო კოდექსის შესაბამისად ჩატარებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას კი თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია.
6. ზემოაღნიშნულ საგამოძიებო უწყებებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას საქართველოს პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფები ახორციელებენ. კერძოდ, ტერიტორიული პრინციპით, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო დანაყოფებში გამოძიებას საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტები და საოლქო პროკურატურები ზედამხედველობენ.
  7. სსსკ-ი არ განსაზღვრავს დანაშაულის ერთ ფაქტზე გამოძიების მწარმოებელ პირთა რაოდენობას, ამ მხრივ კანონი არც რაიმე შეზღუდვას აწესებს. აღნიშნული მთლიანად დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე, მოცულობასა და სირთულეზე, ჩასატარებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების თავისებურებაზე. როგორც წესი, საშუალო სირთულის სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებას ერთი გამომძიებელი აწარმოებს, თუმცა სხვა გამომძიებლებს პროკურორის ნებართვით უფლება აქვთ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარონ ცალკეული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.
  8. სსსკ-ი არ განსაზღვრავს რა წინაპირობების არსებობისას აქვს სხვა გამომძიებელს, რომელიც უშუალოდ არ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების უფლება. თუმცა პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროკურორი ამგვარ გადაწყვეტილებას მაშინ იღებს, როცა სხვა გამომძიებელთა ჩართულობის გარეშე გამოძიების სრულყოფილად ჩატარება და მტკიცებულებების დროულად მოპოვება შეუძლებელია. მოქმედი სსსკ-ი არ იცნობს საგამოძიებო ჯგუფის და საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელის ცნებას, თუმცა რთულ და დიდი მოცულობის სისხლის სამართლის საქმეებზე ამგვარი ჯგუფები საკმაოდ ხშირად იქმნება და მათი ხელმძღვანელები გამომძიებელთა და პროკურორთა ურთიერთშეთანხმებით განისაზღვრება. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონი არ განსაზღვრავს პროკურორის დავალების ფორმას. სსსკ-ის 34-ე მუხლი არ აკონკრეტებს ამგვარი დავალება ზეპირი უნდა იყოს თუ წერილობითი. შეიძლება ითქვას, რომ საკითხის გადაწყვეტა მთლიანად პროკურორის დისკრეციას განეკუთვნება.

### მუხლი 35. საგამოძიებო ქვემდებარეობა

**საგამოძიებო ქვემდებარეობას საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინებით განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.**

1. **ნორმის მიზანი:** სსსკ-ის 35-ე მუხლის მიზანია დაადგინოს სისხლის სამართლის საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხის განსაზღვრაზე უფლებამოსილ პირთა წრე. აღნიშნული ნორმა ამგვარ უფლებამოსილებას ანიჭებს იუსტიციის მინისტრს, რომელიც უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხს 2013 წლის 30 მაისამდე დამოუკიდებლად, მთავარი პროკურორის წარდგინების გარეშე, განსაზღვრავდა. მითითებულ მუხლში ცვლილება კი, გამოიწვია „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებამ, რომლის საფუძველზეც საქართველოს იუსტიციის მინისტრმა დაკარგა საპროკურორო უფლებამოსილება.
2. საგამოძიებო ორგანოები და მათ ქვემდებარე დანაშაულები: სსსკ-ის 35-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობა განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 07 ივლისის ბრძანებით „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“. დანაშაულის ფაქტზე გამოძიებას, ბრძანების დანართში მითითებული უწყებრივი ქვემდებარეობის წესის დაცვით, საქართველოს პროკუ-

რატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, იუსტიციის სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფების გამომძიებლები ახორციელებენ.

იუსტიციის მინისტრის ბრძანების დანართი დეტალურად ჩამოთვლის იმ დანაშაულებს, რომელთა გამომძიების უფლებამოსილებაც ზემოაღნიშნული საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლებს აქვთ. როგორც წესი, სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას, გარდა იმ დანაშაულთა საქმეებისა, რომელთა გამომძიებაც, იუსტიციის მინისტრის ბრძანების მიხედვით (საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ 07 ივლისი, 2013 წელი), სხვა საგამოძიებო ორგანოების კომპეტენციაა.

### მუხლი 36. ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობა

ტერიტორიულ საგამოძიებო ქვემდებარეობას საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინებით განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

### მუხლი 37. გამომძიებელი

1. გამომძიებელი არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. პროკურორი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს გამოძიებას, სარგებლობს გამომძიებლის სტატუსით.
2. გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად.
3. გამომძიებელი ვალდებულია სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით შეასრულოს პროკურორის მითითება. თუ გამომძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებას, მას უფლება აქვს, საქმე და თავისი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს. ზემდგომ პროკურორს შეუძლია გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მითითება ან გამოძიება სხვა გამომძიებელს დაავალოს. აღნიშნულ საკითხზე ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).
4. გამომძიებელი ვალდებულია შეასრულოს სასამართლოს განჩინება.
5. ამ კოდექსის შესაბამისად გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილების შესრულება სავალდებულოა (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).
6. თუ არსებობს კანონით დადგენილი საფუძვლები, გამომძიებელი უფლებამოსილია:
  - ა) ჩაატაროს ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედება, გარდა იმ მოქმედებისა, რომლის ჩატარებაც პროკურორის კომპეტენციაა;
  - ბ) შესაბამის ორგანოს მისცეს წერილობითი მითითება დაკავებულთა და დაპატიმრებულთა გამომძიების ადგილზე მიყვანის შესახებ;
  - გ) მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების, აგრეთვე რევიზიის, ინვენტარიზაციის, საუნეებო შემოწმების ჩატარება და დოკუმენტის წარდგენა (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).
  - დ) მოიწვიოს თარჯიმანი, ექსპერტი, ამოსაცნობი პირი;
  - ე) მისი მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაუგზავნოს საჩივარი და სისხლის სამართლის საქმის მასალები საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს ან სასამართლოს;
  - ვ) სხვა გამომძიებლისათვის საგამოძიებო დავალების მიცემის თხოვნით მიმართოს საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს;
  - ვ<sup>1</sup>) სისხლის სამართლის საქმის აღდგენის მიზნით, წერილობით მიმართოს შესაბამის ორგანოს ან

**დანესებულებას საჭირო მასალების ან/და ინფორმაციის გადაცემის მოთხოვნით, აგრეთვე სრული მოცულობით ჩაატაროს საპროცესო მოქმედებები (7.12.2010. №3891 ამოქმედდეს 2010 წლის 10 დეკემბრიდან).**

**ზ) განახორციელოს ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.**

1. **ნორმის მიზანი:** სსსკ-ის 37-ე მუხლი გამომძიებლის უფლებამოსილებას განსაზღვრავს, ადგენს გამოძიების მიმდინარეობის პროცესში მისი უფლებამოსილების ფარგლებს. აღნიშნული მუხლი გამომძიებელს პროკურორის მითითებების, სასამართლოს გადანყვეტილების შესრულებისა და სრულყოფილი გამოძიების ჩატარების ვალდებულებას აკისრებს. ამავდროულად ხაზს უსვამს გამომძიებლის როლს საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების პროცესში.
2. გამომძიებელი სახელმწიფო თანამდებობის პირია. მისი უმთავრესი ფუნქცია სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაა, კერძოდ, დანაშაულის ფაქტისა და მისი ჩამდენი პირის დადგენა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებას უწყებრივი და ტერიტორიული ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, თავდაცვის სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს გამომძიებლები ახორციელებენ. გამოძიების მიმდინარეობისას თითოეულ მათგანს, უწყებრივი ქვემდებარეობის მიუხედავად, თანაბარი უფლებამოსილება აქვს. თითოეული მათგანის მიერ ჩატარებული საგამომძიებო და საპროცესო მოქმედება კი თანაბარი იურიდიული ძალის მქონეა.
3. პროკურორი, მის საგამომძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული საქმეების გამოძიებისას, სარგებლობს გამომძიებლის სტატუსით. კერძოდ, მას უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმეზე განახორციელოს ყველა ის საგამომძიებო და საპროცესო მოქმედება, რომლის განხორციელების უფლებასაც სსსკ-ი გამომძიებელს ანიჭებს. მსგავს შემთხვევაში გამოძიების მწარმოებელი პროკურორი იმავდროულად ვერ განახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას (საპროკურორო ფუნქციებს). აღნიშნული უფლებამოსილება სხვა პროკურორს უნდა მიენიჭოს.
4. გამომძიებლის ვალდებულება გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად: შეჯიბრებითი პროცესის და მხარეთა თანასწორობის პირობებში, გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს და მის ადვოკატს საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას თანაბარი უფლებამოსილება გააჩნიათ. თითოეული მხარეს (ბრალდების და დაცვის) უფლება აქვს გამოძიება დამოუკიდებლად აწარმოოს – მოიპოვოს და სასამართლოს წარუდგინოს პირის ბრალეულობის დამადასტურებელი და მისი გამამართლებელი მტკიცებულებები. ამ მიზნით მხარეები სარგებლობენ საგამომძიებო/საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის, შესაბამისი დანესებულებიდან მტკიცებულების გამოთხოვის უფლებით.
5. მიუხედავად ამისა, სსსკ-ის 37-ე მუხლი გამომძიებელს გამოძიების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად ჩატარების ვალდებულებას აკისრებს, რაც გარკვეულწილად მის მიერ როგორც პირის ბრალეულობის დამადასტურებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებების მოპოვებას გულისხმობს. გამომძიებელი ვალდებულია სისხლის სამართლის საქმეზე ყველა საჭირო და შემხვედრი საგამომძიებო მოქმედება ჩაატაროს. კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებათა რომელიმე სტანდარტის დაკმაყოფილება არ გამოორიცხავს დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებას, თუ კონკრეტული გარემოებები ამის აუცილებლობაზე მიუთითებს. მაგალითად, თუ პირის მიერ ძარცვის ჩადენის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს იძლევა სამი თვითმხილველი მონმის ჩვენება, რომლებიც იმავდროულად მიუთითებენ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების

ადგილმდებარეობაზე, გამომძიებელი არ უნდა დაკმაყოფილდეს მონმეთა ჩვენებით და პროკურორისთვის დევნის დაწყების საკითხის გადასაწყვეტად საქმის გადაგზავნამდე, უნდა ჩაატაროს საგამომძიებო მოქმედება – ამოღება.

ამასთან, გამომძიებელი საქმის გამოძიების პროცესში არ უნდა იყოს მიკერძოებული და ორიენტირებული მხოლოდ პირის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებაზე. აღნიშნული გულისხმობს არა იმას, რომ გამოძიების მთელი ძალისხმევა მიმართული იყოს გამამართლებელი მტკიცებულებების მოპოვებისკენ, არამედ იმას, რომ გამოძიების პროცესში წამოჭრილი თითოეული ვერსია და ეჭვი საგამომძიებო მოქმედებების ჩატარების გზით გადამოწმდეს.

6. გამომძიებლის უფლება-მოვალეობები: როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაულის ფაქტის და მისი ჩამდენი პირის დასადგენად, გამომძიებელი ატარებს საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებებს, რომელთა ჩატარების შესახებაც გადანწყვეტილებას, როგორც წესი, დამოუკიდებლად იღებს. მიუხედავად ამისა, გამოძიების საპროცესო ზედამხედველობის ფუნქცია პროკურორს ანიჭებს უფლებამოსილებას, შესასრულებლად სავალდებულო მითითებები მისცეს გამომძიებელს. პროკურორის აღნიშნული უფლებამოსილება განუსაზღვრელი არ არის და გულისხმობს მითითების მიცემას მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით. ძირითადად ამგვარი მითითებები გამომძიებლისთვის ცალკეული საგამომძიებო ან/და საპროცესო მოქმედების ჩატარების დავალებაში გამოიხატება. სსსკ-ი არ აკონკრეტებს მითითების ფორმას, კერძოდ, კანონი არ განმარტავს მითითება ზეპირი უნდა იყოს თუ წერილობითი. აღნიშნული მთლიანად პროკურორის შეხედულებაზეა დამოკიდებული.
7. სსსკ-ის 37-ე მუხლი გამომძიებელს ანიჭებს მითითების ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შესაძლებლობას. კერძოდ, თუ საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის მითითებას არ ეთანხმება, გამომძიებელს უფლება აქვს მიმართოს ზემდგომ პროკურორს<sup>299</sup>. საკუთარი პოზიციის და არგუმენტების სისწორის დასადასტურებლად კი მას უფლება აქვს ზემდგომ პროკურორს წარუდგინოს სისხლის სამართლის საქმე და თავისი წერილობითი მოსაზრებები.
8. ზემდგომი პროკურორი აღნიშნულ საკითხზე იღებს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ გადანწყვეტილებას:
  - აუქმებს ქვემდგომი პროკურორის მითითებას;
  - გამოძიებას სხვა გამომძიებელს ავალებს.
9. სსსკ-ის 37-ე მუხლი არ მიუთითებს, თუ რა საფუძვლების არსებობისას შეუძლია ზემდგომ პროკურორს ქვემდგომი პროკურორის მითითების გაუქმება ან გამოძიების სხვა გამომძიებლისთვის დავალება. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სსსკ-ი პროცესის მწარმოებელი პირის მიერ მიღებული ნებისმიერი გადანწყვეტილების დასაბუთებულობას მოითხოვს, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ზემდგომი პროკურორი მაშინ არის უფლებამოსილი გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მითითება, თუ:
  - მითითება უკანონოა – შეიცავს იმგვარი საგამომძიებო ან საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ მოთხოვნას, რომელსაც არ ითვალისწინებს სსსკ-ი ან/და შეიცავს საგამომძიებო ან საპროცესო მოქმედების სსსკ-ის ნორმების დარღვევით ჩატარების მოთხოვნას;
  - მითითება დაუსაბუთებელია – საგამომძიებო ან საპროცესო მოქმედების ჩატარება ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების ჩატარების მიზანს არ ემსახურება.
10. მითითების უკანონობა და დაუსაბუთებლობა არა გამოძიების სხვა გამომძიებლისთვის დავალების, არამედ ამ მითითების გაუქმების საფუძველია, ვინაიდან, თუ მითითება უკანონო ან დაუსაბუთებელია, ის არ უნდა შესრულდეს.
11. აქედან გამომდინარე, გამოძიების სხვა გამომძიებლისთვის დავალების გადანწყვეტილება

<sup>299</sup> ზემდგომი და ქვემდგომი პროკურორის ურთიერთმიმართების შესახებ იხ., სსსკ-ის 33-ე მუხლის კომენტარი.

- ზემდგომმა პროკურორმა უნდა მიიღოს არა მაშინ, როცა მითითების ადრესატი არ ასრულებს უკანონო ან დაუსაბუთებელ მითითებას, არამედ მაშინ, როცა მითითების შესრულებით ვერ იქნება უზრუნველყოფილი ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარება.
12. სადავო მითითებასთან დაკავშირებით ზემდგომი პროკურორის მიერ სსსკ-ის 37-ე მუხლის საფუძველზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება შედის იმ გამოძიებლის ინტერესებში ს, რომელიც მითითებას არ ეთანხმება, ვინაიდან, როგორი გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს ზემდგომმა პროკურორმა (გააუქმოს ქვემდგომის მითითება, გამოძიება სხვა გამოძიებელს დაავალოს), მითითების ადრესატ გამოძიებელს არ უნევს მისი შესრულება.
  13. ამით სსსკ-ის 37-ე მუხლი გარკვეულწილად ხაზს უსვამს გამოძიებლის დამოუკიდებლობას სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით და მისი ნების თავისუფლებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნული მუხლი გამოძიებელს, რომელსაც არ მიაჩნია მიზანშეწონილად ამა თუ იმ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარება, გამოძიების ამა თუ იმ მიმართულებით წარმართვა, მითითების იძულებით შესრულებას არიდებს თავიდან, ითვალისწინებს რა საქმის სხვა გამოძიებლისთვის გადაცემის სავალდებულობას. ანუ, თუ ზემდგომი პროკურორი მიიჩნევს, რომ მითითება კანონიერი და დასაბუთებულია, მაგრამ გამოძიებელს მისი შესრულება მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამა თუ იმ მიზეზის გამო (რომელსაც სსსკ-ი არ აკონკრეტებს), მითითების შესრულება და გამოძიების ჩატარება სხვა გამოძიებელს უნდა დაავალოს. ზემდგომი პროკურორის მიერ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
  14. გამოძიების პროცესში გამოძიებელი საკმაოდ ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს. კერძოდ, მას უფლება აქვს დანაშაულის ფაქტის და მისი ჩამდენი პირის დასადგენად, სსსკ-ის მოთხოვნათა დაცვით, ჩაატაროს ნებისმიერი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, გარდა იმ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებისა, რომელთა ჩატარებასაც მოსამართლის ნებართვა სჭირდება ან/და რომელთა ჩატარებაც პროკურორის კომპეტენციაა.
  15. მაგალითად, გამოძიებელს, ყოველგვარი ნებართვის – პროკურორის წინასწარი ინფორმირებისა და სასამართლოს განჩინების – გარეშე შეუძლია დამოუკიდებლად ჩაატაროს შემთხვევის ადგილის დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ჩხრეკა და ამოღება, თუ ეს საგამოძიებო მოქმედებები არ ტარდება კერძო საკუთრებაში (მაგალითად ბინაში). გამოძიებელს, ასევე ყოველგვარი ნებართვის გარეშე, შეუძლია ჩაატაროს ზემოაღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები, თუ ისინი ტარდება კერძო საკუთრებაში (მაგალითად, ბინაში), მაგრამ მესაკუთრე ან მფლობელი თანხმობას აცხადებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე.
  16. გარდა ამისა, გამოძიებელი უფლებამოსილია გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, კერძოდ, სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული საფუძველების არსებობისას, მიუხედავად მესაკუთრის/მფლობელის თანხმობისა, პროკურორის წინასწარი ინფორმირებისა და სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება. ამგვარი საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას სსსკ-ის 112-ე მუხლით დადგენილი წესით ამონიშნებს სასამართლო.
  17. როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოძიებელი ვერ ატარებს მხოლოდ ისეთ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს, რომელთა ჩატარებაც პროკურორის კომპეტენციაა ან/და რომელთა ჩატარებასაც სასამართლოს ნებართვა (განჩინება) სჭირდება. მაგალითად, გადაუდებელი აუცილებლობით ქონებაზე ყადაღის დადება მხოლოდ პროკურორის კომპეტენციაა; ასევე ბინაში, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, გადაუდებელი აუცილებლობის არარსებობის პირობებში, ჩხრეკის ჩატარება სასამართლოს წინასწარი ნებართვის (განჩინების) გარეშე შეუძლებელია.
  18. ამგვარი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების აუცილებლობის შემთხვევა-

- ში, გამომძიებელი ვალდებულია პროკურორს წარუდგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც საგამომძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას ადასტურებს, რის შემდეგაც პროკურორი მიმართავს სასამართლოს საგამომძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ განჩინების გაცემის შუამდგომლობით. სასამართლოს განჩინების საფუძველზე კი გამომძიებელი უფლებამოსილია ჩაატაროს განჩინებაში მითითებული საგამომძიებო/საპროცესო მოქმედება.
19. სასამართლოს განჩინება გამომძიებლისთვის სავალდებულოა. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ მოსამართლის განკარგულება ამა თუ იმ საგამომძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების თაობაზე, გამომძიებლის მიერ განჩინებაში მითითებულ ვადაში უნდა შესრულდეს. განჩინების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით. აქ იგულისხმება როგორც ბრალდების მხარის, ისე დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გაცემული განჩინება.
  20. მაგალითად, განჩინება ჩხრეკის ჩატარების თაობაზე (მიუხედავად იმისა, რომელი მხარის შუამდგომლობის საფუძველზეა გაცემული) უნდა შეასრულოს იმ გამომძიებელმა, რომელსაც მისი შესრულება მოსამართლის განჩინებით დაევალა და იმ ვადაში, რომელი ვადაც მოსამართლემ განჩინებით დაადგინა.
  21. ამრიგად, გამომძიებელს გამოძიების მიმდინარეობის დროს ნებისმიერი საგამომძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების უფლება აქვს, გარდა იმ საგამომძიებო/საპროცესო მოქმედებებისა, რომელთა ჩატარებაც პროკურორის კომპეტენციაა ან/და პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის განჩინება სჭირდება.
  22. გამომძიებლის დადგენილება საგამომძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების თაობაზე სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებისთვის, ნებისმიერი იმ დანებებულებისა და ორგანიზაციისთვის, აგრეთვე ნებისმიერი იმ პირისთვის, რომელსაც აღნიშნული დადგენილება ეხება. მაგალითად, გამომძიებლის დადგენილება დაკავებული პირის დროებითი მოთავსების იზოლაციორიდან გამოყვანის შესახებ სავალდებულოა დროებითი მოთავსების იზოლაციორისთვის.
  23. სსსკ-ის 37-ე მუხლი განსაზღვრავს დაკავებულთა და დაპატიმრებულთა გამოძიების ადგილზე მიყვანის შესახებ მითითების ფორმას. გამომძიებლის მითითება უნდა იყოს წერილობითი. თუმცა, კანონი არ ადგენს მითითება მიმართვის წერილში უნდა იყოს ჩამოყალიბებული თუ დადგენილებაში. შესაბამისად, აღნიშნული მთლიანად გამომძიებლის შეხედულებაზეა დამოკიდებული. მთავარია, როგორც ერთი, ისე მეორე დოკუმენტი აკმაყოფილებდეს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს, კერძოდ, დოკუმენტში მითითებული იყოს დაკავების ადგილიდან პირის გამოყვანის მიზეზები და საგამომძიებო ორგანო, სადაც დაკავებული უნდა მიიყვანონ.
  24. გამომძიებლის მითითება, ამა თუ იმ საგამომძიებო/საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის შესახებ, სავალდებულოა თარჯიმნისთვის, გარეშე პირისთვის, ამოსაცნობი პირისა და ექსპერტისთვის. ექსპერტი ვალდებულია შეასრულოს გამომძიებლის დადგენილება ექსპერტიზის ჩატარების შესახებ და ჩაატაროს ექსპერტიზა.
  25. როგორც სსსკ-ის 33-ე მუხლის კომენტარებისას აღინიშნა, პროკურორი უფლებამოსილია, სათანადო საფუძვლების არსებობისას, სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, ცალკეული საგამომძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარება, დაავალოს გამომძიებელს, რომელიც უშუალოდ არ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს. პროკურორის ამგვარი გადაწყვეტილება ძირითადად საქმის სირთულით არის განპირობებული. თავის მხრივ, გამომძიებელი, რომელიც უშუალოდ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, უფლებამოსილია, საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს მიმართოს სხვა გამომძიებლისთვის საგამომძიებო დავალების მიცემის თხოვნით. გამომძიებლის ამგვარი თხოვნაც, ზემოაღნიშნულის მსგავსად, ძირითადად საქმის სირთულით არის განპირობებული. უფრო კონკრეტულად, გამომძიებელი მაშინ მიმართავს საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს დახმარების თხოვნით, როცა

- ცალკეული საგამომძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარება, მისი მოცულობის გათვალისწინებით, დამოუკიდებლად შეუძლებელია ან/და ერთდროულად აუცილებელია რამდენიმე საგამომძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელთა სრულყოფილად განხორციელება ერთი გამომძიებლის ძალას აღემატება.
- 26.** სსსკ-ი ითვალისწინებს გამომძიებლის გადანყვევტილების პროკურორთან, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას, რითაც პროცესის მონაწილეებს მათი უფლებების უკეთ რეალიზების და დაცვის დამატებით გარანტიებს უქმნის. გამომძიებლის გადანყვევტილება საჩივრდება მის საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორთან, ანუ იმ პროკურორთან, რომელიც მის გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმეებზე ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში – სასამართლოში. ამასთან, გამომძიებლის ყველა გადანყვევტილება არ ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას. საჩივრდება მხოლოდ ისინი, რომელთა შესახებაც პირდაპირ მიუთითებს სსსკ-ი.
- 27.** გამომძიებელი ვალდებულია მისი მოქმედებისა და გადანყვევტილების გასაჩივრების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს საჩივარი და სისხლის სამართლის საქმის მასალები საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს ან სასამართლოს. ამგვარ შემთხვევებს მაშინ აქვს ადგილი, როცა საჩივრის ავტორს საჩივარი შეაქვს იმ საგამომძიებო დანაყოფში ან იმ გამომძიებელთან, რომლის მოქმედება და გადანყვევტილებაც საჩივრდება. დაუშვებელია საჩივრის განხილვა იმ პირის მიერ, რომლის მოქმედება და გადანყვევტილებაც საჩივრდება.
- 28.** გამომძიებელი უფლებამოსილია სისხლის სამართლის საქმის აღდგენის მიზნით წერილობით მიმართოს შესაბამის ორგანოს ან დაწესებულებას და მოითხოვოს საჭირო მასალების ან/და ინფორმაციის გადაცემა. გამომძიებელმა აღნიშნული უფლებამოსილება შეიძინა 2010 წლის 07 დეკემბერს, როდესაც სსსკ-ის 37-ე მუხლში ცვლილება განხორციელდა.
- 29.** სსსკ-ის აღნიშნული ნორმა გამომძიებელს შესაძლებლობას აძლევს აღადგინოს დაკარგული ან/და სხვადასხვა მიზეზით განადგურებული (მაგალითად, დამწვარი) სისხლის სამართლის საქმე. რა თქმა უნდა აღნიშნული არ გულისხმობს იმ პირის პასუხისმგებლობის გამორიცხვას, რომელსაც ბრალი მიუძღვის საქმის დაკარგვაში ან/და განადგურებაში. სსსკ-ის ეს ნორმა უბრალოდ ქმნის დანაშაულის რეალური სურათის აღდგენის შესაძლებლობას.

## თავი V ბრალდებული, ადვოკატი

### მუხლი 38. ბრალდებულის უფლება-მოვალეობანი

1. დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, – ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი. ბრალდებულს უნდა გადაეცეს დაკავების ოქმის ან, თუ ის არ დაუკავებიათ, – ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი.
2. დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, – ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული, და უფლება, დაპატიმრებისას, ხოლო დაკავებისას – მისი მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამის დაწესებულებაში მიყვანისთანავე მიიღოს უფასო სამედიცინო შემოწმება (7.12.2010. №3891 ამოქმედდეს 2010 წლის 10 დეკემბრიდან).
3. თუ ბრალდებული თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას, ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი გადაეცემა მის ადვოკატს, რაც ითვლება ბრალის წაყენებად.
4. ბრალდებულს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება. თუ ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.
5. ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ ის უქონელია – უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისათვის. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობა კონფიდენციალურია. აკრძალულია ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას.
6. ბრალდებულს უფლება აქვს, უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე და დამოუკიდებლად დაიცვას თავი, რისთვისაც მას უნდა მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება. ბრალდებულს არ შეუძლია უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე, თუ არსებობს ამ კოდექსით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა.
7. ბრალდებულს უფლება აქვს: დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება ამ კოდექსით დადგენილი წესით; მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად; მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში; მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დროს.
8. ბრალდებულს უფლება აქვს, დაკითხვის და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე, თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა ან აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც თარჯიმნის გარეშე მასთან კომუნიკაციას გამორიცხავს.
9. ბრალდებულს უფლება აქვს, დაკავებისთანავე ან დაპატიმრების შემთხვევაში მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და მიიღოს შესაბამისი წერილობითი დასკვნა. ბრალდებულის ეს უფლება დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს. მას ასევე აქვს უფლება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ნებისმიერ დროს, საკუთარი ხარჯით, დაუყოვნებლივ ჩაიტაროს



სამედიცინო შემოწმება მის მიერ არჩეული ექსპერტის მიერ.

10. ბრალდებულს უფლება აქვს, დაკავებისთანავე ან დაპატიმრების შემთხვევაში თავისი ოჯახის წევრს ან ახლო ნათესავს შეატყობინოს დაკავების ან დაპატიმრების ფაქტი და ადგილსამყოფელი, თავისი მდგომარეობა, ასევე შეატყობინოს კრედიტორს, სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელთა მიმართაც მას სამართლებრივი ვალდებულებები აკისრია.

11. ბრალდებულს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

12. ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით არ უნდა შეეფარდოს პატიმრობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მისი მიმალვის, შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის, მონაწილეობის, მტკიცებულების განადგურების ან განაჩენის აღუსრულებლობის საფრთხე.

13. ბრალდებულს და მის ადვოკატს უფლება აქვთ, ამ კოდექსით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით გაეცნონ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მიიღონ მტკიცებულებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები.

14. ბრალდებულს უფლება აქვს: მონაწილეობა მიიღოს მისი ბრალდების საქმის გამოძიებაში, ასევე უშუალოდ ან დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით – სასამართლო განხილვაში; დააყენოს შუამდგომლობა და განაცხადოს აცილება; დაცვის მხარის მტკიცებულება გამოიკვლიოს იმავე პირობებში, როგორშიც ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევა ხდება; გაეცნოს მხარის მიერ შეტანილ საჩივარს და მასზე გამოთქვას მოსაზრება; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და მასზე გამოთქვას შენიშვნა (5.06.2012. №6392 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს).

15. ბრალდებულს უფლება აქვს, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გაასაჩივროს გამომძიებლის მოქმედება პროკურორთან, პროკურორის მოქმედება და გადანყვეტილება – ზემდგომ პროკურორთან, ხოლო ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოში. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, გაასაჩივროს სასამართლო გადანყვეტილება, მიიღოს გასასაჩივრებელი გადანყვეტილების ასლი (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).

16. ამ მუხლში მოყვანილი ჩამონათვალი არ ზღუდავს ბრალდებულის უფლებას, განახორციელოს ყველა სხვა უფლება, რომელიც მას საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებებით აქვს მინიჭებული.

17. ბრალდებული უფლებამოსილია არ მიიღოს მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებაში.

18. ბრალდებულის მიერ თავისი უფლებების გამოყენება ან გამოუყენებლობა არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

1. **ნორმის მიზანი:** სსსკ-ის 38-ე მუხლში კანონმდებელი ახდენს ბრალდებულის ძირითადი პროცესუალური უფლებების და გარანტიების ზოგად ჩამონათვალს. ბრალდებულის უფლებათა აღნიშნული ჩამონათვალი მიანიშნებს იმაზე, რომ ბრალდებული არის სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალური ფიგურა და ფართო უფლებებით აღჭურვილი პროცესის აქტიური მონაწილე. სსსკ-ის 38-ე მუხლში მითითებული უფლებები არ წარმოადგენს ბრალდებულის უფლებათა ამომწურავ ჩამონათვალს. კანონმდებელი ბრალდებულს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მხარეს, დამატებით ანიჭებს სხვა უფლებებსაც, რომლებიც რეგულირდება სსსკ-ის ცალკეული მუხლებით. ამასთან, სსსკ-ის 38-ე მუხლში მოყვანილი ჩამონათვალი არ ზღუდავს ბრალდებულის უფლებას, განახორციელოს ყველა სხვა უფლება, რომელიც მას საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებებით აქვს მინიჭებული. ვინაიდან წინამდებარე მუხლში მითითებული ბრალდებულის უფლებები ატარებს მხოლოდ ზოგად ხასიათს, მათი კონკრეტიზაცია ხდება სსსკ-ის შესაბამის ნორმებში.

2. **ბრალდებულის ცნება.** სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-19 ნაწილის თანახმად, ბრალდებული არის

- პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული განმარტება არ არის სრულფასოვანი და საჭიროებს გარკვეულ დაზუსტებას. მხოლოდ პირის მიმართ არსებული დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება, არ იძლევა საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ ასეთმა პირმა ავტომატურად ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი ბრალდებულის უფლებებით. პირს ბრალდებულის უფლებები ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მის მიმართ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა. სისხლისსამართლებრივი დევნა კი, სსსკ-ის 167-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიან). როგორც ცნობილია, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადამწყვეტილებას დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იღებს პროკურორი (სსსკ-ის მე-16, 166-ე მუხლები). სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად საკმარისი არ არის მხოლოდ პირის მიმართ დასაბუთებული ვარაუდის არსებობა, რომ მან ჩაიდინა სისხლისსამართლებრივად რელევანტური ქმედება, გარდა ამისა, უნდა არსებობდეს საჯარო ინტერესიც. პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს შემდეგი ორი ტესტი: მტკიცებულებითი და საჯარო ინტერესის ტესტი, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის ე.წ. სრულ ტესტს. მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში იწყებს იგი სისხლისსამართლებრივ დევნას („სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანებით დამტკიცებული სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი).
3. ამრიგად, შესაძლებელია პირის მიმართ არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება, თუმცა პროკურორმა მხოლოდ ამის საფუძველზე არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. პირი მას შემდეგ სარგებლობს ბრალდებულის უფლებებით, თუ მას დააკავებენ ან დაკავების გარეშე პროკურორი დადგენილებით ცნობს ბრალდებულად.
  4. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსხვავებულად განიხილავს ბრალდების ცნებას. იგი იყენებს ბრალდების ავტონომიურ განსაზღვრებას<sup>300</sup>. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, როგორც წესი, პირი ბრალდებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც შესაბამისი ორგანო ოფიციალურად აცნობებს მას გარკვეულ დანაშაულში ამ უკანასკნელის მიმართ ბრალდების არსებობის შესახებ<sup>301</sup>. თუმცა, სასამართლო ითვალისწინებს იმ რისკებსაც, რომ შესაბამისმა ორგანომ შესაძლებელია შეგნებულად თუ მის გარეშე გააჭიანუროს პირისთვის ოფიციალურად ბრალის წარდგენა და ამით ეს უკანასკნელი გამოძიების ეტაპზე დარჩეს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლით მინიჭებული პროცესუალური გარანტიების გარეშე. აღნიშნულის თავიდან ასარიდებლად სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში დამატებით მიუთითებს, რომ ბრალდება არსებობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირის მიმართ გამოიყენება ისეთი საპროცესო ღონისძიებები, რომელიც პირდაპირ მიუთითებს მის მიმართ დანაშაულის ჩადენის თაობაზე არსებულ ვარაუდზე და აყენებს მას ბრალდებულის მდგომარეობაში, მაგალითად, პირის დაკავება<sup>302</sup> ან ჩხრეკა<sup>303</sup>.
  5. ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ბრალდების ცნება განმარტება ფართოდ და მისი არსებობა დგინდება სისხლის სამართლის პროცესის ადრეულ ეტაპზევე, როდესაც კონკრეტული პირი დაექვემდებარება

<sup>300</sup> იხ., ტრექსელი, შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, 54.

<sup>301</sup> იხ., *Deweere v. Belgium*, ECtHR, 27 /02/ 1980.

<sup>302</sup> იხ., *Wemhoff v. Germany*, ECtHR, 27/06/1968.

<sup>303</sup> იხ., *Eckle v. Germany*, ECtHR, 15/07/1982.

ცალკეულ საპროცესო იძულების ღონისძიებებს, მიუხედავად იმისა, წარედგინა თუ არა მას მანამდე ბრალდება ოფიციალურად.

- 6. ინფორმირების უფლება.** ბრალდებულის დაცვის პროცესუალური მექანიზმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ბრალდებულის ინფორმირება მის მიმართ არსებული ბრალდების, საქმის მასალებისა და კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებების თაობაზე. მხოლოდ ინფორმირებულ ბრალდებულს შეუძლია წარდგენილი ბრალდებისაგან თავის ჯეროვანი დაცვა. ამ მხრივ სსსკ-ის 38-ე მუხლი ბრალდებულს ანიჭებს ინფორმაციის მიღების ფართო შესაძლებლობებს. ბრალდებულის ინფორმირების უფლებისაგან ავტომატურად წარმოდგება სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირების ვალდებულება, უზრუნველყონ ბრალდებულისთვის კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცნობა. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებით დარღვევას, რასაც შესაძლოა შედეგად მოჰყვეს დაკავებული ბრალდებულის გათავისუფლება, ან ბრალდებულისგან უფლებების განმარტების გარეშე მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა.
- 7.** როდესაც საუბარია ბრალდებულის ინფორმირებაზე, აღნიშნულში მოიაზრება შემდეგი:
- ა) სსსკ-ის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, – ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი. ბრალდებულს უნდა გადაეცეს დაკავების ოქმის ან, თუ ის არ დაუკავებიათ, – ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი.“ მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელი ერთმანეთისგან განასხვავებს დაკავებულ ბრალდებულსა და დაკავების გარეშე ბრალდებულად ცნობილ პირს. როგორც უკვე აღინიშნა, დაკავებულ პირს ენიჭება ბრალდებულის სტატუსი, თუმცა დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში იგი პროკურორმა შესაბამისი დადგენილებით უნდა ცნოს ბრალდებულად (სსსკ-ის 174-ე მუხლის მე-5 ნაწილი). დაკავებული პირის ინფორმირებისთვის საკმარისია სიტყვიერი ფორმით მისთვის იმ დანაშაულებრივ ქმედებაზე მითითება, რის საფუძველზეც მოხდა მისი დაკავება. როგორც წესი, დაკავებულს ასევე უნდა გადაეცეს დაკავების ოქმის ასლიც. თუ დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე ობიექტური მიზეზით (მიზეზებით) შეუძლებელია, იგი შედგება დაკავებულის პოლიციის დანესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე (სსსკ-ის 175-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). შესაბამისად, დაკავებულს ობიექტური მიზეზებით შესაძლოა დაუყოვნებლივ დაკავებისთანავე ვერ გადაეცეს დაკავების ოქმის ასლი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ობიექტური მიზეზით დაკავების მომენტში დაუყოვნებლივ ვერ მოხერხდეს დაკავებული პირის ინფორმირება. მაგ., დაკავებისას პირი იმყოფება არაფხიზელ ან სხვა ისეთ მდგომარეობაში, რაც შეუძლებელს ხდის მისთვის დაუყოვნებლივ დაკავების საფუძვლის გაცნობას. მსგავს შემთხვევებში მოგვიანებით მოხდება ბრალდებულის ინფორმირება. შესაბამისად, მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად დაუყოვნებლივ ეცნობა ბრალდებულს დაკავების საფუძველი, დამოკიდებულია ცალკეულ გარემოებებზე და თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურ შეფასებას საჭიროებს. ამ მხრივ საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით („ყველა დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება“). სასამართლომ გარკვეულ შემთხვევებში მიიჩნია ბრალდებულის ინფორმირება დაკავებიდან 4 საათისა და 35 წუთის შემდგომაც „დაუყოვნებლივ“<sup>304</sup>. ერთ-ერთ საქმეში სასამართლოსთვის მისაღები იყო ასევე დაკავებულის ინფორმირების დაყოვნება 2 დღითაც კი<sup>305</sup>. დაკავებული

<sup>304</sup> იხ., Esser, R.: Auf dem Weg zu einem europäischen Strafverfahrensrecht, Grundlagen im Spiegel der Rechtsprechung des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte (EGMR) in Straßburg, Berlin 2002, 258.

<sup>305</sup> იხ., ტრექსელი, შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, 510.

პირის ინფორმირების დაყოვნება შეიძლება გამოწვეული იყოს ასევე თარჯიმნის მოძიების გამო, როდესაც ბრალდებულს არ ესმის სამართალწარმოების ენა<sup>306</sup>. ბუნებრივია, სამართალდამცავი ორგანოები დაკავებისას პირს აცნობებენ დანაშაულის იმ შემადგენლობის შესახებ ინფორმაციას, რაც იმ მომენტში მათთვის არის ცნობილი. თუმცა დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია, რომელიც გახდა პირის დაკავების საფუძველი, მოგვიანებით შესაძლოა დაზუსტდეს ან დაემატოს ბრალდებას სხვა დანაშაულის შემადგენლობებიც. ამიტომ, ბრალდებულს ბრალდების შეცვლისას დამატებით უნდა ეცნობოს, თუ რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი.

სსსკ-ის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არა მხოლოდ დაკავებისას, არამედ დაკავების გარეშე ბრალდებულად ცნობისთანავე და ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს უნდა ეცნობოს ზემოაღნიშნულის თაობაზე. ბრალდებულად ცნობილ პირს გადაეცემა ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი, სადაც მოცემულია ინფორმაცია ინკრიმინირებული ქმედების, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის შესახებ. ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულია ასევე გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ბრალდებულმა ჩაიდინა. გარდა ამისა, დადგენილებაში მითითებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლებითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული (სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ამრიგად, ინფორმაცია, რომლის გაცნობაც ხდება პირისათვის ბრალის წაყენებისას დაკავებული პირისთვის მიწოდებულ ინფორმაციასთან შედარებით, უფრო კონკრეტული როგორც ფაქტობრივ გარემოებებთან, ისე სამართლებრივ საფუძველებთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ-ის 38-ე მუხლის 1-ელ ნაწილში, სადაც საუბარია ბრალდებულისთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის გაცნობაზე, კანონმდებელი არ აკონკრეტებს თარჯიმანის ფორმას. შესაბამისად, კანონდარღვევას არ ექნება ადგილი, თუ დაკავებულს, ან ბრალის წაყენებისას და დაკითხვისას პირს სავალდებულო ინფორმაცია მისთვის გასაგებ ენაზე ეცნობება არა წერილობითი, არამედ ზეპირი ფორმით.

ბ) სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, – ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული, და უფლება, დაპატიმრებისას, ხოლო დაკავებისას – მისი მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამის დანესებულებაში მიყვანისთანავე მიიღოს უფასო სამედიცინო შემოწმება.“. ბრალდებულის პროცესუალურ გარანტიათა შორის უმნიშვნელოვანესია ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება და უფლება არ გამოვიდეს მონმედ საკუთარი თავის წინააღმდეგ. ბრალდებულს სისხლის სამართლის პროცესში არ ეკისრება საკუთარი თავის საზიანოდ სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოებთან აქტიური თანამშრომლობის ვალდებულება. ბრალდებულის აღნიშნულ უფლებას გააჩნია კონსტიტუციური რანგი (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 და მე-8 პუნქტები) და ამავე დროს, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შემადგენელ ელემენტს. ის, რომ უნდა მოხდეს ბრალდებულის ინფორმირება ზემოაღნიშნული უფლებების შესახებ, სისხლის სამართლის პროცესში ცნობილია ე.წ. „მირანდას გაფრთხილების“, ასევე „მირანდას წესის“ სახელით, რომელსაც 1966 წელს საფუძველი ჩაუყარა აშშ-ს ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ საქმეზე მირანდა არიზონას შტატის წინააღმდეგ<sup>307</sup>. აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც

<sup>306</sup> იქვე.

<sup>307</sup> იხ., აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Ernest Arthur Miranda v. Arizona, 384 U.S. 436 (1966); 86 S. Ct. 1602; 16 L. Ed. 2d 694; 1966 U.S. LEXIS 2817; 10 A.L.R.3d 974.

პრეცედენტული ხაიათისაა, „დაკავებულ პირს დაკითხვის წინ გასაგებად უნდა ეცნობოს ის, რომ აქვს დუმილის უფლება, რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის სასამართლოში, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ; მას გასაგებად უნდა ეცნობოს, რომ აქვს უფლება ადვოკატის მომსახურებაზე და ადვოკატის თანდასწრებით დაკითხვაზე და საჭირო სახსრების არქონის შემთხვევაში, აქვს უფლება ადვოკატის უფასო მომსახურებაზე.“. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ აშშ-ს ყველა შტატში პოლიციის თანამშრომლებს დაევალებათ, რომ დაკავებული პირისთვის დაუყოვნებლივ გაეცნოთ ზემოხსენებული უფლებები. სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულს უნდა ეცნობოს ისიც, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, მას აქვს უფლება შესაბამის დანებს უზღუდოს მიყვანისთანავე მიიღოს უფასო სამედიცინო შემოწმება.

გ) სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, „ბრალდებულს და მის ადვოკატს უფლება აქვთ, ამ კოდექსით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით გაეცნონ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მიიღონ მტკიცებულებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები“. სისხლის სამართლის პროცესის სამართლიანობა და შეჯიბრებითობა ითხოვს ასევე, რომ ბრალდებული წარდგენილი ბრალდების გარდა, გაეცნოს დანაშაულში მის მამხილებელ მტკიცებულებებს და სისხლის სამართლის საქმის მასალებს. აღნიშნული ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია ბრალდებულმა ეფექტიანად განახორციელოს სასამართლოში თავის დაცვა. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს დაცვის მხარე აღმოჩნდება აშკარა უთანასწორო მდგომარეობაში ბრალდების მხარესთან შედარებით და ამასთან, პროცესის შეჯიბრებითობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი, თუ მას არ ექნება წინასწარ ინფორმაცია ბრალდების მხარის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი მტკიცებულებების შესახებ. ამიტომ დაცვის მხარეს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე აქვს მტკიცებულებებისა და საქმის მასალების გაცნობის უფლება. უფრო მეტიც, დაცვის მხარე უფლებამოსილია მიიღოს აღნიშნული ინფორმაცია ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე. მხოლოდ ამ გზით შეუძლია ბრალდებულს სათანადოდ მოემზადოს მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან მისი დაკავების კანონიერების საკითხის სასამართლოში განხილვისათვის<sup>308</sup>. მხარეების მიერ მტკიცებულებების გაცნობის წესსა და ფარგლებს განსაზღვრავს სსსკ-ის 83-ე მუხლი.

დ) როგორც აღინიშნა, ინფორმირების უფლება არის უშუალოდ ბრალდებულის უფლება, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ამ უფლების ადრესატი შესაძლოა ბრალდებულის ადვოკატიც იყოს. მაგ., სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „თუ ბრალდებული თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას, ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი გადაეცემა მის ადვოკატს, რაც ითვლება ბრალის წაყენებად“ (ასევე სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-6 ნაწილი). ხოლო, რაც შეეხება ბრალდების მხარის მტკიცებულებებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლებას, მისი უშუალო ადრესატია ასევე ბრალდებულის ადვოკატიც. ამიტომ, ბრალდებულის ადვოკატს ბრალდების მხარე ხსენებული ინფორმაციის გაცნობაზე ვერ ეტყვის უარს იმ არგუმენტით, რომ მათ უკვე ინფორმაცია ადვოკატის მოწვევამდე მიანოდეს ბრალდებულს.

- 8. თვითინკრინაციისაგან დაცვის პრივილეგია.** სსსკ-ის 38-ე მუხლით გარანტირებულია ბრალდებულის დუმილის უფლება, რაც ნიშნავს იმას, რომ „ბრალდებულს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება. თუ ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.“. როგორც ცნობილია, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს ბრალდებულის თვითინკრინაციისაგან დაცვის პრივილეგია. აღნიშნული უფლება უკავშირდება ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით აღიარებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმისწარმოების დროს არავინ არის ვალდებული გამოვიდეს მონმედ საკუთარი თავის

<sup>308</sup> იბ., Fox, Campbell & Hartley v. UK, ECtHR, 30/08/1990.

- წინააღმდეგ. დაუშვებელია ბრალდებულის იძულება, რათა მან სისხლისსამართლებრივი დევნისას აქტიურად ითანამშრომლოს გამოძიების ორგანოებთან საკუთარი თავის საზიანოდ. აღნიშნული დებულება იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია „nemo tenetur se ipsum accusare“-ს პრინციპის სახელით. „nemo tenetur se ipsum accusare“ ლათინური ტერმინია და ქართულად ნიშნავს „არავინ არ არის ვალდებული, დაიბრალოს დანაშაული“. სწორედ აქედან წარმოდგება ბრალდებულის დუმილის უფლებაც. ბრალდებულის სისხლის სამართლის პროცესში გათავისუფლებულია ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან. თუმცა აღნიშნული მას არ უზღუდავს საკუთარ საქმეში მონმედ გამოსვლის შესაძლებლობას. ბრალდებულს უფლება აქვს გააკეთოს არჩევანი ჩვენების მიცემასა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმას შორის, ისე, რომ ამას არ მოჰყვება მისთვის არასასურველი პროცესუალურ-სამართლებრივი შედეგი. როგორც უკვე აღინიშნა, ბრალდებულის დუმილი ვერ იქნება მის საზიანოდ შეფასებული. რამდენადაც ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემა დამოკიდებულია მის თავისუფალ ნებაზე, დაუშვებელია ბრალდებულისგან ჩვენების მიღების მიზნით კანონით აკრძალული მეთოდებით მის თავისუფალ ნებაზე ზემოქმედების მოხდენა. ამგვარი მეთოდები სსსკ-ის მე-4 მუხლის მიხედვით შესაძლოა იყოს წამება, ძალადობა, სასტიკი მოპყრობა, მოტყუება, სამედიცინო ჩარევა, ჰიპნოზი, ასევე სხვა ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც ზემოქმედებს ადამიანის მეხსიერებაზე ან აზროვნებაზე. აგრეთვე დაუშვებელია მუქარა ან ისეთი შელავათების დაპირება, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული.
9. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია არ შემოიფარგლება მხოლოდ დუმილის უფლებითა და ბრალდებულის იძულებით ჩვენების მიცემისაგან დაცვის გარანტიით. სასამართლო ადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას იმ შემთხვევაშიც, თუ ბრალდებულს სხვადასხვა ფორმით აიძულებენ საკუთარი თავის საზიანოდ გადასცეს შესაბამის ორგანოებს დანაშაულში მამხილებელი დოკუმენტები<sup>309</sup>.
10. **დაცვის უფლება.** ბრალდებულის პროცესუალურ უფლებათა შორის ერთ-ერთ ძირითად ადგილს იკავებს დაცვის უფლება, რომელიც გარანტირებულია არა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, არამედ საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაცვის უფლება გარანტირებულია. დაცვის უფლებას გარანტირებულია ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით. ბრალდებულს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალურ ფიგურას, უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, ჯეროვნად და ეფექტურად დაიცვას თავი წარდგენილი ბრალდებებისგან. ეს უკანასკნელი უფლებამოსილია დაიცვას თავი პირადად, ან ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით. ცალკეულ შემთხვევებში, ბრალდებული კვალიფიციური იურისტის დახმარების გარეშე მოკლებულია დაცვის სათანადოდ განხორციელებისა და საპროცესო უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას, ამიტომ კანონი მას ანიჭებს ადვოკატის მონვევის უფლებას, ხოლო თუ მას არ გააჩნია ადვოკატის მოსაწვევად საკმარისი სახსრები, იგი უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მომსახურებით. ეფექტიანი დაცვის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, როდესაც პროცესში ბრალდებულის ნდობით აღჭურვილი ადვოკატი მონაწილეობს. ამიტომ, თუ სხვადასხვა მიზეზით (მაგ., ადვოკატის კომპეტენტურობა, პატიოსნება და ა.შ.) ბრალდებულს არ გააჩნია ნდობა მონვეული ადვოკატის მიმართ, შეუძლია მან შეცვალოს ადვოკატი ნებისმიერ დროს. ადვოკატის მიმართ ნდობის არსებობისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულს ადვოკატთან ჰქონდეს კონფიდენციალური ურთიერთობის შესაძლებლობა.

<sup>309</sup> იბ., Funke v. France, ECtHR, 25/02/1993; Saunders v. UK, ECtHR, 17 /12/ 1996; J.B. v. Switzerland, 3/05/2001; Heaneyand McGuinness v. Ireland, ECtHR, 21/12/2000.

ბრალდებულს უნდა შეეძლოს ადვოკატისთვის ინფორმაციის განდობა იმ იმედით, რომ ის ბრალდების მხარისათვის არ გახდება ხელმისაწვდომი. ბრალდებულს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ანიჭებს უფლებას, ჰქონდეს შეუზღუდავი ურთიერთობა თავის ადვოკატთან მთლიანი პროცესის განმავლობაში. აღნიშნული მოიცავს, როგორც პირად, ისე ფოსტის, ტელეფონისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით განხორციელებულ ურთიერთობებს (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილი)<sup>310</sup>.

11. აღსანიშნავია, რომ ადვოკატის მომსახურებით სარგებლობა ბრალდებულის უფლებაა და არა ვალდებულება. მას ადვოკატის მომსახურების გარეშე შეუძლია დამოუკიდებლად განხორციელოს თავისი ინტერესების დაცვა, რისთვისაც ბრალდებულს უნდა მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილი). აქედან გამონაკლისს წარმოადგენს ე.წ. სავალდებულო დაცვის შემთხვევა, როდესაც ბრალდებულს უფლება არ აქვს უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე (სსსკ-ის 45-ე მუხლი). ბრალდებულის დაცვის უფლება მოქმედებს სისხლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე. ბრალდებულს უფლება აქვს ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით როგორც გამოძიების<sup>311</sup>, ისე სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზე. იგივე ვრცელდება საქმის ზემდგომ ინსტანციებში განხილვის შემთხვევაშიც. როგორც უკვე აღინიშნა, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე (დაკავების მომენტში, ან თუ დაკავება არ ხდება, – ბრალდებულად ცნობისთანავე), ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობის ადვოკატის ყოლის უფლება (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი). დაცვის უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი დარღვევა წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებით დარღვევას, ამიტომ, ამ ბრალდებულისგან დაცვის უფლების შეზღუდვით მოპოვებულ ინფორმაციას იურიდიული ძალა ვერ მიენიჭება და ასეთი ინფორმაცია დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი<sup>312</sup>.
12. ბრალდებულს უნდა მიეცეს გონივრული (საკმარისი) დრო და საშუალება დაცვის მომზადებისათვის. დაცვის მომზადებისთვის გონივრული დრო დამოკიდებულია სისხლის სამართლის საქმის სპეციფიკასა და სირთულეზე. მნიშვნელოვანია, რომ დაცვის მხარეს საკმარისი დრო მიეცეს საქმის მასალების გასაცნობად და საკუთარი პოზიციის მოსამზადებლად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მოსალოდნელი სასჯელის ზომა გავლენას არ ახდენს დაცვის მოსამზადებლად მიცემული ვადის გონივრულობის შეფასებაზე<sup>313</sup>. დაცვის მომზადების საშუალების მიცემაში მოიაზრება დაცვის მხარისთვის საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობის მიცემა, ასევე დაცვის მხარის მიერ საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების, მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენის უფლების მიცემა და ა.შ.<sup>314</sup>
13. **მტკიცებულებების მოპოვებისა და წარდგენის უფლება.** სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი ანიჭებს ბრალდებულს უფლებას: დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს

<sup>310</sup> ბრალდებულისა და ადვოკატის ურთიერთობის შესახებ იხ., სსსკ-ის 43-ე მუხლი.

<sup>311</sup> გასათვალისწინებელია, გამოძიების ეტაპზე ბრალდებულის დაცვა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სისხლის სამართლის საქმის განხილვის საბოლოო შედეგზე. აღნიშნულ ეტაპზე ადვოკატი დიდ როლს თამაშობს მტკიცებულებების მოპოვებასა და სასამართლო განხილვისათვის მომზადებაში. შეჯიბრებითი პროცესის პირობებში გამოძიების ეტაპზე შეკრებილ მტკიცებულებებს აქვთ სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან მოსამართლე დამოუკიდებლად არ ატარებს სასამართლო გამოძიებას და ეყრდნობა მხარეთა მიერ წარმოდგენილ და გამოკვლეულ მტკიცებულებებს. გამოძიების ეტაპზე ბრალდებულისთვის ეფექტიანი დაცვის შესაძლებლობის მიცემის მნიშვნელობაზე საუბრობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მის არაერთ გადაწყვეტილებაში: *Imbrioscia v. Switzerland*, ECtHR, 24/11/1993; *John Murry v. UK*, ECtHR, 08/02/1996; *Campbell and Fell v. UK*, ECtHR, 28/06/1984;

<sup>312</sup> იხ., აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Ernest Arthur Miranda v. Arizona*, 384 U.S. 436 (1966); 86 S. Ct. 1602; 16 L. Ed. 2d 694; 1966 U.S. LEXIS 2817; 10 A.L.R.3d 974.

<sup>313</sup> Esser, R: *Auf dem Weg zu einem europäischen Strafverfahrensrecht, Grundlagen im Spiegel der Rechtsprechung des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte (EGMR) in Straßburg*, Berlin 2002, 449.

<sup>314</sup> იხ., ტრექსელი, შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, 257.

გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება; მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად; მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში; მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დროს. აღნიშნული უფლება ემსახურება იმას, რომ ბრალდებულს გააჩნდეს სისხლის სამართლის პროცესში ეფექტიანი დაცვისათვის საკმარისი საშუალებები. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ შეჯობებითი პროცესის პირობებში მტკიცებულებების სასამართლოში წარმოდგენასა და გამოკვლევაზე პასუხისმგებელი არიან თავად მხარეები. ამიტომ, ბრალდებულის ჯეროვანი დაცვის უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელს კანონმდებელი აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად მოიპოვოს და წარადგინოს სასამართლოში მტკიცებულებები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გზით. ამ შემთხვევაში დაცვის მხარე ბრალდების მხარისგან დამოუკიდებლად განსაზღვრავს გამოძიების ფარგლებსა და ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებებს. ბრალდების მხარემ ხელი არ უნდა შეუშალოს ბრალდებულს გამოძიების წარმოებაში. უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში იგი ვალდებულია დაცვის მხარეს ხელი შეუწყოს საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაში. მაგალითად, თუ ბრალდებულის ან მისი ადვოკატის ინიციატივით ტარდება ექსპერტიზა და საექსპერტო კვლევის ობიექტი მეორე მხარესთან ინახება, სსსკ-ის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იგი ვალდებულია გადასცეს ობიექტი ექსპერტიზის ინიციატორი მხარის ექსპერტს. იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულს შესაძლოა არ გააჩნდეს საკმარისი კომპეტენცია და უნარი გამოძიების სანარმოებლად და საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად, იგი უფლებამოსილია ამ უფლების რეალიზაცია მოახდინოს ადვოკატის მეშვეობით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბრალდებულს შესაძლოა აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდეს პატიმრობა, ადვოკატის გარეშე იგი ვერ შეძლებდა მინიჭებული უფლებით სარგებლობას. როდესაც ტარდება საგამოძიებო მოქმედება დაცვის მხარის ინიციატივით, ბრალდებულს და მის ადვოკატს უფლება აქვთ დაესწრონ მის განხორციელებას. ამასთან, ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს ყველა იმ საგამოძიებო მოქმედებაში ადვოკატის დასწრება, რომელიც ტარდება მისი მონაწილეობით, იმის მიუხედავად, თუ რომელია აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ინიციატორი მხარე. დაცვის მხარის მიერ გამოძიებისა და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების პირობები და წესი რეგულირდება სსსკ-ის ცალკეულ მუხლებში.

- 14. თარჯიმნის მომსახურების უფლება.** სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, „ბრალდებულს უფლება აქვს, დაკითხვის და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე, თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა ან აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც თარჯიმნის გარეშე მასთან კომუნიკაციას გამორიცხავს.“. სისხლის სამართლის პროცესის ენის არმცოდნე ბრალდებულის თარჯიმნის მომსახურებით უზრუნველყოფა წარმოადგენს სამართლიანი პროცესის მოთხოვნას. ბრალდებულს, როგორც მხარეს და სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალურ ფიგურას, უნდა ესმოდეს განხორციელებული საპროცესო მოქმედებების შინაარსი. ამასთან, მას უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ პირებთან მისთვის გასაგებ ენაზე კომუნიკაციის შესაძლებლობა. იგივე ვრცელდება იმ ბრალდებულების მიმართ, რომელთაც ფიზიკური ნაკლის გამო თარჯიმნის გარეშე არ აქვთ კომუნიკაციის უნარი (მაგ., ყრუ-მუნჯი პირები). შესაბამისად, ბრალდებული დაკითხვისას და სხვა საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის დროს უზრუნველყოფილია თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ბრალდებულს ანიჭებს უფლებას „ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ



შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე“. ამრიგად, თარჯიმნის სახელმწიფო ხარჯზე მომსახურების უფლება ვრცელდება არა მხოლოდ გამოძიების ეტაპზე, არამედ საქმის სასამართლოში განხილვის დროსაც (როგორც პირველი ინსტანციის, ისე ზემდგომ ინსტანციებში). გასათვალისწინებელია, რომ კონვენციის მოხსენიებული მუხლი არ ავალდებულებს პროცესის მწარმოებელ პირებს, რომ საგამოძიებო მოქმედებათა მასალები ან სასამართლოს მიერ მიღებული ოფიციალური დოკუმენტები ბრალდებულს გადაეცეს წერილობითი ფორმით. საკმარისი იქნება, თუ თარჯიმანი ზეპირი ფორმით გააცნობს ბრალდებულს განხორციელებული სხვადასხვა საპროცესო მოქმედების შინაარსს. მთავარია, რომ ბრალდებულს საკმარისად ესმოდეს მათი შინაარსი და შეძლოს მისთვის გასაგებ ენაზე წარდგენილი ბრალდებისაგან თავის დაცვა<sup>315</sup>.

**15. სამედიცინო შემონმების უფლება.** სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, „ბრალდებულს უფლება აქვს, დაკავებისთანავე ან დაპატიმრების შემთხვევაში მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემონმება და მიიღოს შესაბამისი წერილობითი დასკვნა. ბრალდებულის ეს უფლება დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს. მას ასევე აქვს უფლება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ნებისმიერ დროს, საკუთარი ხარჯით, დაუყოვნებლივ ჩაიტაროს სამედიცინო შემონმება მის მიერ არჩეული ექსპერტის მიერ.“ როგორც წესი, ბრალდებულის დაკავების ან დაპატიმრების დროს, როდესაც ეს უკანასკნელი დამკავებელ პირს უწევს წინააღმდეგობას, შესაძლებელია ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნეს იძულების პროპორციული ზომები, რამაც შეიძლება ზიანიც კი მიაყენოს ბრალდებულის ჯანმრთელობას. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბრალდებულზე განსაკუთრებულ ემოციურ გავლენას ახდენს დაკავება, დაპატიმრება ან მის მიმართ სხვა საპროცესო იძულების ღონისძიებების განხორციელება. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ ასეთმა პირობებმა უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ამიტომ, ბრალდებულის მოთხოვნა სამედიცინო შემონმების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. სამედიცინო შემონმების შედეგად ბრალდებულს გადაეცემა წერილობითი დასკვნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე ბრალდებულს შეუძლია იმის მტკიცება, რომ მის მიმართ მოხდა არაპროპორციული ძალის ან კანონით დაუშვებელი სხვა მეთოდების გამოყენება (წამება, არაადამიანური მოპყრობა და ა.შ. ამასთან, ამგვარი დასკვნით ბრალდებულს შეუძლია დაადასტუროს, რომ მას ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე არ შესწევს სხვადასხვა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის უნარი. როგორც უკვე აღინიშნა, ბრალდებულს მოთხოვნის შემთხვევაში ჩაუტარდება სახელმწიფოს ხარჯზე სამედიცინო შემონმება დაკავებისთანავე ან დაპატიმრებისას. იმისდა მიუხედავად, რომ მას ერთხელ უკვე სახელმწიფოს ხარჯზე ჩაუტარდა სამედიცინო შემონმება, მას ნებისმიერ დროს უფლება აქვს დამატებით ჩაიტაროს მისთვის სასურველი ექსპერტის მეშვეობით სამედიცინო შემონმება. ასეთ შემთხვევაში ბრალდებული თავად ანაზღაურებს მის ხარჯებს.

**16. შეტყობინების უფლება.** სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-10 ნაწილი ბრალდებულს აძლევს უფლებას, დაკავებისთანავე ან დაპატიმრების შემთხვევაში თავისი ოჯახის წევრს ან ახლო ნათესავს შეატყობინოს დაკავების ან დაპატიმრების ფაქტი და ადგილსამყოფელი, თავისი მდგომარეობა, ასევე შეატყობინოს კრედიტორს, სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელთა მიმართაც მას სამართლებრივი ვალდებულებები აკისრია. ახლო ნათესავის და ოჯახის წევრთა წრე განსაზღვრულია სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ახლო ნათესავს მიეკუთვნება ბრალდებულის მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა და მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული). რაც შეეხება ოჯახის წევრს, წარმოადგენს ბრალდებულის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი ან გერი და მასთან მუდმივად მცხოვრები პირი. თუ ბრალდებულს არ სურს ზემოთ მითითებული პირებისთვის მისი დაკა-

<sup>315</sup> იხ., *Kamasinski v Austria*, ECtHR, 19/12/1989.

ვების ან დაპატიმრების თაობაზე შეტყობინება და უარს აცხადებს აღნიშნულზე, სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ თანამდებობის პირს კანონი მაინც ავალდებულებს ასეთი შეტყობინების განხორციელებას. სსსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პროკურორი ან მისი დავალებით გამოძიებელი ვალდებულია პირის დაკავებიდან, დაპატიმრებიდან ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებიდან არა უგვიანეს 3 საათისა შეატყობინოს ეს მისი ოჯახის რომელიმე წევრს, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს – რომელიმე ნათესავს ან ახლობელს, დაპატიმრების ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევაში კი აგრეთვე შეატყობინოს სამუშაო ან სწავლის ადგილას. იმ შემთხვევაში, თუ დაკავებული, დაპატიმრებული ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, ეს 3 საათის განმავლობაში უნდა ეცნობოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამისი სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას (სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

- 17. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.** სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, „ბრალდებულს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება“. ვინაიდან ცალკეული საპროცესო (იძულების) ღონისძიებების შედეგად შესაძლებელია ბრალდებულს მიადგეს ზიანი, მას კანონმდებელი ანიჭებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ ასეთი საპროცესო მოქმედება უკანონოდ იქნება ცნობილი. მაგალითად, ბრალდებულის ბინაში გადაუდებელი აუცილებლობის დროს ჩატარებული ჩხრეკის შედეგად გამოძიებელმა დააზიანა სეიფის საკეტი, ხოლო მოსამართლემ შემდგომად ჩხრეკა ცნო უკანონოდ. ამ შემთხვევაში ბრალდებული უფლებამოსილია მოითხოვოს სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ზიანის სახე კანონით არ არის დაკონკრეტებული. შესაბამისად, ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს როგორც ქონებრივი, ისე ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული უფლება პირს უნარჩუნდება იმ შემთხვევაშიც, თუკი მას სასამართლო წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნობს და დაადგენს მის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს<sup>316</sup>. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებას ანიჭებს ასევე გამართლებულ პირს (სსსკ-ის 276-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).
- 18. თავისუფლების უფლება.** ბრალდებულს კანონმდებელი ანიჭებს თავისუფლების გარანტიას, რაც იმას ნიშნავს, რომ მას აღკვეთის ღონისძიების სახით არ უნდა შეეფარდოს პატიმრობა გარდა უკიდურესი შემთხვევებისა, როდესაც პატიმრობა წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევს საბოლოო და ერთადერთ საშუალებას (ე.წ. ultima ratio)<sup>317</sup>. ასეთი შემთხვევებია, როდესაც არსებობს ბრალდებულის მიმალვის, შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის, მოწმეზე ზემოქმედების, მტკიცებულებების განადგურების ან განაჩენის აღუსრულებლობის საფრთხე (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-12 ნაწილი). აღნიშნული უფლება გამომდინარეობს სსსკ-ის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილით გარანტირებული თავისუფლების პრეზუმფციიდან: „პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადასტურდა მისი დაპატიმრების აუცილებლობა“.
- 19. პროცესში აქტიური მონაწილეობის სხვა უფლებები.** სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-14 ნაწილი

<sup>316</sup> საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

<sup>317</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის შემდეგი განჩინებები: 2014 წლის 1 ივლისის განჩინება საქმეზე 1/გ-621 და 2014 წლის 23 ივლისის განჩინება საქმეზე 1/გ-714-14.

- მითითებული ბრალდებულის უფლებები გამომდინარეობენ სისხლის სამართლის პროცესის სამართლიანობის და შეჯობრებითობის პრინციპიდან, რომლებიც ამ უკანასკნელს სისხლის სამართლის პროცესში აქტიური მონაწილეობისა და პროცესის მსვლელობაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას აძლევენ. აღნიშნული ნორმის მიხედვით, ბრალდებულს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა როგორც სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში, ისე სასამართლო განხილვაში. იმისათვის, რომ ბრალდებულს ცალკეულ შემთხვევებში არ შეეზღუდოს სასამართლო განხილვაში უშუალო მონაწილეობა, მას კანონმდებელი აძლევს შესაძლებლობას, რომ აღნიშნული განახორციელოს დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ტექნიკური საშუალებები უნდა უზრუნველყოფდეს ბრალდებულის სასამართლო დარბაზში ჩართვას იმგვარად, რომ მან შეძლოს პროცესის მონაწილეების სრულფასოვნად მოსმენა, მათთვის შეკითხვების დასმა და ასევე სასამართლოში მიმდინარე პროცესის ვიზუალური აღქმა.
- 20.** ბრალდებულის სისხლის სამართლის პროცესში აქტიური მონაწილეობის უფლებას მიეკუთვნება აგრეთვე შუამდგომლობების დაყენებისა და აცილების განცხადების უფლება. ბრალდებული აღნიშნული უფლებით სარგებლობს როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში განხილვის შემთხვევაში. ცალკეული შუამდგომლობის დაყენებისა და აცილების განცხადების წესი და პირობები განისაზღვრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებით.
- 21.** საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს. ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „d“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულს აქვს უფლება, დააკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში. სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-14 ნაწილის მე-3 წინადადება კიდევ უფრო შორს მიდის და ბრალდებულს ანიჭებს უფლებას არა მხოლოდ მოწმეების დაკითხვის, არამედ დაცვის მხარის ნებისმიერი მტკიცებულების იმავე პირობებში გამოკვლევის, როგორშიც ხდება ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა. ამრიგად, მოცემული ნორმა წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის შეჯობრებითობის, თანასწორობისა და სამართლიანობის კონკრეტიზაციას და ბრალდებულს აძლევს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების თანასწორ პირობებში გამოკვლევის შესაძლებლობას. ბრალდებულს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ საკუთარი მტკიცებულებების წარმოდგენა და გამოკვლევა, მას ასევე უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობაც, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყნოს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებათა ავთენტიკურობა და სანდოობა. მტკიცებულებების თანაბარ პირობებში გამოკვლევა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ საუბარია მხარეების მიერ ერთი და იმავე რაოდენობის მტკიცებულებების გამოკვლევაზე, ან თითოეული მხარის მტკიცებულების გამოკვლევისთვის თანაბარი დროის დათმობაზე. ამ შემთხვევაში არსებითია ის, რომ დაცვის მხარეს უნდა გააჩნდეს მსგავსი სამართლებრივი შესაძლებლობა ყველა მისთვის რელევანტური მტკიცებულებების წარმოსადგენად და გამოკვლევადაც, რაც გააჩნია ბრალდების მხარეს.<sup>318</sup>
- 22.** ასევე სამართლიანი სასამართლო განხილვისა და შეჯობრებითი პროცესის გარანტიის კონკრეტიზაციას წარმოადგენს ბრალდებულის უფლება, გაეცნოს მხარის მიერ შეტანილ საჩივარს და მასზე გამოთქვას მოსაზრება; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და მასზე გამოთქვას შენიშვნა (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-14 ნაწილის მე-4 და მე-5 წინადადება); ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ბრალდებულს ანიჭებს კონტრადიქტორული პროცესის გარანტიას. სისხლის

<sup>318</sup> იხ., Gollwitzer, W.: Menschenrechte im Strafverfahren. EMRK und IPBPR: EMRK Und IPBPR, Berlin, 2005, 399, 401.

სამართლის პროცესის კონტრადიქტორულობა ნიშნავს იმას, რომ მხარეებს უნდა გააჩნდეთ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებებისა და მათ თაობაზე მხარის მიერ გამოთქმული მოსაზრებების შესახებ ინფორმაციის მიღების, ასევე აღნიშნულზე საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა, რათა მხარეებმა შეძლონ სასამართლოს გადანყვეტილებებზე გავლენის მოხდენა. შესაბამისად, ბრალდებულს უნდა მიეცეს ბრალდების მხარის მიერ ცალკეულ საკითხებზე გაკეთებული განმარტებებისა და წარმოდგენილი საჩივრების გაცნობის, ასევე მათზე მოსაზრებების გამოთქმის უფლება, ვიდრე სასამართლო იმსჯელებს და მიიღებს საბოლოო გადანყვეტილებას<sup>319</sup>. მთავარია, რომ ბრალდებულს სასამართლომ მისცეს ზემოაღნიშნული შესაძლებლობა. თუ დაცვის მხარე არ ისარგებლებს ამ უფლებით, პროცესის კონტრადიქტორულობა ამით არ დაირღვევა. სისხლის სამართლის პროცესს კონტრადიქტორული ხასიათი უნდა გააჩნდეს როგორც პირველი ინსტანციაში საქმის განხილვისას, ისე ზემდგომ ინსტანციებში. ამიტომ, ბრალდებულს აუცილებლად უნდა ეცნობოს ბრალდების მხარის სააპელაციო და საკასაციო საჩივრების შინაარსი და სასამართლო საბოლოო გადანყვეტილების მიღებამდე ასევე უნდა გაეცნოს დაცვის მხარის მოსაზრებებს.

**23. გასაჩივრების უფლება.** ბრალდებულს უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გაასაჩივროს გამოძიებლის მოქმედება პროკურორთან, პროკურორის მოქმედება და გადანყვეტილება – ზემდგომ პროკურორთან, ხოლო ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოში. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, გაასაჩივროს სასამართლო გადანყვეტილება, მიიღოს გასასაჩივრებელი გადანყვეტილების ასლი (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-15 ნაწილი). ნორმის მიზანია ბრალდებულის სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი პირების თვითნებური, უკანონო და დაუსაბუთებელი გადანყვეტილებებისაგან გაცვა. ბრალდებულს აღნიშნული უფლებით შეუძლია ისარგებლოს როგორც თავად, ასევე ადვოკატის მეშვეობით. როგორც წესი, ადვოკატის მიერ საჩივრის შეტანა საჭიროებს ბრალდებულის თანხმობას, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში, როცა ბრალდებული არასრულწლოვანია ან აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას, ადვოკატს ბრალდებულისგან დამოუკიდებლად შეუძლია გაასაჩივროს ზემოთ მოხსენიებული პირების გადანყვეტილებები. გამოძიების სტადიაზე ბრალდებულს უფლება აქვს გაასაჩივროს როგორც გამოძიებლისა და პროკურორის მოქმედება, ისე სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილებები (მაგ., აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე სასამართლოს გადანყვეტილება). ბრალდებულს უფლება აქვს ასევე გაასაჩივროს საქმის არსებითი განხილვისა და სააპელაციო წარმოების სტადიაზე სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილებები.

**24. საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმის უფლება.** რამდენადაც სამართლებრივ სახელმწიფოში ბრალდებული არ არის ვალდებული აქტიურად ითანამშრომლოს გამოძიებასთან საკუთარი თავის საზიანოდ, სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-17 ნაწილი ანიჭებს მას უფლებას, არ მიიღოს მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებაში. აღნიშნული ეხება როგორც საკუთარი ინიციატივით განხორციელებულ, ისე ბრალდების მხარის მიერ ინიცირებულ საგამოძიებო მოქმედებებს. მაგალითად, ბრალდებულს ბრალდების მხარე ვერ დაავალდებულებს, რომ მიიღოს მონაწილეობა საგამოძიებო ექსპერიმენტში, ან წარადგინონ იგი ამოსაცნობად. დაუშვებელია ბრალდებული აიძულო ისეთი მოქმედების განსახორციელებლად, რამაც შეიძლება იგი ამხილოს დანაშაული. აქედან გამონაკლისია მის მიმართ სასამართლოს ნებართვით განხორციელებული ცალკეული იძულების ღონისძიებები, რომლის დროსაც ბრალდებულს გააჩნია თმენის ვალდებულება. მაგალითად, პირადი ჩხრეკა, ნიმუშის აღება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის მიერ თავისი

<sup>319</sup> იბ., Vermeulen v. Belgium, ECtHR, 20/02/1996; Ruiz-Mateos v. Spain, ECtHR, 23/06/1993; McMichael v. the United Kingdom, ECtHR, 24/02/1995; K.D.B. v. The Netherlands, ECtHR, 27 /03/1998.

უფლებების გამოყენება ან გამოუყენებლობა არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად (38-ე მუხლის მე-18 ნაწილი). ამრიგად, მოსამართლე ბრალდებულის უარს საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობაზე ან ჩვენების მიცემაზე ვერ შეაფასებს ამ უკანასკნელის საზიანოდ.

### **მუხლი 39. ბრალდებულის უფლება, მოიპოვოს მტკიცებულება**

**1. ბრალდებულს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით, თვითონ ან/და ადვოკატის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულება. ბრალდებულის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.**

**2. თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.**

**1. ნორმის მიზანი:** აღნიშნული ნორმა შინაარსობრივად ავსებს სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილით უზრუნველყოფილ ბრალდებულის უფლებას მტკიცებულებების მოპოვებასა და წარდგენასთან დაკავშირებით. ნორმით განისაზღვრება დაცვის მხარის მიერ ცალკეულ შემთხვევებში მტკიცებულების მოსაპოვებლად საჭირო საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების სამართლებრივი მექანიზმი და მოპოვებული მტკიცებულების იურიდიული ძალა.

**2. დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.** სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობიდან და თანასწორობიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს უფლება აქვს დამოუკიდებლად მოიპოვოს და წარმოადგინოს მტკიცებულებები. ბრალდებულის დაცვის სტრატეგიიდან გამომდინარე, დაცვის მხარე აწარმოებს პარალელურ გამოძიებას და სასამართლოში წარადგენს იმ მტკიცებულებებს, რომელიც ამართლებენ ან სხვაგვარად უმსუბუქებენ ბრალდებულს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. როგორც წესი, დაცვის მხარე საკუთარი ხარჯით მოიპოვებს მტკიცებულებებს. მაგალითად, თუ მტკიცებულების გამოსავლენად საჭიროა ექსპერტიზა, მისი ჩატარების ხარჯებს თავად მხარე გაიღებს. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ბრალდებული გადახდისუუნაროა და მისი დაცვა ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე, სახელმწიფო დაფარავს ყველა იმ ხარჯს, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული ბრალდებულის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებასთან (სსსკ-ის 46-ე მუხლის მე-4 ნაწილი). აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბრალდების მხარე ვერ მოახდენს გავლენას იმაზე, თუ ბრალდებულის მიერ მოპოვებული რომელი მტკიცებულება უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს. აღნიშნულის თაობაზე ბრალდებული ბრალდების მხარისგან დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას. ბრალდებას შეუძლია მხოლოდ წინასასამართლო სხდომაზე იდავოს ბრალდებულის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თაობაზე და ამ გზით მოსამართლეს საქმიდან გამოარიცხვინოს დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ცალკეული მტკიცებულებები.

**3. სასამართლოს განჩინებით მტკიცებულებების მოპოვება.** სასამართლო, რომელიც წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობისა და თანასწორობის გარანტს, და ასევე ახორციელებს კონტროლს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა შემზღვეველ ზოგიერთ საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების კანონიერებაზე, ვალდებულია მხარეებს მტკიცებულებების მოსაპოვებლად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები. შესაბამისად, დაცვის მხარეს კანონმდებელი ანიჭებს უფლებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მტკიცე-

ბულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს. ვინაიდან, მოსამართლეს კანონი აკისრებს ვალდებულებას, რომ მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება, სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად შეირჩევა გამომძიებელი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას არ აწარმოებს. აქედან გამონაკლისია დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება, რადგან სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს. ასეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ასევე ბრალდებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებული სასამართლოს წარუდგენს მტკიცებულებებს, რომლითაც დადასტურდება მის მიერ ამ ხარჯების ანაზღაურების შეუძლებლობა (უფრო ვრცლად აღნიშნულის თაობაზე იხ. სსსკ-ის 111-ე და 112-ე მუხლები).

#### **მუხლი 40. ბრალდებულის დასწრების უფლების შეზღუდვა**

1. მოსამართლეს უფლება აქვს, მონმის დაკითხვის დროს უარი თქვას ბრალდებულის დასწრებაზე, თუ გამოიყენება მონმის დაცვის ერთ-ერთი სპეციალური ღონისძიება.
2. ბრალდებულს დროულად უნდა შეატყობინონ მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი. ბრალდებულს არა აქვს მისი ჩატარების არასაპატიო მიზეზით გადადების მოთხოვნის უფლება. თუ ბრალდებული დაპატიმრებულია და ჰყავს ადვოკატი, ასეთ საგამოძიებო მოქმედებას ესწრება მისი ადვოკატი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ საგამოძიებო მოქმედებაში ბრალდებულის უშუალო მონაწილეობა აუცილებელია. თუ ბრალდებულს ან/და მის ადვოკატს გონივრულ ვადაში არ ეცნობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი, ასეთი საგამოძიებო მოქმედება არ უნდა ჩატარდეს, ხოლო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.
3. თუ ადვოკატი საპატიო მიზეზით არ იღებს მონაწილეობას დანიშნულ საგამოძიებო მოქმედებაში, პროკურორი ვალდებულია იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რომელშიც ადვოკატს უნდა მიეღო მონაწილეობა, ერთჯერადად გადადოს გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 5 დღისა. ამ ვადის გასვლისთანავე პროკურორი საგამოძიებო მოქმედებას ატარებს ადვოკატის მონაწილეობის გარეშე, თუ არ არსებობს ამ კოდექსით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა. ადვოკატის გამოუცხადებლობა არ იწვევს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადადებას.

1. **ნორმის მიზანი:** განსახილველი ნორმა განსაზღვრავს საპროცესო (საგამოძიებო) მოქმედებებში ბრალდებულისა და მისი ადვოკატის მონაწილეობის საკითხს და მათი მონაწილეობის გარეშე ასეთი მოქმედებების განხორციელების სამართლებრივ შედეგებს.
2. **ბრალდებულის დასწრება ცალკეული საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას.** რამდენადაც სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, ბრალდებულს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში, მას დროულად უნდა ეცნობოს ასეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი. თუ ბრალდებული საპატიო მიზეზით (მაგ., ავადმყოფობა, სტიქიური და სხვა ბუნებრივი მოვლენების გამო გამოცხადების შეუძლებლობა და სხვა) ვერ

- ახერხებს დანიშნულ დროს საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობას, მას უფლება აქვს მოითხოვოს მისი ჩატარების გადადება. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროისა და ადგილის თაობაზე ბრალდებულის ან/და მისი ადვოკატის წინასწარი ინფორმირების გარეშე დაუშვებელია მისი ჩატარება. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად იქნება ცნობილი. მიუხედავად ამისა, თუ ასეთი საგამოძიებო მოქმედების დროს მოპოვებული მტკიცებულება დაცვის მხარისთვის სასარგებლოა და არ აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ზღუდავს მის დასაშვებობას (იხ. უფრო დეტალურად სსსკ-ის 72-ე მუხლი).
3. დაპატიმრებულ ბრალდებულს, რომელსაც იცავს ადვოკატი, შესაძლოა შეეზღუდოს საგამოძიებო მოქმედებაზე დასწრების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედებას დაესწრება ბრალდებულის ადვოკატი. მაგრამ, როდესაც საგამოძიებო მოქმედების ხასიათიდან გამომდინარე, მასში ბრალდებულის უშუალო მონაწილეობა აუცილებელია, დაპატიმრებულ ბრალდებულს ვერ შეეზღუდება მონაწილეობის მიღების უფლება (მაგ., საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს, როდესაც უნდა შემოწმდეს ბრალდებულის გარკვეული უნარები და შესაძლებლობები). იმის მიუხედავად, ბრალდებული დაპატიმრებულია თუ არა, განსახილველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს, მოწმის დაკითხვის დროს უარი თქვას ბრალდებულის დასწრებაზე, თუ გამოიყენება მოწმის დაცვის ერთ-ერთი სპეციალური ღონისძიება. აღნიშნული ეხება მოწმის როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის დროს დაკითხვას. მოწმის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, კანონმდებელი ცდილობს, რომ აარიდოს ცალკეული კატეგორიის მოწმეებს ბრალდებულთან პირდაპირი კონფრონტაცია (მაგ., სექსუალური ძალადობის მსხვერპლი მოწმეები, არასრულწლოვანი მოწმეები და ისეთი მოწმეები, რომლებსაც ბრალდებულის ან მისი გარემოცვის მხრიდან შესაძლოა დაემუქროს სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის ხელყოფის და სხვა საფრთხეები; აღნიშნულის თაობაზე იხ. სსსკ-ის 67-ე მუხლი). იმისათვის, რომ საქმის არსებითი განხილვისას არ დაირღვეს სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობის ბალანსი, ასეთ შემთხვევაში ბრალდებულის ადვოკატს უნდა მიეცეს მოწმის დაკითხვისას მონაწილეობის უფლება. უკიდურეს შემთხვევაში, პროცესის შეჯიბრებითობის დაბალანსების მეთოდად გამოყენებულ უნდა იქნეს მოწმის დაკითხვის ტექნიკური საშუალებები, რა დროსაც ადვოკატს ექნება მოწმისთვის აუდიო არხით ან წერილობით შეკითხვების დასმის საშუალება<sup>320</sup>.
4. **ადვოკატის დასწრება ცალკეული საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას.** როგორც აღინიშნა, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლება აქვს როგორც უშუალოდ ბრალდებულს, ისე მის ადვოკატს. ბრალდებული ასევე უფლებამოსილია, მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დროს (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი). შესაბამისად, ბრალდებულთან ერთად ასევე ადვოკატსაც უნდა მიეცეს საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. როდესაც ბრალდებულის მოთხოვნით საგამოძიებო მოქმედებას უნდა დაესწროს მისი ადვოკატიც და ეს უკანასკნელი საპატიო მიზეზით არ იღებს მონაწილეობას დანიშნულ საგამოძიებო მოქმედებაში, პროკურორი ვალდებულია იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რომელშიც ადვოკატს უნდა მიეღო მონაწილეობა, ერთჯერადად გადადოს გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 5 დღისა. ამ ვადის გასვლისთანავე პროკურორი საგამოძიებო მოქმედებას ატარებს ადვოკატის მონაწილეობის გარეშე, თუ არ არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა (იხ. სავალდებულო

<sup>320</sup> იხ., Doorson v. the Netherlands, ECtHR, 26/03/1996; Windisch v. Austria, ECtHR, 27/09/1990; Van Mechelen and Others v. the Netherlands, ECtHR, 23/04/1997; ტრექსელი, შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, 362-363.

დაცვის თაობაზე სსსკ-ის 45-ე მუხლი). აქედან გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც საგამოძიებო მოქმედება ტარდება გადაუდებელი აუცილებლობისას, რა დროსაც ადვოკატის გამოუცხადებლობა არ იწვევს ასეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადადებას.

#### **მუხლი 41. ბრალდებულის მიერ ადვოკატის აყვანა**

**ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, – მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვა პირი) და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს ანესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე.**

1. გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატის მეშვეობით წარდგენილი ბრალდებისაგან დაცვა ბრალდებულის უფლებაა, ეს უკანასკნელი იღებს მისთვის სასურველი ადვოკატის აყვანის გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში, როდესაც სხვადასხვა მიზეზით ბრალდებულს თავად არ შეუძლია ადვოკატის აყვანა (მაგ., დაკავებულია, არასრულწლოვანია, ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის მქონეა), ბრალდებულის ნების გათვალისწინებით შესაძლებელია ადვოკატი აიყვანოს მისმა ახლო ნათესავმა ან სხვა ნებისმიერმა პირმა. ახლო ნათესავის ან სხვა პირის მიერ ადვოკატის აყვანის დროს მნიშვნელოვანია ბრალდებულის ნება, რადგან გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ბრალდებულს სისხლის სამართლის პროცესში არ გააჩნია ადვოკატის აყვანის ვალდებულება. ამასთან, ბრალდებულის ნების გათვალისწინება საჭიროა იმ მხრივაც, თუ კონკრეტულად რომელი ადვოკატი სურს ბრალდებულს, რომ იცავდეს. რამდენადაც ჯეროვანი დაცვის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია ბრალდებულსა და მის ადვოკატს შორის ნდობის არსებობა (ნდობა ადვოკატის პროფესიონალიზმისადმი, პიროვნებისადმი და ა.შ.), ბრალდებულისთვის აყვანილი ადვოკატი უნდა იყოს მისაღები. გასათვალისწინებელია, რომ გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. მაგალითად, ეს პირები ვერ გაუწევენ ბრალდებულს ან მის ახლო ნათესავს რეკომენდაციას, რომ აიყვანონ კონკრეტული ადვოკატი ან კონკრეტულ ადვოკატურასთან დაიჭირონ ურთიერთობა. ეს გამოიწვევს ამ თანამდებობის პირთა სამსახურებრივ და პროფესიულ პასუხისმგებლობას. რაც შეეხება ადვოკატს, რომელიც აღნიშნული ოფიციალური პირების რეკომენდაციით ჩაერთო საქმეში, მასაც შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა პროფესიული ქცევის წესების დარღვევისთვის. თუმცა ეს აკრძალვა არ ვრცელდება იმაზე, რომ ბრალდებულს ზემოაღნიშნულმა პროცესის მწარმოებელმა თანამდებობის პირებმა ურჩიონ, რომ წარდგენილი ბრალდების შინაარსიდან და საქმის გარემოებებიდან უმჯობესი იქნებოდა მას ჰყოლოდა ადვოკატი.
2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში<sup>321</sup> ადვოკატი საქმეში ჩაერთო ბრალდების მხარის მიწვევით. კერძოდ, ადვოკატმა ბრალდების მხარის მიწვევით მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში. თუმცა, ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს შემთხვევის ადგილზე მისვლისას, აცნობა, რომ იყო მისი ადვოკატი და მონაწილეობას მიიღებდა შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში. ეთიკის კომისიის აზრით, „ეს ვითარება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დაცვის განხორციელებაზე კლიენტთან შეთანხმებად. ადვოკატმა აღნიშნული ინფორმაცია კლიენტს მიაწოდა მას შემდეგ, რაც უკვე ჩაერთო საქმეში ბრალდების მხარის თხოვნით, ადვოკატმა კლიენტის ნებართვის გარეშე გამოწერა ორდერი სისხლის სამართლის საქმეზე. შესაბამისად, ადვოკატის მიერ უფლებამოსილების მიღებაზე ინფორმაციის მიწოდება კლიენტისთვის დაგვიანებული იყო. „გასათვალისწინებელია, რომ პირი დაკავებისას ხშირად იმყოფება მძიმე სტრესულ მდგომარეობაში და ასეთ დროს კლიენტთან გასაუბრების უფლება და

<sup>321</sup> საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, №112/11, 25/05/2012, იხ., <http://gba.ge/uploads/resolutions/2013/11/06/1626ea2531ea1bc0afd31fb3f99a3cff.pdf> [01/10/2015].



- შესაძლებლობა აქვს ადვოკატს, რომელსაც მიანდობს კლიენტი მისი უფლებების დაცვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, ადვოკატი კლიენტის ნებით არ ჩაერთო სისხლის სამართლის საქმეზე“. ბრალდების მხარის მოწვევის საფუძველზე მოცემულ საქმეში ჩართვა არღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.1 მუხლით („ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევებისა“) დადგენილ ვალდებულებას.
3. ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვა პირი) და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე. ადვოკატის მომსახურების პირობები და მომსახურების ფარგლები განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ხელშეკრულება/შეთანხმება შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი. ეს წესები სრულად ვრცელდება საადვოკატო მომსახურების შესახებ შეთანხმებაზეც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად (სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი), შეთანხმება საადვოკატო მომსახურებაზე განიხილება, როგორც დავალების ხელშეკრულება, ვინაიდან ადვოკატი რწმუნებულებით ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელით და ხარჯზე.
  4. ბრალდებულისგან ადვოკატის აყვანის უფლებამოსილების არსებობისთვის არ არის აუცილებელი მესამე პირს გააჩნდეს ადვოკატის აყვანის მინდობილობა. საკმარისია, როცა სახეზეა, რომ მესამე პირი ნამდვილად მოქმედებს ბრალდებულის ნების გათვალისწინებით და მისთვის დებს შეთანხმებას ადვოკატთან. სამოქალაქო სამართალი იცნობს მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ გარიგებებს და კლიენტის სასარგებლოდ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაც სწორედ ამ ტიპის ხელშეკრულებად ჩაითვლება. თუ მესამე პირთან შეთანხმების გაფორმების შემდეგ, ადვოკატი აღმოაჩენს, რომ კლიენტს არ სურდა მისი მომსახურება, მან უნდა გააუქმოს შეთანხმება საადვოკატო მომსახურების შესახებ.

#### **მუხლი 42. ბრალდებულის ან მსჯავრდებულის შუამდგომლობით სასამართლო განხილვის დაუშვებლობა**

1. ადვოკატის შეცვლის მოტივით სასამართლო განხილვის გადადება დაუშვებელია, თუ ეს მიზნად ისახავს სასამართლო განხილვის გაჭიანურებას და მისთვის ხელის შეშლას.
2. ადვოკატის მიერ დაცვის მოვალეობის შესრულების ხანგრძლივად შეუძლებლობის შემთხვევაში სასამართლო განხილვის გადადება დაუშვებელია, თუ ეს იწვევს სასამართლო განხილვის გაჭიანურებას და მისთვის ხელის შეშლას.
3. თუ ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ადვოკატი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, რაც, სასამართლოს შეფასებით, აჭიანურებს საქმის განხილვას, სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს ან მსჯავრდებულს დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით, რაც არ ზღუდავს ბრალდებულის ან მსჯავრდებულის უფლებას, მოიწვიოს ადვოკატი საკუთარი სურვილით. ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სურვილით მოწვეული ადვოკატის სასამართლოში გამოცხადებისთანავე, ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მოთხოვნის შემთხვევაში, სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატი უნდა ჩამოსცილდეს საქმის განხილვას.
4. თუ ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ადვოკატი საპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, სასამართლო სხდომას გადადებს არა უმეტეს 10 დღით. თუ ადვოკატი ამ ვადის გასვლის შემდეგ კვლავ არ გამოცხადდა სასამართლოში, მოქმედებს ამ მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესი.
5. ამ მუხლით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

1. **ადვოკატის შეცვლის მოტივით სასამართლო განხილვის გადადება.** სასამართლო წარმოადგენს როგორც პროცესის შეჯიბრებითობისა და თანასწორობის, ისე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულობის განხორციელების გარანტს. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლოში საქმის განხილვას უნდა გააჩნდეს უწყვეტი ხასიათი და მისი გადადებისათვის უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი საფუძვლები (მაგ., ერთ-ერთი მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, მხარის, მოწმის ან თარჯიმნის გამოუცხადებლობა; იხ., სსსკ-ის 185-ე მუხლი). შესაბამისად, მოსამართლეს უფლება აქვს უარყოს მხარის ისეთი შუამდგომლობა, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლო განხილვის გაჭიანურებას და მისთვის ხელის შეშლას. ამგვარი შუამდგომლობა შეიძლება იყოს ადვოკატის შეცვლის მოტივით სასამართლო განხილვის გადადება. ბრალდებულმა უნდა დაასაბუთოს ადვოკატის შეცვლის მიზეზი. მაგალითად, როცა ადვოკატი არღვევს პროფესიული ეთიკის ნორმებს (მაგ., გაახმაურა ბრალდებულის კონფიდენციალური ინფორმაცია ან არ მიანოდა ბრალდებულს მნიშვნელოვანი ინფორმაცია), ბრალდებულის გადაწყვეტილება შეცვალოს ადვოკატი თუნდაც მაშინ, როდესაც სასამართლოს შეზღუდული საპროცესო ვადები აქვს, არ შეიძლება განხილულ იქნეს ბრალდებულის მხრიდან გაჭიანურებად ან/და ხელის შეშლად. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გაჭიანურებასა და ხელის შეშლას არ ექნება ადგილი მაშინ, როდესაც ბრალდებულს აქვს ადვოკატის შეცვლის მნიშვნელოვანი საფუძველი, რაშიც სასამართლო უნდა დარწმუნდეს. ასევე, სსსკ-ის (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილი) და ევროპული კონვენციის (ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება დაცვის მოსამზადებლად. ეს უფლება სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. აღსანიშნავია, რომ სწრაფი მართლმსაჯულების უფლებაც ბრალდებულის უფლებაა, რომელზეც უარი შეიძლება თავად ბრალდებულმა განაცხადოს, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მომზადებისთვის (სსსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი). ამიტომ სასამართლომ ეს საკითხიც უნდა შეაფასოს შესაძლო გაჭიანურების თაობაზე დასკვნის გაკეთებამდე, რათა გამოირიცხოს ბრალდებულის უფლების დარღვევა დაცვის სათანადოდ მომზადებაზე.
2. **ადვოკატის მიერ დაცვის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობა და ადვოკატის სასამართლოში გამოუცხადებლობა.** როდესაც ადვოკატს ხანგრძლივად არ შეუძლია დაცვის მოვალეობის განხორციელება, სასამართლო განხილვა არ გადაიდება, თუ ეს იწვევს სასამართლო განხილვის გაჭიანურებას და მისთვის ხელის შეშლას. დაცვის მოვალეობის ხანგრძლივად შეუსრულებლობაში უნდა მოვიაზროთ 10 დღეზე მეტი დროის მონაკვეთი. სსსკ-ის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის რეგულაცია ვრცელდება ადვოკატის მიერ საპატიო მიზეზით დაცვის მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევებზეც.
3. თუ ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ადვოკატი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, რაც, სასამართლოს შეფასებით, აჭიანურებს საქმის განხილვას, სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს ან მსჯავრდებულს დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით (სსსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი), რაც არ ზღუდავს ბრალდებულის ან მსჯავრდებულის უფლებას, მოიწვიოს ადვოკატი საკუთარი სურვილით. ადვოკატის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას კანონი სასამართლოს უფლებას აძლევს მართლმსაჯულებისა და ბრალდებულის ჯეროვანი დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ბრალდებულს ან მსჯავრდებულს დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით მაშინაც, როდესაც არ არსებობს სსსკ-ის 45-ე მუხლში მითითებული სავალდებულო დაცვის რომელიმე კონკრეტული შემთხვევა. როდესაც ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ადვოკატის გამოუცხადებლობა ზიანს აყენებს დაცვის ეფექტურობას, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ იზრუნოს ადვოკატის სასამართლო განხილვაში მონაწილეობაზე (სსსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი). ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სურვილით მონვეული ადვოკატის სასამართლოში გამოცხადებისთანავე, ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მოთხოვნის

შემთხვევაში, სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატი უნდა ჩამოსცილდეს საქმის განხილვას (სსსკ-ის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

4. განსახილველი მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ადვოკატის საპატიო მიზეზით სასამართლოში არგამოცხადების შემთხვევაში, სასამართლო სხდომას გადადებს არა უმეტეს 10 დღით. თუ ადვოკატი ამ ვადის გასვლის შემდეგ კვლავ არ გამოცხადდა სასამართლოში, მოქმედებს სსსკ-ის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესი.

### **მუხლი 43. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობის კონფიდენციალობა**

1. ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან კონფიდენციალური და თავისუფალია.
2. კონფიდენციალურია ასევე პირის ბრალდებულად ცნობამდე მისი ურთიერთობა მის შესაძლო ადვოკატთან.
3. დაკავებული ან დაპატიმრებული ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობით.

1. ადვოკატ-ბრალდებულის ურთიერთობის კონფიდენციალობა. ადვოკატისა და მისი კლიენტის – ბრალდებულის ურთიერთობა კონფიდენციალურია. კონფიდენციალურია ასევე მთელი ის ინფორმაცია, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა პირის შესახებ მის ბრალდებულად ცნობამდე. კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა ადვოკატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეთიკური ვალდებულებაა, რაც დაცულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლით. ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი შედგება 5 პუნქტისაგან. პირველი პუნქტის პირველივე წინადადების თანახმად განსაზღვრულია, რომ ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. „ადვოკატი ვალდებულია დაიცავს კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიანოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“.
2. ამდენად, ადვოკატმა უნდა მიიღოს გარკვეული ზომები, რაც საკმარისი იქნება იმისთვის, რომ მესამე პირებს კონფიდენციალურ ინფორმაციაზე ხელი არ მიუწვდებოდეთ. ასეთი დამცავი ღონისძიებების მაგალითია პაროლი ადვოკატის პერსონალურ კომპიუტერზე; ადვოკატის სამუშაო კაბინეტის ან სამუშაო კარადის (სადაც საქმის მასალებს ინახავს ადვოკატი) კარის გასაღებით ჩარაზვა სამუშაო დღის დამთავრებისას და ა.შ.
3. კონფიდენციალურია არა მარტო ის ინფორმაცია, რაც ადვოკატს უშუალოდ კლიენტმა ან იურიდიული რჩევის მიღების მსურველმა მიანოდა, არამედ ნებისმიერი ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია კლიენტთან ან მის საქმესთან. ამდენად, აღნიშნული ფორმულირების გათვალისწინებით, კონფიდენციალურია ის ინფორმაცია, რაც შეიძლება უშუალოდ არ უკავშირდებოდეს კლიენტის საქმეს, მაგრამ დაკავშირებული იყოს კლიენტთან (მაგალითად, მისი პირადი ან სხვა ტიპის ინფორმაცია). კონფიდენციალური ინფორმაცია ადვოკატმა შეიძლება სხვადასხვა წყაროდან გაიგოს. კლიენტი მხოლოდ ერთ-ერთი ასეთი წყაროა. კონფიდენციალობის პრინციპის თანახმად, ინფორმაციის ნებისმიერი წყაროდან მიღებული ინფორმაცია, რაც უკავშირდება კლიენტის საქმეს ან თავად კლიენტს, კონფიდენციალურია.
4. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში – ეს იმას ნიშნავს, რომ ადვოკატი ვალდებულია სამუდამოდ კონფიდენციალურად შეინახოს მისთვის განდობილი ინფორმაცია.

ადვოკატს ეკრძალება განზრახ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

- კლიენტის წინააღმდეგ;
- საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს.

აღნიშნული ნორმა არ ადგენს, რა შეიძლება იყოს შესაბამისი თანხმობა და არ განსაზღვრავს ასეთი თანხმობის ფორმას (წერილობითი თუ ზეპირი). ნათელია, რომ ადვოკატმა მკაფიოდ უნდა აუხსნას კლიენტს კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების საჭიროების შესახებ და კლიენტისგან თანხმობაც უნდა იყოს ნათლად და მკაფიოდ გამოთქმული.

5. ეთიკის კოდექსი ჩამოთვლის იმ ვითარებებს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი), როცა ადვოკატმა შეიძლება გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია. ეს ვითარებებია:

ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;

ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;

გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისაგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის.

„ა“ ქვეპუნქტით დადგენილი შესაძლებლობის თანახმად, ბუნებრივია, რომ თუ კლიენტი მისცემს თანხმობას მის ადვოკატს, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია. ძალიან ხშირია, როცა კლიენტის თანხმობითა და მითითებით ადვოკატი აძლევს ინფორმაციას მასმედიის საშუალებებს.

„ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმა უშვებს კლიენტის თანხმობის გარეშე მისი კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას მხოლოდ კლიენტის დაცვის ან კლიენტის წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში და მხოლოდ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, აუცილებელი პირობაა, რომ კლიენტს არ უნდა ჰქონდეს წინასწარ აკრძალული ასეთი ინფორმაციის გამოყენება ადვოკატისთვის.

„გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნორმაც უშვებს კლიენტის თანხმობის გარეშე მისი კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას, თუ ეს აუცილებელია ადვოკატისთვის მისთვის წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისაგან თავის დასაცავად, ასევე, ადვოკატის მიერ კუთვნილი ჰონორარის მისაღებად.

6. ადვოკატისთვის ბრალდების წაყენება ან სხვა რომელიმე ორგანოს ან პირის მიერ სხვა რაიმე მოთხოვნის წარდგენა ის ვითარებაა, სადაც ეთიკის კოდექსი უშვებს კლიენტის თანხმობის გარეშე მისი კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობას. ასევე, კლიენტის თანხმობა არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი არღვევს ადვოკატთან არსებულ სახელშეკრულებო ვალდებულებებს და არ ურიცხავს კუთვნილ ჰონორარს. ამ შემთხვევაშიც, ადვოკატს შეუძლია სასამართლოში ან სხვა ორგანოში ჰონორარის მიღებისთვის წამოწყებული საქმის განხილვის პროცესში წარადგინოს კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია. აქვე ხაზგასასმელია, რომ ეს ინფორმაცია უნდა იყოს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც ადვოკატს სჭირდება ჰონორარის მისაღებად მისი პოზიციის არგუმენტირებისას.

7. **ადვოკატის და ბრალდებულის ურთიერთობებში ჩარევის შეზღუდვა.** სსსკ-ის 43-ე მუხლის თანახმად, ასევე ეკრძალება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ბრალდებულისა და ადვოკატის ურთიერთობებში ჩარევა და ამ ურთიერთობის შეზღუდვა. ერთადერთი, ნაწილობრივ შეზღუდვად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ ვიზუალური დაკვირვება ამ ურთიერთობებზე ისე, რომ არ მოისმინონ საუბრის შინაარსი. ადვოკატისა და მისი კლიენტის ურთიერთობის უკანონო შეზღუდვების და ზენოლის გარეშე განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანი ღირებულებაა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ იურიდიულ პროფესიას ძირითადი როლი

აქვს მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფასა და სამართლის უზენაესობის შენარჩუნებაში.

8. ბრალდებულის უფლება, ჰქონდეს მის ადვოკატთან კონფიდენციალური ურთიერთობა, წარმოადგენს სასამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ელემენტს, რომელიც გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „c“ ქვეპუნქტიდან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულის მიერ ადვოკატის მომსახურებით სარგებლობა დაკარგავს ყოველგვარს აზრსა და მნიშვნელობას, თუკი განხორციელდება ბრალდებულისა და ადვოკატის საუბარზე აკუსტიკური მეთვალყურეობა<sup>322</sup>. ამასთან, ადამიანის უფლებათა სასამართლო აღნიშნულ კონტექსტში საუბრობს არა მხოლოდ ბრალდებულისა და ადვოკატის ვერბალურ, არამედ წერილობით კომუნიკაციაზეც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში, ციხის ადმინისტრაციამ ადვოკატს კლიენტთან შეხვედრის შემდეგ ჩამოართვა ჩანაწერები, რომელიც კლიენტთან ვიზიტის დროს გააკეთა ადვოკატმა. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ადვოკატის კლიენტთან წერილობითი კომუნიკაციის საიდუმლოება არ არის ნაკლებად მნიშვნელოვანი ზეპირ კომუნიკაციასთან შედარებით და ადვოკატის მიერ კლიენტთან შეხვედრისას გაკეთებული ჩანაწერები, პროექტები, ხაზგასმები, სამოქმედო გეგმები და სხვა, ისეთივე პრივილეგიით სარგებლობს როგორც სხვა ინფორმაცია, დაკავშირებული კლიენტთან. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება ადვოკატ-კლიენტის მიმონერის შინაარსობრივი შემოწმება – როცა ოფიციალურ ორგანოებს აქვთ დასაბუთებული ვარაუდი, რომ მიმონერა შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს ციხის უსაფრთხოებას, ან სხვათა უსაფრთხოებას, ან სხვაგვარად იყოს კრიმინალური ბუნების. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ადვოკატ-კლიენტის კონფიდენციალური ურთიერთობის რუტინული, დაუსაბუთებელი დარღვევა, ისევე როგორც ადვოკატის ოფისის დაუსაბუთებელი და სათანადო პროცედურული გარანტიების გარეშე ჩატარებული ჩხრეკა, არღვევს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „c“ ქვეპუნქტით გარანტირებულ უფლებას – არჩეული დამცველის მეშვეობით დაცვის განხორციელების შესახებ.<sup>323</sup>

#### მუხლი 44. ბრალდებულის ადვოკატის სამართლებრივი მდგომარეობა

1. იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადვოკატს უფლება არა აქვს, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ. ადვოკატს ასევე არა აქვს უფლება, ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბრალდებული არასრულწლოვანია ან აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას.

2. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ორდერს და თავის მონაწილას.

3. ადვოკატს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით გაეცნოს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მიიღოს მტკიცებულებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების, მათ შორის, გამოკითხვის ოქმების, ასლები, აგრეთვე ისარგებლოს ბრალდებულის ყველა უფლებით და დაცვის მხარის ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებებით. ადვოკატი ვერ ისარგებლებს იმ უფლებებით, რომლებითაც, თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ ბრალდებულმა ისარგებლოს.

4. ადვოკატი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს საპროცესო მოქმედების ჩატარების ადგილ-

<sup>322</sup> იბ., S. v. Switzerland, ECtHR, 28/11/1991.

<sup>323</sup> Khodorkovskiy and Lebedev v. Russia, ECtHR, 25/10/2013, §§633-641.

ზე და სასამართლოში.

(1. იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადვოკატს არა აქვს უფლება, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ. ადვოკატს ასევე არა აქვს უფლება, ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბრალდებულს აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას (12.06.2015 № 3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)).

1. **ნორმის მიზანი:** განსახილველი მუხლით განისაზღვრება ბრალდებულის ადვოკატის სამართლებრივი მდგომარეობა. ნორმაში მითითებულია როგორც ადვოკატის უფლებები, ისე მისი მოვალეობები. რამდენადაც ადვოკატის უფლებები მჭიდრო კავშირშია ბრალდებულის უფლებებთან და მეტწილად წარმოდგება ამ უკანასკნელისაგან, კანონმდებელი ნორმაში მიუთითებს მხოლოდ ადვოკატის ზოგად უფლებებზე. რაც შეეხება აღნიშნული უფლებების რეალიზაციის პროცესულურ მექანიზმს, იგი განისაზღვრება სსსკ-ის ცალკეული ნორმებით.
1. **ადვოკატის ფუნქცია და ვალდებულებები** „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბრალდებულის უფლებები შეიძლება დაიცვას მხოლოდ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქემ, რომელსაც გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა (პროკურატურის მუშაკთა) საკვალიფიკაციო გამოცდა. გარდა ამისა, მას უნდა ჰქონდეს იურისტად ან ადვოკატის სტატუსით მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი. იმისათვის, რომ ადვოკატი შეუდგეს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას, იგი სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად წარადგენს ორდერს და თავის მოწმობას (სსსკ-ის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილი). იურიდიულ ლიტერატურაში ადვოკატის ფუნქციის შესახებ არ არსებობს ერთგვაროვანი პოზიცია. მეცნიერთა დიდი ნაწილი ადვოკატს მიიჩნევს სამართლებრივი წესრიგის დამცველად, რომელიც არა მარტო ბრალდებულის, არამედ საჯარო ინტერესების შესაბამისადაც მოქმედებს. ნაწილი კი უარყოფს აღნიშნულ მოსაზრებას და ადვოკატს სისხლის სამართლის პროცესში როგორც ბრალდებულის ინტერესების წარმომადგენლს აღიარებს. მეტი მხარდაჭერა აქვს მეცნიერთა პოზიციას, რომელიც ადვოკატს ბრალდებულის ინტერესების დამცველთან ერთად სამართლებრივი წესრიგის დამცველადც მიიჩნევს. ადვოკატი სისხლის სამართალწარმოების დროს იცავს ბრალდებულის ინტერესებს და ამავდროულად ახორციელებს კონტროლს იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად წარიმართება სახელმწიფოს მხრიდან სისხლის სამართლის პროცესი. სამართლებრივ სახელმწიფოში მძიმე ბრალდების საქმეზე შეუძლებელია ადვოკატის მონაწილეობის გარეშე სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრალდებული დამოუკიდებლად ვერ შეძლებს წარდგენილი ბრალდებებისაგან თავის სათანადოდ დაცვას და იგი ბრალმდებელთან შედარებით უთანასწორო მდგომარეობაში აღმოჩნდება. ასეთ დროს სწორედ ადვოკატი უნდა დაუპირისპირდეს სისხლისსამართლებრივი დევნის აპარატს და უზრუნველყოს მხარეთა პროცესულური თანასწორობა. ვინაიდან, საზოგადოება განსაკუთრებულად არის დაინტერესებული სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფით, ადვოკატი მოქმედებს, მაშასადამე, არა მარტო ბრალდებულის, არამედ საჯარო ინტერესების შესაბამისადაც. ამიტომ, ადვოკატი სისხლის სამართლის პროცესში თავისი ფუნქციით არსებითად განსხვავდება წარმომადგენლისაგან, რომელიც გვევლინება სამოქალაქო პროცესის დროს<sup>324</sup>.
2. ადვოკატის მიზანია მხოლოდ ბრალდებულის გამამართლებელი ან მდგომარეობის შემამსუბუქებელი მტკიცებულებებისა და პოზიციების მოპოვება. ეს არის დაცვის განხორ-

<sup>324</sup> იბ., თუმანიშვილი, გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, 135-138.

ციელების უფლების არსებითი მახასიათებელი. ამ ნიშნით დაცვის მხარე განსხვავდება ბრალდების მხარისგან, რომელიც გამოიყენებს აწარმოებს ობიექტურად, ყოველმხრივ და სრულყოფილად (სსსკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

- 3. ბრალდებულის კანონიერი მითითებების შესრულების ვალდებულება.** დაცვის განხორციელების პროცესში ადვოკატი უფლებამოსილია დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი გამოიყენოს თავის დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესების დასაცავად. მნიშვნელოვანი ხაზგასმა აქ ისაა, რომ ადვოკატმა დაცვისათვის მხოლოდ კანონიერი ხერხები და საშუალებები უნდა გამოიყენოს. ამასთან, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის მითითებების შესაბამისად. მართალია, მუხლში არ არის ხაზგასმული, რომ საუბარია მხოლოდ კანონიერ მითითებებზე, მაგრამ ასეთი დასკვნა გამომდინარეობს მუხლის მთლიანი შინაარსიდან, რამდენადაც ადვოკატს შეუძლია მხოლოდ კანონიერი ხერხები და საშუალებები გამოიყენოს დაცვის პროცესში. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „c“ ქვეპუნქტის (პირადად ან დამცველის დახმარებით დაცვის უფლება, რომლის თანახმად ბრალდებულს უფლება აქვს „დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები“) თანახმადაც, არ არის უზრუნველყოფილი დაცვის ნებისმიერი არგუმენტის გამოყენების შეუზღუდავი უფლება.<sup>325</sup> ამდენად, ადვოკატი ვალდებულია უარი თქვას კლიენტის უკანონო მითითების შესრულებაზე და, პირიქით, ვალდებულია შეასრულოს ნებისმიერი კანონიერი მითითება, თუნდაც, როგორც პროფესიონალი, არ ეთანხმებოდეს მას. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ ეთანხმება კლიენტის კანონიერ მითითებას დაცვის მხარის ამა თუ იმ კონკრეტული მოქმედების შესახებ (მაგ: მტკიცებულების მოპოვების შესახებ) და ვერც კლიენტს გადაარწმუნებს მითითების შესრულების მიზანშეუწონლობის შესახებ, მას შეუძლია უარი თქვას დაცვის გაგრძელებაზე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტი), თუმცა იმ პირობით, რომ კლიენტს შესაძლებლობა ექნება დროულად მიმართოს სხვა ადვოკატს. მაგალითად, თუ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობებში ზემოთ დასახელებული პრობლემა წარმოიშობა რაიმე საკითხის გასაჩივრების ვადის ამონურვის დღეს, ადვოკატი ვალდებული იქნება ჯერ გაასაჩივროს საკითხი (თუ უკვე არ მონაწილეობს ან ჩაერთო ახალი ადვოკატი, რომელიც გაასაჩივრებს) და მხოლოდ შემდეგ თქვას უარი მომსახურების გაგრძელებაზე. ამასთან, უნდა დარწმუნდეს, რომ კლიენტს საკმარისი დრო აქვს სხვა ადვოკატის მოსაწვევად.

- 4. ადვოკატს არ აქვს უფლება ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში.** სსსკ ითვალისწინებდა აღკვეთის ღონისძიების ან განჩინის გასაჩივრებას მხოლოდ ბრალდებულის თანხმობის შემთხვევაში. ამჟამად მოქმედ რედაქციაში ადვოკატი უფლებამოსილია გაასაჩივროს დასახელებული გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად. ბრალდებულის ნება გამოვლინდება სასამართლო განხილვის დროს.

ადვოკატის მიერ უხეში შეცდომის დაშვებამ მტკიცებულების მოპოვების და სასამართლოსთვის წარდგენის დროს, ასევე შეიძლება გამოწვიოს ადვოკატის პასუხისმგებლობა პროფესიული ეთიკის ნორმების საფუძველზე. კერძოდ, ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის ვალდებულებას კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები. ადვოკატის უხეში შეცდომა, რის გამოც დაცვის მხარეს მოესპობა სასამართლოს წინაშე მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობა, სწორედ კვალიფიციური წარმომადგენლობის ეთიკური ვალდებულების დარღვევად უნდა ჩაითვალოს. ეთიკის კომისიის მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში ამ ნორმის დარღვევად ჩაითვალა ვითარება, როდესაც ადვოკატმა ბრალდების მხარეს და სასამართლოს წინა-

<sup>325</sup> Brandstetter v. Austria, ECtHR, 28/081991.

სასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე არ გადასცა ინფორმაცია, რომ მას წარდგენილი ჰქონდა ექსპერტიზის ბიუროში მოთხოვნა ექსპერტიზის ჩატარებაზე. ამ პროცესუალური შეცდომის გამო დაცვის მხარეს წაერთვა სასამართლო პროცესზე ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა. ეთიკის კომისიამ აღნიშნა: „ადვოკატმა უნდა განახორციელოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ქმედებები, რათა ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებული ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულების სახით წარადგინოს სასამართლოში და დაურთოს საქმეს.“<sup>326</sup>

**5. ბრალდებულისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.** მიუხედავად იმისა, რომ სსსკ პირდაპირ არ მიუთითებს ადვოკატის ასეთი ვალდებულების შესახებ, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ასეთი ვალდებულება დადგენილია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, მუხლი მე-6) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით (ეთიკის კოდექსი, მუხლის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი). ადვოკატი პროფესიული ეთიკის ნორმების თანახმად ვალდებულია მუდმივად მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტს ზოგადად საადვოკატო მომსახურების შესახებ. ასეთი ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსიდან (ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი) და მის საფუძველზე განვითარებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პრაქტიკიდან. ეთიკის კომისია გაამარტავს, თუ რა ჩაითვლება ინფორმაციის სათანადოდ მიწოდებად. „ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია, რაც უთუოდ გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას სრულფასოვნად, გასაგებ ენაზე და დროულად“.

**6.** თავის მხრივ, ინფორმაციის დროული მიწოდება გულისხმობს, რომ „ადვოკატი მუდმივად უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას“.

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მოიცავს არა მხოლოდ ცნობების მიწოდებას საქმის თაობაზე, არამედ საქმესთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტაციის მიწოდების ვალდებულებასაც.

ამასთან, ადვოკატი და კლიენტი შეიძლება შეთანხმდნენ კომუნიკაციის ისეთ ფორმაზე, რაც უზრუნველყოფს კლიენტისათვის ინფორმაციის სათანადოდ მიწოდებას. ასეთი ფორმა შეიძლება გულისხმობდეს ადვოკატის მიერ თანამოსარჩევეების ან თანამოპასუხეების ინტერესების დაცვისას, ერთ-ერთი კლიენტის ინფორმირებას და მის მიერ ამ გზით სხვა კლიენტების ინფორმირებას. ბუნებრივია, კომუნიკაციის შეთანხმებული ფორმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ პრინციპებს. აღნიშნულ საკითხებს ეხება ეთიკის კომისიის გადანწყვეტილება.

**7.** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიენტის დროული ინფორმირება საქმის უპერსპექტივობის შესახებ. მით უფრო იმ ვითარებაში, როცა ადვოკატისთვის წარდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ „სამართლებრივი მოქმედების განხორციელება შეუძლებელია კონკრეტული ვადით და არსებობს იმის საფრთხე, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ კლიენტი ვეღარ მოახდენს საკუთარი უფლების რეალიზაციას“.<sup>327</sup>

**8. ადვოკატის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვა და უფლებები.** ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის მიზნით ბრალდების მხარეს წარუდგენს ორდერს და ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემულ ადვოკატის მოწმობას. პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარდგენა არ არის საჭირო. აღსანიშნავია, რომ სსსკ არ იცნობს ადვოკატის სტაჟიორისა და ადვოკატის თანაშემწის ინსტიტუტს. სსსკ-გან განსხვავებით, საქართვე-

<sup>326</sup> საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადანწყვეტილება №024/12, 19/10/2012 ივ., <http://gba.ge/uploads/resolutions/2014/01/27/72b3682545d799dcf4944fdf0bf54d24.pdf> [01/10/2015].

<sup>327</sup> ეთიკის კომისიის საქმიანობა პრეცედენტები, რეკომენდაციები, 2013, 84-85.



- ლოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“ იცნობს როგორც ერთს (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, მუხლი მე-16), ისე მეორეს (საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, მუხლი მე-17). „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „სტაჟიორი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისი ადვოკატის დავალებით ახორციელებს მის უფლებამოსილებებს“ (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, მუხლი მე-16, პუნქტი მე-3). ხოლო „ადვოკატის თანაშემწეს უფლება აქვს, შესაბამისი ადვოკატის თანდასწრებით ან მისი დავალებით, ადვოკატის მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული ნებართვის საფუძველზე გაეცნოს მის წარმოებაში არსებული საქმის მასალებს სასამართლოში, არბიტრაჟსა და გამოძიების ორგანოებში, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ გაერთიანებებში“ (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, მუხლი მე-17, პუნქტი მე-2). ამდენად, „ადვოკატთა შესახებ“ კანონი და სსსკ ერთმანეთს ეწინააღმდეგება. თუ ეს უკანასკნელი საერთოდ არ იცნობს ადვოკატის სტაჟიორისა და თანაშემწის ცნებას და შესაბამისად, მათ უფლებებს, „ადვოკატთა შესახებ“ კანონი გარკვეულ პროცესუალურ უფლებებსაც ანიჭებს მათ. თუმცა, რამდენადაც სისხლის პროცესის მარეგულირებელი სპეციალური კანონია სსსკ, სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის სტაჟიორი ან თანაშემწე არ დაიშვება.
9. ადვოკატს აქვს ყველა ის უფლება, რაც აქვს ბრალდებულს, გარდა ისეთი უფლებებისა, რომელთა სარგებლობა, შინაარსიდან გამომდინარე, მხოლოდ ბრალდებულს შეუძლია. მაგალითად, დუმილის უფლებით მხოლოდ ბრალდებულმა შეიძლება ისარგებლოს.
  10. **ადვოკატის საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ადგილას დროული გამოცხადების ვალდებულება.** ადვოკატის ვალდებულებაა დროულად გამოცხადდეს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ჩატარების ადგილას. ადვოკატი ვერ გაამართლებს ამ ვალდებულების დარღვევას ბრალდებულის ინტერესების პრიორიტეტულობის არგუმენტით. როგორც აღინიშნა, ადვოკატი ვალდებულია მხოლოდ კანონიერი საშუალებები გამოიყენოს კლიენტის ინტერესების დასაცავად. სსსკ-ით დადგენილი ვალდებულების დარღვევა კი კანონიერ საშუალებად ვერ ჩაითვლება.
  11. თუ ადვოკატი საპატიო მიზეზით არ იღებს მონაწილეობას დანიშნულ საგამოძიებო მოქმედებაში, პროკურორი ვალდებულია ერთჯერადად გადადოს მოქმედების ჩატარება არა უმეტეს 5 დღით. ამ ვადის გასვლისთანავე საგამოძიებო მოქმედება ტარდება ადვოკატის გარეშე, თუ სავალდებულო დაცვის შემთხვევას არ აქვს ადგილი (სსსკ-ის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილი).
  12. რამდენადაც მოცემული მუხლი ან სხვა რომელიმე ნორმა სსსკ-ში არ განსაზღვრავს რა ხდება მაშინ, როცა ადვოკატი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად, უნდა დავასკვნათ, რომ ასეთ დროს პროკურორი უფლებამოსილია გადადების გარეშე ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება. ასევე გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედების დროს ადვოკატის გამოუცხადებლობა, მიუხედავად იმისა, მიზეზი საპატიოა თუ არასაპატიო, არ აბრკოლებს მოქმედების ჩატარებას (სსსკ-ის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილი, ბოლო წინადადება).

#### მუხლი 45. სავალდებულო დაცვა

სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი:

ა) თუ არასრულწლოვანია;

ბ) თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

გ) თუ აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას;

დ) თუ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშნის შესახებ;

- ე) თუ ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით;
- ვ) თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;
- ზ) თუ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;
- თ) თუ თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;
- ი) თუ გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;
- კ) თუ არაიდენტიფიცირებული პირია;
- ლ) ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

- როგორც წესი, ბრალდებული სისხლის სამართლის პროცესში თავად იღებს გადაწყვეტილებას, განახორციელებს დაცვას წარდგენილი ბრალდებისაგან პირადად თუ ადვოკატის მეშვეობით. თუმცა აღსანიშნავია, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში წარდგენილი ბრალდებისაგან დაცვის სტრატეგიის არჩევა ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია მინდობილი იყოს ბრალდებულზე<sup>328</sup>. ცალკეულ შემთხვევებში ბრალდებულს არ ძალუძს სათანადოდ დაუპირისპირდეს ბრალდების მხარეს და დაცვა განახორციელოს ეფექტურად. შესაბამისად, კანონმდებელმა გაითვალისწინა სავალდებულო დაცვის ინსტიტუტი, რომლის შესაბამისად, გარკვეული პირობების არსებობისას, სავალდებულოა ბრალდებულისთვის ადვოკატის ყოლა. ასეთ დროს ბრალდებულს პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირის მიერ სავალდებულო წესით ენიშნება ადვოკატი, თუ იგი თავს არიდებს ადვოკატის აყვანას. ბრალდებული თავადაც რომ იყოს ადვოკატი, კანონით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, სავალდებულოა, რომ მის ინტერესებს იცავდეს ადვოკატი. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო წესით ბრალდებულისთვის დანიშნული ადვოკატის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო, მიუხედავად ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობისა<sup>329</sup>. სავალდებულო დაცვის შემთხვევა ძირითადად არსებობს, როდესაც ბრალდებული სხვადასხვა მიზეზით თავად ვერ შეძლებს ჯეროვანი დაცვის განხორციელებას, ანდა, როდესაც ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე განაპირობებს ბრალდებულის ეფექტიანი დაცვით უზრუნველყოფის აუცილებლობას.
- აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 45-ე მუხლი არ შეიცავს სავალდებულო დაცვის შემთხვევათა ამომწურავ ჩამონათვალს. იმავე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სავალდებულოა ბრალდებულისთვის ადვოკატის ყოლა აგრეთვე, როცა ამას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებს. მაგალითისათვის, ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა, სასამართლოს შეუძლია ბრალდებულს დაუნიშნოს სავალდებულო წესით ადვოკატი, თუ ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიერ აყვანილი ადვოკატის გამოუცხადებლობა აჭიანურებს საქმის განხილვას. თუმცა აღნიშნული არ ზღუდავს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) უფლებას, მოიწვიოს ადვოკატი საკუთარი სურვილით. ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სურვილით მოწვეული ადვოკატის სასამართლოში გამოცხადებისთანავე, ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მოთხოვნის შემთხვევაში, სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატი უნდა ჩამოსცილდეს საქმის განხილვას (სსსკ-ის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილი).
- უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულის ნების გარეშე მისთვის ადვოკატის სავალდებულო წესით დანიშვნა სრულიად შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სავალდებულო წესით ბრალდებულისთვის იმ შემთხვევაშიც კი უშვებს ბრალდებულისთვის ადვოკატის დანიშვნას, როდესაც ამ უკანასკნელს მოწვეული ჰყავს რამდენიმე ადვოკატი. აქ საუბარია

<sup>328</sup> თუმანიშვილი, გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, 137.

<sup>329</sup> იქვე, 148-149.

ე.წ. „დამატებითი ადვოკატის სპეციფიკურ შემთხვევებში“ სავალდებულო წესით დანიშნვაზე, რადგან აღნიშნულს ითხოვს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესები (მაგ., ადვოკატების გამოუცხადებლობა, მონვეული ადვოკატების არაკომპეტენტურობა და დაცვის არაეფექტურობა და ა.შ.). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციასთან შეუსაბამოდ არ მიიჩნევს, თუ გადახდისუნარიან ბრალდებულს სასამართლო დააკისრებს მისი ნების საწინააღმდეგოდ დანიშნული დამატებითი ადვოკატის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას<sup>330</sup>.

## მუხლი 46. დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე

### 1. დაცვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს, თუ:

- ა) გადახდისუნარო ბრალდებული მოითხოვს ადვოკატის დანიშვნას;
  - ბ) არსებობს ამ კოდექსით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა და სისხლის სამართლის საქმეში არ მონაწილეობს ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით).
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბრალდების მხარე ან მოსამართლე ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს იურიდიული დახმარების შესაბამის სამსახურს ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნის მოთხოვნით.
3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბრალდებულს უფლება აქვს, მიმართოს იურიდიული დახმარების შესაბამის სამსახურს ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით.
4. დაცვის სახელმწიფოს ხარჯზე განხორციელების შემთხვევაში სახელმწიფო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიღებს დაცვისათვის საჭირო სხვა ხარჯებსაც, თუ ეს ხარჯები პირდაპირაა დაკავშირებული ბრალდებულის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებასთან.
5. ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე შერჩევისა და დანიშვნის პროცედურა განისაზღვრება „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით.

1. **ნორმის მიზანი:** განსახილველი ნორმა წარმოადგენს ბრალდებულის დაცვის უფლების კონკრეტიზაციას და მიზნად ისახავს ხელმოკლე ბრალდებულის მდგომარეობის, ფინანსურად შედარებით ძლიერი ბრალდებულის მდგომარეობასთან გათანაბრებას<sup>331</sup>. შესაბამისად, ნორმით განისაზღვრება ბრალდებულის მიერ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე მომსახურებით სარგებლობის წესი და პირობები.
  2. **დაცვის ხარჯების სახელმწიფოს მიერ ანაზღაურების პირობები.** სახელმწიფოს ვალდებულება, ცალკეულ შემთხვევებში აუნაზღაუროს ბრალდებულს ადვოკატის მომსახურების ხარჯები, კიდევ უფრო ამყარებს ბრალდებულის უფლებას ეფექტურ დაცვასთან დაკავშირებით. ადვოკატის მომსახურებით უფასოდ სარგებლობის უფლება გაგებულია, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი ელემენტი<sup>332</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტი ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, რომ ბრალდებულს, რომელსაც თავად არ სურს დაცვის განხორციელება, მიეცეს სასურველი ადვოკატის შერჩევის შესაძლებლობა, ხოლო, როდესაც იგი ფინანსურად ხელმოკლეა, ისარგებლოს ადვოკატის უფასო მომსახურებით, თუ ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები.
- მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სახელმწიფოს ავალდებულებს დაცვის ხარჯების ანაზღაურებას ორ შემთხვევაში: 1) როდესაც ბრალდებული გადახ-

<sup>330</sup> იხ., Esser, R.: Auf dem Weg zu einem europäischen Strafverfahrensrecht, Grundlagen im Spiegel der Rechtsprechung des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte (EGMR) in Straßburg, Berlin 2002, 493; იხ., Croissant v Germany, ECtHR, 25/09/1992.

<sup>331</sup> იხ., ტრეკსელი, შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, 362-363. 314.

<sup>332</sup> იხ., Artico v. Italy, ECtHR, 03/05/1980; Quaranta v. Switzerland, ECtHR, 24/05/1991; Twalib v. Greece, ECtHR, 09/06/1998.

დისუუნაროა და 2) როდესაც არსებობს სავალდებულო დაცვის შემთხვევა და სისხლის სამართლის საქმეში არ მონაწილეობს ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი. ამრიგად, ქართველი კანონმდებელი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შედარებით კიდევ უფრო ამარტივებს დაცვის ხარჯების სახელმწიფოს მიერ ანაზღაურების პირობებს, კერძოდ, თუ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „c“ ქვეპუნქტის მიხედვითაც უსასყიდლოდ ადვოკატის მომსახურებით სარგებლობისთვის უნდა კუმულაციურად არსებობდეს ორი პირობა, ა) **ბრალდებულს არ უნდა გააჩნდეს საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად და ბ) ადვოკატის პროცესში მონაწილეობა უნდა გამომდინარეობდეს მართლმსაჯულების ინტერესებიდან, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, ადვოკატის უსასყიდლო მომსახურებით სარგებლობისთვის საკმარისია მხოლოდ ბრალდებულის გადახდისუუნარობა.**

3. **გადახდისუუნარო ბრალდებული.** „იურიდიული დახმარების შესახებ“ 2007 წლის 19 ივნისის საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია თუ ბრალდებული, მსჯავრდებული ან/და გამართლებული გადახდისუუნაროა. პირის გადახდისუუნარობის კრიტერიუმებს ადგენს „პირის გადახდისუუნარობის დადასტურების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ივნისის №424 დადგენილება. აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის თანახმად, პირი გადახდისუუნაროდ ითვლება და სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება ენიჭება, თუ იგი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე. გარდა ამისა, გადახდისუუნაროდ ითვლება და სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება ენიჭება აგრეთვე პირს, თუ იგი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე და მიეკუთვნება ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას: ა) იმ მრავალშვილიანი ოჯახის წევრია, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი; ბ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი; გ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი; დ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სრულწლოვანი პირი; ე) მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა მიმდინარეობს ბავშვობიდან; ვ) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი; ზ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.
4. **სავალდებულო დაცვის შემთხვევა.** როგორც უკვე ზომით გვქონდა საუბარი, სავალდებულო დაცვის შემთხვევები განისაზღვრება სსსკ-ის 45-ე მუხლით. თუკი სავალდებულო დაცვის რომელიმე შემთხვევისას ბრალდებული უარს აცხადებს ადვოკატის მონაწილეობაზე, ბრალდების მხარე ან მოსამართლე თავად უზრუნველყოფს ბრალდებულისთვის ადვოკატის დანიშვნას, რომლის მომსახურების ხარჯებიც ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ, ბრალდებულის გადახდისუუნარიანობის მიუხედავად. მნიშვნელოვანია, რომ სავალდებულო წესით ადვოკატის დანიშვნის დროს გათვალისწინებულ იქნეს ასევე ბრალდებულის მოსაზრებაც ადვოკატთან დაკავშირებით, რადგან ეფექტური დაცვის განხორციელებისათვის დიდი როლს თამაშობს ბრალდებულსა და ადვოკატს შორის არსებული ნდობის ფაქტორი. სწორედ ამიტომ, კანონი ბრალდებულს უფლებას ანიჭებს მსგავს შემთხვევებში მიმართოს იურიდიული დახმარების შესაბამის სამსახურს ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით და დაიცვას თავის სასურველი ადვოკატის მეშვეობით. თუკი ბრალდებული უარს იტყვის მინიჭებული უფლებით სარგებლობაზე, მაშინ ბრალდების მხარე ან მოსამართლე მიმართავს იურიდიული დახმარების შესაბამის სამსახურს ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე

დანიშვნის მოთხოვნით.

- 5. სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის ფარგლები.** რამდენადაც პირი დაკავების მომენტიდან ითვლება ბრალდებულად – ან თუ არ დაუკავებიათ, ბრალდებულად ცნობისთანავე, მას ამ მომენტიდან უფლება აქვს მოითხოვოს სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნა. ამრიგად, ბრალდებული გამოძიების სტადიაზევე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან სარგებლობს სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მომსახურებით. გამოძიების სტადიაზე ბრალდებულისთვის ადვოკატის დანიშვნის სავალდებულობაზე საუბრობს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში<sup>333</sup>. საკითხავია, რამდენად ვრცელდება სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება ზემდგომ ინსტანციებში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას. აღნიშნული კითხვა დაისმის იქიდან გამომდინარე, რომ სსსკ-ის 46-ე მუხლში საუბარია მხოლოდ ბრალდებულზე და არა მსჯავრდებულსა და გამართლებულზე. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კვლავ უნდა ვიხელმძღვანელოთ „იურიდიული დახმარების შესახებ“ 2007 წლის 19 ივნისის საქართველოს კანონით, რომლის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფს როგორც გადახდისუუნარო ბრალდებულს, ისე მსჯავრდებულსა და გამართლებულს. შესაბამისად, კანონის აღნიშნული ჩანაწერიდან გამომდინარე სსსკ-ის 46-ე მუხლით დადგენილი წესები ვრცელდება ასევე ზემდგომ ინსტანციებში სისხლის სამართლის განხილვის შემთხვევებზეც.
- 6.** ამ მხრივ საყურადღებოა ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს ის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მსჯავრდებულს აქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოშიც სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება<sup>334</sup>. კონვენციის მე-6 მუხლის დადგენილი გარანტიების ზემდგომ ინსტანციებში სისხლის სამართლის საქმის განხილვაზე გავრცელება, მათ შორის უსასყიდლოდ ადვოკატის მომსახურებით სარგებლობა, დამოკიდებულია პროცესის ცალკეულ თავისებურებებზე და იმაზე, თუ რა როლს თამაშობს და რა კომპეტენცია გააჩნია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს ხელშემკვრელ სახელმწიფოებში<sup>335</sup>. ამასთან, ერთად გასათვალისწინებელია აგრეთვე მართლმსაჯულების ინტერესები. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში მსჯავრდებულისთვის (გამართლებულისთვის) სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნა გამომდინარეობს თუ არა მართლმსაჯულების ინტერესებიდან, აღნიშნული დამოკიდებულია შემდეგზე: ა) სასამართლოს განხილვის საგანი; ბ) სასამართლოს კომპეტენცია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას; გ) სასამართლო განხილვაში ადვოკატის გარეშე მონაწილე მსჯავრდებულის (გამართლებულის) შესაძლებლობების. მოახდინოს პროცესზე და საკითხის გადაწყვეტაზე გავლენა; დ) საქმის მნიშვნელობა, სირთულე და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე; ე) ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე<sup>336</sup>. მსჯავრდებულისთვის ადვოკატის დანიშვნა ასევე სავალდებულოა, როდესაც იგი ამ უკანასკნელის გარეშე საკმარისი კომპეტენციის არქონის გამო ვერ მოახერხებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სათანადოდ გასაჩივრებას და თავისი პრეტენზიების დასაბუთებას<sup>337</sup>.

<sup>333</sup> იბ., Quaranta v. Switzerland, ECtHR, 24/05/1991; John Murry v. UK, ECtHR, 08/02/1996.

<sup>334</sup> Monnell and Morris v. the United Kingdom, ECtHR, 02/03/1987.

<sup>335</sup> იბ., Twalib v. Greece, ECtHR, 09/06/1998; Monnell and Morris v. the United Kingdom, ECtHR, 02/03/1987; Sutter v. Switzerland, ECtHR, 22/02/1984; Boner v. the United Kingdom, ECtHR, 28/10/1994.

<sup>336</sup> იბ., Boner v. the United Kingdom, 28/10/1994; Granger v. the United Kingdom, 28/03/1990; Pham Hoang v. France, 25/09/1992; Twalib v. Greece, ECtHR, 09/06/1998.

<sup>337</sup> იბ., Airey v. Ireland, 09/10/1979; Twalib v. Greece, 09/06/1998.

## თავი VI

### მონმე და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეები

#### მუხლი 47. მონმე

სასამართლოში ჩვენების მიცემისას მონმის სტატუსით სარგებლობენ, მისი უფლებები ენიჭებათ და მისი მოვალეობები ეკისრებათ ასევე გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, დაზარალებულს, ექსპერტსა და თარჯიმანს.

1. **მონმის ცნება.** მონმის ლეგალური დეფინიცია მოცემულის სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილში, რომლის თანახმად, მონმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები. პირი მონმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. ამრიგად, მხარეებს სისხლის სამართლის პროცესში მონმის სტატუსით მონაწილეობის მისაღებად უფლება აქვთ მიიწვიონ ნებისმიერი პირი, რომელსაც შეუძლია სასამართლოში მისცეს ჩვენება სისხლის სამართლის საქმის რელევანტურ გარემოებებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ „მონმის ვარგისიანობა“ დამოკიდებულია პირის უნარზე, სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება. სასამართლოში პირი არ შეიძლება დაიკითხოს მონმედ, თუ იგი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო მოკლებულია აღნიშნულ უნარს (სსსკ-ის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილი). რამდენადაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა „მონმის ვარგისიანობას“ არ უკავშირებს პირის ასაკს, დასაშვებია მონმედ სასამართლოში არასრულწლოვნებისა და მცირეწლოვნების დაკითხვაც (იხ. სსსკ-ის 116-ე მუხლი), მათი ასაკის მიუხედავად, თუ მათ შეუძლიათ სწორად აღიქვან, დაიმახსოვრონ და აღიდგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. ასევე, შესაძლებელია ყრუ-მუნჯის მონმედ გამოძახება (იხ. სსსკ-ის 117-ე მუხლი), რომელსაც აქვს უნარი, თარჯიმნის მეშვეობით ყრუ-მუნჯთა ნიშნებით მისცეს სასამართლოში ჩვენება. როგორც ზემოაღნიშნული დეფინიციიდან გამომდინარეობს, პირისთვის მონმის პროცესუალური სტატუსის მინიჭება დამოკიდებულია ფორმალურ წინაპირობაზე, რაც მდგომარეობს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებასა და მისთვის ფიცის ჩამორთმევაში. პირი მონმის უფლება-მოვალეობებს იძენს მას შემდეგ, როდესაც მას მოსამართლე სათანადო წესით გააფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ასევე ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე და იგი დადებს რელიგიურ ან არარელიგიურ ფიცს (იხ. ასევე სსსკ-ის 115-ე მუხლი). სსსკ-ის 47-ე მუხლი აფართოებს იმ პირთა წრეს, რომლებიც მონმის სტატუსით შესაძლებელია სასამართლოში იქნენ დაკითხული. ასეთ პირებს მიეკუთვნებიან სისხლის სამართლის პროცესის მხარეები და პროცესის სხვა მონაწილეები, კერძოდ, სასამართლოში ჩვენების მიცემისას მონმის სტატუსით სარგებლობენ, მისი უფლებები ენიჭებათ და მისი მოვალეობები ეკისრებათ ასევე გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, დაზარალებულს, ექსპერტსა და თარჯიმანს.

**ა) გამომძიებელი და პროკურორი როგორც მონმე.** გამომძიებელი და პროკურორი მონმედ მოიაზრებიან, მაგალითად, მაშინ, როდესაც ისინი ჩვენებას აძლევენ სასამართლოში მათ მიერ განხორციელებული სხვადასხვა საპროცესო (საგამომძიებო) მოქმედებასთან დაკავშირებით და აღნიშნული ღონისძიებების შედეგად აღმოჩენილი და ამოღებული მტკიცებულების თაობაზე, რათა დადგინდეს მოპოვებული მტკიცებულების ავთენტურობა და საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებები. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, პროცესში მონმის სტატუსით მონაწილეობა წარმოადგანს გამომ-

ციხელისა და პროკურორის აცილების საფუძველს (სსსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი), ვინაიდან, ეჭვქვეშ დგება მათ მიერ შემდგომად პროცესის ობიექტური და მიუკერძოებელი წარმოება. თუ გამოძიებელი, რომელიც იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში უნდა წარდგეს მონმედ, სავალდებულოა ასეთ შემთხვევაში პროკურორმა სისხლის სამართლის საქმე გადასცეს სხვა გამოძიებელს. ხოლო, თუ პროკურორი მონაწილეობს იმავე საქმეში მონმედ, შემდგომად პროკურორმა უნდა ჩამოაშოროს იგი სისხლის სამართლის საქმისწარმოებას და საქმე გადასცეს სხვა პროკურორს.

**ბ) ბრალდებული როგორც მონმე.** ბრალდებული, განსხვავებით სხვა მონმეებისგან, არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება, ვინაიდან მას ბრალდებულის სტატუსი ათავისუფლებს სისხლის სამართალწარმოების ორგანოებთან აქტიური თანამშრომლობისგან. თუმცა, იგი არ არის შეზღუდული, გამოვიდეს სასამართლოში მონმედ. მას განასხვავებს სხვა მონმეებისგან ისიც, რომ ბრალდებულს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადოს ცალკეულ კითხვებზე პასუხის გაცემაზე. მონმეს აღნიშნული უფლება არ გააჩნია და მან ყოველთვის უნდა დაასაბუთოს კითხვებზე პასუხის გაუცემლობის მიზეზი. თუკი მონმე პასუხს აგებს ცრუ ჩვენებისათვის სსკ-ის 370-ე მუხლის საფუძველზე, ბრალდებულ-მონმეს ცრუ ჩვენებისათვის არ დაეკისრება პასუხისმგებლობა. მას შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს მხოლოდ ცრუ დასმენისთვის სსკ-ის 373-ე მუხლის შესაბამისად<sup>338</sup>.

**გ) დაზარალებული როგორც მონმე.** დაზარალებული წარმოადგენს საკუთარი პროცესუალური უფლებამოსილებით აღჭურვილ პროცესის დამოუკიდებელ მონაწილეს, რომელსაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამავდროულად ანიჭებს მონმის ყველა უფლებას და აკისრებს მის ყველა მოვალეობას (სსსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი). ვინაიდან, იგი უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს დანაშაულისა და დამნაშავის უშუალო თვითმხილველს, დაზარალებული ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს ჩვენება საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ. ერთი მხრივ, დაზარალებულს გააჩნია ჩვენების მიცემის ვალდებულება, თუმცა, მეორე მხრივ, კანონმდებელი ანიჭებს მას უფლებას, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას და სასჯელის შეფარდების სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა, ან წერილობით წარუდგინოს სასამართლოს აღნიშნული ინფორმაცია (სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

**დ) ექსპერტი და თარჯიმანი როგორც მონმე.** ექსპერტი შესაძლებელია სასამართლოში მხარეებმა გამოიძახონ მონმედ და დაჰკითხონ მის მიერ ჩატარებულ საქსპერტო კვლევა-სა და შედგენილ დასკვნასთან დაკავშირებით (იხ. ასევე სსსკ-ის 51-ე მუხლის პირველი ნაწილი). ასევე დასაშვებია თარჯიმნის მონმის სახით დაკითხვა, მის მიერ შესრულებული სისხლის სამართლის საქმის მასალების თარგმანთან დაკავშირებით.

- 2. პროცესის სხვა მონაწილე, როგორც მონმე.** მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 47-ე მუხლში არაფერია ნათქვამი მოსამართლისა და ადვოკატისთვის მონმის სტატუსის მინიჭების შესახებ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ გამოორიცხავს მათი მონმედ დაკითხვის შესაძლებლობას. მაგალითად, მხარეებს უფლება აქვთ იმავე სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში მონაწილე მოსამართლე, რომლისთვისაც შემთხვევით გახდა ცნობილი სისხლის სამართლის საქმის გარემოებების დასადგენად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, გამოიძახონ მონმედ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს. თუკი მოსამართლე უნდა დაიკითხოს მონმის სტატუსით, მას უფლება აღარ აქვს განახორციელოს სამოსამართლო უფლებამოსილება აღნიშნულ საქმეზე (სსსკ-ის სსსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). ბრალდებული უფლებამოსილია აგრეთვე, ცალკეულ შემთხ-

<sup>338</sup> თუმანიშვილი, გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, 206-212.

ვევებში მონმედ დაასახელოს საკუთარი ადვოკატიც და სასამართლოში დაამონმებინოს დაცვის პოზიციისთვის სასარგებლო ფაქტორივი გარემოებები. ამასთან, საყურადღებოა, რომ ადვოკატის პროცესში მონმედ მონაწილეობა გამორიცხავს იმავე სისხლის სამართლის საქმეში მის ადვოკატად მონაწილეობის შესაძლებლობას (სსსკ-ის 60-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი)<sup>339</sup>.

#### მუხლი 48. მონმის მიერ ფიცის დადება

1. სასამართლოში მონმე დებს რელიგიური ან არარელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცს.
2. ფიცის დადების წინ სასამართლომ მონმეს უნდა აუხსნას ფიცის მნიშვნელობა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე-371<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.
3. რელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცის დადების დროს მოსამართლე მიმართავს მონმეს: „დაიფიცეთ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ღმერთის წინაშე, რომ მთელი შეგნებით იტყვით მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავთ“.
- მონმე უპასუხებს: „ვფიცავ. ღმერთი იყოს ჩემი მფარველი!“.
4. არარელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცის დადების დროს მოსამართლე მიმართავს მონმეს: „დაიფიცეთ, რომ მთელი შეგნებით იტყვით მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავთ“.
- მონმე უპასუხებს: „ვფიცავ!“.
5. თუ მონმე აცხადებს, რომ იგი თავისი რწმენისა თუ სხვა მოსაზრებათა გამო უარს ამბობს ფიცის დადებაზე, მაშინ მან ჩვენება უნდა მისცეს ფიცის შემცველი დადასტურების განხორციელებით. მოსამართლე მიმართავს მონმეს: „სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით ადასტურებთ თუ არა, რომ იტყვით მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავთ?“.
- მონმე უპასუხებს: „დიახ, ვადასტურებ!“.
6. მონმის მიერ ფიცის დადების ან ფიცის შემცველი დადასტურების განხორციელების ფაქტი დასტურდება მის მიერ ფიცის ან დადასტურების ტექსტზე ხელმოწერით.
7. ბრალდებულის მიერ მონმის სახით ჩვენების მიცემამდე დადებული ფიცი არ ხელყოფს მის უფლებას, არ მისცეს მამხილებელი ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ. ჩვენების მიცემაზე უარი არ შეიძლება შეფასდეს ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

1. პირს მონმის სტატუსი ენიჭება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ (სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილი). სსსკ-ის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მონმემ სასამართლოში დაკითხვის წინ უნდა დადოს რელიგიური ან არარელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცი. ფიცის დადების ვალდებულებას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ ფიცი გარკვეულწილად ბოჭავს მონმეს სიცრუისაგან და იგი კეთილსინდისიერად მისცემს სასამართლოში ჩვენებას. ამიტომ, ფიცის ქვეშ უფრო მეტია მონმისგან ჭეშმარიტი ინფორმაციის მიღების ალბათობა. ფიცის დადების წინ სასამართლომ მონმეს უნდა აუხსნას ფიცის მნიშვნელობა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე-371<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.
2. ფიცის დადების ვალდებულებებისგან კანონმდებელი ათავისუფლებს პირს, რომელიც თავისი რწმენის ან სხვა მოსაზრებათა გამო უარს ამბობს ფიცის დადებაზე. ასეთ შემთხვევაში მან ჩვენება უნდა მისცეს ფიცის შემცველი დადასტურების განხორციელებით. იგი სასამართ-

<sup>339</sup> იქვე, 154.



ლოს უდასტურებს, რომ იტყვის მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავს (სსსკ-ის 48-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული სასამართლოში იძლევა ჩვენებას მონმის სტატუსით, ფიცის დადების ვალდებულება ასევე ვრცელდება ამ უკანასკნელზეც. თუმცა, მის მიერ მონმის სახით ჩვენების მიცემამდე დადებული ფიცი არ ხელყოფს მის უფლებას, არ მისცეს მამხილებელი ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ.

## მუხლი 49. მონმის უფლება-მოვალეობანი

### 1. მონმეს უფლება აქვს:

- ა) იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული;
- ბ) თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ჩვენება მისცეს მშობლიურ ან მისთვის სასურველ სხვა ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე;
- გ) გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში შენიშვნების, დამატებებისა და ცვლილებების შეტანა;
- დ) არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს;
- ე) მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;
- ვ) მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება.

### 2. მონმე ვალდებულია:

- ა) გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებით;
- ბ) უპასუხოს დასმულ შეკითხვებს;
- გ) არ გაამყლავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა სასამართლომ;
- დ) დაიცავს წესრიგი საქმის სასამართლო განხილვის დროს;
- ე) სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი.

### 3. მონმე შეიძლება იძულებით მიიყვანონ სასამართლოში ამ კოდექსით დადგენილი წესით.

1. მონმის უფლებები. სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია მონმის უფლებები, კერძოდ, მონმეს უფლება აქვს: – იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული; – თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ჩვენება მისცეს მშობლიურ ან მისთვის სასურველ სხვა ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე; – გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში შენიშვნების, დამატებებისა და ცვლილებების შეტანა; – არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს<sup>340</sup>; – მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში; – მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული მონმის უფლებათა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა აღიარებს და იცავს მონმის სხვა უფლებებსა და ინტერესებსაც, რომელთა თაობაზეც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვადასხვა მუხლშია მითითებული. ასე მაგალითად, კანონმდებელი იცავს მონმის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და საკუთრებას და ითვალისწინებს რეპრესიების რისკის ქვეშ მყოფი მონმის ე.წ. „პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგრამაში“ ჩართვას, როდესაც არსებობს ამ უკანასკნელის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფის საფრთხე (სსსკ-ის 67-ე და 68-ე

<sup>340</sup> ახლო ნათესავებში სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით მოიაზრებიან: მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული); პირის უფლება არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს, გარანტირებულია აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტითაც.

- მუხლები). მოწმის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია აგრეთვე მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან (სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილი). გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მოწმის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას. მაგალითად, სასამართლოს უფლება აქვს დახუროს სასამართლოს სხდომა ნაწილობრივ და დახურულ სხდომაზე დაჰკითხოთ მოწმე, თუ არსებობს მოწმის პირადი ცხოვრების სფეროს მიკუთვნებული მონაცემების გახმაურების საფრთხე (სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილი).
- 2. მოწმის ვალდებულებები.** მოწმის ვალდებულებები განისაზღვრება სსსკ-ის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმად, იგი ვალდებულია: – გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებით; – უპასუხოთ დასმულ შეკითხვებს; – არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა სასამართლომ; – დაიცვას წესრიგი საქმის სასამართლო განხილვის დროს; – სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი. რაც შეეხება სასამართლოში გამოცხადების ვალდებულებას, აღნიშნული მოქმედებს ნებისმიერი პირის მიმართ, მისი მოქალაქეობის მიუხედავად. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში, თუ მას სასამართლოს უწყებით გამოიძახებენ სისხლის სამართლის საქმეზე ჩვენების მისაცემად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოცხადების ვალდებულება არსებობს მხოლოდ სასამართლოში. არავინ არ არის ვალდებული, ჩვენების მისაცემად გამოცხადდეს პროკურორთან ან გამომძიებელთან<sup>341</sup>. სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება არსებობს როგორც საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის დროს, ისე გამოძიების ეტაპზეც, ვინაიდან, სსსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გამოძიების სტადიაზე მხარის შუამდგომლობით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაკითხულ იქნეს პირი. გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია მოწმე იძულებით მიიყვანონ სასამართლოში (სსსკ-ის 49-ე მუხლის მე-3 ნაწილი). გარდა ამისა, სასამართლოში მოწმის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს მას განკარგულებით დააკისროს ჯარიმა, რაც მოწმეს არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისაგან (სსსკ-ის 91-ე მუხლის მე-8 ნაწილი). თუ რა მიიჩნევა საპატიო მიზეზად, აღნიშნული განმარტებულია სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილით. საპატიო მიზეზად მიიჩნევა პროცესის მონაწილის ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება, სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებები, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროცესზე გამოცხადებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. წინასწარ ცნობილი საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე შეტყობინება უნდა წარედგინოს სასამართლოს პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ პროცესის დაწყებამდე არა უგვიანეს 48 საათისა. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინილ უნდა იქნეს გამოუცხადებლობიდან 5 დღეში.
- 3.** მოწმის სტატუსით სასამართლოში გამოძახებულ უცხე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც არ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ საქართველოს მოქალაქეს შესაძლოა სასამართლოში გამოუცხადებლობა ჩაეთვალოს სა-

<sup>341</sup> აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 332-ე მუხლის თანახმად, 2015 წლის 31 დეკემბრამდე გამოძიებისას დაკითხვა წარმოებს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (გარდა 305-ე მუხლის მე-6 ნაწილისა) დადგენილი წესით. მოწმის გამოძიების ეტაპზე დაკითხვის დროებითი წესი ითვალისწინებს ამ უკანასკნელის როგორც გამომძიებელთან, ისე პროკურორთან გამოცხადების ვალდებულებას.

პატიოდ, განსაკუთრებული ობიექტური გარემოების არსებობის გამო. ასეთ შემთხვევაში არსებობს მათი დაკითხვის სხვა სამართლებრივი მექანიზმი ე.წ. დისტანციური დაკითხვის სახით. სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან, რაც წინასწარ ეცნობება მხარეებს.

4. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოწმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. მოწმე ვალდებულია სასამართლოში მისცეს ჩვენება და უპასუხოს მხარეების მიერ დასმულ შეკითხვებს. ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან ცრუ ჩვენებისათვის, მოწმეს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (სსკ-ის 370-ე და 371-ე მუხლები). მოწმისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენს ასევე მის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემა (სსკ-ის 371<sup>1</sup>-ე მუხლი).

#### **მუხლი 50. პირი, რომელიც არ არის ვალდებული, იყოს მოწმე**

1. მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება:

- ა) ადვოკატს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;
- ბ) ადვოკატს, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე, – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების განწევასთან დაკავშირებით;
- გ) სასულიერო პირს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად;
- დ) ბრალდებულის ახლო ნათესავს;
- ე) სახალხო დამცველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს;
- ვ) საქართველოს პარლამენტის წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს;
- ზ) მოსამართლეს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც სასამართლოს თათბირის საიდუმლოებაა;
- თ) ყურნალისტს – პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით;
- ი) ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში;
- კ) საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისას, თუ იგი არ დათანხმდება, მისცეს ჩვენება.

2. არ შეიძლება მოწმედ დაიკითხოს პირი, რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება.

3. სასამართლოს უფლება აქვს, მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან გაათავისუფლოს:

- ა) სამედიცინო მუშაკი, თუ მას პროფესიულად ევალება საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოების დაცვა;
- ბ) ნოტარიუსი, საჯარო მოსამსახურე, სამხედრო მოსამსახურე და მასთან გათანაბრებული პირი, თუ მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება, არ გაამჟღავნონ მიღებული ინფორმაციის წყარო და შინაარსი;
- გ) პირი, რომელიც სამუშაოზე იმ პირობით არის მიღებული, რომ არ გაამჟღავნებს კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას;

დ) კონტრტერორისტული ან/და სპეციალური ოპერაციის მონაწილე პირი (მის პროფესიულ მოვალეობასთან დაკავშირებით), რომლის საქმიანობაც გასაიდუმლოებულია და ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის მიერ – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში, იმავე ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირების მიერ, თუ თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობით ეკისრებათ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება და იმავდროულად აქვთ ინფორმაცია არასრულწლოვნის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით ან მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით ან მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 139-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 140-ე ან 141-ე მუხლით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 253-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 255-ე მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით, 255<sup>1</sup> ან 255<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის თაობაზე, სურვილის შემთხვევაში მონმის სახით ჩვენების მიცემა არ ჩაითვლება ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევად.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ჩვენების მიცემის ვალდებულებიდან გარკვეულ გამონაკლისებს. ცალკეულ შემთხვევებში მონმეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე ან ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემაზე (სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი და 115-ე მუხლის პირველი ნაწილი). მონმე არ არის ვალდებული უპასუხოს ისეთ შეკითხვებს, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს. ასევე, გარკვეული კატეგორიის პირებს უფლება აქვთ არ მიიღონ სისხლის სამართლის პროცესში მონმის სახით მონაწილეობა. სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მონმის ვალდებულებისგან თავისუფლდებიან გარკვეული პროფესიის მქონე და ბრალდებულთან ახლო ნათესაურ კავშირში მყოფი პირები. სისხლის სამართლის პროცესში მონმედ მონაწილეობის ვალდებულებისაგან გამონაკლისის დაშვებით, კანონმდებელი ინტერესთა კოლიზიის ცალკეულ შემთხვევებში მართლმსაჯულების ინტერესებზე უფრო მაღლა აყენებს ზემოხსენებული პირების კანონიერ ინტერესებს. გარდა ამისა, აღნიშნული გამონაკლისი ემსახურება სისხლის სამართლის საქმეზე სიმართლის დადგენასაც, რადგან საკვებით მოსალოდნელია, რომ პირმა ბრალდებულთან ახლო ნათესაური დამოკიდებულების ან პროფესიული მოვალეობების გამო იცრუოს დაკითხვის დროს ან მისცეს სასამართლოში არასრული ჩვენება. მონმის ვალდებულებისაგან გათავისუფლება ნიშნავს იმას, რომ პირს არ ეკისრება მონმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება. თუ პირი ისარგებლებს ამ უფლებით, მის მიერ მონედ მონაწილეობაზე უარის თქმა დაუშვებელია გამოყენებულ იქნეს თავად ამ პირის ან ბრალდებულის წინააღმდეგ<sup>342</sup>.
2. სსსკ-ის 50-ე მუხლის მე-3 ნაწილი კიდევ უფრო აფართოებს იმ პირთა წრეს, რომლებიც გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია სასამართლოს გადანყვეტილებით გათავისუფლდნენ მონმის მოვალეობის შესრულების ვალდებულებისაგან. როგორც წესი, აღნიშნული პირები ვალდებული არიან მიიღონ პროცესში მონმის სტატუსით მონაწილეობა, მაგრამ თუ ცალკეულ შემთხვევებში მართლმსაჯულების ინტერესები არ აღემატება პირის კანონით დაცულ ინტერესებს, სასამართლო უფლებამოსილია გაათავისუფლოს ისინი მონმის ვალდებულებისაგან. ამ შემთხვევაში სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც პირის კანონიერ ინტერესს, არ გამოვიდეს მონმედ, ისე განსახილველი სისხლის სამართლის საქმეზე არსებულ საჯარო ინტერესს, დანაშაულის სიმძიმეს, მონმის ჩვენების მტკიცებით მნიშვნელობას, მხარეთა ინტერესებს და ა.შ.<sup>343</sup>

<sup>342</sup> თუმანიშვილი, გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, 158.

<sup>343</sup> იქვე, 161.

3. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნების დაცვის მიზნით სსსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილი ათავისუფლებს გარკვეული კატეგორიის პირებს კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებისაგან (მაგ., ჟურნალისტს, სამედიცინო მუშაკს, ნოტარიუსს). თუ მათ საქმიანობის განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობით ეკისრებათ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება და იმავდროულად აქვთ ინფორმაცია არასრულწლოვნის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის თაობაზე, სურვილის შემთხვევაში მათ მიერ მონმის სახით ჩვენების მიცემა არ ჩაითვლება ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევად.

## მუხლი 51. ექსპერტი

1. ექსპერტს ენიჭება მონმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.
2. ექსპერტი მიუკერძოებელი უნდა იყოს, იმის მიუხედავად, თუ ვინ მიიწვია იგი.
3. დაუშვებელია მონმის სანდოობის შესახებ ექსპერტიზის ჩატარება.

1. ექსპერტის საკანონმდებლო დეფინიციას კანონმდებელი გვთავაზობს სსსკ-ის მე-3 მუხლის 21-ე ნაწილში, რომლის თანახმად, ექსპერტი არის სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში. ამრიგად, ექსპერტს გააჩნია ის ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება (მაგ., მედიცინაში, ფსიქოლოგიაში, ფსიქიატრიაში, საფინანსო ან ტექნიკურ საკითხებში), რომლის გარეშეც მხარეები დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამორკვევას, მტკიცებულებების გამოვლენასა და გამოკვლევას. იმისდა მიუხედავად, თუ რომელმა მხარემ მოიწვია ექსპერტი, იგი უნდა იყოს მიუკერძოებელი და ჩაატაროს საექსპერტო კვლევა ობიექტურად. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტი ჩატარებული საექსპერტო კვლევის ირგვლივ სასამართლოში იძლევა ჩვენებას მონმის სტატუსით.
2. პირის ექსპერტად მოსაწვევად არ არის სავალდებულო, რომ იგი მუშაობდეს რომელიმე საექსპერტო დაწესებულებაში. ექსპერტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნა, ჩვევები და გამოცდილება. ექსპერტი მონაწილეობს ასევე მხარის გადანყვევებების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებებში, როდესაც მისი ჩატარება განსაკუთრებულ პროფესიულ ცოდნას მოითხოვს (სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-9 ნაწილი). მხარეს უფლება აქვს, მაგალითად, ექსპერტის დახმარებით აიღოს ნივთიერების, ცხოველის ან ადამიანის სხეულიდან ნიმუში, ეს უკანასკნელი მოიწვიოს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში და ა.შ. (სსსკ-ის 147-ე მუხლი, 130-ე მუხლის პირველი ნაწილი). სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ზოგიერთ საგამოძიებო მოქმედებას მხარე დამოუკიდებლად, ექსპერტის მონაწილეობის გარეშე ვერ ჩატარებს. ამიტომ, იგი ასეთ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედებას ატარებს მხოლოდ ექსპერტის დახმარებით. მაგალითად, ექსპერტის და გვამის გარეგნული დათვალიერება ტარდება ექსპერტის მონაწილეობით (სსსკ-ის 128-ე და 133-ე მუხლების პირველი ნაწილები). სსსკ-ის 51-ე მუხლის მე-3 ნაწილით დაუშვებელია მონმის სანდოობის შესახებ ექსპერტიზის ჩატარება. მონმის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენების სანდოობას აფასებს თავად მოსამართლე ან ნაფიცი მსაჯული. მხარეებს ჯვარედინი დაკითხვისას უფლება აქვთ მონმეებს დაუსვან ისეთი შეკითხვები, რომელზე პასუხის გაცემითაც მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულს მიეცემა შესაძლებლობა გააკეთონ გარკვეული დასკვნები მონმის ჩვენების სანდოობასთან დაკავშირებით<sup>344</sup>.

<sup>344</sup> იქვე, 185.

## მუხლი 52. ექსპერტის უფლება-მოვალეობანი

### 1. ექსპერტს უფლება აქვს:

- ა) გაეცნოს საექსპერტო კვლევისათვის საჭირო მასალას, ამოინეროს საჭირო ცნობა და გადაიღოს ასლი;
- ბ) მოითხოვოს დამატებითი მასალის წარდგენა; გამოკვლევის პროცესში აიღოს მასრის, ტყვიისა და სხვა ობიექტის საცდელი ნიმუში; ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს მოსთხოვოს საექსპერტო კვლევისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია;
- გ) უარი თქვას დასკვნის მიცემაზე და ექსპერტიზის გაგრძელებაზე, თუ დასმული საკითხები სცილდება მისი ცოდნის ფარგლებს ან თუ მისთვის წარდგენილი მასალა საკმარისი არ არის დასკვნის მისაცემად;
- დ) ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს ნებართვით დაესწროს საგამომძიებო მოქმედების ჩატარებას;
- ე) მონაწილეობა მიიღოს ექსპერტიზის საგანთან და საექსპერტო კვლევასთან დაკავშირებული მტკიცებულების გამოკვლევაში;
- ვ) მტკიცებულების აღმოჩენის, გამოკვლევისა და დემონსტრირებისათვის გამოიყენოს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალება, სპეციალური ცოდნა და გამოცდილება.

### 2. ექსპერტი ვალდებულია:

- ა) თუ საექსპერტო კვლევით დადგინდა გარემოება, რომლის შესახებაც ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს ან/და პროცესის სხვა უფლებამოსილ მონაწილეს კითხვა არ დაუსვამს, იგი ასახოს დასკვნაში;
- ბ) დაიცვას და საექსპერტო კვლევის შემდეგ ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს დაუბრუნოს კვლევის ობიექტი, თუ საექსპერტო კვლევისას ეს ობიექტი სრულად არ დაზარალდა;
- გ) თუ არსებობს კანონით დადგენილი საფუძველი, განაცხადოს თვითაც ცილება.

1. ექსპერტის უფლებების ჩამონათვალი მოცემულია სსსკ-ის 52-ე მუხლის პირველ ნაწილში, კერძოდ, ექსპერტს უფლება აქვს: გაეცნოს საექსპერტო კვლევისათვის საჭირო მასალას, ამოინეროს საჭირო ცნობა და გადაიღოს ასლი; მოითხოვოს დამატებითი მასალის წარდგენა; გამოკვლევის პროცესში აიღოს მასრის, ტყვიისა და სხვა ობიექტის საცდელი ნიმუში; ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს მოსთხოვოს საექსპერტო კვლევისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია; უარი თქვას დასკვნის მიცემასა და ექსპერტიზის გაგრძელებაზე, თუ დასმული საკითხები სცილდება მისი ცოდნის ფარგლებს ან თუ მისთვის წარდგენილი მასალა საკმარისი არ არის დასკვნის მისაცემად; ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს ნებართვით დაესწროს საგამომძიებო მოქმედების ჩატარებას; მონაწილეობა მიიღოს ექსპერტიზის საგანთან და საექსპერტო კვლევასთან დაკავშირებული მტკიცებულების გამოკვლევაში; მტკიცებულების აღმოჩენის, გამოკვლევისა და დემონსტრირებისათვის გამოიყენოს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალება, სპეციალური ცოდნა და გამოცდილება.
2. აღნიშნულის გარდა ექსპერტს ენიჭება მონმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა (სსსკ-ის 51-ე მუხლის პირველი ნაწილი). ექსპერტი ვალდებულია სასამართლოში გამოძახების შემთხვევაში გამოცხადდეს და მისცეს ჩვენება მის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზასთან დაკავშირებით. ამასთან, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს (ჩვეულებრივი) მონმისა და ექსპერტი-მონმის ჩვენება. როგორც წესი, მონმის ჩვენების საგანი შეიძლება იყოს ძირითადად მხოლოდ ინფორმაცია გარესამყაროში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით და არა სუბიექტური რეაქციები, განსაკუთრებით აღნიშნული მოვლენების შეფასებები. მხარეებმა (ჩვეულებრივი) მონმის დაკითხვისას თავი უნდა შეიკავონ ისეთი შეკითხვების დასმისაგან, რომელიც მონმისგან მოვლენების შეფასებას და საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას მოითხოვს. მონმის ჩვენების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ

ინფორმაცია გარკვეული მოვლენების შესახებ და არა მონმის სუბიექტური შეხედულებები და დასკვნები ფაქტების თაობაზე. დასკვნებსა და შეფასებებს აკეთებს მხოლოდ მოსამართლე (ნაფიცი მსაჯული) ფაქტების დადგენილად ცნობასა და ჩვენების სანდოობასთან დაკავშირებით. განსხვავებით ამისაგან, ექსპერტი-მონმე თავის ჩვენებაში სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩატარებული კვლევის საფუძველზე აფასებს გარკვეულ მოვლენებს<sup>345</sup>.

3. რაც შეეხება ექსპერტის მნიშვნელოვან ვალდებულებს, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, იგი მდგომარეობს მის მიუკერძოებლობაში (სსსკ-ის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამ უკანასკნელმა ჩატარებული ექსპერტიზის შედეგები დასკვნაში უნდა ასახოს ობიექტურად და მიუკერძოებლად, იმის მიუხედავად, თუ ვინ მიიწვია იგი. გასათვალისწინებელია, რომ ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის მიცემისთვის დადგენილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 370-ე მუხლის შესაბამისად.
4. ზემოხსენებულის გარდა, ექსპერტი ვალდებულია: – თუ საექსპერტო კვლევით დადგინდა გარემოება, რომლის შესახებაც ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს ან/და პროცესის სხვა უფლებამოსილ მონაწილეს კითხვა არ დაუსვამს, იგი ასახოს დასკვნაში; – დაიცვას და საექსპერტო კვლევის შემდეგ ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს დაუბრუნოს კვლევის ობიექტი, თუ საექსპერტო კვლევისას ეს ობიექტი სრულად არ დაზარალდა; – თუ არსებობს კანონით დადგენილი საფუძველი, განაცხადოს თვითაცილება (სსსკ-ის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

### მუხლი 53. თარჯიმანი

#### 1. თარჯიმანს იძახებენ, როცა:

ა) პროცესის მონაწილემ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

ბ) საჭიროა სისხლის სამართლის პროცესის ენაზე ითარგმნოს ტექსტი.

2. თარჯიმანის გამოძახების შესახებ აღნიშვნა კეთდება შესაბამის ოქმში.

3. წესები, რომლებიც თარჯიმანს ეხება, იმ პირობებზე ვრცელდება, რომელსაც ესმის ყრუ-მუნჯთა ნიშნები.

4. პროცესის სხვა მონაწილეს თარჯიმანის მოვალეობის შესრულების უფლება არა აქვს.

1. თარჯიმანი წარმოადგენს პროცესის ერთ-ერთი მონაწილეს, რომელსაც იძახებენ მაშინ, როდესაც პროცესის სხვა მონაწილემ (ბრალდებული, მონმე) არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა და ან საჭიროა სისხლის სამართლის პროცესის ენაზე ითარგმნოს ტექსტი. დაუშვებელია, რომ პირმა, რომელსაც გააჩნია პროცესის მონაწილის გარკვეული სტატუსი (მაგ., დაზარალებული, ექსპერტი, გამომძიებელი, პროკურორი და ა.შ.), შეითავსოს ასევე თარჯიმანის ფუნქცია. თარჯიმანის პროცესუალური სტატუსი ენიჭება არა მხოლოდ უცხო ენების სათანადოდ მცოდნე პირს, არამედ იმ პირსაც, რომელსაც ესმის ყრუ-მუნჯთა ნიშნები (სსსკ-ის 53-ე მუხლი). თარჯიმანი შესაძლებელია მიწვეულ იქნეს, როგორც გამომძიების ეტაპზე საგამომძიებო მოქმედებების ჩატარებისას, ისე სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე. გამომძიების ეტაპზე თარჯიმანის გამოძახების უფლება აქვს გამომძიებელსა და პროკურორს, ხოლო სასამართლოში – მოსამართლეს. ასეთ შემთხვევაში თარჯიმანის მოწვევის ხარჯებს მთლიანად გაიღებს სახელმწიფო. თუ გამომძიების ეტაპზე ბრალდებული საკუთარი ინიციატივით აწარმოებს მტკიცებულებების მოპოვებას საგამომძიებო მოქმედებების ჩატარების გზით და ამისათვის ესაჭიროება თარჯიმანის დახმარება, მას უფლება აქვს საკუთარს ხარჯით უზრუნველყოს საგამომძიებო მოქმედებებში თარჯიმანის ჩართვა. როგორც წესი, საპროცესო დოკუმენტები ბრალდებულს ზეპირად ეთარგმნება, ხოლო, თუ ბრალდებულს სურს მათი წერილობითი

<sup>345</sup> იქვე, 212-213.

თარგმანი, მან საკუთარი ხარჯით უნდა უზრუნველყოს მათი თარგმნა. სასამართლოს უფლება აქვს, გადახდისუუნარობის შემთხვევაში მსჯავრდებული მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს თარჯიმნის მომსახურების ხარჯების გადახდისაგან (სსსკ-ის 90-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

#### მუხლი 54. თარჯიმნის უფლება-მოვალეობანი

##### 1. თარჯიმანს უფლება აქვს:

- ა) თარგმანის დასაზუსტებლად შეკითხვა დაუსვას პროცესის მონაწილეებს;
- ბ) გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს და სასამართლო სხდომის ოქმს;
- გ) გამოთქვას შენიშვნა, რომელიც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი;
- დ) უარი თქვას თარგმნაზე, თუ ამისთვის საჭირო ცოდნა არ გააჩნია.

##### 2. თარჯიმანი ვალდებულია:

- ა) გამოცხადდეს გამოძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით;
- ბ) ზუსტად და სრულად თარგმნოს ჩვენება და დოკუმენტი;
- გ) ხელმოწერით დაადასტუროს თარგმანის უტყუარობა მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმში და სხვა საპროცესო დოკუმენტში;
- დ) გამოძიებლის ან პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს გამოძიების მასალა, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შემცველი ცნობები.

1. კანონმდებელი თარჯიმნის უფლება-მოვალეობებს ამომწურავ ჩამონათვალს გვთავაზობს სსსკ-ის 54-ე მუხლში. გარდა ამისა, თარჯიმანს დამატებით ენიჭება მონაწილის უფლება-მოვალეობები (სსსკ-ის 47-ე მუხლი). შესაბამისად, მხარეებს უფლება აქვთ თარჯიმანი მის მიერ შესრულებულ თარგმანთან დაკავშირებით გამოიძახონ სასამართლოში ჩვენების მისაცემად, რა დროსაც მასზე გავრცელდება მონაწილის სამართლებრივი სტატუსი. ასევე აღსანიშნავია, რომ თარჯიმანს გამოძიების დროს ან სასამართლოში განზრახ არასწორად თარგმნისთვის დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 370-ე მუხლის შესაბამისად.

#### მუხლი 55. სასამართლოს მეგობარი (Amicus Curiae)

1. დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.
2. წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი უნდა იყოს არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ იგი უნდა დაეხმაროს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წერილობითი მოსაზრება არ არის შედგენილი ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, იგი მას არ განიხილავს.
3. სასამართლო არ არის ვალდებული, გაიზიაროს წერილობითი მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები.
4. წერილობითი მოსაზრება მოცულობით არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. იგი შედგენილ უნდა იქნეს 3 ასლად, რომელთაგან 2 გადაეცემა მხარეებს, ხოლო 1 რჩება მოსამართლესთან.
5. სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან/და მხარის და წერილობითი მოსაზრების ავტორის წინასწარი თანხმობით საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად.



1. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი, ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისთვის სიახლეა. საქართველოში აღნიშნული ინსტიტუტი პირველად დაინერგა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში 2009 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად.
2. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის მიზანია, რომ პირს ან პირთა ჯგუფს, რომელთა ინტერესის სფეროში შედის სასამართლოში განსახილველი საკითხი, მაგრამ ის არ არის რომელიმე მხარე, შეეძლოს სასამართლოსთვის თავისი არგუმენტების წარდგენა და პროცესში უშუალოდ ჩართვა. შესაბამისად, სასამართლოს მეგობარი შეიძლება იყოს ნებისმიერი კერძო პირი, სხვადასხვა დარგის სპეციალისტი, მეცნიერი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, სტუდენტი, სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი და ა.შ. სასამართლოს მეგობარი, როგორც წესი, არის კვალიფიციური პირი, რომლის მოსაზრებებმაც შეიძლება სასამართლოს გაუნიოს დახმარება. ამგვარად, აღნიშნულ ინსტიტუტს შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლებაზე, რადგან სასამართლო უფრო მეტ წყაროს ეყრდნობა. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს საზოგადოების უფრო მეტ ჩართულობას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ ნდობის ხარისხს და ამყარებს საზოგადოებისა და სასამართლოს შორის კავშირს<sup>346</sup>.
3. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით სასამართლოს მეგობარი წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ მონაწილეს. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მეგობარი ვერ იქნება ის პირი, რომელიც პროცესში წარმოადგენს მხარეს. სსსკ-ის 55-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით, რისი მიზანიც უნდა იყოს არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ იგი უნდა დაეხმაროს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წერილობითი მოსაზრება არ არის შედგენილი კანონის მოთხოვნათა დაცვით, იგი მას არ განიხილავს. ამასთან, სასამართლო არ არის ვალდებული, გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები. სასამართლოს მეგობრის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრება მოცულობით არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. იგი შედგენილ უნდა იქნეს 3 ასლად, რომელთაგან 2 გადაეცემა მხარეებს, ხოლო 1 რჩება მოსამართლესთან. სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან/და მხარის და წერილობითი მოსაზრების ავტორის წინასწარი თანხმობით საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად.

<sup>346</sup> იქვე, 190.

## თავი VII დაზარალებული

### მუხლი 56. პირის დაზარალებულად ცნობა

1. დაზარალებულს ენიჭება მონმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.
2. სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული იურიდიული პირი მონაწილეობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მეშვეობით, რომელსაც ენიჭება დაზარალებულის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.
3. იმ დანაშაულის საქმეში, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვება, დაზარალებულის უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს („დაზარალებულის უფლებამონაცვლე“). გამომძიებელს, პროკურორსა და მოსამართლეს უფლება არა აქვთ, უარი უთხრან დაზარალებულის უფლებამონაცვლეს დაზარალებულისათვის მინიჭებული რომელიმე უფლებით სარგებლობაზე. ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლე წილისყრით განისაზღვრება.
4. დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შემთხვევაში დაზარალებულია სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი.
5. პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის სათანადო საფუძვლის არსებობისას პროკურორს გამოაქვს დადგენილება საკუთარი ინიციატივით ან ამ პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში. თუ პროკურორმა განცხადება არ დააკმაყოფილა მისი შეტანიდან 48 საათის განმავლობაში, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.
- 5<sup>1</sup>. პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილებას გააცნობს დაზარალებულს და განუმარტავს მას ამ კოდექსით გათვალისწინებულ ყველა უფლებას და მათ განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, რის შესახებაც ადგენს ოქმს. ამ ოქმს ხელს აწერენ დაზარალებული და ოქმის შემდგენი. დაზარალებულს უფლება აქვს, შენიშვნა გააკეთოს ოქმზე. თუ დაზარალებული უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.
6. თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას ამ დადგენილების გაუქმების თაობაზე, რის შესახებაც დაზარალებულს წერილობით ეცნობება. დაზარალებულს უფლება აქვს, პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.
7. მოსამართლეს ამ მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებულ საკითხებზე 15 დღის ვადაში გამოაქვს განჩინება ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

1. დაზარალებულის ცნება და პირის დაზარალებულად ცნობა. სსსკ-ის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულად გვევლინება სახელმ-

- ნიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. რაც შეეხება დაზარალებულს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის დროს, წარმოადგენს სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი (სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-4 ნაწილი).
2. სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის პროცესუალური სტატუსით მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა მატერიალური და ფორმალური წინაპირობების არსებობა. მატერიალურ წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ პირს უშუალოდ დანაშაულის შედეგად უნდა მიადგეს მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი. ფორმალური წინაპირობა კი მდგომარეობს დანაშაულის მსხვერპლის დაზარალებულად ან მისი რომელიმე ახლო ნათესავის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ პროკურორის მიერ დადგენილების გამოცანაში. პირის დაზარალებულად ცნობა ხდება გამოძიების სტადიაზე. გამოძიების დაწყებისთანავე თუ პროკურორისთვის ცნობილი გახდა დანაშაულებრივი ქმედებით პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, მან იგი დადგენილებით უნდა ცნოს დაზარალებულად. პირის დაზარალებულად ცნობა არ არის დამოკიდებული დანაშაულის მსხვერპლის ნება-სურვილზე და არც მის ასაკსა და ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობაზე. პროკურორი ვალდებულია, მას შემდეგ, რაც დაადგენს პირის დაზარალებულად ცნობის მატერიალურ წინაპირობებს, მიანიჭოს მას დადგენილებით (ფორმალურად) დაზარალებულის პროცესუალური სტატუსი. პირის დაზარალებულად ცნობა შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნამდე. საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზე პირისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება სამართლებრივად შეუძლებელია. პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველი შესაძლოა გახდეს ასევე პროკურორისთვის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ განცხადებით მიმართვა. ასეთ შემთხვევაში, თუ პროკურორი დაადგენს პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის საფუძველს, მან უნდა დააკმაყოფილოს აღნიშნული განცხადება და მიიღოს შესაბამისი დადგენილება. თუ განცხადების შეტანიდან 48 საათის განმავლობაში, პირის განცხადება არ დაკმაყოფილდება, მას აქვს უფლება დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება. ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, პირს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გასააჩივროს სასამართლოში (სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილი). პროკურორი უფლებამოსილია, ამასთანავე, გააუქმოს პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება, თუკი მოგვიანებით გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობდა. თუმცა ამ შემთხვევაშიც დაზარალებულს უფლება აქვს ზემდგომ პროკურორთან გაასაჩივროს პროკურორის ასეთი გადაწყვეტილება, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, გაასაჩივროს ასევე სასამართლოში (სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-6 ნაწილი). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, იმ დანაშაულის საქმეში, რომელსაც დანაშაულის მსხვერპლის სიკვდილი მოჰყვა, პროკურორის დადგენილებით დაზარალებულის უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს. ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლედ განისაზღვრება წილისყრით.
3. რაც შეეხება სახელმწიფოს, როგორც დაზარალებულს, სისხლის სამართლის პროცესში მის ინტერესებს იცავს პროკურორი სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერით. ხოლო დაზარალებული იურიდიული პირი, სისხლის სამართლის პროცესში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მეშვეობით მონაწილეობს (სსსკ-ის 56-ე მუხლის 2 ნაწილი).

## მუხლი 57. დაზარალებულის უფლებები

### 1. დაზარალებულს უფლება აქვს:

- ა) იცოდეს ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი;
- ბ) მიიღოს ინფორმაცია ამ კოდექსის 58-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებების შესახებ;
- გ) სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას და სასჯელის შეფარდების სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიაღდა, ან წერილობით წარუდგინოს სასამართლოს აღნიშნული ინფორმაცია;
- დ) უფასოდ მიიღოს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების/განჩინების, განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი;
- ე) მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად განუული ხარჯების ანაზღაურება;
- ვ) დაიბრუნოს გამოძიებისას და სასამართლო განხილვისას საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული, მისი კუთვნილი ქონება;
- ზ) მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას;
- თ) მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს;
- ი) მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების თაობაზე და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების შესახებ, თუ ამით ბრალდებულს/მსჯავრდებულს არ ემუქრება რეალური საფრთხე;
- კ) წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 10 დღისა გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს;
- ლ) მიმართოს ბრალდების მხარეს ამ კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მიზნით სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების მოთხოვნით;
- მ) მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ;
- ნ) ისარგებლოს ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღებისა და მასალების გაცნობის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისას პროკურორი/გამომძიებელი ადგენს ოქმს ამ კოდექსის 56-ე მუხლის 51 ნაწილით დადგენილი წესით. თუ მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლის აღმოფხვრისთანავე აცნობოს დაზარალებულს ამის შესახებ და, შესაბამისად, მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გააცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალები.

3. ამ მუხლში მითითებულ მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში პროკურორს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება. დაზარალებულს უფლება აქვს, ეს დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან.

1. **დაზარალებულის უფლებები.** სსსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაზარალებულს გააჩნია მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა, მიუხედავად ამისა, მისი სამართლებრივი სტატუსი მოწმისაგან არსებითად განსხვავდება. კანონმდებელი დაზარალებულს აძლევს შესაძლებლობას, აქტიურად მიიღოს მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში და გარკვეულწილად მოახდინოს ზემოქმედება პროცესის მიმდინარეობაზე. დაზარალებულს კანონმდებელი ანიჭებს შემდეგ უფლებებს:

2. ა) **დაზარალებულად ცნობის შესახებ განცხადებით მიმართვის უფლება.** დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის საფუძველი შესაძლებელია გახდეს პროკურორისთვის პირის განცხადებით მიმართვა დაზარალებულად ცნობის შესახებ. მართალია, განცხადებით მიმართვის გარეშეც პროკურორი ზოგადად ვალდებულია, საამისო საფუძველის არსებობისას, პირი ცნოს დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ. მიუხედავად ამისა, კანონმდებელი პირს აძლევს სამართლებრივ შესაძლებლობას, მოითხოვოს პროკურორისგან მისი დაზარალებულად ცნობა. პირი უფლებამოსილია ერთჯერადად მიმართოს საჩივრით ზემდგომ პროკურორს დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით, თუ პროკურორი განცხადების შეტანიდან 48 საათში არ გამოიტანს მის დაზარალებულად ცნობის დადგენილებას. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კი პირს აქვს სასამართლოსთვის მიმართვის სამართლებრივი შესაძლებლობა, როცა საჩივარს ზემდგომი პროკურორი არ აკმაყოფილებს.
3. ბ) **პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება.** დაზარალებულს უფლება აქვს გაასაჩივროს პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებები. როგორც ზემოთ აღინიშნა, თუ პროკურორი გააუქმებს პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილებას, დაზარალებულს კანონმდებელი ანიჭებს ასეთი გადაწყვეტილების ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების უფლებას. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირი სარგებლობს ასეთი გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლებით (სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-6 ნაწილი). დაზარალებულს უფლება აქვს ასევე გაასაჩივროს პროკურორის დადგენილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული დადგენილება საჩივრდება ზემდგომ პროკურორთან, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში (სსსკ-ის 106-ე მუხლის მე-11 ნაწილი). იგივე წესი მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის მიერ უარის თქმის შემთხვევაში. აქაც დაზარალებულს შეუძლია საჩივრით მიმართოს ზემდგომ პროკურორს, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში კი პროკურორის დადგენილება გაასაჩივროს სასამართლოში (სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ორივე შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი ან სასამართლო გააუქმებს პროკურორის დადგენილებას და არ იქნება გასული სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა განახლდება/დანიწყება, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების/დაწყების და სხვა საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულება დაეკისრება სხვა პროკურორს.
4. გ) **სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობისა და საქმის მასალების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება.** კანონმდებელი დაზარალებულს ანიჭებს უფლებას მიიღოს ინფორმაცია პროცესის მსვლელობისა და საქმის მასალების თაობაზე. აღნიშნული უფლება მას ხელს უწყობს კანონით მინიჭებული სხვა უფლებებით ჯეროვნად სარგებლობაში და ასევე ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან არიდებაში. დაზარალებულის ინფორმირებულობის აუცილებლობას ხაზს უსვამს აგრეთვე ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის №2012\29\EU დირექტივა „დანაშაულის მსხვერპლის უფლებების მინიმალური სტანდარტებისა და მხარდაჭერის შესახებ“. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, დაზარალებულს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე პროცესის მწარმოებელი პირების მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების, ცალკეული საპროცესო მოქმედებების განხორციელებისა და საქმის მასალების თაობაზე. მაგალითად, დაზარალებულს პროკურორმა მოთხოვნის შემთხვევაში წინასწარ უნდა შეატყობინოს ისეთი საპროცესო მოქმედებების ჩატარების ადგილი და დრო, როგორცაა:
- ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან;
  - წინასასამართლო სხდომა;

- სასამართლოს მთავარი სხდომა;
  - სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვის სხდომა;
  - სასამართლო სხდომა სასჯელის შეფარდების შესახებ;
  - სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს სხდომა. (იხ. სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 58-ე მუხლის პირველი ნაწილი).
5. დაზარალებულს ასევე უფლება აქვს უფასოდ მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი (სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი). ამასთან, პროკურორი დაზარალებულს უგზავნის სისხლისსამართლებრივი დევნის დანებებაზე უარის შესახებ დადგენილების ასლს. დაზარალებულის ინფორმირებულობისათვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან, რის თაობაზეც დგება შესაბამისი ოქმი (სსსკ-ის 168-ე მუხლი). აღნიშნული აძლევს დაზარალებულს შესაძლებლობას გარკვეულწილად მოახდინოს პროკურორის გადაწყვეტილებაზე გავლენა, რაც თავის მხრივ პროკურორსაც დახმარებას უწევს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში. იგივე წესი მოქმედებს პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე. სსსკ-ის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პროკურორმა აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობოს დაზარალებულს და შეადგინოს ოქმი. ბრალდებულის მხრიდან მომდინარე რეპრესიებისა და განმეორებითი ვიქტიმიზაციისაგან დაზარალებულის დასაცავად, კანონმდებელი ანიჭებს მას უფლებას, რომ მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების და მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების შესახებ, თუ ამით ბრალდებულს/მსჯავრდებულს არ ემუქრება რეალური საფრთხე (სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი). ამდენად, კანონმდებელი აღნიშნული რეგულაციით ცდილობს, რომ გამოირიცხოს დაზარალებულისა და ბრალდებულის მოულოდნელი შეხვედრა და მათ შორის კონფრონტაცია, რამაც როგორც დაზარალებულს, ისე ბრალდებულს/მსჯავრდებულს შესაძლოა მოუტანოს მძიმე ზიანი. დაზარალებულს შესაძლოა უარი ეთქვას ამ ტიპის ინფორმაციის მიღებაზე, თუ რეპრესიის საფრთხე ექმნება არა დაზარალებულს, არამედ თავად ბრალდებულს/მსჯავრდებულს.
6. დაზარალებულის ინფორმირებულობის კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა ამ უკანასკნელის უფლება, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს (სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი). ამრიგად, დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესის ადრეულ ეტაპზევე შეუძლია სრული მოცულობით გაეცნოს საქმის მასალებსა და ყველა იმ მტკიცებულებას, რასაც ბრალდების მხარე წარადგენს საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე. გასათვალისწინებელია, რომ ხშირად სისხლის სამართლის საქმის მასალები შეიცავს ასევე ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს ბრალდებულის მიერ ჩადენილ სხვა ისეთ დანაშაულზე, რომლებსაც კავშირი არ აქვს კონკრეტულ დაზარალებულთან. საქმის მასალებში შესაძლოა არსებობდეს ინფორმაცია სხვა მესამე პირების პირადი ცხოვრების შესახებაც, რაც არ უკავშირდება იმ დანაშაულს, რომლის შედეგადაც მიადგა ზიანი კონკრეტულ დაზარალებულს. შესაბამისად, ასეთი ინფორმაციის დაზარალებულისთვის გაცნობა არ არის გამართლებული და ამას ეწინააღმდეგება ზემოხსენებულ პირთა უფლებების დაცვისა და გამოძიების ინტერესები. სწორედ ამიტომ გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებულისთვის საქმის მასალების გაცნობა ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, აღნიშნული უფლება შეიძლება შეეზღუდოს დაზარალებულს და უარი ეთქვას საქმის მასალების წვდომაზე. თუმ-

- ცა უარის თქმის საფუძვლის აღმოფხვრისთანავე დაზარალებულს უნდა ეცნობოს ამის შესახებ და შესაბამისად მიენოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე და მიეცეს საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა (სსსკ-ის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ნებისმიერ შემთხვევაში დაზარალებულს უფლება აქვს წინასასამართლო სხდომის გამართვამდე, არა უგვიანეს 10 დღისა, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს (სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი).
7. დაზარალებულის ინფორმირებულობის გარანტიას წარმოადგენს სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5<sup>1</sup> ნაწილისა და 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის დათქმა, რომლის თანახმად დაზარალებული უფლებამოსილია მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ. პროკურორმა ან მისი დავალებით გამომძიებელმა დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება უნდა გააცნოს დაზარალებულს და განუმარტოს მას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა უფლება და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურები. აღნიშნულის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ დაზარალებული და ოქმის შემდგენი პირი. დაზარალებულს უფლება აქვს, შენიშვნა გააკეთოს ოქმზე. თუ დაზარალებული უარს ამბობს ხელმოწერაზე, ოქმში აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.
8. ზემოაღნიშნულის გარდა, დაზარალებულის ინფორმირებულობის ინტერესს ემსახურება აგრეთვე სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-41 ნაწილი, რომლის თანახმად სასამართლო სხდომის ნაწილობრივი ან სრული დახურვის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია დაზარალებულს მისცეს სხდომაზე ან მის ნაწილზე დასწრების უფლება. ამასთან, მოსამართლე ვალდებულია დაკითხვის დასრულების შემდეგ განუმარტოს სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება ყველა მოწმეს, მათ შორის დაზარალებულ-მოწმეს (სსსკ-ის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილი).
9. **დ) სასამართლოში ჩვენებიც მიცემის უფლება.** დაზარალებულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებას მიეკუთვნება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის თაობაზე სასამართლოში ჩვენების მიცემის უფლება, კერძოდ კი, სსსკ-ის 57-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაზარალებულს კანონმდებელი აძლევს შესაძლებლობას, მისცეს ჩვენება მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას და სასჯელის შეფარდების შესახებ სასამართლო სხდომაზე. დაზარალებული უფლებამოსილია ასევე ჩვენების ნაცვლად წერილობით წარუდგინოს სასამართლოს აღნიშნული ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულს ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია სასამართლო საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვის დროსაც. სარგებლობს რა დაზარალებული ზემოხსენებული უფლებით, ამით იგი დახმარებას უწევს სასამართლოს დანაშაულით გამოწვეული ზიანის სწორად შეფასებაში, რასაც ცალკეულ დანაშაულთა სწორად კვალიფიკაციისათვის და ბრალდებულისთვის შესატყვისი სასჯელის განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია.
10. **ე) ხელახალი (მეორადი) ვიქტიმიზაციისაგან დაცვის უფლება.** ვინაიდან სისხლის სამართალწარმოების დროს შესაძლებელია დაზარალებულმა განიცადოს ხელახალი (მეორადი) ვიქტიმიზაცია და მიადგეს მას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური ან ქონებრივი ზიანი, კანონმდებელმა დაზარალებულის, ასევე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრების დასაცავად შეიმუშავა ცალკეული სამართლებრივი მექანიზმები. დაზარალებულის დაცვის ერთ-ერთ ასეთ მექანიზმს წარმოადგენს ამ უკანასკნელის, მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება. სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას, მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ანდა საკუთრებას.
11. დაზარალებულის მეორადი ვიქტიმიზაციისაგან დასაცავად მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს მისი მრავალჯერადი დაკითხვა საქმის გარემოებების ირგვლივ. ხშირ შემთხვევაში

სექსუალური და სხვა ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლს განსაკუთრებულ სულიერ ტკივილს აყენებს მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ცალკეული დეტალების შესახებ საუბარი. აღნიშნულის თავიდან ასარიდებლად კანონმდებელმა გაითვალისწინა დაზარალებული-მონმის გამოძიების ეტაპზე მაგისტრაცი მოსამართლის წინაშე დაკითხვის შესაძლებლობა, რათა დაზარალებულს აარიდოს ბრალდებულთან პირისპირ შეხვედრა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე სასამართლოში (სსსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები 118-ე მუხლის მე-3 ნაწილი). თუ გამოძიების სტადიაზე მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვა დაზარალებული, მაშინ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოქვეყნდება მისი დეპონირებული ჩვენება დაზარალებულის დაუსწრებლად. დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან დაცვის მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აგრეთვე დაზარალებული-მონმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან (სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

12. ზემოაღნიშნულის გარდა, დაზარალებულის დაცვის ინტერესებს ემსახურება აგრეთვე ამ უკანასკნელის უფლება, მიმართოს ბრალდების მხარეს სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების მოთხოვნით (სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი). რაც შეეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლს, მათი ინტერესების დასაცავად სასამართლოს საკუთარი ინიციატივითაც (მხარის შუამდგომლობის გარეშე) უფლება აქვს სასამართლო სხდომა ნაწილობრივ ან სრულიად დახურულად გამოაცხადოს (სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი). ამასთან ერთად, კანონმდებელი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს ანიჭებს მონმის პრივილეგიას, ანუ უფლებას მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში არ მისცეს ჩვენება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით (სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი).
13. **ვ) დაზარალებულის სხვა უფლებები.** დაზარალებულს სხვა უფლებებთან ერთად აქვს შესაძლებლობა მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად განეული ხარჯების ანაზღაურება, ასევე დაიბრუნოს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული, მისი კუთვნილი ქონება (სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები). დაზარალებულის უფლებათა შორის საყურადღებოა დანაშაულის შეტყობინების შესახებ წერილობითი ცნობის მიღების უფლება. სსსკ-ის 101-ე მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, პირს, რომელიც განაცხადებს დანაშაულის შესახებ, უფლება აქვს, მიიღოს დანაშაულის შესახებ შეტყობინების დამადასტურებელი წერილობითი ცნობა. აღნიშნული უფლება ხელს შეუწყობს დაზარალებულის ინტერესების დაცვას დაზარალებულად ცნობაზე უარის შესახებ პროკურორის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრებისას, ასევე სამოქალაქო სამართალწარმოებისას და სადაზღვევო კომპანიებთან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენისას.
14. **დაზარალებულის მოვალეობები.** დაზარალებულის მოვალეობები კანონმდებლის მიერ არ არის ცალკე სპეციალური ნორმით განსაზღვრული. ვინაიდან დაზარალებული, ამავე დროს, არის მონმეც, დაზარალებულს სსსკ-ის 47-ე მუხლის თანახმად ეკისრება მონმის ვალდებულებები. დაზარალებული, ისევე როგორც ნებისმიერი მონმ, ვალდებულია:
  - გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებით;
  - უპასუხოს დასმულ შეკითხვებს;
  - არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა სასამართლომ;
  - დაიცვას წესრიგი საქმის სასამართლო განხილვის დროს;
  - სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე არ დატოვოს სასამართლო სხდომის დაზარალებული.



## მუხლი 58. ინფორმაცია და განმარტება

1. პროკურორმა დაზარალებულის მოთხოვნის შემთხვევაში წინასწარ უნდა შეატყობინოს მას შემდეგი საპროცესო მოქმედებების ჩატარების ადგილი და დრო:

ა) ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან;

ბ) წინასასამართლო სხდომა;

გ) სასამართლოს მთავარი სხდომა;

დ) სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვის სასამართლო სხდომა;

ე) სასჯელის შეფარდების სასამართლო სხდომა;

ვ) სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო სხდომა.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ინფორმაცია დაზარალებულს წერილობით უნდა გადაეცეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარი საშუალებით გადაცემა გონივრულია მოცემულ გარემოებებში და საკმარის დროს იძლევა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

3. პროკურორი ვალდებულია შეატყობინოს დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების დადება.

1. კანონმდებელი დაზარალებულს ანიჭებს უფლებას მიიღოს ინფორმაცია პროცესის მსვლელობისა და საქმის მასალების თაობაზე. აღნიშნული უფლება მას ხელს უწყობს კანონით მინიჭებული სხვა უფლებებით ჯეროვნად სარგებლობაში და ასევე ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან არიდებაში. დაზარალებულის ინფორმირებულობის აუცილებლობას ხაზს უსვამს აგრეთვე ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის №2012\29\EU დირექტივა „დანაშაულის მსხვერპლის უფლებების მინიმალური სტანდარტებისა და მხარდაჭერის შესახებ“. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, დაზარალებულს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე პროცესის მწარმოებელი პირების მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების, ცალკეული საპროცესო მოქმედებების განხორციელებისა და საქმის მასალების თაობაზე. მაგალითად, დაზარალებულს პროკურორმა მოთხოვნის შემთხვევაში წინასწარ უნდა შეატყობინოს ისეთი საპროცესო მოქმედებების ჩატარების ადგილი და დრო, როგორცაა:

- ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან;
- წინასასამართლო სხდომა;
- სასამართლოს მთავარი სხდომა;
- სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვის სხდომა;
- სასამართლო სხდომა სასჯელის შეფარდების შესახებ;
- სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს სხდომა (იხ. სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 58-ე მუხლის პირველი ნაწილი).

2. დაზარალებულს ასევე უფლება აქვს უფასოდ მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), განაჩენის, სხვა შემავამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი (სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი). ამასთან, პროკურორი დაზარალებულს უგზავნის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის შესახებ დადგენილების ასლს. დაზარალებულის ინფორმირებულობისათვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან, რის თაობაზეც დგება შესაბამისი ოქმი (სსსკ-ის 168-ე მუხლი). აღნიშნული აძლევს დაზარალებულს შესაძლებლობას გარკვეულწილად მოახდინოს პროკურორის გადაწყვეტილებაზე გავლენა, რაც თავის მხრივ პროკურორსაც დახმარებას უწევს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში. იგივე წესი მოქმედებს პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე. სსსკ-ის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პროკურორმა აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობოს დაზარალებულს და შეადგინოს ოქმი. ბრალდებულის მხრიდან მომდინარე რეპრესიებისა და განმეორებითი ვიქტიმიზაციისაგან დაზარალებულის დასაცავად, კანონმდებელი ანიჭებს მას უფლებას, რომ მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების და მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების შესახებ, თუ ამით ბრალდებულს/მსჯავრდებულს არ ემუქრება რეალური საფრთხე (სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი). ამდენად, კანონმდებელი აღნიშნული რეგულაციით ცდილობს, რომ გამოირიცხოს დაზარალებულისა და ბრალდებულის მოულოდნელი შეხვედრა და მათ შორის კონფრონტაცია, რამაც როგორც დაზარალებულს, ისე ბრალდებულს/მსჯავრდებულს შესაძლოა მოუტანოს მძიმე ზიანი. დაზარალებულს შესაძლოა უარი ეთქვას ამ ტიპის ინფორმაციის მიღებაზე, თუ რეპრესიის საფრთხე ექმნება არა დაზარალებულს, არამედ თავად ბრალდებულს/მსჯავრდებულს.

3. დაზარალებულის ინფორმირებულობის კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა ამ უკანასკნელის უფლება, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს (სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი). ამრიგად, დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესის ადრეულ ეტაპზე შეუძლია სრული მოცულობით გაეცნოს საქმის მასალებსა და ყველა იმ მტკიცებულებას, რასაც ბრალდების მხარე წარადგენს საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე. გასათვალისწინებელია, რომ სწორად სისხლის სამართლის საქმის მასალები შეიცავს ასევე ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს ბრალდებულის მიერ ჩადენილ სხვა ისეთ დანაშაულებზე, რომლებსაც კავშირი არ აქვს კონკრეტულ დაზარალებულთან. საქმის მასალებში შესაძლოა არსებობდეს ინფორმაცია სხვა მესამე პირების პირადი ცხოვრების შესახებაც, რაც არ უკავშირდება იმ დანაშაულს, რომლის შედეგადაც მიადგა ზიანი კონკრეტულ დაზარალებულს. შესაბამისად, ასეთი ინფორმაციის დაზარალებულისთვის გაცნობა არ არის გამართლებული და ამას ეწინააღმდეგება ზემოხსენებულ პირთა უფლებების დაცვისა და გამოძიების ინტერესები. სწორედ ამიტომ გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებულისთვის საქმის მასალების გაცნობა ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, აღნიშნული უფლება შეიძლება შეზღუდოს დაზარალებულს და უარი ეთქვას საქმის მასალების ნვდომაზე. თუმცა უარის თქმის საფუძვლის აღმოფხვრისთანავე დაზარალებულს უნდა ეცნობოს ამის შესახებ და შესაბამისად მიეწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე და მიეცეს საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა (სსსკ-ის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ნებისმიერ შემთხვევაში დაზარალებულს უფლება აქვს წინასასამართლო სხდომის გამართვამდე, არა უგვიანეს 10 დღისა, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს (სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი).
4. დაზარალებულის ინფორმირებულობის გარანტიას წარმოადგენს სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5<sup>1</sup> ნაწილისა და 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის დათქმა, რომლის თანახმად დაზარალებული უფლებამოსილია მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ. პროკურორმა ან მისი დავალებით გამომძიებელმა დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება უნდა გააცნოს დაზარალებულს და განუმარტოს მას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა უფლება და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურები. აღნიშნულის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ დაზარალებული და ოქმის შემდგენი პირი. დაზარალებულს უფლება აქვს, შენიშვნა გააკეთოს ოქმზე. თუ დაზარალებული უარს ამბობს ხელმოწერაზე, ოქმში აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.
5. ზემოაღნიშნულის გარდა, დაზარალებულის ინფორმირებულობის ინტერესს ემსახურება

აგრეთვე სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-41 ნაწილი, რომლის თანახმად სასამართლო სხდომის ნაწილობრივი ან სრული დახურვის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია დაზარალებულს მისცეს სხდომაზე ან მის ნაწილზე დასწრების უფლება. ამასთან, მოსამართლე ვალდებულია დაკითხვის დასრულების შემდეგ განუმარტოს სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება ყველა მოწმეს, მათ შორის დაზარალებულ-მოწმეს (სსსკ-ის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

## თავი VIII

### სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები, აცილება

**მუხლი 59.** სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის ან სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები

1. მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი ან სასამართლო სხდომის მდივანი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ:
  - ა) კანონით დადგენილი წესით არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული;
  - ბ) ამ საქმეში მონაწილეობს ან მონაწილეობდა, როგორც ბრალდებული, ადვოკატი, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი ან მოწმე;
  - ბ<sup>1</sup>) ამ საქმეზე გამოძიება მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს.
  - გ) არის ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი;
  - დ) ისინი ერთმანეთის ოჯახის წევრები ან ახლო ნათესავები არიან;
  - ე) არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.
2. მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაში, თუ იგი ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც გამომძიებელი, პროკურორი, წინასასამართლო სხდომის, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს მოსამართლე ან სასამართლო სხდომის მდივანი. ეს წესი ვრცელდება იმ მოსამართლეზე, რომელიც მონაწილეობდა სისხლის სამართლის საქმის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განხილვაში.
3. მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო შეტანილი საჩივრის განხილვაში.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განხილვაში მოსამართლის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება არ არის ადრე ამ საქმის საკასაციო წესით განხილვაში მისი მონაწილეობა.
5. პროკურორისა და გამომძიებლის მიერ თავიანთი ფუნქციების შესრულება სისხლის სამართლის პროცესის არც ერთ სტადიაზე არ აბრკოლებს ამ საქმეში მათ შემდგომ მონაწილეობას.
6. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე გამომძიებელი მონაწილეობას ვერ მიიღებს დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით ჩასატარებელ საგამომძიებო მოქმედებაში, თუ არ არსებობს დაცვის მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობა.

1. **ნორმის მიზანი:** საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეციის მე-6 მუხლით, სსკ-ით და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი პირის უფლება, მისი საქმე განიხილოს იმ მოსამართლემ, რომლის განსჯადიც არის იგი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ასევე დადგენილია ისეთი საკითხები, როგორიც არის საგამომძიებო ქვემდებარეობა, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამომძიების საპროცესო ხელმძღვანელობის პროცედურები. შესაბამისად, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი მოქმედებს სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შეჯიბრობითობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავს ამა თუ იმ პირის მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, აღნიშნული გარემოებები წარმოადგენს აცილების (თვითაცილების) საფუძველს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი საქმეში მონაწი-

- ილეობის გამორიცხავს საერთო გარემოებებს ადგენს მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლისა და სასამართლო სხდომის მდივნისათვის და აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ თითოეული მათგანი სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე აქტიურ როლს ასრულებს სისხლის სამართლის პროცესის მიზნის მიღწევისათვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ისინი მათი ფუნქციის განხორციელებისას იყვნენ მიუკერძოებლები და დამოუკიდებლები.
2. მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის ან სასამართლო სხდომის მდივანის სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის გამომრიცხავ ერთ-ერთ ძირითად გარემოებას წარმოადგენს, თუ ისინი კანონით დადგენილი წესით არ არიან თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული, რადგან, თუ ეს ელემენტი არ არის დაკმაყოფილებული, აზრს კარგავს სხვა ისეთი ელემენტების შემონახვა, როგორც არის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის ან არჩევის წესი დადგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 10 წლის ვადით ირჩევენ საქართველოს პარლამენტი, ხოლო სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო („საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 36-ე მუხლი, ნაფიცი მსაჯულის შერჩევა ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნა ხდება „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო სასამართლო სხდომის მდივანი ინიშნება კონკურსის წესით, სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით. თუკი ზემოთ მითითებული პროცესის მონაწილე არ არის დანიშნული ან არჩეული თანამდებობაზე შესაბამისი კანონით განსაზღვრული წესით, აღნიშნული წარმოადგენს პროცესში მათი მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებას.
  3. მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის ან სასამართლო სხდომის მდივნის სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის შემდეგი გამომრიცხავი გარემოებაა საქმეში მათი ახლანდელი თუ წარსული მონაწილეობა ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის, ექსპერტის, თარჯიმნის ან მოწმის სტატუსით. აღნიშნული გარემოება საქმეში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც მიუთითებს მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის ან სასამართლო სხდომის მდივნის მიკერძოებაზე.
  4. მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი ან სხდომის მდივანი ვერ იქნება მიუკერძოებელი იმ საქმეში, სადაც ის იცავდა მაგალითად დაზარალებულის ან ბრალდებულის ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის იარსებებს ეჭვი მისი მიუკერძოებლობის შესახებ. მოსამართლე არ უნდა იყოს მიკერძოებული რომელიმე მხარის მიმართ. მას უნდა შეეძლოს მხარეთა პოზიციებისა და შეხედულებების თავისუფალი განხილვა და ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც სამართლის ნორმების სწორი გამოყენების საფუძველზე, წარმოადგენს საქმის სამართლიან გადაწყვეტას. ტრექსელი თავის ნაშრომში მიუთითებს: მოსამართლისათვის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი არა მისი დამოუკიდებლობა, არამედ მიუკერძოებლობაა. როდესაც მოსამართლე არ არის დამოუკიდებელი, ყოველთვის არსებობს ეჭვი, რომ ვერც მიუკერძოებელი იქნება. მაშინ, როცა მიკერძოებული მოსამართლე ყოველთვის შეუფერებელია თანამდებობისათვის, იმის მიუხედავად, დამოუკიდებელია თუ არა.<sup>347</sup>
  5. სსსკ-ში 2014 წლის 24 ივლისს განხორციელებული ცვლილებებით მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის ან სასამართლო სხდომის მდივნის საქმეში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენს მათი მონაწილეობა იმ საქმეში, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობს მათ მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტ-

<sup>347</sup> იბ., ტრექსელი, შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, 72.

- თან დაკავშირებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამ ცვლილების განხორციელება განაპირობა სასამართლო და საგამოძიებო ორგანოების მიმართ არსებულმა პრეტენზიებმა და იმ გარემოებამ, რომ საგამოძიებო ორგანოებში დაიწყო არაერთი საქმის გამოძიება, სამართალწარმოება დასრულებულ საქმეებზე საჯარო მოხელეების მიერ სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენასთან დაკავშირებით. შესაბამისად, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლისა და სხდომის მდივნის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, მნიშვნელოვანია რომ ისინი არ მონაწილეობდნენ იმ საქმეებში, რომელზეც გამოძიება მათ მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს. ასეთ საქმეებში მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის ან სასამართლო სხდომის მდივნის აცილება უნდა განხორციელდეს გამოძიების დაწყებისთანავე ან მიმდინარეობის მანძილზე და აცილებისათვის პირის ბრალდებულად ცნობა არ არის აუცილებელი.
6. მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის ან სასამართლო სხდომის მდივნის მიუკერძოებლობა შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ასევე იმ შემთხვევაშიც, როცა ის არის ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი. პროცესის აღნიშნულ მონაწილეებს შორის ნათესაური კავშირის არსებობა ეჭვებს აჩენს მათ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რადგან ასეთ შემთხვევაში ისინი ვერ ჩაითვლებიან ნეიტრალურებად ვერც პროცესის მონაწილეების და ვერც ობიექტური დამკვირვებლის თვალში. ასეთივე, შედეგი დგება მაშინაც, როცა თვითონ მოსამართლეს, ნაფიცი მსაჯულს, პროკურორს, გამომძიებელს ან სხდომის მდივანს შორის არსებობს ნათესაური კავშირი.
7. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს საქმეში მონაწილეობის გამომრიცხავ კონკრეტული გარემოებების ჩამონათვალს, მაგრამ ეს ჩამონათვალი არ არის სრულყოფილი, რადგან შეიძლება არსებობდეს სხვა ისეთი გარემოება, რაც კონკრეტულად ამ მუხლში არ არის მითითებული და რომელიც საეჭვოს გახდის მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის ან სხდომის მდივნის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას. კანონი არ განსაზღვრავს რა შეიძლება იყოს ასეთი გარემოება. ასეთად შეიძლება განხილულ იქნეს მეგობრული ან სხვა სახის ახლობლური ურთიერთობა, ან ისეთი საფუძვლის არსებობა, რომელიც ეჭვს ბადებს პროცესის მონაწილის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში. თითოეული ასეთი საფუძვლით აცილების გადაწყვეტა საჭიროებს განსაკუთრებულ დასაბუთებას. მოსამართლის მიერ ასეთი საფუძვლით საქმის აცილებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს კონსტიტუციისა და შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნები იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლე ვალდებულია იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი. არსებული პრაქტიკის მიხედვით, ერთ-ერთ საქმეში მოსამართლემ სსსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებად მიუთითა ის, რომ ბრალდებული უკანონოდ მიიჩნევა პირველი წარდგენის სხდომაზე ამ მოსამართლის მიერ მისთვის პატიმრობის შეფარდებას, იმ საფუძვლით, რომ მოსამართლე არ იყო საქმის განხილვისას ობიექტური და მიუკერძოებელი, რადგანაც მისი შვილები მუშაობდნენ ძალოვან უწყებებში და მან ეს გადაწყვეტილება ამ გარემოების გავლენით მიიღო.
8. მართალია, აცილების ეს საფუძველი პირდაპირ არ არის მითითებული სისხლის სამართლის პროცესში, მაგრამ მოსამართლემ აღნიშნული გარემოება მიიჩნია სსსკ-ის 59-ე მუხლის „ე“ პუნქტით გათვალისწინებულ ისეთ გარემოებად, რომელიც გამორიცხავდა საქმის არსებითი განხილვის დროს მის მონაწილეობას.
9. საქმეში „ლენგბორგერი შვედეთის წინააღმდეგ“ განმცხადებელი შეზღუდული იყო მის ქირავნობის ხელშეკრულებაში არსებული მოლაპარაკების პუნქტით. ის უარს აცხადებდა ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე, რომელიც შეთანხმებული იყო გამქირავებელთა და დამქირავებელთა ინტერესების დამცველი ორგანიზაციების მიერ.

- სასამართლო ორგანო, რომელსაც განმცხადებლის სარჩელი უნდა განეხილა, შედეგობდა *inter alia* ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. შესაბამისად, ის ვერ ჩაითვლებოდა მიუკერძოებლად, რადგან მოსალოდნელი იყო რომ სწორედ ამ ორი ორგანიზაციის წარმომადგენლები ერთობლივად ეწინააღმდეგებოდნენ განმცხადებლის მოთხოვნებს.
10. გარდა იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის ან სხდომის მდივნის საქმეში მონაწილეობის გამომრიცხავ საერთო გარემოებებს, კანონი ასევე ცალკეც ადგენს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობაც გამორიცხავს საქმეში მხოლოდ მოსამართლის მონაწილეობას. ასეთი გარემოება არის ის, რომ საერთო მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაში, თუ იგი ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც გამომძიებელი, პროკურორი, წინასასამართლო სხდომის, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს მოსამართლე ან სასამართლო სხდომის მდივანი.
  11. მითითებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მოსამართლის მიერ საქმის განხილვისაგან აცილება ემსახურება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფას. პროკურორი, რომელიც ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას და ცდილობს სიმართლის დადგენას, რომელსაც შეიძლება ბრალდებული საგულდაგულოდ მალავდეს, იმავე საქმეზე ვერ იქნება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრი. მისი, როგორც მოსამართლის განხილვის საგანი შეიძლება გახდეს ამ საქმეში პროკურორად მონაწილეობის დროს გატარებული ღონისძიებების კანონიერება. ასეთ ვითარებაში კი ძნელი წარმოსადგენია, რომ ბრალდებულის მიერ იგი აღქმულ იქნეს მიუკერძოებლ მოსამართლედ. ასეთივე მოსაზრებით არის აგრეთვე უარყოფილი საქმის არსებით განხილვაში წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მონაწილეობის შესაძლებლობა. კანონის დათქმა, რომ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე მონაწილეობას ვერ მიიღებს საქმის არსებით განხილვაში, ეფუძნება იმ გარემოებას, რომ არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დროს წინასასამართლო სხდომის მოსამართლე აკეთებს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა.
  12. ასევე, საქმეში მოსამართლის მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში იმ მოსამართლის მონაწილეობა, რომელიც ამ საქმის განხილვაში მონაწილეობდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში. ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლოში იმ მოსამართლეების მონაწილეობა, რომლებიც ამ საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში. ეს წესი ვრცელდება იმ მოსამართლეზე, რომელიც მონაწილეობდა სისხლის სამართლის საქმის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განხილვაში. მოსამართლე ასევე ვერ მიიღებს მონაწილეობას მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო შეტანილი საჩივრის განხილვაში.
  13. პროკურორისა და გამომძიებლის მიერ თავიანთი ფუნქციების შესრულება სისხლის სამართლის პროცესის არც ერთ სტადიაზე არ აბრკოლებს ამ საქმეში მათ შემდგომ მონაწილეობას. მაგალითად, თუკი პროკურორი თავად აწარმოებდა საქმის გამოძიებას, აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს ამ საქმის განხილვაში მისი მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებას.
  14. სსსკ-ის 111-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს. გამომძიებელი უნდა შეარჩიოს საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელმა და მისი ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები დაცვის მხარეს უნდა ეცნობოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე. საქმის გამოძიებაში მონაწილე გამომძიებელი

ვერ მიიღებს მონაწილეობას დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებაში. ასეთ მოქმედებას, როგორც წესი, ატარებს საგამოძიებო ორგანოს მიერ შერჩეული პირი, რომელიც არ შეიძლება იყოს საქმის გამოძიებაში მონაწილე პირი. ამ წესიდან გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს დაცვის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რა დროსაც შესაძლებელია დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე საგამოძიებო მოქმედება ჩატარდეს საქმის მწარმოებელი გამოძიებლის მიერაც. ის გარემოება, რომ დაცვის მხარის შუამდგომლობით სასამართლო განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ატარებს არა საქმის გამოძიებელი, არამედ საგამოძიებო ორგანოს მიერ შერჩეული პირი, განპირობებულია მნიშვნელოვანწილად მხარეთა შეჯიბრობითობით, რა დროსაც უზრუნველყოფილია დაცვის მხარის უფლება, დამოუკიდებლად ობიექტური პირის მეშვეობით მოიპოვოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. თუკი დაცვის მხარე წერილობით გამოხატავს თანხმობას საქმის გამოძიებლის მიერ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია დაცვის მხარის მიერ მოთხოვნილი ჩხრეკის ჩატარება საქმის გამოძიებლის მიერ.

## მუხლი 60. სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები

ადვოკატი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ:

- ა) ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მონმე ან ექსპერტი;
- ბ) იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს;
- გ) ნათესაური ურთიერთობა აქვს მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან ან სასამართლო სხდომის მდივანთან, რომელიც მონაწილეობს ან მონაწილეობდა ამ საქმის გამოძიებასა თუ სასამართლო განხილვაში.

1. **ნორმის მიზანი:** ნორმის მიზანი ისევე როგორც სსსკ-ის 59-ე მუხლის შემთხვევაში, აქაც სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფაა.
2. ამ უფლების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია ბრალდებულის უფლება, დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები. ბრალდებულის უფლება, რომ თავი დაიცვას მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები.
3. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება არის ის, რომ ადვოკატი ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მონმე ან ექსპერტი. გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა, ადვოკატის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებებს ითვალისწინებს ასევე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლიც, რომლის თანახმადაც დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მონმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი. როგორც ვხედავთ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი



- აფართოებს იმ გარემოებების წრეს, რომელიც გამოირიცხავს ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციის განხორციელების შესაძლებლობას და ეს არ არის შემთხვევითი, ვინაიდან აღნიშნული კანონი აწესრიგებს ზოგადად ადვოკატის საქმიანობას და ეს ჩამონათვალი საერთოა როგორც სისხლის, ასევე ადმინისტრაციული და სამოქალაქო პროცესისათვის, მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმა შეიცავს მხოლოდ იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რაც გამოირიცხავს ადვოკატის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას.
4. ადვოკატის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენს ასევე ის გარემოებაც, თუ ადვოკატი იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს და ასევე ისიც, თუ მას ნათესაური ურთიერთობა აქვს მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან ან სასამართლო სხდომის მდივანთან, რომელიც მონაწილეობს ან მონაწილეობდა ამ საქმის გამომძიებასა თუ სასამართლო განხილვაში. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ადვოკატი თავდაპირველად ერთ საქმეში ახორციელებს რამდენიმე ბრალდებულის დაცვას, რომელთა შორისაც საქმის მსვლელობის დროს ფიქსირდება ინტერესთა კონფლიქტი. ასეთ შემთხვევაში, მართებული იქნება, რომ ადვოკატი ჩამოცილებულ იქნეს მოცემულ საქმეს, ვინაიდან თუნდაც მხოლოდ ერთი ბრალდებულის მიმართ დაცვის განხორციელების გაგრძელების შემთხვევაშიც კი, სახეზე იქნება სსსკ-ის მე-60 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული გარემოება. ასევე შეუძლებელია ადვოკატმა, რომელიც საქმეში იცავდა დაზარალებულის ინტერესებს, შემდეგ დაიცვას ამ საქმეში ბრალდებულის ინტერესები. აღნიშნული გარემოების არსებობისას ადვოკატის მიერ ბრალდებულის მხარეზე თავისი უფლებამოსილების განხორციელება, გარდა იმისა, რომ იქნება არაკანონიერი, ამავდროულად არის არაეთიკურიც და ზიანს მიაყენებს მხარეთა შეჯიბრობითობას.
  5. რაც შეეხება ადვოკატის ნათესაურ ურთიერთობებს საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან ან სასამართლო სხდომის მდივანთან, ამ გარემოების არსებობა ისევე წარმოადგენს ადვოკატის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებას, როგორც მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის ან სასამართლო სხდომის მდივნის სისხლის სამართლის პროცესში გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენს მათი ნათესაური ურთიერთობა საქმეში მონაწილე ადვოკატთან.

**მუხლი 60<sup>1</sup>. არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლობის გამომრიცხავი გარემოებები (17.10.2014 №2706 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს) ამოღებულია (12.06.2015 № 3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)**

ოჯახურ დანაშაულზე და ოჯახში ძალადობაზე სისხლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის, დაკითხვისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის საუკეთესო ინტერესები, მათი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად. ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით დაუშვებელია არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა, აგრეთვე დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით; აგრეთვე დაუშვებელია სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვა, რომელიც სავარაუდოდ მოძალადეა ან რომლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში, ასევე მისთვის (მათთვის) არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმის, ახსნა-განმარტების) გაცნობა ან გადაცემა.

1. **ნორმის მიზანი:** „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-3 მუხლის თანახმად, „ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად ვინ არის მათი განმხორციელებელი... სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანო, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.“ აღნიშნული ნორმის მიზანია ოჯახურ დანაშაულზე და ოჯახში ძალადობაზე სისხლის სამართლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე გათვალისწინებულ იქნეს არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის საუკეთესო ინტერესები, მათი ასაკისა და განვითარების შესაბამისად.
2. კანონი კრძალავს ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეებში არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვას, აგრეთვე დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოცემისას არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვას (ახსნა-განმარტების მიღებას) მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით.
3. დაუშვებელია ასევე სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვანის კანონიერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვა, რომელიც სავარაუდო მოძალადეა ან ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, არსებობს ეჭვი მის მიკერძოებასთან დაკავშირებით ან არსებობს ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევა. ასეთ შემთხვევებში კანონი კრძალავს ასევე წარმომადგენლისათვის არასრულწლოვანის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმის, ახსნა-განმარტების) გაცნობას ან გადაცემას.
4. არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი სისხლის სამართლის პროცესში, გარდა მშობლებისა, არიან ახლო ნათესავი (შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული), მეურვე და მზრუნველი. კანონიერი წარმომადგენელი, ისევე როგორც მშობელი, ხშირ შემთხვევაში არის არასრულწლოვანის ოჯახის წევრი და მასთან დაახლოებული პირი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს არასრულწლოვანზე. შესაბამისად, მოძალადე მშობლის თანდასწრებით არასრულწლოვანის დაკითხვა არ იქნება ბავშვის ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალება. სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება იმ კანონიერი წარმომადგენლისათვის არასრულწლოვანის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმის, ახსნა-განმარტების) გაცნობისა ან გადაცემის აკრძალვა, რომელიც სავარაუდო მოძალადეა ან რომლის მიკერძოებასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე.

## **მუხლი 61. სისხლის სამართლის პროცესში თარჯიმნის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები**

**თარჯიმანს უფლება არა აქვს, მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში, როცა არსებითად დამოკიდებულია სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე მონაწილეზე ან/და ნათესაური ურთიერთობა აქვს მასთან.**

1. სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მონაწილე არის თარჯიმანი, რომელსაც პროცესის მწარმოებელი ორგანო იძახებს იმ შემთხვევაში, როდესაც პროცესის მონაწილემ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა ან საჭიროა სისხლის სამართლის პროცესის ენაზე ითარგმნოს ტექსტი.
2. თარჯიმანს უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში, როდესაც იგი არსებითად დამოკიდებულია სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე მონაწილეზე ან/და ნათესაური ურთიერთობა აქვს მასთან. მაგალითად, თუკი თარჯიმანი არის პროკურორის ნათესავი, ასეთ შემთხვევაში ეს გარემოება ეჭვქვეშაა.
3. დააყენებს თარჯიმნის ობიექტურობას და მის მიერ განხორციელებული თარგმანის სისწორეს. ამდენად, როდესაც გამოვლინდება თარჯიმნის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება, ასეთ შემთხვევაში იგი აცილებულ უნდა იქნეს მოცემულ საქმეში.

## მუხლი 62. თვითაცილება

1. თუ არსებობს სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის, სასამართლო სხდომის მდივნის, ადვოკატის, თარჯიმნის ან ექსპერტის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს თვითაცილება.
2. გამომძიებელი თვითაცილების შესახებ განცხადებას აკეთებს საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორთან, პროკურორი – მის ზემდგომ პროკურორთან, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას – სასამართლოში.
3. მოსამართლე თვითაცილების შესახებ განცხადებას აკეთებს სასამართლოს თავმჯდომარესთან.
4. თვითაცილების შესახებ განცხადებას ადვოკატი, თარჯიმანი, ექსპერტი აკეთებენ პროკურორთან, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას ზემოაღნიშნული პირები და სასამართლო სხდომის მდივანი – სასამართლოში.
5. თვითაცილების შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს.
6. ექსპერტის თვითაცილების საფუძველია მისი პროფესიული არაკომპეტენტურობა.

1. **ნორმის მიზანი:** სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, არსებობს სისხლის სამართლის საქმისაგან პირის ჩამოცილების ორი შესაძლებლობა. თვითაცილება, როდესაც პროცესის მონაწილე თვითონ იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმისაგან ჩამოცილების შესახებ და აცილება, ანუ, როდესაც პროცესის ამა თუ იმ მონაწილის ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი ან ორგანო. ნორმის მიზანია თვითაცილების განცხადებისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების წესების დადგენა.
2. თუ არსებობს აცილების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლები, მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივნი, ადვოკატი, თარჯიმანი ან ექსპერტი ვალდებული არიან განაცხადონ თვითაცილება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წესი, რომელსაც კანონი ადგენს, არის ის, რომ სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის, სასამართლო სხდომის მდივნის, ადვოკატის, თარჯიმნის ან ექსპერტის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოების არსებობის შემთხვევაში თვითაცილების თაობაზე განცხადება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გაცხადებული საამისოდ უფლებამოსილი პირის წინაშე.
3. განსახილველი ნორმა განსაზღვრავს იმ უფლებამოსილი პირების ჩამონათვალს, ვინც სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე უფლებამოსილია გადაწყვიტოს ამა თუ იმ პროცესის მონაწილის აცილების საკითხი. გამომძიებელი თვითაცილების შესახებ განცხადებას აკეთებს საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორთან, პროკურორი – მის ზემდგომ პროკურორთან, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას – სასამართლოში.
4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ზუსტად არ არის განსაზღვრული თვითაცილების განხორციელების წესი წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო სხდომამდე ეტაპებზე. კანონი შეიცავს მხოლოდ ზოგად მითითებას იმის თაობაზე, რომ თვითაცილების შესახებ გამომძიებელი განცხადებას აკეთებს საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორთან, პროკურორი – მის ზემდგომ პროკურორთან, ხოლო მოსამართლე თვითაცილების შესახებ განცხადებას აკეთებს სასამართლოს თავმჯდომარესთან. ასეთ წესები არც იმ საკანონმდებლო ნორმებშია განსაზღვრული, რომლებიც უშუალოდ აწესრიგებენ საგამომძიებო და სასამართლო ორგანოების საქმიანობას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლი მიუთითებს რა თვითაცილების შესახებ უფლებამოსილი პირის წინაშე განცხადების გაკეთების აუცილებლობაზე, ამავე დროს, ხაზს უსვამს ასეთი განცხადების დასაბუთების აუცილებლობაზე.

5. დღეისათვის საერთო სასამართლოებში არსებული პრაქტიკის თვითაცილების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება დასაბუთებული განჩინებით, რის შემდეგაც მოსამართლე სისხ-

- ლის სამართლის საქმეს სხვა მოსამართლეზე გადაცემის მიზნით გადასცემს სასამართლოს თავმჯდომარეს. ვფიქრობთ, რომ საერთო სასამართლოებში არსებული აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, რომლის მე-3 მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, განიხილება არის სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენის და განკარგულების გარდა) ნებისმიერ საკითხზე. თვითაცილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება კი ხდება თავად საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ და არა სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, რომლის უფლებამოსილება მოცემულ შემთხვევაში შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ საქმე გადასცეს სხვა მოსამართლეს. სხვა ისეთი უფლებამოსილება სასამართლოს თავმჯდომარეს, რომ თვითონ გადაწყვიტოს მოსამართლის (დააკმაყოფილოს განცხადება ან არ დააკმაყოფილოს) აცილების საკითხი არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და არც სხვა შიდა კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე ასაბუთებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის მე-4 ნაწილიც, რომლის მიხედვითაც გაცხადებული აცილების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება. ვფიქრობთ, რომ სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე განცხადების გაკეთება თვითაცილების თაობაზე ემსახურება მხოლოდ იმას, რომ თავმჯდომარემ აცილებული საქმე განსახილველად გადასცეს სასამართლოს სხვა შემადგენლობას და ამაზე მეტ უფლებამოსილებას კანონი მას არ ანიჭებს.
6. იგივე შეიძლება ითქვას გამომძიებლისა და პროკურორის შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ ამ დროს თვითაცილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება თავად გამომძიებლის და პროკურორის მიერ, რომლებიც ამის თაობაზე იღებენ დადგენილებას თვითაცილების თაობაზე და აღნიშნულს აცნობებენ საამისოდ უფლებამოსილ პირს, რომელიც გამომძიებლის შემთხვევაში შეიძლება იყოს ზედამხედველი პროკურორი, ხოლო პროკურორის შემთხვევაში კი ზემდგომ პროკურორი, რომლებიც ისევე, როგორც სასამართლოს თავმჯდომარე, იღებენ გადაწყვეტილებას აცილებული სისხლის სამართლის საქმის სხვა გამომძიებლისათვის ან პროკურორისათვის გადაცემის შესახებ.
7. სხვაგვარად წყდება საკითხი როდესაც სახეზეა ადვოკატის, თარჯიმნის ან ექსპერტის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება. წინასწარი გამოძიების ეტაპზე ეს პირები თვითაცილების შესახებ განცხადებას აკეთებენ პროკურორთან, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას ზემოაღნიშნული პირები და სასამართლო სხდომის მდივანი განცხადებას აცილების თაობაზე აკეთებენ სასამართლოში. სწორედ პროცესის ამ მონაწილეების განცხადების დასაბუთების აუცილებლობაზე მიუთითებს განსახილველი მუხლის მე-5 ნაწილი, სადაც საუბარია იმის თაობაზე, რომ თვითაცილების შესახებ განცხადება უნდა იყოს დასაბუთებული. მუხლი ადგენს რა თვითაცილების გაცხადების წესებს, მისი მე-6 ნაწილი შეიცავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ექსპერტის მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებას. ასეთ გარემოებად სასამართლო განიხილავს მხოლოდ ექსპერტის პროფესიულ არაკომპეტენტურობას. ექსპერტის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავ სხვა გარემოებას კანონი არ ითვალისწინებს.

### მუხლი 63. აცილების შუამდგომლობის დაყენების წესი

1. თუ არსებობს პროცესის რომელიმე მონაწილის მიმართ ამ კოდექსით განსაზღვრული სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი რომელიმე გარემოება და მას არ განუცხადებია თვითაცილება, მხარეებს უფლება აქვთ დააყენონ აცილების შუამდგომლობა.
2. აცილების შუამდგომლობა ამისთვის უფლებამოსილმა პირმა უნდა დააყენოს დაუყოვნებლივ, პირველი შესაძლებლობისთანავე, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება აცილების საფუძველი. წინააღმდეგ შემთხვევაში შუამდგომლობა არ განიხილება.
3. საქმის სასამართლო განხილვისას მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, სა-

სამართლო სხდომის მდივნის, ადვოკატის ან თარჯიმნის აცილების შუამდგომლობას ამისთვის უფლებამოსილი პირები აყენებენ სასამართლოში.

4. გამოძიებისას გამოძიებლის ან თარჯიმნის აცილების შუამდგომლობას მხარე აყენებს პროკურორთან.

5. გამოძიებისას პროკურორის აცილების შუამდგომლობას ამისთვის უფლებამოსილი პირები აყენებენ მის ზემდგომ პროკურორთან.

1. **ნორმის მიზანი:** სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, არსებობს სისხლის სამართლის საქმისაგან პირის ჩამოცილების ორი შესაძლებლობა. თვითაცილება, როდესაც პროცესის მონაწილე თვითონ იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმისაგან ჩამოცილების შესახებ და აცილება, ანუ, როდესაც პროცესის ამა თუ იმ მონაწილის ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი ან ორგანო. სწორედ უფლებამოსილი ორგანოს წინაშე აცილების თაობაზე შუამდგომლობის დაყენებისა და ამ შუამდგომლობის გადაწყვეტის წესის დადგენა წარმოადგენს აღნიშნული ნორმის მიზანს.
2. თუ არსებობს აცილების საფუძველი და პროცესის მონაწილეს არ განუცხადებია თვითაცილება, მას შეიძლება აცილება მისცენ მხარეებმა. შუამდგომლობა აცილების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული, კერძოდ, კონკრეტულად უნდა მიეთითოს აცილების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძველი და გარემოებები, რომლებიც ასაბუთებენ მოთხოვნას აცილების შესახებ.
3. აცილების შუამდგომლობა ამისთვის უფლებამოსილმა პირმა (მხარემ) უნდა დააყენოს დაუყოვნებლივ, პირველი შესაძლებლობისთანავე, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება აცილების საფუძველი. ასეთი შუამდგომლობა სასამართლოში საქმის განხილვისას, როგორც წესი, დაყენებულ უნდა იქნეს სასამართლო სხდომის საწყის ეტაპზე მოსამართლის მიერ აცილების საფუძველებისა და უფლების განმარტების შემდეგ, ხოლო წინასწარი გამოძიებისას დაუყოვნებლივ პირველივე შესაძლებლობისთანავე. მაგრამ, თუკი მხარისათვის აცილების საფუძველი ცნობილი გახდა მოგვიანებით, აცილების შუამდგომლობა დაყენებულ უნდა იქნეს აცილების საფუძველის ცნობიდან პირველივე შესაძლებლობისთანავე. თუკი აცილების საფუძველი მხარისათვის ცნობილი იყო და მან ამის თაობაზე შუამდგომლობა არ დააყენა, ასეთ შემთხვევაში აცილების შუამდგომლობა არ განიხილება.
4. აცილების შუამდგომლობა შეიძლება დაყენებულ იქნეს, გამოძიებისას, ასევე საქმის სასამართლო განხილვისას. საქმის სასამართლო განხილვისას მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, სასამართლო სხდომის მდივნის, ადვოკატის ან თარჯიმნის აცილების შუამდგომლობას ამისთვის უფლებამოსილი პირები აყენებენ სასამართლოში, ხოლო გამოძიებისას გამოძიებლისა და თარჯიმნის აცილების შუამდგომლობას მხარე აყენებს პროკურორთან. ამასთან, საქმის სასამართლო განხილვისას შეიძლება დაყენებულ იქნეს მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, სასამართლო სხდომის მდივნის, ადვოკატის ან თარჯიმნის აცილების შუამდგომლობა, ხოლო გამოძიებისას შეიძლება დაყენებულ იქნეს შუამდგომლობა გამოძიებლისა და თარჯიმნის აცილების თაობაზე. ასევე პროკურორის აცილების შუამდგომლობა. გამოძიებისას პროკურორის აცილების შუამდგომლობა დაყენებული უნდა იქნას ზემდგომ პროკურორთან.
5. აცილების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება აქვს მხარეს. მართალია, აღნიშნულის თაობაზე მითითებულია მხოლოდ განსახილველი მუხლის მე-4 ნაწილში და სხვა შემთხვევაში კი საუბარია ზოგადი ტერმინით „ამისათვის უფლებამოსილი პირი“, თუმცა აცილების თაობაზე შუამდგომლობის დაყენების უფლება გააჩნია მხოლოდ მხარეს და არა სხვა პროცესის მონაწილეს.

## მუხლი 64. აცილების შუამდგომლობის გადაწყვეტის წესი

1. პირს, რომელსაც აცილება მისცეს, აცილების საკითხის განხილვამდე უფლება აქვს, მისცეს განმარტება.

2. მოსამართლის აცილების შუამდგომლობაზე გადაწყვეტილებას იღებს:

ა) საქმის ერთპიროვნულად განხილვისას, თუ აცილების შუამდგომლობა დაყენებულია საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ, – ეს მოსამართლე;

ბ) საქმის კოლეგიურად განხილვისას, თუ აცილების შუამდგომლობა დაყენებულია მოსამართლის (მოსამართლეების) მიმართ, – ის მოსამართლე (მოსამართლეები), რომლის (რომელთა) მიმართაც აცილების შუამდგომლობა არ დაყენებულა;

გ) საქმის კოლეგიურად განხილვისას, თუ აცილების შუამდგომლობა დაყენებულია სასამართლოს მთელი შემადგენლობის მიმართ, – საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობა.

3. გამოძიებისას დაყენებული აცილების შუამდგომლობა უნდა გადაწყდეს 24 საათში, ხოლო სასამართლო სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობა – დაუყოვნებლივ, სათათბირო ოთახში ან ადგილზე თათბირით.

4. განცხადებული აცილების შუამდგომლობაზე პროკურორს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს – განჩინება.

1. **ნორმის მიზანი:** ნორმა განსაზღვრავს დაყენებული აცილების გადაწყვეტის წესებს.

2. მას შემდეგ, რაც დაყენებული იქნება შუამდგომლობა აცილების შესახებ, პირს, რომელსაც აცილება დაუყენეს, უფლება აქვს მისცეს განმარტება. ასეთი განმარტების გაკეთების დროს პირი ადასტურებს ან უარყოფს აცილების შუამდგომლობაში მითითებულ გარემოებებს.

3. სისხლის სამართლის საქმის ერთპიროვნულად განხილვისას მოსამართლის მიმართ განცხადებული აცილების საკითხს წყვეტს სისხლის სამართლის საქმის განხილველი მოსამართლე. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსამართლე საქმეს გადასცემს სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც მას განსახილველად გადასცემს სხვა მოსამართლეს.

4. საქმის კოლეგიურად განხილვისას, თუ აცილების შუამდგომლობა დაყენებულია მოსამართლის (მოსამართლეების) მიმართ, აცილების საკითხს წყვეტს ის მოსამართლე (მოსამართლეები), რომლის (რომელთა) მიმართაც აცილების შუამდგომლობა არ დაყენებულა.

5. საქმის კოლეგიურად განხილვისას, თუ აცილების შუამდგომლობა დაყენებული იქნება სასამართლოს მთელი შემადგენლობის მიმართ, აცილების შესახებ შუამდგომლობას წყვეტს საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობა, ხმების უმრავლესობით.

6. გამოძიებისას დაყენებული აცილების შუამდგომლობა უნდა გადაწყდეს 24 საათში, ხოლო სასამართლო სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობა – დაუყოვნებლივ, სათათბირო ოთახში ან ადგილზე თათბირით. განცხადებული აცილების შუამდგომლობაზე პროკურორს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს – განჩინება.

## მუხლი 65. მოსამართლის ან სასამართლოს მთელი შემადგენლობის აცილების შემთხვევაში საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა ან საქმის განმხილველი სასამართლოს ახალი შემადგენლობის განსაზღვრა

1. საქმის განმხილველი სასამართლოს აცილების შემთხვევაში საქმე გადაეცემა სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც მას განსახილველად გადასცემს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

2. თუ აცილებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მთელი შემადგენლობა, იმავე დონის სხვა სასამართლოში წარმართვის საკითხის გადასაწყვეტად საქმე გადაეცემა შესაბამისი სააპელ-

აციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმის შესვლიდან 48 საათის განმავლობაში წყვეტს აღნიშნულ საკითხს.

3. თუ აცილებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მთელი შემადგენლობა, იმავე დონის სხვა სასამართლოში წარმართვის საკითხის გადასაწყვეტად საქმე გადაეცემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმის შესვლიდან 48 საათის განმავლობაში წყვეტს აღნიშნულ საკითხს.

1. **ნორმის მიზანი:** ნორმის მიზანია მოსამართლის ან სასამართლოს მთელი შემადგენლობის აცილების შემთხვევაში საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემის წესის ან საქმის განმხილველი სასამართლოს ახალი შემადგენლობის განსაზღვრის წესის დადგენა.
2. საქმის განმხილველი სასამართლოს აცილების შემთხვევაში საქმე გადაეცემა სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც მას განსაზღვრულად გადასცემს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას. არ არის გამორიცხული, რომ საქმე აცილებულ იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს ყველა შემადგენლობის მიერ. ასეთ შემთხვევაში საქმე, იმავე დონის სხვა სასამართლოში წარმართვის საკითხის გადასაწყვეტად, გადაეცემა შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმის შესვლიდან 48 საათის განმავლობაში წყვეტს აღნიშნულ საკითხს.
3. თუ აცილებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მთელი შემადგენლობა, ასეთ შემთხვევაში საქმე იმავე დონის სხვა სასამართლოში წარმართვის საკითხის გადასაწყვეტად გადაეცემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმის შესვლიდან 48 საათის განმავლობაში წყვეტს აღნიშნულ საკითხს.

## მუხლი 66. აცილების შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა აცილების შუამდგომლობა, არ გასაჩივრდება.
2. გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გამომძიებლის აცილების შუამდგომლობა, შეიძლება ერთჯერადად, 1 კვირის ვადაში გასაჩივრდეს საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის ზემდგომ პროკურორთან.
3. სასამართლოს უარი აცილების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე შეიძლება გასაჩივრდეს შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად.

1. **ნორმის მიზანი:** ნორმა განსაზღვრავს აცილების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს.
2. გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა აცილების შუამდგომლობა, არ გასაჩივრდება. საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გამომძიებლის აცილების შუამდგომლობა, შეიძლება 1 კვირის ვადაში ერთჯერადად გასაჩივრდეს საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის ზემდგომ პროკურორთან, ხოლო სასამართლოს უარი აცილების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე შეიძლება გასაჩივრდეს შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად.

## თავი IX

### სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების წესი

**მუხლი 67. პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძვლები (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).**

პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ:

- ა) განიხილება საქმე ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტზე, რომლის საჯარო განხილვაც თავისი ბუნებით არსებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას;
- ბ) პროცესის მონაწილის ვინაობისა და საქმეში მონაწილეობის გასაჯაროებით მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრება მის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას;
- გ) პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე;
- დ). ამოღებულ იქნეს (28.10.2011. №5170 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს).

1. დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებული იქნეს პროცესის ნებისმიერი მონაწილის (მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, ბრალდებულის, ადვოკატის, მონმის, დაზარალებულის, ექსპერტის, თარჯიმნის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონებისა და ასევე პირადცხოვრების დაცვის მიზნით.
2. დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე პროცესის ნებისმიერი მონაწილის ახლო ნათესავის (მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული)) სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის მიზნით. პროცესის მონაწილის ახლო ნათესავის პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იძლევა. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგ სამ შემთხვევაში:
  - ა) განიხილება საქმე ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტზე, რომლის საჯარო განხილვაც თავისი ბუნებით არსებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას;
  - ბ) პროცესის მონაწილის ვინაობისა და საქმეში მონაწილეობის გასაჯაროებით მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრება პროცესის მონაწილის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას;
  - გ) პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე ანუ, პირველ შემთხვევაში, დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების მიზანია პროცესის მონაწილის პირადი ცხოვრების დაცვა. პირად ცხოვრებაში იგულისხმება პირის ოჯახური ცხოვრება, პირადი ურთიერთობები, სექსუალური ცხოვრება და სხვა ისეთი პირადი დეტალები, რომლის გასაჯაროებაზე გადანყვეტილებას იღებს თავად ეს პირი. პირადი ცხოვრების არსებითი დაზიანების საფრთხე უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მაგ.: დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საჭიროება შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, თუ მონმე თავის ჩვენებაში მიუთითებს მისი სექსუალური ცხოვრების ისეთ დეტალზე, რომლის გასაჯაროებით არსებითი ზიანი მიადგება მის რეპუტაციას და ოჯახურ ცხოვრებას და ა.შ. მეორე შემთხვევაში დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების მიზანია პროცესის მონაწილის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლის, ქონებისა და ჯანმრთელობის დაცვა. ემუქრება თუ არა საფრთხე პროცესის მონაწილის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ქონებას და ჯანმრთელობას, ეს უნდა შეფასდეს საქმეში არსებული მტკიცებულებებით. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, ბრალდებულის პიროვნება და სხვა გარემოებები. მაგალითად, პირს ბრალი ედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში, რომლის დადასტურების შემთხვევაში



ბრალდებულს ემუქრება უვადო თავისუფლების აღკვეთა. თუ არსებობს იმის საფრთხე, რომ მოწმის ვინაობის დადგენის შემთხვევაში, ბრალდებული პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით შეეცდება მისი ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლის მოსპობას ან ჯანმრთელობის დაზიანებას, პროკურორმა აღნიშნული მოწმის ან/და მისი ახლო ნათესავის მიმართ უნდა გამოიყენოს დაცვის სპეციალური ღონისძიების რომელიმე სახე. მესამე შემთხვევა შესაძლებლად მიჩნევს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებას პროცესის იმ მონაწილის მიმართ, რომელიც დამოკიდებულია ბრალდებულზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ არის აუცილებელი პროცესის მონაწილის პირადი ცხოვრების გახმაურებას, სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას ემუქრებოდეს საფრთხე. საკმარისია პროცესის მონაწილე რაიმე ფორმით (ფინანსურად, სამართლებრივად და სხვა) დამოკიდებული იყოს ბრალდებულზე. მაგალითად, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენება მისცა მოწმემ, რომელიც ფინანსურად დამოკიდებულია ბრალდებულზე. თუ არსებობს ვარაუდი იმისა, რომ ბრალდებული ფინანსურ დახმარებას შეუწყვეტს მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემ მოწმეს და ეს უკანასკნელი დარჩება ფინანსური სახსრების გარეშე, შესაძლოა მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება მოწმის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ (მაგ., მოწმის მიაწვდომის ფსევდონიმი).

**მუხლი 68. პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების სახე და მის გამოყენებაზე უფლებამოსილი პირი (28.10.2011. №5170 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)**

1. პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების სახეა პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვა.
  2. პროკურორი უფლებამოსილია, საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით, გამოიყენოს პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიება და ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართოს პროცესის მონაწილე, ან პირი, რომელიც შეიძლება გახდეს პროცესის მონაწილე, მასთან დაკავშირებული პირი ან/და მისი ახლო ნათესავი, მათი თანხმობით.
  3. პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური პროგრამით დადგენილი წესით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირების მიმართ იყენებს დაცვის კონკრეტულ ღონისძიებებს. ასეთი ღონისძიებებია:
    - ა) მიკვლევის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება –საჯარო რეესტრში ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერში პროცესის მონაწილის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი მონაცემების, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის, შეცვლა ან ამოღება;
    - ბ) ვინაობის შეცვლა და მასზე ახალი დოკუმენტების გაცემა –ფსევდონიმის მიჭება, გარეგნობის შეცვლა, ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი საპროცესო და სხვა დოკუმენტების გასაიდუმლოება;
    - გ) უსაფრთხოების ზომების მიღება (პირადი დაცვა, განგაშზე გამოძახება და სხვა.);
    - დ) საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სამუდამოდ შეცვლა;
    - ე) სხვა სახელმწიფოში გაყვანა (რელოკაცია).
  4. პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვისა და დაცვის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების პროცედურებს ერთობლივად განსაზღვრავენ საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრები.
  5. პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.
1. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორი საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით.

2. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ინიციატორი შეიძლება იყოს პროკურორი ან ის პირი, რომლის მიმართაც უნდა იქნეს გამოყენებული ეს ღონისძიება. სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი მოწმეს, ხოლო 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი დაზარალებულს ანიჭებს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების მოთხოვნის უფლებას, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას.
3. თუ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ინიციატორია პროკურორი, იგი ვალდებულია კონსულტაცია გაიაროს იმ პირთან, ვის მიმართაც იგი საჭიროდ თვლის ამ ღონისძიების გამოყენებას, რადგან ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება დაუშვებელია. თუ პროკურორს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართავს პროცესის მონაწილე, მისი ახლო ნათესავი ან/და მასთან დაკავშირებული პირი, პროკურორი არ არის ვალდებული ყველა შემთხვევაში დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნა. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, პროკურორმა სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე უნდა შეაფასოს საფრთხის რეალობა.
4. პროცესის მონაწილის, მისი ახლო ნათესავის, მასთან დაკავშირებული პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაცვის შემდეგი ღონისძიებები: ა) მიკვლევის სანიანალმდე-გო ღონისძიებების გატარება – საჯარო რეესტრში ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერში პროცესის მონაწილის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი მონაცემების, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის, შეცვლა ან ამოღება; ბ) ვინაობის შეცვლა და მასზე ახალი დოკუმენტების გაცემა – ფსევდონიმის მინიჭება, გარეგნობის შეცვლა, ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი საპროცესო და სხვა დოკუმენტების გასაიდუმლოება; გ) უსაფრთხოების ზომების მიღება (პირადი დაცვა, განგაშზე გამოძახება და სხვა); დ) საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სამუდამოდ შეცვლა; ე) სხვა სახელმწიფოში გაყვანა (რელოკაცია).
5. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროკურორს გამოაქვს დადგენილება, რომელიც შესასრულებლად/აღსასრულებლად ეგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს.  
დაცვის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების პროცედურებს ერთობლივად განსაზღვრავენ საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრები. აღნიშნული პროცედურების განმსაზღვრელი დოკუმენტი არ არის საჯარო.
6. პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

**მუხლი 69. ამოღებულ იქნეს (28.10.2011. №5170 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)**

**მუხლი 70. გადაწყვეტილება დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ (28.10.2011. №5170 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)**

1. პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს:
  - ა) პირი, რომლის მიმართაც გამოიყენება დაცვის სპეციალური ღონისძიება (პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვა);
  - ბ) დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ვადა.
2. დაცვის სპეციალური ღონისძიება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს უვადოდ.
3. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება არ არის საჯარო. ეს

გადანყვეტილება ეცნობება მხოლოდ დასაცავ პირს.

4. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ვადის ამონურვის შემთხვევაში შესაძლებელია ვადის გაგრძელება, თუ კვლავ არსებობს ამ ღონისძიების გამოყენების საჭიროება.

5. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში ამ ღონისძიებას აუქმებს მისი გამოყენების შესახებ გადანყვეტილების მიმღები პირი, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება დასაცავ პირს.

1. პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ პროკურორის დადგენილებაში უნდა მიეთითოს: დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების დრო; დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების მიზეზი; იმ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლის მიმართაც გამოიყენება დაცვის სპეციალური ღონისძიება და დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ვადა. დაცვის სპეციალური ღონისძიება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ვადით ან უვადოდ. თუ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება მოხდა გარკვეული ვადით, ვადის ამონურვის შემთხვევაში შესაძლებელია ვადის გაგრძელება, თუ კვლავ არსებობს ამ ღონისძიების გამოყენების საჭიროება. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში ამ ღონისძიებას აუქმებს მისი გამოყენების შესახებ გადანყვეტილების მიმღები პირი (ანუ პროკურორი), რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს იმ პირს, ვის მიმართაც იყო გამოყენებული ეს ღონისძიება. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ან გაუქმების შესახებ გადანყვეტილება არ არის საჯარო. ეს გადანყვეტილება ეცნობება მხოლოდ დასაცავ პირს.

**მუხლი 71. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ გადანყვეტილების აღსრულება (28.10.2011. №5170 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)**

1. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ გადანყვეტილების აღსრულების თაობაზე 3 დღის ვადაში ეცნობება პროკურორს, რომელმაც გამოიყენა ეს ღონისძიება.

2. დაცვის სპეციალური ღონისძიებისა და მის ფარგლებში გამოყენებული დაცვის კონკრეტული ღონისძიებების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

1. დაცვის სპეციალური ღონისძიებისა და მის ფარგლებში გამოყენებული დაცვის კონკრეტული ღონისძიებების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ გადანყვეტილების აღსრულების თაობაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 3 დღის ვადაში ეცნობება იმ პროკურორს, რომელმაც გამოიყენა ეს ღონისძიება.

## კარი III მტკიცებულება

### თავი X მტკიცებულება, მტკიცების საგანი და პროცესი

#### მუხლი 72. დაუშვებელი მტკიცებულება

1. არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია (ძალადაკარგულია, სიტყვები „ამ კოდექსის“ არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015 №2/2/579 გადაწყვეტილებით)
2. მტკიცებულება ასევე დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია ამ კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ.
3. ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს.
4. მხარე ვალდებულია სასამართლოს მიანოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულების წარმომავლობის შესახებ.
5. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო. სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს (14.06.2013. №741).
6. დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.

1. **ნორმის მიზანი:** განსახილველი ნორმა განსაზღვრავს მხარეების მიერ მოპოვებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის ზოგად საფუძველს და წესს. უნდა აღინიშნოს, რომ ნორმა არ იცნობს მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის საფუძველების ამომწურავ ჩამონათვალს. კანონმდებელი სსსკ-ის ცალკეულ მუხლებში მიუთითებს ისეთ გარემოებებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაში ესა თუ ის მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. ამდენად, სსსკ-72-ე მუხლი ადგენს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის მხოლოდ ძირითად პრინციპებს.
2. **დაუშვებელი მტკიცებულებები.** სამართლებრივ სახელმწიფოში ჭეშმარიტების დადგენა არ არის სისხლის სამართლის პროცესის აბსოლუტური მიზანი, ვინაიდან იგი განიცდის გარკვეულ კანონისმიერ ბოჭვებს. ჭეშმარიტება დადგენილი უნდა იქნეს მხოლოდ პროცესუალურად დასაშვები საშუალებებით. შესაბამისად, მხარეების მიერ მოპოვებული ყველა ინფორმაცია ვერ იქნება დასაშვებ მტკიცებულებად ცნობილი სისხლის სამართლის პროცესში, თუ ისინი არ პასუხობენ კანონის მოთხოვნებს<sup>348</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015 წლის №2/2/579 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად გამოცხადა სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები „ამ კოდექსის“, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „მოქმედი კანონმდებლობა, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს კონსტიტუცია სისხლის სამართლის საპროცესო კო-

<sup>348</sup> იხ., თუმანიშვილი, გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, 248.

დექის მიღმაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეზე წარსადგენი მტკიცებულებების მოპოვების წესებს, ხოლო სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი ქმნის ზემოთ დასახელებული აქტების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობის შესაძლებლობას სისხლის სამართლის საქმეზე.<sup>349</sup> შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს თუ რამდენად იქნა დაცული არა მხოლოდ მტკიცებულებათა მოპოვების სსსკ-ით გათვალისწინებული წესი, არამედ ასევე დარწმუნდეს, რომ კონკრეტული მტკიცებულების მოპოვებისას არ დარღვეულა სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული მტკიცებულების მოპოვების წესები.

3. ა) **კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებათა დაუშვებლობა.** სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია. ცხადია, აღნიშნული ნორმა აფართოებს დაუშვებელ მტკიცებულებათა რიცხვს და მტკიცებულებად არ დაიშვება არა მხოლოდ კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული უშუალო (პირველადი) მტკიცებულებები, არამედ ასევე ის შუალობითი მტკიცებულებები, რომლებიც უშუალო მტკიცებულებების საფუძველზე იქნა მოპოვებული, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. მტკიცებულებების მოპოვებისას კანონის დარღვევისა და მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას, მოსამართლემ უნდა შეაფასოს, რამდენად არსებითად იქნა დარღვეული კანონი უშუალო (პირველადი) მტკიცებულების მოპოვების დროს და რამდენად გააუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, თუკი იგი კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე კანონიერად მოპოვებულ სხვა მტკიცებულებას დასაშვებად ცნობს. შესაბამისად, თუ მოსამართლის აზრით უშუალო (პირველადი) მტკიცებულების მოპოვებისას კანონი არსებითად არ დარღვეულა, ამგვარი მტკიცებულებების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული შუალობითი მტკიცებულება დასაშვებია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. ამასთან, შესაძლებელია უშუალო (პირველადი) მტკიცებულება მოპოვებული იყოს კანონის არსებითი დარღვევის შედეგად, თუმცა კანონმდებელი არ კრძალავს ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებული სხვა შუალობითი მტკიცებულების დასაშვებობას, თუ ის არ აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. პირიქით, ბრალდებულის დაცვის სტრატეგიულ ინტერესებშიც კი შეიძლება შედიოდეს რომელიმე ასეთი მტკიცებულების სასამართლოში განხილვა. ამიტომ, კანონმდებელი დაცვის მხარეს არ უზღუდავს მის სასამართლოში გამოკვლევას.
4. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა წარმოადგენს აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაში XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული დოქტრინის ანალოგს, რომელიც „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინის (fruit of the poisonous tree doctrine)“ სახელით არის ცნობილი. „მონამლული ხის ნაყოფი“ არის მეტაფორა, რომელიც გამოიყენა 1939 წელს აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ფელიქს ფრანკფურტერმა გადაწყვეტილების დასაბუთებისას.<sup>350</sup> შემდგომ ამ ტერმინმა შეიძინა სხვა სასამართლოებისთვის სახელმძღვანელო მნიშვნელობა. „მონამლული ხის ნაყოფი“<sup>351</sup> შემდეგნაირად განიმარტება: გამოძიების ორგანოები შესაძლოა ვარაუდობდნენ, რომ გარკვეულ მტკიცებულებას (ხე) შეუძლია მათ საქმის გარემოებათა დასადგენად მნიშვნელოვანი სხვა მტკიცებულებების (ნაყოფი) აღმოჩენაში შეუწყოს ხელი. თუკი ისინი პირველადი მტკიცებულების მოპოვებისას უხეშად დაარღვევენ კანონს და არ დაიცავენ სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ სტანდარტებს, მაშინ ამ პირვე-

<sup>349</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31/07/2015 წლის გადაწყვეტილება N2/2/579.

<sup>350</sup> იხ., აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: *Nardone v. U.S.*, 308 U.S., გვ. 338 (1939).

<sup>351</sup> იხ., ჩხეიძე, ი., მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, 2010, 69-70.

ლად მტკიცებულებას (ხე) წამლავენ. როდესაც პირველადი მტკიცებულების მოპოვებისას კანონი არსებითად არის დარღვეული (ხე მოინამლა), მაშინ ასეთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რადგან დანარჩენი მტკიცებულებებიც მიუღებელია სასამართლოსთვის. სამართლებრივი სახელმწიფოსთვის ასეთი მტკიცებულებები წარმოადგენენ მოწამლული ხის ნაყოფებს, რომლებიც ასევე მოწამლულია. აღსანიშნავია, რომ ფელიქს ფრანქფურტერის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებამდეც აშშ-ს სასამართლო პრაქტიკა მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას ანალოგიური მიმართულებით ვითარდებოდა. აშშ-ში ერთი მხრივ, მოქმედებს ზემოხსენებული დოქტრინა, მეორე მხრივ, სასამართლო პრაქტიკამ განავითარა გამონაკლისები „მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინისაგან“, რადგან ყოველთვის მარტივი არ არის უშუალო და შუალოებით მტკიცებულებებს (ე.ი. ხესა და ნაყოფებს) შორის ურთიერთკავშირის დადგენა. სირთულეს წარმოადგენს განსაკუთრებით იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეუძლია კანონდარღვევით მოპოვებულ პირველად მტკიცებულებას (მოწამლულ ხეს) გამოიწვიოს სხვა მტკიცებულებების (ნაყოფების) დაუშვებლად ცნობა. არ იქნებოდა იმის მტკიცება მართებული, რომ კანონდარღვევით მოპოვებულმა მტკიცებულებებმა ყოველთვის უნდა დაბლოკოს მის საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებების დასაშვებობა და მტკიცებულებების ნაკლებობის გამო კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს აშკარად დამნაშავე პირის გასამართლების შესაძლებლობა. შესაბამისად, აშშ-ში „მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა“ არ არის აბსოლუტური ხასიათის და გააჩნია მთელი რიგი გამონაკლისები:

5. ა.ა.) **დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი („Independent source exception“)**. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მტკიცებულებების აღმოჩენა ეფუძნება არა მხოლოდ კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, არამედ სხვა დამოუკიდებელ წყაროსაც. ამიტომ, როდესაც მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას დამოუკიდებელი წყაროც იძლევა, დაშვებულია გამონაკლისი და „მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა“ ვერ ზღუდავს მტკიცებულების დასაშვებობას. ამის არგუმენტად მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ დამოუკიდებელი წყაროს საგამონაკლისო შემთხვევის დროს თავიდანვე არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასა და მის საფუძველზე კანონიერი გზით აღმოჩენილ მტკიცებულებებს შორის, ვინაიდან მათი მოპოვება სხვა დამოუკიდებელ წყაროზე დაყრდნობით ისედაც მოხერხდებოდა<sup>352</sup>. როდესაც საგამოძიებო ორგანოები ერთი და იგივე მტკიცებულების მოსაპოვებლად ახორციელებენ რამდენიმე საგამოძიებო მოქმედებას, ზოგიერთს კანონის დაცვით და ზოგს კი კანონდარღვევით და თუ ამ საგამოძიებო მოქმედებებს შორის არ არსებობს კავშირი და ისინი ერთიმეორეზე არ არიან დამოკიდებული, მაშინ კანონის სრული დაცვით მოპოვებული მტკიცებულება აშშ-ში განვითარებული სამოსამართლო სამართლის მიხედვით დასაშვებად არის ცნობილი. მაგალითად, თუ საგამოძიებო ორგანოს ერთი თანამშრომელი დაკავებულ ბრალდებულს უფლებების განმარტებების გარეშე დაჰკითხავს, იგი კანონს უხეშად არღვევს და „მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინის“ თანახმად, ასეთი დაკითხვის დროს ბრალდებულისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებები დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. მაგრამ, თუ ამისაგან დამოუკიდებლად, სხვა საგამოძიებლები იმავდროულად ბრალდებულის ბინაში კანონიერად ჩატარებული ჩხრეკის საფუძველზე ამოიღებენ იმავე მტკიცებულებებს, „დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისის“ შესაბამისად, ასეთი მტკიცებულება შეიძლება დასაშვებად იქნეს ცნობილი და გამოყენებული ბრალდებულის წინააღმდეგ. შესაბამისად, მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა მოხდეს იმის დადგენა, არის თუ არა კანონიერად

<sup>352</sup> იბ., Broun, K. S.: McCormick on Evidence, 1992, 313; Kamisar, Y./ La Fave, W./Israel, J. H./ King, N./ Kerr, O. S.: Basic Criminal Procedure, 2008, 888; Saltzburg, S. A./ Capra, D. J.: American Criminal Procedure: Cases and Commentary, 2007, 358.

- განხორციელებული საგამოძიებო მოქმედება მის მოპოვებასთან მიზეზობრივ კავშირში<sup>353</sup>. მხოლოდ მაშინ, როდესაც პოზიტიურად დასტურდება, რომ გამოძიების ორგანოების ძალისხმევის შედეგად ასევე სხვა ლეგალური წყაროც იძლეოდა მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს „დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი“<sup>354</sup>.
- 6. ა.ბ.) მტკიცებულების გარდაუვლად აღმოჩენის გამონაკლისი („Inevitable discovery exception“).** ე.წ. „მტკიცებულების გარდაუვლად აღმოჩენის გამონაკლისი“ (Inevitable discovery exception), რომელსაც ასევე მოიხსენიებენ, როგორც „ჰიპოთეტურად დამოუკიდებელი წყაროს წესი“ (hypothetical independent source rule). მისი მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში: როდესაც მტკიცებულება მოპოვებულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ასეთი მტკიცებულების დასაშვებობას ვერ შეზღუდავს „მონამ-ლული ხის ნაყოფის დოქტრინა“, თუკი იმავე მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელი იყო ასევე კანონიერი გზებითაც. მტკიცებულების დასაშვებობისთვის აუცილებელი მოთხოვნაა, რომ კანონიერი გზით მისი აღმოჩენა დროის მოკლე მონაკვეთში დიდი ალბათობით უნდა ყოფილიყო შესაძლებელი და გარდაუვალი. იმდენად მაღალი უნდა იყოს მტკიცებულების მოპოვების ალბათობა, რომ არსებულ სიტუაციაში მისი აღმოუჩენლობა ფაქტობრივად გამორიცხული უნდა იყოს. ამრიგად, ჰიპოთეტურად მტკიცებულება კანონიერი გზით მოკლე დროში ისედაც აღმოჩენილი იქნებოდა. ის, რომ მაღალი ალბათობით მტკიცებულება კანონიერი გზით იქნებოდა აღმოჩენილი, ბრალდების მხარემ მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა დაამტკიცოს<sup>355</sup>.
- 7. ა.გ.) განწმენდილი (გამოსწორებული) ნაკლის გამონაკლისი („purged taint exception“).** აღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევა ცნობილია ასევე კანონდარღვევასა და მტკიცებულებას შორის („attenuated connection“) სახელითაც. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მტკიცებულების მოპოვებასა და კანონდარღვევით განხორციელებულ საგამოძიებო მოქმედებას შორის, მართალია, მიზეზობრიობა დგინდება, მაგრამ, მტკიცებულების დაშვება მაინც ხდება, რადგან კანონდარღვევასა და მტკიცებულების მოპოვებას შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი სხვა დამატებითი ფაქტორის გამო იმდენად შესუსტდა, რომ მანამდე არსებული ხარვეზების და ნაკლოვანებების გამოსწორება (განწმენდა) მოხდა, ე.ი. პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი კანონდარღვევასა და მოპოვებულ მტკიცებულებას შორის აღარ დგინდება. მნიშვნელოვანია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდეს შეფასება, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო დამატებითი ფაქტორი და რამდენად არსებითად მოხდა ხარვეზების (ნაკლოვანებების) განწმენდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ვონგ სან-ის (Wong Sun) საქმეზე აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. უკანონო ჩხრეკისას დაკავებულმა ბრალდებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული და დაასახელა ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენი სხვა პირი ვ-ც, რომელიც ასევე მალევე დააკავეს, თუმცა რამდენიმე საათში ისევ გაათავისუფლეს. ვ რამდენიმე დღეში საკუთარი ნებით გამოცხადდა სამართალდამცავ ორგანოში და ნებაყოფლობით მისცა აღიარებითი ჩვენება. მისი შემდგომი დაკითხვა კანონის სრული დაცვით განხორციელდა, მას განემართა უფლებები (ე.წ. მირანდას წესები). მიუხედავად იმისა, რომ უკანონო ჩხრეკის დროს დაკავებული პირის აღიარებითი ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად იქნა ცნობილი, ასეთი ჩვენების საფუძველზე აღმოჩენილი დანაშაულის ჩამდენი სხვა პირის ნებაყოფლობითი ჩვენება სასამართლომ დასაშვებ მტკიცებულებად აღიარა. სასამართლომ არგუმენტაცი-

<sup>353</sup> იხ., აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Segura v. United States, 468 U.S. 796, გვ. 813-816 (1984).

<sup>354</sup> იხ. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: U.S. v. Bacall, 443 F. 2d, გვ. 1050 (9th Circuit 1971); U.S. v. Murray, 487 U.S., გვ. 533 (1988); იხ., ასევე ვაშინგტონის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: State v. O'Bremski, 70 Wash. 2d 425, 423, 2, გვ. 530, (1967).

<sup>355</sup> იხ., აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Nix v. Williams, 467 U.S., გვ. 431, 441-444 (1984); Soto v. New York, 476 U.S., გვ. 898 (1986).

ისას მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ნებაყოფლობით გამოცხადებული პირისთვის უფლებების განმარტების შედეგად უკანონო ჩხრეკასა და აღიარებით ჩვენებას შორის განყდა მიზეზობრიობის ჯაჭვი. ასევე სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ჩვენება ნებაყოფლობით იყო მიცემული და არ იყო დამოკიდებული პოლიციის მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე. სასამართლოს მტკიცებით, ჩვენების მისაცემად სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადებულ პირს საკმარისი დრო ჰქონდა, რომ გაეცნობიერებინა აღიარებითი ჩვენების შესაძლო შედეგები და ისე მიეღო გადაწყვეტილება<sup>356</sup>.

**8. ა.დ.) კეთილსინდისიერების გამონაკლისი („good faith exception“).** „კეთილსინდისიერების გამონაკლისის“ შემთხვევისას დასაშვებია კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, მიუხედავად იმისა, მოქმედებდნენ მტკიცებულების მოპოვებისას საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლები განზრახ უკანონოდ თუ არა. აღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევას საფუძველი ჩაეყარა 1984 მიღებულ ე.წ. „ლეონის“ გადაწყვეტილებაში. გადაწყვეტილების თანახმად, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება შესაძლოა დასაშვებ მტკიცებულებად იქნეს ცნობილი, ვინაიდან პოლიცია კეთილსინდისიერად მოქმედებდა და ეჭვი არ ეპარებოდა სასამართლოს მიერ გაცემული ჩხრეკის ნებართვის კანონიერებაში. მაშასადამე, მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულია სასამართლოს მიერ უსაფუძვლოდ გაცემული ჩხრეკის ნებართვის გამოყენებით, დასაშვებია, თუ პოლიცია თავად კეთილსინდისიერად და ადეკვატურად მოქმედებდა. პოლიცია თავისი გადმოსახედიდან მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წესებს იცავს. მათ არ უნდა მოვედავოთ სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვის კანონიერებაზე, ვინაიდან, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების ეჭვქვეშ დაყენება პოლიციის ამოცანას და ფუნქციას არ წამოადგენს. „კეთილსინდისიერების გამონაკლისის“ საფუძველზე კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებად ცნობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ შეცდომა დაშვებული უნდა ჰქონდეს არა საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლებს, არამედ მოსამართლეს ან სასამართლოს თანამშრომელს საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაზე ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით. აღნიშნული გამონაკლისი არ მოქმედებს, თუ პოლიცია საგამოძიებო მოქმედების განსახორციელებლად ნებართვის მოპოვების მიზნით სასამართლოსთვის არასწორი მონაცემების მიწოდებით მას შეცდომაში შეიყვანს. იგი ასევე არ მოქმედებს მაშინაც, როდესაც საგამოძიებო მოქმედების განხორციელების სასამართლო ნებართვის ხარვეზიანობა პოლიციისთვის ამკარად თვალშისაცემი იყო<sup>357</sup>.

**9. ა.ე.) „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინის“ საგამონაკლისო შემთხვევები და სსკ-ის 72-ე მუხლის პირველ ნაწილი.** როგორც უკვე აღინიშნა, „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინას“ საფუძველი ჩაეყარა და განვითარდა აშშ-ს სამოსამართლო სამართალში. აღნიშნული დოქტრინა აშშ-ში მოქმედებს როგორც სამოსამართლო სამართლის ნაყოფი და მას საკანონმდებლო რეგლამენტაცია არ გააჩნია. შესაბამისად, ამერიკელ მოსამართლეს ფართო შესაძლებლობა და დამოუკიდებლობა აქვს მტკიცებულებათა ბედის გადაწყვეტისას და არ იზღუდება ზემოხსენებული დოქტრინით. მას შეუძლია ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისას იმსჯელოს „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინის“ გამოყენების თაობაზე და თუ იგი ჩათვლის, რომ მისი გამოყენების შედეგად გაუმართლებლად მოხდება ცალკეული მტკიცებულებების საქმიდან ამორიცხვა, მაშინ მიიღებს განსხვავებულ გადაწყვეტილებას. სწორედ ასე განვითარდა აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაში „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინის“ საგამონაკლისო შემთხვევები. განსხვავებით აშშ-სგან, საქართ-

<sup>356</sup> იხ., აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: *Wong Sun v. U.S.*, 371 U.S., გვ. 471 (1963); *Nardone v. U.S.*, 308 U.S., გვ. 341, (1939); იხ. ასევე *Ceccolini v. U.S.*, 435 U.S., გვ. 268 (1978); *Crews v. U.S.*, 445 U.S., გვ. 463 (1980).

<sup>357</sup> იხ., აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: *U.S. v. Leon*, 468 U.S., გვ. 897, 918-921 (1984); *U.S. v. Martin*, 297 F.3d, გვ. 1308, 1313 (2002); *Kyllo v. U.S.*, 533 U.S., გვ. 27 (2001).



ველოში ზემოხსენებული დოქტრინა განისაზღვრა სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველ ნაწილში ყოველგვარი საგამონაკლისო შემთხვევების გარეშე. ამიტომ, საქართველოში მოსამართლე მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას იზღუდება სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველ ნაწილში განმტკიცებული იმპერატიული ნორმით. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინიდან“ დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, როდესაც მტკიცებულებების მოპოვება ეფუძნება კანონის არსებითი დარღვევით მიღებულ ინფორმაციასა და მონაცემებს. თუმცა იმ შემთხვევაში, როცა კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასა და შემდგომში კანონიერად აღმოჩენილ მტკიცებულებას შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი გარკვეულ მოვლენათა განვითარების შედეგად შეწყვეტილია ან იმდენად შესუსტდა, რომ ეჭვქვეშ დგას, თუ რამდენად არის „მონამლული“ მტკიცებულება კანონდარღვევით მიღებული მტკიცებულებების „ნაყოფი“ და ასევე ხომ არ ჩამოშორდა მას „შხამი“, შესაძლებელია კანონიერად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებად ცნობა. შესაბამისად, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ გარკვეულ შემთხვევებში დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი ან განწმენდილი (გამოსწორებული) ნაკლის გამონაკლისის გამოყენება სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველ ნაწილთან შეუსაბამო არ იქნება. რაც შეეხება დანარჩენ საგამონაკლისო შემთხვევებს, როდესაც კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასა და ამის საფუძველზე შემდგომში კანონიერად აღმოჩენილ მტკიცებულებებს შორის მიზეზობრიობა სახეზეა, მათი გამოყენება წინააღმდეგობაში მოვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან.

10. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხოლოდ ის მტკიცებულებებია დაუშვებელი, რომლებიც არსებით დარღვევას ეფუძნებიან. შესაბამისად, ნებისმიერი კანონდარღვევა არ გამოიწვევს მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას. ამისათვის ადგილი უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის არსებით დარღვევას, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლის მიერ უნდა შეფასდეს და დადგინდეს. მოსამართლემ საკითხის გადაწყვეტის დროს სხვა გარემოებებთან ერთად (ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მოპოვებული მტკიცებულების მნიშვნელობა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის მაღალი ალბათობა, მტკიცებულების მოპოვების ხერხი და განხორციელებული საგამოძიებო ღონისძიების მიზანშეწონილობა და ა.შ.) უნდა გაითვალისწინოს დარღვეული ნორმის ხასიათი, რაც გულისხმობს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს იცავს დარღვეული ნორმა, ემსახურება თუ არა იგი პროცესის მონაწილის კონსტიტუციით მინიჭებული ფუნდამენტური უფლებების ან მნიშვნელოვანი პროცესუალური უფლების დაცვას<sup>358</sup>.

11. ა) **კანონის დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებათა დაუშვებლობა.** დაუშვებელია არა მხოლოდ კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები, ცალკეულ გარემოებათა არსებობისას არ დაიშვება აგრეთვე კანონის სრული დაცვით მოპოვებული მტკიცებულებაც. ერთ-ერთ ასეთ გარემოებას წარმოადგენს სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული შემთხვევა, რომლის თანახმად, მტკიცებულება დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ. მსგავსი სახის საეჭვო მტკიცებულებებს შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ მოსამართლე (ნაფიცი მსაჯული) და ხელი შეუშალონ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. კანონის სრული დაცვით მოპოვებული ინფორმაციის სასამართლოში არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებად გამოყენების დაუშვებლობის სხვა მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემთხვევა,

<sup>358</sup> საგამონაკლისო შემთხვევების შესახებ უფრო ვრცლად იხ., თუმანიშვილი, გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, 303-315.

როდესაც ბრალდებულმა საქმის არსებით განხილვამდე მოწმის სტატუსით დაკითხვისას ისაუბრა სისხლის სამართლის საქმის ცაკლეული გარემოებების შესახებ, ხოლო საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოიყენა დუმილის უფლება და უარი განაცხადა მანამდე მიცემული ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებაზე. სსსკ-ის 247-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებული წინააღმდეგია, საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ მოწმის სტატუსით მიცემული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა და ამ ინფორმაციის აუდიო- ან ვიდეორჩანანერის მოსმენა (დემონსტრირება), ასევე მისი მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია.

**12. მტკიცების ტვირთი მტკიცებულებათა დაუშვებლობის თაობაზე.** წარდგენილი ბრალდების მტკიცების ტვირთთან ერთად კანონმდებელი ბრალდების მხარეს აკისრებს აგრეთვე მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთს. თუ ბრალდების მხარე დაცვის მხარის მტკიცებულებების შესწავლისას გამოავლენს ისეთ გარემოებას, რომელიც იძლევა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველს, მან ასეთი გარემოების არსებობა და მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის აუცილებლობა უნდა ამტკიცოს სასამართლოში. ამავდროულად, დაცვის მხარე არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი მტკიცებულებების დასაშვებობა. შესაბამისად, დაცვის მხარის მტკიცებულება იქნება დასაშვებად ცნობილი, თუ ბრალდების მხარე სადავოდ არ გახდის დაცვის მხარის მტკიცებულებების დასაშვებობას და ამასთან, არ იკვეთება ისეთი გარემოება, რომელიც აშკარად მიუთითებს მტკიცებულების დაუშვებლობაზე. ასეთი გარემოება შესაძლოა არსებობდეს, როდესაც დაცვის მხარის მტკიცებულება აშკარად არააუთენტურია, საქმესთან არ არის შემხებლობაში და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარე გათავისუფლებულია მტკიცების ტვირთისაგან, იგი ბრალდების მხარესთან ერთად ვალდებულია სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულების წარმომავლობის შესახებ. ასევე დაცვის მხარეს აქვს უფლება სადავოდ გახადოს ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობა, თუმცა ბრალდების მხარემ უნდა ამტკიცოს იმ გარემოებათა არარსებობა, რომლებიც ზღუდავენ მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობას.

**13. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა.** მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო. გადანწყვეტილების მიღებამდე მოსამართლემ სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით უნდა შეამოწმოს და შეაფასოს მტკიცებულება. მხედველობაში უნდა მიიღოს, როგორც მისი მოპოვების ხერხი, ისე მისი აუთენტურობა. თავდაპირველად უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად არსებითად დაირღვა მტკიცებულების მოპოვებისას კანონი და პროცესის მონაწილის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ან კონსტიტუციით გარანტირებული რომელიმე უფლება. მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დარღვევით არ შელახულა პროცესის მონაწილეთა უფლებები, მაშინ კანონდარღვევას ყოველთვის შედეგად არ უნდა მოჰყვეს მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა. როდესაც მტკიცებულების მოპოვების დროს კანონდარღვევა უმნიშვნელოა და არსებითად არ ლახავს ბრალდებულის ან პროცესის რომელიმე მონაწილის ფუნდამენტურ უფლებებს, მაშინ სამართლებრივ სახელმწიფოში მიუღებელია, რომ ამ მიზეზით მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის გამო ხელი შეეშალოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და ამით შეფერხდეს დამნაშავესთვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. შესაბამისად, მტკიცებულების დასაშვებლად ცნობის საკითხის გადანწყვეტისას აუცილებლად უნდა მოხდეს პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვის ინტერესისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის საჯარო ინტერესის შეფასება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული მუხლები მიუთითებენ კონკრეტულ შემთხვევებზე, როდესაც მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. ნებისმიერ შემთხვევაში მოსამართლემ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ თავისი გადანწყვეტილება უნდა

დაასაბუთოს. დაუშვებლად ცნობილ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ გააჩნია და იგი ვერ დაედება საფუძვლად სასამართლოს გადაწყვეტილებას. თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მაინც არ გამორიცხავს ცალკეულ შემთხვევებში დაუშვებელი მტკიცებულების გამოყენების შესაძლებლობას. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევათაგანია სასჯელის დანიშვნის სხდომაზე დაუშვებელი მტკიცებულების გამოყენება. სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილი მხარეებს ნებას რთავს, რომ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე დაშვებულ იქნეს საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება. აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სხდომის თავმჯდომარე. ასევე სსსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი მხარეებს უფლებას აძლევს შეთანხმდნენ რაიმე გარემოების ან ფაქტის შესახებ და მიანიჭონ მას პრეიუდიციული მნიშვნელობა. მათ შორის შესაძლებელია კანონდარღვევით მოპოვებულ ინფორმაციაზეც შეთანხმება და ამგვარად, დაუშვებელი მტკიცებულების სასამართლოში წარდგენა. არ არის გამორიცხული, რომ ასეთი მტკიცებულების სასამართლოში დაშვება დაცვის მხარის სტრატეგიაშიც კი შედიოდეს. ამიტომ, კანონმდებელი ინფორმაციის კანონდარღვევით მოპოვების მიუხედავად, არ ზღუდავს მის სასამართლოში დაშვებას, თუ აღნიშნული ორივე მხარის ინტერესებში შედის.

### მუხლი 73. პრეიუდიცია (14.06.2013 №741)

#### 1. გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება:

ა) საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი;

ბ) განაჩენი სასამართლობაზე;

გ) სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუ პროცესის არც ერთი მონაწილე მათ საეჭვოდ არ ხდის;

დ) ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან.

2. მხარის ინიციატივით, სასამართლომ შეიძლება უარყოს პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი, თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს.

- 1. ნორმის მიზანი:** სასამართლო გადაწყვეტილების სტაბილურობა და საყოველთაო სავალდებულობის უზრუნველყოფა, მართლმსაჯულების აქტებს შორის წინააღმდეგობის პრევენცია, საპროცესო და ადამიანური რესურსების ეკონომია.
- პრეიუდიციას წარმოადგენს ფაქტი/გარემოება, რომელიც არ მოითხოვს დამატებით დამტკიცებას და არ ექვემდებარება გონივრულ დავას.
- 3. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები** – მეცნიერების მიერ დადგენილი კანონზომიერებანი, ფაქტები, რომლებიც საყოველთაოდ არის ცნობილი სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის ფარგლებში ან რომელთა ზუსტი და დაუყოვნებელი დადგენა მარტივად შესაძლებელია, ისე, რომ შეუძლებელია მის წინააღმდეგ გონივრული დავის წარმოება (მაგალითად, პარლამენტის პლენარული სხდომები ტარდება ქუთაისში, სვეტიცხოველი მდებარეობს მცხეთაში, შობის დღესასწაულის თარიღი და ა.შ.). საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს მიეკუთვნება ცხოვრებისეული გამოცდილება ცალკეული ფაქტების შესახებ რაც ყველასათვის ცნობილია და დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს, მაგალითად, ახალი წლის დადგომის თარიღი, წელიწადის თვეების თანმიმდევრობა, დღე-ღამის ხანგრძლივობა, წყლის დუღილის/ გაყინვის ტემპერატურა; რომ სატრანსპორტო საშუალება მომეტებული საფრთხის წყაროა და შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება და სიკვდილი და სხვა. ფაქტები, რომლებიც ეხება ისტორიულ მოვლენებს/თარიღებს (მაგალითად, 2008 წლის 8 აგვისტოს ომი), ბუნებისა და მეცნიერების მოვლენებს, სიმბოლოებს, შემოკლებებს და ა.შ. ასეთად ეს ფაქტები მიიჩნევა იმ შემთხვევაშიც, თუ პროცესის რომელიმე კონკრეტული მონაწილისათვის მათ შესახებ ცნობილი არ არის. მაგალით-

- ად, თუ ბრალდებულმა/მონმემ არ იცის რას ნიშნავს „ა.შ.“, ამკრძალავი საგზაო ნიშანი (წითელ წრეში თეთრი ჰორიზონტალური ხაზი) და ა.შ.
4. საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებში იგულისხმება ყველასთვის ცნობილი ფაქტები, რომლებიც დამატებით დეტალურ გამოკვლევას არ საჭიროებს და კეთილგონიერების შემთხვევაში შეუძლებელია მისი სადავოდ გახდომა, ვინაიდან არ საჭიროებს ინტერპრეტაციას, ან დებატებს მისი სარწმუნოების თაობაზე (აღნიშნული არ გამორიცხავს საერთოდ დავის შესაძლებლობას. გამოირიცხება მხოლოდ გონივრული დავის შესაძლებლობა. მაგალითად, სსკ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების ქურდობის შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალებაში იგულისხმება ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალება როგორც მექანიკური, ასევე ავტომატური მართვის კოლოფით, როგორც 4, ასევე 2-კარიანი და ეს დამატებით დაზუსტებას არ საჭიროებს.
  5. საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს მიეკუთვნება ასევე განსაზღვრებადი ფაქტი, რომლის განმარტების მოძიება ადვილია შესაბამის წყაროზე აპელირებით. მაგალითად, მანძილი თბილისსა და ქუთაისს შორის ადვილად დასადგენია საგზაო რუკის მეშვეობით.
  6. ფაქტი საყოველთაოდ ცნობილად არ მიიჩნევა, თუ არათანაზომიერად რთულია მის შესახებ ინფორმაციის მოძიება – ინფორმაცია არ არის ადვილად ხელმისაწვდომი ჩვეულებრივი მოქალაქისათვის და მისი მოძიება შეუძლიათ მხოლოდ ექსპერტებს. მაგალითად, მენდელეევის პერიოდულობის ცხრილს არავინ ხდის სადავოდ და ადვილად ხელმისაწვდომია, მაგრამ მისი მნიშვნელობა საშუალო სტატისტიკური მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის გაუგებარია.
  7. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები იყოფა ორ ქვესახედ: უნივერსალური და ლოკალური მნიშვნელობის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები. განსხვავება მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელების არეალშია.
  8. უნივერსალურ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს მიეკუთვნება ფაქტები, რომლებიც ცნობილია ყველასათვის ან ინფორმირებული პირთა ჯგუფისთვის, მაგალითად, ადვოკატებმა/მოსამართლეებმა/პროკურორებმა იციან, რომ უზენაესი სასამართლო არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობამ შეიძლება არ იცოდეს; ლოკალური მნიშვნელობის საყოველთაოდ ცნობილ გარემოებებს მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც კარგად არის ცნობილი სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას მიკუთვნებულ დასახლებულ პუნქტში/ რეგიონში მცხოვრები პირებისათვის და ატარებს ლოკალურად საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის ხასიათს, მაგრამ უცნობია სხვა დასახლებული პუნქტის მაცხოვრებლებისათვის. მაგალითად, შესაბამისი რეგიონისათვის მნიშვნელოვანი საყოველთაოდ დღესასწაულის თარიღი.
  9. მხარეს შეუძლია საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი სადავოდ გახადოს ორ გარემოებაზე აპელირებით: 1. სასამართლოს მიერ გაკეთებული ამ ფაქტობრივი გარემოების განმარტება/შეფასება არ არის ზუსტი; 2. ეს გარემოება არ არის საყოველთაოდ ცნობილი.
  10. პრეიუდიციულ ფაქტს წარმოადგენს ასევე სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათ შორის დანაშაულის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით, მაგრამ არა ბრალდებულის ბრალეულობასთან მიმართებით
  11. განაჩენთან მიმართებით მუხლი პრაქტიკულად ითვალისწინებს არა პრეიუდიციას არამედ დაძლევადად პრეზუმფციას სხვა საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ქვეყნარტების შესახებ. თუ წინა განაჩენით დადგენილი გარემოებები ეწინააღმდეგება ახალ საქმეზე შეკრებილ და გამოკვლეულ მტკიცებულებებს, მაშინ არ ხდება მათი გათვალისწინება და არ მიიჩნევა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად.
  12. სსსკ წინა განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებისთვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭებას უკავშირებს განაჩენით დადგენილი გარემოებების სარწმუნოების აღიარებას არა მხოლოდ მხარეების, არამედ პროცესის ყველა მონაწილის მიერ (მაგალითად, სასამართლო, დაზარალებული, მონმე და ა.შ.).

13. პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება როგორც ჩვეულებრივი სამართალწარმოების, ასევე ე.წ. გამარტივებული სამართალწარმოების შედეგად გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ ითვალისწინებს სასამართლოს მხრიდან საქმეზე შეკრებული მტკიცებულებების შემონიშნებას განსხვავებული მოცულობით და სიღრმით, საერთო წესით სასამართლო განხილვის და საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შემთხვევაში, ორივე გზით გამოტანილ განაჩენს თანაბარი პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება.
14. ნორმა არ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც არსებობს ერთდროულად ერთსა და იმავე ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით სასამართლოს ორი ურთიერთგამომრიცხავი განაჩენი (მაგ., თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის საქმე თითოეული თანამონაწილის მიმართ ცალკე-ცალკე, სხვადასხვა დროს იქნა განხილული და გამოტანილი იქნა ცალკე-ცალკე განაჩენი სხვადასხვა სასამართლოების მიერ საქმეთა ერთ წარმოებაში გაერთიანების გარეშე) – რომელი მათგანით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს უნდა მიენიჭოს პრეიუდიციული მნიშვნელობა. მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება მხარეების არჩევანზე დამოკიდებული, ვინაიდან სსსკ თანახმად, პრეიუდიციულად მიიჩნევა მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც პროცესის არც ერთი მონაწილის მიერ არ არის საექვოდ მიჩნეული. შესაბამისად, მნიშვნელობა ენიჭება არა ინსტანციურობის ან განაჩენის დადგენის რიგითობას, არამედ პროცესის მონაწილეთა დამოკიდებულებას განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისადმი.
15. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ 73-ე მუხლი არ მიუთითებს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლაზე და თეორიულად, იგულისხმება ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, ერთსა და იმავე საქმეზე რამდენიმე ინსტანციის განაჩენის არსებობის შემთხვევაში პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ ბოლო განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომელიც შეცვლილ ან გაუქმებულ იქნა ზემდგომ ინსტანციაში, პრეიუდიციული მნიშვნელობის მატარებელი არ არის.
16. განაჩენის პრეიუდიციულ მნიშვნელობას 73-ე მუხლი ორ ნაწილად ყოფს: 1. განაჩენი პირის სასამართლობაზე, რომლის არსებობის ფაქტს პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა ნება-სურვილის მიუხედავად; 2. სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები – მათ პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არც ერთი მხარე აღნიშნულის წინააღმდეგი არ არის და მას საექვოდ არ ხდის. მხარე შესაძლებელია ასაჩივრებდეს განაჩენის კანონიერებას და შეფარდებული სასჯელის სამართლიანობას, მაგრამ ეთანხმებოდეს განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. იმავდროულად სსსკ ცალსახად მიუთითებს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, რაც გულისხმობს როგორც 1. თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში თანამონაწილეთა მიმართ საქმის ცალკე წარმოებაში გამოყოფას, 2. იმავე ბრალდებულის მიმართ სხვა დანაშაულის ფაქტზე სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს; 3. სხვა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს განაჩენს, რომელშიც ახალი ბრალდებული მონაწილე/ დაზარალებულის ან რომელიმე სხვა სტატუსით მონაწილეობდა ან საერთოდ არ იღებდა მონაწილეობას საქმისწარმოებაში.
17. შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების შესახებ. ამიტომ მხარე თვითონ განსაზღვრავს წაყენებული ბრალდების იმ ასპექტებს, რომელთა გარშემოც აპირებს საკუთარი პოზიციის ფორმირებას. მაგალითად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ბრალდებული ნამდვილად იმყოფებოდა ბანკში. მაგრამ იღავებენ ბანკში ყოფნის მიზეზის ნაწილში. მაგალითად, ბრალდების მხარე თვლის, რომ ბრალდებულის იქ ყოფნა განპირობებულია თავდასხმაში მონაწილეობით. ხოლო დაცვის მხარე ამტკიცებს,

- რომ ბრალდებულის ბანკში ყოფნის მიზეზი თავისი საკრედიტო ისტორიის გადამონმეებაა. განსახილველი მუხლი ითვალისწინებს მხარეთა უფლებას პრეიუდიციული მნიშვნელობა მიანიჭონ ნებისმიერ ფაქტს და გარემოებას, რომელზეც შეთანხმდებიან, მათ შორის უკანონოდ მოპოვებულ/გამოვლენილ გარემოებას. მაგრამ, სსკ ითვალისწინებს მხარეების მიერ მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებისათვის და არა მტკიცებულებისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მიჭებას. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ 72-ე მუხლის თანახმად სამართალწარმოებაში დაიშვება ასიმეტრიული გადახრა დაცვის მხარის სასარგებლოდ, დაუშვებელ მტკიცებულებას პრეიუდიციული მნიშვნელობა ვერ მიენიჭება. თუმცა ამ შემთხვევაში მხარეებს უფრო ფართო დისკრეცია გააჩნიათ და შეუძლიათ მტკიცებულებითი მნიშვნელობა მიანიჭონ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო კანონმდებობის დარღვევით მოპოვებულ ფაქტობრივ გარემოებას.
- 18.** პრეიუდიცია წარმოადგენს საქმისმწარმოებელი ყველა პირის/ორგანოს ვალდებულებას მტკიცებულებათა ყოველგვარი შემონმებისა და შეფასების გარეშე დადასტურებულად მიიჩნიოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილად ცნობილი გარემოებები, თუ პროცესის არც ერთი მონაწილე მათ საეჭვოდ არ მიიჩნევს. მაგრამ წინარე განაჩენს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ბრალდებულის ბრალეულობის საკითხი თუ ის აღნიშნულ სამართალწარმოებაში იმავე ფაქტთან დაკავშირებით არ მონაწილეობდა ბრალდებულის სახით და არ ჰქონდა დაცვის განხორციელების შესაძლებლობა. ასევე პრეიუდიციული ძალის მატარებელი არ იქნება გარემოებები, რომელთა სარწმუნოობა სასამართლოს ეჭვს იწვევს.
- 19.** აღნიშნულს შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს: 1. იმავე ბრალდებულების მიერ სხვა დანაშაულებრივ ფაქტთან მიმართებით, განაჩენის დადგენისას; 2. ასევე სხვა პირების მიმართ გამოტანილ სასამართლოს განაჩენს, რომელშიც ბრალდებული მონაწილეობდა მოწმის, დაზარალებულის, თარჯიმნის, ექსპერტის და ა.შ. სახით.
- 20.** პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია მიიჩნიოს დადგენილად და ყოველგვარი შესწავლის/გადამონმების/ მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე სხვა საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი გარემოებები, იმისდა მიუხედავად, აღნიშნული განაჩენი გამოტანილია იმავე ბრალდებულის თუ ასევე სხვა პირების მიმართ. თუ პირველი ბრალდების ფაქტზე გამოტანილ სასამართლოს განაჩენში გაკეთებული იყო დასკვნები რომლებიც პრაქტიკულად წინასწარ განსაზღვრავდა მის განხილვაში არ მონაწილე პირების ბრალეულობას (მაგალითად, ჩვენებებში მოცემული იყო ინფორმაცია ბრალდებულის მიერ დადგენელ პირებთან ერთად თანამონაწილეობით დანაშაულის ჩადენის შესახებ), ან ეხებოდა იმ პირებს, რომლებიც, მართალია, მონაწილეობდნენ პროცესში, მაგრამ არა მხარის სტატუსით (მაგალითად, მოწმის სახით), მაშინ უკვე ამ პირების მიმართ ახალი საქმის განმხილველ სასამართლოს არ შეუძლია დადგენილად მიიჩნიოს და პრეიუდიციული მნიშვნელობა მიანიჭოს ადრე გამოტანილ განაჩენს, ვინაიდან ამ უკანასკნელ პირებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა როგორც ბრალდებულებს ესარგებლათ დაცვის უფლებით. ამიტომ სასამართლო ვალდებულია თავიდან განიხილოს და გამოიკვლიოს/ შეაფასოს ბრალდების მხარის მიერ წარმოადგენილი აღნიშნული პირების მამხილებელი მტკიცებულებები უკვე ახალი სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში.
- 21.** სსკ 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ათავისუფლებს პროცესის მწარმოებელ ორგანოს/პირს და მხარეებს იმ ობიექტური გარემოებების მტკიცების ვალდებულებიდან, რომლებიც უკვე გამოკვლეული იყო სისხლის სამართლის საქმისმწარმოების ფარგლებში სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. მაგრამ სამართალწარმოების მთავარი საკითხი – მოცემულ საქმეზე ბრალდებულის ბრალეულობა-წყდება საერთო საფუძვლით. მაგალითად, გამომძიებელს, შემდეგ სასამართლოს შეუძლია გამოკვლევის გარეშე მიიღოს ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომელიც შეადგენს ნებისმიერი (მათ შორის

- რის ყველაზე ჩახლართული სქემით განხორციელებული) ფინანსური ოპერაციის შინაარსს, რომელთა სასამართლო განხილვის გზით გამოკვლევა უკვე განხორციელდა სხვა საქმის ფარგლებში. მაგრამ კონკრეტული ბრალდებულის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არსებობის საკითხის განხილვა სასამართლომ უნდა განახორციელოს ყოველგვარი წინარე სასამართლოს განაჩენის არსებობისგან დამოუკიდებლად.
- 22.** პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას. ამიტომ იმავე პირების მიმართ იმავე სამართალდარღვევასთან მიმართებით სხვა სახის სამართალწარმოების (ადმინისტრაციული, სამოქალაქო) ფარგლებში გამოტანილი სასამართლოს გადაწვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სისხლის სამართალწარმოების მიზნებისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობა არ ენიჭება. „ერთი და იმავე დავის არსებობის შემთხვევაშიც კი, მოქმედი სისხლის და სამოქალაქო-საპროცესო ნორმების შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მიღებული გადაწყვეტილება ვერ იქნება მიჩნეული პრეიუდიციად (გამოკვლევის გარეშე მტკიცებულების ძალის მქონე დოკუმენტურ მტკიცებულებად) სისხლის სამართლის საქმეზე და, პირიქით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი არ ათავისუფლებს პირს მტკიცებულების წარდგენისგან სამოქალაქო დავის დროს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გამამტყუებელი განაჩენი შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ გამარტივებულ წარმოებას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 309<sup>16</sup>-309<sup>21</sup> მუხლები.“<sup>359</sup> ამიტომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთასა და იმავე ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით იგივე პირებს შორის მიმდინარეობს სისხლის და სამოქალაქო სამართალწარმოება, აპელირება იმაზე, რომ ვინაიდან „დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის მიმდინარეობს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დავა სწორედ გამოძიების მიერ ინკრიმინირებულ ქმედებასთან დაკავშირებით და დასაბუთებული ვარაუდის მინიმალური სტანდარტი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნეს რამე სახის ალკვეთის ღონისძიება, თუმცა არსებულ სს საქმეზე გამოძიების გაგრძელება სისხლის სამართლის პროცესით დადგენილი წესით წარმოადგენს ბრალდების მხარის უფლებამოსილებას“<sup>360</sup> – დაუსაბუთებელი და არასწორია.
- 23.** სსსკ ასხვავებს პრეიუდიციული ფაქტის უარყოფის და პრეიუდიციული ფაქტის გამოყენებაზე უარის თქმის ინსტიტუტს. კერძოდ, 73-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტის უარყოფის უფლება ენიჭება მხოლოდ სასამართლოს, მაგრამ მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. შესაბამისად, თუ პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტობრივი გარემოების კანონიერება სასამართლოს ეჭვს იწვევს, ეჭვის დასაბუთებულობის ხარისხის მიუხედავად, სასამართლოს არ შეუძლია საკუთარი ინიციატივით აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების უარყოფა. მაგრამ 73-ე მუხლის პირველი ნაწილის “ გ ” ქვეპუნქტის საფუძველზე, თუ სასამართლო საეჭვოდ მიიჩნევს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, აღნიშნული გარემოების გამოყენება გამოკვლევის გარეშე არ დაიშვება, მიუხედავად იმისა, რომ: 1. მისი იურიდიული ძალის უარყოფა ფორმალურად არ განხორციელდება მხარის შუამდგომლობის არარსებობის გამო, და 2. მხარეები შესაძლებელია მხარს უჭერდნენ განაჩენით დადგენილი აღნიშნული გარემოების გამოკვლევის გარეშე გამოყენებას.
- 24.** 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის და 220-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საქმეში არსებულ კონკრეტულ მტკიცებულებებზე, რომლებიც შემდგომში სადავო არ გახდება და სასამართლო განხილვისას შემოიფარგლონ მხოლოდ იმ მტკიცებულებებზე დავით, რომელიც მათ შორის სადავოა.

<sup>359</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 05/12/2014 წლის განჩინება საქმეზე №1გ/1234.

<sup>360</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 01/12/2014 წლის განჩინება ალკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.

## მუხლი 74. ბრალდებულის ჩვენება

1. ბრალდებულის ჩვენება არის მის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ.

2. ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა.

3. ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

4. ბრალდებულის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).

- ბრალდებულის ჩვენებას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: 1. ჩვენების შინაარსს წარმოადგენს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეხება განსახილველი საქმის კონკრეტულ, ფაქტობრივ გარემოებებს; 2. ამ ინფორმაციას შემხებლობა უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმესთან – მტკიცების საგანთან; 3. ეს ინფორმაცია მოპოვებული უნდა იყოს მხოლოდ ბრალდებულის სასამართლოში დაკითხვის გზით; 4. ამ ინფორმაციის მატარებელია ის პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს ბრალდებულის სტატუსი.
- ბრალდებულის ჩვენების საგანს, როგორც წესი, წარმოადგენს მისთვის ნაყენებული ბრალდება, რაც არ გამოორიცხავს ბრალდებულის უფლებას პროცესის მწარმოებელ სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია საქმისათვის მნიშვნელოვანი ნებისმიერი სხვა ფაქტობრივი გარემოების შესახებ. მაგალითად, დაზარალებულის ქცევის, მისი ხასიათის, დაზარალებულთან მისი ურთიერთობის და მისდამი დამოკიდებულების, თანამონაწილეების, დანაშაულის ჩადენის იარაღის ადგილმდებარეობის და ა.შ. შესახებ. ამისდა მიუხედავად, ბრალდებულის ჩვენების საგანი კონკრეტიზირდება წარდგენილი ბრალდებით და მისგან თავის დაცვის მიზნით.
- ნაყენებული ბრალდებისადმი ბრალდებულის დამოკიდებულების შესახებ მისი განცხადება არ წარმოადგენს ჩვენებას, ვინაიდან არ შეიცავს მტკიცებულებისათვის დამახასიათებელ ელემენტს – ინფორმაციას ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. ამიტომ თავისთავად ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების ან ნაყენებული ბრალდების უარყოფის ფაქტი არ წარმოადგენს მტკიცებულებას და წარმოადგენს მხოლოდ მის საპროცესო პოზიციას, მის პირად დამოკიდებულებას ნაყენებული ბრალდებისადმი. ბრალდებულის ჩვენების მტკიცებულებითი ხასიათი (ბრალის აღიარების, ბრალდების უარყოფის, სხვა პირთა მამხილებელი ჩვენება) დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრული, კონკრეტული, წინააღმდეგობრიობის არმქონეა მისი ჩვენება, რამდენად შეესაბამება სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებს. ბრალდებულის აღიარება მტკიცებულებითი მნიშვნელობის მატარებელია მხოლოდ, თუ აღწერს წარდგენილი ბრალდების ფაქტობრივ გარემოებებს, შერაცხული ქმედების შემადგენლობის ცალკეულ ასპექტებს, ეხება მტკიცების საგანს მიკუთვნებულ გარემოებებს. სხვა პირთა მამხილებელი ჩვენება მტკიცებულებითი ხასიათის მატარებელია, თუ დაკითხვისას ბრალდებულის მიუთითებს იმ პირთა კონკრეტულ ქმედებებზე, რომელთაც ამხელს მისთვის შერაცხული დანაშაულის ჩადენაში.
- ჩვენება არის ბრალდებულის მიერ ინფორმაციის მიწოდება საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. ამასთან, ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემა მის სუბიექტურ ნებაზეა დამოკიდებული და არ წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელ და სავალდებულო მტკიცებულებას. პირისათვის შერაცხული ბრალის დამტკიცება უნდა განხორციელდეს მის მიერ ჩვენების მიცემის მიუხედავად. იმ შემთხვევაშიც კი თუ ბრალდებულის აღიარებას ნაყენებულ ბრალს და იძლევა მამხილებელ ჩვენებას საკუთარი თავის წინააღმდეგ, აღნიშნულ ჩვენებას უპირატესობა არ უნდა მიენიჭოს სხვა მტკიცებულებებთან შედარებით და კრიტიკულად უნდა შეფასდეს, ვინაიდან ბრალდებულის



- შეიძლება ცდილობდეს სხვისი ბრალის საკუთარ თავზე აღებას, ან აღიარებდეს ბრალს მისთვის შერაცხულ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულში მის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულის დაფარვის მიზნით, აღიარება გამოწვეული იყოს გამოძიების ორგანოების მხრიდან მის მიმართ განხორციელებული ზეწოლით და ა.შ. ამიტომ ბრალდებულის აღიარება, ისევე როგორც ბრალდებულის მიერ ჩვენების შეცვლა სასამართლოს მხრიდან დამატებით ყურადღებას და ფრთხილ შეფასებას მოითხოვს.
5. ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება შესაძლებელია დაიყოს პირობითად 2 ქვესახედ: ბრალის სრულად და ნაწილობრივი აღიარება. ნაწილობრივი აღიარების შემთხვევაში ბრალდებული უარყოფს ცალკეულ ეპიზოდებში მონაწილეობას, ქმედების განზრახ ხასიათს, არასწორად მიიჩნევს ქმედების კვალიფიკაციას და ა.შ. თუ ბრალდებული აღიარებს თავისი ქმედების ობიექტურ მხარეს, მაგრამ გამორიცხავს ბრალის არსებობას, ან რაიმე სხვა საფუძვლით ეწინააღმდეგება აღნიშნული ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის შესახებ ბრალდების პოზიციას, მისი ჩვენება არ შეიძლება მივიჩნიოთ აღიარებად. აქ ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად მნიშვნელოვანია ბრალდებულის მიერ წარმოდგენილი ის არგუმენტები, რითაც ცდილობს ახსნას მის მიერ დანაშაულის ჩადენა.
  6. ბრალდებულის ჩვენების შეფასებისას გასათვალისწინებელია ბრალდებულის ფსიქოემოციური და სუბიექტური დამოკიდებულება გამოსაძიებელი საქმისადმი, მისი მხრიდან გამოძიებისათვის ხელის შეშლის სურვილი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად. იმავდროულად მან ყველაზე უკეთ იცის დანაშაულის ჩადენის ნამდვილი ვითარება, იცნობს საქმის მასალებს, მონაწილეობს მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეგროვებაში, შესაძლებლობა აქვს განახორციელოს საკუთარი ჩვენების მოდიფიცირება სასურველი შედეგის მისაღწევად და სასამართლოს შეცდომაში შესაყვანად. მიუხედავად იმისა, რომ სსკ არ ითვალისწინებს პირდაპირ ბრალდებულის პასუხისმგებლობას შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემის და ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ხოლო სსსკ 74-ე მუხლის მე-3 ნაწილი კრძალავს ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტის ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად შეფასებას, აღნიშნული არ გამორიცხავს ბრალდებულის პასუხისმგებლობას მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის გამო. ბრალდებულს კანონი ანიჭებს შესაძლებლობას მისცეს ჩვენება და საკუთარი მოსაზრებები/ახსნა-განმარტება მიანოდოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს მისთვის შერაცხულ დანაშაულებრივ ქმედებასთან მისი შემხებლობის შესახებ ან აირჩიოს დუმილის უფლება. მაგრამ თუ ბრალდებული უარს ამბობს დუმილის უფლებით სარგებლობაზე, მას საერთო წესით ეკისრება სს პასუხისმგებლობა შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის, ისევე როგორც ეს გათვალისწინებულია ანგლოამერიკული კანონმდებლობით. თუმცა დაუშვებელია ბრალდებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტის მისი ბრალეულობის დამადასტურებელ გარემოებად გამოყენება და შერაცხულ ქმედებაში მისი ბრალეულობის დასაბუთებისას აღნიშნულ ჩვენებაზე აპელირება განაჩენში (არ არის გამორიცხული, რომ უდანაშაულო ადამიანი სხვისი ბრალის საკუთარ თავზე აღებას ცდილობდეს). ცრუ დასმენის შემთხვევაში ბრალდებულს საერთო საფუძვლით ეკისრება პასუხისმგებლობა.
  7. ბრალდებულის ჩვენების შემოწმება ხორციელდება მისი შინაარსის ანალიზის და სინთეზის, სხვა მტკიცებულებებთან მათი შეპირისპირებით, რაც საშუალებას იძლევა გაირკვეს ჩვენებაში მოცემული რომელი ფაქტობრივი გარემოებები დასტურდება საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებებით.
  8. მონმის ჩვენებისგან განსხვავებით, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც ბრალდებულს არ ექნებოდა ჩვენების მიცემის უფლება. იმავდროულად, მონმის ჩვენებისგან განსხვავებით, გამოძიების ორგანოებს ეკისრებათ ბრალდებულის ჩვენებაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმების ვალდებულება.
  9. ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა. ბრალდებულზე ჩვენების მიცემის ვალ-

- დებულების დაკისრება გამოიწვევდა დაცვაზე მისი უფლების შეზღუდვას, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის და მტკიცების ტვირთის ბრალდებულზე გადატანას.
10. ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ან/და შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა არ შეიძლება იქნეს მიჩნეული მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულს არ ეკისრება ჩვენების მიცემის ვალდებულება, ეს არ ათავისუფლებს მას გამოცხადების ვალდებულებისგან.
  11. მტკიცებულების შეფასების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, რომლის თანახმად არც ერთ მტკიცებულებას არ გააჩნია წინასწარ დადგენილი ძალა, ბრალდებულის აღიარება შეიძლება შემაჯამებელ გადაწყვეტილებას დაედოს საფუძვლად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის დასტურდება საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობით, რაც საკმარისია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაკმაყოფილებისთვის. საკმარისად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელთა პირველწყაროს წარმოადგენს არა მხოლოდ ბრალდებულის აღიარება, არამედ ბრალდებულის ჩვენებისგან დამოუკიდებელი სხვა მტკიცებულებითი ინფორმაციის წყაროები.
  12. სსსკ თანახმად, ბრალდებულის აღიარებით ჩვენებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები უნდა დასტურდებოდეს როგორც მინიმუმ სხვა 1 მტკიცებულებით, რომელიც, სასურველია, არ იყოს ირიბი მტკიცებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება განაჩენის გამოტანა, მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის (ასახულია შემთხვევის ადგილიდან დაზარალებულის გვამის მიმდებარედ ამოღებული ფეხის კვალი), ექსპერტიზის დასკვნის (ადასტურებს ფეხის კვალის ბრალდებულისადმი მიკუთვნებას) და ბრალდებულის აღიარებითი ჩვენების (რაც სინამდვილეში შესაძლებელია იყოს სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის საკუთარ თავზე აღება) საფუძველზე, რაც ვერ დააკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის მოთხოვნას, ვინაიდან არ იქნება დადგენილი მოტივი/მიზანი, ბრალის სახე, გარდაცვალების მიზეზი, დანაშაულის ჩადენის იარაღი, შემთხვევის ადგილზე ბრალდებულის მისვლის მიზეზი და დრო და ა.შ.
  13. როდესაც სახეზეა მხოლოდ ერთი სხვა მტკიცებულება, რომელიც თანხვედრაშია და ადასტურებს ბრალდებულის აღიარებით ჩვენებას, მნიშვნელოვანია მისი ის ასპექტები, რომლებიც უნიკალურად აკავშირებს ერთმანეთთან ამ ორ მტკიცებულებას.

## მუხლი 75. მონმის ჩვენება

1. მონმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ მონმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს ან თუ დადგინდება, რომ ფსიქიკური ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო მას არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.
2. თუ მონმის ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობაა, მხარეს უფლება აქვს, მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა ჩვენების (ჩვენებების) დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე.
3. მონმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამ მონმის გამოკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს ამ კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წესით (14.06.2013. №741).

1. მონმის ჩვენების შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:
  - ბრალდებულის პიროვნება: მესხიერების მდგომარეობა, ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ასაკი, ჯანმრთელობა, გარკვეული სახის გამოცდილება, ტემპერამენტი, ნაწილის გაზვიადების ან დაკნინებისაკენ მიდრეკილება და ა.შ.
  - ბუნებრივი გარემო პირობები, რომელშიც მოხდა მოვლენის აღქმა: დრო, ადგილმდებარეობა, ამინდი, განათება, მხედველობის არეალი, სმენადობა, ობიექტამდე მანძილი და ა.შ.
  - დროის ხანგრძლივობა ინფორმაციის მონმისათვის ხელმისაწვდომობის მომენტიდან ჩვენების მიცემამდე;

- ჩვენების მიცემის ვითარება;
  - თავად მონმის მდგომარეობა მოვლენის/ფაქტის აღქმის მომენტში (მიში, როგორც წესი, ხელს უწყობს გარემოებების გაზვიადებულად აღქმას); ვითარება, რომელშიც მონმებს უხდებოდათ ქმედებასა და ბრალდებულთან დაკავშირებული გარემოებების აღქმა – მშვიდ და ჩვეულ ვითარებაში თუ ექსტრემალურ პირობებში (ბუნებრივი კატაკ-ლიზმები, ავიაკატასტროფა, ბანკის დაყაჩაღების თვითმხილველი მონმე და ა.შ.).
2. მონმეთა ჩვენებების კატეგორიულად შეფასება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დეტალური სიზუსტით აღწერენ მოვლენებს, შეესაბამება სხვა მტკიცებულებით დადგენილ გარემოებებს და ისეთ სპეციფიკურ დეტალებზე ამახვილებენ ყურადღებას, რომლებიც მხოლოდ ამ საქმისთვისაა დამახასიათებელი, ინდივიდუალურია და მხოლოდ რეალურ მონმეს შეიძლება სცოდნოდა, მის ჩვენებაში არ შეიმჩნევა ყოყმანი და ვარაუდები.
  3. თუ მონმის ჩვენება ფაქტებთან მიმართებით სავარაუდოა, ასეთი ჩვენების მტკიცებულებად გამოყენება საფრთხილოა, ვინაიდან სავარაუდო მტკიცებულებები ვერ ქმნის დამაჯერებლობის მაღალ ხარისხს.
  4. მონმის ჩვენების დასაშვებობისათვის კანონმდებლობა ითვალისწინებს რამდენიმე სავალდებულო პირობას:
    - ჩვენება უნდა ეხებოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებებს;
    - ჩვენება უნდა იყოს დაფიქსირებული სსსკ დადგენილი წესით და უნდა აისახოს სასამართლო სხდომის ოქმში, ხოლო 1998 წლის სსსკ დებულებების დროებით მოქმედების პირობებში, ასევე მონმის დაკითხვის ოქმში;
    - მონმემ უნდა მიუთითოს ინფორმაციის წყარო;
    - გათვალისწინებული უნდა იქნეს ინფორმაციის აღქმა-დამახსოვრება-გადმოცემის მონმის სუბიექტური უნარები;
    - მხარემ უნდა გადასცეს მონმის გამოკითხვის ოქმი სსსკ 83-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.
  5. მონმის ჩვენების საგანი, როგორც წესი, უნდა იყოს მის მიერ უშუალოდ ან შუალედური რგოლის მეშვეობით აღქმული გარემოება (როგორც ნანახი/გაგონილი/წაკითხული, დაგემოვნებული, გამოკვლეული და ა.შ.), რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში ან ექნება მომავალში
  6. სსსკ მონმის ჩვენებას მის მიერ გადმოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს უკავშირებს. ამიტომ მონმის ჩვენება გულისხმობს ინფორმაციას გარკვეული ობიექტური გარემოებების შესახებ და არა საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე მონმის სუბიექტურ შეხედულებებს, შეფასებასა და დასკვნებს, ეჭვს, მოსაზრებას, ვარაუდს. თუმცა ცალკეულ შემთხვევაში ეს ინფორმაციაც მნიშვნელოვანია, თუ ემყარება ობიექტურ საფუძველს. მაგალითად, მონმის სახით მოწვეული აუდიტორის ჩვენება სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის ფარგლებში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიის სარწმუნოების და გამოყენების მასშტაბების შესახებ, საექსპერტო დასკვნაში აღმოჩენილი უზუსტობის გამომწვევი მიზეზების ან/და მათი მნიშვნელობის და ა.შ. შესახებ.
  7. ინფორმაციის გადმოცემისას მონმეები, როგორც წესი, ფართოდ იყენებენ შეფასებით კატეგორიებს – მაღალი/დაბალი, მსუქანი/სუსტი, ლამაზი/უშნო, საშუალო აღნაგობის, ალგზნებული, განერვიულებული, დაბნეული, მძაფრი სუნი, მუქი ფერის, დიდი მანქანა და ა.შ. მაგალითად, მონმის ჩვენება, რომ დაზარალებული კარგი ადამიანი იყო, შეფასებითი კატეგორიაა, მაგრამ თუ მონმე მიუთითებს, რომ დაზარალებული გულისხმიერი ადამიანი იყო ვინაიდან ყოველ ორშაბათს უსასყიდლოდ მუშაობდა უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში, აღნიშნული უკვე ფაქტობრივი გარემოებაა, რომელიც ექვემდებარება ობიექტური სტანდარტით გადამოწმებას.
  8. მონმის შეფასებითი ინფორმაცია მტკიცებულებით ხასიათს, როგორც წესი, მოკლებულია,

- ვინაიდან არ იძლევა ხელშესახებ ფაქტობრივ მონაცემებს და მასში მოყვანილი ფაქტები მხარეების მიერ შესაძლებელია განსხვავებულად იქნეს აღქმული. მაგალითად, ქურდული სამყაროს წევრისათვის დადებითი პიროვნების კატეგორია შესაძლებელია რადიკალურად განსხვავდებოდეს რიგითი კეთილსინდისიერი მოქალაქის აღქმისგან. ამიტომ ყველა მსგავს შემთხვევაში სავალდებულოა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მოპოვება ინფორმაციის დაკონკრეტების გზით. კერძოდ, შეფასებითი ფორმიდან ინფორმაციის გადაყვანა ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ინფორმაციად, მაგალითად, ბრალდებული ჩემზე ერთი თავით მაღალი იყო, ჩემი სიმაღლე კი 160 სმ-ია.
9. ინფორმაციის წყარო – მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ ენიჭება მონმის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების შესახებ თუ ის ვერ უთითებს ინფორმაციის წყაროს. მონმემ ინფორმაციის წყარო შესაძლებელია ვერ მიუთითოს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე: მაგალითად, არ ახსოვს, ვერ დაინახა ვინ თქვა, არ სურს ინფორმაციის წყაროს დასახელება ბრალდებულის მხრიდან მასზე ძალადობის პრევენციის მიზნით, წყარომ აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდა კონფიდენციალურობის დაცვის პირობით და ა.შ.
10. მთარულ ხმებზე, ქორებზე დამყარებული ჩვენების აკრძალვა ეხება მხოლოდ ისეთ ჩვენებებს, როდესაც შეუძლებელია ინფორმაციის წყაროს კონკრეტულად იდენტიფიცირება, მაგრამ თუ მონმე თავის ჩვენებას ამყარებს კონკრეტული მეტ-ნაკლებად იდენტიფიცირებადი პირის ნათქვამზე, იმისდა მიუხედავად, რამდენად იქნა უზრუნველყოფილი აღნიშნული პირის წარმოდგენა და დაკითხვა, ასეთი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულებაში. თავდაპირველი წყაროს იდენტიფიცირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მისი ვინაობის დასახელებით, ასევე გარეგნობის აღწერით, მისი საცხოვრებელი/სამუშაო ადგილის, კონკრეტულ პირთან მის კავშირზე მითითების და ნებისმიერი სხვა გზით, რაც იძლევა შესაბამისი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. შესაბამისად, მონმის ჩვენებაში მითითება „შავ ბრგე კაცზე“ არ არის საკმარისი მისი ჩვენების დასაშვებობისათვის, ვინაიდან არ იძლევა პირველწყაროს იდენტიფიცირების და მონმის ჩვენების სანდოობის გადამოწმების შესაძლებლობას.
11. დაზარალებულის ჩვენებები – როგორც წესი, განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ყველაზე სრულყოფილი ინფორმაცია გააჩნია დაზარალებულს – შეუძლია აღწეროს მისგან მოპარული ქონება, ან განცდილი, ბრალდებულის გარეგნობა, მისთვის დამახასიათებელი სუნი, ინდივიდუალური ნიშნები და სხვა. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში დანაშაული შესაძლებელია ჩადენილი იყოს დაზარალებულის არყოფნის პირობებში (მაგალითად, ქურდობა ბინაში შეღწევით); ან დაზარალებულს დანაშაულის ჩადენისას არ ჰქონდეს ბრალდებულის დანახვის ან დანაშაულებრივი ქმედების ნაწილის აღქმის შესაძლებლობა (მაგალითად, დაზარალებულზე თავდასხმა ზურგიდან, დაზარალებულისათვის ბლაგვი საგნით თავის არეში დაზიანების მიყენების გამო მან დაკარგა გონება და ბრალდებული დაეუფლა მის ქონებას; ბრალდებულის მიერ შორი დისტანციიდან/სამალავიდან ცეცხლსასროლი იარაღით პირის დაჭრა). იმავდროულად დაზარალებულის მიერ განცდილი ემოცია შესაძლებელია გარკვეულ გავლენას ახდენდეს მის მიერ ფაქტების სრულყოფილად და სწორად აღქმის უნარზე და ინვესტებს გაუცნობიერებელ გაზვიადებას: დაზარალებული შესაძლებელია გადაჭარბებულად აფასებდეს საფრთხის ხარისხს, ბრალდებულის ქმედების ინტენსივობას, დამდგარი შედეგის და მათი სიმძიმის ხარისხს ან/და ცდებოდეს დანაშაულთან ცალკეული პირების შემხებლობის საკითხში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზარალებული-მონმის ჩვენების შეფასება უნდა განხორციელდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. განაჩენის გამოსატანად ერთი ან თუნდაც რამდენიმე მონმე-დაზარალებულის ჩვენება არ არის საკმარისი ბრალდებულის ბრალეულობის დამდასტურებელი სხვა მტკიცებულებების, მათ შორის ნივთიერი მტკიცებულების, სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების ოქმების გარეშე.

12. ჩვეულებრივი მოწმე – (არა ექსპერტი, ან საქმის განხილვაში მონაწილე გამოძიების ორგანოს წარმომადგენელი) პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ე.წ. გაცნობიერებული მოწმე და მარტივი მოწმე. ე.წ. გაცნობიერებულ მოწმეს ჩვეულებრივი მოქალაქისგან განსხვავებით გააჩნია სპეციალური უნარები, რაც მას შესაძლებლობას აძლევს მომხდარზე დაკვირვების/ანალიზისას სწორად აღიქვას იგი და ყურადღება მიაქციოს იმ დეტალებს, რაც შესაძლებელია გამორჩეს ჩვეულებრივ პირს. მისი განსხვავება ექსპერტებისგან იმაშია, რომ ჩვენებას იძლევა საქმის იმ გარემოებების შესახებ, რომელსაც უშუალოდ ადევნებდა თვალს/რისი მოწმეც თავად იყო შემთხვევით ან საკუთარი ინიციატივით, მაგრამ სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის მიღმა და არა მხარის ან სასამართლოს დავალებით; 2. ის არ ატარებს რაიმე სახის სპეციალურ კვლევას/ექსპერტიზას; 3. არ შეუძლია განმარტების მიცემა საკითხებზე, რომლებიც სცილდება მის მიერ განსახილველი საქმის ფარგლებს მიღმა აღქმულ გარემოებებს; 4. ჩვენების საგანი არ შეიძლება იყოს სსსკ ე.წ. პრივილეგირებულ კატეგორიას (აღსარების საიდუმლოება, საადვოკატო მომსახურების, საბანკო საიდუმლოება და ა.შ.) მიკუთვნებული ინფორმაცია.
13. მოწმე, როგორც წესი, ნაკლებად დაინტერესებული პირია და მისი ჩვენებები მეტი სარწმუნოებით ხასიათდება. თუმცა ჩვენების სარწმუნოებაზე შესაძლებელია გავლენა იქონიოს ობიექტურმა და სუბიექტურმა გარემოებებმა:
14. ფაქტების სწორად აღქმის, დამახსოვრების და გადმოცემის ინდივიდუალური უნარი;
15. მოწმის მიკერძოება და ინფორმაციის შეგნებულად დამახინჯება ან/და ყალბი ჩვენების მიცემა. თუმცა დამახინჯება შესაძლებელია გამოწვეული იყოს ობიექტური გარემოებითაც (მაგალითად, მოწმის მხედველობის/სმენის უნარი, ღამის დრო, ცუდი განათება, დანაშაულის ხანდაზმულობა, დანაშაულის ჩადენა ხალხმრავალ და ხმაურიან ადგილას და სხვა).
16. ჩვენებების შინაარსისათვის დამახასიათებელ საერთო სპეციფიკას წარმოადგენს ადამიანის გონებაში რეალური სინამდვილის ფაქტობრივი გარემოებების ასახვა. ადამიანის ფსიქიკა სინამდვილეს არ ასახავს სარკისებური ეფექტით. გონებაში ასახული ინფორმაცია გარკვეულ ცვლილებას განიცდის და გარკვეულწილად იცვლება მისი აღქმისას, დამახსოვრებისას და გადმოცემისას. ადამიანი მოვლენას იმახსოვრებს გარკვეული გამოსახულების სახით, მაგრამ პირს, რომელმაც აღიქვა ეს გარემოება, მისი სხვა პირისათვის გადაცემა შეუძლია მხოლოდ სიტყვიერად ან გამობატვის ნებისმიერი სხვა სახით (მაგალითად, ნახატის სახით), რა დროსაც გადმოცემის სიზუსტე დამოკიდებულია მახსოვრობის ხარისხზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, განათლებასა და სიტყვიერ მარაგზე, ღირებულებებზე, პროფესიასა და პროფესიულ მომზადებაზე, საქმიანობის სფეროზე და ა.შ. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენების დეტალიზაციას, მის დაზუსტებას და არაერთგზის გადამოწმებას როგორც კითხვების დასმით, ასევე საქმის სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში კრიტიკული შეფასებით.
17. მოწმის ჩვენების ფორმირების სპეციფიკიდან გამომდინარე, მოწმე ერთნაირი სიზუსტით და სისრულით არ აღიქვამს დანახულს/გაგებულს. ცალკეულ შემთხვევებში მოწმე ახდენს ჩადენილი დანაშაულის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების და არა საქმის ყველა გარემოების აღქმას. მან შეიძლება ყურადღება მიაქციოს რაიმე მნიშვნელოვან გარემოებას, რაც დაინახა ან მოისმინა. მოწმის ყურადღება შეიძლება მიიქციოს არაორდინალურმა ქმედებამ, რომელმაც მოწმეზე დიდი შთაბეჭდილება იქონია, რისი დამახსოვრებაც, როგორც წესი, უფრო მეტი სიზუსტით ხორციელდება რუტინულ ქმედებებთან შედარებით, რომლის ცალკეული დეტალები შესაძლებელია მოწმის ყურადღების მიღმა დარჩეს. შესაბამისად, ერთი და იგივე ფაქტი სხვადასხვა მოწმის მიერ შეიძლება განსხვავებულად იქნეს აღქმული (იქიდან გამომდინარე, თუ აღნიშნული მოვლენის რომელი სეგმენტი იყო მისთვის საინტერესო) და ერთი და იმავე ფაქტის შესახებ ერთსა და იმავე ადგილას მყოფმა მოწმეებმა შესაძლებელია განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია

- მიანოდონ მხარეებს და სასამართლოს შეცდომაში შეყვანის ან ცრუ ჩვენების მიცემის განზრახვის გარეშე (მაგალითად, სადარბაზოში ყაჩაღური თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით თვითმხილველმა მოწმემ, რომელიც სადარბაზოს შესასვლელთან გადააწყდა ბრალდებულს, შესაძლებელია განსხვავებულად აღწეროს იგი, იმ მოწმესთან შედარებით, რომელიც უშუალოდ თავდასხმის თვითმხილველი და დაზარალებულის თანმხლები პირი იყო).
- 18.** ნებისმიერი მოწმის მიერ ობიექტურად არსებული ვითარების აღქმა-დამახსოვრება-გადმოცემა მნიშვნელოვანწილად უკავშირდება და მისი სიზუსტე განპირობებულია სუბიექტური ფაქტორებით. მოწმეს ობიექტურად უნდა გააჩნდეს ვითარების სწორად აღქმა-დამახსოვრება-გადმოცემის უნარი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, როგორც ასაკი, პროფესია, განათლების დონე, განწყობა, ორგანოთა გამართული ფუნქციონირება და სხვა. ადამიანის უნარები შეუზღუდავი არ არის. ორგანოთა გამართული ფუნქციონირების შემთხვევაშიც კი ადამიანი ობიექტურად მოკლებულია ცალკეული გარემოების აღქმის შესაძლებლობას – მაგალითად, სიბნელეში ფერთა სწორად აღქმა, სმენით დისტანციის და ადგილმდებარეობის ზუსტად განსაზღვრა, მოსმენილის საფუძველზე პირის ფიზიკური აღნაგობის განსაზღვრა და ა.შ.
- 19.** ვინაიდან ჩვენება უკავშირდება, როგორც წესი, წარსულში მომხდარ მოვლენას (მათ შორის იმ შემთხვევაშიც როდესაც მოწმის დაკითხვა ხდება მისი სამომავლო გეგმების შესახებ, რისი დაგეგმაც განხორციელდა წარსულში, მაგრამ რეალიზაცია უნდა განხორციელდეს მომავალში) ამიტომ ჩვენების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: 1. დროის ხანგრძლივობა – ინფორმაციის სიზუსტე პირდაპირ პროპორციულად მცირდება დროის ხანგრძლივობასთან ერთად; 2. აღქმის სპეციფიკა – ცალკეული კატეგორიის პირებს ახასიათებს მოვლენების დამახინჯებულად აღქმა, რაც უკავშირდება ობიექტურად არსებულ მათ სუბიექტურ მახასიათებლებს, მაგალითად ასაკი, დაკვირვების უნარი, გონებაგაფანტულობა, განერვიულებული მდგომარეობა, სიმთვრალე, გადაღლილობა, ძილბურანში ყოფნა და ა.შ. როგორც წესი მოწმე ახდენს იმ გარემოების მეტნაკლებად ზუსტად დამახსოვრებას, რომელმაც მას მძიმე ფსიქოლოგიური და სულიერი ტრავმა მიაყენა, რამაც შეძრა იგი და რასაც მისი სურვილის მიუხედავად ვერ ივიწყებს ან პირიქით, განცდილი სტრესის გამო შესაძლებელია საერთოდ წაიშალოს მისი მეხსიერებიდან ცალკეული ეპიზოდები/მოვლენები/პერიოდები, რაც წარმოადგენს დამცავ რეაქციას.
- 20.** ფიზიკური ნაკლი გულისხმობს სმენის, მხედველობის, მეხსიერების, მეტყველების შეგრძნების/ აღქმის, მგრძნობელობის ორგანოების ფუნქციონირების ისეთი სახის დროებით ან მუდმივ მოშლას, რაც გავლენას ახდენს პირის უნარზე სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და გადმოსცეს ფაქტები. თავისთავად ფიზიკური ნაკლის არსებობა არ წარმოადგენს მოწმის ჩვენების დაუშვებლად ცნობის საფუძველს და არ გამორიცხავს ყრუ-მუნჯის, უსინათლოს, ხეიბრის, კოჭლის და სხვა ფიზიკური ნაკლის მქონე პირის ჩვენების გამოყენების შესაძლებლობას. გადამწყვეტია აღნიშნული ნაკლის ინტენსივობა და მისი მნიშვნელობა ინფორმაციის სწორად აღქმის /გადმოცემის ან დამახსოვრებისათვის. მაგალითად, დასაშვებია (თუმცა ნაკლები მტკიცებულებითი ძალის მატარებელია) უსინათლო ადამიანის ჩვენება მის მიერ გაგონილის შესახებ, თუ მას შეუძლია ხმით ამოიცნოს მოსაუბრე, ყრუ-მუნჯის (ასევე ყრუ/მუნჯი პირის) ჩვენება, რომელსაც მის მიერ ნანახის შესახებ ინფორმაციის მოწოდება შეუძლია შესაბამისი თარჯიმნის დახმარებით და ა.შ. ჯანმრთელი ადამიანის მიერ მიწოდებული ჩვენება დაუშვებელი იქნება, თუ მისი მხედველობის მდგომარეობა არ იძლევა იმ მანძილზე მოვლენების ადეკვატურად აღქმის შესაძლებლობას, რა მანძილზეც მისივე განმარტებით მან შეძლო ბრალდებულის იდენტიფიცირება და მის მიერ დანაშაულის ჩადენის მსვლელობის დანახვა. ანალოგიურად, დაუშვებელი იქნება სტრესულ მდგომარეობაში მყოფი ჯანმრთელი მოწმის ჩვენება, რომელმაც ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ შეძლო სწორად აღიქვა ან/და დაემახსოვრებინა

- საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოება.
21. მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ფიზიკურ ნაკლსა და ფსიქიკურ ავადმყოფობაში იგულისხმება მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც პირს განსაზღვრული ხარისხით აქვს დაქვეითებული ფაქტების სწორად აღქმის, დამახსოვრების და აღდგენის უნარი.
  22. კანონმდებელი კუმულაციურად მიუთითებს სამივე უნარის დაქვეითებაზე. შესაბამისად, ჩვენება მტკიცებულების სტატუსს მოკლებული იქნება თუ პირს მოვლენათა ერთდროულად აღქმის, დამახსოვრების და გადმოცემის უნარიც აქვს დაქვეითებული. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია დარღვეული იყოს მოვლენის სწორად აღქმის უნარი (მაგალითად, დაზარალებულს იმდენად შეეშინდა, რომ ყაჩაღური თავდასხმისას სათამაშო იარაღი ცეცხლსასროლ იარაღად მიიჩნია), მაგრამ შენარჩუნებული იყოს გადმოცემის და დამახსოვრების უნარები.
  23. უნარის დაქვეითება დადგენილი უნდა იყოს. მხოლოდ ეჭვის არსებობა მოწმის აღნიშნულ უნართან დაკავშირებით საკმარისი არ არის მისი ჩვენების გაქარწყლების და მტკიცებულებად არაღიარებისათვის.
  24. მოწმეს შესაძლებელია უჭირდეს გადმოცემა რიგი მიზეზების გამო:
    - ვერ იგებდეს კითხვას გონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ან ენობრივი ბარიერის გამო;
    - არ ახსოვდეს აღნიშნული გარემოება/დეტალი.
  25. მოწმეს შესაძლებელია წარსულში აღნიშნებოდა ფსიქიკური აშლილობა, თუმცა აღნიშნული უპირობოდ არ უნდა გამორიცხავდეს მოწმის სახით მისი დაკითხვის შესაძლებლობას. გათვალისწინებული უნდა იყოს დაავადების სპეციფიკა, მკურნალობის შედეგები, დაავადების პროგრესირება. მოწმის სახით პირის დაკითხვა არ უნდა განხორციელდეს თუ, მოწმეს არ შეუძლია გაიხსენოს ის მოვლენები/ფაქტები, რის შესახებაც მას ეკითხებიან, არ ესმის რას ნიშნავს მოწმის მოვალეობა და სიმართლის თქმის ვალდებულება, არ გააჩნია კომუნიკაციის უნარი.
  26. ფსიქიკური ან/და ფიზიკური ნაკლის არსებობა, რომელიც მოწმეს ხელს უშლის სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები, უნდა დასტურდებოდეს ოფიციალური დოკუმენტით. მაგრამ სსსკ არ აზუსტებს დოკუმენტის სახეს (ვის მიერ გაცემული, როგორი ფორმით, რამდენი ხნით ადრე და ა.შ.). ამიტომ სსსკ მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე უნდა მოხდეს სსსკ 105-ე და 180-ე მუხლების ანალოგიით გამოყენება. „აღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის დასადგენად კანონმდებელი ყველა შემთხვევაში ითხოვს სახელმწიფო (და არა ასევე კერძო) სამედიცინო დანესებულების დასკვნას. ამიტომ საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების საერთო ანალიზიდან და იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლოში ჩვენების მიცემისას ბრალდებულსაც მოწმის სტატუსი გააჩნია, მოწმის შეურაცხაობის (ფსიქიკური მდგომარეობის) საკითხი უნდა დადგინდეს სახელმწიფო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით.“<sup>361</sup>
  27. სსსკ 75-ე მუხლის მე-2 ნაწილი ყურადღებას ამახვილებს მოწმის ჩვენებაში არსებით წინააღმდეგობაზე. გასათვალისწინებელია, რომ მოწმის ჩვენება შედგება როგორც თავისუფალი თხრობის, ასევე კითხვა-პასუხის რეჟიმში გაცემული ინფორმაციისგან. ამიტომ წინააღმდეგობრივი შეიძლება იყოს როგორც თავისუფალი თხრობის/პირდაპირი დაკითხვის ნაწილი (მაგალითად, ჩვენების დასაწყისში მოწმე მიუთითებდეს, რომ ბრალდებულს შეხვდა და 15.30 სთ-ზე და დაახლოებით 1 საათი ესაუბრა, ხოლო დასკვნით ნაწილში შეჯამებისას აღნიშნავდეს, რომ ბრალდებულს შეხვდა 13.30 სთ-ზე რაც ზუსტად ახსოვს, ვინაიდან 14.00 სთ-ზე მას ჰქონდა გასაუბრება), ასევე შესაძლებელია ჯვარედინი დაკითხვის დროს მოწმის ნათქვამი ეწინააღმდეგებოდეს თავისუფალი თხრობის/ პირდაპირი დაკითხვისას გადმოცემულ ინფორმაციას და ა.შ. წინააღმდეგობრივი შესაძლებელია იყოს ინფორმაცია,

<sup>361</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 30/01/ 2013 წლის განჩინება საქმეზე № 3აგ-13.

- რომელიც ეხება: 1. ძირითად ფაქტს (მაგალითად, ბრალდებულის ბრალეულობას, ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენას); 2. კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობის არ მქონე დეტალს/საქმის ცალკეულ გარემოებას. მაგალითად, მოწმის ჩვენება, რომელშიც ერთგან მიუთითებს, რომ ბრალდებულს ჰქონდა 3 ცალი ნაგანის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ხოლო იმავე ჩვენების სხვა ნაწილში მიუთითებს, რომ ბრალდებულს ჰქონდა 2 ცალი TT -ს ცეცხლსასროლი იარაღი.
28. ჩვენების წინააღმდეგობრიობის ფაქტის არსებობისას უნდა გაირკვეს მიზეზი – აღნიშნული წარმოდგენს ტექნიკურ შეცდომას, დავინყების/ნერვიულობის ბრალია თუ მიზანმიმართული და წინასწარგანზრახული სიცრუეა.
  29. მოწმის ჩვენებაში არსებითი წინააღმდეგობის არსებობისას ჩვენების დაუშვებლად ცნობა მხარის პრეროგატივაა. შესაბამისად, მხარის შუამდგომლობის არარსებობისას ჩვენება ინარჩუნებს მტკიცებულების სტატუსს და სასამართლოს შეუძლია განაჩინოს დასაბუთებისას გამოიყენოს ჩვენების ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას.
  30. მოწმის მიერ ჩვენების მიცემა იმავდროულად დამოკიდებულია პროცესის მწარმოებელი სუბიექტის და მხარის გადაწყვეტილებაზე. მოწმის მოწვევა და დაკითხვა მხარის უფლებაა და არა მოვალეობა.
  31. მოწმე ჩვენებას იძლევა სხვა პირის მიმართ წარმოებულ საქმესთან მიმართებით. მაგრამ, როგორც კი ისმის საკითხი თავად მოწმის მხილების შესახებ, მას ენიჭება საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან დაცვის კონსტიტუციური გარანტია. მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ ენიჭება ასევე მოწმის ჩვენების იმ ნაწილს, რომელიც ეხება იმას, თუ რითი იყო დაკავებული მოწმე დანაშაულის ჩადენის მომენტში თუ მისთვის არაფერია ცნობილი დანაშაულის შესახებ.
  32. მოწმის სახით დასაშვებია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განმახორციელებელი პირების დაკითხვა საქმისათვის მნიშვნელოვანი იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მათ მიერ უშუალოდ იქნა აღქმული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების წარმოებისას იმ პირობით, რომ არ იქნება გამჟღავნებული სახელმწიფო საიდუმლოება. მოწმის სახით შეიძლება დაიკითხონ ასევე ფარულ საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე პირები; პოლიციის თანამშრომლები მათ მიერ განხორციელებული დაკავების თაობაზე და ა.შ.
  33. მოწმის ხარისხიანი ჩვენების მიღების წინაპირობაა მისი კონკრეტიზაცია დაკითხვის დროს. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ჩვენებას, რომელშიც მითითებული არ არის დაკითხვის საგნის შემადგენელი გარემოების თუნდაც დაახლოებითი დრო, ადგილი, ვითარება არ ენიჭება მტკიცებულებითი მნიშვნელობა.
  34. განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს ე.წ. ალიბის მოწმეების და არასრულწლოვანი პირების ჩვენების შეფასება (არასრულწლოვანს შეიძლება არასწორი წარმოდგენა ჰქონდეს მის მიერ გადმოცემული ფაქტების შესახებ).

## მუხლი 76. ირიბი ჩვენება

1. ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.
  2. ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია (14.06.2013. №741).
  3. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება (14.06.2013. №741).
1. ირიბი ჩვენება ე.წ. ნაწარმოები მტკიცებულებაა, რომელიც ახდენს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების გაშუალეებურ ასახვას. ირიბი ჩვენება შესაძლებელია იყოს რო-



- გორც გამამართლებელი, ასევე გამამტყუვნებელი, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი და ადასტურებდეს როგორც მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებს, ასევე ე.წ. გვერდით/შუალედურ ფაქტებს.
2. ირიბი ჩვენება ეყრდნობა სხვა წყაროდან მოპოვებულ, როგორც წესი, მოდიფიცირებულ ფაქტობრივ ინფორმაციას. ირიბ ჩვენებას იძლევა პირი, რომლისთვისაც აღნიშნული ინფორმაცია სხვა პირის მეშვეობით გახდა ცნობილი. ანუ მოწმეს საკუთარი თვალთ არ დაუნახავს ან სხვაგვარად უშუალოდ არ აღუქვია (არ მოუსმენია, განუცდია, გაუსინჯია და ა.შ.) ის გარემოება, რომლის თაობაზეც იძლევა ჩვენებას.
  3. ირიბი ჩვენებით დადგენილ ფაქტსა და ინფორმაციის წყაროს შორის არსებობს შუალედური რგოლი. ასეთი მტკიცებულების წარმოებულობის ხარისხი შესაძლებელია განსხვავებული იყოს, მაგალითად, მოწმე იღებს ინფორმაციას არა თვითმხილველისგან, არამედ მე-2 ან მე-3 ხელიდან. შესაბამისად, რაც უფრო მეტი შუალედური რგოლი არსებობს წყაროსა და ჩვენების მიმცემ მოწმეს შორის, მით უფრო ნაკლებია მის მიერ მიწოდებული ირიბი ჩვენების სარწმუნოების ხარისხი და მტკიცებულებითი წონა.
  4. მოწმის ჩვენება შესაძლებელია ემყარებოდეს ასევე ანონიმურ ან ოპერატიულ ინფორმაციას. განსხვავებით ანონიმური ინფორმაციისგან, ოპერატიული ინფორმაციის წყარო ცნობილია კანონით ზუსტად განსაზღვრული პირებისათვის, მაგრამ დაუშვებელია წყაროს საჯაროდ დასახელება. არც ოპერატიული და არც მით უმეტეს ანონიმური ინფორმაცია არ შეიძლება საფუძვლად დაედოს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას. ასეთი სახის ინფორმაცია თავისთავად არ წარმოადგენს მტკიცებულებას, რის გამოც უნდა მოხდეს მათი გადამოწმება კანონით დადგენილი წესით.<sup>362</sup>
  5. მტკიცების წარმოება სასურველია პირველადი მტკიცებულების საფუძველზე, თუმცა დაუშვებელია ნაწარმოები მტკიცებულების იგნორირება, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია თავდაპირველი მტკიცებულების აღმოჩენა და შემოწმება. გარკვეულ შემთხვევებში ნაწარმოებ მტკიცებულებას შეუძლია უფრო სრულად და ზუსტად ასახოს საძიებო ფაქტები, ვიდრე თავდაპირველს. ნაწარმოები მტკიცებულების გამოყენება შესაძლებელია პირველადი მტკიცებულების გადამოწმების, კორექტირების, შეფასებისათვის (ირიბი ჩვენებით პირველად მტკიცებულებასთან მიმართებით არსებული ეჭვი შესაძლებელია გაქარწყლდეს ან პირიქით, გაღრმავდეს); თავდაპირველი მტკიცებულების შევსებისათვის – მაგალითად, როდესაც თვითმხილველებს ავინყდებათ ცალკეული დეტალები (დროს ხანგრძლივობიდან გამომდინარე); წარმოადგენს პირველადი მტკიცებულების მოძიების საშუალებას – მოწმე მიუთითებს პირზე, ვისგანაც შეიტყო ჩვენებაში მითითებული ინფორმაცია.
  6. ირიბი ჩვენების გამოყენება თავდაპირველი მტკიცებულების ნაცვლად დაიშვება, როდესაც შეუძლებელია თავდაპირველი მტკიცებულების გამოყენება – მაგალითად, წყაროს გარდაცვალების, უგონო მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში, როდესაც უცნობია მისი ადგილსამყოფელი, გამოცხადებულია უგზო-უკვალოდ დაკარგულად, ფსიქიკური ან ფიზიკური ტრავმის გამო იმდენად შეერყა ჯანმრთელობა, რომ არ შეუძლია სწორად აღიდგინოს ან გადმოსცეს ფაქტები, დოკუმენტის ორიგინალის დაკარგვისას; როდესაც ჩვენების მიღება შეუძლებელია პირისგან, რომელმაც შექმნა დოკუმენტი/ მოიპოვა/ვისთანაც ინახებოდა და ასევე თვითმხილველი მოწმისგან (გარდაცვალების, ადგილსამყოფელის დაუდგენლობის, დუმილის უფლების გამოყენების და ა.შ. მიზეზების გამო) და სხვა.
  7. როდესაც საქმეში ირიბ ჩვენებასთან ერთად არსებობს იმავე ფაქტობრივი გარემოებების შესახებ თავდაპირველი მტკიცებულება, ნაწარმოები მტკიცებულება არ შეიძლება განხილულ იქნეს დამოუკიდებელ მტკიცებულებად თუ მასში არ არის მოცემული ახალი ინფორმაცია, რომელიც არ არის თავდაპირველ მტკიცებულებაში.
  8. მოწმის სახით დაკითხული პირის მიერ პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა ეყრდნობოდეს რაიმე ფაქტობრივ საფუძველს, რომლის

<sup>362</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საქმეზე № 1/ბ-555-12, 07/11/2012.

გადამონება შესაძლებელია. დაუშვებელია მონმის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეყრდნობოდეს ჭორებს, მოარულ ხმებს, მოსაზრებას, ვარაუდს, კონკრეტულად არაიდენტიფიცირებად პირს და ა.შ. მაგალითად, მონმის ჩვენება, რომ დანაშაული ბრალდებულმა ჩაიდინა და ამაზე მთელი ქალაქი საუბრობს/ამაზე გუშინ მეტროში საუბრობდნენ/ ეს მთელმა სოფელმა იცის და ა.შ. ანალოგიურად, თუ მონმე აღნიშნავს, რომ ბრალდებულს და დაზარალებულს ჰქონდათ დაძაბული ურთიერთობა, რაც მისთვის ცნობილი გახდა იმ პირების საუბრიდან, ვისი ვინაობაც მისთვის უცნობია, ასეთი მონმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა.

9. აღნიშნული აკრძალვა ემყარება პრინციპს, რომ სამართალწარმოების ფარგლებში მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა დაექვემდებაროს დასაშვებობაზე შემოწმებას. ხოლო თუ უცნობია პირველწყარო, მაშინ პრაქტიკულად შეუძლებელია იმის მტკიცება, თუ რამდენად ობიექტური შეიძლება იყოს მის მიერ გაკეთებული შეფასება, რამდენად ხელმისაწვდომია მისთვის აღნიშნული ინფორმაცია. პირველწყაროს დასახელების გარეშე შეუძლებელი იქნება იმის შემოწმება, თუ: 1. რამდენად შეეძლო პირველწყაროს საერთოდ სცოდნოდა ჩვენებაში მითითებული ინფორმაცია; 2. რამდენად სწორად შეეძლო მას საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების აღქმა, დამახსოვრება და გადმოცემა; 3. მონმის მიუკერძოებლობა; 4. აღნიშნული ინფორმაცია ნამდვილად დასახელებული წყაროსგან მიიღო ირიბი ჩვენების მიმცემმა მონმემ თუ შეცდომაში შეყვანის მიზნით არასწორად უთითებს პირველწყაროს; 5. მონმის აღმდგენი მხარე მოკლებული იქნება შესაძლებლობას სადავო გახადოს ჩვენების სარწმუნოება, გამოიკვლიოს/დაჰკითხოს/გამოჰკითხოს პირველწყარო, რაც დაცვის უფლებასთან ერთად არღვევს უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე.
10. ირიბი ჩვენების სისხლის სამართალწარმოებაში გამოყენებისათვის სსსკ ადგენს ორ წინაპირობას: 1. მონმემ სახელდებით უნდა მიუთითოს პირველწყარო, რომ შესაძლებელი იყოს საქმეების შემთხვევაში მისი დაკითხვა; 2. აღნიშნული ინფორმაცია უნდა დასტურდებოდეს საქმეში არსებული ნებისმიერი სხვა მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება – აღნიშნული ჩვენება შესაძლებელია დასტურდებოდეს ნებისმიერი სხვა მტკიცებულებით რომელთა წრე განუსაზღვრელია. ერთადერთი გამონაკლისია – ირიბი ჩვენების კვლავ ირიბი ჩვენებით დადასტურება. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით ვითარებას, როდესაც პირის ბრალეულობის დადასტურება შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ ირიბი ჩვენებების საფუძველზე. მაგალითად, მონმის ჩვენება, რომ მისმა მეგობარმა დაინახა როგორ შედიოდა ბრალდებული დაზარალებულის ბინაში დანაშაულის ჩადენამდე მცირე ხნით ადრე. მეორე მონმე მიუთითებს, რომ მეორე დღეს მისი მეზობელი ჩიოდა, რომ დაზარალებულის ბინიდან გამოსულმა ხმაურმა ის მთელი ღამე არ დააძინა. მოცემულ შემთხვევაში გაურკვეველია რამდენ ხანს დარჩა ბრალდებული ბინაში, რამდენად სწორად მოხდა მისი იდენტიფიცირება და რა ნიშნებით ამოიცნო პირველწყარომ ბრალდებული, პირველწყაროს ჯანმრთელობის მდგომარეობა რამდენად იძლეოდა შესაბამის ვითარებაში პირის ვინაობის იდენტიფიცირების შესაძლებლობას, ბრალდებულთან მისი წინარე დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რამდენად სარწმუნოა მისი ინფორმაცია, რა სახის ხმაურს გულისხმობდა პირველწყარო – საუბარს, ღრეობას, ხამამალალ მუსიკას, ჩხუბს, ყვირილს და ა.შ. მაგალითად სსკ 178-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეზე გამოძიებამ წარმოადგინა თვითმხილველი მონმის ჩვენება, რომ მან დაინახა ნაცემი თურქი ეროვნების პიროვნება როგორ დარბოდა, ეძებდა ვინმე გ-ს და თურქულ ენაზე ყვიროდა „ფული მქონდა 1000 დოლარი და ლარები და მომპარეს“. მიუხედავად იმისა, რომ მონმემ არ იცის თურქული ენა, მისი განმარტებით, პოლიციელმა უთხრა რასაც ყვიროდა თურქი დაზარალებული.<sup>363</sup> მოცემულ საქმეში თვითმხილველი მონმის ჩვენება ერთდროულად

<sup>363</sup> იხ., მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე №123აპ-13,

- როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ჩვენების ელემენტების შემცველია. საუბრის შინაარსის ნაწილში თვითმხილველი მონმე ასახელებს ინფორმაციის წყაროს ინდივიდუალური მახასიათებლების გარეშე. მაგრამ წყაროს ვინაობაც რომ იყოს მითითებული აღნიშნული ჩვენების გამოყენება განაჩენის დადგენის ან/და ბრალდებისათვის სსსკ მიხედვით იკრძალება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის № 548-ე გადაწყვეტილების საფუძველზე. შესაბამისად, როდესაც საქმეში არ არსებობს მონმის მიერ მითითებული პოლიციელის ე.წ. პირდაპირი ჩვენება, აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება განაჩენის დადგენისათვის დაუშვებელია. მაგრამ განაჩენის დადგენის, ბრალდების და სხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მონმის ის ნაწილი, რომლის თვითმხილველიცაა.
11. მიეკუთვნება თუ არა ჩვენება ირიბ ჩვენებას, დამოკიდებულია თავად ჩვენების შინაარსსა და მასში გამოცემული ინფორმაციის წყაროზე. მაგალითად, გამოძიებლის ჩვენება, რომ ბრალდებული მის სამუშაო ოთახში გამოცხადდა ორ თანმხლებ პოლიციელთა ერთად და ნებაყოფლობით წარმოადგინა მის მიერ მოპარული ელექტროსადენი, არ წარმოადგენს ირიბ ჩვენებას, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში გამოძიებელი არის პირველწყარო, რომელიც მიუთითებს იმ ფაქტობრივი გარემოების შესახებ, რომლის უშუალო თვითმხილველიც თავად არის.<sup>364</sup>
  12. ირიბი ჩვენების სხვა მტკიცებულებით დადასტურების ვალდებულება წარმოადგენს ირიბი ჩვენების დასაშვებობის სავალდებულო წინაპირობას მხოლოდ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე. შესაბამისად, გამოძიების სტადიაზე ირიბი ჩვენების გამოყენება ალკვეთის ღონისძიების, ჩხრეკა-ამოღების, ქონებაზე ყადაღის დადების და სსსკ-ით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე სასამართლოს ნებართვის გამოთხოვისას, საგამოძიებო ვერსიების შემოწმების, ახალი მტკიცებულებების მოძიების და სხვა მიზნებისათვის დაიშვება მაშინაც, თუ ირიბ ჩვენებაში მოცემული ინფორმაცია არ დასტურდება საქმეზე შეკრებილი არც ერთი სხვა მტკიცებულებით.
  13. ირიბი ჩვენება შეიცავს მრავალ რისკს. „ირიბი ჩვენების მიმცემ პირს არ შეუძლია დაადასტუროს, თუ რამდენად უტყუარია სხვა პირის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. ირიბი ჩვენების მიმცემი პირის მიერ ინფორმაციის წყაროს მითითება, თავისთავად, არ გამოორიცხავს შესაძლებლობას, რომ პირი, ვის ინფორმაციასაც ირიბი ჩვენება ეფუძნება, ასევე არ იყოს იმ ფაქტის თვითმხილველი, რომლის დადასტურებასაც ირიბი ჩვენება ისახავს მიზნად.“<sup>365</sup>
  14. ირიბი ჩვენება, ისევე როგორც ნებისმიერი ნაწარმოები მტკიცებულება, სარწმუნოების უფრო დაბალი ხარისხით ხასიათდება და ნაკლები მტკიცებულებითი ძალა გააჩნია თავდაპირველ მტკიცებულებებთან შედარებით, ვინაიდან მატულობს ჩვენების თანმდევი ინფორმაციის დამახინჯების ობიექტური და სუბიექტური საფრთხეები.
  15. ირიბი ჩვენება, ნაკლები მტკიცებულებითი ძალის მქონეა, როგორც სხვა სახის მტკიცებულებებთან შედარებით, ასევე თავად მონმეთა ჩვენებების იერარქიაშიც, რაზეც სსსკ 76-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ვალდებულებაც მიუთითებს (სხვა მტკიცებულებით გამყარების ვალდებულება არ არსებობს მონმის სახით თვითმხილველი მესამე პირის, ექსპერტის ან დაზარალებულის მიერ მიცემული ჩვენების დასაშვებობისათვის).
  16. ირიბ ჩვენებაში მოცემული ინფორმაცია, როგორც მინიმუმ, ორმაგად „ზიანდება“ ვინაიდან ჯერ ხდება პირველწყაროს მიერ აღნიშნული ინფორმაციისათვის სუბიექტური ფაქტორების დამატება, ხოლო მოგვიანებით უკვე ირიბი ჩვენების მიმწოდებელი ახდენს მისი ნები-

<sup>364</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული ფაქტი ირიბ ჩვენებად შეაფასა. იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის განაჩენი საქმეზე №483 აპ-14, §13.

<sup>365</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/548, 31.

- სგან დამოუკიდებლად ინფორმაციის მოდიფიცირებას.<sup>366</sup> შესაბამისად, ირიბ ჩვენებაში მითითებული „ბრგე კაცი“ შესაძლებელია, საბოლოო ჯამში, აღმოჩნდეს 160 სმ. საშუალო აღნაგობის ადამიანი; პირველწყარო შესაძლებელია „მსუქანში“ გულისხმობდეს 120 კგ. წონის ადამიანს, ხოლო ნაწარმოები მოწმის აღქმაში მსუქან ადამიანს შესაძლებელია წარმოადგენდეს 70-80 კგ. წონის მქონე პირი. ამიტომ ირიბი ჩვენება, რომელიც იყენებს/ეყრდნობა შეფასებით კატეგორიებს, განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს, ისევე როგორც ის ირიბი ჩვენება, რომელიც მიუთითებს პირველწყაროზე რომლის გადამოწმება ობიექტურად შეუძლებელია. მხარე უნდა ეცადოს ირიბი ჩვენების სარწმუნოების გამოკვლევას როგორც საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობის ანალიზის საფუძველზე, ასევე უშუალო პირველწყაროს დაქვების გზით.
17. სსსკ ადგენს წყაროს დასახელების ვალდებულებას, მაგრამ არ ადგენს ირიბი ჩვენების სარწმუნოების გადამოწმებისათვის დასახელებული პირველწყაროს დაკითხვის/გამოკვლევის ვალდებულებას. პირველწყაროს მოწვევა პროცესში შესაძლებელია მნიშვნელოვან (ობიექტურ და სუბიექტურ) სირთულეებთან იყოს დაკავშირებული: გარდაცვალება, დაუდგენელია ადგილსამყოფელი, უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე და სამართალწარმოებაში მონაწილეობაზე, აღარ ახსოვს და ა.შ. შესაბამისად, თუ მოწმე მიუთითებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია მისთვის ცნობილი გახდა ან გარდაცვლილი მოქ. პეტრესგან, აღნიშნული ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულება იქნება, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს ობიექტურად არ ექნებათ შესაძლებლობა გადამოწმონ პირველწყაროს სანდოობა.
18. ირიბი ჩვენების გამოყენებისას სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს რამდენიმე გარემოებაზე: 1. უნდა შემოწმდეს პირველწყაროს ობიექტურად არსებობა; 2. პირველწყაროს სარწმუნოობა; 3. ირიბ ჩვენებაში მოცემული ინფორმაციის შესაბამისობა პირველწყაროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან; 4. ირიბი ჩვენების შინაარსობრივი სარწმუნოობა; 5. ირიბი ჩვენების წარდგენის გამამართლებელი გარემოებები (რატომ არ არის ირიბ ჩვენებაში მითითებული პირველწყაროს ჩვენება); 6. გათვალისწინებული უნდა იყოს „თუ რა პირობებში, რა ფორმითა და საშუალებით გახდა ცნობილი ირიბი ჩვენების მიმცემი პირისთვის აღნიშნული ინფორმაცია.“<sup>367</sup>
19. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ არ გამოორიცხავს ირიბი ჩვენების გამოყენების შესაძლებლობას, როდესაც პირველწყარო, რომელსაც მოწმე ეყრდნობა, ირიბ ჩვენებაში შეიძლება იქნეს მოწვეული სასამართლოში ჩვენების მისაცემად, ირიბი ჩვენების წარმდგენი მხარე უპირატესობას უნდა ანიჭებდეს ირიბი ჩვენების წყაროს დაკითხვას; ხოლო მოწინააღმდეგე – აპროტესტებდეს ორმაგი ირიბი ჩვენების გამოყენებას.<sup>368</sup> „ირიბ ჩვენებათა სიმრავლე თავისთავად არ უნდა განაპირობებდეს ამ ჩვენებების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის სანდოობას. ირიბი ჩვენების სხვა მტკიცებულების დადასტურებით არ იცვლება ამ მტკიცებულების ბუნება, იცვლება მხოლოდ ამ სახის მტკიცებულებით დარწმუნების შესაძლებლობის ხარისხი.“<sup>369</sup>
20. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია არსებობდეს ვითარება, როდესაც, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია ირიბი ჩვენების გამოყენება. მაგალითად, მოწმე ან დაზარალებული დაშინებულია ან არსებობს მისი, როგორც მოწმის, უსაფრთხოების უზრუნვე-

<sup>366</sup> იხ., სსსკ 75-ე მუხლის კომენტარი.

<sup>367</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/548,34.

<sup>368</sup> პრეზუმფცია სისხლის სამართალწარმოებაში ირიბი ჩვენების გამოყენების აკრძალვის შესახებ მოცემულია ასევე კონვენციის მე-6 მუხლში. ირიბი ჩვენების ამორიცხვა გამართლებულია მაშინაც, როდესაც ეზმარება დაცვას თავისი პოზიციის გამყარებაში. იხ., სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის და მისი დასაბუთებულობის და ტექსტის სტილისტური გამართულობის თაობაზე, 2015, 340.

<sup>369</sup> იქვე, 33.

ლყოფის აუცილებლობა. აუცილებლობა შესაძლებელია წარმოიშვას სხვა შემთხვევაშიც, როდესაც ინფორმაციის ავტორი თავად ვერ ახერხებს ან არ სურს ჩვენების მიცემა და ამისათვის მნიშვნელოვანი მიზეზი არსებობს. სასამართლოს განმარტებით, მონმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისათვის გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ირიბი ჩვენების შემთხვევაში სანდოობის უზრუნველსაყოფად ნაკლებად ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს, ვინაიდან ირიბი ჩვენების მიმცემ პირს არ შეუძლია დაადასტუროს თუ რამდენად უტყუარია სხვა პირის მიერ გავრცელებული ინფორმაცია.<sup>370</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ ირიბი ჩვენება, ზოგადად, ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა, მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს, რის გამოც აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 22 იანვარს (გადაწყვეტილება № 548) არაკონსტიტუციურად ცნო ირიბი ჩვენების გამოყენება გამამტყუენებელი განაჩენის და ბრალის დადგენილების დასაბუთებისათვის.

21. ირიბი ჩვენების გამოყენება, სსსკ-ის მოქმედი რედაქციით, იკრძალება გამამტყუენებელი განაჩენის და ბრალის დადგენილების დასაბუთებისათვის. ირიბი ჩვენების გამოყენება დაიშვება მხოლოდ საქმეში არსებული მტკიცებულებების და საგამოძიებო ვერსიების შემოწმების, დამატებითი მტკიცებულების მოძიების, მონმის ჩვენების იმპიჩმენტის, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების, ქონებაზე ყადაღის დადების, სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსების, ჩხრეკა-ამოღების და სხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების განხორციელებისათვის.

## მუხლი 77. ნივთიერი მტკიცებულება

1. შედარებითი კვლევის ნიმუში შენაცვლებადი ნივთიერი მტკიცებულებაა.
2. ნივთიერი მტკიცებულება უნდა დათვალიერდეს და დაილუქოს; დათვალიერებისას უნდა გამოვლინდეს და აღინეროს ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები.
3. ლუქის მოხსნა და ნივთიერი მტკიცებულების განმეორებით დათვალიერება დასაშვებია.
4. საქმის არსებითი განხილვის დროს მხოლოდ ის მტკიცებულებაა დასაშვები, რომლის ავთენტიკურობაც დასტურდება.

1. ნივთიერი მტკიცებულების ცნება განმარტებულია სსსკ მე-3 მუხლის 25-ე ნაწილში.
2. ნივთიერი მტკიცებულება, როგორც წესი, მატერიალური სამყაროს ნებისმიერი ობიექტია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მტკიცებულებითი ინფორმაციის ნიშან-თვისებები და რომელიც მოპოვებული და დართულია სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს როგორც თითის ანაბეჭდი, ფეხის კვალი, სიგარეტის ნამწვავი, სისხლის კვალი, სატრანსპორტო საშუალების საბურავების პროტექტორების კვალი, დოკუმენტები, ამონაწერები, აუდიო-ვიდეოჩანაწერები, ნივთიერებები (თხევადი, გაზისებური, ფხვნილისებური კონსისტენციის და ა.შ.) და ა.შ.
3. მათზე აღბეჭდილი მტკიცებულებითი ინფორმაცია განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ისინი დაკავშირებულია განსახილველ საქმესთან: 1. წარმოადგენენ დანაშაულის ჩადენის იარაღს ან საშუალებას; 2. წარმოადგენენ დანაშაულის ჩადენის საგანს; 3. შეინარჩუნეს დანაშაულის კვალი; 4. წარმოიქმნენ დანაშაულის ჩადენის შედეგად; 5. წარმოადგენენ დანაშავე პირის იდენტიფიცირების და მისი აღმოჩენის, ბრალდების დადასტურების ან უარყოფის საშუალებას.
4. იმისათვის, რომ მატერიალური სამყაროს ობიექტმა შეიძინოს მტკიცებულების სტატუსი

<sup>370</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 22/01/2015 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №548, 36,31,52 .

- სი, პირველ რიგში, ის უნდა აკმაყოფილებდეს ფორმალურ მოთხოვნებს მის ამოღება–დამაგრებასთან დაკავშირებით. აღნიშნული თავის მხრივ გულისხმობს: 1. მის მოპოვებას კონკრეტული საპროცესო გზით – სსსკ ითვალისწინებს საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების სპეციფიკიდან გამომდინარე მტკიცებულების ამოღების განსხვავებულ წესებს. მაგალითად, სსსკ 112-ე მუხლი, გამოკითხვის წარმოებას მხოლოდ პირის ნებაყოფლობითი თანხმობის შემთხვევაში; 2. აღნიშნული ინფორმაციის მატარებლის მოპოვების შემდეგ მის დამაგრებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაგალითად, სსსკ 135-ე მუხლი. შესაბამისად, თუ ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც არ არის ასახული ჩხრეკის ოქმში, ის დაუშვებელი მტკიცებულებაა. ასევე, თუ ნივთის ამოღება განხორციელდება მისი ნიშან-თვისებების დათვალიერების და ასახვის გარეშე ან პროცესის მონაწილის მიერ მტკიცებულების წარმოდგენისას, თუ არ განხორციელდება წარმოდგენილი ნივთის ნიშან-თვისებების დათვალიერება და ასახვა წარმოდგენის ოქმში; 3. მტკიცებულების ავთენტიკურობას.
5. საქმისწარმოებისას უნდა არსებობდეს შესაბამისი ნივთიერი მტკიცებულების წარმომავლობის შესახებ ინფორმაცია, რისი მეშვეობითაც დგენდება ნივთიერი მტკიცებულების კავშირი სისხლის სამართლის საქმესთან. აღნიშნული ინფორმაციის არარსებობა იწვევს დაუძლეველ ეჭვს მტკიცებულების წარმომავლობასა და შემხებლობაში. მაგალითად, სისხლიანი დანიდან (მკვლელობის იარაღი) ამოღებული ბრალდებულის თითის ანაბეჭდები. თუ უცნობია აღნიშნული დანის წარმომავლობა – სად, ვის მიერ, რა მდგომარეობაში და ა.შ. იქნა ის აღმოჩენილი, დაცვის მხარეს შეუძლია ამტკიცოს, რომ, მართალია დანაზე აღინიშნება ბრალდებულის თითის კვალი და დაზარალებულის სისხლი, მაგრამ აღნიშნული დანა არ იყო გამოყენებული მკვლელობის ჩასადენად. მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა აღნიშნული კვალის დატოვება ცივ იარაღზე, როდესაც ბრალდებული დაეხმარა დაზარალებულს სადილის მომზადებაში, ვინაიდან მან ხელი გაიჭრა მომზადებისას.
  6. წარმოშობის შესახებ მონაცემები ეხება მათ შორის ასევე მონაცემებს ადგილის, დროის, პირობების, დასახელების, დამახასიათებელი თავისებურებების შესახებ. ეს ინფორმაცია, როგორც წესი, აისახება იმ საგამოძიებო მოქმედების ოქმში, რომლის შედეგადაც იქნა აღმოჩენილი შესაბამისი მტკიცებულება. მტკიცებულების ავთენტიკურობის დადასტურებისათვის შესაძლებელია ასევე გამოყენებულ იქნეს მონმის დაკითხვა მტკიცებულების უნიკალური მაიდენტიფიცირებელი ნიშან-თვისებების შესახებ, რაც ადასტურებს მის ჭეშმარიტებას და გამორიცხავს გონივრულ ეჭვს მის სარწმუნოებაში. მაგალითად, ნივთები, რომლებიც მიეკუთვნება მკაცრი აღრიცხვის კატეგორიას – შესაბამისი რეესტრიდან ამონაწერით, ნივთიერი მტკიცებულების ნიშან-თვისებები – საექსპერტო კვლევის გზით და ა.შ.
  7. აღმოჩენილი ან წარმოდგენილი საგნები თავდაპირველად უნდა დათვალიერდეს მტკიცებულებითი ხასიათის ინფორმაციის არსებობის და საქმესთან მისი შემხებლობის განსაზღვრის მიზნით, რის შემდეგაც ხდება მათი ნივთიერი მტკიცებულების სახით დართვა საქმეზე. საგნის აღმოჩენის და დათვალიერების შედეგები აისახება იმ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ოქმში, რომლის ფარგლებშიც ის იყო აღმოჩენილი. თუმცა დაიშვება მისი დათვალიერება საგამოძიებო მოქმედების დასრულების შემდეგაც. ამ შემთხვევაში ნივთის ნიშან-თვისებების ასახვა უნდა მოხდეს ცალკე საპროცესო დოკუმენტში – ნივთმტკიცების დათვალიერების ოქმში. თუ აღნიშნული საგნის წარმოდგენა ხდება პროცესის მონაწილის მიერ, ზ/ა მახასიათებლები ფიქსირდება ნებაყოფლობითი წარმოდგენის ოქმში.<sup>371</sup>
  8. აღნიშნული მოთხოვნის დაუცველობა იწვევს ამოღებული საგნის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევას. მაგალითად, გვამიდან ამოღებული ტყვიის გული, რომელიც არ იქნა დათვალიერებული და დათვალიერების შედეგები არ იქნა ასახული შესაბამის ოქმში).

<sup>371</sup> უფრო დეტალურად იხ., სსსკ 135-ე მუხლის და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების მარეგულირებელი მუხლების კომენტარი.

- ნივთიერი მტკიცებულების მოპოვების პროცესის გაფორმება და მათი აღწერა საგამოძიებო მოქმედების ოქმების შედგენის გარეშე (მაგალითად, ნებაყოფლობით წარმოდგენის ოქმით, და ა.შ. რაც უცნობია სისხლის სამართლის პროცესისთვის) არამართლზომიერია, ვინაიდან აღნიშნული სახის საპროცესო დოკუმენტი უცნობია სსსკ-თვის, რაც აისახება ინფორმაციის მტკიცებულებით სტატუსზე.
9. დათვალიერებისას უნდა გამოვლინდეს და აღინეროს ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები, ნივთის მდგომარეობა. ინდივიდუალურ ნიშნებს მიეკუთვნება, მაგალითად, ნივთის დაზიანება, მდგომარეობა, ცვეთის ხარისხი, ფერი, ფორმა, ე.წ. იმეი კოდი, ძრავის ნომერი, ნებისმიერი ნიშანი, რომელიც გამოყოფს მას იმავე სახის ნივთებიდან და მხოლოდ მისთვის არის დამახასიათებელი.
  10. გვარეობით ნიშნებს მიეკუთვნება, მაგალითად, კომპიუტერული მონყობილობის სახე, პროცესორული სისტემა, ფერი, სერიული ნომერი, მანქანის მარკა, სერია, მოდელი და ა.შ.
  11. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ თვისებების გამოვლენას და ასახვას, რომლებსაც შეუძლიათ ნივთიერი მტკიცებულების შინაარსის ფორმირება, რისთვისაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ტექნიკური საშუალებები.
  12. ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია ნივთს არ გააჩნდეს ინდივიდუალური ნიშან-თვისებები (მაგალითად, ქარხნული წარმოების ერთი და იმავე სახის რამდენიმე ბეჭდის/სასაჩუქრე ნაკეთობის/ მონეტის უკანონოდ დაუფლება, რომელსაც არ მოჰყვება მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტაცია), გვარეობითი და ინდივიდუალური ნიშან-თვისებები მაქსიმალურად ზუსტად და დეტალურად უნდა იქნეს ასახული შესაბამისი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ოქმში.
  13. მაგალითად, პირადი ჩხრეკისას პირისგან „მომწვანო ფერის ხელყუმბარის ამოღებისას, დაცვის მხარე ეჭვქვეშ აყენებდა, რომ ხელყუმბარა, რომელსაც ჩაუტარდა საექსპერტო გამოკვლევა, ნამდვილად ის ხელყუმბარა იყო, რომელიც ამოღებულ იქნა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, ვინაიდან პირადი ჩხრეკის ოქმში ამომწურავად არ იყო მითითებული ამოღებული საგნის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები – არ ირკვეოდა რა მარკის, რა სახეობის, ან შეფერილობის ასაფეთქებელი მონყობილობა იქნა ამოღებული. ამოღებული საგნის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის სისრულის საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელია, რამდენად გააჩნია გამოძიების ორგანოს ამოღებული ნივთის კონკრეტული კატეგორიისადმი მიკუთვნების შესაძლებლობა საექსპერტო კვლევის გარეშე (მაგალითად, ხელყუმბარის ტიპის დადგენას სჭირდება სპეციალური ცოდნა, სავარაუდოდ, ნარკოტიკული ნივთიერების/ფხვნილის ამოღებისას ფხვნილის ნარკოტიკული საშუალებისადმი/სახისადმი მიკუთვნების საკითხი საჭიროებს საექსპერტო კვლევას (აშკარად გამოკვეთილი დამახასიათებელი ნიშნების არსებობის მიუხედავად); 2. თუ ნივთის ამოღება და დალუქვა ხორციელდება ბრალდებულის თანდასწრებით, რასაც ის თავისი ხელმოწერით ადასტურებს ლუქზე, მოგვიანებით დავა საგნის გამოცვლის შესახებ უსაფუძვლოა, თუ დარღვეული არ არის ლუქის მთლიანობა<sup>372</sup> და ბრალდებულს პირადი ჩხრეკის ოქმში შესაბამისი აღნიშვნა არ გაუკეთებია ამოღებული ნივთის წარმომავლობასთან დაკავშირებით (მაგალითად, შენიშვნა, რომ ოქმში მითითებული ნივთი მას თან არ ჰქონდა და მას არ ეკუთვნის, მისთვის უცნობია საიდან გაჩნდა ის).
  14. მე-2 ნაწილის მოთხოვნა მომდინარეობს სსსკ 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნიდან, რომელიც მტკიცებულებას დაუშვებლად მიიჩნევს მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს მისი გამოცვლის ან ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის შესახებ ეჭვი.
  15. პროკურორის ან გამომძიებლის მიერ არც ერთ შემთხვევაში არ ხდება ამოღებული/მოპოვებული საგნის ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანა, ვინაიდან ნივთის/საგნის მტკიცებულებად ცნობა სასამართლოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.
  16. ნივთიერ მტკიცებულებას წარმოადგენს არა თავად საგანი, როგორც ასეთი, არამედ რო-

<sup>372</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საქმეზე №1/ზ-555-12, 07/11/2012.

- გორც წესი, მისი განსაზღვრული თვისებები მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებთან მისი კავშირიდან გამომდინარე. ამიტომ ნივთიერი მტკიცებულების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს მისი დათვალიერება და პროცესის მწარმოებელი პირის გადაწყვეტილება საქმეზე მისი დართვის შესახებ.
17. ნივთიერი მტკიცებულების დამახასიათებელ და სხვა მტკიცებულებებისგან (მაგალითად, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა ოქმებისგან) განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს:
    18. საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ასახვა ხდება უშუალოდ საგანზე/დოკუმენტზე არა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების განხორციელების დროს უშუალოდ, არამედ სისხლის სამართალწარმოების მიღმა;
    19. საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ნივთზე /დოკუმენტზე ასახვაში არ მონაწილეობს ადამიანის ცნობიერება;
    20. ნებისმიერი საგანი, რომელიც არანაირად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული დოკუმენტად, ისევე როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება, ფული და ძვირფასეულობა, სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში უნდა იქნეს მიჩნეული ნივთიერ მტკიცებულებად. ნივთიერ მტკიცებულებას ასევე მიეკუთვნება საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებლები, რომლებიც პროცესის მწარმოებელი პირისათვის საინტერესოა თავისი გარეგნული ნიშან-თვისებების (ფერი, ზომა, წონა, ფორმა) გამო, მათ შორის დანაშაულის იარაღი, დანაშაულის საგანი, დოკუმენტები რომლებიც ასახავს დანაშაულის შემთხვევას (მაგალითად აუდიო-, კინო-, ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ასახულია დანაშაულის შემთხვევა, მაგალითად, ქრთამის გადაცემის, გამოძალვის, მუქარის, ძალადობის ფაქტი.
  21. საგანი ან დოკუმენტი ნივთიერი მტკიცებულების სტატუსს იძენს ვინაიდან განიცადა დანაშაულებრივი ქმედების ზემოქმედება, თუმცა ასეთი ზემოქმედების შედეგები შესაძლებელია განსხვავებული იყოს:
    - ნივთს შეუძლია შეინარჩუნოს დანაშაულის კვალი ვინაშით – მაგალითად, სისხლის კვალი ტანსაცმელზე/იატაკზე; თითის ანაბეჭდები მკვლელობის იარაღზე და სხვა. ამ დროს მტკიცებულებითი მნიშვნელობა ენიჭება ობიექტის ფიზიკურ თვისებებს – ფორმას, ფერს, შემადგენლობას, ლაქების რაოდენობას ტანსაცმელზე, სახეს, ზომას და ნაკანრების დამახასიათებელ განლაგებას, ქარგების განლაგებას და ა.შ.
    - დანაშაულებრივი ქმედებით შეიცვალა საგნის ფიზიკური მახასიათებლები – მაგალითად, დაზარალებულს დარჩა ხელჩანთა მოწყვეტილი ყურით/გაჭრილი ძირით.
    - საგნის/ნივთის ადგილმდებარეობის გამო – ბრალდებულის ჩხრეკისას მასთან იმ ძვირფასეულობის აღმოჩენა, რომელიც ეკუთვნის დაზარალებულს და რომელიც მას მოპარეს. ამ დროს თავად ნივთი და მისი მახასიათებლები არ არის შეცვლილი. დანაშაულის გავლენა ნივთზე იმაში გამოიხატება, რომ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მოხდა მისი გადაადგილება ჩვეული ადგილსამყოფელიდან. ამ დროს მნიშვნელობა ენიჭება ნივთის გარკვეულ პირთან ან ადგილზე აღმოჩენის ფაქტს.
  22. ნივთიერი მტკიცებულება ასევე შეიძლება იქნეს შექმნილი დანაშაულის ჩადენისას, მაგალითად, ყალბი ფული, ყალბი დოკუმენტი. ამ დროს მტკიცებულებითი მნიშვნელობა ენიჭება მისი დამზადების ფაქტს.
  23. ყველა შემთხვევაში ობიექტი იძენს ნივთიერი მტკიცებულების სტატუსს, თუ დანაშაულის ჩადენის შედეგად მან განიცადა გარკვეული ზეგავლენა და ასახავს ამ დანაშაულის კვალს ვინაშით (კრიმინალისტიკური) გაგებით ან ფართო (ინფორმაციული) მნიშვნელობით.
  24. ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, მისი დათვალიერების და საქმეზე დართვის ფაქტის ასახვა საპროცესო დოკუმენტში წარმოადგენს ამ ნივთიერი მტკიცებულების დასაშვებობის წინაპირობას, ქმნის ობიექტის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე ნიშან-თვისებების დამაგრების შესაძლებლობას, ნივთიერი მტკიცებულების წარმომავლობის და შესაბამისად, მასში მოცემული/მასზე ასახული ინფორმაციის სარწმუნოობის შემოწმების



- შესაძლებლობას. ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის და დამაგრების წესის დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს მისი დაუშვებლად ცნობა, ვინაიდან შექმნის დაუძლეველ ეჭვს მისი წარმომავლობის კანონიერებაში ან/და ნიშან-თვისებების შეცვლაში. მაგალითად, თუ დაზარალებულის და ბრალდებულის ტანსაცმელი არ იყო ჯეროვნად ამოღებული და დალუქული ჩხრეკა-ამოღებისას, მაშინ ერთმანეთზე დადებით მათზე გადასული მიკრონაწილაკები არ შეიძლება იქნეს განხილული როგორც დაზარალებულის ან ბრალდებულის ფიზიკური კონტაქტის არსებობის მტკიცებულება.
- 25.** ნივთიერი მტკიცებულების ამოღების ოქმში უნდა აღინიშნოს მისი რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები, ინდივიდუალური ნიშნები, რაც გამოყოფს მას გვაროვნული ობიექტებიდან და განაპირობებს აღნიშნული ნივთის მტკიცებულებით მნიშვნელობას.
- 26.** დიდი რაოდენობით საგნების და დოკუმენტების ამოღებისას ადგენენ ასევე სპეციალურ ნუსხას. ოქმში ან/და დანართში აღინიშნება ზუსტი დასახელება, რაოდენობა, ზომა, წონა, სერია, ნომერი და სხვა მახასიათებლები, საგნის აღმოჩენის ადგილი და დრო, ვითარება და სხვა
- 27.** შედარებითი კვლევის ნიმუში – არ ხასიათდება უნიკალურობით, აღდგენადია და შესაძლებელია მისი იმ რაოდენობით მოპოვება, რაც საჭიროა გამოძიებისათვის. შესაბამისად, ასეთი ნიმუშები შენაცვლებადი ხასიათისაა. მაგალითად, ბრალდებულის ხელწერის ნიმუში, ანატომიური და ბიოლოგიური ნიმუშები (თმის, სისხლის, ნერწყვის) და სხვა. მაგალითად, შემთხვევის ადგილიდან და დანაშაულის იარაღიდან ამოღებული თითის ანაბეჭდები, რომელთა მიკუთვნება ბრალდებულისადმი დადგენილია ტრასოლოგიური ექსპერტიზით ბრალდებულისგან აღებული თითის ანაბეჭდებთან შედარების გზით.
- 28.** სსსკ განასხვავებს მტკიცებულების ორი სახის უტყუარობას – შინაარსობრივ უტყუარობას და ე.წ. გარეფაქტორებზე დამოკიდებულ უტყუარობას, რომელიც უკავშირდება მისი წარმომავლობის დადგენას. თუ უცნობია მტკიცებულების წარმომავლობა, ვერ შეფასდება მისი სანდოობა და შესაბამისად, უტყუარიც არ არის. მეორე სახის უტყუარობა დაკავშირებულია ნიშან-თვისებების შეცვლასა და გამოცვლასთან.
- 29.** ავთენტიკურობის მოთხოვნას მუხლი უკავშირებს საქმის არსებით განხილვას. შესაბამისად, გამოძიების სტადიაზე არ გამოირიცხება იმ მტკიცებულების გამოყენება, რომლის ავთენტიკურობა სადავოა. ბრალდებას შესაძლებელია საფუძვლად დაედოს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი ბრალდებულის თითის ანაბეჭდებით, რომელსაც სადავოდ გახდის დაცვის მხარე (მხედველობაშია მისაღები სსსკ 82-ე მუხლის მოთხოვნებიც).
- 30.** ლუქის მოხსნა – სსსკ დასაშვებად მიიჩნევს. მაგალითად, მკვლელის ადგილიდან ამოღებული სისხლიანი პერანგის დათვალიერების უფლება უნდა ჰქონდეს როგორც დაცვის მხარეს, ასევე ექსპერტს საექსპერტო კვლევის წარდგენისას, ნაფიც მსაჯულებს იმისათვის, რომ დარწმუნდნენ რამდენად აღინიშნება ნივთმტკიცებაზე დაზარალებულისათვის მიყენებული ჭრილობების კვალი, ობიექტურად რამდენად შეიძლება აღნიშნული პერანგი ეკუთვნოდეს ბრალდებულს (ზომის შესაბამისობა) და ა.შ.
- 31.** ნივთიერი მტკიცებულებები, როგორც წესი, უშუალო კავშირშია დანაშაულთან და ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი თვისებების, შინაარსის და ამ შინაარსის შეფასებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სწორად დანახვასა და მათ ასახვას. სავალდებულოა იმის აღნიშვნა, თუ სად, როდის, რა ვითარებაში იქნა ნივთიერი მტკიცებულება აღმოჩენილი ან ამოღებული.
- 32.** ნივთიერი მტკიცებულება მოკლებულია იმ სუბიექტივიზმს, რაც დამახასიათებელია პიროვნული მტკიცებულებებისათვის, თუმცა არ არის გამორიცხული გაყალბების შესაძლებლობა ან უნებლიე შეცდომა აღწერისას. ამიტომ ნივთიერი მტკიცებულება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს a priori მტკიცების უფრო მნიშვნელოვან საშუალებად, ვიდრე ჩვენებები.

33. ნივთიერი მტკიცებულება იქმნება დანაშაულებრივი ქმედებით და ამიტომ შეუცვლელია. მათი დაკარგვა/დაზიანება/განადგურება გამოუსწორებელი შედეგების მატარებელია, რადგან დაუშვებელია მათი შენაცვლება. სხვა სახის მტკიცებულებებისგან განსხვავებით, ნივთმტკიცებას მჭიდრო კავშირი აქვს წარსულის მოვლენებთან, რაც მათ სძენს შეუნაცვლებადობის ხასიათს. სწორედ შეუნაცვლებადობა წარმოადგენს ნივთმტკიცების სხვა სახის მტკიცებულებებისგან განმასხვავებელ ნიშან-თვისებას. ნივთმტკიცების დაკარგვა, მისი გამოუსწორებელი დაზიანება (მათ შორის დამაგრების საპროცესო ფორმის დაუცველობა) იწვევს ნივთმტკიცების თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგენის შეუძლებლობას. ნივთმტკიცების კოპირება (ვიდეო-/ფოტოგადაღება, ტვიფრის დამზადება, მაკეტი) ვერ ჩანაცვლებს ნივთმტკიცებას, რადგან იწვევს უკვე სხვა დამოუკიდებელი მტკიცებულების შექმნას, რომელსაც განსხვავებული მტკიცებულებითი მნიშვნელობა გააჩნია. დოკუმენტის შემთხვევაში, კი პირიქით. დასაშვებია დაკარგული დოკუმენტის აღდგენა დუბლიკატის/ასლის/ ფოტოსურათის/ ელექტრონული ფორმატით იმავე წყაროდან მისი ხელახლა მოპოვების/გამოთხოვის გზით და მას თავდაპირველის ანალოგიური, ზუსტად ისეთივე მტკიცებულებითი ძალა ექნება.
34. ცალკეულ შემთხვევებში ნივთიერი მტკიცებულების დათვალეირების ოქმის არარსებობა შესაძლებელია არ წარმოადგენდეს სსსკ არსებით დარღვევას, როდესაც ნივთმტკიცების ავთენტიკურობა დგინდება საქმეში არსებული სხვა „გვერდითი“ ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ნივთმტკიცებას. მაგალითად, სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმეზე დაზარალებულმა, შემთხვევის დღესვე, გამოძიებელთან დაკითხვისას ნებაყოფლობით წარადგინა საკუთარი ტანსაცმელი, რომელიც დაილუქა გამოძიებლის მიერ, რაც ხელმოწერით დაადასტურეს დაზარალებულმა, მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა და გამოძიებელმა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტანსაცმლის დათვალეირების ოქმი არ იყო შედგენილი, ნივთმტკიცების ავთენტიკურობა დასტურდებოდა შემდეგი არაპირდაპირი ფაქტობრივი გარემოებებით: 1. ტანსაცმლის წარმოდგენის და გამოძიებლისათვის ნებაყოფლობით გადაცემის ფაქტი დასტურდებოდა დაზარალებულის დაკითხვის ოქმით; 2. ექსპერტების დასკვნებით: ა. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით; ბიოლოგიური ექსპერტიზის და გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნებით. სამივე მათგანში მითითებული იყო, რომ „წარედგინათ 2013 წლის 15 ოქტომბერს მონმე ა.მ-ს მიერ წარდგენილი ტანსაცმელი: ა. ნაცრისფერი ზედა; ბ. თეთრი პერანგი; გ. შავი ფერის ქვედა საცვალი; დ. ლურჯი ფერის ჯინსის შარვალი. ხელს აწერენ: 1. მონმე ა.მ; 2. წარმომადგენელი ვ.ჭ. და 3. პირი, რომელმაც განახორციელა დალუქვა – ი.ს. აღნიშნული ტექსტი დაწერილია ხელით ქაღალდზე, რომელზეც გაკეთებულია ლუქი და მითითებულია ხელმოწერები“. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოირიცხება ეჭვი ნივთიერი მტკიცებულების შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ. სასამართლოს განმარტებით, „ამ მოცემულობაში ობიექტურად შეუძლებელი იყო ბრალდებულის სპერმის განზრახ ან გაუფროთხილებლობით დაზარალებულის ტანსაცმელზე მოგვიანებით მოხვედრა“, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ ნივთმტკიცება არ არის მოპოვებული სსსკ არსებითი დარღვევით და დასაშვებია.<sup>373</sup>

## მუხლი 78. დოკუმენტის მტკიცებულებითი ძალა

**1. მხარის მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მონმედ დაჰკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა/შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე.**

<sup>373</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 08 მაისის განაჩენი საქმეზე №507-აპ-14.

**2. დოკუმენტი იმავდროულად შეიძლება იყოს სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერი მტკიცებულება, თუ მას შეუნაცვლებლობის თვისება აქვს.**

**3. თუ ამოღებული და სისხლის სამართლის საქმეზე დართული დოკუმენტი საჭიროა მიმდინარე აღრიცხვისათვის, ანგარიშგებისათვის და სხვა მართლზომიერი მიზნებისათვის, ის ან მისი ასლი შეიძლება კანონიერ მფლობელს დაუბრუნდეს ან გადაეცეს დროებით გამოსაყენებლად.**

1. დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა ენიჭება კუმულაციურად სამი სპეციალური წინაპირობის არსებობისას: 1. ცნობილია მისი წარმომავლობა; 2. ავთენტიკურია; 3. შესაძლებელია დაიკითხოს პირი რომელმაც შექმნა/მოიპოვა ან ვისთანაც ინახებოდა დოკუმენტი სასამართლოში წარდგენამდე.
2. დოკუმენტი შესაძლებელია არსებობდეს როგორც წერილობითი, ასევე ნებისმიერი სხვა ფორმით (აუდიო-ვიდეოჩანაწერი, კომპიუტერული ფაილების, სმს-ს, მმს-ის, მეხსიერების ბარათების სახით და ა.შ.), ოფიციალური/საქმიანი ქალაქის, ასევე არაოფიციალური სახით, მაგალითად, საჯარო/სამოქალაქო რეესტრიდან ამონაწერი, სანოტარო წესით დამონმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, ცნობა ხელფასის შესახებ, ცნობა სასამართლეობის შესახებ, ჯანმრთელობის ცნობა, ამონაწერი მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორისგან განხორციელებული სატელეფონო კომუნიკაციის (შემავალი-გამავალი ზარების ხანგრძლივობის, რაოდენობის, ლოკაციის, სიხშირის და ა.შ.), ინტერნეტ სერვის პროვაიდერის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ინტერნეტაქტივობის შესახებ, ე.წ. შინაურული ხელწერილი, მესიჯი, ელექტრონული წერილი, ფოტოსურათი, და ა.შ. (დოკუმენტის განმარტება, სსსკ მე-3 მუხლის 23-ე ნაწილი).
3. ოფიციალური დოკუმენტები პირობითად შეიძლება დაიყოს თავის მხრივ ორ სახედ; 1. პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ შექმნილი (მაგალითად, საგამოძიებო მოქმედების ოქმები); 2. სხვა დაწესებულების ოფიციალური დოკუმენტაცია, რომელსაც გააჩნია საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია – პროცესში მისი არსებობა უკავშირდება პროცესის მონაწილის მიერ მის მოპოვებას გარეშე წყაროებიდან, ან პროცესის მონაწილის მიერ მის ნებაყოფლობით წარმოდგენას. მაგალითად, სსკ 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულით დაზარალებული პირის მიერ სალაროს აპარატის ჩეკის/საგარანტიო ტალონის წარმოდგენა, რომლითაც დასტურდება მოპარული ნივთის მის საკუთრებაში არსებობა, ღირებულება, სერიული ნომერი, მარკა და ა.შ.
4. მთავარია, დოკუმენტი შეიცავდეს ინფორმაციას 78.1 ნაწილში მითითებული პირების შესახებ. სსსკ არ მოითხოვს იმპერატიულად შესაბამისი დოკუმენტის შემდგენელი პირის დაკითხვას მის ავთენტიკურობის დადასტურებისათვის, ვინაიდან ცალკეულ შემთხვევებში პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ დოკუმენტის შედგენაში (მხარეები, მარეგისტრირებული ორგანოს წარმომადგენელი – მაგალითად, ნოტარიუსი, ან შინაურული ხელწერილის/ანდერძის დროს – მონმეები), სამართალწარმოების დროისათვის შესაძლებელია გარდაცვლილები იყვნენ ან მათი ადგილსამყოფელი უცნობი იყოს. ამიტომ სსსკ ითვალისწინებს ალტერნატივის სახით იმ პირების სავალდებულოდ დაკითხვას, ვინც:
5. შექმნა – პირი რომლის მონაწილეობითაც იყო შექმნილი შესაბამისი დოკუმენტი (როგორც პირი, რომელმაც უშუალოდ შეადგინა დოკუმენტის ტექსტი, ასევე დოკუმენტის პროექტის ხელმომწერი თანამდებობის პირი). მაგალითად, სამოქალაქო ხელშეკრულების მხარეები, ადვოკატი, რომელმაც შეადგინა ხელშეკრულების ტექსტი, დასკვნის გამცემი ექსპერტი, ჯანმრთელობის ცნობის გამცემი ექიმი და ა.შ.
6. მოიპოვა – დოკუმენტი რომელიც არსებობდა მისი წარმომდგენი პირის ნების გარეშე და მის შექმნაში მას მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ მისი ძალისხმევით ხდება აღნიშნული დოკუმენტის დაქვანა, გამოთხოვა და წარმოდგენა. კანონმდებლობა არ აკონკრეტებს მოპოვების არც ხერხს და არც ფორმას, ვინაიდან აღნიშნული სფერო სამართალწარმოების ფარგლებს მიღმაა. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი პირს შესაძლებელია მოპოვებუ-

- ლი ჰქონდეს კანონიერად ან უკანონოდ. მაგალითად, ელექტრონული მიმონერის ამსახველი ფაილები, რომლებიც მიუთითებენ ტერორისტული აქტის დაგეგმვაზე, რაც კერძო პირის მიერ შემთხვევით იქნა მოპოვებული სხვა პირის საიტზე ჰაკერული თავდასხმის დროს. მეორე მხრივ, კონკრეტული დოკუმენტი შეიძლება პირს სავსებით კანონიერად ჰქონდეს მოპოვებული – მაგალითად, დაბადების მოწმობის ასლის გამოთხოვა სამოქალაქო რეესტრიდან.
7. ვისთანაც ინახებოდა – ნებისმიერი პირი (ფიზიკური/იურიდიული, კერძო/საჯარო დაწესებულება). მაგალითად, ნოტარიუსი, რომელთანაც ინახება ანდერძი; ოჯახის წევრი, გამომძიებელი, ორგანო, რომელსაც გადაეცა შესანახად შესაბამისი დოკუმენტი, საბანკო/საგადასახადო დაწესებულება, არქივი და ა.შ. მთავარია, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამ პირთან ინახებოდეს სასამართლოში წარდგენამდე. თუ დოკუმენტი მონაცვლეობით რამდენიმე პირთან ინახებოდა დროის სხვადასხვა მონაკვეთში – მნიშვნელოვანია იმ პირის დაკითხვა, ვისთანაც ინახებოდა უშუალოდ სასამართლოში მის წარდგენამდე.
  8. მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის პრინციპიდან გამომდინარე, არაოფიციალური ე.წ. ფიზიკური პირებიდან მომდინარე დოკუმენტებს არ შეუძლიათ ჩაანაცვლონ მათი ჩვენებები. რაც შეეხება ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი შეიცავენ იმ ინფორმაციას, რომლის მოპოვება/დამუშავება/წარმოდგენა მთლიანად მათ კომპეტენციას მიეკუთვნება, მაშინ ამ დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის პირველწყაროდ მიიჩნევა შესაბამისი ორგანო და ამიტომ ამ დოკუმენტის ავტორის დაკითხვა საჭირო არ არის. მაგრამ, როდესაც ოფიციალურ დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია სცილდება კონკრეტული ორგანოს სპეციალურ კომპეტენციას, ის, როგორც წესი დაკითხული უნდა იქნეს მოწმის სახით. მაგალითად, პოლიციის თანამშრომლის პატაკი პირის დაკავების შესახებ, რომელშიც ის მიუთითებს როგორც პირის დაკავების დროს, ადგილს, საფუძველს ასევე – პირის ქცევას დაკავებისას, წინააღმდეგობის ფაქტს და სახეს/ინტენსივობას, დანაშაულის კვალს, დაკავების ვითარებას და ა.შ. ამ შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი მიეკუთვნება შსს კომპეტენციას, რომელსაც უფლება აქვს განახორციელოს დაკავება, მაგრამ ინფორმაციის ნაწილი, რომელიც ეხება პირის მიმართ დევნის წარმოებას, სცილდება მის კომპეტენციას, ამიტომ დევნის წარმოების საკითხის კანონიერების/დასაბუთებულობის განხილვისათვის საჭიროა მისი მოწმის სახით დაკითხვა. ანალოგიურად, დაკითხვა შესაძლებელია საჭირო გახდეს წარმოებული კვლევის მეთოდოლოგიის სანდოობის, სისრულის შემოწმებისათვის.
  9. დოკუმენტის წარმომავლობა გულისხმობს, რომ ცნობილია მისი შედგენის დრო, ადგილი, ვითარება, შემდგენელი პირი, მასში ცვლილებების შეტანის საფუძველი და თარიღი, მასში ასახული ინფორმაციის საფუძველი და სხვა გარემოებები, რომლებიც მიუთითებს მის წარმომავლობაზე.
  10. ავთენტიკურობა – დოკუმენტის ნამდვილობა, რომ ის არ არის სახეშეცვლილი, მოდიფიცირებული, მასზე აღბეჭდილი ხელმოწერა ნამდვილად ეკუთვნის მითითებულ პირს, და ა.შ. ავთენტიკურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი შესაძლებელია იყოს ხელმოწერის ნამდვილობა. ცალკეულ შემთხვევებში მხარე შესაძლებელია სადავოდ არ ხდიდეს ხელმოწერის ნამდვილობას, მაგრამ სადავოდ ხდიდეს დოკუმენტის ტექსტუალურ ნაწილს და მიუთითებდეს, რომ ის გაყალბებულია (მასში მოგვიანებით იქნა ჩამატებული გარკვეული ტექსტი რომელიც არ არსებობდა ხელმოწერის მომენტში – მაგალითად, ჩამატა ცალკეული სიტყვა/ წინადადება, დამატებითი ციფრი (10 000 ნაცვლად უნდა იყოს 100) და ა.შ.).
  11. ოფიციალური დოკუმენტი ავთენტიკურია, თუ შეიცავს შესაბამისი კატეგორიის დოკუმენტისათვის დადგენილ ყველა რეკვიზიტს: მითითებას გამომცემი ორგანოს შესახებ, უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერას, ორგანიზაციის ბეჭედს/შტამპს, სარეგისტრაციო ნომერს და ა.შ.

12. არაოფიციალური დოკუმენტის მტკიცებულებითი ძალის შეფასებისას (მაგ., თაღლითობის საქმეზე მხარის მიერ წარმოდგენილი ბრალდებულის ხელწერილი დაზარალებულისგან კონკრეტული ოდენობის თანხის მიღების შესახებ) ფორმის და რეკვიზიტების დაცვის საკითხი არარელევანტურია. არაოფიციალური დოკუმენტების ავთენტიკურობა ფასდება საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობიდან გამომდინარე. მაგალითად, ექსპერტიზის გზით (მაგ., კალიგრაფიული ექსპერტიზა ბრალდებულის მიერ აღნიშნული ხელწერილის დანერის დასამტკიცებლად, დოკუმენტის ექსპერტიზა იმისათვის, რომ დადგინდეს მასში გაყალბების, დოკუმენტის ტექსტზე მექანიკური ზემოქმედების არარსებობა და სხვა).
13. 78-ე მუხლი იმავდროულად მიუთითებს დოკუმენტის ავთენტიკურობის შემოწმების მინიმალურ სავალდებულო ხერხებზე. თუმცა ავთენტიკურობის დასადგენად შესაძლებელია სხვა საშუალებების გამოყენებაც.
14. დოკუმენტის ავთენტიკურობა, როგორც წესი, დგინდება:
- პირდაპირი მტკიცებულებით – მაგალითად, იმ პირის მიერ, ვისაც გააჩნია დოკუმენტის შესახებ პირადი ცოდნა – ვინც შექმნა, ვისთანაც ინახებოდა დოკუმენტი, ვინც დაინახა როგორ და ვის მიერ ინერებოდა დოკუმენტი და სხვა. მათ შეუძლიათ ჩვენებით დაადასტურონ ავთენტიკურობა;
  - მონმე-ექსპერტის ჩვენებით;
  - მონმის ჩვენებით, რომელიც იცნობს ბრალდებულის ხელწერას. მისი ცოდნა შესაძლებელია ემყარებოდეს რამდენიმე გარემოებას: მან საკუთარი თვლით ნახა როგორ წერდა ამ დოკუმენტს ბრალდებული, მდივანი – რომელიც კარგად იცნობს თავისი უფროსის ხელწერას, ვინაიდან ყოველდღიური შეხება აქვს აღნიშნულთან; მეუღლე/მშობელი, რომელიც კარგად იცნობს მეუღლის/შვილის/მშობლის ხელწერას;
  - სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით – მაგალითად, დოკუმენტების ექსპერტიზა, კალიგრაფიული ექსპერტიზა; მელნის ან/და გამოყენებული კომპიუტერული ტექნოლოგიის ანალიზი, ხანდაზმულობის, დოკუმენტის ტექსტზე მექანიკური ზემოქმედების კვალის (წაშლა, გადანერა, ჩამატება და სხვა) და ა.შ. არსებობის შემოწმება;
  - ე.წ. გარემოებითი მტკიცებულებებით – დოკუმენტის ავთენტიკურობის დადგენა იმ გარემოებით, რომ ის მიღებულ იქნა მისი ავტორისათვის გაგზავნილი წერილის/კომუნიკაციის საპასუხოდ; მასში მოცემულია ისეთი გარემოებები, რომლებიც მაღალი ალბათობით არ შეიძლება ყოფილიყო ცნობილი მისი სავარაუდო ავტორის/ბრალდებულის გარდა რომელიმე სხვა პირისათვის;
  - თუ დოკუმენტი შესანახად არის გადაცემული/ინახება საჯარო დაწესებულებაში, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ასეთი დოკუმენტაციის შენახვის უფლება, მაშინ ამ დაწესებულებიდან ამ დოკუმენტის ოფიციალურად გამოთხოვით. მაგალითად, საჯარო რეესტრში ქონების შეძენის რეგისტრაციისას ხელშეკრულების დედნის ერთი ასლი ბარდება საჯარო რეესტრს, რომელიც მოგვიანებით შესაძლებელია გამოთხოვილ იქნეს მხარის მიერ საქმეში არსებული დოკუმენტის ავთენტიკურობის დასადგენად.
15. დოკუმენტის ავთენტიკურობის დადგენის უამრავი ხერხი არსებობს, რომელთა ამომწურავად ჩამოთვლა პრაქტიკულად შეუძლებელია.
16. პერიოდული გამოცემების პუბლიკაციები (გაზეთები, ჟურნალები და ა.შ.) – ნებისმიერი ჟურნალი/გაზეთი თავისთავად ავთენტიკურია. მნიშვნელობა არა აქვს მისი პოპულარობის, ცნობადობის ანდა გავრცელების მასშტაბს, რამდენად ფართოდ გაყიდვადია. მთავარია, ის განსაზღვრული პერიოდულობით უნდა იბეჭდებოდეს და არ უნდა ჰქონდეს ერთჯერადი ხასიათი, რაც გამორიცხავს მათ გაყალბებას, ვინაიდან მათ უმეტესობას გააჩნია სპეციფიკური ლოგო, დიზაინი და ბეჭედი სხვა მახასიათებელი, რაც ართულებს გაყალბებას.
17. ბეჭედდასმული დოკუმენტაცია – დოკუმენტი, რომლის ავთენტიკურობაც დასტურდება სახელმწიფო დაწესებულების მიერ მასზე დასმული ბეჭდით და უფლებამოსილი პირის ხე-

- ლმონერით, რომელიც ადასტურებს მის ავთენტიკურობას (მაგალითად, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი, რომელზეც არის როგორც ბეჭედი, ასევე შესაბამისი უმაღლესი დანესებულების რექტორის ხელმოწერა, რომლითაც დასტურდება, რომ შესაბამისი პირი აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მან მოიპოვა შესაბამისი ხარისხი), ხელმოწერელი დოკუმენტი, რომლის ავთენტიკურობა დასტურდება უნიკალური შტრიხ-კოდით (მაგალითად, საჯარო რეესტრის ამონაწერი);
18. სავაჭრო ნიშანი – კომერციულ პროდუქტზე სავაჭრო ნიშანი, მარკა, როგორც წესი საკმარისია მისი ავთენტიკურობის დასადგენად, თუ ის არ არის დაზიანებული და მხარე სადავოდ არ ხდის მის ნამდვილობას. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს სავაჭრო ნიშნების ან პროდუქციის გაყალბებას.
19. ჩანახატები/ნახაზები – მაგალითად, ბრალდების მხარემ შესაძლებელია გამოიყენოს გრაფიკული გამოსახულება იმის დემონსტრირებისათვის, საიდან შეაღწია დამნაშავემ სადგომში, როგორ გადაადგილდებოდა და. ა.შ; ექიმმა – თვალსაჩინოება იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახადოს მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია სამედიცინო განათლების არმქონე პირებისათვის. მთავარია, ნახატი/დიაგრამა/თვალსაჩინოება იყოს ავთენტიკური და არ იწვევდეს ეჭვს. დიაგრამის/ნახაზის/ნახატის ავთენტიკურობის დასადგენად, როგორც წესი, იყენებენ მისი შემდგენელი პირის დაკითხვას. კვლევების ავთენტიკურობის დასადგენად – კვლევის მწარმოებელი პირის დაკითხვას გამოყენებული მეთოდების და მათი შედეგების ასახვის სიზუსტის შესახებ. მაგრამ ექიმის მიერ თვალსაჩინოების გამოყენება, რომელიც ფართოდ გამოიყენება და არ არის შექმნილი ამ ერთი კონკრეტული საქმისწარმოების მიზნებისათვის, როგორც წესი, არ საჭიროებს ავთენტიკურობის დადგენას.
20. ნივთიერი მტკიცებულების ავთენტიკურობის დასადგენადაც პრაქტიკულად იგივე ხერხები გამოიყენება, რაც ზემოთ აღვნიშნეთ. ერთი განსხვავებით – მათი იდენტიფიცირება არ ხდება შედარების საფუძველზე, ვინაიდან არ ტარდება შედარებითი კვლევა.
21. დოკუმენტს ნივთიერი მტკიცებულების სტატუსი ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ ხასიათდება შეუნაცვლებლობით. მაგალითად, პასპორტი წარმოადგენს პიროვნების ვინაობის დასადგენ დოკუმენტს. მაგრამ, თუ ადგილი აქვს პასპორტში ვინაობის/ დაბადების თარიღის/ადგილის /ხელმოწერის/სურათის და ა.შ. გაყალბებას წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებას სსკ 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეზე. თუ დოკუმენტი (ოფიციალური ან არაოფიციალური) როგორც მატერიალური სამყაროს საგანი, შეიცავს დანაშაულის შესახებ ინფორმაციას (მაგალითად, გაყალბების კვალი, ცრუ დასმენის შემთხვევაში – ყალბ ინფორმაციას პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ, მუქარის ტექსტის შემცველი გზავნილი (აუდიო/ვიდეო/ნაბეჭდი/ხელნაწერი/ელექტრონული)), ის შეუნაცვლებელი ინფორმაციის წყაროა და ამიტომ წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებას. და პირიქით, თუ წყარო შენაცვლებადია და იგივე ინფორმაცია შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს განმეორებით ახალი დოკუმენტით – ეს ინფორმაციის მატარებელი მიეკუთვნება დოკუმენტს, მაგრამ არა ნივთიერ მტკიცებულებას. მაგალითად, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, დაბადების მოწმობის/ ატესტატის/დიპლომის ასლი.
22. წარსულის მოვლენებთან ნივთიერი მტკიცებულების განუყოფელი კავშირიდან გამომდინარეობს სხვა, მომიჯნავე სახის მტკიცებულებებისგან მათი გამოყოფის პრაქტიკული კრიტერიუმი – მათი შეუნაცვლებლობა. დაკარგვა, გამოუსწორებელი დაზიანება, მათ შორის დადგენილი საპროცესო ფორმის დაუცველობა, გულისხმობს ნივთიერი მტკიცებულების შენაცვლების/თავიდან მოპოვების შეუძლებლობას, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო გახდებოდა დაბრუნება წარსულში – დროში, როდესაც ხდებოდა შესაბამისი მტკიცებულებითი ფაქტის ჩამოყალიბება. ნივთიერი მტკიცებულების კოპირებას (მაგალითად, ფოტოსურათების, ტვიფრების, ასლების, მაკეტების და ა.შ. დამზადება) არ შეუძლია ამ დანაკლისის შევსება, ვინაიდან იწვევს სხვა მტკიცებულების წარმოქმას, რომელსაც გააჩნია განსხვავებული მტკიცებულებითი ძალა (ე.წ. ნაწარმოები მტკიცებულება). ხოლო

- დოკუმენტის დაზიანების შემთხვევაში, ადვილად შეიძლება იმავე წყაროდან მისი ახალი ასლის გამოთხოვა, რომელსაც თავდაპირველის იდენტური მტკიცებულებითი ძალა ექნება.
23. დოკუმენტის შედგენასთან დაკავშირებულ გარემოებებს (მათი მომზადების დრო, ადგილი, მხარის მიერ მათი გამოთხოვა და ა.შ.), როგორც წესი, არ გააჩნია ისეთი მტკიცებულებითი მნიშვნელობა, რაც დამახასიათებელია ნივთიერი მტკიცებულებისათვის, ამიტომ ისინი შენაცვლება, ე.ი. მათი მტკიცებულებითი ძალისათვის ზიანის მიყენების გარეშე შესაძლებელია იმავე წყაროდან იმავე შინაარსის მქონე სხვა დოკუმენტით მათი ჩანაცვლება (მაგალითად, დუბლიკატებით). წინააღმდეგ შემთხვევაში დოკუმენტი იძენს ნივთიერი მტკიცებულების მნიშვნელობას.
  24. დოკუმენტის დაყოფა ნივთიერ მტკიცებულებად და დოკუმენტად მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სსსკ დოკუმენტებისგან განსხვავებით სპეციალურ წესებს ითვალისწინებს ნივთიერი მტკიცებულების შენახვისთვის, ადგენს ნივთიერი მტკიცებულების შესახებ გადამწყვეტილების მიღების წესებს სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე და დამთავრების შემდეგ და ა.შ.
  25. როდესაც დოკუმენტზე აღინიშნება ხარვეზი, გადასწორება, წარმოადგენს დანაშაულის საგანს ან დანაშაულის ჩადენის საშუალებას, ის იმავდროულად ნივთიერი მტკიცებულებაცაა. მაგალითად, გაყალბებული ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე გადასახადის გადახდისათვის თავის არიდება, ფულის ნიშნების გაყალბება.
  26. ნივთიერ მტკიცებულებას წარმოადგენს ასევე იმ მტკიცებულებათა ნაწილი, რომელიც ფორმით ყოფითი მნიშვნელობის „დოკუმენტის“, მაგრამ, ვინაიდან ამ კატეგორიის „დოკუმენტები“ საქმისათვის მნიშვნელოვანია თავისი გარეგნული მახასიათებლების გამო, მისი შინაარსის მიუხედავად, სსსკ მიზნებისათვის ის წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებას.
  27. ნივთიერ მტკიცებულებას წარმოადგენს ასევე მობილური ოპერატორებისგან ამოღებული ამონაწერი შემავალი და გამავალი ზარების, ადგილმდებარეობის, ხანგრძლივობის და ა.შ. შესახებ, ინტერნეტტრაფიკის მონაცემები, სატელეფონო და სხვა სახის კომუნიკაციის ფონოგრამა, სერვის პროვაიდერების მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია პირისათვის განეული მომსახურების დეტალების, მათ შორის ინტერნეტაქტივობის ისტორია და სხვა.
  28. ცალკეულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. „დოკუმენტი“ (ყოფითი გაგებით) მნიშვნელოვანია გამოსაძიებელი საქმისათვის მისი შინაარსიდან გამომდინარე, ის მაინც ნივთიერ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი და სსსკ დადგენილი წესით დათვალიერდეს, დაილუქოს და ნივთიერი მტკიცებულების სახით დაერთოს საქმეს. მაგალითად, „დოკუმენტის“ ტექსტში მითითებული ინფორმაცია იქნა გამოყენებული დანაშაულის იარაღად (მაგ. ყალბი დოკუმენტის საფუძველზე სხვისი ქონების დაუფლება), ან მისი წინააღმდეგ იქნა განხორციელებული დანაშაული (სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტის ქურდობა), შეიცავს თავის თავზე დანაშაულებრივი შემთხვევის და არა დანაშაულის კვალს (ქრთამის/ სახ. საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გადაცემის მომენტის ამსახველი ფოტოსურათი, ბანკის სათვალთვალო კამერის ჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილია ყაჩაღური თავდასხმა და ა.შ.).
  29. თუ ბრალდებულს ბრალად ერა ცხება საკანონმდებლო აქტებით დადგენილი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, საქმის მასალებში ზუსტად უნდა იქნეს მითითებული შესაბამისი საკანონმდებლო აქტის რეკვიზიტები.
  30. წერილობითი დოკუმენტის სახის მიხედვით მის სავალდებულო რეკვიზიტებს მიეკუთვნება ტექსტის განთავსება კონკრეტულ ბლანკზე, ბეჭდის/შტამპის არსებობა, სარეგისტრაციო ნომერი და ა.შ., რომელთაგან ერთ-ერთის არარსებობაც კი ინვესტ ეჭვს მის დასაშვებობაში.
  31. დოკუმენტური მტკიცებულება, როგორც წესი, დიდი მოცულობისა, თუმცა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს მასში ასახული ინფორმაციის მხოლოდ მცირე ნაწილი და არა ყვე-

- ლაფერი, რაც მასში დეტალურად არის ახსნილი და აღწერილი. სსსკ 82-ე მუხლიდან გამომდინარე, ასეთი მტკიცებულების გამოყენებისას ზუსტად უნდა იყოს მითითებული მისი ნაწილი, რომელიც აკმაყოფილებს რელევანტურობის მოთხოვნას.
- 32.** საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ოქმები შეიცავენ ინფორმაციას საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. ამ ფაქტობრივი ინფორმაციის აღქმა ხდება უშუალოდ საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისას გამომძიებლის და საგამოძიებო მოქმედების სხვა მონაწილეების მიერ და ის ვერ იქნება მოპოვებული სხვა წყაროდან. მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გამომძიებელი უშუალოდ ახდენს დანაშაულის ჩადენის ადგილის და ვითარების შესახებ ინფორმაციის აღქმას და ინფორმაციის დიდი მოცულობიდან ირჩევს მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ასახავს დანაშაულებრივ შემთხვევას და რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მტკიცებულებითი მნიშვნელობა. მაგრამ ამ ინფორმაციის საპროცესო დამაგრება შესაძლებელია მხოლოდ საგამოძიებო მოქმედების ოქმში მისი აღწერის გზით, რაც ხდება აღნიშნული ინფორმაციის წყარო და დაერთვის საქმეს, მისი გაცნობის შესაძლებლობა აქვთ პროცესის მონაწილეებს, და გამოიყენება სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე არაერთგზის.
- 33.** ასეთ მტკიცებულებებს მიეკუთვნება სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების ოქმები. გამოწვევის დაკითხვის ოქმები,<sup>374</sup> რომელთაც დამოუკიდებელი მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ გააჩნია. დაკითხვის შემთხვევაში მტკიცებულებას წარმოადგენს მოწმის ჩვენება, ხოლო ოქმი მხოლოდ ფიქსაციის საშუალებაა. ამიტომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სსსკ გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლებელია მოწმის დაკითხვა არსებით სასამართლო სხდომაზე და სასამართლო სხდომაზე ხდება მის მიერ ადრე მიცემული ჩვენების გამოქვეყნება, მხარეები იკვლევენ არა დაკითხვის ამსახველ ოქმს, არამედ თავად ჩვენებას, რაც წარმოადგენს მტკიცებულების დამოუკიდებელ სახეს.
- 34.** საგამოძიებო მოქმედების ოქმის დასაშვებობის ძირითად წინაპირობას წარმოადგენს სსსკ გათვალისწინებული ფორმალური წინაპირობების დაცვა: კომპეტენტური პირის მიერ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, სსსკ გათვალისწინებული პირების სავალდებულო მონაწილეობის უზრუნველყოფა, კანონმდებლობით დადგენილი წინაპირობების დაცვით (მაგალითად, სასამართლოს განჩინების, გადაუდებელი აუცილებლობის ან მესაკუთრის, მფლობელის, კომუნიკაციის ერთ-ერთი მხარის თანხმობით). ოქმში სსს კოდექსით დადგენილი წესების მოთხოვნათა შესაბამისად დეტალურად, სრულად და ზუსტად უნდა იქნეს ასახული საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობა და მისი შედეგები. რაც შეეხება სასამართლო სხდომის ოქმს, მას მტკიცებულებითი მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ იმ ნაწილში, რა ნაწილშიც ასახავს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მაგრამ მხარეთა მოსაზრებებს წარდგენილი ბრალდების და საქმეში არსებული მტკიცებულებების შესახებ, მათ დასკვნით სიტყვებს მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ გააჩნია.
- 35.** ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის აზრით, სასამართლომ არ უნდა დაუშვას ბრალის დადგენილება მტკიცებულებად, ვინაიდან „ბრალის დადგენილების მტკიცებულებად ჩათვლა, ფაქტობრივად ნიშნავს მისი მცდარობის დადგენის ტვირთის ბრალდებულზე გადატანას.“<sup>375</sup>

## მუხლი 79. ნივთიერი მტკიცებულების შენახვა

- 1. ნივთიერი მტკიცებულება ინახება ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს მის დაკარგვას და მისი თვისებების შეცვლას.**
- 2. ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც არ ნადგურდება, მესაკუთრეს ან მფლობელს არ უბრუნ-**

<sup>374</sup> გარდამავალ ეტაპზე, სანამ დაკითხვის წარმოება დაიშვება საგამოძიებო ორგანოშიც 1998 წლის სსსკ შესაბამისად.

<sup>375</sup> OSCE/ODIHR, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, 09/12/2014, §9,9, §.32,18.



დება ან სახელმწიფოს არ გადაეცემა, ინახება სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

**3. ძვირფასი ლითონები, ქვები (თვლები), ფულის ნიშნები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქალაქდები, თუ მათ ინდივიდუალურ ნიშნებს მტკიცებულების მნიშვნელობა არა აქვს, ინახება საბანკო დანესებულებაში.**

**4. ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება ინახებოდეს ასევე სხვა ადგილას.**

1. ნივთიერი მტკიცებულების შენახვის წესი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რომელ სტადიაზეა სისხლის სამართლის საქმე (მიმდინარეობს გამოძიება, გადაგზავნილია სასამართლოში, მიღებულია თუ არაშემაჯამებელი გადაწყვეტილება).
2. თუ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, ნივთიერი მტკიცებულების შენახვაზე პასუხისმგებელია ის მხარე, რომელმაც იგი მოიპოვა (ბრალდების მხარის შემთხვევაში ეს არის პროცესის მწარმოებელი ორგანო/პირი/სისხლის სამართლის საქმის გამომძიებელი). შესაბამისად, ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს ნივთიერი მტკიცებულების ისეთ პირობებში შენახვა, რომლებიც გამორიცხავს მის დაკარგვას ან/და მისი თვისებების შეცვლას. მაგალითად, თუ სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებას წარმოადგენს ცეცხლსასროლი იარაღი, გამომძიებელმა იგი უნდა შეინახოს დალუქული ფორმით (რათა მასზე არ ნაიშალოს კვლები, არ მოხდეს მისი რომელიმე დეტალის შეცვლა) და ისეთ ადგილზე (როგორც წესი, ეს არის სეიფი), რომელიც გამორიცხავს სხვა პირის მასთან შეხებას.
3. თუ სისხლის სამართლის საქმე იგზავნება სასამართლოში, მხარემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ნივთიერი მტკიცებულების სისხლის სამართლის საქმის მასალებთან ერთად სასამართლოში გადაგზავნის მიზანშეწონილობის შესახებ. გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება ნივთიერი მტკიცებულების მოცულობა, მისი სასამართლოზე გამოკვლევის/დემონსტრირების საჭიროება და სხვა გარემოებები. მაგალითად, თუ ნივთიერი მტკიცებულება არის ავტომანქანა ან სხვა დიდგაბარიტიანი ნივთი, მისი სისხლის სამართლის საქმის მასალებთან ერთად სასამართლოში გადაგზავნა არ არის მიზანშეწონილი. ასევე, მაგალითად, თუ ნივთიერი მტკიცებულება არის ნარკოტიკული საშუალება, რომელზეც ჩატარებულია ექსპერტიზა და ექსპერტს დასკვნაში გაცემული აქვს პასუხი სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად ყველა საჭირო კითხვაზე, როგორც წესი, მხარე აღნიშნულ ნარკოტიკულ საშუალებას აღარ აგზავნის სასამართლოში, ვინაიდან არსებითი განხილვის სხდომაზე, როგორც წესი, არ ხდება ფიზიკურად ნარკოტიკული საშუალების დათვალიერება/გამოკვლევა. თუ ნივთიერი მტკიცებულება (მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღი) მხარეს სჭირდება სასამართლოზე დემონსტრირებისთვის, მან შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის მასალებთან ერთად ნივთიერი მტკიცებულების სასამართლოში გადაგზავნის შესახებ. თუ ნივთიერი მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმის მასალებთან ერთად გადაგზავნილი იქნა სასამართლოში, მის შენახვაზე პასუხისმგებელია სასამართლო. თუ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გადაგზავნის შემდგომ, ნივთიერი მტკიცებულება შესანახად რჩება მხარესთან, ეს უკანასკნელი მის შენახვაზე იმავე მოცულობით არის პასუხისმგებელი, როგორც სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გადაგზავნამდე.
4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლი განსაზღვრავს გარკვეული კატეგორიის ნივთიერი მტკიცებულებების შენახვის სპეციალურ წესს. კერძოდ, ძვირფასი ლითონები, ქვები (თვლები), ფულის ნიშნები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქალაქდები, უნდა იქნეს შენახული საბანკო დანესებულებაში. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა მათ ინდივიდუალურ ნიშნებს მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, თუ ფულადი თანხა წარმოადგენს დანაშაულის საგანს (მაგალითად, მითვისების შემთხვევაში), იგი შენახულ უნდა იქნეს საბანკო დანესებულებაში, მაგრამ, თუ ფულად თანხაზე (კუპიურაზე) დატოვებულია თითის კვალი ან სისხლის ნიშნები, მათი შენახვა შეიძლება მოხდეს პროცე-

სის მწარმოებელ ორგანოში.

5. სსსკ-ი იძლევა ნივთიერი მტკიცებულების სხვა ადგილზე შენახვის შესაძლებლობას. მაგალითად, თუ ნივთიერი მტკიცებულების გადაადგილება რთულია მისი დიდი გაბარიტიდან გამომდინარე, იგი შეიძლება ინახებოდეს მისი აღმოჩენის ადგილზე. ან, თუ ნივთიერ მტკიცებულებას წარმოადგენს ავტომანქანა, იგი შეიძლება ინახებოდეს სპეციალურად გამოყოფილ ავტოსადგომზე.
6. ნივთიერი მტკიცებულების ბედი წყდება შემაჯამებელი გადანყვეტილებით (განაჩენით, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებით). კერძოდ, განაჩენში, დადგენილებაში უნდა მიეთითოს მისი განადგურების, საპროცესო კონფისკაციის, კონკრეტული პირისთვის/სახელმწიფოსთვის დაბრუნების ან გადაცემის შესახებ. თუ შემაჯამებელ გადანყვეტილებაში არ იქნა გადანყვეტილი ნივთიერი მტკიცებულების ბედი, იგი უნდა იქნეს შენახული სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით. ვინაიდან, სისხლის სამართლის საქმეები, როგორც წესი, ინახება უვადოდ, ნივთიერი მტკიცებულებაც ინახება უვადოდ.

### **მუხლი 80. გადანყვეტილება ნივთიერი მტკიცებულების შესახებ სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე (29.07.2013. №893)**

1. სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე საგამოძიებო ორგანო მესაკუთრეს ან მფლობელს უბრუნებს მალფუჭებად საგნებს, ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში აუცილებელ საგნებს, შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს, თუ მათ ყადაღა არა აქვს დადებული. სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე საგამოძიებო ორგანომ მესაკუთრეს ან მფლობელს შეიძლება დაუბრუნოს სატრანსპორტო საშუალებები, თუ მათ ყადაღა არა აქვს დადებული.
2. თუ ნივთიერი მტკიცებულება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არის სატრანსპორტო საშუალება – საგანი, რომელიც მესაკუთრის (მფლობელის) ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი კანონიერი მფლობელობიდან, საქმის მწარმოებელი ორგანო უშუალოდ ან უფლებამოსილი ორგანოს მეშვეობით წერილობით შესთავაზებს საგნის მესაკუთრეს ან კანონიერ მფლობელს, თუ ეს პირი ცნობილია, დაიბრუნოს თავისი კუთვნილი საგანი. საქმის მწარმოებელმა ორგანომ წერილობითი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს საგნის მესაკუთრეს (კანონიერ მფლობელს) მისი ვინაობის დადგენისთანავე. წერილობითი შეტყობინების მიღება დასტურდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტით ან ამ შეტყობინებაზე საგნის მესაკუთრის (კანონიერი მფლობელის) ხელმოწერით, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – შესაბამისად ოჯახის წევრის ან/და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. საგნის მესაკუთრე (კანონიერი მფლობელი) წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 90 დღის ვადაში საკუთარი ხარჯით უბრუნველყოფს თავისი კუთვნილი საგნის დაბრუნებასა და ტრანსპორტირებას.
3. თუ ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საგნის მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი არ არის ცნობილი, არ არსებობს ამ საგნის კანონიერი წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მისი დაბრუნება შეუძლებელია სხვა მიზეზით, საგანი შეიძლება ჩაბარდეს შესაბამის პირს (ორგანიზაციას) გამოსაყენებლად, შესანახად, მოსავლელად და მისგან ამ საგნის ამოღებიდან 90 დღის გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სასამართლოს შუამდგომლობა ამ მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი წესით საგნის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ.
4. ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით მესაკუთრისათვის ან კანონიერი მფლობელისათვის შეტყობინების ჩაბარებიდან 90 დღის გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ ან ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პროკურორი სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით, რომელიც ამ კოდექსის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, წარდგენიდან არა უგვიანეს 5 დღისა განიხილავს შუამდგომლობას ყვე-

ლა დაინტერესებული პირის მონაწილეობით და წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის ან იმ პირისათვის დაბრუნების შესახებ, რომელმაც შეიძინა იგი და შექენის მომენტი-სათვის არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის თაობაზე.

5. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული საგნის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ამ მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მოსამართლის მიერ გამოტანილ განჩინებას ასაჩივრებს პროკურორი ან დაინტერესებული პირი ამ კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი წესით.

1. მიუხედავად იმისა, რომ ნივთიერი მტკიცებულების ბედი წყდება შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული მუხლი გარკვეული კატეგორიის ნივთიერი მტკიცებულებების ბედის გადაწყვეტასთან დაკავშირებით აწესებს სპეციალურ წესებს. კერძოდ, თუ ნივთიერი მტკიცებულება არის შინაური ცხოველი, ფრინველი ან იგი წარმოადგენს მალფუჭებად საგანს (მაგალითად, კვების პროდუქტს), ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში აუცილებელ საგანს (მაგალითად, ტანსაცმელს), საგამოძიებო ორგანო უფლებამოსილია სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე დაუბრუნოს ისინი მესაკუთრეს ან მფლობელს, თუ მათ ყადაღა არა აქვთ დადებული (იგულისხმება ისეთი ყადაღა, რომელიც მესაკუთრეს/მფლობელს უკრძალავს დაყადაღებული ქონებით სარგებლობას). ასევე, საგამოძიებო ორგანო უფლებამოსილია სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე მესაკუთრეს ან მფლობელს დაუბრუნოს სატრანსპორტო საშუალება, თუ მას ყადაღა არ აქვს დადებული (აღნიშნულ შემთხვევაშიც იგულისხმება ისეთი ყადაღა, რომელიც მესაკუთრეს/მფლობელს უკრძალავს დაყადაღებული ქონებით სარგებლობას).
2. თუ მალფუჭებადი ან ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში აუცილებელი საგნების, შინაური ცხოველებისა და ფრინველების მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი არ არის ცნობილი, არ არსებობს ამ საგნის კანონიერი წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მისი დაბრუნება შეუძლებელია სხვა მიზეზით, ისინი შეიძლება ჩაბარდეს შესაბამის პირს (ორგანიზაციას) გამოსაყენებლად, შესანახად, მოსავლელად. ამ საგნების ამოღებიდან 90 დღის გასვლის შემდეგ (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მალფუჭებადი საგანი აღარ არსებობს), პროკურორი ვალდებულია სასამართლოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს შუამდგომლობა მათი სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ.
3. თუ ნივთიერი მტკიცებულება არის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მესაკუთრის (მფლობელის) ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი კანონიერი მფლობელობიდან (მაგალითად, ქურდობის შედეგად), საგამოძიებო ორგანომ/გამოძიებელმა წერილობით უნდა შესთავაზოს მის მესაკუთრეს ან კანონიერ მფლობელს, თუ ეს პირი ცნობილია, დაიბრუნოს თავისი კუთვნილი საგანი. გამოძიებელმა წერილობითი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს ავტომანქანის მესაკუთრეს (კანონიერ მფლობელს) მისი ვინაობის დადგენისთანავე. წერილობითი შეტყობინების მიმღებმა ავტომანქანის მესაკუთრემ (კანონიერმა მფლობელმა) უნდა დაადასტუროს ხელმოწერით, ხოლო ამ უკანასკნელის არყოფნის შემთხვევაში, მისი ოჯახის წევრმა ან/და უფლებამოსილმა პირმა (მაგალითად, თუ მესაკუთრე იურიდიული პირია, შესაბამისი იურიდიული პირის წარმომადგენლმა). ავტომანქანის მესაკუთრემ (კანონიერმა მფლობელმა) წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 90 დღის ვადაში საკუთარი ხარჯით უნდა უზრუნველყოს თავისი კუთვნილი საგნის დაბრუნება და ტრანსპორტირება. თუ ავტომანქანის მესაკუთრემ (კანონიერმა მფლობელმა) შეტყობინების მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ უზრუნველყო ავტომანქანის წაყვანა, პროკურორი დაუყოვნებლივ დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო საკუთრებაში

მიქცევის შესახებ.

4. თუ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი არ არის ცნობილი, პროკურორი სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით, რომელიც სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, შუამდგომლობის წარდგენიდან არა უგვიანეს 5 დღისა განიხილავს შუამდგომლობას ყველა დაინტერესებული პირის (მაგალითად, პირი, ვისგანაც ამოღებულ იქნა ავტომანქანა; პირი, რომელმაც დანაშაულის ჩამდენი პირისგან შეიძინა აღნიშნული ავტომანქანა და ა.შ) მონაწილეობით და წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის ან იმ პირისათვის დაბრუნების შესახებ, რომელმაც შეიძინა იგი და შეძენის მომენტისათვის არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის თაობაზე. სასამართლოს განჩინება პროკურორის ან დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი წესით ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

### **მუხლი 81. გადაწყვეტილება ნივთიერი მტკიცებულების შესახებ სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებისას**

1. განაჩენში, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაში ნივთიერი მტკიცებულების საკითხი შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს:
- ა) თუ დანაშაულის იარაღს ან საგანს ღირებულება არა აქვს, იგი ნადგურდება, ხოლო თუ მას აქვს რაიმე ღირებულება, ხდება მისი საპროცესო კონფისკაცია;
  - ბ) თუ ბრუნვიდან ამოღებულ ნივთს აქვს რაიმე ღირებულება, იგი გადაეცემა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო თუ მას ღირებულება არა აქვს, – ნადგურდება;
  - გ) სხვა ნივთი, რომელსაც ღირებულება არა აქვს, დაინტერესებული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს შუამდგომლობით მას გადაეცემა, ხოლო თუ ასეთი პირი ან ორგანო არ აღმოჩნდა, – ნადგურდება;
  - დ) დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავალი/ქონება ხმარდება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ზიანის ანაზღაურების შემდეგ – საპროცესო ხარჯების ანაზღაურებას, ხოლო თუ ცნობილი არ არის პირი, რომელსაც ზიანი მიადგა, – გადაეცემა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს;
  - ე) დაზარალებულის, გამართლებულის ან სხვა პირის კუთვნილი ყველა ნივთი და დოკუმენტი, ბრალდებულისა და იმ პირის გარდა, რომელსაც მათზე ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, უბრუნდება მესაკუთრეს ან მფლობელს.
2. დავა ნივთიერი მტკიცებულების გამო წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ასეთი დავის შემთხვევაში ნივთიერი მტკიცებულება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ინახება სისხლის სამართლის საქმესთან ერთად.
3. ნივთიერი მტკიცებულების გაფუჭების, დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში მისი მესაკუთრე ან მფლობელი იღებს ფულად კომპენსაციას. ეს წესი არ ვრცელდება იმ ქონებაზე, რომელიც ექვემდებარება საპროცესო კონფისკაციას, განადგურებას და საპროცესო ხარჯების ანაზღაურებას.
1. საქმისწარმოების დასრულებისას ნივთიერი მტკიცებულების სახით ამოღებული ქონება შეიძლება დაუბრუნდეს მხოლოდ იმ პირს, ვისგანაც განხორციელდა მისი ამოღება.
  2. სისხლის სამართლის საქმისწარმოების შეწყვეტის, გამამართლებელი განაჩენის გამოტა-

- ნის შემთხვევაში მესაკუთრეს უბრუნდება მისი პირადი ნივთები და დოკუმენტები.
3. ღირებულების მქონე დანაშაულის ჩადენის იარაღის საპროცესო კონფისკაცია დაიშვება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მაშინაც კი, თუ საქმეზე სამართალწარმოება შეწყდა არამარეაბილიტირებელი საფუძვლით გამოძიების სტადიაზე, ვინაიდან დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე პირის საკუთრებითი უფლების შეზღუდვა.
  4. ფასეული ნივთიერი მტკიცებულების საპროცესო კონფისკაცია, მათი მიქცევა დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად/ სხვა პირისათვის ნატურით მისი გადაცემა 81-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაიშვება მხოლოდ სასამართლოს განაჩენის საფუძველზე.
  5. ვინაიდან ქონებრივი ურთიერთობები სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფეროს განეკუთვნება, ნებისმიერი დავა ნივთიერი მტკიცებულების დაზიანების, პირისათვის მიკუთვნების/გადაცემის, შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების და ა.შ. შესახებ წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების გზით საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. დავის განმავლობაში ნივთიერი მტკიცებულება ინახება სისხლის სამართლის საქმესთან ერთად. ნივთიერი მტკიცებულების დაზიანების, დაკარგვის, გაფუჭების, განადგურების შემთხვევაში მის მესაკუთრეს /მფლობელს ეძლევა შესაბამისი კომპენსაცია. გამონაკლისია ქონება, რომელიც ექვემდებარება საპროცესო კონფისკაციას. მისი დაზიანება-განადგურების შემთხვევაში მესაკუთრეს/მფლობელს არ გააჩნია კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.
  6. განადგურებაში იგულისხმება შესაბამისი საგნის/მატერიალური ფასეულობის მიერ ფუნქციის სრულად დაკარგვა, რაც არ ექვემდებარება აღდგენას. მაგალითად, ჩამორთმეული შინაური ცხოველის/ფრინველის გარდაცვალება, საკვები პროდუქტების (ხორცი, ციტრუსი, ხილი) გაფუჭება, რის გამოც უვარგისია რეალიზაციის/გამოყენებისთვის. გაფუჭებაში იგულისხმება დაზიანება, რომელიც შესაძლებელია ექვემდებარებოდეს გამოსწორებას, რაც დამატებით ფინანსურ დანახვებთან არის დაკავშირებული (მაგალითად, ჩამორთმეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მინების დამსხვრევა, საბურავების დაჭრა და ა.შ. )
  7. ნივთიერი მტკიცებულების განადგურების შესახებ დგება ოქმი, რომელიც დაერთვის საქმის მასალებს და შესაბამის რეესტრში კეთდება ჩანაწერი განადგურების შესახებ.
  8. ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც ეს განპირობებულია ნივთიერი მტკიცებულების განსაკუთრებული თვისებებით, ისინი განადგურებისათვის გადაეცემა სპეციალიზებულ დაწესებულებებს (შსს, ჯანდაცვის სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს შესაბამის ერთეულს და ა.შ.). განადგურებას დაქვემდებარებულ ნივთიერ მტკიცებულებასთან ერთად ასევე იგზავნება განაჩენის, დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების ასლიც ან მათგან ამონაწერი და შესაბამისი თანმხლები წერილი. თანმხლები წერილის ასლი და მტკიცებულების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი დაერთვის საქმის მასალებს.
  9. ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლითაც ბრალდებული სარგებლობდა მინდობილობის საფუძველზე, არ ექვემდებარება საპროცესო კონფისკაციას მაშინაც, თუ ის წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის საშუალებას. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება გადაეცემა მესაკუთრეს ან მის მფლობელს. საპროცესო კონფისკაციას არ ექვემდებარება სატრანსპორტო საშუალება მაშინაც, თუ მისი გამოყენება მოხდა არა როგორც პიროვნების ან საკუთრების წინააღმდეგ მიმართული განზრახვი დანაშაულის ჩადენის საშუალება, არამედ მოძრაობის უსაფრთხოების ან სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის.
  10. ნივთები, რომლებიც ამოღებულია სამოქალაქო ბრუნვიდან, გადაეცემა შესაბამის უწყებებს, ხოლო, თუ მათ ღირებულება არ გააჩნია, ნადგურდება. მათი ბედი არ არის დამოკიდებული არც სამართალწარმოების დასრულების ეტაპზე და არც ფორმაზე, არც სისხლის სამართალწარმოების დასრულების საფუძველზე, არც იმაზე, სამართალში ნამყოფი

ფია თუ არა მისი მესაკუთრე/მფლობელი. თუ ნივთებს გააჩნია საცალო ღირებულება, კეთილსინდისიერ შემძენს/მფლობელს უნდა დაუბრუნდეს ნივთის საშუალო საბაზრო ღირებულების ოდენობის კომპენსაცია, თუ ეს ნივთი არ წარმოადგენდა დანაშაულის ჩადენის იარაღს.

11. კანონმდებლობით აკრძალული და ბრუნვიდან სრულად ამოღებული ნივთები, რომელთა დამზადება, შექმნა, შენახვა, გასაღება და გავრცელება აკრძალულია კანონით (პორნოგრაფიული მასალები, ყალბი ფულის ნიშნები, კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული ნივთიერებები და ა.შ.). ეს ნივთები უნდა გაიმიჯნოს შეზღუდულ სამოქალაქო ბრუნვაში არსებული ნივთებისაგან, რომელთაც მიეკუთვნება ნივთები, რომელთა გადაცემა კანონმდებლობის შესაბამისად შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სპეციალური პროცედურის დაცვით და მათი გამოყენება სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების საგნად (მაგალითად, საარქივო მასალები), როგორც წესი, იკრძალება.
12. შეზღუდულ ბრუნვაში მყოფია საგნები, რომელთა საკუთრებაში შექმნა დაიშვება მხოლოდ სპეციალური ნებართვის საფუძველზე (ცეცხლსასროლი იარაღი, ძლიერმოქმედი შხამქიმიკატები, რადიოაქტიური ნივთიერებები, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები, საბრძოლო მასალა, ძვირფასი ლითონები დაუშუქვებელი სახით და ა.შ., რომლებისთვისაც დადგენილია შექმნა-შენახვის სპეციალური წესები).
13. ნივთები, რომელთა მიმოქცევა სამოქალაქო ბრუნვაში სრულად არის აკრძალული, ასევე სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ნივთები, შესაძლებელია უსასყიდლოდ ჩამოერთვას მფლობელს და გადაეცეს შესაბამის დანესებულებას ან განადგურდეს, ვინაიდან არ შეიძლება წარმოადგენდეს ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებას. ვინაიდან პირს საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს შეზღუდულ სამოქალაქო ბრუნვაში არსებული საგნები, ისინი ექვემდებარება საპროცესო კონფისკაციას სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
14. თუ ნივთიერი მტკიცებულება შეზღუდულ ბრუნვას მიკუთვნებული საგანია, რომელიც კანონმდებლობიდან გამომდინარე არ შეიძლება ეკუთვნოდეს მის მესაკუთრეს, თუ მას არ გააჩნია ნივთის შექმნაზე ნებართვის მიმნიჭებელი დოკუმენტი (მაგ., ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც მიიღო მემკვიდრეობით), მესაკუთრეს ეკისრება მისი ანაზღაურებადი გასხვისება. აღნიშნულ იარაღზე მემკვიდრეობის უფლების და იარაღის შექმნაზე ლიცენზიის მიღებამდე ის ამოღებულ იქნება და შეინახება შსს ორგანოებში.
15. წინასასამართლო წარმოებამდე ამოღებული საგნები, რომლებიც არ იქნა მიჩნეული ნივთიერი მტკიცებულებად, ექვემდებარება დაბრუნებას მესაკუთრის/მფლობელისათვის, ვისგანაც იქნა ამოღებული. ნივთები, რომლებიც ამოღებული/მოპოვებული იყო გამოძიებისას, მაგრამ სასამართლოს მიერ არ იქნა ცნობილი მტკიცებულებად, უბრუნდება იმ პირებს, ვისგანაც მოხდა მათი ამოღება, რის შესახებაც დგება შესაბამისი აქტი.
16. შეზღუდულად ბრუნვად მასალებს წარმოადგენს ნივთიერებები, ნედლეული, პროდუქცია, ნარჩენები, რომლებიც თავიანთი აქტიური თვისებების გამო განსაკუთრებით მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, რის გამოც მათი ბრუნვა შეზღუდულია ან აკრძალულია საქართველოს ტერიტორიაზე. მათი ჩამონათვალი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის №184-ე დადგენილებით „შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების თაობაზე.“ კონკრეტული საგნების/ნივთიერებების/ქონების ბრუნვის საკითხი განისაზღვრება ასევე დარგობრივი კანონმდებლობითაც. მაგალითად, იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებულ წესებს ადგენს საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“; სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ და ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდულ ნივთიერებებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ,“ ასევე საქართველოს კანონი „საქართველოს ტერ-

- იტორიაზე ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ“, „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი და ა.შ.
17. დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას/შემოსავალი: იგულისხმება მათ შორის ნებისმიერი ქონება/ შემოსავალი, რომელიც შექმნილია დანაშაულის ჩადენის გზით როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულით ქონების ლეგალურად შექმნის გზით, ასევე სხვაგვარად, როდესაც ქონება გადავიდა საკუთრებაში დანაშაულის განხორციელების გზით უსასყიდლოდ (მაგალითად, ჩუქებით, ქრთამის აღების, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, კომერციული მოსყიდვის, ძალადობის და ა.შ. შედეგად) პირისათვის ჩუქების, შეღავათიან ფასად/ პირობებით დათმობის და ა.შ. გზით. ასევე ქონება, რომელიც შექმნილია დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონების რეალიზაციით მიღებული ფულით. დანაშაულებრივი გზით მიღებულ შემოსავალს მიეკუთვნება „სისხლის სამართლის დანაშაულიდან პირდაპირ ან არაპირდაპირი წარმოშობილი ან მიღებული ნებისმიერი ეკონომიკური სარგებელი, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერი სახის ქონებას, ქონებრივს ან არაქონებრივს, მოძრავს ან უძრავს, ან იურიდიულ ფაქტებს ან დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ ამქვემოთ ქონებაზე უფლებას ან წილს.“ ასეთ ქონებას მიეკუთვნება სახლი, ავტომანქანა, ძვირფასეულობა.
  18. დანაშაულის იარაღს ან საგანს, რომელსაც ღირებულება არ აქვს, მიეკუთვნება, მაგალითად ე.წ. „სპიცა“, კასტეტი, არმატურის ნაჭერი, ჯოხი (გამოყენებული ჯანმრთელობის დაზიანებისათვის) და სხვა.
  19. პირის/ორგანოსათვის მტკიცებულების გადაცემა უნდა გაფორმდეს შესაბამისი ოქმით, რომელიც დაერთვის საქმის მასალებს.
  20. მაგალითად, გამოძიების ორგანოს მიერ ამოღებული და საქმეზე მტკიცებულებად დართული „1 ცალი ცალხაზიანი რვეული“ უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. მაგრამ 1 ცალი ცალხაზიანი რვეული მასში ასახული საბრძოლო მასალის გამოყენების და დანიშნულების წესები.. დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს. შესაბამისად, ერთი და იმავე ღირებულების მქონე და ერთგვაროვანი ნივთი ერთ შემთხვევაში უნდა განადგურდეს, როდესაც მას მხოლოდ საქმისათვის აქვს მნიშვნელობა და ცალკე აღებული რაიმე ხელშესახები ღირებულების მქონე არ არის, ხოლო თუ მისი მცირე ღირებულების მიუხედავად მასში მოთავსებულ ინფორმაციას შესაძლებელია რაიმე მნიშვნელობა გააჩნდეს მისი მესაკუთრისათვის, მაშინ უბრუნდება მის კანონიერ მფლობელს. ანალოგიურად წყდება ფოტოსურათის ბედიც, რომელიც ამოღებულ იქნება შემთხვევის ადგილიდან, ბრალდებულის ბინის ან პირადი ჩხრეკის შედეგად.
  21. მაგალითად, გ.ლ-ას საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებული მომწვანო რუხი ფერის დაფოთილი ქურთუკი, ე.წ. „ჟილეტი“ და მომწვანო ფერის სვიტერი, „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი იმეი კოდით ..., მასში მოთავსებული სიმბარათით, საქართველოს მოქალაქის პასპორტი გაცემული გ.ლ-ას სახელზე პ/ნ... რომლებიც ინახება შსს ..სამხარეო მთავარი სამმართველოს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს ზედაენერის პოლიციის განყოფილებაში, უნდა დაუბრუნდეს გ.ლ-ს ოჯახს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.<sup>376</sup>
  22. მაგალითად, სატრანსპორტო საშუალებით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი მოწყობილობის უკანონოდ ტარება-გადაზიდვაში ბრალდებულისთვის (დანაშაული გავალისწინებული სსკ 236-ე მუხლით) დროებით ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალება უბრუნდება მის კანონიერ მფლობელს.
  23. “ 1974 წლის ნიმუშის AK-74 მოდელის 5,45 მმ კალიბრიანი „კალშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატი №...; 1974 წლის ნიმუშის AK-74 მოდელის, 5,45მმ კალიბრიანი „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატი №..., III-25-ის მოდელის მოდელის ლულისქვეშა № .. ყუმბარმტყორცნი, 17 ცალი მჭიდი და 579 ვაზნა, რომლებიც ინახება საქართველოს შს..

<sup>376</sup> იხ. მაგალითად, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 06/06/2014 წლის განაჩენი.

რაიონულ სამმართველოში, შემდგომი განკარგვის უფლებით გადაეცეს საქართველოს შს სამინისტროს შესაბამის სამსახურს.<sup>377</sup>

## მუხლი 82. მტკიცებულების შეფასება

**1. მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით.**

**2. მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.**

**3. გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.**

**1. ნორმის მიზანი:** განისაზღვროს თითოეული მტკიცებულების შესახებობა და დასაშვებობა, მტკიცებულებით გათვალისწინებული ინფორმაციის სარწმუნოება, ვარგისიანობა და საპროცესო გადანყვეტილების მიღებისათვის შეკრებილი მტკიცებულების საკმარისობა.

**2.** მტკიცებულების შეფასება წარმოადგენს მტკიცების სუბიექტის გონებრივ, ლოგიკურ საქმიანობას საქმეში არსებული თითოეული მტკიცებულების რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის, ასევე – მათი ერთობლიობის საკმარისობის შესახებ შესაბამისი საპროცესო გადანყვეტილების მისაღებად.

**3.** მტკიცებულების შეფასება ხორციელდება სამართალწარმოების ყველა სტადიაზე და ახასიათებს საქმეზე მთელ წარმოებას.<sup>378</sup> მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულების შეფასებას სრული მასშტაბით მხოლოდ სასამართლო ახორციელებს, მხარეებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და საპროცესო ინტერესებიდან გამომდინარე ახდენენ საქმეში არსებული მტკიცებულებების „შეფასებას“ და შეუძლიათ სადავო გახადონ საქმეში არსებული მტკიცებულების როგორც შესახებობა განსახილველ სისხლის სამართლის საქმესთან, ასევე დასაშვებობა და უტყუარობაც. მაგალითად, დაცვის მხარეს უფლება აქვს დააყენოს შუამდგომლობა ექსპერტის დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ ექსპერტის მიკერძოების დამადასტურებელი ფაქტიდან გამომდინარე, ან ბრალდებულის ბინიდან ჩხრეკის გზით 10 კგ მარიხუანას ამოღების შემთხვევაში 9 კგ-ის დაუშვებლად ცნობის შესახებ, თუ ჩხრეკის ოქმის თანახმად ბინიდან მოხდა მხოლოდ 1 კგ-ის ამოღება. მტკიცებულების შეფასება პრაქტიკულად მისი მოპოვებისთანავე იწყება, ვინაიდან მხარე დარწმუნებული უნდა იყოს მის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულების საფუძველზე საკუთარი პოზიციის მტკიცების შესაძლებლობაში, რაც შეუძლებელი იქნება, თუ მხარე არ მოახდენს მის მიერ მოძიებული მტკიცებულებების პირველად შეფასებას და მათ გადახარისხებას საქმისათვის მათი მნიშვნელობის თუ სარწმუნოების თვალსაზრისით. მაგალითად, პირის მოწმის სახით სასამართლო პროცესზე დასაკითხ პირთა სიაში შეყვანამდე მხარემ უნდა გადაამოწმოს მოწმის ვინაობა, მისი სანდოობა, რა ინფორმაციაა მისთვის ცნობილი და ა.შ. მხარეს შეუძლია განახორციელოს მტკიცებულებათა შეფასება როგორც დასკვნით სიტყვაში, ასევე სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებისას.

**4.** მხარის უფლებაზე, წინასწარ შეაფასოს მტკიცებულება, მათ შორის მტკიცებულებათა საკმარისობა, დასაშვებობა და რელევანტურობა, მიუთითებს ასევე, მაგალითად, პროკურორის უფლება დისკრეციული დევნის წარმოებაზე, რომლის დროსაც საჯარო ინტერესის არსებობა უნდა შემომწმდეს სრული ტესტით, რომლის შემადგენელია მტკიცებულებითი ტესტი.

**5.** მტკიცების ყველა სუბიექტი ერთნაირი სავალდებულო სტანდარტით აფასებს მტკიცებულებებს. კერძოდ, მტკიცებულების შეფასებისათვის კოდექსი ადგენს კუმულაციურად

<sup>377</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16/03/2015 წლის განაჩენი საქმეზე №52 აპ-15.

<sup>378</sup> მხარეთა მიერ გამოძიების ეტაპზე მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც გამოიყენება საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების წარმოებისას დასაბუთების და მათი განხორციელების გზით, მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს მტკიცებულება სსსკ მე-3 მუხლის 23-ე ნაწილიდან გამომდინარე.



- სამ გარემოებას და თითოეული მტკიცებულება შეფასებულ უნდა იქნეს მისი: 1.რელევანტურობის, 2.დასაშვებობის; 3.უტყუარობის თვალსაზრისით. შესაბამისად, მტკიცებულება შესაძლებელია აკმაყოფილებდეს აღნიშნულ ნებისმიერ ორ პირობას, მაგრამ მესამე კრიტერიუმის დაუკმაყოფილებლობის გამო არ იქნეს გათვალისწინებული განაჩენის დადგენისას. მაგალითად, მოწმის ჩვენება შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს სსსკ დადგენილი წესით, მოწმის სანდოობა დადასტურებულ იქნეს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით და სადავო არ იყოს მხარეებისათვის, მაგრამ მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას შეხება არ ჰქონდეს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან, ვინაიდან ყვებოდეს ბავშვობაში როგორი ბეჯითი და მოწესრიგებული ბავშვი იყო საქმის განხილვის მომენტისათვის 50 წლის ბრალდებულზე; ექსპერტის დასკვნა, რომლითაც დადგენილია, რომ მკვლელობის იარაღიდან ამოღებული თითის ანაბეჭდები ეკუთვნის ბრალდებულს, რელევანტურია, მაგრამ ვერ დააკმაყოფილებს დასაშვებობის კრიტერიუმს, თუ ჩატარებული იქნება შესაბამისი საექსპერტო კვლევის ჩატარებაზე ლიცენზიის არმქონე პირის მიერ, ან ვერ დააკმაყოფილებს უტყუარობის კრიტერიუმს, თუ დასკვნაში არ იქნება მითითებული ექსპერტიზის მწარმოებელი პირის ვინაობა, საექსპერტო კვლევისას გამოყენებული მეთოდები, ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი, ექსპერტის გაფრთხილება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ჩატარებული კვლევის სახე და ა.შ.
- 6. მტკიცებულების უტყუარობა** გულისხმობს მასში მოცემული ინფორმაციის (ფაქტობრივი მონაცემები) ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტების კრიტერიუმს შესაძლებელია წარმოადგენდეს გამოცდილება, პრაქტიკა. სარწმუნოა მტკიცებულება, რომელთან მიმართებითაც არ არსებობს გონივრული ეჭვი მისი გამოცვლის, გარეგანი და არსობრივი მახასიათებლების შეცვლის შესახებ და ა.შ. თუ არსებობს გაურკვეველობა იმის შესახებ თუ სად, როდის, როგორ და ვის მიერ, რა პირობებში იქნა მოპოვებული ინფორმაციის მატარებელი და შეუძლებელია აღნიშნული საკითხების დამატებით გამოკვლევა საგამოძიებო-საპროცესო მოქმედებების განხორციელების გზით, აღნიშნული ინვეს არა მხოლოდ გაუქარწყლებელ ეჭვს ინფორმაციის უტყუარობაში და აკარგვინებს მტკიცებულებით მნიშვნელობას, არამედ ასევე ქმნის საფუძველს ეჭვისათვის, რომ მტკიცებულებები ფალსიფიცირებულია.
- 7.** საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „მტკიცებულების უტყუარობას, კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაციის სანდოობას განაპირობებს ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი ან უზრუნველყოფილი მისი შემოწმება.“<sup>379</sup>
- 8.** ცალკეულ შემთხვევებში საგნის/დოკუმენტის ინფორმაციის მტკიცებულებითი მნიშვნელობის, რელევანტურობის და სარწმუნოების შეფასებისათვის საკითხს იმის შესახებ თუ სად, ვის მიერ, როგორ და რა გარემოებებში იქნა მოპოვებული, მნიშვნელობა არ აქვს და ამიტომ საგამოძიებო/საპროცესო და სასამართლო შესწავლის ფარგლებს მიღმაა. მაგალითად, კერძო პირის მიერ გამომძიებლისათვის მიწოდებული ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია განსახილველ დანაშაულთან დაკავშირებული მოვლენა (მაგ., ქრთამის მიცემა-აღების ფაქტი), თავისთავად, იმისდა მიუხედავად, ვის მიერ, სად, როგორ და რა გარემოებებში იქნა გადაღებული, ხასიათდება ნივთიერი მტკიცებულებისათვის დამახასიათებელი ყველა თვისებით. მტკიცებულებითი ინფორმაციის მატარებელია ტექნიკური საშუალებების მეშვეობით მიღებული ობიექტური რეალობის გამოსახულება. ამ ნივთიერი მტკიცებულების უტყუარობის შემოწმება და შეფასება, მაგალითად, ექსპერტიზით (მაგალითად, ფოტომონტაჟი ხომ არ არის), ეხება თავად ფოტოგამოსახულებას. ამიტომ ყველა გარემოება, რომელიც უკავშირდება ფოტოსურათის გადაღებას, არ საჭიროებს საპროცესო-სამართლებრივ გამოკვლევას და მის საზღვრებს მიღმა რჩება. თუ პოლიციამ გამომძიებელს მიაწოდა (მოპოვების ხერხების მითითების გარეშე) საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას გადაღებული ვიდეოფირი, რომელიც ასახავს დანაშაულის ეპიზოდებს, მაგალითად, თავდასხმას, ქრთამის გადაცემას, გამოძალვას, იარაღის გადაცემას, ფირის

<sup>379</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 22/01/2015 წლის გადაწყვეტილება №548, II-11.

მტკიცებულებითი მნიშვნელობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თავად გამოსახულება რამდენად სანდოა და მის რელევანტურობაზე, ხოლო აღნიშნული ინფორმაციის მოპოვების ყველა სხვა გარემოება (მაგალითად, ინფორმაციის მოპოვების ხერხი) პრინციპში არ წარმოადგენს ამ საქმისათვის სასამართლოს ინტერესის საგანს.

9. მტკიცებულება შესაძლებელია მთლიანად, ნაწილობრივ ან საერთოდ არ იყოს უტყუარი. მონმის ჩვენების უტყუარობის შეფასებისას სასამართლომ და მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ მონმის ინტელექტი, მახსოვრობა, იმ შესაძლებლობის რეალურად არსებობა, რაც აუცილებელია იმ გარემოებების აღსაქმელად, რომლის შესახებაც იძლევა ჩვენება (მაგალითად, სად უნდა მდგარიყო/ყოფილიყო პირი, რომ დაენახა/გაეგო ის, რის შესახებაც აწვდის ინფორმაციას მხარეს), მოტივი, რომელიც შესაძლებელია ამოძრავებდეს მონმეს ჩვენების მიცემისას, მისი ქცევა ჩვენების მიცემისას, ფაქტორები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მონმის მიუკერძოებლობაზე, შეუსაბამობა მონმის ჩვენებაში ან/და მონმის ჩვენებასა და საქმის სხვა მასალებს შორის და სხვა.
10. მტკიცებულების უტყუარობის განსაზღვრა გრძელდება მთელი სამართალწარმოების მანძილზე. მტკიცებულების უტყუარობას არ გააჩნია ფორმალური ნიშნები და შესაძლებელია განისაზღვროს/შეფასდეს მხოლოდ კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. მტკიცებულების უტყუარობის შესახებ სრულყოფილი დასკვნა ყალიბდება მტკიცების პროცესის დასასრულს, როდესაც საქმეზე შეკრებილი იქნება ყველა მტკიცებულება და თითოეული მათგანი დაექვემდებარება გადამონმებას შეჯიბრებით სასამართლო განხილვაზე. ამასვე უკავშირდება, მაგალითად, სსსკ 275-ე მუხლის მოთხოვნა, რომ სასამართლომ აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში ასევე მიუთითოს მოტივი, რომელიც ხსნის თუ რატომ მიაჩნია სასამართლოს არასარწმუნოდ ან არასაკმარისად მტკიცებულება, რომელსაც ემყარებოდა წარდგენილი ბრალდება.
11. მტკიცებულებათა უტყუარობის შეფასებისას, როგორც წესი, ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ გარემოებებზე:
  - მტკიცებულების წყაროს სანდოობა<sup>380</sup> – მაგალითად, მონმის ფიზიკური ნაკლი, რაც გავლენას ახდენს ფაქტების სწორად აღქმის უნარზე; ექსპერტის კომპეტენტურობა;
  - გარემოებები, რომლებშიც ხორციელდება მტკიცებულების ფორმირება – მაგალითად, რა ვითარებაში აღიქვა მონმემ მის მიერ გადმოცემული ინფორმაცია (განათება–დღის/ღამის საათები, ხმაური – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი/ რკინიგზის მიმდებარე ტერიტორია, მატარებლების მსვლელობის პერიოდი, ბუნებრივი მოვლენები – ქექა-ქუხილი, ქარიშხალი, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი და ა.შ.) და რამდენად ახდენდა გავლენას აღნიშნული აღქმის ხარისხსა და შესაძლებლობაზე;
  - ინფორმაციის მიღების ხერხები და საშუალებები – თუ ერთი და იმავე ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია სხვადასხვა საპროცესო ხერხებისა და საშუალებების გამოყენებით (მაგალითად მონმის ჩვენების, ოფიციალური დოკუმენტაციის გამოთხოვის/ ამოღების და ექსპერტის დასკვნით), მიუხედავად იმისა, რომ მხარის გადასაწყვეტია რა ხერხით და საშუალებით განახორციელებს მტკიცების საგანში შემავალი ცალკეული გარემოების დამტკიცებას, მონინალმდევე მხარეს შეუძლია სადავო გახადოს შერჩეული საშუალების სანდოობა. როდესაც არსებობს გარემოების დადასტურების შესაძლებლობა მონმის ჩვენებით, ექსპერტის დასკვნით, ან ოფიციალური დოკუმენტაციის გამოთხოვით, ყველაზე ნაკლებ სარწმუნოდ მიიჩნევა მონმის ჩვენების გამოყენება, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია a priori არ იქნება უტყუარი.

<sup>380</sup> არ არსებობს ფორმალური პროცედურა, რომელიც ადგენს თუ როგორ უნდა შეფასდეს მონმის სანდოობა, არც რაიმე „ნისტრუქცია, რომელიც განმარტავს თუ რა ითვლება ამ მიმართებით დასაშვებ მტკიცებულებად“ იხ., OSCE/ODIHR სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო 2014, §16,11.

- შესაფასებელ მტკიცებულებაში მოყვანილი ინფორმაციის დადასტურება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებით. მაგალითად, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ბრალდებულის ფეხის კვალი, მიუხედავად იმისა, რომ ადასტურებს ბრალდებულის შემთხვევის ადგილზე ყოფნის ფაქტს, ის არ მიუთითებს აღნიშნული პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ან დანაშაულის ჩადენის მომენტში მის იქ ყოფნაზე. ფეხის კვალი შესაძლებელია დატოვებული ყოფილიყო დანაშაულის ჩადენამდე ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ ბრალდებულის მიერ.
- 12.** მონმის ჩვენების უტყუარობა მხარემ შესაძლებელია ეჭვქვეშ დააყენოს მონმის არაგულწრფელობის, მონმის მიკერძოების (ბრალდებულთან ან დაზარალებულთან მონმის ნათესაური, მეგობრული, სამსახურებრივი, მტრული, მონმის ბრალდებულზე/დაზარალებულზე დამოკიდებული მდგომარეობის გამო და ა.შ.), მონმის მიერ შეუსაბამო, წინააღმდეგობრივი და არათანმიმდებრული ჩვენებების გამო – მაგალითად, გამოძიების სტადიაზე მონმის დაკითხვისას მან აღნიშნა, რომ მას თავს დაესხა სპორტული აღნაგობის, დაახლოებით 180-185 სიმაღლის და 80-90 კგ წონის სამი შეიარაღებული პირი და იარაღის მუქარით დააყარა. სასამართლოში დაკითხვისას მან აღნიშნა, რომ თავდამსხმელი იყო ორი, არც ერთი მათგანი არ იყო შეიარაღებული და მათი წონა დაახლოებით შეადგენდა 80 კგ-ს, ხოლო სიმაღლე 150-160 სმ-ს. პირდაპირი დაკითხვისას მონმემ განაცხადა, რომ ის არ იცნობდა ბრალდებულს, მაგრამ ჯვარედინი დაკითხვისას აღიარა, რომ ბრალდებულთან ერთ საამქროში მუშაობდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მაგრამ მასთან მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა არ გააჩნდა. განმეორებითი ჯვარედინი დაკითხვისას კი დააზუსტა, რომ მართალია, ბრალდებული მისი მეჯვარე და შვილის ნათლიაა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში უთანხმოების გამო მათ კონტაქტი განწყვიტეს.
- 13.** მონმის ჩვენების სანდოობა შესაძლებელია სადავო გახდეს მონმის მიერ მოვლენების სწორად აღქმა-დამახსოვრება-გადმოცემის უნარის საფუძველზე. მაგალითად, მონმე უთითებს, რომ მან დაინახა როგორ მიაყენა ბრალდებულმა დაზარალებულს დაზიანება ცივი იარაღით, თუმცა საგამოძიებო ექსპერიმენტისა და სამედიცინო ცნობის საფუძველზე დადგინდა, რომ მონმეს მხედველობის ნაკლიდან გამომდინარე არ შეძლო აღნიშნულ მანძილზე, მის მიერ მითითებული განათების პირობებში რაიმე გაერჩია და დაენახა. მაგალითად, მონმე ზუსტად აღწერს დანაშაულის ჩადენის დღეს მომხდარ გარემოებებს, სადა იყო, რას აკეთებდა, რა დაინახა, თუმცა ვერ იხსენებს დაკითხვის წინა დღეს მომხდარ მოვლენებს.
- 14.** თუ მონმის ჩვენებაში მოცემული ინფორმაცია ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს, მაგალითად, მონმე მიუთითებს, რომ მის ტანსაცმელზე დაზარალებულის სისხლის კვალი, იმიტომაც აღნიშნული, რომ ის ცდილობდა მის დახმარებას, თუ ექსპერტიზით დადგინდება, რომ აღნიშნული სისხლი არ არის არც დაზარალებულის და არც მონმის სისხლის იდენტური, მონმის ჩვენება ვერ აკმაყოფილებს სსსკ-ს 82-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.
- 15.** საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ განაჩენში აღნიშნა, რომ მტკიცებულებათა უტყუარობა უნდა შეფასდეს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: 1. თითოეული მტკიცებულება, მათ შორის მონმის ჩვენება, შინაარსობრივად ხომ არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას; 2. თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებებს, თუ მათ შორის არის სხვადასხვა წინააღმდეგობა, რომელთა ხარისხის შეფასება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციაა; 3. რამდენად გულწრფელია და მოუკერძოებელია მონმე, ხომ არ აქვს ფიზიკური ნაკლი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს მოვლენების ადეკვატურ აღქმაზე; 4. როგორ პირობებში მოხდა მტკიცებულების ფორმირება, მაგალითად, გარემო პირობები – ცუდი ხილვადობა (ნისლი, ხალხმრავალი ადგილი, მანძილი მონმესა და შემთხვევის ადგილს შორის და სხვა). მტკიცებულებათა ამ კრიტერიუმით შეფასებისა და მათზე განაჩენში

სათანადო მსჯელობის გარეშე, მტკიცებულებათა უტყუარობის სიღრმისეული შეფასება ფაქტობრივად შეუძლებელია.<sup>381</sup>

16. მტკიცებულების დასაშვებობის კრიტერიუმი უფრო ფორმალიზებულია, ვინაიდან მოითხოვს მტკიცებულების მოპოვების და დამაგრების მთელი პროცედურის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრას, ე.ი. ფაქტობრივი მონაცემების წყაროების და მტკიცებულების შეკრების ხერხის შესაბამისობას საგამოძიებო/სასამართლო/საპროცესო მოქმედებასთან. მაგალითად, მტკიცებულება დაუშვებელია, თუ მტკიცებულების შეგროვებისას არსებითად დაირღვა საპროცესო ფორმა, ადამიანის უფლებები, მოპოვება განხორციელდა არაუფლებამოსილი პირის მიერ, ან არა სსსკ დადგენილი საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების განხორციელების გზით და ა.შ.
17. მტკიცებულების დასაშვებობა ასევე დამოკიდებულია მტკიცებულების გამოყენების მიზანზეც. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა კრძალავს ამ ინფორმაციის მატარებლის ბრალდების დასაბუთებისათვის ან მტკიცების საგანში შემავალი ცალკეული გარემოებების დადასტურებისათვის გამოყენებას. მაგრამ თუ აღნიშნული გარემოება დაცვის მხარეს ესაჭიროება ბრალდების დაუსაბუთებლობის მტკიცებისათვის, სასამართლოს მიერ ის შესაძლებელია დასაშვებად იქნეს ცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოპოვებისას დარღვეული იყოს სსსკ მოთხოვნები.
18. მტკიცებულების დასაშვებობის შემოწმებისას დგინდება მისი წარმომავლობა. საქმეში უნდა არსებობდეს მონაცემები იმის შესახებ, თუ რა გზით აღმოჩნდა ის ხელმისაწვდომი სამართალწარმოებისათვის. მაგალითად, დოკუმენტის დასაშვებობისათვის მნიშვნელოვანია მისი ავტორი, შედგენის ადგილის და თარიღის, უფლებამოსილი პირის ხელმოწერის და სხვა რეკვიზიტების არსებობა. თუ დოკუმენტის წარმოდგენა განხორციელდა მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სავალდებულო წესით შემოწმებულ უნდა იქნეს მასში გადმოცემული ინფორმაციის შინაარსის და მოცულობის შედარება მოთხოვნის არსთან (ამასთან, გამოთხოვის დოკუმენტის საქმეში არსებობა წარმოადგენს მოპოვებული ინფორმაციის მოპოვების კანონიერების დამადასტურებელ მტკიცებულებას). მაგალითად, სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია დაზარალებულის ჩვენების გამოყენება გამამტყუენებელი განაჩენის დასაბუთებისათვის, ვინაიდან სასამართლოს მიერ არ იყო გამორკვეული დაკითხვის ოქმის მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობის და დასაშვებობის საკითხი.<sup>382</sup>
19. იმისათვის, რომ მტკიცებულება დასაშვებად იქნეს მიჩნეული, ის, როგორც მინიმუმ, უნდა ხასიათდებოდეს ზიგიერთი ნიშან-თვისებით:
35. მტკიცებულება უნდა იყოს მოპოვებული უფლებამოსილი სუბიექტების მიერ. აქ იგულისხმება როგორც შესაბამისი საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების განხორციელების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი (მაგალითად, დისკრეციული დევნის წარმოების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ პროკურორის მიერ), ასევე გამოძიების წარმოებაზე/გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი განსჯადობის და ქვემდებარეობის წესებიდან გამომდინარე (საგნობრივი/ ტერიტორიული ქვემდებარეობა და განსჯადობა. მაგალითად, ჩხრეკის ჩატარებაზე ნებართვის გაცემა არაუფლებამოსილი მოსამართლის მიერ).
36. მოპოვებულ უნდა იქნეს კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან. სსსკ მათ მიაკუთვნებს ჩვენებას, ექსპერტის დასკვნას; ნივთიერ მტკიცებულებებს; დოკუმენტებს.
37. მტკიცებულება მოპოვებული უნდა იყოს სსსკ-ით დადგენილი წესის შესაბამისად.
38. მტკიცებულება უნდა იყოს ფიქსირებული საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. მაგალითად, ბრალდებულის ბინის ჩხრეკისას ბინიდან ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი უნდა აღინიშნოს და დეტალურად აღინეროს ჩხრეკის ოქმში სსსკ-ს 135-ე მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად.

<sup>381</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 21/04/2015 წლის განაჩენი საქმეზე, 3 397აპ-14.

<sup>382</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე №1010-აპ, 16/04/2007.

20. მტკიცებულებათა მოპოვების დროს დაშვებული ყველა შეცდომა თავისთავად არ იწვევს პროცესიდან მათ გამორიცხვას. მტკიცებულებათა მოპოვებისას დაშვებული კანონდარღვევის სიმძიმე განსაზღვრავს მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობას.<sup>383</sup> რაც უფრო მძიმეა კანონდარღვევა, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ მიღებული მტკიცებულების სისხლის სამართლის საქმეზე დაშვება სრულ პროცესს მნიშვნელოვნად დააზარალებს.<sup>384</sup>
21. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტი გულისხმობს „მოთხოვნას, რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტისა თუ გარემოების დადასტურება მხოლოდ სანდო წყაროდან მიღებული და ჯეროვნად შემოწმებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდეს.“<sup>385</sup>
22. მტკიცებულებათა უკანონოდ მოპოვება არ შეიძლება გამართლებულ იქნეს ყველაზე მძიმე კატეგორიის დანაშაულში პირის მხილების ან/და ორგანიზებული დანაშაულის გამოძიების სირთულეებითაც კი. წინააღმდეგ შემთხვევაში მართლმსაჯულების განხორციელება გაცდება კანონის ჩარჩოებს და გადაიქცევა შეუზღუდავი ძალაუფლების იარაღად, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის პიროვნული თავისუფლების აღარების კონსტიტუციურ სტანდარტს.<sup>386</sup>
23. რელევანტურობა ეხება მტკიცებულების შინაარსს და გულისხმობს მის კავშირს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებსა და ფაქტებთან, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების არსებობა-არ არსებობაზე.
24. რელევანტურობის მოთხოვნა გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც სასამართლოს, ასევე მხარეების მიერ მტკიცებულებათა მოპოვების და შემოწმების მიზნით სხვადასხვა სახის შუამდგომლობის დაყენების, გასაჩივრების და საპროცესო გადაწყვეტილების მიღებისას.
25. რელევანტურობის შეფასება ხდება საქმის გარემოებების და მტკიცებულებაში არსებული ინფორმაციის შინაარსის ურთიერთშეპირისპირებით. ამ დროს ფასდება არა მხოლოდ ის მტკიცებულება, რომელიც ეხება მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებს, არამედ ასევე მტკიცებულებებიც, რომელთა მეშვეობით ხდება საქმისათვის მნიშვნელოვანი ნებისმიერი დასამტკიცებელი გარემოების დადასტურება ან უარყოფა.
26. რელევანტურობა არ არის მყარი კატეგორია და შეიძლება იცვლებოდეს საქმის განვითარების კვალობაზე მტკიცების პროცესში. მაგალითად. მტკიცებულებებმა, რომლებიც ადასტურებდნენ ერთ-ერთ საგამოძიებო ვერსიას, შესაძლებელია დაკარგონ რელევანტურობა თუ სხვა მტკიცებულებების საფუძველზე ეს ვერსია იქნება უარყოფილი. ანალოგიურად, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ნივთმტკიცებულებები, დაკარგავს რელევანტურობას თუ გამოძიების შემდგომ ეტაპზე დადგინდება, რომ მათ შეხება არ ჰქონდათ გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმესთან.
27. რელევანტურობის შესაფასებისათვის დადებითი პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ ორ კითხვას:
  - ექვემდებარება თუ არა მტკიცებას ის გარემოება, რომელსაც ადასტურებს ეს მტკიცებულება;
  - არსებობს თუ არა კავშირი დასამტკიცებელ გარემოებასა და მტკიცებულებას შორის;
  - მნიშვნელობა არა აქვს მტკიცების საგანში შემავალ რომელ გარემოებას ადასტურებს ეს მტკიცებულება, ადასტურებს თუ უარყოფს პირის ბრალეულობას დანაშაულებრივ ქმედებაში, თუ ადასტურებს ე.წ. შუალედურ/დამხმარე გარემოებებს.
  - შუალედური ფაქტები არ არის კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესაძლებელია

<sup>383</sup> იხ., სსსკ 72-ე მუხლის კომენტარი.

<sup>384</sup> იხ., Ambos, *ჟურნალში StV 3/2009*, 152-153.

<sup>385</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 22/01/2015 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №548, II-7.

<sup>386</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31/07/2015 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №579, II-7.

ქმნიდეს რთულ იერარქიულ და განშტოებულ სისტემას. მაგალითად, იმის დასამტკიცებლად რომ პირმა ჩაიდინა ქურდობა იმაზე აპელირებით, რომ მას ფული გაუჩნდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, საჭიროა გამოირიცხოს ამ თანხის სხვა წყაროდან მიღების შესაძლებლობა. მტკიცებულებები, რომლებიც გამოირიცხავენ ბრალდებულის მიერ ფულის სხვა წყაროებიდან და სხვა ხერხით მიღებას, იქნება რელევანტური.

**28. რელევანტურია მტკიცებულება, რომელიც:**

- ადასტურებს ან/და მიუთითებს ახალ ფაქტობრივ გარემოებაზე;
- ადასტურებს იმ ფაქტებს, რომლებიც უკვე დადგენილია სხვა მტკიცებულებებით – ასეთი მტკიცებულების შეგროვების მიზანია მტკიცებულებათა უკვე არსებული ერთობლიობის შემოწმება, გაძლიერება და გამყარება.
- მიუთითებს სხვა მტკიცებულების არსებობაზე;
- ახასიათებს ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების წარმოების პირობებს და წესს და ხელს უწყობს ადრე შეკრებილი მტკიცებულების შემოწმებას (მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს თვითმხილველი მოწმის უნარზე დაინახოს იმ მანძილიდან, სადაც ის იმყოფებოდა; მიუთითებს ბრალდებულთან თვითმხილველი მოწმის ურთიერთობის სპეციფიკაზე; მიუთითებს მოწმის დაკითხვისას სსსკ მოთხოვნების დაცვაზე და ა.შ.);
- ადგენს ფაქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება საგამოძიებო ვერსიას;
- უკუაგდებს უკვე დადგენილ გარემოებებს;
- მიუთითებს ე.წ. მომიჯნავე შემადგენლობის არსებობაზე/არარსებობაზე, მაგალითად, ქონების დაუფლებისას ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის არარსებობაზე;
- ადასტურებს ე.წ. ნეგატიურ, ანუ არარსებულ, მაგრამ მოვლენათა ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში ბუნებრივ გარემოებებს (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების კვალის არ არსებობა ეწინააღმდეგება სატრანსპორტო საშუალებით დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას).

**29. საგამოძიებო ორგანოები, ცალკეულ შემთხვევაში, არასწორად მიიჩნევენ ბრალდების დასაბუთებისათვის საკმარისად დიდი რაოდენობით ე.წ. შუალედური /მეორეხარისხოვანი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულების არსებობას, ვინაიდან, აუცილებელია აშკარა კავშირის არსებობის დამტკიცება როგორც ამ სახის მტკიცებულებებს შორის, ასევე ე.წ. მთავარ ფაქტთან მათი კავშირის დასაბუთება.**

**30. დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ გარკვეულ მოქმედებას ან მოვლენას რომელთა შედგენა არ უკავშირდება განსახილველ სისხლის სამართლის საქმეს და არც მხარის მიმართვას (მაგალითად, სალაროს ჩეკი, რომელიც ადასტურებს ნივთის ღირებულის გადახდას და გარკვეულ დროის მონაკვეთში გარკვეულ ადგილას ყოფნის ფაქტს; თვითმფრინავის ბილეთი რომელიც მიუთითებს ბრალდებულის ალიბიზე), ასევე ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის, ხელფასის შესახებ, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ა.შ. ყველა მათგანი ადგენს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებას და ე.ი. რელევანტურია.**

**31. მტკიცებულების რელევანტურობის და დასაშვებობის მოთხოვნა წარმოიშობა მათი ფორმირების/მოპოვების პროცესშივე, მაშინ, როდესაც თავად მტკიცებულება, როგორც საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება, ჯერ კიდევ არ არსებობს (მაგალითად, მოწმისათვის მისი უფლება-მოვალეობების განმარტებისას, კითხვების დასმის და იმ საქმის შესახებ განმარტებისას, რომელთან დაკავშირებითაც მოხდა მისი გამოძახება. ჩხრეკის ოქმი დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ დამსწრე პირებს/ ბინის მესაკუთრეს არ განემარტა ოქმზე ხელმოწერისას შენიშვნის გაკეთების უფლება, არ მიეცა ჩხრეკის წარმოებაზე დასწრების შესაძლებლობა).**

**32. რელევანტურია ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მიუთითებს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტზე, გარემოებასა და ვარაუდზე. მაგალითად, მოწმის გათქმითი ჩვენება, რომლის ფარგლებშიც ის ასახელებს თანამონაწილებს, ბრალდებულის ჩვენება, რომელშიც ის აღწერს დანაშაულის ჩადენას, მიუთითებს**

- დანაშაულის იარაღის ადგილმდებარეობაზე და სხვა.
33. ამასთან, მტკიცებულების რელევანტურობა არ გულისხმობს პროცესის მწარმოებელი პირის მიერ მისი გაზიარების სავალდებულოობას. მაგალითად, მონმის ჩვენებას, რომელიც ადასტურებს ბრალდებულის ალიბის, დაცვის მხარე არ წარადგენს სასამართლოში, თუ საქმის მასალებში წარმოდგენილია ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელზეც ნათლად არის ასახული ბრალდებულის მონაწილეობა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში და ფირის ნამდვილობა დადგენილია ექსპერტიზით.
  34. რელევანტური ინფორმაცია მნიშვნელოვანია განსახილველი საქმისათვის ან საქმეზე ახალი ინფორმაციის წარმოდგენის გზით, რომლის არსებობა სხვა მოძიებული მტკიცებულებით არ დასტურდებოდა, ან ადასტურებს საქმეში უკვე არსებული სხვა მტკიცებულების სარწმუნოობას. შეიძლება ეხებოდეს როგორც სხვა მტკიცებულებით გათვალისწინებულ მთელ ინფორმაციას, ასევე მის მხოლოდ ნაწილს, მაგალითად, ადასტურებდეს მონმის ჩვენების იმ ნაწილს, რაც ეხება ბრალდებულის მისვლას შემთხვევის ადგილზე დანაშაულებრივი ქმედების ჩადენამდე 30 წუთით ადრე.
  35. მტკიცებულებების შეფასება მისი უტყუარობის, დასაშვებობის და რელევანტურობის კუთხით ხდება ჯერ ცალკე-ცალკე და შემდეგ – ერთობლიობაში. ამიტომ მტკიცებულება, რომელიც ცალკე აღებული აკმაყოფილებს განსახილველი მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, შესაძლებელია არ აღმოჩნდეს რელევანტური ან უტყუარია საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეფასებისას. იმავდროულად, მტკიცებულების შეფასება ემყარება მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპს, რომლის თანახმად არც ერთ მტკიცებულებას არ გააჩნია წინასწარ დადგენილი ძალა და მტკიცების პროცესში მონაწილე წინა სუბიექტის მიერ მტკიცებულებისათვის მინიჭებულ მნიშვნელობას არ გააჩნია მბოჭავი და სავალდებულო ხასიათი მტკიცებულების შეფასების სხვა სუბიექტისათვის. მაგალითად, მხარის მიერ მტკიცებულებისათვის მინიჭებული მნიშვნელობა სავალდებულო არ არის სასამართლოსათვის, სააპელაციო სასამართლოსათვის არ არის სავალდებულო პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება და ა.შ.
  36. მტკიცებულების წონა იმისდა მიხედვით მატულობს, თუ მტკიცების საგანში შემავალ რამდენად მნიშვნელოვან საკითხს ეხება ის, როგორი სიზუსტით და დამაჯერებლობით ამტკიცებს/უარყოფს მას. მაგალითად, თვითმხილველი მონმის ჩვენება ან დანაშაულის ჩადენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რომელზეც მაღალი ხარისხით არის ასახული დანაშაულის ჩადენის ფაქტი და ვითარება. როცა მტკიცებულება მყარია და არ არსებობს ეჭვი მის სანდოობასთან დაკავშირებით, სხვა მტკიცებულებით მისი გამყარების აუცილებლობა ნაკლებია.<sup>387</sup>
  37. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართალმწარმოებაში არც ერთ მტკიცებულებას წინასწარ დადგენილი ძალა არ გააჩნია და თითოეული მათგანი მისი სახის მიუხედავად თანაბრად უნდა იქნეს შეფასებული, აღნიშნული არ გამოორიცხავს ცალკეული მტკიცებულების მტკიცებითი ძალის გათვალისწინების შესაძლებლობას. მტკიცებითი სამართალი არ ითვალისწინებს მტკიცებულებათა მყარ იერარქიას, იერარქიის განსაზღვრის წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებს. მისი განსაზღვრა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე გარემოებაზე. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წესი, პირდაპირ მტკიცებულებას მეტი მტკიცებულებითი ძალა გააჩნია არაპირდაპირ მტკიცებულებასთან მიმართებით, ექსპერტის დასკვნას და ოფიციალურ დოკუმენტს, მონმის ჩვენებასთან მიმართებით, ნივთიერ მტკიცებულებას (რომელზეც მყარად არის აღბეჭდილი კვალი) ექსპერტ-სპეციალისტის მიერ იმავე მტკიცებულების დათვალისწინებასთან დაკავშირებით მიცემულ ჩვენებასთან მიმართებით და ა.შ. აღნიშნული არ გამოორიცხავს საწინააღმდეგოს. მაგალითად, ვიდეოფირი, რომელზეც აღბეჭდილია მაღაზიაში დახლიდან ელექტროსაქონლის ქურდობის ფაქტი, მაგრამ ბრალდებული აღბეჭდილია ზურგის მხრიდან, შავ ლაბადაში ხელთათმანებით ყოველგ-

<sup>387</sup> იბ., Bykov v Russia, ECtHR, (GC), 10/03/2009, 90; Jalloh v Germany, ECtHR, (GC), 11/07/2006, 96.

- ვარი აშკარა ინდივიდუალური განმასხვავებელი ნიშნების გარეშე. მიუხედავად იმისა რომ ფირი პირდაპირი მტკიცებულებაა, ის ინფორმაციას იძლევა ბრალდებულის სავარაუდო სიმაღლის და წონის შესახებ მაგრამ არ ქმნის პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. მონმის ჩვენება რომ დაინახა ბრალდებულმა როგორ დაჭრა დაზარალებული და მიიძალა შემთხვევის ადგილიდან, მიუხედავად იმისა რომ პირდაპირი მტკიცებულებაა შესაძლებელია გაბათილებული იყოს სხვა მტკიცებულებით, მონმის ჩვენებით, რომ დაშაულის ჩადენის დროს ბრალდებული მის მეგობართან ერთად იმყოფებოდა ქალაქგარეთ (რაც მისთვის ცნობილია იმიტომ, რომ მისმა მეგობარმა დაურეკა და უთხრა არ ენერვიულა, ვინაიდან ბრალდებულთან ერთად იმყოფებოდა მცხეთაში რესტორან რ.-ში და დააგვიანდებოდა), რაც დასტურდება სიჩქარის გადაჭარბების გამო საგზაო რაღარების და კამერების ჩანან-ერებით, შესაბამისი რესტორნის ვიდეოკამერის ჩანანერით, რომელიც ადასტურებს დანაშაულის ჩადენამდე მცირე დროით ადრე რესტორანში შესვლის ფაქტს და ა.შ.
- 38.** რაც უფრო მაღალია მტკიცებულების კატეგორიულობა, მით უფრო მნიშვნელოვანია ასეთ მტკიცებულებაზე ყურადღების გამახვილება და მით უფრო მეტი დასაბუთებაა საჭირო მისი უარყოფისთვის. თუმცა ასეთ მტკიცებულებაში მოყვანილი გარემოებების შეფასებისას დამატებითი სიფრთხილეა საჭირო. მაგალითად, მონმე, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ბრალდებულზე, როგორც დანაშაულის ჩამდენ პირზე, აღწერს მის ინდივიდუალურ მახასიათებლებს და ჩადენილი დანაშაულის ინდივიდუალურ დეტალებს, რაც მხოლოდ დანაშაულის ადგილას მყოფი ან თვითმხილველი პირისათვის შეიძლება იქნეს ცნობილი, არ გამორიცხავს, რომ ადგილი ჰქონდეს მისი მხრიდან ცრუ დასმენას, ცდილობდეს საკუთარი ბრალის ბრალდებულზე გადატანას და ა.შ. ამიტომ ამ შემთხვევაშიც მონმის კატეგორიული ჩვენებების შეაფასებისას და გამოყენებისას უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო.
- 39.** დასაბუთებისას ნათლად უნდა აისახოს, რომ პირის ბრალეულობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით<sup>388</sup> არის დადასტურებული, შესაბამისი ფაქტის/გარემოების არსებობა-არარსებობას, არ იწვევდეს კითხვებს, რომლებიც ეჭვქვეშ დააყენებს დანაშაულის ჩადენის არსებით გარემოებებს და გააჩენს ლოგიკურ და დასაბუთებულ კითხვებს ბრალდებულის ბრალეულობასთან ან/და დანაშაულის ჩადენის საკითხთან მიმართებით. თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს ყოველგვარი ეჭვის არსებობას და ითვალისწინებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას მათ შორის გარკვეული/ მცირემნიშვნელობის/ „არაგონივრული“ ეჭვის არსებობის შემთხვევაშიც (მაგ., ეჭვი რომელიც ემყარება ვარაუდს, წინათგრძნობას), მაგრამ ეს ეჭვი არ უნდა იყოს გონივრული<sup>389</sup>, ვინაიდან ბრალეულობის საკითხის გადანყვეტისას სასამართლო ვალდებულია გააქარწყლოს ყველა გონივრული ეჭვი რაც შესაძლებელია უკავშირდებოდეს მაგალითად, პირის ბრალეულობის და დანაშაულებრივი შემთხვევის არსებობის, ქმედების კვალიფიკაციის საკითხს.
- 40.** სსსკ 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს შეთანხმებულ მტკიცებულებათ ერთობლიობას – მტკიცებულება უნდა შეფასდეს არა მხოლოდ იზოლირებულად, ცალკე აღებული არამედ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაშიც და შესაფასებელი მტკიცებულების მტკიცებულებითი ძალა, წონა, რელევანტურობა, სარწმუნოობა და დამაჯერებლობა იმისდამხედით განსაზღვროს თუ რამდენად ეთანხმება მისი შინაარსი სხვა მტკიცებულებებს პირდაპირ ან არაპირდაპირ. მტკიცებულებებს შორის არ უნდა არსებობდეს არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა და ისინი უნდა იყოს ურთიერთავსებადი ე.ი. მიუთითებდნენ ერთსა და იმავე გარემოებასა და ფაქტებზე არსებითად ერთიდაიგივე პოზიციიდან, არ უნდა ეწინააღმდეგებდეს და გამორიცხავდეს ერთმანეთს არამედ უნდა ავსებდეს, აშკარად ადასტურებდეს რაიმე ფაქტს/გარემოებას, უნდა იყოს დამაჯერებელი და არ უნდა არსებობდეს მათში გონივრული ეჭვის შეტანის

<sup>388</sup> გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის განმარტებისთვის იხ., სსსკ, მე-3 მუხლის კომენტარი.

<sup>389</sup> ეჭვი გონივრულია თუ ემყარება მაგალითად, საღ აზრს, ლოგიკას, გამოცდილებას, მეცნიერულ კვლევას და სხვა.



- საფუძველი (მაგალითად, პირველი მოწმე მიუთითებს, რომ შემთხვევამდე დაახლოებით 10 წუთით ადრე დაინახა, როგორ შედიოდა ბრალდებული დაზარალებულის ნომერში, ლიფტში დამონტაჟებულმა ვიდეო კამერამ დააფიქსირა რომ ბრალდებული ლიფტით ავიდა დაზარალებულის სართულზე შემთხვევამდე 15 წუთით ადრე, მეორე მოწმე მიუთითებს, რომ დაზარალებულის ნომრიდან დაახლოებით იგივე დროს მოესმა ხმაურის, ყვირილის, მძიმე საგნების დავარდნის ხმა, ხოლო დანარჩენი 5 მოწმე მიუთითებს, რომ დაინახეს როგორ გადმოვარდა დაზარალებული თავისი ნომრის აივნიდან, ხოლო აივანზე ვერავინ შეამჩნიეს. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ნომრიდან ამოღებული იქნა ბრალდებულის ფეხის და თითის კვალი. ბრალდებული არ უარყოფს დაზარალებულის ნომერში ყოფნას და აცხადებს, რომ მხოლოდ შეასხენა დაზარალებულს საღამოს დაგეგმილი შეხვედრა და ნომრიდან გამოსვლისას დაზარალებული ცოცხალი დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა აღნიშნული მტკიცებულება ირიბი ხასიათის მატარებელია და პირდაპირ არ მიუთითებს არც ბრალდებულის ბრალეულობაზე და არც დანაშაულებრივ შემთხვევაზე (ვინაიდან არ გამორიცხავს თვითმკვლელობის შესაძლებლობას), ისინი ქმნიან შეთანხმებულ ერთობლიობას, რაც სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შექმნის ლოგიკური დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. ამკარად ადასტურებენ, მაგალითად, შემთხვევის ადგილას ბრალდებულის ყოფნის ფაქტს და ა.შ.
41. დანაშაულის შემადგენლობის თითოეული ელემენტი უნდა მტკიცდებოდეს მტკიცებულებათა ერთობლიობით. თუ დასტურდება დანაშაულებრივი შემთხვევის არსებობა, მაგრამ საქმეში არ არის საკმარისი მტკიცებულებები ბრალდებულის ბრალეულობის, მიზნის, მოტივის, დანაშაულის ჩადენის იარაღის და ა.შ. შესახებ, არ არის დაკმაყოფილებული მოცემული მუხლის მე-3 ნაწილით დადენილი მოთხოვნა და დაუშვებელია გამამტყუვნებელი განაჩენის გამოტანა.<sup>390</sup>
42. შეკრებილი მტკიცებულების საკმარისობა დამოკიდებულია მტკიცებულების საფუძველზე მისაღები გადანყვეტილების სახეზე და მისთვის სსსკ-ით დადგენილ მტკიცებულებით სტანდარტზე. მტკიცებულების საკმარისობა განისაზღვრება როგორც შემაჯამებელი გადანყვეტილების მიღებისას, ასევე შუალედური გადანყვეტილების გამოტანისას და გულისხმობს ისეთი რაოდენობის მტკიცებულებების შეგროვება, რომელიც აუცილებელია დანაშაულის ყველა გარემოების დადგენისა და საქმის განხილვა-გადაწყვეტისას დასაბუთებული გადანყვეტილების მისაღებად. მაგალითად, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისათვის საკმარისია მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ჩადენილია დანაშაული და მის ჩადენაში შესაძლებელია ბრალი მიუძღვოდეს კონკრეტულ პირს. ჩხრეკის ჩატარებაზე განჩინების გამოტანისას მოსამართლე აფასებს სხვა საკითხებთან ერთად ასევე, გამოძიების მიზნებისათვის კერძო საკუთრების და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის აუცილებლობას და თანაზომიერებას, ჩხრეკის ადგილზე საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების აღმოჩენის შესაძლებლობის დასაბუთებულობას და ა.შ. ამ დროს ფასდება საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების ერთობლიობა მისი სახის მიუხედავად. ამიტომ საკმარისობას არ გააჩნია რაოდენობრივი მახასიათებელი. ეს არის მტკიცებულებათა მთელი ერთობლიობის ხარისხის შეფასება: რამდენად არის შესაძლებელი მათ საფუძველზე დასკვნის გაკეთება. მაგალითად, პირის დაზარალებულად ცნობისათვის საკმარისია დანაშაულით მისთვის ზიანის მიყენების ფაქტის დადგენა.
43. მტკიცებულებას განსახვავებულად აფასებენ ნაფიცი მსაჯულები. მიუხედავად იმისა, რომ მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულების გამოკვლევაში (მათ შორის შეკითხვების დასმის გზით), ისინი იხილავენ მტკიცებულების მხოლოდ რელევანტურობას და უტყუარობას, ხოლო მტკიცებულების დასაშვებობა, როგორც სამართლის საკითხი,

<sup>390</sup> განაჩენის დასაბუთების საკითხთან დაკავშირებით დამატებით იხ., სსსკ. 259, 273 და 275-ე მუხლების კომენტარი.

- ფასდება მათი მონაწილეობის გარეშე. მათი შეფასება ეყრდნობა მტკიცებულებათა გამოკვლევისას მოპოვებულ ინფორმაციას და შთაბეჭდილებას, მხარეების მიერ მტკიცებულებებისათვის მიცემულ შეფასებებს, სხდომის თავმჯდომარის მიერ მსაჯულებისათვის მიცემულ განმარტებებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ინტუიციას.
44. გონივრულ ეჭვს მიღმა პირის ბრალეულობის დადასტურებისათვის სასამართლოს არ აქვს უფლება გამოიყენოს დაცვის მხარის პასიურობა, ბრალდებულის დუმილის ან მისი მხრიდან პროაქტიული დაცვის განუხორციელებლობასა და გამამართლებელი მტკიცებულებების წარმოუდგენლობაზე აპელირება. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია არც ერთი გამამართლებელი მტკიცებულება, სასამართლო ვალდებულია შეაფასოს ჯვარედინი დაკითხვის ფარგლებში დაცვის მხარის მიერ დასმული კითხვები და დასკვნით სიტყვაში გაკეთებული განცხადებები რამდენად წარმოქმნის დასაბუთებულ ეჭვს ბრალდების საფუძვლიანობაში და რამდენად არსებობს საქმის მასალებში აღნიშნული ეჭვის გამაბათილებელი მტკიცებულებები.
45. მტკიცებულების შეფასება უნდა განხორციელდეს როგორც იზოლირებულად, ასევე სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი მტკიცებულება, როდესაც საქმეში არ მოიპოვება სხვა პირდაპირი მტკიცებულება. თუ საქმეში წარმოდგენილია რამდენიმე ირიბი მტკიცებულება, რომელთა სანდოობა ეჭვს არ იწვევს, და იმავდროულად ადასტურებს შესაფასებელ მტკიცებულებაში მოცემული ინფორმაციის სარწმუნოობას, აღნიშნული საკვებით საკმარისია შესაფასებელი მტკიცებულების უტყუარობის დასადგენად.
46. მტკიცებულების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მტკიცებულების ხარისხი, ასევე შესწავლილ უნდა იქნეს ხომ არ აყენებს ეჭვქვეშ მტკიცებულების უტყუარობას და სანდოობას მტკიცებულების მოპოვების გარემოებები. ის, რომ საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულების მხარდამჭერი სხვა მტკიცებულებები/ინფორმაცია, არ წარმოადგენს მტკიცებულების უტყუარობაში დაეჭვების საფუძველს, თუ აღნიშნული მტკიცებულება სანდოა და არ არსებობს ეჭვი მის უტყუარობასთან დაკავშირებით.<sup>391</sup>
47. განაჩენის ან/და ნებისმიერი სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების ლეგიტიმურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის გამოყენებული მტკიცებულებების დასაშვებობასა და სარწმუნოობაზე. ამიტომ, თუ კერძო პირების მიერ არაკანონიერი გზით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დაშვება ბრალდებულის ფუნდამენტურ უფლებებს არსებით ზიანს მიაყენებს, ასეთი ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია.<sup>392</sup>

### მუხლი 83. შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლა მხარეების მიერ

1. სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები.
2. დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ბრალდების მხარე უფლებამოსილია დაცვის მხარისაგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს.
3. ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისათ-

<sup>391</sup> იბ., Haxhia v Albania, ECtHR, 08/01/2014, §129; Khan v the UK, ECtHR, 12/05/2000, 35-37; Allan v the UK, ECtHR, 05/11/2002, §43.

<sup>392</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31/07/2015 წლის გადაწყვეტილება №579, II-29.

ვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული მხარეების მიერ ინფორმაციის გაცვლის თაობაზე დგება ოქმი, რომლის ასლიც ეგზავნება სასამართლოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად.

5. დაცვის მხარის უფლება ინფორმაციის მიღებაზე შეიძლება ბრალდების მხარის შუამდგომლობით შეზღუდოს სასამართლომ მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში და მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე (1.08.2014 № 2634) .

6. წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ (5.05.2011. №4631).

7. მხარეებმა საკუთარი ხარჯით უნდა გადასცენ ერთმანეთს ინფორმაცია დოკუმენტის ასლის სახით, სხვა მასალის შემთხვევაში კი – ცნობის სახით. დასაშვებია ნივთიერი მტკიცებულების დათვალიერებაც, თუ ეს არ იწვევს მის ან მასზე არსებული კვალის დაზიანებას ან განადგურებას.

8. ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე მხარეები ვალდებული არიან მისცენ ერთმანეთს იმ ინფორმაციისა და მტკიცებულების გაცნობის შესაძლებლობა, რომელთა სასამართლოში წარდგენასაც ისინი აპირებენ, ასევე გადასცენ ნერილობითი მტკიცებულებების ასლები (7.12.2010. №3891 ამოქმედდეს 2010 წლის 10 დეკემბრიდან).

- 1. ნორმის მიზანი:** შესაძლებლობას აძლევს მხარეებს მოემზადონ სასამართლო განხილვისათვის, ხელს უწყობს სასამართლო განხილვის ეფექტიანობას და ქმნის სამართლიანი სასამართლო განხილვის მნიშვნელოვან წინაპირობას.
- თუ მხარისათვის უცნობია მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესზე წარსადგენი მტკიცებულებები, ის ვერ შეძლებს საკუთარი პოზიციის დაცვის ეფექტიანად განხორციელებას; სასამართლო განხილვა გაუმართლებლად გაჭიანურდება (ვინაიდან მხარე დააყენებს შუამდგომლობას პროცესის გადავადების შესახებ ახალი მტკიცებულების გაცნობის მიზნით); შეუძლებელი იქნება სსსკ 73-ე და 220-ე მუხლებით გათვალისწინებული კონკრეტული მტკიცებულების თაობაზე მხარეთა შორის შეთანხმების უფლების რეალიზება.
- სსსკ 83-ე მუხლი მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის ორ სახეს ითვალისწინებს: 1. ინფორმაციის გაცვლას მოთხოვნისამებრ რეჟიმში და 2. ინფორმაციის სავალდებულო წესით გაცვლას, რაც თავის მხრივ ორ ქვესახედ იყოფა: წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე გაცვლის ვალდებულება და ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე.
- მოთხოვნისამებრ პროცედურის ფარგლებში ინფორმაციის მოთხოვნა და გაცვლა დაიშვება სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე. დაცვის მხარის მოთხოვნა საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გაცნობაზე, დევნის დაწყებიდან ნებისმიერ სტადიაზე უნდა დაკმაყოფილდეს, მიუხედავად იმისა, წარდგენილი აქვს თუ არა პირს ბრალდება (დაკავებიდან 48 საათიანი ვადის გასვლამდე, სანამ პირს წაეყენება ბრალდება).
- მოთხოვნისამებრ პროცედურის თავისებურება: 1. დაცვის მხარეს ინფორმაცია გადაეცემა მხოლოდ თუ ის ამას მოითხოვს. მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში მას ინფორმაცია გადაეცემა მხოლოდ სავალდებულო წესით (პირველი წარდგენის სხდომამდე და წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე); 2. ბრალდების მხარის უფლება მასალების გამოთხოვაზე დაცვის მხარის უფლებიდან არის ნაწარმოები – თუ დაცვის მხარე არ დააყენებს შუამდგომლობას გაცვლის შესახებ, ბრალდების მხარეს არ ექნება წინასასამართლო სხდომამდე აღნიშნულის მოთხოვნის უფლება; 3. 83-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ინფორმაციის გაცვლის ორ ფორმას: გაცნობასა და გადაცემას – ბრალდების მხარე ვალდებულია გააცნოს დაცვის მხარეს საქმეში არსებული ყველა მამხილებელი მასალა (გარდა 83.5-ით გათვალისწინებული გამონაკლისისა), ხოლო გადასცეს მხოლოდ

- გამამართლებელი მტკიცებულება. თავის მხრივ, დაცვის მხარეს ეკისრება ბრალდების მხარისათვის მტკიცებულების გადაცემის და არა გაცნობის ვალდებულება (83.2); 3. გამამართლებელი მტკიცებულების გადაცემის ვალდებულება ნაწარმოებია დაცვის მხარის მოთხოვნისგან; 4. 83-ე მუხლის მე-7 ნაწილი ითვალისწინებს მხარეების მიერ წინასასამართლო სხდომამდე ინფორმაციის არა გაცნობის, არამედ კონკრეტული სახით გადაცემის ვალდებულებას (ასლის, ცნობის სახით).
6. სავალდებულო პროცედურის ორივე სახის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ წერილობითი მტკიცებულების ასლების გადაცემის და საქმეში არსებული სხვა მასალების გაცნობის ვალდებულება. კანონმდებლობა პირდაპირ არ აკონკრეტებს გასაცნობი მტკიცებულების სახეს, თუმცა ადგენს, რომ წერილობითი მტკიცებულება ასლის სახით უნდა იქნეს წარდგენილი, ხოლო ნივთიერი მტკიცებულება – დათვალიერებული. შესაბამისად, გაცნობის შესაძლებლობა ეხება პრაქტიკულად მხოლოდ იმ დოკუმენტებს, რომლებიც არ წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებას.
  7. ინფორმაციის გაცვლა სავალდებულო რეჟიმში ითვალისწინებს მარტივ წესს და ადგენს იმპერატიულ დანაწესს, რომლის თანახმად ყველა ინფორმაცია, რომლის გამოყენებასაც მხარე აპირებს სასამართლო სხდომაზე ამ ინფორმაციის ხასიათის მიუხედავად (სახელმწიფო საიდუმლოება, მათ შორის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გზით მოპოვებული ინფორმაცია და ა.შ.), სავალდებულო წესით უნდა გადაეცეს გასაცნობად მეორე მხარეს წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე.
  8. გადაცემაში იგულისხმება საქმის შესაბამისი მასალების ასლების გადაცემა და არა გაცნობის შესაძლებლობის /პირობების შექმნა, მაგალითად, საგამოძიებო ორგანოს ტერიტორიაზე სპეციალური სივრცის გამოყოფის გზით. ვინაიდან ადგილზე გაცნობის შემთხვევაში თუ პირს არ გააჩნია აღნიშნული მასალიდან საჭირო ამონაწერების გაკეთების შესაძლებლობა მათი სარწმუნოების შემდგომი შემოწმების მიზნით, გაცნობა აზრს მოკლებულია. იმავდროულად, შეუძლებელია დიდი მოცულობის მქონე დოკუმენტაციის ადგილზე დამუშავება, მათ შორის მათი ანალიზის და სინთეზის გზით, საქმის დანარჩენ მასალებთან და მტკიცებულებათა ერთობლიობაში მათი განხილვა-შეპირისპირება და ანალიზი. ლეგიტიმურ საჯარო ინტერესზე აპელირება მოცემულ შემთხვევაში არარელევანტურია, ვინაიდან ერთი მხრივ არ არის გამორიცხული რომ თუნდაც მხოლოდ ზეპირად გაცნობის შემთხვევაში პირს ჰქონდეს ფენომენალური მეხსიერება და ადგილზე ჩანაწერების განხორციელების გარეშე შესაბამისი დანესებულების ტერიტორიის დატოვებისთანავე შეძლოს აღნიშნული დოკუმენტის შინაარსის ზედმიწევნით აღდგენა; მეორე მხრივ, ასეთი ფორმით გაცნობა ფორმალური ხასიათის მატარებელია და ვერ უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით დადგენილი იმ გარანტიის და უფლების რეალიზაციას, რაც გულისხმობს დაცვის უფლების ეფექტიანად განხორციელებას, რისი უზრუნველყოფის ვალდებულებაც სახელმწიფოს გააჩნია. ანალოგიურად, ადვოკატისთვის საქმეში არსებული იმ დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობის მინიჭება, რომლებიც შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას, იმ პირობით, რომ მას ეკრძალება აღნიშნულ დოკუმენტში არსებული მასალების რაიმე სახით გადამონმეება, გაუმართლებლად ზღუდავს დაცვის მხარის უფლებას.
  9. წინასასამართლო სხდომამდე ინფორმაციის გაცვლის ინიციატორი მხარე დაცვის მხარეა. შესაბამისად, ბრალდების მხარეს უფლება არ აქვს მოითხოვოს დაცვის ხელთ არსებული მტკიცებულებების მისთვის გადაცემა, თუ თავდაპირველად შესაბამისი შუამდგომლობა არ იქნება დაყენებული დაცვის მხარის მიერ და დაკმაყოფილებული. ამდენად, თუ დაცვის მხარე მთელი სამართალწარმოების მანძილზე არ დააყენებს შუამდგომლობას ბრალდების ხელთ არსებული ინფორმაციის მისთვის გასაცნობად გადაცემის შესახებ, ბრალდების მხარე არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს დაცვის მხარეს მის ხელთ არსებული ინფორმაციის მისთვის გაცნობა.
  10. მხარეებს შორის გასაცვლელი ინფორმაციის მოცულობა: ბრალდების მხარე ვალდებულია

- დაცვის მხარეს გააცნოს და გადასცეს მის მიერ მოძიებული/ მოპოვებული გამამართლებელი მტკიცებულებები დაცვის მხარის შუამდგომლობის არსებობის მიუხედავად. თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს დაცვის მხარის ანალოგიური შინაარსის ვალდებულებას, რომ მან ასეთ შემთხვევაში ბრალდების მხარეს გადასცეს მის მიერ მოძიებული გამამტყუნებელი მტკიცებულებები.
11. მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებით პროცესში ბრალდების მხარეს არ ეკისრება ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულების მოძიების ვალდებულება, თუ ასეთი მტკიცებულება მისთვის ხელმისაწვდომი გახდება გამოძიების წარმოების ფარგლებში, მას ეკისრება მისი გაცვლის ვალდებულება, იმისდა მიუხედავად, აპირებს თუ არა ბრალდების მხარე მის წარდგენას სასამართლოში. ასევე მნიშვნელობა არ აქვს გააჩნია თუ არა აღნიშნულ ინფორმაციას მტკიცებულებითი ძალა. თუ ის შეიცავს დაცვის მხარისათვის მნიშვნელოვან გამამართლებელი ხასიათის ინფორმაციას, იმისდა მიუხედავად, დაცვის მხარე მომავალში შეძლებს თუ არა მის მტკიცებულებად გამოყენებას, ბრალდების მხარე უპირობოდ ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია მიანოდოს ბრალდებულს/ადვოკატს. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი წყაროდან, ნებისმიერი ფორმით მოპოვებული ინფორმაცია როგორც ანონიმური, ასევე იდენტიფიცირებადი, ზეპირი ან წერილობითი, აუდიო- თუ ვიდეომასალა, ამონაწერი, ცნობები და ა.შ.
  12. რაც შეეხება გამამტყუნებელ ინფორმაციას, ბრალდების მხარეს წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე დაცვის მხარისათვის მხოლოდ იმ მტკიცებულების გაცვლის ვალდებულება ეკისრება, რომლის გამოყენებასაც ის გეგმავს სასამართლოში. შესაბამისად, ბრალდების მხარის გადასაწყვეტია რომელ მტკიცებულებას და რა მოცულობით გამოიყენებს სასამართლოში. თავისთავად გამამტყუნებელი მტკიცებულების საქმის მასალებში არსებობა არ გულისხმობს ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში მისი გამოყენების ვალდებულებას. ბრალდების მხარეს უფლება აქვს დაახარისხოს გამამტყუნებელი მტკიცებულებები და სასამართლოს წარუდგინოს მხოლოდ ისინი, რომლებიც, მისი აზრით, ყველაზე უკეთ და უფრო მაღალი ხარისხით ადასტურებს ბრალდებულის ბრალეულობას, გამოირჩევა მაღალი სანდოობით და რომელთა მიმართ დაცვის მხარე ვერ შეძლებს პროტესტის დაყენებას მათი სარწმუნოების, რელევანტურობის თუ ავთენტიკურობის საფუძვლით. აღნიშნული თავის მხრივ არ გამოორიცხავს ბრალდების მხარის შესაძლებლობას, სურვილის შემთხვევაში დაცვის მხარეს გაუცვალოს ის მტკიცებულებებიც, რომელთა გამოყენებას არ აპირებს სასამართლოში.
  13. კანონმდებლობა არ არეგულირებს იმ მტკიცებულების გაცვლის საკითხს, რომელიც ერთდროულად გამამართლებელი და გამამტყუნებელიცაა. მტკიცებულება ყოველთვის არ არის ცალსახად მხოლოდ გამამართლებელი ან გამამტყუნებელი და ცალკეულ შემთხვევებში ის ერთდროულად ორივე სახის ინფორმაციას შეიცავს. მაგალითად, მონმე, რომელიც ბრალდებულს ახასიათებს როგორც განონასწორებულ, პუნქტუალურ, მონესრიგებულ ადამიანს, რომელიც თანამშრომლებში სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით, ზედმინვენით ასრულებს სამსახურებრივ ფუნქციებს, რისთვისაც არაერთხელ გამოეცხადა მადლობა და გადაეცა საპატიო ჯილდო. მონმე იმავდროულად აღნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენის დღეს მან დაინახა, როგორ გამოდიოდა ბრალდებული დაზარალებულის სახლიდან და ცდილობდა ჯიბეში რაღაც საგნის დამალვას, ხოლო ტანსაცმელზე აღენიშნებოდა წითელი ფერის ლაქები.
  14. გადასაცემი მამხილებელი ინფორმაციის მოცულობის შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ: 1. სასამართლოს გადაწყვეტილებით; 2. ოპერატიულ-სამძებრო ან/და ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში; 3. წინასასამართლო სხდომამდე. შესაბამისად, წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე აღნიშნული შეზღუდვა ავტომატურად ყოველგვარი დამატებითი გადაწყვეტილების მიღების გარეშე უქმდება და ინფორმაციის სრული მოცულობით გადაუცემლობა გამოინვეცს მის დაუშვებლობას.

15. სსსკ კანონმდებლობა აღნიშნული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებად ითვალისწინებს დამალული მტკიცებულების დაუშვებლად გამოცხადებას, რაც გაცილებით უფრო მძიმე შედეგების მატარებელია მხარისათვის, ვიდრე ჯარიმა, ვინაიდან შეუძლია არსებითად შეარყიოს მხარის მიერ შერჩეული ტაქტიკა და ქმნის პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას ბრალდების დაუსაბუთებლობის მოტივით. იმავდროულად არ არის გამორიცხული მხარის მიერ აღნიშნულით მანიპულირების შესაძლებლობაც. დისციპლინური პასუხისმგებლობის გარდა რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ბრალდების მხარის მიერ დაცვის მხარისათვის გამამართლებელი მტკიცებულების გადაუცემლობამ, კანონმდებლობით ცალსახად არ არის რეგულირებული და არ არის გათვალისწინებული საკმარისი გარანტიები თვითნებობისგან. 83-ე მუხლის თანახმად, ბრალდებას ეკისრება აღნიშნულის გადაცემის ვალდებულება და ინფორმაცია, რომლის გაცვლაც არ განხორციელდება მხარეებს შორის 83-ე მუხლით დადგენილი წესების მიხედვით, დაუშვებელია. მიუხედავად იმისა, რომ 72-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ცალკეულ შემთხვევებში დაუშვებელი მტკიცებულების გამოყენების შესაძლებლობას, ის არეგულირებს მტკიცებულების დაუშვებლობას მოპოვების ხერხის უკანონობის საფუძველზე და შეხება არ გააჩნია განსახილველ შემთხვევასთან.
16. 83-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოთხოვნილი ინფორმაციის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ბრალდების ხელთ იმ მომენტისათვის არსებული მთელი ინფორმაციის დაუშვებლად გამოცხადებას და არა მხოლოდ იმ ნაწილის, რომლის გადაცემაც არ განხორციელდა. სსსკ გადაცემის ვალდებულებას უკავშირებს მხარის დისკრეციას, თავად ამოარჩიოს მისთვის ყველაზე ხელსაყრელი მტკიცებულებები, რომელთა გამოყენებას და წარდგენას აპირებს სასამართლოში. თუ მხარემ მოგვიანებით გადაიფიქრა და გადანწყვიტა სასამართლოში იმ ინფორმაციის წარდგენაც, რომელიც მოთხოვნის მომენტში მას გააჩნდა, მაგრამ არ აპირებდა მის გამოყენებას სასამართლოში, ვინაიდან ობიექტურად ვარაუდობდა უფრო მყარი მტკიცებულების მოპოვებას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შესაძლებელია ობიექტური გარემო პირობებით იქნეს გამოწვეული (მაგალითად, მოწმე რომლის ჩვენებასაც ელოდა ბრალდების მხარე, გარდაიცვალა ვიდუოფირი, რომლის მოპოვების იმედიც ობიექტურად ჰქონდა, ვერ იქნა დაძებნილი და ა.შ.) და არა ბრალდების მხარის არაკეთილსინდისიერი მანიპულირებით – სსსკის თანახმად აღნიშნული ინფორმაცია, მის გადაცემაზე უარის თქმის მოტივის მიუხედავად, დაუშვებლად იქნება მიჩნეული იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბრალდების მხარე აღნიშნულ ინფორმაციას სასამართლოს და დაცვის მხარეს გაუცვლის წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე. ვინაიდან ინფორმაცია დაუშვებელი ხდება იმ მომენტიდან, როდესაც ბრალდების მხარემ უარი განაცხადა მის გადაცემაზე დაცვის მხარისათვის, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინფორმაცია გამოცალკევებული და დასრულებული სახით უკვე ამოღებული და დამაგრებული იყო საქმის მასალებში. შესაბამისად, თუ მოთხოვნის დაყენების მომენტში ბრალდების/დაცვის მხარეს მოპოვებული აქვს ერთიანი ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი და დანარჩენის მოპოვების პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება, დაუშვებელი იქნება ის ნაწილი, რომელიც ობიექტურად ხელშესახები იყო და არსებობდა მოთხოვნის დაყენებისას.
17. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაცვის მხარის მიერ აღნიშნული შუამდგომლობის დაყენების ზღვრულ რაოდენობას და არც გამოძიების ეტაპს. შესაბამისად, დაცვის მხარეს უფლება აქვს შეუზღუდავი რაოდენობით და განუსაზღვრელი, მაგრამ გონივრული დროის ინტერვალებით დააყენოს შუამდგომლობა საქმის მასალების მისთვის გასაცნობად გადაცემის შესახებ. ინტერვალების ხანგრძლივობა დამოკიდებულია საქმის გარემოებებსა და გამოძიების ეფექტიანობაზე და არა დროის მონაკვეთის ფორმალურ ხანგრძლივობაზე. შესაბამისად, თუ დაცვის მხარისათვის ცნობილი ხდება, რომ ბრალდების მხარემ ჩაატარა რამდენიმე საპროცესო და საგამოძიებო მოქმედება, რომელშიც არ მონაწილეობდა დაცვის მხარე და რომლის შედეგებიც შესაძლებელია მისთვის საინტერესო იყოს, მას შეუძლია

- დააყენოს შუამდგომლობა 83-ე მუხლის საფუძველზე იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი დროა გასული ანალოგიური შუამდგომლობის დაყენებიდან.
18. 83-ე მუხლის თანახმად, დაცვის მხარის შუამდგომლობა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. შესაბამისად, ბრალდების მხარეს აღნიშნულ საკითხში: 1. არ გააჩნია ფორმალური დისკრეცია – მას ევალება მოთხოვნილი დოკუმენტაციის გადაცემა; 2. სსსკ არ ითვალისწინებს „დაუყოვნებლივ“-ის განმარტებას და არ განსაზღვრავს კონკრეტულ ვადას.
  19. მოცემულ შემთხვევაში დასაშვებად ითვლება დაყოვნება, რაც ობიექტურად არის აუცილებელი ტექნიკური საკითხების გადასაწყვეტად (მაგ., გასათვალისწინებელია საქმის მასალების მოცულობა, შუამდგომლობის დაყენების დრო, მაგალითად, თუ შუამდგომლობა დაყენებულია პარასკევს სამუსაო დღის დასასრულს, ყველაზე ადრე მისი დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ორშაბათს და ა.შ.).
  20. წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე პროკურორი ვალდებულია დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული ის მტკიცებულებები, რომელთა გამოყენებასაც აპირებს სასამართლოში. სსსკ არ უკრძალავს ბრალდების მხარეს ინფორმაციის უფრო ადრე გადაცემის შესაძლებლობას და ადგენს მინიმალურ ვადას წინასასამართლო სხდომამდე. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც მტკიცებულებათა გადაცემის დღე ემთხვევა არასამუსაო დღეს, ბრალდების მხარეს შეუძლია შესაბამისი მტკიცებულებები დაცვის მხარეს გადასცეს 6, 7 ან მეტი დღით ადრე (მაგალითად, თუ დასვენების დღედ გამოცხადდა ორშაბათი და სამშაბათი, ხოლო წინასასამართლო სხდომა დანიშნულია მომდევნო ორშაბათს).<sup>393</sup>
  21. 83-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის სავალდებულო წესით გაცვლის მიზანია დაცვის მხარისათვის წინასასამართლო სხდომამდე სულ ცოტა 5 დღით ადრე მაინც გახდეს ცნობილი ყველა ის მტკიცებულება, რომლის გამოყენებასაც ბრალდების მხარე აპირებს სასამართლოში, იმისათვის, რომ მიეცეს აღნიშნული მასალების შესწავლისა და დაცვის მომზადების შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ არ აკონკრეტებს გადასაცემ მასალას, 83-ე მუხლის საფუძველზე, პირველ რიგში, დაცვის მხარეს უნდა გადაეცეს ის მტკიცებულებები, რომლებიც დაცვის მხარეს არ წარდგენია ბრალის წარდგენიდან წინასასამართლო სხდომამდე. მაგალითად, თუ ბრალდების მხარე სასამართლოში აპირებს 10 მტკიცებულების გამოყენებას, რომელთაგან 2 დაცვის მხარეს გადაეცა ბრალის წარდგენისას, ხოლო კიდევ 3 პირველი წარდგენის სხდომის შემდგომ მოთხოვნისამებრ პროცედურის ფარგლებში, წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე ბრალდების მხარე ვალდებულია გადასცეს დარჩენილი 5 მტკიცებულება და ყველა იმ მტკიცებულების სრული ნუსხა, რომელთა გამოყენებასაც ბრალდების მხარე აპირებს სასამართლოში.
  22. 83-ე მუხლი მიუთითებს მტკიცებულების გადაცემის მხარისათვის, შესაბამისად, მტკიცებულების გადაცემის ვალდებულება დაკმაყოფილებულია, თუ ბრალდების მხარე აღნიშნულ მტკიცებულებებს გადასცემს თავად ბრალდებულს ან მის ადვოკატს (ორივესთვის ცალკე-ცალკე გადაცემის ვალდებულება ბრალდების მხარეს არ გააჩნია, თუმცა შეუძლია გადაცემის პროცედურაზე დაიბაროს როგორც ადვოკატი, ასევე ბრალდებული. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მას ექნება მტკიცებულების მხოლოდ 1 ასლის გადაცემის ვალდებულება ერთ ბრალდებულთან მიმართებით. იმისდა მიუხედავად, წარმოდგენილ იქნება თუ არა ის ადვოკატის ან ადვოკატების მიერ. შესაბამისად, თუ საქმეში რამდენიმე ბრალდებულია ბრალდების მხარე ვალდებული იქნება თითოეულ ბრალდებულს გადასცეს ის მტკიცებულებები, რომელთა გამოყენებასაც აპირებს კონკრეტულად ამ ბრალდებულის წინააღმდეგ და კვლავაც ერთ ასლად). ანალოგიურად, დაცვის მხარის მიერ 83-ე მუხლის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, თუ ის აღნიშნულ მასალას გადასცემს გამომძიებელს

<sup>393</sup> 5-დღიანი ვადის ათვლისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სსსკ 85-ე მუხლით დადგენილი ვადის ათვლის წესი.

- ან პროკურორს. მასაც არ ეკისრება აღნიშნული მასალის ორივესთვის გადაცემის ვალდებულება.
- 23.** თუ მტკიცებულების გადაცემა მხარისათვის ვერ ხერხდება მისი გამოუცხადებლობის, მასთან დაკავშირების შეუძლებლობის გამო, მასალები დაცვის მხარეს შესაძლებელია გადაეცეს ფოსტის მეშვეობით. მაგრამ მოგვიანებით სასამართლოში წარდგენილ უნდა იქნეს მტკიცებულება იმისა, თუ რატომ, რომელი საპატიო მიზეზის გამო ვერ მოხერხდა დაცვის მხარისათვის მტკიცებულების უშუალოდ გადაცემა და ასევე – შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მასალების საფოსტო დაწესებულებისათვის ჩაბარებას და დაცვის მხარის მიერ მათ მიღებას. ანალოგიურად, თუ დაცვის მხარე ვერ ახერხებს მასალების გადაცემას პროკურორის ან საქმისმწარმოებელი გამომძიებლისათვის, მას უფლება აქვს აღნიშნული მასალები ჩააბაროს კანცელარიას და მოგვიანებით სასამართლოს წარუდგინოს როგორც ჩაბარების დამადასტურებელი საბუთი, ასევე იმ მიზეზების განმარტება, რის გამოც ვერ უზრუნველყო მხარისათვის მასალის პირადად გადაცემა. აღნიშნული წესი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საგამონაკისო სახით, ვინაიდან 83-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ინფორმაციის გაცვლის შესახებ დგება ოქმი, რომლის ასლიც უნდა გადაეგზავნოს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად. აღნიშნული ოქმი წარმოადგენს 83-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებას და მის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია იმის მტკიცება, რამდენად სრულად განხორციელდა ყველა მტკიცებულების დადგენილ 5 დღიან ვადაში სრული მოცულობით მხარისათვის გადაცემა. შესაბამისად, ოქმის არარსებობისას თუ დაცვის მხარე შუამდგომლობს ერთ-ერთი მტკიცებულების – მაგალითად, ჩხრეკის ოქმის დაუშვებლად ცნობას, ვინაიდან მას 5 დღით ადრე გადაეცა ყველა მტკიცებულება აღნიშნული ოქმის გარდა, ხოლო ჩხრეკის ეს ოქმი გადმოეცა მოგვიანებით, წინასასამართლო სხდომამდე 3 დღით ადრე, ამ შემთხვევაში დოკუმენტური მტკიცებულების არ არსებობის პირობებში ბრალდებულის სასარგებლო ასიმეტრიული გადახრის და სისხლის სამართალწარმოების პრინციპებიდან გამომდინარე, სადავო ჩხრეკის ოქმი მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად. ანალოგიურ ვითარებას ექნება ადგილი, თუ დაცვის მხარე დააყენებს შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ მას მტკიცებულების ასლები გადმოეცა არასრული სახით – მაგალითად, ცალკეული გვერდების გამოკლებით. ამიტომ, ოქმში უნდა აღინიშნოს როგორც გადაცემული მტკიცებულებების ნუსხა, ასევე, როგორც მინიმუმ გადაცემული გვერდების საერთო რაოდენობა. იმავდროულად, თუ მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის ოქმის ასლი ორივე მხარეს გადაეცა, მაგრამ არ იქნა წარდგენილი სასამართლოში საქმის მასალებთან ერთად, აღნიშნული ტექნიკური ხასიათის ხარვეზია და არ უნდა იწვევდეს ყველა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას.
- 24.** მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ „სრულ ინფორმაციაში“ მოიაზრება ყველა ის მტკიცებულება, რომელიც მხარეებს ხელთ აქვთ და რომლის წარდგენასაც აპირებენ სასამართლოში. მაგრამ დამატებით მხარეებისთვის იმ მოვალეობის დაკისრება, რომ გამოკითხვის ოქმებთან ერთად მოწინააღმდეგე მხარეს და სასამართლოს ასევე წარუდგინონ დასაკითხ პირთა სია (ნუსხა), არ გამომდინარეობს განსახილველი მუხლიდან. “ მხარის მიერ მოწმის გამოკითხვის ოქმის მოწინააღმდეგე მხარისთვის გადაცემა, ამ დოკუმენტის გაცვლის თაობაზე ოქმის შედგენა და სასამართლოსათვის წარდგენა ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს რომ მხარეს სურს აღნიშნული პირის (პირების) მოწმის სახით დაკითხვა, ვინაიდან გამოკითხვის ოქმს, ცალკე აღებულს, სამართლებრივი ძალა არ გააჩნია...”<sup>394</sup>
- 25.** 83-ე მუხლის მე-8 ნაწილი პირდაპირ არ ითვალისწინებს ბრალდების მხარის ვალდებულებას დაცვის მხარისათვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის გადაცემაზე. შესაბამისად, სასამართლო და საგამომძიებო პრაქტიკა, როგორც წესი, არ ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ ბრალდების მხარის მიერ

<sup>394</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 29/06/2015 წლის განაჩენი საქმეზე №526აპ-14.



- სასამართლოში წარსადგენი შუამდგომლობის გადაცემას დაცვის მხარისათვის.
- 26.** სსსკ 83-ე მუხლი (და არც სხვა მუხლები) არ არეგულირებს შემთხვევებს, როდესაც მტკიცებულების გამოთხოვა/მოპოვება ხორციელდება წინასასამართლო სხდომამდე 5 დღეზე ნაკლები ვადით ადრე ან წინასასამართლო სხდომის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ 217-ე მუხლი არეგულირებს ახალი მტკიცებულების არსებით სასამართლო განხილვაზე წარმოდგენასთან დაკავშირებულ საკითხებს, სსსკ არ არსებობს ჩანაწერი იმის შესახებ თუ ასეთი მტკიცებულების მოპოვებიდან რამდენ ხანში უნდა უზრუნველყოს მხარემ მოწინააღმდეგე მხარისათვის გასაცნობად გადაცემა ან/და საერთოდ თუ არსებობს აღნიშნული ვალდებულება, თუ მხარეს ასეთი მტკიცებულების მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაცემის ვალდებულება წარმოეშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო 217-ე მუხლის საფუძველზე მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული მტკიცებულების დაშვების შესახებ. კერძოდ, ცალკეულ შემთხვევაში, 83-ე მუხლის მე-6 ნაწილიდან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც მხარისათვის ცნობილი გახდება რომელი მტკიცებულების გამოყენებას აპირებს სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარე, მან შესაძლებელია საჭიროდ ჩათვალოს მისთვის გადაცემულ ერთ-ერთ მტკიცებულებასთან დაკავშირებით ექსპერტიზის დანიშვნა. რამდენად დაიშვება ასეთი საექსპერტო დასკვნის მოგვიანებით მტკიცებულებად გამოყენება პროცესზე? მაგალითად, 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად მტკიცებულებათა გაცვლის შემდეგ, ბრალდების მხარემ საჭიროდ მიიჩნია ექსპერტიზის დანიშვნა. ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილების ასლი მეორე დღესვე გადაუგზავნა დაცვის მხარეს, მაგრამ ექსპერტის დასკვნა წარმოდგენილ იქნა მხოლოდ არსებით სასამართლო სხდომაზე და დაცვის მხარეს დასკვნის გასაცნობად მიეცა დამატებითი დრო. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარეს არ ჰქონდა შესაძლებლობა ედავა აღნიშნული დასკვნის დასაშვებობაზე სსსკ 83-ე მუხლზე დაყრდნობით, მისთვის წინასასამართლო სხდომამდე ცნობილი იყო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და მას შესაძლებლობა ჰქონდა ედავა დადგენილების დასაშვებობის ან/და კანონიერების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყო დაცვის მხარის შესაძლებლობა გასაცნობოდა როგორც დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, ასევე მოგვიანებით (არსებით განხილვაზე) გამოეთქვა თავისი მოსაზრება მტკიცებულების დასაშვებობის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ექსპერტის დასკვნა დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნია.<sup>395</sup>
- 27.** ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ევროკავშირის დირექტივის თანახმად, დაცვის მხარის უფლება საქმის მასალების გაცნობაზე არ არის აბსოლუტური და შესაძლებელია შეიზღუდოს ეროვნული უსაფრთხოების, ინფორმაციის წყაროთა დაცვის, მონმეთა უსაფრთხოების, გამოძიების ორგანოს დანაშაულის გახსნის მეთოდების საიდუმლოდ შენახვის მიზნებიდან გამომდინარე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციაზე დაცვის მხარის შეზღუდვა აუცილებელია და აღნიშნული შეზღუდვით დაცვის მხარისათვის მიყენებული ზიანის გამოსწორება ხდება მოგვიანებით სამართალწარმოების ფარგლებში სხვადასხვა საშუალებით.<sup>396</sup> მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლო და ევროკავშირის დირექტივაც აღიარებს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ეფექტიანად ჩატარების საჭიროებას, აღნიშნული მიზნის მიღწევა დაცვის მხარის უფლებების არათანაზომიერად და არსებითად შეზღუდვის ხარჯზე არ დაიშვება. შესაბამისად, ბრალდებულისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია დაკავების კანონიერების გასაჩივრებისათვის.
- 28.** გამონაკლის შემთხვევებში დამოუკიდებელმა სასამართლომ ბრალდების მხარეს შეიძლება მისცეს უფლება არ გაუმჟღავნოს დაცვის მხარეს ცალკეული მტკიცებულებები. მაგრამ ყოველი ასეთი შეზღუდვა უნდა იყოს მკაცრად აუცილებელი და ლეგიტიმური მიზნის (სახელმწიფო უსაფრთხოების, მონმეთა უსაფრთხოების, გამოძიების) თანაზომიერი.

<sup>395</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25/05/2015 წლის განაჩენი საქმეზე №493აპ-14.

<sup>396</sup> იხ., Jasper v United Kingdom, ECtHR, 16/02/2000, §43.

ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს გამონაკლისი და არა დადგენილი წესი და უარყოფით გავლენას არ უნდა ახდენდეს სამართალწარმოების სამართლიანობაზე. სასამართლომ უნდა დააბალანსოს, ერთი მხრივ, ინფორმაციის გაუმჟღავნებლობით დაცვის მხარისათვის შექმნილი სირთულეები სამართალწარმოების სამართლიანობის უზრუნველყოფის ვალდებულებასთან. ამასთან, გამოძიების განმავლობაში სასამართლო პერიოდულად უნდა იხილავდეს ინფორმაციის კვლავაც გაუმჟღავნებლობის აუცილებლობის საკითხს.

29. იუჰანესბურგის პრინციპების თანახმად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების ნებისმიერი შეზღუდვა სახელმწიფო უსაფრთხოების საფუძვლით, უნდა იყოს გათვალისწინებული კანონით და ნებადართული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მის შედეგს წარმოადგენს სახელმწიფოს (მაგალითად, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის) დაცვა, სახელმწიფოს უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს ძალის გამოყენებას ან ძალის გამოყენების მუქარას.<sup>397</sup>
30. უფლება დაცვის ჯეროვნად მომზადებისათვის საჭირო პირობებზე გულისხმობს გარანტიას, რომ განაჩენი არ უნდა ეყდნობდეს მტკიცებულებებს, რომელთა ჯეროვნად გაცნობის შესაძლებლობა დაცვის მხარეს სამართალწარმოების ფარგლებში არ მიეცა.<sup>398</sup>

#### **მუხლი 84. ამოღებულია (14.06.2013. №741 ამოქმედდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან)**

<sup>397</sup> იუჰანესბურგის პრინციპები, პრინციპი 1,2, და 15.

<sup>398</sup> UN CCPR/C/100/D/1636/2007(2010) §6.11; UN CCPR/C/CAN/CO/5 (2006), §13; ICC-01/04-01/06-2681-Red2, 14/03/2011წ. §27; იუჰანესბურგის პრინციპები, პრინციპი 20 (i).

## თავი XI

## საპროცესო პასუხისმგებლობა სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის

მუხლი 85. პასუხისმგებლობა სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის (28.10.2011. №5170 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. სასამართლოში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული პირი. სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე, რომელიც უფლებამოსილია დარბაზში დამსწრე პირთა ადგილების გათვალისწინებით შეზღუდოს სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა.

2. პროცესის მონაწილის ან/და სასამართლო სხდომაზე დამსწრის მიერ სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ზეპირ შენიშვნას აძლევს მას და მოუწოდებს, შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. აღნიშნული მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. თუ გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, მოსამართლის მითითებით სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს სასამართლოდან მის გაყვანას; ამასთანავე, აღნიშნული პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა ან პატიმრობა. (04.10.2013. №1443 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

3. თუ სხდომის თავმჯდომარის განკარგულება სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ ეხება ბრალმდებელს ან ადვოკატს, სისხლის სამართლის საქმის განხილვა გადაიდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ერთი პირის ბრალდებას ან დაცვას თავიდანვე რამდენიმე ბრალმდებელი ან რამდენიმე ადვოკატი ახორციელებდა. გაძევებული ბრალმდებლის ან ადვოკატის არასათანადო ქცევის შესახებ სასამართლოს გამოაქვს კერძო განჩინება, რომელიც ეგზავნება შესაბამისად საქართველოს მთავარ პროკურატურას ან ადვოკატთა გაერთიანებას.

4. თუ ბრალმდებელი გაძევებულ იქნა სასამართლო სხდომის დარბაზიდან, სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება გამოცხადდება მისი თანდასწრებით, ხოლო თუ იგი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, გადაწყვეტილება გამოცხადდება ბრალმდებულის გარეშე. ამის შემდეგ მას გადაეცემა გადაწყვეტილების ასლი, რაც უნდა დაადასტუროს ხელმოწერით.

5. პირი სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევებულად ითვლება იმავე ინსტანციის სასამართლოში ამ ბრალდების საქმის განხილვის დასრულებამდე. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გაძევებულ პირს მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მისცეს სხდომაზე დაბრუნების უფლება. გაძევებული პირი სხდომაზე დაბრუნდება იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისი სასამართლო დააკმაყოფილებს ამ პირის საჩივარს სასამართლო სხდომის დარბაზიდან მისი გაძევების უკანონოდ ცნობისა და სხდომაზე მისი დაბრუნების შესახებ. (04.10.2013. №1443 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

6. სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევ პირს, მათ შორის, გაძევებულ პირს, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებით შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 50 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით, რაზედაც გაიცემა სააღსრულებო ფურცელი. თუ დაჯარიმებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია დაუყოვნებლივ გაზარდოს ჯარიმის ოდენობა ამ ნაწილით განსაზღვრულ ფარგლებში. (14.06.2013. №741)

7. თუ სასამართლო სხდომაზე პირის ქმედება მიმართულია პროცესის ჩაშლისაკენ ან იგი გამოხატავს აშკარა ან/და უხეშ უპატივცემულობას სასამართლოს, პროცესის მონაწილის ან მხარის

მიმართ, სხდომის თავმჯდომარის მითითებით სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს პირის დაკავებას და დაკავების ოქმის შედგენას, ამასთანავე, სხდომის თავმჯდომარე ადგენს მიმართვას, რომელშიც აღწერს დარღვევას, და უგზავნის განკარგულების გამოტანაზე უფლებამოსილ სასამართლოს (მოსამართლეს). დაკავებული პირი დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელსაც გაეგზავნა მიმართვა და რომელიც უფლებამოსილია გამოიტანოს განკარგულება ამ პირის 30 დღე-ღამემდე ვადით პატიმრობის შესახებ.

8. თუ სასამართლო დაადგენს, რომ პირს ერთხელ უკვე ჰქონდა შეფარდებული ამ მუხლით გათვალისწინებული პატიმრობა, იგი უფლებამოსილია გამოიტანოს განკარგულება ამ პირის 60 დღე-ღამემდე ვადით პატიმრობის შესახებ.

9. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორი ან ორზე მეტი მოსამართლეა, განკარგულება გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო თუ დარღვევა მოხდა სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობით გამართულ სხდომაზე, განკარგულება გამოაქვს მის მიერ განსაზღვრულ სხვა მოსამართლეს. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ერთი მოსამართლეა, განკარგულება გამოაქვს უახლოესი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა მოხდა საქმის მაგისტრატის მოსამართლის მიერ განხილვისას, განკარგულება გამოაქვს იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის შემადგენლობაშიცაა ეს მაგისტრატი მოსამართლე.

10. სააპელაციო სასამართლოში განკარგულება გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო თუ დარღვევა მოხდა სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობით გამართულ სხდომაზე, განკარგულება გამოაქვს მის მოადგილეს ან მის მიერ განსაზღვრულ სხვა მოსამართლეს.

11. საქართველოს უზენაეს სასამართლოში, გარდა დიდი პალატისა, საქმის განხილვისას განკარგულება გამოაქვს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განხილვისას განკარგულება გამოაქვს იმ მოსამართლეს, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში. დაკავებული პირი, თუ ეს აუცილებელია, შეიძლება გადაეცეს პოლიციას.

12. თუ დაპატიმრების შესახებ განკარგულება გამოტანილ იქნა პროცესის მონაწილის მიმართ, სასამართლო სხდომა შეიძლება გადაიდოს აღნიშნული ვადით. განკარგულება გამოიტანება ზეპირი მოსმენის საფუძველზე, დაკავებული პირის წარდგენისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა.

13. სასამართლოში წესრიგის დარღვევის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის ან სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში სასამართლოს მანდატური უფლებამოსილია დააკავოს დამრღვევი პირი, რის შესახებაც ადგენს დაკავების ოქმს. სასამართლოს მანდატური ვალდებულია დაკავებული პირი დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, წარუდგინოს იმავე სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო საქართველოს უზენაეს სასამართლოში – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს. სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო საქართველოს უზენაეს სასამართლოში – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, უფლებამოსილია დაკავებული პირის წარდგენისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, გამოიყენოს მის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებანი.

14. ამ მუხლით გათვალისწინებული განკარგულება, გარდა დაპატიმრების შესახებ განკარგულებისა, შეიძლება გამოტანილ იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე და იგი შეიძლება ამავე მუხლის მე-16 ნაწილით დადგენილი წესით გაასაჩივროს პირმა, რომელზედაც ვრცელდება განკარგულება. აღნიშნული საჩივრის განმხილველი მოსამართლე განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადანიშნულ გადაწყვეტილებას:

ა) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და გასაჩივრებული განკარგულების უცვლელად დატოვების შესახებ;

ბ) საჩივრის დაკმაყოფილების და პირის დაჯარიმების შესახებ განკარგულების გაუქმების ან/და სხდომაზე მისი დაბრუნების შესახებ. (04.10.2013. №1443 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

14<sup>1</sup>. დაჯარიმების შესახებ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულების გასაჩივრება აჩივებს ამ განკარგულების აღსრულებას. (04.10.2013. №1443 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

14<sup>2</sup>. დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულება პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა აღნიშნული ღონისძიება, გადაეცემა განკარგულების გამოტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა. (04.10.2013. №1443 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

15. ამ მუხლით გათვალისწინებული პატიმრობის შესახებ საქმის განხილვისას სასამართლო დაკავებულ პირს აცნობებს საქმის განხილვის დროსა და ადგილს. მხარის გამოუცხადებლობა არ იწვევს სხდომის გადადებას. საქმის განხილვა იწყება სხდომის თავმჯდომარის მოხსენებით, რომელიც აცხადებს, ვის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული პატიმრობა, საქმის განხილვაში მონაწილე პირებს განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, საჯაროდ კითხულობს წესრიგის დარღვევის თაობაზე შედგენილ მიმართვას და უსმენს საქმის განხილვაში მონაწილე პირებს. ზეპირი მოსმენისას დამრღვევ პირს/მის ადვოკატს საშუალება ეძლევა, სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები და მისცეს განმარტებები დაკავების კანონიერებისა და პასუხისმგებლობის ზომის თაობაზე. მხარეთა მოსმენის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება დაპატიმრების შესახებ. განკარგულების გამომტანი სასამართლო ამ განკარგულების ასლს დაუყოვნებლივ გადასცემს დამრღვევ პირს, ასევე განკარგულების ასლს აღსასრულებლად უგზავნის სამართალდამცავ ორგანოებს. დაკავების ვადა ჩაითვლება პატიმრობის საერთო ვადაში.

16. დაპატიმრების შესახებ განკარგულება დაუყოვნებლივ შედის ძალაში. იგი შეიძლება გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა პატიმრობა, სათანადო წესით მისთვის განკარგულების ასლის ჩაბარებიდან 48 საათის ვადაში. შემოსულ საჩივარს სასამართლო დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს. პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარის ან მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის ან მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარესთან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ან პალატის, გარდა დიდი პალატისა, თავმჯდომარის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში წესრიგის დარღვევის შესახებ მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება იმ მოსამართლესთან, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში. საჩივარი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე და მისი განხილვის ვადა საჩივრის შეტანიდან 24 საათს არ უნდა აღემატებოდეს. აღნიშნული საჩივრის განმხილველი მოსამართლე განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: (04.10.2013. №1443 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ა) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და გასაჩივრებული განკარგულების უცვლელად დატოვების შესახებ;

ბ) საჩივრის დაკმაყოფილების, პირის დაპატიმრების შესახებ განკარგულების გაუქმებისა და პატიმრობიდან მისი გათავისუფლების შესახებ.

17. ამოღებულია (14.06.2013. №741)

1. **ნორმის მიზანი:** საპროცესო მოვალეობათა შესრულება, სასამართლოსა და სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვა ემსახურება არა მხოლოდ სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. იგი განამტკიცებს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის ზრდასა და განმტკიცებას. ამასთან, ეს მიზნები მნიშვნელოვანია დაცვისა და ბრალდების ფუნქციების სათანადოდ განსახორციელებლად და ყოველივე ნათლად მეტყველებს

- ამ ნორმებისა და მათი სწორად გამოყენების მნიშვნელობაზე. ცხადია, ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ჯეროვნად განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე, შესაძლებელია პირისათვის საქმის საქვეყნოდ განხილვის უფლების შეზღუდვა, თუ ეს აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და მართლმსაჯულების ინტერესებისათვის. აღნიშნულს ითვალისწინებს სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვით სასამართლო უფლებამოსილია, წესრიგის დაცვის მიზნითაც, თავისი ინიციატივით ნაწილობრივ ან სრულად დახუროს სხდომა.
2. „საერთო სასამართლოების“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოს სტრუქტურაში გათვალისწინებულია სასამართლოს მანდატურის სამსახური, რომლის ამოცანაა წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა, შენობების დაცვა და კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ფუნქციების განხორციელება. ამდენად, სასამართლოში და სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლოსა და სხდომის თავმჯდომარე პირველ რიგში სწორედ მანდატურის სამსახურის მეშვეობით. ცხადია, ხშირ შემთხვევაში მიზანშეუწონელია სხდომის დარბაზში ფეხზე მდგომ დამსწრეთა ყოფნა, რის გამოც სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, დარბაზში ადგილების გათვალისწინებით, შეზღუდოს მათი რაოდენობა.
  3. სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს პროცესის მონაწილესა და სხდომაზე დამსწრე პირზე. ამდენად, იგი ეხება ყველას, ვინც სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას იმყოფება სხდომის დარბაზში. შეიძლება ითქვას, რომ სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა ხშირ შემთხვევაში იმთავითვე გულისხმობს წესრიგის დარღვევას. მნიშვნელოვანია სანქციის გამოყენების კანონით დადგენილი თითოეული ამ საფუძვლის განმარტება, კერძოდ:
  4. სხდომაზე წესრიგის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს დამსწრე პირთა ხმამაღალ საუბარში, მათ შორის – საუბარში ბრალდებულთან, წამოძახილში, დარბაზიდან თვითნებურად გასვლასა და გადაადგილებაში, აგრეთვე – დარბაზში შემოსვლაში, ტექნიკური საშუალებების იმგვარად გამოყენებაში, რაც ხელს უშლის მხარეებსა და სასამართლოს. პირის ან პირების ქმედება ზოგ შემთხვევაში მიმართულია სხდომის ჩაშლისაკენ (დამსწრის, პროცესის მონაწილის, მხარის ან სასამართლოს შეურაცხყოფა), რაც მაქსიმალურად სწრაფად უნდა აღიკვეთოს. ასეთ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, შესაძლებელია სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვაც.
  5. სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა გულისხმობს სხდომის დარბაზში მყოფი პირის არასათანადო ქცევის შეწყვეტის ან/და სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებისადმი (მაგ., ადგილების გათვალისწინებით დარბაზის დატოვების მოთხოვნა) დაუმორჩილებლობას, რა დროსაც შენიშვნის მიუხედავად, პირი აგრძელებს არასათანადო ქცევას, მათ შორის – ნაკლები ან უფრო მეტი ინტენსივობით. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, სხდომის დარბაზში მყოფმა ყველა პირმა სათანადოდ იგრძნოს სასამართლოს მოთხოვნის შესრულების აუცილებლობა და გარდუვალობა.
  6. სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა შეიძლება გამოიხატოს სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობასა და დაგვიანებაში (დროული გამოცხადება საპროცესო მოვალეობაცაა), არასათანადო ტანისამოსში (რაც, როგორც წესი, ყველასათვის თვალშისაცემია) ან არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადებაში, მოსამართლისადმი შეპასუხებაში (რაც ასევე წესრიგის დარღვევაა), სასამართლოს შეურაცხყოფაში (სიტყვიერად ან/და ქცევით). ამასთან, სასამართლოს უპატივცემულობა არა მხოლოდ უშუალოდ სასამართლოსადმი ქცევა, არამედ – პროცესის მონაწილისა და მხარისადმი (იხ. ამ მუხლის მე-7 ნაწილი) არასათანადო ქცევაც.
  7. ყველა აღნიშნულ და სხვა შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ზეპირ შენიშვნას აძლევს პირს და მოუწოდებს, შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. მხოლოდ ამის შემდეგაა სხდომის

- თავმჯდომარე უფლებამოსილი (კვლავ დაუმორჩილებს შემთხვევაში), ადგილზე გამოტანილი განკარგულებით დააჯარიმოს პირი ან/და გააძევოს სხდომის დარბაზიდან. გაძევებულის მიერ სხდომის დარბაზს გარეთ წესრიგის დარღვევის გაგრძელების შემთხვევაში, მოსამართლის მითითებით (იგულისხმება სასამართლოს თავმჯდომარე) სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს ამ პირის სასამართლოდან – შენობიდან ან/და ეზოდან გაყვანას. მხოლოდ ამ შემთხვევაში პირის მიმართ შეიძლება პატიმრობის გამოყენება (კანონი არ ითვალისწინებს წესრიგის დარღვევის, განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოსადმი უპატივცემულობის შემთხვევაში პატიმრობის გამოყენებას და ამ სანქციას უკავშირებს კონკრეტულ ქმედებებს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი).
- 8.** სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა ეხება მხარეებს და მხოლოდ რომელიმე მათგანის გაძევებას. ცხადია, ბრალმდებელის გაძევების შემთხვევაში (თუ მხოლოდ ერთი ბრალმდებელი მონაწილეობს) სხდომა უნდა გადაიდოს, მაგრამ სხვა შემთხვევაა, როცა გაძევებულია ადვოკატი, ბრალდებული იქვე უარს აცხადებს დამცველის მომსახურებაზე და ითხოვს, საქმის განხილვის გაგრძელებას. ასეთ ვითარებაში კანონის მოთხოვნის სიტყვასიტყვითი განმარტება რეალურ შედეგს არ იძლევა, პირიქით, მომდევნო სხდომაზე არ გამოცხადდება ადვოკატი (რადგან ბრალდებულს ეს არ სურს) და შესაბამისად, სხდომაც გაგრძელდება (თუ არ არსებობს სავალდებულო დაცვის შემთხვევა). ამდენად, თუკი ადვოკატის გაძევების დროს ბრალდებული ზოგადად უარს აცხადებს დამცველის მომსახურებაზე და არ არსებობს სავალდებულო დაცვის შემთხვევა, სხდომა უნდა გაგრძელდეს, რაც შეესაბამება ბრალდებულის უფლებასა და საქმის განხილვის გაჭიანურების აცილებას. ბრალმდებლის ან ადვოკატის გაძევების შემთხვევაში კანონი უაღტერნატივოდ ითხოვს ამის შესახებ კერძო განჩინების გამოტანას, რაც ეგზავნება მთავარ პროკურატურას ან ადვოკატთა გაერთიანებას.
- 9.** სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-4 ნაწილი ეხება მხოლოდ ბრალდებულს, რომელიც, გაძევების მიუხედავად, სარგებლობს სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების (გადანწყვეტილება, რაც ამთავრებს სისხლის სამართლის პროცესის ამა თუ იმ სტადიას, მაგ., სასამართლოს გადანწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრის თაობაზე, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადანწყვეტილება არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემის ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე) გამოცხადებაზე დასწრების უფლებით. ამის მიუხედავად, გადანწყვეტილება ბრალდებულის დაუსწრებლად ცხადდება, თუ ეს უკანასკნელი აგრძელებს წესრიგის დარღვევას. ამ შემთხვევაში ბრალდებულს უნდა გადაეცეს გადანწყვეტილების ასლი (კანონი არ ითვალისწინებს ყველა შემთხვევაში გადანწყვეტილების ბრალდებულისათვის გადაცემას), რაც უნდა დაადასტუროს ხელმოწერით. შესაძლოა, ბრალდებულმა უარი განაცხადოს გადანწყვეტილების მიღებაზე ან/და ხელმოწერით დადასტურებაზე, რაც გადანწყვეტილების ჩაბარებად უნდა ჩაითვალოს შესაბამისი დოკუმენტის არსებობისას (მაგ., ოქმი გადანწყვეტილების ჩაბარებაზე ან ხელმოწერაზე უარის შესახებ).
- 10.** სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-5 ნაწილი: თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნორმაში მითითებულ პირში მოიაზრება სხდომის დარბაზიდან გაძევებული ნებისმიერი პირი (დამსწრე, პროცესის მონაწილე და ა.შ.). კანონი არაორაზროვნად მიუთითებს, რომ, მაგ., ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომიდან გაძევებული პირი ასეთად ითვლება იმავე – პირველი – ინსტანციის სასამართლოში ამ ბრალდების საქმის განხილვის დასრულებამდე (სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე, გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე). ასეთი პირის მომდევნო სხდომაზე დასწრება შესაძლებელია მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის გადანწყვეტილებით (მხოლოდ შესაბამისი შუამდგომლობის არსებობისას) ან ამ პირის საჩივრის (უკანონოდ გაძევების თაობაზე) დაკმაყოფილების შემთხვევაში.
- 11.** კანონი ადგენს ჯარიმის მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობას, რაც არ არის დამოკ-

- იდებული პირის ქონებრივ მდგომარეობაზე. ცხადია, გასათვალისწინებელია არასათანადო ქცევის ხასიათი (გამონათქვამი ან ქმედება) და ხარისხი (მაგ., უპატივცემულობა ან უხეში უპატივცემულობა). მხედველობაშია მისაღები ამგვარი ქცევის შედეგიც (მაგ., სხდომის გადადება მხარის გამოუცხადებლობის გამო). დაჯარიმების შემთხვევაში გაიცემა სააღსრულებო ფურცელი, რაც უნდა გაეგზავნოს შესაბამის სააღსრულებო ბიუროს (უმჯობესია, დაჯარიმების თაობაზე გადანყვეტილების გასაჩივრების ვადის გასვლის ან ამ გადანყვეტილების უცვლელად დატოვების პირობებში). დაჯარიმებული პირის მიერ წესრიგის დარღვევის გაგრძელების შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ იგი არ უნდა ასცდეს 500 ლარს. ამდენად, თუკი პირი თავიდანვე თანხის მაქსიმალური ოდენობით (500 ლარით) დაჯარიმდა, ამ ოდენობის გაზრდა დაუშვებელია და წესრიგის დარღვევის გაგრძელების შემთხვევაში ეს პირი შესაძლებელია ასევე გაძევებულ იქნეს დარბაზიდან.
- 12.** სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-7 ნაწილი განსაზღვრავს არასათანადო ქცევის შემთხვევაში ყველაზე მკაცრი ღონისძიების გამოსაყენებლად წესსა და პირობებს. რამდენადაც პირის თავისუფლების აღკვეთა ყველა შემთხვევაში უკიდურესი ზომაა, იგი ასევე მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში გამოიყენება, რაც ცალკეულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს სხდომის თავმჯდომარემ და შემდეგ დაპატიმრებაზე უფლებამოსილმა ორგანომ. თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ დაჯარიმებისა და გაძევებისაგან განსხვავებით, პირის დაკავებას წინ არ უძღვის შენიშვნა, რაც, ბუნებრივია, დარღვევისა და მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით. პროცესის ჩაშლისაკენ მიმართული ქმედებაა, მაგ., დამსწრის, პროცესის მონაწილის ან მხარის წარმომადგენლის ფიზიკური შეურაცხყოფა ან/და მონოდება სხდომის ჩაშლისაკენ, რამაც შესაძლოა უმართავი პროცესი გამოიწვიოს. სასამართლოს, მხარის ან პროცესის მონაწილის აშკარა ან/და უხეში უპატივცემულობა გამოიხატება, მაგალითად, უცენზურო და პირადი ღირსების შემლახავი გამონათქვამებით, საგნების სროლით (რაც ასევე შესაძლოა მიმართული იყოს პროცესის ჩაშლისაკენ). ასეთ შემთხვევებში სხდომის თავმჯდომარის მითითებით მანდატური აკავებს პირს და ადგენს დაკავების ოქმს, ხოლო სხდომის თავმჯდომარე ადგენს მიმართვას, რომელშიც აღწერს დარღვევას და უგზავნის პატიმრობის გამოყენებაზე განკარგულების გამომტან, უფლებამოსილ სასამართლოს ან მოსამართლეს (პირველი ინსტანციის სასამართლოში, სადაც ორი ან მეტი მოსამართლეა, განკარგულება გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს). დაკავებული პირი დაკავების მომენტიდან არა უგვიანეს 24 საათისა უნდა წარედგინოს პატიმრობის გამოყენებაზე უფლებამოსილ სასამართლოს (მოსამართლეს), რომელიც უფლებამოსილია (და არა – ვალდებული), თავისი განკარგულებით დააპატიმროს დამრღვევი 30 დღე-ღამემდე ვადით (კანონი არ აწესებს ამ პატიმრობის ვადის მინიმალურ ვადას). ამასთან, კანონის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, თუკი დაკავებული 24 საათში არ წარედგინა უფლებამოსილ სასამართლოს (მოსამართლეს), იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
- 13.** სსსკ-ის 85-ე მუხლი ითვალისწინებს წესრიგის დამრღვევი პირის 60 დღე-ღამემდე დაპატიმრებასაც, თუ დადგინდება, რომ ამ პირს სასამართლოში წესრიგის დარღვევის გამო ადრე შეერჩა პატიმრობა. ამდენად, განსაზღვრულია რეციდივის შემთხვევაში პატიმრობის ვადის გაზრდა.
- 14.** სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-9 ნაწილი განსაზღვრავს პირველი ინსტანციის სასამართლოში პირის დაპატიმრებაზე უფლებამოსილ პირებს. კერძოდ, თუ სასამართლოში ორი ან მეტი მოსამართლეა, განკარგულება გამოაქვს სასამართლოს (და არა – სხდომის) თავმჯდომარეს. თუ სხდომის თავმჯდომარე სასამართლოს თავმჯდომარეა, განკარგულება გამოაქვს მის მიერ განსაზღვრულ მოსამართლეს (ორი მოსამართლის არსებობისას ყველა შემთხვევაში – მეორე მოსამართლეს). ერთი მოსამართლის არსებობისას განკარგულება გამოაქვს უახლოესი პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარეს. მაგისტრალი



- მოსამართლის მიერ პირის დაკავებისას დაპატიმრების საკითხს იხილავს იმ სასამართლოს თავმჯდომარე, რომლის შემადგენლობაშიცაა მაგისტრატი მოსამართლე.
15. სააპელაციო სასამართლოში განკარგულება გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო მისი მონაწილეობით (იგი შეიძლება არ იყოს სხდომის თავმჯდომარე) საქმის განხილვისას განკარგულება გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს ან თავმჯდომარის მიერვე განსაზღვრულ სხვა მოსამართლეს (თუკი არ განისაზღვრა სხვა მოსამართლე, განკარგულება გამოაქვს მოადგილეს).
  16. უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას, გარდა დიდი პალატისა, განკარგულება გამოაქვს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარეს, ხოლო დიდ პალატაში საქმის განხილვის დროს – იმ მოსამართლეს, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში. ამასთან, ყველა ინსტანციის სასამართლოში (სუცილებლობის შემთხვევაში, მაგ., დაკავებულის სხვა სასამართლოში გადაყვანის დროს) დაკავებული შეიძლება გადაეცეს პოლიციას.
  17. სსსკ-ი ითვალისწინებს სხდომის გადადებას პროცესის მონაწილის (მონმის, ექსპერტის, მხარის წარმომადგენლის) დაპატიმრების შემთხვევაში, პატიმრობის ვადით. ამ საკითხზე გადანყვეტილება დამოკიდებულია სხდომის სტადიაზეც (მაგ., თუკი დაპატიმრებულია მონმე, სხდომა შეიძლება გადაიდოს, თუ ყველა სხვა პირი საქმეზე დაიკითხა ან, პირიქით, – არ გადაიდოს, თუკი არაერთი სხვა პირია ჯერ კიდევ დასაკითხი). სხდომის გადადების საკითხის გადანყვეტისას გასათვალისწინებელია ბრალდებულის პოზიციაც (თუკი ითხოვს დაპატიმრებული ადვოკატის მონაწილეობას). ნორმა ადგენს საკითხის განხილვის ფორმასა (ზეპირ განხილვას) და ვადას (პირის წარდგენისთანავე, დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს 24 საათისა).
  18. სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-13 ნაწილით რეგულირდება სასამართლოში (შენობასა და ეზოში, მაგრამ არა – სხდომის დარბაზში პროცესის მიმდინარეობისას) არასათანადო ქცევასთან დაკავშირებული საკითხები. წესრიგის დარღვევასა და სასამართლოსადმი უპატივცემულობის თაობაზე უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ რაც შეეხება სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას, ამგვარი შეიძლება გამოიხატოს შენობაში შესასვლელის ან სხდომის დარბაზის პიკეტირებასა და ინვენტარის დაზიანებაში, რაც ასევე შეიძლება მივიჩნიოთ წესრიგის დარღვევად და სასამართლოსადმი უპატივცემულობად. ასეთ ვითარებაში სასამართლოს მანდატური უფლებამოსილია, დააკავოს დამრღვევი, რის შესახებაც ადგენს ოქმს. ამის შემდეგ დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სასამართლოს თავმჯდომარეს, მხოლოდ უზენაეს სასამართლოში – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს, რომლებიც დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენით იხილავენ საკითხს.
  19. სსსკ-ი ადგენს დაპატიმრების შესახებ განკარგულების გამოტანას მხოლოდ ზეპირი განხილვის შედეგად, სხვა შემთხვევაში – ზეპირი მოსმენის გარეშეც. განკარგულების გასაჩივრების უფლება აქვს პირს, რომელზედაც ვრცელდება განკარგულება (მაგ., დამრღვევმა და არა – მისმა ადვოკატმა).
  20. საჩივრის გამხილველი მოსამართლე უარს ამბობს მის დაკმაყოფილებაზე და უცვლელად ტოვებს განკარგულებას ან აუქმებს განკარგულებას პირის დაჯარიმებისა ან/და გაძევების შესახებ და იღებს გადანყვეტილებას სხდომაზე მისი დაბრუნების თაობაზე.
  21. დაჯარიმების შესახებ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულების გასაჩივრება აჩერებს ამ განკარგულების აღსრულებას.
  22. დაჯარიმების ან/და გაძევების შესახებ – პირს განკარგულება უნდა გადაეცეს გამოტანიდან არა უგვიანეს 24 საათისა. როგორც აღინიშნა, შესაძლოა, პირმა უარი განაცხადოს გადანყვეტილების მიღებაზე ან/და ხელმოწერით დადასტურებაზე, რაც გადანყვეტილების ჩაბარებად უნდა ჩაითვალოს შესაბამისი დოკუმენტის არსებობისას.
  23. სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-15 ნაწილი ადგენს პირის მიმართ პატიმრობის შესახებ განკარგულების გამოტანის პროცედურას. დაკავებულს ყველა შემთხვევაში უნდა ეცნობოს საქმის

განხილვის დრო და ადგილი. მხარის გამოუცხადებლობა არ იწვევს სხდომის გადადებას. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს, ვის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული პატიმრობა, მონაწილე პირებს განუმარტავს მათ უფლება-მოვალეობებს (მაგ., დაკავებულ პირსა და მის ადვოკატს აქვთ უფლება, წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, რაც საჭიროა მათი პოზიციის დასადასტურებლად), საჯაროდ კითხულობს წესრიგის დარღვევის თაობაზე შედგენილ მიმართვას და უსმენს მონაწილე პირებს (მაგ., სასამართლოს მანდატურს). ზეპირი მოსმენისას (თუმცა, როგორც აღინიშნა, დაპატიმრების შესახებ განკარგულების გამოტანა შეიძლება მხოლოდ საქმის ზეპირი მოსმენის შედეგად) დამრღვევ პირს ან/და მის ადვოკატს ასევე უფლება აქვთ, წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დაკავების კანონიერებისა და პასუხისმგებლობის ზომის (პატიმრობის ვადის) თაობაზე. ამ ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით, მხარეთა მოსმენის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარეს (მოსამართლეს) მხოლოდ ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება ასევე მხოლოდ დაპატიმრების თაობაზე, თუმცა მუხლის ამავე ნაწილის მიხედვით საქმის განმხილველი მოსამართლე აცხადებს „ვის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული პატიმრობა“. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქმის განხილვის შედეგად მოსამართლე უფლებამოსილია, არ მიიღოს გადაწყვეტილება პირის დაპატიმრების თაობაზე. სხვა შემთხვევაში, საკითხის განხილვა წმინდა ფორმალური ხასიათისაა, რაც არ შეიძლება გამომდინარეობდეს კანონის მიზნებიდან და ამოცანებიდან. დაპატიმრების შესახებ განკარგულების ასლი დაუყოვნებლივ გადაეცემა დამრღვევ პირს (არ არის მითითებული, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა). განკარგულების ასლი აღსასრულებლად ეგზავნება სამართალდამცავ ორგანოებს. ცხადია, დაკავების ვადა ითვლება პატიმრობის საერთო ვადაში.

- 24.** დაპატიმრების შესახებ განკარგულება დაუყოვნებლივ შედის ძალაში და იგი შეიძლება გაასაჩივროს მხოლოდ იმ პირმა, რომლის მიმართაც გამოყენებულია პატიმრობა (და არა – მისმა ადვოკატმა). გასაჩივრების ვადა (ისევე როგორც – აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას) შეადგენს 48 საათს, მაგრამ ეს ვადა აითვლება განკარგულების შესაბამისი წესით ჩაბარების მომენტიდან. განკარგულების გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარს (ასევე – საქმის მასალებს) სასამართლო დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება პირის დაპატიმრების შესახებ ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის ან მოსამართლის განკარგულება – უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარესთან, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ან პალატის (გარდა დიდი პალატისა) თავმჯდომარის განკარგულება – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან. რაც შეეხება დიდი პალატის სხდომაზე წესრიგის დამრღვევს, მის საჩივარს იხილავს მოსამართლე, რომელიც არ მონაწილეობდა დიდი პალატის სხდომაზე საქმის განხილვაში (ცხადია, არა ის მოსამართლე, რომელმაც მიიღო პირის დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილება). დადგენილია საჩივრის განხილვის ფორმა და ვადა – ზეპირი მოსმენის გარეშე, საჩივრის შეტანიდან არა უგვიანეს 24 საათისა. მოსამართლე განჩინებით უცვლელად ტოვებს განკარგულებას ან აუქმებს მას და პირს ათავისუფლებს პატიმრობიდან.

## თავი XII საპროცესო ვადები და ხარჯები

### მუხლი 86. საპროცესო ვადების გამოთვლის წესი

1. ამ კოდექსით დადგენილი ვადები გამოითვლება საათებით, დღე-ღამეებით, თვეებით. ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე-ღამე და ის საათი, რომლებითაც იწყება ვადის დინება, გარდა დაკავებისა და პატიმრობის ვადებისა, რომლებიც გამოითვლება წუთებით.
2. საპროცესო ვადაში შედის არასამუშაო დროც, მათ შორის, დასვენებისა და უქმე დღეები.
3. დღე-ღამეებით გამოთვლილი ვადა იწურება ბოლო დღე-ღამის 24 საათზე. თვეებით გამოთვლილი ვადა იწურება ბოლო თვის შესაბამის რიცხვში, ხოლო თუ ბოლო თვეს არა აქვს შესაბამისი რიცხვი – ამ თვის ბოლო დღე-ღამეს.

1. სსსკ-ი ითვალისწინებს ვადების გამოთვლას წუთებითაც კი. ამასთან, ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე-ღამე და ის საათი, რომლებითაც იწყება ვადის დინება, მაგ., სსსკ-ის 293-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში, მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში. ასეთ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადების დღე არ ითვლება გასაჩივრების ერთთვიან ვადაში. კანონის ეს მოთხოვნა ემსახურება სხვადასხვა შემთხვევაში მხარეების თანაბარ სასტარტო პირობებში ჩაყენებას – თუ ერთ შემთხვევაში განაჩენი ცხადდება დილის საათებში, სხვა შემთხვევაში იგი შესაძლოა დღის ბოლოს გამოცხადდეს.
2. იმ პირობებში, როდესაც დაკავებული არა უგვიანეს 48 საათისა უნდა წარედგინოს სასამართლოს, რომელიც ასევე არა უგვიანეს 24 საათისა წყვეტს პირის დაპატიმრების ან გათავისუფლების საკითხს, ბუნებრივია, ვადის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება წუთებიც. ეს განპირობებულია ყველაზე მკაცრი საპროცესო იძულების ღონისძიებისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლების შეზღუდვის ასევე მკაცრ ჩარჩოებში მოქცევის აუცილებლობით.
3. სისხლის სამართლის საპროცესო ვადის დინება არ ჩერდება დასვენებისა და უქმე დღეებში, 18 საათის შემდეგ.
4. კანონი ადგენს ვადის ამონურვის ბოლო საათს – ბოლო დღე-ღამის 24 საათი. მაგ., სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილით, წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან არა უგვიანეს 60 დღისა. ამ შემთხვევაში წინასასამართლო სხდომა უნდა გაიხსნას მე-60 დღის 24 საათამდე. თვეების შემთხვევაში ვადა იწურება ბოლოს თვის შესაბამის რიცხვში (მაგ., 30 აპრილს ან 31 მაისს), ხოლო ბოლოს თვის შესაბამისი რიცხვის არარსებობის დროს – ამ თვის ბოლო დღე-ღამეს (მაგ., 28 თებერვალს).

### მუხლი 87. ვადის დაცვა

1. საჩივარი, შუამდგომლობა ან სხვა დოკუმენტი ვადის ამონურვამდე უნდა ჩაბარდეს მის მიღებაზე უფლებამოსილ პირს.
2. საჩივარი, შუამდგომლობა ან სხვა დოკუმენტი შეიძლება ნებისმიერი საშუალებით ჩაბარდეს მის მიღებაზე უფლებამოსილ პირს.
3. სასამართლოს გადაწყვეტილებით ვადა, გარდა დაკავებისა და პატიმრობის ვადებისა, გაცდენილად არ ჩაითვლება, თუ იგი გაცდენილია დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) გამო.

1. კანონით სწორედ იმიტომ დგინდება ამა თუ იმ ქმედებისათვის ვადა, რომ ეს ქმედება სწორედ ამ ვადაში განხორციელდეს. ვადის ამონაწერის შემდეგ შესაძლოა დადგეს მისი აღდგენის საკითხი, რის გარეშეც, მაგ., საჩივარი ან შუამდგომლობა აღარ განიხილება.
2. კანონი ითვალისწინებს წერილობითი დოკუმენტის ნებისმიერ საშუალებით ადრესატისათვის ჩაბარებას (ფოსტით, მათ შორის – ელექტრონულად გაგზავნას, ან უშუალოდ ჩაბარებას). მთავარია, ამა თუ საშუალების გამოყენების შედეგად (მაგ., ფოსტის) არ დაირღვეს კანონის დადგენილი ვადები.
3. კანონი ადგენს გაცდენილი ვადის ერთ-ერთ საპატიო მიზეზს – დაუძლეველ ძალას. ცხადია, რომ დაკავების ან პატიმრობის ვადის გაგრძელების საპატიო მიზეზი ვერ იარსებებს. როგორც ვადის აღდგენის საკითხის გადაწყვეტისას, ფორსმაჟორის არსებობა ასევე მხოლოდ სასამართლოს შესაფასებელი და გადასაწყვეტია.

### მუხლი 88. ვადის გაცდენის შედეგი

**დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ჩატარებული საპროცესო ქმედება ბათილია, თუ გაცდენილი ვადა არ იქნება აღდგენილი.**

ვადის დარღვევით ჩატარებულ საპროცესო ქმედებას იურიდიული ძალა ვერ ექნება, რადგან სხვა შემთხვევაში ვადის დაწესებას აზრი ეკარგება. ამასთან, კანონი უშვებს შემთხვევას, რომ ამგვარ ქმედებას შესაბამისი შედეგები მოჰყვეს, თუ გაცდენილი ვადა ამის შემდეგ აღდგება.

### მუხლი 89. გაცდენილი ვადის აღდგენა

1. სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადა, თუ ეს არ იწვევს ბრალდებულის უფლებებისა და გარანტიების არამართლზომიერ შეზღუდვას.
  2. გაცდენილი ვადის აღდგენის შუამდგომლობა სასამართლოში წერილობით უნდა იქნეს შეტანილი საპატიო მიზეზის აღმოფხვრიდან 1 კვირის განმავლობაში. სასამართლო ამ საკითხს იხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, 10 დღეში.
  3. ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის მტკიცების ტვირთი ეკისრება ვადის გამცდენ პირს.
  4. სასამართლოს გადაწყვეტილება გაცდენილი ვადის აღდგენის შუამდგომლობის თაობაზე საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
1. ბუნებრივია, კანონი ითვალისწინებს გაცდენილი ვადის აღდგენის შესაძლებლობას საპატიო მიზეზის არსებობისას, როგორც შეიძლება იყოს ავადმყოფობა, ამა თუ იმ გადაწყვეტილების შესახებ პირის არაინფორმირებულობა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, სტიქიური უბედურება და სხვ. ამასთან, საპატიო მიზეზიც ვერ გახდება ვადის აღდგენის საფუძველი, თუ ეს ბრალდებულის უფლებებისა და გარანტიების არამართლზომიერ შეზღუდვას იწვევს.
  2. კანონი ადგენს საპატიო მიზეზის აღმოფხვრის შემდეგ (მაგ., სტიქიური უბედურების ზონიდან გამოსვლა, შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიღება და ა.შ.) ერთკვირიან ვადას შესაბამისი შუამდგომლობის წარსადგენად. დადგენილია ამგვარი შუამდგომლობის განხილვის ვადაც – 10 დღე.
  3. ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის მტკიცების ტვირთი ეკისრება ვადის გამცდენ პირს (შუამდგომლობის ავტორს).
  4. კანონი არ იძლევა ვადის აღდგენასთან ან უართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას.

## მუხლი 90. საპროცესო ხარჯები

### 1. საპროცესო ხარჯებია:

- ა) ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯი;
- ბ) ექსპერტის გამოცხადების და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი;
- გ) თარჯიმნის გამოცხადების და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი;
- დ) მონმის გამოცხადების ხარჯი;
- ე) ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის ხარჯი;
- ვ) ბრალდებულის ან მისი ადვოკატის შუამდგომლობით სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ხარჯი;
- თ) ნაფიც მსაჯულთა გამოცხადებისა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობის ხარჯი;
- ზ) დაცვის მხარისათვის ბრალდების მხარის მიერ გადაცემული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯი;
- ი) მტკიცებულებათა მოპოვების ხარჯი.

### 2. ექსპერტს ან თარჯიმანს ანაზღაურება არ ეძლევა, თუ საქმიანობისათვის სახელმწიფოს მიერ დანიშნული აქვს ხელფასი.

1. ადვოკატის მომსახურების ხარჯში მოიაზრება მისი ჰონორარი და საქმიანობის ანაზღაურების ხარჯიც.
2. ექსპერტის გამოცხადება მოიაზრებს მისი მგზავრობის ხარჯს (მათ შორის – შემთხვევის ან კვლევის ობიექტის მდებარეობის ადგილზე) და საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მაგ., ამა თუ იმ კვლევისათვის საჭირო საგნების ან ნიმუშების შექმნას.
3. ამ შემთხვევაშიც საპროცესო ხარჯებია საქმესთან დაკავშირებით თარჯიმნის გადაადგილების ხარჯი, წერილობითი დოკუმენტის თარგმნის ხარჯი და ა.შ.
4. ანალოგიურად, საპროცესო ხარჯში მოიაზრება მონმის შესაბამის ორგანოებში გამოცხადების ხარჯები.
5. ნივთმტკიცების შენახვის ხარჯი გულისხმობს, მაგალითად, ავტომანქანის შესაბამის სადგომზე ყოფნისა და მესაკუთრისათვის ჩაბარების ხარჯებს, ნივთმტკიცების შესაბამის დანესებულებაში (საექსპერტო) გადაგზავნის ან სასამართლოში წარდგენის ხარჯებს.
6. კანონი ითვალისწინებს შესაბამისი საპროცესო მოქმედებების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ჩატარებას, თუ ამის მატერიალურ შესაძლებლობას ბრალდებული ან/და მისი დამცველი მოკლებულია (ბრალდებული სოციალურად დაუცველია).
7. საპროცესო ხარჯია ასევე ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე და წინასასამართლო სხდომამდე დაცვის მხარისათვის გადაცემული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯიც.
8. ნაფიც მსაჯულთა სხდომებზე გამოცხადების, საქმის განხილვის განმავლობაში მათი დროებითი საცხოვრებელითა და საკვებით უზრუნველყოფა ასევე საპროცესო ხარჯებს განეკუთვნება.
9. მტკიცებულებათა ცნება მოცემულია სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილში და მათ მოსაპოვებლად გაღებული ხარჯები (ფოსტის მომსახურება, ტერიტორიულად სხვაგან გადაადგილება, ასლის გადაღება, ჩვენების ადგილზე შემოწმება /საგამოძიებო ექსპერიმენტი/) ასევე საპროცესოა.
10. კანონით არ ანაზღაურდება ექსპერტის ან/და თარჯიმნის მომსახურება, თუ მათი საქმიანობისათვის სახელმწიფოსაგან დანიშნული აქვთ ხელფასი. ცხადია, აქ არ მოიაზრება კერძო სტრუქტურებში დასაქმებული ექსპერტები და თარჯიმნები.

## მუხლი 91. საპროცესო ხარჯების გადახდევინება

1. ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯს ანაზღაურებს უშუალოდ ბრალდებული, ხოლო თუ დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე ხორციელდება – სახელმწიფო ბიუჯეტი.
2. მსჯავრდებულს ეკისრება მის ან მისი ადვოკატის მიერ დაზარალებულის, მოწმის, თარჯიმნისა და ექსპერტის მოწვევის, წარდგენილი ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის, მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების, ბრალდების მხარისგან მიღებული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯების ანაზღაურება. სასამართლოს უფლება აქვს, გადახდისუუნარობის შემთხვევაში მსჯავრდებული მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს საპროცესო ხარჯების გადახდისაგან.
3. რამდენიმე პირის მსჯავრდების დროს საპროცესო ხარჯებს თითოეული მათგანი ბრალის ხარისხისა და დანიშნული სასჯელის სიმკაცრის გათვალისწინებით წილობრივად ანაზღაურებს.
4. გარდაცვლილი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მემკვიდრეები თავისუფლდებიან საპროცესო ხარჯების გადახდისაგან.
5. საკუთარი საპროცესო ხარჯების შესახებ ცნობას გამოძიების სტადიაზე ადგენს პროკურორი და წარუდგენს საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს. საქმის არსებითი განხილვისას საკუთარი საპროცესო ხარჯების შეცვლის შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია შესაბამისი ცვლილებები ასახოს ცნობაში და წარუდგინოს სასამართლოს.
6. პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სასამართლო განხილვის ამ მიზეზით გადაღების ხარჯების ანაზღაურება დაეკისრება აღნიშნულ პირს.
7. სასამართლო ხარჯების გამოანგარიშების მეთოდისადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
8. სასამართლოში პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას მას სხდომის თავმჯდომარე განკარგულებით აკისრებს ჯარიმას 100 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით, რაც პროცესის მონაწილეს არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისაგან. ეს განკარგულება არ გასაჩივრდება. ჯარიმის ოდენობა უნდა იყოს შემაკავებელი ხასიათის, მიყენებული ზიანის პროპორციული და უნდა შეესაბამებოდეს პირის ფინანსურ მდგომარეობას. (14.06.2013.№741)

1. შეთანხმებით ადვოკატის აყვანის პირობებში, დაცვის ხარჯს გაიღებს ბრალდებული, ხოლო სახელმწიფოს ხარჯზე დაცვის განხორციელებისას – სახელმწიფო ბიუჯეტი.
2. კანონი ითვალისწინებს დაცვის მხარის მიერ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების განხორციელების, მათი მოთხოვნით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების, ბრალდების მხარის მასალების და სხვ. მოქმედებათა ხარჯების მსჯავრდებულისათვის დაკისრებას. ამასთან, გადახდისუუნარობის (მათ შორის – სოციალურად დაუცველთა ერთიან სიაში ყოფნის) პირობებში მსჯავრდებული მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს საპროცესო ხარჯებისაგან.
3. რამდენიმე მსჯავრდებულის პირობებში საპროცესო ხარჯები შესაძლოა თანაბრად ან, პირიქით – არათანაბრად განაწილდეს, მაგ., ხარჯების ოდენობა გამოანგარიშდეს ამსრულებლისა და დამხმარის როლის, ასევე – სასჯელის სიმკაცრის (რაც, ბუნებრივია, თითოეული პირის დანაშაულში მონაწილეობითაც დგინდება) გათვალისწინებით.
4. საპროცესო ხარჯებისაგან თავისუფლდებიან გარდაცვლილი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მემკვიდრეები.
5. გამოძიების ეტაპზე საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებულ წერილობით ცნობას პროკურორი წარუდგენს საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს. ცხადია, ხარჯი შეიძლება შეიცვალოს საქმის არსებითი განხილვის შედეგად, რაც სავალდებულო წესით იწვევს ამ ცნობის კორექტირებასა და სასამართლოსათვის წარდგენას.
6. პროცესის მონაწილეში არ მოიაზრება მხოლოდ მხარე. თუ, მაგ., სხდომა გადაიდო ექსპერ-

- ტის გამოუცხადებლობის გამო, მას დაეკისრება სხდომის გადადების ხარჯები (მათ შორის – პატიმრის წარმოდგენის).
7. სასამართლო ხარჯების გამოანგარიშების მეთოდურად ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
  8. გარდა იმისა, რომ პროცესის მონაწილეს არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო დაეკისრება სხდომის გადადების ხარჯების ანაზღაურება, იგი სხდომის თავმჯდომარის განკარგულებით დაჯარიმდება 100-დან 500 ლარამდე, რაც პირს გამოცხადების ვალდებულებისაგან არ ათავისუფლებს. აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 85-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში განკარგულება არ საჩივრდება. ჯარიმის შემაკავებელი ხასიათი მოიაზრებს შემდგომ სხდომაზე პირის გამოცხადების უზრუნველყოფას, მისი ოდენობა ასევე უნდა იყოს ზიანის პროპორციული და ფინანსური შესაძლებლობების შესაბამისი.

## **მუხლი 92. ზიანის ანაზღაურება**

1. პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

2. პირს უფლება აქვს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

1. მოქმედი საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების მექანიზმებს და დადგენილია უკანონო საპროცესო მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების (მაგ., ბინის უკანონოდ ჩხრეკის, უკანონოდ დაპატიმრების, თანამდებობიდან გადაყენების) შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული წესით.
2. ადრე მოქმედი საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით (რომელიც ითვალისწინებდა სამოქალაქო სარჩელის ინსტიტუტს), ეს ნორმა შესაძლებლობას აძლევს დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირს, მხოლოდ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

## თავი XIII

### შუამდგომლობა, საჩივარი და მათი განხილვის ზოგადი წესი

#### მუხლი 93. შუამდგომლობის დაყენების უფლება და წესი

1. მხარეებმა შუამდგომლობა შეიძლება დააყენონ ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.
2. შუამდგომლობა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. წერილობითი შუამდგომლობა უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს. ზეპირი შუამდგომლობა შეტანილ უნდა იქნეს ოქმში. სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს იმავე სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს, მასში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია და იგი უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან.
3. შუამდგომლობის გადაწყვეტამდე მის დამყენებელ მხარეს უფლება აქვს, გაითხოვოს იგი.
4. იმავე შინაარსის შუამდგომლობა, რომელზედაც უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, იმავე სასამართლოში აღარ განიხილება.
5. გამოძიების სტადიაზე შუამდგომლობა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს მისი დაყენების მომენტიდან არა უგვიანეს 3 დღისა, ხოლო სასამართლოში – დაუყოვნებლივ, გარდა ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6. სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობის დასაყენებლად და დასაბუთებლად სასამართლო მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.
7. სასამართლოში საქმის განხილვისას დაყენებულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით პოზიციის გამოსახატავად სასამართლო მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.

1. სსსკ-ი ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს მხარეებს (ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი) თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, მაგრამ, ცხადია, ეს უფლებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი წესითა და ფორმით, რის ერთ-ერთ და მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს შუამდგომლობა (მიმართვა უფლებამოსილი ორგანოსაგან გარკვეული ქმედებებისათვის ნებართვის გამოსათხოვად, ამა თუ იმ საპროცესო გადაწყვეტილების მისაღებად და სხვ.). კანონი ითვალისწინებს ამგვარი მოთხოვნის შესაძლებლობა სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, მათ შორის – ზოგიერთი სახის შუამდგომლობის რამდენჯერმე განხილვის შესაძლებლობასაც (მაგ., აღკვეთის ღონისძიების თაობაზე წინასასამართლოს სხდომისა და საქმის არსებითი განხილვის ეტაპზეც).
2. კანონი ითვალისწინებს უფლებამოსილი ორგანოსადმი შუამდგომლობის ფორმას – ზეპირს ან წერილობითს. ამასთან, ყველა შემთხვევაში წერილობითი შუამდგომლობა ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, ხოლო – ზეპირი – აისახება წერილობით დოკუმენტში – ოქმში. სასამართლოში საქმის განხილვისას კანონით დადგენილია შუამდგომლობის მხოლოდ წერილობით წარდგენა, გარდა იმავე სასამართლო სხდომაზე გამოვლენილი ახალი არსებითი გარემოებისა, მაგ., ბრალდებულის გამოუცხადებლობის გამო პროკურორი ითხოვს შერჩეული აღკვეთის ღონისძიების შეცვლას; სასამართლოში დაკითხული მოწმე პირველად ასახელებს შემთხვევის შემსწრე სხვა პირს და მხარე იმავე სხდომაზე ითხოვს ამ პირის დაკითხვას. გარდა ფორმისა, კანონით სავალდებულოა შუამდგომლობის დასაბუთება – არა მხოლოდ მოთხოვნა, არამედ ამ მოთხოვნის არგუმენტაცია, რაც უნდა ეხებოდეს კონკ-



- რეტულად იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს და გავლენას ახდენს შუამდგომლობის გადაწყვეტაზე – ზემოაღნიშნული მაგალითიდან გამომდინარე, მხარე ითხოვს პირის დაკითხვას იმ საფუძვლით, რომ ეს პირი შეესწრო შემთხვევას და სავარაუდოდ, უნდა ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.
3. ცალკეულ შემთხვევაში შუამდგომლობის განხილვისას მხარე შესაძლოა მივიდეს დასკვნამდე, რომ მისი მოთხოვნა (დაკმაყოფილების შემთხვევაში) გავლენას ვერ მოახდენს საკითხის გადაწყვეტაზე ან/და მხოლოდ გააჭიანურებს საქმის განხილვას. ამდენად, კანონი საშუალებას აძლევს მხარეს, გაითხოვოს შუამდგომლობა მის გადაწყვეტამდე. მნიშვნელობა აქვს „შუამდგომლობის გადაწყვეტის“ განმარტებას, რამდენადაც მხარემ შესაძლოა შეცვალოს პოზიცია სასამართლოს სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგაც. ლოგიკურად, „შუამდგომლობის გადაწყვეტა“ გულისხმობს გადაწყვეტილების გამოცხადებას (ადგილზე თათბირის შედეგად) ან/და ამ გადაწყვეტილების ხელმოწერას (ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის ან სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში). ამდენად, საკითხის ადგილზე თათბირით გადაწყვეტისას (გამოცხადებამდე) მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა (თუკი გამოხატავს შუამდგომლობის გათხოვის სურვილს) დააფიქსიროს პოზიცია. გარდა ამისა, სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მიღებისას, მხარეს აქვს შესაძლებლობა, შესაბამისი წერილობითი ფორმით მიმართოს სასამართლოს, გადაწყვეტილების ხელმოწერამდე.
  4. თავდაპირველად აღსანიშნავია, მოცემული მუხლის მე-4 ნაწილი არ კრძალავს შუამდგომლობის დაყენებას. „ერთი და იმავე შინაარსის შუამდგომლობა“ არ ნიშნავს ერთგვაროვანს (ერთგვაროვანია შუამდგომლობები, მაგ. სხვადასხვა პირის აცილების, რამდენიმე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის და ა.შ.), რამდენადაც პირველ შემთხვევაში საუბარია ერთსა და იმავე მოთხოვნასა და არგუმენტაციაზე, მაგ., არაერთხელ მოთხოვნილია დოკუმენტაციის ამოღება ერთი და იმავე საფუძვლით, ხოლო მეორე შემთხვევაში – საუბარია კვლავ ამოღებაზე, მაგრამ სხვა მასალებთან დაკავშირებით ან იმავე მასალებზე, ოღონდ სხვა, ახალი საფუძვლებითა და არგუმენტებით. „იმავე სასამართლოში“ იგულისხმება რომელიმე ერთი ინსტანციის სასამართლო, მათ შორის – თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები (საქმის სხვა სააპელაციო სასამართლოსათვის დაქვემდებარების შემთხვევაში).
  5. მე-5 ნაწილი ადგენს საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე შუამდგომლობის განხილვა-გადაწყვეტის ვადას. გამოძიების ეტაპზე გადაწყვეტილება მიიღება შუამდგომლობის დაყენების მომენტიდან (წერილობით მოთხოვნის შემთხვევაში – შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსათვის ჩაბარების მომენტიდან და ზეპირის შემთხვევაში – შესაბამისი წერილობით დოკუმენტში ასახვის მომენტიდან). სასამართლოში შუამდგომლობა წყდება დაუყოვნებლივ, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა (მაგ., გაცდენილი ვადის აღდგენის საკითხს სასამართლო იხილავს შუამდგომლობის დაყენებიდან 10 დღის ვადაში, მუხ. 89.2). ამასთან, შუამდგომლობასთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია, გადაწყვეტილება გამოიტანოს სათათბირო ოთახშიც, რაც შუამდგომლობის დაუყოვნებლივ გადაწყვეტას არ ნიშნავს ცალკეულ შემთხვევაში (მომდევნო დღეებში გადაწყვეტილების გამოცხადების პირობებში).
  6. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამა თუ იმ მოქმედებისათვის მხარეებისათვის ადგენს ვადას, რაც აუცილებელია ბრალდებისა და დაცვის ფუნქციის ჯეროვნად განსახორციელებლად. ამდენად, თუკი მხარე ითხოვს დროს, მაგ., სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობის დასაყენებლად ან/და მის დასასაბუთებლად, ეს დრო მხარეს უნდა მიეცეს ყველა შემთხვევაში, გონივრულ ფარგლებში.
  7. ამ მუხლის მე-7 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მხარეს ეძლევა გონივრული ვადა გაცხადებული შუამდგომლობის თაობაზე პოზიციის (მათ შორის – არგუმენტაციის) დასაფიქსირებლად. როგორც აღინიშნა, კანონი იმპერატიულად ითვალისწინებს (შესაბამისი

მოთხოვნის დროს) მხარისათვის დროის განსაზღვრას, მაგრამ გონივრულ ფარგლებში. „გონივრული ვადის“ განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შუამდგომლობისა და საქმის მოცულობა, ასევე – სირთულე.

#### მუხლი 94. შუამდგომლობის გადაწყვეტა

1. თუ შუამდგომლობაში გადმოცემული მოთხოვნის შესრულება ხელს უწყობს სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების განხორციელებას, იგი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თუ შუამდგომლობა მიმართულია სისხლის სამართლის პროცესის გაჭიანურებისაკენ ან მისთვის ხელის შეშლისაკენ – უარი უნდა ითქვას მის დაკმაყოფილებაზე.
  2. შუამდგომლობის ავტორი მას ზეპირად ასაბუთებს.
  3. თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობს პირი, რომლის ინტერესებსაც ეხება შუამდგომლობა, აგრეთვე მისი ადვოკატი, მათაც ეძლევათ შესაძლებლობა, მისცენ განმარტებანი და ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებანი.
  4. შუამდგომლობის განხილვის შედეგად უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ.
  5. შუამდგომლობის განხილვის შედეგების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება მის ავტორს. თუ შუამდგომლობის ავტორს უარი ეთქვა მის დაკმაყოფილებაზე, მას ამ კოდექსით დადგენილი წესით გადაეცემა გადაწყვეტილების ასლი.
  6. შუამდგომლობის დაყენებისას სასამართლოს წარედგინება სისხლის სამართლის საქმის იმ მასალების ასლები, რომლებიც აუცილებელია მისი განხილვისათვის.
1. კანონი ადგენს არა მხოლოდ შუამდგომლობის ფორმებსა და მისი დასაბუთების ვალდებულებას, არამედ – დაკმაყოფილების ზოგად საფუძველსაც. მოქმედი კანონი ადგენს მიზნებს (დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს). აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ამოცანების განსაზღვრაც, მათ შორისაა დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების (მუხლი 3.23) შეგროვება; უფლებამოსილი პირის მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსითა და საპროცესო კანონებით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების უზრუნველყოფა; კანონის სწორად გამოყენება და უდანაშაულო პირის მსჯავრდების დაუშვებლობა; სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება; საგამოძიებო და სასამართლო შეცდომების გამოსწორება და სხვ. თუკი მოთხოვნის შესრულება ხელს უწყობს პროცესის ამოცანების მიღწევას (მაგ., დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვებას), შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს. კანონი ასევე ადგენს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის ზოგად საფუძველს. შეიძლება ითქვას, რომ პროცესის გაჭიანურებისაკენ მიმართულია ყველა მოთხოვნა, რომლის შესრულება სრულიად უშედეგოა პროცესის ამოცანების მისაღწევად. ცალკეულ შემთხვევაში კანონითვეა განსაზღვრული მოთხოვნა, რაც საქმის განხილვის გაჭიანურებას ემსახურება (ადვოკატის შეცვლის თაობაზე სხდომის გადადების მოთხოვნა, თუ ეს მიზნად ისახავს საქმის განხილვის გაჭიანურებას, მუხ. 42.1). პროცესის ხელის შეშლისაკენ მიმართულია შუამდგომლობა თუკი, მაგ., მხარე ითხოვს წესრიგის დაცვის მიზნით სასამართლო სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების შეცვლას, როდესაც, ცხადია, რომ ეს კვლავ გამოინვევს წესრიგის დარღვევას.
  2. კანონი არ ითხოვს მოთხოვნის არგუმენტაციის ამომწურავად წერილობით წარდგენას და მხარე უფლებამოსილია, ზეპირად მიუთითოს სხვა გარემოებებიც, რაც წერილობით შუამდგომლობაში არ არის აღნიშნული. ცხადია, კანონი არ ითხოვს წერილობითი შუამდგომლობის სრულად წაკითხვას.
  3. მე-3 ნაწილი არ გულისხმობს მხარეებს (ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული,

- მათი ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი), რამდენადაც დადგენილია, რომ შუამდგომლობასთან დაკავშირებით სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც (მუხ. 25.4). ამ შემთხვევაში საუბარია პროცესის მონაწილეზე, მაგალითად, სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, დაზარალებულად ცნობილ პირს მისცეს სხდომაზე ან მის ნაწილზე დასწრების უფლება (მუხ. 182.4<sup>1</sup>). ასეთ შემთხვევაში დაზარალებულს უნდა მიეცეს მოსაზრების გამოთქმის საშუალება.
4. შუამდგომლობის განხილვის შემთხვევაში იგი დაკმაყოფილდება ან არ დაკმაყოფილდება სრულად ან დაკმაყოფილდება ნაწილობრივ. თუკი შუამდგომლობა მისმა დამყენებელმა მხარემ გაითხოვა, იგი არ განიხილება.
  5. ცხადია, შუამდგომლობის განხილვის შედეგი მისი ავტორისათვის ცნობილია საკითხის ზეპირი განხილვის შემთხვევაში, მაგრამ სხვა შემთხვევებში მას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შედეგი. ამასთან, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში მის ავტორს გადაეცემა გადაწყვეტილების ასლი დადგენილი წესით (გაეგზავნება ფოსტით ან გადაეცემა ხელზე).
  6. მოცემული მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნა ძირითადად ეხება გამომძიებლის ეტაპზე მხარეთა შუამდგომლობებს (მაგ., აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, ჩხრეკის ან ამოღების, პირის დაკავების, გაცდენილი ვადის აღდგენის და ა.შ.). „აუცილებელ მასალებში“ არ იგულისხმება მხოლოდ შუამდგომლობის დასაბუთებისათვის საჭირო დოკუმენტები. იგი გულისხმობს იმ მასალებსაც, რაც აუცილებელია შუამდგომლობის განხილვის დასაწყებად, მაგალითად, მხარე ითხოვს ამოღების ნებართვას ისე, რომ არ წარუდგენია სისხლის-სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ დოკუმენტიც კი.

## მუხლი 95. საჩივრის შეტანის უფლება და წესი

1. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეს უფლება აქვს, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის ქმედება ან გადაწყვეტილება. (24.07.2014. №2518)
  2. სასამართლოს ქმედების ან გადაწყვეტილების გამო საჩივარი შეიტანება გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოში.
  3. საჩივარი წერილობითი უნდა იყოს. ის უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.
  4. საჩივარი შეაქვთ იმდენ ეგზემპლარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საჩივრის განხილვაში მონაწილეთათვის მისი გადაცემა.
  5. საჩივრის შეტანა შეიძლება სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.
  6. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, საჩივრის შეტანა შეიძლება 10 დღის ვადაში მას შემდეგ, რაც მომჩივნისათვის ცნობილი გახდა იმ ქმედების ან გადაწყვეტილების თაობაზე, რომელსაც იგი უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევს.
  7. საჩივარში უნდა აღინიშნოს, რა მოთხოვნები იქნა დარღვეული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას და რით გამოიხატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა. საჩივარს უნდა დაერთოს მასში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მასალები, მათ შორის, იმ ახალი გარემოებებისა, რომლებიც არ იყო ცნობილი გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას.
  8. საჩივრის გადაწყვეტამდე მის შემტან მხარეს უფლება აქვს, გაითხოვოს იგი.
1. მუხლი ადგენს პროცესის მონაწილის (მათ შორის – მოწმის, დაზარალებულის) უფლებას, გაასაჩივროს მხარისა და სასამართლოს გადაწყვეტილება. ნორმის მოთხოვნა „ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში“ არ უნდა განიმარტოს, როგორც თითოეულ შემთხვევაში დადგენილ იპროცედურა (როგორც, მაგ. დევნის გაჭიანურების, გასაჩივრების ვადის აღდგენის ან აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დროს, რაც, ცხა-

- დია, რადგან მხარის უფლებებს ეხება და კონკრეტულად განერილია). მუხლის ეს ნაწილი შემთხვევით არ მიუთითებს პროცესის მონაწილეზე (და არა – მხოლოდ მხარეზე). ამდენად, შესაძლებელია მონწილის, დაზარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმნის მიერ საჩივრის შეტანა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ პროცედურას კანონი სიტყვასიტყვით არ ითვალისწინებს, მაგრამ გამომდინარეობს ამ სტატუსის მქონე პირთა უფლება-მოვალეობებიდან, მაგ., სსსკ-ის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მონწილეს უფლება აქვს, გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში შენიშვნის, დამატებისა და ცვლილების შეტანა. თუ მონწილეს ამის საშუალება არ მიეცა, ცხადია, რომ მას საჩივრით მიმართვის უფლება აქვს მით უფრო, რომ მონწილის მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმის შინაარსმა შესაძლოა ამ პირისათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგები გამოიღოს (ცრუ დასვენის ან არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება). ზოგადად, მოქმედი კოდექსით პირისათვის გარკვეული უფლებების მინიჭება იმთავითვე გულისხმობს ამ უფლებების რეალიზების გარანტიასაც, მათ შორის – ერთხელ მაინც გასაჩივრების უფლებით.
2. კანონის მოთხოვნა არაერთი გარემოებითაა განპირობებული. გადანწყვეტილების მიმდებარე სასამართლოში ინახება საქმის მასალები, რაც საჩივართან ერთად უნდა გადაიგზავნოს ზემდგომ ინსტანციაში. ამასთან, გაადვილებულია გასაჩივრების ვადის კონტროლიც და ყოველივე ემსახურება საქმის სწრაფ განხილვას.
  3. კანონი ადგენს საჩივრის ფორმას (წერილობითს), რაც უნდა დაერთოს საქმეს. წერილობითი ფორმის მოთხოვნა შემთხვევითი არ არის, რამდენადაც დაკავშირებულია მის რეგისტრაციასთან, ვადის ათვლასთან, შინაარსში უკეთ გარკვევასთან და ა.შ.
  4. კანონით დადგენილია საჩივრის ეგზემპლართა რაოდენობაც (მის განხილვაში მონაწილე პირების რაოდენობის მიხედვით. ცხადია, იგულისხმება მხარეები). სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულს უფლება აქვს, გაეცნოს მხარის მიერ შეტანილ საჩივარს და მასზე გამოთქვას მოსაზრება. ამდენად, ამ შემთხვევაში საჩივრის ეგზემპლარების რაოდენობა დამოკიდებულია ბრალდებულების (და არა – ადვოკატების) რაოდენობაზე.
  5. დადგენილია საჩივრის შეტანის შესაძლებლობა პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, რაც გულისხმობს გასაჩივრების უფლებას. თუკი, მაგალითად, გადანწყვეტილება არ საჩივრდება, არც საჩივრის შეტანას აქვს აზრი და მასზე სასამართლო არც იმსჯელებს. დადგენილ წესში მოიაზრება საჩივრის ფორმა, ეგზემპლართა რაოდენობა, გასაჩივრების ვადა და სხვ.
  6. უმრავლეს შემთხვევაში განსაზღვრულია გასაჩივრების ვადა (დევნის გაჭიანურების, ვადის აღდგენის, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, დაჯარიმების და სხვ.), მაგრამ ამ სპეციალური ნორმებით დადგენილი წესის გარდა, სხვა შემთხვევებში, ზოგადად, კანონი ადგენს გასაჩივრების ათდღიან ვადას იმ მომენტიდან, როდესაც მომჩივანმა შეიტყო გასაჩივრებელი ქმედების ან გადანწყვეტილების თაობაზე. სხვა სიტყვებით, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულის გარდა, მოქმედებს სწორედ გასაჩივრების ათდღიანი ვადა.
  7. როგორც შუამდგომლობის, ასევე – საჩივრის შემთხვევაში სავალდებულოა მოთხოვნის დასაბუთება და აღწერილი გარემოებების დამადასტურებელი მასალების წარდგენა. გარდა ამისა, მომჩივანმა უნდა მიუთითოს შესაძლო კანონდარღვევასა და ზოგიერთ შემთხვევაში ახალ გარემოებაზე. აღსანიშნავია, რომ ახალი გარემოებების წარდგენის მოთხოვნა ძირითადად ვრცელდება ერთსა და იმავე ინსტანციის სასამართლოში საკითხის განხილვისას (მაგ., აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნის საფუძველები, მუხ. 206.8), რამდენადაც სასამართლო სისტემის ინსტანციურობა სწორედ მიღებული გადანწყვეტილების კანონიერების, დასაბუთებულობისა და სამართლიანობის შემოწმებას ითვალისწინებს, ახალი გარემოების წარდგენის მიუხედავად (მაგ., გამოყენებული აღკვე-

- თის ღონისძიების გასაჩივრება ზემდგომ სასამართლოში). ცხადია, ახალი გარემოება – არსებობის შემთხვევაში – ასევე გამოიყენება გადაწყვეტილების შემოწმებისას, მაგრამ იგი აუცილებელი არ არის საჩივრის განსახილველად ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.
8. აღსანიშნავია, რომ 1998 წლის 20 თებერვლის რედაქციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა აპელანტის ან კასატორის მიერ თავისი საჩივრის უკან გათხოვნის შესაძლებლობას არა მის გადაწყვეტამდე, არამედ – სათათბირო ოთახში შემავამებელი გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლოს გასვლამდე. მოქმედი კანონით, მხარემ საჩივარი უნდა გაითხოვოს მის გამო გადაწყვეტილების ხელმოწერამდე, ან – ადგილზე თათბირის შემთხვევაში – გადაწყვეტილების გამოცხადებამდე.

### **მუხლი 96. გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით**

ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში საჩივრის შეტანა აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას. სხვა შემთხვევაში საჩივრის შეტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას აჩერებს, თუ ამას მხარის შუამდგომლობით საჭიროდ მიიჩნევს საჩივრის განმხილველი ორგანო ან პირი.

1. ცალკეულ შემთხვევებში კანონით დადგენილია გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება (მუხლი 85. 14<sup>1</sup> – დაჯარიმების შესახებ განკარგულების გასაჩივრება აჩერებს ამ განკარგულების აღსრულებას). სხვა შემთხვევაში, მხარის შუამდგომლობითა და საჩივრის განმხილველი ორგანოს ან პირის გადაწყვეტილებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება შეჩერდეს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მაგალითად, სსსკ-ის 207-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების შესახებ განჩინების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას. გასაჩივრება ასევე არ აჩერებს განაჩენის აღსრულებას (სსსკ-ის 293-ე მუხლის მე-3 ნაწილი – სააპელაციო საჩივრის შეტანა არ აჩერებს განაჩენის აღსრულებას). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, შესაძლებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება, შესაბამისი შუამდგომლობისა და მისი დაკმაყოფილების პირობებში.

### **მუხლი 97. საჩივრის განხილვის ზოგადი წესი**

1. საჩივარი არ შეიძლება განიხილოს იმ პირმა, რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილებაც საჩივრდება.
  2. საჩივრის განმხილველი ორგანო ან პირი ვალდებულია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა და სხვა პირთა დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღსადგენად.
  3. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, საჩივარი განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს საჩივარზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე ორგანოსათვის ან პირისათვის საჩივრის გადაცემიდან 3 დღეში.
1. კანონი ადგენს საჩივრის განხილვის ზოგად წესს, მათ შორის – სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავ ზოგად გარემოებას, რაც აღნიშნულია, მაგალითად, 59-ე მუხლის მე-3 ნაწილში – მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო შეტანილი საჩივრის განხილვაში. კანონის სხვადასხვა მუხლით იმთავითვე გარანტირებულია საჩივრის სხვა პირის მიერ განხილვა, რამდენადაც საჩივრდება გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს ქმედება ან გადაწყვეტილე-

- ბა (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-15 ნაწილი, 59-ე მუხლი), მაგრამ კანონი ითვალისწინებს შემთხვევებსაც, როდესაც, მაგალითად, საჩივრის გადაწყვეტამდე გამომძიებელი დაინიშნა პროკურორად ან მოსამართლე გამწესდა ზემდგომ სასამართლოში.
2. გამონაკლისის გარდა, საჩივრის განმხილველი ორგანო ან პირი არ არის შეზღუდული საჩივრის ფარგლებით და ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები პროცესის მონაწილეთა და სხვა პირთა დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღსადგენად, მაგ., აღკვეთის ღონისძიების შესახებ განჩინების გასაჩივრების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე არ არის შეზღუდული საჩივრის ფარგლებით და ვალდებულია, გაათავისუფლოს დაპატიმრებული (თავისუფლებაშეზღუდული) პირი, თუ მისი დაკავებისას არსებითად დაირღვა კანონის მოთხოვნები (სსსკ-ის 175-ე მუხლის მე-4 ნაწილი).
  3. მოქმედი საპროცესო კოდექსი სხვადასხვა შემთხვევაში ითვალისწინებს საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის სხვადასხვა ვადას, მაგ., სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღება საკასაციო სასამართლოში საქმისა და საჩივრის შესვლიდან არა უგვიანეს 6 თვისა. გარდა სპეციალური ნორმებით გათვალისწინებული და დადგენილი ვადებისა, ზოგადად განსაზღვრულია საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის სამდღიანი ვადა, შესაბამისი პირის ან ორგანოსათვის საჩივრის გადაცემის მომენტიდან.

### მუხლი 98. გადაწყვეტილება საჩივარზე

1. საჩივრის განხილვის შედეგად შეიძლება მიღებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
  - ა) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის გაუქმების ან შეცვლის შესახებ;
  - ბ) საჩივრის უარყოფის შესახებ.
2. სისხლის სამართლის საქმეს უნდა დაერთოს საჩივარი და მიღებული გადაწყვეტილება.

1. კანონით დადგენილია საჩივრის გამო მიღებული გადაწყვეტილების სახეებიც, კერძოდ, გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის გაუქმების ან შეცვლის (საჩივრის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების) ან საჩივრის უარყოფის (გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების) შესახებ. თუმცა ზოგჯერ შესაძლებელია საჩივრის უარყოფის პირობებში გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმებაც, მაგალითად, პატიმრობის გირაოთი შეცვლის მოთხოვნის შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების გაუქმება ან უფრო მსუბუქით – გაუსვლელია და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებით – შეცვლა.
2. კანონის ეს მოთხოვნა იმპერატიულია და სისხლის სამართლის საქმეს უნდა დაერთოს ორივე საპროცესო დოკუმენტი – საჩივარი და მის გამო მიღებული გადაწყვეტილებაც.

### მუხლი 99. საჩივარზე გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინება

საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება მომჩივანს. თუ მომჩივანს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე, მას ამ კოდექსით დადგენილი წესით გადაეცემა გადაწყვეტილების ასლი.

1. საჩივრის განხილვის შედეგის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მომჩივანს, რაც გულისხმობს ყველა ზომის დაუყოვნებლივ მიღებას (ელსმენით შეტყობინება ან ფოსტით გაგზავნა) მისი რეალურად ინფორმირებისათვის. ცხადია, ამის საჭიროება არ არსებობს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის პირობებში, რასაც ესწრება მომჩივანიც. ამასთან, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში მომჩივანს დადგენილი წესით გადაეცემა გადაწყვეტილების ასლი, მათ შორის – გაეგზავნება ფოსტით ან გადაეცემა ხელზე.

**კერძო ნაწილი**





## კარი IV გამოძიება

### თავი XIV გამოძიების საფუძვლები

#### მუხლი 100. გამოძიების დაწყების მოვალეობა

1. დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება. გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

2. ამოღებულია (7.12.2010. №3891 ამოქმედდეს 2010 წლის 10 დეკემბრიდან)

- საგამომძიებო ორგანოებს დღის განმავლობაში მიეწოდებათ ათეულობით ინფორმაცია. გამომძიებელი ვალდებულია, საფუძვლიანად შეისწავლოს მინოდებული ინფორმაცია და დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, დაიწყოს გამოძიება.
- საგამომძიებო ორგანოსათვის მინოდებული ინფორმაცია შეიძლება იყოს რამდენიმე სახის:
  - ინფორმაცია, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;
  - ინფორმაცია, რომელშიც ბუნდოვანად და გაურკვეველად არის აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები;
  - ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, თუმცა განმცხადებელი მოითხოვს გამოძიების დაწყებას.
- გამომძიების დაწყება, განსხვავებით სისხლისსამართლებრივი დევნისაგან, არ წარმოადგენს დისკრეციულ უფლებამოსილებას, შესაბამისად, თუ ინფორმაცია შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, გამომძიებელს, პროკურორს ეკისრება გამოძიების დაწყების ვალდებულება.
- თუ განმცხადებლის მიერ აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, გამომძიებელი, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ და აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცხადებენ ინფორმაციის მომწოდებელ პირს (თუ იგი იდენტიფიცირებულია). ამ უკანასკნელს ასევე უნდა განემარტოს გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის მიზეზი.
- თუ საგამომძიებო ორგანოსათვის მინოდებული ინფორმაცია ბუნდოვანია ან/და სრულყოფილად არ ასახავს ფაქტობრივ გარემოებებს, გამომძიებელმა გადაწყვეტილების მიღებამდე, ინფორმაციის მომწოდებელ პირთან უნდა დააზუსტოს დეტალები და აღნიშნულის შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება გამოძიების დაწყების ან გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.
- საგამომძიებო ორგანოსათვის დანაშაულის შესახებ მინოდებული ინფორმაცია საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაგირებას, თუ დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის, გაართულებს მტკიცებულებების მოპოვებას, ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის საფრთხე. მაგალითად, თუ ინფორმაცია შეეხება საცხოვრებელი ბინიდან ნივთების ქურდობის ფაქტს, გამომძიებელმა გამოძიება უნდა დაიწყოს დაუყო-

ოვნებლივ და ჩაატაროს პირველადი საგამოძიებო მოქმედებები, რათა არ მოხდეს ბინამო დანაშაულის კვალის განადგურება.

7. გამოძიების დაწყების თაობაზე გამოძიებელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს. კანონი არ ანებსებს შეზღუდვას შეტყობინების ფორმაზე, შესაბამისად, შეტყობინება შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი. საგამოძიებო ორგანოებში 2010 წლიდან დანერგულია სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ, პროგრამა, რომელშიც რეგისტრირდება ყველა სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნული პროგრამის საშუალებით, პროკურორი ელექტრონულად იღებს ინფორმაციას გამოძიების დაწყების შესახებ.

### **მუხლი 101. ინფორმაცია დანაშაულის შესახებ**

1. გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში.

2. დანაშაულის შესახებ ინფორმაცია შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი ან სხვაგვარად დაფიქსირებული.

2<sup>1</sup>. პირს, რომელიც დანაშაულის შესახებ განაცხადებს, უფლება აქვს, მიიღოს დანაშაულის შესახებ შეტყობინების დამადასტურებელი წერილობითი ცნობა (24.07.2014. №2518).

3. დანაშაულის შესახებ ზეპირი შეტყობინების თაობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ განმცხადებელი და განცხადების მიმღები თანამდებობის პირი. გამოძიებელი უფლებამოსილია დანაშაულის შესახებ ანონიმური შეტყობინების საფუძველზე დაიწყოს გამოძიება. დაუშვებელია პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მხოლოდ ანონიმური შეტყობინების საფუძველზე (24.07.2014. №2518).

4. 14 წელს მიღწეულ განმცხადებელს ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებენ ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

1. გამოძიების დაწყების საფუძველი შეიძლება გახდეს ზეპირი შეტყობინება, წერილობითი შეტყობინება ან სხვაგვარად დაფიქსირებული ინფორმაცია.

დანაშაულის შესახებ სხვაგვარად დაფიქსირებული ინფორმაცია შეიძლება იყოს:

- სატელეფონო შეტყობინება;
- ოპერატიული წყაროდან მიღებული ინფორმაცია;
- მასმედიაში გამოქვეყნებული ან გაშუქებული მასალა;
- სისხლის სამართლის პროცესის დროს გამოვლენილი გარემოება;
- ინტერნეტში განთავსებული მასალა;
- დანაშაულის ფაქტზე წასწრება;
- დანაშაულის ჩამდენი პირის სამართალდამცავ ორგანოში ბრალის აღიარებით გამოცხადება.

2. ზეპირი შეტყობინება გულისხმობს მოქალაქის საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას და დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის ზეპირად გაცხადებას. საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელი ვალდებულია მოქალაქე გააფრთხილოს განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, რომლის შემდგომ უნდა შეადგინოს ზეპირი შეტყობინების მიღების ოქმი. ოქმში სრულყოფილად უნდა აისახოს მოქალაქის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და ასევე, უნდა მიეთითოს ცრუ დასმენის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაფრთხილების თაობაზე. შედგენილი ოქმი უნდა წარედგინოს განმცხადებელს, რომელმაც თავისი ხელმოწერით უნდა დაადასტუროს მისი სისწორე. განმცხადებელს უფლება აქვს საგამოძიებო ორგანოსგან მიიღოს დანაშაულის შესახებ შეტყობინების დამადასტურებელი წერილობითი ცნობა.

3. ვინაიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკია 14 წელი, 14 წლამდე განმცხადებელი არ ფრთხილდება ცრუ დასმენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.
4. წერილობითი შეტყობინება საგამოძიებო ორგანოს შესაძლოა მიენოდოს სამი გზით: გაგზავნილ იქნეს ფოსტით, მეილით, ან პირადად განმცხადებლის მიერ იქნეს წარდგენილი. წერილობითი შეტყობინების ავტორი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი (კერძო ან საჯარო) ან რომელიმე სახელმწიფო ორგანო.
5. შეტყობინებათა დიდი ნაწილი საგამოძიებო ორგანოს მიეწოდება ტელეფონის საშუალებით. სატელეფონო შეტყობინების მიღებისას დგება ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს მიღებული შეტყობინების შინაარსი.
6. ოპერატიული ინფორმაცია არის საიდუმლო თანამშრომლის (კონფიდენტის) ან სხვა ანონიმური პირის მიერ გამოძიებლის ან ოპერატიული თანამშრომლისთვის მიწოდებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მზადდება, ხდება ან მოხდა დანაშაული. ოპერატიული ინფორმაციის მიღებისას, აღნიშნული ინფორმაციის მიმღები პირი ადგენს პატაკს, რომელშიც ასახავს მიღებული ინფორმაციის შინაარსს ინფორმაციის მიმწოდებლის ვინაობის მიუთითებლად.
7. გამოძიების დაწყებას შესაძლოა საფუძვლად დაედოს მასმედიაში გამოქვეყნებული (სტატია, ინტერვიუ) ან ტელევიზიის ან რადიოს საშუალებით გაშუქებული ინფორმაცია (ინტერვიუ, საინფორმაციო გამოშვება, დოკუმენტური ფილმი და ა.შ.), ასევე ინტერნეტში განთავსებული მასალა.
8. გამოძიების დაწყების საფუძელია დანაშაულის ჩამდენი პირის საგამოძიებო ორგანოში ბრალის აღიარებით გამოცხადება და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ გაცხადება. ასეთ შემთხვევაში უნდა შედგეს ოქმი ბრალის აღიარებით გამოცხადების თაობაზე, რომელშიც უნდა აისახოს ბრალის აღიარებით გამოცხადებული პირის მონათხრობი.
9. გამოძიების დაწყების საფუძველია სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ან სასამართლო განხილვისას გამოვლენილი გარემოება (მაგ., მოწმემ სასამართლოში ან გამოძიების დროს დაკითხვისას განაცხადა მის მიმართ განხორციელებული ძალადობის, მუქარის, შანტაჟის შესახებ).
10. დანაშაულის ფაქტზე წასწრება ნიშნავს პირის წასწრებას დანაშაულის მომზადების, მცდელობის სტადიაზე ან დანაშაულის ჩადენის შემდგომ შემთხვევის ადგილიდან მიმალვის დროს (მაგ., გამოძიებელმა, რომელიც პატრულირებდა მის სამოქმედო ტერიტორიაზე, დაინახა როგორ გამოჰქონდა დანაშაულის ჩამდენ პირს საცხოვრებელი ბინიდან ნივთები).
11. ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები არ არის ამომწურავი. გამოძიების დაწყებას შეიძლება საფუძვლად დაედოს ნებისმიერი წყაროდან მიღებული ინფორმაცია, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მათ შორის ანონიმური წყაროდან მიღებული ინფორმაცია.

## მუხლი 102. საქმის ქვემდებარეობის მიხედვით გადაგზავნა

თუ გამოძიების დაწყების შემდეგ გამოიკვეთა, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება სხვა საგამოძიებო ორგანოს კომპეტენციაა, გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შემდეგ პროკურორი დაუყოვნებლივ გადაგზავნის საქმეს ქვემდებარეობის მიხედვით.

1. სისხლის სამართლის საქმეთა უწყებრივი და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობა განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 07 ივლისის ბრძანებით „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“.
2. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, დანაშაულის ფაქტზე გამოძიებას აწარმოებს გამოძიებელი, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება ტერიტორიაზე, სადაც ჩადენილ იქნა დანაშაუ-

ლებრივი ქმედება. მაგალითად, რუსთავში ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე გამოძიება უნდა დაიწყოს და აწარმოოს რუსთავის შინაგან საქმეთა სამმართველო.

3. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც დანაშაულის ფაქტზე გამოძიებას იწყებს არაუფლებამოსილი საგამოძიებო ორგანო, რაც, როგორც წესი, ობიექტური ფაქტორებით არის განპირობებული. ამგვარ შემთხვევებს ძირითადად ადგილი აქვს მაშინ, როცა დანაშაულის მსხვერპლი დანაშაულის ფაქტზე რეაგირების მოთხოვნით მიმართავს არაუფლებამოსილ საგამოძიებო ორგანოს ან/და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არაუფლებამოსილი საგამოძიებო ორგანოს თანამშრომელი წაასწრებს დანაშაულის ჩამდენს ან გამოავლენს დანაშაულის ფაქტს.
4. საქართველოს სსსკ-ი გამოძიებელს, მიუხედავად უწყებრივი კუთვნილებისა, დანაშაულის ფაქტზე გამოძიების დაწყებას ავალდებულებს. მომხდარზე დროული რეაგირება კი მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურების თავიდან აცილების გარანტია. შესაბამისად, გამოძიებელი ვალდებულია დანაშაულის ფაქტზე დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება მაშინაც კი, როცა კონკრეტული ფაქტის გამოძიება მის უწყებრივ ან/და ტერიტორიულ საგამოძიებო ქვემდებარეობას არ განეკუთვნება.
5. გამოძიების დაწყების შემდეგ უწყებრივი და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის დაცვით საქმის გამოსაძიებლად უფლებამოსილ საგამოძიებო ორგანოში გადაგზავნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი. ამ უკანასკნელს სისხლის სამართლის საქმეს გამოძიებელი წარუდგენს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ.
6. მსგავს შემთხვევებში გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების აუცილებლობაზე მიუთითებს როგორც სსსკ-ი, ისე იუსტიციის მინისტრის ბრძანება „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“. კანონის მიზანია დროულად უზრუნველყოს თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და თავიდან აიცილოს მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურება, რაც ქვემდებარეობით საქმის ნაადრევად ან დაუყოვნებლივ გადაგზავნამ შეიძლება გამოიწვიოს.
7. თუმცა, კანონი იმავდროულად მოუწოდებს სამართალდამცავ ორგანოებს, რომ სისხლის სამართლის საქმის ქვემდებარეობით გადაგზავნის გადაწყვეტილება მიღონ დაუყოვნებლივ, როგორც კი დასრულდება გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები. სათანადო საფუძვლების წარმოშობისთანავე გადაწყვეტილების მიუღებლობამ შესაძლოა იმ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საკითხი დააყენოს დღის წესრიგში, რომლებიც საქმის გადაგზავნის საფუძვლის წარმოშობის შემდეგ იქნა მოპოვებული. შესაბამისად, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, უფლებამოსილმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საქმის ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით გადაგზავნის ან ქვემდებარეობის მიუხედავად სხვა საგამოძიებო ორგანოსთვის გადაცემის შესახებ, ანუ დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს უწყებრივი და ტერიტორიული ქვემდებარეობის საკითხი.
8. პრაქტიკაში არცთუ იშვიათად უწყებებს შორის წარმოიშობა დავა ქვემდებარეობასთან დაკავშირებით. მსგავს შემთხვევებში, გამოძიების გაუმართლებელი გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, დავა ზემდგომმა პროკურორმა უნდა გადაწყვიტოს.

### მუხლი 103. გამოძიების ვადა

**გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა.**

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების კონკრეტულ ვადას, თუმცა აღნიშნავს, რომ გამოძიება უნდა მიმდინ-

- არეობდეს გონივრულ ვადაში.
2. გამოძიების გონივრულ ვადაში წარმართვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, სისხლის სამართლის საქმეზე დევნის დაწყების ფაქტი. კერძოდ, დევნადაწყვეტულ საქმეზე „გონივრული ვადა“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.
  3. სისხლის სამართლის საქმეზე უნდა შეწყდეს გამოძიება შესაბამისი დანაშაულისთვის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლი ადგენს ხანდაზმულობის შემდეგ ვადებს:
    - ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;
    - ექვსი წელი სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;
    - ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;
    - თხუთმეტი წელი სისხლის სამართლის კოდექსის 332-342<sup>1</sup> (სამოხელეო დანაშაული) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენიდან, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს;
    - ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.
  4. სსკ-ის 71-ე და სსსკ-ის 103-ე მუხლებიდან გამომდინარე, გამოძიება უნდა მიმდინარეობს ზემოაღნიშნული ვადების ფარგლებში.
  5. გამოძიების მიმდინარეობის „გონივრული ვადა“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როცა დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა, პირი დაკავებულია ან პატიმარია.
  6. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდგომ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხოლოდ გამომძიებელსა და პროკურორს არ აძლევს ვადის განსაზღვრისა და მისი გონივრულობის შეფასების უფლებას. იმპერატიულად ადგენს: ბრალდებულად ყოფნის ვადას (9 თვე წინასასამართლო სხდომამდე), დაკავების ვადას (72 საათი), პატიმრობის ვადას (9 თვე), სასამართლოში ბრალდებულის პირველად წარდგენის ვადას (დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათი), წინასასამართლო სხდომის ჩატარების ვადას (60 დღე), საჩივრისა და შუამდგომლობების განხილვის ვადებს (3 დღე). ცხადია, აღნიშნული შეზღუდვები არ გამოორიციხავს გამოძიების უსაფუძვლო გაჭიანურებას. მაგ., ბრალდების მხარემ დაკავებიდან 48-ე საათზე წარუდგინოს პირი სასამართლოს, მაშინ როცა დაკავების შემდგომ საგამოძიებო ორგანოს არ ჩაუტარებია არც ერთი საგამოძიებო მოქმედება, გარდა ბრალდების დადგენილების გამოტანისა.
  7. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს. მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში. ამავე კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.
  8. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ მუხლებში ხაზგასმულია „გონივრულ ვადაში“ საქმის სასამართლოში განხილვაზე და დაკავებული ან დაპატიმრებული პირის სასამართლოში დაუყოვნებლივ წარდგენაზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „გონივრული ვადის“ ათვლა შეიძლება დაინწყოს უფრო ადრეული სტადიიდან. კერძოდ, საქმეში დევეერი ბელგიის წინააღმდეგ<sup>399</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „გონივრული ვადის“ ათვლა ხშირ შემთხვევაში შეიძლება დაინწყოს სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე. საქმეში ნოიმაისტერი ავსტრიის წინააღმდეგ<sup>400</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „გონივრული ვადის“ ათვლა იწყება პირისათვის ბრალის წაყენების მო-

<sup>399</sup> Deweer v. Belgium, ECtHR, 27/02/1980, §42.

<sup>400</sup> Neumeister v. Austria, ECtHR, 27/06/1968, §18.

მენტიდან. საქმეში ვემჰოფი გერმანიის წინააღმდეგ<sup>401</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ ვადის ათვლა შეიძლება დაიწყოს პირის დაკავების ან გამოძიების დაწყების მომენტიდან (რინგეისენი ავსტრიის წინააღმდეგ<sup>402</sup>). „გონივრული ვადის“ ათვლა შეიძლება დაიწყოს იმ პირის მოწმის სახით დაკითხვიდან, რომლის მიმართაც არსებობს დანაშაულის ჩადენის ეჭვი (დimitარ პავლოვი ბულგარეთის წინააღმდეგ<sup>403</sup>, სვინარენკო და სლიადნევი რუსეთის წინააღმდეგ<sup>404</sup>, გრიგორიანი სომხეთის წინააღმდეგ<sup>405</sup>).

9. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ვადის გონივრულობას აფასებს ინდივიდუალურად ყოველ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით. სასამართლო გამოძიების ხანგრძლივობის შეფასებისას მხედველობაში იღებს: ბრალდებულის მოქმედებებს (მაგ., ხომ არ მოხდა ვადის გახანგრძლივება ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოში გამოუცხადებლობის, მის მიერ ადვოკატის რამდენჯერმე შეცლის, მის მიერ უსაფუძვლო საჩივრებისა და შუამდგომლობების დაყენების მიზეზით), საგამოძიებო ორგანოების მოქმედებას (რამდენად ეფექტიანად და პრიორიტეტულად მოხდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების წარმართვა, შეყოვნდა თუ არა გამოძიება საგამოძიებო ორგანოების უმოქმედობის საფუძვლით), საქმის სირთულეს (საქმეები: მაკფარლენი ირლანდიის წინააღმდეგ<sup>406</sup>, იდალოვი რუსეთის წინააღმდეგ<sup>407</sup>). შესაბამისად, გამოძიების ხანგრძლივი ვადა არ წარმოადგენს კონვენციის დარღვევას, თუ ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, გამოძიების დასრულება უფრო ნაკლებ დროში ვერ მოხდებოდა.

#### მუხლი 104. გამოძიების მონაცემების გამჟღავნების დაუშვებლობა

1. პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია არ გახდეს საჯარო. ამ მიზნით ის უფლებამოსილია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დაავალდებულოს, მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს საქმეში არსებული ცნობები, და გააფრთხილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.
2. მართლმსაჯულებისა და მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება საქმის მონაწილეთა ან/და სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ პირთა მიმართ განსახილველი საქმის გარკვეული მონაცემების საჯაროდ გავრცელებისაგან დაცვის შესახებ. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1. პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია არ გახდეს საჯარო. გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის მიზეზი, როგორც წესი, არის გამოძიების ინტერესი (მაგ., გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების შემთხვევაში, შესაძლოა დანაშაულის ჩადენი პირები მიიმალონ, გაანადგურონ მტკიცებულებები, დაემუქრონ პროცესის მონაწილეებს); პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან კომერციული, სახელმწიფო საიდუმლოების, არასრულწლოვნის ინტერესების, პროცესის მონაწილის ან/და მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის პირადი უსაფრთხოების დაცვა; სქესობრივი და-

<sup>401</sup> Wemhoff v. Germany, ECtHR, 27/06/1968, §19.

<sup>402</sup> Ringeisen v. Austria, ECtHR, 16/07/ 1971, §110.

<sup>403</sup> Dimitar Vasilev v Bulgaria, ECtHR, 10 /04/2012, §39.

<sup>404</sup> Svinarenko and Slyadnev v Russia, ECtHR, 11/12/2012, §74.

<sup>405</sup> Grigoryan v Armenia, ECtHR, 10/08/2012, §128.

<sup>406</sup> McFarlane v Ireland ECtHR, (GC), 10/09/2010, §140.

<sup>407</sup> idalov v Russia (GC), ECtHR, 22/05/2012, §186.

- ნაშაულის, ადამიანით ვაჭრობის, ოჯახური დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვა; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.
2. გამომძიებელი/პროკურორი უფლებამოსილია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დაავალდებულოს, მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს საქმეში არსებული ცნობები, და გააფრთხილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. მაგალითად, მონმე ან დაზარალებული დაავალდებულოს არ გაამჟღავნოს მისი ჩვენების შინაარსი; ბრალდებულის ადვოკატი დაავალდებულოს არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ბრალდების მხარის მიერ გადაცემული მტკიცებულებებიდან; თარჯიმანი დაავალდებულოს არ გაამჟღავნოს თარგმნისას მის მიერ მოსმენილი ინფორმაცია; ექსპერტი დაავალდებულოს არ გაამჟღავნოს ექსპერტიზის დასკვნის შინაარსი და ა.შ.
  3. თუ პროცესის მონაწილე გაამჟღავნებს საქმეში არსებულ ცნობებს, მას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლით (გამოძიების მონაცემის გახმაურება). ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის, აუცილებელია დანაშაულის სუბიექტი გაფრთხილებული იყოს მონაცემის გახმაურებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროცესის მონაწილის დავალდებულება იყოს წერილობითი, მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 104-ე მუხლში არ არის მითითება გაფრთხილების წერილობით ფორმაზე.
  4. სასამართლოსაც აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება საქმის გარკვეული მონაცემების საჯაროდ გავრცელებისაგან დაცვის შესახებ. განსხვავებით პროკურორისა და გამომძიებლისგან, სასამართლოს შეუძლია ეს უფლება გამოიყენოს არა მხოლოდ პროცესის მონაწილეთა მიმართ, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ სხვა პირთა მიმართ. სასამართლო აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით. ამასთან, სასამართლომ შესაძლოა ამგვარი გადაწყვეტილება მიიღოს, როგორც გამოძიების ეტაპზე (მაგ., ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, ალკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვის სხდომაზე), ასევე წინასასამართლო სხდომაზე და საქმის არსებითი განხილვის დროს.
  5. თუ პირი არ შეასრულებს სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლით (განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა).

### **მუხლი 105. გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის საფუძვლები**

1. გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს:
  - ა) თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;
  - ბ) თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო;
  - გ) თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას;
  - დ) თუ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი;
  - ე) თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა;
  - ვ) თუ გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;
  - ზ) თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ან/და სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე;
  - თ) თუ არსებობს პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების

შენწყვეტის შესახებ;

ი) თუ პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

კ) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი);

ლ) ქმედითი მონაწილის გამო (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე და 322-ე მუხლები და იმავე კოდექსის 164 , 203-ე, 221-ე, 223-ე, 236-ე, 260-ე, 339-ე, 339 , 348 , 371-ე, 375-ე, 388-ე და 389-ე მუხლების შენიშვნებით გათვალისწინებული შემთხვევები); (14.06.2013. №741)

მ) თუ ვითარება შეიცვალა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ:

ა) პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;

ბ) პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, რაც დადასტურებულია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით; (14.06.2013. №741)

გ) ბრალდებული გარდაიცვალა;

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322<sup>1</sup>, 344-ე ან 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>2</sup> ან/და 143<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).

3. სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა აგრეთვე არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს. (30.05.2013. №662)

4. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, და დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მას არ შესრულებია 18 წელი, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის გამო. (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან.) ამოღებულია (12.06.2015 № 3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების ან მედიაციის შესახებ, რომლის პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ამ ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადაა 1 წელი. (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან.) ამოღებულია (12.06.2015 № 3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)

6. თუ არასრულწლოვანი არაჯეროვნად ასრულებს ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული, მასთან გაფორმებული განრიდების ან მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებას, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ახალი დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა. (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან.) ამოღებულია (12.06.2015 № 3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)

1. გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის საფუძვლები იყოფა ორ ჯგუფად: მატერიალურ-სამართლებრივ და საპროცესო-სამართლებრივ საფუძვლებად.<sup>408</sup>

2. მატერიალურ-სამართლებრივს მიეკუთვნება ის საფუძვლები, რომლებიც გამორიცხავენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, დანაშაულის არსებობას ან სასჯელის გამოყენ-

<sup>408</sup> იხ., აქუბარდია ი., გოგშელიძე რ., ფაფიაშვილი ლ., ბოხაშვილი ი., გოგნიაშვილი ნ., სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ., 2008, 102.



- ნებას. ასეთ საფუძვლებს მიეკუთვნება: სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობა, ქმედების არამართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ახალი კანონის მიერ ქმედების დანაშაულებრიობის გაუქმება, კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა, სისხლის-სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლა, ამნისტიის აქტის საფუძველზე პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, ქმედითი მონაწილეობა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწევლობა, დანაშაულის ჩამდენი პირის შეურაცხაობა, ვითარების შეცვლა.
3. საპროცესო-სამართლებრივს მიეკუთვნება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ისეთი საფუძვლები, რომლებიც გამორიცხავენ გამოძიების გაგრძელების შესაძლებლობას. ასეთ საფუძვლებს მიეკუთვნება: სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს განჩინების არსებობა იმავე ბრალდების საქმეზე, პროკურორის დადგენილების არსებობა სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა, ბრალდებულის გარდაცვალება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322<sup>1</sup>-ე, 344-ე ან 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე ან/და 143<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო ჩადენა.
- 1. გამოძიების შეწყვეტა, სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყება, შეწყვეტა**
4. სსსკ-ის 105-ე მუხლში ამომწურავად არის ჩამოთვლილი გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყების ან შეწყვეტის საფუძვლები.
- განვიხილოთ თითოეული მათგანი:
- ა) თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება**
5. გამოძიების დაწყების საფუძველია ინფორმაცია დანაშაულის ჩადენის შესახებ, თუმცა გამოძიება უნდა შეწყდეს ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს, თუ გამოძიების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებებით არ დადასტურდება დანაშაულის არსებობა. მაგალითად, გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო შეტყობინება, რომლის თანახმად მოქალაქეს დაუზიანეს მობილური ტელეფონი. ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებით დადგენილ იქნა, რომ მობილური ტელეფონის დაზიანებით მოქალაქეს მიადგა 120 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანი. ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, ნივთის დაზიანებამ გამოიწვიოს მნიშვნელოვანი (150 ლარის ზევით) ზიანი. ვინაიდან, კონკრეტულ შემთხვევაში, ზიანი არ აღემატება 150 ლარს, აღნიშნულ ფაქტზე პროკურორი ვალდებულია შეწყვიტოს გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდოდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე“. შესაბამისად, თუ სახეზეა აღნიშნული მუხლის ამ ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს ან არ უნდა დაიწყოს სწორედ საქართველოს სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. მცირე მნიშვნელობის ზიანის განსაზღვრა უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და ეს არ არის დამოკიდებული მხოლოდ მატერიალური ზიანის ოდენობაზე. მაგალითად, პირი ფარულად დაეუფლა 5 ლარად ღირებულ სხვის კუთვნილ ნივთს. დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის/არდანყებისას, პროკურორმა მხედველობაში უნდა მიიღოს არა მხოლოდ მატერიალური ზიანის ოდენობა, არამედ დანაშაულის ჩამდენი პირის ნასამართლობა (შესაძლოა სახეზე

იყოს არაერთგზის ჩადენილი ქურდობა), დანაშაულის ჩადენის ხერხი, ვითარება, საშუალება, დაზარალებულის პოზიცია და სხვა ისეთი გარემოებები, რაც მიუთითებს დანაშაულის ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებლობაზე.

**ბ) თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო**

7. გამოძიება უნდა შეწყდეს ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს, თუ ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებით დადგინდება, რომ დანაშაული ჩადენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე (აუცილებელი მოგერიება), 29-ე (დამნაშავის შეპყრობა), 30-ე (უკიდურესი აუცილებლობა), 31-ე (მართლზომიერი რისკი) მუხლებით გათვალისწინებული გარემოებების ან სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში სახელდებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს ამ ქმედების მართლზომიერების პირობებს (32-ე მუხლი).

**გ) თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას**

8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეორე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს“, თუმცა ამავე კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, აქვს უკუძალა.
9. შესაბამისად, გამოძიება უნდა შეწყდეს ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს, თუ ახალი კანონით ხდება ქმედების დეკრიმინალიზაცია.
10. შესაძლებელია ქმედების დეკრიმინალიზაცია მოხდეს არა დანაშაულის მთლიანად გაუქმებით, არამედ დანაშაულის შემადგენლობის შეცვლითაც. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის პირვანდელი რედაქცია ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას 21 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ ცივი იარაღის ტარებისთვის (საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი №4213, მიღების თარიღი 29/12/2006, გამოქვეყნების თარიღი 03/01/2007). 2013 წლის 11 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, პირს იმ შემთხვევაში დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლით, თუ იგი არის ცივი იარაღის ტარებისათვის განმეორებით ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირი. ანუ, კანონმა გააუქმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ცივი იარაღის ტარებისათვის ცივი იარაღის ტარების პირველივე შემთხვევაზე. შესაბამისად, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა ყველა იმ პირის მიმართ, რომელიც პირველად იქნა გამოვლენილი ცივი იარაღის ტარებაზე, თუ არ არსებობდა მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სხვა საფუძველი.

**დ) თუ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი**

11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს კანონების შინაარსის შესაბამისობის საკითხები.
12. საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, საქართველოს სახალხო დამცველს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი. ამასთან, თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად

- ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი აჩერებს საქმის განხილვას და წარდგინებით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ამგვარი წარდგინებით მიმართვა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველს. სისხლის სამართლის საქმის განხილვა უნდა განახლდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.
13. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედებიდან დღემდე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლის სრულად არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ.
14. ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელიც გამოიტანა საკონსტიტუციო სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსთან დაკავშირებით, შეეხება 314-ე მუხლს. აღნიშნული გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები „ან უცხოეთის ორგანიზაციის“<sup>409</sup> (მუხლი 314-ე, ჯაშუშობა, „უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვება, შენახვა ან გადაცემა ან/და გამოძალვა ან გატაცება მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა“).
15. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ტერმინი „უცხოეთის ორგანიზაცია“ იძლეოდა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას და არანაირ დამატებით მითითებას არ აკეთებდა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ასეთი ორგანიზაციის განსაზღვრა. სამართალშემფარდებელს და გამოხატვის სფეროში მოქმედ პირს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განესაზღვრა, რომელი ორგანიზაციის დავალებით განხორციელებული ჯაშუშობა იყო საქართველოს ინტერესების საზიანო. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, სადავო ნორმის ასეთი ზოგადი შინაარსი, ნორმის გამოყენებულ სასამართლოს აძლევდა შესაძლებლობას, თავად განესაზღვრა სისხლისსამართლებრივი დასჯადობა კონკრეტულ შემთხვევაში, რაც არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის დანაწესს, რომლის თანახმადაც, პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრება შეიძლება მოხდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე და სამართალშემფარდებელს არ უნდა ჰქონდეს საშუალება სამოსამართლეო პრაქტიკის საფუძველზე, თავად შექმნას სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შემადგენლობა.
- ე) თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა**
16. ხანდაზმულობის ვადის გასვლა ნიშნავს დანაშაულის ჩადენიდან ისეთი ხანგრძლივობის ვადის გასვლას, რომლის შემდგომ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დაუშვებელია. კონკრეტული დანაშაულისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა დამოკიდებულია ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელზე, ხასიათსა და კატეგორიაზე.
17. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა:
- ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;
  - ექვსი წელი სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;
  - ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;
  - თხუთმეტი წელი სისხლის სამართლის კოდექსის 332-342<sup>1</sup>-ე (სამოხელეო დანაშაული)

<sup>409</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 14/05/2013 წლის გადაწყვეტილება, საქმე №2/2/516,542.

- მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენიდან, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს;
- ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.
18. ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემამდე. ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის.
  19. კანონი ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერებას იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული დაემალემა გამოძიებას ან სასამართლოს, მაგრამ მისი დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან კვლავ განახლება ხანდაზმულობის ვადის დინება.
  20. ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა/არდაწყება განპირობებულია იმით, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მიზანშეუწონელია პირის დასჯა სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე.
  21. ხშირ შემთხვევებში, დანაშაულის კვალიფიკაციისა და შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის განმსაზღვრელია დანაშაულის ჩამდენი პირი. მაგალითად, გამოძიება დაწყებულ იქნა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით, ვინაიდან სახეზე იყო 50 ლარის ღირებულების მობილური ტელეფონის ქურდობა. სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული წარმოადგენს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს და მასზე ვრცელდება 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. თუმცა, გაუხსნელ სისხლის სამართლის საქმეზე ამ საფუძვლით გამოძიების შეწყვეტამდე პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს, დანაშაულის ჩამდენი სავარაუდოდ პირის მახასიათებელი. თუ დანაშაული ჩადენილია ქურდობისთვის ნასამართლევ პირის მიერ, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტა 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფუძვლით არ იქნება მიზანშეუწონილი, რადგან აღნიშნული დანაშაულის რეალური კვალიფიკაცია არის სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (არაერთგზის ჩადენილი ქურდობა), რომელიც წარმოადგენს მძიმე კატეგორიის დანაშაულს. შესაბამისად მასზე ვრცელდება ათწლიანი (და არა 6-წლიანი) ხანდაზმულობის ვადა.
  22. არის შემთხვევები, როცა არ არის დადგენილი დანაშაულის ჩადენის ზუსტი დრო. ასეთ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო გამოძიების შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს დანაშაულის ჩამდენი პირის სასარგებლოდ საკითხის გადწყვეტას. მაგალითად, თუ დანაშაული ჩადენილია სავარაუდოდ 2014 წლის 1 იანვრიდან 1 მარტამდე დროის მონაკვეთში, ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა მოხდეს 1 იანვრიდან.
  23. გამომძიებელს, პროკურორს უფლება არა აქვთ, მოქალაქეს უარი უთხრან გამოძიების დაწყებაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფუძვლით, ვინაიდან დანაშაულის ფაქტის არსებობის დადგენა, მისი ჩადენის დროის ზუსტი განსაზღვრა და მასზე სწორი კვალიფიკაციის მინიჭება უნდა მოხდეს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების გზით და არა მხოლოდ მოქალაქის განცხადებაში მითითებული ინფორმაციის საფუძველზე.
- ვ) თუ გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან**
24. ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი კანონის მიღების გზით. ამნისტიის შესახებ კანონში მითითებულია მუხლი, მუხლის ნაწილი, ქვეპუნქტი (მაგ., 177-ე მუხლის პირველი ნაწილი) ან გარკვეული კატეგორიის პირი (მაგ., ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნები) და არა კონკრეტული პირების სახელები და გვარები.
  25. ამნისტიის აქტით დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს

- უფრო მსუბუქი სასჯელით. ამნისტიის აქტით შესაძლებელია ასევე პირს მოეხსნას ნა-სამართლობა.
26. ცხადია, ამნისტიის აქტის საფუძველზე მხოლოდ ის ბრალდებული თავისუფლდება სისხ-ლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, რომელმაც დანაშაული ჩაი-დინა ამნისტიის აქტის კანონიერ ძალაში შესვლამდე.
27. ამნისტიის აქტის საფუძველზე გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ან არდანყება, დღის წესრიგში შეიძლება დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კანონი პირს სრულად ათავისუფლებს სასჯელისაგან (და არა ნაწილობრივ 1/2-ით, 1/3-ით და ა.შ). მაგ., ამნისტიის კანონში ამგვარი ფორმულირება – „გათავისუფლდეს სისხლისსამართ-ლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან ადრე განზრახი დანაშაულისათვის ნა-სამართლობის არმქონე პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე დანაშაული“ – წარმოადგენს გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, არდანყების საფუძველს. ფორმულირება – „ერთი მესამედით შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი პირს, რომელმაც ჩაიდინა საქარ-თველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მძიმე ან/და განსაკუთრე-ბით მძიმე დანაშაული“ – არ წარმოადგენს გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან არდანყების საფუძველს.
28. სსკ-ით, ბრალდებულის თანხმობა არ წარმოადგენს აღნიშნული საფუძველით გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, არდანყების აუცილებელ წინაპირობას, თუმ-ცა ზოგ შემთხვევაში ბრალდებულის თანხმობის აუცილებლობაზე მითითებულია თავად ამნისტიის აქტში. შესაბამისად, თუ ამნისტიის აქტში მითითებულია გამოძიების, სისხ-ლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, არდანყებისთვის ბრალდებულის თანხმობის აუცილებლობაზე, ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე ამგვარი გადაწყვეტილების მიღება არ უნდა მოხდეს. თუ ბრალდებული უარს აცხადებს ამნისტიის საფუძველით გამოძიების შეწყვეტაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე ან არდანყებაზე, პროკურორმა უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა და საქმე წარმართოს სასამართლოში.
29. თუ სისხლის სამართლის საქმე გამოძიების სტადიაზეა ამნისტიის აქტის ძალაში შესვლის მომენტისთვის, პროკურორი ვალდებულია შეწყვიტოს გამოძიება ან არ დაიწყოს სისხ-ლისსამართლებრივი დევნა ან შეწყვიტოს იგი. თუ სისხლის სამართლის საქმე სასამართ-ლო განხილვის სტადიაზეა და მხარე არ აყენებს შუამდგომლობას ამნისტიის საფუძველით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე, სასამართლოს გამოაქვს განაჩენი სასჯელის დანიშნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით.
30. გამომძიებელს, პროკურორს უფლება არა აქვთ, მოქალაქეს უარი უთხრან გამოძიების დანყებაზე ამნისტიის აქტის არსებობის საფუძველით, ვინაიდან დანაშაულის ფაქტის არ-სებობის დადგენა, მასზე სწორი კვალიფიკაციის განსაზღვრა უნდა მოხდეს საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების გზით და არა მხოლოდ მოქალაქის განცხადებაში მითითებული ინფორმაციის საფუძველზე.
- ზ) თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ან სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე**
31. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის. აღნიშნული კონსტი-ტუციური პრინციპიდან გამომდინარე, თუ იმავე დანაშაულისათვის პირი წარდგენილი იყო სასამართლოში და მის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი ან გამამცყუნებელი განა-ჩენი, გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს.
32. გამოძიება ასევე უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს, თუ არსებობს სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სისხლისსამართ-

ლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე.

**თ) თუ არსებობს პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ**

33. გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს, თუ არსებობს პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არა აქვს მნიშვნელობა თუ რა საფუძვლით არის შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება.

**ი) თუ პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით**

34. თუ პროკურორი უარს იტყვის ბრალდებაზე, გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს. ბრალდებაზე უარი პროკურორმა შეიძლება თქვას გამოძიების ან სასამართლო განხილვის ეტაპზე.
35. გამოძიების ეტაპზე პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა შეიძლება განპირობებული იყოს მის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენებით, აგრეთვე პირის ბრალდებულად ყოფნის ვადის გასვლით.
36. ბრალდების მხარეს ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში, განაჩენის გამოტანამდე აქვს უფლება უარი თქვას ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე ზემდგომი პროკურორის თანხმობით. ბრალდებაზე უარის თქმა ნიშნავს, წარდგენილ ბრალდებაზე სრულად უარის თქმას, ხოლო ბრალდების ნაწილზე უარის თქმა ნიშნავს ბრალად წარდგენილი მუხლის ნაწილზე ან ერთ-ერთ ეპიზოდზე უარის თქმას.
37. პროკურორის მიერ სასამართლო განხილვის ეტაპზე ბრალდებაზე ან მის ნაწილზე უარის თქმას, როგორც წესი, განაპირობებს სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეული მტკიცებულებები. ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე პროკურორის მიერ უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას ბრალდებაში ან ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

**კ) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო**

38. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან პირის გათავისუფლების საფუძველია.
39. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. ანუ, პირმა დანაშაულის ჩადენაზე ხელი უნდა აიღოს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე და მის მიერ დანაშაულის ჩადენის შეწყვეტა უნდა მოხდეს მისი ნებით და არა გარე ხელის შემშლელი ფაქტორების გამო. ამასთან, ხელის აღება უნდა იყოს საბოლოო და არ უნდა შემოიფარგლებოდეს კონკრეტულ მცდელობაზე ხელის აღებით.
40. სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს. ანუ, თუ პირის მიერ ჩადენილი ქმედება ქმნის სხვა დანაშაულის ნიშნებს, იგი ვერ გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. მაგალითად, მკვლელობის განზრახვისას, თუ პირმა დანაშაულის ჩადენაზე ხელი აიღო მანამ, სანამ იგი განახორციელებდა გასროლას, მას არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგრამ თუ პირმა განახორციელა გასროლა და ამის შემდგომ აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე (ალარ ესროლა მეორედ), პირს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის, თუ მან თავიდან ვერ აიცილა შედეგი (პირის გარდაცვალება) ან ჯანმრთელობის იმ ხარისხის დაზიანებისთვის, რაც გამოიწვია გასროლამ.

**ლ) ქმედითი მონანიების გამო**

41. ის, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და აანაზღაურა ზიანი.
42. დანაშაულის პირველად ჩადენა გულისხმობს ისეთი პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, ვისთვისაც აღნიშნული დანაშაული არის პირველი. შესაბამისად, ნასამართლობაგაქარწყლებული პირი არ შეიძლება გათავისუფლებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან აღნიშნული საფუძვლით.
43. ბრალის აღიარებით გამოცხადება გულისხმობს პირის ნებაყოფლობით გამოცხადებას პროცესის მწარმოებელ ორგანოში და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარებას.
44. დანაშაულის გახსნისათვის ხელის შეწყობა გულისხმობს პირის აქტიურ თანამშრომლობას საგამოძიებო ორგანოსთან და ამ უკანასკნელისთვის დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების, თანამონაწილეთა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.
45. ზიანის ანაზღაურება გულისხმობს დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური, მორალური და ფიზიკური ზიანის (მაგ., მკურნალობის ხარჯების) ანაზღაურებას. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოხდეს ფულადი კომპენსაციით ან დაზარალებულის სასარგებლოდ სხვა მოქმედების შესრულების გზით.
46. ქმედითი მონანიების საფუძვლით გამოძიების შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყების ან შეწყვეტისათვის აუცილებელია სახეზე იყოს ერთობლივად ყველა ზემოაღნიშნული გარემოება.
47. გარდა ზოგადი წესისა, სხვა კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირიც შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან შენიშვნით. ქმედითი მონანიების საფუძვლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან პირის გათავისუფლებას ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 164<sup>1</sup>, 203, 221, 223, 236, 260, 322, 339, 339<sup>1</sup>, 348<sup>1</sup>, 371, 375, 388 და 389 მუხლები.

**მ) თუ ვითარება შეიცვალა**

48. დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დადგინდება, რომ ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეუწონელია ვითარების შეცვლის გამო.
49. ვითარების შეცვლა დანაშაულის ჩამდენი პირის ნებისაგან დამოუკიდებლად მომხდარი ობიექტური ცვლილება უნდა იყოს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს თუნდაც ლოკალური ხასიათი. ანუ, საკმარისია ვითარების შეცვლა კონკრეტული დასახლებული პუნქტის, დაწესებულების ან ოჯახის მასშტაბით. მაგალითად, სახელმწიფოში ან მის რომელიმე ნაწილში საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გაუქმება უკარგავს საშიშროებას ისეთ მოქმედებას, რომელიც ითვლება დანაშაულად საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამო.<sup>410</sup>

**2. სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყება, შეწყვეტა**

50. გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ:
  - ა) პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა
51. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკია 14 წელი. შესაბამისად, თუ პირმა დანაშაული ჩაიდინა 14 წლის ასაკის

<sup>410</sup> იხ., აქუბარდია ი., გოგშელიძე რ., ფაფიაშვილი ლ., ბოხაშვილი ი., გოგინაშვილი ნ., სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ., 2008, 109.

მიღწევამდე, მას არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულის კატეგორიისა.

52. დანაშაულის სუბიექტის ასაკის დადგენა ხდება ნებისმიერი ხელმისაწვდომი მტკიცებულების, მათ შორის, ოფიციალური დოკუმენტის, სპეციალისტის დასკვნის, მშობლის ან სხვა პირისგან მიღებული ცნობების ან სხვა ინფორმაციის საფუძველზე.
53. თუ დადგინდა არასრულწლოვანი პირის სავარაუდო ასაკი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად მხედველობაში მიიღება სავარაუდო ასაკის მინიმალური ზღვარი.

**ბ) პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხადი იყო, რაც დადასტურებულია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით**

54. პირი შესაძლოა შეურაცხადი იყოს დანაშაულის ჩადენისას ან დანაშაულის ჩადენის შემდგომ გახდეს შეურაცხადი. პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიცხავს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის დროს პირის შეურაცხაობა.
55. პირის შეურაცხაობის გარკვევა უნდა მოხდეს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, ვინაიდან მხოლოდ ექსპერტია უფლებამოსილი, დაადგინოს პირის შეურაცხაობის ფაქტი.
56. თუ დანაშაულის ჩადენისას პირის შეურაცხაობის ფაქტი დადგენილ იქნა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყებისა და გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი.
57. თუ დანაშაულის ჩადენისას პირის შეურაცხაობის ფაქტი დადგენილ იქნა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. კერძოდ, შეურაცხაობის ფაქტის დადგენის შემდგომ, პროკურორი ან დაცვის მხარე სასამართლოს წარუდგენს შუამდგომლობას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გარდა, შუამდგომლობის განმხილველი მოსამართლე, ვალდებულია იმავე განჩინებით გადაწყვიტოს ამ პირისთვის იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების საკითხი, თუ სახეზეა „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 221-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემდეგი საფუძველები: ფსიქიკური აშლილობის გამო პირს არ აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი და მისთვის ფსიქიატრიული დახმარების განევა შეუძლებელია სტაციონარში მოთავსების გარეშე ან ფსიქიკური აშლილობის გამო არსებობს პირის საკუთარი თავისთვის ან/და სხვა პირისთვის ზიანის, მუქარის ან/და ძალადობის შემცველი ქცევის რისკი.
58. თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხადი იყო, მაგრამ მისი ჩადენის შემდეგ გახდა შეურაცხადი, პროკურორი ჩვეულებრივი წესით იწყებს მის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას და სისხლის სამართლის საქმეს წარმართავს სასამართლოში. სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, ნიშნავს სასჯელს და განსაზღვრავს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდას შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით.

**გ) ბრალდებული გარდაიცვალა**

59. აღნიშნული საფუძველით გამოძიების შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა ან/და არდაწყებისთვის არ არის აუცილებელი არსებობდეს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-19 ნაწილის თანახმად, ბრალდებული არის პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. შესაბამისად, 105-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნებისთვის, პირის ბრალდებულად მიჩნევისთვის საკმარისია მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდის არსებობა, ბრალდების დადგენილების გამოტანის გარეშე.



- დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322<sup>1</sup>-ე, 344-ე ან 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე ან/და 143<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო
60. თუ გამოძიებით დადგენილ იქნა, რომ პირის მიერ ჩადენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322<sup>1</sup>-ე (ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის ნესის დარღვევა), 344-ე (საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა) ან 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები და აღნიშნული დანაშაულების ჩადენა მიზნად ისახავდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე (ადამიანი ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) და 143<sup>2</sup>-ე (არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის მსხვერპლობისგან თავის დაღწევას, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს.
61. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილში საუბარია მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყებასა და შეწყვეტაზე. აზრთა სხვადასხვაობაა იმ საკითხთან დაკავშირებით, რა საფუძვლით უნდა მოხდეს გამოძიების შეწყვეტა თითოეულ შემთხვევაში. დამკვიდრებული პრაქტიკით, პროკურორები ძირითადად იყენებენ კანონის ანალოგიას და გამოძიებას წყვეტენ იმავე საფუძვლით (სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამის ქვეპუნქტზე მითითებით). ზოგ შემთხვევაში, გამოძიების შეწყვეტა ხდება სსსკ-ის 105-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტზე მითითებით. ზოგს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამის ქვეპუნქტით სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის დადგენილების გამოტანის შემდგომ, გამოძიება უნდა შეწყდეს ამავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით. სხვა მოსაზრების თანახმად, სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტისას, გამოძიება უნდა შეწყდეს ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ვინაიდან სახეზე არ არის დანაშაულის სუბიექტი და შესაბამისად დანაშაული, ხოლო სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტისას გამოძიება უნდა შეწყდეს ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე მუხლი).
62. რაც შეეხება, გამოძიების შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ პირს, თუ საქართველოს სსსკ-ის 105-ე მუხლით გათვალისწინებული გამოძიების შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების, შეწყვეტის საფუძვლები გამოვლინდა სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გადაგზავნამდე, გადაწყვეტილებას აღნიშნულის შესახებ იღებს პროკურორი დადგენილების გამოტანის გზით. გამონაკლისია სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევა, ვინაიდან სსსკ-ის 191-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.
63. თუ საქართველოს სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლები გამოვლინდა საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილებას იღებს საქმის განხილველი მოსამართლე განჩინებით მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. თუ მხარე არ წარადგენს შუამდგომლობას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე, სასამართლო არ არის უფლებამოსილი სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტოს თავისი ინიციატივით. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო აგრძელებს საქმის განხილვას და სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“, „ე“, „ვ“, „კ“ „ლ“ და მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებით. სსსკ-ის 105-ე მეო-

- რე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის მოხდისაგან დაუნიშნავად. სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ზ“ „თ“ და მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი. სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.
64. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყება, შეწყვეტა.
- 3. სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს.**
65. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას პროკურორი ხელმძღვანელობს სსსკ-ით და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“.
66. დისკრეციული უფლებამოსილება მრავალმხრივი ინტერპრეტაციისა და ფართო ლავირების საშუალებას იძლევა. არასწორად მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს როგორც კონკრეტული პირის უფლებებსა და ინტერესებს, ასევე საზოგადოებას. გადაწყვეტილების მიღებისას დაუშვებელია პირადი შეხედულებებით ხელმძღვანელობა.
67. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანებაში „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ მოცემულია სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითაც პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თაობაზე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. აღნიშნულ ბრძანებაში მოცემული რეკომენდაციები მიზნად ისახავს პროკურორის ფართო დისკრეციული უფლებამოსილების მოქცევას ზოგადი პრინციპებისა და სტანდარტების ჩარჩოებში, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს უფრო სტრუქტურულს, თანმიმდევრულს, გამჭვირვალეს ხდის და ხელს უწყობს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შეძლებისდაგვარად ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.
68. ცხადია, ბრძანება არ ზღუდავს პროკურორს თითოეულ საქმეს მიუდგეს ინდივიდუალურად და ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით მიიღოს გადაწყვეტილება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.
69. პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის (დანყების, არდანყების, შეწყვეტის) შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ორი ტესტით: მტკიცებულებითი და საჯარო ინტერესის ტესტით, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან ე.წ. სრულ ტესტს.
70. მტკიცებულებითი ტესტი გულისხმობს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დასაბუთებულ ვარაუდს, ანუ ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.
71. საჯარო ინტერესის ტესტი გულისხმობს პროკურორის მიერ საჯარო ინტერესის მხედველობაში მიღებით სისხლისსამართლებრივი დევნის დანყება/არდანყება/შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.
72. საჯარო ინტერესის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები:  
– დანაშაულის ბუნება და სიმძიმე
73. პროკურორმა მხედველობაში უნდა მიიღოს დანაშაულის კატეგორია და ხასიათი, დანაშაულის ჩადენის ხერხი, ვითარება, ადგილი, დრო, საშუალება, დანაშაულის სუბიექტური

მხარე (განზრახვა, გაუფრთხილებლობა). მაგალითად, შესაძლოა პირის მიერ ჩადენილი იყოს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, მაგრამ დანაშაულის ძალადობრივმა ხასიათმა, დანაშაულის ჩადენის საშიშმა ხერხმა განაპირობოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მიზანშეწონილია თუ სახეზეა: წამება, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, კორუფციული დანაშაული, ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებული ორგანიზებული დანაშაული, ფულის გათეთრება, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), საშიში ძალადობით ან დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაული, სხვა დანაშაულის ჩადენის ან დაფარვის მიზნით ჩადენილი დანაშაული, მოწყვლადი (მაგალითად, არასრულწლოვნის, ორსული ქალის, უცხო ქვეყნის მოქალაქის, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის) ან საზოგადოების სამსახურში მყოფი პირის (მაგ., ნაფიცი მსაჯულის ან ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის, პოლიციის თანამშრომლის, სოციალური სამსახურის მუშაკის და სხვა) მიმართ ჩადენილი დანაშაული.

– დაზარალებულის ინტერესი

- 74.** პროკურორმა გადაწყვეტილების მიღების დროს მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულის ინტერესი და მისი პოზიცია. დაზარალებულის ინტერესის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისთვის მიყენებული ზიანის სახე (მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი), ხარისხი, ზიანის ანაზღაურების ფაქტორი, დაზარალებულის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა მახასიათებლები. დაზარალებულის ინტერესის გათვალისწინებისას საჭიროა სიფრთხილე, რათა საზოგადოებაში არ შეიქმნას არასწორი წარმოდგენა მხოლოდ ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების შესახებ. დაზარალებულის უარი სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყებაზე ან შეწყვეტაზე, არ აბრკოლებს პროკურორის მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას, თუმცა შესაძლოა დაზარალებულის დასაბუთებულმა პოზიციამ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გავლენა მოახდინოს პროკურორის გადაწყვეტილებაზე.

– დანაშაულის ჩამდენი პირის ბრალეულობის ხარისხი

- 75.** პროკურორმა უნდა შეაფასოს დანაშაულის ჩამდენი კონკრეტული პირის ბრალის ხარისხი დანაშაულის სხვა მონაწილეების ბრალთან მიმართებით. შესაძლებელია დანაშაულის თანამონაწილის ბრალის ხარისხისა და მოტივის გათვალისწინებით პროკურორმა მიზანშეწონილად ჩათვალოს ამ კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება (მაგალითად, თუ პირის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში იყო მეორეხარისხოვანი ან ასრულებდა უმნიშვნელო როლს), ხოლო დანაშაულის ჩადენაში მონაწილე სხვა პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

– პირის წარსული

- 76.** სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს პირის წარსული: ნასამართლობა, მისთვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი, ასევე, აქვს თუ არა ბრალი წარდგენილი სხვა სისხლის სამართლის საქმეზე. პირის ნასამართლობა არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების აუცილებელ წინაპირობას. პროკურორმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს რამდენად მიზანშეწონილია ნასამართლევი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება ან შეწყვეტა. გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს: რამდენჯერ, რა კატეგორიის და ხასიათის დანაშაულისთვის არის პირი ნასამართლევი, ასევე, ახალ დანაშაულთან წინათ ჩადენილი დანაშაულ(ებ)ის კავშირი.

– გამოძიებასთან თანამშრომლობა

- 77.** სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბრალდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი, ხარისხი. თანამშრომლობა გულისხმობს როგორც მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გახს-

- ნასა და მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელშეწყობას, ასევე სხვა დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის დადგენისა და ამ დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობების შექმნას.
- დანაშაულის აღიარება
- 78.** დანაშაულის აღიარება ნიშნავს, ჩადენილ დანაშაულში თავის დამნაშავედ ცნობას. აღიარება უნდა იყოს ნებაყოფლობითი.
- პიროვნული მახასიათებლები
- 79.** საჯარო ინტერესის ტესტის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანაშაულის ჩამდენი პირის პიროვნული მახასიათებლები: დანაშაულის ჩამდენი პირის ასაკი, მისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, მისი ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდგომ (მაგ., დაზარალებულს მოუხადა ბოდიში), სამსახურებრივი მდგომარეობა (მაგ., თუ დანაშაულის ჩამდენი პირი საჯარო მოხელეა, ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, პრიორიტეტი ენიჭება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას).
- სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა
- 80.** მართლმსაჯულების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია დანაშაულის პრევენცია. ეს ფაქტორი პროკურორმა გადანყვეტილების მიღებისას აუცილებლად უნდა მიიღოს მხედველობაში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მსუბუქ დანაშაულთან გვაქვს საქმე. შესაძლებელია ცალკე აღებული დანაშაული უმნიშვნელო იყოს, თუმცა პროკურორის მიერ მიღებულმა გადანყვეტილებამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე და განაპირობოს ანალოგიური დანაშაულის ჩადენის „ნახალისება“. მაგალითად, თუ ჩადენილი დანაშაული გავრცელებულია კონკრეტულ რეგიონში, კონკრეტულ საზოგადოებრივ ჯგუფში ან/და სისტემატურ ხასიათის ატარებს, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პრევენციული თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილია.
- გადანყვეტილების გავლენა საზოგადოებაზე
- 81.** გადანყვეტილების მიღებისას უმნიშვნელოვანესია იმ ფაქტორივი თუ პოტენციური გავლენის განსაზღვრა, რაც შესაძლოა მოჰყვეს სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყებას საზოგადოებაში. მიღებული გადანყვეტილების გავლენა საზოგადოებაზე სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე უნდა შეფასდეს: უქმნის თუ არა საფრთხეს დანაშაულის ჩამდენი პირი საზოგადოებას, მის გარკვეულ ჯგუფს, საზოგადოებრივ წესრიგს. მნიშვნელოვანია ასევე საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება. კერძოდ, რა მოლოდინი აქვს საზოგადოებას პირის დასჯასთან დაკავშირებით. ცხადია, პროკურორის გადანყვეტილება მხოლოდ საზოგადოებრივი აზრით არ უნდა იქნეს განპირობებული, თუმცა მისმა გადანყვეტილებამ არ უნდა დაუკარგოს საზოგადოებას სამართალდამცავი ორგანოებისადმი ნდობა და არ უნდა გაუჩინოს უსამართლობის განცდა.
- მოსალოდნელი სასჯელი მსჯავრდების შემთხვევაში
- 82.** პროკურორმა უნდა შეაფასოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირისთვის მოსალოდნელი სასჯელის სახე და ზომა. მაგ., თუ პირი უკვე მსჯავრდებულია და იხდის სასჯელს, დამძიმდება თუ არა სასჯელი ახალი დანაშაულისთვის მისი დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში. თუ სასჯელი არ დამძიმდება (მაგ., მოსამართლე გამოიყენებს სასჯელთა შთანთქმის პრინციპს), პროკურორმა უნდა განსაზღვროს რამდენად მიზანშეწონილია დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისთვის დროისა და რესურსის დახარჯვა.
- სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები
- 83.** პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს, რამდენად პრიორიტეტულია კონკრეტული დანაშაულის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად რესურსების (ადამიანური, ფინანსური) დახარჯვა.
- 84.** შეზღუდული რესურსების პირობებში პროკურორმა შესაძლოა რესურსი წარმართოს იმ

- სისხლის სამართლის საქმეებზე დევნის განსახორციელებლად, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებასა და რეაგირებას მოითხოვენ.
85. გამოძიებაზე დახარჯულ დროს და რესურსს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. გამოძიების პროცესში დახარჯული ყველაზე დიდი რესურსიც კი არ შეიძლება გახდეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველი, თუ სახეზეა დანაშაული, რომელზეც სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება სხვა ფაქტორების მხედველობაში მიღებით აუცილებელია.
86. ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები არ არის ამომწურავი. კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გარემოებების და დანაშაულის ჩამდენი პირის მახასიათებლებიდან გამომდინარე, შესაძლოა აბსოლუტურად სხვა ფაქტორი გახდეს პროკურორის გადაწყვეტილების განმსაზღვრელი. ამასთან, ყოველ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში ყველა ჩამოთვლილი ფაქტორის განხილვა არ არის საჭირო, რადგან მათი განხილვის საჭიროება დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე.
87. თუ პროკურორი ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გაანალიზების შემდგომ უარს იტყვის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე, იგი უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: უარი თქვას დევნის დაწყებაზე ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების გარეშე ან უარი თქვას დევნის დაწყებაზე და გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი (განრიდება, განრიდება/მედიაცია).
- 4. არასრულწლოვნის განრიდება, მედიაცია**
88. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმია. პროგრამა საშუალებას აძლევს პროკურორს კონკრეტული პირის მიმართ არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, ამავე დროს, არ დატოვოს დანაშაულის ფაქტი და დაზარალებულის ინტერესი რეაგირების გარეშე.
89. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვანს აძლევს შანსს ნასამართლობის გარეშე გადადგას ნაბიჯი კანონმორჩილი ცხოვრებისკენ.
- ა) საერთაშორისო კანონმდებლობა**
90. ბავშვის უფლებათა კონვენცია სახელმწიფოებისაგან მოითხოვს ისეთი პროცედურების შემუშავებას, რომლებიც საშუალებას იძლევა ბავშვების საქმეები განხილულ და მოგვარებულ იქნეს სასამართლო საქმისწარმოების გარეშე („განრიდება“), როდესაც ეს შესაფერისი და სასურველია, ადამიანის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვით (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი; „გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“), მე-6 და მე-11 წესი//საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011). დანაშაულის ჩამდენი ბავშვების მიმართ სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ „საფეხურებრივი“ სისტემა, რომელიც გულისხმობს ბავშვების გაფრთხილებას, სასამართლო პროცესიდან განრიდებას და უკიდურესი ზომის სახით საქმის სასამართლო განხილვას.
91. დანაშაულის ჩამდენი ბავშვების მიმართ სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ „საფეხურებრივი“ სისტემა, რომელიც გულისხმობს ბავშვების გაფრთხილებას, სასამართლო პროცესიდან განრიდებას და უკიდურესი ზომის სახით საქმის სასამართლო განხილვას.
92. ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით, სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენისას ალტერნატიული ზომების შემოღებას (გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 „მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ“, პუნქტი 27/საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011).
93. ბავშვის განრიდება არ ნიშნავს მისი დანაშაულებრივი ქმედების იგნორირებას. ის საშუ-

ალებას იძლევა გადაიდგას ნაბიჯები ბავშვის საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ბავშვის ქცევის ძირითად მიზეზებთან დაპირისპირების მიზნით. ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, განრიდების ზომებს შეიძლება მიეკუთვნებოდეს: ზრუნვა, მეურვეობისა და მეთვალყურეობის განკარგულებები, საკონსულტაციო მომსახურება, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები და ზრუნვის ისეთი ფორმები, რომლებიც დაწესებულებებში ზრუნვას შეიძლება შეენაცვლოს (გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10 „მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ“, პუნქტი 4/საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011). ზომები ხშირად მოიცავს სოციალური უზრუნველყოფის ან საზოგადოებაში რეინტეგრაციის სერვისებს და აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებს.

**94. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა განმარტა, რომ განრიდების ზომების გამოყენება უნდა მოხდეს შემდეგი წესების დაცვით (გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 „მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ“, პუნქტი 27/საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011):**

- უნდა არსებობდეს დამაჯერებელი მტკიცებულებები ბავშვის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე და ბავშვი ძალდაუტანებლად უნდა აღიარებდეს თავის პასუხისმგებლობას;
- ბავშვი განრიდების ზომის გამოყენებას უნდა ეთანხმებოდეს ნებაყოფლობით და წერილობით;
- განრიდებაზე თანხმობის მიცემამდე ბავშვს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს იურიდიული ან სხვა შესაბამისი დახმარება, რათა განიხილოს შეთავაზებული განრიდების მიზანშეწონილობა და სასურველობა;
- განრიდების პროგრამაზე თანხმობის მიცემამდე ბავშვს უნდა მიეწოდოს „ადეკვატური და კონკრეტული ინფორმაცია აღნიშნული ზომის არსის, შინაარსისა და ხანგრძლივობის შესახებ, ასევე, ამ ზომის შესრულების ან წარუმატებლად დასრულების შედეგების შესახებ“;
- ბავშვებს უნდა მიეცეთ საშუალება გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები იმ ზომების შესახებ, რომლებიც შეიძლება დაეკისროს მათ.

#### **ბ) საქართველოს კანონმდებლობა**

**95.** საქართველოში არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის საკითხები რეგულირდება სსსკ-ით (105-ე მუხლის მე-4-5 ნაწილები), საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216 ბრძანებით „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“ და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის №29 ბრძანებით „განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“.

#### **გ) განრიდებისა და მედიაციის პრინციპები**

**96.** საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216 ბრძანებაში „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“, მოცემულია პრინციპები, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს განრიდებისა და მედიაციის პროგრამა:

**97.** ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა – მაქსიმალურად ხშირად უნდა მოხდეს სისხლისსამართლებრივი დევნისა და საპატიმრო ღონისძიებ-

ბის ალტერნატივების გამოყენება. თუ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სისხლის სამართლის სისტემისაგან მის განრიდებას; ნებაყოფლობითობა – განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება. დაუშვებელია მხარეებზე ზეგავლენა მათი პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით. მხარეები უფლებამოსილი არიან განრიდების/მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე უარი თქვან ნებისმიერ ეტაპზე;

98. პროპორციულობა – არასრულწლოვნის ქცევის შეზღუდვა და ვალდებულებები უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული. პროპორციული ღონისძიების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს არასრულწლოვნის ასაკი და სხვა მახასიათებლები, ასევე ჩადენილი დანაშაულის ბუნება, სიმძიმე, მიყენებული ზიანი და გავლენა საზოგადოებაზე;
99. კონფიდენციალურობა – განრიდებისა და მედიაციის პროცესში მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაუშვებელია მისი გამჟღავნება, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ, ან თუ კანონმდებლობით სხვა წესი არ არის განსაზღვრული;
100. სტიგმატიზაციის დაუშვებლობა – არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ღონისძიება არ უნდა იწვევდეს არასრულწლოვნის სტიგმატიზაციას, მის მოწყვეტას ნორმალური სასწავლო პროცესისგან და არ უნდა ახდენდეს განსაკუთრებულ ზეგავლენას მისი ცხოვრების ჩვეულ რიტმზე;
101. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინება – პროკურორის გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს არასრულწლოვნის ინტერესს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, რა შესაძლო შედეგი ექნება არასრულწლოვნის ჩართვას პროგრამაში, როგორია განმეორებითი დანაშაულის რისკი და ა. შ.

#### დ) განრიდებისა და მედიაციის გამოყენების წინაპირობები

102. თუ საქმეზე დაწყებულია გამოძიება და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინა დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოიყენოს განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის პროგრამა. მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი არასრულწლოვანი ჩართოს განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში.
103. არასრულწლოვნის განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვისთვის, გადამწყვეტია პირის ასაკი დანაშაულის ჩადენისას. მაგალითად, თუ პირმა დანაშაული ჩაიდინა არასრულწლოვნობის პერიოდში, პროკურორი უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს არასრულწლოვნებისთვის გათვალისწინებული განრიდების, განრიდებისა და მედიაციის პროგრამა იმ შემთხვევაშიც კი, თუ განრიდების პროცესის დაწყებისას პირი სრულწლოვანია.
104. განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში პირი შესაძლოა ჩართულ იქნეს, თუ ერთობლივად სახეზეა შემდეგი გარემოებები:
  - არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დანაშაული. ამასთან, ჩადენილი მძიმე დანაშაული არ უნდა წარმოადგენდეს ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულს;
  - არასრულწლოვანი არ არის ნასამართლევ;
  - არასრულწლოვანს აქვს მონაწილეობა მიღებული განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში;
  - არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს;
  - პროკურორის შინაგანი რწმენითა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან უკვე დაწყებული დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი.

105. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, განრიდების და განრიდებისა და მედიაციის პროგრამა გამოიყენება ასევე დანაშაულთა ერთობლიობისას, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ერთობლიობა.

**ე) განსხვავება განრიდებას და განრიდება/მედიაციას შორის**

106. განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში არასრულწლოვნის ჩართვა ხდება იმ შემთხვევაში, როცა სისხლის სამართლის საქმეს ჰყავს დაზარალებული და ამ უკანასკნელის მონაწილეობა მედიაციის პროცესში დადებითად აისახება არასრულწლოვნის ქცევაზე ან/და დაეხმარება მის მიერ ჩადენილი დანაშაულის უკეთ გაცნობიერებაში. განრიდება/მედიაციის დროს ხდება მედიაციის კონფერენციის გამართვა, რომელიც მიზნად ისახავს არასრულწლოვანზე დადებითი ზეგავლენის მოხდენას.

107. განრიდების პროგრამა გამოიყენება ისეთი დანაშაულის შემთხვევაში, რომელსაც არ ჰყავს დაზარალებული (მაგ., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე, 236-ე მუხლები). განრიდება გამოიყენება ასევე ისეთ შემთხვევაში, როცა სახეზეა დაზარალებული, მაგრამ ამ უკანასკნელის პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე (აგრესიულია, უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს არასრულწლოვნის მიმართ), არ არის მიზანშეწონილი განრიდებისა და მედიაციის პროცესის წარმოება.

**ვ) პროცესში მონაწილე პირები**

108. ვინაიდან, განრიდება და განრიდება/მედიაციის პროგრამა თავისი შინაარსით ერთმანეთისგან განსხვავებულია, განსხვავდება მათში მონაწილე პირები.

109. განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში სავალდებულოა შემდეგი პირების მონაწილეობა:

- პროკურორი – პირი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების, არასრულწლოვნის განრიდების პროგრამაში ჩართვის, განრიდების პროცესის დაწყების/შენწყვეტის, განრიდების პირობების უხეში დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან განახლების შესახებ. პროკურორი ასევე მონაწილეობას იღებს მედიაციის კონფერენციაში, ხელს აწერს ხელშეკრულებას და თვალყურს ადევნებს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობას;
- არასრულწლოვანი – პირი, რომლის მიმართაც არსებობს დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი;
- არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი – ახლო ნათესავი (მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული), მეურვე, მზრუნველი;
- სოციალური მუშაკი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემის თანამშრომელი, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება სოციალურ ან სხვა სფეროში. სოციალური მუშაკი ახორციელებს არასრულწლოვნის ბიოფსიქოსოციალურ შეფასებას;
- მედიატორი – იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელი, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მესამე მხარე, რომელიც ასრულებს შუამავლის როლს არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის, წარმართავს და კოორდინაციას უწევს მედიაციის პროცესს;
- დაზარალებული – პროკურორის დადგენილების საფუძველზე დაზარალებულად ცნობილი პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის შედეგად მიადგა მორალური, ქონებრივი ან ფიზიკური ზიანი.

110. პროცესში სავალდებულოა მონაწილეობა მიიღონ:

- თარჯიმანმა – თუ პროცესში მონაწილე არასრულწლოვანმა, მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, დაზარალებულმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის სამართალწარმოების ენა;



- გარეშე პირმა – თუ პროცესში მონაწილე არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, დაზარალებული ფიზიკური ნაკლის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ აწერს ხელს ხელშეკრულებას;
  - დაზარალებულის კანონიერმა წარმომადგენელმა, თუ დაზარალებული არასრულწლოვანია.
- 111.** პროცესში შესაძლოა ასევე მონაწილეობა მიიღოს დაზარალებულისა და არასრულწლოვნის ადვოკატმა, მათი სურვილის შემთხვევაში.
- 112.** განრიდების პროგრამაში სავალდებულოა შემდეგი პირების მონაწილეობა:
- პროკურორი – პირი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების, არასრულწლოვნის განრიდების პროგრამაში ჩართვის, განრიდების პროცესის დაწყების/შენეგების, განრიდების პირობების უხეში დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან განახლების შესახებ. პროკურორი ასევე უზრუნველყოფს განრიდების ხელშეკრულების გაფორმებას და თვალყურს ადევნებს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობას;
  - არასრულწლოვანი – პირი, რომლის მიმართაც არსებობს დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი;
  - არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი – ახლო ნათესავი (მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული), მეურვე, მზრუნველი);
  - სოციალური მუშაკი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) სისტემის თანამშრომელი, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება სოციალურ ან სხვა სფეროში. სოციალური მუშაკი ახორციელებს არასრულწლოვნის ბიოფსიქოსოციალურ შეფასებას.
- 113.** პროცესში სავალდებულოა მონაწილეობა მიიღოს:
- თარჯიმანმა – თუ პროცესში მონაწილე არასრულწლოვანმა, მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, დაზარალებულმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის სამართალწარმოების ენა;
  - გარეშე პირმა – თუ პროცესში მონაწილე არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, დაზარალებული ფიზიკური ნაკლის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ აწერს ხელს ხელშეკრულებას;
  - დაზარალებულის კანონიერმა წარმომადგენელმა, თუ დაზარალებული არასრულწლოვანია.
- 114.** პროცესში შესაძლოა ასევე მონაწილეობა მიიღოს დაზარალებულისა და არასრულწლოვნის ადვოკატმა, მათი სურვილის შემთხვევაში.

#### **ზ) განრიდების განრიდებისა და მედიაციის ეტაპები**

- 115.** განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი უნდა შეხვდეს არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს და დეტალურად გააცნოს განრიდების, განრიდება/მედიაციის პროგრამის არსი, განრიდების შესაძლო შედეგები და გაარკვიოს მათი პოზიცია აღნიშნულ პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით.
- 116.** თუ სისხლის სამართლის საქმეს ჰყავს დაზარალებული, პროკურორი უნდა შეხვდეს მასაც და მიანოდოს ინფორმაცია არასრულწლოვნის განრიდების პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობის შესახებ. პროკურორმა დაზარალებულს უნდა აუხსნას სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების შესახებ პირველადი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, მიზეზი და მოისმინოს მისი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით. დაზარალებული საბოლოო პოზიციას არასრულწლოვნის განრიდება-მედიაციის პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით, არკვევს მედიატორი და აცნობებს პროკურორს. დაზარალებულის უარი მედიაციაში მონაწილეობაზე პროკურორს არ ართ-

- მეც უფლებას არასრულწლოვანთან გააფორმოს განრიდების ხელშეკრულება (მედიაციის გარეშე), თუმცა დაზარალებულის არგუმენტირებულმა მოსაზრებამ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის მიზანშეუწონლობის შესახებ, შესაძლოა გავლენა მოახდინოს პროკურორის გადაწყვეტილებაზე.
- 117.** თუ არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი თანხმობას განაცხადებენ განრიდების, განრიდება/მედიაციის პროგრამაში ჩართვაზე, ამასთან, დაზარალებულთან და არასრულწლოვანთან შეხვედრის შემდგომ პროკურორი კვლავ ჩათვლის მიზანშეწონილად აღნიშნულ პროგრამაში არასრულწლოვნის ჩართვას, მან უნდა გამოიტანოს დადგენილება განრიდების პროცესის დაწყების შესახებ. დადგენილებაში უნდა მიუთითოს, რა დაედო საფუძვლად მის მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას.
- 118.** პროკურორმა დადგენილების გამოტანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში უნდა მიმართოს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს სოციალური მუშაკის, ხოლო სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულის არსებობისას ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მედიატორის გამოყოფის თხოვნით. მას შემდეგ, რაც პროკურორის მიმართვა დაენერება კონკრეტულ სოციალურ მუშაკს, ეს უკანასკნელი იწყებს მუშაობას ბიოფსიქოლოგიური დასკვნის შედგენის მიზნით. ბიოფსიქოსოციალური შეფასება ხორციელდება არასრულწლოვანთან, მისი ოჯახის წევრებთან და მასთან დაკავშირებული სოციალური გარემოს სხვა წარმომადგენლებთან ინტერვიუების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში, სოციალური მუშაკი შეფასების პროცესში არასრულწლოვანთან და მის ოჯახთან შეთანხმებით რთავს სხვადასხვა პროფესიონალს (პედაგოგს, ფსიქოლოგს, ექიმს, ფსიქიატრს და სხვა). სოციალური მუშაკის დასკვნა უნდა შეიცავდეს მონაცემებს არასრულწლოვნის განათლების, მისი პროფესიული მომზადების, სპორტული საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის, სამუშაო გამოცდილების, საცხოვრებელი და ოჯახური გარემოს, ჯანმრთელობის მდგომარეობის, მისი ქცევითი ჩვევების, არასრულწლოვანის სოციალური ქსელისა და ურთიერთობების შესახებ. ასევე, ინფორმაციას არასრულწლოვნის საჭიროებების, ინტერესებისა და იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება აქვს არასრულწლოვანს, მისი ოჯახის წევრებს და მის ახლო გარემოცვას მის მიერ ჩადენილ დანაშაულთან. ბიოფსიქოსოციალური შეფასების დასრულების შემდეგ, სოციალური მუშაკი დასკვნის სახით განსაზღვრავს არასრულწლოვნის საჭიროებებს, უნარებს და რისკებს, რის შემდეგაც რეკომენდაციის სახით ადგენს იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რაც შეიძლება განხილულ იქნეს ხელშეკრულების პირობების შედგენისას. სოციალურმა მუშაკმა დასკვნა უნდა შეადგინოს და გაუგზავნოს პროკურორს 10 დღის ვადაში.
- 119.** პროკურორი, სოციალური მუშაკის რეკომენდაციების გათვალისწინებით და მასთან კონსულტაციების შედეგად, დასკვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში ადგენს განრიდების ხელშეკრულების პირობებს და მისი მოქმედების ვადას (მაქსიმალური ვადა არის 12 თვე). ხელშეკრულების მოქმედების ვადის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის პიროვნული მახასიათებლები და მის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების ხასიათი.
- 120.** ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის უნარები, შესაძლებლობები, ინტერესები, პიროვნული მისწრაფებები, რისკები. პირობების განსაზღვრას მხარეები უნდა მოეკიდონ სიფრთხილით. არასრულწლოვნისათვის არ უნდა მოხდეს მხოლოდ სასურველი სერვისების შეთავაზება, რადგან ეს შეიძლება გახდეს ახალი დანაშაულის ჩადენის ნახალისების მიზეზი. შერჩეული ვალდებულებები არ უნდა იწვევდეს მის მოწყვეტას ძირითადი საქმიანობიდან (მაგ., სკოლაში სიარული) და უნდა ეხმარებოდეს ჩადენილი ქმედების უკეთ გაცნობიერებაში. ამასთან, ხელშეკრულების პირობებში არ უნდა იქნეს შეტანილი ისეთი ღონისძიებები, რაც დაკავშირებული იქნება სხვა პირების პასუხისმგებლობასთან.
- 121.** თუ სოციალური მუშაკის მიერ შედგენილ დასკვნაში მითითებულია, რომ არასრულ-

- წლოვანთან განრიდების ხელშეკრულების გაფორმება ხელს ვერ შეუწყობს მის გამოსწორებას და არსებობს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, პროკურორი უფლებამოსილია არ გააფორმოს განრიდების ხელშეკრულება და მიიღოს გადაწყვეტილება არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ. განრიდებისა და მედიაციის შემთხვევაში, სოციალური მუშაკის პარალელურად, მედიატორი წარმართავს მედიაციის პროცესს. მედიაცია არის არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი, რომლის მიზანია მათი შერიგება, ზიანის ანაზღაურების ფორმაზე მათი მორიგება, დანაშაულით გამონევეული ემოციური თუ მატერიალური შედეგების გამოსწორება. მედიაციის პროცესი შედგება სამი ძირითადი ეტაპისგან: მოსამზადებელი ეტაპი, წინასაკონფერენციო ეტაპი და მედიაციის კონფერენცია.
122. მოსამზადებელ ეტაპზე მედიატორი ხვდება დაზარალებულს, აწვდის მას ინფორმაციას პროგრამის შესახებ, განუმარტავს პროგრამის არსს, მიზნებს, პრინციპებს, უხსნის პროგრამის დადებით მხარეებს და სთავაზობს მედიაციაში მონაწილეობას. ამავე ეტაპზე მედიატორი არკვევს დაზარალებულის პოზიციას მედიაციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. თუ დაზარალებული არ არის თანახმა მედიაციაში მონაწილეობაზე, პროცესი არ გადადის შემდგომ ეტაპზე.
123. წინასაკონფერენციო ეტაპზე მედიატორი ხვდება როგორც დაზარალებულს, ასევე არასრულწლოვანს და მის კანონიერ წარმომადგენელს. იგი ისმენს ორივე მხარის პოზიციას ზიანის ანაზღაურების ფორმის შესახებ და ათანხმებს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ პირობას: ზიანი უნდა ანაზღაურდეს ფულადი კომპენსაციის თუ დაზარალებულის სასარგებლოდ სხვა ვალდებულების შესრულების გზით. თუ დაზარალებული აღნიშნულ ეტაპზე განაცხადებს უარს მედიაციაში მონაწილეობაზე, მედიაციის პროცესი წყდება.
124. დასკვნით ეტაპზე მედიატორი მართავს მედიაციის კონფერენციას, ანუ შეხვედრას, რომელშიც მონაწილეობენ არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, დაზარალებული, პროკურორი, სოციალური მუშაკი. კონფერენციას უძღვება მედიატორი. კონფერენციაში მონაწილე ყველა პირს აქვს შესაძლებლობა გამოხატოს თავისი აზრი ჩადენილი ქმედების შესახებ და შეაფასოს მისგან გამომწვეული შედეგები. კონფერენციაზე დეტალურად განიხილება არასრულწლოვნის მიერ შესასრულებელი პირობები და არასრულწლოვანს განემარტება მისი შეუსრულებლობის შედეგები.
125. კონფერენციაზე ხელი ეწერება, სოციალური მუშაკის ბიოფსიქოსოციალური დასკვნის მხედველობაში მიღებით შედგენილ, ხელშეკრულებას განრიდებისა და მედიაციის შესახებ, რომელსაც ამზადებს მედიატორი (და არა პროკურორი).
126. ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, პროკურორმა უნდა გამოიტანოს დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან/და დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.
- თ) განრიდების შესახებ სასამართლოსთვის შეტყობინება**
127. არასრულწლოვნის განრიდება დასაშვებია საქმის მსვლელობის ნებისმიერ სტადიაზე წინასასამართლო სხდომამდე. თუ განრიდების ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა არასრულწლოვანთან, რომლის მიმართ დაწყებულია დევნა და განსაზღვრულია წინასასამართლო სხდომის თარიღი, პროკურორმა აღნიშნულის შესახებ უნდა შეატყობინოს სასამართლოს (სასამართლოსათვის შეტყობინების დროისათვის ხელშეკრულება უკვე გაფორმებული უნდა იყოს). იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანმა დაარღვია განრიდების პირობა და პროკურორმა მიიღო სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების გადაწყვეტილება, პროკურორი მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით წინასასამართლო სხდომის თარიღის ხელახლა განსაზღვრის შესახებ, რომლის შემდგომ საქმე სასამართლოში წარიმართება ჩვეულებრივი წესით წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე.

### ი) ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

128. განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სოციალური მუშაკი. მონიტორინგის განსახორციელებლად სოციალური მუშაკი ხვდება არასრულწლოვანს მინიმუმ თვეში ერთხელ, რათა ორივემ ერთად შეაფასონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობა. არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების რომელიმე პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სოციალური მუშაკი და არასრულწლოვანი განიხილავენ ხელის შემშლელ ფაქტორებს და მათ ხასიათს. სოციალური მუშაკი თვეში ერთხელ პროკურორს წარუდგენს ანგარიშს ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ სამ თვეში ერთხელ პროკურორი თავად ხვდება არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს და სოციალურ მუშაკს. შეხვედრისას განიხილება ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის საკითხი.
129. თუ არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების რომელიმე პირობის შეუსრულებლობა განპირობებულია ობიექტური მიზეზებით, სოციალურმა მუშაკმა და პროკურორმა შეიძლება მოახდინონ ხელშეკრულების პირობების შესწორება და კონკრეტული სავალდებულო პირობის/პირობების ჩანაცვლება ახალი პირობით/პირობებით.
130. ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში სოციალური მუშაკი წარუდგენს საბოლოო ანგარიშს პროკურორს.
131. თუ არასრულწლოვანი კეთილსინდისიერად შეასრულებს ხელშეკრულების, პირობებს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ.
132. თუ არასრულწლოვანი არ შეასრულებს ან უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებას, სოციალური მუშაკი ამის შესახებ აცნობებს პროკურორს. აღნიშნულისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით არასრულწლოვანთან (მის კანონიერ წარმომადგენელთან) საუბრის შემდეგ, პროკურორი უფლებამოსილია (და არა ვალდებული) მიიღოს გადაწყვეტილება განრიდების პროცესის შეწყვეტისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან განახლების შესახებ.

### მუხლი 106. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადანყვეტილება

1. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადანყვეტილებას, გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, იღებს პროკურორი დადგენილებით. ამ დადგენილების ასლს პროკურორი უგზავნის დაზარალებულს გადანყვეტილების მიღებიდან 1 კვირის ვადაში. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე პროკურორი ვალდებულია დაზარალებულს შეატყობინოს ამის შესახებ და შეადგინოს ოქმი ამ კოდექსის 56-ე მუხლის 5<sup>1</sup> ნაწილით დადგენილი წესით.

1<sup>1</sup>. დაზარალებულს უფლება აქვს, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადანყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება ბრალდებულს,

**მის ადვოკატს და დაზარალებულს.**

**3. თუ სისხლისსამართლებრივი დევნა ამ კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე წყდება, პროკურორი ვალდებულია მიმართოს განსჯადობის მიხედვით შესაბამის სასამართლოს ამ კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შუამდგომლობით.**

1. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი დადგენილებით. გამონაკლისია, სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა (დანაშაულის ჩადენისას პირის შეურაცხაობა), რა დროსაც პროკურორი ვალდებულია შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მოთხოვნით.
2. აღნიშნულ მუხლთან ერთად უნდა იქნეს განხილული სსსკ-ის 168-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარს პროკურორი აფორმებს შესაბამისი დადგენილებით.
3. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან არდაწყების შესახებ დადგენილების გამოტანამდე პროკურორი ვალდებულია დაზარალებულს შეატყობინოს მის მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, გაიაროს მასთან კონსულტაცია და აღნიშნულთან დაკავშირებით დაზარალებულის მონაწილეობით შეადგინოს ოქმი. პროკურორი ორივე შემთხვევაში პირადად უნდა შეხვედეს და გაესაუბროს დაზარალებულს. შეხვედრისას დაზარალებულს უნდა განემარტოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მიზეზი, საფუძველი, მიზანი და უნდა მიეცეს საშუალება გამოხატოს თავისი აზრი. დაზარალებულის საწინააღმდეგო პოზიცია არ აბრკოლებს პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას ან დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებას, თუმცა შესაძლოა დაზარალებულის მიერ გამოთქმულმა მოსაზრებამ გავლენა მოახდინოს პროკურორის გადაწყვეტილებაზე.
4. პროკურორის დადგენილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული. იგი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამოძიებით დადგენილი გარემოებებისა და გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, არდაწყების მიზეზების შესახებ.
5. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან/და არდაწყების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე ეცნობებათ დაზარალებულს, ბრალდებულს, მის ადვოკატს და 1 კვირის ვადაში ეგზავნებათ დადგენილების ასლი.
6. დაზარალებულს უფლება აქვს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან არდაწყების შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული.
7. ზემდგომი პროკურორის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება გადაწყვეტილების მიმღები პროკურორის დაქვემდებარების საკითხი. პროკურატურის სისტემა და ზემდგომი პროკურორისადმი ქვემდგომი პროკურორის დაქვემდებარების წესი განსაზღვრულია „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონით.
8. რაიონული პროკურატურის პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს რაიონული პროკურორის მოადგილესთან, რაიონულ პროკურორთან, საოლქო პროკურორის მოადგილესთან (ქ. თბილისის რაიონული პროკურატურების შემთხვევაში – ქ. თბილისის პროკურორის მოადგილესთან, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის შემადგენლობაში არსებული რაიონული პროკურატურების შემთხვევაში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილესთან), საოლქო პროკურ-

- ორთან (ქ. თბილისის რაიონული პროკურატურების შემთხვევაში – ქ. თბილისის პროკურორთან, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის შემადგენლობაში არსებული რაიონული პროკურატურების შემთხვევაში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორთან), მთავარი პროკურორის მოადგილესთან ან მთავარ პროკურორთან.
9. ქ. თბილისის პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის პროკურორის მოადგილესთან, ქ. თბილისის პროკურორთან, მთავარი პროკურორის მოადგილესთან ან მთავარ პროკურორთან.
  10. საოლქო პროკურატურის პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საოლქო პროკურორის მოადგილესთან, საოლქო პროკურორთან, მთავარი პროკურორის მოადგილესთან ან მთავარ პროკურორთან.
  11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის პროკურორის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილესთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორთან, მთავარი პროკურორის მოადგილესთან ან მთავარ პროკურორთან.
  12. მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამისი სამმართველოს უფროსთან, დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან, დეპარტამენტის უფროსთან, მთავარი პროკურორის მოადგილესთან ან მთავარ პროკურორთან.
  13. ქ. თბილისის პროკურატურის პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის პროკურორის მოადგილესთან, ქ. თბილისის პროკურორთან, მთავარი პროკურორის მოადგილესთან ან მთავარ პროკურორთან.
  14. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.
  15. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, თუმცა პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრება უნდა მოხდეს ჯერ ზემდგომ პროკურორთან, ხოლო ზემდგომი პროკურორის მიერ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ, სასამართლოში. შესაბამისად, დაზარალებულს არა აქვს უფლება გადაწყვეტილება ზემდგომი პროკურორისთვის მიმართვის გარეშე პირდაპირ გაასაჩივროს სასამართლოში.
  16. სსსკ-ის 106-ე მუხლში არ არის მითითებული ბრალდებულის უფლებაზე გაასაჩივროს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან არდანყების შესახებ პროკურორის დადგენილება, თუმცა სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-15 ნაწილი ბრალდებულს ანიჭებს პროკურორის გადაწყვეტილების ზემდგომ პროკურორთან და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოში გასაჩივრების უფლებას. შესაბამისად, სსსკ-ის 106-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული გასაჩივრების უფლება ვრცელდება ბრალდებულზეც.
  17. ვინაიდან სსსკ-ის 106-ე მუხლი არ ადგენს საჩივრის შეტანისა და ზემდგომი პროკურორის მიერ მისი განხილვის განსხვავებულ ვადას, საჩივრის შეტანა უნდა მოხდეს სსსკ-ის 95-ე მუხლით დადგენილ 10 დღის ვადაში, მას შემდეგ, რაც მომჩივნისთვის ცნობილი გახდება გასასაჩივრებელი გადაწყვეტილების შესახებ, ხოლო ზემდგომმა პროკურორმა საჩივარი უნდა გადაწყვიტოს საჩივრის მისთვის გადაცემიდან სსსკ-ის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ 3 დღის ვადაში. რაც შეეხება, სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვას, სსსკ-ის 106-ე და 168-ე მუხლები სასამართლოსთვის ადგენს საჩივრის განხილვის სპეციალურ ვადას – 15 დღეს. კერძოდ, სასამართლო საჩივარს განიხილავს ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

## მუხლი 107. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინების გასაჩივრება

1. განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ შეიძლება გაასაჩივროს პროკურორმა.
2. სასამართლო უფლებამოსილია ამ მუხლით გათვალისწინებული საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. ზეპირი მოსმენის შემთხვევაში სასამართლო აცხადებს განჩინების სარეზოლუციო ნაწილს.
3. ამ მუხლით გათვალისწინებულ საჩივართან დაკავშირებით გამოტანილი განჩინება არ გასაჩივრდება.

1. განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს:
  - გამოძიების დროს, თუ სახეზეა სსსკ-ის 191-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული საფუძველი (ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია დანაშაულის ჩადენისას პირის შეურაცხაობის ფაქტი). სასამართლო აღნიშნული საფუძველით სისხლისსამართლებრივ დევნას წყვეტს მხარის შუამდგომლობის საფუძველზე;
  - წინასასამართლო სხდომაზე, თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა. აღნიშნული საფუძველით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა სასამართლოს შეუძლია როგორც მხარის შუამდგომლობით, ასევე თავისი ინიციატივით;
  - საქმის არსებითი განხილვისას, თუ გამოვლინდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის (სსსკ-ის 105-ე და 250-ე მუხლებით გათვალისწინებული) საფუძველი. საქმის არსებითი განხილვისას სასამართლო სისხლისსამართლებრივი დევნას წყვეტს მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.
2. გამოძიების დროს სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება სსსკ-ის 191-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული საფუძველით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ საჩივრდება სსსკ-ის 207-ე მუხლით დადგენილი წესით, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, ამ კოდექსის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესით, მისი შეტანიდან არა უგვიანეს 72 საათისა.
3. წინასასამართლო სხდომაზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ საჩივრდება სსსკ-ის 219-ე მუხლით დადგენილი წესით, მისი გამოტანიდან 5 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. ვინაიდან, სსსკ-ის 219-ე მუხლი არ ადგენს აღნიშნული საჩივრის განხილვის განსხვავებულ ვადას, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ საჩივარი უნდა გადაწყვიტოს სსსკ-ის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ 3 დღიან ვადაში.
4. საქმის არსებითი განხილვისას გამოტანილი განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. ვინაიდან საქმის არსებითი განხილვისას გამოტანილი განჩინების გასაჩივრების და განხილვის სპეციალურ ვადას არ ადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საჩივრის შეტანა უნდა მოხდეს სსსკ-ის 95-ე მუხლით დადგენილ 10 დღის ვადაში, ხოლო საგამოძიებო კოლეგიამ საჩივარი უნდა გადაწყვიტოს სსსკ-ის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ 3 დღის ვადაში.
5. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია უფლებამოსილია, ყველა შემოაღნიშნულ შემთხვევაში საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. ზეპირი მოსმენის

შემთხვევაში სასამართლო აცხადებს განჩინების სარეზოლუციო ნაწილს.

6. ამ მუხლით გათვალისწინებულ საჩივართან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
7. აღნიშნულ მუხლში არ არის მითითებული ბრალდებულის უფლებაზე გასაჩივროს სასამართლოს განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, თუმცა სსკ-ის 38-ე მუხლის მე-15 ნაწილი ბრალდებულს ანიჭებს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას. შესაბამისად, სსკ-ის 107-ე მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრების უფლება ვრცელდება ბრალდებულზეც.

### **მუხლი 108. შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის განახლება**

**1. თუ ზემდგომმა პროკურორმა გააუქმა დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ან სასამართლომ გააუქმა დადგენილება/განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განახლდეს. ამ შემთხვევაში საქართველოს მთავარი პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სისხლისსამართლებრივი დევნის განახლებისა და სხვა საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას სხვა პროკურორს აკისრებს.**

**2. სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ წერილობით ეცნობება ბრალდებულს, მის ადვოკატს და დაზარალებულს.**

1. აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ ზემდგომმა პროკურორმა ან მოსამართლემ გააუქმა პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ან სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განახლდეს.
2. ზემდგომი პროკურორის ან სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, თუ არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, პროკურორმა უნდა გამოიტანოს დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ. სისხლისსამართლებრივი დევნის განახლება ნიშნავს პირისათვის ბრალდებულის სტატუსის აღდგენას. შესაბამისად, პროკურორი არ არის ვალდებული გამოიტანოს ახალი დადგენილება პირის ბრალდების შესახებ.
3. სისხლისსამართლებრივი დევნის განახლებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პირის ბრალდებულად ყოფნის ვადა. სსკ-ის თანახმად, დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე პირი შეიძლება ბრალდებულად ცნობილი იყოს არა უმეტეს 9 თვისა. შესაბამისად, თუ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე პირს ბრალდებულის სტატუსი ჰქონდა 7 თვის განმავლობაში, სისხლისსამართლებრივი დევნის განახლებიდან წინასასამართლო სხდომამდე ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.
4. აღნიშნულ მუხლთან ერთად უნდა იქნეს განხილული ასევე სსკ-ის 168-ე მუხლი, რომლის მესამე ნაწილი პროკურორს ავალდებულებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას (ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანას), თუ ზემდგომმა პროკურორმა ან სასამართლომ გააუქმა პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ და არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა.
5. ზემდგომი პროკურორის ან სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევა-



- ში, საქართველოს მთავარი პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი (რომელიც განსაზღვრულია მთავარი პროკურორის ბრძანებით) სისხლისსამართლებრივი დევნის განახლებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ვალდებულებას აკისრებს სხვა პროკურორს.
6. სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს ბრალდებულს, მის ადვოკატს და დაზარალებულს, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ – დაზარალებულს. სსსკ-ის არც ერთი მუხლი არ არეგულირებს გამოძიების განახლების საკითხს, რაც წარმოადგენს ხარვეზს კანონმდებლობაში. თუ სისხლის სამართლის საქმეზე შეწყვეტილია გამოძიებაც, სისხლისსამართლებრივი დევნის განახლება ვერ მოხდება გამოძიების განახლებისგან დამოუკიდებლად. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ვინაიდან კანონმდებლობა იძლევა სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესაძლებლობას, სსსკ-ის 108-ე მუხლი უნდა იქნეს გამოყენებული ანალოგიით გამოძიების განახლების საკითხის დასარეგულირებლად. შესაბამისად, თუ ზემდგომმა პროკურორმა გააუქმა დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ ან სასამართლომ გააუქმა დადგენილება/განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ და არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება უნდა განახლდეს.

### მუხლი 109. სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება.

**სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება გამოძიების სტადიაზე ხდება პროკურორის დადგენილებით, ხოლო სასამართლოში – მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით.**

1. სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება ნიშნავს რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის ერთ წარმოებად გაერთიანებას.
2. სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების საფუძველი შეიძლება იყოს:
  - ერთსა და იმავე ფაქტზე რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის არსებობა (მაგ., ერთსა და იმავე ფაქტზე მოქალაქის განცხადების საფუძველზე გამოძიება დაინყო სხვადასხვა საგამოძიებო ორგანოში);
  - ერთი და იმავე პირის მიერ რამდენიმე დანაშაულის ჩადენა (მაგ., ერთი და იმავე პირის მიერ ჩადენილ რამდენიმე დანაშაულზე გამოძიებას აწარმოებს სხვადასხვა საგამოძიებო ორგანო);
  - რამდენიმე დანაშაულის ერთმანეთთან კავშირი (მაგ., პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტზე და აღნიშნული ნარკოტიკული საშუალების გასაღებიდან იმავე პირის მიერ მიღებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე გამოძიებას აწარმოებს სხვადასხვა საგამოძიებო ორგანო).
3. ზემოაღნიშნული საფუძველები არ არის ამომწურავი, ამასთან, არ წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეთა უპირობო გაერთიანების საფუძველს. გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდებულისა და სისხლის სამართლის საქმის ინტერესების მხედველობაში მიღებით. მაგალითად, არ არის მიზანშეწონილი ერთი და იმავე პირის მიერ სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში ჩადენილ დანაშაულებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების გაერთიანება, თუ ეს გაართულებს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას ან შემდგომ მოწმეთა და დაზარალებულთა სასამართლოში გა-

მოცხადებას. ასევე არ არის მიზანშეწონილი ორი სხვადასხვა დანაშაულის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება, თუ მათი კვალიფიციური და ეფექტური გამოძიებისთვის უმჯობესია ისინი გამოიძიოს სხვადასხვა საგამოძიებო ორგანომ.

4. სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება დაუშვებელია, თუ ერთმანეთს არ ემთხვევა მათი სტადია. კერძოდ, თუ პირის მიერ ჩადენილ ერთ დანაშაულზე მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა, ხოლო მეორე საქმეზე არ ჩატარებულა წინასასამართლო სხდომა, აღნიშნული საქმეების გაერთიანება შეუძლებელია. ასევე, პროკურორი ვერ მიიღებს სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების გადაწყვეტილებას, თუ ერთ მათგანზე გამოძიება თითქმის დასრულებულია, ხოლო მეორეზე მტკიცებულებების მოპოვება საჭიროებს დამატებით დროს.
5. გამოძიების სტადიაზე სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი დადგენილებით, ხოლო სასამართლოში მოსამართლე მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე. თუ გასაერთიანებელ სისხლის სამართლის საქმეებს საპროცესო ზედამხედველობას უწევს ერთი და იგივე პროკურორი, სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების შესახებ დადგენილება გამოაქვს მას. თუ გასაერთიანებელ სისხლის სამართლის საქმეებს საპროცესო ზედამხედველობას უწევს სხვადასხვა პროკურორი, სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების შესახებ დადგენილება გამოაქვს იმ პროკურორს, რომელს ზედამხედველობას უწევს იმ სისხლის სამართლის საქმეს, რომელსაც უნდა შეუერთდეს სხვა სისხლის სამართლის საქმე. ანალოგიური პრინციპით ხდება მოსამართლის მიერ განჩინების გამოტანა.
6. გაერთიანების შემდგომ სისხლის სამართლის საქმეს ენიჭება რომელიმე სისხლის სამართლის საქმის ნომერი.

## მუხლი 110. სისხლის სამართლის საქმის გამოყოფა

1. გამოძიების სტადიაზე პროკურორს უფლება აქვს, სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებისათვის გამოიყოს სისხლის სამართლის საქმე.

2. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებისათვის სისხლის სამართლის საქმის გამოყოფა ხდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით.

1. სისხლის სამართლის საქმის გამოყოფა ნიშნავს, სისხლის სამართლის საქმიდან ერთი ან რამდენიმე ახალი სისხლის სამართლის საქმის გამოყოფას.
2. სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის საფუძველი შეიძლება იყოს:
  - სისხლის სამართლის საქმეში სხვა დანაშაულის ნიშნების გამოკვეთა (მაგ., ერთ-ერთმა მოწმემ დაკითხვისას გამოძიებელს მიაწოდა ინფორმაცია სხვა დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომელიც კავშირში არ არის აღნიშნული სისხლის სამართლის საქმესთან);
  - გადაწყვეტილება ერთი ან რამდენიმე ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გადაგზავნის შესახებ (მაგ., დანაშაული ჩადენილია რამდენიმე პირის მიერ, რომელთაგან ბრალი წარედგინა მხოლოდ ნაწილს. ვინაიდან წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს მათი ბრალდებულად ცნობიდან არა უგვიანეს 60 დღისა, სისხლის სამართლის საქმის მასალები უნდა გადაიგზავნოს სასამართლოში. ამასთან, დანაშაულის ჩამდენი სხვა პირების მიმართ უნდა გაგრძელდეს გამოძიება. შესაბამისად, საჭიროა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმიდან გამოიყოს სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც კვლავ გაგრძელდება გამოძიება);
  - საპროცესო შეთანხმების გაფორმება (მაგ., დანაშაული ჩადენილია რამდენიმე პირის მიერ, რომელთაგან ერთს უნდა გაუფორმდეს საპროცესო შეთანხმება, ხოლო სხვა პირების მიმართ საქმე უნდა იქნეს განხილული არსებითად. ვინაიდან საქმის არსები-

- თი განხილვის და საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის წესი და ვადები განსხვავდება ერთმანეთისაგან, უნდა გამოიყოს საქმე);
- ბრალდებულის ასაკი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 318-ე მუხლის თანახმად, თუ არასრულწლოვანს ბრალი ედება იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელშიც ასევე იმხილება სრულწლოვანი, არასრულწლოვნის საქმე შეძლებისდაგვარად ცალკე უნდა გამოიყოს და გასამართლდეს სრულწლოვნისაგან განცალკევებით, თუ ამით არსებითი დაბრკოლება არ შეექმნება საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას. არასრულწლოვნის მიმართ საქმის გამოყოფის საფუძველი შეიძლება იყოს ასევე მის მიმართ განრიდებისა და მედიაციის პროცესის დაწყება, თუ სხვა პირების მიმართ საქმე უნდა წარიმართოს სასამართლოში);
3. ზემოაღნიშნული საფუძვლები არ არის ამომწურავი. გადანყვეტილების მიღება სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის შესახებ, უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდებულისა და გამოძიების ინტერესების მხედველობაში მიღებით. გამოძიების სტადიაზე სისხლის სამართლის საქმეთა გამოყოფის შესახებ გადანყვეტილებას იღებს პროკურორი დადგენილებით, ხოლო სასამართლოში გადანყვეტილებას იღებს მოსამართლე მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე. სისხლის სამართლის საქმის გამოყოფისას, ძირითადი (პირველადი) სისხლის სამართლის საქმიდან გამოიყოფა სისხლის სამართლის საქმის ის მასალა, რომელიც შემხებლობაშია გამოყოფილ სისხლის სამართლის საქმესთან. შესაძლოა საჭირო იყოს სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალა ან საქმის მასალების ნაწილი. მაგ., თუ ძირითადი სისხლის სამართლის საქმიდან გამოიყოფა საქმე ერთ-ერთი თანამონაწილის მიმართ, გამოყოფას ექვემდებარება ყველა ის მასალა, რომელიც ადასტურებს აღნიშნული პირის ბრალეულობას. შესაბამისად, საჭირო არ არის გამოიყოს, მაგ., სხვა ბრალდებულების ნასამართლობის ცნობები და მათი ინდივიდუალური მახასიათებლების ამსახველი დოკუმენტები.
4. გამოყოფილ სისხლის სამართლის საქმეს ახალი ნომერი ენიჭება.

## თავი XV საგამოძიებო მოქმედებები

### მუხლი 111. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზოგადი წესი

1. მხარეებს ამ კოდექსით დადგენილი წესით საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები. მხარეები საგამოძიებო მოქმედებას ატარებენ ამ კოდექსით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში. დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამოძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს. გამოძიებელი უნდა შეარჩიოს საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელმა და მისი ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები დაცვის მხარეს უნდა ეცნობოს შუამდგომლობით მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე. ამ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ბრალდებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებული სასამართლოს წარუდგენს მტკიცებულებებს, რომლებითაც დადასტურდება მის მიერ ამ ხარჯების ანაზღაურების შეუძლებლობა. დაცვის მხარეს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს თავისი მოთხოვნით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში.

2. დაცვის მხარის უფლება, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, არ ვრცელდება ამ კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებზე. დაცვის მხარეს არა აქვს უფლება, სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩაატაროს ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომლის ჩატარებისათვის, ამ კოდექსის თანახმად, საჭიროა ასეთი ნებართვა.

3. საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი მონაწილეებს განუმარტავს უფლება-მოვალეობებს და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესებს. საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს მონაწილეთა უფლებების განხორციელების შესაძლებლობა.

4. თუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძველია გამოძიებლის დადგენილება ან სასამართლოს განჩინება, გამოძიებელი მას აცნობს იმ პირს, რომლისთვისაც დადგენილების (განჩინების) შესრულება სავალდებულოა, რასაც იგი ადასტურებს ხელმოწერით.

5. საგამოძიებო მოქმედების ღამით ჩატარება დაუშვებელია, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა. საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს გონივრულ ვადაში.

6. საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულის კვალისა და ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და ამოღების მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებები და მეთოდები.

7. საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის წინააღმდეგობის განევის შემთხვევაში დასაშვებია იძულების პროპორციული ზომის გამოყენება.

8. საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას ქირურგიული ან სამედიცინო გამოკვლევის სხვა მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, რომლებიც იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ამ პირის თანხმობით. თუ ამ პირს 16 წელი არ შესრულებია ან იგი ფსიქიკურად დაავადებულია, აუცილებელია მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობა ან სასამართლოს განჩინება.

9. თუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება განსაკუთრებულ პროფესიულ ცოდნას მოითხოვს, მხარე მას ატარებს ექსპერტის მონაწილეობით. თუ საგამოძიებო მოქმედება ითვალისწინებს გაშიშვლებას, შესამოწმებელი პირის მოთხოვნის შემთხვევაში ექსპერტი და მხარე უნდა იყვნენ იმავე სქესის, რომელი სქესისაც არის შესამოწმებელი პირი.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცალკე ორი თავი, მე-15 და მე-16, ეხება საგამოძიებო მოქმედებებს. მე-15 თავში (111-135-ე მუხლები) მოცემულია დებულებები ძირითადი საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, ხოლო მე-16 თავი (136-138-ე მუხლები) ეხება მხოლოდ კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებს.
2. სსსკ-ით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებებია:
  - 1) ჩხრეკა;
  - 2) ამოღება;
  - 3) დათვალიერება;
  - 4) გამოკითხვა;
  - 5) გამოძიების დროს მონმის დაკითხვა;
  - 6) საგამოძიებო ექსპერიმენტი;
  - 7) პირის ან ობიექტის ამოსაცნობად წარდგენა;
  - 8) საბანკო ანგარიშების მონიტორინგი;
  - 9) ექსპუმაცია;
  - 10) დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა (136-ე მუხლი);
  - 11) ინტერნეტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება (137-ე მუხლი);
  - 12) შინაარსობრივი მონაცემების მოპოვება (138-ე მუხლი).
3. სსსკ-ის 111-ე მუხლი განსაზღვრავს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზოგად წესს. მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრულია, რომ მხარეები საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას სარგებლობენ თანაბარი უფლება-მოვალეობებით. ამასთან, ზოგიერთი სახის საგამოძიებო მოქმედებას საერთოდ ვერ ატარებს დაცვის მხარე. კერძოდ, კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები (სსსკ-ს 136-ე, 137-ე და 138-ე მუხლები) შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე.
4. საგამოძიებო მოქმედებები შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ნებართვის გარეშე ან თუ საგამოძიებო მოქმედება ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, მოსამართლის ნებართვით სსსკ-ის 111-ე მუხლით დადგენილი წესით. ითვლება, რომ თუ არსებობს მესაკუთრის თანხმობა, სასამართლოსთვის მიმართვა არ არის აუცილებელი.
5. სსსკ-ის 111-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს დაცვის მხარის მიერ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სპეციალურ წესს, რაც 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა. ამ ნორმის მიხედვით, დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ჩატარებს გამოძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც გამოძიებას აწარმოებს მოცემულ საქმეზე. სასამართლოსთვის წარდგენილი დაცვის მხარის შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში დეტალურად უნდა იყოს ჩამოყალიბებული მხარის მოთხოვნა, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანი და საფუძველი, ფაქტები და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები, მსჯელობა და არგუმენტაცია ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, კანონი, რომელიც არგუმენტებს და მსჯელობას ამყარებს. მხარე ვალდებულია შუამდგომლობაში დაასაბუთოს მტკიცებულებათა იმ სტანდარტის (დასაბუთებული ვარაუდის) არსებობა, რომელსაც საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი.
6. დაცვის მხარის შუამდგომლობით საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელმა უნდა შეარჩიოს კონკრეტული გამოძიებელი, რომლის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია უნდა ეცნობოს დაცვის მხარეს. დაცვის მხარეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ამ საგამოძიებო მოქმედებაში, ამიტომ მას ესაჭიროება გამოძიებლის საკონტაქტო ინფორმაცია და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თარიღის შესახებ ინფორმაცია. დაცვის მხარის ასეთი უფლება ეფუძნება სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის მოთხოვნას – ბრალდებულის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს მისი

- ან მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში. გარდა აღნიშნული მუხლისა, სსსკ-ის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას, დროულად შეატყობინონ მისი ან მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დრო და ადგილი. ამ ვალდებულების დარღვევა ბრალდების მხარისთვის გამოიწვევს იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას, რომელიც საგამოძიებო მოქმედებით იქნა მოპოვებული. აქ გარკვეულ ალოგიკურობასთან გვაქვს საქმე. სსსკ-ის 111-ე მუხლის პირველი ნაწილით დაცვის მხარე ითხოვს საგამოძიებო მოქმედების მეშვეობით მტკიცებულების მოპოვებას. ამ პროცესში საგამოძიებო მოქმედების მწარმოებელი გამოძიებლის მიერ საკუთარი ვალდებულების დარღვევა (დაცვის მხარისთვის საგამოძიებო მოქმედების ადგილის და დროის შესახებ ინფორმაციის არმიწოდება) კი დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობას გამოიწვევს. თუმცა, დაცვის მხარის შუამდგომლობით და მოსამართლის განჩინებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს არა მხოლოდ დაცვის მხარისთვის სასარგებლო მტკიცებულება. ხშირად, მოსაპოვებელი მტკიცებულების შინაარსის წინასწარ განჭვრეტა, შეუძლებელია. მტკიცებულების მოპოვების შემდეგ ბრალდების მხარე უფლებამოსილი იქნება, ეს მტკიცებულება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. მით უმეტეს, რომ ბრალდების მხარე აღჭურვილია უფლებით თავდაპირველად მან გამოიკვილოს დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკა/ამოღებით მოპოვებული მტკიცებულება (სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი). აღსანიშნავია, რომ ჰიპოთეტური ვითარება, როდესაც დაცვის მხარის შუამდგომლობით მოპოვებულ მტკიცებულება შესაძლოა გამოიყენოს ბრალდების მხარემ, პრაქტიკაში შეიძლება რეგულარულად განმეორდეს. ეს კი საფრთხეს წარმოადგენს დაცვის უფლებისათვის. დაცვის უფლების მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ იგი მხოლოდ ბრალდებულის ინტერესებისათვის სასარგებლო მტკიცებულებების მოპოვებით შემოიფარგლება და არ არის ვალდებული გამოძიება აწარმოოს სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად. დაცვის მხარისგან განსხვავებით, გამოძიების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად ჩატარების ვალდებულება აკისრია ბრალდების მხარეს (სსსკ-ის 37-ე მუხლი).
7. სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაცვის მხარე არ არის უფლებამოსილი გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება და მისი კანონიერად ცნობისთვის მიმართოს სასამართლოს. გადაუდებელი აუცილებლობის არსი განმარტებულია სსსკ-ის 112-ე მუხლი მე-5 ნაწილის კომენტარში.
  8. მოცემული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საგამოძიებო მოქმედების წინ საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებს განემარტებათ უფლება-მოვალეობები. ასეთი განმარტების გარეშე მოქმედების ჩატარება და მტკიცებულების მოპოვება ჩაითვლება საპროცესო კოდექსის დარღვევად. მაგალითად, სსსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დათვალთვლებაში მონაწილე პირს უფლება აქვს მხარის ყურადღება მიაპყროს ყველაფერს, რამაც, მისი აზრით, შეიძლება ხელი შეუწყოს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოების გამოვლენას. ამ უფლების შესახებ საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელმა მხარემ საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე უნდა განუმარტოს დათვალთვლებაში მონაწილე პირს. თუ ეს არ გააკეთა, სახეზე იქნება სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა. სასამართლო ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეაფასებს, არის თუ არა არსებითი დარღვევა ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების მონაწილისთვის უფლება-მოვალეობების განუმარტაობა. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ დარღვევა არსებითია, ასეთი მტკიცებულება ან/და საპროცესო დოკუმენტი ჩაითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად.
  9. მოცემული მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საგამოძიებო მოქმედების საფუძველია გამოძიებლის დადგენილება ან მოსამართლის განჩინება, გამოძიებელი მას აცნობს პირს, რომლისთვისაც დადგენილების შესრულება სავალდებულოა. თუ პირი არ ასრულებს სასამართლო განჩინებას და არ აძლევს შესაძლებლობას მხარეს ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება, ეს ჩაითვლება სსსკ-ის 381-ე მუხლით („განაჩენის ან სხვა სასამართლო გა-

- დანყვეტილების შეუსრულებლობა ან/და მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა“) დასჯად ქმედებად
10. სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საგამოძიებო მოქმედების ღამით ჩატარება დაუშვებელია, გარდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა. გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებები ჩამოთვლილია სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილში.
  11. სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის წინააღმდეგობის განწევის შემთხვევაში დასაშვებია იძულების პროპორციული ზომის გამოყენება. ამ ნორმის გამოყენება, ბუნებრივია, შეუძლია როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარესაც. თუმცა, სიფრთხილეა საჭირო ვითარების შეფასებისა და პროპორციული ზომის შერჩევისას. ტერმინი „პროპორციული ზომა“ შეფასებითია. კონკრეტული გარემოებების შეფასებით უნდა განისაზღვროს გამოყენებული ზომა ხომ არ აჭარბებს პროპორციულობის ზღვარს. თუ ზომა არაპროპორციულია, შესაძლებელია, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ადგილი ჰქონდეს მხარის მიერ სამართალდარღვევის ჩადენას. მაგალითად, თუ ნასვამი ადამიანი ხელს უშლის დაცვის მხარეს დათვალელების ჩატარებაში, მისი გამოკეტვა (თუნდაც დროებით) იქვე მდებარე სათავსში არაპროპორციული ზომა იქნება და შესაძლოა, თავისუფლების უკანონო აღკვეთის კვალიფიკაციაც მიენიჭოს. აღწერილ ვითარებაში პროპორციული ზომა იქნება ხელის შემშლელი პიროვნების გარიდება/გაყვანა შემთხვევის ადგილიდან ან თუ ეს შეუძლებელია, პოლიციის გამოძახება შემთხვევის ადგილზე.
  12. სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, თუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება განსაკუთრებულ პროფესიულ ცოდნას მოითხოვს, მხარემ მოქმედება უნდა ჩაატაროს ექსპერტის მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ ნორმა იმპერატიულად მიუთითებს ექსპერტის მონაწილეობის აუცილებლობაზე, თუ განსაკუთრებული პროფესიული ცოდნაა საჭირო. ამ მოთხოვნის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება შესაძლოა ჩაითვალოს კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებულად, რაც ამ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი გახდება.
  13. საგამოძიებო მოქმედება, რაც იწვევს ძლიერ ტკივილს, სპეციალური წესებით რეგულირდება. ასეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და მხოლოდ ამ პირის თანხმობით. რა ჩაითვლება გამონაკლის შემთხვევად, ამაზე სსსკ განმარტებას არ აკეთებს. შესაბამისად, ეს ცნება შეფასებითი ცნებაა და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა მოხდეს დასაბუთება, რომ მართლაც განსაკუთრებული საგამონაკლისო ვითარებაა შექმნილი. თუ პირს არ შესრულება 16 წელი ან იგი ფსიქიკურად დაავადებულია, მისი თანხმობის გარდა, აუცილებელია მშობლის ან მზრუნველის/მეურვის თანხმობა ან სამართლოს განჩინება.

## მუხლი 112. სასამართლოს განჩინებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება

1. საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. მოსამართლე შუამდგომლობისა და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციის შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განხილოს შუამდგომლობის დამყენებელი მხარის მონაწილეობით. ამ შემთხვევაში შუამდგომლობის განხილვისას გამოიყენება ამ კოდექსის 206-ე მუხლით გათვალისწინებული წესი. თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად.
2. სასამართლოს განჩინებაში აღნიშნული უნდა იყოს: მისი შედგენის თარიღი და ადგილი; მოსამართლის გვარი; პირი, რომელმაც მას შუამდგომლობით მიმართა; განკარგულება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, იმის ზუსტი მითითებით, თუ რა არის მისი არსი და ვისზე ვრცელდება ის; განჩინების მოქმედების ვადა; პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს

განჩინება; მოსამართლის ხელმოწერა (მათ შორის, ელექტრონული).

3. ჩხრეკის ან ამოღების განჩინებაში აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს: ის უძრავ-მოძრავი ქონება, სადაც ნებადართულია საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, და ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მას ფლობს (თუ მისი ვინაობა ცნობილია); ფიზიკური პირი, რომლის პირადი ჩხრეკაც უნდა ჩატარდეს; ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოსაჩენი და ამოსაღები სავარაუდო საგანი, ნივთი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი და მისი გვარეობითი ნიშნები; წინააღმდეგობის განწვევისას იძულების პროპორციული ზომის გამოყენების უფლება. ჩხრეკის ან ამოღების განჩინება ძალადაკარგულია, თუ ეს საგამოძიებო მოქმედება არ დაწყებულია 30 დღის ვადაში.

4. კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით განხორციელებული გზავნილის დაყვადების და ამოღების განჩინებაში აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს: იმ პირის სახელი და გვარი, რომელსაც ეგზავნება დასაყვადებელი გზავნილი; გამგზავნის სახელი და გვარი, მისამართი (თუ ის ცნობილია); დაყვადებული გზავნილის სახე; ყადაღის დადების ვადა; იმ დაწესებულების დასახელება, რომელსაც ევალება დააკავოს გზავნილი; გამოძიებლის უფლება, დაათვალიეროს და ამოიღოს გზავნილი.

5. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედება გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად), ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე, შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშე, რის შესახებაც მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით მოსამართლეს პროკურორმა უნდა აცნობოს საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს მხარეთა (თუ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია) და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამონებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას. მოსამართლე უფლებამოსილია განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს განჩინების გარეშე ჩატარა. ამ შემთხვევაში შუამდგომლობის განხილვისას გამოიყენება ამ კოდექსის 206-ე მუხლით გათვალისწინებული წესი.

6. მასალების განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება:

ა) ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ;

ბ) ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.

7. სასამართლო უფლებამოსილია ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

8. ამ მუხლის საფუძველზე გამოტანილი სასამართლოს განჩინება საჩივრდება ამ კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. განჩინების გასაჩივრების ვადა აითვლება განჩინების აღსრულებიდან.

### 1. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზოგადი წესი

1. გამოძიების მიმდინარეობისას საგამოძიებო მოქმედებებს გამოძიებელი ატარებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამოძიებელს ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების დამოუკიდებლად (სასამართლოს ნებართვის გარეშე) ჩატარების შესაძლებლობას



- აძლევს. ამასთან, კოდექსი განსაზღვრავს იმ საგამოძიებო მოქმედებების ჩამონათვალს, რომელთა ჩატარებისთვისაც აუცილებელია სასამართლოს ნებართვა. კერძოდ, გამოძიებელი უფლებამოსილია სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩაატაროს:
- საგამოძიებო მოქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვასთან;
  - საგამოძიებო მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვასთან, თუმცა მესაკუთრე, მფლობელი ან კომუნიკაციის ერთი მხარე თანხმობას აცხადებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, ანუ საკუთარი კონსტიტუციური უფლების შეზღუდვაზე.
2. პირველ შემთხვევას უნდა მივაკუთვნოთ, მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერება ქუჩაში ან საგამოძიებო ექსპერიმენტი იმგვარ ადგილზე, რომელიც კერძო საკუთრებას არ წარმოადგენს და არც ვინმეს მფლობელობაშია, ხოლო მეორე შემთხვევას – პირადი ჩხრეკა, როცა გასაჩხრეკი პირი თანხმობას აცხადებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე და მისგან მტკიცებულების ამოღებაზე.
  3. მოსამართლის ნებართვა (განჩინება) აუცილებელია მაშინ, როცა საგამოძიებო მოქმედება დაკავშირებულია კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვასთან და ამავდროულად პირი, ვისთანაც ტარდება საგამოძიებო მოქმედება, უარს აცხადებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასა და მისგან მტკიცებულების ამოღებაზე.
  4. მოსამართლის განჩინების გამოთხოვა ხორციელდება მხარის (ბრალდების და დაცვის) წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში დეტალურად უნდა იყოს ჩამოყალიბებული მხარის მოთხოვნა, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანი და საფუძველი, ფაქტები და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები, მსჯელობა და არგუმენტაცია ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, კანონი, რომელიც არგუმენტებს და მსჯელობას ამყარებს. მხარე ვალდებულია შუამდგომლობაში დაასაბუთოს მტკიცებულებათა იმ სტანდარტის (დასაბუთებული ვარაუდის) არსებობა, რომელსაც საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი.
  5. მხარის შუამდგომლობა სტრუქტურულად სამი ნაწილისაგან უნდა შედგებოდეს: შესავალი, აღწერილობითი (სამოტივაციო) და სარეზოლუციო ნაწილებისგან.
    - ა) შუამდგომლობის შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს:
      - სასამართლოს დასახელება, რომელსაც მხარე მიმართავს შუამდგომლობით;
      - შუამდგომლობის შედგენის ადგილი და თარიღი;
      - შუამდგომლობის ავტორთა ვინაობა;
      - სისხლის სამართლის საქმის ნომერი;
      - დანაშაულის კვალიფიკაცია;
      - მხარის მოთხოვნა.
    - ბ) შუამდგომლობის აღწერილობით ნაწილში უნდა მიეთითოს:
      - საქმის ფაქტობრივი გარემოებები;
      - მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ფაქტობრივ გარემოებებს;
      - შუამდგომლობის ავტორის მოსაზრებები და არგუმენტაცია გადასაწყვეტ საკითხებზე (შუამდგომლობის დასაბუთება);
      - შესაბამისი კანონმდებლობა, მუხლის, ნაწილისა და ქვეპუნქტის მითითებით, რომლებიც ადასტურებენ მითითებულ მოსაზრებებსა და არგუმენტებს.
    - გ) შუამდგომლობის დასკვნით ნაწილში უნდა მიეთითოს:
      - მხარის მოთხოვნა ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ნებართვის გაცემის შესახებ;
      - საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი, ჩამტარებელი პირის და იმ პირის

ვინაობა, რომელთანაც ტარდება საგამოძიებო მოქმედება.

6. მხარის შუამდგომლობას საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ სასამართლო შუამდგომლობის წარდგენიდან 24 საათში განიხილავს. პროცედურულად ბრალდების მხარის მიერ ნებართვის მოპოვება შემდეგნაირად ხორციელდება: საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას, უმრავლეს შემთხვევაში, გამოძიებელი განსაზღვრავს. კერძოდ, როდესაც კონკრეტული საგამოძიებო ვერსიის გადამოწმების, დანაშაულის ფაქტის და მისი ჩამდენი პირის დადგენის, მტკიცებულების მოპოვების მიზნით დღის წესრიგში დგება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობა, გამოძიებელი იღებს გადაწყვეტილებას მისი ჩატარების შესახებ, რის შესახებაც ატყობინებს პროკურორს. პროკურორი ადგენს წერილობით შუამდგომლობას საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ, რომელსაც აგზავნის სასამართლოში გამოძიების ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილის მიხედვით. შუამდგომლობას აუცილებლად უნდა დაერთოს შუამდგომლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები – სისხლის სამართლის საქმის მასალები. მოსამართლე შუამდგომლობას და საქმის მასალებს სასამართლოში შესვლიდან 24 საათში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სასამართლოსთვის კანონით მინიჭებული ამგვარი უფლებამოსილება წესად იქცა და შუამდგომლობების თითქმის 100% ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება. თუმცა, ამგვარი პრაქტიკა ხელს უწყობს გამოძიების პროცესის სწრაფად და ეფექტურად წარმართვას და ზოგავს სასამართლოს დროსა და რესურსებს. სსსკ-ი არ მიუთითებს რა შემთხვევაში განიხილავს მოსამართლე შუამდგომლობას ზეპირი მოსმენით. თუმცა, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო ზეპირ მოსმენას მაშინ ნიშნავს, როცა მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა და თანდართული მასალები არ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას ფაქტების, მტკიცებულებების, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნებისა და საფუძვლების, შუამდგომლობის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი სხვა საკითხების შესახებ.
7. მოქმედი სსსკ-ის მიხედვით გამოძიებელს არ აქვს სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება (მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილი მხარედ გამოძიებელსაც მოიხსენიებს). ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ადამიანის უფლებათა შემზღუდავი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ განჩინების მისაღებად სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილებით პროკურორი სარგებლობს და „მ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, პროკურორია უფლებამოსილი სასამართლოს მიმართოს კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით. აღსანიშნავია, რომ 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის უფლებას გამოძიებელსაც ანიჭებდა, თუმცა პროკურორის თანხმობით.

## 2. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სტანდარტი (დასაბუთებული ვარაუდი)

8. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის მიხედვით, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სტანდარტია **დასაბუთებული ვარაუდი**. შესაბამისად, მხარეს ეკისრება ვალდებულება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვისას დასაბუთოს აღნიშნული სტანდარტის არსებობა. სასამართლო კი, თავის მხრივ, ვალდებულია შეამოწმოს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული ეხება როგორც საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ განჩინების გაცემის, ისე გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების საკითხის განხილვას.

9. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი გულისხმობს, ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობაზე ან/და გარკვეულ ადგილზე მტკიცებულების არსებობაზე მიუთითებს. მაგალითად, ჩხრეკის შემთხვევაში დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი გულისხმობს მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ამა თუ იმ ადგილზე ან პირთან მტკიცებულების არსებობაზე და მის აღმოსაჩენად ძეხვის საჭიროებაზე მიუთითებს.
- 3. თანამესაკუთრის, თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება**
10. როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა ჩატარებაც გამომძიებელს დამოუკიდებლად, სასამართლოს განჩინების გარეშე შეუძლია და რომლებიც არ საჭიროებენ თანამესაკუთრის, თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობას. ამგვარ საგამოძიებო მოქმედებებს გამომძიებელი დამოუკიდებლად, ვინმესგან წინასწარი ნებართვის და პროკურორის შემდგომი ინფორმირების გარეშე ატარებს.
11. განსხვავებულია ვითარება, თუ საგამოძიებო მოქმედება ჩასატარებელია საკუთრებაში, მფლობელობაში ან/და მტკიცებულება ამოსაღებია კონკრეტული პირისგან, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მოძრავი ნივთი. მსგავს სიტუაციებში მხარე ვალდებულია დაიცვას სსსკ-ით დადგენილი სპეციალური წესები, რომლებიც ამავე კოდექსის სხვადასხვა მუხლშია მოცემული. თვალსაჩინოებისთვის შევეცდებით აღნიშნული წესები გარკვეული ეტაპების სახით წარმოვადგინოთ:
12. თუ საგამოძიებო მოქმედება ჩასატარებელია ისეთ ადგილზე, რომელსაც ჰყავს მესაკუთრე ან მფლობელი ან/და პირთან, რომლის საკუთრებას ან მფლობელობასაც წარმოადგენს ამოსაღები ნივთი, გამომძიებელი, პირველ რიგში, სავალდებულო წესით არკვევს პირის პოზიციას საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასა და ნივთის გადმოცემასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ სსსკ-ი არ აკონკრეტებს რასთან დაკავშირებით არის აუცილებელი მესაკუთრის, მფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა – საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე თუ ამოსაღები ნივთის გადაცემაზე. სავარაუდოა, რომ ამით არის გამოწვეული სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკა. კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013-2014 წლების გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსამართლეთა ერთი ნაწილი საკმარისად მიიჩნევს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე თანხმობას, ხოლო მეორე ნაწილი იმავდროულად ამოსაღები ნივთის გადაცემაზე თანხმობის აუცილებლობაზე მიუთითებს. მსგავსი პრაქტიკა განსაკუთრებით კარგად ვლინდება გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობების განხილვისას, რა დროსაც მოსამართლეთა ერთი ნაწილი შუამდგომლობის განხილვაზე უარს ამბობს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე მესაკუთრის, მფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობის მოტივით.
13. მიუხედავად სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკისა, მესაკუთრის, მფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობის შეფასებისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა ტიპის საგამოძიებო მოქმედება ტარდება და რა არის საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანი – საგამოძიებო მოქმედება დაკავშირებულია მხოლოდ საკუთრებაში ან მფლობელობაში შესვლასთან თუ საკუთრებიდან, მფლობელობიდან ან პირისგან იმავდროულად რაიმე ნივთის ამოღებასთან. ამოღების და ჩხრეკის ჩატარების დროს თანხმობის შეფასებისას აუცილებელია პირის თანხმობა არა მხოლოდ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, არამედ საგამოძიებო მოქმედების შედეგად ნივთის/ნივთების ამოღებაზე, ვინაიდან აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების მიზანი დასაწყისშივე ნივთის ამოღებაა. უფრო კონკრეტულად, გამომძიებელმა, საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე, პირს, ვისთანაც ატარებს საგამოძიებო მოქმედებას, უნდა განუმარტოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნები, საფუძვლები, და მისი შედეგები. კერძოდ, გამომძიებელმა პირს უნდა აუხსნას, რომ საგამოძიებო მოქმედების მიზანია არა

მხოლოდ ბინაში შესვლა, არამედ ბინიდან მტკიცებულების ამოღება. შესაბამისად, ბინის მესაკუთრემ თანხმობა უნდა განაცხადოს როგორც ბინაში გამოძიებლის შესვლაზე, ისე ბინიდან მტკიცებულების ამოღებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე იქნება პირის თანხმობის გარეშე გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება, რომელსაც საერთო წესით სჭირდება დაკანონება.

- 14.** პირის პოზიცია (თანხმობა ან უარი) დაფიქსირებული უნდა იყოს წერილობით. თანხმობა და უარი გამოძიებლისთვის არის საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებით შემდგომი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა. კერძოდ, თანხმობის მიღების შემთხვევაში, გამოძიებელი ატარებს საგამოძიებო მოქმედებას და ადგენს შესაბამის ოქმს. უარის მიღების შემთხვევაში, გამოძიებელი იღებს გადაწყვეტილებას საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინებით ან განჩინების გარეშე ჩატარების შესახებ. განჩინების გარეშე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადაწყვეტილებას გამოძიებელი იღებს მაშინ, როცა არსებობს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა. აღსანიშნავია, რომ გადაუდებელ აუცილებლობას გამოძიებელი თავისი შეხედულებისამებრ არ აფასებს. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებს ამომწურავად ჩამოთვლის სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი. გადაუდებელია შემთხვევა, როცა:
- დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება;
  - დაყოვნება შეუძლებელს გახდის გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვებას;
  - საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად);
  - არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.
- 15.** მაგალითად, ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექენისთვის ბრალდებულმა „ა“-მ, რომელიც 2015 წლის 20 მაისს, 15:00 საათზე, დააკავეს, ითანამშრომლა გამოძიებასთან და განმარტა, რომ ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ შეიძინა „ბ“-სგან იმავე დღეს, 14:00 საათზე. „ბ“-ს ჰქონდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით „ჰეროინი“, რომლის გასაღებასაც სხვა პირებზე აპირებდა. მოცემულ შემთხვევაში, ნარკოტიკული საშუალების ამოსაღებად აუცილებელია „ბ“-ს პირადი ჩხრეკა. სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვა ჩხრეკის ჩატარების თაობაზე ნებართვის (განჩინების) გასაცემად, გამოიწვევს ნარკოტიკული საშუალების გადაძალვას ან განადგურებას. დაყოვნების შემთხვევაში შეუძლებელი გახდება მისი ამოღება. შესაბამისად, სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა, რადროსაც გამოძიებელი უფლებამოსილია, „ბ“-ს პირადი ჩხრეკა ჩაატაროს მოსამართლის განჩინების გარეშე.
- 16.** საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას შესაძლოა, სახეზე იყოს გადაუდებელი აუცილებლობის ერთი ან ერთდროულად რამდენიმე საფუძველი. პროკურორი ვალდებულია სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვისას დაასაბუთოს თითოეული მათგანი. დაცვის მხარეს არ აქვს უფლება საგამოძიებო მოქმედება გადაუდებელი აუცილებლობით, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩაატაროს.
- 4. დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ**
- 17.** მოქმედი სსსკ-ის ცალკეული მუხლები გადაუდებელი აუცილებლობით საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოძიებლის მიერ დადგენილების გამოტანის აუცილებლობაზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, არსებობს დადგენილების გამოტანა-არგამოტანის არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რაც ბოლო პერიოდში საგამოძიებო მოქმედებების თავში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით უნდა იყოს განპირობებული.
- 18.** სსსკ-ი 2012 წლის 22 ივნისამდე გადაუდებელი აუცილებლობით საგამოძიებო მოქმედების

- ჩატარებისას, ანუ მოსამართლის განჩინების გარეშე საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, გამომძიებლის მიერ დადგენილების გამოტანის აუცილებლობას ითვალისწინებდა. კანონის აღნიშნული რეგულაცია ეხებოდა როგორც ჩხრეკას და ამოღებას, ისე გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით ჩატარებულ ნებისმიერ საგამოძიებო მოქმედებას (დათვალიერებას, საგამოძიებო ექსპერიმენტს და ა.შ.).
- 19.** 2012 წლის 22 ივნისის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა ცვლილება, რის შედეგადაც გაუქმდა გადაუდებელი აუცილებლობით საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამომძიებლის მიერ დადგენილების გამოტანის ვალდებულება. კერძოდ, სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან, 120-ე მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილებიდან, 121-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ამოღებულ იქნა სიტყვა „დადგენილება“, თუმცა 120-ე მუხლის სხვა ნაწილებში სიტყვა „დადგენილება“ დარჩა. აღნიშნულმა გამოიწვია ნორმის არაერთგვაროვანი განმარტება. ერთი განმარტების თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობით საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას აუცილებელი იყო დადგენილების გამოტანა, ხოლო მეორის თანახმად, დადგენილების გამოტანის ვალდებულება არ არსებობდა. შესაბამისად, არაერთგვაროვნად ჩამოყალიბდა საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაც. თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის შემთხვევები, სადაც გადაუდებელი აუცილებლობით საგამოძიებო მოქმედება დადგენილების გამოტანის გარეშე ჩატარდა, ვერ იქნება მიჩნეული სსსკ-ის მოთხოვნათა დარღვევით ჩატარებულად, ვინაიდან დადგენილებასთან დაკავშირებით 2012 წლის 22 ივნისის სსსკ-ში ცვლილების განხორციელების დროს კანონმდებლის მიზანი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძველის მოსპობა არ ყოფილა. თავად დადგენილების დანიშნულებიდან გამომდინარე, მისი ამოღებით კანონმდებელს საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებისთვის საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნის, საფუძველის და შედეგების განმარტების ვალდებულება არ გაუუქმებია. დადგენილების მიზანი საგამოძიებო მოქმედების ოქმით და გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობით მიიღწეოდა. აღნიშნულ დოკუმენტებში აღინიშნებოდა და აღინიშნება, როგორც საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანი და საფუძველი, ისე გადაუდებელი აუცილებლობის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, პირის პოზიცია საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე და ამ გზით მტკიცებულების მოპოვებაზე, გადაუდებელი აუცილებლობის დასაბუთება და ა.შ.
- 20.** 2015 წლის 19 თებერვალს სსსკ-ის 120-ე მუხლში კვლავ განხორციელდა ცვლილება. მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებას დადგენილების გამოტანის საკითხისადმი 2012 წლის 22 ივნისის ცვლილებისგან განსხვავებული რეგულაციები არ დაუნესებია, სასამართლოში კვლავ ჩამოყალიბდა არაერთგვაროვანი პრაქტიკა. კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოთა გარკვეულმა ნაწილმა დადგენილების გამოტანა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების (გარდა დაკავების დროს პირადი ჩხრეკისა) კანონიერად ცნობის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნია.
- 21.** დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით და იმის გათვალისწინებით, რომ სსსკ-ის 120-ე მუხლი სპეციალურია სსსკ-ის 112-ე მუხლთან შედარებით, რომელიც საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზოგად წესს განსაზღვრავს, დადგენილების გამოტანა გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებისას სავალდებულოდ უნდა იქნეს მიჩნეული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაკავებულს გადაუდებელი აუცილებლობით უტარდება პირადი ჩხრეკა.
- 5. გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხები**
- 22.** გადაუდებელი აუცილებლობით საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათში პროკურორი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ. პროკურორი სასამართლოს მიმართავს საგამოძიებო

- მოქმედების ჩატარების ან გამოძიების ადგილის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამგვარ რეგულაციას არ ითვალისწინებდა 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი, რომლის თანახმად, პროკურორი ვალდებული იყო საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შუამდგომლობით მიემართა სასამართლოსთვის, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება. ამგვარი წესი კი ქმნიდა უამრავ პრაქტიკულ პრობლემას. კერძოდ, ერთი მხრივ, სასამართლოსთვის შუამდგომლობით უნდა მიემართა გამოძიებლის უშუალო საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს, ხოლო, მეორე მხრივ, შუამდგომლობა აუცილებლად უნდა შესულიყო სასამართლოში საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილის მიხედვით. მაგალითად, თუ თბილისის შს სამმართველოს გამოძიებელი გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკას ბოლნისში ჩატარებდა, თბილისის შს სამმართველოს საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს შუამდგომლობით უნდა მიემართა ბოლნისის რაიონული სასამართლოსთვის, რაც დროის 24 საათიან მონაკვეთში დიდ პრაქტიკულ სირთულეს ქმნიდა.
23. მოქმედი სსსკ-ის მიხედვით ზემოაღნიშნულ მაგალითზე, თბილისის პროკურორი უფლება-მოსილია შუამდგომლობით მიმართოს როგორც ბოლნისის რაიონულ სასამართლოს (საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილის მიხედვით), ისე თბილისის საქალაქო სასამართლოს (გამოძიების ადგილის მიხედვით).
  24. პრაქტიკაში არ არსებობს ერთგვაროვანი გადაწყვეტა საკითხისა, თუ რას ამონწმებს სასამართლო გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას. საკითხზე მსჯელობის დაწყებამდე მიზანშეწონილია, ამ მხრივ 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის და 2009 წლის 09 ოქტომბრის (მოქმედი) სსსკ-ის შედარება.
  25. 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის 290-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შუამდგომლობით პროკურორი სასამართლოს მიმართავდა „24 საათის განმავლობაში“. მოქმედი საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით კი, პროკურორი სასამართლოს მიმართავს „საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში“. მართალია, 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი პირდაპირ არ მიუთითებდა, თუ საიდან უნდა მომხდარიყო 24-საათიანი ვადის ათვლა, მაგრამ 290-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფორმულირება (ამოღება, ჩხრეკა, საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშეც, გამოძიებლის, პროკურორის დადგენილებით, რის შესახებაც მაგისტრატ მოსამართლეს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, პროკურორმა უნდა აცნობოს 24 საათის განმავლობაში) იძლეოდა განმარტების შესაძლებლობას, რომ პროკურორს სასამართლოსთვის უნდა მიემართა საგამოძიებო მოქმედების დამთავრებიდან არა უგვიანეს 24 საათში.
  26. საგამოძიებო მოქმედების დამთავრებიდან 24 საათში მიმართვის ვალდებულება და 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის 290-ე მუხლის მე-2 ნაწილის ჩანაწერი – „მასალების შემოსვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლო, ამონწმებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას“ – მიუთითებდა იმაზე, რომ სასამართლოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანი იყო საგამოძიებო მოქმედების შედეგი.
  27. აღნიშნულისგან განსხვავებით, მოქმედი სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი იძლევა იმგვარი განმარტების შესაძლებლობას, რომ სასამართლოსთვის შედეგს მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან კანონი პროკურორს უფლებას აძლევს შუამდგომლობა წარადგინოს ჯერ კიდევ მაშინ (საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათში), როცა გამოძიებულს

- არ აქვს დასრულებული საგამოძიებო მოქმედება, ანუ არ აქვს შედგენილი საგამოძიებო მოქმედების შედეგების ამსახველი ოქმი. აღნიშნულზე მიუთითებს სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილის ის ნინადადება, რომელიც პროკურორს სასამართლოსთვის სისხლის სამართლის საქმის იმ მასალების (ან მათი ასლების) გადაცემას ავალდებულებს, რომლებიც საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას ასაბუთებს. ანუ, მოქმედი სსსკ-ის დასახელებული მუხლები, სასამართლოს ავალდებულებს შეამომნ-მოს არსებობდა თუ არა გადაუდებელი აუცილებლობა და ჰქონდა თუ არა გამოძიებელს უფლება მოსამართლის განჩინების გარეშე დაეწყო საგამოძიებო მოქმედება. აღნიშნულზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა შემოიღო წინასასამართლო სხდომა, სადაც სწორედ მტკიცებულებათა დასაშვებობა-დაუშვებლობის საკითხები განიხილება.
- 28.** მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკა განსხვავებულია – სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამომწმებს როგორც გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლის არსებობას, ისე საკითხს, თუ რამდენად კანონიერად ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება და მოხდა მტკიცებულების მოპოვება. ამასთან, ზოგჯერ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მტკიცებულების ამოღების ფაქტს მაშინ, როცა კანონიერების საკითხის შემომწმებისას შესაძლებელია საერთოდ არ იყოს დასრულებული საგამოძიებო მოქმედება და შესაბამისად, სასამართლოს არ ჰქონდეს ინფორმაცია მტკიცებულების ამოღების ფაქტის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ამ უკანასკნელი მიმართულებით არ არსებობს საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა, ძნელია პროგნოზის გაკეთება, თუ როგორ მოიქცევა სასამართლო, თუ მას არ წარედგინება საგამოძიებო მოქმედების შედეგების ამსახველი ოქმი.
- 29.** სასამართლო პრაქტიკის ზემოაღნიშნული მიმართულებით ნასვლა განპირობებული უნდა იყოს სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-6 ნაწილის ფორმულირებით, რომლის თანახმად, „მასალების განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ ან ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ“ და 112-ე მუხლის მე-5 ნაწილის ფორმულირებით, რომლის თანახმად, „მოსამართლე ამომწმებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას“.
- 30.** ანუ სსსკ-ის მუხლების ერთი ნაწილი სასამართლოს მხრიდან მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლის შემომწმების ვალდებულებაზე მიუთითებს, ხოლო მეორე ნაწილი მოსამართლისგან საგამოძიებო მოქმედების კანონიერების და ამ გზით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის შეფასებას მოითხოვს.
- 31.** სასამართლო შუამდგომლობას გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემომწმების შესახებ განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე. მხარე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. აღნიშნული მოიცავს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძვლის შესახებ მტკიცებულებების, საგამოძიებო მოქმედების ამსახველი ოქმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა მასალების წარდგენას, რომლებიც გადაუდებლობის საფუძვლით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას ასაბუთებენ. აღსანიშნავია, რომ სასამართლო უფლებამოსილია, შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენით, მხარეებისა და იმ პირთა მონაწილეობით, რომელთა მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება. მოსამართლე უფლებამოსილია, ასევე განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც ჩაატარა საგამოძიებო მოქმედება. მხარე მაშინ იღებს მონაწილეობას შუამდგომლობის განხილვაში, თუ პირის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა, ვინაიდან სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, მხარე არის ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადოკატი, გამოძიებელი, პროკურორი. პირის მიერ ბრალდებულის

- სტატუსის შექმნა კი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან არის დაკავშირებული.
- 32.** სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ შუამდგომლობების თითქმის 100% ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება. ზეპირი მოსმენით განხილული შუამდგომლობების ანალიზმა კი აჩვენა, რომ სასამართლო შუამდგომლობას ზეპირი მოსმენით მაშინ განიხილავს, როცა ზეპირი მოსმენის გარეშე შეუძლებელია ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევა, რომლებსაც გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ.
- 6. სასამართლოს განჩინების რეკვიზიტები**
- 33.** სსსკ-ის 112-ე მუხლი ჩამოთვლის იმ რეკვიზიტებს, რომლებსაც საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს. ამასთან, აღნიშნული მუხლი ჩამოთვლის არა მხოლოდ ყველა კატეგორიის განჩინებისთვის აუცილებელ ზოგად რეკვიზიტებს, არამედ ჩხრეკა-ამოღების და კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით განხორციელებული გზავნილის დაყადაღების შესახებ განჩინების რეკვიზიტებსაც.
- 34.** კერძოდ, სასამართლოს ნებისმიერი სახის განჩინებაში აღნიშნული უნდა იყოს: მისი შედეგის თარიღი და ადგილი; მოსამართლის გვარი; პირი, რომელმაც მას შუამდგომლობით მიმართა; განკარგულება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, იმის ზუსტი მითითებით, თუ რა არის მისი არსი და ვისზე ვრცელდება ის; განჩინების მოქმედების ვადა; პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს განჩინება; მოსამართლის ხელმოწერა (მათ შორის, ელექტრონული).
- 35.** ჩხრეკის ან ამოღების განჩინებაში აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს: ის უძრავ-მოძრავი ქონება, სადაც ნებადართულია საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, და ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მას ფლობს (თუ მისი ვინაობა ცნობილია); ფიზიკური პირი, რომლის პირადი ჩხრეკაც უნდა ჩატარდეს; ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოსაჩენი და ამოსაღები სავარაუდო საგანი, ნივთი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი და მისი გვარეობითი ნიშნები.
- 36.** გარდა ზემოაღნიშნულისა, ჩხრეკის და ამოღების შესახებ სასამართლოს განჩინებაში აღინიშნება წინააღმდეგობის განვეისას იძულების პროპორციული ზომის გამოყენების უფლება.
- 37.** ჩხრეკის და ამოღების განჩინებას აქვს მოქმედების ვადა. კერძოდ, განჩინება ძალადაკარგულია, თუ ეს საგამოძიებო მოქმედება არ დაწყებულა 30 დღის ვადაში.
- 38.** კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით განხორციელებული გზავნილის დაყადაღების და ამოღების განჩინებაში აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს: იმ პირის სახელი და გვარი, რომელსაც ეგზავნება დასაყადაღებელი გზავნილი; გამგზავნის სახელი და გვარი, მისამართი (თუ ის ცნობილია); დაყადაღებული გზავნილის სახე; ყადაღის დადების ვადა; იმ დანესებულების დასახელება, რომელსაც ევალება დააკავოს გზავნილი; გამოძიებლის უფლება, დაათვალიეროს და ამოიღოს გზავნილი.
- 7. სასამართლოს განჩინების გასაჩივრება**
- 39.** საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ შუამდგომლობას პირველი ინსტანციის წესით განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატის მოსამართლე. კერძოდ, სსსკ-ის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატის მოსამართლის კომპეტენციაა ადამიანის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისა და იძულებით ღონისძიებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანა“. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მაგისტრატის მოსამართლის გადაწყვეტილებაზე საჩივარს განიხილავს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია.
- 40.** გარდა აღნიშნულისა, სსსკ-ის 112-ე მუხლიც ითვალისწინებს სასამართლოს განჩინების ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრების შესაძლებლობას და მიუთითებს განჩინების გასაჩივრების სსსკ-ის 207-ე მუხლით გათვალისწინებულ წესზე. სსსკ-ის 112-ე მუხლი არ განსაზღვრავს გასაჩივრებაზე უფლებამოსილ პირს, თუმცა სსსკ-ის „საჩივრის“



- ზოგადი თავიდან და სსკ-ის 207-ე მუხლიდან შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ ამგვარი უფლებამოსილებით მხოლოდ მხარე სარგებლობს. ამასთან, არა გამოძიებელი, არამედ მხოლოდ პროკურორი, ბრალდებული და მისი ადვოკატი.
41. მხარეს საჩივარი შეაქვს განჩინების გამოტანის სასამართლოში, რომელიც ამ საჩივარსა და მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. მაგალითად, თუ საჩივრდება თბილისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრეტი მოსამართლის გადაწყვეტილება, მხარემ საჩივარი უნდა შეიტანოს თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელიც საჩივარსა და მასალებს დაუყოვნებლივ გადაუგზავნის თბილისის სააპელაციო სასამართლოს. საჩივარს განიხილავს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია. ხოლო თუ საჩივრდება ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მაგისტრეტი მოსამართლის გადაწყვეტილება, მხარემ საჩივარი უნდა შეიტანოს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში, რომელიც საჩივარსა და მასალებს დაუყოვნებლივ გადაუგზავნის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს.
  42. აღსანიშნავია, რომ საჩივარი გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს, კერძოდ, მასში უნდა აღინიშნოს, რა მოთხოვნები დაარღვია პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას და მისი განჩინების რომელი დებულებებია მცდარი. სხვაგვარად საჩივარი ვერ გაივლის დასაშვებობის ტესტს, რაც მისი არსებითად განხილვის შესაძლებლობას გამორიცხავს.
  43. საჩივრის დასაშვებობას ამონიშნავს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე საჩივრის განხილვის საერთო 72-საათიან ვადაში, რის შესახებაც გამოაქვს განჩინება. საჩივრის დასაშვებობის შემონიშნებისას მოსამართლე პირველ რიგში აფასებს საკითხს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, ამასთან, განიხილავს თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად იგივე საკითხები ან გამოიკვლია თუ არა მან არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა გადაწყვეტილების მიღებაზე. საჩივრის განხილვის დღე და დრო გონივრულ ვადაში ეცნობებათ მხარეებს. მართალია, კანონი არ განსაზღვრავს კონკრეტულ ვადას, მაგრამ შეტყობინება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მეორე მხარეს (რომელიც არ არის საჩივრის ავტორი) მიეცეს სააპელაციო სასამართლოში საინააღმდეგო მოსაზრებების წარდგენის საკმარისი შესაძლებლობა.
  44. გასაჩივრება არ აჩერებს განჩინების აღსრულებას, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარე პირველი ინსტანციის სასამართლოს მაგისტრეტი მოსამართლის განჩინების საფუძველზე ატარებს საგამოძიებო მოქმედებას, მიუხედავად იმისა, გაასაჩივრა თუ არა მეორე მხარემ მოსამართლის განჩინება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. თუ სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა სსკ-ის მოთხოვნათა დარღვევას საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას და ამ მოტივით გააუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, ამ გზით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობა-დაუშვებლობის საკითხი შეფასდება სისხლის სამართლის პროცესის შემდგომ ეტაპზე საერთო წესით.
  45. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, საჩივრის და მასალების მიღებიდან არა უგვიანეს 72 საათისა. მოსამართლე უფლებამოსილია საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. მსგავსად პირველი ინსტანციის სასამართლოსი, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ განხილულ საჩივართა თითქმის 100% ზეპირი მოსმენის გარეშეა განხილული.
  46. ადამიანის კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვისა და იძულებით ღონისძიებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### მუხლი 113. გამოკითხვის წესი

1. ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოკითხულ იქნეს მხარეთა მიერ. დაუშვებელია გამოსაკითხი პირი აიძულონ, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია.
2. გამოსაკითხ პირს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით, თავის წინააღმდეგ არ გასცეს ინფორმაცია და აღნიშნული უფლებების შესახებ განმარტება მიიღოს გამოკითხვის დაწყებამდე.
3. გამოკითხვის წინ უნდა დადგინდეს გამოსაკითხი პირის ვინაობა და სხვა აუცილებელი ინფორმაცია. ეს ინფორმაცია უნდა აღინიშნოს გამოკითხვის ოქმში.

1. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მანძილზე მხარეებს აქვთ უფლება ნებაყოფლობით გამოკითხონ ნებისმიერი პირი, ვინც შეიძლება ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. ასეთი სახით გამოკითხული პირი არ იქნეს მოწმის სტატუსს, რადგან არ ხდება მისი გაფრთხილება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. გამოკითხვის ოქმი წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ გამოკითხული პირი დაკითხულ იქნეს მოწმის სახით. გამოკითხვის დროს დაუშვებელია, რომ გამოსაკითხი პირი აიძულონ, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია.
2. გამოკითხვის დროს, მიუხედავად იმისა, რომ არ ხდება პირის გაფრთხილება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, გამოსაკითხ პირს უფლება აქვს არ მისცეს ინფორმაცია საკუთარი თავის წინააღმდეგ, ასევე აქვს უფლება საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით. მნიშვნელოვანია, რომ გამოსაკითხ პირს გამოკითხვის დაწყებამდე მიეცეს განმარტება ამ უფლებების შესახებ, რათა მან შეძლოს სურვილის შემთხვევაში მისთვის მინიჭებული უფლებების რეალიზება.
3. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მხარეს გამოკითხვის დაწყებამდე ევალება დაადგინოს გამოსაკითხი პირის ვინაობა და სხვა აუცილებელი ინფორმაცია, რაც უნდა აღინიშნოს გამოკითხვის ოქმში. თუ რა იგულისხმება სხვა აუცილებელ ინფორმაციაში, კანონი არ შეიცავს მითითებას ამასთან დაკავშირებით, აღნიშნული ინფორმაციის შერჩევა და მითითება დამოკიდებულია თავად მხარეზე, რომელიც გამოკითხვას აწარმოებს. მთავარია, რომ ოქმში აღნიშნული იყოს ის მინიმალური მონაცემი, რომელთა აღნიშვნის ვალდებულება კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.

### მუხლი 114. გამოძიების დროს დაკითხვის წესი

1. გამოძიების სტადიაზე მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატის მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაკითხულ იქნეს პირი, თუ:
  - ა) არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის დაკითხვას საქმის არსებითი განხილვის დროს;
  - ბ) იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას;
  - გ) საქმის სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება საჭიროებს არაგონივრულ ძალისხმევას;
  - დ) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.
2. ამ მუხლით გათვალისწინებული წესით მაგისტრატის მოსამართლის წინაშე ჩვენების მიცემა სავალდებულოა და მასზე უარის თქმა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.
3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დასაკითხ პირს იძახებენ სასამართლო უწყებით. დაკითხვა მიმდინარეობს მხარეთა მონაწილეობით. მეორე მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს დაკითხვის წარმოებას.

4. მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, მხარის დასაბუთებული შუამდგომლობითა და მოსამართლის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაკითხვა წარმოებულ იქნეს მეორე მხარის წინასწარ ინფორმირებისა და დასწრების გარეშე. ასეთ შემთხვევაში მოწმის მიერ მიცემული ჩვენება საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ შესაძლებელია მისი ხელახალი დაკითხვა.

5. მოწმე უნდა დაიკითხოს შუამდგომლობის დაყენებიდან გონივრულ ვადაში. შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოწმე არ იკითხება.

6. გამოძიების სტადიაზე დასაკითხი პირის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრრატი მოსამართლის წინაშე შეიძლება ასევე დაკითხულ იქნეს პირი, თუ:

ა) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების, ინდივიდუალური შეთანხმების ანდა ნაცვალ-გების პირობების საფუძველზე შემოსულია უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ;

ბ) დასაკითხი პირი გამოძახებულია „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

7. ამ მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ გამოიყენება ამავე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესი.

1. **1. ნორმის მიზანი:** ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს როგორც მინიმუმ, შემდეგი უფლებები პირადად ან სხვების მეშვეობით დაკითხოს ბრალდების მოწმეები და ჰქონდეს უფლება, რომ გამოიძახოს და დაჰკითხოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეებთან თანაბარ პირობებში („ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია“, მე-6 მუხლის მე-3 (დ) პუნქტი).
2. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად, მისთვის წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება, როგორც მინიმუმ მიიღოს შემდეგი გარანტიები სრული თანასწორობის საფუძველზე: პირადად ან სხვების მეშვეობით დაჰკითხოს ბრალდების მოწმეები და ჰქონდეს უფლება, რომ გამოიძახონ და დაჰკითხონ დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეებთან თანაბარ პირობებში („სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“, მე-14 მუხლის მე-3 (ე) პუნქტი).
3. 1998 წლის 31 დეკემბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დღეს მოქმედი სისხლის სამართლის პროცესისაგან განსხვავებულად აწესრიგებდა გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვას. 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად (305 მუხლი), პირის მოწმის სახით დაკითხვას ახდენდა გამომძიებელი და დაკითხვის ოქმი წარმოადგენდა მტკიცებულებას. დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვას ითვალისწინებს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, მაშინ, როდესაც საჭირო ხდება მოწმის ჩვენების დეპონირება. სხვა შემთხვევაში კი მოწმე იკითხება სასამართლო სხდომაზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 24-ე პუნქტის შესაბამისად, მოწმის ჩვენება არის მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. ნორმის მიზანია გამოძიების ეტაპზე დაკითხვის წესის განსაზღვრა.
4. **2. გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვა.** გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვა ხდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. მოწმე იკითხება სასამართლოში მაგისტრრატი მოსამართლის (იქ, სადაც არ არის მაგისტრრატი მოსამართლე რაიონული და საქალაქო სასამართლოს მოსამართლის) წინაშე. მხარემ პირის მოწმის სახით დაკითხვის თაობაზე უნდა მიმართოს სასამართლოს გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფელის მიხედვით. პირი გამოძიების სტადიაზე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს შემდეგი გარემოებების არსებობისას:

- არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის დაკითხვას საქმის არსებითი განხილვის დროს.
  - იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას.
  - საქმის სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება საჭიროებს არაგონივრულ ძალისხმევას.
  - ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.
5. სწორედ აღნიშნული გარემოებების არსებობა განაპირობებს მოწმის დაკითხვას გამოძიების სტადიაზე. მხარე, იქნება ეს ბრალდების თუ დაცვის, თავად იღებს გადაწყვეტილებას მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით მოწმის გამოძიების ეტაპზე დაკითხვის მოთხოვნით. მაგალითად, თუ მოწმე დაავადებულია ისეთი დაავადებით, რომ არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების საფრთხე, რის გამოც შეიძლება ხელი შეეშალოს საქმის არსებითი განხილვის დროს მის დაკითხვას, ასეთ შემთხვევაში მხარემ უნდა მიმართოს სასამართლოს ამ პირის მოწმის სახით დაკითხვის მოთხოვნით. შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს დოკუმენტები, რაც დაადასტურებს იმას, რომ მოწმის სახით დასაკითხი პირი ფლობს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას და ასევე დოკუმენტი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. სხვა გარემოებების არსებობის დროს კი წარდგენილ უნდა იქნეს დოკუმენტი, რაც დაადასტურებს იმას, რომ პირი დიდი ხნით მიემგზავრება და საქმის არსებითი განხილვის დროს არ იქნება საქართველოში. ასევე, დოკუმენტები, რაც დაადასტურებს გამოძიების სტადიაზე პირის მოწმის სახით დაკითხვის აუცილებლობას, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც პირის დაკითხვა მოთხოვნილია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებით, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შუამდგომლობას დაერთოს დოკუმენტი, რაც დაადასტურებს პირის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებას.
6. გამოძიების სტადიაზე პირის დაკითხვა უნდა განხორციელდეს ყველა იმ წესის დაცვით, რაც გათვალისწინებულია მოწმის დაკითხვისათვის. მაგისტრატის სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემა სავალდებულოა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. დასაკითხ პირს იძახებენ სასამართლო უწყებით. პირის დაკითხვა უნდა მოხდეს მხარეთა მონაწილეობით, რომელთაც კანონით დადგენილი წესით უნდა ეცნობოთ პირის დაკითხვის დროის თაობაზე, თუმცა მეორე მხარის (მხარე, რომელიც არ არის შუამდგომლობის ავტორი) გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს დაკითხვის წარმოებას.
7. ზოგ შემთხვევაში მხარის შუამდგომლობის საფუძველზე პირის დაკითხვა შესაძლებელია განხორციელდეს მეორე მხარის ინფორმირებისა და დასწრების გარეშე. ასეთი შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა გამომდინარეობდეს მართლმსაჯულების ინტერესებიდან. თუმცა გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, დაკითხულ იქნეს თუ არა პირი მეორე მხარის ინფორმირებისა და მონაწილეობის გარეშე, იღებს სასამართლო. ასეთი წესით დაკითხული მოწმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ საქმის არსებითი განხილვისას შესაძლებელია ამ პირის ხელახალი დაკითხვა.
8. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 „დ“ პუნქტთან დაკავშირებულ ყველა საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ ყველა მტკიცებულების წარდგენა უნდა მოხდეს ბრალდებულის თანდასწრებით საჯარო განხილვაზე შეჯიბრობითი მსჯელობის უზრუნველსაყოფად. აქ უპირველესად იგულისხმება სისხლის სამართლის პროცესი. მტკიცებულება „ცოცხლად“ უნდა იქნეს წარდგენილი იმ ორგანოს წინაშე, რომელსაც ევალება საქმის შეფასება და ფაქტების დადგენა, ეს განსაკუთრებით ეხება მოწმის ჩვენებას. დაცვას უნდა მიეცეს მოწმის ღია სასამართლო პროცესზე დაკითხვის შესაძლებლობა. თუმცა, ამ გზით ჩვენების წაკითხვა თავისთავად არ შეიძლება ჩაითვალოს მე-6 მუხლის მე-3 „დ“ პუნქტის და პირველი პუნქტის დარღვევად.

- ამ ორი განცხადების „შერიგების“ მიზნით მეორე უნდა ჩაითვალოს გამოჩვენებულად, რაც დამაჯერებელ დასაბუთებას საჭიროებს.<sup>411</sup>
9. გამოძიების სტადიაზე მოწმის სახით პირის დაკითხვა უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადებში. ვადის განსაზღვრისას პირველ რიგში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომლის არსებობის გამოც ხდება მოწმის დაკითხვა გამოძიების სტადიაზე. მაგალითად, თუ პირი იკითხება იმის გამო, რომ იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას, ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს დრო, რომლის განმავლობაშიც პირმა უნდა დატოვოს საქართველო. თუ პირი ქვეყანას ტოვებს შუამდგომლობის აღძვრიდან მე-10 დღეს, ასეთ შემთხვევაში იგი დაკითხულ უნდა იქნეს მის გამგზავრებამდე. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ მეორე მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს მოწმის დაკითხვას, რასაც ვერ ვიტყვით შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობაზე. შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოწმე არ იკითხება. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ გამოძიების სტადიაზე სასამართლოს მიერ მოწმის დაკითხვა ხდება გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფელის მიხედვით.
  10. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის თანახმად, წინასწარი გამოძიებისას მოწმის დაკითხვა წარმოებს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, გარდა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დისტანციური დაკითხვისა, რა დროსაც მოქმედებს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
  11. **3. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მოწმის დაკითხვა.** კანონი განსაზღვრავს ასევე პირის ადგილსამყოფელის მიხედვით დაკითხვის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების, ინდივიდუალური შეთანხმების ანდა ნაცვალგების პირობების საფუძველზე შემოსულია უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ და დასაკითხი პირი გამოძახებულია „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.
  12. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი მოწმის, ექსპერტის ან დაზარალებულის აუდიო- ან ვიდეო-საშუალებების გამოყენებით დაკითხვა. ასეთ დროს დასაკითხი პირის გამოძახება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო პირის უშუალო დაკითხვას აწარმოებს შესაბამისი უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს წარმომადგენელი ან მისი მითითებით საქართველოს კომპეტენტური ორგანოს უფლებამოსილი პირი. გარდა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით პირის დაკითხვისა, ასევე შესაძლებელია გამოძიების სტადიაზე მაგისტრაცი მოსამართლის წინაშე დაიკითხოს პირი, რომლის დაკითხვის მოთხოვნითაც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების, ინდივიდუალური შეთანხმების ანდა ნაცვალგების პირობების საფუძველზე შემოსულია უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობა. ასეთ შემთხვევაში პირი მაგისტრატ მოსამართლეს წარედგინება საქართველოში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. უცხო სახელმწიფოდან შემოსული სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობა სრულდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად („სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი მე-11).
  13. გამოძიების სტადიაზე მაგისტრაცი მოსამართლის წინაშე ასევე შეიძლება დაკითხულ იქნეს პირი, თუ დასაკითხი პირი გამოძახებულია „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დადგენილი წესის

<sup>411</sup> იხ., ტრეჟელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, 318.

შესაბამისად. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი თანახმად, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას, გამოძიებელი, პროკურორი ან სასამართლო უფლებამოსილი არიან წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით მოითხოვონ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი ბრალდებულის, მონმის, ექსპერტის ან დაზარალებულის გამოძახება. გამოძახება ხდება უწყების საფუძველზე, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის ფორმით, რომელიც ეგზავნება უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს.

14. ასეთი წესით გამოძახებულ მონმეს, ექსპერტსა და დაზარალებულს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უნდა აუნაზღაურდეთ ყველა ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მათ მგზავრობასა და საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნასთან, ასევე ძირითადი სამუშაოდან მოცდენასთან. გამოძახებულ ექსპერტს დამატებით აუნაზღაურდება ყველა ის ხარჯი და გასამრჯელო, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ საექსპერტო საქმიანობის განხორციელებასთან.
15. მონმის, ექსპერტის ან დაზარალებულის გამოძახების შესახებ უწყებაში ან სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობაში მიეთითება იმ ხარჯების ოდენობა, რომლებიც გამოცხადების შემთხვევაში უნდა აუნაზღაურდეს გამოძახებულ პირს. მონმის, ექსპერტის ან დაზარალებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მათ მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სსსკ-ით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიება. ამასთან, მონმე, ექსპერტი და დაზარალებული არ არიან ვალდებული მისცენ ჩვენება სასამართლოს. მათ უფლება აქვთ უარი თქვან ჩვენების მიცემაზე. ჩვენების მიცემაზე უარის თქმაც არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

## მუხლი 115. დაკითხვის ზოგადი წესი

1. დაკითხვის დაწყებამდე სასამართლო ადგენს მონმის ვინაობას. სასამართლო ფიცის დადების შემდეგ მონმეს განუმარტავს უფლება-მოვალეობებს, რა საქმეზეა გამოძახებული, რომ ვალდებულია თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით, და აფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, ასევე განუმარტავს, რომ იგი ვალდებული არ არის, მისცეს დანაშაულის ჩადენაში თავისი ან ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენება. სასამართლო ასევე ადგენს, რა დამოკიდებულება აქვს მონმეს ბრალდებულთან და დაზარალებულთან.
2. დაკითხვის დაწყებისთანავე მონმის ინიციატორმა მხარემ მონმეს უნდა შესთავაზოს, თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით. პასუხის გაცემისას მისი შეწყვეტინება დაუშვებელია, მაგრამ თუ დასაკითხი პირი საუბრობს იმ გარემოებებზე, რომლებიც აშკარად არ ეხება საქმეს, მოსამართლეს მხარის შუამდგომლობით შეუძლია მისი შეჩერება. ამის შემდეგ დასაკითხ პირს მისი ჩვენების შევსებისა და დაზუსტების მიზნით შეიძლება დაკითხვის ინიციატორმა დაუსვას შეკითხვები ამ კოდექსის 244-ე მუხლის შესაბამისად. პირდაპირი დაკითხვის დამთავრების შემდეგ მონმისაღმდეგ მხარე უფლებამოსილია აწარმოოს მონმის ჯვარედინი დაკითხვა ამ კოდექსის 245-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.
3. მონმე შეიძლება დაკითხოს მხოლოდ იმ გარემოების შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის.
4. ნასამართლობის შესახებ შეკითხვა მონმეს შეიძლება დაესვას, თუ ის საჭიროა მონმის სანდოობის დადგენისათვის.
5. თუ მონმეს უჭირს სიტყვიერად აღწეროს მოვლენა, რომლის თვითმხილველიც იგი იყო, მას შეუძლია თავისი ჩვენება ჩამოაყალიბოს სხვა ნიშნობრივი ფორმით, სახელდობრ, ნახაზის, სქემის, ჩანახატის ან სხვა ამგვარი სახით.

6. დაკითხვისას მონმეს შეუძლია გამოიყენოს დოკუმენტი, ჩანაწერი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

7. მხარეებს შეუძლიათ დასაკითხ პირს მოსთხოვონ დოკუმენტი, ჩანაწერი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელსაც იგი იყენებდა დაკითხვისას, ხოლო შემონმების შემდეგ დაუბრუნონ მას ან დაურთონ საქმეს.

8. დაკითხვისას მხარეებს შეუძლიათ მონმეს წარუდგინონ საქმეზე დართული საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

1. **ნორმის მიზანი:** მონმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მონმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. მონმის დაკითხვა ხდება სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით (სსსკ, მე-3 მუხლის მე-20 პუნქტი).
2. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ მტკიცებულება, განსაკუთრებით მონმის ჩვენება, შესაძლოა გახდეს მრავალი შეცდომის წყარო. ეს შეიძლება მოხდეს ფაქტებზე დაკვირვებისას ან შემდგომში სამართალწარმოების დროს. ფაქტები შეიძლება დამახინჯდეს მათი დამახსოვრებისას ან არასწორად იქნეს განმარტებული მათი გახსენების მომენტში. გარდა ამისა, ჩანაწერი შეიძლება არ იყოს ბოლომდე ზუსტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მონმის დაკითხვის წესის იმდაგვარად განსაზღვრა, რომ მხარეებს მიეცეთ მისი თანასწორ პირობებში დაკითხვის შესაძლებლობა, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ მონმემ სრულად გადმოსცეს ის ფაქტები, რაც მან ნახა. სწორედ, მონმის დაკითხვის წესს განსაზღვრავს აღნიშნული ნორმა.
3. **მონმის დაკითხვის წესი.** დაკითხვის დაწყებამდე სასამართლომ უნდა დადგინოს მონმის ვინაობა, რის შემდეგაც მონმეს განუმარტავს ფიცის მნიშვნელობას. რის შემდეგაც მონმე დებს ფიცს. ფიცის დადების შემდეგ მონმეს სასამართლო განუმარტავს უფლება-მოვალეობებს. ეკითხება, იცის თუ არა მონმემ რა საქმეზეა გამოძახებული. განუმარტავს, რომ ვალდებულია თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით და აფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, ასევე განუმარტავს, რომ იგი ვალდებული არ არის, მისცეს დანაშაულის ჩადენაში თავისი ან ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენება. სასამართლო ასევე ადგენს, რა დამოკიდებულება აქვს მონმეს ბრალდებულთან და დაზარალებულთან.
4. ზემოთ აღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ მონმის დაკითხვას იწყებს მხარე, რომლის ინიციატივითაც არის მონმე მიწვეული სასამართლო სხდომაზე, მხარე სთავაზობს მონმეს თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით. პასუხის გაცემისას მონმის შეჩერება დაუშვებელია, მაგრამ თუ დასაკითხი პირი საუბრობს იმ გარემოებებზე, რომლებიც აშკარად არ ეხება საქმეს, მოსამართლეს შეუძლია მხარის შუამდგომლობით მისი შეჩერება. ამის შემდეგ დასაკითხ პირს მისი ჩვენების შევსებისა და დაზუსტების მიზნით შეიძლება დაკითხვის ინიციატორმა დაუსვას შეკითხვები ამ კოდექსის 244-ე მუხლის შესაბამისად (იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის კომენტარი). პირდაპირი დაკითხვის დამთავრების შემდეგ მონინაალმდევე მხარე უფლებამოსილია აწარმოოს მონმის ჯვარედინი დაკითხვა ამ კოდექსის 245-ე მუხლით გათვალისწინებული წესით (იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის კომენტარი). მონმე შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ იმ გარემოების შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. სასამართლობის შესახებ შეკითხვა მონმეს შეიძლება დაესვას, თუ ის საჭიროა მონმის სანდოობის დადგენისათვის.
5. თუ მონმეს უჭირს სიტყვიერად აღწეროს მოვლენა, რომლის თვითმხილველიც იგი იყო, მას შეუძლია თავისი ჩვენება ჩამოაყალიბოს სხვა ნიშნობრივი ფორმით, სახელდობრ, ნახა-

ზის, სქემის, ჩანახატის ან სხვა ამგვარი სახით. დაკითხვისას მოწმეს შეუძლია გამოიყენოს დოკუმენტი, ჩანაწერი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. მხარეებს შეუძლიათ დასაკითხ პირს მოსთხოვონ დოკუმენტი, ჩანაწერი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელსაც იგი იყენებდა დაკითხვისას, ხოლო შემონმების შემდეგ დაუბრუნონ მას ან დაურთონ საქმეს.

6. დაკითხვისას მოწმის ჩვენების საანდობის შემონმების მიზნით მხარეებს შეუძლიათ მოწმეს წარუდგინონ საქმეზე დართული ის საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომლის თაობაზეც მოწმე ფლობს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

## **მუხლი 116. არასრულწლოვნის დაკითხვა ამოღებულია (12.06.2015 №3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)**

1. არასრულწლოვანი შეიძლება დაკითხოს იმ შემთხვევაში, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია.

2. არასრულწლოვნის დაკითხვა ტარდება კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქოლოგის დასწრებით. თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმე ან მსხვერპლია, მისი დაკითხვისას შეიძლება განხორციელდეს აუდიო- ან ვიდეოჩანაწერა. სასამართლო სხდომაზე შესაძლებელია არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების აუდიო- ან ვიდეო ჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება). (11.12.2013. №1729 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

3. 14 წლამდე პირის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და დასწრებით; მას უფლება აქვს, გამოთქვას თავისი მოსაზრება და სასამართლოს ნებართვით დააზუსტოს დასმული შეკითხვა. 14 წლამდე მოწმეს განუმარტავენ მის მოვალეობას, თქვას მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების და არსებითად ურთიერთსაინააღმდეგო ჩვენებების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე.

4. თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმე ან მსხვერპლია, დაკითხვითა რაოდენობა შეძლებისდაგვარად შეზღუდული უნდა იყოს და განპირობებული უნდა იყოს სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მიღწევის აუცილებლობით. (11.12.2013. №1729 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. **ნორმის მიზანი:** არასრულწლოვანს პროცესის ყველა სტადიაზე განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი ასაკი და რესოციალიზაციის განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი, ასევე მისი ხელახალი აღზრდისათვის ხელის შეწყობის აუცილებლობა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისას მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ბავშვები მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების დონით და ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებებით განსხვავდებიან სრულწლოვნებისაგან. სწორედ საუკეთესო ინტერესების დაცვის პირინციპს შეიცავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 116-ე მუხლი, რომელიც ადგენს არასრულწლოვანის დაკითხვის სპეციალურ წესებს. აღნიშნული წესი თანაბრად ვრცელდება სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე როგორც არასრულწლოვანი დაზარალებულის და მოწმის მიმართ, ასევე კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მიმართაც.

2. **დაკითხვის წესი.** არასრულწლოვანია პირი, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია (სსსკ-ის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი). იმისთვის, რომ ჩვენება ჩაითვალოს კომპეტენტურად, მოწმეს, როგორც წესი, მოეთხოვება შემდეგი: ადეკვატური ცოდნა და უნარი დაიმახსოვროს ინფორმაცია; მოვლენების ადეკვატურად შეფასება და ამ მოვლენებთან დაკავშირებული



- ინფორმაციის სწორად გადმოცემა; სიმართლესა და ტყუილს შორის განსხვავების ცოდნა; სიმართლის თქმის მნიშვნელობის გააზრება და ტყუილის თქმის პოტენციური შედეგების აღქმა. არ შეიძლება არასრულწლოვნის დაკითხვა, თუ მას არ შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.
3. კანონი არ განსაზღვრავს იმ მინიმალურ ასაკს, რომლის მიღწევის შემდეგაც შესაძლებელია არასრულწლოვნის დაკითხვა.
  4. არასრულწლოვნის დაკითხვა უნდა ჩატარდეს კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქოლოგის დასწრებით. პეკინური წესები განსაზღვრავს, რომ მშობელი ან მეურვე უნდა იყოს უფლებამოსილი, მონაწილეობა მიიღოს პროცედურებში. ბავშვის უფლებათა კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა მაქსიმალურად უნდა ჩართონ და მონაწილეობა მიაღებინონ მშობლებს და მეურვეებს ბავშვის წინააღმდეგ წარმართულ სამართლებრივ პროცედურებში. ამ მონაწილეობამ ხელი უნდა შეუწყოს ეფექტური პასუხის ჩამოყალიბებაში, ბავშვის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევისას.
  5. კანონი განსაზღვრავს არასრულწლოვანი მონმის ჩვენების აუდიო ან ვიდეოჩანწერის განხორციელების შესაძლებლობას, თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმე ან მსხვერპლია და სასამართლო სხდომაზე შესაძლებელია არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების აუდიო- ან ვიდეოჩანწერის მოსმენა (დემონსტრირება). სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის საქმეებზე მონმის ან მსხვერპლის დაკითხვის აუდიო-ვიდეოჩანწერა განპირობებულია სასამართლო სხდომაზე დაკითხვის თავისებურებებით. სასამართლო ბევრი ზრდასრული ადამიანისათვისაც კი წარმოადგენს საშიშ გარემოს და ბავშვისათვის ეს კიდევ უფრო საშიში ადგილია. ამას ემატება ისიც, რომ სასამართლოში ბავშვებს უწევთ იმ ადამიანებთან დაპირისპირება, ვინც მათ ტკივილი მიაყენა ან ჩაიდინა დანაშაული, რომლის მოწმეც გახდა ბავშვი. ამავე დროს დაზარალებული ან მოწმე ბავშვი, რომელიც გამოძახებულია სასამართლოში, იძულებულია ისაუბროს ფორმალურად ჩაცმული ზრდასრული ადამიანების წინაშე იმ საშიში ან უხერხული დეტალების ძალადობრივი ან სექსუალური აქტის შესახებ, რომელიც მათ განიცადეს, ან რომლის მოწმენიც გახდნენ. ყოველივე ამან შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის მიერ საუკეთესო მტკიცებულების მიცემისაგან თავშეკავება, სწორედ ამ გარემოებით არის განპირობებული, ის რომ მოხდეს დაკითხვის აუდიო და ვიდეო ჩანწერა და მისი დემონსტრირება სასამართლო სხდომაზე.
  6. 14 წლამდე პირის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და დასწრებით. კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, გამოთქვას თავისი მოსაზრება და სასამართლოს ნებართვით დააზუსტოს დასმული შეკითხვა.
  7. ჩვეულებრივ მოწმეს სასამართლოში აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე. გაფრთხილების პროცედურა ხაზს უსვამს პროცედურის სერიოზულობას, სიმართლის მნიშვნელობას და განსაზღვრავს, რომ ტყუილის თქმა დასჯადი ქმედებაა. აღნიშნული წესისაგან გამონაკლისს წარმოადგენს 14 წლამდე არასრულწლოვანი მოწმე, რომელსაც არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, თუმცა განუმარტავენ მის მოვალეობას, თქვას მხოლოდ სიმართლე.
  8. კანონი ზღუდავს სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმე ან მსხვერპლი არასრულწლოვანის მრავალჯერ დაკითხვას და მიუთითებს, რომ ასეთ დაკითხვათა რაოდენობა შეძლებისდაგვარად შეზღუდული უნდა იყოს და განპირობებული უნდა იყოს მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მიღწევის აუცილებლობით. აღნიშნული განპირობებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

### მუხლი 117. ყრუ-მუნჯისა და მძიმედ დაავადებულის დაკითხვა

1. ყრუ-მუნჯის დაკითხვა ტარდება შესაბამისი ცოდნის მქონე თარჯიმნის მონაწილეობით. თუ დასაკითხი პირი ყრუა, მისთვის შეკითხვების დასმა შეიძლება წერილობით, ხოლო თუ ის მუნჯია, მას შეუძლია შეკითხვებზე პასუხები წერილობით გასცეს.

2. მძიმედ დაავადებულის დაკითხვა ტარდება ექიმის ნებართვით და საჭიროების შემთხვევაში მისი დასწრებით.

1. **ნორმის მიზანი:** ნორმის მიზანი არის ყრუ-მუნჯისა და მძიმედ დაავადებული პირის დაკითხვის წესის განსაზღვრა.
2. ყრუ-მუნჯის დაკითხვა ტარდება შესაბამისი ცოდნის მქონე თარჯიმნის მონაწილეობით. თუ დასაკითხი პირი ყრუა, მისთვის შეკითხვების დასმა შეიძლება წერილობით, ხოლო თუ ის მუნჯია, მას შეუძლია შეკითხვებზე პასუხები წერილობით გასცეს.
3. მძიმედ დაავადებულის დაკითხვა ტარდება ექიმის ნებართვით და საჭიროების შემთხვევაში მისი დასწრებით.

### მუხლი 118. მოწმის დაკითხვა საქმის არსებითი განხილვის დროს

1. ბრალდების მოწმის დაკითხვას იწყებს ბრალდების მხარე, აგრძელებს დაცვის მხარე და პირიქით.

2. მოწმე უნდა დაკითხოს იმ მოწმეთაგან განცალკევებით, რომლებიც ჯერ არ დაკითხულან. ამასთანავე, სასამართლო იღებს ზომებს, რათა ერთ საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ. დაკითხვის დასრულების შემდეგ მოსამართლემ უნდა განუმარტოს მოწმეს სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება.

3. არ დაკითხება ის მოწმე, რომელიც იმ მომენტში ვერ წარდგება სასამართლოს წინაშე ამ კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების გამო. ასეთ შემთხვევაში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ქვეყნდება მისი წინასასამართლო ჩვენება. ეს ჩვენება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდება პირის ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით.

1. **ნორმის მიზანი:** სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის საფუძველზე. მოწმე არის ნებისმიერი პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ (სსსკ., მე-3 მუხლის მე-20 პუნქტი). მოწმის ჩვენება არის სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია. სასამართლოში მოწმის წარდგენის უფლება აქვს როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარეს. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს სასამართლოში მოწმის დაკითხვის წესს.

2. **არსებითი განხილვის დროს მოწმის დაკითხვის წესი.** ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მოწმეს სასამართლო სხდომაზე თავდაპირველად დაჰკითხავს ბრალდების მხარე, რომელიც მის მიერ გამოძახებული მოწმის პირდაპირ დაკითხვას აწარმოებს, ხოლო შემდეგ კი ბრალდების მოწმის დაკითხვას აგრძელებს დაცვის მხარე, რომელიც აწარმოებს ბრალდების მოწმის ჯვარედინ დაკითხვას. დაცვის მხარის მიერ გამოძახებულ მოწმეს თავდაპირველად დაჰკითხავს დაცვის მხარე პირდაპირი დაკითხვის წესით, ხოლო შემდეგ კი დაცვის მოწმის დაკითხვას აგრძელებს ბრალდების მხარე ჯვარედინი დაკითხვის წესით (იხ., სსსკ-

ის 244-246 მუხლები).<sup>412</sup>

3. მონმე უნდა დააკითხოს იმ მონმეთაგან განცალკევებით, რომლებიც ჯერ არ დააკითხულან. სასამართლომ უნდა მიიღოს ზომები, რათა ერთ საქმეზე გამოძახებულ მონმეებს დააკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ. მონმე დააკითხვამდე არ უნდა იყოს სასამართლო სხდომის დარბაზში, მან სასამართლოს ჩვენება უნდა მისცეს მხოლოდ იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მისთვის არის ცნობილი. იმისათვის, რომ მონმე არ მოექცეს პროცესის რომელიმე მონაწილის ჩვენების გავლენის ქვეშ, მნიშვნელოვანია, რომ იგი დააკითხვამდე არ იქნეს დაშვებული სასამართლო სხდომის დარბაზში და მას ურთიერთობა არ ჰქონდეს სხვა მონმეებთან. დაკითხვის შემდეგ მონმეს შეუძლია დარჩეს სასამართლო სხდომის დარბაზში, რის შესახებაც დაკითხვის დასრულების შემდეგ მას უნდა განუმარტოს მოსამართლემ.
4. **დებონირებული ჩვენება.** თუ საქმის არსებითი განხილვის დროს სასამართლოს ვერ წარედგინა მონმე, რომელს ჩვენებაც დებონირებულია სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხის ან დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების გამო, არსებითი განხილვის სხდომაზე ქვეყნდება ამ მონმის წინასასამართლო ჩვენება. მხოლოდ მონმის ეს ჩვენება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდება პირის ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით.

### მუხლი 119. ამოღებისა და ჩხრეკის მიზანი და საფუძველი

1. დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.
  2. ჩხრეკის ჩატარება შეიძლება აგრეთვე ძებნილისა და გვამის აღმოსაჩენად.
  3. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი შეიძლება ამოღებულ იქნეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის.
  4. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოსაღებად ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა.
1. სსსკ-ის 119-ე მუხლი განსაზღვრავს ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების მიზნებსა და საფუძვლებს. ორივე საგამოძიებო მოქმედების მიზანია სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოღება, თუმცა განსხვავებულია მათი ჩატარების საფუძვლები.
  2. კერძოდ, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი შეიძლება ამოღებულ იქნეს საგამოძიებო მოქმედების – ამოღების ჩატარების გზით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის.
  3. მაგალითად, გამომძიებლისთვის ცნობილია, რომ ყალბი სანოტარო ხელშეკრულების დედანი ინახება კონკრეტულ ნოტარიუსთან. დოკუმენტის ამოსაღებად გამომძიებელმა უნდა ჩაატაროს ამოღება.
  4. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა, გამომძიებელი ატარებს ჩხრეკას.

<sup>412</sup> იხ., დამატებით სსსკ-ის 244-246 მუხლების კომენტარი.

5. მაგალითად, გამოძიებლისთვის ცნობილია, რომ „ა“ საცხოვრებელ ბინაში უკანონოდ ინახავს ცეცხლსასროლ იარაღს, თუმცა მისთვის უცნობია იარაღის შენახვის კონკრეტული ადგილი (მისაღები ოთახი, საძინებელი ოთახი, სხვენი, სარდაფი და ა.შ.). გამოძიებელი იღებს ჩხრეკის ჩატარების გადაწყვეტილებას, რომლის მიზანს სწორედ ცეცხლსასროლი იარაღის მოძებნა და ამოღება წარმოადგენს.
6. აღსანიშნავია, რომ 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის მიხედვით, ამოღებისა და ჩხრეკის განმასხვავებელ ნიშანს საგამოძიებო მოქმედების ნებაყოფლობითი ხასიათი წარმოადგენდა. კერძოდ, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ნივთის ნებაყოფლობით გადმოცემის შემთხვევაში, გამოძიებელს უნდა ჩატარებინა ამოღება, ხოლო ნივთის ნებაყოფლობით გადმოცემაზე უარის შემთხვევაში – ჩხრეკა.
7. ნებაყოფლობითობის ელემენტი მოცულია მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაც იმ განსხვავებით, რომ ის აღარ წარმოადგენს ამოღებისა და ჩხრეკის განმასხვავებელ ნიშანს. ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს გამოძიებელი უფლებამოსილია გამოიყენოს იძულების პროპორციული ზომა.
8. სსსკ-ის 119-ე მუხლი ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების **დასაბუთებული ვარაუდის** სტანდარტს აწესებს, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს **ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა**, რომელიც კონკრეტულ ადგილზე საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ნივთის არსებობის და მისი ნებაყოფლობით გაცემა-გაუცემლობის შესახებ დასაბუთებულ ვარაუდს შექმნის.
9. სასამართლო პრაქტიკა მრავლად იცნობს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების დაკანონებაზე უარის თქმისა და ჩხრეკა-ამოღების ჩასატარებლად განჩინების გაცემის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევებს სწორედ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არარსებობის გამო.
10. მაგალითად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული ბინის ჩხრეკის კანონიერად ცნობის შუამდგომლობა იმ მოტივით, რომ ჩხრეკის ჩატარების საფუძველი გახდა მხოლოდ განცხადება შესაძლო დანაშაულის თაობაზე. სასამართლოს განმარტებით, „მხარემ საერთოდ არ მიუთითა დასაბუთებული ვარაუდის არსებობაზე და ჩხრეკის წარმოება დაამყარა განცხადებაზე მაშინ, როცა მასში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი პირები (რომელთა არსებობის ფაქტიც განცხადებიდან ირკვევა) ინფორმაციის ირგვლივ დაკითხულები არ ყოფილან“. აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა მტკიცებულებითი სტანდარტის არარსებობა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება ცნო უკანონოდ, ხოლო მიღებული ინფორმაცია დაუშვებელ მტკიცებულებად.
11. განსაკუთრებით თვალსაჩინოა სასამართლოს პრაქტიკა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან მიმართებით. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შეფასებისას სასამართლო ყურადღებას აქცევს ოპერატიულ ინფორმაციის სანდოობას.
12. სასამართლომ არაერთ განჩინებაში განმარტა, რომ ამოსაღები ნივთის კონკრეტულ პირთან ან ადგილზე არსებობის შესახებ ზოგადი მითითება ვერ შექმნის ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების დასაბუთებულ ვარაუდს. ამა თუ იმ მტკიცებულების საკმარისად მიჩნევისათვის აუცილებელია შუამდგომლობის ავტორმა დაასაბუთოს მათი სანდოობა. კერძოდ, ოპერატიული ინფორმაციის სანდოობის დასადასტურებლად მხარემ შუამდგომლობაში უნდა დაასაბუთოს, რატომ არსებობს ინფორმატორის და ინფორმაციის მომპოვებლის ნდობის საფუძველი, საქმეში არსებული სხვა რა ფაქტი (ფაქტები) და ინფორმაცია ამყარებს ოპერატიულ ინფორმაციას და ა.შ.
13. ამ მხრივ საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომელიც ინფორმატორის ჩვენებაზე დაყრდნობას შესაძლებლად მიიჩნევს მათი სანდოობის გამოცდილებისა და იმ ინფორმაცი-

- ის მხედველობაში მიღებით, რომელიც ინფორმატორის მიერ მოწოდებულს ადასტურებს.
14. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ზოგჯერ სასამართლო ფართოდ განმარტავს სსსკ-ის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს და ჩხრეკის და ამოღების ჩატარების აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს პრაქტიკულად იმ რაოდენობის მტკიცებულებებს, რაც აუცილებელია პირისთვის ბრალდების წარსადგენად, ანუ იმ რაოდენობას, რაც დანაშაულის ჩადენაზე დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს იძლევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ოპერატიული ინფორმაციის (თუნდაც სანდო ინფორმაციის) საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი ჩხრეკა/ამოღება იმთავითვე განწირულია არდაკმაყოფილებისთვის. ასევე ზოგჯერ სასამართლო ითხოვს იმგვარი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას (მაგალითად, ინფორმატორის მოწმედ დაკითხვას, გასაჩხრეკი პირის მეზობლების დაკითხვას), რომელთა ჩატარებაც შეუძლებელია საქმის თავისებურებიდან ან/და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე და აზრს უკარგავს ჩხრეკა-ამოღებას.
  15. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო განმარტება გააკეთა თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში. აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლო ფაქტობრივად გამოეხმაურა იმ განჩინებებს, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მხარის შუამდგომლობები ოპერატიული ინფორმაციის მიმწოდებლის ჩვენების, გასაჩხრეკის შესახებ პირადი ინფორმაციის და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ამსახველი ოქმების არარსებობის გამო.
  16. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის მოსამართლის განჩინება და კანონიერად ცნო გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული ჩხრეკა შემდეგ გარემოებებზე მითითებით: „ბუნდოვანია პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩხრეკის ჩატარებამდე ამონაწერი უნდა ყოფილიყო სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და თუ ისინი არაეფექტური აღმოჩნდებოდა დანაშაულის გამოსავლენად, შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო ჩხრეკის ჩატარების მიზანშეწონილობის საკითხი. მოცემულ შემთხვევაში ჩხრეკა იყო დროული და კანონიერი, სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას მართლაც შეიძლება მოჰყოლოდა მტკიცებულებების გადამალვა, რის თაობაზეც გამოძიებას ჰქონდა შესაბამისი ინფორმაცია (საუბარი ოპერატიულ ინფორმაციაზე)“.
  17. რაც შეეხება გასაჩხრეკი პირის პიროვნული ინფორმაციის არარსებობას, სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული არ შეიძლება გამხდარიყო საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის საფუძველი, რადგან გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა გამოძიების დაწყებიდან დროის მცირე მონაკვეთის გასვლის შემდეგ. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში გამოძიება ვერ შეძლებს ყველა იმ მონაცემის და მტკიცებულების შეგროვებას, რაც შეიძლება მოეთხოვოს მოსამართლის განჩინებით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების თაობაზე შუამდგომლობის განხილვის დროს. პიროვნების მახასიათებელი გავლენას ვერ მოახდენდა გადაუდებელი აუცილებლობით ბინაში ჩხრეკის ჩატარებაზე. რაც შეეხება ინფორმაციის მიმცემის მოწმედ დაკითხვას, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა გამოძიების მწარმოებელი ორგანოს პრეროგატივაა და უნდა გადაწყდეს იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ პირის იდენტიფიცირებისას არ დაირღვეს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-4 თავით გათვალისწინებული მოთხოვნები.

## მუხლი 120. ამოღებისა და ჩხრეკის წესი

1. ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – საგამოძიებლის დადგენილების საფუძველზე საგამოძიებელს უფლება აქვს, საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის

აღმოსაჩენად და ამოსაღებად შევიდეს საცავში, სადგომში, სათავსში ან სხვა მფლობელობაში.

2. ამოღების ან ჩხრეკის დაწყების წინ გამომძიებელი ვალდებულია სასამართლოს განჩინება, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – დადგენილება გააცნოს პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა. განჩინების (დადგენილების) გაცნობას პირი ადასტურებს ხელმოწერით.

3. გამომძიებელს უფლება აქვს, ამოღების ან ჩხრეკის ადგილზე მყოფ ან იქ მისულ პირებს ამოღების ან ჩხრეკის დამთავრებამდე აუკრძალოს წასვლა, ერთმანეთთან ან სხვა პირთან ურთიერთობა, რაც აღინიშნება ოქმში.

4. განჩინების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – დადგენილების წარდგენის შემდეგ გამომძიებელი პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა, სთავაზობს ამოსაღები საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემას. ამოსაღები ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემის შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი ფიქსირდება ოქმში, ხოლო მის ნებაყოფლობით გადაცემაზე უარის თქმის ან მისი არასრულად გადაცემის შემთხვევაში ამოღება ხდება იძულებით.

5. ჩხრეკისას იძებნება და ამოიღება ის საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელიც აღნიშნულია განჩინებაში ან დადგენილებაში. ასევე ამოღებულ უნდა იქნეს ინფორმაციის შემცველი ყველა სხვა ობიექტი, რომელსაც შესაძლოა მტკიცებულების მნიშვნელობა ჰქონდეს ამ საქმისათვის ან რომელიც აშკარად მიუთითებს სხვა დანაშაულზე, აგრეთვე სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

6. ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, თუ შესაძლებელია, ამოღებამდე უნდა წარედგინოს ამ საგამომძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს, შემდეგ ამოღებულ იქნეს, დაწვრილებით აღინეროს, დაილუქოს და, შესაძლებლობის შემთხვევაში, შეიფუტოს. შეფუთულ ნივთზე, ლუქის გარდა, აღინიშნება თარიღი და იმ პირთა ხელმოწერები, რომლებიც საგამომძიებო მოქმედებაში მონაწილეობდნენ. არ დაილუქება დოკუმენტი, რომლის ამოღებაც ხდება მისი შინაარსის გამო.

7. ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას გამომძიებელს უფლება აქვს, გააღოს დაკეტილი საცავი, სადგომი და სათავსი, თუ გასაჩხრეკი უარს ამბობს, ნებაყოფლობით გააღოს ისინი.

8. დასაშვებია ჩხრეკის ან/და ამოღების ადგილზე მყოფი პირის პირადი ჩხრეკა, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან დამალა ამოსაღები საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ასეთი შემთხვევა ითვლება გადაუდებელ აუცილებლობად და პირადი ჩხრეკა ტარდება სასამართლოს განჩინების გარეშე. ჩხრეკის ან/და ამოღების კანონიერებას ამონებებს სასამართლო ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით.

9. იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში ამოღება ან ჩხრეკა უნდა ჩატარდეს მისი ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის დასწრებით.

10. დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს.

**ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების ზოგადი წესი**

1. როგორც სსსკ-ის 112-ე მუხლის კომენტარებისას აღინიშნა, საგამომძიებო მოქმედება ტარდება მესაკუთრის, მფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით, სასამართლოს განჩინებით ან გადაუდებელი აუცილებლობით, სასამართლოს განჩინების გარეშე. საგამომძიებო მოქმედების ჩატარების აღნიშნული წესი ვრცელდება ასევე ამოღებასა და ჩხრეკაზე.

2. ნებისმიერი საგამომძიებო მოქმედების დაწყებამდე გამომძიებელი, პირველ რიგში, არკვევს აცხადებს თუ არა მესაკუთრე, მფლობელი ან კომუნიკაციის ერთი მხარე თანხმობას საგამომძიებო მოქმედების ჩატარებაზე. თანხმობის შემთხვევაში, გამომძიებელი ატარებს საგამომძიებო მოქმედებას და ადგენს შესაბამისი საგამომძიებო მოქმედების ოქმს. უარ-

- ის შემთხვევაში, გამოძიებელი იღებს გადაწყვეტილებას საგამოძიებო მოქმედება ჩატაროს მოსამართლის განჩინებით თუ განჩინების გარეშე გადაუდებელი აუცილებლობით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამოძიებელს გამოაქვს დადგენილება. დადგენილების გამოტანის აუცილებლობა, როგორც უკვე აღინიშნა, შესაბამისი მუხლების კომენტირებისას, ყველა სახის საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას არ არსებობს. ამოლება და ჩხრეკა საგამოძიებო მოქმედებათა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა ჩატარებამდეც გამოძიებელმა უნდა გამოიტანოს დადგენილება.
3. ორივე შემთხვევაში (საგამოძიებო მოქმედების განჩინებით და განჩინების გარეშე ჩატარებისას), საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე, გამოძიებელს ეკისრება იმ დოკუმენტის (განჩინების, დადგენილების) წარდგენის ვალდებულება, რაც საფუძვლად უდევს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას. კერძოდ, გამოძიებელმა მოსამართლის განჩინება ან საკუთარი დადგენილება უნდა წარუდგინოს და ხელმოწერით გააცნოს იმ პირს, ვისთანაც ტარდება საგამოძიებო მოქმედება, ვინაიდან სწორედ აღნიშნული განჩინების (დადგენილების) საფუძველზე მოიპოვებს გამოძიებელი საცავში, სადგომში სათავსში ან სხვა მფლობელობაში საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის აღმოსაჩენად და ამოსაღებად შესვლის უფლებამოსილებას და შემდგომში პირის თანხმობას.
  4. განჩინების (დადგენილების) გაცნობაზე ან/და ხელმოწერაზე უარის შემთხვევაში, გამოძიებელი განჩინებაზე (დადგენილებაზე) აკეთებს შესაბამის მინაწერს.
  5. განჩინების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – დადგენილების წარდგენის შემდეგ გამოძიებელი პირს, რომელთანაც ტარდება ამოლება ან ჩხრეკა, სთავაზობს ამოსაღები საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემას.
  6. აღსანიშნავია, რომ 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი ამოლებასა და ჩხრეკას ნებაყოფლობითობის ნიშნით განასხვავებდა ერთმანეთისგან. კერძოდ, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ნივთის ნებაყოფლობით გადაცემის შემთხვევაში, გამოძიებელს უნდა ჩაეტარებინა ამოლება, ხოლო ნივთის ნებაყოფლობით გადაცემაზე უარის შემთხვევაში – ჩხრეკა. შესაბამისად, აღნიშნული კოდექსი უშვებდა ამოლების ჩხრეკაში გადაზრდის შესაძლებლობას მაშინ, როცა ნივთის ამოსაღებად მისულ გამოძიებელს მის ნებაყოფლობით გადაცემაზე უარს ეტყოდნენ. მსგავს შემთხვევაში გამოძიებელი ვალდებული იყო შეედგინა ჩხრეკის ოქმი. მოქმედი საპროცესო კოდექსი კი როგორც ჩხრეკის, ისე ამოლების შემთხვევაში, უშვებს იძულების პროპორციული ზომების გამოყენების შესაძლებლობას. კერძოდ, ამოსაღები ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემის შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტი ფიქსირდება ოქმში, ხოლო მის ნებაყოფლობით გადაცემაზე უარის თქმის ან მისი არასრულად გადაცემის შემთხვევაში, ამოლება ხდება იძულებით.
  7. ამასთან, გამოძიებელი უფლებამოსილია, გააღოს დაკეტილი საცავი, სადგომი და სათავსი, თუ გასაჩხრეკი პირი უარს ამბობს მათ ნებაყოფლობით გაღებაზე.
  8. ამოლებისა და ჩხრეკის განჩინებაში (დადგენილებაში) მიეთითება იმ საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის შესახებ, რომლის ამოლებაც უნდა განხორციელდეს. შესაბამისად, გამოძიებელი, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილზე ეძებს და იღებს იმ საგანს, დოკუმენტს, ნივთიერებას თუ ინფორმაციის შემცველ სხვა ობიექტს, რომელიც აღნიშნულია განჩინებაში ან დადგენილებაში.
  9. თუმცა, გამოძიებელი არ არის შეზღუდული საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისას ამოიღოს ინფორმაციის შემცველი ყველა სხვა ობიექტი, მიუხედავად იმისა, აღნიშნულია თუ არა მათ შესახებ განჩინებაში (დადგენილებაში), თუ მათ აქვთ მტკიცებულების მნიშვნელობა საქმისათვის ან თუ ისინი ამკარად მიუთითებენ სხვა დანაშაულზე. გამოძიებელი აგრეთვე უფლებამოსილია ამოიღოს სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

10. მაგალითად, ბინის ჩხრეკის განჩინებაში (დადგენილებაში) მითითებულია, რომ ბინიდან უნდა მოხდეს დანაშაულის ჩადენის იარაღის – დანის ამოღება. ადგილზე მისულმა გამომძიებელმა საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისას აღმოაჩინა სისხლისმაგვარი ლაქების მქონე პოტენციური ბრალდებულის ტანსაცმელი, რომელსაც შესაძლოა აღნიშნებოდეს დაზარალებულის სისხლი. გამომძიებელი უფლებამოსილია ამოიღოს ტანსაცმელი, რომელსაც მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. ანდა მითითებულ მაგალითზე, გამომძიებელმა ბინაში აღმოაჩინა ნარკოტიკული საშუალება. გამომძიებელი უფლებამოსილია ამოიღოს აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება, როგორც სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ნივთიერება, მიუხედავად იმისა, არის თუ არა განჩინებაში (დადგენილებაში) მითითება მის შესახებ.
11. სსსკ-ი ადგენს საგანის, დოკუმენტის, ნივთიერების, თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოღების და შენახვის სპეციალურ წესებს, რომელთა დაუცველობამ შესაძლოა მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა გამოიწვიოს.
12. როგორც წესი, ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ამოღებამდე უნდა წარედგინოს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს, შემდეგ ამოღებულ იქნეს, დაწვრილებით აღინეროს, დაილუქოს და შეიფუტოს.
13. შეფუთულ ნივთზე, ლუქის გარდა, აღინიშნება თარიღი და იმ პირთა ხელმოწერები, რომლებიც საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობდნენ.
14. ამ წესიდან სსსკ-ის 120-ე მუხლი გამონაკლისს ითვალისწინებს. კერძოდ, ამოსაღები ობიექტი მხოლოდ მაშინ წარედგინება საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებს და ამოღების შემდეგ მხოლოდ მაშინ დაილუქება, თუ ამ საპროცესო მოქმედებების შესრულება შესაძლებელია, ანუ თუ ამოსაღები ობიექტი მისი გაბარიტების და ნიშან-თვისებების გათვალისწინებით იძლევა საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთათვის წარდგენისა და ამოღების შემდეგ დალუქვის შესაძლებლობას.
15. არ დაილუქება დოკუმენტი, რომლის ამოღებაც ხდება მისი შინაარსის გამო. მაგალითად, გამომძიებელი უფლებამოსილია არ დალუქოს სანოტარო ხელშეკრულება, რომელიც ამოღებულია არა მასზე არსებული ინფორმაციის სიყალბის, არამედ ხელშეკრულების შინაარსის გამო.

## მუხლი 121. პირადი ჩხრეკა

1. პროკურორს, გამომძიებელს, დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს უფლება აქვთ, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული წესით პირადი ჩხრეკით ამოიღონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელიც აღმოჩენილია პირის ტანსაცმელზე, მის ხელთ არსებულ ნივთში ან სატრანსპორტო საშუალებაში, სხეულზე ან სხეულში.
2. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებები, დამკავებელ თანამდებობის პირს უფლება აქვს, ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით ჩაატაროს პირადი ჩხრეკა სასამართლოს განჩინების გარეშე, რაც აღინიშნება დაკავების ოქმში. ამ შემთხვევაში ოქმი პირადი ჩხრეკის თაობაზე არ დგება. პირადი ჩხრეკის კანონიერებას ამოწმებს სასამართლო ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით. (22.06.2012. №6549 ამოქმედდეს 2012 წლის 1 სექტემბრიდან)
3. დამკავებელი ფიზიკური პირი უფლებამოსილია განაიარაღოს დაკავებული.
4. თუ პირად ჩხრეკას თან სდევს გაშიშვლება, იგი უნდა ჩაატაროს იმავე სქესის პირმა. ამ დროს დასაშვებია მხოლოდ იმავე სქესის პირთა მონაწილეობა.

1. პირადი ჩხრეკა ჩხრეკის ერთ-ერთი სახეობაა და მისი ჩატარების საფუძველი და წესი



- სსსკ-ის 121-ე მუხლით არის განსაზღვრული. სსსკ-ის 120-ე მუხლი არეგულირებს იმგვარ შემთხვევებს, როცა გამოძიებლის მიზანი საგამოძიებო მოქმედების დაწყების მომენტში პირის პირადი ჩხრეკა კი არა, გარკვეულ ადგილზე ამოღების ან ჩხრეკის ჩატარება იყო. სსსკ-ის 120-ე მუხლი არეგულირებს იმგვარ შემთხვევებს, როცა პირადი ჩხრეკის ჩატარების აუცილებლობა სხვა საგამოძიებო მოქმედების, უფრო კონკრეტულად კი ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების დროს წარმოიშვა. კერძოდ, როცა არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამოღების ან ჩხრეკის ადგილზე მყოფმა პირმა დამალა ამოსაღები საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.
2. სსსკ-ი ამგვარი პირადი ჩხრეკის ჩასატარებლად (ისევე როგორც სხვა ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად) დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს აწესებს.
  3. როგორც სსსკ-ის 112-ე მუხლის კომენტარებისას აღინიშნა, გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის განჩინების გარეშე. ამასთან, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლებს ამომწურავად ჩამოთვლის სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი. შეიძლება ითქვას, რომ სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-8 ნაწილი გადაუდებელი აუცილებლობით პირადი ჩხრეკის ჩატარების დამატებით საფუძველს განსაზღვრავს, რაც პირდაპირ გამომდინარეობს სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილის ზოგადი სულისკვეთებიდან. კერძოდ, თუ გარკვეულ ადგილზე ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას წარმოიშობა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამოღების ან ჩხრეკის ადგილზე მყოფმა პირმა დამალა ამოსაღები საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, გამოძიებელი ამ პირის პირად ჩხრეკას ატარებს გადაუდებელი აუცილებლობით, სასამართლოს განჩინების გარეშე, მიუხედავად იმისა, ძირითადი საგამოძიებო მოქმედება – ამოღება/ჩხრეკა მოსამართლის განჩინების გარეშე ხორციელდებოდა თუ გამოძიებლის დადგენილების. ამ შემთხვევაში გამოძიებლის დადგენილების გამოტანა აუცილებელი არ არის.
  4. ამ გზით ჩატარებული პირადი ჩხრეკის დაკანონება ხდება საერთო წესით. კერძოდ, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული პირადი ჩხრეკის კანონიერად ცნობის შუამდგომლობით პროკურორი საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათში მიმართავს სასამართლოს გამოძიების ადგილის ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილის მიხედვით.
  5. სსსკ-ი არ აკონკრეტებს მსგავს შემთხვევაში უნდა შეადგინოს თუ არა გამოძიებელმა ცალკე პირადი ჩხრეკის ოქმი, თუმცა არსებული საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პირადი ჩხრეკის მიმდინარეობა და შედეგები, როგორც წესი, ამოღებისა ან ჩხრეკის ძირითად ოქმებში აღინიშნება. მსგავს შემთხვევაში ამოსავალი არის ის, რომ პირადი ჩხრეკის, ისევე როგორც სხვა საგამოძიებო მოქმედების, მიმდინარეობისას ადგილი არ ჰქონდეს საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევას და მისი მიმდინარეობა და შედეგები სრულყოფილად აისახოს საგამოძიებო მოქმედების ოქმში. აღნიშნული მიზანი კი ერთი ოქმის შედგენითაც მიიღწევა. ამასთან, სხვა სავალდებულო რეკვიზიტებთან ერთად, მნიშვნელოვანია, პირადი ჩხრეკის დაწყების და დამთავრების დროების მითითება ოქმში, რათა პროკურორმა სწორად განსაზღვროს პირადი ჩხრეკის დაწყების მომენტი და კანონით დადგენილ 24-საათიან ვადაში მიმართოს სასამართლოს გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული პირადი ჩხრეკის კანონიერად ცნობის შუამდგომლობით.

## **მუხლი 122. ამოღება და ჩხრეკა დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში და დიპლომატიურ წარმომადგენელთან**

1. დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე მის ან/და მისი ოჯახის წევრის მიერ დაკავებულ შენობასა და სატრანსპორტო საშუალებაში ამოღება ან ჩხრეკა დასაშვებია მხოლოდ ამ დიპლომატიური წარმომადგენლობის

**ხელმძღვანელის თანხმობით ან თხოვნით. (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან.)**

**2. ამოღების ან ჩხრეკის ჩასატარებლად დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანხმობის გამოთხოვა ხდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით.**

**3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის დასწრება სავალდებულოა.**

1. სსსკ-ის 122-ე მუხლი დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე და დიპლომატიურ წარმომადგენელთან ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების სპეციალურ წესს ადგენს. კერძოდ:
  - დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე;
  - დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის მიერ დაკავებულ შენობაში;
  - დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის ოჯახის წევრის მიერ დაკავებულ შენობაში;
  - დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის სატრანსპორტო საშუალებაში;
  - დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის ოჯახის წევრის სატრანსპორტო საშუალებაში.
2. ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თხოვნით ან თანხმობით არის შესაძლებელი, რომლის გამოთხოვაც საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით ხორციელდება.
3. ზემოაღნიშნულ პირებთან და ობიექტებში ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების გადანაცვებილების მიღების შემდეგ, პროცესის მწარმოებელი პირი (გამომძიებელი, პროკურორი) უშუალოდ ან საგამოძიებო უწყების პასუხისმგებელი სტრუქტურული დანაყოფის მეშვეობით წერილობით მიმართავს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და ითხოვს თანხმობას დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე მის ან/და მისი ოჯახის წევრის მიერ დაკავებულ შენობასა და სატრანსპორტო საშუალებაში ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებაზე. წერილი გადანაცვებილების მისაღებად აუცილებელ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს.
4. სსსკ-ის 122-ე მუხლი არაფერს ამბობს იმასთან დაკავშირებით, თუ თანხმობის მიღების შემდეგ რა პროცედურის დაცვით უნდა მოხდეს ზემოაღნიშნულ პირებთან და ობიექტებში ამოღებისა ან ჩხრეკის ჩატარება. კერძოდ, უნდა გავრცელდეს თუ არა ამ შემთხვევებზე ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების სსსკ-ის 112-ე, 119-ე, 120-ე, 121-ე მუხლებით დადგენილი წესი, შესაძლებელია თუ არა დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე და დიპლომატიურ წარმომადგენელთან ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარება გადაუდებელი აუცილებლობით, საგარეო საქმეთა სამინისტროდან თანხმობის მიღების შემდეგ უნდა მიმართოს თუ არა პროკურორმა სასამართლოს განჩინების გაცემის შუამდგომლობით, არის თუ არა განჩინების გაცემა აუცილებელი ამგვარი ამოღების და ჩხრეკის ჩასატარებლად და ა.შ.
5. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ იმუნიტეტის მქონე პირებთან მიმართებით საქართველოს კანონმდებლობა განსაკუთრებულ მიდგომებს აწესებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე მის ან/და მისი ოჯახის წევრის მიერ დაკავებულ შენობასა და სატრანსპორტო საშუალებაში ჩხრეკის ან ამოღების ჩატარება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანხმობით ან თხოვნით არის შესაძლებელი. ამგვარი თანხმობის ან თხოვნის არარსებობის პირობებში, დაუშვებელია ზემოაღნიშნულ პირებთან და ობიექტებში ამოღების და ჩხრეკის ჩატარება როგორც სასამართლოს განჩინებით, ისე გადაუდებელი აუცილებლობით სასამართლოს განჩინების გარეშე.
6. ამასთან, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში,

აუცილებელი აღარ არის სასამართლოსთვის განჩინების გაცემის შესახებ შუამდგომლობით მიმართვა, ვინაიდან სსსკ-ის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თანხმობა გამოცხადებას განჩინებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას.

**მუხლი 123. ჩხრეკა, ამოღება და დაყადაღება მასმედიის, გამომცემლობის რედაქციაში, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რელიგიური, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების სათავეებში**

1. დაუშვებელია მასმედიის, გამომცემლობის რედაქციაში, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რელიგიურ, საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და პოლიტიკური პარტიის სათავეებში არსებული იმ საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა სამეცნიერო, საგანმანათლებლო ობიექტის ჩხრეკა, ამოღება ან/და დაყადაღება, რომლის მიმართაც არსებობს საჯაროდ გავრცელების გონივრული მოლოდინი.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამოსაღები საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი დანაშაულის საგანი ან იარაღია.

3. სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება ჩხრეკის, ამოღების ან/და დაყადაღების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს აშკარა და დამაჯერებელი დასაბუთება, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება არ გამოიწვევს საქართველოს კონსტიტუციით დაცული სიტყვის, აზრის, სინდისის თავისუფლების, აღმსარებლობის, რწმენის ან გაერთიანების უფლების ხელყოფას. ეს საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს ეფექტიანი და ამ უფლებათა და თავისუფლებათა ყველაზე მინიმალურად შემზღუდველი ფორმით.

1. სსსკ-ის 123-ე მუხლი განსაზღვრავს იმ ობიექტების ჩამონათვალს, რომელთა ჩხრეკა, ამოღება ან/და დაყადაღება დაუშვებელია გარდა სსსკ-ით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. კერძოდ, დაუშვებელია იმ საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ჩხრეკა, ამოღება ან/და დაყადაღება, რომელიც ინახება:
  - მასმედიის რედაქციაში;
  - გამომცემლობის რედაქციაში;
  - სამეცნიერო ორგანიზაციაში;
  - საგანმანათლებლო ორგანიზაციაში;
  - რელიგიურ ორგანიზაციაში;
  - საზოგადოებრივ ორგანიზაციაში;
  - პოლიტიკური პარტიის სათავეებში.
2. ამასთან, აღნიშნულ ობიექტებში არსებული საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების და ინფორმაციის შემცველი სხვა სამეცნიერო, საგანმანათლებლო ობიექტის ჩხრეკა, ამოღება ან/და დაყადაღება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ მათ მიმართ არსებობს საჯაროდ გავრცელების გონივრული მოლოდინი. კანონის აკრძალვა არ ვრცელდება იმგვარ შემთხვევებზე, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამოსაღები საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი დანაშაულის საგანი ან იარაღია.
3. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი მოცემულ შემთხვევაში სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის შესაბამისად უნდა განიმარტოს, როგორც ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას ადასტურებს.
4. სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება ჩხრეკის, ამოღების ან/და დაყადაღების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს აშკარა დადამაჯერებელი დასაბუთება, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება არ გამოიწვევს საქართველოს კონსტიტუციით დაცული სიტყვის, აზრის, სინდისის თავისუფლების, აღმ-

სარებლობის, რწმენის ან გაერთიანების უფლების ხელყოფას. ეს საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს ეფექტიანი და ამ უფლებათა და თავისუფლებათა ყველაზე მინიმალურად შემზღვეველი ფორმით.

## მუხლი 124. ამოღებული ობიექტის დაბრუნება

1. თუ ამოღებული საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი მხარემ სასამართლოში მტკიცებულებად არ წარადგინა, იგი, როგორც წესი, უბრუნდება იმ პირს, რომლისგანაც იქნა ამოღებული.
2. თუ ამ მუხლის შესაბამისად დაბრუნებულ საგანთან, დოკუმენტთან, ნივთიერებასთან ან ინფორმაციის შემცველ სხვა ობიექტთან დაკავშირებით მესამე პირი პრეტენზიას აცხადებს, დავა განიხილება სამოქალაქო წესით.
1. სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების (სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტა, დევნის არდამწყობა, განაჩენის გამოტანა) მიღებისას პროცესის მწარმოებელმა პირმა (გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე) უნდა გადამწყვიტოს გამოძიების პროცესში ამოღებული საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ბედი.
2. შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე გამომძიებელი/პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას ამოღებული საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი ობიექტის სასამართლოში წარდგენის შესახებ. სასამართლოს აღნიშნული ობიექტები იმ შემთხვევაში წარედგინება, თუ ბრალდების მხარე აპირებს მის მტკიცებულებად გამოყენებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი უბრუნდება პირს, რომლისგანაც მოხდა მათი ამოღება გამოძიების მიმდინარეობის დროს.
3. ამასთან, სსსკ-ის 125-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ პირს საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი უბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამავე კოდექსის 79-ე და მე-80 მუხლების მიხედვით არ ნადგურდება ან არ გადაეცემა სახელმწიფოს.
4. თუ ზემოაღნიშნულ ობიექტებთან დაკავშირებით მესამე პირი აცხადებს პრეტენზიას, დავა განიხილება სამოქალაქო წესით.

## მუხლი 124<sup>1</sup>. საბანკო ანგარიშების მონიტორინგი (28.10.2011. №5170 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს საბანკო ანგარიშის/ანგარიშების გამოყენებით, ან/და ჩამორთმევისადმი დაქვემდებარებული ქონების მოძიების/იდენტიფიცირების მიზნით, პროკურორი უფლებამოსილია, საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით, გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით საბანკო ანგარიშების მონიტორინგის შესახებ განჩინების გაცემის თაობაზე, რომლითაც ბანკი ვალდებულია ითანამშრომლოს გამოძიებასთან და მას მიმდინარე რეჟიმში მიაწოდოს ინფორმაცია ერთ ან რამდენიმე საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ.
2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელ ორგანოს უნდა ეცნობოს ოპერაციის შესრულებისთანავე.
3. საბანკო ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის ან/და გატანის შემთხვევაში ინფორმაცია საქმის მწარმოებელ ორგანოს უნდა ეცნობოს ოპერაციის შესრულებამდე.
4. საბანკო ანგარიშების მონიტორინგის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სისხლის სამართლის

საქმეზე მტკიცებულების მოპოვებისათვის აუცილებელ ვადას.

### 5. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შუამდგომლობას სასამართლო განიხილავს ამ კოდექსის 112-ე მუხლით დადგენილი წესით.

1. მოცემული მუხლის თანახმად, განსაზღვრულია პროკურატურის უფლებამოსილება სასამართლოს ნებართვის საფუძველზე განახორციელოს ფიზიკური და იურიდიული პირების საბანკო ანგარიშების მონიტორინგი. ასეთი ნებართვის მოპოვებისთვის სსსკ-ის 124<sup>1</sup>-ე მუხლი ადგენს საკმაოდ მაღალ სტანდარტს, კერძოდ სასამართლოსადმი შესაბამისი შუამდგომლობით მიმართვისთვის საჭიროა, რომ საქმის მწარმოებელ პროკურორს ჰქონდეს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობა.
2. სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვისთვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი დაკმაყოფილებული, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს საბანკო ანგარიშის/ანგარიშების გამოყენებით. სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბანკი ვალდებულია ითანამშრომლოს გამოძიებასთან და მას მიმდინარე რეჟიმში მიაწოდოს ინფორმაცია ერთ ან რამდენიმე საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ.
3. საბანკო ოპერაციის შესახებ ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელ ორგანოს უნდა ეცნობოს ოპერაციის შესრულებისთანავე.
4. ინფორმაციის მიწოდების განსხვავებული რეჟიმი დადგენილი ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის ან/და გატანის შემთხვევაში. ასეთ დროს ბანკი ვალდებულია ინფორმაცია საქმის მწარმოებელ ორგანოს აცნობოს ოპერაციის შესრულებამდე.
5. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე შუამდგომლობას სასამართლო განიხილავს სსსკ-ის 112-ე მუხლით გათვალისწინებული წესების მიხედვით.<sup>413</sup> საბანკო ანგარიშების მონიტორინგის განხორციელების ვადად სსსკ-ი ადგენს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მოპოვებისათვის აუცილებელ ვადას. რაც შესაბამისად გულისხმობს, რომ ასეთი კონკრეტული ვადა უნდა განისაზღვროს სასამართლოს შესაბამისი განჩინებით.

### მუხლი 125. დათვალიერება

1. დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევის მიზნით მხარეს უფლება აქვს, დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, საცავი, სადგომი, სათავსი, გვამი, საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.
2. თუ დათვალიერება ეხება კერძო საკუთრებას, ის ტარდება სასამართლოს განჩინებით. სასამართლოს განჩინება არ არის აუცილებელი, როდესაც მხარე დათვალიერებას ატარებს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ან მესაკუთრე (მფლობელი) ნერილობით გამოხატავს თანხმობას.

1. სსსკ-ის 125-ე მუხლი განსაზღვრავს დათვალიერების ჩატარების მიზნებსა და საფუძველს. დათვალიერება საგამოძიებო მოქმედების ერთ-ერთი სახეა, რომელსაც გამომძიებელი ატარებს იმ მიზნით, რომ:
  - აღმოჩენილ იქნეს დანაშაულის კვალი (მაგალითად, თითის ანაბეჭდი, სისხლის ლაქა, თმის ლერი, ქსოვილის ბოჭკო, ფეხის კვალი და სხვა);
  - აღმოჩენილ იქნეს ნივთიერი მტკიცებულება (დანაშაულის ჩადენის იარაღი, მაგალითად, დანა, ცეცხლსასროლი იარაღი; დანაშაულის საგანი, მაგალითად, კარის ან ფანჯრის გასაღებად გამოყენებული ხელსაწყო);
  - გაირკვეს შემთხვევის ვითარება (მაგალითად, რა გარემოებებში მოხდა დანაშაული);
  - გაირკვეს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოება.

<sup>413</sup> იხ., დამატებით სსსკ-ის 112-ე მუხლის კომენტარი.

2. მართალია, სსსკ-ი დათვალიერების სახეებს სახელდებით არ ჩამოთვლის, თუმცა სსსკ-ის 125-128-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დათვალიერების შემდეგი სახეების გამოყოფა:
  - შემთხვევის ადგილის დათვალიერება;
  - სხვა ადგილის დათვალიერება (საცავი, სადგომი, სათავსი);
  - გვამის დათვალიერება;
  - საგნის/დოკუმენტის/ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დათვალიერება.
3. შემთხვევის ადგილად მიიჩნევა ადგილი, სადაც მოხდა დანაშაული ან აღმოჩენილია მისი კვალი.
4. დათვალიერებას გამოძიებელი ატარებს კანონით განსაზღვრული გარკვეული წესის დაცვით. აღნიშნული წესი განსხვავებულია დასადათვალიერებელი ადგილის, საგნის, დოკუმენტის და ინფორმაციის შემცველი ობიექტის მიხედვით.
5. თუ დათვალიერება ეხება კერძო საკუთრებას, ის ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. კერძო საკუთრებაში სასამართლოს განჩინების გარეშე დათვალიერების ჩატარება დასაშვებია თუ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა ან მესაკუთრე/მფლობელი წერილობით გამოხატავს თანხმობას დათვალიერების ჩატარებაზე.
6. კერძო საკუთრებაში დათვალიერებას გამოძიებელი შემდეგი პროცედურის დაცვით ატარებს: პირველ რიგში, არკვევს მესაკუთრის/მფლობელის პოზიციას. თანხმობის შემთხვევაში (რომელიც წერილობით უნდა გაფორმდეს), ატარებს საგამოძიებო მოქმედებას და ადგენს დათვალიერების ოქმს. უარის შემთხვევაში (რომელიც წერილობით უნდა გაფორმდეს), ან თუ ვერ დგინდება დასადათვალიერებელი ობიექტის მესაკუთრე, მფლობელი, სხვა უფლებამოსილი პირი ან თუ შეუძლებელია მათგან თანხმობის მიღება, გამოძიებელი იღებს დათვალიერების სასამართლოს განჩინებით, ან განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარების გადაწყვეტილებას.
7. მაგალითად, ბინაში მოხდა მკვლელობა. დანაშაულის კვალის (სისხლის ლაქების, ფეხის კვალის) და ნივთიერი მტკიცებულების (ცეცხლსასროლი იარაღის) აღმოჩენის მიზნით, გამოძიებელმა გადაწყვიტა დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი. იმის გათვალისწინებით, რომ ბინა კერძო საკუთრებას წარმოადგენს, დათვალიერების დაწყებამდე გამოძიებელმა უნდა გაარკვიოს ბინის მესაკუთრის პოზიცია დათვალიერების ჩატარებაზე, განუმარტოს მესაკუთრეს, რომ დათვალიერების პროცესში შესაძლებელია ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი ობიექტი და სთხოვოს მას თანხმობა დათვალიერების ჩატარებაზე. თანხმობის შემთხვევაში (რომელიც წერილობით უნდა გაფორმდეს), ჩაატაროს დათვალიერება და შეადგინოს შესაბამისი ოქმი, ხოლო უარის შემთხვევაში (რომელიც ასევე წერილობით უნდა გაფორმდეს), მიიღოს დათვალიერების სასამართლოს განჩინებით ან გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარების გადაწყვეტილება.
8. დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს გადაუდებელად, მოსამართლის განჩინების გარეშე, თუ:
  - დაყოვნება გამოიწვევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის განადგურებას;
  - დაყოვნება შეუძლებელს გახდის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის მოპოვებას;
  - საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, ზედაპირული დათვალიერების შედეგად;
  - არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.
9. პროკურორი გადაუდებლად ჩატარებული დათვალიერების კანონიერების საკითხის გადამწყვეტის მიზნით, დათვალიერების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში, გამოძიების

ადგილის ან დათვალიერების ჩატარების ადგილის მიხედვით, შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს.

10. მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე ნყევტს შუამდგომლობას. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს მხარეთა (თუ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია) და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება. მოსამართლე ასევე უფლებამოსილია განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს განჩინების გარეშე ჩაატარა.
11. შუამდგომლობისა და თანდართული მასალების განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება:
  - ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების (დათვალიერების) კანონიერად ცნობის შესახებ;
  - ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების (დათვალიერების) უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.
12. დათვალიერება, რომელიც არ ზღუდავს კერძო საკუთრებას, ტარდება მოსამართლის განჩინების გარეშე. ამგვარი დათვალიერება არც გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებულად მიიჩნევა და შესაბამისად, არ საჭიროებს სასამართლოს მხრიდან კანონიერების შემოწმებას. გამომძიებელი ადგენს მხოლოდ დათვალიერების ოქმს.
13. მაგალითად, ქუჩაში, ავტომანქანების სავალ გზაზე მოხდა მკვლელობა. დანაშაულის კვალის (სისხლის ლაქების, ფეხის კვალის) და ნივთიერი მტკიცებულების (ცეცხლსასროლი იარაღის) აღმოჩენის მიზნით, გამომძიებელმა გადაწყვიტა დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ტერიტორია არ წარმოადგენს კერძო საკუთრებას, გამომძიებელს დათვალიერების დასაწყებად არ ესაჭიროება ვინმეს წერილობითი თანხმობა, ხოლო უარის შემთხვევაში, სასამართლოს განჩინება. ამგვარი დათვალიერება არც გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებულად მიიჩნევა. გამომძიებელი უფლებამოსილია დაათვალიეროს ქუჩა, კერძოდ, ავტომანქანების სავალი გზის ის მონაკვეთი, სადაც დანაშაული მოხდა ან აღმოჩენილია მისი კვალი, რის შემდეგაც უნდა შეადგინოს დათვალიერების ოქმი.

## მუხლი 126. დათვალიერების ზოგადი წესი

1. დათვალიერების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, თუ შესაძლებელია, ამოღებამდე უნდა წარედგინოს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს, შემდეგ ამოღებულ ოქმს, დანვრილებით აღინეროს, დაილუქოს და შესაძლებლობის შემთხვევაში შეიფუთოს. შეფუთულ ნივთზე ლუქის გარდა აღინიშნება თარიღი და იმ პირთა ხელმოწერები, რომლებიც მონაწილეობდნენ საგამოძიებო მოქმედებაში. დათვალიერებაში მონაწილე პირს უფლება აქვს, მხარის ყურადღება მიაპყროს ყველაფერს, რამაც, მისი აზრით, შეიძლება ხელი შეუწყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოვლენას.
2. თუ ამოღებული საგნის, დოკუმენტის, ნივთიერებისა თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დასათვალიერებლად საჭიროა დიდი დრო ან დამატებითი ტექნიკური საშუალება, საგამოძიებო მოქმედება შეიძლება გაგრძელდეს გამოძიების ჩატარების ადგილზე.
3. დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს ტექნიკური საშუალებებით, თუ ეს არ გამოიწვევს საგნის, დოკუმენტის, ნივთიერებისა თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ან მასზე არსებული კვალის განადგურებას ან დაზიანებას.

1. სსსკ-ის 126-ე მუხლი განსაზღვრავს დათვალიერების ზოგად წესს, აგრეთვე დათვალიერების მონაწილეთა უფლებამოსილებას.
2. როგორც უკვე აღინიშნა სსსკ-ის 125-ე მუხლის კომენტარებისას, დათვალიერება ტარდება იმ მიზნით, რომ:

- აღმოჩენილ იქნეს დანაშაულის კვალი (მაგალითად, თითის ანაბეჭდი, სისხლის ლაქა, თმის ღერი, ქსოვილის ბოჭკო, ფეხის კვალი და სხვა);
  - აღმოჩენილ იქნეს ნივთიერი მტკიცებულება (დანაშაულის ჩადენის იარაღი, მაგალითად, დანა, ცეცხლსასროლი იარაღი; დანაშაულის საგანი, მაგალითად, კარის ან ფანჯრის გასაღებად გამოყენებული ხელსაწყო);
  - გაირკვეს შემთხვევის ვითარება (მაგალითად რა გარემოებებში მოხდა დანაშაული);
  - გაირკვეს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოება.
3. დათვალიერების ზემოაღნიშნული მიზნები თავის თავში მოიცავს იმ საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი ობიექტის ამოღებასაც, რომელსაც დანაშაულის კვალი აღენიშნება ან/და შეიძლება მტკიცებულებითი მნიშვნელობა ჰქონდეს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმისათვის.
4. ზოგადად ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას აღმოჩენილი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოღება და საპროცესო დამაგრება უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესის დაცვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა დადგეს კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხი. სწორედ აღნიშნულ წესს ადგენს სსსკ-ის 126-ე მუხლი.
5. დათვალიერების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელსაც საქმისთვის მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს, გამოძიებელმა უნდა ამოიღოს. ამ შემთხვევაში ცალკე ამოღების ოქმის შედგენა, საერთო წესით ამოღების დაკანონება ან/და შესაძლო ამოღების ჩატარების თაობაზე სასამართლოსგან წინასწარ ნებართვის გამოთხოვა აუცილებელი არ არის. თუ ამოღება დათვალიერების დროს ხდება, გამოძიებელი ადგენს მხოლოდ დათვალიერების ოქმს, სადაც აკეთებს შესაბამის აღნიშვნას ნივთების ამოღების, მათი რაოდენობის, სახეობის, ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნების შესახებ. ნორმის ამგვარი განმარტება გამოწვეულია იმით, რომ საგამოძიებო მოქმედება ამოღებისგან განსხვავებით, დათვალიერების მიზანი იმთავითვე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოღება არ არის. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, დანაშაულის კვალის და ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის მიზანი თავის თავში მათ ამოღებასაც მოიცავს. გარდა ამისა, ამგვარი განმარტების შესაძლებლობას იძლევა თავად სსსკ-ის 126-ე მუხლი, რომელიც ფაქტობრივად დათვალიერების დროს აღმოჩენილი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების, თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოღების წესს განსაზღვრავს.
6. დათვალიერებაში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა საგამოძიებო მოქმედებაში, შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ექსპერტმა, თარჯიმანმა და პროცესის სხვა მონაწილემ სსკ-ით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით. მაგალითად, თუ დათვალიერების ჩატარება განსაკუთრებულ პროფესიულ ცოდნას მოითხოვს, მხარე მას ატარებს ექსპერტის მონაწილეობით, ან/და თუ დათვალიერების რომელიმე მონაწილემ არ იცის სამართალწარმოების ენა, მხარე მას ატარებს თარჯიმნის მონაწილეობით.
7. სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულის კვალისა და ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და ამოღების მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებები და მეთოდები“. ამგვარი საშუალებების გამოყენებაც თავის თავში გულისხმობს საგამოძიებო მოქმედებაში ექსპერტის მონაწილეობას, იმის გათვალისწინებით, რომ გამოძიებელს მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებებით და მეთოდებით დანაშაულის კვალისა და ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და ამოღების სპეციალური ცოდნა არ გააჩნია.
8. დათვალიერებაში, დანაშაულის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიძლება მონაწილეობას იღებდნენ:
- ექსპერტ-კრიმინალისტები;
  - სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი;



- სახანძრო-ტექნიკური ექსპერტი (ხანძრის, აფეთქების შემთხვევაში);
  - კინოლოგი;
  - სასწრაფო-სამედიცინო სამსახური;
  - სამაშველო სამსახური;
  - გამნალმველები;
  - თარჯიმანი.
9. დათვალიერების მონაწილეებს აქვთ გარკვეული უფლებები და ეკისრებათ გარკვეული მოვალეობები, რომელთა შესახებაც განმარტებას საგამოძიებო მოქმედების დაწყების წინ გამოძიებლისაგან იღებენ. მაგალითად, გამოძიებელი მათ განუმარტავს, რომ საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისას აქვთ უფლება გამოძიებლის ყურადღება მიაპყრონ მნიშვნელოვან გარემოებას ან/და აკისრიათ საგამოძიებო მოქმედების შედეგების გაუმჟღავნებლობის ვალდებულება.
10. სსსკ-ის 126-ე მუხლი დათვალიერების მონაწილეებს საგამოძიებო მოქმედების სრულყოფილიან სუბიექტებად განიხილავს. გამოძიებელი ვალდებულია დათვალიერების დრო აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ამოღებამდე დათვალიერების მონაწილეებს წარუდგინოს. მხოლოდ აღნიშნული წესის დაცვის შემდეგ არის შესაძლებელი აღმოჩენილი ნივთების ამოღება, აღწერა, შეფუთვა და დალუქვა. ამასთან, კანონი ამგვარ ვალდებულებას მხოლოდ მაშინ აწესებს, თუ ამოღებული ნივთების წარდგენა დათვალიერების მონაწილე პირებისათვის შესაძლებელია, თუმცა არ აკონკრეტებს რა შემთხვევაშია შეუძლებელი ამგვარი ნივთების წარდგენა. საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ზოგადი და ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების სპეციალური წესებით თუ ვიხელმძღვანელებთ, შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ შემთხვევებში ამოსაღები ნივთის თვისებები უნდა იგულისხმებოდეს. კერძოდ, შემთხვევები, როცა ამოსაღები ნივთის დაგვიანებით შეფუთვამ და დალუქვამ, მისი თვისებების გათვალისწინებით, შეიძლება მასზე არსებული კვალის განადგურება გამოიწვიოს.
11. სსსკ-ის 126-ე მუხლი ამოღებული ნივთის შეფუთვის ვალდებულებასაც მხოლოდ შესაძლებლობის შემთხვევაში აწესებს. განსხვავებით ნივთის წარდგენისაგან, ამგვარ შემთხვევებში თვისებებთან ერთად ნივთის მოცულობაც უნდა ვიგულისხმოთ. მაგალითად, დიდგაბარიტიანი ნივთები (ავტომანქანა), პირუტყვი, ფრინველი და ა.შ.
12. შეფუთულ ნივთზე ლუქთან ერთად იმ პირთა ხელმოწერებიც აღინიშნება, რომლებიც მონაწილეობდნენ საგამოძიებო მოქმედებაში. ლუქზე აგრეთვე აღინიშნება თარიღი. ხელმოწერების და თარიღის აღნიშვნა ლუქის მთლიანობის დარღვევის თავიდან აცილების მნიშვნელოვანი გარანტია.
13. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დათვალიერების დროს საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოღების მიმდინარეობა შემდეგ ეტაპებად შეგვიძლია დავყოთ:
- საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის **აღმოჩენა**;
  - ამოღებამდე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის **წარდგენა** დათვალიერების მონაწილეთათვის;
  - საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების, თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის **ამოღება**;
  - ამოღებული საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის **დანვრილებით აღწერა (დათვალიერება)**;
  - ამოღებული საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის **შეფუთვა**;
  - შეფუთული საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის **დალუქვა**;

- დალუქულ საგანზე, დოკუმენტზე, ნივთიერებაზე თუ ინფორმაციის შემცველ სხვა ობიექტზე დათვალიერების მონაწილეთა **ხელმოწერების აღნიშვნა**;
  - დალუქულ საგანზე, დოკუმენტზე, ნივთიერებაზე თუ ინფორმაციის შემცველ სხვა ობიექტზე შეფუთვისა და დალუქვის **თარიღის აღნიშვნა**.
14. როგორც ზემოთ აღინიშნა, დათვალიერების დროს ამოღებული ნივთები შეფუთვამდე და დალუქვამდე უნდა დათვალიერდეს. როგორც წესი, აღნიშნული მოქმედება უშუალოდ დათვალიერების ჩატარების ადგილზე მიმდინარეობს. კერძოდ, გამომძიებელი დათვალიერებისას აღმოჩენილ, საქმისთვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე ნივთს ჯერ იღებს, შემდეგ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილზევე (მაგალითად, ქუჩაში) ათვალიერებს (აღწერს მის ინდივიდუალურ თუ გვარეობით ნიშან-თვისებებს), რის შემდეგაც ამოღებული ნივთი იფუთება, ილუქება, ლუქზე აღინიშნება მონაწილეთა ხელმოწერები და თარიღი.
  15. სსსკ-ის 126-ე მუხლი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, როცა ამგვარი დათვალიერება შეიძლება გამოძიების ჩატარების ადგილზე გაგრძელდეს. კერძოდ, თუ ამოღებული საგნის, დოკუმენტის, ნივთიერებისა თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დასათვალიერებლად საჭიროა დიდი დრო ან დამატებითი ტექნიკური საშუალება, დათვალიერება შეიძლება გაგრძელდეს გამოძიების ჩატარების ადგილზე.
  16. დათვალიერებისას დასაშვებია იმგვარი ტექნიკურის საშუალებების (მაგალითად, ფოტოაპარატის, ვიდეოკამერის, თითის ანაბეჭდის, სისხლის ნიმუშის, ნებისხვაგვარი კვალის აღების საშუალებების) გამოყენება, რაც არ გამოიწვევს ამოსაღები საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი ობიექტის ან მასზე არსებული კვალის განადგურებას ან დაზიანებას.
  17. შემთხვევის ადგილად მიიჩნევა ადგილი, სადაც მოხდა დანაშაული ან აღმოჩენილია მისი კვალი.
  18. დათვალიერებას გამომძიებელი ატარებს გარკვეული, კანონით განსაზღვრული, წესის დაცვით. აღნიშნული წესი განსხვავებულია დასათვალიერებელი ადგილის, საგნის, დოკუმენტის და ინფორმაციის შემცველი ობიექტის მიხედვით.
  19. თუ დათვალიერება ეხება კერძო საკუთრებას, ის ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. კერძო საკუთრებაში სასამართლოს განჩინების გარეშე დათვალიერების ჩატარება დასაშვებია, თუ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა ან/და მესაკუთრე/მფლობელი წერილობით გამოხატავს თანხმობას დათვალიერების ჩატარებაზე.
  20. კერძო საკუთრებაში დათვალიერებას გამომძიებელი შემდეგი პროცედურის დაცვით ატარებს: პირველ რიგში, არკვევს მესაკუთრის/მფლობელის პოზიციას. თანხმობის შემთხვევაში (რომელიც წერილობით უნდა გაფორმდეს), ატარებს საგამოძიებო მოქმედებას და ადგენს დათვალიერების ოქმს. უარის შემთხვევაში (რომელიც წერილობით უნდა გაფორმდეს), გამომძიებელი იღებს დათვალიერების სასამართლოს განჩინებით, ან განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარების გადაწყვეტილებას.
  21. მაგალითად, ბინაში მოხდა მკვლელობა. დანაშაულის კვალის (სისხლის ლაქების, ფეხის კვალის) და ნივთიერი მტკიცებულების (ცეცხლსასროლი იარაღის) აღმოჩენის მიზნით, გამომძიებელმა გადაწყვიტა დათვალიეროს შემთხვევის ადგილი. იმის გათვალისწინებით, რომ ბინა კერძო საკუთრებას წარმოადგენს, დათვალიერების დაწყებამდე გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს ბინის მესაკუთრის პოზიცია დათვალიერების ჩატარებაზე. თანხმობის შემთხვევაში (რომელიც წერილობით უნდა გაფორმდეს), ჩაატაროს დათვალიერება და შეადგინოს შესაბამისი ოქმი, ხოლო უარის შემთხვევაში (რომელიც წერილობით უნდა გაფორმდეს), მიიღოს დათვალიერების სასამართლოს განჩინებით ან გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარების გადაწყვეტილება.
  22. დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს გადაუდებელად, მოსამართლის განჩინების გარეშე,

თუ:

- დაყოვნება გამოიწვევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის განადგურებას;
  - დაყოვნება შეუძლებელს გახდის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის მოპოვებას;
  - საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, ზედაპირული დათვალიერების შედეგად;
  - არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.
- 23.** პროკურორი გადაუდებლად ჩატარებული დათვალიერების კანონიერების საკითხის გადამწყვეტის მიზნით, დათვალიერების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში, გამოძიების ადგილის ან დათვალიერების ჩატარების ადგილის მიხედვით, შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს.
- 24.** მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს მხარეთა (თუ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია) და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება. მოსამართლე ასევე უფლებამოსილია განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს განჩინების გარეშე ჩაატარა.
- 25.** შუამდგომლობისა და თანდართული მასალების განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება:
- ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების (დათვალიერების) კანონიერად ცნობის შესახებ;
  - ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების (დათვალიერების) უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.
- 26.** დათვალიერება, რომელიც არ ზღუდავს კერძო საკუთრებას, ტარდება მოსამართლის განჩინების გარეშე. ამგვარი დათვალიერება არც გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებულად მიიჩნევა და შესაბამისად, არ საჭიროებს სასამართლოს მხრიდან კანონიერების შემოწმებას. გამომძიებელი ადგენს მხოლოდ დათვალიერების ოქმს.
- 27.** მაგალითად, ქუჩაში, ავტომანქანების სავალ გზაზე მოხდა მკვლელობა. დანაშაულის კვალის (სისხლის ლაქების, ფეხის კვალის) და ნივთიერი მტკიცებულების (ცეცხლსასროლი იარაღის) აღმოჩენის მიზნით, გამომძიებელმა გადანყვიტა დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ტერიტორია არ წარმოადგენს კერძო საკუთრებას, გამომძიებელს დათვალიერების დასაწყებად არ ესაჭიროება ვინმეს წერილობითი თანხმობა, ხოლო უარის შემთხვევაში, სასამართლოს განჩინება. ამგვარი დათვალიერება არც გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებულად მიიჩნევა. გამომძიებელი უფლებამოსილია დაათვალიეროს ქუჩა, კერძოდ, ავტომანქანების სავალი გზის ის მონაკვეთი, სადაც დანაშაული მოხდა ან აღმოჩენილია მისი კვალი, რის შემდეგაც უნდა შეადგინოს დათვალიერების ოქმი.

## მუხლი 127. შემთხვევისა და სხვა ადგილის დათვალიერება

**1.** შემთხვევის ადგილის დათვალიერება ტარდება იქ, სადაც მოხდა დანაშაული ან აღმოჩენილია მისი კვალი. დათვალიერების დამთავრებამდე შემთხვევის ადგილი დაცული უნდა იყოს.

**1<sup>1</sup>.** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე და 281-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე, როდესაც არსებობს მტკიცებულების განადგურების, დაკარგვის ან დაზიანების საშიშროება, შემთხვევის ადგილის დაცვის უზრუნველყოფ უფლებამოსილ თანამდებობის პირს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დაწყებამდე შეუძლია მტკიცებულების ფიქსაცია ტექნიკური საშუალების გამოყენებით და შენახვა.

2. საცხოვრებელ, სამსახურებრივ სადგომში ან დახურულ ტერიტორიაზე დათვალიერების მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში მხარე უშუალოდ მოქმედებით მიმართავს სასამართლოს. სასამართლოს ამ კოდექსის 112-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას დათვალიერების ჩასატარებლად გამოაქვს განჩინება. განჩინება ხელმოწერით უნდა გააცნონ პირს, რომლის ბინაშიც ტარდება დათვალიერება, ხოლო თუ დათვალიერება ტარდება იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს მფლობელობაში – მის ხელმძღვანელს ან წარმომადგენელს.

3. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამ მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედება შესაძლოა ჩატარდეს ამ კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული წესით.

1. სსსკ-ის 127-ე მუხლი განსაზღვრავს ადგილის დათვალიერების წესს, მოსამართლის განჩინებით და გადაუდებელი აუცილებლობით დათვალიერების ჩატარების საფუძვლებს. ამასთან, აღნიშნული მუხლი იძლევა შემთხვევის ადგილის დათვალიერების განმარტებას.

#### 1. შემთხვევის ადგილის დათვალიერება

2. სსსკ-ის 127-ე მუხლის მიხედვით შემთხვევის ადგილად მიიჩნევა ადგილი:

- სადაც მოხდა დანაშაული (მაგალითად, მკვლელობის ადგილი);
- სადაც აღმოჩენილია დანაშაულის კვალი (მაგალითად, ქურჩა, სადაც დანაშაული არ მომხდარა, მაგრამ აღმოჩენილია მისი კვალი – სისხლის ლაქები, დანაშაულის იარაღი და ა.შ).

3. როგორც უკვე აღინიშნა სსსკ-ის 125-ე მუხლის კომენტარებისას, დათვალიერება ტარდება იმ მიზნით, რომ:

- აღმოჩენილ იქნეს დანაშაულის კვალი (მაგალითად, თითის ანაბეჭდი, სისხლის ლაქა, თმის ღერი, ქსოვილის ბოჭკო, ფეხის კვალი და სხვა);
- აღმოჩენილ იქნეს ნივთიერი მტკიცებულება (დანაშაულის ჩადენის იარაღი, მაგალითად, დანა, ცეცხლსასროლი იარაღი; დანაშაულის საგანი, მაგალითად, კარის ან ფანჯრის გასაღებად გამოყენებული ხელსაწყო);
- გაირკვეს შემთხვევის ვითარება (მაგალითად, რა გარემოებებში მოხდა დანაშაული);
- გაირკვეს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოება.

4. აღნიშნული მიზნების მისაღწევად, კერძოდ, დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების აღმოსაჩენად, შემთხვევის ვითარების ან/და საქმისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გასარკვევად მნიშვნელოვანია, დასათვალიერებელი ადგილის დაცვა საგამოძიებო მოქმედების დამთავრებამდე. დაცვის მიზანი აღმოსაჩენი და ამოსაღები მტკიცებულებების დაზიანების ან განადგურების თავიდან აცილებაა. აღნიშნული საფრთხეები განსაკუთრებით აქტუალურია მაშინ, როცა დასათვალიერებელი ობიექტი ხალხმრავალ ადგილზეა, არასათანადოდ დაცულია ან/და დანაშაული, მისი ხასიათის გათვალისწინებით, საზოგადოების ფართო მასების ინტერესს იწვევს.

5. გარეშე პირთაგან ადგილის დასაცავად, პირველ რიგში, შესაბამისი დასათვალიერებელი ტერიტორია ლენტით შემოსაზღვრება და განისაზღვრება საგამოძიებო ჯგუფის<sup>414</sup> თანამშრომლები, რომლებსაც ევალებათ ტერიტორიის დაცვა. ზოგიერთ შემთხვევაში, საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ტერიტორიის დაცვა მოხდეს დამცავი ჯგუფებით ან ცოცხალი ძალის გამოყენებით. მაგალითად, როდესაც დასათვალიერებელი ადგილი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილია, ქურჩა, სადაც მოძრაობს ბევრი ხალხი და მისი დაცვა გარეშე პირებისაგან შეუძლებელია სხვა გზით.

6. მართალია სსსკ-ის 127-ე მუხლი საგამოძიებო მოქმედების დამთავრებამდე ადგილის

<sup>414</sup> „საგამოძიებო ჯგუფი“-ს ცნებას მოქმედი სსსკ-ის არ იცნობს. როგორც წესი, შემთხვევის ადგილის დასათვალიერებლად მიდის საგამოძიებო დანაყოფის რამდენიმე წარმომადგენელი (საგამოძიებელი), რომელთა შორის როლები წინასწარ, შემთხვევის ადგილზე მისვლამდე ან უშუალოდ ადგილზე ნაწილდება.

- დაცვის აუცილებლობაზე საუბრობს და კონკრეტულად არ მიუთითებს საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე დაცვაზე, მაგრამ დათვალეირების ზოგადი მიზნებიდან გამომდინარე, ადგილის დაცვაში უნდა ვიგულისხმოთ როგორც დათვალეირების დაწყებამდე, ისე დათვალეირების მიმდინარეობისას მის დამთავრებამდე პერიოდში ადგილის დაცვა. ანუ „საგამოძიებო მოქმედების დამთავრებამდე“ პერიოდში უნდა ვიგულისხმოთ დათვალეირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პერიოდიდან მის ფაქტობრივ დამთავრებამდე პერიოდი.
7. საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე ადგილის დაცვის აუცილებლობა განსაკუთრებით მაშინ დგას დღის წესრიგში, როცა შემთხვევის ადგილის დათვალეირებაში მონაწილეობა, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, პროცესის სხვა მონაწილეებმა (ექსპერტმა, კრიმინალისტმა, სპეციალისტმა, თარჯიმანმა, გარეშე პირმა და ა.შ.) უნდა მიიღონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების პირვანდელ მდგომარეობაში, კვალის ნაშუქვლად აღმოჩენის და ამოღების შესაძლებლობა. იმის გათვალისწინებით, რომ შემთხვევის ადგილზე, როგორც წესი, პირველად გამომძიებელი მიდის, რომელსაც ცალკეულ საკითხებში სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, ექსპერტის მისვლამდე შემთხვევის ადგილის დაუცველობამ შესაძლოა გაართულოს, მაგალითად, ვარგისი სისხლის ნიმუშის ან/და თითის ანაბეჭდის ამოღება.
  8. ადგილის დაცვის ვალდებულებას, უმრავლეს შემთხვევაში, თავად გამომძიებელი ასრულებს. დაცვა, როგორც წესი, ადგილის შემოსაზღვრაში და გარეშე პირებისათვის (რომლებიც არ არიან საგამოძიებო მოქმედების მონაწილეები) საგამოძიებო მოქმედების დამთავრებამდე ადგილთან მიახლოების აკრძალვაში გამოიხატება. სსსკ-ის ზოგადი სულისკვეთებიდან და კონკრეტულად სსსკ-ის 127-ე მუხლიდან შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ დაცვაზე პასუხისმგებლობა იმ პირმა უნდა აიღოს, რომელიც პირველი გამოცხადდება შემთხვევის ადგილზე. ასეთი პირი კი, უმრავლეს შემთხვევაში, გამომძიებელი ან პატრულ-ინსპექტორია. ანუ შემთხვევის ადგილის დაცვის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს პირმა, რომელიც პროცესის მონაწილეა (გამომძიებელმა) და პირმა, რომელიც პროცესის მონაწილე არ არის (პატრულ-ინსპექტორი), მაგრამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ცხადდება შემთხვევის ადგილზე.
  9. მაგალითად, სსკ-ის 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა) და 281-ე (ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის წესის დარღვევა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე შემთხვევის ადგილზე, როგორც წესი, პირველ რიგში ცხადდება პატრულ-ინსპექტორი, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის დაცვა დათვალეირების დაწყებამდე, კერძოდ, იმ მომენტამდე, სანამ შემთხვევის ადგილზე გამომძიებელი გამოცხადდება. ამ პირებისთვის შემთხვევის ადგილის დაცვის ვალდებულების დაკისრების აუცილებლობა გამონეწეულია იმით, რომ გამომძიებლის, შემდეგ კი ექსპერტის, კრიმინალისტის და პროცესის სხვა მონაწილის მისვლის მომენტიდან შენარჩუნებული იყოს შემთხვევის ადგილი და იქ არსებული მტკიცებულებები პირვანდელ მდგომარეობაში.
  10. უფრო მეტიც, მტკიცებულების განადგურების, დაკარგვის და დაზიანების თავიდან აცილების მიზნებიდან გამომდინარე, 2012 წლის 02 მარტს სსსკ-ის 127-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების შედეგად შემთხვევის ადგილის დაცვის უზრუნველყოფაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირებს დათვალეირების დაწყებამდე ტექნიკური საშუალებით მტკიცებულების ფიქსაციის და შენახვის უფლებამოსილება მიენიჭათ. კანონის აღნიშნული დანაწესი სსსკ-ის 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა) და 281-ე მუხლებით (ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის წესის დარღვევა) გათვალისწინებულ დანაშაულებზე ვრცელდება.
  11. მაგალითად, პატრულ-ინსპექტორი შეესწრო თბილისი-გორის დამაკავშირებელ მაგისტრალზე ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტს. შემთხვევა მოხდა წვიმიან ამინდში. შემთხვევის

ადგილზე გამოძიებლის გამოცხადებამდე, მის დაცვაზე პასუხისმგებელი პატრულ-ინსპექტორი უფლებამოსილია მოახდინოს შემთხვევის ადგილის ფოტოგადაღება და იქ არსებული მტკიცებულებების შენახვა გამოძიებლის მოსვლამდე, რათა არ მოხდეს მტკიცებულებების დაზიანება ან განადგურება, რაც შემდგომში შეუძლებელს გახდის მათ მოპოვებას.

## 2. ადგილის დათვალიერების წესი

12. შემთხვევის ადგილის და სხვა ადგილის დათვალიერებაზე ვრცელდება სსსკ-ის 112-ე მუხლით განსაზღვრული ზოგადი წესი. კერძოდ, გამოძიებელი უფლებამოსილია ადგილი დაათვალიეროს სასამართლოს განჩინების გარეშე, თუ:
  - დათვალიერება ჩასატარებელია არასაცხოვრებელ, არასამსახურებრივ ან ღია ტერიტორიაზე, რომელსაც არ ჰყავს მფლობელი;
  - დათვალიერება ჩასატარებელია საცხოვრებელ, სამსახურებრივ ან დახურულ ტერიტორიაზე და მფლობელი აცხადებს თანხმობას დათვალიერების ჩატარებაზე.
13. ყველა სხვა შემთხვევაში, შემთხვევის ადგილის და სხვა ადგილის დათვალიერება უნდა განხორციელდეს სასამართლოს განჩინებით, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლოს განჩინების გარეშე.
14. დათვალიერების დაწყებამდე, გამოძიებელი საცხოვრებელი, სამსახურებრივი თუ დახურული ტერიტორიის მფლობელისაგან მოიპოვებს დათვალიერების ნებართვას. მფლობელის პოზიცია წერილობით უნდა იყოს დადასტურებული. თანხმობის შემთხვევაში, გამოძიებელი ატარებს დათვალიერებას და ადგენს შესაბამის ოქმს. უარის შემთხვევაში, გამოძიებელი იღებს საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინებით ან განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარების გადაწყვეტილებას.
15. ადგილის დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს გადაუდებელი აუცილებლობით თუ:
  - დაყოვნება გამოიწვევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის განადგურებას;
  - დაყოვნება შეუძლებელს გახდის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის მოპოვებას;
  - საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, ზედაპირული დათვალიერების შედეგად;
  - არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.
16. პროკურორი გადაუდებლად ჩატარებული დათვალიერების კანონიერების საკითხის გადამწყვეტის მიზნით, დათვალიერების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში, გამოძიების ადგილის ან დათვალიერების ჩატარების ადგილის მიხედვით, შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს.
17. მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე ნყევტს შუამდგომლობას. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს მხარეთა (თუ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია) და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება. მოსამართლე ასევე უფლებამოსილია განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს განჩინების გარეშე ჩაატარა.
18. შუამდგომლობისა და თანდართული მასალების განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება:
  - ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების (დათვალიერების) კანონიერად ცნობის შესახებ;
  - ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების (დათვალიერების) უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.
19. სასამართლოს განჩინება დათვალიერების ჩატარების შესახებ ხელმოწერით უნდა გააცნონ საცხოვრებელი, სამსახურებრივი და დახურული ტერიტორიის მფლობელს, ხოლო თუ

დათვალიერება ტარდება იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს მფლობელობაში – მის ხელმძღვანელს ან წარმომადგენელს. სწორედ აღნიშნული პირებისაგან ხდება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ნებართვის გამოთხოვა.

## მუხლი 128. გვამის დათვალიერება

1. გვამის გარეგნულ დათვალიერებას მხარე ატარებს ექსპერტის მონაწილეობით.
  2. ამოუცნობი გვამის დაქტილოს კოპირება და საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშის აღება სავალდებულოა.
  3. ამოუცნობი გვამის დამარხვა ან კრემაცია პროკურორის ნებართვის გარეშე დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.
1. დათვალიერების ერთ-ერთი სახეა გვამის დათვალიერება. სსსკ-ის 128-ე მუხლი განსაზღვრავს გვამის დათვალიერების წესს, კერძოდ, ამ საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობას, თუმცა არ მიუთითებს გვამის დათვალიერება სასამართლოს განჩინებით უნდა მოხდეს თუ სასამართლოს განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობით.
  2. გამოძიებელმა გვამის დათვალიერებისას სსსკ-ით გათვალისწინებული დათვალიერების ზოგადი წესებით უნდა იხელმძღვანელოს და იმავედროულად შეასრულოს სსსკ-ის 128-ე მუხლით დადგენილი სპეციალური მოთხოვნები.
  3. გვამის დათვალიერება შესაძლებელია ჩატარდეს უშუალოდ შემთხვევის ადგილზე ან სხვა ადგილზე (გარდაცვალების ადგილზე; აღმოჩენის ადგილზე; პროზექტურაში და ა.შ.).
  4. გამოძიებელი უფლებამოსილია გვამი დაათვალიეროს სასამართლოს განჩინების გარეშე, თუ:
    - დათვალიერება ჩასატარებელია არასაცხოვრებელ, არასამსახურებრივ ან ღია ტერიტორიაზე, რომელსაც არ ჰყავს მფლობელი;
    - დათვალიერება ჩასატარებელია საცხოვრებელ, სამსახურებრივ ან დახურულ ტერიტორიაზე და მფლობელი აცხადებს თანხმობას დათვალიერების ჩატარებაზე.
  5. ყველა სხვა შემთხვევაში გვამის დათვალიერება უნდა განხორციელდეს სასამართლოს განჩინებით, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლოს განჩინების გარეშე.
  6. დათვალიერების დაწყებამდე გამოძიებელი საცხოვრებელი, სამსახურებრივი თუ დახურული ტერიტორიის მფლობელისაგან მოიპოვებს დათვალიერების ნებართვას. მფლობელის პოზიცია წერილობით უნდა იყოს დადასტურებული. თანხმობის შემთხვევაში, გამოძიებელი ატარებს დათვალიერებას და ადგენს შესაბამის ოქმს. უარის შემთხვევაში, ან თუ ვერ დგინდება დასათვალიერებელი ობიექტის მესაკუთრე, მფლობელი, სხვა უფლებამოსილი პირი ან თუ შეუძლებელია მათგან თანხმობის მიღება, გამოძიებელი იღებს საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინებით ან განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარების გადაწყვეტილებას.
  7. გვამის დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს გადაუდებელი აუცილებლობით, თუ:
    - დაყოვნება გამოიწვევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის განადგურებას;
    - დაყოვნება შეუძლებელს გახდის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის მოპოვებას;
    - საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, ზედაპირული დათვალიერების შედეგად;
    - არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.
  8. პროკურორი გადაუდებლად ჩატარებული დათვალიერების კანონიერების საკითხის გად-

- აწყვეტის მიზნით, დათვალიერების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში, გამოძიების ადგილის ან დათვალიერების ჩატარების ადგილის მიხედვით, შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს.
9. მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. შუამდგომლობის და თანდართული მასალების განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება:
    - ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების (დათვალიერების) კანონიერად ცნობის შესახებ;
    - ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების (დათვალიერების) უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.
  10. სასამართლოს განჩინება დათვალიერების ჩატარების შესახებ ხელმოწერით უნდა გააცნონ საცხოვრებელი, სამსახურებრივი და დახურული ტერიტორიის მფლობელს, ხოლო თუ დათვალიერება ტარდება იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს მფლობელობაში – მის ხელმძღვანელს ან წარმომადგენელს.
  11. თუ გვამის დათვალიერება ხდება შემთხვევის ადგილზე, ცალკე გვამის დათვალიერების ოქმი არ დგება და მისი დათვალიერება ხდება შემთხვევის ადგილთან ერთად. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმშივე თანმიმდევრულად და დეტალურად აღიწერება გვამის დათვალიერების პროცესი.
  12. გვამის გარეგნულ დათვალიერებაში სავალდებულო წესით მონაწილეობს ექსპერტი, რომელიც ახდენს გვამზე არსებული დაზიანებების ლოკალიზაციის, რაოდენობის და ხასიათის იდენტიფიცირებას. ექსპერტის მონაწილეობა აუცილებელია იმდენად, რამდენადაც, გვამიდან ნიმუშის აღებას, დაზიანებების მიყენების მექანიზმის განსაზღვრას და მთელი რიგი საკითხების გარკვევას სპეციალური ცოდნის არმქონე გამოძიებელი ვერ უზრუნველყოფს.
  13. იმ შემთხვევაში, თუ დათვალიერების მომენტისათვის ვერ დგინდება გვამის ვინაობა, მისი დაქტილოსკოპირება და საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშის აღება სავალდებულოა, რაზეც ცალკე ოქმი არ დგება და აღნიშნული აისახება შემთხვევის ადგილის დათვალიერების ან გვამის დათვალიერების ოქმში (იმის მიხედვით გვამის დათვალიერება რა ადგილზე ხდება).
  14. გამოძიებელმა, პროკურორთან შეთანხმებით, უნდა გადაწყვიტოს ამოუცნობი გვამის დამარხვის ან კრემაციის საკითხი. გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, გამოძიებლის მიერ ასეთი გვამის დამარხვა ან კრემაცია პროკურორის ნებართვის გარეშე დაუშვებელია.

## მუხლი 129. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მიზანი

**მიღებული ინფორმაციის (ჩვენების) და გამოძიების პროცესში წარმოშობილი ვერსიის შესამოწმებლად მხარეს უფლება აქვს, ჩაატაროს საგამოძიებო ექსპერიმენტი.**

1. სსსკ-ის 129-ე მუხლი განსაზღვრავს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მიზანს. აღსანიშნავია, რომ 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი საგამოძიებო მოქმედების ერთ-ერთ სახედ ჩვენების ადგილზე შემოწმებას ითვალისწინებდა. ახალმა კოდექსმა საგამოძიებო ექსპერიმენტი და ჩვენების ადგილზე შემოწმება ერთ საგამოძიებო მოქმედებაში გააერთიანა, თუმცა განსხვავებული მიზნები დაუნესა. კერძოდ, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება, თუ:
  - საჭიროა საქმის ფაქტობრივი გარემოების/საგამოძიებო ვერსიის გადამოწმება;
  - გადასამოწმებელია მოწმისგან, დაზარალებულისგან, ბრალდებულისგან მიღებული ინფორმაციის/ჩვენების სისწორე.
2. უფრო კონკრეტულად, მაგალითად, ქურდობის საქმეზე, პოტენციური ბრალდებული და-



კითხვისას აცხადებს, რომ საცხოვრებელი სახლის მესამე სართულის ფანჯრიდან მაცივარი დამოუკიდებლად გადმოიტანა. არსებული მტკიცებულებები და საქმის ფაქტობრივი გარემოებები (სახლის მდებარეობა, მანძილი ფანჯარასა და ასფალტს შორის, მაცივრის მოცულობა და სხვა) კი იძლევა ეჭვის საფუძველს, რომ დანაშაულის ჩადენა ჯგუფურად მოხდა. გამომძიებელი უფლებამოსილია ქურდობის ადგილზე ჩაატაროს საგამომძიებო ექსპერიმენტი დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის შესაძლო ვერსიის გადასამოწმებლად. ან კიდევ, თავისუფლების უკანონო აღკვეთის საქმეზე, დაზარალებულმა დაკითხვისას განმარტა, რომ დანაშაულებმა ის ტყეში გაიყვანეს და ხეზე ჰყავდათ დაბმული ერთი კვირის განმავლობაში. მისთვის უცნობია ტყის დასახელება, თუმცა შეუძლია ადგილზე მითითება. გამომძიებელი უფლებამოსილია დაზარალებულის ჩვენების გადამოწმების მიზნით ჩაატაროს საგამომძიებო ექსპერიმენტი. საგამომძიებო ექსპერიმენტის ჩატარების გზით შეიძლება გადამოწმდეს როგორც დაზარალებულის, მონმის, ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენება, ისე მათი გამოკითხვის გზით მოპოვებული ინფორმაცია. სსსკ-ის 129-ე მუხლის აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს გამოკითხვის იმ წესს, რომელიც ამავე კოდექსის მიხედვით 2016 წლის 01 იანვრიდან უნდა ამოქმედდეს.

### მუხლი 130. საგამომძიებო ექსპერიმენტის ჩატარების წესი

1. საგამომძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობისათვის შეიძლება მიიწვიონ ექსპერტი. საცდელ მოქმედებათა ჩატარებაში შეიძლება ჩააბან სხვა პირები.
  2. საგამომძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობისათვის შეიძლება მიიწვიონ პირი, რომლის ინფორმაციაც (ჩვენებაც) უნდა შემოწმდეს. მხარეებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ საგამომძიებო ექსპერიმენტში. საგამომძიებო ექსპერიმენტის მონაწილეს უნდა გააცნონ ექსპერიმენტის მიზანი და ჩატარების წესი.
  3. თუ საგამომძიებო ექსპერიმენტი ტარდება გამოსაკვლევი გარემოების აღსადგენად, იგი უნდა შესაბამებოდეს შესამოწმებელ ინფორმაციას (ჩვენებას) ან ვერსიას. იმ პირს, რომლის მიერ მიცემული ინფორმაციაც (ჩვენებაც) მოწმდება, სთავაზობენ, აღიდგინოს შემთხვევის ვითარება, რომლის მონაწილე ან თვითმხილველიც თავად იყო. საჭიროების შემთხვევაში საგამომძიებო ექსპერიმენტი ტარდება არაერთგზის.
  4. საგამომძიებო ექსპერიმენტი მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული იმ ვითარებასთან, რომელშიც ხდებოდა აღსადგენი შემთხვევა.
  5. თუ საგამომძიებო ექსპერიმენტი ტარდება ინფორმაციის (ჩვენების) ადგილზე შემოწმების მიზნით, მხარე საგამომძიებო მოქმედების ყველა მონაწილის თანდასწრებით კითხულობს შესამოწმებელ ინფორმაციას (ჩვენებას) და სთავაზობს ინფორმაციის (ჩვენების) მიმცემ პირს, დაადასტუროს ან დააზუსტოს მიცემული ინფორმაცია (ჩვენება), რასაც თან ახლავს გარკვეულ მოქმედებათა დემონსტრირება და მის მიერ მიცემული ინფორმაციის (ჩვენების) დაზუსტება.
  6. რამდენიმე პირის ინფორმაციის (ჩვენების) ერთდროულად ადგილზე შემოწმება დაუშვებელია.
  7. პირი, რომლის ინფორმაციაც (ჩვენებაც) ადგილზე მოწმდება, განმარტებას იძლევა სხვათა ჩაურევლად, კარნახისა და პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების გარეშე.
  8. საგამომძიებო მოქმედების მონაწილეს შეუძლია დასვას კითხვები, მოითხოვოს მოქმედების გამეორება, მონაწილეობა მიიღოს აღმოჩენილი საგნის, დოკუმენტის, კვალის თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დათვალეირებაში და მხარისა და სხვა მონაწილეთა ყურადღება მიაპყროს, მისი აზრით, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს.
1. სსსკ-ის 130-ე მუხლი განსაზღვრავს საგამომძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობას და საგამომძიებო მოქმედების მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს.
  1. საგამომძიებო ექსპერიმენტი სასამართლოს განჩინებით და გადაუდებელი აუცილებლობით
  2. სსსკ-ის საგამომძიებო ექსპერიმენტის მარეგულირებელი მუხლები არ განსაზღვრავს ამ საგ-

- ამოძიებო მოქმედების ჩატარება სასამართლოს განჩინებით უნდა მოხდეს თუ განჩინების გარეშე. შესაბამისად, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადაწყვეტილების მიღებისას, გამოძიებელმა უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ის 112-ე მუხლით დადგენილი ზოგადი წესით – საგამოძიებო მოქმედება ჩაატაროს მოსამართლის განჩინებით ან გადაუდებელი აუცილებლობით, მოსამართლის განჩინების გარეშე. კერძოდ,
3. თუ საგამოძიებო ექსპერტიმენტის ჩატარება ხდება კერძო საკუთრებაში ან მფლობელობაში ან მისი ჩატარებით იზღუდება სხვა პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, გამოძიებელმა უნდა მოიპოვოს მესაკუთრის, მფლობელის ან იმ პირის თანხმობა, ვისაც ამ საგამოძიებო მოქმედებით ეზღუდება ზემოაღნიშნული უფლებები. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაზე თანხმობა უნდა იყოს წერილობითი. კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს, თუმცა პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამგვარი თანხმობა აისახება საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში ან ცალკე შედგენილ წერილობით ოქმში.
  4. თუ აღნიშნული პირები არ განაცხადებენ თანხმობას საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაზე, გამოძიებელი იღებს გადაწყვეტილებას საგამოძიებო ექსპერიმენტის მოსამართლის განჩინებით ან გადაუდებელი აუცილებლობით, განჩინების გარეშე ჩატარების შესახებ.
  5. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა სახეზეა, როცა:
    - დაყოვნება გამოიწვევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის განადგურებას;
    - დაყოვნება შეუძლებელს გახდის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის მოპოვებას;
    - საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, ზედაპირული დათვალიერების შედეგად;
    - არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.
  6. პროკურორი გადაუდებლად ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის კანონიერების საკითხის გადაწყვეტის მიზნით, საგამოძიებო ექსპერიმენტის დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში, გამოძიების ადგილის ან საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ადგილის მიხედვით, შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს.
  7. მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს მხარეთა (თუ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია) და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება. მოსამართლე ასევე უფლებამოსილია განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს განჩინების გარეშე ჩაატარა.
  8. შუამდგომლობისა და თანდართული მასალების განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება:
    - ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების (საგამოძიებო ექსპერიმენტის) კანონიერად ცნობის შესახებ;
    - ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების (საგამოძიებო ექსპერიმენტის) უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.
  9. საგამოძიებო ექსპერიმენტი, რომელიც არ ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას, ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მოსამართლის განჩინების გარეშე. ამგვარი საგამოძიებო ექსპერიმენტი არც გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებულად მიიჩნევა და შესაბამისად, არ საჭიროებს სასამართლოს მხრიდან კანონიერების შემოწმებას. გამოძიებელი ადგენს მხოლოდ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს.
  10. მაგალითად, თავისუფლების უკანონო აღკვეთის საქმეზე დაზარალებულმა დაკითხვისას განმარტა, რომ დამნაშავეებმა ის ტყეში გაიყვანეს და ხეზე ჰყავდათ დაბმული ერთი კვირის განმავლობაში. მისთვის უცნობია ტყის დასახელება, თუმცა შეუძლია ადგილზე

- მითითება. გამოძიებელმა გადაწყვიტა დაზარალებულის ჩვენების გადამონმების მიზნით ჩაატაროს საგამოძიებო ექსპერიმენტი. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ტერიტორია არ წარმოადგენს კერძო საკუთრებას, გამოძიებელს საგამოძიებო ექსპერიმენტის დასაწყებად არ ესაჭიროება ვინმეს წერილობითი თანხმობა, ხოლო უარის შემთხვევაში – სასამართლოს განჩინება.
11. ამგვარი საგამოძიებო ექსპერიმენტი არც გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებულად მიიჩნევა. გამოძიებელი უფლებამოსილია ადგილზე შეამოწმოს დაზარალებულის ჩვენება და შეადგინოს საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი.
  12. **საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობა და შედეგები**
  12. თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება დაზარალებულის, მონმის, ბრალდებულის ჩვენების (ინფორმაციის) შემონმების მიზნით, გამოძიებელი საგამოძიებო ექსპერიმენტს ატარებს შესამონმებელ ჩვენებაში (ინფორმაციაში) მითითებულ ადგილზე, ხოლო თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება გამოძიების პროცესში წამოჭრილი საგამოძიებო ვერსიის შესამონმებლად, გამოძიებელი ექსპერიმენტს ატარებს აღსადგენ გარემოებასთან მაქსიმალურად მიმსგავსებულ ადგილზე (დასახლებული, დაუსახლებელი, შენობა-ნაგებობა, ქუჩა და ა.შ.) დროის (დღის მონაკვეთი), ბუნებრივი პირობებისა (წვიმიანი, მშრალი, მზიანი და ა.შ.) და რელიეფის (ვაკე, მთაგორიანი) გათვალისწინებით.
  13. საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე იმ პირს, რომლის მიერ მიცემული ჩვენებაც (ინფორმაცია) მონმდება, სთავაზობენ აღიდგინოს შემთხვევის ვითარება, რომლის მონანილე ან თვითმხილველიც თავად იყო. პროცედურულად ჩვენების (ინფორმაციის) შემონმება შემდეგი თანმიმდევრობით მიმდინარეობს:
    - გამოძიებელი ხმამაღლა კითხულობს იმ პირის (დაზარალებულის, მონმის, ბრალდებულის) ჩვენებას (ინფორმაციას), რომელიც მონმდება;
    - გამოძიებელი ჩვენების (ინფორმაციის) მიმცემ პირს სთავაზობს დაადასტუროს ან დააზუსტოს მის მიერ მიცემული ჩვენება (ინფორმაცია);
    - გამოძიებელი ჩვენების (ინფორმაციის) მიმცემ პირს წინადადებას აძლევს შეძლებისდაგვარად თანმიმდევრულად მიუთითოს ჩვენებაში (ინფორმაციაში) ასახულ ადგილზე ან/და საგნებზე;
    - გამოძიებელი ისმენს ჩვენების (ინფორმაციის) მიმცემი პირის განმარტებებს ჩარევის გარეშე. დაუშვებელია კარნახი და პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა.
  14. თუ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე არსებობს ერთდროულად რამდენიმე პირის მიერ მიცემული ჩვენების (ინფორმაციის) შემონმების საჭიროება, გამოძიებელი მას ატარებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. რამდენიმე ჩვენების (ინფორმაციის) ადგილზე ერთდროულად შემონმება დაუშვებელია.
  15. ჩვენების (ინფორმაციის) შემონმების მიზნით საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას სსსკ-ის 129-ე მუხლი ცალსახად არ მიუთითებს საქმისთვის მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, კვალის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოღების დასაშვებობაზე. თუმცა, ამ მუხლის მე-8 ნაწილით საგამოძიებო მოქმედების მონანილისთვის გარანტირებული უფლება – მონანილეობა მიიღოს საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას აღმოჩენილი საგნის, დოკუმენტის, კვალის თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დათვალიერებაში – ობიექტების ამოღების შესაძლებლობასაც გულისხმობს. კერძოდ, თუ საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილზე აღმოჩნდება სისხლის სამართლის საქმისთვის მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, კვალი თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, გამოძიებელმა ის უნდა დაათვალიეროს საგამოძიებო მოქმედების მონანილების თანდასწრებით, რის შემდეგაც უნდა ამოიღოს, შეფუთოს, დალუქოს და დაიცვას მტკიცებულებათა დამაგრების სსსკ-ით დადგენილი ყველა წესი.
  16. მსგავს შემთხვევაში ცალკე ამოღების ოქმის შედგენა, საერთო წესით ამოღების დაკანონე-

- ბა ან/და შესაძლო ამოღების ჩატარების თაობაზე სასამართლოსგან წინასწარ ნებართვის გამოთხოვა აუცილებელი არ არის. თუ ამოღება საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობის დროს ხდება, გამოძიებელი ადგენს მხოლოდ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს, სადაც აკეთებს შესაბამის აღნიშვნას ნივთების ამოღების, მათი რაოდენობის, სახეობის, ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნების შესახებ.
- 17.** მაგალითად, ბრალდებულმა დაკითხვისას აღიარა განზრახ მკვლელობის მცდელობა, დეტალურად აღწერა დანაშაულის გარემოებები (დანაშაული მოხდა მეზობლის ბინაში ურთიერთშელაპარაკების დროს), მათ შორის ადგილი, საიდანაც აიღო დანა და ადგილი, სადაც დააბრუნა ეს უკანასკნელი დანაშაულის ჩადენის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, ბრალდებულის ჩვენების ადგილზე შემონმების მიზანი შედარებით ფართოდ უნდა განიმარტოს და მან მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე ობიექტის ამოღების მიზანიც უნდა მოიცვას. ამასთან, ვინაიდან საგამოძიებო ექსპერიმენტი კერძო საკუთრებაში ტარდება, გამოძიებულმა უნდა დაიცვას კერძო საკუთრებაში საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სსსკ-ით დადგენილი წესი – მესაკუთრისგან გამოითხოვოს წერილობითი თანხმობა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ. თანხმობის შემთხვევაში, ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება და შეადგინოს შესაბამისი ოქმი, ხოლო უარის შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება საგამოძიებო ექსპერიმენტის მოსამართლის განჩინებით ან განჩინების გარეშე გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარების შესახებ. საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას, კერძოდ, ბრალდებულის ჩვენების შემონმებისას, მისივე მითითებით გამოძიებულმა უნდა ამოიღოს დანა. აღნიშნულის შესახებ საგამოძიებელი ადგენს მხოლოდ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს, რომელშიც დეტალურად აღწერს დანის ინდივიდუალურ და გვარეობით ნიშნებს.
- 18.** თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი საგამოძიებო ვერსიის შემონმების მიზნით ტარდება, გამოძიებელი მონაწილე პირებს სთავაზობს დაიკავონ მათთვის განკუთვნილი ადგილები, გააცნობს მათ როლებს (ვინ რა მოქმედება უნდა შეასრულოს), განსაზღვრავს შესასრულებელ მოქმედებათა თანმიმდევრობას, მიუთითებს მოქმედებათა შესრულების დაწყებაზე. საჭიროების შემთხვევაში, საცდელი მოქმედებები შესაძლებელია რამდენჯერმე განმეორდეს.
- 19.** საგამოძიებო ექსპერიმენტში, საჭიროების მიხედვით, შეიძლება მონაწილეობა მიიღონ:
- კანონიერმა წარმომადგენელმა (თუ ინფორმაციის მომწოდებელი არასრულწლოვანია);
  - თარჯიმანმა (თუ საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე რომელიმე პირი არ ფლობს ან სათანადოდ არ ფლობს ქართულ ენას);
  - გარეშე პირმა (თუ საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე რომელიმე პირს აქვს ფიზიკური ნაკლი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ აწერს ხელს საგამოძიებო მოქმედების ოქმს);
  - პროკურორმა (თუ ის მოითხოვს საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობას);
  - ექსპერტმა (თუ მტკიცებულებათა აღმოჩენისა და ფიქსაციისათვის საჭიროა სპეციალური ცოდნა);
  - დამხმარე პირებმა (თუ აუცილებელია საცდელ მოქმედებებში მათი მონაწილეობა);
  - სპეციალისტმა (მაგ., თუ საჭიროა საგამოძიებო ექსპერიმენტის ფოტო ან/და ვიდეოგადაღება).
- 20.** საცდელ მოქმედებებში მონაწილე პირებს საგამოძიებელი არჩევს მოქალაქეთაგან, რომლებსაც სთავაზობს საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობას.
- 21.** საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ასევე მხარეებს. დაცვის მხარემ საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად უნდა იშუამდგომლოს ბრალდების მხარის (გამომძიებლის, პროკურორის) წინაშე. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, მხარეებს წარმოადგენენ ბრალდებული, მისი ადოკატი, საგამოძიებელი,

- პროკურორი. იმის გათვალისწინებით, რომ პირი ბრალდებულის სტატუსს იძენს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე პოტენციურ ბრალდებულსა და მის ადვოკატს საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის უფლებამოსილება არ გააჩნიათ.
22. საგამოძიებო ექსპერიმენტის მონაწილეებს, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებს, აქვთ გარკვეული უფლებები და ეკისრებათ გარკვეული მოვალეობები. აღნიშნულის შესახებ მათ ინფორმაციას აწვდის გამოძიებელი საგამოძიებო ექსპერიმენტის დაწყებამდე. პირველ რიგში, გამოძიებელი მონაწილეებს განუმარტავს საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზანს და მისი ჩატარების წესს.
  23. საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებს შეუძლიათ დასვან კითხვები, მოითხოვონ საცდელი მოქმედებების გამეორება და მხარისა და საგამოძიებო მოქმედების სხვა მონაწილეთა ყურადღება მიაპყრონ, მათი აზრით, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს.
  24. გამოძიებელი სწორედ მათი მონაწილეობით ათვალთვლებს საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას აღმოჩენილ საგანს, დოკუმენტს, კვალს თუ ინფორმაციის შემცველ სხვა ობიექტს. საგამოძიებო ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ თითოეული მონაწილე ხელმონერით ადასტურებს საგამოძიებო მოქმედების ოქმს.

### მუხლი 131. პირის და ობიექტის ამოსაცნობად წარდგენა

1. გამოძიების დროს ამოსაცნობად წარდგენა ტარდება ამომცნობის თანხმობით.
2. ამოსაცნობად წარდგენამდე ამომცნობი ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით უნდა იყოს დაკითხული ამოსაცნობი ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისებების თაობაზე და იმ გარემოების შესახებ, რომელშიც მას შეხება ჰქონდა ამოსაცნობ ობიექტთან. ამომცნობისას ამომცნობმა უნდა განმარტოს, რა ნიშან-თვისებებით ამოიცნო ამოსაცნობი ობიექტი.
3. ამომცნობს ამოსაცნობი უნდა წარედგინოს იმავე სქესის არანაკლებ 2 ისეთ პირთან ერთად, რომლებიც ერთმანეთისაგან და ამოსაცნობისაგან მკვეთრად არ განსხვავდებიან გარეგნობითა და ტანსაცმლით.
4. ამომცნობს ამოსაცნობი ობიექტი უნდა წარედგინოს არანაკლებ 2 სხვა ერთგვაროვან საგანთან ერთად. ამომცნობს სთავაზობენ, მიუთითოს ობიექტი, რომლის ამოცნობაც შეუძლია, და განმარტოს, რა ნიშან-თვისებებით ამოიცნო იგი.
5. როცა ამომცნობისათვის ამოსაცნობი ობიექტის ამოსაცნობად წარდგენა შეუძლებელია ან ეს დაკავშირებულია არაგონივრულ ძალისხმევასთან, ამომცნობა შეიძლება ჩატარდეს ფოტოსურათით. ასეთ შემთხვევაში ამომცნობს უნდა წარედგინოს არანაკლებ 3 სხვა ფოტოსურათი, რომლებზე აღბეჭდილი ობიექტებიც მკვეთრად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამოსაცნობისაგან. ფოტოსურათების ამოსაცნობად წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით.
6. ამომცნობა არ ტარდება, ხოლო ჩატარებული ამომცნობა დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამომცნობი მიუთითებს ისეთ ნიშან-თვისებებზე, რომლებიც საკმარისი არ არის ამოსაცნობი ობიექტის იდენტიფიკაციისათვის, ან თუ ამომცნობს მიაწინებს ამოსაცნობ ობიექტზე.
7. ამომცნობის მიერ ამოსაცნობი ობიექტის განმეორებით ამომცნობა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წინა ამომცნობა ფოტოსურათით ჩატარდა.
8. გვამის, მისი ნაწილის, აგრეთვე ისეთი ობიექტის ამომცნობისას, რომლის ანალოგის შერჩევაც შეუძლებელია, ამომცნობა ტარდება მხოლოდ 1 ამოსაცნობი ობიექტის მიხედვით.
9. ამომცნობის ჩატარება აუცილებელი არ არის, თუ ამომცნობი ასახელებს ამოსაცნობი პირის პერსონალურ მონაცემებს, რომლებითაც შესაძლებელია მისი ზუსტი იდენტიფიცირება.

1. სსსკ-ის 131-ე მუხლი განსაზღვრავს ამომცნობის სახეებსა და მათი ჩატარების წესს, ადგენს ამომცნობის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძვლებს.
2. ამომცნობის მიზანია სისხლის სამართლის საქმესთან შემხებლობაში მყოფი პირის, საქმისთ-

- ვის მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე ობიექტის იდენტიფიცირება. აღნიშნულის მიხედვით, სსსკ-ის 131-ე მუხლი ერთმანეთისგან განასხვავებს ამოცნობის შემდეგ სახეებს:
1. პიროვნული ამოცნობა;
  2. ფოტოსურათით ამოცნობა;
  3. ნივთის (საგნის) ამოცნობა;
  4. გვამის ამოცნობა.
3. პიროვნული (მათ შორის ფოტოსურათით) ამოცნობა ტარდება მაშინ, როცა გამოძიებისთვის უცნობია პირის (მაგალითად, დანაშაულის ჩამდენი პირის) ვინაობა (სახელი და გვარი) და პროცესის მონაწილეს (მაგალითად, დაზარალებულს, მონმეს) შეუძლია ამ პირის იდენტიფიცირება ამოცნობის გზით.
4. ნივთის (საგნის) ამოცნობა ტარდება მისი კონკრეტული პირისადმი კუთვნილების ან სისხლის სამართლის საქმესთან შემხებლობის დასადგენად. მაგალითად, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ოქროს სამაჯური დამნაშავემ ჩააბარა ლომბარდში. გამოძიებელი უფლებამოსილია ლომბარდიდან ამოღებულ სამაჯურზე ჩაატაროს ამოცნობა, რათა დაადგინოს მისი კუთვნილება დაზარალებულისადმი და მისი კავშირი სისხლის სამართლის საქმესთან.
5. გვამის ამოცნობა ტარდება ამოუცნობი გვამის იდენტიფიცირების მიზნით.
6. ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, ამოცნობის ჩატარება აუცილებელი არ არის, თუ ამომცნობი ასახელებს ამოსაცნობი პირის პერსონალურ მონაცემებს, რომლებითაც შესაძლებელია მისი ზუსტი იდენტიფიცირება. მაგალითად, ამომცნობი ასახელებს იმ პირის სახელსა და გვარს, რომელმაც ის გაძარცვა.
7. ამოცნობის ჩასატარებლად აუცილებელია ამომცნობის თანხმობა. მაგალითად, თუ დაზარალებული უარს აცხადებს ამოცნობაში მონაწილეობასა და პირის იდენტიფიცირებაზე, ამოცნობა ვერ ჩატარდება. ამოცნობის ჩატარებამდე ამომცნობი აუცილებლად უნდა იყოს დაკითხული ამოსაცნობი ობიექტის (პირის, ნივთის, საგნის) ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისებების შესახებ, აგრეთვე იმ გარემოების შესახებ, რომელშიც მან ნახა ამოსაცნობი ობიექტი (პირი, ნივთი, საგანი). აღნიშნულ ნიშან-თვისებებზე ამომცნობმა ამოცნობის დროს უნდა მიუთითოს. კერძოდ, მან უნდა განმარტოს რა ნიშან-თვისებებით ამოიცნო პირი. ამასთან, ამომცნობის მიერ დაკითხვის დროს მითითებული ნიშან-თვისებები საკმარისი უნდა იყოს ობიექტის იდენტიფიცირებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამოცნობა არ უნდა ჩატარდეს, ხოლო ჩატარებული ამოცნობა დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. მაგალითად, პიროვნული ამოცნობის ჩატარებამდე გამოძიებელმა ამომცნობი უნდა დაჰკითხოს ამ პირის გარეგნული ნიშან-თვისებების და ჩაცმულობის შესახებ. თუ ამომცნობი ვერ მიუთითებს ვერც ერთ გარეგნულ ნიშანზე ან ჩაცმულობაზე ან მიუთითებს არასაკმარის ნიშანზე (მაგალითად, მხოლოდ სიმაღლეზე), ამოცნობა არ უნდა ჩატარდეს. ამგვარი ამოცნობის ჩატარების შემთხვევაში, მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის ეტაპზე აუცილებლად დადგება მისი დაუშვებლად ცნობის საკითხი.
8. სსსკ-ის 131-ე მუხლი განსაზღვრავს ამოცნობის დაუშვებლად ცნობის სხვა საფუძველსაც. კერძოდ, ამოცნობა დაუშვებელი მტკიცებულებაა თუ მისი მიმდინარეობისას ამომცნობმა მიაწინებინა ამოსაცნობ ობიექტზე (პირზე, ნივთზე, საგანზე).
9. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამოცნობა დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ:
  - ამოცნობის მიმდინარეობისას დარღვეულია სსსკ-ის არსებითი მოთხოვნა ან ამოცნობის ოქმი სსსკ-ის არსებითი დარღვევით არის შედგენილი;
  - ამომცნობი მიუთითებს ამოსაცნობი ობიექტის იდენტიფიკაციისათვის არასაკმარის ნიშან-თვისებაზე;
  - ამომცნობს მიაწინებს ამოსაცნობ ობიექტზე (მაგალითად, ამომცნობს საგამოძიებო მოქმედების მონაწილემ მიაწინა, რომ ამოსაცნობ პირებში მარჯვნიდან მეორე იყო პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა).
10. პიროვნულ ამოცნობაში მონაწილეობას უნდა იღებდეს ერთი და იმავე სქესის არანაკლებ

- 3 პირი (რომელთაგან ერთი ამოსაცნობი პირია), რომლებიც ერთმანეთისგან მკვეთრად არ განსხვავდებიან გარეგნობითა და ტანსაცმლით. სსსკ-ის არ მიუთითებს როგორ უნდა მოხდეს ამ პირების შერჩევა, თუმცა პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამოსაცნობი პირების შერჩევა ხდება მოქალაქეთა რიგებიდან, რომლებსაც გამოძიებელი სთავაზობს საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამოცნობა დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამომცნობს მიაწინებს ამოსაცნობ ობიექტზე. ამოსაცნობისთვის გარეგნულად და ტანსაცმლით მსგავსი ობიექტების წარდგენა სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ ამოსაცნობ ობიექტსა და სხვა პირებს (საგნებს, ნივთებს) შორის მკვეთრი განსხვავება ამომცნობისთვის ერთგვარი მინიშნება არ აღმოჩნდეს.
11. ამოცნობის განმეორებით ჩატარება დაუშვებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად პირველადი ამოცნობის შედეგებისა, გამოძიებელს არ აქვს უფლება ამოსაცნობ პირთან ერთი და იგივე ან სხვა პირები ხელმეორედ წარუდგინოს ამომცნობს. სსსკ-ის 131-ე მუხლი ითვალისწინებს გამონაკლისს ამ წესიდან – ამომცნობის განმეორებით ჩატარება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ წინა ამომცნობა ფოტოსურათით ჩატარდა.
  12. ფოტოსურათით ამომცნობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები. კერძოდ, თუ:
    - ამომცნობისათვის შეუძლებელია ამოსაცნობი ობიექტის წარდგენა (მაგალითად, ამოსაცნობი პირი თავს არიდებს გამოძიებას, მისი ადგილსამყოფელი უცნობია ან/და მის მიმართ გამოცხადებულია ძებნა);
    - ამომცნობისათვის ამოსაცნობი ობიექტის წარდგენა დაკავშირებულია არაგონივრულ ძალისხმევასთან (მაგალითად, გარეგნულად და ტანსაცმლით მსგავსი პირების მოძიება დიდ დროსა და ადამიანურ რესურსებს მოითხოვს).
  13. ფოტოსურათით ამომცნობისას ამომცნობს უნდა აჩვენონ მინიმუმ 4 ფოტოსურათი (რომელთაგან ერთი ეკუთვნის ამოსაცნობ პირს). ფოტოებზე აღბეჭდილი პირები მკვეთრად არ უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან და ამოსაცნობი პირისგან. ფოტოსურათები ამომცნობს შეიძლება წარედგინოს ელექტრონული ფორმით (მაგალითად, კომპიუტერში).
  14. რაც შეეხება საგნის (ნივთის) ამომცნობას, ამომცნობს ამოსაცნობად უნდა წარედგინოს არანაკლებ 3 (რომელთაგან ერთი ამოსაცნობი ნივთია) ერთგვაროვანი საგანი. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როცა ამოსაცნობისთვის ერთგვაროვანი ობიექტების ჩვენება შეუძლებელია, ვინაიდან არ არსებობს ამოსაცნობი ობიექტის ანალოგი. მაგალითად გვამი, მისი ნაწილი ან სხვა ობიექტი, რომლის ანალოგი არ მოიძებნება. მსგავს შემთხვევაში, გამოძიებელი უფლებამოსილია ამომცნობს ამოსაცნობად ერთი ობიექტი წარუდგინოს.
  15. პიროვნული და საგნის ამომცნობისას ამომცნობს გამოძიებელი სთავაზობს იმ პირებიდან და საგნებიდან ამოიცნოს ერთი და მიუთითოს იმ ნიშან-თვისებებზე, რომლითაც ობიექტი ამოიცნო.
  16. ამომცნობისა და ამოსაცნობი პირების გარდა, ამომცნობაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ:
    - კანონიერმა წარმომადგენელმა (თუ საგამოძიებო მოქმედების რომელიმე მონაწილე არასრულწლოვანია);
    - თარჯიმანმა (თუ ამომცნობის მონაწილე რომელიმე პირი არ ფლობს ან სათანადოდ არ ფლობს ქართულ ენას);
    - გარეშე პირმა (თუ ამომცნობაში მონაწილე რომელიმე პირს აქვს ფიზიკური ნაკლი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ აწერს ხელს საგამოძიებო მოქმედების ოქმს);
    - პროკურორმა (თუ ის მოითხოვს ამომცნობაში მონაწილეობას);
    - სპეციალისტმა (მაგ., თუ საჭიროა ამომცნობის ვიდეოგადაღება).
  17. ამომცნობის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ამომცნობის ყველა მონაწილე, ოქმს ხელმოწერით ადასტურებს გამოძიებელი.

### მუხლი 132. ექსპუმაციის საფუძველი და მიზანი

1. საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით შეიძლება ჩატარდეს ექსპუმაცია (გვამის საფლავიდან ამოღება).
2. შუამდგომლობით მხარე მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს, რომელიც ზეპირი მოსმენის გარეშე იხილავს მას დაყენებიდან 48 საათში. სასამართლოს განჩინება არ საჩივრდება.
3. ექსპუმაციის შესახებ განჩინება სავალდებულოა დასაფლავების ადგილის ადმინისტრაციისათვის (თუ ასეთი არსებობს), გარდაცვლილის ნათესავეებისათვის და სხვა პირებისათვის.

1. გვამის ექსპუმაცია გულისხმობს გვამის საფლავიდან ამოღებას. ექსპუმაციის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება მაშინ, როცა სახეზეა ქვემოთ ჩამოთვლილი წინაპირობები:
  - საქმის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად საჭიროა გვამზე ექსპერტიზის ჩატარება, გვამზე ამოცნობის ჩატარება, გვამიდან ნიმუშის აღება, გვამის დათვალიერება ან სასახლიდან/გვამიდან რაიმე ნივთის ამოღება;
  - გვამი დასაფლავებულია.
2. გვამის ექსპუმაციის ჩასატარებლად აუცილებელია მხარემ (ბრალდების მხარემ, დაცვის მხარემ) შუამდგომლობით მიმართოს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს, რომელიც 48 საათში გასცემს განჩინებას გვამის ექსპუმაციის ჩატარების ან ექსპუმაციაზე უარის თქმის შესახებ. გვამის ექსპუმაცია ერთადერთი საგამოძიებო მოქმედებაა, რომლის ჩატარებაც დაუშვებელია გადაუდებელი აუცილებლობით. ამასთან, სხვა საგამოძიებო მოქმედებებისაგან განსხვავებით, გვამის ექსპუმაციის (ან ექსპუმაციაზე უარის) შესახებ სასამართლოს განჩინება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში არ საჩივრდება.
3. სასამართლოს განჩინება გვამის ექსპუმაციის შესახებ სავალდებულოა:
  - დასაფლავების ადგილის ადმინისტრაციისთვის (თუ ასეთი არსებობს);
  - გარდაცვლილის ნათესავეებისთვის (მათი წინააღმდეგობის მიუხედავად);
  - სხვა პირებისთვის.

### მუხლი 133. ექსპუმაციის წესი

1. ექსპუმაციას მხარე ატარებს ამ კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესით, გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს განჩინების საფუძველზე, დასაფლავების ადგილის ადმინისტრაციის (თუ ასეთი არსებობს) წარმომადგენლის მონაწილეობით. ექსპუმაციაში მონაწილეობს ექსპერტი. ამ საგამოძიებო მოქმედებაში პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.
2. გარდაცვლილის ნათესავეებს უფლება აქვთ, დაესწრონ ექსპუმაციას.

1. გვამის ექსპუმაცია (გვამის საფლავიდან ამოღება) ტარდება სასამართლოს განჩინებით საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გადაუდებელი აუცილებლობით დაუშვებელია. მხარე შუამდგომლობით მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს, რომელიც 48 საათში გასცემს განჩინებას გვამის ექსპუმაციის ჩატარების ან ექსპუმაციაზე უარის თქმის შესახებ.
2. გვამის ექსპუმაციაში სავალდებულო წესით მონაწილეობენ:
  - დასაფლავების ადგილის ადმინისტრაციის წარმომადგენლები;
  - ექსპერტი;
  - პროკურორი;



- გარდაცვლილის ნათესავები (თუ ისინი ამას მოითხოვენ).

### მუხლი 134. ზოგადი დებულებანი საგამოძიებო მოქმედების ოქმის შესახებ

1. საგამოძიებო მოქმედების ოქმი დგება უშუალოდ საგამოძიებო მოქმედების მსვლელობისას ან მისი დამთავრებისთანავე.
  2. საგამოძიებო მოქმედების ოქმი შეიძლება დაინეროს ხელით ან შედგეს ტექნიკური საშუალებით.
  3. საგამოძიებო მოქმედების ოქმში აღნიშნული უნდა იყოს: საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი და თარიღი; მისი დაწყებისა და დამთავრების დრო; საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პირობები; იმ პირის თანამდებობა და გვარი, რომელმაც ჩატარა საგამოძიებო მოქმედება; საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა სახელები და გვარები, ხოლო საქმისაგან შემთხვევაში – მათი მისამართებიც. ოქმში ჩამოყალიბებული უნდა იყოს საქმისათვის არსებითი გარემოებები, აგრეთვე საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა განცხადებები და შენიშვნები.
  4. თუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოყენებული იყო ხმის ან/და გამოსახულების ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით ჩანერა, დამზადდა კვალის ანაბეჭდი ან ტვიფარი, შედგა ნახაზი ან სქემა, საგამოძიებო მოქმედების ოქმში უნდა აღინიშნოს გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ტექნიკური მახასიათებლები, მათი გამოყენების პირობები და მიღებული შედეგები. ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების შესახებ საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებს წინასწარ უნდა ეცნობოს და ამის თაობაზე უნდა აღინიშნოს ოქმში. ამ ნაწილში მითითებული ინფორმაციის შემცველი მასალა უნდა დაილუქოს, დადასტურდეს საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა ხელმოწერებით და დაერთოს საქმეს.
  5. შედგენის შემდეგ საგამოძიებო მოქმედების ოქმი გასაცნობად წარედგინება საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილეს. მათვე უნდა განემარტოთ, რომ უფლება აქვთ, გამოთქვან შენიშვნა, დამატება ან შესწორება, რომელიც ოქმში აისახება. ოქმში შეტანილი ყველა შენიშვნა, დამატება და შესწორება დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ხელმოწერით.
  6. საგამოძიებო მოქმედების ოქმს ხელს აწერს საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილე. თუ საგამოძიებო მოქმედების მონაწილე უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე, ამ ფაქტის შესახებ ოქმში კეთდება აღნიშვნა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი. ოქმის ხელმოწერაზე უარის მთქმელ პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განმარტოს ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი, რომელიც ასევე აღინიშნება ოქმში. თუ საგამოძიებო მოქმედების მონაწილე ფიზიკური ნაკლის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ აწერს ხელს ოქმს, მოიწვევა გარეშე პირი, რომელიც ხელმოწერით მის ნაცვლად ადასტურებს ოქმს.
1. ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ დგება ოქმი. საგამოძიებელი ოქმს ადგენს უშუალოდ საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისას ან მისი დამთავრებისთანავე. საკითხის გადაწყვეტა მთლიანად საგამოძიებლის კომპეტენციას განეკუთვნება საგამოძიებო მოქმედების თავისებურების, მონაწილე პირთა რაოდენობის და სხვა გარემოებების გათვალისწინებით.
  2. საგამოძიებო მოქმედების ოქმი შეიძლება დაინეროს ხელით ან შედგეს ტექნიკური საშუალებით (მაგალითად, კომპიუტერის მეშვეობით). ოქმის ხელით შედგენა ძირითადად ხდება მაშინ, როცა საგამოძიებო მოქმედება ტარდება საველე პირობებში (მაგალითად შემთხვევის ადგილის დათვალიერება), ხოლო ტექნიკური საშუალებით მაშინ, როცა საგამოძიებო მოქმედება ტარდება საგამოძიებო დანაყოფში (მაგალითად, დაკითხვა).
  3. საგამოძიებო მოქმედების ოქმში აღინიშნება საგამოძიებო მოქმედების მთელი მიმდინარეობა და შედეგები. სსსკ-ის 134-ე მუხლი ჩამოთვლის იმ აუცილებელ რეკვიზიტებს, რომლებსაც თითოეული საგამოძიებო მოქმედების ოქმი უნდა შეიცავდეს:
  4. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი (ქალაქი, სოფელი, დაწესებულება, მისამარ-

- თი) და თარიღი;
5. მისი დაწყებისა და დამთავრების დრო (საათი);
  6. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პირობები, მიმდინარეობა და გამოყენებული ტექნიკური საშუალებები (ამინდი; ადგილზე არსებული ნივთების განლაგება, მათი ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები; დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების ამოღების ფაქტი; ადგილი, საიდანაც ნივთებისა და საგნების ამოღება მოხდა; საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა ქმედებების თანმიმდევრობა; გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ტექნიკური მახასიათებლები, მათი გამოყენების პირობები და მიღებული შედეგები; მითითება ამოღებული ნივთების შეფუთვის და დალუქვის, კვალის ანაბეჭდის ან ტვიფარის დამზადების, ნახაზის ან სქემის შედგენის შესახებ და ა.შ.) – ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ფაქტი საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებს წინასწარ ეცნობებათ, რის შესახებაც აღნიშვნა კეთდება ოქმში;
  7. იმ პირის თანამდებობა და ვინაობა, რომელმაც ჩაატარა საგამოძიებო მოქმედება – თუ საგამოძიებო მოქმედება რამდენიმე პირმა ჩაატარა, ოქმში იწერება თითოეული მათგანის თანამდებობა და ვინაობა;
  8. საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა სახელები და გვარები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მათი მისამართებიც – ოქმში მიეთითება ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმნის, გარეშე პირის, კანონიერი წარმომადგენლის, აგრეთვე პროცესის სხვა მონაწილის სახელი და გვარი. მართალია, სსსკ-ი პირდაპირ არ განსაზღვრავს, თუმცა მნიშვნელოვანია საგამოძიებო მოქმედების ოქმში საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა თანამდებობების მითითება იმისათვის, რომ მოხდეს მათი იდენტიფიცირება სტატუსის მიხედვით;
  9. საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა განცხადებები და შენიშვნები – საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებს უფლება აქვთ საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისას გააკეთონ განცხადებები და გამოთქვან შენიშვნები ნებისმიერ საკითხზე, გამომძიებლის ყურადღება მიაპყრონ საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებას. აღნიშნული უფლების შესახებ განმარტებას გამომძიებელი საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე აკეთებს. თითოეული ამგვარი განცხადება, შენიშვნა და შესწორება უნდა აღინიშნოს ოქმში და დადასტურდეს მისი ავტორის ხელმოწერით.
  10. საგამოძიებო მოქმედების ოქმი გასაცნობად და ხელმოსანერად წარედგინება საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილეს. თუ საგამოძიებო მოქმედების რომელიმე მონაწილე უარს აცხადება ოქმის ხელმოწერაზე, გამომძიებელი აღნიშნულის შესახებ აღნიშვნას აკეთებს ოქმში. ამასთან, პირს უნდა მიეცეს უარის მიზეზების განმარტების შესაძლებლობა, რაც ასევე აღინიშნება ოქმში (ასეთის განმარტების შემთხვევაში). ამასთან, სსსკ-ის 134-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა საგამოძიებო მოქმედების მონაწილე ოქმს ხელს ვერ აწერს მისი ნებისგან დამოუკიდებლად – ფიზიკური ნაკლის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ასეთ შემთხვევაში მოიწვევა გარეშე პირი, რომელიც საგამოძიებო მოქმედების მონაწილის ნაცვლად ადასტურებს ოქმს ხელმოწერით.
  11. სსსკ-ი არ განსაზღვრავს ვინ შეიძლება იყოს გარეშე პირი. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ის საგამოძიებო მონაწილის ნაცვლად აწერს ხელს ოქმს, გამომძიებელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს პროცესის მონაწილის ინტერესები.
  12. საგამოძიებო მოქმედების შედეგად ამოღებული ნივთები უნდა შეიფუთოს (შესაძლებლობის შემთხვევაში), დაილუქოს და მათზე გაკეთდეს საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა ხელმოწერები. ასევე, გამომძიებელი უფლებამოსილია შეადგინოს საგამოძიებო მოქმედების ამსახველი გეგმა, სქემა, ნახაზი, რაც აუცილებლად უნდა დაერთოს ოქმს.

### მუხლი 135. ცალკეული საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენის თავისებურებანი

1. გამოკითხვის ოქმში უნდა აისახოს გამოსაკითხი პირის სახელი, გვარი, ასაკი, მოქალაქეობა, გა-

ნათლება, სამუშაო ადგილი, საქმიანობა ან/და თანამდებობა, საცხოვრებელი ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, მისი ურთიერთობა ბრალდებულთან თუ დაზარალებულთან, მის მიერ მიცემული ინფორმაციის შინაარსი, მისი დამოკიდებულება სასამართლოში გამოცხადებისა და ჩვენების მიცემისადმი.

2. ყადაღის, ჩხრეკის ან/და ამოღების ოქმში უნდა მითითდეს: რა ადგილას და რა ვითარებაშია აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი; ის ნებაყოფლობითაა გადაცემული თუ იძულებითაა ჩამორთმეული. ყველა ობიექტი ოქმში უნდა აღინეროს რაოდენობის, წონის, ღირებულების (თუ ეს შესაძლებელია), ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისებების მითითებით. თუ ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას სცადეს, გაენადგურებინათ ან გადაემალათ მოსაძებნი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, ან/და თუ გასაჩხრეკმა ან სხვა პირმა წინააღმდეგობა გასწია, ეს უნდა აღინიშნოს ოქმში. ამოღების ან ჩხრეკის ოქმის ასლი გადაეცემა პირს, რომელთანაც ჩატარდა ამოღება ან ჩხრეკა, ან მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში – სახლის მფლობელს ან/და გარეშე პირს (მეზობელს, ახლო ნათესავს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელს), რომელიც ამოღებას ან ჩხრეკას ესწრებოდა. თუ ამოღება ან ჩხრეკა ჩატარდა იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს მფლობელობაში ან დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, ოქმის ასლი გადაეცემა შესაბამისად ამ საგამოძიებო მოქმედების დამსწრე იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს ან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს.

3. კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით განხორციელებული გზავნილის დაყადაღების, დათვალიერების და ამოღების, შეჩერებული გზავნილის დათვალიერების ოქმში აღინიშნება, კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით განხორციელებული რომელი გზავნილი დაათვალიერეს და ამოიღეს, რომელი უნდა გადაეცეს ადრესატს ან დროებით უნდა შეჩერდეს და რა ვადით, რომელი კორესპონდენციის ასლი გადაიღეს, რა ტექნიკური საშუალება გამოიყენეს და რა გამოვლინდა ამის შედეგად.

4. დათვალიერების ოქმში უნდა აღინეროს ყველა აღმოჩენილი კვალი, საგანი, დოკუმენტი თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, ინდივიდუალური ან/და გვარეობითი ნიშან-თვისებების მითითებით. ოქმში უნდა აღინიშნოს, რა დროს, როგორ ამინდში და როგორი განათების პირობებში ჩატარდა დათვალიერება, რა ტექნიკური საშუალება იქნა გამოყენებული და რა შედეგი იქნა მიღებული, ვინ მონაწილეობდა საგამოძიებო მოქმედებაში, რა საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი დაილუქა. ოქმში ასევე უნდა აღინიშნოს ლუქის ინდივიდუალური ნიშნები და სად გაიგზავნა დათვალიერების შემდეგ გვამი ან/და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ობიექტი. ამოღებული ობიექტის მფლობელს გადაეცემა ოქმის ასლი. საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოღების შემთხვევაში ცალკე ოქმი არ დგება და ეს საგამოძიებო მოქმედება აღინერება დათვალიერების ოქმში.

5. საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში უნდა აღინიშნოს: რა მიზნით, სად და რა პირობებში, ვისი თანდასწრებითა და მონაწილეობით ჩატარდა ექსპერიმენტი; კონკრეტულად რით გამოიხატა შემთხვევის ვითარების აღდგენა; რა შინაარსისაა ადგილზე მიღებული ინფორმაცია (ჩვენება); რა საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი იქნა აღმოჩენილი, დათვალიერებული და ამოღებული; რა დააზუსტა პირმა თავის ინფორმაციაში (ჩვენებაში); რა საცდელი მოქმედებები, როგორი თანამიმდევრობით, ვის მიერ, რამდენჯერ ჩატარდა და რა შედეგი იქნა მიღებული.

6. ამოსაცნობად წარდგენის ოქმში აისახება ამომცნობის, აგრეთვე ამოსაცნობად წარდგენილი პირის ვინაობა (მათ შორის, მისი მისამართი), ამოსაცნობად წარდგენილი სხვა ობიექტის ინდივიდუალური ან/და გვარეობითი ნიშან-თვისებები.

7. ექსპერტის დროს დათვალიერების ან ამომცნობის ჩატარებისას ცალკე ოქმი არ დგება და ამ საგამოძიებო მოქმედების შინაარსი აღინიშნება ექსპერტის ოქმში.

1. სსსკ-ის 134-ე მუხლისაგან განსხვავებით, რომელიც საგამოძიებო მოქმედების ოქმის ზოგად რეკვიზიტებს ადგენს, სსსკ-ის 135-ე მუხლი ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ოქმების რეკვიზიტებს განსაზღვრავს. კერძოდ, გარდა სსსკ-ის 134-ე მუხლით გათვალისწინებული აუცილებელი რეკვიზიტებისა:
  2. გამოკითხვის ოქმში უნდა აისახოს გამოსაკითხი პირის:
    - სახელი და გვარი;
    - ასაკი;
    - მოქალაქეობა;
    - განათლება;
    - სამუშაო ადგილი;
    - საქმიანობა ან/და თანამდებობა;
    - საცხოვრებელი ადგილი;
    - ოჯახური მდგომარეობა;
    - მისი ურთიერთობა ბრალდებულთან თუ დაზარალებულთან;
    - მის მიერ მიცემული ინფორმაციის შინაარსი (საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები);
    - მისი დამოკიდებულება სასამართლოში გამოცხადებისა და ჩვენების მიცემისადმი.
  3. ყადაღის, ჩხრეკის ან/და ამოღების ოქმში უნდა აისახოს:
    - ადგილი და ვითარება, სადაც აღმოჩენილია საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი;
    - საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემის ან იძულებით ჩამორთმევის ფაქტი;
    - ამოღებული და დაყადაღებული ობიექტების რაოდენობა, წონა, ღირებულება (თუ ამის მითითება შესაძლებელია);
    - ამოღებული და დაყადაღებული ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისებები;
    - ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას მოსაძებნი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის განადგურების ან/და გადამალვის მცდელობის ფაქტი;
    - გასაჩხრეკის ან/და სხვა პირის მიერ წინააღმდეგობის განევის ფაქტი.
  4. ამოღებისა და ჩხრეკის დამთავრების შემდეგ გამოძიებელი ადგენს ოქმს, რომლის ასლიც უნდა გადაეცეს პირს, რომელთანაც ჩატარდა ამოღება ან ჩხრეკა. სსსკ-ის 135-ე მუხლი ოქმის ჩაბარებაზე უფლებამოსილად მოიაზრებს პირს, რომელიც ესწრებოდა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას ან/და რომლისგანაც მოხდა ობიექტის ამოღება. ასეთია ძირითადად გასაჩხრეკი ობიექტის ან ამოსაღები საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის მესაკუთრე.
  5. არის ისეთი შემთხვევები, როცა გასაჩხრეკი ობიექტის მესაკუთრის მოძიება ვერ ხდება. სსსკ-ის 135-ე მუხლი მსგავს შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობასა და ოქმის ასლის ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირად განიხილავს ოჯახის სრულწლოვან წევრს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, სახლის მფლობელს ან/და გარეშე პირს. ამ უკანასკნელში კანონი მოიაზრებს მეზობელს, ნათესავს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელს.
  6. თუ ამოღება ან ჩხრეკა ჩატარდა იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს მფლობელობაში, საგამოძიებო მოქმედებას ესწრება იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი. მასვე გადაეცემა ჩხრეკისა და ამოღების ოქმის ასლი.
  7. თუ ამოღება ან ჩხრეკა ტარდება დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, საგამოძიებო მოქმედებას ესწრება საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელსაც გადაეცემა ჩხრეკისა და ამოღების ოქმის ასლი.

8. კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით განხორციელებული გზავნილის დაყვადების, დათვალიერებისა და ამოღების, შეჩერებული გზავნილის დათვალიერების ოქმში აღინიშნება:
- კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით განხორციელებული რომელი გზავნილი დაათვალიერეს და ამოიღეს;
  - რომელი უნდა გადაეცეს ადრესატს;
  - რომელი უნდა შეჩერდეს დროებით და რა ვადით;
  - რომელი კორესპონდენციის ასლი გადაიღეს;
  - რა ტექნიკური საშუალება გამოიყენეს და რა გამოვლინდა ამის შედეგად.
9. დათვალიერების ოქმში უნდა აისახოს:
- ყველა აღმოჩენილი კვალი, საგანი, დოკუმენტი თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი;
  - საგნის, დოკუმენტის თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ინდივიდუალური ან/და გვარეობითი ნიშან-თვისებები;
  - დათვალიერების ჩატარების დრო და პირობები (ამინდი, განათება);
  - რა ტექნიკური საშუალება იქნა გამოყენებული და რა შედეგი იქნა მიღებული;
  - საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირები (სახელი, გვარი, სტატუსი);
  - რა საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი დაილუქა;
  - ლუქის ინდივიდუალური ნიშნები;
  - სად გაიგზავნა დათვალიერების შემდეგ გვამი ან/და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ობიექტი.
10. დათვალიერების შესახებ გამომძიებელი ადგენს ოქმს, რომლის ასლის გადაცემა არ არის აუცილებელი დათვალიერების ადგილის, საგნის, დოკუმენტის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის მფლობელისათვის. ოქმის ასლი გადაეცემა მხოლოდ იმ პირს, რომლის მფლობელობაშიც იმყოფებოდა დათვალიერების დროს ამოღებული საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ანუ დათვალიერების ოქმის ასლის გადაცემის საჭიროება მაშინ დგება, თუ დათვალიერებას შედეგად მოჰყვა ამოღება. ამოღების თაობაზე ცალკე ოქმი არ დგება. ამოღების მთელი მიმდინარეობა და შედეგი აღინიშნება დათვალიერების ოქმში.
11. საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში უნდა აისახოს:
- რა მიზნით, სად და რა პირობებში, ვისი თანდასწრებითა და მონაწილეობით ჩატარდა ექსპერიმენტი;
  - კონკრეტულად რაში გამოიხატა შემთხვევის ვითარების აღდგენა;
  - რა შინაარსისაა ადგილზე მიღებული ინფორმაცია (ჩვენება);
  - რა საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი იქნა აღმოჩენილი, დათვალიერებული და ამოღებული;
  - რა დააზუსტა პირმა თავის ინფორმაციაში (ჩვენებაში);
  - რა საცდელი მოქმედებები, როგორი თანამიმდევრობით, ვის მიერ, რამდენჯერ ჩატარდა და რა შედეგი იქნა მიღებული.
12. ამოსაცნობად წარდგენის ოქმში აისახება:
- ამომცნობის, აგრეთვე ამოსაცნობად წარდგენილი პირის ვინაობა (მათ შორის, მისი მისამართი);
  - ამოსაცნობად წარდგენილი სხვა ობიექტის ინდივიდუალური ან/და გვარეობითი ნიშან-თვისებები.
13. თუ გვამის დათვალიერება ან ამოცნობა ტარდება მისი ექსპერტიზის დროს, ცალკე დათვალიერების ან ამოცნობის ოქმი არ დგება. დათვალიერების და ამოცნობის მიმდინარეობა და შედეგები აისახება ექსპერტიზის ოქმში.

## თავი XVI

### კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან.)

**მუხლი 136. დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან)**

1. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.

2. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს მომსახურების მომწოდებლისაგან მომხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაციის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.

3. ამ მუხლის მიზნებისათვის, მომხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაცია არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მომსახურების მომწოდებელი ინახავს კომპიუტერული მონაცემების ან ნებისმიერი სხვა ფორმით, რომელიც დაკავშირებულია მისი მომსახურების მომხმარებლებთან, განსხვავდება ინტერნეტტრაფიკისა და შინაარსობრივი მონაცემებისაგან და რომლის მიხედვითაც შესაძლებელია დადგინდეს/განისაზღვროს:

ა) გამოყენებული კომუნიკაციის მომსახურების ტიპი, გამოყენებული ტექნიკური საშუალებები და მომსახურების დრო;

ბ) მომხმარებლის ვინაობა, საფოსტო ან საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის და სხვა საკონტაქტო ნომრები, ანგარიშისა და გადასახადების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მომსახურების ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე;

გ) დამონტაჟებული საკომუნიკაციო აღჭურვილობის ადგილმდებარეობის თაობაზე არსებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მომსახურების ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე.

4. ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება ამ კოდექსის 143<sup>2</sup>-143<sup>10</sup>-ე მუხლების დებულებები. (1.08.2014 № 2634)

1. კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედება – ამოღების – სპეციალურ შემთხვევას, რომლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცალკე თავად გათვალისწინება კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ განაპირობა. სსსკ-ის 136-138-ე მუხლებით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანია კომპიუტერულ სისტემაში ან/და კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ ბაზაში არსებული სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 27-ე ნაწილით კომპიუტერული სისტემა განმარტებულია, როგორც ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მონაცემების მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი), ხოლო ამავე მუხლის 28-ე ნაწილით კომპიუტერული მონაცემი განმარტებულია, როგორც კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის, პროგრამა, რო-

- მელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას.
3. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ ბაზაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიები ადგილის მიხედვით მიმართოს სასამართლოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით. კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ ბაზაში არსებული სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოთხოვის შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება არა აქვს დაცვის მხარეს. შესაბამისად, თუ დაცვის მხარეს აქვს ინფორმაცია კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ ბაზაში სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის არსებობის შესახებ, მან უნდა მიმართოს შუამდგომლობით პროკურორს, რომელიც, თავის მხრივ, შუამდგომლობის საფუძვლიანობის შემთხვევაში, მიმართავს სასამართლოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის მოთხოვნით.
  4. კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ინფორმაციის მოპოვება ხდება არა უშუალოდ ინფორმაციის მესაკუთრისგან, არამედ მესამე პირისგან, მაგალითად, პროვაიდერისგან, მომსახურების გამწვანისგან, მომსახურების შესახებ ინფორმაციის შემნახველისგან), რომელიც ამ ინფორმაციას ფლობს კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე. მაგალითად, კონკრეტული პირის მობილური ტელეფონის ნომერზე გამავალი და შემავალი ზარების ამსახველი ინფორმაციის მოპოვება ხდება ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიებიდან; კონკრეტული პირის საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხდება საბანკო დაწესებულებებიდან.
  5. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს მომსახურების მომწოდებლისაგან მომხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაციის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით. მომსახურების მომწოდებელი არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მომხმარებლებს უზრუნველყოფს შესაძლებლობით, ურთიერთობა განახორციელონ კომპიუტერული სისტემის საშუალებით, ასევე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ამუშავებს ან ინახავს კომპიუტერულ მონაცემებს ამგვარი საკომუნიკაციო მომსახურების ან ასეთი მომსახურების მომხმარებელთა სახელით. მომხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაცია არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მომსახურების მომწოდებელი ინახავს კომპიუტერული მონაცემების ან ნებისმიერი სხვა ფორმით, რომელიც დაკავშირებულია მისი მომსახურების მომხმარებლებთან და რომლის მიხედვითაც შესაძლებელია დადგინდეს/განისაზღვროს:
    - ა) გამოყენებული კომუნიკაციის მომსახურების ტიპი (მაგ., პირი სარგებლობს სატელიტური, სატელეფონო თუ ინტერნეტმომსახურებით);
    - ბ) გამოყენებული ტექნიკური საშუალებები და მომსახურების დრო (რა დროს განახორციელა პირმა ოპერაცია, რა ტექნიკური საშუალება გამოიყენა (მობილური ტელეფონი, პერსონალური კომპიუტერი და სხვა));
    - გ) მომხმარებლის ვინაობა, საფოსტო ან საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის და სხვა საკონტაქტო ნომრები, ანგარიშისა და გადასახადების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მომსახურების ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე (მომსახურების მიმღების IP მისამართი; ინფორმაცია ტელეფონის ნომრის მესაკუთრის შესახებ; ინფორმაცია იმ საბანკო ანგარიშებზე, რომლის მეშვეობით პირი ახორციელებს ანგარიშსწორებას სახელმწიფო ბიუჯეტთან; ინფორმაცია სამეწარმეო სუბიექტის დავალიანების შესახებ; ინფორმაცია პირის მიერ გახსნილი საბანკო ანგარიშების შესახებ (ნომრებით); ინფორმაცია საბანკო ანგარიშის მფლობელის შესახებ; ინფორმაცია სათვალთვალო კამე-

- რებისა და სიგნალის მიმღები სხვა მოწყობილობებით მოსარგებლის შესახებ);  
 დ) დამონტაჟებული საკომუნიკაციო აღჭურვილობის ადგილმდებარეობის თაობაზე არსებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მომსახურების ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე (ინფორმაცია იმის შესახებ, სად მოხდა საკომუნიკაციო აღჭურვილობის, მაგალითად, სატელიტური ანტენების, სათვალთვალო ან აუდიო-ვიდეომონიტორინგის დამონტაჟება).
6. კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისთვის აუცილებელია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობა, ანუ სახეზე უნდა იყოს ისეთი ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც დააკმაყოფილებს ობიექტურ პირს, რათა დაასკვნას კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ ბაზაში არსებული ინფორმაციის კავშირი დანაშაულთან.
  7. აღნიშნული მუხლის საფუძველზე უნდა მიმართოს პროკურორმა სასამართლოს შუამდგომლობით ტელეფონის ნომერზე შემავალი და გამავალი ზარების ამსახველი ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე; პირადობის მოწმობის, პასპორტის გამოყენების ამსახველი ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე; საბანკო ოპერაციების ამსახველი ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე; ვიდეოკამერების მიერ განხორციელებული ჩანაწერების გამოთხოვის თაობაზე და სხვა ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, რომლის დამუშავება და შენახვა ხდება ავტომატურად, კომპიუტერული სისტემის/ტექნიკის მეშვეობით.
  8. თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა, კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე გადანყვეტილებას იღებს გამომძიებელი შესაბამისი დადგენილებით.
  9. ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება სსსკ-ის 143<sup>2</sup>-143<sup>10</sup> მუხლების დებულებები.

**მუხლი 137. ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან)**

1. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით, გასცეს განჩინება ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვების შესახებ, რომლითაც მომსახურების მომწოდებელი ვალდებულია ითანამშრომლოს გამოძიებასთან და დაეხმაროს მას მიმდინარე რეჟიმში ინტერნეტტრაფიკის იმ მონაცემთა შეგროვებაში ან ჩანერაში, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ და კომპიუტერული სისტემის მეშვეობით გადაცემულ კონკრეტულ კომუნიკაციებთან.
2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული შუამდგომლობა უნდა ითვალისწინებდეს მომსახურების მომწოდებლის ტექნიკურ შესაძლებლობებს ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვებისა და ჩანერისათვის. ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვებისა და ჩანერის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მოპოვებისათვის აუცილებელ ვადას.
3. ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება ამ კოდექსის 143<sup>2</sup>-143<sup>10</sup> მუხლების დებულებები (1.08.2014 № 2634)

1. ინტერნეტტრაფიკის მონაცემი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 30-ე ნაწილით განმარტებულია, როგორც კომუნიკაციებთან დაკავშირებული და კომპიუტერული სისტემის მიერ გენერირებული ნებისმიერი კომპიუტერული მონაცემი, რომელიც კომუნიკაციათა ჯაჭვის ნაწილია, მიუთითებს კომუნიკაციის წყაროს, დანიშნულების ადგილს, მიმართულებას, დროს, თარიღს, ზომას, ხანგრძლივობას, ძირითადი



- მომსახურების ტიპს.
2. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით, რათა გასცეს განჩინება ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვების შესახებ, რომლითაც მომსახურების მომწოდებელი ვალდებულია ითანამშრომლოს გამოძიებასთან და დაეხმაროს მას მიმდინარე რეჟიმში ინტერნეტტრაფიკის იმ მონაცემთა შეგროვებაში ან ჩანწრაში, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ და კომპიუტერული სისტემის მეშვეობით გადაცემულ კონკრეტულ კომუნიკაციებთან. მაგალითად:
    - ა) პირი სარგებლობს ელექტრონული ფოსტით. აღნიშნული მომსახურების მიმწოდებელს/პროვაიდერს შეუძლია საგამოძიებო ორგანოს მიაწოდოს ინფორმაცია ვის შორის, რა ინტენსივობით, რა დროს, რომელი ადგილებიდან, ვისი მხრიდან განხორციელდა კომუნიკაცია, რა მოცულობის ფაილები გადმოიტვირთა/გადმოიგზავნა და ა.შ.;
    - ბ) როდის დარეგისტრირდა Youtube-ს მომხმარებელი, საიდან, რამდენჯერ, რა ინტენსივობით იტვირთება მონაცემი კონკრეტული იუზერიდან.
  3. ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება არ გულისხმობს კომუნიკაციის შინაარსის შეგროვებასაც. ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვების დროს ხდება მხოლოდ ინტერნეტით განხორციელებული პროცესის თაობაზე ინფორმაციის მოპოვება. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება არ გულისხმობს საუბარზე მიყურადებას და არც კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნასა და ფიქსაციას. მაგალითად, ელექტრონული ფოსტით განხორციელებული ოპერაციების შესახებ მონაცემების შეგროვება არ მოიცავს აღნიშნული ელექტრონული ფოსტით გადაგზავნილი დოკუმენტების შინაარსის შეგროვებას. იმ შემთხვევაში, თუ საგამოძიებო ორგანოსთვის საინტერესოა ელექტრონული ფოსტით გადაგზავნილი დოკუმენტების შინაარსი, მისი საპროცესო დამატება უნდა განხორციელდეს სსსკ-ის 136-ე მუხლით დადგენილი წესით. ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ (კომუნიკაციის ერთი მხარე მაინც უნდა იმყოფებოდეს საქართველოში) და კომპიუტერული სისტემის მეშვეობით გადაცემულ კომუნიკაციებზე.
  4. ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მიმწოდებელს გააჩნია ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა შეგროვებისა და ჩანწრის სათანადო ტექნიკური შესაძლებლობები. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება არ არის ერთჯერადი და ხორციელდება მიმდინარე რეჟიმში. მაგალითად, გარკვეული ვადის განმავლობაში ხორციელდება კონკრეტული პირის ელექტრონული ფოსტიდან განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის შეგროვება.
  5. ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვებისა და ჩანწრის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მოპოვებისათვის აუცილებელ ვადას.
  6. ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება სსსკ-ის 143<sup>2</sup>-143<sup>10</sup> მუხლების დებულებები.

**მუხლი 138. შინაარსობრივი მონაცემების მოპოვება (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან)**

1. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით, გასცეს განჩინება შინაარსობრივ მონაცემთა მიმდინარე შეგროვების შესახებ, რომლითაც მომსახურების მომწოდებელი ვალდებულია ითანამშრომლოს გამოძიებასთან და დაეხმაროს მას მიმდინარე რეჟიმში შინაარსობრივ მონაცე-

მთა შეგროვებაში ან ჩანერაში, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ და კომპიუტერული სისტემის მეშვეობით გადაცემულ კონკრეტულ კომუნიკაციებთან.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული შუამდგომლობა უნდა ითვალისწინებდეს მომსახურების მომწოდებლის ტექნიკურ შესაძლებლობებს შინაარსობრივ მონაცემთა მიმდინარე შეგროვებისა და ჩანერისათვის. შინაარსობრივ მონაცემთა მიმდინარე შეგროვებისა და ჩანერის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მოპოვებისათვის აუცილებელ ვადას.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება ამ კოდექსის 143<sup>2</sup>-143<sup>10</sup> მუხლების დებულებები. (1.08.2014 № 2634)

1. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით, გასცეს განჩინება შინაარსობრივ მონაცემთა მიმდინარე შეგროვების შესახებ, რომლითაც მომსახურების მომწოდებელი ვალდებულია ითანამშრომლოს გამოძიებასთან და დაეხმაროს მას მიმდინარე რეჟიმში შინაარსობრივ მონაცემთა შეგროვებაში ან ჩანერაში, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ და კომპიუტერული სისტემის მეშვეობით გადაცემულ კონკრეტულ კომუნიკაციებთან.
2. „შინაარსობრივი მონაცემი“ გულისხმობს ინფორმაციის ისეთ სახეს, რომელიც არ არის ინტეგრირებული კომპიუტერულ ქსელთან, თუმცა პროგრამულად აისახება ინფორმაციის მატარებელზე. სწორედ ეს განასხვავებს მას ინტერნეტტრაფიკისაგან, რომელიც მთლიანად კომპიუტერულ სისტემასთან დაკავშირებული მონაცემია. მაგალითად, შინაარსობრივი მონაცემია ელექტრონული საბუღალტრო პროგრამის მონაცემი (მაგალითად, კომპანია საბუღალტრო დოკუმენტებს ანარმოებს ელექტრონულად), პროგრამული ინფორმაცია შენობაში ვიზიტორების შესახებ (ე.წ. „საშვების პროგრამა“), კონკრეტული უწყების კანცელარიის პროგრამა, რომელიც ელექტრონულად ასახავს ფოსტის მოძრაობას.
3. შინაარსობრივი მონაცემების მოპოვება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მომწოდებელს გააჩნია სათანადო ტექნიკური შესაძლებლობები მიანოდოს მონაცემები საგამოძიებო ორგანოს. ეს საგამოძიებო მოქმედება არ არის ერთჯერადი და ხორციელდება მიმდინარე რეჟიმში. მაგალითად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში გროვდება ინფორმაცია საბუღალტრო პროგრამაში დაფიქსირებული გადარიცხვების შესახებ.
4. შინაარსობრივ მონაცემთა მიმდინარე შეგროვებისა და ჩანერის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მოპოვებისათვის აუცილებელ ვადას.
5. ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>2</sup>-143<sup>10</sup> მუხლების დებულებები.

**მუხლი 139. ამოღებულია (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან)**

**მუხლი 140. ამოღებულია (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან)**

**მუხლი 141. ამოღებულია (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან)**

**მუხლი 142. ამოღებულია (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან)**

**მუხლი 143. ამოღებულია (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან)**

## თავი XVI<sup>1</sup> (1.08.2014 №2634) ფარული საგამოძიებო მოქმედებები

### მუხლი 143<sup>1</sup>. ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეები (1.08.2014 № 2634)

#### 1. ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეებია:

- ა) სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩანერა;
- ბ) ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;
- გ) საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი;
- დ) ფარული ვიდეო- და აუდიოჩანერა, კინო- და ფოტოგადაღება;
- ე) ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.

#### 2. დასაშვებია ერთდროულად რამდენიმე ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება.

#### 1. სსსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლი განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახეებს, რომელთა ჩამონათვალი ამომწურავია:

- სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩანერა, რაც პირის მიერ ნებისმიერი სახის ტელეფონით განხორციელებული კომუნიკაციის მოსმენა-მიყურადებას და ტექნიკური საშუალების გამოყენებით ჩანერას გულისხმობს;
  - კავშირგაბმულობის არხიდან და კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია, რაც კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთების გზით ხორციელდება. კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი საშუალებების ინსტალაციის გზით;
  - საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი;
  - ფარული ვიდეო და აუდიოჩანერა, კინო და ფოტოგადაღება;
  - ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.
2. სათანადო ფაქტობრივი და საპროცესო საფუძვლების არსებობისას დასაშვებია რამდენიმე ფარული საგამოძიებო მოქმედების ერთდროულად ჩატარება.

### მუხლი 143<sup>2</sup>. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პრინციპები

#### 1. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ ამ კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიებისას.

2. ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ჩატარება გათვალისწინებულია ამ კოდექსით და ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უნესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

3. ფარული საგამოძიებო მოქმედება აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, თუ მისი ჩატარება გამონვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და ის ლეგიტიმური მიზნის

მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალებაა.

4. ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებით გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

5. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფარგლები (ინტენსივობა) ფარული საგამოძიებო მოქმედების ლეგიტიმური მიზნის პროპორციული უნდა იყოს.

1. სხვა საგამოძიებო მოქმედებებისაგან განსხვავებით, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება მხოლოდ ამავე კოდექსით განსაზღვრულ ცალკეულ დანაშაულებზეა შესაძლებელი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ, მაგალითად, ჩხრეკის ჩატარება შესაძლებელია ნებისმიერი ძარცვის ფაქტზე, მიუხედავად კატეგორიისა (ნაკლებად მძიმე, მძიმე, განსაკუთრებით მძიმე), ფარული აუდიო და ვიდეოჩანწერა დასაშვებია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე, აგრეთვე სსკ-ით გათვალისწინებულ ქვემოთ მითითებულ დანაშაულებზე:

- 117-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 134-ე მუხლი;
- 139-ე მუხლის მე-2 ნაწილი;
- 140-ე და 141-ე მუხლები;
- 143-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 143<sup>3</sup> მუხლის პირველი ნაწილი;
- 180-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 181-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი;
- 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი;
- 198-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 210-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 253-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 255<sup>1</sup> მუხლი;
- 259<sup>4</sup> მუხლი;
- 284-ე მუხლი;
- 285-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 286-ე მუხლი;
- 287-ე მუხლი;
- 288-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები;
- 289-ე და 290-ე მუხლები;
- 292-ე-303-ე მუხლები;
- 304-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 305-ე და 306-ე მუხლები;
- 318-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 322<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები;
- 340-ე და 341-ე მუხლები.

2. გარდა ზემოაღნიშნული მუხლებისა, რომელთა ჩამონათვალი ამომწურავია, სსკ-ით გათვალისწინებულ სხვა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დაუშვებელია.

3. ფარული საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად:

- ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- უწესრიგობის თავიდან ასაცილებლად;
- დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად;

- ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების დასაცავად;
  - სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.
4. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფარგლები (ინტენსივობა) ზემოაღნიშნული ლეგიტიმური მიზნების პროპორციული უნდა იყოს.
5. ნებისმიერი ლეგიტიმური მიზნით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედება იმავდროულად სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოპოვებას ისახავს მიზნად. თუმცა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გზით საქმისთვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოპოვება უნდა მოხდეს, ან თავიდან იქნეს აცილებული დანაშაული, ვერ გამოდგება სასამართლოს მხრიდან ამგვარი მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის საკმარის საფუძვლად. მხარემ დამატებით უნდა დაადასტუროს ისიც, რომ სხვა საშუალებით, ანუ სხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების გზით ამგვარი მტკიცებულების მოპოვება და ამგვარი მიზნის მიღწევა შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

### მუხლი 143<sup>3</sup>. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესი

1. ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით. განჩინებას პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, გარდა ამ მუხლის მე-17 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. პროკურორის შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს გარემოებები, რომლებიც ადასტურებს, რომ:

ა) გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის გამო: 117-ე მუხლის პირველი ნაწილი, 134-ე მუხლი, 139-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 140-ე და 141-ე მუხლები, 143-ე მუხლის პირველი ნაწილი, 1433 მუხლის პირველი ნაწილი, 180-ე მუხლის პირველი ნაწილი, 181-ე მუხლის პირველი ნაწილი, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 198-ე მუხლის პირველი ნაწილი, 210-ე მუხლის პირველი ნაწილი, 253-ე მუხლის პირველი ნაწილი, 2551, 2594 და 284-ე მუხლები, 285-ე მუხლის პირველი ნაწილი, 286-ე და 287-ე მუხლები, 288-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 289-ე, 290-ე და 292-ე–303-ე მუხლები, 304-ე მუხლის პირველი ნაწილი, 305-ე და 306-ე მუხლები, 318-ე მუხლის პირველი ნაწილი, 3221 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 340-ე და 341-ე მუხლები;

ბ) არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირს, რომლის მიმართაც უნდა ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება, ჩადენილი აქვს ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული („დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი“), ან პირი იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს;

გ) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და არის დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უნესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად – აუცილებელი, მისი მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალება;

დ) მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული იქნება გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ის ინფორმაცია, რომლის სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

3. პროკურორის შუამდგომლობაში უნდა აისახოს ინფორმაცია იმ საგამოძიებო მოქმედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შუამდგომლობის წარდგენამდე ჩატარდა ამ კოდექსით დადგენილი წესით და რომლითაც დასახული მიზანი ვერ იქნა მიღწეული.

4. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ ამ კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უზრუნველსაყოფად კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი იყენებს კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან და მათი შემაერთებლებიდან, მეილსერვერებიდან, ბაზებიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან და კავშირგაბმულობის სხვა შემაერთებლებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკურ შესაძლებლობას, აგრეთვე კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან განათავსებს და ამონტაჟებს სათანადო აპარატურას და პროგრამული უზრუნველყოფის მონყობილობებს.

5. მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობისა და მისი დასაბუთებისათვის საჭირო, თანდართული მასალის სასამართლოში წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა განიხილავს შუამდგომლობას ამ თავითა და ამ კოდექსის 112-ე მუხლით დადგენილი წესებით. მოსამართლეს შეუძლია შუამდგომლობა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს. მოსამართლე შუამდგომლობას ზეპირი მოსმენით, პროკურორის მონაწილეობით, დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილავს და განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის ან მისი ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. მოსამართლის განჩინება დგება 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროკურორს, ერთი რჩება სასამართლოში, ხოლო ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, დაუყოვნებლივ მიეწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.

6. ფარული საგამოძიებო მოქმედება პროკურორის მოტივირებული დადგენილებით შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემების მოპოვება. ასეთ შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან არაუგვიანეს 24 საათისა მიმართოს შუამდგომლობით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ტარდება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ. პროკურორმა შუამდგომლობაში უნდა დაასაბუთოს როგორც ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების, ისე იმ გარემოებების არსებობა, რომლებმაც განაპირობა ფარული საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინების გარეშე გადაუდებლად ჩატარება. მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობას განიხილავს სასამართლოში მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა, ამ მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესით. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამონმებს, შეესაბამება თუ არა ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, აუცილებელი იყო თუ არა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარება, და განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის და მისი გაგრძელების შესახებ;

ბ) ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის, მისი შეწყვეტის, შედეგების გაუქმებისა და ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურების შესახებ.

6<sup>1</sup>. ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად მოსამართლეს შეუძლია უფლებამოსილი ორგანოდან წერილობით გამოითხოვოს გამოთხოვის მომენტისთვის მოპოვებული მასალის ელექტრონული ეგზემპლარი. მასალის გაცნობის შემდეგ მოსამართლე უზრუნველყოფს დადგენილი წესით მის განადგურებას.

6<sup>2</sup>. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის მოტივირებული დადგენილების ერთი ეგზემპლარი დაუყოვნებლივ მიეწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.

7. მოსამართლის განჩინება დგება 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროკურორს, ერთი რჩება სასამართლოში, ხოლო ერთი განჩინება, რომელიც შეი-

ცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, დაუყოვნებლივ მიენოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.

8. თუ ბრალდების მხარე საჭიროდ არ მიიჩნევს გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებას, მან ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ მისი დაწყებიდან არაუგვიანეს 24 საათისა შუამდგომლობით უნდა მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს. სასამართლოს მიერ შესაბამისი განჩინების მიღების შემდეგ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს ამ კოდექსის 143 8 მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესით.

9. თუ ფარული საგამოძიებო მოქმედებით გამოვლინდა სხვა დანაშაულის ნიშნები, რომელზედაც არ მიმდინარეობს გამოძიება, ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია არის სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების საფუძველი, ხოლო ამ ინფორმაციის ახალ საქმეზე დასაშვებ მტკიცებულებად ცნობის საკითხი გადაწყდება ამ კოდექსით დადგენილი ზოგადი წესით, ფარული საგამოძიებო მოქმედებისათვის ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული გარემოებების გაუთვალისწინებლად.

10. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ განჩინებაში მოსამართლემ უნდა დაასაბუთოს ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული გარემოებების არსებობა და ფარული საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინების გარეშე გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობა. მოსამართლის განჩინებაში უნდა მიეთითოს: განჩინების შედგენის თარიღი და ადგილი; მოსამართლის სახელი და გვარი; პირი, რომელმაც მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართა; განკარგულება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ან ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული, რა სახის ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაა ნებადართული ან რომელი ასეთი მოქმედებაა კანონიერად ცნობილი, სად, დროის რა მონაკვეთში და ვის მიმართ უნდა ჩატარდეს ან ჩატარდა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება, ვისზე ვრცელდება ეს ფარული საგამოძიებო მოქმედება; განჩინების მოქმედების ვადა; პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს განჩინება; ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის საჭირო სხვა მონაცემები; მოსამართლის ხელმოწერა (მათ შორის, ელექტრონული).

11. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემაზე ან ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინებაში უნდა მიეთითოს, რომ წარდგენილი შუამდგომლობით არ დასტურდება ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული გარემოებების არსებობა და ფარული საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინების გარეშე გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობა. მოსამართლის განჩინებაში უნდა მიეთითოს: მისი შედგენის თარიღი და ადგილი; მოსამართლის სახელი და გვარი; პირი, რომელმაც მას შუამდგომლობით მიმართა; მოსამართლის ხელმოწერა (მათ შორის, ელექტრონული).

12. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩინება გაიცემა იმ ვადით, რომელიც საჭიროა გამოძიების მიზნის მისაღწევად, მაგრამ არაუმეტეს 1 თვისა. თუ ეს ვადა საკმარისი არ აღმოჩნდება, დასაშვებია მისი გაგრძელება პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლის განჩინებით, ამ თავით დადგენილი წესით, არაუმეტეს 2 თვისა. პროკურორის შუამდგომლობაში უნდა აისახოს ინფორმაცია დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მონაცემების შესახებ და მიეთითოს, რის გამო ვერ მოხერხდა გამოძიებისათვის საკმარისი მონაცემების მოპოვება. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა შეიძლება კიდევ ერთხელ, არაუმეტეს 3 თვისა გაგრძელდეს საქართველოს მთავარი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.

13. ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება საჯაროდ არ ცხადდება. მოსამართლის განჩინება ძალას კარგავს მისი მიღებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში ფარული საგამოძიებო მოქმედება არ დაიწყოს.

14. პირს, რომლისთვისაც მოცემულ საქმეზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას ცნობილი გახდა მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, შეუძლია ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება ერთჯერადად გაასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 48 საათის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობა ქმნის ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ამ კოდექსით დადგენილი წესით დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძველს. სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება საფუძვლად დაედოს ამ კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნას პირისთვის მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებით, შენახვით ან გამჟღავნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

15. პირი, რომლისთვისაც მოცემულ საქმეზე სამართალწარმოების დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, შეუძლია ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება გაასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში. ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების სააპელაციო სასამართლოს მიერ უკანონოდ ცნობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ამ კოდექსის 310-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახლად გამოვლენილ გარემოებად განაჩენის გადასინჯვისათვის, თუ ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს. სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება საფუძვლად დაედოს ამ კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნას პირის მიერ მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებით, შენახვით ან გამჟღავნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

16. ამ მუხლის მე-14 და მე-15 ნაწილებით გათვალისწინებულ საჩივარში უნდა აღინიშნოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ამ თავით დადგენილი წესის დარღვევის შესახებ. საჩივარი შეიტანება განჩინების გამოტანს სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია საჩივარს განიხილავს მისი შეტანიდან არაუგვიანეს 72 საათისა. სააპელაციო სასამართლო შეტყობინებით უზრუნველყოფს მომჩივნის და ბრალდების მხარის მონაწილეობას საჩივრის განხილვაში. მათი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას. საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება და მოთხოვნის შემთხვევაში მომჩივანს და ბრალდების მხარეს გადაეცემა.

17. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, მოსამართლის და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის განჩინებით, საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე.

1. სსსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლი განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესს. ნებისმიერი სახის ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად აუცილებელია მოსამართლის განჩინება, რომელსაც შუამდგომლობით პროკურორი მიმართავს. დაცვის მხარე ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლებამოსილებით არ სარგებლობს.
2. პროკურორის შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება გამოძიების ადგილის მიხედვით. იმისათვის, რომ სასამართლომ გასცეს განჩინება, შუამდგომლობაში პროკურორმა უნდა დაასაბუთოს შემდეგი გარემოებები:



ა) გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის გამო:

- 117-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 134-ე მუხლი;
- 139-ე მუხლის მე-2 ნაწილი;
- 140-ე და 141-ე მუხლები;
- 143-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 143<sup>3</sup> მუხლის პირველი ნაწილი;
- 180-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 181-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი;
- 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი;
- 198-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 210-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 253-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 255<sup>1</sup> მუხლი;
- 259<sup>4</sup> მუხლი;
- 284-ე მუხლი;
- 285-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 286-ე მუხლი;
- 287-ე მუხლი;
- 288-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები;
- 289-ე და 290-ე მუხლები;
- 292-ე-303-ე მუხლები;
- 304-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 305-ე და 306-ე მუხლები;
- 318-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- 322<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები;
- 340-ე და 341-ე მუხლები.

3. აღსანიშნავია, რომ, როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შუამდგომლობა წარდგენილია გამოძიებადამწყებულ საქმეზე, დამატებით დევნის დაწყების კრიტერიუმი შუამდგომლობის დაკმაყოფილებისათვის სავალდებულო ფორმალურ საფუძველს არ წარმოადგენს.

ბ) სახეზეა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი. აღნიშნული გულისხმობს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც ადასტურებს რომ:

- პირს, რომლის მიმართაც უნდა ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება, ჩადენილი აქვს ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული;
- პირი იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას;
- დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს სხვა პირის საკომუნიკაციო საშუალებებს.

4. აღნიშნული სტანდარტი გულისხმობს იმას, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს დანაშაულის შესაძლო ჩამდენ პირს, მის მოქმედებებს, კომუნიკაციას და ა.შ.

5. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი იმგვარად უნდა იქნეს გაგებული, როგორც ეს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილშია მოცემული – ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა,

- რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.
6. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად პროკურორმა შუამდგომლობა უნდა დაასაბუთოს მტკიცებულებებით და არა მასში მოყვანილი გარემოებებით (ფაქტების კონსტატაციით). ასეთი მტკიცებულებები შეიძლება იყოს: საგამოძიებო მოქმედებათა ოქმები, მონმეთა ჩვენებები, ფარული საგამოძიებო მოქმედების მასალები და სხვ.
  7. წარდგენილი მტკიცებულებები უნდა ასაბუთებდეს იმ პირის კავშირს კონკრეტულ დანაშაულთან ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფ პირთან, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება. გ) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამონვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და არის დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად – აუცილებელი, მისი მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალება.
  8. აღნიშნული სტანდარტი უკავშირდება ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენების მიზანშეწონილობის შინაარსობრივ ასპექტს, ანუ რამდენად არსებობს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობა შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე. ეს სტანდარტი წარმოადგენს დაცულ სფეროში ჩარევის გამართლებას.
  9. აღნიშნული სტანდარტის დასაკმაყოფილებლად სავალდებულოა, რომ ერთდროულად დაცული იყოს სამი კრიტერიუმი, კერძოდ:
    10. 1) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამონვეული უნდა იყოს გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით: აღნიშნული კრიტერიუმი არ არის მყარი და ყველა საზოგადოებაზე უნივერსალურად მორგებული. ის ცვალებადია დროსა და სივრცეში – პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოცემულობების გათვალისწინებით. ის, რაც ერთ საზოგადოებაში შესაძლოა ჩაითვალოს „გადაუდებელ საზოგადოებრივ საჭიროებად“, შეიძლება სხვა საზოგადოებაში არ იქნეს მიჩნეული არსებითად. გარდა ამისა, ის რაც მოცემული მომენტისათვის გაგებულია როგორც „გადაუდებელ საზოგადოებრივ საჭიროებად“, შესაძლოა მომავალში ასეთად აღარ ჩაითვალოს, ან პირიქით – დღეისათვის არსებულმა მიზანმა, რომელსაც ვერ მივანიჭებთ „გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროების ხარისხს“, მომავალში მიიღოს ასეთი დატვირთვა. მოქმედება „გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ არ ნიშნავს, რომ ის არის მიმართული საზოგადოებისათვის გარკვეული და გარდაუვალი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად. ასეთი მოქმედება შესაძლებელია, როდესაც მას ამოძრავებს საზოგადოებისათვის ან მისი ნაწილისათვის დადებითი შედეგების მომტანი მიზნები. ქმედება „გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ უნდა იყოს მკაფიო და რეალური. ამასთან, „გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ შესაფასებლად აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული უფლების არსი, მისი ბუნება და მასთან დაკავშირებული სხვა გარანტიები.
    11. 2) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი ლეგიტიმური მიზანი შესაძლებელია იყოს:
      - ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
      - უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება;
      - ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესები;
      - პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.
    12. თუ რა შეიძლება მოიხარებოდეს თითოეულ მათგანში, ეს კონკრეტულ შემთხვევაში არსებითი მსჯელობის დროს უნდა შეფასდეს კონკრეტული საქმის გარემოებებთან მიმართებით.

- აუცილებლობის არსი გულისხმობს, რომ ჩარევა წარმოადგენს გადაუდებელ სოციალურ აუცილებლობას, კერძოდ, რომ იგი არის დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული.
13. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაფერისი და პროპორციული. ლეგიტიმური მიზნის შესაფერისობა და პროპორციულობა სახეზე უნდა იყოს ერთდროულად.
  14. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაფერისია, თუ ის დემოკრატიული საზოგადოების პირობებში კანონით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი და თუ შეზღუდვის შედეგად დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით გამოწვეულ ზიანს;
  15. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება პროპორციულია, თუ დაცულია პროპორციულობა ინდივიდის უფლებასა და საჯარო ან სხვა კანონიერ ინტერესებს შორის. პროკურორი ვალდებულია ამტკიცოს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება მიზნის პროპორციულ და ვინროდმიმართულ საშუალებას წარმოადგენს. პროპორციულობა იმასაც გულისხმობს, რომ სახეზეა საკმარისი გარანტიები, რათა ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება არ ჩაითვალოს თვითნებობად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა გაირკვეს, არსებობს თუ არა საკმარისი და ეფექტიანი გარანტიები ძალაუფლების „ბოროტად გამოყენების“ წინააღმდეგ. ამასთან, როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება ეხება „დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფ“ სხვა პირებს (პირთა წრეს), სასამართლომ უნდა იმსჯელოს საკითხზე – ამგვარი შუამდგომლობის დაკმაყოფილება ხომ არ გამოიწვევს „ადამიანთა ძალზე დიდი რაოდენობის“ დატოვებას სამართლებრივი დაცვის საშუალების გარეშე.
  16. ზოგადად, პროპორციულობის პრინციპი აღიარებს, რომ ადამიანის უფლებები არ არის აბსოლუტური და რომ ინდივიდის უფლებების გამოყენება ყოველთვის უნდა შემოწმდეს უფრო ფართო საჯარო ინტერესით. მოსამართლე მუდმივად უნდა ეძიებდეს ბალანსს საზოგადოების ზოგად ინტერესსა და ინდივიდის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის. იმის დადგენა, რამდენად პროპორციული იყო ან იქნება ჩარევა, კომპლექსური პროცესია, რომელიც მოიცავს შემდეგ ფაქტორებზე მსჯელობას: ა) ინტერესი, რომელიც დაცულ უნდა იქნეს ჩარევისაგან, ბ) ჩარევის სიმძიმე და გ) გადაუდებელი სოციალური საჭიროება, რომლის განხორციელებაც გამიზნული აქვს სახელმწიფოს (პროკურორს). რაც შეეხება ინტერესს, რომელიც ჩარევისაგან უნდა იქნეს დაცული, აქ მნიშვნელობა აქვს თავად ამ ინტერესის ხასიათს. ამ შემთხვევაში ხასიათის განმსაზღვრელი შესაძლოა იყოს დანაშაულის ხასიათი. მაგალითად, სექსუალური სახის დანაშაულები, ტრეფიკინგი, დანაშაული ბავშვთა მიმართ, სახელმწიფო უშიშროებისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და სხვ. პროპორციულობა ყოველი კონკრეტული ჩარევის შემთხვევაში უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად.
  17. გ) მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული იქნება საგამოძიებოსათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ის ინფორმაცია, რომლის სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს. პროკურორმა შუამდგომლობას უნდა დაურთოს ინფორმაცია იმ საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, რომელიც შუამდგომლობის წარდგენამდე ჩატარდა, თუმცა ვერ იქნა მიღწეული დასახული მიზანი.
  18. აღნიშნული სტანდარტი მიუთითებს იმ გარანტიის უზრუნველყოფაზე, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება უნდა იყოს უკიდურესი საშუალება. ეს სტანდარტი ორ კრიტერიუმს აერთიანებს, რომლიდანაც ერთ-ერთის დაკმაყოფილებაც საკმარისია ამ სტანდარტის უზრუნველსაყოფად, კერძოდ: ა) მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული იქნება საგამოძიებოსათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ის ინფორმაცია, რომლის სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია. ამ შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს: საგამოძიებოსათვის რა არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია შეიძლება იქნეს მოპოვებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შე-

დეგად და ასეთი ინფორმაცია ყველა შემთხვევაში უნდა შეესაბამებოდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნებს, პრინციპებს და მას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და დანაშაულთან (მიუხედავად იმისა, ჩადენილია თუ მზადდება) მიმართებით მტკიცებულებების მოპოვებაში, აგრეთვე ბრალდებული პირის ადგილსამყოფლის დასადგენად, მის თანამზრახველთა გამოსავლენად, დანაშაულის ჩადენის იარაღის ადგილსამყოფლის დასადგენად ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების აღმოსაჩენად. გარდა ამისა, შესაძლებელია მიღებულ იქნეს ინფორმაცია დანაშაულებრივი გეგმის დასადგენად და ა.შ.; ბ) ამ ინფორმაციის მოპოვება სხვა საშუალებით შეუძლებელია. საუბარია იმ (კანონიერ) საშუალებებსა და გამოძიების ინსტრუმენტებზე, რომლებიც მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა) მაგ., ჩხრეკა, დაკითხვა და სხვ.

19. ინფორმაციის სხვა საშუალებით მოპოვების შეუძლებლობა სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ: მანამდე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ვერ იქნა მიღებული საჭირო ან/და საკმარისი ინფორმაცია გამოძიებისათვის ან გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება სხვა საშუალებით, მისი შინაარსისა და ვითარების გამო, აშკარად და რეალურ დროში შეუძლებელია.
20. პროკურორის შუამდგომლობაში უნდა აისახოს ინფორმაცია იმ საგამოძიებო მოქმედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შუამდგომლობის წარდგენამდე ჩატარდა ამ კოდექსით დადგენილი წესით და რომლითაც დასახული მიზანი ვერ იქნა მიღწეული.
21. მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული იქნება გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ის ინფორმაცია, რომლის სხვა საშუალებით მოპოვება გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს:

22. გამოძიებისათვის რა არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია შეიძლება იქნეს მოპოვებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად. ასეთი ინფორმაცია ყველა შემთხვევაში უნდა შეესაბამებოდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნებს, პრინციპებს და მას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და დანაშაულთან (მიუხედავად იმისა, ჩადენილია თუ მზადდება) მიმართებით მტკიცებულებების მოპოვებაში, აგრეთვე ბრალდებული პირის ადგილსამყოფლის დასადგენად, მის თანამზრახველთა გამოსავლენად, დანაშაულის ჩადენის იარაღის ადგილსამყოფლის დასადგენად ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების აღმოსაჩენად. გარდა ამისა, შესაძლებელია მიღებულ იქნეს ინფორმაცია დანაშაულებრივი გეგმის დასადგენად და ა.შ.
23. ამ ინფორმაციის სხვა საშუალებით მოპოვება გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს. ამ ასპექტში პროკურორმა უნდა დაასაბუთოს, რომ იმ ინფორმაციის მოპოვება, რომლის გამოც ითხოვს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას, შესაძლებელია სხვა საშუალებებით, თუმცა მისი/მათი რეალიზაცია ან გართულებულია საქართველოს ტერიტორიის რაღაც ნაწილში არსებული მდგომარეობის გამო, ან ბრალდებული შესაძლოა იმყოფებოდეს ისეთ ტერიტორიაზე (მაგ., რომელიმე ტყის მასივში), სადაც ღია ტიპის ძებნას აზრი არ აქვს ან უკუშედეგის მომტანი იქნება, ან გამოიწვევს გამოძიების რესურსების დიდი ნაწილის კონცენტრაციას მხოლოდ ამ მიზნისთვის, ან/და დიდ ფინანსურ ხარჯებს და სხვ.
24. ზემოაღნიშნული სტანდარტების დაცვის მტკიცების ტვირთი აწევს პროკურორს.
25. იმისათვის, რომ სასამართლომ დააკმაყოფილოს პროკურორის შუამდგომლობა ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შესახებ, ყველა სტანდარტი ერთობლივად უნდა დაკმაყოფილდეს, და არა მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მათგანი.

26. პროკურორის შუამდგომლობა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ განიხილება სასამართლოში მისი წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათში. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე მხოლოდ პროკურორის მონაწილეობით, დახურულ სასამართლო სხდომაზე.
27. შუამდგომლობის განხილვის შემდეგ მოსამართლე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას (განჩინებას):
- ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ;
  - ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.
28. მოსამართლის განჩინება დგება 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროკურორს, ერთი რჩება სასამართლოში, ხოლო ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, დაუყოვნებლივ მიეწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.
29. ფარული საგამოძიებო მოქმედება, როგორც წესი, ტარდება მოსამართლის განჩინებით, თუმცა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მისი ჩატარება შესაძლებელია განჩინების გარეშეც, პროკურორის დადგენილებით, რომლის ერთი ეგზემპლარი დაუყოვნებლივ ეგზავნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. გადაუდებელი აუცილებლობა სახეზეა მაშინ, როცა:
- დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება;
  - დაყოვნებამ შესაძლოა შეუძლებელი გახადოს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება.
30. გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას ამოწმებს სასამართლო ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან არა უგვიანეს 24 საათში. სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს პროკურორი. შუამდგომლობას განიხილავს:
- რაიონული (საქალაქო) სასამართლო გამოძიების ადგილის მიხედვით ან
  - რაიონული (საქალაქო) სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება.
31. გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობაში პროკურორმა უნდა დაასაბუთოს:
- ფარული საგამოძიებო მოქმედების სსსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული ზოგადი საფუძვლები;
  - ფარული საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარების საფუძვლები.
32. შესაბამისად, მოსამართლე შუამდგომლობის წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათში ამოწმებს:
- არსებობდა თუ არა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზოგადი საფუძვლები;
  - არსებობდა თუ არა ფარული საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების საფუძვლები.
33. გადაწყვეტილების მიღებამდე მოსამართლეს შეუძლია უფლებამოსილი ორგანოდან წერილობით გამოითხოვოს გამოთხოვის მომენტისთვის მოპოვებული მასალის ელექტრონული ეგზემპლარი. მასალის გაცნობის შემდეგ მოსამართლე უზრუნველყოფს დადგენილი წესით მის განადგურებას. შუამდგომლობის განხილვის შედეგად სასამართლო განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
- ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის და მისი გაგრძელების შესახებ;
  - ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის, მისი შეწყვეტის, შედეგების გაუქმებისა და ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურების შესახებ.

34. მოსამართლის განჩინება დგება 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროკურორს, ერთი რჩება სასამართლოში, ხოლო ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, დაუყოვნებლივ მიენოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.
35. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ნებართვის გაცემის და გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ მოსამართლის განჩინებაში უნდა მიეთითოს:
- განჩინების შედგენის თარიღი და ადგილი;
  - მოსამართლის სახელი და გვარი;
  - პირი, რომელმაც მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართა;
  - განკარგულება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ან ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული, რა სახის ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაა ნებადართული ან რომელი ასეთი მოქმედებაა კანონიერად ცნობილი, სად, დროის რა მონაკვეთში და ვის მიმართ უნდა ჩატარდეს ან ჩატარდა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება, ვისზე ვრცელდება ეს ფარული საგამოძიებო მოქმედება;
  - განჩინების მოქმედების ვადა;
  - პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს განჩინება;
  - ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის საჭირო სხვა მონაცემები;
  - მოსამართლის ხელმოწერა (მათ შორის, ელექტრონული).
36. თუ ბრალდების მხარე საჭიროდ არ მიიჩნევს გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებას, მან ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ მისი დაწყებიდან არა უგვიანეს 24 საათისა შუამდგომლობით უნდა მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს. სასამართლოს მიერ შესაბამისი განჩინების მიღების შემდეგ, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს.
37. თუ ფარული საგამოძიებო მოქმედებით გამოვლინდა სხვა დანაშაულის ნიშნები, რომელზეც არ მიმდინარეობს გამოძიება, ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია არის სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების საფუძველი, ხოლო ამ ინფორმაციის ახალ საქმეზე დასაშვებ მტკიცებულებად ცნობის საკითხი გადაწყდება სსსკ-ით დადგენილი ზოგადი წესით, ფარული საგამოძიებო მოქმედების ზოგადი საფუძვლების გაუთვალისწინებლად.
38. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩინება გაიცემა გარკვეული ვადით, რაც გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განჩინება ძალადაკარგულია.
39. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩინება გაიცემა იმ ვადით, რომელიც საჭიროა გამოძიების მიზნის მისაღწევად, მაგრამ არა უმეტეს 1 თვისა. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია პროკურორის შუამდგომლობით არა უმეტეს 2 თვისა, თუ ეს ვადა არ აღმოჩნდება საკმარისი სსსკ-ით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.
40. პროკურორის შუამდგომლობა უნდა იყოს მოტივირებული, კერძოდ, პროკურორმა შუამდგომლობაში უნდა ასახოს ინფორმაცია დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მონაცემების შესახებ და მიუთითოს, რის გამო ვერ მოხერხდა გამოძიებისათვის საკმარისი მონაცემების მოპოვება.
41. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის შემდგომი გაგრძელება მხოლოდ მთავარი პროკურორის შუამდგომლობით არის შესაძლებელი, ამასთან, ერთჯერადად და არა უგვიანეს 3 თვის ვადით.

42. სსსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლი განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინების მოქმედების ვადას – მოსამართლის განჩინება ძალას კარგავს მისი მიღებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში ფარული საგამოძიებო მოქმედება არ დაიწყო.
43. სსსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლი ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების წესს. კერძოდ, განჩინების გასაჩივრების უფლებამოსილებით სარგებლობის პირი, რომელსაც უშუალოდ ეხება ფარული საგამოძიებო მოქმედება. ამასთან, პირს მხოლოდ მას შემდეგ აქვს განჩინების გასაჩივრების უფლება, რაც მისთვის ცნობილი გახდება მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე.
44. განჩინება ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 48 საათის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია უფლებამოსილია ძალაში დატოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ან გააუქმოს განჩინება და უკანონოდ ცნოს ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედება. განჩინების გაუქმება და ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობა ამ გზით მოპოვებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, პირს, რომლის მიმართაც ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება, უფლება აქვს მოითხოვოს მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებით, შენახვით ან გამჟღავნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
45. სსსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლი უშვებს განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას სამართალწარმოების დასრულების შემდეგაც, თუ პირისთვის მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფაქტის შესახებ ცნობილი გახდა სამართალწარმოების დასრულების შემდეგ. განჩინება საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში ზემოაღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში.
46. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია უფლებამოსილია ძალაში დატოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ან გააუქმოს განჩინება და უკანონოდ ცნოს ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედება. განჩინების გაუქმება და ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ახლად გამოვლენილ გარემოებად განაჩენის გადასინჯვისათვის, თუ ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძველად დაედო განაჩენს. ამასთან, პირს, რომლის მიმართაც ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება, უფლება აქვს მოითხოვოს მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებით, შენახვით ან გამჟღავნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
47. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩინებაზე საჩივარი გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. კერძოდ, მასში უნდა აღინიშნოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონით გათვალისწინებული რომელი წესი დაირღვა, საჩივარს, რომელიც შეიტანება განჩინების გამომტან სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია განიხილავს მისი შეტანიდან არა უგვიანეს 72 საათისა.
48. სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს მისი ავტორისა და ბრალდების მხარის მონაწილეობით. თუმცა მათი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას. საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება და მოთხოვნის შემთხვევაში მომჩივანს და ბრალდების მხარეს გადაეცემა.
49. სსსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის (რომელთა ჩამონათვალი განსაზღვრულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით), მოსამართლის და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქ-

- მედების ჩატარების განსხვავებულ წესს. აღნიშნული პირების მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის განჩინებით, საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე.
50. შუამდგომლობის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია სათანადოდ დაადგინოს იმუნიტეტის საკითხი, ვინაიდან იგი პირდაპირ უკავშირდება ქვემდებარეობისა და განსჯადობის საკითხების სწორად გადაწყვეტას. აღნიშნული ნორმის დარღვევით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედება თუნდაც ის ჩატარებული იყოს ყველა სხვა საპროცესო ნორმის სრული დაცვით, მაინც ჩაითვლება უკანონოდ.
51. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ განჩინების გაცემისათვის იმუნიტეტთან მიმართებით დაადგინოს სტანდარტი, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს სპეციალური სუბიექტების (იმუნიტეტის მქონე) მიმართ განსჯადობისა და ქვემდებარეობის წესების დარღვევით ნებართვის გაცემის რისკს. იმუნიტეტის საკითხის სათანადოდ დასადგენად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შესაბამისი ცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროდან, სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროდან და ა.შ.

**მუხლი 143<sup>4</sup>. ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების უფლებამოსილების მქონე ორგანო (30.11.2014 №2870 ამოქმედდეს 2015 წლის 31 მარტიდან)**

1. ფარულ საგამოძიებო მოქმედებას ახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო ამ კოდექსით დადგენილი წესით.
2. ამ კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
1. სსსკ-ის 143<sup>4</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს, სსსკ-ით დადგენილი წესით, ახორციელებენ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოები, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.
2. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩანერა, განსხვავებით სხვა სახის ფარული საგამოძიებო მოქმედებებისაგან, ხორციელდება ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომელიც განსაზღვრულია „პერსონალურ მონაცემთა“ დაცვის შესახებ საქართველოს კანონით.

**მუხლი 143<sup>5</sup>. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი ორგანოს მიერ ინფორმაციის შენახვისა და აღრიცხვის ვალდებულება**

1. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის სათანადოდ დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელ ორგანოს და შესაბამის საგამოძიებო ორგანოს. (30.11.2014 №2870)
2. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელმა ორგანომ უნდა აღრიცხოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული შემდეგი მონაცემები: ფარული საგამოძიებო მოქმედების სახე და მისი ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებები; ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებისა და დასრულების დრო; იმ პირთა წრე, რომელთა მიმართაც ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება; მოსამართლის განჩინების ან/და პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები.
1. სსსკ-ის 143<sup>5</sup>-ე მუხლი საგამოძიებო ორგანოებს და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელ ორგანოებს ამ გზით მოპოვებული ინფორმაციის სათანადოდ დაცვისა და



- აღრიცხვის ვალდებულებას აკისრებს. კერძოდ, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებელი ორგანო ვალდებულია აღრიცხოს ფარულ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებული შემდეგი მონაცემები:
- ფარული საგამოძიებო მოქმედების სახე და მისი ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებები;
  - ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებისა და დასრულების დრო;
  - იმ პირთა წრე, რომელთა მიმართაც ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება;
  - მოსამართლის განჩინების ან/და პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები.

### მუხლი 143<sup>6</sup>. ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტა (1.08.2014 № 2634)

1. ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი გამოძიებლის მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

2. ფარული საგამოძიებო მოქმედება შეწყდება, თუ:

ა) შესრულდება ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანა;

ბ) დადგინდება გარემოებები, რომლებიც ადასტურებს, რომ ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანის შესრულება ობიექტურად შეუძლებელია ან ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს;

გ) შეწყდება გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა;

დ) გავა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა.

3. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო ადგენს ოქმს, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებისა და დასრულების დრო, ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების სახე და მისი ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებები, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კონკრეტული ადგილი და იმ პირთა წრე, რომელთა მიმართაც ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება. ეს ოქმი დაუყოვნებლივ წარედგინება პროკურორს, აგრეთვე ამ თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით – დაცვის მხარეს.

1. ფარული საგამოძიებო მოქმედება მიმდინარეობს გარკვეული ვადით, რომელიც სსსკ-ით და შესაბამისად, მოსამართლის განჩინებით არის განსაზღვრული. სსსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-12 ნაწილის მიხედვით, „ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩინება გაიცემა იმ ვადით, რომელიც საჭიროა გამოძიების მიზნის მისაღწევად, მაგრამ არა უმეტეს 1 თვისა“. განჩინებით განსაზღვრული ვადის გასვლისთანავე ფარული საგამოძიებო მოქმედება წყდება. აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი. პროკურორის გადაწყვეტილებით ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ასევე შეწყდეს ვადის გასვლამდეც, შემდეგი საფუძველების არსებობისას:

- შესრულდა ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანა – ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება სსსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად. შესაბამისად, ამ ამოცანების შესრულება ფარული საგამოძიებო მოქმედების განჩინებით განსაზღვრულ ვადამდე შეწყვეტის საფუძველია;
- დადგინდა გარემოებები, რომლებიც ადასტურებს, რომ ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანის შესრულება ობიექტურად შეუძლებელია ან ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს;
- შეწყდა გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა – აღნიშნული გულისხმობს

კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით შემაჯამებელი გად-  
ანყვეტილების მიღებას, რაც, თავის მხრივ, ნებისმიერი იმ ვადიანი საგამოძიებო და  
საპროცესო მოქმედების შეწყვეტის საფუძველია, რომლის დასრულების ვადაც ცდე-  
ბა გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თარიღს.

### **მუხლი 143<sup>7</sup>. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მინიმუმამდე დაყვანა**

1. ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი ორგანო, აგრეთვე საგამოძიებო ორ-  
განო ან პირი ვალდებული არიან, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმალურად შეზ-  
ღულდონ იმ კომუნიკაციისა და პირის მონიტორინგი, რომელსაც გამოძიებასთან კავშირი არ აქვთ.
2. სასულიერო პირის, ადვოკატის, ექიმის, ჟურნალისტისა და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ  
ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს  
არ უკავშირდება შესაბამისად მათ მიერ სასულიერო მოღვაწეობის ან პროფესიული საქმიანობის  
დროს კანონით დაცული ინფორმაციის მოპოვებას.
3. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ადვოკატის პირადი  
კომუნიკაციის შესახებ უნდა გაიმიჯნოს ადვოკატსა და კლიენტს შორის განხორციელებული  
კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციისაგან. ადვოკატსა და კლიენტს შორის განხორციელებული  
კომუნიკაციის შინაარსი, რომელიც ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება, დაუყ-  
ვრებელივ უნდა განადგურდეს.

1. სსსკ-ის 143<sup>7</sup>-ე მუხლი კრძალავს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას გარკვეუ-  
ლი პროფესიის პირების მიმართ და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. აღნიშნული  
მუხლი საგამოძიებო ორგანოებს აკისრებს ვალდებულებას მაქსიმალურად შეზღულდონ იმ  
კომუნიკაციისა და პირის მონიტორინგი, რომელსაც გამოძიებასთან არ აქვს კავშირი. კერ-  
ძოდ, სასულიერო პირის, ადვოკატის, ექიმის, ჟურნალისტისა და იმუნიტეტის მქონე პირის  
მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში  
უშვებს, თუ საგამოძიებო მოქმედება არ უკავშირდება შესაბამისად სასულიერო მოღვაწე-  
ობის ან პროფესიული საქმიანობის დროს კანონით დაცული ინფორმაციის მოპოვებას.
2. განსხვავებულ რეგულაციებს ადგენს კანონი ასევე ადვოკატის მიმართ ფარული საგა-  
მოძიებო მოქმედების ჩატარების შემთხვევაში. უპირველეს ყოვლისა, სსსკ-ი საგამოძიებო  
მოქმედების განმახორციელებელი ორგანოსგან/პირისგან ითხოვს ადვოკატსა და კლიენტს  
შორის კომუნიკაციის კონფიდენციალობის პრინციპის დაცვას და ფარული საგამოძიებო  
მოქმედების ჩატარებას ადვოკატისა და კლიენტის მხოლოდ იმ კომუნიკაციის მიმართ  
უშვებს, რომელიც არ უკავშირდება ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას. ამ მიზნით  
საგამოძიებო ორგანომ ერთმანეთისგან უნდა გამიჯნოს ადვოკატის პირადი კომუნიკაცია  
და ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაცია. ამასთან, დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს  
ზომები ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული იმ ინფორმაციის განად-  
გურების შესახებ, რომელიც ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციას ეხება.

### **მუხლი 143<sup>8</sup>. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/ მასალის განადგურება**

1. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, პროკურორის გად-  
ანყვეტილებით, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვე-  
ტის ან დასრულების შემდეგ, თუ მას არა აქვს ღირებულება გამოძიებისათვის. ასევე დაუყოვნე-  
ბლივ უნდა განადგურდეს იმ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორ-  
მაცია, რომელიც გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარდა  
და, მიუხედავად სასამართლოს მიერ მისი კანონიერად ცნობისა, ბრალდების მხარემ ამ კოდექსის

83-ე მუხლით დადგენილი წესით არ წარუდგინა ის მტკიცებულებად საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოს. დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული ის მასალაც, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად უნდა განადგურდეს.

2. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა, რომელსაც სასამართლო დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობს, განადგურდება საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე განაჩენის გამოტანიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ. ეს მასალა განადგურებამდე სასამართლოს სპეციალურ საცავში ინახება. დაუშვებელია ვინმეს მიერ აღნიშნული მასალის გაცნობა, ასლის გადაღება და გამოყენება, გარდა მისი მხარეთა მიერ საპროცესო უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებისა.

3. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა, რომელიც საქმეს ნივთიერ მტკიცებულებად დაერთვის, ამ კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად შეინახება სასამართლოში ამ სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული მასალა დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის სათანადოდ დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება იმ სასამართლოს ადმინისტრაციას, სადაც განადგურებამდე ინახებოდა ეს მასალა.

5. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას ანადგურებს შესაბამისი საქმის გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის განმხორციელებელი ან სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი ან მათი ზემდგომი პროკურორი, იმ მოსამართლის ან იმ სასამართლოს მოსამართლის თანდასწრებით, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ შესაბამისი პროკურორისა და მოსამართლის ხელმოწერებით დადასტურებული ოქმი გადაეცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/პერსონალური მონაცემების განადგურების კომისიას და აისახება ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრში.

6. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ მასალას ანადგურებს ის მოსამართლე ან იმ სასამართლოს მოსამართლე, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ.

1. სსსკ-ის 143<sup>8</sup>-ე მუხლი ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შენახვისა და განადგურების წესს. ამასთან, ინფორმაციის შენახვის ვადები და განადგურების წესი აღნიშნული მუხლის თანახმად, განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ინფორმაციასთან გვაქვს საქმე სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებით მისი მნიშვნელობის და სტატუსის გათვალისწინებით. აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც:

- გამოძიებისთვის არ არის ღირებული;
- პროკურორმა არ წარადგინა როგორც მტკიცებულება საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე;

- არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას;
  - სასამართლომ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო;
  - სისხლის სამართლის საქმეს ერთვის ნივთიერ მტკიცებულებად.
2. ინფორმაცია, რომელსაც გამოძიებისთვის ღირებულება არ გააჩნია – ამ ტიპის ინფორმაციის განადგურებაზე გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ან დასრულების შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც საგამოძიებო მოქმედების შედეგად დადგინდება, რომ მოპოვებულმა ინფორმაციამ ვერ გაამართლა გამოძიების მოლოდინი და მისი მოპოვებით ვერ იქნა მიღწეული დასახული მიზანი.
  3. ინფორმაცია, რომელიც პროკურორმა არ წარადგინა მტკიცებულებად არსებითი განხილვის სხდომაზე – როგორც უკვე აღინიშნა შესაბამისი მუხლების კომენტირებისას, მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ მხარეები. შესაბამისად, პროკურორი უფლებამოსილია სასამართლოში არ წარადგინოს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია სასამართლოს მიერ საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის მიუხედავად. ამგვარი მტკიცებულების განადგურების გადაწყვეტილება პროკურორმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს.
  4. ინფორმაცია, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას – ამ კატეგორიას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად იქნა მოპოვებული, თუმცა შემხებლობა არ აქვს პირის დანაშაულებრივ საქმიანობასთან და სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ ცნობებს შეიცავს. ამგვარი ინფორმაციის განადგურების გადაწყვეტილება პროკურორმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს.
  5. ინფორმაცია, რომელიც სასამართლომ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო – ამგვარი ინფორმაციის განადგურების გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო დაუყოვნებლივ საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე განაჩენის გამოტანიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. განადგურებამდე აღნიშნული ინფორმაცია ინახება სასამართლოს სპეციალურ საცავში. დაუშვებელია ვინმეს მიერ აღნიშნული მასალის გაცნობა, ასლის გადაღება და გამოყენება, გარდა მხარეებისა, რომლებსაც უფლება აქვთ ის საპროცესო უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოიყენონ. ინფორმაციის განადგურებამდე მის დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება იმ სასამართლოს ადმინისტრაციას, სადაც განადგურებამდე ინახებოდა ეს მასალა.
  6. ინფორმაცია, რომელიც სისხლის სამართლის საქმეს ნივთიერ მტკიცებულებად ერთვის – აღნიშნული ინფორმაცია სასამართლოში ინახება ამ სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული მასალა დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს. ინფორმაციის განადგურების გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე. ინფორმაციის განადგურებამდე მის დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება იმ სასამართლოს ადმინისტრაციას, სადაც განადგურებამდე ინახებოდა ეს მასალა.
  7. როგორც უკვე აღინიშნა, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად მიღებული ინფორმაციის განადგურების გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი ან მოსამართლე. კერძოდ, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად მოპოვებული იმ ინფორმაციის განადგურებაზე, რომელიც დაუშვებელ მტკიცებულებად იქნა ცნობილი ან ნივთიერ მტკიცებულებად ერთვის სისხლის სამართლის საქმეს – მოსამართლე, ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში – პროკურორი. ინფორმაციის განადგურების უფლებამოსილება ყველა პროკურორსა და მოსამართლეს არ გააჩნია.
  8. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ ზემოაღნიშნულ ინფორმაციას განადგურებს შესაბამისი საქმის გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის განმხორციელებელი, სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი ან მათი ზემდგომი პროკურორი. ამასთან, პროკურორმა ინფორმაცია უნდა გაანადგუროს იმ მოსამართლის ან იმ სასამართლოს მოსამართლის თანდასწრებით, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გად-

ანვევტილება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ.

9. იმ ინფორმაციას, რომლის განადგურებაც მოსამართლის უფლებამოსილებაში შედის, ანადგურებს ის მოსამართლე ან იმ სასამართლოს მოსამართლე, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ.
10. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ შესაბამისი პროკურორისა და მოსამართლის ხელმოწერებით დგება ოქმი, რომელიც:
  - გადაეცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს;
  - გადაეცემა ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/ პერსონალური მონაცემების განადგურების კომისიას;
  - აისახება ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრში.

### **მუხლი 143<sup>9</sup>. ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინება**

1. ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებამდე ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ გამომძიებელს, პროკურორს და მოსამართლეს (თუ ეს ინფორმაცია არსებითად უკავშირდება მათ მიერ განსახილველ საკითხს).
2. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დაცვის მხარეს მიეწოდება ამ კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, აგრეთვე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას.
3. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსისა და აღნიშნული მასალის განადგურების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს პირს, რომლის მიმართაც ჩატარდა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება. ამ პირს ასეთი ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად გადაეცემა მოსამართლის განჩინება მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, აგრეთვე ის მასალა, რომლის საფუძველზედაც მიიღო მოსამართლემ ამგვარი გადაწყვეტილება, და განემარტება აღნიშნული განჩინების ამ კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-15 ნაწილით დადგენილი წესით გასაჩივრების უფლება. გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როდის ეცნობოს პირს მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ და გადაეცეს შესაბამისი განჩინება და მასალა, სამართალწარმოების ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდეგ, იღებს პროკურორი.
4. თუ პროკურორი გადაწყვეტს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებიდან 12 თვის ვადაში პირს არ აცნობოს მის მიმართ ამ მოქმედების ჩატარების შესახებ, იგი ვალდებულია აღნიშნული ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 72 საათისა შუამდგომლობით მიმართოს იმ სასამართლოს, რომლის მოსამართლემაც მიიღო განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, და მოითხოვოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისათვის მიწოდების გადავადება არაუმეტეს 12 თვისა. შუამდგომლობაში დასაბუთებული უნდა იყოს ის საფრთხე, რომელიც პირისათვის შეტყობინებით შეექმნება ფარული საგამოძიებო მოქმედების ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, ამოცანის შესრულებას და სამართალწარმოების ინტერესებს. მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს მისი წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში, ამ კოდექსის 112-ე მუხლით დადგენილი წესით, საკუთარი შეხედულებებისა და მოსმენით ან მის გარეშე. შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვისას მოსამართლე შეტყობინებით უზრუნველყოფს შესაბამისი პროკურორის მონაწილეობას განხილვაში. მისი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს შუამდგომლობის განხილვას. განხილვის შედეგად

მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილების და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე შესაბამისი პირისათვის შეტყობინების გადავადების შესახებ ან შუამდგომლობის დაკმაყოფილებასა და ამგვარი ინფორმაციის მიწოდების გადავადებაზე უარის თქმის შესახებ. პროკურორი ვალდებულია ამ ნაწილით გათვალისწინებული შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ამ პირისათვის შეტყობინების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 72 საათისა, აღნიშნული ვადის არაუმეტეს 12 თვით გაგრძელების თაობაზე.

1. სსსკ-ის 143<sup>9</sup>-ე მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებსაც გააჩნიათ ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ ინფორმაციის ფლობის უფლებამოსილება. ამ პირთა კატეგორიას კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მიეკუთვნებიან პროკურორი, გამომძიებელი, მოსამართლე, დაცვის მხარე (ბრალდებული და მისი ადვოკატი) და პირი, რომლის მიმართაც ტარდება ფარული საგამოძიებო მოქმედება.
2. პირს, რომლის მიმართაც ტარდება ფარული საგამოძიებო მოქმედება, უნდა ეცნობოს მისი ჩატარების, ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსისა და აღნიშნული მასალის განადგურების შესახებ. ამასთან, შეტყობინება უნდა მოხდეს წერილობით და პირს განემარტოს მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე მოსამართლის განჩინების გასაჩივრების უფლება. წერილობითი ინფორმაციის მიწოდების გარდა, პირს უნდა გადაეცეს მოსამართლის განჩინება და ყველა ის მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო მოსამართლის გადაწყვეტილებას. მნიშვნელოვანია საკითხი თუ როდის უნდა ეცნობოს პირს მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისა და მისი შედეგების შესახებ. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას კანონმდებელი პროკურორს ანდობს. კერძოდ, სამართალწარმოების ინტერესებიდან გამომდინარე, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას როდის აცნობოს პირს მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ და გადასცეს შესაბამისი განჩინება და მასალები.
3. სსსკ-ის 143<sup>9</sup>-ე მუხლით განსაზღვრულია მაქსიმალური 12-თვიანი ვადა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებიდან, რა ვადაშიც პირს უნდა ეცნობოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგები, გადაეცეს შესაბამისი განჩინება და მასალები. ამ ვადის გადაწევა მხოლოდ მოსამართლის ნებართვით არის შესაძლებელი, რომელსაც ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისათვის მიწოდების გადავადების შუამდგომლობით პროკურორი მიმართავს. შუამდგომლობა სასამართლოს უნდა წარედგინოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებიდან 12 თვის გასვლამდე არა უგვიანეს 72 საათისა. შუამდგომლობა წარედგინება იმ სასამართლოს, რომლის მოსამართლემაც მიიღო ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადაწყვეტილება. შუამდგომლობაში პროკურორმა უნდა დაასაბუთოს ის საფრთხე, რომელიც პირისათვის შეტყობინებით შეექმნება ფარული საგამოძიებო მოქმედების ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, ამოცანის შესრულებას და სამართალწარმოების ინტერესებს. მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს მისი წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში, სსსკ-ის 112-ე მუხლით დადგენილი წესით, საკუთარი შეხედულებისამებრ, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვისას მოსამართლე შეტყობინებით უზრუნველყოფს შესაბამისი პროკურორის მონაწილეობას განხილვაში. მისი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს შუამდგომლობის განხილვას.
4. შუამდგომლობის განხილვის შედეგად მოსამართლე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
  - პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილების და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე შესაბამისი პირისათვის შეტყობინების გადავადების შესახებ;

- პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებასა და ამგვარი ინფორმაციის მიწოდების გადავადებაზე უარის თქმის შესახებ.
5. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეტყობინების ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 12 თვით.

### **მუხლი 143<sup>10</sup>. ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრი**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო ადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრს, რომელშიც აისახება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია, კერძოდ: ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლოებში შესული შუამდგომლობების და სასამართლოთა მიერ მათზე მიღებული განჩინებების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების თაობაზე ინფორმაცია, რომელიც არ ეხებოდა პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავდა ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად განადგურდა.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლო ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს გამოაქვეყნოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია.

1. სსსკ-ის 143<sup>10</sup>-ე მუხლი ეხება სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, რომლის ვალდებულებაც საქართველოს უზენაეს სასამართლოს აკისრია. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ რეკვიზიტებს, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლო ადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრს, რომელშიც აისახება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული შემდეგი სახის სტატისტიკური ინფორმაცია:
  - ინფორმაცია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლოებში შესული შუამდგომლობების შესახებ;
  - ინფორმაცია სასამართლოთა მიერ შუამდგომლობებზე მიღებული განჩინებების შესახებ;
  - ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების თაობაზე ინფორმაცია, რომელიც არ ეხებოდა პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავდა ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ და განადგურდა.
2. სსსკ-ის 143<sup>10</sup>-ე მუხლი არ მიუთითებს შუამდგომლობების და განჩინებების რა მონაცემები უნდა აღრიცხოს. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საკითხის გადანყვეტა მთლიანად სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება. საქართველოს უზენაესი სასამართლო ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს გამოაქვეყნოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია.

## თავი XVII სხვა საპროცესო მოქმედებები

### მუხლი 144. ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი

1. თუ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა, ასევე თუ სხეულს ან ინფორმაციის შემცველ ობიექტს აჩნევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალი, ნიშანი ან თავისებურება, რომლის სწორად გაგება და აღქმა სპეციალური ცოდნის გარეშე შეუძლებელია, ტარდება ექსპერტიზა.

2. ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივით.

3. თუ საექსპერტო კვლევის ობიექტი მეორე მხარესთან ინახება, იგი ვალდებულია გადასცეს ობიექტი ექსპერტიზის ინიციატორი მხარის ექსპერტს. ექსპერტიზის ინიციატორი მხარე უფლებამოსილია ჩაატაროს ექსპერტიზა. თუ მხარე ნებაყოფლობით ვერ იღებს, იგი უფლებამოსილია საექსპერტო კვლევის ობიექტის ექსპერტისათვის გადაცემის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით. შუამდგომლობა განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 48 საათისა. შუამდგომლობის განხილვის დრო და ადგილი ეცნობება მხარეებს. შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შუამდგომლობა არ განიხილება. სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს განჩინება არ გასაჩივრდება.

3<sup>1</sup>. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის ინიციატორი მხარის ექსპერტმა ვერ ან არ უზრუნველყო საექსპერტო კვლევის ობიექტის დაცვა, ექსპერტის დასკვნა დაუშვებელი მტკიცებულებაა, ხოლო ექსპერტის მოწმედ დაკითხვა დაუშვებელია.

4. ექსპერტიზის ჩატარების შესახებ გამოძიებლის, პროკურორის დადგენილება და დაცვის მხარის მიმართვა სავალდებულოა საექსპერტო დაწესებულებისათვის, ექსპერტისათვის და იმ პირისათვის, რომელიც საექსპერტო კვლევის ობიექტია.

5. ექსპერტიზის ჩატარების შესახებ დადგენილებაში და დაცვის მხარის მიმართვაში აღნიშნება ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები, საექსპერტო დაწესებულების დასახელება ან იმ პირის გვარი, რომელსაც დაევალა ექსპერტიზის ჩატარება.

6. დაცვის მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსის 46-ე მუხლით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით მოითხოვოს მისი ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯების სახელმწიფოს ხარჯზე ანაზღაურება.

1. ექსპერტიზა ტარდება იმ შემთხვევაში, როცა დასადგენია სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება და აღნიშნულის დადგენა შეუძლებელია მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე ან/და სხეულს ან ინფორმაციის შემცველ ობიექტს აღენიშნება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალი, ნიშანი ან თავისებურება, რომლის სწორად გაგება და აღქმა შეუძლებელია სპეციალური ცოდნის გარეშე.

2. ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივით. თუ ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორია ბრალდების მხარე, გამოძიებელს/პროკურორს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც აღინიშნება: დადგენილების გამოტანის თარიღი და ადგილი; დადგენილების გამომტანი გამოძიებლის მონაცემები (სახელი, გვარი, თანამდებობა); ექსპერტიზის სახე (მაგ., ბალისტიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ა.შ.); ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი (გამოძიებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებმაც განაპირობეს ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობა); კითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გასცეს ექსპერტმა (გამომძიე-



- ბელმა დადგენილებაში დეტალურად და სწორი ფორმულირებით უნდა განსაზღვროს რა სახის ინფორმაციის მიღება სჭირდება საექსპერტო კვლევის შედეგად და ჩამოაყალიბოს კონკრეტული კითხვები საკვლევი ობიექტის ირგვლივ; დაწესებულება ან პირი, ვისაც უნდა დაევალოს ექსპერტიზის ჩატარება.
3. თუ ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორია დაცვის მხარე, ეს უკანასკნელი ზემოაღნიშნულ გარემოებებს (ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველს, ექსპერტის წინაშე დასმულ კითხვებს, საექსპერტო დაწესებულების დასახელებას ან იმ პირის ვინაობას, რომელსაც დაევალია ექსპერტიზის ჩატარება) აყალიბებს მიმართვის წერილში (და არა დადგენილებაში).
  4. ექსპერტიზის ჩატარების შესახებ გამომძიებლის, პროკურორის დადგენილება და დაცვის მხარის მიმართვა სავალდებულოა საექსპერტო დაწესებულებისათვის, ექსპერტისათვის. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ აწესებს რაიმე შეზღუდვას რომელიმე ექსპერტიზის სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებაში ჩატარების აუცილებლობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ნებისმიერი შინაარსის ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება დაევალოს როგორც სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებას, ასევე კერძო ექსპერტს.
  5. ექსპერტიზის ჩატარების შესახებ გამომძიებლის, პროკურორის დადგენილება და დაცვის მხარის მიმართვა სავალდებულოა ასევე იმ პირისათვის, რომელიც საექსპერტო კვლევის ობიექტია. მაგ., თუ პირის ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის განსაზღვრის მიზნით დანიშნულ იქნა სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის ჩასატარებლად აუცილებელია სხეულის გამოკვლევა, კვლევის ობიექტი (ის პირი, რომლის ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის განსაზღვრა უნდა მოხდეს) ვალდებულია შესამომწებლად გამოცხადდეს ექსპერტთან. აღნიშნული პირის ნებაყოფლობით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სსსკ-ის 149-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გაცემული სასამართლოს განჩინებით მისი იძულებით მიყვანის შესაძლებლობას.
  6. არსებობს პირველადი, დამატებითი, განმეორებითი, კომისიური და კომპლექსური ექსპერტიზა.
  7. პირველადია ექსპერტიზა, როცა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების დასადგენად ექსპერტიზა ინიშნება პირველად და აღნიშნულ საკითხზე ექსპერტს მანამდე არ უმსჯელია. პირველადი ექსპერტიზის დანიშვნის დროს მხარემ შეძლებისდაგვარად ამომწურავად უნდა ჩამოაყალიბოს კითხვები, რათა დღის წესრიგში არ დადგეს დამატებითი ექსპერტიზის ჩატარების საჭიროება.
  8. დამატებითია ექსპერტიზა, როცა იგი ტარდება ისეთი კვლევის ობიექტზე, რომელზეც უკვე ჩატარებულია პირველადი ექსპერტიზა. დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება საჭირო ხდება ისეთ შემთხვევაში, როცა პირველადი ექსპერტიზის დანიშვნის დროს გამომძიებელს მხედველობიდან გამორჩა საქმისათვის მნიშვნელოვანი კითხვის დასმა ან ექსპერტმა არ გამოიკვლია საქმეზე მნიშვნელობის მქონე რომელიმე გარემოება ან/და დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა ან იმავე კვლევის ობიექტზე ახალი გარემოების გარკვევის აუცილებლობა განაპირობა პირველადი ექსპერტიზის შედეგებმა ან პირველადი ექსპერტიზის ჩატარების შემდგომ ჩატარებულმა საგამომძიებო მოქმედებებმა (მაგ., გამომძიებელმა დანიშნა სამედიცინო ექსპერტიზა იმის გასარკვევად, აღენიშნებოდა თუ არა პირს სხეულზე დაზიანებები, თუმცა არ დაუსვამს კითხვა დაზიანებების ხანდაზმულობისა და იმის შესახებ, თუ რითი შეიძლება ყოფილიყო ისინი მიყენებული. პირველადი ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა პირის სხეულზე დაზიანებების არსებობა. ვინაიდან დაზიანებების ხანდაზმულობა და მათი მიყენების მექანიზმი წარმოადგენს საქმისთვის მნიშვნელოვან დეტალს, გამომძიებელმა უნდა დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა ამ საკითხების გარკვევის მიზნით).
  9. განმეორებითი ექსპერტიზა ინიშნება იმავე საკითხის გასარკვევად, რომლის გამოკვლევის მიზნითაც ჩატარებულ იქნა პირველადი ექსპერტიზა. განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების გადაწყვეტილების მიღება ხდება იმ შემთხვევაში, თუ პირველადი ექსპერტიზის დასკვნა დაუსაბუთებელია ან საეჭვოა მისი სისწორე, პირველადი ექსპერტიზის დასკვნა

- დამყარებულია არასარწმუნო გარემოებებზე ან მისი ჩატარების დროს მოხდა ექსპერტიზის ჩატარების წესის არსებითი დარღვევა.
10. კომისიური ექსპერტიზა ექსპერტიზის რთული ფორმაა, რომელსაც ატარებს რამდენიმე ექსპერტი. კომისიური ექსპერტიზა ინიშნება იმ შემთხვევაში, როცა გამოსაკვლევი ობიექტის ან გარემოების სირთულის გამო მიზანშეწონილია მის ჩატარებაში ერთი და იმავე დარგის ან/და სპეციალობის რამდენიმე ექსპერტის მონაწილეობა. კომისიური ექსპერტიზის ჩატარების გადაწყვეტილების მიღება ხდება ისეთ შემთხვევაშიც, როცა სახეზეა ერთი და იმავე საკვლევ ობიექტზე ჩატარებული შინაარსობრივად განსხვავებული ექსპერტიზის დასკვნები.
  11. კომპლექსური ექსპერტიზა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ საკვლევი ობიექტები იძლევა რამდენიმე სახის ექსპერტიზის ერთობლივად ჩატარების შესაძლებლობას. კომპლექსური ექსპერტიზის მიზანია ნაკლები დროისა და რესურსის გამოყენებით მიღებულ იქნეს სხვადასხვა დარგის კვლევის შედეგები ერთი დადგენილებით და ერთი საერთო დასკვნით (მაგ., ჩხუბის შედეგად დაზიანებულ სისხლიან ტანსაცმელზე შესაძლოა ერთდროულად (ერთი დადგენილებით) დანიშნული იქნეს ორი სახის ექსპერტიზა: ბიოლოგიური (ტანსაცმელზე არსებული სისხლის ლაქების ჯგუფის დადგენის მიზნით) და ფიზიკო-ტექნიკური (ტანსაცმელზე არსებული დაზიანებების მიზეზების დადგენის მიზნით) ექსპერტიზა.
  12. არსებობს სხვადასხვა სახის ექსპერტიზა. მაგალითად, დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზა (ექსპერტიზა, რომელიც იკვლევს ხელნაწერებსა და ხელმოწერას); ბალისტიკური ექსპერტიზა (ექსპერტიზა, რომელიც იკვლევს იარაღსა და საბრძოლო მასალას); დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა (ექსპერტიზა, რომელიც იკვლევს ანაბეჭდებს); სასაქონლო ექსპერტიზა (ექსპერტიზა, რომელიც განსაზღვრავს, მაგალითად, ზიანის, ნივთის ღირებულებას); ქიმიური ექსპერტიზა (ექსპერტიზა, რომელიც იკვლევს ნივთიერებებს, მათ შემადგენლობას); ბიოლოგიური ექსპერტიზა (ექსპერტიზა, რომელიც იკვლევს გენეტიკას, სისხლს); ნარკოლოგიური ექსპერტიზა (ექსპერტიზა, რომელიც იკვლევს პირის ორგანიზმში ნარკოტიკული საშუალების არსებობას); სამედიცინო ექსპერტიზა (ექსპერტიზა, რომელიც იკვლევს პირის გარდაცვალების მიზეზს, ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხს); ფსიქიატრიული ექსპერტიზა (ექსპერტიზა, რომელიც იკვლევს პირის ფსიქიკურ მდგომარეობას) და ა.შ.
  13. ექსპერტიზის ჩატარების ხარჯებს ანაზღაურებს ის მხარე, რომლის ინიციატივითაც მოხდა მისი ჩატარება. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა ბრალდებული გადახდისუუნაროა. ასეთ დროს დაცვის მხარის ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯებს დაცვის მხარის სურვილის შემთხვევაში ანაზღაურებს სახელმწიფო.
  14. როგორც წესი, მხარე ექსპერტიზას ატარებს მის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებაზე/ობიექტზე, თუმცა არის შემთხვევები, როცა მხარეს ექსპერტიზის ჩატარება სურს მეორე მხარესთან არსებულ ნივთზე/ობიექტზე. ასეთ შემთხვევაში, საექსპერტო კვლევის ობიექტის შემნახველი მხარე ვალდებულია ობიექტი გადასცეს ექსპერტიზის ინიციატორი მხარის ექსპერტს. მაგალითად, თუ დაცვის მხარეს სურს ჩაატაროს ექსპერტიზა ცეცხლსასროლ იარაღზე, რომელიც ინახება ბრალდების მხარესთან, დაცვის მხარემ უნდა დანიშნოს ექსპერტიზა, კერძოდ, მან უნდა შეადგინოს მიმართვის წერილი ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და იგი შესასრულებლად უნდა გაუგზავნოს მის მიერ შერჩეულ ექსპერტს. მიმართვის წერილში დაცვის მხარემ უნდა მიუთითოს იმის შესახებ, თუ სად ინახება საექსპერტო კვლევის ობიექტი (საგამოძიებო დანაყოფის დასახელება, გამომძიებლის სახელი და გვარი). მას შემდეგ, რაც ექსპერტი გაეცნობა დაცვის მხარის მიმართვას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, იგი (ექსპერტი) აგზავნის მოთხოვნას ბრალდების მხარესთან ექსპერტიზის ჩატარების მიზნით საექსპერტო კვლევის ობიექტის მისთვის გადაცემის შესახებ.
  15. თუ მხარე, რომელთანაც საექსპერტო კვლევის ობიექტი ინახება, უარს აცხადებს ექსპერ-

ტისათვის მის გადაცემაზე, ექსპერტიზის ინიციატორი მხარე უფლებამოსილია საექსპერტო კვლევის ობიექტის ექსპერტისათვის გადაცემის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით. სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე არა უგვიანეს 48 საათისა. თუ სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენით, სასამართლო სხდომაზე მონვეულ უნდა იქნეს ორივე მხარე. შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შუამდგომლობა არ განიხილება, მეორე მხარის გამოუცხადებლობა კი არ აბრკოლებს შუამდგომლობის განიხილვას. სასამართლომ შუამდგომლობის გადაწყვეტისას უნდა გაითვალისწინოს საექსპერტო კვლევის ობიექტის გადაუცემლობის მიზეზი (შესაძლოა მისი გადაცემა ვერ მოხდა პატივსაღები მიზეზის გამო), საექსპერტო კვლევის ობიექტის სახე, რამდენად უზრუნველყოფს ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტი საექსპერტო კვლევის ობიექტის დაცვას, აქვს თუ არა ექსპერტს ამგვარი საექსპერტო ობიექტის დაცვის პირობები და ა.შ. სასამართლოს განჩინება არ საჩივრდება.

16. თუ ექსპერტიზის ინიციატორი მხარის ექსპერტმა ვერ ან არ უზრუნველყო საექსპერტო კვლევის ობიექტის დაცვა, ასეთ შემთხვევაში ექსპერტის დასკვნა დაუშვებელი მტკიცებულებაა, ხოლო ექსპერტის მოწმედ დაკითხვა დაუშვებელია.

#### **მუხლი 145. საექსპერტო კვლევის ობიექტი**

1. საექსპერტო კვლევის ობიექტი, თუ მისი მოცულობა და თვისება ამის საშუალებას იძლევა, ექსპერტს უნდა გადაეცეს შეფუთული და დალუქული სახით.
2. საექსპერტო კვლევის ობიექტი შეიძლება დაიხარჯოს იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა საექსპერტო კვლევისათვის.
3. ექსპერტიზის დამთავრებისთანავე საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუხარჯავი ნაწილი შეფუთული და დალუქული სახით უნდა დაუბრუნდეს ექსპერტიზის დამნიშვნელ პირს ან ორგანოს, ხოლო თუ ექსპერტიზა ტარდება ამ კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საექსპერტო კვლევის ობიექტი უბრუნდება მხარეს, რომელთანაც ის ინახებოდა ექსპერტიზის დანიშვნამდე.

1. საექსპერტო კვლევის ობიექტი შეიძლება იყოს დოკუმენტი, ნივთი (მაგ., ტანსაცმელი, ტექნიკა), ნივთიერება (მაგ., ნარკოტიკი, ნამალი), ადამიანის სხეული, ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა, გვამი.
2. საექსპერტო კვლევის ობიექტი ექსპერტს ეგზავნება ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებასთან (დაცვის მხარის მიერ დანიშნული ექსპერტიზის შემთხვევაში მიმართვასთან) ერთად. საექსპერტო კვლევის ობიექტი ექსპერტს უნდა გადაეცეს შეფუთული და დალუქული სახით, წინააღმდეგ შემთხვევაში ეჭვქვეშ დგება მისი შეუნაცვლებლობა და შეიძლება დღის წესრიგში დადგეს ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებლობის საკითხი. ზოგჯერ საექსპერტო კვლევის ობიექტი არ იძლევა შეფუთვისა და დალუქვის შესაძლებლობას მისი თვისებისა და მოცულობის გამო. მაგ., თუ საექსპერტო კვლევის ობიექტია ავტომანქანა, მისი შეფუთვა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, საექსპერტო კვლევის ობიექტი სათანადო წესით უნდა იქნეს დაცული და დალუქული. ამასთან, თუ საექსპერტო კვლევის ობიექტის საექსპერტო დანესებულებაში/ექსპერტთან გაგზავნა შეუძლებელია მისი მოცულობის (მაგ., ავტომანქანა) ან თვისების (მაგ., საცხოვრებელი ბინა) გამო, ექსპერტი თავად ცხადდება ექსპერტიზის ობიექტის მდებარეობის ადგილზე საექსპერტო კვლევის ჩატარების მიზნით.
3. საექსპერტო კვლევის ობიექტთან ერთად ექსპერტს, ზოგ შემთხვევაში, უნდა გაეგზავნოს ასევე სისხლის სამართლის საქმის მასალის ასლები (მაგ., შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, გვამის დათვალიერების ოქმი, მოწმეთა ჩვენებები), თუ აღნიშნული მა-

- სალების გარეშე ექსპერტი ვერ გამოიტანს სწორ დასკვნას. მაგ., ტრანსპორტის უსაფრთხოების წესების დარღვევის დროს ინიშნება ექსპერტიზა ავტოავარიის მიზეზის დადგენის მიზნით და ექსპერტს საექსპერტო კვლევის ობიექტთან – ავტომანქანასთან ერთად – ეგზავნება ასევე სისხლის სამართლის საქმის მასალები (მაგ., ვიდეოჩანანერი, რომელზეც ასახულია ავტოავარია; მოწმეთა ჩვენებები; შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი), რომელთა გარეშე შეუძლებელია ექსპერტის მიერ სწორი დასკვნის გამოტანა ავტოავარიის მიზეზთან დაკავშირებით.
4. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ექსპერტი ექსპერტიზის დანიშვნის ინიციატორ მხარეს სთხოვს დამატებითი მასალების წარდგენას (მაგ., თვითმხილველი მოწმის ჩვენებას, ავადმყოფობის ისტორიას), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უარს ამბობს დასკვნის გაცემაზე, რადგან მისთვის გადაგზავნილი მასალები არ იძლევა დასკვნის გამოტანის საშუალებას.
  5. საექსპერტო კვლევის ობიექტი შეიძლება დაიხარჯოს იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა საექსპერტო კვლევისათვის. მაგალიტად, ნარკოტიკულ საშუალებაზე ქიმიური ექსპერტიზის ჩატარებისას, ნარკოტიკული საშუალების ნაწილი იხარჯება ექსპერტიზის ჩატარების დროს. ექსპერტიზის დამთავრებისთანავე საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუხარჯავი ნაწილი ექსპერტის მიერ უნდა იქნეს შეფუთული, დალუქული და ამ სახით იგი უნდა დაუბრუნდეს ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორ მხარეს, გარდა სსსკ-ის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საექსპერტო კვლევის ობიექტი უბრუნდება მხარეს, რომელთანაც ის ინახებოდა ექსპერტიზის დანიშვნამდე.
  6. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ექსპერტიზის ჩატარებისას სრულად იხარჯება საექსპერტო კვლევის ობიექტი. ექსპერტი აღნიშნული ფაქტის შესახებ უთითებს ექსპერტიზის დასკვნაში. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ინიციატორ მხარეს ველარ უბრუნდება საექსპერტო კვლევის ობიექტი. საექსპერტო კვლევის ობიექტი, როგორც წესი, სრულად იხარჯება ისეთ შემთხვევებში, როცა საექსპერტო კვლევის ობიექტს წარმოადგენს რომელიმე ნივთიერება. მაგალიტად, ნარკოტიკული საშუალება, შემთხვევის ადგილიდან აღებული სისხლის ოდენობა შეიძლება იყოს იმდენად მცირე, რომ ის სრულად დაიხარჯოს საექსპერტო კვლევის ჩატარებისას.

#### მუხლი 146. ექსპერტის დასკვნა

1. საჭირო გამოკვლევის ჩატარების შემდეგ ექსპერტი იძლევა დასკვნას. წერილობით დასკვნას იგი ადასტურებს ხელმოწერით.
  2. ექსპერტის დასკვნაში უნდა აღინიშნოს ექსპერტის ვინაობა (სახელი, გვარი, განათლება, სპეციალობა, სპეციალობით მუშაობის სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო წოდება, სამუშაო ადგილი და თანამდებობა), ის, რომ ექსპერტი გააფრთხილეს განზრახ არასწორი დასკვნის მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი, ვინ ესწრებოდა მას, რა მასალები გამოიყენა, რა საგანი, დოკუმენტი, ნიმუში ან სხვა ობიექტი გამოიკვლია, რა გამოკვლევა ჩატარა და რა მეთოდები გამოიყენა ექსპერტმა, დასაბუთებული პასუხები დასმულ კითხვებზე, ექსპერტის ინიციატივით დადგენილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებანი.
  3. ექსპერტის დასკვნას უნდა დაერთოს გამოკვლევის ჩატარების შემდეგ დარჩენილი ნივთები, ნიმუშები, ფოტოსურათები, სქემები და სხვა მასალები, რომლებიც ადასტურებს ექსპერტის დასკვნას.
  4. ექსპერტის დასკვნის მიღებისთანავე ექსპერტიზის ინიციატორმა მხარემ ის დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს მეორე მხარეს ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში.
1. საჭირო გამოკვლევის ჩატარების შემდეგ ექსპერტი იძლევა დასკვნას. დასკვნა უნდა იყოს

- ჩამოყალიბებული წერილობითი ფორმით და ექსპერტმა იგი უნდა დაადასტუროს თავისი ხელმოწერით. თუ ექსპერტიზა ჩაატარა რამდენიმე ექსპერტმა, ექსპერტიზის დასკვნას ხელს აწერს ექსპერტიზის ჩამტარებელი ყველა ექსპერტი.
2. ექსპერტიზის დასკვნა პირობითად შეიძლება დაიყოს რამდენიმე ნაწილად: შესავალი ნაწილი, კვლევითი ნაწილი და დასკვნითი ნაწილი.
  3. ექსპერტიზის დასკვნის შესავალ ნაწილში აღინიშნება ექსპერტის ვინაობა (სახელი, გვარი, განათლება, სპეციალობა, სპეციალობით მუშაობის სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო ნოდება, სამუშაო ადგილი და თანამდებობა); ექსპერტიზის ჩატარებისას დამსწრე პირები; ის, რომ ექსპერტი გააფრთხილეს განზრახ არასწორი დასკვნის მიცემისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ; ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი (გამომიძებლის დადგენილება ან დაცვის მხარის მიმართვა); ექსპერტისათვის გადაცემული გამოსაკვლევი მასალა, საგანი, დოკუმენტი, ნიმუში ან/და სხვა ობიექტი; ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები.
  4. ექსპერტიზის დასკვნის კვლევით ნაწილში მიეთითება გამოკვლევის მიმდინარეობა (აღინერება დეტალურად), გამოკვლევისას გამოყენებული მეთოდები და ლიტერატურა, გამოკვლევისას დახარჯული და გამოკვლევის შემდგომ დარჩენილი საექსპერტო კვლევის ობიექტის რაოდენობა, დასკვნით ნაწილში გაკეთებული დასკვნების დასაბუთება.
  5. ექსპერტიზის დასკვნის დასკვნით ნაწილში ექსპერტი აყალიბებს პასუხებს დასმულ კითხვებზე. ექსპერტი არ არის შეზღუდული დასკვნის შედგენის დროს მხოლოდ ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში/მიმართვაში დასმული კითხვებით. ექსპერტი ვალდებულია დასკვნაში მიუთუთოს ასევე საქმისათვის მნიშვნელოვანი ის გარემოებები, რომლებიც დაადგინა და გამოავლინა თავისი ინიციატივით საექსპერტო გამოკვლევის დროს.
  6. ექსპერტის დასკვნას უნდა დაერთოს გამოკვლევის ჩატარების შემდეგ დარჩენილი ნივთები, ნიმუშები, ფოტოსურათები, სქემები და სხვა მასალები, რომლებიც ადასტურებს ექსპერტის დასკვნას.
  7. ექსპერტის დასკვნა შეიძლება იყოს კატეგორიულად დადებითი, კატეგორიულად უარყოფითი ან სავარაუდო. ექსპერტიზის დასკვნა კატეგორიულია, როცა მასში გაცემულია ზუსტი პასუხი დასმულ კითხვაზე. მაგალითად, „ნასყიდობის ხელშეკრულებაზე არსებული ხელმოწერა შესრულებულია პეტრე ნაკაშიძის მიერ“ ან „ნასყიდობის ხელშეკრულებაზე არსებული ხელმოწერა არ არის შესრულებული პეტრე ნაკაშიძის მიერ“. ექსპერტიზის დასკვნა სავარაუდოა, როცა მასში ზუსტი პასუხი არ არის გაცემული დასმულ კითხვაზე. მაგალითად, „ნასყიდობის ხელშეკრულებაზე არსებული ხელმოწერა შესაძლოა შესრულებული იყოს პეტრე ნაკაშიძის მიერ“.
  8. თუ ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა ექსპერტის მიერ გაცემულია სხვადასხვა შინაარსის დასკვნა, მოსამართლემ მათი შეფასებისას მხედველობაში უნდა მიიღოს ექსპერტის კომპეტენტურობა, გამოცდილება, სტაჟი, დასკვნის დასაბუთებულობა, კვლევისას გამოყენებული მეთოდები. რომელიმე დასკვნისთვის უპირატესობის მინიჭებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე ექსპერტის ჩვენებაში მითითებული გარემოებები, კერძოდ, რამდენად კარგად ასაბუთებს ექსპერტი დაკითხვისას მის მიერ დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებს. თუ ორივე ექსპერტიზის დასკვნა თანაბრად დასაბუთებულია და შეუძლებელია ზემოაღნიშნული კრიტერიუმების მხედველობაში მიღებით რომელიმე მათგანისთვის უპირატესობის მინიჭება, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ დასკვნას, რომელიც ბრალდებულისთვის უფრო სასარგებლოა.
  9. ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა ექსპერტის მიერ სხვადასხვა შინაარსის დასკვნის შედგენის შემთხვევაში, მხარემ შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება კომისიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. კომისიური ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება დაევალოს იმავე ექსპერტებს, რომელთა მიერ გაცემულ იქნა სხვადასხვა შინაარსის დასკვნები ან სხვა

ექსპერტებს.

10. სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის (მათ შორის ექსპერტიზის დასკვნის) გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ამავე მუხლის მეორე ნაწილი ბრალდების მხარეს მხოლოდ მას შემდეგ ანიჭებს დაცვის მხარისაგან მტკიცებულებების მოთხოვნის უფლებას, თუ დაცვის მხარე თავად მოითხოვს ბრალდების მხარისაგან მტკიცებულებების გადაცემას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამ წესიდან აწესებს გამონაკლისს ექსპერტიზის დასკვნასთან მიმართებით. კერძოდ, აღნიშნული მუხლი ბრალდების მხარეს ანიჭებს უფლებას ნებისმიერ დროს მოსთხოვოს დაცვის მხარეს ექსპერტიზის დასკვნის მისთვის გადაცემა 83-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესის დაუცველად. დაცვის მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს ბრალდების მხარის ეს მოთხოვნა. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 146-ე მუხლის მე-3 ნაწილში არ არის დაკონკრეტებული კონკრეტული მხარე, ეს დათქმა აქტუალურია ბრალდების მხარისათვის, რადგან დაცვის მხარე, როგორც ზემოთ აღინიშნა, 83-ე მუხლის საფუძველზე სარგებლობს ყველა მტკიცებულების დაუყოვნებლივ მიღების უფლებით.

### მუხლი 147. ნიმუშის აღება

1. ნიმუშის აღება ტარდება მხარის მიერ. მხარეს უფლება აქვს, აიღოს ადამიანის, გვამის, ცხოველის, ნივთიერების, საგნის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის თვისებების ამსახველი ნიმუში.
  2. თუ ნიმუშის აღებისათვის აუცილებელია ქირურგიული ან სამედიცინო საშუალებების გამოყენება, ნიმუშს იღებს ექსპერტი.
  3. ნიმუშის აღება, რომელიც არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც ნიმუში უნდა იქნეს აღებული. თუ ნიმუშის აღება არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას და პირი უარს აცხადებს ნიმუშის ნებაყოფლობით აღებაზე ან პირს უნარი არა აქვს, გამოხატოს ნება მისგან ნიმუშის აღების შესახებ, ნიმუშის აღება ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. თუ არსებობს ამ კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა, ნიმუშის აღება შესაძლებელია სასამართლოს განჩინების გარეშე, გამომძიებლის დადგენილებით.
  4. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ნიმუშის აღების დაწყებიდან 12 საათის განმავლობაში (ხოლო თუ ამ ვადის ამოწურვა არასამუშაო დროს ემთხვევა – ამ დროის გასვლიდან არაუგვიანეს 1 საათისა) პროკურორმა ნიმუშის აღების შესახებ უნდა შეატყობინოს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით ან სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა საპროცესო მოქმედება, უნდა წარუდგინოს მას შუამდგომლობა ნიმუშის აღების კანონიერების შემოწმების შესახებ და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებს ამ საპროცესო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. სასამართლო საქმის მასალების შესვლიდან არაუგვიანეს 24 საათისა, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს პროკურორისა და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საპროცესო მოქმედება.
  5. ნიმუშის აღება, რომელიც იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც ნიმუში უნდა იქნეს აღებული, აგრეთვე მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობით, თუ ამ პირს 16 წელი არ შესრულებია ან თუ ის ფსიქიკურად დაავადებულია, ან სასამართლოს განჩინებით.
- (საქართველოს 2015 წლის 19 თებერვლის კანონი №3090 – ვებგვერდი, 06.03.2015).

1. ნიმუშის აღების საჭიროება დღის წესრიგში დგება იმ შემთხვევაში, როცა იგი საჭიროა საექსპერტო გამოკვლევის ჩასატარებლად.
2. დაცვის ან ბრალდების მხარეს უფლება აქვს აიღოს ადამიანის, გვამის, ცხოველის, ნივთიერების, საგნის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის თვისებების ამსახველი ნიმუში. მაგალითად, შეიძლება აღებულ იქნეს სისხლის, თმის, ნერწყვის, ხელნერის, სუნის, ანაბეჭდის, სპერმის, ხმის და სახის სხვა ნიმუში. თუ ნიმუშის აღებისათვის აუცილებელია ქირურგიული ან სამედიცინო საშუალებების გამოყენება, ნიმუშს იღებს ექსპერტი. მაგალითად, სისხლის ნიმუშს იღებს ექსპერტი.
3. ნიმუშის აღება, რომელიც ინვესტ დღიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. ამგვარი ნიმუშის ასაღებად საჭიროა გარკვეულ პირთა თანხმობა, რაც დამოკიდებულია პირის ასაკზე და ფსიქიკურ მდგომარეობაზე. კერძოდ, თუ ძლიერი ტკივილის გამომწვევი ნიმუშის აღება უნდა მოხდეს 16 წელს მიღწეული შერაცხადი პირისაგან, ამისათვის საჭიროა იმ პირის თანხმობა, რომლისგანაც ნიმუში უნდა იქნეს აღებული. თუ ამგვარი ნიმუშის აღება უნდა მოხდეს 16 წლამდე ასაკის პირისაგან, ამისათვის საჭიროა ამ პირისა და მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობა, ხოლო თუ ძლიერი ტკივილის გამომწვევი ნიმუშის აღება ხდება ფსიქიკურად დაავადებული პირისაგან, ამისათვის საჭიროა მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობა. თუ ზემოაღნიშნული პირები არ აცხადებენ თანხმობას ძლიერი ტკივილის გამომწვევი ნიმუშის ნებაყოფლობით აღებაზე, მხარეს უფლება აქვს შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ამგვარი ნიმუშის იძულებით აღების თაობაზე განჩინების გაცემის მოთხოვნით. დაუშვებელია ძლიერი ტკივილის გამომწვევი ნიმუშის გადაუდებლად (გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე) აღება.
4. რაც შეეხება ისეთი ნიმუშის აღებას, რომელიც არ ინვესტ ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, იგი დასაშვებია იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც ნიმუში უნდა იქნეს აღებული. თუ პირი უარს აცხადებს ამგვარი ნიმუშის (ნიმუში, რომელიც არ ინვესტ ძლიერი ტკივილის შეგრძნებას) ნებაყოფლობით აღებაზე ან პირს უნარი არა აქვს, გამოხატოს ნება მისგან ნიმუშის აღების შესახებ (მაგ., ასაღებია სისხლის ნიმუში და პირი იმყოფება უგონო მდგომარეობაში), ნიმუშის აღება ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. თუ არსებობს ამ კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა (როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად), ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე), ნიმუშის აღება შესაძლებელია სასამართლოს განჩინების გარეშე, გამომძიებლის დადგენილებით. ასეთი გადაუდებელი გარემოებების არსებობისას ნიმუშის აღების შემთხვევაში, ნიმუშის აღების დაწყებიდან 12 საათის განმავლობაში (ხოლო თუ ამ ვადის ამოწურვა არასამუშაო დროს ემთხვევა – ამ დროის გასვლიდან არა უგვიანეს 1 საათისა) პროკურორმა ნიმუშის აღების შესახებ უნდა შეატყობინოს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით ან სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა საპროცესო მოქმედება, უნდა წარუდგინოს მას შუამდგომლობა ნიმუშის აღების კანონიერების შემოწმების შესახებ და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებს ამ საპროცესო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. სასამართლო საქმის მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს პროკურორისა და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საპროცესო მოქმედება.
5. აღებული ნიმუში უნდა იქნეს სათანადო წესით დალუქული, შეფუთული და ასეთი ფორმით

უნდა გაეგზავნოს ისინი ექსპერტს.

6. არის შემთხვევები, როცა პირისაგან ნიმუშის აღება შეუძლებელია. მაგალითად, პირის გარდაცვალების შემდგომ სადავო გახდა ანდერძზე მისი ხელმოწერის ნამდვილობა. ვინაიდან პირის გარდაცვალების გამო მისგან ხელმოწერის ნიმუშის აღება შეუძლებელია, ნიმუშების (მისი ხელნაწერების) მოძიება უნდა მოხდეს სხვა წყაროებიდან. კერძოდ, მოძიებული უნდა იქნეს მის მიერ შესრულებული ხელნაწერები, ხელმოწერები.
7. ნიმუშის აღების ფაქტი უნდა დაფიქსირდეს ოქმში, რომელსაც ადგენს გამოძიებელი. ოქმში მითითებული უნდა იქნეს: ნიმუშის აღების დრო და ადგილი, ნიმუშის აღების საფუძველი, ნიმუშის ამღები პირის ვინაობა, აღებული ნიმუშის სახე. ამასთანავე, თუ შესაძლებელია, ამოღებული ნიმუში უნდა აღინეროს რაოდენობის, წონის, ღირებულების, ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისებების მითითებით და ნიმუშის აღების მიმდინარეობა დეტალურად (მაგ., ნიმუშის აღების დროს ადგილი ჰქონდა თუ არა წინააღმდეგობის განევას; რომელიმე მონაწილემ უარს განაცხადა ოქმის ხელმოწერაზე; ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი და ა.შ.).

### მუხლი 148. ნიმუშის აღების საფუძველი

**ნიმუშის აღებისათვის სასამართლოს განჩინება გამოიტანება ამ კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესით.**

1. გადაუდებლად აღებული ნიმუშის კანონიერების შემოწმებას სასამართლო ახდენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი წესით და გასცემს შესაბამის განჩინებას, ხოლო აღნიშნული (148-ე) მუხლი არეგულირებს ნიმუშის აღებამდე სასამართლო განჩინების გამოტანის წესს. ნიმუშის აღების შუამდგომლობით მხარემ უნდა მიმართოს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით. მხარემ შუამდგომლობაში უნდა დაასაბუთოს საქმისათვის მნიშვნელოვანი რომელი გარემოების დასადგენად არის აუცილებელი ნიმუშის აღება და რა სახის ნიმუშის აღებაა საჭირო. შუამდგომლობას უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმის იმ მასალის ასლები, რომლებიც ასაბუთებენ ნიმუშის აღების აუცილებლობას, უფლებამოსილი პირ(ებ)ის უარი ნიმუშის ნებაყოფლობით აღებაზე ან პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის გამოც შეუძლებელია მისგან ნიმუშის ნებაყოფლობით აღებაზე თანხმობის მიღება.
2. სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე მასალების მიღებიდან არა უგვიანეს 48 საათისა. თუ სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენით, განხილვის სხდომაზე მოწვეულ უნდა იქნეს ორივე მხარე. შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შუამდგომლობა არ განიხილება, მეორე მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს შუამდგომლობის განხილვას. სასამართლოს განჩინება არ საჩივრდება.

### მუხლი 149. გამოცხადების სავალდებულობა, მიყვანა

1. მხარე უფლებამოსილია დააყენოს შუამდგომლობა სასამართლო სხდომაზე თავისი მოწმის გამოძახების შესახებ.
2. პირი, რომელსაც კანონით დადგენილ შემთხვევებში იძახებს სასამართლო, ვალდებულია გამოცხადდეს ზუსტად დანიშნულ დროს და ადგილას. გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი შეიძლება იძულებით მიიყვანონ.
3. მიყვანა ხორციელდება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში ან სასამართლო სხდომაში მოწმის მონაწილეობა, თუ იგი უარს ამბობს ნებაყოფლობით გამოცხადებაზე.



4. ექსპერტიზის ინიციატორი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს ბრალდებულის, დაზარალებულისა და მოწმის ექსპერტთან მიყვანა, თუ აუცილებელი გახდა მათი სხეულის ან ფსიქიკის გამოკვლევა ან თუ აუცილებლად იქნა მიჩნეული ექსპერტიზაზე აღნიშნულ პირთა დასწრება. იძულებით მიყვანა ხდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით, რომელიც გამოიტანება ამ კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესით. გამოძიების სტადიაზე ბრალდებულის მიყვანა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს განჩინებით.

5. მიყვანის შესახებ გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს: მისაყვანი პირის სახელი, გვარი, საპროცესო მდგომარეობა, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილი; მისი მიყვანის საფუძველი; როდის და სად უნდა მიყვანონ პირი; ვის ევალება მისი მიყვანა.

- ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს გამოძიების დროს მოწმის საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედების ჩატარებისას გამოცხადების და მოწმის არსებითი განხილვის დროს სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება.
- პირველ რიგში, განხილულ უნდა იქნეს მოწმის ვალდებულება (მოწმე, დაზარალებული, ბრალდებული), გამოცხადდეს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას. სსსკ-ი ზოგ შემთხვევაში პირდაპირ აკისრებს მოწმეს საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მიზნით კონკრეტულ ადგილზე გამოცხადების ვალდებულებას. სსსკ-ის 113-ე მუხლის თანახმად, გამოძიების სტადიაზე მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვის მიზნით მოწმის გამოძახება ხდება სასამართლო უწყებით, ხოლო ამავე კოდექსის 49-ე მუხლით მოწმეს აკისრია ვალდებულება გამოცხადდეს სასამართლოში. შესაბამისად, თუ მოწმე გამოძიების ეტაპზე ნებაყოფლობით არ გამოცხადდება მაგისტრატი მოსამართლის წინაშე ჩვენების მისაცემად, იგი შეიძლება იძულებით იქნეს მოყვანილი. რაც შეეხება სხვა საგამოძიებო მოქმედებებს, პირის იძულებით მიყვანა შეიძლება განხორციელდეს, თუ იგი ნებაყოფლობით უარს აცხადებს მასში მონაწილეობის მიღებაზე და საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ამ საგამოძიებო მოქმედების იძულებით ჩატარების შესაძლებლობას. მაგ., პირმა უარი განაცხადა მისგან რაიმე ნივთის ამოღებაზე ან მის პირად ჩხრეკაზე. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების დროს ნივთის ნებაყოფლობით გადაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში შესაძლებლად მიიჩნევს საგამოძიებო მოქმედების იძულებით ჩატარებას. შესაბამისად, თუ პირადი ჩხრეკა ან პირისაგან ნივთის ამოღება ვერ ტარდება პირის ყოფნის ადგილზე და ამისათვის აუცილებელია პირის კონკრეტულ ადგილზე იძულებით მიყვანა, მხარემ სასამართლოს წინაშე უნდა დააყენოს შუამდგომლობა აღნიშნული პირის კონკრეტულ ადგილზე იძულებით მიყვანის თაობაზე.
- საპროცესო მოქმედების – ექსპერტიზის ჩატარებისას – ექსპერტიზის ინიციატორი მხარე ვალდებული უზრუნველყოს ბრალდებულის, დაზარალებულისა და მოწმის ექსპერტთან მიყვანა, თუ აუცილებელი გახდა მათი სხეულის ან ფსიქიკის გამოკვლევა ან თუ აუცილებლად იქნა მიჩნეული ექსპერტიზაზე აღნიშნულ პირთა დასწრება. თუ მხარემ ვერ უზრუნველყო მათი ნებაყოფლობითი გამოცხადება, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გაცემული სასამართლოს განჩინების საფუძველზე ხდება მათი იძულებით მიყვანა.
- საპროცესო მოქმედების – ნიმუშის იძულებით აღებისას – თუ პირი არ ცხადდება ნიმუშის აღების ადგილზე (მაგ., საავადმყოფოში სისხლის ნიმუშის ასაღებად), მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გაცემული სასამართლოს განჩინების საფუძველზე ხდება მისი იძულებით მიყვანა. შესაბამისად, თუ ნიმუშის იძულებით აღებისას აუცილებელია პირის კონკრეტულ ადგილზე მიყვანა, საჭიროა ორი განჩინება: განჩინება ნიმუშის იძულებით აღების შესახებ და განჩინება პირის იძულებით მიყვანის შესახებ.
- გამოძიების ეტაპზე საპროცესო ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას მოწმის იძულებით მიყვანის თაობაზე საპროცესო ან საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელმა მხარემ უნდა მიმართოს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით. შუამდგომლობას უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმის იმ მასალის ასლები, რომლებიც ადასტურებენ საგა-

- მოძიებო ან საპროცესო მოქმედების ჩატარებისას პირის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას. სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე არა უგვიანეს 48 საათისა. თუ სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენით, განხილვის სხდომაზე მინვეულ უნდა იქნეს ორივე მხარე. შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შუამდგომლობა არ განიხილება, მეორე მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს შუამდგომლობის განხილვას. სასამართლოს განჩინება არ საჩივრდება.
6. რაც შეეხება საქმის არსებითი განხილვის დროს მონმის იძულებით მიყვანას, სსკ-ის 228-ე მუხლის თანახმად, მხარეებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი მონმეების გამოცხადება სასამართლოში და სასამართლოს მიერ მონმის საკუთარი ინიციატივით გამოძახება და დაკითხვა დაუშვებელია. ანუ, ბრალდების და დაცვის მხარემ თავად უნდა უზრუნველყონ იმ მონმეების დაბარება და გამოცხადება სასამართლოში, რომელთა მონმედ დაკითხვას აპირებენ სასამართლოში.
  7. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მხარეს აღარ სურს მის მიერ გამოძიებაში დაკითხული და მტკიცებულებათა ნუსხაში მითითებული რომელიმე მონმის წარდგენა სასამართლოში. ამის მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა გარემოება. მაგ.: ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ მის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებები ქმნის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს განაჩენის გამოსატანად და აღარ არის საჭირო ყველა მონმის დაკითხვა. ასეთ შემთხვევაში, დაცვის მხარეს არა აქვს უფლება, მოსთხოვოს ბრალდების მხარეს აღნიშნული მონმის წარდგენა სასამართლოში ან სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოს ამ მონმის სასამართლოში გამოძახებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ორივე მხარე თავად განსაზღვრავს რა მტკიცებულებების გამოკვლევა უნდათ მათ სასამართლოში. ანალოგიურად გადანყდება ეს საკითხი ისეთ შემთხვევაში, როცა დაცვის მხარე მიიღებს ამგვარ გადანყვეტილებას.
  8. რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა რომელიმე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი მონმის გამოცხადებას სასამართლოში (კერძოდ, მონმე არ ცხადდება სასამართლოში მხარის თხოვნის საფუძველზე) და მონმის გამომძახებელ მხარეს სურს ამ მონმის ჩვენების გამოკვლევა (მონმის დაკითხვა) სასამართლოს წინაშე, აღნიშნული (149-ე) მუხლი მონმის გამოცხადების საკითხში რთავს მოსამართლეს. კერძოდ, თუ მხარე ვერ უზრუნველყოფს მისი მონმის გამოცხადებას, შესაბამისი მხარე უფლებამოსილია დააყენოს შუამდგომლობა სასამართლო სხდომაზე თავისი მონმის გამოძახების შესახებ. მხარეს არა აქვს უფლება, დააყენოს შუამდგომლობა სასამართლო სხდომაზე მეორე მხარის მონმის გამოძახების შესახებ. სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს დაუყოვნებლივ, იმავე სასამართლო სხდომაზე.
  9. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მხარის შუამდგომლობას, სასამართლო მონმეს უგზავნის უწყებას, რომლითაც ატყობინებს დანიშნულ დროსა და ადგილას სასამართლო სხდომაზე გამოცხადების სავალდებულობის შესახებ. თუ მონმე არ გამოცხადდა არც სასამართლოს უწყების საფუძველზე, შესაბამისი მხარე სასამართლოს წინაშე აყენებს შუამდგომლობას სასამართლო სხდომაზე მონმის იძულებით მიყვანის თაობაზე. მხარემ შუამდგომლობას უნდა დაურთოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ სასამართლოში მონმის ნებაყოფლობით გამოუცხადებლობას (მაგ., მონმესთან სატელეფონო ან პირადი გასაუბრების ოქმი, რომელიც ადასტურებს, რომ მონმე გაფრთხილებული იყო დანიშნულ დროს და ადგილზე სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შესახებ). თუ მონმე სასამართლოში არ ცხადდება პატივსადაც მიზეზის გამო (მაგ., ჯანმრთელობის მდგომარეობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება, საზღვარგარეთ ყოფნა და სხვა), სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს მხარის შუამდგომლობა მისი იძულებით მიყვანის თაობაზე. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მხარის შუამდგომლობას სასამართლო სხდომაზე მონმის იძულებით მიყვანის თაობაზე, მან განჩინებაში უნდა მიუთითოს: მისაყვანი პირის სახელი,

გვარი, საპროცესო მდგომარეობა (ბრალდებული, მონმე, დაზარალებული), საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილი; მისი მიყვანის საფუძველი; როდის და სად უნდა მიიყვანონ პირი; ვის ევალება მისი მიყვანა.

### **მუხლი 150. მიყვანის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება**

1. მიყვანის შესახებ გადაწყვეტილება აღსასრულებლად გადაეცემა შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს.
  2. როდესაც მისაყვან პირს აღმოაჩენენ, უფლებამოსილი თანამდებობის პირი მას ხელწერილით აცნობს გადაწყვეტილებას მიყვანის შესახებ და მიჰყავს გადაწყვეტილებაში მითითებულ ორგანოში (პირთან). ამასთანავე, გადაწყვეტილებაზე უნდა გაკეთდეს ჩანაწერი პირის აღმოჩენის დროისა და ადგილის, მიყვანის დროის, აგრეთვე მიყვანასთან დაკავშირებით მისი განცხადებებისა და საჩივრების შესახებ.
  3. მიყვანის შესახებ გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს გონივრულ ვადაში.
  4. თუ უფლებამოსილი თანამდებობის პირი დაადგენს, რომ პირის მიყვანა შეუძლებელია, იგი მიყვანის შესახებ გადაწყვეტილებაზე წერილობით მიუთითებს ამის მიზეზებს და გადაწყვეტილებას აღსრულების გარეშე უბრუნებს მიყვანის ინიციატორს.
1. მიყვანის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება (კონკრეტულ დროსა და ადგილზე პირის მიყვანის უზრუნველყოფა) სასამართლომ უნდა დაავალოს სამართალდამცავ ორგანოს, მიუხედავად იმისა, რომელი მხარეა შუამდგომლობის ავტორი. თუ მიყვანის შუამდგომლობა დაყენებულ იქნა ბრალდების მხარის მიერ, როგორც წესი, მიყვანის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას სასამართლო ავალებს ბრალდების მხარეს ან/და იმ საგამოძიებო ორგანოს, სადაც მუშაობს აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებელი. თუ მიყვანის შუამდგომლობა დაყენებულ იქნა დაცვის მხარის მიერ, როგორც წესი, მიყვანის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას სასამართლო ავალებს სამართალდამცავ ორგანოს მისაყვანი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
  2. როდესაც მისაყვან პირს აღმოაჩენენ, უფლებამოსილი თანამდებობის პირი (ვისაც დავალებული აქვს მიყვანის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება) მას ხელწერილით აცნობს სასამართლოს განჩინებას მიყვანის შესახებ. უფლებამოსილი თანამდებობის პირი სასამართლოს განჩინებაზე (მის უკანა გვერდზე) აკეთებს ჩანაწერს იმის შესახებ, რა დროს (დღე, საათი, წუთი) და რა მისამართზე იქნა აღმოჩენილი მისაყვანი პირი, რა დროს იქნა იგი მიყვანილი განჩინებაში მითითებულ ადგილზე (დღე, საათი, წუთი). განჩინებაზე ასევე უნდა გაკეთდეს ჩანაწერები მისაყვანი პირის ქცევის შესახებ (მაგ., იგი გაჰყვა ნებაყოფლობით თუ გასწია წინააღმდეგობა) და მიეთითოს მისაყვანი პირის მიერ გამოთქმული პრეტენზია, საჩივარი, განცხადება. უმჯობესია, ეს ჩანაწერები ხელმოწერით დაადასტუროს მისაყვანმა პირმა, რადგან შემდგომში თავიდან იქნეს აცილებული მისი უსაფუძვლო პრეტენზიები.
  3. მიყვანის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების დროულობა უნდა აკონტროლოს იმ პირმა, ვისაც დაევალა მიყვანის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება. მაგ., თუ მიყვანის განჩინებაში მითითებულია, რომ ხაშურში მცხოვრები პირი მიყვანილ უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოში 5 მარტს, 13:00 საათზე, განჩინების აღსრულებაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს მისაყვანი პირის საცხოვრებელ ადგილზე იმდენი ხნით ადრე გამოცხადება, რომ მოასწროს აღმოჩენილი პირის დანიშნულ ადგილზე დათქმულ დროს გამოცხადება. მიყვანის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელმა პირმა მხედველობაში უნდა მიიღოს დრო, რაც დასჭირდება აღმოჩენილი პირის დანიშნულების ადგილზე მიყვანას და ის სირთულეები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას პირის იძულებით მიყვანის აღსრულებისას (მაგ., წინააღმდეგობის განევა). შესაბამისად, თავიდანვე სწორად უნდა იქნეს დაგეგმილი და უზრუნველყოფილი მიყვანის

აღსრულების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები და მიყვანის აღსრულებაში საჭირო რაოდენობის პირების ჩართულობა.

4. თუ უფლებამოსილი თანამდებობის პირი (მიყვანის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელი) დაადგენს, რომ პირის მიყვანა შეუძლებელია (მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ვერ იქნა იგი აღმოჩენილი საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილზე), იგი მიყვანის შესახებ განჩინებაზე წერილობით მიუთითებს ამის მიზეზებს და გადაწყვეტილებას აღსრულების გარეშე უბრუნებს მიყვანის ინიციატორს (შუამდგომლობის დამყენებელ მხარეს ან სასამართლოს).

### მუხლი 151. ქონებაზე ყადაღის დადების მიზანი და საფუძველი

1. სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაადოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ მისი მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია ყადაღა დაადოს ამ ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონებას. ამ ნაწილში მითითებული პირობების არსებობისას, თუ ბრალდებული თანამდებობის პირია, პროკურორი ვალდებულია სასამართლოს წინაშე დააყენოს შუამდგომლობა თანამდებობის პირის ქონებაზე, მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე, ყადაღის დადების, აგრეთვე თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოს სახელით დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეჩერების ან სარჩელის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

2. ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქონებაზე ყადაღის დადება ასევე გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-330-ე და 331<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ან სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისას, აგრეთვე მათი აღკვეთის უზრუნველსაყოფად, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ ეს ქონება გამოყენებული იქნება დანაშაულის ჩასაღწეად.

3. სასამართლოს შეუძლია ასევე ყადაღა დაადოს ქონებას, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ ეს კორუფციული, რეკეტული ან ქურდული სამყაროს წევრის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონება ან/და ამ ქონების მიმართ ჩადენილია დანაშაული ან/და იგი დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული.

4. ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს.

(საქართველოს 2010 წლის 24 სექტემბრის კანონი №3616 – სსმ I, №50, 24.09.2010, მუხ.328)

1. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ყადაღის დადების მიზანია ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველყოფა. შესაბამისად, ყადაღა შეიძლება დაედოს მხოლოდ იმ ქონებას, რომლის ჩამორთმევის საკითხი შეიძლება დადგეს დღის წესრიგში. ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონების სახეს განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლი, რომლის თანახმად, ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასაღწეად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. ანუ, კანონმდებელი ყადაღის გამოყენებას შესაძლებლად მიიჩნევს იმ შემთხვევებში, თუ ქონება წარმოადგენს: ა) დანაშაულის საგანს ან/და იარაღს; ბ) და-

- ნაშაულის ჩასადენად გამიზნულ ნივთს; გ) დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას.
2. ზემოხსენებული სამი შემთხვევიდან რომელიმეს არსებობის შემთხვევაში მხარეს შეუძლია მოითხოვოს ყადაღის დადება, თუკი სახეზე იქნება დასაბუთებული ვარაუდი, რომ ქონებას დახარჯავენ ან/და გადამალავენ, ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. შესაბამისად, ქონების გადამალვის ან/და დახარჯვის დასაბუთებული ვარაუდი (ანუ ის სტანდარტი, რაც ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობის დაყენებისთვის არის დანესებული) უნდა არსებობდეს მხოლოდ: ა) დანაშაულის საგნის ან/და იარაღის; ბ) დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის; გ) დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მიმართ.
  3. სსსკ-ის 151-ე მუხლის თანახმად, შესაძლებელია ყადაღა დაედოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას.
  4. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირი ბრალდებულის სტატუსს იძენს დაკავებისთანავე, ბრალდებულის სტატუსის მქონე პირის ქონებაზე ყადაღის დასადებად აუცილებელია პირი ბრალდებულად იქნეს ცნობილი, ანუ გამოტანილი იყოს დადგენილება ბრალდების შესახებ და მას წარდგენილი ჰქონდეს ბრალი.
  5. ბრალდებულის ქონებას ყადაღა შეიძლება დაედოს იმ შემთხვევაში, თუ: ა) მოსალოდნელია ქონების ჩამორთმევა (მაგ., არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული ქონებას გადამალავს, გახარჯავს ან/და მას ქონება მიღებული აქვს დანაშაულებრივი გზით (მაგ., ბინა შეიძინა თაღლითობის ჩადენის გზით); ბ) ქონების დაყადაღება აუცილებელია სარჩელის უზრუნველსაყოფად (მაგ., თაღლითური გზით დაუფლებული ქონება უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულს სამოქალაქო დავის ფარგლებში); გ) ქონების დაყადაღება საჭიროა ბრალდებულისთვის შეფარდებული გირაოს უზრუნველსაყოფად.
  6. თუ ბრალდებული თანამდებობის პირია, პროკურორი ვალდებულია სასამართლოს წინაშე დააყენოს შუამდგომლობა: ა) თანამდებობის პირის ქონებაზე (საბანკო ანგარიშებზე) ყადაღის დადების შესახებ; ბ) თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოს სახელით დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეჩერების ან სარჩელის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების განხორციელების თაობაზე, თუ ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული უკავშირდება მის მიერ სახელმწიფოს სახელით ნაკისრ ვალდებულებებს ან სახელმწიფოს სახელით განსახორციელებელ მოქმედებებს (მაგ.: თანამდებობის პირმა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით უპირატესობა მიანიჭა კონკრეტულ სუბიექტს და მის სასარგებლოდ უარი განაცხადა სასარჩელო მოთხოვნაზე ადმინისტრაციული, საარბიტრაჟო ან სამოქალაქო დავის მიმდინარეობისას).
  7. ბრალდებულის მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ქონებას ყადაღა უნდა დაედოს იმ შემთხვევაში, თუ ის პირი, რომლის ქონებასაც უნდა დაედოს ყადაღა, იღებს პასუხისმგებლობას ბრალდებულის ქმედებაზე (მაგ., ბრალდებულისთვის შეფარდებული გირაოს უზრუნველსაყოფად სხვა პირი თანახმაა ყადაღა დაედოს მის ქონებას);
  8. ბრალდებულთან დაკავშირებული პირის ქონებას ყადაღა უნდა დაედოს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს ქონება მიღებულია ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად და ფორმალურად აღრიცხულია ბრალდებულთან დაკავშირებულ პირზე. ბრალდებულთან დაკავშირებული პირი შეიძლება იყოს მისი ოჯახის წევრი, პარტნიორი, მეგობარი და ა.შ. სსსკ-ის 151-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებული საკითხების გადწყვეტისას შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს ვინ შეიძლება იყოს დაკავშირებული პირი – პირი, რომელსაც იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება და არსებობს

საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი მიღებულია რეკეტის შედეგად ან მოპოვებულია რეკეტორის, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან სსკ-ის 194-ე ან/და 331<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ ან/და ამ ქონებით სარგებლობს, მას განკარგავს (ან განკარგა) რეკეტირი, თანამდებობის პირი, ქურდული სამყაროს წევრი, ადამიანით მოვაჭრე, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობი ან სსკ-ის 194-ე ან/და 331<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>1</sup> მუხლის „კ“ ქვეპუნქტი). აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, „დაკავშირებული პირის“ სახელზე რიცხული ქონება უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული დანაშაულის ჩადენასთან.

9. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შესაძლებლად მიჩნევს ქონებაზე ყადაღის დადებას იმ შემთხვევებშიც, როცა არ არის დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ. კერძოდ, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გარეშე ყადაღა შეიძლება დაედოს:

ა) სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე-330-ე, 331<sup>1</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული ან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ქონებას. მაგ., ყადაღა შეიძლება დაედოს ჯაშუშობის ჩასადენად პირთა მოსასყიდ თანხას; ფულის გასათეთრებლად გამზადებულ საბანკო ანგარიშებს; ისტორიული მნიშვნელობის ობიექტს, რომელზეც არსებობს მონაცემები რომ ორგანიზებული ჯგუფი გეგმავს კონტრაბანდული გზით მის საზღვარგარეთ გატანას;

ბ) ქურდული სამყაროს წევრის ქონებას, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს ქონება მიღებულია დანაშაულის შედეგად, გამოიყენებოდა დანაშაულის ჩასადენად ან დაკავშირებული იყო დანაშაულთან. მაგ., გამოძიება მიმდინარეობს ქურდული სამყაროს წევრის მიერ ფულის გათეთრების ფაქტზე, ხოლო ქურდული სამყაროს წევრობა დადგენილია სხვა საქმეზე გამოტანილი განაჩენით;

გ) ქონებას, თუ არსებობს მონაცემები, რომ იგი მოპოვებულია რეკეტული ან კორუფციული გზით;

დ) სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონებას, თუ ქონება უშუალოდ დაკავშირებულია მსჯავრდებულის მიერ ფულის გათეთრებასთან ან ქონება დაუსაბუთებელია. უკვე მსჯავრდებული პირის ქონების დაყადაღების აუცილებლობა წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როცა ქონებაზე მსჯავრდებულის კავშირი არ იყო დადგენილი მის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების მიმდინარეობისას, ან ვერ იქნა მოძიებული ქონება ან ვერ მოხერხდა მისი დაყადაღება. სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების დაყადაღებისთვის აუცილებელია არსებობდეს განაჩენი, რომლითაც პირი აღნიშნული მუხლით დამნაშავედ არის ცნობილი;

ე) ქონებას, თუ არსებობს მონაცემები, რომ ეს ქონება წარმოადგენს დანაშაულის საგანს და გამოძიებით დადგენილია, რომ დაზარალებულის საკუთრებიდან ნივთი გამოვიდა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შედეგად. მაგ.: ბრალდებულმა თაღლითური გზით დაუფლებული ქონება მიჰყიდა სხვა პირს და ეს ქონება არ არის დანაშაულის ჩამდენი პირის საკუთრებაში. მიუხედავად დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მესაკუთრისა/მფლობელის ვინაობისა, აღნიშნულ ქონებას შესაძლოა დაედოს ყადაღა;

ვ) დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას (მაგ.: ქონებას, რომელიც მიღებულია ტრეფიკინგის, პროსტიტუციისთვის ადგილის დათმობის, გამოძალვის შედეგად).

10. ყადაღა შეიძლება დაედოს: უძრავ ქონებას (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთი); მოძრავ ქონებას (ნებისმიერი სახის ნივთი, საგანი, ნივთიერება, რომელსაც გააჩნია მატერიალური ღირებულება); არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს (ობლიგაციები, საბანკო ანგარიშები, ნილები, უფლებრივი მდგომარეობა (მაგ.: გრძელვადიანი იჯარა, სახელშეკრულებო ვალ-

- დებულებები (თანამდებობის პირის შემთხვევაში), ლიცენზია-ნებართვები).
11. თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ მისი მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია ყადაღა დაადოს ამ ქონების ეკვივალენტური ღირებულების სხვა ქონებას. მაგალითად, პირს ბრალი ედება მოძრავი ნივთის თაღლითობაში, თუმცა ვერ იქნა მოძიებული დანაშაულის საგანი. ყადაღა შეიძლება დაედოს ბრალდებულის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ სხვა ნივთს, რომელიც არის დანაშაულის საგნის ეკვივალენტური ღირებულების.
  12. ქონებაზე ყადაღის დადებისას პროკურორი არ არის შეზღუდული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით და დასაბუთებისას შეუძლია გამოიყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის დებულებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს. მაგ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გამოყენება შესაძლებელია სარჩელის უზრუნველყოფის საფუძვლით ქონებაზე ყადაღის დადებისას ან თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოს სახელით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეჩერებისას.

### **მუხლი 152. ქონებაზე ყადაღის დადებისას უფლებამოსილებათა შეზღუდვა**

**ქონებაზე ყადაღის დადება მესაკუთრეს ან მფლობელს უკრძალავს ქონების განკარგვას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – აგრეთვე ქონებით სარგებლობას.**

1. ყადაღა წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიებას, ნივთის მესაკუთრის უფლებების შეზღუდვის ერთ-ერთ სახეს, რომელიც ნივთისა და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის მესაკუთრეს უკრძალავს მათ განკარგვას (გასხვისებას, გაჩუქებას, გაცვლას, იპოთეკით დატვირთვას, დაგირავებას) ან განკარგვას და სარგებლობას ერთდროულად.
2. გადანყვეტილების მიღებისას პროკურორმა მხედველობაში უნდა მიიღოს დასაყადაღებელი ნივთის სახე, მდგომარეობა, დაზიანების ალბათობა, გამოყენების შედეგი. მაგ., თუ დასაყადაღებელია ისეთი ნივთი, რომლის სარგებლობით მისი ფასი საგრძნობლად მცირდება ან ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე არსებობს მისი დაზიანების საფრთხე, დაყადაღებისას უნდა აიკრძალოს არა მხოლოდ განკარგვა, არამედ სარგებლობაც.

### **მუხლი 153. ქონება, რომელსაც არ შეიძლება ყადაღა დაედოს**

**არ შეიძლება ყადაღა დაედოს პირისათვის საჭირო კვების პროდუქტებს, სათბობს, პროფესიული საქმიანობის ინვენტარს და სხვა საგნებს, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის ნორმალურ სასიცოცხლო პირობებს, აგრეთვე „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფინანსურ გირაოს (ფინანსური გირაოს საგანს) და მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილის ანგარიშსწორების ანგარიშებს. (საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6314 – ვებგვერდი, 12.06.2012).**

1. არ შეიძლება ყადაღა დაედოს პირისათვის საჭირო კვების პროდუქტებს, სათბობს, პროფესიული საქმიანობის ინვენტარს (მაგ., თუ ბრალდებულია პიანისტი, არ შეიძლება ყადაღა დაედოს მის ინსტრუმენტს) და სხვა საგნებს, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის ნორმალურ სასიცოცხლო პირობებს (მაგ., ავტომანქანას, რომლითაც გადაადგილდება ბრალდებულის ინვალიდი შვილი), აგრეთვე „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფინანსურ გირაოს (ფინანსური გირაოს საგანს) და მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილის ანგარიშსწორების ანგარიშებს.
2. ფინანსური გირაოს საგანი არის ფინანსური ინსტრუმენტები (ფინანსური ინსტრუმენტები – მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს წილობრივ მონაწილეობას

ადგილობრივ ან უცხოურ კომპანიაში, ან მისი ეკვივალენტი; მიმოქცევადი სასესხო ინსტრუმენტი/ვალდებულება; სხვა მიმოქცევადი ფასიანი ქალაქი, რომელიც იძლევა ფასიანი ქალაქების შექმნის უფლებას მასზე ხელმოწერის, მისი ყიდვის ან მისი გაცვლის გზით, ან რომლის შესრულება ხდება შეთანხმებულ და მიმდინარე ფასთა შორის სხვაობის დაფარვით, ან რომელიც ითვალისწინებს ფულად ანგარიშსწორებას, გარდა საგადახდო ინსტრუმენტისა; ერთობლივი საინვესტიციო ფონდის მიერ ემიტირებული უფლება; ფულის ან სავალუტო ბაზრის ინსტრუმენტი; ანგარიშზე რიცხული ძვირფასი ლითონები; სხვა დოკუმენტი, რომელსაც აქვს ფულადი გამოხატულება ან/და რომელიც არის ორ ან მეტ მხარეს შორის არსებული ფულადი სახსრების გადახდასთან დაკავშირებული სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე შეთანხმების დადასტურება, ასევე ზემოთ ჩამოთვლილ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები, უფლებები ამ ინსტრუმენტებზე ან მათთან დაკავშირებული უფლებები) ან ანგარიშზე რიცხული ფულადი სახსრები, რომლებიც გამოყენებულია ნებისმიერი ტიპის ვალდებულების, მათ შორის, არსებული, სამომავლო, შესაძლო ან პირობითი ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად.

## **მუხლი 154. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობა და მისი განხილვის წესი**

**1. მხარე ადგენს და გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს უგზავნის დასაბუთებულ შუამდგომლობას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციას.**

**2. მოსამართლე შუამდგომლობისა და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციის შესვლიდან არა უგვიანეს 48 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს შუამდგომლობის დამყენებელი მხარის მონაწილეობით. ამ შემთხვევაში შუამდგომლობის განხილვისას გამოიყენება ამ კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესი.**

1. მხარე ადგენს და გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს უგზავნის დასაბუთებულ შუამდგომლობას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციას.
2. ყადაღის დადების შუამდგომლობას უნდა დაერთოს ინფორმაცია დასაყადაღებელი ქონებისა და დასაყადაღებელი ქონების მესაკუთრის შესახებ.
3. თუ ყადაღის საგანია უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობა, მიწის ნაკვეთი), შუამდგომლობას უნდა დაერთოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. იმ შემთხვევაში, თუ ყადაღის საგანია იურიდიული პირის სახელზე რეგისტრირებული ქონება (მაგ., ბრალდებულის კომპანიის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი), ქონების ამონაწერთან ერთად აუცილებელია იურიდიული პირის ამონაწერის დართვა. თუ ყადაღის საგანია მოძრავი ქონება, მაგალითად, ქარხნის მანქანა-დანადგარები, აპარატურა, ძვირადღირებული ანტიკვარული ნივთები, წიგნები და ა.შ. სისხლის სამართლის საქმის მასალებით შესაძლებელი უნდა იყოს აღნიშნული ქონების იდენტიფიცირება (მაგ., მონმეები ჩვენებებში უნდა უთითებდნენ ანტიკვარული ნივთების ადგილმდებარეობაზე, მის მესაკუთრეზე ან სხვა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით უნდა ირკვეოდეს რომელ ნივთზეა საუბარი და ვინ არის მისი მესაკუთრე). თუ ყადაღის საგანია საბანკო ანგარიში, შუამდგომლობას უნდა დაერთოს ინფორმაცია პირის მიერ საბანკო ანგარიშის ფლობის თაობაზე.
4. მხარემ უნდა მოიპოვოს ინფორმაცია დასაყადაღებელი ქონების მესაკუთრის შესახებ (მესაკუთრის პირადობის მონაწილის, პასპორტის ან სხვა დოკუმენტის ასლი), რომელიც იძლევა მესაკუთრის ვინაობის იდენტიფიცირების შესაძლებლობას.
5. ქონებაზე ყადაღის დადებამდე, შესაძლებელია საჭირო გახდეს დასაყადაღებელი ქონების



- შეფასება (მაგ., როცა უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება გირაოს უზრუნველსაყოფად ან ყადაღა უნდა დაედოს დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ან ზიანის ეკვივალენტურ ქონებას). ქონების ღირებულების შეფასება უნდა მოხდეს აუდიტის ან ექსპერტიზის დასკვნით. თუ ამოღებული საბუღალტრო დოკუმენტებით დგინდება ქონების საბალანსო ღირებულება, ყადაღის დროულად დადების მიზნით (ექსპერტის მიერ ქონების საბაზრო ფასით შეფასებამდე) შესაძლოა გამოყენებული იქნეს მისი საბალანსო ღირებულება და ყადაღის დადება მოხდეს აუდიტის ან ექსპერტიზის დასკვნის გარეშე.
6. მოსამართლე შუამდგომლობის, მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციის შესვლიდან არა უგვიანეს 48 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე ან ზეპირი მოსმენით წყვეტს შუამდგომლობას და გამოაქვს განჩინება ყადაღის დადების ან ყადაღის დადებაზე უარის თქმის შესახებ.
  7. ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობა ზეპირი მოსმენით შესაძლოა ჩატარდეს მხოლოდ შუამდგომლობის ავტორის მონაწილეობით, რადგან ყადაღის დადებამდე თავიდან იქნეს აცილებული ქონების მესაკუთრის მხრიდან ქონების გადაამალვა ან დახარჯვა. ზეპირ მოსმენაზე შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შუამდგომლობა არ განიხილება.

### **მუხლი 155. დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ**

1. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ქონებას გადაამალავენ ან გაანადგურებენ, პროკურორს უფლება აქვს, გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.
  2. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დადგენილების აღსრულებიდან 12 საათის განმავლობაში (ხოლო თუ ამ ვადის ამონაწერა ემთხვევა არასამუშაო დროს, მაშინ ამ დროის გასვლიდან არა უგვიანეს 1 საათისა) პროკურორმა ყადაღის დადების თაობაზე უნდა შეატყობინოს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს ან სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა საპროცესო მოქმედება, უნდა წარუდგინოს შუამდგომლობა ყადაღის კანონიერების შემოწმების შესახებ და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. სასამართლო მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს პროკურორის და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება.
1. ყადაღის დადება შესაძლოა მოხდეს სასამართლოს განჩინების გარეშე, პროკურორის დადგენილებით, თუ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა. ასეთი შემთხვევა სახეზეა, თუ დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ქონების განადგურება ან გადაამალვა.
  2. თუ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა (ქონების განადგურების ან გადაამალვის საფრთხე), პროკურორს გამოაქვს დადგენილება ყადაღის დადების შესახებ, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს ქონებაზე ყადაღის გადაუდებლად დადების საჭიროება.
  3. პროკურორი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული საპროცესო მოქმედების კანონიერების საკითხის გადწყვეტის მიზნით, დადგენილების აღსრულებიდან (ყადაღის რეალურად დადებიდან – ყადაღის დადების ოქმის შედგენიდან) 12 საათის განმავლობაში (ხოლო თუ ამ ვადის ამონაწერა ემთხვევა არასამუშაო დროს, მაშინ ამ დროის გასვლიდან არა უგვიანეს 1 საათისა) სასამართლოს გამოძიების ადგილის ან საპროცესო მოქმედების ჩატარების ადგილის მიხედვით წარუდგენს შუამდგომლობას ყადაღის

კანონიერების შემონახვის მოთხოვნით.

4. შუამდგომლობას უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას.
5. მოსამართლე, შუამდგომლობისა და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციის შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა, ზეპირი მოსმენის გარეშე ან ზეპირი მოსმენით (პროკურორისა და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება) წყვეტს შუამდგომლობას და გამოაქვს განჩინება ყადაღის კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ.

### **მუხლი 156. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრება**

ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინება უნდა გადაეცეს გასაჩივრების უფლების მქონე პირს განჩინების გამოცემიდან 48 საათის განმავლობაში. ეს განჩინება საჩივრდება ამ კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი წესით. განჩინების გასაჩივრება შეუძლიათ პროკურორს, ბრალდებულს ან/და პირს, რომლის ქონებრივი უფლებებიც შეიძლება დაირღვეს ამ განჩინების შედეგად, აგრეთვე მათ ადვოკატებს. განჩინების გასაჩივრების ვადა აითვლება უფლებამოსილი პირისთვის მისი გადაცემის მომენტიდან.

(საქართველოს 2013 წლის 14 ივნისის კანონი № 741 – ვებგვერდი, 27.06.2013).

1. განჩინება ქონებაზე ყადაღის დადების ან ყადაღის დადებაზე უარის თქმის შესახებ უნდა გადაეცეთ გასაჩივრების უფლების მქონე პირებს განჩინების გამოცემიდან 48 საათის განმავლობაში.
2. ქონებაზე ყადაღის დადების განჩინების გასაჩივრება შეუძლიათ პროკურორს, ბრალდებულს ან/და პირს, რომლის ქონებრივი უფლებებიც შეიძლება დაირღვეს ამ განჩინების შედეგად, აგრეთვე მათ ადვოკატებს ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. გასაჩივრების 48-საათიანი ვადა აითვლება უფლებამოსილი პირისთვის განჩინების გადაცემის მომენტიდან. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესით, მისი შეტანიდან არა უგვიანეს 72 საათისა. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ გამოტანილი განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
3. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მუხლში მითითებულია მხოლოდ ქონებაზე ყადაღის დადების განჩინებაზე, გასაჩივრებას ექვემდებარება ასევე განჩინება ყადაღის დადებაზე უარის თქმის შესახებ და განჩინება გადაუდებლად დადებული ყადაღის კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ.

### **მუხლი 157. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ განჩინების (დადგენილების) აღსრულების წესი**

1. მხარე სასამართლოს განჩინებას, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – პროკურორის დადგენილებას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ წარუდგენს იმ პირს, რომელთანაც არის ქონება, და მოითხოვს ამ ქონების გადმოცემას. თუ ამ მოთხოვნის შესრულებაზე უარი ითქვა ან არსებობს სარწმუნო მონაცემები, რომ მთელი ქონება არ გადმოცემულა, ტარდება ჩხრეკა ამ კოდექსით დადგენილი წესით.
2. ყადაღის დადებისას განისაზღვრება, რა საგანსა და ფასეულობას უნდა დაედოს ყადაღა განჩინებაში (დადგენილებაში) აღნიშნული თანხის ფარგლებში.
3. ქონებაზე ყადაღის დადებაში შესაძლოა მონაწილეობა მიიღოს ექსპერტმა, რომელიც განსაზღვრავს

ღვრავს ქონების ღირებულებას.

4. დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობა და იმ ქონების ღირებულება, რომელსაც ყადაღა ედება, განისაზღვრება საშუალო საბაზრო ფასებით.

5. საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადებისას იზღუდება პირის უფლება, განკარგოს თავის საბანკო ანგარიშზე არსებული ან რიცხული ფულადი სახსრები, ხოლო გარკვეული ოდენობის თანხაზე ყადაღის დადებისას იზღუდება პირის უფლება, განკარგოს თავის საბანკო ანგარიშზე არსებული ან რიცხული ფულადი სახსრები ყადაღის მოცულობის ფარგლებში. თუ საკუთრება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით არის შექმნილი ან გაზრდილი, ყადაღა შეიძლება დაედოს მთელ ქონებას ან მის მეტ ნილს. ყადაღა ედება ბრალდებულის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის, დაკავშირებული პირის ან/და რეკეტული დაჯგუფების ქონებას (მათ შორის, იურიდიული პირისა და მისი შვილობილი კომპანიების ქონებას), მიუხედავად ბრალდებულის წილისა ამ ქონებაში, თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ ეს ქონება ან მისი ნაწილი რეკეტულია.

6. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დგება ოქმი.

7. ყადაღადადებული ქონება, გარდა უძრავი და დიდგაბარიტიანი საგნებისა, ამოღებულ უნდა იქნეს.

(საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6314 – ვებგვერდი, 12.06.2012).

1. უძრავი ქონების ან ისეთი არამატერიალური ქონებრივი სიკეთის დაყადაღებისას, რომლის აღრიცხვა ხდება რეესტრში, განჩინების/დადგენილების გამოტანის შემდეგ გამოძიებელი/პროკურორი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უგზავნის ყადაღის დადების დოკუმენტს (სასამართლოს განჩინებას ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – პროკურორის დადგენილებას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ). მას შემდეგ რაც მოხდება საჯარო რეესტრში ყადაღის რეგისტრაცია, გამოძიებელი ცხადდება ქონების მესაკუთრესთან/მფლობელთან, წარუდგენს მას განჩინებას/დადგენილებას და განუმარტავს, რომ ყადაღის დადება მას (მესაკუთრეს ან მინდობილ პირს) უკრძალავს მის განკარგვას (გაყიდვას, გაცვლას, უფლებრივად დატვირთვას), ასევე სარგებლობას (თუ ამის შესახებ მითითებულია განჩინებაში/დადგენილებაში). გამოძიებელი აღნიშნულის თაობაზე ადგენს ყადაღის დადების ოქმს.
2. საბანკო ანგარიშის დაყადაღებისას, განჩინების/დადგენილების გამოტანის შემდეგ, გამოძიებელი/პროკურორი საბანკო დაწესებულებას აწვდის ყადაღის დადების დოკუმენტს (სასამართლოს განჩინებას ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – პროკურორის დადგენილებას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ) და ყადაღის დადების უშუალო შემსრულებელი პირის მონაწილეობით ადგენს ყადაღის დადების ოქმს, რომლის შემდგომ ანგარიშის მფლობელი ვერ შეძლებს ანგარიშიდან თანხის განკარგვას (მათ შორის ვერც იმ თანხას, რომელიც ანგარიშზე განთავსდა ყადაღის დადების შემდგომ). ანგარიშის მფლობელისთვის ყადაღის დადების შეტყობინებას უზრუნველყოფს თავად საბანკო დაწესებულება.
3. მოძრავი ქონების დაყადაღებისას, განჩინების/დადგენილების გამოტანის შემდეგ გამოძიებელი/პროკურორი ცხადდება დასაყადაღებელი ნივთების მდებარეობის ადგილზე, განჩინებას (გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პროკურორის დადგენილებას) წარუდგენს პირს, ვისთანაც ინახება ქონება ან ფლობს მას და ითხოვს ქონების გადაცემას. მესაკუთრეს/მფლობელს განემარტება, რომ ყადაღის დადება მას (მესაკუთრეს ან მინდობილ პირს) უკრძალავს მის განკარგვას (გაყიდვას, გაცვლას, უფლებრივად დატვირთვას), ასევე სარგებლობას (თუ ამის შესახებ მითითებულია განჩინებაში/დადგენილებაში). თუ პირს ეკრძალება დაყადაღებული ნივთების სარგებლობა, გამოძიებელი იღებს დაყადაღებულ ნივთებს და ლუქავს მათ. დიდგაბარიტიანი საგნებს ლუქავს მათი მდებარეობის ადგილას.
4. თუ არსებობს სარწმუნო მონაცემები, რომ ნივთების გადაცემა სრულად არ მომხდარა ან

- პირი უარს აცხადებს განჩინებაში/დადგენილებაში მითითებული ნივთების გადაცემაზე, გამოძიებელი ატარებს ჩხრეკას გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე და ჩხრეკის შედეგად იღებს დაყადაღებულ ნივთებს. ასეთ შემთხვევაში გამოძიებელი ადგენს ორ ოქმს: ჩხრეკისა ქონებაზე ყადაღის დადების ოქმს, ხოლო პროკურორი მიმართავს სასამართლოს გადაუდებლად ჩატარებული ჩხრეკის კანონიერების შემოწმების მოთხოვნით.
5. დასაყადაღებელი ნივთების მოუძიებლობისას გამოძიებელი ადგენს ოქმს, რომელშიც უთითებს აღნიშნულ გარემოებას და ოქმს ხელმოწერით ადასტურებინებს იმ პირს, რომელთანაც უნდა შეედგინა ქონებაზე ყადაღის დადების ოქმი.

### **მუხლი 158. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინების მოქმედების ვადა**

**ქონებას ყადაღა ედება განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტამდე.**

1. ქონებას ყადაღა ედება განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტამდე.
2. თუ სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება წყდება პროკურორის დადგენილებით, პროკურორი ყადაღის გაუქმებაზე მსჯელობს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის დადგენილებაში. თუ სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება მოსამართლის განჩინებით, მოსამართლე ყადაღის გაუქმებაზე მსჯელობს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის განჩინებაში. განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, მოსამართლე ყადაღის გაუქმების შესახებ მიუთითებს განაჩენში.
3. ყადაღა შესაძლოა გაუქმდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდეც, თუ აღარ არსებობს ყადაღის დადების საფუძველები. მხარეს უფლება აქვს განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტამდე ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ყადაღის გაუქმების მოთხოვნით.

### **მუხლი 159. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების საფუძველი**

**ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება შეიძლება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ თანამდებობაზე (სამუშაოზე) დარჩენით იგი ხელს შეუშლის გამოძიებას, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ან განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას.**

(ძალადაკარგულია ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული პირების თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენებას)

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/1/574 – ვებგვერდი, 29.05.2014.

1. თუ პირის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა (მას წაყენებული აქვს ბრალი), სსსკ-ის 159-ე მუხლის საფუძველზე იგი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ:
  - 1) ბრალდებულის მიერ თანამდებობაზე დარჩენით ხელი შეეშლება გამოძიებას;
  - 2) ბრალდებულის მიერ თანამდებობაზე დარჩენით ხელი შეეშლება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას; ან
  - 3) ბრალდებული განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას.
2. სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს არის თუ არა სახეზე ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს მისცემდა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ არსებობს ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების

- ერთი ან რამდენიმე საფუძველი.
3. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების ორი საფუძველი (გამოძიებისთვის ხელის შეშლა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე) ემთხვევა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველებს. შესაბამისად, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გამოძიებისთვის ხელის შეშლის და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე პირდაპირ კავშირშია მის თანამდებობასთან/სამუშაოსთან. თუ პირის სათანადო ქცევას უზრუნველყოფს მისთვის შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიება, დამატებით ღონისძიებად აღარ უნდა იქნეს გამოყენებული მისი თანამდებობიდან გადაყენება.
  4. თანამდებობაზე/სამუშაოზე დარჩენით გამოძიებისთვის ხელის შეშლის, დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფრთხე არსებობს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული დაკავშირებულია მის საქმიანობასთან ან/და ბრალდებულმა სწორედ მისი თანამდებობა/სამუშაო გამოიყენა დანაშაულის ჩასადენად. პირის თანამდებობაზე დარჩენა გულისხმობს მის მიერ ძალაუფლების/პოზიციების/ავტორიტეტის შენარჩუნებას სამსახურში. შესაბამისად მას ხელი მიუწვდება იმ დოკუმენტებზე, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებას. ასევე მას ურთიერთობა აქვს იმ პირებთან, რომლებმაც შეიძლება იცოდნენ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი და მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე მონმედ დაკითხულ პირებთან. შესაბამისად, არსებობს საფრთხე იმისა, რომ ბრალდებული შეეცდება მის ხელთ არსებული დოკუმენტების/მონაცემების შეცვლას ან განადგურებას, მონმეებზე ზემოქმედებას (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი მის დაქვემდებარებაში იმყოფებიან), შემოსავლების დაფარვას.
  5. შესაძლოა პირის მიერ ჩადენილი დანაშაული არ იყოს კავშირში მის თანამდებობასთან/სამუშაოსთან, მაგრამ ჩადენილი დანაშაულის ხასიათმა განაპირობოს მისი თანამდებობიდან გადაყენების აუცილებლობა. მაგ., ექიმს ბრალი წაუყენეს ნარკოტიკების მოხმარებისათვის. ასეთ შემთხვევაში არსებობს რისკი იმისა, რომ ნარკოტიკების მოხმარებელი ექიმი არასწორი მკურნალობით, დანიშნულებით, ოპერაციით დააზიანებს პირის ჯანმრთელობას ან ხელყოფს მის სიცოცხლეს.
  6. სსსკ-ის 159-ე მუხლი ვრცელდება როგორც საჯარო სამსახურში, ასევე კერძო სექტორში დასაქმებულ ნებისმიერი თანამდებობისა და ნებისმიერი სამუშაოს შემსრულებელ პირზე. გამონაკლისია არჩევითი თანამდებობაზე მყოფი პირები, რომლებზეც არ ვრცელდება აღნიშნული მუხლის მოქმედება.
  7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით (№3/1/574) საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსსკ-ის 159-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმმართველობის საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული პირების თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენებას. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ხალხის მიერ არჩეული პირების თანამდებობრივი უფლებამოსილების შეჩერება/შენწყვეტა, იმავდროულად, გულისხმობს ხალხის მანდატის შეჩერება/შენწყვეტას და წარმოადგენს თვითმმართველობის ავტონომიაში ყველაზე უხემ ჩარევას. შესაბამისად, სსსკ-ის 159-ე მუხლი იწვევდა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით გარანტირებულ უფლებაში ჩარევას, კერძოდ, ზღუდავდა არჩეული თანამდებობის პირის უფლებას, შეუფერხებლად განეხორციელებინა მისთვის ამომრჩევლების მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილებები. თუმცა მოცემულ შემთხვევაში, კონსტიტუციით დაცული სიკეთე შემოიფარგლება არა მხოლოდ არჩეული პირის კერძო ინტერესით, არამედ ასევე უკავშირდება ისეთ მნიშვნელო-

ვან საჯარო ინტერესს, როგორცაა ამომრჩეველთა ნების რეალიზება.

## მუხლი 160. სასამართლოს განჩინება ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ

1. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი წერილობითი შუამდგომლობით მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს, რომელსაც საკმარისი საფუძვლის არსებობისას გამოაქვს განჩინება ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ. (სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (23.05.2014. № 3/1/574))(24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან.)

2. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ სასამართლოს განჩინებაში უნდა აღინიშნოს თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადასაყენებელი პირის ვინაობა, მისი თანამდებობა (სამუშაო ადგილი), თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების საფუძველი, ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების მოთხოვნა, რომელიც დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელს ეგზავნება.

3. სასამართლოს განჩინება ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ სავალდებულოა შესაბამისი დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის. იგი ვალდებულია სასამართლოს განჩინება შემოსვლისთანავე, დაუყოვნებლივ აღასრულოს და ეს შეატყობინოს სასამართლოს.

1. მას შემდეგ, რაც პროკურორი მიიჩნევს რომ სახეზეა ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების საფუძვლები, იგი გამოძიების ადგილის მიხედვით შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების მოთხოვნით. პროკურორმა შუამდგომლობაში უნდა მიუთითოს ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების რომელი საფუძველია სახეზე შესაბამისი არგუმენტაციით.

2. სასამართლო პროკურორის შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენით და თუ მიიჩნევს რომ პროკურორის შუამდგომლობა დასაბუთებულია, გამოაქვს განჩინება ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით (№3/1/574) საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მესამე პუნქტებთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსსკ-ის 160-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება, რომელიც სასამართლოს ანიჭებდა უფლებას ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების საკითხი განეხილა ზეპირი მოსმენის გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული იძულებითი ღონისძიების გამოყენება/შეფარდება იწვევს პირის საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცულ უფლებაში (საქართველოს მოქალაქის უფლება დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა) ინტენსიურ ჩარევას. ყოველივე ეს კი მოითხოვს პირის აღჭურვას შესაბამისი და ადეკვატური, ეფექტური, საკმარისი სამართლებრივი შესაძლებლობებით, გავლენა მოახდინოს ასეთი გადაწყვეტილების მიღებაზე, რაც ვერ მიიღწევა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას. ამ შემთხვევაში, ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა არღვევს არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს („ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“), არამედ მე-3 პუნქტით გარანტირებულ დაცვის უფლებასაც („დაცვის უფლება გარანტირებულია“), როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების უმნიშვნელოვანეს უფლებრივ კომპონენტს. ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა უფლების დარღვევას

- ინვესს სწორედ იმის გამო, რომ პირს საერთოდ არ აქვს მტკიცებულებების წარდგენის, საკუთარი პოზიციის პირადად ან დამცველის მეშვეობით დაფიქსირების, დაცვის შესაძლებლობა.
4. თუ პროკურორი ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შუამდგომლობას სასამართლოს წარუდგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობასთან ერთად, მან უნდა შეადგინოს ორი დამოუკიდებელი შუამდგომლობა. ორივე შუამდგომლობა განიხილება პირველი წარდგენის სხდომაზე და სასამართლოს გამოაქვს ასევე ორი დამოუკიდებელი განჩინება: აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ.
  5. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ სასამართლოს განჩინებაში უნდა აღინიშნოს თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადასაყენებელი პირის ვინაობა, მისი თანამდებობა (სამუშაო ადგილი), თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების საფუძველი, ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების მოთხოვნა.
  6. სასამართლოს განჩინება ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ ეგზავნება იმ დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელს, სადაც თანამდებობა უკავია ბრალდებულს ან ასრულებს რაიმე სამუშაოს.
  7. სასამართლოს განჩინება ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ სავალდებულოა შესაბამისი დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის. იგი ვალდებულია სასამართლოს განჩინება შემოსვლისთანავე, დაუყოვნებლივ აღასრულოს და ეს შეატყობინოს სასამართლოს.

### **მუხლი 161. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების ვადა**

1. მოსამართლეს უფლება აქვს, გამოიტანოს განჩინება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ.
  2. სასამართლოს განჩინება ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების ან გადაყენებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.
1. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება ხდება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე. შესაბამისად, სასამართლოს განჩინებაში, რომლითაც დაკმაყოფილდა პროკურორის მოთხოვნა ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ, მიეთითება, რომ ბრალდებული თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენებული იქნა შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე. შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში იგულისხმება სასამართლოს განაჩენი, სასამართლოს განჩინება ან პროკურორის დადგენილება ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.
  2. სასამართლოს განჩინება ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების ან გადაყენებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს პროკურორის, ბრალდებულის ან/და მისი ადვოკატის მიერ სსსკ-ის 207-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად მისი შეტანიდან არა უგვიანეს 72 საათისა. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ გამოტანილი განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
  3. სსსკ-ის 161-ე მუხლის პირველი ნაწილი არ უკრძალავს პროკურორს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოს სასამართლოს გამოყენებული იძულების ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით. უფრო მეტიც, თუ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების

მიღებამდე აღარ არსებობს ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების საფუძველი, პროკურორი ვალდებულია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების გადანყვეტილების გაუქმების მოთხოვნით.

4. შემაჯამებელი გადანყვეტილების მიმღები პირი გადანყვეტილებაში მიუთითებს ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების გადანყვეტილების გაუქმების შესახებ. კერძოდ, მოსამართლე აღნიშნულის შესახებ მიუთითებს განაჩენში/განჩინებაში, ხოლო პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დადგენილებაში. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაში, პირს უწყდება ბრალდებულის სტატუსი, შესაბამისად იგი აღარ არის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების სუბიექტი და შეიძლება ითქვას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ავტომატურად ინვეს მის მიმართ გამოყენებული აღნიშნული იძულებითი ღონისძიების გაუქმებას. შესაბამისად, გამოყენებული თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების გაუქმების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვა არ არის საჭირო.

#### **მუხლი 162. ზოგიერთი პირის თანამდებობიდან გადაყენება (თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისაგან ჩამოცილება)**

1. საქართველოს პარლამენტის წევრის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების დეპუტატების, საქართველოს სახალხო დამცველის, მოსამართლის, გენერალური აუდიტორის თანამდებობიდან გადაყენების (თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისაგან ჩამოცილების) საკითხი წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირთა თანამდებობიდან გადაყენების (თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისაგან ჩამოცილების) მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვს საქართველოს მთავარ პროკურორს.  
(საქართველოს 2012 წლის 22 ივნისის კანონი №6550 – ვებგვერდი, 29.06.2012.).

1. საქართველოს პარლამენტის წევრის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების დეპუტატების, საქართველოს სახალხო დამცველის, მოსამართლის, გენერალური აუდიტორის თანამდებობიდან გადაყენების (თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისაგან ჩამოცილების) საკითხი წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. მათი თანამდებობიდან გადაყენების საკითხი რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით. კონსტიტუციის 64-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის ჩადენისათვის იმპიჩმენტის წესით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორისა და გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. აღნიშნულ პირთა თანამდებობიდან გადაყენების (თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისაგან ჩამოცილების) მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვს საქართველოს მთავარ პროკურორს, თუ დადასტურდა მათ ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, რომლის შემდგომ პარლამენტი უფლებამოსილია სრული შემადგენლობის უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენოს ისინი.

#### **მუხლი 163. ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების საფუძველი**

საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედება შეი-



ძლება შეჩერდეს, თუ პირი, რომელზედაც გაცემულია საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი, ბრალდებულია (მსჯავრდებულია) ამ კოდექსით დადგენილი წესით და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ აღნიშნული პასპორტის/დოკუმენტის გამოყენებით იგი შეძლებს საქართველოდან გასვლას ან საზღვარგარეთ გადაადგილებას. (საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონი №4995 – ვებგვერდი, 15.07.2011.).

1. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქის პასპორტი არის საქართველოს მოქალაქის პირადობის და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი გაიცემა საქართველოს მოქალაქეებზე მათი საქართველოდან გასვლის, საზღვარგარეთ გადაადგილების და საქართველოში შემოსვლის მიზნით.
2. ამავე კანონის თანახმად, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი გაიცემა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე. ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი ადასტურებს პირის ვინაობას როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ლეგიტიმურ მაცხოვრებლებს აძლევს საზღვარგარეთ გამგზავრების საშუალებას საქართველოს მოქალაქეობის აღიარების გარეშე.
3. საქართველოს კანონმდებლობა არ უშვებს უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ აღნიშნული იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას, ვინაიდან სსსკ-ის 163-ე მუხლში მითითებულია მხოლოდ საქართველოს მოქალაქის პასპორტის და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერებაზე.
4. საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედება შეიძლება შეუჩერდეს ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სტატუსის მქონე პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ აღნიშნული პასპორტის/დოკუმენტის გამოყენებით იგი შეეცდება საქართველოდან გასვლას ან საზღვარგარეთ გადაადგილებას (თუ იგი უკვე საზღვარგარეთ იმყოფება).
5. დასაბუთებული ვარაუდის საფუძველი შესაძლოა შექმნას სხვადასხვა გარემოებამ. მაგალითად, ბრალდებულმა ან მსჯავრდებულმა მიმართა რომელიმე საელჩოს ვიზის აღების მოთხოვნით; მას მჭირდო კავშირი აქვს სხვა ქვეყანასთან (იქ ჰყავს ოჯახის წევრები, მეგობრები), რაც ზრდის მისი საზღვარგარეთ გამგზავრების რისკს; მან დანაშაულის ჩადენის შემდგომ მიმართა შესაბამის ორგანოს (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს) მასზე ან/და მისი ოჯახის წევრებზე საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის მოთხოვნით; იგი ცდილობს მისი უძრავი ქონების გასხვისებას, რაც აღრმავებს ეჭვს მისი ქვეყნიდან წასვლის სურვილის შესახებ. საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების საფუძველი შეიძლება გახდეს ასევე ნებისმიერი სხვა გარემოება, რომელიც მიუთითებს ბრალდებულის საზღვარგარეთ გამგზავრების სურვილზე, მომზადებასა თუ დაგეგმვაზე.
6. საქართველოში მყოფი ბრალდებულის/მსჯავრდებულის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების მიზანია განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფა, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმალვის თავიდან აცილება ან/და გამოძიების მწარმოებელ ქვეყანაში ბრალდებულის ყოფნის უზრუნველყოფა, რათა არ შეფერხდეს ან/და დროში არ გაჭიანურდეს გამოძიება. მაგ.: გამოძიება მიმდინარეობს ბრალდებულის

- მიერ დოკუმენტის გაყალბების ფაქტზე. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდგომ, ბრალდებული გაემგზავრა საქართველოდან. მისი საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში საჭირო გახდა მისგან ხელნერის ნიმუშის აღება, რაც ვერ განხორციელდა მისი საქართველოში არყოფნის გამო. აღნიშნულმა შეაფერხა სხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებაც. შესაბამისად, თუ არსებობს ვარაუდი, რომ ბრალდებული აპირებს საქართველოდან თუნდაც დროებით გამგზავრებას, რითიც ხელი შეეშლება გამოძიების დროულად დასრულებას, ეს შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების საფუძველი.
7. რაც შეეხება საქართველოში არმყოფი პირის საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერებას, მისი მიზანია ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაადგილების შეზღუდვა. მაგ., იმ ქვეყანასთან, სადაც მსჯავრდებული იმყოფება, მიმდინარეობს მოლაპარაკება მის ექსტრადირებასთან დაკავშირებით. იმ მიზნით, რომ მოლაპარაკების დასრულებამდე იგი არ გადაადგილდეს სხვა ქვეყანაში და საჭირო არ გახდეს მოლაპარაკების სხვა ქვეყანასთან წარმოება, მიზანშეწონილია შეჩერებულ იქნეს მისი პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედება.

**მუხლი 164. გადანყვეტილება ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების შესახებ**

1. ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების შესახებ გადანყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი წერილობითი შუამდგომლობით მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს, რომელსაც საკმარისი საფუძვლის არსებობისას გამოაქვს განჩინება ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ. სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

2. საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების შესახებ სასამართლოს განჩინებაში უნდა აღინიშნოს: განჩინების შედეგის თარიღი და ადგილი; რომელი თანამდებობის პირი ან ორგანოა უფლებამოსილი, აღასრულოს განჩინება; პასპორტის/დოკუმენტის მფლობელის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი; პასპორტის/დოკუმენტის ნომერი, პასპორტის/დოკუმენტის გამცემი ორგანო და პასპორტის/დოკუმენტის გაცემის თარიღი.

3. საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერება გულისხმობს ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოდან გასვლის ან საზღვარგარეთ გადაადგილების უფლების შეზღუდვას. საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი, რომლის მოქმედებაც შეჩერდა, არ შეიძლება გამოყენებულ (მიღებულ) იქნეს, როგორც საქართველოდან გასვლისათვის ან საზღვარგარეთ გადაადგილებისათვის საკმარისი (საჭირო) დოკუმენტი.

საქართველოს 2010 წლის 24 სექტემბრის კანონი №3616 – სსმ I, №50, 24.09.2010., მუხ.328

საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონი №4995 – ვებგვერდი, 15.07.2011.

1. აღნიშნული მუხლი ცოტა ბუნდოვანია, ვინაიდან იგი შეეხება მხოლოდ ძებნილი ბრალდებულისთვის (მსჯავრდებულისთვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების პროცედურებს, მაშინ, როცა სსსკ-ის 163-ე მუხლი შესაძლებლად მიიჩნევს არაძებნილი ბრალდებულისთვის (მსჯავრდებულისთვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერებას. შესაბამისად, სსსკ-ის 164-ე მუხლით დადგენილი პროცედურები

- შეეხება არა მხოლოდ ძებნილ ბრალდებულს, არამედ ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სტატუსის მქონე ყველა პირს.
2. მას შემდეგ, რაც პროკურორი მიიჩნევს, რომ სახეზეა ბრალდებულის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების საფუძველი, იგი გამოძიების ადგილის მიხედვით შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, რომელშიც ასაბუთებს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების აუცილებლობას. შუამდგომლობას უნდა დაერთოს პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის საიდენტიფიკაციო მონაცემების (პასპორტის/დოკუმენტის ნომერი, პასპორტის/დოკუმენტის გამცემი ორგანო და პასპორტის/დოკუმენტის გაცემის თარიღი) ამსახველი დოკუმენტაცია და ასევე მასალები, რომელიც ადასტურებს პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების აუცილებლობას.
  3. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ პროკურორის შუამდგომლობა დასაბუთებული და სრულყოფილია, მას გამოაქვს განჩინება ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ. სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.
  4. პროკურორი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს მხოლოდ ბრალდებულის სტატუსის მქონე პირის საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების შესახებ. რაც შეეხება აღნიშნულ მუხლებში მსჯავრდებულის მითითებას, ეს განპირობებულია საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების ვადით – მისი შეჩერება ხდება განაჩენის აღსრულებამდე. ანუ, პირის მსჯავრდების შემდგომაც გრძელდება ბრალდებულის სტატუსის მქონე პირისთვის პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე პასპორტის/დოკუმენტის მოქმედების შეჩერების ვადა. ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა რამდენიმე გარემოება:
    - 1) პროკურორმა სასამართლოს პასპორტის/დოკუმენტის მოქმედების შეჩერების შუამდგომლობით უნდა მიმართოს გამოძიების ადგილის მიხედვით. გამოძიების ადგილი აქტუალურია მხოლოდ განაჩენის გამოტანამდე;
    - 2) არასაპატიმრო სასჯელით მსჯავრდებული პირის საზღვარგარეთ გამგზავრების საკითხს სხვაგვარად არეგულირებს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“;
    - 3) თუ პირს მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის ბუნებიდან გამომდინარე მას პასპორტის მოქმედების შეჩერების გარეშეც შეზღუდული აქვს გადაადგილების თავისუფლება.
  5. საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების შესახებ სასამართლოს განჩინებაში უნდა აღინიშნოს: განჩინების შედგენის თარიღი და ადგილი; თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა აღასრულოს განჩინება; პასპორტის/დოკუმენტის მფლობელი ბრალდებულის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი; პასპორტის/დოკუმენტის ნომერი, პასპორტის/დოკუმენტის გამცემი ორგანო და პასპორტის/დოკუმენტის გაცემის თარიღი.
  6. სასამართლოს განჩინება პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების ან მის შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს პროკურორის, ბრალდებულის ან/და მისი ადვოკატის მიერ სსსკ-ის 207-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად მისი შეტანიდან არა უგვიანეს 72 საათისა. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ გამოტანილი განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
  7. თუ სასამართლო გამოიტანს განჩინებას, საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების შესახებ, ბრალდებულს/მსჯავრ-

დებულს ეზღუდება საქართველოდან გასვლა ან საზღვარგარეთ გადაადგილება. შესაბამისად, თუ შეჩერებულია საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედება, მისი მფლობელი ვერ დატოვებს საქართველოს ტერიტორიას ან ვერ გადაადგილდება საზღვარგარეთ (ერთი ქვეყნიდან მეორეში).

8. საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების შესახებ უნდა ეცნობოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (ორგანოს, რომელიც გასცემს საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტს), რომელიც „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აკეთებს შესაბამის აღნიშვნას სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. აღნიშნულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში პირის გადამონმება ხდება საზღვრის გადაკვეთის მცდელობის დროს. თუ შეჩერებულია საზღვარგარეთ მყოფი ბრალდებულის/მსჯავრდებულის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედება, აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოს.

### **მუხლი 165. ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების ვადა**

1. ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედება შეჩერდება განაჩენის აღსრულებამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე.
  2. პროკურორი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე, ნებისმიერ დროს გამოიტანოს დადგენილება საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების გაუქმების შესახებ.
  3. საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების გაუქმების შესახებ დადგენილება პროკურორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.
  4. პირს, რომლის საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედებაც შეჩერდა, უფლება აქვს, აცნობოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს აღნიშნული პასპორტის/დოკუმენტის მოქმედების შეჩერების გაუქმების შესახებ.
1. ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედება ჩერდება განაჩენის აღსრულებამდე პირის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაში ამგვარი გადაწყვეტილების მიღებამდე.
  2. განაჩენი აღსრულებულად ითვლება მას შემდეგ, რაც მსჯავრდებული მოიხდის მისთვის დანიშნულ სასჯელს.
  3. სსსკ-ის 165-ე მუხლის პირველი ნაწილი არ უკრძალავს პროკურორს ნებისმიერ დროს (განაჩენის აღსრულებამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე) მიიღოს გადაწყვეტილება გამოყენებული იძულების ღონისძიების გაუქმების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიების გამოყენებაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, მისი გაუქმების უფლებამოსილებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ანიჭებს პროკურორს. კერძოდ, პროკურორი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გამოიტანოს დადგენილება საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების გაუქმების შესახებ.
  4. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაში, გადაწყვეტილებაში უნდა იქნეს მითითებული ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის

- ლაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების გად-  
ანყვეტილების გაუქმების შესახებ. კერძოდ, მოსამართლე აღნიშნულის შესახებ მიუთითებს  
განჩინებაში, ხოლო პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დადგენილ-  
ებაში.
5. საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების  
შეჩერების გაუქმების შესახებ პროკურორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სახელმწიფო  
სერვისების განვითარების სააგენტოს, რომელიც აუქმებს აკრძალვას სააგენტოს ელექ-  
ტრონულ მონაცემთა ბაზაში. შესაბამისად, პირს შეუძლია დაუბრკოლებლად დატოვოს  
საქართველოს ტერიტორია ან/და გადაადგილდეს ერთი ქვეყნიდან მეორეში.
  6. პირს, რომლის საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენ-  
ტის მოქმედებაც შეჩერდა, უფლება აქვს აცნობოს სახელმწიფო სერვისების განვითარების  
სააგენტოს აღნიშნული პასპორტის/დოკუმენტის მოქმედების შეჩერების გაუქმების შესახ-  
ებ. მაგალითად, თუ პირს განაჩენით სასჯელის სახედ დაკისრებული ჰქონდა ჯარიმა, რო-  
მელიც მსჯავრდებულმა გადაიხადა, ამ უკანასკნელმა სერვისების განვითარების სააგენ-  
ტოს უნდა წარუდგინოს განაჩენის დამონმებული ასლი და ჯარიმის გადახდის დამადას-  
ტურებელი დოკუმენტი, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფო სერვისების განვითარების  
სააგენტო გააუქმებს აკრძალვას სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.
  7. საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების  
შეჩერება განსხვავდება სსსკ-ის 199-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებული პასპორტის  
ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულებისაგან. ეს  
უკანასკნელი გამოიყენება ალკვეთ ღონისძიებასთან ერთად და მისი გაუქმება ხდება განა-  
ჩენის გამოტანისთანავე, მაშინ, როცა პასპორტის/დოკუმენტის მოქმედება შეიძლება შეჩ-  
ერდეს განაჩენის აღსრულებამდე. ასევე, სსსკ-ის 199-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითე-  
ბული ღონისძიების გამოიყენება, მისი ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მხოლოდ  
საქართველოში მყოფ პირზე (პირმა უნდა ჩააბაროს პასპორტი ან პირადობის დამადას-  
ტურებელი სხვა დოკუმენტი), მაშინ, როცა პასპორტის/დოკუმენტის მოქმედება შეიძლება  
შეუჩერდეს ძებნილ პირს ან/და სხვა ქვეყანაში მყოფ ბრალდებულს/მსჯავრდებულს. შეს-  
აბამისად, რომელი მათგანი უნდა იქნეს გამოყენებული ბრალდებულის მიმართ, ეს უნდა  
გადაწყდეს ბრალდებულის პიროვნების, მისი ადგილსამყოფელის, განაჩენის გამოტანის  
შემდგომ მიმალვის საფრთხისა და კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის სხვა გარე-  
მოებების მხედველობაში მიღებით.

## კარი V

### სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, აღკვეთის ღონისძიების შერჩევა, საპროცესო შეთანხმება

#### თავი XVIII

#### სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძვლები, დაკავება, ბრალდებულად ცნობა

#### მუხლი 166. სისხლისსამართლებრივი დევნა

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებითაა.

1. 2009 წლის 09 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა (მოქმედი რედაქცია) პროკურორს შესძინა დევნის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება. შესაბამისად, მხოლოდ პროკურორს შეუძლია, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობისას, გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ და სათანადო მტკიცებულებების არარსებობისას, შეწყვიტოს პირის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა.
2. 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებამოსილებას გამომძიებელსაც („ბრალდებულად ითვლება პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება მისი ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ“, სსსკ-ის 75-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) ანიჭებდა. კერძოდ, პირის მიმართ ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანა შეეძლო როგორც პროკურორს, ისე გამომძიებელს პროკურორის თანხმობით („პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი ვალდებულია დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ საამისოდ არსებობს საკმარისი საფუძველი“, სსსკ-ის 22-ე მუხლი, 1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია).
3. შეიძლება ითქვას, რომ 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი უშვებდა ერთი და იმავე სუბიექტის მიერ გამოძიების წარმოების და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესაძლებლობას. მართალია, პროკურორის თანხმობის გარეშე გამომძიებელს დევნის განხორციელება დამოუკიდებლად არ შეეძლო, მაგრამ კანონი თეორიულად დევნის განხორციელებისას არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების ალბათობას ქმნიდა.
4. ამასთან, დევნის დაწყებისა და შეწყვეტის საკითხი პროკურორის დისკრეციულ<sup>415</sup> უფლებამოსილებას განეკუთვნება, ანუ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლება-

<sup>415</sup> იურიდიული ლექსიკონი დისკრეციულ უფლებამოსილებას განმარტავს, როგორც მოსამართლის ან საჯარო მოხელის უფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს სხვადასხვა საკითხი კანონის ფარგლებში <http://legal-dictionary.thefreedictionary.com/discretion> [01.10.2015], ხოლო პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას, როგორც პროკურორის უფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს პირის მიმართ დევნის დაწყების, საპროცესო შეთანხმების გაფორმების და სხვა საკითხები <http://www.yourdictionary.com/prosecutorial-discretion> [01.10.2015].

- მოსილებით. 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება პროკურორის ვალდებულება („პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი ვალდებულია დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ საამისოდ არსებობს საკმარისი საფუძველი“, სსსკ-ის 22-ე მუხლი, 1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) იყო, დევნის დისკრეციული უფლებამოსილების ცნებას ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობდა. შესაბამისად, დანაშაულის ჩადენის შესახებ მტკიცებულებათა სათანადო სტანდარტის არსებობის შემთხვევაში, პროკურორს ეკისრებოდა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დანყების ვალდებულება.
5. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, პროკურორს უფლება აქვს საჯარო ინტერესის არარსებობის მოტივით, უარი თქვას სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებაზე ან შეწყვიტოს დანყებული დევნა. ამ დროს არსებობს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს ქმნის, მაგრამ პროკურორი, საჯარო ინტერესის არარსებობის გამო, მიზანშეწონილად მიიჩნევს სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებაზე უარის თქმას ან დანყებული დევნის შეწყვეტას.
  6. სსსკ-ის ის მუხლები, რომლებიც პროკურორს დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს, გადანყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმების ჩამონათვალს არ განსაზღვრავს. კერძოდ, სსსკ-ის მე-16 მუხლის მიხედვით, „სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებისა და შეწყვეტის შესახებ გადანყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით“. სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა აგრეთვე არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს“. ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის – განრიდების გამოყენებისგან განსხვავებით, სსსკ-ი არც დანაშაულის კატეგორიების მიხედვით აწესებს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებაზე შეზღუდვას. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენოს როგორც ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის, ისე მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ.
  7. ერთი შეხედვით, ამგვარი ფართო დისკრეცია თეორიულად უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას ქმნის, რაც იურიდიულ ლიტერატურაში შერჩევითი დევნის (Selective Prosecution) სახელით მოიხსენიება. ამგვარი მოსაზრების ავტორები მიიჩნევენ, რომ შესაძლოა, სათანადო კანონისმიერი კონტროლის არარსებობის პირობებში, პროკურორმა გადანყვეტილება სუბიექტურ ფაქტორებზე დაყრდნობით მიიღოს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად, აშშ-ს) კანონმდებლობა შერჩევითი დევნის განხორციელების მტკიცების ტვირთს ბრალდებულს აკისრებს<sup>416</sup>. იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ში არსებობს დევნის განხორციელების სამართლიანობის პრეზუმფცია, ბრალდებული ვალდებულია ამტკიცოს, რომ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დანყება სუბიექტური მოტივებით (ასაკი, რასა, სქესი და ა.შ.) იყო განპირობებული<sup>417</sup>, ვინაიდან მსგავს გარემოებებში თანაბარი სიმძიმის დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.
  8. აღსანიშნავია, რომ პროკურორისთვის საქართველოს სსსკ-ით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება არ არის შეუზღუდავი. კანონი პროკურორის უფლებამოსილებას ერთგვარ ჩარჩოებში აქცევს, რითაც მისი ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად მყარ გარანტიებს ქმნის.

<sup>416</sup> Weaver R.L., Abramson L.W., Burkoff J.M., Hancock C., Principles of Criminal Procedure, 292.

<sup>417</sup> Weaver R.L., Abramson L.W., Burkoff J.M., Hancock C., Principles of Criminal Procedure, 293.

9. ერთის მხრივ, ასეთ გარანტიად გვევლინება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ და თავად მოქმედი სსსკ-ი, რომლის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით მიღებული იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებულ სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებთან უნდა იყოს შესაბამისობაში.
10. გარდა ამისა, მოქმედი სსსკ-ი ითვალისწინებს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომ პროკურორთან, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას, რაც დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ერთგვარ გარანტს წარმოადგენს.
11. როგორც ზემოთ აღინიშნა, დისკრეციული უფლებამოსილების არსი საჯარო ინტერესის არარსებობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმაში ან მის შეწყვეტაში გამოიხატება, თუმცა, საჯარო ინტერესის შეფასების კრიტერიუმების განხილვამდე, დისკრეციული უფლებამოსილების არსის სწორად გასაგებად, მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, მტკიცებულებათა იმ სტანდარტის და იმ საპროცესო საფუძვლების მიმოხილვა, რომელთა არსებობის გარეშეც დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება ან შეწყვეტა შეუძლებელი იქნებოდა. კერძოდ, პროკურორი მხოლოდ მაშინ არის უფლებამოსილი გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება, თუ:
  - ა) სახეზეა დანაშაულებრივი ქმედება;
  - ბ) დადგენილია დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირი;
  - გ) შეკრებილია მტკიცებულებები, რაც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია კონკრეტული პირის მიერ.
12. დასაბუთებული ვარაუდი არის ის მტკიცებულებითი სტანდარტი, რომლის დაკმაყოფილება აუცილებელია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-არდაწყების და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.
13. ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პროკურორი უნდა დარწმუნდეს არა მხოლოდ დანაშაულის ფაქტის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის არსებობაში, არამედ ამ დანაშაულის კონკრეტული პირის მიერ ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის არსებობაში. გარდა იმისა, რომ კონკრეტული პირის დადგენის აუცილებლობაზე მიუთითებს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი, რომელიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის განმარტებას იძლევა, კონკრეტული პირის დადგენა აუცილებელია იმისთვის, რომ პროკურორმა ობიექტურად შეაფასოს საჯარო ინტერესის არსებობა-არარსებობის საკითხი.
14. მას შემდეგ, რაც პროკურორი მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე დარწმუნდება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობაში, მან უნდა შეაფასოს არსებობს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან გაგრძელების საჯარო ინტერესი, რომლის შეფასების კრიტერიუმებს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“.
15. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, გარდა იმისა, რომ პროკურორმა შინაგანი რწმენით და კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებით უნდა იხელმძღვანელოს, მხედველობაში უნდა მიიღოს სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები, დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები და სხვა ფაქტორები (იუსტიციის მინისტრის ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“, ნაწილი 3, ქვეპუნქტი „ბ“, 08.10.2010). ამასთან, სისხლისსამართლებრივი



- დევნა უნდა დაიწყოს მაშინ, როცა პიროვნების დასჯის ინტერესი გადაწონის დევნის განხორციელებაზე უარის თქმის საჯარო ინტერესს.
16. დისკრეციული უფლებამოსილების გამოსაყენებლად მტკიცებულებათა სტანდარტის (Probable Cause) დაკმაყოფილებასა და საჯარო ინტერესის შეფასების აუცილებლობაზე მიუთითებს აშშ-ს ზოგიერთი შტატის კანონმდებლობაც. ამასთან, საჯარო ინტერესის შეფასების კრიტერიუმებად საქმის სიძლიერეს, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციულ გავლენას, სახელმწიფოს სამართლებრივ პრიორიტეტებს და სისხლის სამართლის პოლიტიკასთან კონკრეტული საქმის გარემოებების შესაბამისობას<sup>418</sup> განსაზღვრავს.
17. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანება საჯარო ინტერესის განსაზღვრის კრიტერიუმების ამომწურავ ჩამონათვალს არ იძლევა, გადაწყვეტილება ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებების და თავისებურებების გათვალისწინებით უნდა იქნეს მიღებული. თუმცა ბრძანებაში მითითებული გარემოებები კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნის.

### მუხლი 167. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და სასამართლო განხილვის არდანყება და შეჩერება

1. სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ).
2. სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და სასამართლო განხილვა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეჩერდეს:
  - ა) თუ საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თანხმობა არ მისცეს საქართველოს სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, გენერალური აუდიტორის, მოსამართლის იმ ვადით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი;
  - ბ) თუ დაისვა უცხოელისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის საკითხი – საკითხის დასმის დღიდან მის ოფიციალურად გადაწყვეტამდე;
  - გ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> ან/და 143<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებული პირის მიმართ – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში;
  - დ) თუ კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე სასამართლომ მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს – მიმართვის დღიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.
3. ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობის შემთხვევაში გამოძიებისას პროკურორი, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას – სასამართლო მხარის შუამდგომლობით იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და სასამართლო განხილვის შეჩერების შესახებ.
4. თუ ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული შეჩერების საფუძველი აღარ არსებობს, სასამართლო განხილვა/სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს/განახლდეს.
5. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის, საქართველოს სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლის, გენერალური აუდიტორის, საქართველოს სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იმ წარმომადგენლის, რომელიც თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების შესაბამისად სარგებლობს იმუნიტეტით, სისხლის სამართლის პასუხ-

<sup>418</sup> Weaver R.L., Abramson L.W., Burkoff J.M., Hancock C., Principles of Criminal Procedure, 291.

ისგებაში მიცემის, დაპატიმრებისა და მათ მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებულ წესს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კოდექსი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები.

1. სსსკ-ის აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი დევნის დანყების სახეებს და ამომწურავად ჩამოთვლის სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის არდანყებისა და შეჩერების საფუძვლებს.
2. სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე, ანუ მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან ან, თუ ის არ დაუკავებიათ ბრალდებულად ცნობისთანავე ანუ პროკურორის მიერ ბრალდების დადგენილების გამოტანისთანავე.
3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იცნობს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და სასამართლო განხილვის არდანყებისა და შეჩერების ოთხ საფუძველს. სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და სასამართლო განხილვა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეჩერდეს:
  - ა) თუ საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თანხმობა არ მისცეს საქართველოს სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, გენერალური აუდიტორის, მოსამართლის იმ ვადით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი
4. სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და სასამართლო განხილვა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეჩერდეს, სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, გენერალური აუდიტორის მოსამართლის მიმართ იმ ვადით, რა ვადაშიც მათ იცავს იმუნიტეტი.
5. ზემოაღნიშნული თანამდებობის პირები სარგებლობენ იმუნიტეტით მათი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში და მათთვის იმუნიტეტის მოხსნის საკითხი რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით.
6. სახალხო დამცველს ხუთი წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი და აღნიშნული ვადის განმავლობაში იგი სარგებლობს იმუნიტეტით (სახალხო დამცველი – საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი).
7. გენერალურ აუდიტორს ხუთი წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი და აღნიშნული ვადის განმავლობაში იგი სარგებლობს იმუნიტეტით (გენერალურ აუდიტორი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც ზედამხედველობს საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას).
8. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს სამი წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი და აღნიშნული ვადის განმავლობაში იგი სარგებლობს იმუნიტეტით (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი – თანამდებობის პირი, რომელიც აკონტროლებს პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებას („პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი)).
9. სახალხო დამცველის, გენერალური აუდიტორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის მათი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში იმუნიტეტის მოხსნის საკითხს განიხილავს იგივე ორგანო – პარლამენტი, რომელსაც მინიჭებული აქვს მათი არჩევის უფლება.
10. საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლი ადგენს საერთო სასამართლოების მოსამართლეების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და დაკავების წესებს. კერძოდ, დაუშვებელია მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. რაც შეეხება,

- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს სხვა წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, დაკავებას, ეს შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
11. საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი მოსამართლეებისთვის ადგენს განსხვავებულ წესს. კერძოდ, დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
  12. პარლამენტი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი არიან (და არა ვალდებული) დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში თანამდებობიდან გადააყენონ ან/და გასცენ თანხმობა შესაბამისი პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ. თუ პარლამენტი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საკონსტიტუციო სასამართლო არ გასცემს თანხმობას პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის/სასამართლო განხილვის დაწყებაზე, იგი არ უნდა დაიწყოს, ხოლო თუ დაწყებულია, უნდა შეჩერდეს მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.
  13. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იმ წარმომადგენლის, რომელიც თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების შესაბამისად სარგებლობს იმუნიტეტით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრებისა და მათ მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებულ წესს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კოდექსი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები.
- ბ) თუ დაისვა უცხოელისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის საკითხი – საკითხის დასმის დღიდან მის ოფიციალურად გადაწყვეტამდე**
14. დაუშვებელია საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების თანამშრომლების, საკონსულო დაწესებულებათა თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების, აგრეთვე იმ პირების დაკავება ან/და სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა, რომლებიც, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, სათანადო იმუნიტეტებით სარგებლობენ. ისინი სარგებლობენ სისხლისსამართლებრივი იურისდიქციისგან აბსოლუტური იმუნიტეტით.
  15. თუ დადგება იმუნიტეტით აღჭურვილი პირის დაკავების ან მისი სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხი, ეს უნდა გადაწყდეს დიპლომატიური გზით. საქართველოს იურისდიქციას ასეთი პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაექვემდებაროს, თუ ამის შესახებ არსებობს იმ სახელმწიფოს აშკარად გამოთქმული თანხმობა, რომელსაც იგი წარმოადგენს.
- გ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> ან/და 143<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებული პირის მიმართ – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში**
16. 2006 წლის 28 აპრილის „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს უფლება აქვს ისარგებლოს მოსაფიქრებელი ვადით – არანაკლებ 30 დღისა, რათა მიიღოს გადაწყვეტილება, სურს თუ არა, ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან შესაბამის დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესის განხორციელებაში.

მოსაფიქრებელი ვადა აითვლება პირის მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებისათვის (თავშესაფრისათვის), სამართალდამცავი ორგანოსათვის ან შესაბამისი დაწესებულებისათვის მიმართვის დღიდან.

17. აღნიშნული საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის, სასამართლო განხილვის არდანყება ან შეჩერება უნდა მოხდეს მხოლოდ ისეთ ბრალდებებზე, რომლებიც დაკავშირებულია პირის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნასთან. თუ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი იმხილება ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომელსაც არა აქვს კავშირი მის მსხვერპლად ყოფნასთან, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განხორციელდეს და სასამართლო სხდომები უნდა წარიმართოს ჩვეულებრივი წესით. მაგ., თუ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე მისი მსხვერპლობის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით ან იგი იმხილება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით (დოკუმენტის გაყალბება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს მსხვერპლობიდან თავის დაღწევასთან, სისხლისსამართლებრივი დევნა/სასამართლო განხილვა არ უნდა დაიწყოს ან შეჩერდეს, ხოლო თუ აღნიშნულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული (მაგ., ყაჩაღობა) მსხვერპლობიდან თავის დაღწევის შემდეგ და ამ დანაშაულს კავშირი არა აქვს მის მსხვერპლობასთან, აღნიშნული საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის/სასამართლო განხილვის არდანყება ან შეჩერება დაუშვებელია.

**დ) თუ კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე სასამართლომ მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს – მიმართვის დღიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადანიშნული მთელი დღის მიღებამდე**

18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს კანონების შინაარსის შესაბამისობის საკითხები.
19. საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, საქართველოს სახალხო დამცველს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი. ამასთან, თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი აჩერებს საქმის განხილვას და წარდგინებით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ამგვარი წარდგინებით მიმართვა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველს. სისხლის სამართლის საქმის განხილვა უნდა განახლდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.
20. ვინაიდან აღნიშნული საფუძველი დაკავშირებულია სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვასთან, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქმის სასამართლო განხილვის არდანყების ან შეჩერების საფუძველად.
21. თუ ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე გარემოება გამოვლინდა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებამდე, პროკურორმა არ უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა მიზეზის აღმოფხვრამდე, ხოლო, თუ რომელიმე გარემოება გამოვლინდა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დანყების შემდგომ, პროკურორმა უნდა გამოიტანოს დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების შესახებ.
22. სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების შემთხვევაში, პროკურორმა შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების შესახებ

- ე. აღნიშნული ვადის გაგრძელების შუამდგომლობა უნდა იქნეს დასაბუთებული სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებით.
23. თუ სისხლის სამართლის საქმეში რამდენიმე ბრალდებულია და სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველი ეხება მხოლოდ მათ ნაწილს, პროკურორმა უნდა გადანყვიტოს სისხლის სამართლის საქმიდან იმ ბრალდებულის მიმართ საქმის გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხი, რომელზეც სისხლისსამართლებრივი დევნა არ იქნა შეჩერებული.
24. თუ ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული საფუძველი აღარ არსებობს, პროკურორმა უნდა დაინყოს სისხლისსამართლებრივი დევნა (გამოიტანოს დადგენილება ბრალდების შესახებ), ხოლო შეჩერების შემთხვევაში უნდა განახლოს იგი (გამოიტანოს დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ). ის დრო, რომლის განმავლობაშიც შეჩერებული იყო სისხლისსამართლებრივი დევნა, არ ითვლება პირის ბრალდებულად ყოფნის ვადაში. მაგალითად, თუ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2015 წლის 2 მარტს, შეჩერდა 2 აპრილს, ხოლო განახლდა 2 ივნისს, 2 აპრილიდან 2 ივნისამდე პერიოდი (2 თვე) არ ითვლება ბრალდებულად ყოფნის 9-თვიან ვადაში.
25. თუ ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე გარემოება გამოვლინდა სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში წარმართვის შემდგომ, მოსამართლემ მხარის შუამდგომლობით არ უნდა დაინყოს სისხლის სამართლის საქმის განხილვა მიზეზის აღმოფხვრამდე, ხოლო თუ სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაწყებულია, მოსამართლემ ასევე მხარის შუამდგომლობით უნდა გამოიტანოს განჩინება სასამართლო განხილვის შეჩერების შესახებ. თუ ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული საფუძველი აღარ არსებობს, მოსამართლემ უნდა დაინყოს საქმის განხილვა, ხოლო შეჩერების შემთხვევაში უნდა განახლოს იგი, ანუ გააგრძელოს მისი განხილვა იმავე ეტაპიდან, რა ეტაპზეც იქნა შეჩერებული.

## მუხლი 168. დისკრეციული დევნა

1. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარს პროკურორი აფორმებს შესაბამისი დადგენილებით. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გამოტანამდე პროკურორი ვალდებულია კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან და შეადგინოს ოქმი ამ კოდექსის 56-ე მუხლის 5<sup>1</sup> ნაწილით დადგენილი წესით, ხოლო დადგენილების გამოტანის შემთხვევაში გაუგზავნოს მისი ასლი დაზარალებულს დადგენილების გამოტანიდან 1 კვირის ვადაში.
2. დაზარალებულს უფლება აქვს, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადანყვიტება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადანყვიტება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვიტება არ საჩივრდება.
3. თუ ზემდგომმა პროკურორმა ან სასამართლომ გააუქმა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილება და არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს. ამ შემთხვევაში საქართველოს მთავარი პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და სხვა საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას სხვა პროკურორს აკისრებს.
4. ამ მუხლში მითითებული გადანყვიტებების შესახებ ეცნობება დაზარალებულს.
1. თუ პროკურორი მიიღებს გადანყვიტებებს არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევ-

- ნა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით, მან უნდა გამოიტანოს დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნულ დადგენილებაში პროკურორმა უნდა დაასაბუთოს რა გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება და რატომ ჩათვალა მიზანშეუწონლად კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყება.
2. პროკურორი ვალდებულია დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყების შესახებ დადგენილების გამოტანამდე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია. კერძოდ, პროკურორი პირადად უნდა შეხვედეს დაზარალებულს, გააცნოს მისი პირველადი გადაწყვეტილება და განუმარტოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მიზეზები. დაზარალებულს უნდა განემარტოს ასევე, რომ მისი საწინააღმდეგო ან/და განსხვავებული პოზიცია არ დააბრკოლებს პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებას, თუმცა შესაძლოა მისმა მოსაზრებამ გავლენა მოახდინოს პროკურორის გადაწყვეტილებაზე.
  3. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა დაზარალებულთან პირადი შეხვედრა ვერ ხერხდება დაზარალებულის საზღვარგარეთ ყოფნის, საგამოძიებო ორგანოდან მისი ტერიტორიულად დაშორებულ ადგილზე ცხოვრების ან სხვა ისეთი მიზეზის გამო, რაც ართულებს ან შეუძლებელს ხდის პროკურორთან მის პირად შეხვედრას. ამგვარ გამონაკლის შემთხვევებში, პროკურორმა შესაძლებელია დაზარალებულთან კონსულტაცია გაიაროს კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებების (ტელეფონით, სკაიპით და ა.შ.) გამოყენებით.
  4. დაზარალებულთან კონსულტაციის გავლისას, პროკურორმა უნდა შეადგინოს ოქმი, რომელშიც უნდა იქნეს ასახული კონსულტაციის პროცესი და დაზარალებულის პოზიცია. ოქმს ხელს აწერენ დაზარალებული, პროკურორი და სხვა პირები, თუ ისინი ესწრებიან კონსულტაციის პროცესს (თარჯიმანი, გარეშე პირი, კანონიერი წარმომადგენელი). დაზარალებულს უფლება აქვს შენიშვნა გააკეთოს ოქმზე, თუ არ ეთანხმება მასში მითითებულ დებულებებს ან/და სურს რაიმეს დამატება. თუ დაზარალებული უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.
  5. მას შემდეგ, რაც პროკურორი გამოიტანს დადგენილებას სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებაზე უარის თქმის შესახებ, აღნიშნულის თაობაზე ეცნობებათ დაზარალებულს, ბრალდებულს, ბრალდებულის ადვოკატს და მათ ერთი კვირის ვადაში ეგზავნებათ დადგენილების ასლები.
  6. დაზარალებულს უფლება აქვს სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყების შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაიწყო განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ.
  7. განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყების შემთხვევაში, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, თუმცა პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრება უნდა მოხდეს ჯერ ზემდგომ პროკურორთან, ხოლო ზემდგომი პროკურორის მიერ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ – სასამართლოში. შესაბამისად, დაზარალებულს უფლება არა აქვს პროკურორის გადაწყვეტილება, ზემდგომი პროკურორისთვის მიმართვის გარეშე, პირდაპირ გაასაჩივროს სასამართლოში.
  8. ვინაიდან სსსკ-ის 168-ე მუხლი არ ადგენს საჩივრის შეტანისა და ზემდგომი პროკურორის მიერ მისი განხილვის განსხვავებულ ვადას, საჩივრის შეტანა უნდა მოხდეს სსსკ-ის 95-ე მუხლით დადგენილ 10 დღის ვადაში, მას შემდეგ, რაც მომჩივნისთვის ცნობილი გახდება გასასაჩივრებელი გადაწყვეტილების შესახებ, ხოლო ზემდგომმა პროკურორმა საჩივარი უნდა გადაწყვიტოს საჩივრის მისთვის გადაცემიდან სსსკ-ის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილით

- დადგენილ 3 დღის ვადაში.
9. რაც შეეხება, სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვას, სსსკ-ის 106-ე და 168-ე მუხლები სასამართლოსთვის ადგენს საჩივრის განხილვის სპეციალურ ვადას – 15 დღეს. კერძოდ, სასამართლო საჩივარს განიხილავს ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.
  10. აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ ზემდგომი პროკურორი ან სასამართლო გააუქმებს სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილებას და არ იქნება გასული სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს.
  11. ამ შემთხვევაში საქართველოს მთავარი პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებისა და სხვა საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას სხვა პროკურორს აკისრებს.
  12. დაზარალებულს უნდა ეცნობოს ზემდგომი პროკურორის ან სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილების გაუქმების თაობაზე.

### მუხლი 168<sup>1</sup>. განრიდება

1. პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ პირი (განრიდების სუბიექტი) შეასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთს ან რამდენიმეს:
  - ა) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება;
  - ბ) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა;
  - გ) მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება;
  - დ) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი;
  - ე) საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე;
  - ვ) ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა. (17.10.2014 № 2706 ამოქმედდეს 2015 წლის 1 სექტემბრიდან)
2. განრიდება არ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე, 143<sup>2</sup>-ე, 143<sup>3</sup>-ე, 144-ე, 144<sup>1</sup>-ე, 144<sup>2</sup>-ე და 144<sup>3</sup>-ე მუხლებით, აგრეთვე სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით განსაზღვრულ დანაშაულთა საქმეებზე.
3. თუ პირი (განრიდების სუბიექტი) არ შეასრულებს განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება აქვს, დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.
  1. განრიდება წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის/სასჯელის ალტერნატიულ მექანიზმს, რომელიც გულისხმობს დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ ისეთი ღონისძიებების გამოყენებას, რომელთა შესრულების შემთხვევაში პროკურორი არ იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას ან თუ დევნა დაწყებულია, იღებს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილებას. პირის მიმართ განრიდების გამოყენება გამორიცხავს სასამართლობას, ვინაიდან სასამართლო არ მსჯელობს პირის ბრალეულობაზე და შესაბამისად, განაჩენის გამოტანა არ ხდება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ.
  2. განრიდება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის მსვლელობის ნები-

- სმიერ ეტაპზე: სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ, ასევე საქმის სასამართლოში წარმართვის შემდგომაც.
3. განრიდების გამოყენება, რომელიც წარმოადგენს პროკურორის უფლებამოსილებას (და არა ვალდებულებას), შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ. გამონაკლისია, სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე (ადამიანი ვაჭრობა (ტრეფიკინგი)), 143<sup>2</sup>-ე (არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)), 143<sup>3</sup>-ე (ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა), 144-ე (მძევლად ხელში ჩაგდება), 144<sup>1</sup>-ე (წამება), 144<sup>2</sup>-ე (წამების მუქარა) და 144<sup>3</sup>-ე (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლები, რომლებზეც დაუშვებელია განრიდების გამოყენება. ასევე, განრიდების გამოყენებას კრძალავს სსკ-ი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანებაში („სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები“) მითითებულ დანაშაულებზე: კორუფციულ, ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებულ ორგანიზებულ დანაშაულზე; ფულის გათეთრებაზე; იარაღის ან საშიში ძალადობით ჩადენილი დანაშაულებზე; ისეთ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილ იქნა საზოგადოების სამსახურში მყოფი პირის (მაგ., ნაფიცი მსაჯულის ან ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის, გადაუდებელი დახმარების მუშაკის, პოლიციის თანამშრომლის, სოციალური სამსახურის მუშაკის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში მომუშავე პირის და სხვა) მიმართ; სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ დანაშაულზე; დისკრიმინაციული მოტივით (რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა შესაბამისი გარემოების საფუძველზე) ჩადენილ დანაშაულზე. თუ ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე დანაშაული წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს, ზოგადი წესის თანახმად განრიდება დაუშვებელია, მაგრამ თუ რომელიმე მათგანი (ან მუხლის რომელიმე ნაწილი) წარმოადგენს ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დანაშაულს, მისი ჩამდენი პირის განრიდებას ასევე კრძალავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
  4. განრიდებისას სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება ან დაწყებული დევნის შეწყვეტა ხდება იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის ჩამდენი პირი (განრიდების სუბიექტი) შეასრულებს პროკურორის მიერ მისთვის განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე პირობას. განრიდების სუბიექტის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი პირობები: უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება, დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა, მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება, ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.
  5. უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება შეიძლება განრიდების პირობად გამოყენებულ იქნეს ისეთ დანაშაულებზე, რომლის ჩადენის შედეგად განრიდების სუბიექტმა უკანონო სარგებელი მიიღო. მაგალითად, თუ სსკ-ის 193-ე მუხლით (ცრუ მენარმეობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გზით პირმა უკანონოდ მოიპოვა ქონება, განრიდების პირობად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ცრუ მენარმეობის შედეგად მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან თუ მიღებული ქონება აღარ არსებობს, აღნიშნული ქონების ეკვივალენტი ქონების (ქონების ღირებულების) სახელმწიფოსთვის გადაცემა. თუ დანაშაულის შედეგად უკანონოდ მოპოვებული ქონება წარმოადგენს სხვა პირის საკუთრებას, აღნიშნული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა, როგორც განრიდების პირობა, ვერ იქნება გამოყენებული, ვინაიდან



- ქონება უნდა დაუბრუნდეს მის მესაკუთრეს (დაზარალებულს)).
6. დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა შეიძლება განრიდების პირობად გამოყენებულ იქნეს ისეთ დანაშაულებზე, რომლის ჩადენის იარაღი ან საგანი შეიძლება დაექვემდებაროს ჩამორთმევას. მაგალიტად, თუ ნარკოტიკული საშუალების გადასაზიდად (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლი) გამოყენებულ იქნა ავტომანქანა, განრიდების პირობად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ავტომანქანის, როგორც დანაშაულის იარაღის, ჩამორთმევა. თუ დანაშაულის საგანია ბრუნვიდან ამოღებული ობიექტი (ისეთი ობიექტი, რომლის გასხვისება, ყიდვა ან სხვაგვარი განკარგვა კანონით აკრძალულია), მაგალიტად, ნარკოტიკული საშუალება, მისი სახელმწიფოსთვის გადაცემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც განრიდების პირობა).
  7. დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება შეიძლება განრიდების პირობად გამოყენებულ იქნეს ისეთ დანაშაულებზე, რომლის ჩადენით მატერიალური, ფიზიკური ან მორალური ზიანი მიადგა პირს. მატერიალური ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს სხვაგვარი ფორმით: ფულადი ანაზღაურების, დაზიანებული ნივთის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის, დანაშაულებრივი გზით დაუფლებული ნივთის უკან დაბრუნების ან მისი ეკვივალენტი ქონების გადაცემის, დაზარალებულის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების განხორციელების გზით (მაგ., განრიდების სუბიექტმა დაზარალებულს შეუკეთოს დანაშაულის შედეგად დაზიანებული ნივთი). ფიზიკური ზიანის შემთხვევაში განრიდების სუბიექტს შეიძლება დაეკისროს მკურნალობის, დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება. მორალური ზიანის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების ფორმის განსაზღვრისას გადამწყვეტია დაზარალებულის პოზიცია. განრიდების სუბიექტმა შეიძლება მოახდინოს მორალური ზიანის ფულადი კომპენსაცია ან სხვაგვარი ფორმით ანაზღაუროს ზიანი (მაგ., ბოდიში მოუხადოს დაზარალებულს).
  8. სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, როგორც განრიდების პირობა, თავისი არსით ძალიან ჰგავს სასჯელის სახეს – ჯარიმას, თუმცა ჯარიმისგან განსხვავებით, განრიდების პირობად სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდის გამოყენება არ იწვევს ნასამართლობას. სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი ფულადი თანხის ოდენობა განისაზღვრება დანაშაულის სიმძიმის და განრიდების სუბიექტის მატერიალური მდგომარეობის მხედველობაში მიღებით. საპროცესო კოდექსი იმპერატიულად ადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი ფულადი თანხის მინიმალურ ოდენობას (500 ლარი), მაქსიმალური ოდენობა არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ოდენობით.
  9. საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება, როგორც განრიდების პირობა, თავისი არსით ძალიან ჰგავს სასჯელის სახეს – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, თუმცა სასჯელისგან განსხვავებით, განრიდების პირობად საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს გამოყენება არ იწვევს ნასამართლობას. ისევე როგორც სასჯელის შემთხვევაში, საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლოდ შესასრულებელი სამუშაოს სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო. პროკურორი განსაზღვრავს მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლოდ შესასრულებელი უსასყიდლო სამუშაოს ვადას (საათებს), რომლის მინიმალური ოდენობა არის 40, ხოლო მაქსიმალური 400 საათი. შესაბამისად, განრიდებისას აღნიშნული პირობის გამოყენების შემთხვევაში, პროკურორის გადაწყვეტილება აღსასრულებლად უნდა გადაეგზავნოს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს. საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლოდ შესასრულებელი სამუშაოს სახის განსაზღვრისას პრობაციის ბიურო მხედველობაში იღებს განრიდების სუბიექტის შესაძლებლობებს, მის ასაკს, ცხოვრების რიტმს, ჯანმრთელობის მდგომარეობას. მაგ., თუ განრიდების სუბიექტი არის სტუდენტი, მისთვის დაკისრებულმა პირობამ არ უნდა გამოიწვიოს მისი სასწავლო პროცესიდან მოწყვეტა. საზოგადოებისათვის სასარგე-

- ბლო უსასყიდლო სამუშაოს პირობის შესრულება როგორც წესი ხდება საჯარო დაწესებულებებში (მერიაში; გამგეობაში; კომპანიაში, რომელიც წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს). სამუშაო შეიძლება იყოს: დასუფთავების სამსახურში დამხმარის ფუნქციის შესრულება, მოხუცთა თავშესაფარში საკვების მომზადებაში დახმარება და ა.შ.
- 10.** ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა, როგორც განრიდების პირობა, შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ოჯახური დანაშაულის (ოჯახური დანაშაული – ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ჩადენილი სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 125-ე, 126-ე, 137-ე–141-ე, 143-ე, 144-ე–144<sup>3</sup>-ე, 149-ე–151-ე, 160-ე, 171-ე, 253-ე, 255-ე, 255<sup>1</sup>-ე, 381<sup>1</sup>-ე და 381<sup>2</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული) ჩამდენი პირის მიმართ. ოჯახურ დანაშაულთა ნაწილზე განრიდება ვერ იქნება გამოყენებული დანაშაულის განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის (მაგ., სსკ-ის 108-ე, 109-ე მუხლები) ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული სპეციალური დათქმის (მაგ., სსკ-ის 144-144<sup>3</sup>-ე მუხლები) გამო. რაც შეეხება ოჯახური დანაშაულის სხვა მუხლებს, მათი ჩამდენი პირის განრიდების შემთხვევაში, პროკურორი უფლებამოსილია განრიდების სუბიექტს მოვალეობად დააკისროს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა. „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების უზრუნველყოფა – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლის ორგანიზება – წარმოადგენს პრობაციის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას. ამგვარი კურსების ორგანიზება შესაძლებელია ასევე განახორციელოს სათანადო გამოცდილების (კომპეტენციის) მქონე სოციალურმა დაწესებულებამ, არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა ან შესაბამისი განათლების მქონე პირმა პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების (მემორანდუმის) საფუძველზე. შესაბამისად, განრიდებისას აღნიშნული პირობის გამოყენების შემთხვევაში, პროკურორის გადაწყვეტილება აღსასრულებლად უნდა გადაეგზავნოს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს.
- 11.** განრიდების პირობად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ზემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთ-ერთი ან რამდენიმე ერთდროულად. თუ განრიდების სუბიექტი შეასრულებს განრიდების პირობას (პირობებს), პროკურორი არ იწყებს სისხლისსამართლებრივი დევნას ან, თუ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ განრიდების სუბიექტი არ შეასრულებს განრიდების პირობას (პირობებს), პროკურორი არ არის ვალდებული დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ. თუ განრიდების სუბიექტი არ ასრულებს განრიდების პირობებს, მის მიმართ დევნის დაწყების ან არდაწყების მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტისას, პროკურორმა მხედველობაში უნდა მიიღოს განრიდების სუბიექტის დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი დანაშაულისა და პირობების შესრულების მიმართ, პირობის შეუსრულებლობის მიზეზი, უკვე შესრულებული პირობის ნაწილი (მაგ., თუ განრიდების პირობად გამოყენებულია საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს შესრულება 70 საათის ოდენობით და განრიდების სუბიექტმა შეასრულა 60 საათი, დევნის დაწყება არ არის რეკომენდებული). თუ განრიდების სუბიექტი პატივსადაც მიზეზის (ჯანმრთელობის მდგომარეობის, ოჯახური პირობების და ა.შ.) გამო ვერ ახერხებს განრიდების პირობების შესრულებას, პროკურორი უფლებამოსილია შეწყვიტოს განრიდების პროცესი და არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან შეცვალოს განრიდების პირობები. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება რეკომენდებულია, თუ განრიდების სუბიექტი ჯიუტად არიდებს თავს განრიდების პირობების შესრულებას და გულგრილად ეკიდება მის მიმართ კანონით დადგენილი შეღავათის გამოყენების ფაქტს.

12. თუ პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების პროცესის შეწყვეტის თაობაზე, მან უნდა გამოიტანოს დადგენილება განრიდების პროცესის შეწყვეტის შესახებ და შემდგომ დადგენილება პირის ბრალდების შესახებ (თუ სისხლისსამართლებრივი დევნა არ იყო დანყებული) ან დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ (თუ სისხლისსამართლებრივი დევნა იყო დანყებული).

## მუხლი 168<sup>2</sup>. განრიდების გამოყენების წესი

1. პირისათვის (განრიდების სუბიექტისათვის) განრიდების შეთავაზება ხორციელდება წერილობითი ფორმით. მასში მოცემულია განრიდების პირობები, მათი შესრულების დრო, ადგილი და საშუალება.
2. პირს (განრიდების სუბიექტს) წერილობით განემარტება, რომ განრიდების პირობების შესრულება ნებაყოფლობითია და ის სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით.
3. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
4. განრიდება, როგორც წესი, გამოიყენება წინასასამართლო სხდომის გამართვამდე. განრიდება შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს წინასასამართლო სხდომის შემდეგ, თუ მხარეები განრიდების გამოყენების მიზნით სასამართლოს მიმართავენ შუამდგომლობით საქმის პროკურორისათვის დაბრუნების თაობაზე. ამ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც ბრალდებულს შესთავაზებს განრიდებას.
5. განრიდება არ გამოიყენება იმ ბრალდებულის მიმართ, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა.
6. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი ხელმძღვანელობს ამ კოდექსითა და სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით.

1. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი ხელმძღვანელობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანებით.
2. განრიდება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის მსვლელობის ნებისმიერ ეტაპზე: სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის დანყების შემდეგ, მათ შორის საქმის სასამართლოში წარმართვის შემდგომაც განაჩენის გამოტანამდე. განრიდება არ გამოიყენება იმ ბრალდებულის მიმართ, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა.
3. თუ განრიდების გამოყენების საკითხი დღის წესრიგში დადგება საქმის სასამართლოში გადაგზავნის შემდგომ, მხარეები ერთობლივი შუამდგომლობით (ანუ ორივე მხარე უნდა იყოს თანახმა) მიმართავენ სასამართლოს განრიდების მიზნით საქმის პროკურორისთვის დაბრუნების თაობაზე. სასამართლო უფლებამოსილია, და არა ვალდებული, სისხლის სამართლის საქმე დაუბრუნოს პროკურორს. შესაბამისად, მხარეების მიერ შუამდგომლობის დაყენების შემდგომ, სასამართლო ამონებს რამდენად აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საქმე განრიდების კრიტერიუმებს (მაგ.: ხომ არ არის სახეზე განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული) და იღებს გადაწყვეტილებას საქმის პროკურორისთვის დაბრუნების ან საქმის პროკურორისთვის დაბრუნებაზე უარის თქმის შესახებ. მოსამართლის გადაწყვეტილება საბოლოოა, ვინაიდან აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმს არ იცნობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
4. სასამართლოს მიერ საქმის პროკურორისთვის დაბრუნების შემთხვევაში, პროკურორი ბრალდებულს სთავაზობს განრიდებას. თუ საქმის დაბრუნების შემდგომ მხარეები ვერ შეთანხმდნენ განრიდების პირობებზე ან განრიდების სუბიექტმა არ შეასრულა მისთვის

- დაკისრებული მოვალეობები და პროკურორმა მიიღო გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ, პროკურორი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით წინასასამართლო სხდომის ვადის ხელახლა განსაზღვრის შესახებ. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმე ხელახლა გაივლის წინასასამართლო სხდომის ეტაპს და საქმის განხილვა მოხდება ჩვეულებრივი წესით.
5. პირს (განრიდების სუბიექტის) განრიდებას სთავაზობს პროკურორი წერილობითი ფორმით. ბრალდებულს/მის ადვოკატს უფლება აქვთ განცხადებით მიმართონ პროკურორს განრიდების გამოყენების თხოვნით. პროკურორმა განრიდების სუბიექტს უნდა განუმარტოს მისი უფლებები (იგი სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით) და ასევე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ განრიდება არის ნებაყოფლობითი.
  6. პროკურორი ვალდებულია განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან. კერძოდ, პროკურორი პირადად უნდა შეხვედეს დაზარალებულს, გააცნოს მისი პირველადი გადაწყვეტილება და განუმარტოს განრიდების გამოყენების მიზეზები. დაზარალებულს უნდა განემარტოს ასევე, რომ მისი საწინააღმდეგო ან/და განსხვავებული პოზიცია არ დააბრკოლებს პროკურორის მიერ განრიდების გამოყენებას, თუმცა შესაძლოა მისმა მოსაზრებამ გავლენა მოახდინოს პროკურორის გადაწყვეტილებაზე.
  7. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა დაზარალებულთან პირადი შეხვედრა ვერ ხერხდება დაზარალებულის საზღვარგარეთ ყოფნის, საგამოძიებო ორგანოდან მისი ტერიტორიულად დაშორებულ ადგილზე ცხოვრების ან სხვა ისეთი მიზეზის გამო, რაც ართულებს ან შეუძლებელს ხდის პროკურორთან მის პირად შეხვედრას. ამგვარ გამონაკლის შემთხვევებში, პროკურორმა შესაძლებელია დაზარალებულთან კონსულტაცია გაიაროს კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებების (ტელეფონით, სკაიპით და ა.შ.) გამოყენებით.
  8. დაზარალებულთან კონსულტაციის გავლისას პროკურორმა უნდა შეადგინოს ოქმი, რომელშიც უნდა იქნეს ასახული კონსულტაციის პროცესი და დაზარალებულის პოზიცია. ოქმს ხელს აწერენ დაზარალებული, პროკურორი და სხვა პირები, თუ ისინი ესწრებიან კონსულტაციის პროცესს (თარჯიმანი, გარეშე პირი, კანონიერი წარმომადგენელი). დაზარალებულს უფლება აქვს შენიშვნა გააკეთოს ოქმზე, თუ არ ეთანხმება მასში მითითებულ დებულებებს ან/და სურს რაიმეს დამატება. თუ დაზარალებული უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.
  9. დაზარალებულთა კონსულტაციის შემდგომ, თუ მხარეები შეთანხმდებიან განრიდების პირობებზე, პროკურორი ადგენს განრიდების შეთავაზების ოქმს, რომელშიც მოცემული უნდა იყოს განრიდების სუბიექტის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღწერა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის (კვალიფიკაციის) მითითებით, განრიდების პირობები, პირობების შესრულების დრო, ადგილი და საშუალება.

## მუხლი 169. პირის ბრალდებულად ცნობა

1. პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა. (ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 22.01.2015 №1/1/548)
2. ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. დადგენილების გამოტანის შემდეგ პროკურორი განსაზღვრავს ბრალის წაყენების დროსა და ადგილს. ბრალი წაყენებულ უნდა იქნეს

დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 24 საათისა.

3. ბრალდების შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს:

ა) ბრალდებულის სახელი და გვარი, მამის სახელი, დაბადების რიცხვი, თვე და წელი, პირადი ნომერი;

ბ) ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;

გ) გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა;

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლებითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული.

4. ბრალდების შესახებ დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილებას პირის ბრალდების თაობაზე.

5. პროკურორი ან მისი დავალებით გამოძიებული ბრალდების შესახებ დადგენილებას გააცნობს ბრალდებულსა და მის ადვოკატს (თუ ბრალდებულის ინტერესებს ადვოკატი იცავს), რომლებიც ხელმოწერით ადასტურებენ დადგენილების გაცნობისა და მისი ასლის მიღების ფაქტს. დადგენილების ასლი ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხით გადაეცემა ბრალდებულს ან/და მის ადვოკატს. თუ ბრალდებული ან მისი ადვოკატი უარს ამბობს დადგენილების გაცნობისა და მისი ასლის მიღების ფაქტის ხელმოწერით დადასტურებაზე, დადგენილებაზე აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.

6. თუ ბრალდებული თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, მას ან მის ახლო ნათესავს ეძლევა გონივრული ვადა ადვოკატის ასაყვანად. თუ იგი ამ ვადაში არ აიყვანს ადვოკატს, ბრალდებულს ადვოკატი დაენიშნება სავალდებულო წესით. პროკურორი ან მისი დავალებით გამოძიებული ბრალის წასაყენებლად იძახებს ბრალდებულის ადვოკატს და გააცნობს ბრალდების შესახებ დადგენილებას, რაც ჩაითვლება ბრალის წაყენებად. ბრალდებულის ადვოკატი წერილობით ადასტურებს ბრალდების გაცნობის ფაქტს. (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან.)

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის თანხმობა. საქართველოს სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, გენერალური აუდიტორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობა. საქართველოს სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობა. (1.08.2014 № 2634)

8. დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე პირი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არა უმეტეს 9 თვისა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო არ წაუყენებიათ ახალი ბრალი. ასეთი ბრალის წაყენებისას აღნიშნული ვადის დინება წყდება და ვადა აითვლება ახალი ბრალის წაყენების დღიდან. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე წყდება სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ. თუ პირის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაუშვებელია მომავალში მისთვის იმავე ბრალის წაყენება. (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან.)

9. პირს უფლება აქვს, ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში, ამ კოდექსით დადგენილი წესით შეიტანოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე საჩივარი ზემდგომ პროკურორთან ან გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი შესვლიდან 3 დღე-ღამის ვადაში. სასამართლო უფლებამოსილია საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. საჩივრის დაკმაყოფილება არის ამ პირის მიმართ აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი, რომელიც მოპოვებულ იქნა გამოძიების დროს, მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის

**დაწყების საკმარისი საფუძველი. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს განჩინება შეიძლება ამ კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული წესით გასაჩივრდეს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.**

1. სსსკ-ის თანახმად, პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა. აღნიშნული ჩანაწერი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის, ერთი მხრივ, საკმარისად მიიჩნევა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობას (რომელიც შესაძლოა შექმნას არა მხოლოდ მტკიცებულებათა, არამედ ფაქტების ერთობლიობამაც), ხოლო, მეორე მხრივ, დევნის დაწყების დროისთვის მოითხოვს მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობას. სსსკ-ის მე-3 მუხლში დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი განმარტებულია როგორც ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. ანუ, მტკიცებულებათა სხვა სტანდარტებისგან (ალბათობის მაღალი ხარისხი, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი) განსხვავებით, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი შესაძლოა შექმნას არა მხოლოდ მტკიცებულებათა ერთობლიობამ, არამედ ფაქტების ერთობლიობამაც (მაგ., ერთი მონმის ჩვენებაში მითითებულმა რამდენიმე ფაქტმა შესაძლოა შექმნას ფაქტების ისეთი ერთობლიობა, რომლებიც ობიექტურ პირს მიიყვანს ვარაუდამდე, რომ დანაშაული შესაძლოა კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა). ვინაიდან სსსკ-ის 169-ე მუხლი სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტთან ერთად მოითხოვს მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობას, ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად, დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ (დღეის მდგომარეობით დადგენილება პირის ბრალდების შესახებ) უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს („მტკიცებულებები“ – მრავლობითშია), სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროისთვის სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ ფაქტების, არამედ მტკიცებულებათა ერთობლიობა. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისას მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობის აუცილებლობაზე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც 2015 წლის 22 იანვარს მიღებულ გადაწყვეტილებაში<sup>419</sup>.
2. არ არსებობს კონკრეტული ფორმულა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფაქტები ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს ან/და რა ტიპის მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს სახეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისას. მტკიცებულებათა სტანდარტის შეფასების საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გააკეთა განმარტებები 2015 წლის 22 იანვარს მიღებულ გადაწყვეტილებაში<sup>420</sup>. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს და მტკიცებულებების შეფასებისას შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი (დევნის დაწყების შემთხვევაში – პროკურორი) უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, მიუკერძოებლად და შინაგანი რწმენის საფუძველზე. პირის სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა განხორციელდეს მცდარი, გაყალბებული, არასაკმარისად სანდო ან მეტწილად საეჭვო მტკიცებულებების საფუძველზე. უნდა მოხდეს მტკიცებულებების რელევანტურობის, მნიშვნელობისა და უაზრობის შეფასება. საკონსტიტუციო სასამართლო ამავე გადაწყვეტილებაში ირიბი ჩვენების მტკიცებულებით მნიშვნელობასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ირიბი ჩვენების გამოყენება შეიცავს მცდარი აღქმის საფრთხეს, ვინაიდან იგი ეფუძნება სხვა პირის მიერ გაკეთებულ

<sup>419</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 22/01/2015 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1/1/548.

<sup>420</sup> იხ., იქვე.



- ნაესი სასამართლოს წევრის, საერთო სასამართლოს მოსამართლის ბრალდებისთვის პროკურორმა ბრალდების დადგენილების გამოტანამდე შესაბამისი ორგანოსგან/პირისგან უნდა მიიღოს თანხმობა. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის თანხმობა. საქართველოს სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, გენერალური აუდიტორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობა. საქართველოს სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობა.
7. ბრალდების დადგენილების გამოტანის შემდეგ პროკურორი განსაზღვრავს ბრალის წაყენების (ბრალდებულისთვის ბრალდების დადგენილების გაცნობის) დროსა და ადგილს. ბრალი წაყენებულ უნდა იქნეს დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 24 საათისა.
  8. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბრალის წაყენების უფლებამოსილებას ანიჭებს პროკურორს, რომელსაც შეუძლია ამ ფუნქციის შესრულება დაავალოს გამომძიებელს. როგორც წესი, გამომძიებლისთვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭების შესახებ პროკურორი აღნიშნავს ბრალდების დადგენილებაში. ბრალდების დადგენილების გაცნობისას ბრალდებულს პროკურორის ან პროკურორის დავალებით გამომძიებლის მიერ განემარტება მისი უფლებები და მოვალეობები. ასევე, ბრალდებულს და მის ადვოკატს (თუ ბრალდებულის ინტერესებს იცავს ადვოკატი) გადაეცემათ ბრალდების დადგენილებისა და ბრალდებულის უფლება-მოვალეობების წერილობითი ნუსხა. ბრალდების შესახებ დადგენილების გაცნობას და ასლების მიღებას ბრალდებული და ადვოკატი (თუ ბრალდებულის ინტერესებს იცავს ადვოკატი) ადასტურებენ ბრალდების დადგენილებაზე ხელმოწერით. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ბრალდებული/ადვოკატი სხვადასხვა (მაგ., დანაშაულის არ აღიარების, გამომძიებლის/პროკურორისადმი უნდობლობის და სხვა) მიზეზით უარს ამბობს დადგენილების გაცნობასა და მისი ასლის მიღებაზე ან მათი მიღების ხელმოწერით დადასტურებაზე. ასეთ შემთხვევაში, დადგენილების გამცნობი გამომძიებელი/პროკურორი ბრალდებულის მიერ განმარტებულ ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზს წერილობით აღნიშნავს ბრალდების დადგენილებაზე.
  9. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიმალვაში მყოფი ბრალდებულისთვის ადგენს ბრალის წაყენების განსხვავებულ წესს. კერძოდ, თუ ბრალდებული მიმალვაშია (არ ცხადდება საგამომძიებო ორგანოში) პროკურორის მიერ ბრალდების დადგენილების გამოტანის შემდეგ, ბრალდების მხარის მიერ უნდა იქნეს მოძიებული ბრალდებულის რომელიმე ახლო ნათესავი (მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული)), რომელსაც უნდა განესაზღვროს გონივრული ვადა ადვოკატის ასაყვანად. ახლო ნათესავისთვის ადვოკატის ასაყვანად გონივრული ვადის განსაზღვრის თაობაზე, გამომძიებელმა/პროკურორმა უნდა შეადგინოს ოქმი, რომელშიც უნდა აღინიშნოს უფლების განმარტების დრო (საათის მითითებით) და ადვოკატის აყვანისთვის განსაზღვრული ვადა. ოქმი ხელმოწერით უნდა დაადასტუროს ბრალდებულის ახლო ნათესავმა. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ოქმის შედგენის ვალდებულების შესახებ არ არის მითითებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან მტკიცებულებას ვადის გონივრულობის თაობაზე დავის არსებობის შემთხვევაში. თუ ბრალდებულის ახლო ნათესავი მისთვის განსაზღვრულ გონივრულ ვადაში არ აიყვანს ადვოკატს, ბრალდებულს ადვოკატი დაენიშნება სავალდებულო წესით. ბრალდების დადგენილების გაცნობა ხდება ახლო ნათესავის მიერ აყვანილი ან სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატისთვის, რაც ითვლება ბრალის წაყენებად.
  10. ახლო ნათესავისთვის ადვოკატის აყვანის გონივრული ვადის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, ერთი მხრივ, ბრალდების დადგენილების გაცნობის 24-საათიანი ვადა და, მეორე მხრივ, ახლო ნათესავისთვის ადვოკატის აყვანისთვის რეალური შესა-



- ძლებლობა. ვინაიდან, ბრალდების დადგენილების გაცნობა უნდა მოხდეს დადგენილების გამოტანიდან 24 საათში, „გონივრული ვადა“ ვერ იქნება 24 საათზე მეტი. ამასთან, ახლო ნათესავის მიერ მისთვის განსაზღვრულ გონივრულ ვადაში ადვოკატის აუყვანლობის შემთხვევაში, ბრალდების მხარეს უნდა რჩებოდეს ადვოკატის სავალდებულო წესით დანიშვნისა ან/და ადვოკატისთვის ბრალდების დადგენილების გაცნობის დრო. მაგალითად, თუ პროკურორმა პირის ბრალდების დადგენილება გამოიტანა 2 მარტს, 12:00 საათზე, იგი დაცვის მხარეს უნდა გააცნონ 3 მარტს, 12:00 საათამდე. შესაბამისად, ახლო ნათესავისთვის მიცემული გონივრული ვადა არ უნდა სრულდებოდეს 3 მარტს 12:00 საათზე ან ისეთ დროს, რომლის შემდგომ ბრალდების მხარე ვერ მოასწრებს ადვოკატის სავალდებულო წესით დანიშვნას ან/და ადვოკატის გამოძახებას და დადგენილების გაცნობას. გარდა ზემოაღნიშნულისა, ვადის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისიც, რამდენად შესაძლებელია განსაზღვრულ ვადაში ადვოკატის აყვანა, ადვოკატის მოძიება, მასთან დაკავშირება და მოლაპარაკება.
11. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდგომ მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება სხვა დანაშაულის ჩადენა და დღის წესრიგში დგება კვალიფიკაციის შეცვლის საკითხი. მაგალითად, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 177-ე მუხლით (ქურდობა), თუმცა დევნის დაწყების შემდგომ დაკითხული მონშეების ჩვენებებით გაირკვა, რომ სახეზე იყო არა ქურდობა, არამედ 178-ე მუხლით (ძარცვა) გათვალისწინებული დანაშაული. ასეთ შემთხვევაში, პროკურორმა უნდა გამოიტანოს ახალი დადგენილება პირის სსკ-ის 178-ე მუხლით ბრალდების შესახებ, რომელიც ავტომატურად აუქმებს სსკ-ის 177-ე მუხლის ბრალდებით გამოტანილ დადგენილებას.
  12. პრაქტიკაში არის ასევე შემთხვევები, როცა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდგომ მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება მეორე დანაშაულის ჩადენა და დღის წესრიგში დგება მეორე დანაშაულზეც დევნის დაწყების საკითხი. მაგალითად, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სსკ-ის 177-ე მუხლით (ქურდობა) და დევნის დაწყების შემდგომ გაირკვა, რომ ამავე პირს ჩადენილი აქვს ასევე სსკ-ის 178-ე მუხლით (ძარცვა) გათვალისწინებული დანაშაული. ასეთ შემთხვევაში, პროკურორმა უნდა გამოიტანოს ახალი დადგენილება, რომელიც უნდა შეიცავდეს როგორც უკვე წარდგენილი ბრალდების (ქურდობის), ასევე მეორე დანაშაულის (ძარცვის) ფორმულირებას.
  13. დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე პირი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არა უმეტეს 9 თვისა. პირის ბრალდებულად ყოფნის 9-თვიანი ვადის ათვლა იწყება პროკურორის მიერ დადგენილების გამოტანის დღიდან, ხოლო თუ ბრალდების დადგენილების გამოტანას წინ უძღვოდა პირის დაკავება – დაკავების დღიდან. მაგ., თუ პროკურორმა ბრალდების დადგენილება გამოიტანა 5 თებერვალს, წინასასამართლო სხდომა ჩატარებული უნდა იქნეს არა უგვიანეს 5 ნოემბრამდე, ხოლო თუ დადგენილების გამოტანამდე – 4 თებერვალს – ეს პირი იყო დაკავებული, 9 თვიანი ვადის ათვლა დაიწყება 4 თებერვალს და შესაბამისად, წინასასამართლო სხდომა ჩატარებული უნდა იქნეს არა უგვიანეს 4 ნოემბრამდე. ამასთან, თუ პირი დაკავებიდან გათავისუფლდა და პროკურორმა რამდენიმე დღის შემდეგ გამოიტანა ბრალდების დადგენილება, მისი დაკავების დრო ჩაითვლება ბრალდებულად ყოფნის 9-თვიან ვადაში. 9-თვიან ვადაში არ ითვლება ის პერიოდი, რა ვადაშიც პირის მიმართ შეჩერებული იყო სისხლისსამართლებრივი დევნა.
  14. თუ ბრალდებულად ყოფნის 9-თვიანი ვადის გასვლამდე, პირს ბრალი წარედგინა სხვა დანაშაულისთვის, აღნიშნული ვადის ათვლა იწყება თავიდან. მაგ., თუ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 იანვარს ქურდობის ფაქტზე, ხოლო მეორე დანაშაულისთვის (ძარცვისთვის) 5 მარტს, 9-თვიანი ვადის ათვლა ორივე დანაშაულისთვის იწყება ხელახლა – 5 მარტს. ვადის ამგვარად გამოთვლისას მხედველობაშია მისაღები ის, რომ ეს ორი დანაშაული უნდა წარმოადგენდეს ერთი სისხლის სამართლის საქმეს. თუ ორი

- დანაშაულისთვის პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე და პროკურორს არ მიუღია მათი ერთ წარმოებად გაერთიანების გადაწყვეტილება, თითოეულ მათგანზე ბრალდებულად ყოფნის 9-თვიანი ვადის დინება მიმდინარეობს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.
15. თუ ბრალდებულად ყოფნის 9-თვიანი ვადის გასვლამდე არ იქნა გამართული წინასასამართლო სხდომა, პირის მიმართ წყდება სისხლისსამართლებრივი დევნა და დაუშვებელია იმავე ბრალდებით პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.
  16. პროკურორის უფლებამოსილება – გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ – განხილულ უნდა იქნეს ამავე მუხლის მე-9 ნაწილთან ერთობლიობაში, რომელიც დაცვის მხარისთვის დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მინიჭებით პროკურორს ავალდებულებს გადაწყვეტილების დროულად მიღებას. კერძოდ, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობისას, პროკურორმა დროულად უნდა მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება.
  17. პროკურორის მიერ დევნის დაწყების გაჭიანურება ბრალდებულს ართმევს უფლებას ისარგებლოს გამოძიების ჩატარების, მტკიცებულებების მოპოვებისა და წარდგენის, შუამგომლობების დაყენების და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებებით. აღნიშნული მუხლის მე-9 ნაწილი დაცვის მხარეს იცავს მისი უფლებების ამგვარი შეზღუდვისგან. თუ პროკურორი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობის პირობებში არ გამოიტანს დადგენილებას პირის ბრალდების შესახებ, დაცვის მხარეს უფლება აქვს ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე საჩივარი შეიტანოს ზემდგომ პროკურორთან ან გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი შესვლიდან 3 დღე-ღამის ვადაში. თუ ზემდგომი პროკურორი ან სასამართლო დააკმაყოფილებს დაცვის მხარის საჩივარს და ჩათვლის, რომ პროკურორის მიერ გაჭიანურებული იყო დევნის დაწყება, ეს იწვევს აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას, რომელიც მოპოვებულ იქნა მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი. მაგ.: თუ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი შეიქმნა 1 მარტს, ხოლო დევნა დაიწყო 30 მარტს, საჩივრის დაკმაყოფილება გამოიწვევს ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას, რომლებიც მოპოვებულ იქნა 1 მარტიდან 30 მარტამდე დროის მონაკვეთში. სასამართლოს მიერ, მით უფრო ზემდგომი პროკურორის მიერ დაცვის მხარის საჩივრის დაკმაყოფილება ავტომატურად არ იწვევს მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას. აღნიშნული საფუძველით მტკიცებულებათა დაუშვებლობის თაობაზე შუამდგომლობა დაყენებულ უნდა იქნეს წინასასამართლო სხდომაზე (თანახმად, სსსკ-ის 72-ე და 219-ე მუხლებისა).
  18. სასამართლო დაცვის მხარის საჩივარს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე საჩივარს განიხილავს ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე და გამოაქვს განჩინება საჩივრის დაკმაყოფილების ან საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. განჩინება შეიძლება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივროს პროკურორმა, ბრალდებულმა ან/და მისმა ადვოკატმა. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, ამ კოდექსის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესით, მისი შეტანიდან არა უგვიანეს 72 საათისა.
  19. სასამართლოს ან ზემდგომი პროკურორის მიერ საჩივრის დაკმაყოფილება პროკურორს არ ართმევს უფლებას გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება და უარი თქვას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე.

## მუხლი 170. დაკავება

1. დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა.

2. პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად.

1. ადამიანის თავისუფლება იმდენად წონადი ძირითადი უფლებაა, რომ მასში ჩარევა
2. სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან უნდა წარმოადგენდეს *ultima ratio*<sup>421</sup>-ს.
3. ადამიანის დაკავება წარმოადგენს გამოძიების მიზნებისათვის პირის ხანმოკლე თავისუფლების შეზღუდვას კონკრეტულ დანაშაულთან მისი შემხებლობის ან/და მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხეების გადამონმების და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. პატიმრობისგან (აღკვეთის ღონისძიების) განსხვავებით, დაკავებას გააჩნია სპეციალური მიზნები, საფუძველი, პროცედურა და ხშირად წინ უსწრებს პატიმრობის გამოყენებას.
4. დაკავების მიზანია: 1) პირის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენცია და დაკავებულის მიმართ მოგვიანებით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების უზრუნველყოფა; 2) პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ვარაუდის გადამონმება. შესაბამისად, თუ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით აღნიშნული საკითხი უკვე გადაწყვეტილია და შეკრებილია საკმარისი მტკიცებულებები პირისათვის ბრალის წაყენებისათვის, მაშინ დაკავების ნაცვლად პირს ბრალი უნდა წაეყენოს და მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს აღკვეთის ღონისძიება. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე რეალურია, შესაძლებელია პირის დაკავება მცირე ხნით, სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვამდე.
5. პირი დაკავებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დაკავების უფლებამოსილების მქონე პირი მოქალაქეს განუმარტავს, რომ ის დაკავებულია კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით და მას არ შეუძლია კონკრეტული ადგილის დატოვება ან იგი ვალდებულია დაემორჩილოს პოლიციელს სხვა ადგილას გადაყვანაში. აღნიშნული მომენტიდან პირს ესპობა დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაადგილების შესაძლებლობა. აღნიშნული წესი თანაბრად ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც პირს არ შეუძლია გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეზე და არა აქვს მნიშვნელობა სად ხდება პირის თავისუფლების შეზღუდვა – ქუჩაში, პოლიციის განყოფილებაში (მას შემდეგ, რაც პირი საკუთარი ნებით გამოცხადდა), სატრანსპორტო საშუალებაში, ოთახში თუ ნებისმიერ სხვა ადგილას.
6. თავისუფლების შეზღუდვას ადგილი არ აქვს მანამ, სანამ ადამიანი საკუთარი ნებით იმყოფება გარკვეულ ადგილას და მას ნებისმიერ მომენტში შეუძლია თანხმობის უკან წაღება. შესაბამისად, როდესაც ადამიანი ნებაყოფლობით აღმოჩნდა კონკრეტულ ადგილას და ნებაყოფლობით რჩება ამ ადგილას იძულების გამოყენების გარეშე, ადგილი არ აქვს თავისუფლების შეზღუდვას. მაგალითად, თუ პირი მივიდა პოლიციის დანესებულებაში აღიარებით და რამდენიმე საათის განმავლობაში იცდის, ვიდრე გამომძიებელი გათავისუფლდება – მის თავისუფლების შეზღუდვას ადგილი არ აქვს, ვინაიდან პირს ნებისმიერ მომენტში შეუძლია შენობის დატოვება; ადამიანს სთხოვენ, გაჰყვეს პოლიციის ოფიცერს რამოდენიმე კითხვაზე პასუხის გასაცემად, ამოსაცნობად წარდგენის პროცედურის განსახორციელებლად, ჩხრეკის წარმოებაზე დასასწრებად და ა.შ. – არ წარმოადგენს დაკავებას სსსკ-ის მიზნებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაშიც პირს საკუთარი

<sup>421</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 06/04/2009 წლის გადაწყვეტილება, საქმე №415, II-15.

- გადაწყვეტილებებისამებრ ნებისმიერ მომენტში არ შეუძლია (მაგალითად, შუა ამოცნობის პროცესიდან) წასვლა. მოცემულ შემთხვევაში პირს ეკისრება თმენის და სამოქალაქო მოვალეობის შესრულების ვალდებულება, რაც არ უკავშირდება მისთვის სსსკ 170-ე მუხლით დადგენილ თავისუფლების შეზღუდვას. იმ შემთხვევაშიც, თუ ასეთ ამოცნობას შედეგად მოჰყვება მოგვიანებით მისი დაკავება, დრო, რომლის განმავლობაშიც მას ფაქტობრივად შეზღუდული ჰქონდა გადაადგილების შესაძლებლობა, დაკავების ვადაში არ შედის.<sup>422</sup>
7. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან, ყოველგვარი თავისუფლების შეზღუდვა არ გულისხმობს პირის დაკავებას.
  8. მნიშვნელობა არ აქვს სად მოხდება პირისთვის მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა. მაგალითად, ქუჩაში, პოლიციის სატრანსპორტო საშუალებაში პირის მოთავსებით, უშუალოდ საგამოძიებო ნაწილში/პოლიციის დანესებულებაში და სხვა. მნიშვნელობა არ აქვს პირი შესაბამის ტერიტორიაზე/ადგილას იმყოფება საკუთარი ინიციატივით/ნებაყოფლობით თუ, მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოს დაბარების საფუძველზე. პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების ობიექტურად შეზღუდვის მომენტიდან. შესაბამისად, თუ პირს სუბიექტურად ჰგონია, რომ მას არ აქვს გადაადგილების თავისუფლება, აღნიშნული არ გულისხმობს დაკავებას 170-ე მუხლის მიზნებისათვის.
  9. დაკავებად ითვლება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თავისუფლებაზე შეზღუდული პირების გადაყვანა ხდება მათ მიერ შერჩეულ სასტუმროში, თუ სასტუმროს დერეფანს პატრულირებს პოლიციის თანამშრომელი, რომელიც მეთვალყურეობს დაკავებულ პირებს და დაკავებულებს ეკრძალებათ სასტუმროს დატოვება.<sup>423</sup> დაკავება შესაძლებელია განხორციელდეს სამართალდამცავ ორგანოთა ადმინისტრაციულ შენობებშიც (მაგალითად, ამოცნობაზე გამოცხადებული პირის დაკავება, დასაკითხად გამოცხადებული პირის დაკავება და სხვა).
  10. დაკავებისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ძირითად ნიშანს წარმოადგენს იძულების ელემენტის არსებობა. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს პირი თავისი ნებით ჩაბარდა თუ არა, ან პირმა იცის თუ არა თავისუფლების შეზღუდვის ფაქტის შესახებ. მთავარია, რომ ის აღარ არის თავისუფალი და აღარ შეუძლია საკუთარი სურვილისამებრ გადაადგილება<sup>424</sup> დაკავების უფლებამოსილების მქონე პირის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისას მის მიმართ ძალის/იძულების გამოყენების შიშით. ევროპული სასამართლო აღნიშნულ გარემოებას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ვიდრე თავისუფლების შეზღუდვის/დაკავების ადგილს. შესაბამისად, მოთხოვნა პირისადმი, რომ ის დარჩეს საკუთარ სახლში, ასევე ითვლება თავისუფლების შეზღუდვად ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მნიშვნელობით.
  11. სსსკ-ით გათვალისწინებული გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისთვის დამახასიათებელი ნიშნებია:
    - 1) პირის მიმართ უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი დანაშაულის ჩადენის შესახებ;
    - 2) მის მიმართ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა უკავშირდება მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის ან/და მიმალვის საფრთხეს (და არა სამოქალაქო მოვალეობის შესრულებას);
    - 3) დაკავების მიზანია პირის წარდგენა სამართალდამცავ ორგანოში.
  12. სსსკ-ით გათვალისწინებულ თავისუფლების შეზღუდვას ახასიათებს გარკვეული წინაპირობები, საფუძველი და კონკრეტული ფორმალური მიზანი. შესაბამისად, მონმის მიმართ

<sup>422</sup> დაკავების გამოყენება დაიშვება მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელთან დაკავშირებითაც გამოძიების ორგანოს გააჩნია დასაბუთებული ვარაუდი მის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შესახებ.

<sup>423</sup> იხ., ე.წ. ბულგარელი მოქალაქეების საქმე, 15/08/2014; იხ., ნაშრომიდან – საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში, 363.

<sup>424</sup> De Wilde, Ooms and Versyp v Belgium, ECtHR, 18/06/1971.

გამოყენებული იძულებითი მოყვანა ან/და ჩხრეკის პროცესზე დამსწრე პირებისთვის ჩხრეკის ადგილის დატოვების აკრძალვა ჩხრეკის დასრულებამდე (მიუხედავად იმისა, რომ არ აქვთ საკუთარი სურვილით კონკრეტული ტერიტორიის დატოვების უფლება) და სხვა – არ წარმოადგენს დაკავებას სსსკ-ის 170-ე მუხლის მნიშვნელობით.

13. დაკავებისას ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი დაკავება (დაკავების მიზნების, დაკავების საფუძვლის და მტკიცებულებითი სტანდარტის მიხედვით). შესაძლებელია ადმინისტრაციული დაკავება მოგვიანებით გადაიზარდოს სისხლისსამართლებრივ დაკავებაში (მაგალითად, პირი დაკავებულ იქნა ადმინისტრაციული წესით მისი ვინაობის დასადგენად, რის შედეგადაც გამოვლინდა სისხლის სამართლებრივი წესით მისი დაკავების საფუძველი). დაკავების ოქმში უნდა აღინიშნოს პირის ფაქტობრივი დაკავების დრო ე.ი. დრო, როდესაც განხორციელდა პირის დაკავება ადმინისტრაციული წესით. შესაბამისად, ადმინისტრაციული დაკავების ხანგრძლივობა მოცემულ შემთხვევაში შედის სისხლისსამართლებრივი წესით დაკავების საერთო ხანგრძლივობაში.

### მუხლი 171. დაკავების საფუძველი

1. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ამასთანავე, პირი მიიმალევა ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს, გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე. ეს განჩინება არ გასაჩივრდება.

2. პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე შესაძლებელია, თუ:

- ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;
- ბ) პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით;
- გ) პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;
- დ) პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო;
- ე) პირი შესაძლოა მიიმალოს;
- ვ) პირი ძებნილია.

3. პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და მისი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა, ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც პროპორციულია სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემებისა.

1. დაკავება საგამოძიებო მოქმედებაა, რომელსაც დაკავებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებისათვის სავალდებულო წესით უნდა მოჰყვეს პირისათვის ბრალდების დადგენილების წარდგენა.
2. პირის დაკავება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებამდე, ასევე დევნის დანყების შემდეგ. ამასთან, დაკავება, პროცესის მწარმოებელი ორგანოს და სსსკ 172-ე მუხლში გათვალისწინებული სუბიექტების უფლებაა. შესაბამისად, მისი გამოყენება დამოკიდებულია პროცესის მწარმოებელი სუბიექტის შეხედულებაზე. მათ შორის სსსკ 171-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, დაკავების შესახებ გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია დაკავების უფლებამოსილების მქონე პირის გადაწყვეტილებაზე. თუმცა სასამართლო ვალდებულია (და

- არა უფლებამოსილი) გამოიტანოს განჩინება დაკავების შესახებ, როდესაც სახეზეა სსსკ 171-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული წინაპირობები.
3. დაკავების მიზანია დაკავებული ბრალდებულის დანაშაულებრივ ქმედებასთან შემხებლობის და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვა. დაკავების საფუძველს, როგორც წესი წარმოადგენს მტკიცებულებათა ერთობლიობა/ საქმის გარემოებები, რომლებიც ემყარება ობიექტურ გარემოებებს, რომელიც ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს დაკავებისათვის, დაკავების განმახორციელებელი კონკრეტული პირის სუბიექტური განზრახვა არ დაუშვას დაკავებული პირის მიმალვა, მტკიცებულების განადგურება ან ახალი დანაშაულის ჩადენა.
  4. პირის დაკავების ფაქტობრივი საფუძველი შეიძლება დადგენილი იყოს სხვადასხვა სახის მტკიცებულებითი ინფორმაციით. მაგალითად, საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებათა ოქმები (მაგალითად, დაზარალებულის/თვითმხილველისათვის ამოსაცნობად წარდგენის ოქმი, დათვალეურების, ჩხრეკა-ამოღების, დაკითხვის და სხვა ოქმები), დოკუმენტები და სხვა.
  5. დაკავების მიზანია სსსკ 171-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული საფრთხეების პრევენცია. ამასთან, სსსკ ადგენს დაკავების და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკულად იდენტურ მიზნებს ერთი განსხვავებით – დაკავების მიზანი არ არის მოწმეებზე ზემოქმედების პრევენცია.
  6. პირის დაკავების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, როგორც წესი, ხორციელდება პირველ რიგში იმისათვის, რომ გადამოწმდეს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ვარაუდი, თავიდან იქნეს აცილებული მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საფრთხე და მის მიმართ განხორციელდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.
  7. დაკავების კანონიერებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი 3 გარემოება:
    - 1) დაკავებული პირის მხრიდან განხორციელებული მოქმედება, რაც საფუძველად დაედო მის დაკავებას, უნდა შეიცავდეს სსკ-ით განსაზღვრული იმ დანაშაულის ნიშნებს, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას (ეხება მხოლოდ სასამართლოს ნებართვის საფუძველზე განხორციელებულ დაკავებას);
    - 2) დაკავების მიზანი უნდა იყოს პირის სასამართლოსთვის წარდგენა;
    - 3) ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და არსებობს მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე, უნდა იყოს დასაბუთებული;
    - 4) აღნიშნული საფრთხის პრევენციის ერთადერთ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს დაკავება.
  8. დაკავებისათვის საჭიროა საფრთხეების დამაჯერებელი და თანმიმდევრული დასაბუთება *in concreto*.
  9. სსსკ-ი ითვალისწინებს ბრალდებულის დაკავების ორ წესს:
    - 1) სასამართლოს ნებართვით;
    - 2) გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე.
  10. სსსკ-ის თანახმად, პირის დაკავების ორდინალურ წესს წარმოადგენს სასამართლოს განჩინების საფუძველზე პირის მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა.
  11. სსსკ-ის სანქციონირებული დაკავების გამოყენებას ითვალისწინებს კუმულაციურად რამდენიმე პირობის არსებობისას:
    - 1) დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა კონკრეტული სახის დანაშაული, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას;
    - 2) პირის მიმართ დაკავების გამოყენება აუცილებელია სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული საფრთხეების პრევენციისათვის, რაც ასევე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით უნდა იყოს დასაბუთებული.
  12. **დასაბუთებული ვარაუდის** სტანდარტით ერთდროულად უნდა მტკიცდებოდეს ორივე წინა-

- პირობის არსებობა, როგორც ის, რომ პირს ჩადენილი აქვს დანაშაული, ასევე მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხის არსებობა. ერთ-ერთი ამ წინაპირობის არარსებობა გამორიცხავს დაკავების გამოყენების შესაძლებლობას და მას უკანონოდ აქცევს. მაგალითად, თუ პირს ბრალი ედება დანაშაულში, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, მის მიმართ სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავების გამოყენება არ დაიშვება (მაგრამ არ გამოირიცხება გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში დაკავება), თუნდაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით იყოს დამტკიცებულებული მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხის არსებობა. და, პირიქით, თუ პირს ბრალი ედება წამებაში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქმედებისათვის სსკ-ი ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას, თუ გამოძიების ორგანო ვერ ახერხებს მიმალვის/ახალი დანაშაულის ჩადენის ან/და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის დამტკიცებას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ამ შემთხვევაშიც დაკავების გამოყენება უკანონო იქნება. იმავდროულად, გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში დაკავებისას, სსსკ-ის 172-ე მუხლში მითითებული პირობისათვის, შესაძლებელია უცნობი იყოს დანაშაულის შემადგენლობის ცალკეული ელემენტის არარსებობის შესახებ (მაგალითად, უცნობი იყოს პირის შეურაცხაობის საკითხი). ამიტომ, თუ დაკავების შემდეგ გამოვლინდება სს დევნის წარმოების ამკრძალავი გარემოება (მაგალითად, დაკავებულის შეურაცხაობა, ასაკი), დაკავებულის გათავისუფლება არ გამოიწვევს თავად დაკავების უკანონობას.
13. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში სსსკ-ი უთითებს სანქციონირებული დაკავებისთვის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით პირის მიერ დანაშაულის ჩადენის მტკიცების ვალდებულებაზე, ფაქტობრივად მოცემულ შემთხვევაში პირის ბრალეულობა არ არის დამტკიცებული იმგვარად, რაც შექმნის მის მიმართ ბრალის წაყენების შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოს პირის დაკავების მომენტიდან 48-ის განმავლობაში ეკისრება ბრალის წაყენება.
14. სანქციონირებული დაკავების გამოყენება შესაძლებელია, როდესაც გამოძიების ორგანოს გააჩნია საკმარისი მტკიცებულებები ბრალის წაყენებისათვის, მაგრამ შიშობს, რომ სსსკ-ით გათვალისწინებული პროცედურებიდან გამომდინარე ბრალის წაყენებიდან სასამართლოში წარდგენამდე და აღკვეთის ღონისძიების სახით პირის მიმართ პატიმრობის გამოყენებამდე შუალედში, ბრალდებული შესაძლებელია მიიმალოს ან სხვაგვარად შეუშალოს ხელი მართლმსაჯულების განხორციელებას. აღნიშნული საფრთხეების პრევენციისათვის სსსკ-ის 171-ე მუხლი ქმნის პირის დაკავების შესაძლებლობას.
15. დაკავება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ბრალდებული პირის მიმართ – აღკვეთის ღონისძიების გამოყენებამდე, ასევე იმ პირის მიმართ, რომელსაც სისხლის სამართლის პროცესში სტატუსი არ გააჩნია ან მონაწილეობდა ბრალდებულისგან განსხვავებული სამართლებრივი სტატუსით (მაგალითად, მოწმის სახით). მოცემულ შემთხვევაში, როგორც წესი, პირის დაკავება უნდა განხორციელდეს სასამართლოს განჩინების საფუძველზე, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში, სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, შესაძლებელია განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში. მაგალითად, საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებული დაზარალებული შემთხვევით შეეჯახა ამავე საქმეზე მოწმის სახით მონაწილე პირს ფოიეში და მასში ამოიცნო დანაშაულის ჩამდენი პირი.
16. დაკავების თაობაზე ერთ შუამდგომლობაში პროკურორს შეუძლია მოითხოვოს ერთზე მეტი პირის დაკავება და სასამართლოს განჩინებაც გამოტანილი იქნება ყველა პირის მიმართ ერთიანად. მაგრამ როგორც განჩინებაში, ასევე შუამდგომლობაში დასაბუთებული უნდა იყოს თითოეულ პირთან მიმართებით დაკავების გამოყენების საფუძველი და აუცილებლობა.
17. შუამდგომლობაში პროკურორმა უნდა მიუთითოს დაკავების განხორციელების სავარაუდო

- ვადა, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა იქნეს განსაზღვრული, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს (განჩინების აღსრულების მაქსიმალური ვადა). თუ განჩინებაში მითითებულ ვადაში არ/ვერ მოხერხდა მისი აღსრულება და პირის დაკავება, განჩინების ვადის გასვლის შემდეგ პროკურორს შეუძლია ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს იმავე პირის დაკავებაზე განჩინების გაცემის შუამდგომლობით, მაგრამ უნდა მიუთითოს ის მიზეზები, რის გამოც ვერ მოხერხდა განჩინების დროულად აღსრულება.
18. არასანქციონირებული დაკავება დაიშვება, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენციის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს პირის დაკავება. მაგრამ სანქციონირებული დაკავებისგან განსხვავებით, სსსკ არასანქციონირებული დაკავების შესაძლებლობას ითვალისწინებს პირის მიერ ნებისმიერი სახის დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, მათ შორის ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. ამასთან, სსსკ-ი არ ითვალისწინებს ცალსახად და პირდაპირ არასანქციონირებული დაკავების კანონიერების მოგვიანებით სასამართლოს მიერ გადამონმების ვალდებულებას. თუმცა, როგორც აღინიშნა, პირველი წარდგენის სხდომაზე მოსამართლე იხილავს ორივე სახის დაკავების კანონიერებას.
  19. დაუშვებელია ერთი და იმავე პირის ერთი და იმავე დანაშაულთან დაკავშირებით გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში ორჯერ დაკავება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაკავება ხორციელდება სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის სხვა საფუძველზე, ვინაიდან პირველი დაკავების შემდეგ, როგორც წესი, გამოირიცხება გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა და თავდაპირველი დაკავების დროს გამოძიების ორგანოს ჰქონდა ვარაუდის გადამონმების შესაძლებლობა.
  20. **გადაუდებელი** აუცილებლობის საფუძველზე, პირის დაკავების „საგამონაკლისო უფლება გათვალისწინებულია იმ შემთხვევებისათვის, როდესაც დანაშაულის აღკვეთის ან პრევენციის მიზნით, ადამიანის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის მყისიერი, გადაუდებელი აუცილებლობა არსებობს.“<sup>425</sup>
  21. შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი გადაწყვეტილებას შექმნილი ვითარების და ფაქტობრივი გარემოების შეფასების საფუძველზე იღებს... ეს გადაწყვეტილება პოლიციელის ინდივიდუალურ გამოცდილებას, მის ცოდნას ეფუძნება. შესაბამისად, სავარაუდოდ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ეჭვის წარმოშობა დაკავშირებულია ობიექტური გარემოებების სუბიექტურ შეფასებასთან.<sup>426</sup> „ამავე დროს, დაუშვებელია, რომ პირის თავისუფლებაში ჩარევა ეფუძნებოდეს მხოლოდ სუბიექტურ განცდას, წინათგრძობას ან ინტუიციას. პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ეჭვის წარმოქმნა ისეთ ფაქტს, გარემოებას ან მათ ერთობლიობას უნდა ემყარებოდეს, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს ეჭვის წარმოქმნის საფუძველიანობაში დაარწმუნებს.“<sup>427</sup> ამასთან, განსხვავებულ გარემოში ასეთი ეჭვის წარმოქმნის საფუძველი შესაძლებელია განსხვავებული იყო. ის შესაძლებელია განაპირობოს პირის გარეგნობამ, ჩაცმულობამ ქცევამ და ა.შ. რაც პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენაზე მიუთითებს.
  22. პირის მიმართ დაკავების გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს დანაშაულის ჩადენაში პირის შესაძლო მონაწილეობის დამადასტურებელი კონკრეტული, ობიექტურად არსებული მტკიცებულების არსებობა.
  23. პირი შესაძლებელია დაკავებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც **დაზარალებულმა აღწერა** დანაშაულის ჩამდენი იმ სუბიექტის გარეგნული მახასიათებლები, რომელიც მიიმალა. აღნიშნული გარეგნობის მქონე პირის დაკავების და საგამოძიებო ორგანოში წარმოდგე-

<sup>425</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11/04/2013 წლის გადაწყვეტილება, საქმე №503,513, II-13.

<sup>426</sup> იხ., იქვე, II-29.

<sup>427</sup> იხ., იქვე, II-30.



- ნის შემდეგ, გამომძიებელმა შესაძლებელია განახორციელოს პირის ამოსაცნობად წარდგენა. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული პირის გარეგნობა შეესაბამება დაზარალებულის მიერ მითითებულ მახასიათებლებს, ამოცნობის ჩატარებამდე აღნიშნული პირის დაკავება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მისი მიმალვის, ან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის მისი მხრიდან ხელის შეშლის რეალური საფრთხე. თუ აღნიშნული საფრთხეების რეალურობა არ დასტურდება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, პირის მიმართ დაკავების გამოყენება იკრძალება.
- 24.** პირის მიმართ დაკავების გამოყენება პროცესის მწარმოებელი საგამომძიებო ორგანოს უფლებამოსილებაა და არა ვალდებულება. ამიტომ დაკავების გამოყენების შესახებ გადანიშნული უნდა იყოს დასაბუთებული, მითითებული უნდა იყოს რითი დასტურდება კონკრეტული ბრალდებულის მიმართ მოცემულ ვითარებაში დაკავების გამოყენების აუცილებლობა.
- 25.** სასამართლოს შეუძლია დაკავება მიიჩნიოს დაუსაბუთებლად ან/და უკანონოდ, ხოლო დაკავების საფუძველი არასაკმარისად და უარი განაცხადოს დაკავებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენებაზე. ამ შემთხვევაში დაკავებული ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან. ან დააკმაყოფილოს ბრალდების მხარის შუამდგომლობა და აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენოს პატიმრობა.
- 26.** დაკავება კანონიერია იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოგვიანებით სასამართლომ პირის მიმართ გამოიტანა გამამართებელი განაჩენი ან გამატყუვნებელი განაჩენით პირისათვის შეფარდებული სასჯელი არ უკავშირდება თავისუფლების აღკვეთას. დაკავება ასევე კანონიერია, თუ დაკავების განმავლობაში საკანონმდებლო ცვლილებებით შეიცვალა იმ დანაშაულის სანქცია, რომელთან დაკავშირებითაც განხორციელდა პირის დაკავება და აღნიშნული მუხლი აღარ ითვალისწინებს სანქციის სახით თავისუფლების შეზღუდვის გამოყენებას. მთავარია, რომ დაკავების განხორციელების მომენტში დანაშაული, რომელთან დაკავშირებითაც ხდება პირის სანქციონირებული დაკავება, სასჯელის სახით ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთას.
- 27. პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე** – გულისხმობს, რომ პირი დააკავეს (და არა უბრალოდ დაინახეს) დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების მომენტში (იმის მიუხედავად, დანაშაულის ობიექტურ მხარეში შემავალი ქმედება დასრულებულია თუ არა.) ან, უშუალოდ დანაშაულის შემადგენლობის დასრულებისთანავე. დანაშაულის ჩადენისას – მიუთითებს, რომ დაკავების განმახორციელებელი პირი თვითონ ადევნებდა თვალს/თავად არის დანაშაულის ჩადენის თვითმხილველი (მაგალითად, დაინახა ცივი იარაღით ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი, დაკავებული პირის მიერ დაზარალებულისთვის ფარულად საფულის ამოღების ფაქტი). გულისხმობს პირის დაკავებას დანაშაულის აღკვეთისას დანაშაულის ჩადენის ადგილას – დანაშაულის ჩადენისთანავე, დანაშაულის ჩადენის პროცესში ან მცდელობისას. მაგალითად, პირი დაკავებულ იქნა როდესაც დაზარალებულს ცივი იარაღით აყენებდა მესამე ქრილობას, ან ბინაში შეღწევით ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით სადარბაზოდან გამოსვლისას. ამ შემთხვევაში დამკავებელი სუბიექტი იმავდროულად არის დანაშაულის თვითმხილველიც. მას უშუალოდ უნდა ჰქონდეს საკუთარი თვალთ ნანახი დაკავებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი. თუ დაკავება ხორციელდება სხვა მონაშენების/დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე, მაშინ დაკავების ოქმში მითითებული უნდა იყოს სსსკ-ის 172-ე მუხლის სხვა ქვეპუნქტი.
- 28. ჩადენისთანავე** – გულისხმობს როგორც უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედების დასრულებისთანავე წაასწრებას, ასევე იგი შეიძლება მოიცავდეს დროის მცირე მონაკვეთს დანაშაულის ჩადენის შემდეგ.
- 29. პირის დაკავება ჩადენისთანავე** – გულისხმობს, რომ პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამკავებელი პირის მხედველობის არიდან არ მიმალულა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს

- პირის დაკავება განხორციელდება დანაშაულის ჩადენის ადგილას დანაშაულის შემადგენლობის დასრულების შემდეგ, თუ შემთხვევის ადგილიდან მოშორებით. მთავარია, რომ დამკავებელი პირის მიერ დაკავებულის მიერ დანაშაულის ჩადენა უშუალოდ იქნეს დანახული და მის დაკავებამდე ის ობიექტურად არ მიიმალოს დამკავებელი პირის მხედველობის არიდან (მაგალითად, კორპუსებს, ხეებს შორის, ხალხში და სხვა). მაგალითად, საპატრულო ეკიპაჟის თვალნინ მოხდა ავტოსატრანსპორტო შემთხვევა, მძღოლმა არ გააჩერა სატრანსპორტო საშუალება და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან, თუმცა საპატრულო ეკიპაჟის მხედველობის არიდან არ დაიკარგა. რამდენ ხანსაც არ უნდა გრძელდებოდეს დადევნება, ისევე როგორც შემთხვევის ადგილიდან დაკავების განხორციელების დისტანციას, მნიშვნელობა არ აქვს. პირის დაკავების საფუძვლად უნდა მიეთითოს სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.
30. „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პირველ რიგში, გადამონმებული უნდა იყოს ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი დანაშაულის შემთხვევას (და არა სხვა სახის სამართალდარღვევას, ან საერთოდ სამართალდარღვევის არარსებობას). მაგალითად, პირი დაკავებულ იქნა ასფალტზე მწოლიარე დაზარალებულისთვის სილის სახეში რამდენჯერმე განვნის ფაქტზე. აღნიშნული შესაძლებელია გულისხმობდეს, რომ სასწრაფო დახმარების მისვლამდე პირი ცდილობდა უგონო მდგომარეობაში მყოფი დაზარალებულის მოსულიერებას და არა მისთვის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების მიყენებას.
31. **„პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით“** – გულისხმობს, რომ ის თვითმხილველის / ცხელ კვალზე დაკავების განმახორციელებელი სუბიექტების მხედველობის არიდან არ მიმალულა. თუ პირი დამკავებელი პირის მხედველობის არიდან დროებით მაინც მიმალა და მოგვიანებით ისევე გამოჩნდა, მაშინ მისი დაკავება უნდა განხორციელდეს სხვა საფუძვლით.
32. „ა“ ქვეპუნქტისგან განსხვავებით, „ბ“ ქვეპუნქტი პირის დაკავების ორ წინაპირობას ითვალისწინებს კუმულაციურად: 1) დაიშვება იმ პირის დაკავება, რომელიც დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას (იმის მიუხედავად, რამდენად აქვს მოცემულ პირს შეხება ჩადენილ დანაშაულთან); 2) მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება დადევნება მისი დაკავების მიზნით. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც, თუ პირი შემთხვევით/ცნობისმოყვარეობის/დაზარალებულისთვის დახმარების აღმოჩენის სურვილის გამო აღმოჩნდა შემთხვევის ადგილას, მისი დაკავება დასაშვებია, თუ მის მიმართ დევნა უწყვეტად გრძელდება (მხედველობის არიდან არ მიმალულა) შემთხვევის ადგილიდან დაკავებამდე. იმავდროულად, პირის ფაქტობრივ დაკავებას ყოველთვის არ მოსდევს მისი სისხლის საპროცესო სამართლებრივი დაკავება.
33. პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო – ამ შემთხვევაში პირის დაკავება დაიშვება თვითმხილველი პირის ჩვენების საფუძველზე. თვითმხილველი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი როგორც მონმე, ასევე თავად დაზარალებულიც.<sup>428</sup> მაგრამ თვითმხილველად პირი ითვლება იმ შემთხვევაში როდესაც მან თავად უშუალოდ დაინახა დანაშაულის ჩადენის ფაქტი – სრულად ან ნაწილობრივ – დანაშაულის ჩადენის რაიმე ნაწილი. აღნიშნული საფუძვლით პირის დაკავებისათვის საკმარისია ერთი თვითმხილველის ჩვენება.
34. თვითმხილველის ჩვენება უნდა იყოს პირდაპირი და პირველადი მტკიცებულება – თვითმხილველს თვითონ უნდა ჰქონდეს ნანახი აღნიშნული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი. პირის დაკავება ირიბი ჩვენების, მონმის ალბათობრივი/სავარაუდო ჩვენების (რო-

<sup>428</sup> დაზარალებული ყოველთვის არ არის თვითმხილველი. შესაბამისად, დაზარალებულის ჩვენება/გამოკითხვის ოქმი ვერ დაედება საფუძვლად პირის ამ საფუძვლით დაკავებას, მაგალითად, თუ დაზარალებულს თავად არ დაუნახავს დანაშაულის ჩადენი პირი (ზურგიდან თავდასხმისას, დაზარალებულმა სახლში/სამსახურში მისვლისას აღმოაჩინა ქურდობის ფაქტი და სხვა).

- დესაც დარწმუნებული არ არის ეს პირი ნახა თუ არა დანაშაულის ჩადენისას), მოწმის ვარაუდის/ექვსის საფუძველზე დაუშვებელია.
- 35.** ყველა თვითმხილველს არ შეუძლია ბრალდებულის ამოცნობა. თუ ბრალდებულმა შეიცვალა გარეგნობა, ან დანაშაულის ჩადენის ადგილას იყო ცუდი განათება, შეზღუდული მხედველობის არეალი, დანაშაული იმდენად სწრაფად იქნა ჩადენილი და დამნაშავე პირი იმდენად ცოტა ხანს იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენის ადგილას, რომ მისი მახასიათებელი ნიშან-თვისებები თვითმხილველს პრაქტიკულად არ ახსოვს, დანაშაული იმდენად ჩუმად იქნა განხორციელებული, რომ თვითმხილველს რაიმე უჩვეულო არ შეუმჩნევია და მისი ყურადღება დანაშაულის ჩადენის მომენტში მყოფი ადამიანებიდან არავის მიუპყრია და სხვა. ამასთან, არცთუ იშვიათად, თვითმხილველი მიუთითებს დანაშაულის ჩამდენი პირის ნიშან-თვისებებზე და ახდენს მის ამოცნობას, თუმცა ნიშნები, რომლითაც განხორციელდა პირის ამოცნობა, იმდენად ზოგადი და მცირეა, რომ ეწინააღმდეგება სსსკ-ით ამოცნობისათვის დადგენილ სტანდარტებს/მოთხოვნებს. ამოიცნო გულისხმობს, რომ არა მხოლოდ თვითმხილველია დარწმუნებული, რომ მის მიერ მითითებულმა ამოცნობილმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, არამედ თვითმხილველის მიერ მითითებული ნიშან-თვისებებიც ობიექტურად ქმნის პირის ამოცნობისათვის საკმარის საფუძველს და მითითებული მახასიათებლებიდან გამომდინარე, პროცესის მწარმოებელ პირსაც უჩნდება გონივრული ვარაუდი, რომ ამოცნობილი პირია სწორედ ის ადამიანი, ვისზეც თვითმხილველი მიუთითებდა თავდაპირველ ჩვენებაში. შესაბამისად, მაგალითად, თუ თვითმხილველი მიუთითებს, რომ მან დაინახა, როგორ მიაყენა ცივი იარაღით დაზარალებულს ჭრილობა მამაკაცმა, რომელიც სავარაუდოდ არის 35-55 წლამდე, ბრგე და საშუალო სიმაღლის, აღნიშნული აღწერილობით პირის ამოცნობა არ პასუხობს სსსკ-ით დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, თვითმხილველის მიერ გამოძიების ორგანოსათვის მიწოდებული ინფორმაცია სავარაუდოდ დამნაშავე პირის შესახებ უნდა იყოს დეტალური და ხასიათდებოდეს სარწმუნოების მაღალი ხარისხით. მოცემულ შემთხვევაში, მოწმის გამოკითხვის ოქმზე დაყრდნობით, სხვა დამატებით მტკიცებულებებთან ერთად, პირის დაკავება შესაძლებელია განხორციელდეს სასამართლოს განჩინების საფუძველზე.
- 36.** სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თვითმხილველის მიერ ამოცნობა განსხვავდება სსსკ-ით განსაზღვრული ამოცნობისგან. აქ იგულისხმება როგორც ე.წ. „შემთხვევითი ამოცნობა“ (მაგალითად მოწმემ/დაზარალებულმა პირი ამოიცნო ქუჩაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას დანაშაულის ჩადენიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ და მიუთითა მასზე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს), ასევე საგამოძიებო ორგანოს მიერ სსსკ-ით დადგენილი წესით ჩატარებული ამოცნობის პროცედურა. საგამოძიებო მოქმედების განხორციელების მიუხედავად სსსკ-ი არ გამორიცხავს თვითმხილველის მიერ ამოცნობის პროცედურის განხორციელების შედეგად გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავების შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში თვითმხილველის გამოკითხვისას (დაკითხვისას) გამოკვლეულ უნდა იქნეს ის გარემოებები, რა გარემოებებშიც დაინახა მან დანაშაულის ჩამდენი სუბიექტი-დღის მონაკვეთი, განათება, ბუნებრივი პირობები, დრო და ადგილი, მანძილი/დაშორება, დაკვირვების ხანგრძლივობა, მისი აღქმის და დამახსოვრების უნარის თავისებურება, თვითმხილველის ფსიქიკური მდგომარეობა იმ მომენტში, როდესაც დაინახა პირი, პირის ფიზიკური/ანატომიური მახასიათებლები, ანთროპომეტრიული მახასიათებლები, პირის გარეგნობის მახასიათებლები – სიმაღლე, წონა, სხეულის ცალკეული ნაწილების განსაკუთრებული მახასიათებლები (მაგალითად, ნაიარევი სახეზე, კიდურის ან ხელის თითის არარსებობა, სხეულის ცალკეული ნაწილების დეფექტები, ამპუტაცია, ხალები, პიგმენტური ლაქები, მეჭეჭები, ნაიარევი (მათ შორის დაზარალებულის მიერ უშუალოდ მიყენებული დაზიანება/დაზიანების კვალი), ადრე გადატანილი ოპერაციის კვალი, ავადმყოფური/უნებელი მოძრაობები, ტატუ, სახის ასიმეტრია და სხვა), სავარაუდო ასაკი, სახის ფერი და მოყვა-

- ნილობა, თვალების/თმის ფერი, თმის სიგრძე, მხედველობა, სისხლჩაქცევები, ნაკანრები, დამწვრობა, მოყინვა, ნაკბენი, სხვა სახის სხეულებრივი დაზიანებები, რომლებიც შესაძლებელია მიყენებული იყოს ასევე მწერების/ცხოველების მიერ ან იყოს ტრავმატოლოგიური ხასიათის და სხვა. უნდა განისაზღვროს ცნობილია თუ არა თვითმხილველისთვის პირის ვინაობა, რა ვითარებაში/საიდან შეიტყო აღნიშნული ინფორმაცია, რამდენად შეეძლო პირს ობიექტურად სცოდნოდა აღნიშნული ინფორმაცია/დაენახა აღნიშნული დანაშაულის ჩადენის მომენტში და სხვა.
37. აღნიშნული პუნქტის საფუძველზე პირის დაკავებისთვის სსსკ-ი ადგენს დამატებით ორ წინაპირობას: 1) დანაშაულის ჩამდენი პირი უნდა მიიმალოს დანაშაულის ჩადენის ადგილიდან; 2) მისი ამოცნობა ხორციელდება მოგვიანებით თვითმხილველი პირის მიერ. აღნიშნული გულისხმობს როგორც დანაშაულის ჩადენიდან ამოცნობამდე მნიშვნელოვან დროით ხანგრძლივობას (მაგალითად, რამდენიმე დღის ან თვის შემდეგ, ასევე იმავე დღეს დანაშაულის ჩადენიდან რამოდენიმე საათში ან წუთში. გადამწყვეტია, რომ მოცემულ შემთხვევაში ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან განსხვავებით, დანაშაულის ჩადენის შემდეგ დასაკავებელი პირი თვითმხილველი პირის მხედველობის არედან ქრება და აღნიშნული გამონკვეულია მისი მიმალვის სურვილით. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს დასაკავებელმა პირმა დაინახა თვითმხილველი, თუ ვერ შენიშნა და სუბიექტურად ვარაუდობს, რომ მის მიერ დანაშაულის ჩადენა ყველასთვის უცნობია.
38. თვითმხილველის მიერ ამოცნობა შესაძლებელია უკავშირდებოდეს რამდენიმე ვითარებას: 1) თვითმხილველი არ იცნობს დანაშაულის ჩამდენ პირს/არ იცის მისი ვინაობა მაგრამ უშუალოდ მიუთითებს მასზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე – აღნიშნული პრაქტიკულად უტოლდება ამოცნობას; 2) თვითმხილველმა იცის დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და ასახელებს მას. აღნიშნულს შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს როგორც უშუალოდ დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე, ასევე მოგვიანებით სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობისას (მაგალითად, მოწმის გამოკითხვის ოქმში, შეტყობინებაში და ა.შ.).
39. „გ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს პირის არასანქციონირებული დაკავების შესაძლებლობას, თუ „**პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი**“ – აღნიშნული პრაქტიკულად წარმოადგენს ნივთმტკიცების აღმოჩენას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ კვალის არსებობას პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე ადასტურებდეს თვითმხილველი ან თავად დაკავებული პირი არ უარყოფდეს აღნიშნულს (კვალის/ნივთის მასთან არსებობას ან აღნიშნულის მისდამი კუთვნილებას), ან შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ოქმი (მაგალითად, დაკავების ოქმი, ჩხრეკის ოქმი), რომლის შინაარსიდან ირკვევა რომ კონკრეტული ნივთი იმყოფებოდა დაკავებულ პირთან ან მის უშუალო სიახლოვეს (მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღი აღმოჩენილ იქნა მის სატრანსპორტო საშუალებაში მძღოლის სავარძლის გვერდით).
40. პირზე კვალის არსებობა – განსაზღვრავს დანაშაულის კვალის აღმოჩენის ლოკაციას-დასაკავებელი პირის სხეულს. ადამიანის სხეულში იგულისხმება ადამიანის სხეულის უკლებლივ ყველა ნაწილი და ადგილი. შესაბამისად, კვალი შესაძლებელია აღმოჩენდეს როგორც სხეულზე გარედან, ასევე სხეულში დარჩენილი კვალის სახით. მაგალითად, სქესობრივი კავშირის შემთხვევაში, ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების კვალი, დაზარალებულის მხრიდან წინააღმდეგობის კვალი რაც გამოიხატა დასაკავებელი პირისათვის მიყენებული ნაკანრებით, სისხლჩაქცევებით; დაკავებული პირის ფრჩხილებქვეშ დაზარალებულის კანის ეპითელიუმის კვალი, საფანტის კვალი ხელებზე და სხვა). აღნიშნული კვალი შესაძლებელია გამოვლენილი იქნეს პირის პირადი ჩხრეკისას ან დათვალიერებისას.
41. დანაშაულის ჩადენის აშკარა კვალი შესაძლებელია ასევე აღმოჩენილ იქნეს მის ტანსაცმელზეც. არსებულ კვალს შესაძლებელია წარმოადგენდეს დაზარალებულის სისხლი, დნმის კვალი და სხვა. მოცემულ შემთხვევაში „ტანსაცმელი“ გამოიყენება ფართო გაგებით და მოიცავს არა მხოლოდ უშუალოდ ტანსაცმელს, არამედ ასევე ფენსაცმელსაც, თავსაფარს,

- ქუდს, ხელთათმანს, სათვალეს, ჩაფხუტს, რესპირატორს, სხვადასხვა სახის დამცავი ფუნქციის მატარებელ როგორც სამსახურებრივ ასევე კერძო ტანსაცმელს (მაგალითად, მენაძრეების სპეცტანსაცმელს – ქურთუკი, შარვალი/ კომბინიზონი, ექიმის ხალათს, აირ-ნინალს, თხილამურს და სხვა).
42. დასაკავებელ პირთან/„მასთან“ დანაშაულის კვალის არსებობაზე შესაძლებელია მიუთითებდეს მაგალითად, მის სატრანსპორტო საშუალებაში დაზარალებულის კუთვნილი ნივთების აღმოჩენა, დაზარალებულის სისხლის/დნმ-ის/სუნის კვალი, თმის კულული და სხვა. ასევე კვალი რომელიც აღმოჩენილი იქნება მის ხელბარგში, ჩემოდანში, ხელჩანთაში, პარკში, ფუთაში და ასევე მის ხელთ/მასთან არსებულ დოკუმენტებში, მის საცხოვრებელში<sup>429</sup>, აგარაკზე, დამხმარე სათავსში (ავტოფარეხი, დამხმარე ნაგებობა და სხვა), სამუშაო ფართი (მაგალითად, სტომატოლოგიური კაბინეტი, ავტოფარეხში გახსნილი ავტოსარემონტო სალონი/ხალიჩების/მანქანების სამრეცხაო და სხვა) წარმოადგენს დანაშაულის ჩადენასთან პირის შემხებლობის დამადასტურებელ ირიბ მტკიცებულებას. ამკარა კვალი, რომელიც თვალხილულია და მათი შეცნობა არ საჭიროებს სპეციალურ კვლევას ან/და ცოდნას (მაგალითად, სხეულებრივი დაზიანება ან/და ნივთიერი მტკიცებულება (სისხლის კვალი, დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანაშაულის საგანი, დაზარალებულის კუთვნილი უნიკალური ნივთები და სხვა. ამ ეტაპზე პირის დაკავებისათვის საკმარისია: 1) აღნიშნული ნივთების პირთან აღმოჩენის ფაქტი; და 2) თუ ეს პირი დამკავებელ სუბიექტს ვერ აწვდის აღნიშნული ნივთების წარმომავლობის/მასთან აღმოჩენის შესახებ გონივრულ და ამომწურავ ინფორმაციას.
43. „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კვალის აღმოჩენისას პირის დაკავება სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩენილი კვალი ამკარაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კვალის არსებობის დასადგენად, საჭიროა საექსპერტო კვლევა, აღნიშნული არ ქმნის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე პირის დაკავების შესაძლებლობას და კვალის დადასტურების შემთხვევაში დაკავება უნდა განხორციელდეს სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამასთან ამკარა კვალს მიეკუთვნება ისეთი შემთხვევები, როდესაც პირი, რომლის ტანსაცმელზეც/რომელთანაც/ან რომლის სხეულზეც აღმოჩენილი იქნება აღნიშნული კვალი ვერ ხსნის აღნიშნული კვალის წარმოშობას და ვერ მიუთითებს რამდენადმე გონივრულ/ლოგიკურ ახსნას.
44. „ე“ პირი შესაძლოა მიიმალოს – სსსკ-ი მიუთითებს მიმალვის სამომავლო საფრთხეზე გაურკვეველობის/აღბათობის ხარისხით. აღნიშნულის მიუხედავად, დაუშვებელია უკლებლივ ყველა/კონკრეტული პირის გადაუდებელი აუცილებლობით დაკავება დაკავების განმახორციელებელი სუბიექტის სუბიექტური მოსაზრების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ ადგენს მიმალვის მხოლოდ შესაძლებლობას, აღნიშნული რისკი დადასტურებული უნდა იქნეს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაკავების განხორციელების მომენტში და უნდა ემყარებოდეს დასაკავებელი პირის მხრიდან ობიექტურად განხორციელებულ კონკრეტულ ქმედებებს, მათ გონივრულ და ობიექტურ შეფასებას (მაგალითად, წინააღმდეგობის განევა ფაქტობრივი დაკავებისას, გაქცევის მცდელობა, მიმალვისათვის მოსამზადებელი საქმიანობის განევა და სხვა). გულისხმობს დასაკავებელი პირის მხრიდან განხორციელებულ აქტიურ ქმედებებს, რაც ამკარად მიუთითებს პირის მიმალვის სურვილზე სამართალდამცავი ორგანოებისგან. არ არის აუცილებელი, რომ მიმალვის მცდელობის თვითმხილველი იყოს თავად დამკავებელი სუბიექტი. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია გამომძიებელმა შეიძლება მიიღოს სხვა თანაბრადებულების გამოკითხვის, სხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას. ამასთან, დროის თვალსაზრისით

<sup>429</sup> საცხოვრებელში იგულისხმება არა მხოლოდ მისი რეგისტრაციის მისამართი, არამედ ასევე ადგილი, სადაც, მისი განმარტებით ან მოწმეთა ჩვენებების/განმარტების თანახმად, ის ამჟამად ცხოვრობს (მათ შორის დროებითი საცხოვრებელი).

- მიმალვის საფრთხე არ უკავშირდება უშუალოდ დანაშაულის ჩადენის მომენტს. მიმალვის სურვილი პირს შესაძლებელია გაუჩნდეს დანაშაულის ჩადენისთანავე ან/და დანაშაულის ჩადენიდან მნიშვნელოვანი ვადის გასვლის შემდეგ – როდესაც მისთვის ცნობილი გახდება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების წარმოების, მოწმის მიერ მისი მამხილებელი ჩვენების მიცემის შესახებ და სხვა.
45. პირის მიმალვის საფრთხეზე შესაძლებელია ასევე მიუთითებდეს ობიექტურად არსებული გარემოებები მიმალვაზე მისი სუბიექტური სურვილის არარსებობის პირობებში. მაგალითად, როდესაც პირს არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; უძრავი ქონების საკუთრებაში არსებობის მიუხედავად, ხშირად იცვლის საცხოვრებელ ადგილს და სხვა. ასეთ დროს, პირის საცხოვრებელი ადგილის დადგენას და მოგვიანებით სასამართლოში მისი გამოცხადების უზრუნველყოფას ობიექტურად შესაძლებელია გარკვეული სირთულეები შეექმნას, მაგრამ აღნიშნული სირთულე არ წარმოადგენს პირისათვის თავისუფლების თუნდაც ხანმოკლე შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს, თუ ამ პირის მხრიდან არ არსებობს სამართალდამცავი ორგანოებისგან მიმალვის დამადასტურებელი მტკიცებულება. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული: 1) პირის საცხოვრებელი ადგილის ხშირი ცვლის მიზეზი ან/და მიმალვის სურვილის/განზრახვის არსებობა; 2) მიმალვის საფრთხის პრევენციისათვის სხვა სახის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა. ამასთან, თუ პირი ხშირად იცვლის საცხოვრებელ ადგილს, მაგრამ გააჩნია მუდმივი სამუშაო ადგილი და მისი მხრიდან განხორციელებული ქმედებები არ მიუთითებს სამართალდამცავი ორგანოებისგან მიმალვის სურვილზე, მის მიმართ დაკავების განხორციელება მიმალვის საფრთხეზე აპელირებით დაუშვებელია. ანალოგიურად, მიმალვის საფრთხის საფუძველზე პირის დაკავება იმაზე აპელირებით, რომ უცნობია მისი ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი, რის გამოც მოგვიანებით შესაძლებელია გართულდეს ან სულაც შეუძლებელი გახდეს მისი დაკავება – დაუშვებელია. ამ შემთხვევაში გამოძიებისათვის საინტერესო ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია, მაგალითად, ამ პირის გამოკითხვის გზით.
46. ძებნილი პირის დაკავებისათვის, დაკავებას წინ უნდა უსწრებდეს პირის ძებნილად გამოცხადება და მიმალვაში მყოფი ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ დაუსწრებლად აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ განჩინების გამოტანა.
47. თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერი ფორმა/სახე სავალდებულო წესით უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო კონტროლს. სასამართლო კონტროლი ასრულებს თავისუფლების და უდანაშაულობის პრეზუმფციის გარანტიის, დაკავებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის, იძულებითი გაუჩინარების, დაკავების განმახორციელებული ორგანოს მიერ (სასამართლოს გარეშე) დაკავებული პირის ბედის განსაზღვრის პრევენციის ფუნქციას (გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია №65/205, §20; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია №15/18 §4c; გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის რეზოლუცია №2005/27, §4c).
48. დაკავება, რომლის მიზანია დამატებითი ზენოლის მექანიზმის მოპოვება იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც არ არის დაკავშირებული ბრალდებულისთვის შერაცხულ ბრალდებასთან, ეწინააღმდეგება კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებს.<sup>430</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული „სასამართლო არ გამოორიცხავს ეროვნული ხელისუფლების უფლებამოსილებას მიმართოს გარკვეულ ხრიკებს კრიმინალური საქმიანობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ყველა მეთოდი/ხრიკი ვერ იქნება გამართლებული, განსაკუთრებით, როდესაც მისი გამოყენება სამართლებრივი უტყუარობის პრინციპის უგულვებლყოფით ხდება.“<sup>431</sup>

<sup>430</sup> Nikolaishvili v Georgia, ECtHR, 13/01/2009, §57.

<sup>431</sup> Nikolaishvili v Georgia, ECtHR, 13/01/2009, §58; Benham v the UK, ECtHR, (GC), 10/06/1996, § 43, Čonka v Belgium, ECtHR, 05/02/2002, §41.

49. დაკავებისას, ბრალდების მხარემ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებათა ერთობლიობა რომელიც შექმნის დასაბუთებულ ვარაუდს პირის დაკავებისთვის. შესაბამისად, *bona fide* ეჭვი დაკავებისთვის არ არის საკმარისი. ინფორმაცია საკმარისი უნდა იყოს ობიექტური დამკვირვებლის დარწმუნებისთვის, რომ შესაბამის პირს შეეძლო დანაშაულის ჩადენა<sup>432</sup>
50. სსსკ-ი ითვალისწინებს *male captus bene indicatus* პრინციპს და უკანონოდ აცხადებს მხოლოდ ისეთ თავისუფლების შეზღუდვას, როდესაც დაკავებისას არსებითად დაირღვა დაკავებული პირის კონსტიტუციური უფლებები. შესაბამისად, ფორმალური ან მატერიალური სახის დარღვევა, რამაც არსებითად არ შეზღუდა, მაგალითად, ბრალდებულის უფლება ეფექტიანი დაცვის განხორციელებაზე არ წარმოადგენს სსსკ-ის მიზნებისათვის უკანონო დაკავებას.

### მუხლი 172. პირი, რომელსაც აქვს დაკავების უფლება

დაკავების უფლება აქვს გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს იმ თანამშრომელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, აწარმოებს გამოძიებას ან ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას.

- 172-ე მუხლი დაკავების უფლებას ანიჭებს მხოლოდ იმ ორგანოების თანამშრომლებს, რომლებიც ახორციელებენ გამოძიებას.<sup>433</sup> იმავდროულად დაკავების უფლება გააჩნია აღნიშნული უწყებების მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, აწარმოებენ გამოძიებას ან სისხლის სამართლებრივ დევნას. შესაბამისად, პირის დაკავების უფლება აქვს როგორც გამომძიებელს, ასევე საგამომძიებო ჯგუფს, ოპერატიულ თანამშრომელს, პოლიციელს, პროკურორს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამომძიებო დანაყოფების გამომძიებლებს და სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელ პროკურორებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის იმ თანამშრომლებს, რომლებიც ახორციელებენ საგამომძიებო-ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.
- ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ოპერატიული ფუნქციებს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, განსაზღვრულია დარგობრივი კანონმდებლობით. მაგალითად, ოპერატიული ფუნქციების განმახორციელებელი პირების ნუსხა გათვალისწინებულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით, რომლის თანახმად, მათ მიეკუთვნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული ორგანოები და საგამომძიებო დანაყოფები; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილი დანაყოფები, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოპერატიული ორგანოები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოპერატიული ორგანოები და საგამომძიებო დანაყოფები, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი, საგამომძიებო დეპარტამენტი, პენიტენციური დეპარტამენტისა და პენიტენციური დაწესებულებების უსაფრთხოების სამსახურები; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული, საგამომძიებო და სადაზვერვო ქვედანაყოფები, საქართველოს დაზვერვის სამსახურის ოპერატიული ორგანოები; პროკურატურის გამომძიებლები; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის გამომძიებლები და ოპერატიული სამმართველოს თანამშრომლები. დაკავების უფლებამოსილება ასევე გააჩნიათ საქართველოს ხელისუფლების სპეციალურ ორგანოებს, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ დაზვერვით ან/და კონტრდაზვერვით

<sup>432</sup> Murray v UK, ECtHR, (GC), 28/10/1994, §60; K.F. v Germany, ECtHR, 27/11/1997, §5; Wloch v Poland, 19/10/2000, §108, Labita v Italy, ECtHR, (GC), 06/04/2000, §155; GusInskIy v Russia, ECtHR, 19/05/2004, §53.

<sup>433</sup> იხ. დამატებით სსსკ-ის 34-ე მუხლის კომენტარი.

- (ოპერატიულ, ოპერატიულ-ტექნიკურ და სხვა) ღონისძიებებს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით – კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას – „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ორგანოებს, ასევე პროკურორები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ გამოძიების უფლება.
3. თუ აღნიშნული პირები იმყოფებიან შვებულებაში, საავადმყოფო ფურცელზე ან რაიმე სხვა საფუძვლით დროებით აქვთ შეჩერებული სამსახურებრივი უფლებამოსილება, მათ არ გააჩნიათ პირის დაკავების უფლება, თუმცა შეუძლიათ განახორციელონ დამნაშავის შეპყრობა კერძო პირის სტატუსით და უზრუნველყონ მისი წარდგენა უახლოეს სამართალდამცავ ორგანოში (და არა აუცილებლად მათ სამუშაო ადგილას). ამ დროს არ ხდება პირისათვის მისი უფლებების განმარტება, დაკავების განმხორციელებელი პროკურორის/გამომძიებლის/პოლიციელის მიერ არ დგება დაკავების ოქმი, დაუშვებელია თავისუფლებაშეზღუდული პირის პირადი ჩხრეკის წარმოება და ა.შ. დამნაშავის შეპყრობის შემთხვევაში შესაბამისი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს პოლიციას ან თავად მიიყვანოს პირი სამართალდამცავ ორგანოში. ოქმის შედგენა ხდება მხოლოდ დაკავებაზე უფლებამოსილი იმ პირის მიერ, ვისაც გადაეცემა დაკავებული პირი. შესაბამისად, ოქმი შედგება დაკავებულის უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის ან შესაბამის დაწესებულებაში მისი წარდგენის შემდეგ.
  4. სსკ-ით გათვალისწინებული დამნაშავის შეპყრობის ინსტიტუტი განსხვავდება საპროცესო დაკავებისგან. სსსკ-ი არ ითვალისწინებს კერძო პირის მიერ დაკავების განხორციელების შესაძლებლობას. დამნაშავის შეპყრობის შემთხვევაში კერძო პირს არ ეკისრება სსსკ-ით დადგენილი დაკავების წესის მარეგულირებელი ნორმების დაცვის ვალდებულება.

### **მუხლი 173. იმუნიტეტი დაკავებისას (1.08.2014 № 2634)**

**არ შეიძლება დაკავებულ იქნენ: დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი და მისი ოჯახის წევრები, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, გენერალური აუდიტორი, საქართველოს სახალხო დამცველი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, მოსამართლე. ეს აკრძალავს, საქართველოს პრეზიდენტის, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირისა და მისი ოჯახის წევრების გარდა, არ ვრცელდება ამ კოდექსის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზე.**

- 1.
2. მუხლით განსაზღვრული პირები პირობითად იყოფა ორ კატეგორიად – პირები, რომლებიც სარგებლობენ: 1) აბსოლუტური იმუნიტეტით (მაგ., საქართველოს პრეზიდენტი და დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირები, მათი ოჯახის წევრები), მათი დაკავება იკრძალება. გამონაკლისია დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის წარმომგზავნი სახელმწიფოს/საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან მისთვის იმუნიტეტის მოხსნა; 2) შეზღუდული/კვალიფიციური იმუნიტეტით – სსსკ-ის 173-ე მუხლში მითითებული დანარჩენი პირების დაკავება დაიშვება დანაშაულის ფაქტზე მათი წასწრების შემთხვევაში, თუმცა მათ მიმართ შემდგომი სისხლისსამართლებრივი დევნის, მათ შორის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის – აუცილებელია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებამოსილი ორგანოების თანხმობა.
3. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პარლამენტის წევრის დანაშაულის ფაქტზე წასწრების შემთხვევაში დაკავების ან დაპატიმრებისას – მისი დაკავების ან დაპატიმრების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული/დაპატიმრობული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
4. ანალოგიურ რეგულირებას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს



- საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან მიმართებით და ადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნებართვის სავალდებულოობას (საქართველოს კონსტიტუცია, 87-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან და წევრებთან მიმართებით – საქართველოს პარლამენტის (საქართველოს კონსტიტუცია, 90-ე მუხლის მე-4 პუნქტი), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებთან მიმართებით – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (საქართველოს კონსტიტუცია, 88-ე მუხლის მე-5 პუნქტი) ნებართვის სავალდებულოობას. საქართველოს პარლამენტის თანხმობაა საჭირო ასევე საქართველოს სახალხო დამცველის („სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი), საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის („კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი), ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დაკავების ან/და დაპატიმრებისათვის.
5. ადმინისტრაციული სამართალწარმოებისგან განსხვავებით, სსსკ-ის 173-ე მუხლი ითვალისწინებს მასში ჩამოთვლილი პირებისათვის შეზღუდულ იმუნიტეტს სისხლისსამართლებრივი დევნისას. კერძოდ, თუ ზემოთ აღნიშნული პირების დაკავება დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში შესაძლებელია უფლებამოსილი ორგანოსგან თანხმობის მიღებამდე, ადმინისტრაციული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე მათი დაკავება (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახის მიუხედავად) აკრძალულია, მათ შორის, თუნდაც, რამდენიმე საათით, იმუნიტეტის არსებობის გადამოწმების მიზნით (დასაშვებია მხოლოდ აღნიშნული პირების რამდენიმე წუთით შეყოვნება მათი თანამდებობრივი სტატუსის გადამოწმების მიზნით).

## მუხლი 174. დაკავების წესი

1. თუ არსებობს დაკავების საფუძველი, დამკავებელი მოხელე ვალდებულია დაკავებულს გასაგები ფორმით შეატყობინოს ეს, განუმარტოს, რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული, და აცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, და რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში. დაუშვებელი მტკიცებულებაა ის განცხადება, რომელიც დაკავებულმა ამ ნაწილით გათვალისწინებული განმარტების მიღებამდე გააკეთა.
  2. დამკავებელმა მოხელემ დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში.
  3. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან/და აპირებს თავიდან მოიშოროს, დააზიანოს ან გაანადგუროს მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე საგანი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, დამკავებელ მოხელეს უფლება აქვს, ჩაატაროს პირადი ჩხრეკა ამ კოდექსის 121-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესით.
  4. დაკავების ადგილას მიყვანისთანავე დაკავებული ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის დასადგენად, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა შემოწმდეს ექიმის მიერ და უნდა შედგეს სათანადო ცნობა. (7.12.2010. №3891 ამოქმედდეს 2010 წლის 10 დეკემბრიდან)
  5. დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. თუ ამ ვადაში დაკავებულს დადგენილება არ გადაეცა, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
  6. დაკავების ვადა ითვლება ბრალდებულის პატიმრობის ვადაში.
1. მოთხოვნა, რომ დაკავებულს განემარტოს დაკავების საფუძველი და დანაშაული, რომლის ჩანდენაშიც ის არის ბრალდებული, მიზნად ისახავს დაკავებულს საშუალება მიეცეს სადავო გახადოს დაკავების კანონიერება, თუ მიიჩნევს, რომ დასახელებული მიზეზები

- უკანონო ან დაუსაბუთებელია.<sup>434</sup> დაკავებულ პირს უნდა ეცნობოს დაკავების არსებითი სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, ამიტომ შეტყობინების ვალდებულება მოიცავს გარკვეულ ინფორმაციას როგორც დანაშაულის თაობაზე, ასევე აღნიშნულ დანაშაულში მისი მონაწილეობის შესახებ. განმარტება უნდა იყოს მარტივ, არატექნიკურ ენაზე გაკეთებული იმისათვის, რომ პირმა გააცნობიეროს რა ხდება მის გარშემო. შესაბამისად, ინფორმაციის მიწოდებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული პირის ინდივიდუალური უნარები და ნაკლი. დაკავების საფუძვლის განმარტება უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ზოგადსამართლებრივ საფუძველს დაკავებისათვის, არამედ საკმარის ფაქტობრივ დეტალებს,<sup>435</sup> რომელიც გამოავლენს საჩივრის არსს. მაგალითად, მითითებული უნდა იქნეს დაკავებული პირის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედება და სავარაუდო დაზარალებულის ვინაობა.<sup>436</sup> საფუძველი გულისხმობს დაკავების განხორციელების სსსკ გათვალისწინებულ წინაპირობას და არა დაკავების განმახორციელებელი თანამდებობის პირის სუბიექტურ მოტივაციას.
2. დაკავების საფუძვლების ზეპირად განმარტება აკმაყოფილებს თავისუფლების შეზღუდვის მიზეზების დაუყოვნებლივ განმარტების ვალდებულებას. დაკავებულს უფლებები განემარტება ზეპირად და დაკავების ოქმში მისი უფლებების ჩამონათვალის შეტანით. ამიტომ, თუ დაკავებულს მისი უფლებები განემარტა ან ზეპირად ან წერილობით (დაკავების ოქმში აღნიშვნით), უფლებათა განმარტების მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. სსსკ-ი ადგენს უფლებათა განმარტების ვალდებულებას „გასაგები ფორმით“, რაც არ გულისხმობს უპირობოდ ზეპირად განმარტების ვალდებულებას (თუმცა დამკვირდებული ადმინისტრაციული პრაქტიკის და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, პირს დაკავებისას დაუყოვნებლივ ზეპირი ფორმით განემარტება როგორც მინიმუმ ე.წ. მირანდას უფლებები და უფლება სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება).
  3. დაკავებულს დაკავების საფუძველი და უფლებები უნდა განემარტოს მისთვის გასაგებ ენაზე.<sup>437</sup> სათანადო ენაზე, მათ შორის ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი საინფორმაციო ლიფტეტები დაენმარება დაპატიმრებულ პირებს შეინახონ ეს ინფორმაცია.
  4. დაკავების საფუძველი და უფლებები პირს უნდა განემარტოს დაკავებისთანავე დაუყოვნებლივ. შესაბამისად, უფლებების და დაკავების საფუძვლის განმარტება წინ უნდა უსწრებდეს დაკავების ოქმის შედგენას. ცალკეულ შემთხვევებში ასეთი განმარტება/მყისიერი კომუნიკაცია შეიძლება არ იყოს შესაძლებელი. მაგალითად, დაყოვნება შეიძლება გაგრძელდეს თარჯიმნის მოსვლამდე, მაგრამ ნებისმიერი დაყოვნება უნდა იყოს მინიმალური და აბსოლუტურად აუცილებელი.<sup>438</sup> ცალკეულ შემთხვევაში დაკავებული პირისათვის, უფლებების და დაკავების საფუძვლების განმარტება შესაძლებელია არ იყოს საკმარისი, მაგალითად, არასრულწლოვნის დაკავებისას, დაკავების მიზეზები ასევე უნდა ეცნობოს მის კანონიერ წარმომადგენელს.<sup>439</sup> ცალკეული სახის ფსიქიკური დაავადების მქონე პირების დაკავებისას აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიენოდოს ასევე მათ მიერ დასახელებულ პირებსაც და ოჯახის წევრებსაც.
  5. დაკავებულ პირს დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ნებისმიერი ბრალდების შესახებ, თუმცა აუცილებელი არ არის, რომ ეს ინფორმაცია დაკავების მომენტში დეტალ-

<sup>434</sup> Campbell v Jamaica, UNHRC, 30/03/1992, §6.3.

<sup>435</sup> Galuashvili v Georgia, ECtHR, 17/07/2008, §38, §39; Keus v Netherlands, ECtHR, 25/10/1990, §22.

<sup>436</sup> Wenga and Shandwe v Democratic Republic of the Congo, UNHRC, 31/03/2016, §6.2.

<sup>437</sup> Wilson v The Philippines, UNHRC, 11/11/2003, §3.3;7.5; იხ. ასევე პრინციპების ერთობლიობა ნებისმიერი ფორმით დაპატიმრებული ან თავისუფებადკვეთილი პირების დაცვისათვის, დამტკიცებული გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 43/173, პრინციპები 13-14.

<sup>438</sup> Hill & Hill v Spain, UNHRC, 02/04/1997, §12.2.

<sup>439</sup> Krasnova v Kyrgyzstan, UNHRC, 27/04/2010, §8.5; იხ. ასევე გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10, §48.

- იზაციის ისეთივე მაღალი ხარისხით გამოირჩეოდეს, როგორც ეს აუცილებელია პირველი ნარდგენის სხდომისათვის მოსამზადებლად. ბრალდებასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია დაკავებულს შესაძლებელია მიენოდოს მოგვიანებით, დაკავებიდან 48 საათში – ბრალდების შესახებ დადგენილებით. თუმცა აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ დაკავებულმა პირმა გაიგოს რომელ დანაშაულთან დაკავშირებით და რატომ<sup>440</sup> აღკვეთა თავისუფლება, რისთვისაც მას „უნდა განუმარტონ.. მისი დაკავების ძირითადი სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, რათა მას გააჩნდეს შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს დაკავების კანონიერების გასაჩივრების მიზნით.“<sup>441</sup>
6. ეს განმარტებები დაკავებულს უნდა მიენოდოს დაუყოვნებლივ, თუმცა პოლიციელს, რომელიც მას აკავებს, შეუძლია ყველა განმარტება მაშინვე არ მისცეს. იმისთვის, რომ გაირკვეს მიენოდა თუ არა მას დროულად და საკმარისი განმარტება, გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული საქმის თავისებურებანი.<sup>442</sup> ინფორმაცია, რომელიც დაკავებულს უნდა მიენოდოს უნდა იყოს საკმარისი დაკავების კანონიერების გასაჩივრებისათვის. ამდენად, არ შეიძლება კონკრეტულის ხარისხის ზოგადად განსაზღვრა. იგი დამოკიდებულია კონკრეტული დაკავების აუცილებლობისათვის მოყვანილ საფუძველზე და კონკრეტული საქმის გარემოებებზე.
  7. აღნიშნული საკანონმდებლო რეგულირების მიზანია, რომ დაკავებულ პირს შესაძლებლობა ჰქონდეს სადავო გახადოს დაკავების კანონიერება, თუ დაკავება დაუსაბუთებლად ან/და უკანონოდ მიაჩნია. ამიტომ დაკავების მიზეზები და საფუძვლები მითითებული უნდა იყოს კონკრეტულად, მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული სსკ-ის რომელი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით მოხდა პირის დაკავება და რომელი ფაქტობრივი ინფორმაციის საფუძველზე.<sup>443</sup>
  8. ამასთან, დაკავების განმახორციელებელი პირი არ არის ვალდებული დაკავების მომენტში დეტალურად განუმარტოს დაკავებულ პირს მთელი ბრალდება.<sup>444</sup> როდესაც პირის დაკავება ხორციელდება ერთზე მეტ დანაშაულთან დაკავშირებით, დაკავების განმახორციელებელი პირი ვალდებულია მინიმალური მოცულობით მაინც აცნობოს დაკავებულს დაკავების მომენტში ყველა იმ დანაშაულის შესახებ, რომელთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს გამოძიება და ხორციელდება მისი დაკავება.<sup>445</sup>
  9. ინფორმაცია დაკავების საფუძვლების შესახებ პირს უნდა მიენოდოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ობიექტურად შესაძლებელია არსებობდეს ბრალდებულის მხრიდან მტკიცებულების განადგურების საფრთხე.
  10. განმარტება უნდა მიენოდოს პირს დაუყოვნებლივ და არა „მაშინვე“, რაც არ გამოორიცხავს მცირეოდენ დაყოვნებას, თუ აღნიშნული განპირობებულია ობიექტური და რეალურად არსებული გარემოებებით და დაყოვნება გონივრული ხანგრძლივობისაა. მაგალითად, თარჯიმნის მოყვანა, პირის მძიმე ინტოქსიკაცია (ნარკოტრობა, სიმთვრალე), რის გამოც პირს არ შეუძლია ინფორმაციის შინაარსის გაგება. პირის გაქცევის შემთხვევაში საკმარისია მისი ინფორმირება სამართალდამცავ ორგანოებთან მისი პირველივე კონტაქტის დროს.
  11. დაკავების საფუძველი და მიზეზი პირს უნდა ეცნობოს უშუალოდ დაკავების მომენტში.

<sup>440</sup> *Conka v Belgium*, ECtHR, 05/02/2002, §50.

<sup>441</sup> *Baisuev and Anzorov v Georgia*, ECtHR, 18/12/2012, §64; ასევე იხ. *Fox, Campbell and Hartley v. the UK*, ECtHR, 30/08/1990, §40; *Shamayev and Others v Georgia and Russia*, ECtHR, 12/04/2005, §413.

<sup>442</sup> *Fox, Campbell and Hartley v the UK*, ECtHR, 30/08/1990, §40; *Shamayev and Others v Georgia and Russia*, ECtHR, 12/04/2005, §413.

<sup>443</sup> *Shamayev and Others v Georgia and Russia*, ECtHR, 12/04/2005, §413; *Kortesis v Greece*, ECtHR, 12/06/2012, §§58-62; *Nechiporuk and Yonkalo v Ukraine*, ECtHR, 21/04/2011, §§209-211; *Kelly v Jamaica*, UNHRC, 10/04/1991, §5.8.

<sup>444</sup> *Fox, Campbell and Hartley v the UK*, ECtHR, 30/08/1990, §40-41; *Shamayev and Others v Georgia and Russia*, ECtHR, 12/04/2005, §§413-428.

<sup>445</sup> *Lutsenko v Ukraine*, ECtHR, 03/07/2012, §77.

- თუმცა ცალკეულ შემთხვევებში დაყოვნება გარდუვალი და გამართლებულია (მაგალითად, როდესაც საჭიროა თარჯიმნის მოძიება) იმ პირობით, რომ დაკავებული დაკავების მომენტიდან გარკვეული ზომით აცნობიერებს დაკავების მიზეზს.
12. იმისათვის, რომ პირს ჰქონდეს უფლებების გამოყენების რეალური შესაძლებლობა, მისთვის ცნობილი უნდა იყოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ნებისმიერ თავისუფლებაშეზღუდულ პირს უნდა განემარტოს მისი უფლება-თავისუფლებები და ის, თუ როგორ შეუძლია აღნიშნული უფლებების რეალიზება.<sup>446</sup> უფლებების განმარტება უნდა განხორციელდეს დაკავების ოქმის შედგენამდე.
  13. დაკავებული პირის მიერ, მისთვის უფლებების განმარტებამდე გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, ასევე ასეთი განცხადების საფუძველზე მოპოვებული ნებისმიერი მტკიცებულება დაუშვებელი მტკიცებულებაა. გამოძიების ორგანოს ეკრძალება პირის ბრალეულობის, ან ცალკეული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების წარმოებაზე სასამართლოს ნებართვის მოპოვებისათვის აღნიშნულ ინფორმაციაზე აპელირება, მაგრამ აღნიშნული არ გამოირიცხავს უფლებათა განმარტებამდე ნებაყოფლობით გაკეთებული განცხადების გამოყენებას არაპირდაპირ – საგამოძიებო ტექნიკის, საგამოძიებო ვერსიების გადამოწმების მიზნებისათვის. მაგალითად, პირის დაკავებისას განხორციელებული პირადი ჩხრეკისას მისგან ამოღებულ იქნა ნარკოტიკული ნივთიერება. თუ დამკავებელი პირის მიერ სსკ-ის 174-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული უფლებების, დაკავების საფუძვლის და ბრალდების განმარტებამდე, ბრალდებულმა გააკეთა განმარტება აღნიშნული ნივთიერების წარმომავლობის შესახებ (მაგალითად, მიუთითა, რომ აღნიშნული ნივთიერება მისი მეგობრის წამალია, რომელსაც ექიმის დანიშნულებით მოიხმარს. გუშინ მეგობარს მის სახლში დარჩა და მიჰქონდა მეგობართან), ბრალდებულის განმარტება დაუშვებელი მტკიცებულებაა. დაუშვებელი იქნება, ასევე აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე დაკავებული პირის მიერ მითითებული მისი მეგობრის ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ მტკიცებულებებიც.
  14. პირადი ჩხრეკა – დაკავებისას პირადი ჩხრეკა ტარდება სასამართლოს განჩინების და გამოძიებლის დადგენილების გარეშე, არ დგება ცალკე პირადი ჩხრეკის ოქმი და განხორციელებულ პირად ჩხრეკასთან დაკავშირებული ინფორმაცია(ჩხრეკის საფუძველი, ჩხრეკის მიმდინარეობა და ამოღებული საგნები) შეიტანება დაკავების ოქმში.
  15. მიუხედავად იმისა რომ დაკავებისას პირადი ჩხრეკის წარმოება დაიშვება დადგენილების და განჩინების გარეშე, სსკ-ის 174-ე მუხლის შესაბამისად, მოგვიანებით პირადი ჩხრეკის კანონიერების შემოწმებაზე ხორციელდება სასამართლო კონტროლი. ამდენად, პირადი ჩხრეკის კანონიერება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად იყო დაცული სსკ-ის 112-ე და 120-ე მუხლის მოთხოვნები, რამდენად არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე ჩხრეკის ჩატარებისათვის დასაბუთებული ვარაუდი, რამდენად იყო დაცული პირადი ჩხრეკის წარმოების და ამოღებული მტკიცებულების საპროცესო დამაგრების წესი.
  16. ბრალდების შესახებ დადგენილების 48 საათში წარუდგენლობის გამართლება საქმეში მონაწილე ბრალდებულთა სიმრავლის, დაკავებული ბრალდებულის ჰოსპიტალიზაციით, ბრალდებისთვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებული სირთულეებით ან ნებისმიერი სხვა ადმინისტრაციული სიძნელეებით არ წარმოადგენს საპატიო გარემოებას. მათ შორის საპატიო გარემოებას არ წარმოადგენს არც სამხედრო წვრთნების, სავლელ მომზადების და სხვა გარემოებები. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ წვრთნები

<sup>446</sup> იხ., საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტი, მუხლი 55(2), 60(1); მტკიცების წესები, წესი 117(1), ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ზოგადი შენიშვნა №2, §13; ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კომისიის სტანდარტები CPT/inf.(96)21(1996) §16, CPT/inf (92)3 (1992), §§36-37; the Prosecutor v William Samoei Ruto, Henry Kiprono Koshey and Joshua Arap Sang, ICC, 30/03/2011) §5.

წინასწარ იყო დადგენილი და მათი ჩატარების დრო და ადგილი წინასწარ იყო ცნობილი ბრალდების მხარისათვის.<sup>447</sup>

17. თავდაპირველად კანონიერი დაკავება შესაძლებელია მოგვიანებით იქცეს უკანონო ან თვითნებურ დაკავებად. დაკავება უკანონო და თვითნებურია, თუ დაკავებისას არსებითად ირღვევა დაკავებული პირის უფლება სამართლიან სასამართლოზე, ადგილი აქვს პირის იძულებით გაუჩინარებას ან ფარულ დაკავებას,<sup>448</sup> თუ დაკავების ვადის ამონჭრვის ან სასამართლოს მიერ პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის ან არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემდეგაც არ ხდება პირის გათავისუფლება.<sup>449</sup>
18. თვითნებური დაკავების აკრძალვა საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმაა<sup>450</sup>, არ ექვემდებარება შეზღუდვას ან/და დათქმებს და დაცული უნდა იყოს ყოველთვის, მათ შორის საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობისას.
19. სსსკ-ი ითვალისწინებს დაკავებული პირის უფლებას მისი ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის დასადგენად ექიმის მიერ შემოწმებას. აღნიშნული შესაძლებელია უკავშირდებოდეს დაკავებული პირის ქრონიკულ დაავადებას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას დაკავების ფონზე (მაგალითად, ფსიქოლოგიური ფონი) ან/და დაკავებისას მის მიმართ გადამეტებული ფიზიკური ძალის გამოყენების ან/და ფიზიკური დაზიანების მიყენების ფაქტის დადასტურების მიზანს. აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა პირს ენიჭება დაკავების ადგილას მიყვანისთანავე, იმისდა მიუხედავად, წარედგინა თუ არა მას ბრალდება ან/და შედგენილია თუ არა დაკავების ოქმი. დაკავებული პირის აღნიშნული მოთხოვნა სავალდებულოა შესასრულებლად გამოძიების ორგანოსთვის. ექიმის მიერ შემოწმების თაობაზე უნდა შედგეს ცნობა, რომელშიც სხვა მონაცემებთან ერთად ასევე უნდა აღინიშნოს შემოწმების ჩატარების დრო და ადგილი, დაკავებულის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა შემოწმებისას, მის სხეულზე გამოხატული ფიზიკური ზემოქმედების კვალი დადგენილი სტანდარტების შესაბამისად და სხვა.
20. „დაუყოვნებლივ მიყვანა“ გულისხმობს დაკავებული პირის დროულ, მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში და გაუმართლებელი დაკავების გარეშე მიყვანას შესაბამის დანესებულებაში. მიყვანის სისწრაფის/დაუყოვნებლივ მიყვანის მოთხოვნილების დაცვის საკითხის განხილვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს: 1) ობიექტური დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა, მაგალითად, ბუნებრივი მოვლენები (მენყერი, წყალდიდობა, ზვავი და სხვა), მასობრივი არეულობა, საომარი მოქმედებები და სხვა; 2) დაკავებულის მონაწილეობით ადგილზევე ცალკეული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების განხორციელების საჭიროება. მაგალითად, დაკავებულის პირადი ჩხრეკა, პირის სახლში დაკავებისას – ბი-

<sup>447</sup> *Koster v the Netherlands*, ECtHR, 26/05/1993.

<sup>448</sup> იხ., იძულებითი გაუჩინარების შესახებ კონვენციის მე-2 და მე-17(1) მუხლები; UN General Assembly, Human Rights Council 22<sup>nd</sup> session, Report of the Working Group on Arbitrary Detention, A/HRC/22/44, 24/12/2012, §38 (c); *Chitayev v Russia*, ECtHR, 18/01/2007, §§172-173; *El-Masri v the Former Yugoslav Republic of Macedonia*, ECtHR, (GC)13/12/2012, §§230-241; *Salem Saad Ali Bashasha v the Libyan Arab Jamahiriya*, UNHRC, 20/10/2010 §7.6.

<sup>449</sup> UN Human Rights Council, 13<sup>th</sup> session, A/HRC/13/30/Add.1; Promotion And Protection of All Human Rights, Civil, Political, Economic, Social and Cultural Rights, including The Right to Development, Opinions adopted by the Working Group on Arbitrary Detention, 02/03/2010, Opinion No. 27/2008, §§82-83; *Asanidze v Georgia*, ECtHR, (GC), 08/04/2004, §173.

<sup>450</sup> UN Human Rights Committee, CCPR General Comment No. 24: issues Relating to Reservations Made upon Ratification or Accession to the Covenant or the Optional Protocols thereto, or in Relation to Declarations under Article 41 of the Covenant Adopted at the 52<sup>nd</sup> Session of the UN Human Rights Committee, 04/11/1994, CCPR/C/21/Rev.1/Add.6, §8; UN Human Rights Committee, CCPR General Comment No. 29: Article 4: Derogations during a State of Emergency, 31/08/2001, CCPR/C/21/Rev.1/Add.11, §11; UN General Assembly, Human Rights Council 22<sup>nd</sup> session, Report of the Working Group on Arbitrary Detention, A/HRC/22/44, 24/12/2012, §§37-75.

ნის ჩხრეკა და სხვა; 3) საჭირო იყოს დაკავებულის მიყვანა ჯერ სამედიცინო დაწესებულებაში ან/და საექსპერტო დაწესებულებაში, მაგალითად, ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის ფაქტის გამოსარკვევად, პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად და სხვა. და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ პირის მიყვანა პოლიციის დაწესებულებაში. ასეთ დროს დაყოვნების მიუხედავად მაინც დაცულია „დაუყოვნებლიობის“ მოთხოვნა.

21. დაკავების საერთო ხანგრძლივობის სიმცირის გათვალისწინებით, სსსკ-ი ითვალისწინებს დაკავებული პირის მიყვანას პირველივე სამართალდამცავ ორგანოში. შესაბამისად, საქართველოს მასშტაბის გათვალისწინებით გამოირიცხება დროის სიმცირის გამო პირისათვის დროულად ბრალდების წარუდგენლობა ან/და მისი სასამართლოში დროულად მიყვანის შეუძლებლობა.

## მუხლი 175. დაკავების ოქმი

1. დამკავებელმა მოხელემ დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა შეადგინოს დაკავების ოქმი. თუ დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე ობიექტური მიზეზით (მიზეზებით) შეუძლებელია, იგი უნდა შედგეს დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე.

2. დაკავების ოქმში უნდა აღინიშნოს: ვინ, სად, როდის, რა ვითარებაში, ამ კოდექსში მითითებულ რომელ საფუძველზეა დაკავებული, დაკავებულის ფიზიკური მდგომარეობა დაკავების მომენტში, რომელი დანაშაულის ჩადენაშია იგი ბრალდებული, მისი პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანის ზუსტი დრო, ამ კოდექსით გათვალისწინებული ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხა, აგრეთვე შესაბამის შემთხვევაში ის ობიექტური მიზეზი (მიზეზები), რომლის (რომელთა) არსებობის გამოც შეუძლებელი იყო დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე.

3. დაკავების ოქმს ხელს აწერენ: თანამდებობის პირი, რომელმაც პირი დააკავა, დაკავებული და მისი აღვოკატი (მისი ყოფნის შემთხვევაში). ბრალდებულის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე ოქმს ხელს აწერს პოლიციის ან სხვა სამართალდამცავ ორგანოს უფლებამოსილი პირი. დაკავებულს გადაეცემა დაკავების ოქმის ასლი. თუ დაკავებისას ჩატარდა პირის პირადი ჩხრეკა, ამ საგამოძიებო მოქმედების თაობაზე ცალკე ოქმი არ დგება.

4. თუ დაკავებისას პირს არ განემარტა ამ კოდექსის 174-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და არ გადაეცა დაკავების ოქმი ან თუ დაკავების ოქმი შედგენილია არსებითი დარღვევით, რომელიც აუარესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, თავისუფლებაზეზღუდული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

1. პირი დაკავებულად ითვლება და დაკავების ვადის დინების ათვლა იწყება მისი მიმოსვლის თავისუფლების ფაქტობრივი შეზღუდვის მომენტიდან, იმისდა მიუხედავად, თუ როდის და სად იქნება შედგენილი დაკავების ოქმი. თუ დაკავებული პირი არ ეთანხმება დაკავების ოქმში გადმოცემული ინფორმაციის სისწორეს, მას შეუძლია ოქმზე შენიშვნის გაკეთების გზით მიუთითოს ოქმის რა ნაწილს და რაში არ ეთანხმება.

2. დაკავების ვადა ითვლება პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საერთო ვადაში და გამოიქვითება სასჯელის სახით პირისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობიდან. შესაბამისად, პირის მიმართ დაკავების გამოყენებისას, რომელიც მოგვიანებით შეიცვალა პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებით, ბრალდებულის მიმართ თავისუფლების შეზღუდვის საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ჯამში 9 თვეს.

3. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ი ითვალისწინებს დაკავებული პირისათვის ბრალდების და სასამართლოში ბრალდებულის წარდგენას დაკავებიდან 48 საათში, აღნიშნული რე-

- გულირება ვადის სიმცირის გამო არ ათავისუფლებს პროცესის მწარმოებელ ორგანოს „ჯეროვანი გულმოდგინებით“ საქმისწარმოების ვალდებულებისგან და პირისთვის ბრალის პირველივე შესაძლებლობისთანავე წარდგენის ვალდებულებისგან, როგორც კი გამოძიების ორგანოს მიერ მოპოვებული იქნება საკმარისი რაოდენობის მტკიცებულება ბრალდებისათვის.
4. დაკავებული პირის საექსპერტო კვლევისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება დაიშვება პირისათვის ბრალის წარდგენის და პირველი წარდგენის სხდომის წარმოების შემდეგ. შესაბამისად, დაკავების ხანგრძლივობა არ შედის სსსკ-ის 181-ე მუხლით განსაზღვრულ სამედიცინო დაწესებულებაში პირის ყოფნის საერთო ვადაში.
  5. დაკავების ოქმში უნდა აღინიშნოს დაკავების დრო, ადგილი, ვითარება (წინააღმდეგობის განწევა, გაქცევის მცდელობა, პირის დაკავება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას/მასობრივი არეულობის დროს და სხვა), საფუძველი (სსსკ-ის 171-ე მუხლით გათვალისწინებული კონკრეტული საფუძველი/საფუძველები და არა ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ყველა საფუძველი ერთდროულად) და მიზანი, პირის ქცევა დაკავებისას (წინააღმდეგობის განწევა), იარაღის არსებობის ან/და გამოყენების ფაქტი, გაქცევის მცდელობა, მტკიცებულებათა განადგურება, ფიზიკური ძალის/სპეცსამუშაულების, იარაღის გამოყენება დაკავებისას, დაკავებულისათვის სხეულებრივი დაზიანების მიყენების და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფაქტი, დაკავებულის მდგომარეობა დაკავებისას (ალკოჰოლური/ნარკოტიკული თრობის მდგომარეობა, ტრავმების, სისხლნაჟღერების, ნაკანრების, კანის საფარველის მთლიანობის დარღვევა, ტანსაცმლის მდგომარეობა და სხვა), დანაშაული, რომლის ჩადენაშიც არის ის ბრალდებული – უნდა აღინიშნოს როგორც სსკ კონკრეტული მუხლი, ასევე შერაცხული ქმედების მოკლე აღწერაც, მაგალითად, მოქალაქე A-ს განზრახ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 109-ე მუხლით; დაკავებაში მონაწილე პირების ვინაობა, ფაქტობრივი დაკავების ზუსტი დრო, დაკავებულის პოლიციაში/შესაბამის ორგანოში მიყვანის ზუსტი დრო, ოქმის შედგენის ზუსტი დრო და ადგილი, პირადი ჩხრეკის წარმოების დრო (როდესაც ოქმის შედგენა ხორციელდება დღეთა მიჯნაზე, შესაძლებელია ოქმის შედგენის დანყების და დასრულების თარიღები განსხვავებული იყოს) და პირადი ჩხრეკის შედეგები, დაკავებულის სხეულზე სისხლჩაქცევების/ სილურჯების/ ჭრილობების და სხვა კვალი და სხვა. დაკავების ოქმში ასევე უნდა აღინიშნოს პირადი ჩხრეკის გზით პირისგან ამოღებული თითოეული ნივთის ინდივიდუალური მახასიათებლები და მისი აღმოჩენის ზუსტი ადგილი, უნდა შედგეს ამოღებული ნივთების ნუსხა, ამ ნივთების რაოდენობის, ზომის, წონის, მდგომარეობის, ცვეთის ხარისხის და სხვა ინდივიდუალური მახასიათებლების და სავარაუდო ფასის მითითებით. ასევე უნდა მიეთითოს მტკიცებულების განადგურების/დამალვის მცდელობის ფაქტი და გატარებული ზომები; გატარებულ უნდა იქნეს ზომები დაკავებული პირის პირად ცხოვრებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამჟღავნების პრევენციისათვის. დაკავების ოქმი ხელწერილით უნდა გადაეცეს დაკავებულ პირს უშუალოდ.
  6. დაკავების ვადის ათვლა იწყება პირის ფაქტობრივი დაკავებიდან. შესაბამისად, დაკავებისას მნიშვნელოვანია დაკავების ზუსტი დრო – საათი და წუთი. როდესაც სადავოა პოლიციაში ბრალდებულის დაკავების ხანგრძლივობა, ხანგრძლივობის ამსახველი ოფიციალური დოკუმენტის არარსებობის პირობებში, რაც ბრალდების მხარის არგუმენტს გაამყარებდა, უპირატესობა ენიჭება დაცვის მხარეს, ვინაიდან ბრალდების ვალდებულებაა წარმოადგინოს დეტალური საათობრივი ანგარიში, რომელიც გამყარებული იქნება დამაჯერებელი მტკიცებულებით.<sup>451</sup>
  7. სსსკ-ის 175-ე მუხლი ითვალისწინებს დაკავების ოქმის შედგენის ორ წესს: 1) ზოგადი წესი

<sup>451</sup> Baisuev and Anzorov v Georgia, 18/12/2012, §52; Creangă v Romania (GC), 03/02/2012, §§ 89-90; Salayev v Azerbaijan, ECtHR, 09/11/2010, §39; Farhad Aliyev v Azerbaijan, ECtHR, 09/11/2012, §157; Boris Popov v Russia, ECtHR, 28/10/2010, §61.

- ოქმი უნდა შედგეს უშუალოდ დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ; 2) საგამონაკლისო წესი – სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე.
8. ტერმინი „დაუყოვნებლივის“ მნიშვნელობა შესაძლებელია იცვლებოდეს ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე.<sup>452</sup>
9. დაკავების ოქმი როგორც წესი უნდა შედგეს დაკავების ადგილზე, დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ. ოქმის შედგენის საგამონაკლისო წესის თანახმად, ოქმის სამართალდამცავ ორგანოში დაკავებულის მიყვანის შემდეგ დაიშვება: 1. თუ ობიექტურად არსებული გარემოებების გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია ოქმის დაკავების ადგილას შედგენა. მაგალითად, მასობრივი არეულობის დროს/მიტინგის/საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას პირის დაკავება; 2. ოქმი შედგენილია დაკავებული პირის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე; 3. ოქმში სავალდებულო წესით უნდა აღინიშნოს მიზეზი, რომლის გამოც ოქმი ვერ შედგა დაკავების ადგილზე.
10. სამართალდამცავ ორგანოში მიყვანა გულისხმობს პირის იძულებით გადაყვანას მისი გადაადგილების თავისუფლების ფაქტობრივი შეზღუდვის ადგილიდან სამართალდამცავ ორგანოში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მეთვალყურეობით. პირი მიყვანილად ითვლება იმ მომენტიდან, როგორც კი ის შევიდა შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოს შენობაში/გამომძიებლის სამუშაო კაბინეტში. პირის მიყვანის ფაქტი უნდა დასტურდებოდეს სარეგისტრაციო ჟურნალში შესაბამისი ჩანაწერით.
11. ოქმის შედგენის ადგილი ზუსტად უნდა იყოს მითითებული, მაგალითად გამომძიებელი პეტრეს სამუშაო კაბინეტში და არა ზოგადად, კონკრეტული სამართალდამცავი ორგანოს მითითებით (მაგალითად, ქ. თბილისის საქალაქო პროკურატურა).
12. დაკავების ოქმს ხელს აწერს დაკავების განმახორციელებელი პირი და დაკავებული. ოქმზე ხელმოწერა/დაკავების ასლის ჩაბარება დაკავებულის უფლებაა და არა მოვალეობა, თუ დაკავებული უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერზე, აღნიშნული უნდა აისახოს ოქმში და მიეთითოს უარის თქმის მიზეზი. დაკავებულს ასევე უფლება აქვს შენიშვნა გააკეთოს ოქმზე, თუ არ ეთანხმება დაკავების ოქმში გადმოცემულ ინფორმაციას მთლიანად ან ნაწილობრივ. ამასთან, შეუძლია დააზუსტოს ოქმში მითითებული რაიმე გარემოება. თუ დაკავებული ფიზიკური ნაკლის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ობიექტურად მოკლებულია ოქმის ხელმოწერის შესაძლებლობას, აღნიშნულიც აისახება ოქმში და მასში გადმოცემული ინფორმაციის სისწორე დასტურდება გამომძიებლის ხელმოწერით.
13. დაკავების ოქმის ასლი უნდა გადაეცეს დაკავებულ პირს, თუმცა ასლის ჩაბარებაც დაკავებულის უფლებაა. მან შესაძლოა ჩაიბაროს ასლი, მაგრამ ხელი არ მოაწეროს დაკავების ოქმს, ან საერთოდ უარი თქვას ასლის ჩაბარებაზე. ამ შემთხვევაში ოქმი გადაეცემა ადვოკატს, ხოლო საქმის მასალებში/დაკავების ოქმზე დაკავების განმახორციელებელი პირი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას (მაგალითად, დაკავებული გაეცნო დაკავების ოქმს, მაგრამ უარი განაცხადა მის ხელმოწერასა და ასლის ჩაბარებაზე).
14. დაკავების განმახორციელებელი პირი ვალდებულია განხორციელებული დაკავების შესახებ წერილობით აცნობოს პროკურორს. აღნიშნული წესი თანაბრად ეხება როგორც სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ასევე გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული დაკავების შემთხვევებს. დაკავების ოქმს პროკურორის დადასტურება/ვიზირება არ სჭირდება.
15. ბრალდებულის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე ოქმს ხელს აწერს პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი პირი (კერძო პირის მიერ დამნაშავის შეპყრობის და შესაბამის ორგანოში მიყვანის შემთხვევაში კი ეს თანამდებობის პირი ადგენს დაკავების ოქმს). მაგრამ თუ დაკავება განხორციელდა პროკურორის/გამომძიებლის მიერ, ოქმი დამატებით დადასტურებას არ სჭირდება.

<sup>452</sup> Kovalev v Belarus, UNHRC, 29/10/2012, §13.



16. დაკავების ოქმს მტკიცებულებითი მნიშვნელობა ენიჭება როგორც პირის მიმართ გადაადგილების თავისუფლების ფაქტის მტკიცების, ასევე მისი დაკავების დროის, ადგილის, დაკავების პირობებისთვის.
17. სსსკ-ი არ აკონკრეტებს რომელ სამართალდამცავ ორგანოში უნდა იქნეს მიყვანილი გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე დაკავებული პირი. შესაბამისად, სსსკ-ის 174-ე მუხლით გათვალისწინებული სუბიექტების სპეციფიკიდან გამომდინარე ეს შეიძლება იყოს პროკურატურა, თუ დაკავება განხორციელებულია პროკურატურის გამომძიებლის მიერ, პოლიციის განყოფილება – პატრულის მიერ დაკავების განხორციელებისას და ა.შ. არ არის დაკონკრეტებული არც ტერიტორიული არეალი. გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე დაკავების შემთხვევაში, დამკავებელი სუბიექტი ვალდებულია პირი მიიყვანოს არა უშუალოდ იმ ორგანოში, სადაც თავად მუშაობს, არამედ უახლოეს სამართალდამცავ ორგანოში (საგნობრივი/უნყებრივი და ტერიტორიული ქვემდებარეობის მიუხედავად), ხოლო თუ დაკავება ხორციელდება სასამართლოს ნებართვის საფუძველზე – დაკავების განმახორციელებელ ორგანოში.
18. პირის მიმართ დაკავების გამოყენების საკითხის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იყოს ეჭვის სიმყარე, დასაკავებელი პირის პიროვნული მახასიათებლები, მისი ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა, საქმიანობა და სხვა გარემოებები. სანქციონირებული დაკავება, ისევე როგორც პატიმრობა, უნდა ატარებდეს საგამონაკლისო ხასიათს.

## მუხლი 176. დაკავებულის გათავისუფლების საფუძველი და წესი

1. დაკავებული უნდა გათავისუფლდეს, თუ:

- ა) არ დადასტურდა ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული;
- ბ) არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ;
- გ) გავიდა დაკავების ამ კოდექსით დადგენილი ვადა;
- დ) არ იქნა მიღებული უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობა დაკავებაზე;
- ე) დაკავებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი.
  - ვ) სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მისაღწევად დაკავება აღარ არის აუცილებელი. (7.12.2010. №3891 ამოქმედდეს 2010 წლის 10 დეკემბრიდან)
2. დაკავებული თავისუფლდება პროკურორის ან მოსამართლის გადაწყვეტილებით.
3. დაკავებული თავისუფლდება დაკავებულთა ყოფნის ადგილის უფროსის დადგენილებით, თუ გავიდა დაკავების ვადა.
4. გათავისუფლებისას დაკავებულს გადაეცემა გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ასლი.
5. იმის მიუხედავად, იქნება თუ არა დაკავებული მსჯავრდებული, მას უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანი სრული მოცულობით აუნაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან.)
6. პროკურორის დადგენილებით შესაძლებელია ბრალდებულის დროებით გამოყვანა დაკავების ადგილიდან მის მიერ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩასატარებელია ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომელში მონაწილეობაც მოითხოვს დაკავებულის თანხმობას. დაკავებულს საგამოძიებო მოქმედების დასრულებისთანავე, დაუყოვნებლივ აბრუნებენ დაკავების ადგილას.

1. გათავისუფლებისას დაკავებულს უნდა გადაეცეს გათავისუფლების შესახებ გად-

- ანყვეტილების ასლი, რომელშიც აღინიშნება მისი დაკავების საფუძვლები, დამკავებელი პირის ვინაობა, დაკავების დრო, ადგილი, თარიღი, ასევე გათავისუფლების თარიღი, დრო და ადგილი, გათავისუფლების საფუძველი.
2. დაკავებული პირის გათავისუფლების საფუძვლები მჭიდროდ არის დაკავშირებული დაკავების მიზნებთან. თუ 48 საათში არ დადასტურდება პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ გამოძიების ორგანოს ვარაუდი შესაბამისი მტკიცებულებითი სტანდარტით, რის გამოც გამოძიების ორგანო უარს იტყვის დაკავებულისთვის ბრალდების წარდგენაზე – პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს და მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლის სამართლებრივი დევნა. თუმცა აღნიშნული პირს უპირობოდ არ ანიჭებს კომპენსაციის მიღების უფლებას. კერძოდ, თუ დაკავება განხორციელდა სსსკ-ით დაკავებისთვის გათვალისწინებული დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის და დაკავების წესის დაცვით.
  3. სსსკ-ის 176-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად – არ დადასტურდა ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. სსსკ-ი დაკავების განხორციელებას უკავშირებს დასაბუთებულ ვარაუდს, რაც გულისხმობს უფრო მაღალ მტკიცებულებით სტანდარტს თუნდაც გონივრულ ეჭვთან შედარებით. შესაბამისად, გაუგებარია, რა ტიპის ეჭვს გულისხმობს კანონმდებელი. სავარაუდოდ, იგულისხმება შემთხვევები, როდესაც არ დადასტურდა ვარაუდი ბრალდებულის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შესახებ.
  4. დაკავებული პირი უნდა გათავისუფლდეს დაკავების ვადის ამონაწერამდე, როდესაც სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისთვის დაკავება აღარ არის აუცილებელი – აღარ არსებობს დაკავებული პირის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე.
  5. სსსკ ითვალისწინებს დაკავებული პირის გათავისუფლების შესაძლებლობას სამი სუბიექტის მიერ: 1) პროკურორი – თუ დაკავებიდან 48-საათიანი ვადის ამონაწერამდე პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას ბრალდებულისათვის ბრალდების წაყენებაზე უარის თქმის შესახებ ან არ იქნა მიღებული უფლებამოსილი პირის თანხმობა დაკავებაზე/ დაკავება აღარ არის აუცილებელი სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისათვის; 2) სასამართლოს მიერ – თუ სასამართლო აუცილებლად არ მიიჩნევს პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას ან/და უკანონოდ ჩათვლის პირის მიმართ განხორციელებულ დაკავებას და სხვა; 3) დაკავებულთა ყოფნის ადგილის უფროსის დადგენილებით – თუ გავიდა დაკავების ვადა.
  6. დაკავებულ პირს გათავისუფლებისას გადაეცემა გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ასლი, რომელშიც უნდა აღინიშნოს პირის დაკავების საფუძველი, ხანგრძლივობა და გათავისუფლების საფუძველი. გადაწყვეტილების ასლთან ერთად პირს ასევე გადაეცემა პირადი ნივთები და დოკუმენტები.
  7. პირი ბრალდებულის სტატუსს ინარჩუნებს დაკავებიდან სსსკ-ის 176-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ყველა საფუძველით მისი გათავისუფლების შემთხვევაში. გამონაკლისია ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომელიც იწვევს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას. შესაბამისად, ვადის ამონაწერა, დაკავებისას საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევა, თანხმობის არარსებობა, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ან უარი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე და სხვა იწვევს პირის გათავისუფლებას თავისუფლების შეზღუდვის ადგილიდან, მაგრამ არა მისთვის ბრალდებულის სტატუსის მოხსნას.
  8. პირს კომპენსაციის უფლება ენიჭება ორ შემთხვევაში: 1) დაკავება იყო დაუსაბუთებელი; 2) დაკავება იყო უკანონო.
  9. დაკავებისას საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევა პირს ანიჭებს კომპენსაციის მიღების უფლებას, იმისდა მიუხედავად მის მიმართ გრძელდება თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოყენებული იქნება საპატიმრო თუ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება. კომპენსაციის უფლება უკავშირდება მხოლოდ ჩადენილ დარღვევას და მას

- გავლენა არა აქვს პირის შემდგომ სამართლებრივ სტატუსზე, არ აუქმებს მისთვის წარდგენილ ბრალს (თუ ბრალი დასტურდება კანონიერი გზით მოპოვებული სხვა მტკიცებულებებით) და ასევე არ არის დამოკიდებული სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენის სახეზე. შესაბამისად, პირს კომპენსაცია ენიჭება იმ შემთხვევაშიც, თუ მოგვიანებით სასამართლომ მის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის მოხდით. ანალოგიურად ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის დამნაშავე საბოლოოდ გამართლდა პირველი ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოს მიერ, თავისთავად არ აქცევს დაკავებას უკანონოდ. შესაბამისად, დაკავების კანონიერება არ არის დამოკიდებული საქმეზე გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების სახეზე (სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა, გამამართლებელი განაჩენის გამოტანა).
10. კომპენსაციის უფლება, როგორც წესი, უკავშირდება დაკავებისას ორი სახის დარღვევას: მატერიალურ და ფორმალურ/საპროცესო ხასიათის დარღვევებს. კერძოდ, პირის დაკავება, როდესაც არ არსებობდა პირის მიმართ დაკავების გამოყენების ლეგიტიმური საფუძველი, მაგალითად, როდესაც დაკავება დაუსაბუთებელია, სასამართლოს განჩინების საფუძველზე პირი დაკავებულია იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას; გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავება განხორციელდა იმ სამართალდარღვევისათვის რომელიც არ წარმოადგენს დანაშაულს (მაგალითად, ადმინისტრაციული პრეიუდიციის არარსებობის გამო – იხ. სსკ-ის 273-ე მუხლი); დაკავების ხანგრძლივობა აღემატება სსკ-ის დადგენილ ზღვრულ ვადას; პირს დაკავებიდან 48 საათში არ გადასცეს ბრალდების დადგენილება და მაინც დატოვეს თავისუფლების შეზღუდვის ადგილას და სხვა. ფორმალური ხასიათის შეცდომა/დარღვევა უკავშირდება ძირითადად დაკავებისას პირის საპროცესო უფლებების შეზღუდვას – მაგალითად, პირს დაკავებისას არ განუმარტეს, არასრულყოფილად ან/და მისთვის გასაგებ ენაზე არ განუმარტეს სსკ-ით გათვალისწინებული უფლებები და სხვა.
  11. დაკავება დაუსაბუთებელია, როდესაც საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები, მართალია მიუთითებს დაკავებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაზე, მაგრამ შეკრებილი ინფორმაციის ერთობლიობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არ ადასტურებს თუნდაც ერთ-ერთ შემდეგ გარემოებას: 1) რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული; 2) რომ მისი მხრიდან არსებობს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე; 3) მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენციის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს პირის დაკავება. დაკავება შესაძლებელია იყოს დაუსაბუთებელი და შესაბამისად უკანონო როგორც გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში, ასევე სასამართლოს განჩინების საფუძველზე მისი გამოყენების შემთხვევაშიც.
  12. დაკავება უკანონოა, როდესაც: 1) დაკავება კანონიერი იყო დაკავების/დანყვების მომენტში, მაგრამ მოგვიანებით გახდა უკანონო – მაგალითად, გავიდა დაკავებისათვის დადგენილი ვადა ან შეიცვალა გარემოებები, რომლებიც ამართლებდა თავისუფლების შეზღუდვას; 2) დაკავება უკანონო იყო თავიდანვე – მაგალითად განხორციელდა არაუფლებამოსილი პირის მიერ, საპროცესო მოთხოვნების უხეში დარღვევით, დაკავებულს არ განემარტა მისი უფლებები და სხვა
  13. დაუსაბუთებელი დაკავებით პირისათვის ზიანის მიყენება შესაძლებელია უკავშირდებოდეს როგორც საგამოძიებო ორგანოს, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებას. მაგრამ დაკავების უკანონობა საპროცესო მოთხოვნათა დარღვევის საფუძველზე უკავშირდება მხოლოდ საგამოძიებო ორგანოს მხრიდან განხორციელებულ დარღვევას – დაკავების პროცესში ან მოგვიანებით სასამართლოში ბრალდებულის წარდგენამდე.
  14. თუ კომპენსაციის უფლება უკავშირდება დაკავების უკანონობას, დაკავებისას საპროცესო კანონმდებლობის დარღვევა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებებით. პირი კომპენსაციას მიიღებს მხოლოდ დაკავების უკანონო ხასიათის დამტკიცების შემთხვევაში.
  15. მაგალითად, საპროცესო კანონმდებლობის არსებით დარღვევას მიეკუთვნება: უცხო ქვეყ-

- ნის მოქალაქეების დაკავებისას ენის არცოდნის მოტივით მათთვის უფლებების და ბრალდების არსის განმარტებაზე უარის თქმა, დაკავებულებისთვის ადვოკატთან დაკავშირებაზე უარის თქმა, დაკავებულის იძულება ხელი მოაწეროს ქართულ ენაზე შედგენილ დაკავების ოქმს, რომლის შინაარსი დაკავებულისათვის უცნობია თარჯიმნის არარსებობის გამო.<sup>453</sup>
16. თუ პირს დაკავებიდან 48 საათში არ წარედგინა ბრალის დადგენილება და ის გათავისუფლდა, აღნიშნული არ წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვის პირობებში გატარებული დროისათვის კომპენსაციის მიღების საფუძველს. შესაბამისად, კომპენსაციის საკითხისათვის ყოველთვის არ აქვს მნიშვნელობა დაკავების შემდეგ გამოძიების ორგანოს ან/და სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. გადამწყვეტია თავად დაკავების პროცედურის და საფუძვლის კანონიერება. შესაბამისად, პირს კომპენსაციის უფლება მიენიჭება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაკავების პროცედურა იყო კანონიერი, მაგრამ უკანონო იყო დაკავების საფუძველი ან/და კანონიერად წარმოებული დაკავება შესაძლებელია მოგვიანებით იქცეს უკანონოდ, თუ გათავისუფლების საფუძვლების წარმოქმნის მიუხედავად პირი არ იქნება გათავისუფლებული, პირს დროულად არ გადაეცემა ბრალის დადგენილება ან/და დროულად არ მოხდება მისი წარდგენა სასამართლოში და სხვა.
17. სსსკ არ განსაზღვრავს კომპენსაციის სახეს და ოდენობას, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად კომპენსაციის ინსტიტუტი, როგორც წესი, უკავშირდება ფინანსურ ანაზღაურებას. ფინანსური კომპენსაცია უკავშირდება უშუალოდ იმ ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს, რაც გამომდინარეობს უკანონო დაკავებიდან ან დაპატიმრებიდან.<sup>454</sup> სსსკ-ი არ ადგენს კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის წესს ან მის ზღვრულ ოდენობას. შესაბამისად, გასაცემი კომპენსაციის კონკრეტული ოდენობა დამოკიდებულია კონკრეტული საქმის ინდივიდუალურ გარემოებებზე, მათ შორის, მაგალითად, ბრალდებულის პიროვნებაზე, დარღვევის ხასიათსა და უფლების შეზღუდვის ინტენსივობაზე. კომპენსაციის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.
18. კომპენსაციის ვალდებულება ეკისრება სახელმწიფოს.
19. დაკავებისას სსსკ-ის არსებითი დარღვევის დაშვების ფაქტი, რის გამოც დაკავება ხდება უკანონო, არ გამოიწვევს მოგვიანებით გათავისუფლებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას. პირს ენიჭება უკანონო დაკავებისთვის კომპენსაციის უფლება, მაგრამ აღნიშნული გავლენას არ ახდენს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხეების არსებობას ან/და აქტუალობაზე. აღნიშნული საპროცესო დარღვევა პირდაპირ კავშირში არ არის „ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტასთან და არ ნიშნავს, რომ სასამართლომ აღნიშნულის შემდეგ საერთოდ უარი უნდა თქვას რომელიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე.“<sup>455</sup>

### მუხლი 177. შეტყობინება დაკავების, დაპატიმრების ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ

1. პროკურორი ან მისი დავალებით გამოძიებელი ვალდებულია პირის დაკავებიდან, დაპატიმრებიდან ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებიდან არა უგვიანეს 3 საათისა შეატყობინოს ეს მისი ოჯახის რომელიმე წევრს, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს – რომელიმე ნათესავს ან ახლობელს, დაპატიმრების ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევა-

<sup>453</sup> იხ., ე.წ. ბულგარელი მოქალაქეების საქმე, 15/08/2014. იხ., ნაშრომიდან – საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში, 363.

<sup>454</sup> Coleman v Australia, UNHRC, 10/08/2006, §6.3.

<sup>455</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24/05/2013 წლის განჩინება, საქმე №1გ-294.

ში კი აგრეთვე შეატყობინოს სამუშაო ან სწავლის ადგილას.

**2. თუ დაკავებული, დაპატიმრებული ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, ეს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ ვადაში უნდა ეცნობოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამისი სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას. (12.06.2012. №6439)**

1. სსსკ-ი შეტყობინების ვალდებულებას აკისრებს პირველ რიგში პროკურორს და ასევე პროკურორის დავალების არსებობის შემთხვევაში – გამომძიებელს. დავალება შესაძლებელია არსებობდეს როგორც წერილობითი რეზოლუციის, ასევე ზეპირსიტყვიერი მითითების სახით.
2. სსსკ-ი შეტყობინების ვალდებულებას პირობითად ყოფს ორ ნაწილად: 1. ოჯახის წევრების ან/და ახლობლების შეტყობინება – პირის თავისუფლების ნებისმიერ შეზღუდვასთან დაკავშირებით – როგორც დაპატიმრების, ასევე დაკავების ან/და ექსპერტიზისათვის პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების თაობაზე; 2. სამუშაო ან სწავლის ადგილს – მხოლოდ პირის დაპატიმრების ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევაში (პირის დაკავების შესახებ მათი შეტყობინების ვალდებულება სსსკ-ი არ არის განსაზღვრული).
3. თუ პირი სამხედრო მოსამსახურეა, მისი დაპატიმრების ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ასევე უნდა ეცნობოს შესაბამისი სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობას.
4. თუ დაკავებული, დაპატიმრებული ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, აღნიშნულის შესახებ პროკურორი/მისი დავალებით გამომძიებელი ატყობინებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და არა უშუალოდ შესაბამისი ქვეყნის საელჩოს ან საკონსულოს. საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკისრება ვალდებულება პროცესის მწარმოებელი ორგანოს შეყობინებისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნული ინფორმაცია შესაბამისი სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.
5. სსსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს პირველ რიგში ოჯახის წევრის შეტყობინების ვალდებულებას (ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს ოჯახის რომელ წევრს<sup>456</sup> დაუკავშირდება გამომძიებლის ორგანო. პირის ოჯახის წევრისთვის შეტყობინების ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებთან ან/და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთან მიმართებით.
6. თუ დაკავებულს არ ჰყავს ოჯახის წევრი, მაშინ თავისუფლების შეზღუდვის შესახებ უნდა ეცნობოს დაკავებულის ნებისმიერ ნათესავს – დაკავებულთან მისი ურთიერთობის ინტენსივობის მიუხედავად (შერჩევა ხორციელდება მხოლოდ ნათესაობის ნიშნიდან გამომდინარე) ან ახლობელს. კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ახლობლის ცნობას, შესაბამისად აღნიშნულ კატეგორიაში მოიაზრება თავისუფლებაზე შეზღუდული პირის ნებისმიერი ნაცნობი, რომელზეც მიუთითებს თავად თავისუფლებაზე შეზღუდული პირი – მათ შორის თანამშრომელი, მეზობელი, თანაკურსელი, პირი, ვისთან ერთადაც ცხოვრობს ან/და ეწევა ერთიან საოჯახო მეურნეობას და სხვა მისი საცხოვრებელი ადგილის (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის) მიუხედავად.
7. ის თუ კონკრეტულად ვისთვის უნდა განხორციელდეს შეტყობინება, დამოკიდებულია თავად დაკავებული/დაპატიმრებული/სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირის ნებაზე.<sup>457</sup> ერთი დათქმით – თუ პირს ჰყავს ოჯახის წევრი, მაშინ მისი ახლობლის/ნაცნობის

<sup>456</sup> ოჯახის წევრთან დაკავშირებით იხ., სსსკ-ის მე-3 მუხლის კომენტარი.

<sup>457</sup> იხ., ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან დაპატიმრებული პირების პრინციპები, პრინციპი 16, გაეროს გენერალური ასამბლეის 09/12/1988 წლის რეზოლუცია.

- შეტყობინება დაუშვებელია და ინფორმაცია უნდა მიეწოდოს აუცილებლად ოჯახის წევრს, რომლის ვინაობაც თავისუფლებაშეზღუდული პირის შეხედულებისამებრ განისაზღვრება.
8. სსსკ-ი ადგენს შეტყობინების ზღვრულ ვადას, რომლის ათვლა იწყება პირის გადაადგილების თავისუფლების ფაქტობრივი შეზღუდვის მომენტიდან იმისდა მიუხედავად, თუ სსსკ-ით გათვალისწინებული რომელი საფუძვლით და რომელ დანესებულებაში მისი მოთავსების/მიყვანის მიზნით განხორციელდა ის. შესაბამისად, 3-საათიანი დროის მონაკვეთის ათვლა იწყება პირის ფაქტობრივი დაკავების და არა სამართალდამცავ ორგანოში/სამედიცინო დანესებულებაში მოთავსების ან/და დაკავების ოქმის შედგენის მომენტიდან. შესაბამისად, პროცესის მწარმოებელ ორგანოს შეუძლია აღნიშნული ინფორმაცია სსსკ-ის 177-ე მუხლში მითითებულ პირებს მიაწოდოს 3-საათიანი ვადის ამონაწევამდე მნიშვნელოვნად ადრე. ვინაიდან აღნიშნული ვადა საათობით აითვლება, მისი დინებისათვის მნიშვნელობა არა აქვს ადმინისტრაციული ხასიათის სირთულეებს. შესაბამისად, არგუმენტი რომ გამოძიების ორგანო ვერ დაუკავშირდა საგარეო საქმეთა სამინისტროს არასამუშაო საათებში, იმის გამო, რომ საკონტაქტო პირი არ პასუხობდა ზარს, აბონენტი გასული იყო მომსახურების ზონიდან, სამინისტროში არ იყო მორიგე თანამშრომელი, ფაქსის აპარატი იყო გათიშული და ა.შ. არ წარმოადგენს საპატიო გარემოებას და არ გამოორიცხავს სსსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას.
  9. სსსკ-ი მტკიცებულებათა განადგურების, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხიდან გამომდინარე (მაგალითად, რომ არ მისცეს მითითება/მინიშნება კონკრეტული პირების გაფრთხილების, მტკიცებულების განადგურების შესახებ), კრძალავს უშუალოდ თავისუფლებაშეზღუდული პირის მიერ შეტყობინებას.
  10. უცხო სახელმწიფოს მოქალაქის<sup>458</sup> დაკავების/დაპატიმრების/სამედიცინო დანესებულებაში მოთავსების შემთხვევაში საგარეო საქმეთა და მისი მეშვეობით შესაბამისი დიპლომატიური წარმომადგენლობისთვის შეტყობინება არ არის დამოკიდებული თავად თავისუფლებაშეზღუდული უცხო ქვეყნის მოქალაქის ნება-სურვილზე და ხორციელდება სავალდებულო წესით.
  11. სსსკ-ის 177-ე მუხლში მითითებული პირების დროულად ინფორმირება მნიშვნელოვანია ბრალდებულის დაცვის უფლების დროულად და ეფექტიანად განხორციელებისათვის.
  12. სსსკ-ი არ განსაზღვრავს შეტყობინების ფორმას. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით, როგორც სატელეფონო ზარის მეშვეობით და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ არ განსაზღვრავს შეტყობინების კონკრეტულ სახეს და ფორმას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სატელეფონო შეტყობინებას, ვინაიდან წერილობითი/ელექტრონული ფორმის (ფაქსი, მესიჯი, მეილი..) შემთხვევაში არ არსებობს ინფორმაციის ადრესატამდე მიტანის დამადასტურებელი მტკიცებულება. არ არის გამორიცხული, რომ პირს ტელეფონი სხვისთვის ჰქონდეს ნაჩუქარი, ტელეფონი იყოს მოპარული/დაკარგული, პირმა ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ შეამომოს ფოსტა და სხვა. სატელეფონო შეტყობინების შემთხვევაში დგება ტელეფონოგრამა, რაც დაერთვის საქმეს.
  13. შეტყობინება მოიცავს ადრესატისთვის არა მხოლოდ დაკავების ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, არამედ იმავდროულად ინფორმაციის მიწოდებას იმის შესახებ, თუ რომელ დანაშაულთან დაკავშირებით, პირის თავისუფლებისშეზღუდვის ადგილის და პირის დაკავების განმახორციელებელი ორგანოს შესახებ.
  14. სამხედრო ნაწილის და საგარეო საქმეთა სამინისტროს შეტყობინება ხორციელდება სავალდებულო წესით, ასევე წერილობითი ფორმით (მაგალითად, ფაქსით, კურიერის მეშვეობით).

<sup>458</sup> დაკავებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს უნდა განემარტოს მისი ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან დაკავშირების უფლების შესახებ. იხ., ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან დაპატიმრებული პირების პრინციპები, პრინციპი 16, გაეროს გენერალური ასამბლეის 09/12/1988 წლის რეზოლუცია.

15. სსსკ-ი კრძალავს გამოძიების მიზნებიდან გამომდინარე დანაშაულის სიმძიმის, ხასიათის, კატეგორიის მიუხედავად შეტყობინების გადავადებას. მაგალითად, ტერორიზმის გამოძიებისას, მტკიცებულებათა განადგურების საფრთხიდან გამომდინარე დაკავებული/დაპატიმრებული პირის ზ/ა პირებისათვის შეტყობინების გადავადებას რამდენიმე საათით ან დღით.

### **მუხლი 178. დაკავებული, დაპატიმრებული ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირის კმაყოფაზე მყოფი პირის, მისი საცხოვრებელი ბინისა და სხვა ქონების მეურვეობის ღონისძიებანი**

1. თუ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებულ პირს ჰყავს არასრულწლოვანი შვილი, ხანდაზმული მშობელი, ან მის კმაყოფაზე სხვა პირი, რომელიც ზედამხედველობისა და დახმარების გარეშე რჩება, პროკურორი და სასამართლო ვალდებული არიან ისინი სამეურვეოდ გადასცენ ნათესავს, სხვა პირს ან შესაბამის დაწესებულებას, ხოლო თუ პირს უზედამხედველოდ რჩება ქონება, – განახორციელონ მისი დაცვის ღონისძიება.

2. გატარებულ ღონისძიებათა შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებულ პირს, რის თაობაზედაც გამომძიებელი ან პროკურორი ადგენს ცნობას, რომელიც სისხლის სამართლის საქმეს დაერთვის, ან/და კეთდება ჩანაწერი სასამართლო სხდომის ოქმში.

1. აღნიშნული ღონისძიების გატარება პროკურორის და სასამართლოს ვალდებულებაა. სასამართლო და გამოძიების ორგანო ვალდებულია გამოარკვიოს თავისუფლებაშეზღუდულ პირს ჰყავს თუ არა კმაყოფაზე პირები (შრომისუუნარო პირები, რომლებიც მის სრულ კმაყოფაზე იმყოფებოდნენ, არასრულწლოვანი ან/და ხანდაზმული ოჯახის წევრი, ასევე მის კმაყოფაზე მყოფი სხვა პირი, რომელიც უმეტვალყურეოდ რჩება.

2. აღნიშნული საკითხის განხილვა ხორციელდება სასამართლოს მიერ დაკავების/დაპატიმრების ან/და სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას, ხოლო პროკურორი – პირის მიმართ დაკავების გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში წარმოების შემთხვევაში.

3. სასამართლოს და პროკურორის ვალდებულება ვრცელდება ყველა იმ პირთან მიმართებით, რომელიც ზედამხედველობის და დახმარების გარეშე რჩება, რაც მოიცავს:

1) თავისუფლებაშეზღუდული პირის კმაყოფაზე მყოფ პირებს ნათესაური კავშირის მიუხედავად (კმაყოფაზე მყოფია პირი, რომელიც იმყოფებოდა თავისუფლებაშეზღუდული პირის სრულ კმაყოფაზე ან მისგან იღებდა დახმარებას, რომელიც მისთვის იყო სტაბილური/მუდმივი და შემოსავლის ძირითადი წყარო);

2) ხანდაზმული მშობელი, რომელიც მის დახმარებას საჭიროებდა – დახმარება გულისხმობს როგორც ეკონომიურ დახმარებას, ასევე ყოველდღიური მოვლა-პატრონობის აუცილებლობა გარეშე პირის მხრიდან, თუ ისინი ასეთი დახმარების გარეშე რჩებიან. თუ ოჯახში არის სხვა სრულწლოვანი პირი, რომელსაც შეუძლია აღნიშნული ფუნქციის შესრულება, საკითხი მეურვეობის შესახებ არ ისმის;

3) არასრულწლოვანი შვილი – თუ უმეტვალყურეოდ რჩება. წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე პასუხისმგებელი მეორე მშობელია და მისი სამეურვეოდ გადაცემის საკითხი არ ისმის. თავისუფლებაშეზღუდულ დედას შეუძლია თავისუფლების შეზღუდვის ადგილას ჰყავდეს 3 წლამდე ბავშვი.

4. აღნიშნული პირების სამეურვეოდ გადაცემისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამეურვეო პირის სურვილი და დამოკიდებულება მეურვისადმი, უნდა არსებობდეს მეურვის თანხმობა და მეურვე ნდობას უნდა იმსახურებდეს. პირის სამეურვეოდ გადაცემა ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. პირის ნათესავისთვის სამეურვეოდ გადაცემა ხორციელდება კონკრეტულ ნათესავთან ნათესაური კავშირის ხარისხის მიუხედავად. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეურვეობის კანდიდატის მიერ სამეურვეო პირზე მეურვეობის რეალურად და ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობას და თანახმა იკისროს მეურვის ვალდებულება, ანდა თავად შუამდგომლობს მასზე მეურვეობის დაკისრების შესახებ.
6. თუ პირს არ ჰყავს ნათესავი, ან არ ჰყავს ნათესავი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს ჯეროვანი მეურვეობა ან/და მეურვეობის კანდიდატი წინააღმდეგია, სსსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული პირები მეურვეობისათვის გადაცემა სპეციალიზებულ დაწესებულებას ან სხვა პირს. არასრულწლოვნებზე მეურვეობის დროებითი ზომების გატარება ხორციელდება მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოების მეშვეობით, ხოლო სრულწლოვნებზე – სოციალური დაცვის სააგენტოების მეშვეობით
7. სსსკ-ი ითვალისწინებს აღნიშნული პირების სამეურვეოდ გადაცემას ნათესავისთვის (მაგალითად, ბებია-ბაბუისთვის, დეიდისთვის უმეტველყურედ დარჩენილი ბავშვების სამეურვეოდ გადაცემა), სხვა პირისთვის – მაგალითად გარეშე პირისთვის თავისუფლებაშეზღუდული პირის მითითებით ან პროცესის მწარმოებელი ორგანოს შერჩევით, სპეციალიზებული დაწესებულებისთვის (მაგალითად, მოხუცებულთა თავშესაფარი, მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლები და სხვა). რა ფორმით განხორციელდება მეურვეობა – სამეურვეო პირის გადაყვანა სამეურვეო დაწესებულებაში თუ მეურვის გადმოსვლა დროებით საცხოვრებლად სამეურვეო პირთან, დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე და მეურვეობის შერჩეულ ფორმაზე (სპეციალიზებული დაწესებულებისათვის მეურვეობის დაკისრება, როგორც წესი, გულისხმობს სამეურვეო პირის დროებით გადაყვანას შესაბამის დაწესებულებაში).
8. მეურვეობის ხანგრძლივობა განისაზღვრება პირის თავისუფლების შეზღუდვის ხანგრძლივობით. შესაბამისად, თუ პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით არ იქნა გამოყენებული პატიმრობა, მეურვეობის ღონისძიება უქმდება პირის გათავისუფლებისთანავე.
9. ღონისძიების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე შრომის, სამოქალაქო კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნები.
10. როდესაც პირის მიმართ დაკავების, დაპატიმრების ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების გამო უმეტველყურედ რჩება პირის ქონება, პროკურორმა და სასამართლომ ქონებაზე მეთვალყურეობა და მოვლა უნდა დააკისროს თავისუფლებაშეზღუდული პირის ნათესავს ან ნებისმიერ სხვა პირს ან/და გამოიყენოს ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევაში ქონებაზე მეთვალყურეობის ანალოგიური წესი. ქონებაზე მზრუნველობა შეიძლება დაესკისროს კერძო პირს/ორგანიზაციას და აღნიშნული ხარჯები გათვალისწინებული იქნეს საპროცესო ხარჯებში.
11. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ პირდაპირ არ ითვალისწინებს გადამწყვეტილების ამ ფორმას, აღნიშნული შესაძლებელია გაფორმდეს ცალკე საპროცესო დოკუმენტის გამოტანით (სასამართლოს განჩინება და გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე პირის დაკავების შემთხვევაში – პროკურორის დადგენილება), ან აღინიშნოს შესაბამისი პირის მიმართ დაკავების/დაპატიმრების/სამედიცინო დაწესებულებაში მისი მოთავსების შესახებ სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილში.
12. სსსკ-ი ითვალისწინებს თავისუფლებაშეზღუდული პირის მთელი ქონების დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულებას – როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ქონების, მათ შორის ძვირფასეულობის, ფულადი თანხის, ანტიკვარული ნივთების, სატრანსპორტო საშუალების, შინაური პირუტყვის და ა.შ. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში დასაცავად გადაცემული ქონება უნდა იქნეს აღწერილი და შეფასებული იმავე წესების დაცვით, რაც გამოიყენება ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევაში.
13. გატარებული ზომების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს დაკავებულ, დაპატიმრებულ ან სტაციონარული სამედიცინო გამოკვლევისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავ-



სებულ პირს.

## მუხლი 179. სისხლის სამართლის პროცესის წარმოება არაიდენტიფიცირებული ბრალდებულის, მსჯავრდებულის მიმართ

1. თუ დანაშაულის ჩადენისათვის დაკავებული პირის ვინაობა (სახელი, გვარი, ასაკი, სქესი, მოქალაქეობა) დაუდგენელია და იგი უარს აცხადებს თვითიდენტიფიცირებაზე ან ფიზიკური ნაკლის თუ სხვა ობიექტურ გარემოებათა გამო შეუძლებელი ხდება მისი იდენტიფიცირება, გამომძიებელი ან პროკურორი ადგენს ოქმს, რომელშიც შესაბამისი ექსპერტების მონაწილეობით აღინერება პირის ყველა შესაძლო გარეგნული ნიშანი (სავარაუდო ასაკი, სქესი, სიმაღლე, თმის ფერი, თვალების ფერი, გარეგნობისა და იერის სხვა თავისებურებანი), რომლებითაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება (ოქმს უნდა დაერთოს პირის ფოტოსურათი). ამასთანავე, საპროცესო ხელმძღვანელობის განმარტებული პროკურატურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანხმობით პირს შესაძლებელია მიენიჭოს პირობითი სახელი ციფრების ან/და ასოების იმგვარი კომბინაციით, რომელიც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან შესაძლებელს გახდის ამ პირის იდენტიფიცირებას შემდგომი საპროცესო მოქმედებების დროს. პირობითი სახელი არ შეიძლება იყოს ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველი და შეურაცხმყოფელი.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ შემთხვევაში ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შემდგომი საპროცესო მოქმედება ტარდება სრული მოცულობით, დაუბრკოლებლად. ამასთანავე, ყველა საპროცესო მოქმედება არაიდენტიფიცირებული ბრალდებულის, მსჯავრდებულის მიმართ ტარდება ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობით. დანიშნული ადვოკატის ხარჯებს ანაზღაურებს სახელმწიფო.

3. არაიდენტიფიცირებული პირის ბრალდებიდან არა უგვიანეს 3 დღე-ღამისა, საჭიროების შემთხვევაში, ამ კოდექსით დადგენილი წესით ინიშნება სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომლითაც სხვა საკითხებთან ერთად უნდა დადგინდეს ამ პირის ფსიქიკური მდგომარეობა, სისხლის ჯგუფი, სხვა ბიომეტრული მონაცემები და უნდა განხორციელდეს დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია. (22.05.2012. №6253)

4. გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან უზრუნველყონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გონივრული ღონისძიების გატარება ამ მუხლში აღნიშნული პირის იდენტიფიცირების მიზნით (მისი სახელის, გვარის, ასაკის, მოქალაქეობისა და შერაცხაობის დასადგენად).

5. თუ არაიდენტიფიცირებული პირის ვინაობა დადგინდება სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო ვალდებული არიან ამ გარემოებას 48 საათის განმავლობაში შეუსაბამონ სისხლის სამართლის საქმეზე არსებული შემაჯამებელი გადანყვეტილებები.

6. არაიდენტიფიცირებული პირის მიმართ განაჩენის დადგენამდე სასამართლო ვალდებულია დარწმუნდეს, რომ გატარებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გონივრული ღონისძიება აღნიშნული პირის იდენტიფიცირებისათვის.

7. თუ არაიდენტიფიცირებული პირის ვინაობა დადგინდება მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ და ეს გარემოება გავლენას ახდენს დანაშაულის კვალიფიკაციაზე ან სასჯელის ზომაზე ან იწვევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, განაჩენი უნდა გადაისინჯოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, ამ კოდექსით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გარემოებები იწვევს შებრუნებას საუარესოდ.

1. სსსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული წესი გამოიყენება იმ პირების მიმართ, ვისი ვინაობაც დაუდგენელია. სსსკ-ი აზუსტებს ვინაობის ცნებას და მასში მოიაზრებს პირის სახელს, გვარს, ასაკს, სქესს, მოქალაქეობას. აღნიშნულის მიუხედავად, სსსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული წესი პირველ რიგში ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა სახელი და გვარი უცნობია გამომძიებლის ორგანოსათვის. ზოგჯერ მხოლოდ სახელის და გვა-

- რის ცოდნა საკმარისი არ არის პირის ვინაობის სწორად განსაზღვრისათვის, ვინაიდან შესაძლებელია არსებობდეს ერთზე მეტი ერთი და იმავე სახელის და გვარის მატარებელი სუბიექტი, მათ შორის იდენტიური შეიძლება იყოს მათი დაბადების ადგილიც. ამიტომ პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია გადაამოწმოს დაკავებულის ვინაობა სამოქალაქო რეესტრი მონაცემთა ბაზაში.
2. სსსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც: 1) დაუდგენელია დაკავებული პირის ვინაობა, და 2) მისი იდენტიფიცირება შეუძლებელია. დაკავებული პირის ვინაობა დაუდგენელია, როდესაც დაკავებულს თან არ აქვს პირადობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი ვინაობის განსაზღვრა (მაგალითად, პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა, სტუდენტური ბილეთი და სხვა).
  3. დაკავებული პირის ვინაობის იდენტიფიცირება შეუძლებელია რამდენიმე გარემოების გამო ალტერნატიულად: 1) დაკავებული უარს აცხადებს თვითიდენტიფიცირებაზე – მაგალითად, უარს აცხადებს საკუთარი ვინაობის, დაბადების თარიღის, პირადი ნომრის, საცხოვრებელი ადგილის, მოქალაქეობის, სამუშაო ადგილის და სხვა ისეთი ინფორმაციის მიწოდებაზე, რაც შეეძინა მისი ვინაობის განსაზღვრის ობიექტურ შესაძლებლობას. უარის თქმის მიზეზს მნიშვნელობა არ აქვს. გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც დაკავებულს ობიექტურად არ შეუძლია აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება – მაგალითად, სამართალწარმოების ენის არცოდნის, მეტყველების პრობლემების გამო; 2) ფიზიკური ნაკლის გამო – მაგალითად, თუ დაკავებული პირი ყრუ-მუნჯია და თან არ აქვს პირადობის დამადასტურებელი საბუთი, არ შეუძლია საკუთარი ვინაობის დანერა; 3) სხვა ობიექტურ გარემოებათა გამო შეუძლებელია მისი იდენტიფიცირება – მაგალითად, ფსიქიკური აშლილობა, ინტოქსიკაციის მაღალი ხარისხი, უგონო მდგომარეობაში ყოფნა.
  4. სსსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული ოქმის შედგენა მნიშვნელოვნად შეიძლება იყოს დაცვილებული დაკავების ფაქტობრივად განხორციელების მომენტიდან, ვინაიდან ოქმის შედგენისას გამოძიებელი/პროკურორი ვალდებულია დაიხმაროს შესაბამისი ექსპერტი (რომლის მოწვევა დამატებით დროს მოითხოვს). სსსკ-ის 174-ე მუხლით გათვალისწინებული ოქმისგან განსხვავებით, არაიდენტიფიცირებული პირის დაკავებისას დამატებით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პირის ინდივიდუალური გარეგნული მახასიათებლების ზედმიწევნით ზუსტად აღწერას. მითითებულის გარდა ოქმში ასევე უნდა აღინიშნოს დაკავებული პირის თანდაყოლილი/შეძენილი ნაკლი, ნაკანრები, ხალების, ოპერაციის კვალის, კანის საფარველის წარუშლელი დამახინჯების, ნაიარევის, გადატანილი დაავადების და სხვა კვალი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ნიშან-თვისებების აღწერას, რომელიც შედარებითი სიმყარით გამოირჩევა და კვალს ტოვებს დროის ხანგრძლივობის მიუხედავად ან მიუთითებს პირის გარეგნობის ქირურგიული გზით შეცვლაზე და ანატომიური თავისებურებები. ოქმს უნდა დაერთოს პირის ფოტოსურათი.
  5. პირისათვის პირობითი სახელის მინიჭება პროცესის მწარმოებელი ორგანოს უფლებამოსილებაა და ამარტივებს აღნიშნული პირის მიმართ სამართალწარმოების ტექნიკურ მხარეს. თუმცა აღნიშნულისთვის საჭიროა პროკურატურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანხმობა.
  6. პირის ვინაობის არცოდნა არ წარმოადგენს აღნიშნული პირის მიმართ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების განხორციელების შემაფერხებელ გარემოებას და ტარდება სრული მოცულობით (აღნიშნულის მიუხედავად პრაქტიკულად ვერ იქნება გამოყენებული ქონებაზე ყადაღის დადება, თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება; პასპორტის, სამგზავრო დოკუმენტის, მოქმედების ვადის შეჩერება; განრიდება, გამოძიების ორგანოს არ ეკისრება სსსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულება და სხვა). აღნიშნული კატეგორიის საქმეთა წარმოებისას არ არის გამორიცხული ცალკეული უზუსტობების არსებობა, რაც დაკავშირებული იქნება ბრალდებულის პიროვნულ მახა-

- სიათებლებთან და მათ მნიშვნელობასთან ქმედების კვალიფიკაციისათვის (მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 179-ე მუხლის თანახმად, პირის სავარაუდო ასაკის და ფსიქიკური მდგომარეობის დადგენა უნდა განხორციელდეს შესაბამისი გამოკვლევის საფუძველზე, აღნიშნულის გარდა სწორი კვალიფიკაციისათვის ასევე მნიშვნელოვანია პირის ვინაობის ზუსტი ცოდნა დანაშაულის ჩადენის მიზნის და მოტივის, არაერთგზისობის ან/და სპეციალური რეციდივის არსებობის განსაზღვრისათვის).
7. აღნიშნული კატეგორიის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებისას ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა და მისი მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რის გამო ვერ ხერხდება პირის იდენტიფიცირება – მისი სუბიექტური განზრახვის (არ ასახელებს ვინაობას, პროცესის მწარმოებელ ორგანოს ანვდის შეგნებულად არასწორ ინფორმაციას საკუთარი ვინაობის შესახებ და სხვა), თუ ობიექტურად არსებული გარემოებებიდან გამომდინარე.
  8. დაკავებული არაიდენტიფიცირებული პირის სიღრმისეული კვლევა მისი ბიოლოგიური მონაცემების და ფსიქიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით, სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება და ასევე მისი დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია, ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას წაეყენება ბრალი. შესაბამისად, აღნიშნული კატეგორიის პირის დაკავებისას, რასაც არ მოჰყვება მისთვის ბრალის წაყენება პირის ბიომეტრიული მონაცემების შესწავლა და აღრიცხვა არ ხორციელდება და საქმის მასალებში უნდა ინახებოდეს მხოლოდ სსსკ-ის 179-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ოქმი და დაკავებული პირის ფოტოსურათი.
  9. არაიდენტიფიცირებული პირის ვინაობა შესაძლებელია დადგინდეს მოგვიანებით: 1) გამოძიების დასრულებამდე; 2) საქმის სასამართლოში განხილვისას; 3) განაჩენის დადგენის/აღსრულების შემდეგ. პირის ვინაობა დადგენილად ითვლება აღნიშნული ინფორმაციის სარწმუნოების გადამოწმების და პრაქტიკულად გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადგენის შემთხვევაში (მაგალითად, მოწმის მიერ ბრალდებულის ვინაობის მითითებისას პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია შეისწავლოს და გადაამოწმოს აღნიშნული ინფორმაციის სარწმუნოება). არაიდენტიფიცირებული პირის ვინაობის დადგენა არ იწვევს გამოტანილი განაჩენის გადასინჯვას, თუ აღნიშნული შესაძლებელია ქმნიდეს პირის საუარესოდ შებრუნების საფრთხეს (მაგალითად, ვინაობის დადგენის შემდეგ დადგინდა, რომ ბრალდებული იყო არაერთგზის ნასამართლევი პირი), მაგრამ განაჩენი სავალდებულო წესით გადასინჯვას ექვემდებარება თუ, მაგალითად, აღმოჩნდება, რომ მსჯავრდებული არასრულწლოვანია.

## მუხლი 180. პირის სამედიცინო დანესებულებაში მოთავსება

1. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო ან მისი ჩადენის შემდეგ გახდა შეურაცხი, და საჯარო უსაფრთხოების ინტერესები მოითხოვს მის სამედიცინო დანესებულებაში იზოლირებას, გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს პროკურორის ან ადვოკატის შუამდგომლობით გამოაქვს პირის სახელმწიფო სამედიცინო დანესებულებაში მოთავსების თაობაზე განჩინება. შუამდგომლობა განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე, 48 საათის განმავლობაში, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.
2. პირის სამედიცინო დანესებულებაში მოთავსების თაობაზე სასამართლოს განჩინება დგება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილებსაგან (განჩინებისაგან) დამოუკიდებლად. მასში უნდა აღინიშნოს: სამედიცინო დანესებულებაში მოსათავსებელი პირის სახელი, გვარი და საპროცესო მდგომარეობა; სამედიცინო დანესებულების დასახელება, რომელშიც პირი თავსდება.

1. პირის სტაციონარში მოთავსება წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიებას, რომლის მიზანია ბრალდებულის გადაადგილების თავისუფლების დროებითი შეზღუდვა სა-

- მედიცინო დანესებულებაში მისი საექსპერტო გამოკვლევის მიზნებისათვის. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს ბრალდებულის გადაადგილების თავისუფლება შეიზღუდება მხოლოდ პალატის, თუ მთელი საავადმყოფოს (მათ შორის შესაბამისი სკვერის) ტერიტორიით, რომელზეც პირს ექნება თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა საკუთარი შეხედულებისამებრ.
2. თუ თავისუფლების შეზღუდვის ადგილას მყოფი პირის სტაციონარში მოთავსება ხორციელდება არა გამოძიების ინტერესებიდან, არამედ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ექიმ-ფსიქიატრის ინიციატივით, აღნიშნული არ წარმოადგენს საპროცესო-საგამოძიებო მოქმედებას და არ საჭიროებს სასამართლოს ნებართვას.
  3. სამედიცინო დანესებულებაში სტაციონარული გამოკვლევისთვის პირის მოთავსების გამოყენება დაიშვება კუმულაციურად შემდეგი პირობების დაცვით: 1) მხოლოდ ბრალდებულის მიმართ. შესაბამისად, თუ ისმის მოწმის შერაცხაობის საკითხი მისი ჩვენების სანდოობის შესაფასებლად, მისი მოთავსება სამედიცინო დანესებულებაში აღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით არ დაიშვება; 2) მოთავსებას გააჩნია სპეციფიკურად განსაზღვრული მიზანი – ბრალდებულის შერაცხაობის განსაზღვრა დანაშაულის ჩადენის მომენტში ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ; 3) პირის სამედიცინო დანესებულებაში იზოლირება განპირობებულია საჯარო ინტერესებით – საჯარო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
  4. აღნიშნულიდან რომელიმე წინაპირობის არარსებობა ავტომატურად გამორიცხავს პირის სამედიცინო დანესებულებაში მოთავსების შესაძლებლობას. კერძოდ, თუ ბრალდებულის შერაცხაობის საკითხის გამოკვლევა შესაძლებელია მისი სამედიცინო დანესებულებაში მოთავსების გარეშე და ის იმავდროულად საფრთხეს არ უქმნის საკუთარ თავს ან გარშემომყოფებს, მისი სამედიცინო დანესებულებაში მოთავსება არ დაიშვება.
  5. მოთავსების საკითხის განხილვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ პირის ბრალეულობა შერაცხული დანაშაულის ჩადენაში ჯერ კიდევ არ არის დადგენილი და შესაძლებელია მოგვიანებით ის სასამართლომ უდანაშაულოდ ცნოს, ამიტომ თავისუფლების შეზღუდვის ეს ღონისძიება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ უკიდურესი ღონისძიების სახით, როდესაც ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შეუძლებელია თავისუფლების შეზღუდვის გარეშე.
  6. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილი მკაფიოდ მიუთითებს მხოლოდ ბრალდებულის მოთავსების შესაძლებლობაზე, მე-2 ნაწილი განჩინების სავალდებულო რეკვიზიტად მიუთითებს მოსათავსებელი პირის საპროცესო მდგომარეობის აღნიშვნის აუცილებლობას. იმის გათვალისწინებით, რომ პირი ბრალდებულის სტატუსს იძენს სამართალწარმოების პროცესში შემოსვლის მომენტიდან განაჩინის დადგენამდე, გაუგებარია, რას გულისხმობს აღნიშნული ჩანაწერი. მით უმეტეს, რომ მოწმის და დაზარალებულის გამოკვლევა შესაძლებელია განხორციელდეს ნებაყოფლობით საფუძველზე და მათზე აღნიშნული მუხლის მოქმედება არ ვრცელდება.
  7. შუამდგომლობა პირის სტაციონარული გამოკვლევისათვის სამედიცინო დანესებულებაში მოთავსების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული. დასაბუთებულობა მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს ორი გარემოების მტკიცების ვალდებულებას: 1) ბრალდებულის უცნაურ/არაორდინალურ ქცევას (მაგალითად, სამედიცინო ისტორია, მკურნალი ექიმის ჩვენება, მოწმეთა ჩვენებები ბრალდებულის უცნაური ქცევის შესახებ, ბრალდებულის ქცევა, რაც გონიერ ადამიანში აღძრავს ბრალდებულის შერაცხაობის შესახებ ეჭვს და ა.შ.); 2) ბრალდებულის ჯანმრთელობის გამოკვლევისათვის სტაციონარული კვლევის განხორციელების აუცილებლობას. აღნიშნულის აუცილებლობა შესაძლებელია დადგინდეს სპეციალური გამოკვლევით (მაგალითად, პირის ამბულატორიული გამოკვლევის/ექსპერტიზა, ექსპერტის გამოკითხვით), და ა.შ..
  8. სსსკ-ი პირის სამედიცინო დანესებულებაში მოთავსების წინაპირობად არ განიხილავს სასამართლო-სამედიცინო ან/და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარე-

- ბას. შესაბამისად, ქმნის პირის სტაციონარში მოთავსების შესაძლებლობას აღნიშნული საექსპერტო კვლევის განხორციელების გარეშეც სხვა მტკიცებულების საფუძველზე. თუმცა, ვინაიდან აღნიშნული ღონისძიება უკავშირდება პირის თავისუფლების შეზღუდვას, მისი გამოყენებისას დაცული უნდა იყოს თანაზომიერების მოთხოვნა, უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს ღონისძიებას, რომლის აუცილებლობა უნდა დასტურდებოდეს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით და დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს განჩინების საფუძველზე.
9. სტაციონარული ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს, მაგალითად, როდესაც:
    - ექსპერტიზის დანიშვნისას ცნობილია სტაციონარული ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობა. მაგალითად, გამომძიებლის შესაბამისი დარგის სპეციალისტთან კონსულტაციით გაირკვა სტაციონარული ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობა;
    - სტაციონარული ექსპერტიზის ჩატარებას წინ უსწრებდა ამბულატორიული ექსპერტიზა, მაგრამ ამბულატორიული გამოკვლევა არ აღმოჩნდა საკმარისი პირის ჯანმრთელობის/ფსიქიკური მდგომარეობის გასარკვევად.
  10. აღნიშნული კატეგორიის პირის მიმართ ბრალის წაყენების გარეშე შეიძლება დაინიშნოს სტაციონარული ექსპერტიზა სასამართლოს განჩინებით. ამ ექსპერტიზის შედეგების მიხედვით წყდება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების საკითხი.
  11. დაუშვებელია ერთი და იმავე საპროცესო დოკუმენტით/განჩინებით ექსპერტიზის დანიშვნა და პირის მოთავსება სამედიცინო დაწესებულებაში. გადაწყვეტილება პირის მიმართ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ფაქტობრივად წინ უნდა უსწრებდეს გადაწყვეტილებას პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ.
  12. სასამართლოს განჩინებაში მითითებული უნდა იყოს პირის სამედიცინო სტაციონარში მოთავსების საფუძველი.
  13. სსსკ-ის 180-ე მუხლით დადგენილი წესით პირის მოთავსება დაიშვება მხოლოდ სახელმწიფო და არა კერძო სამედიცინო დაწესებულებაში. დაწესებულების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს სასამართლოს განჩინებით.
  14. შუამდგომლობის დაყენების უფლება აქვს ორივე მხარეს.
  15. სასამართლოს განჩინება პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ შუამდგომლობის განხილვასთან დაკავშირებით (განჩინება პირის მოთავსების ან მოთავსებაზე უარის თქმის შესახებ) არ საჩივრდება.
  16. შუამდგომლობა განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. შესაბამისად, შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო სხდომაში მონაწილეობის უფლება არ გააჩნია არც ბრალდებულს და არც ინიციატორ მხარეს. აღნიშნული რეგულირება სასამართლოს ართმევს შესაძლებლობას უშუალოდ დარწმუნდეს ბრალდებულის ქცევის სპეციფიკაში, უშუალოდ შეაფასოს პირისათვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა. სსსკ-ი ითვალისწინებს პირისათვის თავისუფლების შეზღუდვის გამოყენების შესაძლებლობას 20 დღის ვადით ისე, რომ პირს/დაცვის მხარეს ართმევს თავისუფლების შეზღუდვის კანონიერების გასაჩივრების შესაძლებლობას. საკითხი დამატებით აქტუალობას იძენს იმის გათვალისწინებით, რომ სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსებისას (თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისგან განსხვავებით) ხდება პირის ჯანმრთელობაში ინტენსიური ჩარევა, რაც დამატებით რისკებთან არის დაკავშირებული და ქმნის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას.
  17. სტაციონარული გამოკვლევისათვის პირის მოთავსების მიმართ არ დაიშვება გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმის და სასამართლოს post factum კონტროლის გამოყენება. მოთავსების აუცილებლობა და საფუძლიანობა შემოწმებულ უნდა იქნეს პირის მოთავსებამდე.
  18. სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული პირის მოთავსება სამედიცინო დაწესებულებაში ხორციელდება პირის ფსიქიკური მდგომარეობის შესწავლის და მისი შეურაცხაობის/

- ქმედუნარიანობის საკითხის განსაზღვრისათვის (დანაშაულის ჩადენის მომენტში ან/და დანაშაულის ჩადენის შემდეგ), სსსკ-ის 105-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის დასადგენად. სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიმართ გამოიყენება „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებები.
19. სსსკ-ი ითვალისწინებს აღნიშნული ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას მხოლოდ ბრალდებულის მიმართ, შესაბამისად, მას შემდეგ, რაც პირისათვის წარდგენილია ბრალი ანდა განხორციელდა მისი დაკავება. თუმცა სსსკ-ი არ ითვალისწინებს დაკავებული პირის მიმართ სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების სპეციალურ წესს. შესაბამისად, თუ დაკავების შემდეგ საგამოძიებო ორგანოში – დაკავებული პირის მიყვანის შემდეგ გამოვლინდა პირის ფსიქიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით მისი სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების აუცილებლობა, პროკურორმა შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს. თუ პირის მიმართ ადგილი არ აქვს დაკავების გამოყენებას, მაშინ მისი სტაციონარში მოთავსება სსსკ-ის 180-ე მუხლის საფუძველზე დაიშვება მხოლოდ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დანყების და შესაბამისად, მისთვის ბრალდების წარდგენის შემდეგ.
  20. სსსკ-ი არ ითვალისწინებს შუამდგომლობის (სტაციონარში მოთავსების შესახებ, ასევე ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის) განხილვას ზეპირ სხდომაზე, მონინალმდეგე მხარის მიერ საკუთარი არგუმენტების/მტკიცებულებების წარდგენის და სასამართლოს მიერ ბრალდებულის უშუალოდ გამოკითხვის შესაძლებლობას, კრძალავს სასამართლოს განჩინების გასაჩივრების უფლებას, არ ქმნის სტაციონარში მოთავსებით თავისუფლების შეზღუდვის ხანგრძლივობის გასაჩივრების ან/და განჩინებით განსაზღვრულ ვადაზე ადრე პირის სტაციონარიდან განერის შესაძლებლობას, როდესაც მისი ყოფნა სტაციონარში აღარ წარმოადგენს აუცილებლობას სამედიცინო თვალსაზრისით.
  21. სამედიცინო სტაციონარში მოთავსებული ბრალდებული, რომლის მიმართაც არ არის გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა, სასამართლო-სამედიცინო ან/და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისას, სარგებლობს სამედიცინო სტაციონარის პაციენტის უფლებებით.

### მუხლი 181. სამედიცინო დაწესებულებაში პირის ყოფნის ვადა

1. ბრალდებული შეიძლება სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსდეს არა უმეტეს 20 დღის ვადით.
  2. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ექიმთა დასკვნის საფუძველზე, რომლებიც სტაციონარულ ექსპერტიზას ატარებენ, ეს ვადა შეიძლება სასამართლოს განჩინებით გაგრძელდეს კიდევ 10 დღით. ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია, თუნდაც სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირი ამაზე თანახმა იყოს.
  3. თუ პირი ერთ სისხლის სამართლის საქმეზე რამდენჯერმე იყო მოთავსებული სამედიცინო დაწესებულებაში, ამ დაწესებულებაში მისი ყოფნის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლით დადგენილ ვადას.
  4. ბრალდებული ან მისი ადვოკატი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის ვადის გაგრძელების შესახებ. სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.
  5. ბრალდებულის სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის ვადა ჩაითვლება პატიმრობის ვადაში, გარდა მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის ვადისა.
1. პირის სტაციონარში საწყისი მოთავსება შესაძლებელია განხორციელდეს არა უმეტეს 20 დღის ვადით.
  2. სსსკ-ის 181-ე მუხლი ადგენს განსხვავებულ ვადებს ვადის გაგრძელების ინიციატორი

- მხარის მიხედვით. კერძოდ, თუ პირის სამედიცინო სტაციონარში მოთავსების ვადის გაგრძელების ინიციატორი ბრალდების მხარეა, სტაციონარში მოთავსების საერთო ხანგრძლივობა არ შეიძლება აჭარბებდეს 30 დღეს (საწყისი 20 დღე, რომელიც შესაძლებელია განსაკუთრებულ შემთხვევაში გაგრძელდეს კიდევ 10 დღით ექიმთა დასკვნის საფუძველზე), თუნდაც ბრალდებული თანახმა იყოს ვადის შემდგომ გაგრძელებაზე. თუ მოთავსების გახანგრძლივებაზე შუამდგომლობს დაცვის მხარე (ადვოკატი ან ბრალდებული), პირის მოთავსების საერთო ზღვრული ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.
3. მუხლი ითვალისწინებს სტაციონარში მოთავსების განსხვავებულ ზღვრულ ხანგრძლივობას: 1) 30 დღის ხანგრძლივობით მოთავსებას ერთ ჯერზე; და 2) ორ თვეს – როდესაც ერთიდაიგივე ბრალდებულის სტაციონარში მოთავსება ხორციელდება რამდენჯერმე ერთი და იმავე საქმის ფარგლებში; 3) განუსაზღვრელი ვადით – საკითხი დაურეგულირებელია, როდესაც ერთიდაიგივე ბრალდებულის მოთავსება სტაციონარში ხორციელდება სხვადასხვა ბრალდებასთან/საქმესთან დაკავშირებით (იხ., სსსკ-ის 181-ე მუხლის მე-3 ნაწილი).
  4. ამდენად, სსსკ-ი ითვალისწინებს ერთი და იმავე ბრალდებულის სტაციონარული ექსპერტიზისათვის სამედიცინო დანესებულებაში ერთსა და იმავე საქმის ფარგლებში არაერთგზის მოთავსების შესაძლებლობას იმ პირობით, რომ ბრალდებულის სამედიცინო სტაციონარში ყოფნის საერთო ვადა არ გადააჭარბებს 2 თვეს. შესაბამისად, შესაძლებელია ბრალდებული თავდაპირველად სტაციონარში მოთავსდეს ბრალდების მხარის ინიციატივით, მოგვიანებით გამონერის შემდეგ – კვლავ დაბრუნდეს სტაციონარში დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ან ბრალდების მხარეს შეუძლია ფორმალურად 20-20-დღიანი მონაკვეთებით სამჯერ დააყენოს შუამდგომლობა პირის სტაციონარული ექსპერტიზისათვის მოთავსების შესახებ, თუ ყოველი ექსპერტიზის შემდეგ გამოუკვლევია რჩება ან/და წარმოიშობა ახალი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. მით უმეტეს, რომ მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარე მოკლებულია სასამართლოს გადანყვეტილებაზე კანონიერი ზემოქმედების შესაძლებლობას – განმეორებითი მოთავსების წინააღმდეგ არგუმენტების და მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობას და სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების გასაჩივრების უფლებას.
  5. მუხლი იძლევა მანიპულირების და უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას, ვინაიდან სტაციონარში ყოფნის ვადის განსაზღვრისას ბრალდების მხარეს/დაცვის მხარეს ანიჭებს არჩევანის შესაძლებლობას ან დააყენოს შუამდგომლობა თავდაპირველი ვადის შემდგომი გაგრძელების შესახებ დამატებით 10 დღით, რაც ჯამში იძლევა პირის სტაციონარში ყოფნის შესაძლებლობას არა უმეტეს 30 დღის ხანგრძლივობით, ან ვადის ამონურვამდე დააყენოს შუამდგომლობა სხვა საფუძველით პირის მიმართ ახალი/დამატებითი ექსპერტიზის ჩატარების მიზნებისათვის პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ დამატებით 20 დღით. ამ შემთხვევაში საერთო ხანგრძლივობა შესაძლებელია შეადგენდეს 40 დღეს.
  6. იმავდროულად, სსსკ-ი ითვალისწინებს დაცვის მხარის მიერ უფლებით მანიპულირების პრევენციის მექანიზმს და ადგენს, რომ დაცვის მხარის ინიციატივით პირის სტაციონარში მოთავსების ხანგრძლივობა არ ითვლება პირის პატიმრობის საერთო ვადაში.
  7. განჩინებაში უნდა მიეთითოს მხოლოდ პირის სამედიცინო დანესებულებაში მოთავსების სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა (მაგალითად, მოთავსების ვადა გაგრძელდეს 10 დღით) და არა – ამ ვადის ათვლისა და დამთავრების კონკრეტული თარიღი.
  8. ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სტაციონარში ყოფნის ვადის ამონურვისთანავე პირი გამონერილი/გათავისუფლებული უნდა იქნეს.

## თავი XIX

### სასამართლო განხილვის ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 182. სასამართლო სხდომის საჯაროობა

1. სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება ზეპირად და საჯაროდ.
2. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებს სასამართლო დახურულ სხდომაზე განიხილავს.
3. სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ:
  - ა) პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით;
  - ბ) არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით;
  - გ) პროცესის მონაწილის ან/და მისი ოჯახის წევრის (ახლო ნათესავის) პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით ან თუ გამოიყენება პროცესის მონაწილის დაცვის ის სპეციალური ღონისძიება, რომელიც მოითხოვს სასამართლო სხდომის დახურვას;
  - დ) სქესობრივი დანაშაულის, ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან ოჯახური დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით;
  - ე) პირადი მიმოწერის და პირადი შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამაზე თანახმა არ არის პირი.
4. მოსამართლე უფლებამოსილია წესრიგის დაცვის მიზნით, საკუთარი ინიციატივით ნაწილობრივ ან სრულად დახუროს სასამართლო სხდომა.
4. სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ განჩინების გამოტანის მიუხედავად, მოსამართლე უფლებამოსილია ამ საქმეში დაზარალებულად ცნობილ პირს მისცეს სხდომაზე ან სხდომის ნაწილზე დასწრების უფლება.
5. თუ დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს ისეთი გარემოების საჯაროდ განხილვას, რომელიც საჯაროდ არ უნდა გაცხადდეს, და სხდომის დახურვის შუამდგომლობას მოწინააღმდეგე მხარე არ ეთანხმება, ეს საკითხი დახურულ სხდომაზე განიხილება.
6. მოსამართლე ვალდებულია საჯაროდ გამოაცხადოს სასამართლო სხდომის დახურვის საფუძველი.
7. სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს დახურულ სხდომაზე დამსწრე პირი, არ გაახმაუროს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ამ სხდომაზე გახდა ცნობილი.
8. სასამართლო სხდომაზე 14 წლამდე პირი არ დაიშვება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის პროცესის მონაწილეა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია 14 წლამდე პირს დართოს ნება, დაესწროს სასამართლო სხდომას.
9. შეიარაღებული პირი სასამართლო სხდომის დარბაზში დაიშვება მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის ნებართვით.
10. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია არ დაუშვას სასამართლო სხდომაზე პირი, რომელიც შეუფერებელ ფორმაში ან მდგომარეობაში გამოცხადდა.

1. **ნორმის მიზანი:** საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. შესაბამისად, ნორმის მიზანია სასამართლოში საქმის საჯარო განხილვის უზრუნველყოფა და ამ წესიდან გამონაკლისი წესების დადგენა.
2. სისხლის სამართლის საქვეყნოობის პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის



- საქმის განხილვა ყველა სასამართლოში, როგორც აღინიშნა, არის ღია. კანონმდებელი ადგენს სისხლის სამართლის საქმის მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების სამ განსხვავებულ წესს.
3. სისხლის სამართლის საქმე მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე განხილვა:
    - როდესაც აღნიშნული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და არ არის აუცილებელი ამის შესახებ მხარის მოთხოვნის არსებობა ან სასამართლოს ინიციატივა.
    - როდესაც აღნიშნული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და ამის შესახებ სავალდებულოა მხარის მოთხოვნის არსებობა.
    - როდესაც აღნიშნული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და სასამართლო თავისი ინიციატივით იღებს გადაწყვეტილებას სხდომის მთლიანად ან ნაწილობრივ დახურვის თაობაზე.
  4. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებს სასამართლო ყველა შემთხვევაში განიხილავს დახურულ სხდომაზე და ამისათვის აუცილებელი არ არის მხარის შუამდგომლობა ან სასამართლოს ინიციატივა. სახელმწიფო საიდუმლოება – ეს არის ქვეყნის თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობათა, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში არსებული ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ ან დაკარგვამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს და რომელიც ამ კანონით ან/და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი წესით წინასწარ გასაიდუმლოებულია ან მიჩნეულია სახელმწიფო საიდუმლოებად და სახელმწიფოს მიერ დაცვას ექვემდებარება.
  5. როგორც აღინიშნა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შესაძლებლად მიიჩნევს სასამართლო სხდომის მთლიანად ან ნაწილობრივ დახურვას მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ან სასამართლოს ინიციატივით და ზუსტად განსაზღვრავს იმ მიზნების ჩამონათვალს, რომელთა არსებობისას შესაძლებელია სხდომის მთლიანად ან ნაწილობრივ დახურვა.
  6. სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვა შესაძლებელია:
    - პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით;
    - არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით;
    - პროცესის მონაწილის ან/და მისი ოჯახის წევრის (ახლო ნათესავის) პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით ან თუ გამოიყენება პროცესის მონაწილის დაცვის ის სპეციალური ღონისძიება, რომელიც მოითხოვს სასამართლო სხდომის დახურვას;
    - სქესობრივი დანაშაულის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან ოჯახური დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით;
    - პირადი მიმონერის და პირადი შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამაზე თანახმა არ არის პირი.
  7. პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.
  8. კომერციული საიდუმლოება კი არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასანეგად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შეს-

- აძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას<sup>1</sup>.
9. პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას<sup>2</sup>.
  10. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომა, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებული ესწრება, დახურულად ტარდება (ასეთივე დებულებას შეიცავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილიც, სადაც მითითებულია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება), მაგრამ სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტი ასევე შესაძლებლად მიიჩნევს იმ სასამართლო სხდომის მთლიანად ან დაწილობრივ დახურვას, როცა საფრთხე ექმნება არასრულწლოვანი დაზარალებულისა და მონმის ინტერესების დაცვას.
  11. სასამართლო სხდომა ასევე შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ დაიხუროს, თუ საფრთხე ექმნება პროცესის მონაწილის ან/და მისი ოჯახის წევრის (ახლო ნათესავის) პირად უსაფრთხოებას ან თუ გამოიყენება პროცესის მონაწილის დაცვის ის სპეციალური ღონისძიება, რომელიც მოითხოვს სასამართლო სხდომის დახურვას. პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ განიხილება საქმე ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტზე, რომლის საჯარო განხილვაც თავისი ბუნებით არსებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას; პროცესის მონაწილის ვინაობისა და საქმეში მონაწილეობის გასაჯაროებით მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრება მის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას; პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე.
  12. გარდა ზემოთ აღნიშნული გარემოებებისა, მოსამართლე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ნაწილობრივ ან სრულად დახუროს სასამართლო სხდომა ასევე წესრიგის დაცვის მიზნითაც, როცა სხდომაზე დამსწრე პირების მიმართ ცალ-ცალკე გატარებული ღონისძიებების მიუხედავად შეუძლებელი იქნება სასამართლო სხდომაზე წესრიგის დაცვა.
  13. კანონი სქესობრივი დანაშაულის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან ოჯახური დანაშაულის საქმეებზე სასამართლო სხდომის მთლიანად ან ნაწილობრივ დახურვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხდომის დახურვა აუცილებელია მსხვერპლის ინტერესების დაცვისათვის.
  14. მოსამართლეს საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია სხდომა მთლიანად ან ნაწილობრივ დახუროს პირადი მიმოწერის და პირადი შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ის პირი, ვისაც ეს მიმოწერა ეკუთვნის, ამ მიმოწერის და შეტყობინების გამოქვეყნებაზე არ არის თანახმა.
  15. სასამართლო სხდომის მთლიანად ან ნაწილობრივ დახურვის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს განჩინება. სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ განჩინების გამოტანის შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია ამ საქმეში დაზარალებულად ცნობილ პირს მისცეს სხდომაზე ან სხდომის ნაწილზე დასწრების უფლება.
  16. თუ დღის წესრიგში დადგა სხდომის მთლიანად ან ნაწილობრივ დახურვის საჭიროება და ამ საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს ისეთი გარემოების საჯაროდ განხილვას, რომელიც საჯაროდ არ უნდა გაცხადდეს, და სხდომის დახურვის შუამდგომლობას მონინააღმდეგე მხარე არ ეთანხმება, ეს საკითხი დახურულ სხდომაზე უნდა იქნეს განხილული. სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლე ვალდებულია საჯაროდ გამოაცხადოს სასამართლო სხდომის დახურვის საფუძველი. სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს დახურულ სხდომაზე დამსწრე პირი, არ გაახმაუროს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ სხდომაზე.

17. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს სისხლის სამართლის საქვეყნობის პრიციპის კანონისმიერ შეზღუდვას ასაკიდან გამომდინარე, კერძოდ, 14 წლამდე პირი, თუ იგი არ არის პროცესის მონაწილე, სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვება. აღნიშნული წესიდან გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია სხდომის თავმჯდომარის გად-ანყვეტილებით, რომელიც უფლებამოსილია 14 წლამდე პირს დართოს ნება, დაესწროს სასამართლო სხდომას.
18. შეიარაღებული პირი სასამართლო სხდომის დარბაზში, როგორც წესი, არ დაიშვება. ასეთი (შეიარაღებული) პირი სასამართლო სხდომის დარბაზში დაიშვება მხოლოდ სხდომის თავ-მჯდომარის ნებართვით. ეს პირი შეიძლება იყოს საბადრაგო სამსახურის თანამშრომელი და არა სხდომის დარბაზში მყოფი მოწმის სახით დასაკითხი პოლიციის თანამშრომელი ან გამომძიებელი.
19. სასამართლო სხდომაზე წესრიგის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, სხდომის თავ-მჯდომარე ასევე უფლებამოსილია სასამართლო სხდომაზე არ დაუშვას პირი, რომელიც შეუფერებელ ფორმაში ან მდგომარეობაში გამოცხადდა. შეუფერებელ ფორმაში იგულისხ-მება გამოცხადებული პირის ჩაცმულობა, ასევე მისი ფიზიკური მდგომარეობა, მაგალით-ად, არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა და ა.შ.

### მუხლი 182<sup>1</sup>. ამოღებულია (1.05.2013. №583)

### მუხლი 183. საქმის განხილვისას სასამართლოს შემადგენლობის უცვლელია

სასამართლო საქმე უცვლელი შემადგენლობით უნდა განიხილოს. თუ რომელიმე მოსამართლეს არ შეუძლია სასამართლო სხდომაში მონაწილეობის მიღება, მას ცვლიან იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლით და საქმის განხილვა ხელახლა იწყება, გარდა ამ კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

1. **ნორმის მიზანი:** სასამართლოს შემადგენლობის უცვლელია უზრუნველყოფა.
2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმე, რო-გორც წესი, უნდა განიხილოს სასამართლოს ერთი და იმავე შემადგენლობამ.
3. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე სისხლის სამართლის საქმის განხილვაში ვერ მონაწილეობს, მისი შეცვლა დასაშვებია იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლით.
4. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის სხვა მოსამართლით შეცვლის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განხილვა, როგორც წესი, ხელახლა იწყება, გარ-და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხ-ვევისა, როდესაც საქმეზე ხდება სათადარიგო მოსამართლის დანიშვნა.

### მუხლი 184. სათადარიგო მოსამართლე

სასამართლოს თავმჯდომარის გადანყვეტილებით, საქმეზე შეიძლება დაინიშნოს სათადარი-გო მოსამართლე, რომელიც ცვლის სასამართლო შემადგენლობიდან გასულ მოსამართლეს და საქმის განხილვა გრძელდება.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის განმხ-ილველი მოსამართლე შეიძლება შეიცვალოს სათადარიგო მოსამართლით.
2. სისხლის სამართლის საქმეზე სათადარიგო მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს იმავე სა-სამართლოს სხვა მოსამართლე.
3. სათადარიგო მოსამართლეს ნიშნავს სასამართლოს თავმჯდომარე.
4. კანონი არ ადგენს კონკრეტულ წესს იმის შესახებ, თუ როდის უნდა მოხდეს სათადარი-გო მოსამართლის დანიშვნა, კონკრეტული მოსამართლისათვის საქმის გადაცემის დროს, თუ მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე ამა თუ იმ

- მიზეზით ვერ ახერხებს საქმის განხილვის გაგრძელებას. საერთო სასამართლოებში დღეს არსებული პრაქტიკის მიხედვით სათადარიგო მოსამართლის დანიშვნა ხდება საქმის განმხილველი მოსამართლის ჩამოცილების შემთხვევაში, რაც, ვფიქრობთ, რომ არასწორია, რადგან კანონის ამდგავარად განმარტების შემთხვევაში აზრს კარგავს სსსკ-ის 183-ე მუხლის მოთხოვნა სასამართლო შემადგენლობის უცვლელობის შესახებ, რადგან, თუკი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე შესაძლებელია სათადარიგო მოსამართლის დანიშვნა, მაშინ რატომ არ უნდა მოხდეს მისი დანიშვნა სსსკ-ის 183-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაშიც, რა დროსაც კანონი ადგენს არა სისხლის სამართლის საქმის გაგრძელების შესაძლებლობას (როგორც ეს სათადარიგო მოსამართლის შემთხვევაშია შესაძლებელი), არამედ ადგენს სისხლის სამართლის საქმის ხელახლა განხილვის ვალდებულებას.
5. ჩვენი აზრით, სათადარიგო მოსამართლის დანიშვნა უნდა მოხდეს საქმის განმხილველი მოსამართლისათვის სისხლის სამართლის საქმის გადაცემის პარალელურად, ისეთი გარემოების (მაგალითად, საქმის მოცულობა, მტკიცებულებათა სიმრავლე, რაც მიუთითებს საქმის განხილვის ისეთი დროით გაგრძელების შესაძლებლობაზე, რა დროსაც გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის ცვლილება) გათვალისწინებით, რაც სისხლის სამართლის საქმის მიღებისთანავე აჩენს იმის გონივრულ ვარაუდს, რომ ამ საქმის დასრულება შესაძლებელია ვერ შეძლოს სასამართლოს უცვლელმა შემადგენლობამ. ასეთი გონივრული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, სასამართლოს თავმჯდომარემ უნდა დანიშნოს სათადარიგო მოსამართლე, რომელიც შეცვლის სასამართლო შემადგენლობიდან გასულ მოსამართლეს.
  6. იქიდან გამომდინარე, რომ სათადარიგო მოსამართლის დანიშვნის შემთხვევაში საქმის განხილვა უნდა გაგრძელდეს, სათადარიგო მოსამართლე საქმის განმხილველი მოსამართლის (მოსამართლეების) პარალელურად უნდა იყოს ინფორმირებული და გაცნობილი საქმის გარემოებებს, რათა მის მიერ საქმის განხილვის გაგრძელებამ, საფრთხე არ შეუქმნას მართლმსაჯულების განხორციელებას.

### მუხლი 185. სასამართლო განხილვის ადგილი და უწყვეტობა

1. სასამართლო განხილვა მიმდინარეობს სასამართლო სხდომის დარბაზში. შემთხვევის ან სხვა ადგილის, ნაგებობის, ტრანსპორტის ან სხვა ისეთი ობიექტის დათვალიერების მიზნით, რომლის სასამართლო სხდომის დარბაზში მიტანაც შეუძლებელია, აგრეთვე დასაკითხი პირის მძიმე ავადმყოფობის გამო ან სხვა ობიექტური მიზეზით სასამართლო განხილვა შესაძლებელია მხარეთა შუამდგომლობით ჩატარდეს სასამართლო სხდომის დარბაზის გარეთ.
2. სასამართლო განხილვა მიმდინარეობს უწყვეტად, გარდა შესვენებისათვის საჭირო დროისა. სასამართლოში საქმის განხილვის გადადება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით შესაძლებელია მხოლოდ მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, მხარის, მოწმის ან თარჯიმნის გამოუცხადებლობის, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, აგრეთვე ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში. საქმის განხილვის გადადების პერიოდში სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს სხვა სისხლის სამართლის საქმე (შუამდგომლობა, საჩივარი).
3. 18 საათის შემდეგ შესაძლებელია სასამართლომ მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გადადოს საქმის განხილვა.
4. მხარეს უფლება აქვს, სასამართლოს წინასწარ მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით სასამართლო განხილვის სხდომის თარიღის შეცვლის (დადგენილ თარიღზე ადრე ან გვიან დანიშვნის) შესახებ, რის თაობაზედაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს. სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე. მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.
5. მხარეებს უფლება აქვთ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ერთობლივად, წინასწარ მიმართონ სასამართლოს დასაბუთებული შუამდგომლობით სასამართლო განხილვის სხდომის

თარიღის შეცვლის (დადგენილ თარიღზე ადრე ან გვიან დანიშვნის) შესახებ. სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრდება.

6. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა.

7. ამ მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი ვადა არ გამოიყენება იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ბრალდებული თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას ან/და ბრალდებულის მიმართ გამოცხადებულია ძებნა.

1. სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა, როგორც წესი მიმდინარეობს სასამართლო სხდომის დარბაზში. სასამართლო განხილვა შესაძლებელია ჩატარდეს სასამართლო სხდომის დარბაზს გარეთაც, იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო ხდება შემთხვევის ან სხვა ადგილის, ნაგებობის, ტრანსპორტის ან სხვა ისეთი ობიექტის დათვალიერება, რომლის სასამართლო სხდომის დარბაზში მიტანაც შეუძლებელია, აგრეთვე დასაკითხი პირის მძიმე ავადმყოფობის გამო ან სხვა ისეთი ობიექტური მიზეზით, რაც აუცილებელს ხდის სასამართლო განხილვის სხდომის დარბაზს გარეთ ჩატარებას.
2. სასამართლო განხილვის სასამართლო სხდომის დარბაზს გარეთ ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე.
3. სწრაფი მართლმსაჯულება ბრალდებულის უმნიშვნელოვანესი უფლებაა. იქიდან გამომდინარე, რომ პროცესის წარმოება ყოველთვის ნიშნავს ადამიანის ძირითად უფლებებში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას, ამავე დროს, დროთა განმავლობაში ხდება მტკიცებულებათა დაკარგვა, ნაშლა ან გაქრობა, წარმოიშობა პროცესის სწრაფად წარმოების საჭიროება.
4. სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი განმტკიცებულია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილსა და მე-5 მუხლის ნე-3 ნაწილში, სადაც აქცენტი გაკეთებულია საქმის განხილვის გონივრულ ვადაზე.
5. სწორედ ამ პრინციპის დაცვას ემსახურება კანონის მოთხოვნა სასამართლო განხილვის უწყვეტად მიმდინარეობის შესახებ. სასამართლო განხილვა მიმდინარეობს უწყვეტად, გარდა შესვენებისათვის საჭირო დროისა. საქმის განხილვა მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით შესაძლებელია გადაიდოს:
  - მოსამართლის გამოუცხადებლობის დროს;
  - ნაფიცის მსაჯულის გამოუცხადებლობის დროს;
  - მხარის გამოუცხადებლობის დროს;
  - მონმის გამოუცხადებლობის დროს;
  - თარჯიმნის გამოუცხადებლობის დროს;
  - საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს (მაგალითად შემთხვევის ადგილის დათვალიერება);
  - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში (მაგალითად, საბადრაგო სამსახურის მიერ ბრალდებულის წარმოუდგენლობისას).
6. როგორც აღინიშნა, სასამართლო განხილვა მიმდინარეობს უწყვეტად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წარმოიშობა საქმის განხილვის გადადების საჭიროება. სასამართლოს ასევე შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით საქმის განხილვა გადადოს 18 საათის შემდეგაც. თუკი საქმის განხილვა ვერ დამთავრდება 18 საათამდე, მხარე უფლებამოსილია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე საქმის განხილვის გადადების თაობაზე. მხარეთა თანხმობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია განაგრძოს საქმის განხილვა 18 საათის შემდეგაც.

7. საქმის განხილვის გადადების პერიოდში სასამართლო უფლებამოსილია, რომ განიხილოს სხვა სისხლის სამართლის საქმე (შუამდგომლობა, საჩივარი).
8. სსსკ-ის 220-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, საქმის არსებითი განხილვის სხდომის დანყების თარიღს განსაზღვრავს წინასასამართლო სხდომის მოსამართლე, ხოლო საქმის არსებითი განხილვისას სასამართლო სხდომის გადადების შემთხვევაში სხდომის თარიღი განისაზღვრება საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ. მხარეს აქვს უფლება, რომ სასამართლოს წინასწარ მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით და მოითხოვოს სასამართლო განხილვის სხდომის თარიღის შეცვლა (დადგენილ თარიღზე ადრე ან გვიან დანიშვნა), რის თაობაზედაც ასევე უნდა აცნობოს მეორე მხარეს. ასეთ შუამდგომლობას სასამართლო განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე და მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.
9. კანონი ადგენს ასევე იმის შესაძლებლობას, რომ მხარეებმა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ერთობლივად, წინასწარ მიმართონ სასამართლოს დასაბუთებული შუამდგომლობით სასამართლო განხილვის სხდომის თარიღის შეცვლის (დადგენილ თარიღზე ადრე ან გვიან დანიშვნის) შესახებ. სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრდება.
10. 2015 წლის 08 ივლისის „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლს დაემატა მე-6 და მე-7 ნაწილები, რომლითაც განსაზღვრული იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის ვადა.
11. აღნიშნული ცვლილების თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სისხლის სამართლის საქმის განხილვა უნდა დაამთავროს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 24 თვისა. ეს ვადა არ გამოიყენება იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ბრალდებული თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას ან/და ბრალდებულის მიმართ გამოცხადებულია ძებნა.

### მუხლი 186. სასამართლო სხდომის განაწესი

1. სასამართლო სხდომის დარბაზში სასამართლოს შესვლისა და დარბაზიდან მისი გასვლის წინ სასამართლო სხდომის მდივანი შესაბამისად აცხადებს: „აბრძანდით, სასამართლო მობრძანდება!“, „აბრძანდით, სასამართლო მიბრძანდება!“. ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე სასამართლო სხდომის ყველა დამსწრე ფეხზე დგება.
2. სასამართლო განხილვის მონაწილე სასამართლოს თავაზიანად და პატივისცემით მიმართავს, რის შემდეგაც ფეხზე ამდგარი აკეთებს საჭირო განცხადებას. სასამართლოში ქცევის წესებიდან გამონაკლისი დასაშვებია სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ნებართვით.
1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს სასამართლო სხდომის დარბაზში ქცევის ზოგად წესებს.
2. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (მოსამართლეების) სასამართლო სხდომის დარბაზში შესვლის წინ სასამართლო სხდომის მდივანი აცხადებს: „აბრძანდით, სასამართლო მობრძანდება!“. სასამართლო სხდომის მდივნის მიერ ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე სასამართლო სხდომის ყველა დამსწრე ფეხზე უნდა ადგეს.
3. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის (მოსამართლეების) სასამართლო სხდომის დარბაზიდან გასვლის წინ სასამართლო სხდომის მდივანი შესაბამისად აცხადებს: „აბრძანდით, სასამართლო მიბრძანდება!“. ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე სასამართლო სხდომის ყველა დამსწრე ფეხზე უნდა ადგეს.
4. სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილე ნებისმიერმა პირმა სა-

სამართლოს თავაზიანად და პატივისცემით უნდა მიმართოს, რის შემდეგაც ფეხზე ამდგარმა უნდა გააკეთოს საჭირო განცხადება. ამ წესებიდან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ნებართვით.

## მუხლი 187. სასამართლო სხდომის დაწყება

**სასამართლო სხდომა იწყება მოსამართლის (საქმის კოლეგიური წესით განხილვის შემთხვევაში – მომხსენებელი მოსამართლის) მოხსენებით საქმის განხილვის დაწყების შესახებ.**

1. სასამართლო სხდომა იწყება მოსამართლის (საქმის კოლეგიური წესით განხილვის შემთხვევაში – მომხსენებელი მოსამართლის) მოხსენებით საქმის განხილვის დაწყების შესახებ, რა დროსაც სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ უნდა გამოაცხადოს, თუ რომელ სისხლის სამართლის საქმეს განიხილავენ.

## მუხლი 188. მხარის გამოცხადება სასამართლო სხდომაზე

1. მხარე ვალდებულია დადგინდეს დროს გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე.
2. მხარე ვალდებულია ამ კოდექსით დადგენილი წესით, სასამართლო განხილვის დაწყებამდე შეატყობინოს სასამართლოს საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შესახებ. 3. მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს გადანყვეტილებით, შესაძლებელია სასამართლო განხილვაში ამავე მხარემ მონაწილეობა მიიღოს დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რაც წინასწარ ეცნობება მხარეებს.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მხარე არის ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადოკატი, გამომძიებელი, პროკურორი. მხარე ვალდებულია დადგინდეს დროს გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე.
2. თუ მხარე საპატიო მიზეზით ვერ ახერხებს სასამართლო სხდომაზე დანიშნულ დროს გამოცხადებას, იგი ვალდებულია ამის თაობაზე სასამართლო განხილვის დაწყებამდე შეატყობინოს სასამართლოს. საპატიო მიზეზად მიიჩნევა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობა, რაც გამონეწეულია მისი ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით, სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებებით, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროცესზე გამოცხადებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამონმებული დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. წინასწარ ცნობილი საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე შეტყობინება უნდა წარედგინოს სასამართლოს პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ პროცესის დაწყებამდე არა უგვიანეს 48 საათისა. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს გამოუცხადებლობიდან 5 დღეში.<sup>459</sup>
3. როგორც აღინიშნა, მხარე ვალდებულია, რომ დადგინდეს დროს გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე, თუმცა მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს გადანყვეტილებით, შესაძლებელია სასამართლო განხილვაში მხარის დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მონაწილეობა. მხარის სასამართლო განხილვაში დისტანციურად მონაწილეობის თაობაზე მხარეებს უნდა ეცნობოს წინასწარ.

<sup>459</sup> იხ., სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილის კომენტარი.

## მუხლი 189. ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა

1. ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა დასაშვებია, თუ იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა.

2. თუ დაპატიმრებული ბრალდებული სასამართლო სხდომაზე არ იქნა წარმოდგენილი ბადრაგირების განუხორციელებლობის გამო, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა, და ამის თაობაზე აცნობებს სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რომელიც ვალდებულია მომდევნო სხდომაზე უზრუნველყოს ბრალდებულის წარმოდგენა და სასამართლოს აცნობოს ბადრაგირების განუხორციელებლობის მიზეზი.

1. სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, როგორც წესი, მონაწილეობს ბრალდებული. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ყველა ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:
  - მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დანვრილებით გააცნონ წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;
  - ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;
  - დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;
  - თვითონ დაიკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები, და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში.
  - ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა ან ილაპარაკოს ამ ენაზე.
2. ანუ სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლება ბრალდებულის ერთ-ერთი ძირითადი უფლებათაგანია და აღნიშნულიდან გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული თავს აარიდებს სასამართლოში გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში კი საქმის განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა.
3. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ბადრაგირების განუხორციელებლობისას ვერ ხდება დაპატიმრებული ბრალდებულის სასამართლო სხდომაზე წარმოდგენა. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია გადადოს საქმის განხილვა გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა, და ამის თაობაზე უნდა აცნობოს სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს. სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალდებულია, რომ უზრუნველყოს მომდევნო სხდომაზე ბრალდებულის წარმოდგენა და აცნობოს სასამართლოს ბადრაგირების განუხორციელებლობის მიზეზი.

## მუხლი 190. პროკურორისა და ადვოკატის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და მათი გამოუცხადებლობის შედეგები

1. თუ ადვოკატი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, სასამართლო ბრალდებულის დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფოს ხარჯზე, ამ კოდექსით დადგენილი წესით და გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა. სასამართლო უფლებამოსილია მომდევნო სხდომაზე კიდევ ერთხელ გადადოს საქმის განხილვა არა უმეტეს 5 დღით, თუ დაცვის მხარე წარმოადგენს მოტივირებულ შუამდგომლობას, რომელშიც დასაბუთებულია ადვოკატის გამოუცხადებლობის ობიექტური მიზეზი. შუამდგომლობის წარმოუდგენლობის, წარმოდგენილი შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის ან დაკმაყოფილების შემდეგ ადვოკატის კვლავ გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომა გრძელდება იურიდიული დახმარების შესაბამისი სამსახურის ადვოკატის მონაწილეობით.



2. თუ საქმე იხილება ორი ან მეტი ბრალდებულის მიმართ და სასამართლო სხდომაზე რომელიმე მათგანის ადვოკატი არ გამოცხადდა, სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვა განაგრძოს სხვა ბრალდებულთა მიმართ, თუ ეს არ შელახავს ბრალდებულის ინტერესებს და გავლენას არ მოახდენს მტკიცებულებათა გამოკვლევის სისრულესა და ობიექტურობაზე. ამასთანავე, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ადვოკატისთვის მისი მონაწილეობის გარეშე წარმოებული სასამართლო სხდომის ოქმის გაცნობა.

3. პროკურორის გამოუცხადებლობისას სასამართლო გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა, და ამას აცნობებს საქართველოს მთავარ პროკურატურასა და ზემდგომ პროკურორს, რომელიც ვალდებულია მომდევნო სხდომაზე უზრუნველყოს პროკურორის მონაწილეობა და სასამართლოს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი.

1. თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა ბრალდებულის ადვოკატი, სასამართლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით უზრუნველყოფს ბრალდებულის დაცვას სახელმწიფოს ხარჯზე და გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა. სასამართლო უფლებამოსილია მომდევნო სხდომაზეც კიდევ ერთხელ გადადოს საქმის განხილვა არა უმეტეს 5 დღით, თუ დაცვის მხარე წარმოადგენს მოტივირებულ შუამდგომლობას, რომელშიც დასაბუთებული იქნება ადვოკატის გამოუცხადებლობის ობიექტური მიზეზი. შუამდგომლობის წარმოდგენლობის, წარმოდგენილი შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის ან დაკმაყოფილების შემდეგ, თუ ადვოკატი კიდევ არ გამოცხადდება, სხდომა გრძელდება იურიდიული დახმარების შესაბამისი სამსახურის ადვოკატის მონაწილეობით.
2. თუ საქმე იხილება ორი ან მეტი ბრალდებულის მიმართ და სასამართლო სხდომაზე რომელიმე მათგანის ადვოკატი არ გამოცხადდა, სასამართლოს უფლება აქვს საქმის განხილვა განაგრძოს სხვა ბრალდებულის (ბრალდებულთა) მიმართ, თუ ეს:
  - არ შელახავს ბრალდებულის ინტერესებს;
  - გავლენას არ მოახდენს მტკიცებულებათა გამოკვლევის სისრულესა და ობიექტურობაზე;
  - ამასთანავე, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ადვოკატისთვის მისი მონაწილეობის გარეშე წარმოებული სასამართლო სხდომის ოქმის გაცნობა.
3. პროკურორი, როგორც მხარე, ვალდებულია დადგენილ დროს გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე. სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას პროკურორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა, და ამის თაობაზე აცნობებს საქართველოს მთავარ პროკურატურასა და ზემდგომ პროკურორს. ზემდგომი პროკურორი ვალდებულია მომდევნო სხდომაზე უზრუნველყოს პროკურორის მონაწილეობა და სასამართლოს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი.

**მუხლი 191. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა საქმის არსებითი განხილვის დროს. შეურაცხაობის საკითხის განხილვა**

1. როდესაც არსებობს ამ კოდექსით დადგენილი საფუძველი, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო მხარის შუამდგომლობით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთანავე, სასამართლო აუქმებს გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებას, აგრეთვე წყვეტს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხს.

2. თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხადი იყო, სასამართლო მხარის შუამდგომლობით შეწყვეტს მის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთანავე, საქმის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსე-

ბოზისას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განჩინებით გადაწყვიტოს ამ პირისთვის იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების საკითხი. ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი წესით.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე განჩინებით განსაზღვრავს იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ვადას. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 წელს. ვადის განსაზღვრისას გაითვალისწინება ბრალდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა და ბრალდებულის საკუთარი თავისთვის ან/და სხვა პირისთვის ზიანის, მუქარის ან/და ძალადობის შემცველი ქცევის რისკის ხარისხი, რომელთა შეფასებაც მოცემულია ბრალდებულის შერაცხაობის თაობაზე სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნაში. ამასთანავე, განჩინებაში მიეთითება, რომ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა შეიძლება შეწყდეს დადგენილ ვადაზე ადრე, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველების აღმოფხვრისთანავე, თუ მათი აღმოფხვრა დადასტურდება იმავე კანონით დადგენილი წესით.

3. თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შერაცხადი იყო, მაგრამ მისი ჩადენის შემდეგ შეურაცხადი გახდა, სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც განსაზღვრავს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდას შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით.

4. თუ დადგინდა, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც დასრულებულია სამართალწარმოება, აღენიშნება ფსიქიკური აშლილობის ნიშნები, მისთვის ფსიქიატრიული დახმარების განევის საკითხი რეგულირდება „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და პატიმრობის კოდექსის შესაბამისად. მსჯავრდებულის გამოჯანმრთელების შემთხვევაში მის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით.

1. როგორც წესი, გამოძიების ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი, მაგრამ საქმის არსებითი განხილვის დროს, როდესაც არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძველი, სისხლისსამართლებრივ დევნას, მხარის შუამდგომლობით წყვეტს საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო. ამასთანავე, სასამართლო აუქმებს გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებას, აგრეთვე წყვეტს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს (მაგალითად, წყვეტს ნივთიერი მტკიცებულების ბედს, ყადაღის საკითხს და ა.შ.).
2. თუ საქმის არსებითი განხილვის დროს დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხადი იყო, სასამართლო მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამ ბრალდებულის მიმართ წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ ფსიქიკური აშლილობის გამო პირს არ აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი და მისთვის ფსიქიატრიული დახმარების განევა შეუძლებელია სტაციონარში მოთავსების გარეშე ან ფსიქიკური აშლილობის გამო არსებობს პირის საკუთარი თავისთვის ან/და სხვა პირისთვის ზიანის, მუქარის ან/და ძალადობის შემცველი ქცევის რისკი („ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 22<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტი), საქმის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია, რომ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განჩინებით გადაწყვიტოს ამ პირისთვის იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების საკითხი.
3. ასეთივე სახით წყდება საკითხი იმ შემთხვევაშიც, თუ გამოძიების ეტაპზე სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით დადგინდება, რომ პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხადი იყო. ასეთ შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია, რომ განსჯადობის მიხედვით შუამდგომლობით მიმართოს შესაბამის სასამართლოს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, რა დროსაც სასამართლო ასევე ვალდებულია, რომ „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით

- გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას გადაწყვიტოს ამ პირისთვის იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების საკითხი.
4. სასამართლოს განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების შესახებ შეიძლება გაასაჩივროს პროკურორმა, ბრალდებულმა ან/და მისმა ადვოკატმა მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.
  5. იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს, მოსამართლემ განჩინებით უნდა განსაზღვროს იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ვადა, რომლის განმავლობაშიც ბრალდებული იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების მიზნით თავსდება სტაციონარში. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 წელს. ამ ვადის ათვლა იწყება პირის სტაციონარში მოთავსების მომენტიდან.
  6. იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ვადის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ბრალდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა და ბრალდებულის საკუთარი თავისთვის ან/და სხვა პირისთვის ზიანის, მუქარის ან/და ძალადობის შემცველი ქცევის რისკის ხარისხი, რომელთა შეფასებაც მოცემული უნდა იყოს ბრალდებულის შერაცხაობის თაობაზე სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნაში. ამასთანავე, განჩინებაში უნდა მიეთითოს იმის შესახებ, რომ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა შეიძლება შეწყდეს სასამართლოს განჩინებით დადგენილ ვადაზე ადრე, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული იმ საფუძვლის აღმოფხვრისთანავე, რის გამოც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების შესახებ. საფუძვლის აღმოფხვრა დადასტურებულ უნდა იქნეს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონით დადგენილი წესით.
  7. პირის სტაციონარში მოთავსების შემდეგ ფსიქიატრიული დაწესებულების სპეციალური კომისია ვალდებულია წელინადში ერთხელ შეაფასოს იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობისადმი დაქვემდებარებული პაციენტის მიმართ იძულებითი მკურნალობის საფუძვლების არსებობა. პაციენტი შეიძლება განჩინებით განსაზღვრული ვადის ამონურვამდე იქნეს განერილი სტაციონარიდან, თუკი ფსიქიატრიული დაწესებულების სპეციალური კომისია მორიგი ან ვადამდელი შეფასების შედეგად გამოიტანს დასკვნას, რომ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის საფუძვლები აღმოიფხვრა. ასეთ შემთხვევაში ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ განეროს პაციენტი სტაციონარიდან.
  8. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს იყო შერაცხადი, მაგრამ მისი ჩადენის შემდეგ შეურაცხადი გახდა, სასამართლო გამოიტანს გამამტყუნებელი განაჩენს, რომლითაც განსაზღვრავს გამოჯანმრთელებამდე მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდას შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში. გამოჯანმრთელების შემდეგ კი მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით.
  9. თუ დადგინდა, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც დასრულებულია სამართალწარმოება, აღენიშნება ფსიქიკური აშლილობის ნიშნები, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია მიმართავს უფლებამოსილ საექსპერტო დაწესებულებას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისათვის. თუ უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულების დასკვნით დადასტურდება არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების განყვის აუცილებლობა, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე მიმართოს სასამართლოს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების განყვის შესახებ.
  10. სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას

ბას მსჯავრდებულის გამოჯანმრთელებამდე „არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქი-ატრიული დახმარების განევის შესახებ“. მსჯავრდებულის გამოჯანმრთელების შემთხვევაში მის მიერ სასჯელის მოხდა უნდა გაგრძელდეს საერთო წესით.

## მუხლი 192. სასამართლო სხდომაზე განჩინების გამოტანის წესი

1. სასამართლო განხილვის დროს, განაჩენის გარდა, ყველა გადასაწყვეტ საკითხზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება.
2. სასამართლოს განჩინება გამოაქვს სათათბირო ოთახში გაუსვლელად. განჩინება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.
3. სასამართლო უფლებამოსილია განჩინება გამოიტანოს სათათბირო ოთახში.
4. სასამართლოს განჩინება ცხადდება საჯაროდ.

1. სასამართლო განხილვის დროს, სასამართლოს ყველა გადასაწყვეტ საკითხზე განაჩენის გარდა, გამოაქვს განჩინება.
2. როგორც წესი, სასამართლოს განჩინება გამოაქვს სათათბირო ოთახში გაუსვლელად. ასეთ შემთხვევაში განჩინება შეტანილ უნდა იქნეს სასამართლო სხდომის ოქმში.
3. სასამართლო ასევე უფლებამოსილია, რომ განჩინება გამოიტანოს სათათბირო ოთახში.
4. სასამართლოს განჩინება უნდა გამოცხადდეს საჯაროდ.

## მუხლი 193. სასამართლოს თათბირი და კენჭისყრა კოლეგიური განხილვის დროს

1. სასამართლოს თათბირი საიდუმლოა. სათათბირო ოთახში აკრძალულია კომუნიკაციის ყოველგვარი ტექნიკური საშუალებით სარგებლობა.
2. სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყვიტოს ადგილზე თათბირით.
3. სასამართლოს თათბირსა და კენჭისყრაში მონაწილეობს მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლე.
4. სხდომის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს სასამართლოს თათბირს და აყალიბებს საკითხებს, რომლებზედაც გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული.
5. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით. გადაწყვეტილება სასჯელის ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესახებ მიიღება მხოლოდ ერთხმად.
6. მოსამართლეს არა აქვს უფლება, თავი შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან. სხდომის თავმჯდომარე ხმას აძლევს ბოლოს.
7. თუ სასამართლოს თათბირის დროს საკითხზე განსხვავებული აზრი წარმოიშობა, პირველად კენჭი ეყრება ბრალდებულის სასარგებლო პოზიციას.
8. თუ მოსამართლე სამართლებრივ საკითხზე კენჭისყრისას უმცირესობაშია, იგი ვალდებულია წერილობით ჩამოაყალიბოს განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრი წარედგინება სხდომის თავმჯდომარეს და დაერთვის გადაწყვეტილებას.

1. **ნორმის მიზანი:** ნორმის მიზანია სასამართლო თათბირის საიდუმლოების უზრუნველყოფა და საქმის კოლეგიური განხილვის დროს კენჭისყრის წესების განსაზღვრა.
2. სასამართლოს თათბირი არის საიდუმლო. აკრძალულია სათათბირო ოთახში კომუნიკაციის ყოველგვარი ტექნიკური საშუალებით სარგებლობა.
3. სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყვიტოს ადგილზე თათბირით.
4. დაუშვებელია სასამართლო ოთახში სხვა პირის ყოფნა. სასამართლოს თათბირსა და კენ-

- ჭისყრაში მონაწილეობს მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლე.
5. საქმის კოლეგიური განხილვისას სასამართლოს თავთბირს ხელმძღვანელობს სხდომის თავმჯდომარე, რომელიც აყალიბებს საკითხებს, რომლებზედაც გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული.
  6. საქმის კოლეგიური განხილვისას სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით. გადაწყვეტილება სასჯელის ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესახებ მიიღება მხოლოდ ერთხმად. მოსამართლეს უფლება არა აქვს, თავი შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან. სხდომის თავმჯდომარე ხმას აძლევს ბოლოს.
  7. თუ სასამართლოს თავთბირის დროს საკითხზე განსხვავებული აზრი წარმოიშობა, პირველად კენჭი ეყრება ბრალდებულის სასარგებლო პოზიციას.
  8. თუ მოსამართლე სამართლებრივ საკითხზე კენჭისყრისას უმცირესობაშია, იგი ვალდებულია წერილობით ჩამოაყალიბოს განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრი უნდა წარედგინოს სხდომის თავმჯდომარეს და უნდა დაერთოს გადაწყვეტილებას.

### მუხლი 194. სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნება

1. სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ზეპირად ცხადდება. ზეპირი გადაწყვეტილება ფიქსირდება სასამართლო სხდომის ოქმში, ხოლო წერილობითი დაერთვის ოქმს, რის შესახებაც ოქმში აღნიშვნა კეთდება.
  2. სასამართლო გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.
1. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს როგორც სათათბირო ოთახში, ასევე სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, სათათბირო ოთახში გაუსვლელად. სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას მიღებული გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს ზეპირად და უნდა დაფიქსირდეს სასამართლო სხდომის ოქმში, ხოლო წერილობითი გადაწყვეტილება უნდა დაერთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში უნდა გაკეთდეს აღნიშვნა.
  2. როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

### მუხლი 195. სასამართლო სხდომის ოქმი

1. სასამართლო სხდომის შესახებ დგება ოქმი. იგი შეიძლება შედგეს სტენოგრაფიისა და სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. ოქმში სრულად აისახება სასამართლო პროცესის მიმდინარეობა.
2. სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ და მდივანმა სასამართლო სხდომის დამთავრებიდან ან, სხდომის გადადების შემთხვევაში, სხდომის გადადებიდან არაუგვიანეს 5 დღისა ხელი უნდა მოაწერონ ოქმს, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ მხარეებს.
3. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს ოქმის მხარეებისათვის გაცნობის შესაძლებლობა.
4. მხარეებს უფლება აქვთ, სასამართლო სხდომის ოქმის ხელმოწერის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 5 დღის ვადაში გააკეთონ შენიშვნები ოქმზე. ამ შენიშვნებს 5 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს ამ საქმის განმხილველი სასამართლო.
5. შენიშვნების განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლითაც ადასტურებს შენიშვნების სისწორეს ან უარყოფს მათ. ოქმზე შენიშვნები და სასამართლოს განჩინება დაერთვის საქმეს. შენიშვნების წარმდგენ მხარეს შეუძლია სასამართლოს განჩინება გაასაჩივროს განაჩინთან ერთად.
1. ნორმის მიზანი: ნორმის მიზანია სასამართლო სხდომის ოქმის შედგენის წესის განსაზღვრა.

2. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის მიმდინარეობა სრულად და სწორად უნდა აისახოს სასამართლო სხდომის ოქმში. სასამართლო სხდომის ოქმი შეიძლება შედგეს სტენოგრაფიისა და სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.
3. სასამართლო სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. ოქმი უნდა მომზადდეს და ხელი მოეწეროს სასამართლო სხდომის დამთავრებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. სასამართლო სხდომის ოქმი ასევე უნდა მომზადდეს და ხელი მოეწეროს სხდომის გადადებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. ოქმის ხელმოწერის შესახებ სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მხარეებს.
4. მხარეებს აქვთ უფლება გაეცნონ სასამართლო სხდომის ოქმს. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს მხარეებისათვის ოქმის გაცნობის შესაძლებლობა.
5. მხარეებს უფლება აქვთ, სასამართლო სხდომის ოქმის ხელმოწერის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 5 დღის ვადაში გააკეთონ შენიშვნები ოქმზე. შენიშვნები საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა განიხილოს მიღებიდან 5 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე.
6. სასამართლო სხდომის ოქმზე გაკეთებული შენიშვნების განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს) სასამართლო სხდომის მდივანმა უნდა მისცეს წერილობითი განმარტება.<sup>460</sup>
7. სასამართლო სხდომის ოქმზე გაკეთებული შენიშვნების განხილვის შემდეგ მოსამართლემ უნდა გამოიტანოს განჩინება:
  - სასამართლო სხდომის ოქმზე გაკეთებული შენიშვნების სისწორის დადასტურების შესახებ;
  - სასამართლო სხდომის ოქმზე გაკეთებული შენიშვნების უარყოფის შესახებ.
8. სისხლის სამართლის საქმეს აუცილებლად უნდა დაერთოს:
  - სასამართლო სხდომის ოქმზე გაკეთებული შენიშვნები;
  - სასამართლო სხდომის ოქმზე გაკეთებულ შენიშვნებთან დაკავშირებით გამოტანილი განჩინება.
9. სასამართლო სხდომის ოქმზე შენიშვნების წარმდგენ მხარეს შეუძლია ამ შენიშვნების თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება გაასაჩივროს განაჩენთან ერთად.

<sup>460</sup> იხ., დამატებით სსსკ-ის 24-ე მუხლის კომენტარი.

## თავი XX

### ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში, აღკვეთის ღონისძიებანი

#### მუხლი 196. ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში

1. დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.
2. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის დაკავებულთა მოთავსების ადგილიდან სასამართლოში მიყვანა შეუძლებელია მისი ავადმყოფობის ან სტიქიური უბედურების გამო ან სხვა ობიექტური მიზეზით, მოსამართლეს შეუძლია სასამართლო სხდომა ჩაატაროს დაკავებულთა მოთავსების ადგილას.
3. თუ ამ მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობა დაკავებიდან 48 საათში არ წარედგინება მაგისტრატ მოსამართლეს, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
1. **ნორმის მიზანი:** დაკავებული ბრალდებული დაექვემდებაროს სასამართლოს კონტროლს<sup>461</sup>, პირის დაკავების ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის საფუძვლის საკმარისობის შემოწმება; დაკავებისას და შემდგომ ბრალდებულის უფლებების დაცვა და მის მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენცია.
2. ნებისმიერი თავისუფლების შეზღუდვის თანმდევი თვითნებობის საფრთხე. ამიტომ ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში მნიშვნელოვან როლს თამაშობს თვითნებური დაკავების რისკის შემცირებაში.
3. დაკავებული პირის მოსამართლის წინაშე წარდგენის ვალდებულება ვრცელდება თავისუფლების შეზღუდვის ყველა შემთხვევაზე გამონაკლისის გარეშე და არ არის დამოკიდებული დაპატიმრებული პირის უნარზე ან არჩევანზე გამოიყენოს აღნიშნული გარანტია.<sup>462</sup> ამიტომ პირის სასამართლოში წარდგენა უნდა განხორციელდეს მისი სურვილის მიუხედავად, მაშინაც კი, როდესაც ის არ აპროტესტებს მის დაკავებას. ბრალდებულის დასწრება სასამართლო სხდომაზე საშუალებას იძლევა გამოვლენილ<sup>463</sup> იქნეს მისი დაკავებისას გადამეტებული ფიზიკური ძალის გამოყენება, დაკავების განმავლობაში მის მიმართ არასათანადო/სასტიკი მოპყრობა, წარმოადგენს დაკავებული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენციის საშუალებას, ხელს უწყობს ფაქტზე დროულ რეაგირებას. პირი ფიზიკურად უნდა წარედგინოს მოსამართლეს.
4. სასამართლოს უნდა წარედგინოს ყველა დაკავებული ბრალდებული იმისდა მიუხედავად, ბრალდების მხარე შუამდგომლობს თუ არა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. თუ პროკურორს მიზანშეწონილად არ მიაჩნია აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, სასამართლოში წარდგენის მიზანია წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრა და ბრალდებულის უფლებების დაცვაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება (შემომება ესმის თუ არა წარდგენილი ბრალდების არსი, უფლებების კიდევ ერთხელ განმარტება, ადვოკატის მონაწილეობის უზრუნველყოფის საკითხის შემოწმება, დაკავებისას და ბრალის წაყენებისას გამოძიების ორგანოების მხრიდან პირზე ფიზიკური/ფსიქოლოგიური ზემოქმედების არსებობა და ა.შ.). ბრალდებული სასამართლოს უნდა წარედგინოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისი დაკავება მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელდა. ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბრალდებულთან გაფორმებულია საპროცეს-

<sup>461</sup> Musaev v Uzbekistane, ECtHR, 21/10/2014, §9.3.

<sup>462</sup> CCPR/C/GC/35, General Comment No35– Article 9 (liberty and Security of Person) UNHCR, iV-32; 28/10/2014.

<sup>463</sup> იმ., Body of Principles for the Protection of All Persons under Any Form of Detention or imprisonment, UN, A/Res/43/173, 09/12/1988.

- სო შეთანხმება (ამ შემთხვევაში პროკურორს პირველი წარდგენის სხდომაზე შეუძლია დასამტკიცებლად წარადგინოს შუამდგომლობა არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ).
5. ბრალდებულის პირველი წარდგენა უნდა განხორციელდეს სასამართლოში, თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევაში პირველი წარდგენის სხდომა შეიძლება საგამონაკლისო წესით ჩატარდეს დაკავებულთა მოთავსების ადგილას. აღნიშნულს მიეკუთვნება ისეთი შემთხვევები, როგორცაა, მაგალითად, ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა(მწოლიარე ავადმყოფი, ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, ბრალდებული, რომლის ტრანსპორტირება სახიფათოა მისი ჯანმრთელობისათვის და ა.შ.), ბადრაგირების განხორციელებაში შეფერხება, საგანგებო მდგომარეობა ან საომარი ვითარება, სტიქიური უბედურება – მენყერი, წყალდიდობა და ა.შ., მასობრივი არეულობა და სხვა, რაც ზრდის ბრალდებულის ტრანსპორტირებისას მისი მიმალვის ან/და ჯანმრთელობის დაზიანების/გაუარესების საფრთხეს.
  6. მე-3 ნაწილი ითვალისწინებს იმპერატიულ დანაწესს, რომლის თანახმად დაკავებიდან 48-საათიანი ვადის გასვლისთანავე დაკავებული უნდა გათავისუფლდეს თუ ბრალდების მხარე არ წარადგენს სასამართლოში შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. აღნიშნული ვადის დინების შეჩერება/ გაგრძელება არ დაიშვება მათ შორის არც საგანგებო მდგომარეობის ან სხვა ფორსმაჟორული ვითარების შემთხვევაში. აღნიშნულისგან განსხვავებულ რეგულაციას ითვალისწინებს სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-10 ნაწილი, რომელიც არეგულირებს მიმალვაში მყოფი ბრალდებულის დაპატიმრების შემთხვევაში მისი წარდგენის საკითხს მაგისტრატ მოსამართლესთან და ითვალისწინებს 48-საათიანი ვადის გაგრძელებას 15 დღემდე ფორს-მაჟორის, ან ბრალდებულის ავადმყოფობის შემთხვევაში (თუმცა ვადის გაგრძელების შესაძლებლობას გამორიცხავს ძებნილი ბრალდებულის უცხოეთში დაკავების შემთხვევაში).
  7. მე-3 ნაწილი 48 საათში ითვალისწინებს სასამართლოსთვის შუამდგომლობის და არა უშუალოდ ბრალდებულის წარდგენას. ვადის ათვლა იწყება პირის ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან. შუამდგომლობა წარდგენილად ითვლება შესაბამისი სასამართლოს კანცელარიაში მისი რეგისტრაციის მომენტიდან. თუ შუამდგომლობის მიტანა სასამართლოში ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია, აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს კურიერის ან საფოსტო დაწესებულების მეშვეობით. მაგრამ ზოგადი ნორმისგან განსხვავებით, შუამდგომლობა დროულად შეტანილად ითვლება თუ ის სასამართლოს კანცელარიას და არა შუამავალ პირს/დაწესებულებას ჩაბარდა. მნიშვნელობა არა აქვს აღნიშნული ვადა ემთხვევა თუ არა დასვენების დღეებს ან სამუშაო საათებს.
  8. კანონმდებლობა არ განსაზღვრავს „დაუყოვნებლივ“-ის ცნებას. თუმცა მასში, როგორც წესი, მოიაზრება მაქსიმალურად შემჭიდროებული ვადა, რაც ობიექტურად საჭიროა პირის გათავისუფლების გაფორმების და პრაქტიკულად განხორციელებისათვის.<sup>464</sup>
  9. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ განსაზღვრავს უშუალოდ ბრალდებულის სასამართლოსთვის წარდგენის ვადას, შუამდგომლობის და შესაბამისად ბრალდებულის წარდგენაც უნდა განხორციელდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე.
  10. ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენა უნდა გაიმძღვნოს ე.წ. habeas corpus-ის და პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის რეგულარული პერიოდულობით გადასინჯვის პროცედურებისგან.<sup>465</sup>
  11. პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებულს გააჩნია შემდეგი მინიმალური უფლებები: პირადად წარსდგეს სასამართლოს წინაშე, გაასაჩივროს მისი დაკავების კანონიერება,

<sup>464</sup> პირის გათავისუფლების 40 ნთ-იანი დაყოვნება ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია მე-5 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევად, იხ., K.F.v Germany, ECtHR, 27/11/1997.

<sup>465</sup> McKAY v the UK, ECtHR, (GC), 03/10/2006, §34; De Jong, Baljet and Van Den Brink v the Netherlands, ECtHR, 22/05/1984, §51,57; Ječius v Lithuania, ECtHR, 31/07/2000, §84.



უფლება იურიდიულ დახმარებაზე, საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა<sup>466</sup>, უფლება კონკრეტულ და დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე,<sup>467</sup> უფლება თარჯიმნის უფასო მომსახურებაზე, იყოს მოსმენილი საქმისათვის მნიშვნელოვან თითოეულ გარემოებასთან დაკავშირებით,<sup>468</sup> სასამართლოს განჩინების გასაჩივრების უფლება.

12. პრინციპული განსხვავება დაკავების **კანონიერების გასაჩივრებასა** და პირის სასამართლოს წინაშე წარდგენის ვალდებულებას შორის იმაშია, რომ პირველის ინიცირება დაკავებული ბრალდებულის სურვილზეა დამოკიდებული, ხოლო მეორე – სახელმწიფოს ვალდებულებაა. უფლება დაკავების კანონიერების შემოწმებაზე მოქმედებს ყოველთვის, მათ შორის საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის დროსაც. კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სანქციებს იმ თანამდებობის პირებისთვის, ვინც ხელს უშლიან ან აჭიანურებენ დაკავების კანონიერების შემოწმების უფლების განხორციელებას („იძულებითი გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის შესახებ“ გაეროს 20/12/2006 წლის 20 კონვენცია, მუხლი 22“), ან უარს ეუბნებიან დაცვის მხარეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამჟღავნებაზე habeas corpus-ის პროცედურების წარმოებისას.
13. შუამდგომლობასთან ერთად სასამართლოში წარდგენილ უნდა იქნეს საქმის იმ მასალების ასლები, რომლებიც აუცილებელია შუამდგომლობის განხილვისათვის (მაგალითად, დაკავების ოქმი, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ყველა ის მტკიცებულება, რასაც ეყრდნობა დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, ბრალდებულის სასამართლოების შესახებ ცნობა და სხვა მასალები, რაც საჭიროა პროკურორის შუამდგომლობის დასაბუთებისთვის).
14. თუ პირს, რომელიც ერთ სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველზე იმყოფება პატიმრობაში, შეეფარდება პატიმრობა სრულიად განყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველზე, ეს პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს მეორე პატიმრობაზე კონტროლის განსახორციელებლად.<sup>469</sup>

## მუხლი 197. ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა, უფლებათა განმარტება

1. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა მაგისტრატი მოსამართლე ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით:

- ა) არკვევს ბრალდებულის ვინაობას;
- ბ) არკვევს, ესმის თუ არა ბრალდებულს სისხლის სამართლის პროცესის ენა;
- გ) ბრალდებულს განუმარტავს ბრალდების არსს და მის უფლებებს, მათ შორის, წამებისა და არაჰუმანური მოპყრობისათვის საჩივრის (სარჩელის) შეტანის უფლებას;
- დ) ბრალდებულს აცნობებს ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის სახეს და ზომას;
- ე) არკვევს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას და მხარეთა თანხმობის შემთხვევაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;
- ვ) იხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობას;
- ზ) ბრალდებულისგან არკვევს, აქვს თუ არა რაიმე საჩივარი ან შუამდგომლობა მისი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით;

<sup>466</sup> Lebedev v Russia, ECtHR, 25/10/2007, §77.

<sup>467</sup> McKAY v the UK, ECtHR, (GC), 03/10/2006, §43; Pacuria v Georgia, ECtHR, 06/11/2007, §62; Nikolaishvili v Georgia, ECtHR, 13/01/2009, §76.

<sup>468</sup> Assenov and Others v Bulgaria, ECtHR, 28/10/1998, §146; McKAY v the UK, ECtHR, (GC), 03/10/2006, §35.

<sup>469</sup> MOrrison v Jamaica, UNHRC 25/11/1998, § 22.2-22.3; Michael Jensen v Australia, 22/03/2001, §6.3.

თ) ახორციელებს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

## 2. ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა მიმდინარეობს უწყევტად.

1. სსსკ-ის 197-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას პირველი წარდგენის სხდომა დანიშნოს აღკვეთის ღონისძიების შესახებ შუამდგომლობის სასამართლოს კანცელარიაში რეგისტრაციიდან 24 საათის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ მუხლი ყურადღებას ამახვილებს სხდომის დანიშვნის ვალდებულებაზე, იგულისხმება, რომ სხდომის კონკრეტული დროის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული საქმის სირთულე და სავარაუდო ხანგრძლივობა, რაც შესაძლებელია დასჭირდეს შუამდგომლობის განხილვას და სასამართლოს განჩინების გამოტანას.<sup>470</sup>
2. მიუხედავად იმისა, რომ სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებზე ბრალდებულის დასწრების კომპენსირება შესაძლებელია განხორციელდეს პროცესში ადვოკატის მონაწილეობით და ბრალდებულს ჰქონდეს შესაძლებლობა საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლო სხდომაზე დასწრების შესახებ, პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებულის დასწრება და მონაწილეობა სავალდებულოა და არ არის დამოკიდებული ბრალდებულის ნება-სურვილზე.
3. მოსამართლე ვალდებულია არა მხოლოდ გამოარკვიოს რამდენად ესმის ბრალდებულს სამართალწარმოების ენა, არამედ საჭიროების შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები თარჯიმნის მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის.<sup>471</sup> სამართალწარმოების ენის ცოდნის საკითხის განხილვისას სასამართლო არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ბრალდებულის დასტურით ენის ცოდნის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო განხილვისას ბრალდებულის განცხადებებიდან გამომდინარე სასამართლოს გაუჩნდება ეჭვი იმაში, რომ ბრალდებულს სრულყოფილად არ ესმის სამართალწარმოების ენა (მაგალითად, ბრალდებულის პასუხი კითხვის შინაარს არ შეესაბამება და აღნიშნული არ წარმოადგენს დაცვის ტაქტიკას), სასამართლო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოს პროცესში თარჯიმანის ჩართვა.
4. ბრალდების არსის განმარტებისას სასამართლომ არა მხოლოდ უნდა მიუთითოს სსკ-ით გათვალისწინებული მუხლის ფორმულირებაზე, არამედ მარტივად/ბრალდებულისათვის გასაგები არატექნიკური ენით განუმარტოს ბრალდებულს კონკრეტული ბრალდების შინაარსი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს არ ეკისრება ბრალდებულის ადვოკატურების ვალდებულება, განმარტება უნდა იყოს იმდენად დეტალური, რომ ბრალდებულს შეეძლოს განსაზღვროს ის სირთულეები, რაც შესაძლებელია უკავშირდებოდეს აღნიშნულთან დაკავშირებით სამართალწარმოებას და დაცვის დამოუკიდებლად/ადვოკატის დახმარებით წარმოების მიზანშეწონილობა. ამავე მიზანს ემსახურება სასამართლოს მიერ ბრალდებულისთვის ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის სახის და ზომის განმარტებაც. აღნიშნული გულისხმობს, რომ მოსამართლემ ბრალდებულს უნდა აცნობოს მხოლოდ ის, თუ რა სახის სასჯელები (ალტერნატიული სასჯელების შემთხვევაში) და რა მოცულობით არის გათვალისწინებული სსკ-ის შესაბამისი მუხლით. კერძოდ, მოსამართლემ სასჯელის ზომის განმარტებისას უნდა მიუთითოს მუხლით გათვალისწინებული სასჯელის თითოეული სახის მაქსიმალური და მინიმალური ოდენობა, დამატებითი სასჯელის გამოყენების შესაძლებლობა. მუხლი შესაძლებელია პირდაპირ არ ითვალისწინებდეს სასჯელის მინიმალურ ოდენობას, თუმცა აღნიშნული არ ათავისუფლებს მოსამართლეს ამს განმარტების ვალდებულებისგან. განმარტების მიზანია, ბრალდებულმა შესძლოს რეალურად შეაფასოს იმ საფრთხის ინტენსივობა, რაც უკავშირდება კონკრეტულ დანაშაულში მის ბრალდებას.

<sup>470</sup> იხ., დამატებით სსსკ-ის 206-ე მუხლის კომენტარი.

<sup>471</sup> იხ., დამატებით სსსკ-ის მე-11 მუხლის კომენტარი.

5. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 198-ე მუხლი პირდაპირ არ ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას შეამოწმოს სავალდებულო წესით/სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნის საკითხი, აღნიშნული ასევე უნდა იქნეს განხილული და გადაწყვეტილი პირველი წარდგენის სხდომაზე.
6. სსსკ-ი არ ითვალისწინებს დაკავების კანონიერების გასაჩივრების სპეციალურ მექანიზმს. ამიტომ პირველი წარდგენის სხდომის ერთ-ერთ დანიშნულებას წარმოადგენს განხორციელებული დაკავების კანონიერების შემოწმება სასამართლოს მიერ. დაკავების სახის მიხედვით შემოწმება განსხვავდება შემომწმების მოცულობის მიხედვით. კერძოდ, სასამართლოს განჩინების საფუძველზე განხორციელებული დაკავების კანონიერების შემოწმებისას, პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლომ უნდა შეამოწმოს დაკავების განმახორციელებელი პირების მხრიდან დაკავებისას ფიზიკური ძალის/ იძულების გამოყენების კანონიერების, დაკავებული პირის მიმართ ადეკვატური მოპყრობის, მისთვის უფლებების განმარტების დროულობის და სისრულის, აღნიშნული უფლებების რეალიზების შესაძლებლობის პრაქტიკული უზრუნველყოფის საკითხი. ხოლო თუ დაკავება განხორციელდა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე, მაშინ აღნიშნულის გარდა ასევე შემოწმებულ უნდა იქნეს დაკავების განხორციელების წინაპირობების და სათანადო საფუძვლის, გადაუდებელი აუცილებლობის რეალურად არსებობა, დაკავების განმახორციელებელი პირის უფლებამოსილება დაკავების განხორციელებაზე.
7. სასამართლომ უნდა შეისწავლოს მტკიცებულებები, რომლებსაც გააჩნიათ პირდაპირი შეხება დაკავების კანონიერებასთან საქართველოს და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, განხილვის პროცედურა უნდა აკმაყოფილებდეს თანასწორობის და შეჯიბრებითობის მოთხოვნებს.<sup>472</sup> ბრალდებულს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს სადავო გახადოს წაყენებული ბრალის საფუძველი (მაგალითად, მიუთითოს სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობის შესახებ), გამოიძახოს მონმეები, რომელთა ჩვენებას შეუძლია არსებითი გავლენა იქონიოს დაკავების კანონიერების განსაზღვრისათვის, მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქმის მასალები (განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც ასაბუთებს დაკავების განხორციელების პროცედურის კანონიერებას),<sup>473</sup> მხარეებს უნდა ჰქონდეთ მონინაალმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების კომენტარების შესაძლებლობა. როდესაც ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაცვის მხარისათვის ინფორმაციი ნაწილის არგამჟღავნება, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ, აღნიშნულის მიუხედავად, დაცვის მხარის უფლებების შეზღუდვა იმგვარად იყოს დაბალანსებული, რომ დაცვის მხარეს ჰქონდეს დაცვის და დაკავების კანონიერების გასაჩივრების ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობა.<sup>474</sup>
8. ამ პროცედურის მთავარი არსი, პირველ რიგში, დაკავების კანონიერების შემოწმებაში მდგომარეობს. სსსკ-ი არ ადგენს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული დაკავების სასამართლოს მიერ post factum შემოწმების წესი რეგულირებას. აღნიშნულზე არ ვრცელდება არც სსსკ-ის 112-ე მუხლით დადგენილი წესი.<sup>475</sup> შესაბამისად, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისას ასევე შემოწმებულ უნდა იქნეს

<sup>472</sup> A. and Others v UK, ECtHR, (GC), 19/02/2009, §202-224; Ramishvili and Kokhreidze v Georgia, ECtHR, 27/01/2009, §128-136; Kampanis v Greece, ECtHR, 13/07/1995, §47; inter-American Commission on Human Rights, Rep. 51/01(2001) Rafael Ferrer-Mazorra et al. v the US, Report N° 51/01, case 9903, §213.

<sup>473</sup> Włoch v Poland, ECtHR, 19/10/2000, §125-131; A. and Others v UK, ECtHR, (GC), 19/02/2009, §202-204.

<sup>474</sup> A. and Other v UK ECtHR, (GC), 19/02/2009, §202-224 ; იხ., ასევე „ეროვნული უსაფრთხოება, გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ იოჰანესბურგის პრინციპები“, 01/10/1995, პრინციპები 2, 14.

<sup>475</sup> სსსკ-ის 112-ე მუხლი ეხება მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებებს და ადგენს მხოლოდ ისეთი საგამოძიებო მოქმედებების დაკანონების წესს, რომლებიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირად ცხოვრებას.

- განხორციელებული დაკავების კანონიერება და გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული დაკავების საფუძვლიანობაც.
9. მოსამართლე ვალდებულია შეამოწმოს დაკავების კანონიერება (საფუძვლიანობა და დაკავების პროცედურის კანონიერება), ალკვეთის ღონისძიების გამოყენების მატერიალური და საპროცესო საფუძვლების არსებობა იმისდა მიუხედავად, მხარე სადავოდ ხდის თუ არა აღნიშნულ საკითხს. თუ მხარე სადავოდ არ ხდის დაკავების კანონიერებას, სასამართლო მაინც ვალდებულია შეაფასოს კანონის მოთხოვნების დაცვის საკითხი. თუ მხარე სადავოდ ხდის აღნიშნულ საკითხს, მან უნდა მიუთითოს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ მის პოზიციას, სსსკ-ის რომელი მოთხოვნა იქნა დარღვეული და რაში გამოიხატა დარღვევა. სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს „არა მხოლოდ დაკავების შესაბამისობა ეროვნული კანონმდებლობის პროცედურულ წესებთან, არამედ გამოერკვია იმ ეჭვის საფუძვლიანობა, რომელიც გახდა პირის დაკავების საფუძველი, აგრეთვე დაკავების მიზნის კანონიერება შეემოწმებინა.<sup>476</sup>
  10. ნამების და არაჰუმანური მოპყრობის შესახებ საჩივრის შეტანის უფლების განარტებისას, სასამართლო ვალდებულია ბრალდებულს მკაფიოდ განუმარტოს, რომ აღნიშნული საჩივრის განცხადების შესაძლებლობა მას აქვს როგორც მთელი სამართალწარმოების მიმდინარეობისას ნებისმიერ მომენტში, ასევე მიმდინარე სასამართლო განხილვისას ზეპირი სახით. ამასთან, მკაფიოდ უნდა განიმარტოს, რომ ბრალდებულის მხრიდან სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაცია მოგვიანებით არ შეიძლება მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული. ბრალდებულს უფლება აქვს აღნიშნულის შესახებ საჩივრით დააყენოს კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი, ასევე მოითხოვოს სამოქალაქო სამართალწარმოების გზით მისთვის მიყენებული ზიანის (მათ შორის ფიზიკური, მორალური ზიანის) ანაზღაურება.
  11. სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს ბრალდებულს აქვს თუ არა რაიმე შუამდგომლობა ან/და საჩივარი მისი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ ბრალდებულის მიმართ ადგილი არ ჰქონია არაადეკვატურ მოპყრობას, აღნიშნული ცალსახად არ გამორიცხავს მისი საპროცესო უფლებების ნაკლებად ინტენსიური დარღვევის შესაძლებლობას. ბრალდებულის საჩივარი შესაძლებელია ეხებოდეს დაკავებისას მისი საპროცესო უფლებების დარღვევას, რაც შესაძლებელია ინვესტირებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას. მაგრამ მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ შუამდგომლობის განხილვა სცილდება პირველი წარდგენის სასამართლოს სხდომის ფორმატს. ბრალდებულის შუამდგომლობა შესაძლებელია ეხებოდეს მისი უფლებების დარღვევის ამსახველი მტკიცებულების ცალკეული დაწესებულებებიდან გამოთხოვას, ასაჩივრებდეს დაკავების ხანგრძლივობას (რომ მისი ფაქტობრივი დაკავება განხორციელდა დაკავების ოქმში მითითებულ ვადაზე მნიშვნელოვნად ადრე), აყენებდეს შუამდგომლობას მისი გათავისუფლების შესახებ, ვინაიდან დაირღვა სსსკ-ის 174-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ვადები (მაგალითად, ბრალი წარედგინა *de facto* დაკავებიდან 51-ე საათზე) ან 175-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები, შუამდგომლობდეს, რომ ვინაიდან ბრალდებულისთვის არ მოხდა დუმის და ადვოკატის დახმარებაზე უფლების განმარტება, მისი აღიარებითი გამოკითხვის ოქმი არ შეიძლება იქნეს გამოყენებული ალკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების დასაბუთებისათვის და სხვა.
  12. სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობა. მხარეებს შესაძლებელია უკვე ჰქონდეთ მიღწეული შეთანხმება საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით, ან საჭიროებდნენ დამატებით დროს შეთანხმების ცალკეული პირობების დაზუსტებისათვის. ამ შემთხვევაში სასამართლომ შეუძლია გამოაცხადოს შესვენება გონივრული ხანგრძლივობით, რაც უზრუნველყოფს 24-საათიანი ვადის დაცვას და იმავდროულად საკმარისი იქნება პირობების დაზუსტებისთვის. როცა მხარეები წინასწარ

<sup>476</sup> Nikolaishvili v Georgia, ECtHR, 13/01/2009, §92; Brogan and others v the UK, ECtHR, 30/05/1989, §34-35.

- უკვე შეთანხმებულები არიან საპროცესო შეთანხმების პირობებზე და ბრალდების მხარემ სასამართლოს წარუდგინა ორი შუამდგომლობა (საპროცესო შეთანხმების დამტკიცების და აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების შესახებ), სასამართლო, პირველ რიგში იხილავს შუამდგომლობას საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის შემთხვევაში კი იხილავს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.
13. მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს ბრალდებულისთვის იმ უფლებების და მოვალეობების მკაფიოდ განმარტება, რომლებიც დაკავშირებულია აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენებასთან, იმისათვის, რომ ბრალდებულმა სრულყოფილად და ეფექტიანად შესძლოს თავისი უფლებების რეალიზაცია.
  14. ბრალდებულს საშუალება უნდა ჰქონდეს ბრალდების მხარის მიერ მოყვანილ გარემოებებზე/ფაქტებზე წარმოადგინოს საკუთარი არგუმენტები და განმარტებები, მიუთითოს ნებისმიერ განცხადებაზე, რომელსაც არ ეთანხმება.
  15. სასამართლომ უნდა შეამოწმოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული საფრთხეების არსებობა. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და შემდგომ პატიმრობის ვადის გაგრძელება გამართლებულია მხოლოდ მანამდე, ვიდრე საამისოდ იარსებებს საქმესთან დაკავშირებული და საკმარისი მიზეზები. შესაძლებელია სანყის ეტაპზე, მაგალითად, დაკავებისას არსებობდა მიმალვის ან მტკიცებულების განადგურების საფრთხე, მაგრამ მოგვიანებით ეს საფრთხე ნაკლებად რეალისტური ან/და ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდეს (თუ მაგალითად, ყველა მტკიცებულება უკვე ამოღებულია). ასეთ შემთხვევაში პირი უნდა გაათავისუფლდეს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არსებობს პატიმრობის ძალაში დატოვებისთვის საკმარისი საფუძველი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ვადის გონივრულობას, იმისათვის, რომ პატიმრობის პერიოდი არ გახდეს არაგონივრულად ხანგრძლივი და შესაბამისად, თვითნებური. აღნიშნული საკითხისათვის მნიშვნელოვანია როგორც საქმის და მასთან დაკავშირებული სამართალწარმოების სირთულე,<sup>477</sup> ასევე ბრალდების მხარის აქტიურობის ხარისხი. ბრალდების მხარის ხანგრძლივი უმოქმედობა<sup>478</sup> გარდუვალად იწვევს კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას.
  16. დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული (ხოლო სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში – დანაშაული, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას) დაკავების sine qua non პირობას წარმოადგენს, მაგრამ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აღნიშნული არ არის საკმარისი.
  17. სხდომის მიმდინარეობის უწყვეტობა არ უკრძალავს სასამართლოს შესვენების გამოცხადებას, მათ შორის მონინალმდევე მხარის მიერ წარდგენილი კონკრეტული მტკიცებულების/აღკვეთის ღონისძიების შესახებ შუამდგომლობის და თანდართული მასალების გაცნობის შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის, მაგრამ უკრძალავს სასამართლოს აღნიშნულ დროის მონაკვეთში სხვა სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოებას (სხვა სისხლის სამართლის საქმის განხილვას/გაგრძელებას, ვიდრე არ იქნება გამოტანილი განჩინება თავდაპირველ შუამდგომლობასთან დაკავშირებით). შესვენების გამოცხადება შესაძლებელია საჭირო გახდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ ბრალდებული არ ფლობს სამართალწარმოების ენას და საჭიროა სასამართლო განხილვაზე თარჯიმნის მონაწილეობის უზრუნველყოფა.

<sup>477</sup> იხ., დამატებით სსსკ-ის მე-8 მუხლის კომენტარი.

<sup>478</sup> Toth v Austria, ECtHR, 12/12/1991.

## მუხლი 198. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები და საფუძველი

1. აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღკვეთის მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

2. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებულ მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

3. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა.

4. სასამართლო უფლებამოსილია ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

5. აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.

1. აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას გააჩნია პრევენციულ-უზრუნველყოფელი ხასიათი. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი არ არის პირის ბრალეულობის მტკიცება, იგი წარმოადგენს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეშლის პრევენციის საშუალებას.<sup>479</sup>
2. აღკვეთის ღონისძიება წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიების სახეს. მისი გამოყენება დაიშვება მხოლოდ ბრალდებულის მიმართ სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საფრთხეების პრევენციისთვის. მოწმის და დაზარალებულის მიმართ კი გამოიყენება საპროცესო იძულების სხვა ღონისძიებები (მაგალითად, მიყვანა).
3. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დაიშვება სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. გამონაკლისია – გამოძიების ეტაპი სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებამდე და განაჩენის აღსრულება.
4. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დაიშვება, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ და დადგენილია დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გარემოებები, რაც ხელს უწყობს ობიექტურად შეფასდეს ბრალდებულის საშიშროება, მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის მიზნით მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების დასაბუთებულად პროგნოზირება.
5. სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საფრთხის შემცველი თითოეული მიზნის in abstracto გამოყენება აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისათვის დაუშვებელია და უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ ფაქტობრივ საფუძველს. აღნიშნული საფუძველი არ შეიძლება იყოს „ზოგადი და აბსტრაქტული.“<sup>480</sup> ბრალდების სიმძიმე და მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის ან შეთქმულების ჰიპოთეტური საშიშროება არ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს.<sup>481</sup>
6. აღკვეთის ღონისძიების და განსაკუთრებით პატიმრობის გამოყენება ემყარება

<sup>479</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/06/2015 წლის საოქმო ჩანაწერი №646 , II-40.

<sup>480</sup> Boicenco v Moldova, ECtHR, 11/07/2006, § 143.

<sup>481</sup> Patsuria v Georgia, ECtHR, 06/11/2007, § 67.

- დასაბუთებულ ვარაუდს მხოლოდ მაშინ, თუ დაფუძნებულია იმ გარემოებასა და ინფორმაციაზე, რომელიც პირს ობიექტურად აკავშირებს შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტთან. ამისათვის კი უნდა არსებობდეს მტკიცებულებები, რომლებიც აჩვენებს პირს ასეთი ქმედების ჩადენაში ან სხვა მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელთაც ანალოგიურ შედეგამდე მივყავართ. ამდენად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება არ უნდა ემყარებოდეს გრძნობებს, ინსტიქტებს, წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებებსა თუ არსებულ ურთიერთობებს (ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა).
7. სსსკ-ი არ მოითხოვს უკლებლივ ყველა ბრალდების საქმეზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. სსსკ-ის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე შუამდგომლობისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც საქმის, ასევე კონკრეტული ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლები. შესაბამისად, ერთი და იმავე კატეგორიის დანაშაულის საქმეებზე/თანამონაწილეების მიმართ ერთი და იმავე სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ერთ შემთხვევაში იქნება დასაბუთებული, ხოლო მეორე შემთხვევაში – დაუსაბუთებელი.
  8. აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის განხილვისას სასამართლოს მიერ გასათვალისწინებელ საკითხთა ჩამონათვალი სანიმუშოა და სასამართლო საქმის ინდივიდუალური თავისებურებიდან გამომდინარე უფლებამოსილია გაითვალისწინოს სხვა გარემოებებიც ორივე მიმართულებით (გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ მოთხოვილი აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას, ასევე მიუთითებენ უფრო მსუბუქი ღონისძიების გამოყენების ან აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობის შესახებ). მაგალითად, მიყენებული ზიანის ოდენობა და მისი ანაზღაურების მდგომარეობა (ზიანის სრულად/ნაწილობრივ ან საერთოდ არ ანაზღაურება), ასაკი, ბრალდებულის კმაყოფაზე მყოფ პირთა და მისი ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის და დასაქმების მდგომარეობა, სხვა დამოუკიდებელი შემოსავლის წყაროს არსებობა; ქონებრივი მდგომარეობა; მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; პირობითი მსჯავრის პერიოდში ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულება და სხვა.
  9. მე-3 ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარემ უნდა დაასაბუთოს სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა, რაც არ გულისხმობს შუამდგომლობის დასაბუთებისათვის საპირისპირო ტაქტიკის – გამორიცხვის მეთოდის გამოყენებას და მაგალითად, თავდებობის ან გირაოს გამოყენების მიზანშეუწონილობის დასაბუთებას პატიმრობის გამოყენების საფუძვლების არარსებობით. ბრალდების მხარემ უნდა ამტკიცოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის საკმარისი საპროცესო საფუძვლების არსებობა საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.
  10. შუამდგომლობაში ბრალდების მხარემ კუმულაციურად უნდა დაასაბუთოს: 1) მატერიალური /ფაქტობრივი საფუძვლის არსებობა – რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადასტურებულია ბრალდებულის მიერ დანაშაულის და არა სხვა სახის სამართალდარღვევის ჩადენა. აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნამდე ბრალდების მხარემ სრულყოფილად უნდა მოიძიოს მტკიცებულებები დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტთან მიმართებით, წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება უარის თქმის საფუძველი. მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის სხვა საკითხებთან ერთად დადგენილ უნდა იქნეს ქონების დაუფლების ფარული ხასიათი, დაუფლების განზრახვა და ქონების ღირებულება; სსსკ-ის 273-ე მუხლზე – პრეიუდიციული ფაქტების არსებობა და ა.შ. შესაბამისად, რომელიმე აღნიშნული გარემოების დაუდასტურებლობის შემთხვევაში სასამართლო მოკლებული იქნება იმსჯელოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე, ვინაიდან სახეზე არ იქნება დანაშაულის შემადგენლობა. 2) ფორმალური/საპროცესო-დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადასტურებულია, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში რეალურად არსებობს ბრალდებულის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე მიმალვის, მონმეებზე ზემოქმედების, მტკიცებულებათა განადგურების, ახალი დანაშაულის ჩადენის სახით. რომელიმე ამ საფრთხის არ

არსებობა გამორიცხავს შუამდგომლობის დაკმაყოფილებას. იმავდროულად, დაუშვებელია სასამართლოს მიერ მოწმეებზე ზემოქმედების, მტკიცებულებათა განადგურების ან /და მიმალვის საფრთხის ზედმეტად ფართოდ ინტერპრეტირება ან/და აღნიშნულ საფრთხეზე *pro forma* მითითება<sup>482</sup>; 3) გამოსაყენებელი აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის პროპორციულობა.

11. ხშირ შემთხვევაში ბრალდების მხარე აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას უთითებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების რამდენიმე ან ყველა მიზანზე/წინაპირობაზე ერთდროულად, თითოეული მათგანის კონკრეტულად დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დასაბუთების გარეშე. მაგალითად, „მოწმეებზე და მომავალში მოსაპოვებელ მტკიცებულებებზე ზემოქმედების რეალური საფრთხე“ ამ საფრთხის კონკრეტიზაციის, ბრალდებულის მხრიდან აღნიშნულის განხორციელების რეალურ შესაძლებლობაზე/მცდელობაზე მითითების გარეშე.
12. შუამდგომლობაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებისათვის მითითებული უნდა იყოს კონკრეტული წინაპირობა. ბრალდების მხარემ შაბლონურად არ უნდა მიუთითოს ყველა წინაპირობაზე ერთდროულად და მოახდინოს მუხლის ციტირება. დასაბუთებულობა გულისხმობს წინაპირობის სწორად შერჩევას და მის დასაბუთებას ობიექტური ფაქტობრივი გარემოებებით. შუამდგომლობის დასაბუთებულობის ხარისხი არ იზრდება ყველა წინაპირობაზე ერთობლივად მითითებით. პირიქით, რაც უფრო მეტ წინაპირობას უთითებს ბრალდების მხარე, მით უფრო მყარი და მოცულობითი უნდა იყოს დასაბუთება ვინაიდან თითოეული წინაპირობა უნდა იყოს დასაბუთებული დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. კერძოდ, მიმალვის საფრთხის და მტკიცებულებათა განადგურების დასაბუთებულობა ერთსა და იმავე გარემოებებზე აპელირებით, როგორც წესი, არ დაიშვება, ვინაიდან სხვადასხვა სახის და ინტენსივობის საფრთხეს წარმოადგენს და საჭიროებს ინდივიდუალიზებას. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების და კონკრეტული სახის შერჩევა დამოკიდებულია არა წინაპირობების (მიმალვა, განადგურება და ა.შ.) რაოდენობაზე, არამედ თითოეული ამ საფრთხის რეალისტურობასა და დასაბუთებულობაზე. იმავდროულად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ საქმის განვითარების კვალობაზე საფრთხეები შესაძლებელია მოდიფიცირდეს. კერძოდ, გამოძიების სტადიაზე შესაძლებელია არსებობდეს მტკიცებულების განადგურების საფრთხე, ხოლო გამოძიების დასრულებისას, როდესაც პრაქტიკულად ყველა ძირითადი მტკიცებულება ამოღებული და დამაგრებულია – აღნიშნული საფრთხე მინიმალურია, მაგრამ შესაძლებელია გაზრდილი იყოს მიმალვის საფრთხე. შუამდგომლობა დაუსაბუთებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბრალდება ახდენს ზერელე მითითებას საფრთხეებზე, მაგალითად, „იმისათვის, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს გამოძიებას და სასამართლოში გამოცხადებას, მის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ..“ თუ მასში მითითებული არ არის არც ერთ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელიც დაკავშირებულია ბრალდებულისთვის შერაცხულ საქმის გარემოებებთან.
13. მოწმეებზე ზეგავლენა შესაძლებელია მტკიცდებოდეს მოწმის/დაზარალებულის ჩვენებით ან ოპერატიული ინფორმაციით რომ ბრალდებული შეეცადა დაზარალებულის/მოწმის მოსყიდვას, მათ დაშინებას, კეთილმეგობრული ან/და ნათესაური კავშირიდან გამომდინარე სთხოვა დახმარება და სხვა. ბრალდებულის მხრიდან მოწმეებზე სამომავლო ზემოქმედების რეალურობა შესაძლებელია დადგენილი იქნეს მოწმის/დაზარალებულის ბრალდებულზე სამსახურებრივი ან პირადი დამოკიდებულების ფაქტით, ბრალდებულის სამსახურებრივი/თანამდებობრივი მდგომარეობით, რაც მას საშუალებას აძლევს გავლენა იქონიოს მოწმის/დაზარალებულის მდგომარეობაზე. მაგალითად, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხის გამო, როდესაც ზემოქმედების მცდელობა დასტურდება ამ მოწმეების ჩვენებებით. ამ შემთხვევაში საფრთხის რეალუ-

<sup>482</sup> ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2077(2015), Abuse of pretrial detention in States Parties to the European Convention on Human Rights, 01/10/2015, §6



რობის შეფასებისას სასამართლო აპელირებს როგორც იმავე მოწმეებზე ზემოქმედების განმეორების, ასევე სამომავლო პერსპექტივაში სხვა დასაკითხ პირებზე ზემოქმედების საფრთხეზე.<sup>483</sup> მოწმეზე ზემოქმედების საფრთხის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მთლიანად მოწმის ჩვენების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის სპეციფიკა. მაგალითად, მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებისთვის უპირობო უპირატესობის მინიჭება, დეპონირებული ჩვენების გამოყენების წინაპირობები, რა შემთხვევაში დაიშვება მოწმის მიერ გამოძიების სტადიაზე მიცემული ან ძველი ჩვენების გამოქვეყნება მოწმის სანდოობის ეჭვქვეშ დასაყენებლად და სხვა.

14. აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულის ის კონკრეტული ინდივიდუალური მახასიათებლები, რამაც უნდა შექმნას ან გამოიწვიოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა, მათ შორის ბრალდებულის ინტელექტუალური უნარები. მაგალითად, როდესაც სავარაუდო დანაშაული ჩადენილია ბრალდებულის ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოყენებით, დაზარალებულის შეგნებულად შეცდომაში შეყვანის უნარის რეალიზებით, არ არის გამოიცილებული, რომ სათანადო შემაკავებელი ღონისძიების გაუტარებლობის შემთხვევაში, ბრალდებულმა კვლავ გამოიყენოს ეს შესაძლებლობები და უნარები.<sup>484</sup> მაგრამ ის, რომ ბრალდებულმა სეიფის გასაღებად გამოიყენა ასაფეთქებელი საშუალებები, არ გულისხმობს, რომ მომავალშიც არსებობს მისი მხრიდან ასაფეთქებელი მოწყობილობის შენახვა-გამოყენებასთან დაკავშირებული საფრთხეები. ანალოგიურად, ის, რომ პირს ბრალად ედება მძევლად ხელში აყვანა, არ გულისხმობს, რომ ვინაიდან ბრალდებული მოწმის მეზობლად ცხოვრობს მოწმეზე ზემოქმედების ან მტკიცებულების განადგურების მიზნით, განახორციელებს მოწმის მძევლად ხელში აყვანას და ა.შ. ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლების შეფასებისას მხედველობაში მიიღება ასევე მისი ოჯახური მდგომარეობა, მუდმივი საცხოვრებლის ქონა, დასაქმება, ასაკი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა. ნასამართლეობის არსებობა/ბრალდებულის აგრესიულობა თავისთავად უპირობოდ არ მიუთითებს ახალი დანაშაულის საფრთხეზე.
15. ჩადენილი ქმედების ხასიათი – დასაბუთებული უნდა იყოს, რატომ არის ქმედების ხასიათი გადაწყვეტი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის (მაგალითად, ძალადობრივი დანაშაულები). პირობითი მსჯავრის პერიოდში დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა წარმოადგენს პრობაციის ბიუროს მიერ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი რეაგირების საფუძველს და არა აუცილებლად აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების უპირობო საფუძველს.<sup>485</sup> პირობითი მსჯავრის ვადაში ახალი დანაშაულის ჩადენა იმავდროულად წარმოადგენს მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველს იმისდა მიუხედავად, პრობაციონერი ცხადდებოდა თუ არა პრობაციის ბიუროში დათქმულ ვადებში სისტემატურად, ვინაიდან ცხადად მიუთითებს, რომ ბრალდებულის მიმართ თავდებობის, გაუსვლელობის ხელწერილის და გირაოს გამოყენება ნაკლებეფექტიანი იქნება. თუ ბრალდებულისათვის შემაკავებელი ეფექტის მატარებელი არ აღმოჩნდა პირობითი მსჯავრის მექანიზმი, რაც უქმნიდა მას თავისუფლების აღკვეთით დანიშნული სასჯელის მოსახდელად სასჯელალსრულებით დაწესებულებაში დაბრუნების რისკს, გირაოს ეფექტი, მაღალი ალბათობით, ნაკლები იქნება თუ გირაოს თანხა არ იქნება იმდენად დიდი, რომ უქმნიდეს ბრალდებულს მისი ქონებრივი მდგომარეობის არსებითად გაუარესების რეალურ საფრთხეს. იმავდროულად გასათვალისწინებელია ბრალდებულისათვის შერაცხული დანაშაულის სახე და მიზეზი – ვითარება რადიკალურად განსხვავებულია თუ დანაშაული ჩადენილია აუცილებელი მოგერების ფარგლების გადაცილებით,

<sup>483</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05/12/2014 წლის განჩინება, საქმე № 1გ/1234.

<sup>484</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05/12/2014 წლის განჩინება, საქმე № 1გ/1234.

<sup>485</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმე №1გ/1244-14, 09/12/2014.

- უპატივებელი შეცდომის ან აფექტურ მდგომარეობაში, საქმე გვაქვს გაუფრთხილებლობით დანაშაულთან (მაგალითად, მშენებლობაზე მომუშავე პრობაციონერს ჩამოუვარდა აგური და ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა მეორე მუშას, დიდი სისწრაფით მიმავალი მანქანიდან გადაადგო ლუდის ქილა, რაც მოხვდა უკან მომავალ მანქანას და დააზიანა), რაც არ მიუთითებს ბოროტი განზრახვის არსებობაზე. დათქმულ ვადებში პრობაციის ბიუროში გამოცხადება უპირობოდ არ მიუთითებს ბრალდებულის გამოსწორებაზე, დანაშაულისადმი მისი დამოკიდებულების შეცვლაზე და შესაძლებელია წარმოადგენდეს ბრალდებულის განზრახვის ნაწილს.
16. ბრალდებული იმხილება სხვა დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც ბრალი ჯერ წარდგენილი არ აქვს – აბსტრაქტული და არარელევანტურია. არ არის გამორიცხული, რომ მისი მონაწილეობის დასაბუთებული ვარაუდით დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ იქნეს მოძიებული და მას საერთოდ არ წარედგინოს ბრალი.
  17. მიყენებული ზიანის ხასიათი და ოდენობა – ასევე მიიღება მხედველობაში.
  18. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზიანის ანაზღაურება,<sup>486</sup> დანაშაულის აღიარება, თანამშრომლობა გამოძიების ორგანოსთან და სხვა. დანაშაულის არაღიარება ან გამოძიების ორგანოსთან თანამშრომლობაზე უარი – არ შეიძლება იქნეს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების ზოგადად ან მისი კონკრეტული სახის გამოყენების დასაბუთებისათვის, ვინაიდან აღნიშნული ბრალდებულის უფლებაა.
  19. უარი ზიანის ანაზღაურებაზე – გამორკვეულ უნდა იქნეს ბრალდებული არ ანაზღაურებს ზიანს, ვინაიდან თავს თვლის უდანაშაულოდ, თუ ვერ ანაზღაურებს ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე. ცალკე აღებული თანამშრომლობის ან ზიანის ანაზღაურების საკითხი არ წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახის გამოყენებისათვის საკმარის ან ლეგიტიმურ საფუძველს.
  20. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის განხილვისას სასამართლომ ასევე უნდა გაითვალისწინოს ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა, ყოფით ურთიერთობებში ბრალდებულის უარყოფითი ქცევა, ბრალდებულის და მისი ოჯახის წევრებისათვის სტიქიური უბედურებით შექმნილი საფრთხე (მაგალითად, სტიქიური უბედურების გამო სახლი იმდენად დაზიანდა, რომ საჭიროებს შეკეთებას, ხოლო მუშახელის დაქირავების შესაძლებლობა ოჯახს არ გააჩნია ბრალდებული კი ხელოსანია; ბრალდებული, რომელიც ოჯახის ერთადერთი მარჩენალია მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილებთან ერთად ცხოვრობს ტყისპირზე აშენებულ სახლში, რის გამოც ხშირია მგლების თავდასხმა შინაურ პირუტყვზე და ა.შ.), ბრალდებულზე ადმინისტრაციული სახდელის არაერთგზის დაკისრების ფაქტი, ბრალდებულის მაღალი სოციალური ან/და ქონებრივი მდგომარეობა, შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში საგანგებო/საომარი მდგომარეობის გამოცხადება ან სტიქიური უბედურება, ბრალდებულის შეზღუდულქმედუნარიანობა და სხვა.
  21. მიმალვის საფრთხე – არარელევანტურია, როდესაც ბრალდებული თავს არ არიდებს გამოძიებას, გამოძახებისას ცხადდება, არ ჩაუდენია ახალი დანაშაული.
  22. ბრალდებულის მხრიდან საზღვრის გადაკვეთის ფაქტი არარელევანტურია, თუ არ დასტურდება აღნიშნულის განხორციელება მიმალვის მიზნით; თავისთავად ის, რომ ბრალდებული უცხოელია,<sup>487</sup> გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი და საბანკო ანგარიში ან სამსახური საზღვარგარეთ, არ მიუთითებს მიმალვის საფრთხის არსებობაზე, ისევე როგორც

<sup>486</sup> მიყენებული ზიანის ანაზღაურების/არ ანაზღაურების გამოყენება აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისათვის განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული და თანაც მხოლოდ როგორც დამხმარე ფაქტორი, ვინაიდან ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა არ წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანს.

<sup>487</sup> იხ., ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CE Rec (2012)12, §12.3, დანართი 5.

- თავისთავად ის ფაქტი, რომ პირს არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.<sup>488</sup>
- 23.** პირის მიმალვის საფრთხის დასაბუთებისათვის პირის მოქალაქეობაზე მითითება არ არის საკმარისი. მაგალითად, „მართალია, ბრალდებული (დაზუსტება – ბრალდებული უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო) არ ყოფილა გამოძახებული საგამოძიებო ორგანოში და შესაბამისად, უცნობია გამოცხადდებოდა თუ არა, მაგრამ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მოცემულ საქმეზე გამოძიების დანყების შემდეგ, ა.-მ გადაწყვიტა დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია და ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაკავებულ იქნა აეროპორტში.“<sup>489</sup> მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია არსებობდეს დაკავების საფუძველი, შემდგომი 48 საათის განმავლობაში ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ უნდა იქნეს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას. კერძოდ, რომ, მაგალითად, ბრალდებულისთვის ცნობილი იყო კონკრეტულ ფაქტზე გამოძიების დანყების შესახებ, საქართველოს ტერიტორიის დატოვების გადაწყვეტილება პირმა აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ მიიღო, ტერიტორიის დატოვება უკავშირდებოდა სწორედ გამოძიების დანყებას და არა მის ჩვეულ/რუტინულ საქმიანობას (მოლაპარაკებები, შეხვედრა, რომელიც გამოძიების დანყებამდე იყო დაგეგმილი, რაც დასტურდება მოწმეთა გამოკითხვით, ამოღებული დოკუმენტებით და სხვა) და სხვა.
- 24.** მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიშით მიმალვის საფრთხე არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიმალვის სურვილი დასტურდება სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში. მიმალვის საფრთხე შესაძლებელია დასტურდებოდეს კუმულაციურად ისეთი გარემოებით, როგორცაა, მაგალითად, ბრალდებულის/მისი ოჯახს წევრების მიერ მათი კუთვნილი ანგარიშებიდან თანხების გატანა, მოძრავ-უძრავი ქონების გაყიდვა, საკუთარი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლება და ა.შ.
- 25.** მიმალვის საფრთხის არსებობა შესაძლებელია დასტურდებოდეს ასევე გაქცევის მცდელობით, ადრე შერჩეული აღკვეთის ღონისძიების დარღვევით, წინა ბრალდების საქმეებზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ძებნაში ყოფნით, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არარსებობით, ბრალდებულის ვინაობის დაუდგენლობით (როდესაც წარმოება ხორციელდება არაიდენტიფიცირებული ბრალდებულის მიმართ), გამოძიების ორგანოში არაერთგზის გამოუცხადებლობით და სხვა. თუ პირი არ ცხადდება გამოძიების ორგანოში არასაპატიო მიზეზით, ალბათობა იმისა, რომ ის არ გამოცხადდეს არსებით სასამართლო სხდომაზე მაღალია. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს რა საპროცესო სტატუსის მატარებელი იყო პირი წინა სამართალწარმოებაში. თუ ბრალდებული გამოძიების ორგანოში ვერ გამოცხადდა საპატიო მიზეზით – სტაციონარული მკურნალობის გამო (მაგალითად, ტვინის შერყევა, ინსულტი), რაც დასტურდება სამედიცინო დანყებულების მიერ გაცემული ცნობით, აღნიშნული არ წარმოადგენს მიმალვის საფრთხის მტკიცებისათვის ვარგის არგუმენტს. ისევე როგორც გამოძიების ორგანოში ერთჯერადად გამოუცხადებლობა.
- 26.** მიმალვის საფრთხის დასაბუთება მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ბრალდებულისთვის ცნობილი იყო სასამართლო განხილვის თარიღი და სასამართლოსთვის უცნობია პროცესზე ბრალდებულის გამოუცხადებლობის მიზეზი ცალკე აღებული, სხვა ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინების გარეშე არ ქმნის პატიმრობის გამოყენების საკმარის საფუძველს. აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლომ განჩინებაში უნდა შეაფასოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების კონკრეტული საფრთხის დასაბუთებულობა.
- 27.** მიმალვის საფრთხის არსებობის შეფასებისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს მაგალითად, კონკრეტული პირის სიძულვილი პატიმრობისადმი, კონკრეტული მტკიცებულება

<sup>488</sup> Sulaoja v Estonia, ECtHR, 15/02/2006, §64.

<sup>489</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05/06/2013 წლის განჩინება, საქმე №1გ-328.

- პირის მიმალვის განზრახვასთან დაკავშირებით,<sup>490</sup> პირის კავშირები საზღვარგარეთ, რამაც შეიძლება გააადვილოს მიმალვა ან კავშირების არქონა საქართველოსთან. ცალკეულ შემთხვევებში პირი შესაძლებელია პიროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე საერთოდ არ ფიქრობდეს მიმალვას – მაგალითად, ოჯახური მდგომარეობა,<sup>491</sup> პირის განსაკუთრებული ხასიათი, ზნეობა სტატუსი თუ პასუხისმგებლობა,<sup>492</sup> ქონება, რომლის დატოვებაც მოუწევს, გამოძიებასთან თანამშრომლობა და გამოძახებისთანავე გამოცხადება,<sup>493</sup> და სხვა.
- 28.** საფრთხე მთლიანობაში უნდა შეფასდეს და განიხილებოდეს მიმალვასთან დაკავშირებული ყველა ფაქტორი. განჩინება /შუამდგომლობა, რომელშიც მიმალვის საფრთხე დასაბუთებულია შაბლონურად ისე, რომ არ ხდება ფაქტობრივ გარემოებებზე აპელირებით იმის განსაზღვრა, თუ რატომ არსებობს მიმალვის საფრთხე, არ აკმაყოფილებს სსსკ-ით და ევროპული კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს. ზემოთ აღნიშნულ რომელიმე ფაქტორზე მითითება თავისთავად მისი დასაბუთების, ახსნა-განმარტების გარეშე არ აკმაყოფილებს დასაბუთებულობის მოთხოვნას. შესაბამისად, უნდა დამტკიცდეს კონკრეტულ გარემოებაში დასახელებული ფაქტორის მნიშვნელობა და განისაზღვროს აღნიშნული გარემოება რამდენად ადასტურებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიმალვის საფრთხის არსებობას. არ არის გამორიცხული, რომ ბრალდების მხარის მიერ მითითებული გარემოებებიდან ნაწილი არ დადასტურდეს, ნაწილი ახდენდეს ბრალდებულის ქმედების/განზრახვის არასწორ/დამახინჯებულ ინტერპრეტაციას და ეწინააღმდეგებოდეს ბრალდებულის მიერ სინამდვილეში განხორციელებულ ქმედებებს, ხოლო ზოგიერთი აღმოჩნდეს დაუსაბუთებელი.
- 29.** აღკვეთის ღონისძიების გამოუყენლობის შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს გააჩნია საზღვარგარეთ თავისუფად გადაადგილების შესაძლებლობა და კავშირები, შესაძლებლობა შეხვდეს საზღვარგარეთ მყოფ თანამონაწილეებს და მათთან ერთად შეიმუშაოს საერთო სტრატეგია მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური შესაძლებლობა, რომ ქვეყნის დატოვების შემთხვევაში შეიქმნას სათანადო საარსებო პირობები, მიყენებული ზიანის ოდენობა და მასშტაბები, რელევანტურია მიმალვის საფრთხის შესაფასებლად. აღნიშნულის ფონზე ბრალდებულის მიმალვის საფრთხის გამორიცხვა „მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ბრალდებული აქამდე ცხადდებოდა გამოძიებაში, გამოცხადდა სასამართლოშიც და ამის გამო არც მომავალში აარიდებს თავს დაკითხვას – და თუ ბრალდებულმა ნაკლები პროცენტით, მაგრამ მაინც აარიდა თავი გამოძიებას და სასამართლოს, მაშინ რა ქნას სამართალწარმოების ორგანომ?“<sup>494</sup> ცალკეულ შემთხვევებში სასამართლო განჩინებაში მიუთითებს რომ აღკვეთის ღონისძიების შერჩევასას მას არ ევალება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით საფრთხეების გამორიცხვა და უნდა იხელმძღვანელოს დასაბუთებული ვარაუდით. შესაბამისად, როდესაც არსებობს ბრალდებულის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის სსსკ-ის 198-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფრთხე, სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიება, მათ შორის პატიმრობა. აღნიშნული მიდგომა არასწორია, ვინაიდან ამ შემთხვევაში ადგილი აქვს საფრთხის მტკიცების ვალდებულების ე.წ. „ამოყირავებას“. სასამართლომ უნდა ამტკიცოს არა ის, რომ აღკვეთის კონკრეტული სახის ღონისძიების გამოყენების გარეშე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ვერ გამოირიცხება მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე, არამედ, პირიქით, სასამართლომ აღკვეთის ღონისძიება უნდა გა-

<sup>490</sup> *Cesk v the Czech Republic*, ECtHR, 06/06/2000.

<sup>491</sup> *Letellier v France*, ECtHR, 26/06/1991.

<sup>492</sup> განმცხადებელი ნებაყოფლობით დაბრუნდა თურქეთში, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა ემუქრებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა, იხ. *Yagci and Sargin v Turkey*, ECtHR, 08/06/1995.

<sup>493</sup> *W. v Switzerland*, ECtHR, 26/01/1993.

<sup>494</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05/12/2014 წლის განჩინება, საქმე №1გ/1234.

- მოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი დამტკიცდება კონკრეტული საფრთხის არსებობის რეალურობა. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, გარკვეულ ვითარებაში ნებისმიერი მოქალაქის მხრიდან არსებობდეს დანაშაულის თეორიულად ჩადენის საფრთხე.<sup>495</sup>
30. შუამდგომლობაში საფრთხეებზე აპელირება უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ ვარაუდის დონეზე, რომ გამოირიცხული არ არის ბრალდებულის მიმალვა, არამედ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. მაგალითად, ის, რომ ბრალდებულს საზღვარგარეთ ჰყავს მეგობრები/ოჯახის წევრი, თავისთავად არ მიუთითებს რომ ადგილი ექნება მისი მხრიდან მიმალვას. ისევე როგორც ის, რომ ბრალდებულს ადებული აქვს უკან დასაბრუნებელი ბილეთი (რაც დაცვის მხარის მიერ არის წარმოდგენილი როგორც მიმალვის საფრთხის არარელევანტურობის მტკიცებულება), ასევე უპირობოდ და ცალსახად არ ადასტურებს, რომ ბრალდებულს არ გააჩნია მიმალვის განზრახვა.
31. როდესაც პირი ერთხელ უკვე გაიქცა ან შეეცადა სისხლისსამართლებრივი დევნისაგან თავის დაღწევას ქვეყნიდან გაქცევით, ხელისუფლების ორგანოებს შეიძლება ჰქონდეთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ პირი შეიძლება კვლავაც მიიმალოს. როდესაც კანონმდებლობა განსაზღვრავს გარკვეულ პრეზუმფციებს პატიმრობის სასარგებლოდ, მისი აუცილებლობა მაინც უნდა დადგინდეს კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.<sup>496</sup>
32. მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე – კლებულობს მტკიცებულებათა მოპოვების კვალობაზე და არარელევანტურია, როდესაც საქმეზე პრაქტიკულად ყველა მთავარი მტკიცებულება მოპოვებული და დამაგრებულია, ყველა მონმე დაკითხულია და მინიმალურია მათზე ზემოქმედების რისკი.
33. ბრალდებულების მხრიდან ე.წ. საიდუმლო გარიგების საფრთხე (ბრალდებულების ან/და მონმეების ჩვენებების კოორდინირების საფრთხე) გრძლევადიანი გამოძიების პირობებში, როგორც წესი, აქტუალობას კარგავს და არ არის საკმარისი, ვინაიდან დაკითხვები როგორც წესი უკვე განხორციელებულია და მიღებული ჩვენებები გადამოწმებული.<sup>497</sup>
34. თუმცა რელევანტურია სსსკ-ით დადგენილი დაკითხვის დროებითი წესის პირობებში, როდესაც გათვალისწინებულია გამოძიების სტადიაზე გამოძიების ორგანოში დაკითხვის შესაძლებლობა. მაგრამ როგორც კი ამოქმედდება მხოლოდ სასამართლოში დაკითხვის წესი სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას და გამოწვევის შემთხვევებში იქნება შესაძლებელი დეპონირებული ჩვენების ჩამორთმევა პირისათვის გამოძიების სტადიაზე-მონმეზე ზემოქმედების საფრთხე აქტუალობას შეინარჩუნებს მათ შორის საქმის არსებითი განხილვის პერიოდშიც განსხვავებით, მაგალითად, მტკიცებულებების განადგურების საფრთხისგან.
35. მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლის საფრთხე შეიძლება გამოვლინდეს სისხლის სამართალწარმოების მონაწილეებზე ზემოქმედების სხვადასხვა ფორმით, მაგალითად, მოსყიდვა, სხვაგვარად დაინტერესება, აღნიშნულის შესახებ დაპირებების გაცემა, შეგულიანება სამომავლო პერსპექტივით და ა.შ.
36. მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის დასაბუთება იმ გარემოებით, რომ „არ არის გამოირიცხული გამოვლენილ იქნენ ბრალდებულებთან შესაძლო დანაშაულებრივ კავშირში მყოფი სხვა პირებიც, რომელთა დადგენამდე სასამართლოს მიზანშეუწონლად მიაჩნია ბრალდებულის... თავისუფლებაში ყოფნა, რადგან გამოირიცხოს მოსაპოვებელ მტკიცებულებებზე რაიმე სახის ზემოქმედება“<sup>498</sup> საჭიროებს კონკრეტიზაციას და კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით აღნიშნული საფრთხის დასაბუთებას. არ არის გამოირიცხული

<sup>495</sup> იხ., დამატებით სსსკ-ის 205-ე მუხლის კომენტარი.

<sup>496</sup> Ilijkov v Bulgaria, ECtHR, 26/07/2001, §84.

<sup>497</sup> Clooth v Belgium, ECtHR, 05/03/1998, §4; W. v Switzerland, ECtHR, 26/01/1993, §35; i.A. v France, ECtHR, 23/09/1998, §109.

<sup>498</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 22/01/2015 წლის განჩინება, საქმე №1გ-63.

- რომ ასეთი პირები საერთოდ არ არსებობდნენ და შესაბამისად არ იარსებებს არც მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე. მოცემულ შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთება უნდა განხორციელდეს საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე სხვა საფრთხეებზე აპელირებით ანდა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით განჩინებაში მითითებული საფრთხის დასაბუთების გზით (მაგალითად, მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ბრალდებულმა აღნიშნული დანაშაული ჩაიდინა სხვა იმ პირების დახმარებით, რომელთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ჯერ არ არის დანყებული, რომელთა ვინაობის დადგენა ხორციელდება გამოძიების ორგანოს მიერ, რაც დასტურდება ოპერატიული/ფარული საგამოძიებო მოქმედებით მოპოვებული ინფორმაციით და სხვა). ანალოგიურად, თუ „დაუდგენელია ბრალდებულის ბინიდან ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღების და საბრძოლო მასალის, ნარკოტიკული საშუალების წარმოშობა და მათი გამსაღებლების ვინაობა, ხოლო ბრალდებული არ თანამშრომლობს გამოძიებასთან, მისი განმარტებები... აღნიშნული ნივთების სადარბაზოში პოვნასთან დაკავშირებით არადამაჯერებელია და მიმართულია მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელის შეშლისკენ.<sup>499</sup> არ არის საკმარისი აღკვეთის ღონისძიების და მით უმეტეს პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის დასაბუთებისათვის ის, რომ გარკვეული მტკიცებულებები მოსაპოვებელია, არ მიუთითებს ბრალდებულის მხრიდან საფრთხის რეალურობაზე, ისევე როგორც ის გარემოება, რომ ბრალდებული არ თანამშრომლობს და იყენებს მაგალითად, დუმილის უფლებას არ შეიძლება მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული (მაგრამ შეიძლება გამოყენებული იქნეს საფრთხის ნაკლები ინტენსივობის დასაბუთებისათვის ბრალდებულის მხრიდან თანამშრომლობის ფაქტი). შესაბამისად, ბრალდებულის მხრიდან შეგნებულად არასწორი ინფორმაციის მიწოდება, ისევე როგორც დუმილი და უარი გამოძიებასთან თანამშრომლობაზე არ შეიძლება იქნეს მის წინააღმდეგ გამოყენებული და მით უმეტეს ვერ ადასტურებს ბრალდებულის მხრიდან მონმეებზე ზემოქმედების ან მტკიცებულების განადგურების საფრთხის რეალურობას.
- 37.** მტკიცებულების განადგურების/მიმალვის საფრთხეზე აპელირებისას ბრალდების მხარემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს აღნიშნული საფრთხის რეალურად არსებობის დამადასტურებელი კონკრეტული, გადამონმებადი ფაქტობრივი მტკიცებულებები<sup>500</sup> და არა მხოლოდ ვარაუდი აღნიშნული საფრთხის თეორიულად და აბსტრაქტულად არსებობის შესახებ. დაუშვებელია საფრთხის აბსტრაქტულად შეფასება. ბრალდებულის მიერ მტკიცებულების განადგურების საფრთხე შესაძლებელია დასტურდებოდეს ბრალდებულის წინარე ქმედებებით. მაგალითად, ბრალდებული შეეცადა ქიმიური საშუალებებით მოერეცხა მკვლელობის ადგილი სისხლის კვალის წასაშლელად; დაენვა ის ტანსაცმელი, რომელზეც იყო დაზარალებულის კვალი, დაემალა იარაღი და ა.შ. მითვისების საქმეზე – გაენადგურებინა ან/და მოენესრიგებინა დოკუმენტაცია, მოტყუებით მოეპოვებინა ან/და დაეზიანებინა ვიდეოკამერების ჩანაწერები და ა.შ.
- 38.** განაჩენის აღსრულებისთვის ხელის შეშლის პრევენცია გულისხმობს მხოლოდ მოცემულ საქმეზე განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფას ბრალდებულის მიმალვის პრევენციის გზით.
- 39.** სასამართლოს სხდომაზე შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვა, თუ იხილება პირთა ჯგუფის მიერ/ თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული და ყველა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი გადაწყდეს ერთი განჩინებით. აღნიშნული არ ათავისუფლებს სასამართლოს თითოეული ბრალდებულის მიმართ ცალკ-ცალკე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლების არსებობის შემონმების და საქმის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით აღკვეთის ღონისძიების სახის განსაზ-

<sup>499</sup> იხ., თბილისის სააპელციო სასამართლოს 24/08/2013 წლის განჩინება, საქმე №1/გ-524.

<sup>500</sup> Becciev v Moldova, ECtHR, 04/10/2005, §59.

- ღვრის ვალდებულებისგან. განჩინებაში თითოეული ბრალდებულის მიმართ განსაზღვრული აღკვეთის ღონისძიება უნდა იქნეს დასაბუთებული და პასუხობდეს სამართლებრივი სიცხადის და განჭვრეტადობის მოთხოვნებს.
40. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხში სსსკ ითვალისწინებს მოსამართლის მიერ საკუთარი ინიციატივით შემდეგის განხორციელების შესაძლებლობას: 1) გამოიყენოს საპატიმრო გირაო (დამატებით იხ., სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი); 2) გამოიყენოს პროკურორის შუამდგომლობით მოთხოვნილთან შედარებით ნაკლებად მკაცრი სახის აღკვეთის ღონისძიება; 3) წინასასამართლო სხდომის თარიღის გადანევის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებიდან 72 საათში, პირველივე წინასასამართლოს სხდომაზე და შემდეგ 2-თვიანი ინტერვალით, საკუთარი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი (დამატებით იხ., სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-4 ნაწილი; 219-ე მუხლის მე-4 ნაწილი; 230<sup>1</sup>-ე მუხლი).
41. ბრალდებულისთვის რამდენიმე სხვადასხვა დანაშაულში ბრალის სხვადასხვა დროის მონაკვეთში წარდგენის შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვისას, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, თუ პირის მიმართ ერთ-ერთი ბრალდების ფაქტზე უკვე გამოყენებულია აღკვეთის ღონისძიება, სხვა დანაშაულთან მიმართებით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხს პროცესის მწარმოებელი ორგანო აღარ იხილავს. მაგალითად, ერთ-ერთ განჩინებაში აღნიშნულია „ბრალდებულებს ანალოგიური ბრალდებით სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული აქვთ გირაო შესაბამისად 5000 და 10 000 ლარის ოდენობით, რომელიც მათ მიერ გადახდილია და საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობს სასამართლოში. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ბრალდებულების მხრიდან აღარ არსებობს გამოძიებისა და სასამართლოსთვის თავის არიდების, დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების და განაჩენის აღუსრულებლობის საფრთხე. მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულების მიმართ რაიმე სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება რეალურად არ ცვლის მათ სამართლებრივ მდგომარეობას და შესაბამისად არ ემსახურება საპროცესო მიზნების განხორციელებას.“<sup>501</sup>
42. აღნიშნული მიდგომა ერთობ სადავოა, ვინაიდან აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი გადაწყვეტილ უნდა იქნეს თითოეულ ბრალდებასთან მიმართებით ცალკე-ცალკე საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. თუ მიმალვის საფრთხე მეტ-ნაკლებად შესაძლებელია პირისათვის შერაცხულ ყველა ბრალდებასთან მიმართებით ერთნაირად რელევანტური იყოს ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე (მაგალითად, პირის მხრიდან ადრე ადგილი ჰქონდა მიმალვის მცდელობას, პირი არ გამოცხადდა პროცესის მწარმოებელ ორგანოში დაბარებისას, მას გააჩნია მნიშვნელოვანი მატერიალური და ადამიანური რესურსი საზღვარგარეთ, დასაქმების რეალური შესაძლებლობა და სხვა), მაშინ მონმეებზე ზემოქმედების და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხიდან გამომდინარე ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება ვერ იქნება რელევანტური სხვა ბრალდებასთან მიმართებითაც. ამ მოტივით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა შეაფასოს კონკრეტული საფრთხის არსებობა კონკრეტულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. აღნიშნული საფრთხეები კონკრეტული დანაშაულის გამოძიებას უკავშირდება და მათი არსებობა კონკრეტულ მონმეებთან/მტკიცებულებებთან მიმართებით უნდა დასტურდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში აპელირება იმ გარემოებაზე, რომ ვინაიდან სხვა ბრალდებასთან მიმართებით ბრალდებულის მხრიდან ადგილი ჰქონდა მონმეებზე ზემოქმედებას, აღნიშნული ადასტურებს ამ საფრთხის დასაბუთებულობას სხვა ბრალთან მიმართებითაც – დაუსაბუთებელი მსჯელობაა, რომელიც არ ეყრდნობა ობიექტურ საფუძველს.
43. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთება იმ გარემოებით, რომ ბრალდებულს/

<sup>501</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 19/09/2013 წლის განჩინება, საქმე №1გ/599.

- ბრალდებულებს შესაძლებელია მომავალში დაუძიმდეთ საპროცესო მდგომარეობა მძიმე კატეგორიის სხვა დანაშაულში ახალი ბრალით, არ წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გამამართლებელ გარემოებას. სსსკ-ი ითვალისწინებს ვითარების შეცვლის შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით თავიდან მიმართვის შესაძლებლობას მოგვიანებით, მათ შორის ბრალდებულის საპროცესო მდგომარეობის დამძიმების შემთხვევაშიც.
44. გამოძიების ინტერესებზე აპელირებისას პროცესის მწარმოებელი ორგანო უნდა აკონკრეტებდეს მეტ-ნაკლები სიზუსტით გასატარებელ საპროცესო/საგამოძიებო მოქმედებებს, რომელთა განხორციელებაც არის დაგეგმილი. მაგალითად, „დასადგენია მითვისებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების განკარგვის და განთავსების საკითხები“<sup>502</sup> და არ მიუთითებდეს აბსტრაქტულად მტკიცებულებათა განადგურების ან მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეზე. თუმცა იმავდროულად, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ დასახელებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების კონკრეტული დასახელებასა და გამოძიების წინაშე მდგარ ამოცანებზე მითითებასთან ერთად ბრალდების მხარე უნდა მკაფიოდ ასაბუთებდეს რატომ იქნება შეუძლებელი აღნიშნულის განხორციელება ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების გარეშე. შესაბამისად, მითითება იმაზე, რომ „მითვისების, როგორც დანაშაულის ფაქტის დადგენა და მით უმეტეს ისეთ მასშტაბებში, რაზეც ბრალდებებშია საუბარი, საჭიროებს შრომატევად საგამოძიებო სამუშაოებს, დაკავშირებულია დიდი მოცულობის დოკუმენტაციის შესწავლასთან, მოითხოვს რევიზიების, ექსპერტიზების ჩატარებას, დაკითხვებს და სხვა მრავალრიცხოვან საპროცესო მოქმედებებს რომელთა ჩატარება უნდა ხდებოდეს ისეთ პირობებში, რომ დაცული იყოს მტკიცებულებათა (როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი) მოპოვების და მათი საქმეზე დამაგრებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა“<sup>503</sup> უფრო მეტად ასაბუთებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ხანგრძლივობას, ვიდრე თავად აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევას. იმავდროულად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებისას საფრთხეების ლატენტურად არსებობაზე მითითება არ წარმოადგენს სსსკ-ის 199-ე მუხლით დადგენილ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მტკიცებას, თუ საქმეში არ მოიპოვება აღნიშნული საფრთხეების რეალისტური დასაბუთებული მტკიცებულება.
45. საფრთხის შეფასებისას მხედველობაში დამატებით შეიძლება იქნეს მიღებული დანაშაულის ხასიათი, ჩადენის ხერხი, საშუალება, არაერთგზისობა, ჯგუფური ხასიათი, დანაშაულის მასშტაბი, მიყენებული ზიანის სახე და ოდენობა, ბრალდებულისთვის საქმისათვის მნიშვნელოვანი პოტენციური მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა და სხვა.
46. დანაშაულის ჩადენის საფრთხე არ შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ პირის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს/ ნასამართლეობას. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია, რომ ეჭვი/ვარაუდი დაკავშირებული იყოს პირის მიერ ამჟამად განხორციელებულ მოქმედებებთან. იმავდროულად თანაბრად დაუშვებელია ასევე ისიც, რომ აღნიშნული ვარაუდი ეყრდნობოდეს სანდო, მაგრამ კონფიდენციალურ ინფორმაციას/ან გარდაცვლილი მოწმის ჩვენებას.
47. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე შესაძლებელია გამომდინარეობდეს ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებიდან, მისი წარსულიდან და მისთვის შერაცხული დანაშაულის ხასიათიდან, მისი დანაშაულებრივი საქმიანობიდან, მისი მიდრეკილებიდან კონკრეტული სახის დანაშაულის ჩადენისადმი. მაგალითად, თუ პირს ბრალი ედება ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში, ის არის ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი, მოიხმარს ძვირადღირებულ და ძნელად მოსაპოვებელ ნარკოტიკულ ნივთიერებებს და აღნიშნულ საქმიანობას აგრძელებს მას შემდეგ, რაც ერთხელ უკვე იხდიდა სასჯელს ხანგრძლივი თავისუფლების აღკვეთის სახით სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, და-

<sup>502</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24/05/2013 წლის განჩინება, საქმე №1გ/294.

<sup>503</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24/05/2013 წლის განჩინება, საქმე №1გ/294.



- ნაშაულის ჩადენისას იმყოფებოდა ორ სხვა პირთან ერთად საცხოვრებელ ბინაში ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ.<sup>504</sup>
48. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე მითითებისას სსსკ-ი არ განსაზღვრავს დანაშაულის კატეგორიას. აღნიშნულის მიუხედავად, მოსაზრება, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის მოტივით შესაძლებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მათ შორის გაუფრთხილებლობით დანაშაულთან მიმართებითაც, არასწორია, ვინაიდან, როგორც წესი პირის მხრიდან გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის წინასწარი პროგნოზირება, ბრალის თავისებურებიდან გამომდინარე – შეუძლებელია (გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც ბრალდებულის ქცევის ისტორია აშკარად მიუთითებს განსაზღვრული პირობების/გარემოს შექმნის შემთხვევაში კონკრეტული სახის დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაზე). შესაბამისად, სსსკ-ის 198-ე მუხლი, როგორც წესი, მიმართულია განზრახი დანაშაულის ჩადენის პრევენციისკენ. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის არსებობის მტკიცება იმ გარემოებაზე აპელირებით, რომ ბრალდებულს არ ჰყავს ოჯახი, ან არ აქვს სტაბილური სამსახური, რის გამოც ის მიდრეკილია ახალი დანაშაულის ჩადენისკენ, დაუსაბუთებელი და დაუშვებელია.<sup>505</sup>
49. სასამართლომ საკითხის გადაწყვეტისას უნდა განსაზღვროს პირის მიმართ პატიმრობის გამოყენება იქნება თუ არა თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება. სსსკ-ი პირის თავისუფლების და უსაფრთხოების უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე და უფლებაში ჩარევის ინტენსივობის გათვალისწინებით, პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც პატიმრობა წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საფრთხის პრევენციის ერთადერთ საშუალებას. ამიტომ, როდესაც ბრალდებულის მიმალვის ან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხის განეიტრალება შესაძლებელია არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებით, ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს<sup>506</sup> და სასამართლო ვალდებულია განიხილოს პატიმრობის ალტერნატივა.<sup>507</sup>
50. თავისუფლების შეზღუდვის ყოველი შემთხვევისათვის სამართლებრივი საფუძვლის არსებობის მოთხოვნა გრძელდება თავისუფლების შეზღუდვის მთელი დროის განმავლობაში. თუმცა იმ საფუძვლის მნიშვნელობა, რომელიც საწყის ეტაპზე ამართლებს პატიმრობას, შეიძლება დროის გასვლასთან ერთად შემცირდეს. პატიმრობის ვადის ხანგრძლივობის კვალობაზე, როგორც წესი, იკლებს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე, ვინაიდან გამოძიების დასრულების და მტკიცებულებათა მოპოვება-დამაგრებასთან ერთად მცირდება მათი განადგურების საფრთხე. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევებში თავდაპირველად კანონიერი თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია მოგვიანებით არაკანონიერი გახდეს. ამიტომ ბრალდების მხარემ უნდა წარმოადგინოს კონკრეტული მიზეზები პატიმრობის ძალაში დატოვების დასაბუთებისათვის.<sup>508</sup>
51. ამდენად, პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვისას გირაოს თანხის ოდენობის განსაზღვრა ან/და პატიმრობის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ემყარებოდეს რისკების და ბრალდებულის პირადი სიტუაციის შეფასებას.<sup>509</sup>
52. საქმის განვითარების კვალობაზე კლებულობს მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე, თუმცა მიმალვის ან მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე შესაძლებელია უცვლელი იყოს ან

<sup>504</sup> იხ., თბილისის სააპელციო სასამართლოს 24/08/2013 წლის განჩინება, საქმე №1/გ-524.

<sup>505</sup> Sulaoja v Estonia, ECtHR, 15/02/2006, §64.

<sup>506</sup> Borotyuk v Ukraine, ECtHR, 16/12/2011, §62.

<sup>507</sup> Vrancev v Serbia, ECtHR, 23/09/2008, §78.

<sup>508</sup> Debboub Alias Hussein Ali v France, ECtHR, 09/11/1999, §42.

<sup>509</sup> Mangouras v Spain, ECtHR, (GC) 28/09/2010, §§78-93; Hristova v Bulgaria, ECtHR, 07/12/2006, §111.

იზრდებოდეს. მაგალითად, თუ გამოძიების ორგანოს მიერ შეგროვილი და დამაგრებული ყველა ძირითადი მტკიცებულება, მათი განადგურების შესაძლებლობა მცირეა. მაგრამ თუ საწყის ეტაპზე გამოძიებას არ ჰქონდა ბრალდებულის მამხილებელი მტკიცებულებები, დასკვნით ეტაპზე ბრალდებულის მიმართ შეკრებილი მტკიცებულებების რაოდენობამ და წონამ შესაძლებელია ბრალდებულს მოსალოდნელი სასჯელის შიშით უბიძგოს მიმალვისკენ; ანალოგიურად, – საწყის ეტაპზე ბრალდებულისთვის თუ უცნობია იმ მოწმეთა ვინაობა, რომელიც მის მამხილებელ ჩვენებას მისცემს გამოძიების ორგანოს, მათი დაკითხვის შემდეგ ბრალდებული შეიძლება შეეცადოს მოწმეებზე ზემოქმედებას ჩვენების შეცვლის მიზნით. თუმცა აღნიშნული საფრთხეები და ვარაუდი გამყარებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით.

53. სასამართლოს განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ ექვემდებარება დაუყოვებლივ აღსრულებას, მხარის მიერ მისი გასაჩივრების მიუხედავად.

### მუხლი 199. აღკვეთის ღონისძიების სახეები

1. აღკვეთის ღონისძიების სახეებია: გირაო, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა და პატიმრობა.

(1. აღკვეთის ღონისძიების სახეებია: გირაო, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა და პატიმრობა. (ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან))

2. აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად ბრალდებულის მიმართ შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს: ვალდებულება, დანიშნულ დროს ან გამოძახებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში; გარკვეული საქმიანობისა თუ პროფესიის განხორციელების აკრძალვა; სასამართლოში, პოლიციაში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში ყოველდღიურად ან სხვა პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება; სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა; ელექტრონული მონიტორინგი; ვალდებულება გარკვეულ ადგილას ყოფნისა გარკვეულ საათებში ან უამისოდ; გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვა; აკრძალვა გარკვეულ პირებთან შეხვედრისა სპეციალური ნებართვის გარეშე; პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება; სასამართლოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად, მათ შორის, გარკვეულ ადგილზე შესვლისა და დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვა, თუ პირის მიმართ დევნა დანყებულია ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ბრალდებით.

საქართველოს 2014 წლის 17 ოქტომბრის კანონი №2706 – ვებგვერდი, 31.10.2014 წ.

საქართველოს 2015 წლის 12 ივნისის კანონი № 3715 – ვებგვერდი, 24.06.2015წ.

1. სსსკ-ი ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიებების ორ სახეს: 1) ძირითადი აღკვეთის ღონისძიებები და 2) დამატებითი ღონისძიებები. პირველ ნაწილში მოცემულია ძირითადი აღკვეთის ღონისძიებების სახეები, რომელთა ჩამონათვალი ამომწურავია. პროცესის მწარმოებელ პირს უფლება არა აქვს ერთდროულად გამოიყენოს/მოითხოვოს ერთზე მეტი ძირითადი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება – მაგალითად, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით პროკურორს არ შეუძლია პატიმრობის ალტერნატივის სახით საფრთხეების ნეიტრალიზაციისათვის ერთდროულად გამოიყენოს გირაო და სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა, მაგრამ შეუძლია ამორჩიოს საკუთარი შეხედულებისამებრ ერთ-ერთი მათგანი და დამატებით მოითხოვოს მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ღონისძიების გამოყენება.

2. მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებების ჩამონათვალი სანიმუშოა და პროცესის მწარმოებელ პირს შეუძლია გამოიყენოს ისეთი ღონისძიება, რომელიც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენციის მიზანს. ამასთანავე, პროკურორი და სასამართლო არ არის შეზღუდული ერთდროულად რამდენიმე/განუსაზღვრელი რაოდენობის ღონისძიების გამოყენებაში. მაგალითად, პროცესის მწარმოებელ პირს უფლება აქვს ერთდროულად მოითხოვოს/გამოიყენოს გირაო, ელექტრონული მონიტორინგი, განსაზღვრულ დროის მონაკვეთში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულებით და გარკვეულ ადგილზე შესვლის აკრძალვით. აღნიშნული მიზნად ისახავს, პატიმრობის გამოყენების შემთხვევების მინიმუმამდე შემცირებას და მის გამოყენებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პრევენციული მიზნების მიღწევის ერთადერთ ვარგის საშუალებას პატიმრობა წარმოადგენს. მაგრამ მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენება დაიშვება მხოლოდ სსსკ-ის 198-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ ძირითად ღონისძიებასთან ერთად.
3. მე-2 ნაწილით გათვალისწინებული კონკრეტული ღონისძიების შერჩევა დაკავშირებულია საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, ბრალდებულის ინდივიდუალურ მახასიათებლებზე, შერაცხული დანაშაულის სპეციფიკაზე და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების კონკრეტულ მიზანზე – კონკრეტულად რომელი საფრთხის პრევენციას ისახავს მიზნად. დამატებითი ღონისძიების შერჩევა ისეთივე დასაბუთებას საჭიროებს, როგორც პირველ ნაწილში მითითებული ძირითადი სახის აღკვეთის ღონისძიებები. მაგრამ ძირითადი აღკვეთის ღონისძიებისგან განსხვავებით, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა სახის დამატებითი ღონისძიებებიც, რომლებიც პირდაპირ არ არის მითითებული მე-2 ნაწილში, მაგრამ აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად.
4. ვინაიდან სასამართლოს არ გააჩნია ბრალდებულის საპროცესო მდგომარეობის საკუთარი ინიციატივით დამძიმების უფლება, აღნიშნული ღონისძიების/ების გამოყენება საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის მიმართ იყენებს შუამდგომლობაში მითითებულზე უფრო მსუბუქ/ნაკლებად მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას. მაგალითად, თუ ბრალდების მხარე აღკვეთის ღონისძიებად ითხოვს პატიმრობის გამოყენებას ბრალდებულის მიმალვის საფრთხეზე აპელირებით, თუ საქმის გარემოებები იძლევა საფრთხის პრევენციის შესაძლებლობას გირაოს გამოყენების გზით, მაშინ სასამართლოს საკუთარი შეხედულებისამებრ დამატებით შეუძლია გამოიყენოს, მაგალითად, სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა; ელექტრონული მონიტორინგი პასპორტის ჩაბარების ვალდებულება, გარკვეული ადგილის დატოვების აკრძალვა და სხვა. მაგრამ თუ სასამართლო აკმაყოფილებს ბრალდების მხარის შუამდგომლობას და ბრალდებულის მიმართ იყენებს იმ სახის აღკვეთის ღონისძიებას, რომელიც შუამდგომლობაში იყო მითითებული, საკუთარი შეხედულებისამებრ დამატებით სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული სხვა ღონისძიების გამოყენების უფლება არ გააჩნია.
5. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო ცალკეულ შემთხვევებში მიუთითებს დამატებითი ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობაზე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქით შეცვლის პარალელურად, მაგრამ თავს იკავებს საკუთარი ინიციატივით აღნიშნულის განხორციელებისგან. მაგალითად, სასამართლომ გამოყენებული პატიმრობის გირაოთი შეცვლისას მიუთითა, რომ „მიაჩნია... აღკვეთის ღონისძიების საპროცესო მიზნების მისაღწევად, მართებულია ბრალდებულის მიმართ დამატებით გამოყენებული იქნეს სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ვალდებულებებიც, რაც ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველყოფის კიდევ უფრო მეტ გარანტიებს შექმნის,<sup>510</sup> თუმცა თავი შეიკავა რომელიმე მათგანის გამოყენებისგან.
6. კონკრეტული სახის აღკვეთის ღონისძიების შერჩევაზე გავლენის მოხდენა შეუძლია ბრალ-

<sup>510</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 18/12/2014 წლის განჩინება, საქმე №1გ/1282.

დებულის ასაკს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, დახასიათებას, ოჯახურ მდგომარეობას, ბრალდებულის სოციალურ მდგომარეობას, საქმიანობის სახეს და ა.შ.<sup>511</sup>.

7. მე-2 ნაწილში გათვალისწინებული ვალდებულებები შესაძლებელია პირობითად რამდენიმე ჯგუფად დაიყოს:
- გადაადგილების/მიმოსვლის თავისუფლების შემზღვეველი ღონისძიებები – ელექტრონული მონიტორინგი<sup>512</sup>; პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება; გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვა; გარკვეულ ადგილზე შესვლისა და დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვა, თუ პირის მიმართ დევნა დანყებულია ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ბრალდებით.
  - მონიტორინგი – სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა – მაგალითად, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს მხრიდან მონიტორინგი არასრულწლოვანი ბრალდებულის თავდებქვეშ გადაცემის ან სპეციალიზებული აღმზრდელობითი დაწესებულებისათვის გადაცემის შემთხვევაში; სასამართლოში, პოლიციაში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში ყოველდღიურად ან სხვა პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება (მიზნად ისახავს მიმალვის პრევენციას. აღნიშნული გულისხმობს ასევე სამედიცინო დაწესებულებაში გამოცხადების ვალდებულებასაც, სსსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ბრალდებული პირების შემთხვევაში); ვალდებულება გარკვეულ ადგილას ყოფნისა გარკვეულ საათებში ან უამისოდ – მაგალითად არასრულწლოვანი ბრალდებულის ვალდებულება 09:00-დან 14:00-მდე იმყოფებოდეს სკოლაში; ვალდებულება, დანიშნულ დროს ან გამოცხადებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში;
  - სპეციალური ნებართვის გარეშე გარკვეულ პირებთან შეხვედრის აკრძალვა – სასამართლომ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს იმ პირთა წრე, რომელთანაც ბრალდებულს ეკრძალება ფიზიკური შეხვედრა და ნებართვის გამცემი პირების ვინაობა.
8. გარკვეულ ადგილში შეღწევის აკრძალვა შესაძლებელია ეხებოდეს, მაგალითად, დაზარალებულის საცხოვრებელ სახლში/ სამსახურში მისვლის აკრძალვას, ლამის კლუბებში, სამორინებში, ტოტალიზატორში და ა.შ. შესვლის აკრძალვა. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ პირდაპირ არ ითვალისწინებს, აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში სასამართლო ვალდებული უნდა იყოს უზრუნველყოს ბრალდებულზე დაკისრებული შეზღუდვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება განჩინებაში მითითებული შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციისათვის ბრალდებულის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითებით (წინააღმდეგ შემთხვევაში ღონისძიება უფლების შეზღუდვის პრაქტიკულ ეფექტს მოკლებული იქნება, თუ ბრალდებულს შესაძლებლობა ექნება აკრძალვის მიუხედავად თავისუფლად გადაადგილდებოდეს აკრძალული დაწესებულების ტერიტორიაზე, რაც საგამოძიებო ორგანოსთვის შესაძლებელია ცნობილი გახდეს მხოლოდ შემთხვევით). აღნიშნულის სპეციფიკურ სახეს წარმოადგენს გარკვეულ ადგილზე შესვლისა და დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვა (მაგალითად, დაზარალებულის საცხოვრებელ ადგილას, სამუშაო ადგილას, არასრულწლოვანი ბავშვის სკოლაში/ბაღში და ა.შ. ადგილებში შესვლის აკრძალვა), რომელიც ერთდროულად კრძალავს დაზარალებულთან მიახლოებას და განსაზღვრულ ადგილებში შესვლას მხოლოდ ოჯახში ძალადობის ან ოჯახურ დანაშაულებში ბრალდებული პირების მიმართ.
9. გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის აკრძალვა უნდა განვასხვაოთ სსსკ-ის 202-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებისგან, რომელიც წარმოადგენს ძირითად აღკვეთის ღონისძიებას, რის გამოც მისი გამოყენება გირაოსთან ან თავდებობასთან ერთად არ დაიშვება. მაგრამ აკრძალვა არ ეხება დამატებით ღონისძიებებს, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გირაოსთან და თავდებობასთან ერთად განუსაზღვრელი რაოდენო-

<sup>511</sup> იხ., დამატებით სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილის კომენტარი.

<sup>512</sup> დროებით არ გამოიყენება სისტემის ამოქმედებამდე.

ბით.

10. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება განსხვავდება სსსკ-ის 163-ე და 64-ე მუხლებით გათვალისწინებული პასპორტის/სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების ვადის შეჩერებისგან. ვინაიდან, თუ პასპორტი მოქალაქეს სჭირდება, როგორც წესი, მხოლოდ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისათვის (გამონაკლისია საქართველო-თურქეთის საზღვარი, სადაც პირადობის მონმობაც საკმარისია) და მისი მოქმედების შეჩერება ბრალდებულს მნიშვნელოვან სირთულეებს არ უქმნის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაშინ პირადობის მონმობის ჩაბარების მოთხოვნა უფლებათა ფართო სპექტრს ზღუდავს და პრაქტიკულად დაუძლეველ სირთულეს უქმნის ბრალდებულს ძირითადი ყოფითი პრობლემების გადაჭრაში, მაგალითად, პირადობის მონმობის გარეშე ბრალდებული მოკლებულია დაზღვევით სარგებლობას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას, სესხის აღებას, ანაბარის გახსნას, საერთაშორისო გზავნილის მიღებას, დაქორწინებას, სანოტარო მომსახურებას, დასაქმებას, არჩევნებში მონაწილეობას და ა.შ. ამიტომ აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო მისი აუცილებლობის და უფლებათა შეზღუდვის თანაზომიერების შეფასებისათვის.<sup>513</sup> გასათვალისწინებელია, რომ, როგორც წესი, აღნიშნული დოკუმენტების ჩამორთმევა ან მოქმედების ვადის შეჩერებაც კი არ წარმოადგენს მიმალვის საფრთხის პრევენციის უპირობო გარანტიას (არაღეგალურად საზღვრის გადაკვეთა, ყალბი პასპორტის მეშვეობით საზღვრის გადაკვეთა და ა.შ.). პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულების დაკისრება არაეფექტიანია პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს ისედაც შეზღუდული აქვს პრაქტიკულად ყველა იმ უფლების განხორციელება, რომელთა რეალიზაციისთვის, როგორც წესი, მოითხოვება პირადობის მონმობა. მაგრამ ყველა დანარჩენ შემთხვევაში პირადობის მონმობის ჩაბარების ვალდებულება პირს უნდა დაეკისროს თუ აღნიშნული წარმოადგენს საფრთხის პრევენციის ერთადერთ ვარგის საშუალებას.
11. გარკვეული საქმიანობისა თუ პროფესიის განხორციელების აკრძალვა – განსხვავდება სსკ-ით გათვალისწინებული ანალოგიური სასჯელისგან პირველ რიგში მიზნიდან გამომდინარე. სასამართლოს უფლება აქვს შეუზღუდოს პირს საქმიანობის უფლება თუ მისთვის შერაცხული დანაშაული და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე (მაგალითად, ახალი დანაშაულის ჩადენა) ბრალდებულის საქმიანობას ან პროფესიას უკავშირდება, მაგალითად, თუ ბრალდებული თაღლითობას სჩადიოდა საზღვარგარეთ დასაქმების/ტურისტული სააგენტოს მეშვეობით მის მიმართ გირაოს გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას, თუ არ მოხდება აღნიშნული საქმიანობის უფლების შეზღუდვა. ცალკეულ შემთხვევებში ახალი დანაშაულის ჩადენის პრევენცია შესაძლებელია ვერ იქნეს მიღწეული აღკვეთის ღონისძიების სახით მათ შორის პატიმრობის გამოყენების შემთხვევაშიც კი და დამატებით საჭიროებდეს პროფესიის განხორციელების აკრძალვას, იმისათვის, რომ ბრალდებულს არ ჰქონდეს პროფესიული საქმიანობის წარმოების უფლება თავისუფლების შეზღუდვის ადგილას. მაგალითად, თუ პირს ბრალად ედებოდა უკანონო აბორტის წარმოება, თავისუფლების შეზღუდვის მიუხედავად მას არ ჩამოერთმევა საექიმო საქმიანობის უფლება სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.
12. აღკვეთის ღონისძიებები განსხვავებულია უშუალო მიზნების, მათ რეალიზაციაში გარეშე პირთა მონაწილეობის შესაძლებლობის, ბრალდებულის უფლებების შეზღუდვის ინტენსივობის, სპეციალური სუბიექტი/ბრალდებულის (მაგალითად, სსსკ-ის 204-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენება დაიშვება სამხედრო მოსამსახურის მიმართ, სსსკ-ის 201-ე მუხლით გათვალისწინებულის – არასრულწლოვნის) მიხედვით და ა.შ.
13. ცალკეულ შემთხვევებში სასამართლო აღკვეთის ძირითად ღონისძიებასთან ერთად იყენებს ასევე სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ისეთ ღონისძი-

<sup>513</sup> Smirnova v Russia, ECtHR, 24/10/2003, §95,97.

ბებს როგორცაა გამოძიების ორგანოში გარკვეული პერიოდულობით (კვირაში ერთხელ) გამოცხადების ვალდებულებას, სამართალდამცავ ორგანოებში პასპორტის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ჩაბარებას.<sup>514</sup>

14. სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენება წარმოადგენს ბრალდებულის ქცევისადმი დამატებითი კონტროლის საშუალებას, ქმნის აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევის შესაძლებლობას ბრალდებულის მიმართ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით

## მუხლი 200. გირაო

1. გირაო არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება. ფულადი თანხა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეაქვს ბრალდებულს ან მისი სახელით ან მის სასარგებლოდ სხვა პირს სასამართლოსათვის მიცემული წერილობითი ვალდებულებით ბრალდებულის სათანადო ქცევისა და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში დროულად გამოცხადების უზრუნველყოფის თაობაზე. ფულადი თანხის ნაცვლად შეტანილ უძრავ ქონებას ედება ყადაღა. გირაოს მიღების შესახებ დგება ოქმი, რომლის ერთი ასლი გადაეცემა გირაოს შემტანს.

2. პროკურორი სასამართლოში ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენის დროს მიუთითებს გირაოს თანხის ოდენობას და მისი შეტანის ვადას. გირაოს თანხის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ ბრალდებულს, მისი სახელით ან მის სასარგებლოდ სხვა პირს შეუძლია გირაოს თანხის ნაცვლად შეიტანოს ფულადი თანხის ეკვივალენტური უძრავი ქონება. გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით. გირაოს თანხა არ შეიძლება იყოს 1 000 ლარზე ნაკლები.

3. გირაოს შეტანის წინ მის შემტანს აფრთხილებენ წერილობითი ვალდებულებით განსაზღვრული პირობის შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში.

4. ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შესახებ შუამდგომლობით პროკურორი ამ კოდექსით დადგენილი წესით მიმართავს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით.

5. თუ ბრალდებულმა დადგინებულ ვადაში არ უზრუნველყო სასამართლოს მიერ გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანა ან უძრავი ქონების შეტანა, პროკურორი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

6. სასამართლო პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით, მის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე გირაოს სრულად ან ნაწილობრივ (მაგრამ არანაკლებ 50%-ისა) შეტანამდე. გირაოს შეტანას ადასტურებს სასამართლო ან პროკურორი.

7. თუ ბრალდებულმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. ამავე განჩინებით გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში,

<sup>514</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24/05/2013 წლის განჩინება, საქმე №1გ/294.

ხოლო უძრავი ქონება გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის ამოღების მიზნით, აღსარულულად მიიქცევა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

8. ბრალდებულს ან მის სასარგებლოდ გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულად დაუბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შემტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით) და უძრავი ქონება, თუ ბრალდებული ზუსტად და კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას და მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.

9. თუ ბრალდებულის სასარგებლოდ გირაოს შემტანი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე წერილობით მიმართავს შესაბამისად პროკურორს ან სასამართლოს, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას და მის დროულად გამოცხადებას გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში, გირაოს შემტანს 1 თვის ვადაში სრულად დაუბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შემტანის დროს არსებული ინფლაციის მაჩვენებლის გათვალისწინებით) და უძრავი ქონება, ხოლო ბრალდებულის მიმართ შეიძლება შეირჩეს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.

10. გირაოს შემტანს გირაოს თანხა დაუბრუნდება საქმის განმხილველი სასამართლოს ან პროკურორის გადაწყვეტილების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენის გზით.

11. თუ ბრალდებული კეთილსინდისიერად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, პროკურორი უფლებამოსილია გირაოს თანხის შემცირების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს გამომძიების ადგილის ან განსჯადობის მიხედვით. მითითებული შუამდგომლობის წარდგენისას და განხილვისას გამოიყენება ამ ნაწილით და ამ კოდექსით დადგენილი წესები. გამომძიების ეტაპზე შუამდგომლობა განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე, მისი წარდგენიდან 24 საათში.

საქართველოს 2010 წლის 24 სექტემბრის კანონი №3616 – სსმ I, №50, 24.09.2010 წ., მუხ.328  
საქართველოს 2010 წლის 10 დეკემბრის კანონი №3972 – სსმ I, №72, 22.12.2010 წ., მუხ.436

1. გირაო მიეკუთვნება მკაცრ აღკვეთის ღონისძიებებს, ვინაიდან ზღუდავს ბრალდებულის ქონებრივ უფლებებს. გირაოს მიზანია ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველყოფა, როგორც წესი, მისი საკუთრების უფლების შეზღუდვის გზით.
2. გირაოს გამოყენება დაიშვება სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე (გამონაკლისია-განაჩენის აღსრულების და გამომძიების ეტაპი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე).
3. სსსკ-ი ითვალისწინებს გირაოს სახით ფულადი თანხის ან უძრავი ქონების გამოყენებას. უძრავი ქონების შემთხვევაში, როგორც წესი, დაიშვება უფლებრივად უნაკლო უძრავი ქონების<sup>515</sup> ჩადება. გირაოში უძრავი ქონების ჩადების შემთხვევაში, მესაკუთრეს რჩება აღნიშნული უძრავი ქონებით სარგებლობის უფლება მისი დანიშნულებისამებრ (ცხოვრება, საწარმოს ფუნქციონირება, მინის ნაკვეთის დამუშავება და ა.შ.), მაგრამ იკრძალება ქონების გასხვისება.
4. სსსკ-ი გირაოს უზრუნველყოფის უფლებას ანიჭებს როგორც ბრალდებულს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს, ასევე ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს საკუთარი სურვილის/თანხმობის საფუძველზე. მაგრამ, თუ გირაოს უზრუნველყოფა ხორციელდება მესამე პირის მიერ, მას უნდა განემარტოს, როგორც ბრალდებულისათვის შერაცხული ბრალდების არსი, ასევე მასზე დაკისრებული მოვალეობები და მოვალეობათა ჯეროვნად არ შესრულების სამართლებრივი შედეგები.
5. მუხლი იმპერატიულად ითხოვს გირაოს ნებისმიერი შემტანი პირისათვის გირაოს შეტა-

<sup>515</sup> უძრავი ქონების სახით გირაოში შესაძლებელია ჩადებულ იქნეს, მაგალითად, შენობა-ნაგებობა (დამთავრებული და მშენებარე), მინის ნაკვეთი, საწარმო/ ქარხანა/ ფაბრიკა, ბინა, კაპიტალური ავტოფარეხი და სხვა.

ნის წინ იმ შედეგების წერილობითი ფორმით განმარტებას, რაც შესაძლებელია მოჰყვეს ბრალდებულის მიერ აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევას. აღნიშნული უფლება-მოვალეობათა განმარტების შესახებ დოკუმენტის არსებობის გარეშე დაუშვებელია ქონებაზე ყადაღის დადება. სსსკ-ი არ განსაზღვრავს წერილობითი აქტის ფორმას და არც იმ სუბიექტთა წრეს, ვისაც უშუალოდ ეკისრება განმარტების ვალდებულება. ამდენად, უფლება-მოვალეობათა და ბრალდებულის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შედეგების განმარტება შესაძლებელია სანოტარო აქტითაც, თუ აქტში ნათლად და არაორაზროვნად არის გამოხატული არა მხოლოდ პირის თანხმობა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, არამედ სრულად არის განმარტებული კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები და ბრალდებულის მიერ გირაოს პირობების დარღვევის შესაძლო შედეგები.<sup>516</sup> შესაბამისად, აღნიშნულის თაობაზე გაფრთხილების დამადასტურებელი დოკუმენტის რაიმე ფორმით არარსებობის შემთხვევაში, განჩინება, რომელიც ითვალისწინებს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებას და მისი თანმდევი განჩინება გირაოს უზრუნველსაყოფად კონკრეტულ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, ექვემდებარება გაუქმებას<sup>517</sup>, ხოლო გირაოს თანხით უზრუნველყოფის შემთხვევაში თანხა უნდა დაუბრუნდეს შემტანს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბრალდებულმა დაარღვია გირაოს პირობები<sup>518</sup> და ბრალდების მხარე შუამდგომლობს აღკვეთის უფრო მკაცრი ღონისძიების გამოყენებას.

6. მოცემული მუხლი არ ითვალისწინებს უშუალოდ ბრალდებულის ინფორმირებას გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების და პირობების დარღვევის სამართლებრივი შედეგების შესახებ. ბრალდებულისთვის გირაოს შეტანასთან დაკავშირებული ვადები, გირაოს პირობების დარღვევის შედეგები და გირაოს პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების ზედმიწევნით შესრულების შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესაძლებლობა დამატებით განიმარტება განჩინების სარეზოლუციო ნაწილში, მაგრამ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვისას სასამართლოს აღნიშნულის განმარტების ვალდებულება არ ეკისრება.
7. გირაო შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც იმ ბრალდებულის მიმართ, რომელიც უშუალოდ ესწრება სასამართლო სხდომას, ასევე ბრალდებულის მიმართ, რომელიც ობიექტური ან სუბიექტური (მაგალითად, პროტესტი) მიზეზების გამო არ ესწრება სასამართლო სხდომას. სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ცალკეული განჩინებები, რომლითაც ბრალდების მხარეს სასამართლო უარს ეუბნება გირაოს გამოყენებაზე იმ ბრალდებულის მიმართ, რომელიც არ ესწრება სასამართლო სხდომას ან თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას არა გირაოს პრევენციული ხასიათის არაეფექტიანობის გამო კონკრეტული საქმისათვის, არამედ სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილებზე არასწორი აპელირებით იმაზე მითითებით, რომ მე-5 და მე-7 ნაწილების თანახმად, გირაოს შეფარდებისას სასამართლო ვალდებულია ბრალდებულს განუმარტოს გირაოს გამოყენების პირობები და პასუხისმგებლობა აღნიშნული პირობების დარღვევისათვის, რისი განხორციელებაც შეუძლებელია ბრალდებულის სხდომაზე არყოფნის გამო.<sup>519</sup> სსსკ-ის მე-200 მუხლი საერთოდ არ ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას ბრალდებულისთვის რაიმეს განმარტების შესახებ. ხოლო მე-3 ნაწილი თანაბრად ეხება როგორც თავად ბრალდებულს, ასევე ბრალდებულის ნაცვლად გირაოს შემტან ნებისმიერ პირს ბრალდებულთან მისი კავშირის მიუხედავად. ამიტომ მუხლის წარმოდგენილი რედაქცია არ ზღუდავს სასამართლოს გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიება როგორც მიმალვაში მყოფი, ასევე იმ ბრალდე-

<sup>516</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 08/01/2015 წლის განჩინება, საქმე №1გ/19.

<sup>517</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 24/06/2015 წლის განაჩენი, საქმე №43აპ-15.

<sup>518</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05/02/2015 წლის განაჩენი, საქმე: 149აპ-14, №311-აპ-09, №175აპ-09; №375აპ-09.

<sup>519</sup> იხ., გორის რაიონული სასამართლოს 30/10/2014 წლის განჩინება.



- ბულის მიმართ, რომელიც არ ემალება გამოძიებას, მაგრამ არ ესწრება სასამართლოს, მაგალითად, მისდამი უნდობლობის გამო. სსსკ-ის მე-200 მუხლი „არც პირდაპირ და არც ირიბად, თავისი კონსტრუქციით“ არ ავალდებულებს მოსამართლეს განჩინება გირაოს გამოყენების თაობაზე გამოიტანოს ბრალდებულის თანდასწრებით. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული უფლებების, პირობების, შეზღუდვების და წამახალისებელი ღონისძიებების განმარტება ბრალდებულისათვის მოსამართლეს არ ევალება და ამ ფუნქციას მოსამართლე არც არასოდეს ასრულებს გირაოს შეფარდებისას... უკეთესია, თუ ბრალდებული ესწრება მისთვის გირაოს შესაფარდებლად გამართულ სხდომას, მაგრამ მისი არდასწრება არც შუამდგომლობის განხილვას აბრკოლებს და არც ალკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებას. სასამართლო პროცესზე ბრალდებულის დასწრება ეხმარება მოსამართლეს უფრო მეტად ინფორმირებულობაში მის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, მაგრამ არდასწრება არ ზღუდავს გირაოს შეფარდების შესაძლებლობას.<sup>520</sup> სასამართლოს მხრიდან ბრალდებულისთვის გირაოს გამოყენების პირობების განმარტება შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლოს განჩინებაში გირაოს შეფარდებასთან დაკავშირებული საკითხების, პირობების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის და პირობების სანიმუშოდ შესრულებისათვის წამახალისებელი ღონისძიებების მითითებით.
8. არასრულწლოვანი ბრალდებულისთვის გირაოს შეფარდების შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ვინაიდან არასრულწლოვანს, როგორც წესი, არ გააჩნია შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო, გირაოს თანხის გადახდა მოუწევთ მშობლებს. ამიტომ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა, და უპირატესობა უნდა მიენიჭოს სხვა სახის ალკვეთის ღონისძიების გამოყენებას.
  9. სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გირაოს თანხის ოდენობა უნდა განისაზღვროს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით. ცალკეულ შემთხვევებში მიმალვის დიდი საფრთხის არსებობისას გირაოს ნებისმიერი ოდენობით გამოყენება არ არის საკმარისი საფრთხეების ნეიტრალიზაციისათვის. გირაოს ოდენობის განსაზღვრისათვის მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე და მოსალოდნელი სასჯელის ზომა, ცალკეულ შემთხვევებში, არ არის გადამწყვეტი ფაქტორი. გირაოს ოდენობის განსაზღვრისას დანაშაულის სიმძიმესთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბრალდებულის პირადი ქონებრივი შესაძლებლობები და იმ პირების ქონებრივი მდგომარეობა, რომლებიც უზრუნველყოფენ გირაოს გადახდას, მისი ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებიც გირაოს იხდიან – რამდენად წარმოადგენს გირაოს თანხის დაკარგვა ან თავდები პირის მიმართ „საქმის აღძვრა“ ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მიმალვის სურვილის საკმარისი შემაკავებელ ფაქტორს.<sup>521</sup> ყურადღება უნდა მიექცეს ასევე ჩადენილი ქმედების ხასიათს, მის საშიშროებას, ბრალდებულის პიროვნებას და საქმეში არსებულ სხვა არსებით გარემოებებს, როგორც მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ალკვეთის ღონისძიების სახით გირაოსა და მისი ოდენობის განსაზღვრაზე.
  10. გირაოს თანხის ოდენობა არ არის დამოკიდებული დანაშაულის კატეგორიაზე/სახეზე. შესაძლებელია ერთი და იმავე კატეგორიის დანაშაულისთვის სხვადასხვა ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ოდენობის გირაო. თანხის მოცულობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია, რომ: 1) გირაოს ოდენობა იყოს რეალური – რომლის შეტანის/უზრუნველყოფის შესაძლებლობა ბრალდებულს მისი ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე გააჩნია, და 2) ოდენობას ჰქონდეს რეალური შემაკავებელი ეფექტი – ბრალდებულს აღნიშნული ქონების დაკარგვა უქმნიდეს მნიშვნელოვან/ხელშესახებ ქონებრივ დანაკლისს, რის გამოც ის შეეცდება შეასრულოს გირაოს პირობები. შესაბამისად, ზედმეტად მცირე ოდენობის განსაზღვრისას, გირაო ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სა-

<sup>520</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 09/12/2014 წლის განჩინება, საქმე №1გ/1248.

<sup>521</sup> Neumeister v Austria, ECtHR, 27/-6/1968; iwanczuk v Poland, ECtHR, 15/11/2001.

- თანადო ქცევას, ხოლო ზედმეტად დიდი ოდენობის განსაზღვრისას – გირაოს გამოყენება ფორმალური ხასიათის მატარებელი იქნება.
11. გირაოს ოდენობის განსაზღვრისას დაცული უნდა იყოს საკუთრების უფლების შეზღუდვის პროპორციულობა, გირაოს უნდა გააჩნდეს რეალური შემაკავებელი ეფექტი და გირაოს სახით განსაზღვრული თანხის ოდენობა უნდა იყოს გონივრული, „რათა ბრალდებულს ან მისი სახელით სხვა პირს შეეძლოს მისი გადახდა ან უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუსაბამოდ მაღალი გირაოს დადგენა ვერ იქნება გამართლებული, რადგან ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს, ვინაიდან თავიდანვე იქნება მოლოდინი იმისა, რომ ბრალდებული ვერ შეძლებს გირაოს გადახდას და ამით ხელოვნურად შევუწყობთ ხელს მისი სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას“.<sup>522</sup> ამდენად, გირაოს ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს:
    - ბრალდებულის და მისი ახლო ნათესავების საკუთრებაში არსებული ქონება;
    - ბრალდებულის მიკუთვნება სოციალურად დაუცველ პირთა ჯგუფისადმი;
    - ბრალდებულის შემოსავალი – ბრალდებულის დასაქმების შემთხვევაში მისი სამუშაო ადგილი და ხელფასი;
    - ბრალდებულის ოჯახური მდგომარეობა და მის კმაყოფაზე მყოფი პირები.
  12. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბრალდებულს გააჩნია არაერთი მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე უძრავი ქონება და სოლიდური სტაბილური შემოსავალი, გირაოს ოდენობად უნდა განისაზღვროს თანხის ის მოცულობა რომელიც რეალური შემაკავებელი ეფექტის მატარებელი იქნება და არ იყოს არაგონივრულად მაღალი. მაგალითად ერთერთ საქმეზე, სადაც ბრალდებულს ბრალად ედებოდა მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, რაც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 6-9 წლამდე ვადით და მიყენებული ზიანი, სავარაუდოდ, შეადგენდა 157.000 აშშ დოლარს, საკუთრებაში გააჩნდა არაერთი უძრავი ქონება და ყოველთვიური შემოსავალი მხოლოდ სადავო ფირმიდან შეადგენდა 37.000 ლარს, სასამართლომ ყადაღის ოდენობა განსაზღვრა 10.000 ლარით.
  13. გირაოს თანხის კონკრეტული ოდენობის საბოლოოდ განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა, მაგრამ თანხის საწყის ოდენობას განსაზღვრავს ინიციატორი მხარე. მაგალითად, ბრალდების შუამდგომლობის შემთხვევაში – პროკურორი განსაზღვრავს როგორც ოდენობას, ასევე მისი შეტანის ვადას (რაც სასამართლოსთვის სავალდებულო არ არის და შეუძლია შეცვალოს ორივე პარამეტრი). შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს გირაოს თანხის ოდენობა, მისი შეტანის ვადა (მაგალითად, ეს აღნიშნული ვადა შეიძლება შეადგენდეს 14 დღეს),<sup>523</sup> ხოლო გირაოს უძრავი ქონებით უზრუნველყოფის შემთხვევაში – ასევე მოთხოვნა ყადაღის დადების შესახებ არა მთლიანად ქონებაზე, არამედ მხოლოდ გირაოს თანხის ოდენობის ნაწილში.<sup>524</sup> გირაოს შეტანის ვადა განისაზღვრება პროკურორის მიერ შუამდგომლობის დაყენებისას. მაგრამ თუ გირაოს გამოყენება ხდება ადრე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების ნაცვლად (მაგალითად, პატიმრობა), მაშინ წინა სახის აღკვეთის ღონისძიება ძალას ინარჩუნებს გირაოს თანხის შეტანამდე.
  14. სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს თუ გამოიყენებს გირაოს თანხის განსხვავებულ ოდენობას ან განსაზღვრავს გირაოს შეტანის სხვა ვადას, ვიდრე მოთხოვნილი იყო მხარეთა მიერ.
  15. გირაოს ოდენობის განსაზღვრას სასამართლო უნდა მოეკიდოს ისეთივე გულისხმიერებით, როგორც პატიმრობის შეფარდებას, გაითვალისწინოს, რომ ეს აღკვეთის ღონისძიება ემსახურება ბრალდებულის სათანადო ქცევისა და სასამართლოში (საგამოძიებო ორგანოში)

<sup>522</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 09/12/2014 წლის განჩინება, საქმე №1გ/1244-14.

<sup>523</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05/12/2014 წლის განჩინება, საქმე №1გ/1234.

<sup>524</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 08/01/2015 წლის განჩინება, საქმე №1გ/19.

- მისი გამოცხადების უზრუნველყოფას.<sup>525</sup>
16. გირაოს მინიმალური ოდენობა 1000 ლარია. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბრალდებულს ბრალი ედება ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში, მის მიმართ გამოსაყენებელი გირაოს ოდენობა არ შეიძლება იყოს 1000 ლარზე ნაკლები.
  17. გირაოს მიზანია ბრალდებულის სასამართლოში გამოცხადების და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენცია და არა დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.<sup>526</sup> გათავისუფლების გარანტია არ შეიძლება ბრალდებულს აკისრებდეს იმაზე მეტ ტვირთს, რაც აუცილებელია უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. ამიტომ გირაოს ოდენობა დამოკიდებულია ბრალდებულის პიროვნულ თვისებებზე, მის ფინანსურ მდგომარეობაზე,<sup>527</sup> იმ პირებთან ურთიერთობის ხასიათზე, რომლებიც კისრულობენ გირაოს უზრუნველყოფას<sup>528</sup> და არა მიყენებული ზიანის მოცულობაზე. იმავდროულად, ეკონომიური ნიშნით დისკრიმინაციისგან ბრალდებულის დასაცავად გირაოს თანხის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს პირის ფინანსური შესაძლებლობა, რომ განსაზღვრული თანხა იყოს ჯეროვანი და თანაზომიერი.<sup>529</sup>
  18. ბრალდების მხარემ უნდა დაასაბუთოს: 1) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა; 2) კონკრეტული სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა სსსკ-ის 198-ე მუხლით განსაზღვრული საფრთხეების პრევენციისათვის; 3) ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა მისი არაეფექტიანობის გამო.
  19. გირაოს გამოყენების მოთხოვნის შემთხვევაში ბრალდების მხარემ სხვა სახის აღკვეთის ღონისძიებებისგან განსხვავებით დამატებით უნდა ამტკიცოს გირაოს კონკრეტული ოდენობის და მისი გადახდის ვადის მიზანშეწონილობა. აღნიშნული უნდა ემყარებოდეს საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს და არა შეფასებით კატეგორიებს ბრალდებულის პიროვნების ან მისი მატერიალური მდგომარეობის შესახებ.
  20. გირაოს შეცვლას უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით სსსკ-ი ითვალისწინებს შემდეგ სამ შემთხვევაში:
    - გირაოს თანხის გადაუხდელობა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში;
    - გირაოს პირობების დარღვევა – მიმალვა, გამოუცხადებლობა, მოწმეებზე ზემოქმედება, მტკიცებულების განადგურება ან ახალი დანაშაულის ჩადენა;
    - ბრალდებულის მიერ „კანონის“ დარღვევა – მოიცავს როგორც ახალი დანაშაულის ჩადენის, ასევე პრაქტიკულად ნებისმიერი კანონით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას, მათ შორის ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი, ადმინისტრაციული და სხვა.
  21. გირაოს პირობების დარღვევა დოკუმენტალურად უნდა იქნეს დადასტურებული. მაგალითად, ბრალდებულის დაბარებისას მისი გამოუცხადებლობა პროცესის მწარმოებელ პირთან, ნინასნარი შეტყობინების გარეშე სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ან საცხოვრებელი ადგილის/ საკონტაქტი ინფორმაციის (საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც ბრალდებულს ჰქონდა მიწოდებული გამოძიების ორგანოსთვის – ტელეფონის ნომერი, ელექტრონული

<sup>525</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 18/12/2014 წლის განჩინება, საქმე №1გ/1282; ასევე იხ., Schertenleib v Switzerland, ECtHR, 12/07/1979; iwanczuk v Poland, ECtHR, 15/11/2001; Piotr Osuch v Poland, ECtHR, 03/11/2009, § 39; Bojilov v Bulgaria, ECtHR, 22/12/2004, § 60.

<sup>526</sup> აღნიშნული მიზნით, სსსკ-ი ითვალისწინებს ქონებაზე ყადაღის დადებას.

<sup>527</sup> Hristova v Bulgaria, ECtHR, 07/12/2006, § 111; Toshev v Bulgaria, ECtHR, 10/08/2006, § 69-73.

<sup>528</sup> Mangouras v Spain (GC), § 78; Neumeister v Austria, § 14.

<sup>529</sup> КЛРД, Общая рекомендация XXXI §26(b); доклад РГПЗ, документ ООН E/CN.4/2006/7 (2005) §§65-66. См. КПП, Заключительные замечания: Кения, документ ООН CAT/C/KEN/CO/1 (2008) §12; доклад ППП: Мексика, документ ООН CAT/OP/MEX/1 (2010) §208.

- ფოსტის მისამართი, სამუშაო ადგილი და ა.შ.) შეცვლა, რის გამოც ვერ ხერხდება მასთან დაკავშირება და საგამოძიებო მოქმედებაში მისი მონაწილეობის უზრუნველყოფა, გირაოს თანხის გადაუხდელობა და სხვა.
- 22.** სასამართლოს მიერ გირაოს გადახდისათვის (ან გირაოს უძრავი ქონებით უზრუნველყოფისათვის) დანესებული ვადის დარღვევის მხოლოდ თვით ფაქტი არ შეიძლება იყოს შეფარდებული გირაოს დაპატიმრებით შეცვლის ერთადერთი და იმპერატიულ საფუძველი იმ გარემოების გამოკვლევის გარეშე ადგილი აქვს გირაოს თანხის შეგნებულად არგადახდას თუ საქმე გვაქვს გირაოს თანხის ვერ გადახდასთან. არასწორია სსსკ-ის მე-200 მუხლის ამ ნაწილის განმარტება ისე, რომ დადგენილ ვადაში გირაოს თანხის გადაუხდელობა იმპერატიულად ავალდებულებს პროკურორს მოითხოვოს აღკვეთის ღონისძიების დამძიმება და შესაბამისად, სასამართლოსაც ავალდებულებს გამოიყენოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. გირაოს თანხის გადაუხდელობის ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, აღკვეთის ღონისძიების დამძიმების შესახებ სასამართლოში შუამდგომლობის აღძვრამდე პროკურორი (ხოლო შუამდგომლობის განხილვისას – სასამართლო) ვალდებულია გამოარკვიოს თანხის გადაუხდელობა გამონვეულია წინასწარგანზრახული, შეგნებული არგადახდით, თუ ადგილი აქვს ობიექტურ მიზეზთა გამო გადახდის შეუძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში გირაოს გამოყენება შეიძენს ფორმალურ ხასიათს და სახეზე გვექნება გირაოს ფორმალური გამოყენებით ე.წ. „შეფარული პატიმრობის“ მიზნის მიღწევა.<sup>530</sup>
- 23.** მე-7 ნაწილი ითვალისწინებს ქონებრივ სანქციებს გირაოს პირობების შეუსრულებლობისათვის. თუმცა აღნიშნული სანქციის გამოყენებისთვის სსსკ-ი ითვალისწინებს რამდენიმე წინაპირობას: 1) წერილობითი გაფრთხილების არსებობა გირაოს თანხის შეტანისას; 2) ბრალდებულის მიერ გირაოს პირობების ან კანონის დარღვევის ფაქტი.
- 24.** ვინაიდან გირაოს გამოყენების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება გააჩნიათ მხარეებს, სსსკ-ი ითვალისწინებს მცირეოდენ განსხვავებას იმისდა მიხედვით, თუ რომელი მხარეა ინიციატორი. დაცვის მხარის მიერ შუამდგომლობის დაყენების შემთხვევაში, მხარემ უნდა წარმოადგინოს გირაოს თანხის ოდენობის შესაბამისი ქონების რეალურად არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება. ამისათვის, თუ დაცვის მხარე შუამდგომლობს გირაოს გამოყენებას და მის უზრუნველყოფას უძრავი ქონებით აპირებს, შუამდგომლობის დაყენებამდე, უნდა მოხდეს შესაბამისი ქონების შეფასება და შეფასების დოკუმენტის წარდგენა სასამართლოში შუამდგომლობასთან, საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტთან და ყადაღის შესახებ ცნობასთან ერთად, რომლითაც დასტურდება, რომ აღნიშნული ქონება არ არის დატვირთული იმისათვის, რომ სასამართლო დარწმუნდეს გირაოს გამოყენების შემთხვევაში მისი უზრუნველყოფის შესაძლებლობის რეალურად არსებობაში. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე ბრალდებულმა განაცხადა, რომ განზრახული ჰქონდა გირაოს თანხის გადახდა ერთი წლის წინ 5 800 აშშ დოლარად შექმნილი ავტომობილის გასხვისების გზით. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია გირაოს გამოყენება 10.000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.<sup>531</sup>
- 25.** თუ გირაოს უზრუნველყოფას დაცვის მხარე აპირებს ფულით, მაშინ ფულის შეტანა უნდა განხორციელდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადებოზიტო ანგარიშზე, ხოლო – გირაოში უძრავი ქონების ჩადების შემთხვევაში – საჯარო რეესტრში სასამართლოს განჩინების საფუძველზე ქონებას უნდა დაედოს ყადაღა და შედგეს გირაოს მიღების ხელშეკრულება, რომლის ერთი ასლი გადაეცემა გირაოს შემტანს. ორივე შემთხვევაში უნდა შედგეს გირაოს მიღების ოქმი, რომელიც უნდა წარედგინოს სასამართლოს. თუ თანხის შეტანა ხორციელდება მესამე პირის მიერ, მაშინ დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ვალდებულება ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველყოფის შესახებ.

<sup>530</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 08/01/2015 წლის განჩინება, საქმე №1გ/19.

<sup>531</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 18/12/2014 წლის განჩინება, საქმე №1გ/1282.

26. სსსკ-ი ითვალისწინებს ასევე ორი სახის გირაოს გამოყენებას – ე.წ. საპატიმრო და არასაპატიმრო გირაო. საპატიმრო გირაო გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პირის მიმართ გამოყენებული იყო დაკავება და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მისი დაკავებით, ხოლო თუ პირის დევნა განხორციელდა მისთვის ბრალის წაყენების გზით – (დანაშაულის სიმძიმის და რაოდენობის მიუხედავად) – გამოიყენება არასაპატიმრო გირაო. საპატიმრო გირაოს შემთხვევაში პირის მიმართ პატიმრობა გამოიყენება გირაოს თანხის სრულად ან არანაკლებ 50%-ის შეტანამდე, ხოლო არასაპატიმრო გირაოს დროს – სასამართლო უფლებამოსილია პირს განუსაზღვროს გირაოს შემოტანის ვადა ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების გამოყენების გარეშე გირაოს სახით შემოსატანი თანხის პრაქტიკულად საერთოდ არგადახდის შემთხვევაშიც. საპატიმრო გირაოს გამოყენება ხდება სასამართლოს ან პროკურორის ინიციატივით. სსსკ-ი ითვალისწინებს საპატიმრო გირაოს გამოყენების აუცილებელ წინაპირობად პირის დაკავების ფაქტის არსებობას. თუმცა ბრალდებულის დაკავების ფაქტი უპირობოდ არ მიუთითებს საპატიმრო გირაოს გამოყენების ვალდებულებაზე. კერძოდ, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბრალდებული დაკავებული იყო სასამართლოს/ პროკურორს უფლება აქვს პირის მიმართ გამოიყენოს არასაპატიმრო გირაო. და, პირიქით, დაკავებული ბრალდებულის მიმართ სასამართლოს საფრთხეების ანონვის შედეგად შეუძლია საკუთარი ინიციატივით გამოიყენოს საპატიმრო გირაო იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამის შესახებ არ შუამდგომლობს ბრალდების მხარე, მაგრამ არ შეუძლია უარი თქვას საპატიმრო გირაოს გამოყენებაზე თუ აღნიშნულს მოითხოვს ბრალდების მხარე.
27. თუ არასაპატიმრო გირაოს დროს, გირაოს თანხის თუნდაც ნაწილის შეტანამდე ბრალდებული დაარღვევს გირაოს პირობებს ან თუნდაც ჩაიდენს ახალ დანაშაულს, აღნიშნული გამოიწვევს მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების გამკაცრებას, მაგრამ გირაოს სახით შესატანი თანხის იძულებით ამოღება არ მოხდება. მაგრამ თუ არასაპატიმრო/საპატიმრო გირაოს შემთხვევაში თანხის დარჩენილი ნაწილის შეტანისათვის განსაზღვრულ ვადაში ბრალდებული დაარღვევს გირაოს გამოყენების პირობას ან კანონს/ჩაიდენს დანაშაულს (გირაოს თანხის სრულად შეტანამდე) – გირაოს სახით შეტანილი თანხა გადაირიცხება სახელმწიფოს ბიუჯეტში და იმავე განჩინებით ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იქნება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. შესაბამისად, ბრალდებულისათვის გირაოს სახით თანხის შეტანისათვის ვადის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც დროის ის მონაკვეთი, რაც ობიექტურად საჭიროა ბრალდებულისთვის გირაოს სახით განსაზღვრული თანხის მოძიებისათვის, ასევე თეორიული შესაძლებლობა იმისა რომ
28. ბრალდებულის მიერ ნაკისრი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-11 ნაწილი ითვალისწინებს გირაოს ოდენობის შემცირების შესაძლებლობას. იმავდროულად, მუხლი ითვალისწინებს განსხვავებულ პროცედურას აღნიშნული საკითხის განხილვისათვის და ადგენს: 1) შუამდგომლობით მიმართვის უფლება გააჩნია მხოლოდ პროკურორს. შესაბამისად, დაცვის მხარის შუამდგომლობა გირაოს თანხის შემცირებაზე ბრალდებულის მიერ გირაოს პირობების კეთილსინდისიერად შესრულების და მისი ქონებრივი/ჯანმრთელობის და ა.შ. მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესების გამო (მაგალითად, მისი ოჯახის წევრს ესაჭიროება სასწრაფო ოპერაცია და ვინაიდან ოჯახის ერთადერთ ქონებას წარმოადგენს გირაოში ჩადებული ფული/ქონება ითხოვს გირაოს ოდენობის შემცირებას სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების დამატებით გამოყენებასთან ერთად), დაუშვებელია. ანალოგიურ შემთხვევებში დაცვის მხარეს უფლება აქვს სსსკ-ის 206-ე მუხლის საფუძველზე დააყენოს შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის, მაგრამ არა გირაოს თანხის ოდენობის შემცირების შესახებ; 2) პროკურორის შუამდგომლობა გირაოს ოდენობის შემცირების შესახებ განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე.
29. სასამართლო განსაკუთრებული გულისყურით უნდა მოეკიდოს ბრალდებულის ან/და იმ

პირის, ვინც უნდა უზრუნველყოს ბრალდებულის სასარგებლოდ გირაოს თანხის გადახდა, ქონებრივი /მატერიალური მდგომარეობის შემომწმების საკითხს, ვინაიდან აღნიშნულის შესახებ არაზუსტი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში ბრალდებულმა შესაძლებელია ვერ უზრუნველყოს გირაოს თანხის გადახდა, რის გამოც მის მიმართ გირაოს გამოყენება ფორმალური ხასიათის მატარებელი იქნება და ბრალდებულის მიმართ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა მიეცემა ბრალდების მხარეს გირაოს თანხის გადაუხდელობის გამო იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბრალდებული ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ცხადდებოდა პროცესის მწარმოებელ ორგანოში დაბარებისთანავე, არ უქმნიდა საფრთხეს მართლმსაჯულების განხორციელებას.

30. გირაოს ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე, მაგალითად, საბანკო კრედიტის მოცულობა (რომელსაც იხდის ბრალდებული/მისი ოჯახი), ბრალდებულის კმაყოფაზე მყოფი პირების რაოდენობა (მაგალითად, ორსული მეუღლე, მცირეწლოვანი შვილები, ქმედუუნარო/ხანდაზმული და მის კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრები), დევნილობის ფაქტი, ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობა და მათ მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა.<sup>532</sup>

### მუხლი 201. არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა – ამოღებულია (12.06.2015 № 3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)

1. მშობლის, მეურვის, მზრუნველის ან სპეციალური საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის მეთვალყურეობაში არასრულწლოვნის გადაცემის მიზანია, აღნიშნულ პირთაგან ერთ-ერთმა ან ადმინისტრაციამ იკისროს არასრულწლოვანი ბრალდებულის გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებისა და სათანადო ქცევის წერილობითი ვალდებულება.
2. არასრულწლოვნის გადაცემა მშობლის, მეურვის, მზრუნველის ან სხვა პირის მეთვალყურეობაში შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანი ბრალდებულისა და ამ პირის თანხმობით.
3. მშობელს, მეურვეს, მზრუნველს ან სხვა პირს უფლება აქვს, ნებისმიერ მომენტში თქვას უარი არასრულწლოვნის მეთვალყურეობაზე, თუ ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვანი ბრალდებულის სათანადო ქცევას.
4. მშობელს, მეურვეს, მზრუნველს ან სპეციალური საბავშვო დაწესებულების ხელმძღვანელს ხელწერილის ჩამორთმევისას უნდა გააცნონ არასრულწლოვნის ბრალდების არსი, სასჯელი, რომელიც შეიძლება დაენიშნოს ბრალდებულს, და პასუხისმგებლობა, რომელიც მას დაეკისრება, თუ არასრულწლოვანი ჩაიდენს ქმედებას, რომლის აღსაკვეთადაც იგი გადაეცა მეთვალყურეობაში.
5. პირს, რომელიც მეთვალყურეობს არასრულწლოვანს, ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლება არა აქვს, თავი იმართლოს იმით, რომ ბრალდებულის საქციელის კონტროლის შესაძლებლობა არ ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის დაამტკიცებს დაუძლეველი ძალის მოქმედებას. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პირობის დარღვევის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია პირი, რომელიც მეთვალყურეობდა არასრულწლოვანს, მხარის შუამდგომლობით დააჯარიმოს ამ კოდექსის 91-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად.

### მუხლი 202. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ

შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ დანაშაულის საქმეზე, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით.

<sup>532</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24/05/2013 წლის განჩინება, საქმე №1გ/294.

1. **შეთანხმება გაუსვლელობის და სათანადო ქცევის შესახებ ყველაზე** მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებაა. მისი მიზანია ბრალდებულის უფლებების მინიმალური მოცულობით შეზღუდვის გზით საგამოძიებო და სასამართლო წარმოებაში ბრალდებულის მონაწილეობის უზრუნველყოფა და მისი მხრიდან გამოძიების/სასამართლო განხილვისათვის ხელის შეშლის თავიდან აცილება.
2. **მისი გამოყენება დაიშვება მხოლოდ** იმ საქმეებზე, რომლისთვის სსკ-ი სასჯელის სახით ითვალისწინებს 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. შერაცხული ქმედებისათვის სსკ-ი გათვალისწინებული სასჯელის სიმცირე არ გამორიცხავს ბრალდებულის მიმართ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლების, დანაშაულის ჩადენის ხერხის, დანაშაულის ჩადენის შემდეგ ბრალდებულის ქცევის სპეციფიკიდან და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე. საქმის მასალები უნდა ქმნიდეს მყარ საფუძველს რწმენისათვის, რომ ბრალდებული დაემორჩილება პროცესის მწარმოებელი ორგანოს კანონიერ მოთხოვნას და ხელს არ შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას. მაგალითად, აღნიშნული ღონისძიების შეფარდებისას შესაძლებელია სასამართლომ გაითვალისწინოს, რომ ბრალდებულს გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, კმაყოფაზე ჰყავს მცირეწლოვანი შვილები, გააჩნია დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო, მუდმივი სამსახური, დადებითი დახასიათება, დამოუკიდებელი სახსრები საზღვარგარეთ მიმალვისათვის; ბრალდებულის ურთიერთობა მონაწილეთან/დაზარალებულთან; მისი დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისადმი; მისი პუნქტუალურობა და მონესრიგებულობა საგამოძიებო/საპროცესო ღონისძიებებში მონაწილეობისას და ა.შ.
3. აღნიშნული ღონისძიება ზღუდავს ბრალდებულის გადაადგილების თავისუფლებას გარკვეული ტერიტორიით, მაგრამ გავლენას არ ახდენს შესაბამისი ტერიტორიის ფარგლებში პირის ჩვეული ცხოვრების რიტმზე, არ ზღუდავს მის სხვა უფლება-თავისუფლებებს. ბრალდებულს შენარჩუნებული აქვს დასაქმების, განათლების, საკუთრების, დასვენების, განვითარების და ა.შ. უფლებები. მაგრამ ბრალდებულს ეკრძალება საცხოვრებელი ადგილის დატოვება (სამსახურებრივ მივლინებაში/შეგებულებაში საზღვარგარეთ გამგზავრება) პროცესის მწარმოებელი უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე. საცხოვრებელ ადგილში იგულისხმება არა კონკრეტული მუდმივი/დროებითი საცხოვრებელი – ბინა/კერძო სახლი, საერთო საცხოვრებელში ოთახი, სასტუმროს ნომერი, სკოლა-ინტერნატი, მოხუცებულთა თავშესაფარი; ან ნებისმიერი საცხოვრებელი სადგომი, რომელშიც ადამიანი მუდმივად ან უმეტესად ცხოვრობს საკუთრების/ ქირავნობის/იჯარის/ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა საფუძვლით, არამედ კონკრეტული დასახლებული პუნქტი (ქალაქი, სოფელი, დასახლება და ა.შ.), რომელიც ბრალდებულს მითითებული აქვს საცხოვრებელ ადგილად და რა მისამართზეც უნდა მოხდეს საჭიროების შემთხვევაში უწყების გაგზავნა.
4. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ღონისძიება მინიმალურად ზღუდავს ბრალდებულის უფლებას მიმოსვლის თავისუფლებაზე, მისი გამოყენებისთვისაც (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სახის აღკვეთის ღონისძიებასთან მიმართებით) საჭიროა სასამართლოს ნებართვა.
5. შეთანხმების მოქმედების ვადა კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული და შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენამდე ან/და მის აღსასრულებლად მიქცევამდე.
6. აღნიშნული ღონისძიების გამოყენების წინაპირობა არ არის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქონა. მისი გამოყენება დაიშვება იმ პირის მიმართაც, ვისაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მაგალითად, უცხოელი, რომელიც გაჩერებულია სასტუმროში, ნაქირავებ ბინაში, მივლინებაში მყოფი პირის მიმართ და ა.შ.
7. აღნიშნული სახის აღკვეთის ღონისძიება არაეფექტიანია, თუ ბრალდებული ეწევა ე.წ. „მოხეტიალე“ ცხოვრებას, არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (მაგალითად, ბო-

- შები - Sinti and Roma), ან მისი საქმიანობა უკავშირდება მუდმივ მგზავრობას (მაგალითად მეზღვაური, მფრინავი).
8. სსსკ-ის 202-ე მუხლით განსაზღვრული აღკვეთის ღონისძიება ითვალისწინებს შუამდგომლობასთან/განჩინებასთან ერთად კონკრეტული შეთანხმების დადებას პროცესის მწარმოებელ პირსა და ბრალდებულს შორის, რომელშიც განერილი იქნება ბრალდებულის კონკრეტული მოვალეობები, და გაშლილი იქნება „სათანადო ქცევის“ მნიშვნელობა კონკრეტულ ბრალდებულთან მიმართებით. მას ასევე უნდა განემარტოს მისი მოვალეობები, – მაგალითად, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში (იმავე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში) აღნიშნულის შეტყობინების ვალდებულება გამომძიებლისათვის და სხვა.<sup>533</sup>
  9. სსსკ-ი არ ითვალისწინებს სათანადო ქცევის განმარტებას, მაგრამ სსსკ-ის 198-ე მუხლიდან და აღკვეთის ღონისძიების მიზნებიდან გამომდინარე, მასში იგულისხმება, პირველ რიგში, ბრალდებულის ისეთი ქცევა, რომელიც არ ქმნის მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის, მონებებზე/დაზარალებულზე ზემოქმედების და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხეს. სათანადო ქცევის კონტექსტი შესაძლებელია დაზუსტდეს სასამართლოს მიერ, ერთი მხრივ, ბრალდებულზე სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ისეთი სხვა ღონისძიებების დაკისრებით, როგორცაა, მაგალითად, სასამართლოში, პოლიციაში, ან სხვა სახელმწიფო ორგანოში (ასევე მაგალითად, ბრალდებულის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციაში) ყოველკვირეულად ან სხვა პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება; სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა; გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვა და სხვა.
  10. ბრალდებულს ასევე უნდა განემარტოს, რომ შეთანხმების პირობების დარღვევისას მის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს უფრო მკაცრი სახის აღკვეთის ღონისძიება – მათ შორის პატიმრობა.

### მუხლი 203. პირადი თავდებობა

1. პირადი თავდებობისას სანდო პირები კისრულობენ წერილობით ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებას.
2. თავდებთა რაოდენობას განსაზღვრავს სასამართლო.
3. პირადი თავდებობის არჩევა დასაშვებია მხოლოდ თავდების შუამავლობით ან თანხმობით, აგრეთვე ბრალდებულის თანხმობით.
4. თავდებს უნდა გააცნონ იმ ბრალდების არსი, რომელთან დაკავშირებითაც შერჩეულია ეს აღკვეთის ღონისძიება, სასჯელი, რომელიც შეიძლება დაენიშნოს ბრალდებულს, და პასუხისმგებლობა, რომელიც დაეკისრება თავდებს, თუ ბრალდებული ჩაიდენს ქმედებას, რომლის აღსაკვეთადაც გამოყენებულ იქნა თავდებობა. გარდა ამისა, თითოეულ თავდებს ჩამოერთმევა ხელნერილი თავდებობის შესახებ, რომელიც დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს.
5. თავდებს შეუძლია უარი თქვას ნაკისრ ვალდებულებაზე იმ საფუძვლის გამოვლენამდე, რომელსაც მისი პასუხისმგებლობა მოსდევს. თავდებს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლება არა აქვს, თავი იმართლოს იმით, რომ ბრალდებულის საქციელის კონტროლის შესაძლებლობა არ ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის დაამტკიცებს დაუძლეველი ძალის მოქმედებას.
6. თუ ბრალდებული ჩაიდენს ქმედებას, რომლის აღსაკვეთადაც გამოყენებულ იქნა თავდებობა, სასამართლოს შეუძლია თითოეულ თავდებს მხარის შუამდგომლობით დააკისროს ჯარიმა ამ კოდექსის 91-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად.

<sup>533</sup> იხ., დამატებით სსსკ-ის 199-ე მუხლის კომენტარი.



- 1. ნორმის მიზანი:** ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველყოფა ავტორიტეტული პირების მხრიდან კონტროლის განხორციელების გზით.
- თავდებობა გამოყენება, თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები რწმენისათვის, რომ ბრალდებული არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს, მისი მხრიდან ადგილი არ ექნება მოწმეების დაშინებას, მტკიცებულების განადგურებას და ა.შ..
- თავდებობის გამოყენების წინაპირობაა: 1) თავდების/თავდები პირების წერილობითი თანხმობა და 2) ბრალდებულის თანხმობა: ა) მის მიმართ აღნიშნული ღონისძიების გამოყენებაზე და ბ) შერჩეული კონკრეტული პირების თავდებობაზე.
- ბრალდებულის თანხმობა შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს ზეპირად ან წერილობით. თავდების თანხმობა საწყის ეტაპზე (თავდების შერჩევისას) შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს ზეპირად ან წერილობით, მაგრამ სასამართლოს მიერ პირის თავდებად დანიშვნის შემდეგ პირს თავდების ვალდებულება და მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები ეკისრება მხოლოდ წერილობითი ხელწერილის ჩამორთმევის შემდეგ. შესაბამისად, პირის თავდებად დანიშვნის შემდეგ, თუ საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი თავდების/თავდებების წერილობითი ხელწერილი, ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში თავდებას პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება.
- თავდებად შეიძლება გამოვიდეს ერთი ან რამდენიმე პირი. თავდებობის გამოყენება ხდება ერთ-ერთი ან რამდენიმე თავდების შუამდგომლობის საფუძველზე, მაგრამ თითოეული თავდების ინდივიდუალური თანხმობის საფუძველზე.
- მსურველთა ნუსხიდან თავდების შერჩევა და თავდებათა რაოდენობის განსაზღვრა ხორციელდება სასამართლოს მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი თუ ბრალდების მხარე საკმარისად მიიჩნევს ორი თავდების დანიშვნას, სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით ბრალდებულს დაუნიშნოს 1 ან 3 თავდები, თავდებობის კანდიდატთა (მსურველთა) ნუსხიდან. მაგრამ სასამართლოს, როგორც წესი, არ აქვს უფლება თავად მოიძიოს ან/და შესთავაზოს ბრალდებულს კონკრეტული თავდები.
- თავდებას არ ეკისრება პასუხისმგებლობა ნაკისრი მოვალეობის შეუსრულებლობისთვის:
  - დაუძლეველი ძალის არსებობისას;
  - საქმეში ხელწერილის არარსებობის შემთხვევაში, რაც ადასტურებს თავდებისთვის მისი უფლება-მოვალეობების განმარტებას
  - თუ თავდები უარს იტყვის ნაკისრ მოვალეობაზე იმ საფუძველების გამოვლენამდე, რაც იწვევს მის პასუხისმგებლობას, მაგალითად, თუ თავდების უარს მოჰყვება/დროში ემთხვევა ან დროის მცირე ინტერვალით მოსდევს ბრალდებულის მიმალვა/ახალი დანაშაულის ჩადენა და ა.შ. აღნიშნული არ ათავისუფლებს თავდებას სსსკ-ის 91-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული მოვალეობისგან. დროის ინტერვალის ხანგრძლივობაში იგულისხმება სსსკ-ით აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის განხორციელების განსაზღვრული ვადა. შესაბამისად, თავდებობის მოვალეობის განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში თავდები ინარჩუნებს პასუხისმგებლობას ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ახალი ღონისძიების გამოყენებამდე.
- რამდენიმე თავდების არსებობის შემთხვევაში თითოეული მათგანის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული მათგანის წილი პასუხისმგებლობის მიხედვით 100-დან 500 ლარამდე ოდენობის ჯარიმით.
- თავდები შესაძლებელია იყოს ნებისმიერი პირი – ბრალდებულის მეგობარი, ოჯახის წევრი, თანამშრომელი, მისი სკოლის მასწავლებელი კოლეგა ან უფროსი და ა.შ. ბრალდებულთან მისი მეგობრული, ნათესაური, სამსახურებრივი, მატერიალური ან სხვაგვარი დამოკიდებულების მიუხედავად. თავდები შეიძლება იყოს ასევე საყოველთაოდ ცნობილი პირი, საზოგადოებრივი მოღვაწე, საზოგადოებაში ავტორიტეტის მქონე პირი და ა.შ. თუმ-

ცა საზოგადოებაში ან ცალკეულ წრეებში პირის ცნობადობა არ წარმოადგენს მის თავდებად დანიშნვის უპირობო წინაპირობას. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის წევრების, მსახიობების, მეცნიერების, მწერლების, პოლიტიკოსების და ა.შ. თანხმობა ბრალდებულის თავდებობაზე არ ავალდებულებს სასამართლოს უპირატესობა მიანიჭოს აღნიშნულ პირებს მათი მაღალი ავტორიტეტიდან გამომდინარე. თავდებობის მიზანია ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველყოფა, შესაბამისად თავდების შერჩევას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ პირებს, ვისაც რეალურად გააჩნიათ ბრალდებულის ქცევაზე მეთვალყურების განხორციელების ობიექტური შესაძლებლობა და ვისი ავტორიტეტიც იმავდროულად იქნება შემაკავებელი ეფექტის მატარებელი ბრალდებულისთვის. ოჯახის წევრების თავდებობას კანონმდებლობა არ ზღუდავს, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია სადავო იყოს ეფექტიანობა – თუ მათ ვერ უზრუნველყვეს ბრალდებულის მხრიდან დანაშაულის ჩადენის პრევენცია (მაგალითად, ბრალდებულსა და ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობის სპეციფიკა, ოჯახის წევრის ავტორიტეტი ბრალდებულისათვის, ბრალდებულზე ზემოქმედების ბერკეტი და მეთვალყურეობის განხორციელების რეალური შესაძლებლობა, რაც მცირეა, თუ ბრალდებული სახლში პრაქტიკულად არ არის და მისი ადგილსამყოფელი, როგორც წესი, უცნობია ოჯახის წევრებისათვის).

10. სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, თავდებად, როგორც წესი, ინიშნებიან ბრალდებულზე უფროსი ასაკის პირები მეტი ცხოვრებისეული გამოცდილებით. იმავდროულად, თავდები ერთდროულად უნდა იმსახურებდეს როგორც ბრალდებულის ასევე პროცესის მწარმოებელი პირის ნდობას. შესაბამისად, თავდებად დაუშვებელია იმ პირის დანიშნა, ვინც, მართალია, სარგებლობს ავტორიტეტით ბრალდებულთან, მაგრამ „კრიმინალური წარსულიდან“ გამომდინარე, რომელსაც შეუძლია უარყოფითი გავლენის მოხდენა ბრალდებულზე. ნასამართლეობა არ წარმოადგენს ავტომატურად თავდებად დანიშნვაზე უარის თქმის საფუძველს, თუ თავდები სარგებლობს პროცესის მწარმოებელი ორგანოს და ბრალდებულის ნდობით და ავტორიტეტით. იკრძალება ბრალდებულისათვის უცნობი პირის დანიშვნა თავდებად, ვინაიდან აღნიშნული მოკლებული იქნება შემაკავებელ ეფექტს.
  - მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ი არ ადგენს თავდების შერჩევის მკაფიო კრიტერიუმს, როგორც წესი, თავდების ვინაობის განსაზღვრისას ყურადღება უნდა გამახვილდეს თავდების პიროვნებაზე. კერძოდ, თავდები უნდა იყოს პირი, რომელიც სარგებლობს როგორც ბრალდებულის, ასევე სასამართლოს ნდობით.
11. თავდებმა წერილობით უნდა იკისროს ვალდებულების შესრულება – რომ ბრალდებული საგამოძიებო ორგანოში/სასამართლოში გამოცხადდება გამოძახებისთანავე, ხელს არ შეუშლის საქმისწარმოებას.
12. სასამართლო ვალდებულია გამოიკვლიოს თავდების ნების თავისუფლება. თავდებს უნდა განემარტოს თავისი უფლება-მოვალეობები.
13. სსსკ-ის 203-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თავდებს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლება არა აქვს, თავი იმართლოს იმით, რომ ბრალდებულის საქციელის კონტროლის შესაძლებლობა არ ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის დაამტკიცებს დაუძლეველი ძალის (მაგალითად, სტიქიური უბედურება, არეულობა, საომარი ვითარება და სხვა, რითაც ისარგებლა ბრალდებულმა და მიიმალა ან ჩაიდინა მაღაზიის ქურდობა, სხვი საკუთრების განზრახ დაზიანება – მანქანების დაზიანება ხელკეტებით და სხვა) არსებობას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თავმდებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ის ობიექტურად მოკლებულია ნაკისრი ვალდებულების – ბრალდებულის ქცევაზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას (მაგალითად, ბრალდებული არ ცხადდება სამსახურში, არ პასუხობს თავდების ზარებს, თავდების მითითების მიუხედავად ტრიალებს ე.წ. „საეჭვო წრეში“ და სხვა), აღნიშნული არ ათავისუფლებს თავდებს მასზე დაკისრებული ვალდებულებისგან.

## მუხლი 204. სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა

1. ბრალდებული, რომელიც არის სამხედრო სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიული) ან სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურე, სასამართლოს განჩინებით შეიძლება გადაეცეს სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დანესებულების სარდლობის მეთვალყურეობაში.
  2. სარდლობის მეთვალყურეობა გულისხმობს შეიარაღებული ძალების წესდებით გათვალისწინებული ზომების მიღებას ბრალდებულის სათანადო ქცევის და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადების უზრუნველსაყოფად.
  3. ამ აღკვეთის ღონისძიების მოქმედების პერიოდში ბრალდებული არ უნდა დაინიშნოს გუშაგად და სხვა პასუხსაგებ განწესში. მას უნდა ჩამოერთვას მშვიდობიან დროში იარაღის ტარების უფლება, არ უნდა გაიგზავნოს ნაწილის გარეთ მარტო სამუშაოდ, არ უნდა გათავისუფლდეს ნაწილიდან და უნდა იმყოფებოდეს სამხედრო მეთაურებისა და უფროსების მეთვალყურეობაში.
  4. სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დანესებულების სარდლობას უნდა განემარტოს იმ ბრალდების არსი, რომელთან დაკავშირებითაც შერჩეულია ეს აღკვეთის ღონისძიება.
  5. სასამართლოს განჩინება ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, შეცვლისა თუ გაუქმების შესახებ სავალდებულოა სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დანესებულების სარდლობისათვის.
  6. მეთვალყურეობის დანესების შესახებ სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დანესებულების სარდლობა ატყობინებს პროკურორს ან სასამართლოს.
  7. სამხედრო მეთაური (უფროსი), რომელიც მეთვალყურეობს ბრალდებულს, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს ამ ბრალდებულის არასათანადო ქცევის შესახებ, რომლის თავიდან ასაცილებლადაც შერჩეულ იქნა ეს აღკვეთის ღონისძიება. ამ შემთხვევაში პროკურორის შუამდგომლობით უნდა შეირჩეს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.
1. სსსკ-ი მკაცრად განსაზღვრას იმ პირთა წრეს, ვის მიმართაც დაიშვება აღნიშნული სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და მათ მიაკუთვნებს: სამხედრო სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიული) და სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურე.
  2. ვინაიდან აღნიშნული პირები იმყოფებიან ე.წ. ყაზარმულ მდგომარეობაში, სისხლის სამართლის საქმისწარმოების განმავლობაში არ ისმის საკითხი მათი მიმალვის, მათი მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის, მოწმეებზე ზემოქმედების ან/და მტკიცებულებათა განადგურების შესახებ, რის გამოც დღის წესრიგში არ დგება სხვა სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი. თუმცა გასათვალისწინებელია ბრალდებულისათვის შერაცხული დანაშაულის სახეც. კერძოდ, თუ პირს ბრალად ედება სამხედრო მოსამსახურის მიმართ მუქარის, ძლადობის, მკვლელობის, თვითმკვლელობამდე მიყვანის და ა.შ. განხორციელება, შესაძლებელია, საჭირო გახდეს დამატებითი ზომების მიღება მისი მხრიდან თვითმხილველ სამხედრო მოსამსახურეებზე ზემოქმედების და მტკიცებულებათა განადგურების თავიდან ასაცილებლად.
  3. სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობის დანესება გულისხმობს პირის ჯეროვანი ქცევის უზრუნველყოფას წესდებით გათვალისწინებული ზომების განხორციელების და მისი უფლებების შეზღუდვის გზით. მათ შორის, სსსკ-ი ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურის უფლებების შეზღუდვის სავალდებულო მინიმალურ ჩამონათვალს და პირდაპირ კრძალავს აღკვეთის ღონისძიების მოქმედების პერიოდში: 1) ბრალდებულის დაინიშნვას გუშაგად, 2) მშვიდობიან დროს იარაღის ტარებას (მაგრამ დაიშვება საომარ ვითარებაში სარდლობის შეხედულებისამებრ), 3) სამხედრო ნაწილის გარეთ მის გაშვებას – მარტოდ სამუშაოდ (მაგრამ არ გამოირიცხება გარეთ სამუშაოდ გაშვება მეთვალყურის თანხლებით (მეთვალყურე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც ხელმძღვანელობა დააკისრებს ბრალდებულ სამხედრო მოსამსახურეზე მეთვალყურეობის

- განხორციელებას), ან სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე ბრალდებულის მარტო მუშაობა). ასევე იკრძალება ბრალდებულის ხანმოკლე შვებულებაში ან მივლინებაში გაშვება (იმპერატიული ჩანაწერის მიუხედავად, გამონაკლისია განსაკუთრებული გარემოებების არსებობა, მაგალითად, ახლო ნათესავის დაკრძალვა). ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველსაყოფად სამხედრო ხელმძღვანელობას შეუძლია წესდებით გათვალისწინებული დამატებითი ზომების განხორციელება. მათ შორის, უკიდურეს შემთხვევაში – დისციპლინური პატიმრობის გამოყენების მიზნით პირის მოთავსება ჰაუპტგახტში სასამართლოს ნებართვით და ა.შ.
4. აღნიშნული ღონისძიების გამოყენება არ არის დამოკიდებული ბრალდებულის ნება-სურვილზე ან მის თანხმობაზე, და არც სამხედრო სარდლობის თანხმობაზე.
  5. სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობას უნდა განემარტოს ბრალდებულისათვის შერაცხული ბრალდების არსი, რისთვისაც მას შეიძლება გადაეგზავნოს დადგენილება ბრალდების შესახებ. სსსკ-ი პირდაპირ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვისთვისაც უნდა მოხდეს პირისათვის შერაცხული ბრალდების განმარტება და ასეთად მიიჩნევს კუმულაციურად – სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დანესებულების სარდლობას. სსსკ-ი არ ითვალისწინებს ალტერნატიულ ჩამონათვალს და გულისხმობს ყველა აღნიშნული პირისათვის ინფორმაციის განმარტების ვალდებულებას.
  6. აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისას სასამართლოს განჩინება ეგზავნება სამხედრო ნაწილის სარდლობას/ხელმძღვანელობას, ვისაც განემარტება ბრალდების არსი და მისი უფლება-მოვალეობები. განმარტების ფაქტი უნდა აისახოს ხელწერილში. პრაქტიკაში სასამართლოს განჩინება განემარტება შესაბამის ხელმძღვანელს, რომელიც აღნიშნულს აცნობებს სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობას და მეთაურის ცნობა მეთვალყურეობის დანესების შესახებ დაერთვის საქმის მასალებს.
  7. ბრალდებულის სათანადო ქცევაზე ზედამხედველობის განხორციელების ვალდებულება ეკისრება, პირველ რიგში, ბრალდებულის უშუალო უფროსს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბრალდებულის მუდმივი ყოფნა სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე და მისი მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის ან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ღონისძიების შინაარსი მოიცავს კომპლექსურ ღონისძიებებს. მათ შორის როგორც მე-3 ნაწილში მითითებულ ღონისძიებებს, ასევე საჭიროებისას – ბრალდებულის უფლების შეზღუდვას კონკრეტულ პირებთან ურთიერთობაზე (მაგალითად, მონმეებთან/დაზარალებულთან, თუ ისინიც იმავე სამხედრო ნაწილში მსახურობენ), გარკვეული დოკუმენტებისადმი ბრალდებულის წვდომის შეზღუდვა და ა.შ.
  8. ბრალდებულის არასათანადო ქცევის და აღკვეთის ღონისძიებით დაკისრებული მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში სსსკ-ის 204-ე მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული პირი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს პროცესის მწარმოებელ პირს. სსსკ-ი ადგენს შეტყობინების ვალდებულებას ერთდროულად გამომძიებლის, პროკურორის და სასამართლოსათვის. მე-7 ნაწილი ითვალისწინებს აღნიშნული სუბიექტების კუმულაციურ ჩამონათვალს მე-6 ნაწილისგან განსხვავებით, სადაც ჩამონათვალი ალტერნატიულია. შესაბამისად, თუ მეთვალყურეობის დანესების და განჩინების აღსრულების დანყების შესახებ სარდლობას შეუძლია შეატყობინოს საკუთარი შეხედულებისამებრ ან გამომძიებელს, ან პროკურორს, ან სასამართლოს, მაშინ სამხედრო მოსამსახურის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შესახებ სამივე მათგანს უნდა ეცნობოს.
  9. დაუყოვნებლივ – სსსკ-ი არ განსაზღვრავს რა იგულისხმება დაუყოვნებლივ შეტყობინებაში. აღნიშნული დროის ხანგრძლივობა დამოკიდებულია საქმის ინდივიდუალურ მახასიათებლებზე – როდის გახდა ან უნდა გამხდარიყო ცნობილი აღნიშნულის შესახებ პასუხისმგებელი სამხედრო მეთაურისათვის, რამდენად შეეძლო მეთაურს ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე დაუყოვნებლივ შეტყობინების შესაძლებლობა (მანევრება

- და სწავლებაში მონაწილეობა არ ათავისუფლებს აღნიშნულ პირებს წვრთნის პროგრამის მიმდინარეობისას დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს პროცესის მწარმოებელ ორგანოს და აღკვეთის ღონისძიების დარღვევის შესახებ შეატყობინოს კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით).
10. ვალდებულების დარღვევა პროკურორს აკისრებს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ვალდებულებას და მოცემულ შემთხვევაში აღარ ითვალისწინებს პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად, იმისდა მიუხედავად, თუ რა წარმოადგენდა ბრალდებულის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზს – სასჯელისთვის თავის არიდების სურვილი, მის მიმართ არაჯეროვანი მოპყრობა სამხედრო სარდლობის მხრიდან, პროტესტი და ა.შ. აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი სავალდებულო წესით ითვალისწინებს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ვალდებულებას.
  11. მეთვალყურეობის არაკეთილსინდისიერად განხორციელების შემთხვევაში შესაბამისი მეთაურის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებიც.

## მუხლი 205. პატიმრობა

1. პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული:
  - ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან);
  - ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა;
  - გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.
2. ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. ბრალდებულის პატიმრობის ვადა აითვლება მისი დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ დაკავება არ მომხდარა – ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულების მომენტიდან საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე. (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).
3. ბრალდებულის პატიმრობის ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 60 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან, გარდა ამ კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.
4. ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულებს ცალ-ცალკე ათავსებენ. საგამოძიებო იზოლატორის ადმინისტრაცია ვალდებულია მიიღოს ზომები მათი ერთმანეთთან ურთიერთობის დაუშვებლობის უზრუნველსაყოფად. გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს წესი შეიძლება გავრცელდეს სხვა ბრალდებულებზეც. (19.04.2013. №560)
5. მსჯავრდებული შეიძლება პენიტენციური დაწესებულებიდან გადაიყვანონ საგამოძიებო იზოლატორში ან დატოვონ საგამოძიებო იზოლატორში განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, თუ ის არის მონმე, დაზარალებული ან ბრალდებული სხვა საქმეში (1.05.2015 № 3528 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ივლისიდან).
6. თუ სასამართლო ტერიტორიულად დაშორებულია პენიტენციური დაწესებულებისგან და ბრალდებულის გაყვანა/გადაყვანა გართულებულია, სასამართლოს განჩინებით შესაძლებელია საქმის განხილვისას ბრალდებული დროებით მოთავსდეს უახლოეს პენიტენციურ დაწესებულებაში ან დროებითი დაკავების იზოლატორში, სადაც მასზე ზედამხედველობას საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო განახორციელებს (1.05.2015 № 3528 ამოქმედდეს 2015 წლის 1 ივლისიდან).

1. სსსკ-ის 205-ე მუხლით გათვალისწინებული პატიმრობა არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და არ ატარებს სადამსჯელო ხასიათს. პატიმრობის გამოყენება წარმოადგენს პრევენციულ ღონისძიებას, რომლის მიზანია სისხლისსამართლებრივი დევნის და ზიანის შემდგომი მიყენების ან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენცია და არა პირის დასჯა.<sup>534</sup> ამიტომ მისი გამოყენება არ უნდა ხდებოდეს არამართლზომიერი მიზნით ან აუცილებელზე ხანგრძლივი ვადით და წარმოადგენდეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას.<sup>535</sup>
2. პატიმრობა წარმოადგენს ყველაზე მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას და გულისხმობს სასამართლოს განჩინებით განსაზღვრული ვადით ბრალდებულის მკაცრ იზოლაციას გარე სამყაროსგან. შესაბამისად, პატიმრობის გამოყენებით იზღუდება ბრალდებულის სხვა უფლებებიც, რომელთა რეალიზაცია ობიექტურად შეუძლებელია თავისუფლების შეზღუდვის ადგილას, მაგალითად, მიმოსვლის თავისუფლება, დასაქმების უფლება და სხვა უფლებები, პირის კავშირი გარე სამყაროსთან<sup>536</sup> და სხვა. ამასთან, ზოგიერთი შეზღუდვა, რომელიც ადამიანის პატივის და ღირსების უფლების შემლახავი იქნებოდა, საპატიმრო ცხოვრების თანმდევი შედეგია.<sup>537</sup> პატიმრობის გამოყენება უარყოფითი შედეგების მატარებელია მთლიანად საზოგადოებისათვის, ვინაიდან უკავშირდება მათ შორის საბიუჯეტო ხარჯებს (აღნიშნული თანხების დანაშაულის პრევენციის და რესოციალიზაციის პროგრამების დაფინანსებისთვის გამოყენების ნაცვლად), დესოციალიზაციის ეფექტის მატარებელია ბრალდებულთა ოჯახებისთვის, ქმნის ინფექციური დაავადებების გავრცელების საფრთხეს, სათანადო კონტროლის არარსებობის პირობებში კი – კორუფციის საფრთხეს<sup>538</sup> და სხვა.
3. საქმეზე *Barker v Wingo*, აშშ უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თავისუფლების შეზღუდვის ადგილას გატარებული დრო დაკარგული დროა. სასამართლო განხილვის მოლოდინში საპატიმროში გატარებული დრო უარყოფით გავლენას ახდენს ბრალდებულზე, ვინაიდან პატიმრობა უკავშირდება სამუშაოს დაკარგვას, ბრალდებულის მონყვეტას ოჯახისგან, ხელს უწყობს სიზარმაცის გაღრმავებას...ზღუდავს ბრალდებულის შესაძლებლობას ეფექტიან დაცვაზე, ამცირებს გამამართლებელი მტკიცებულებების მოპოვების და დაცვის განხორციელებისათვის მომზადების შესაძლებლობას.<sup>539</sup>
4. პატიმრობის გამოყენების აუცილებელ წინაპირობად კანონმდებლობა მიიჩნევს ჭეშმარიტი საჯარო ინტერესის არსებობას, რაც დასტურდება კონკრეტული, სარწმუნო და საკმარისი მტკიცებულებებით, რომლებიც ქმნიან დასაბუთებულ ვარაუდს და უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, გადასწონის პიროვნების თავისუფლების მოთხოვნას.<sup>540</sup> გამოძიების საჭიროება ან მოთხოვნები არ წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვის რელევანტურ საფუძველს. პრეზუმფცია ყოველთვის ფუნდამენტურ უფლებებში ჩარევის საწინააღმდეგოდ არსებობს. ამიტომ საჭიროა იმის დასაბუთება თუ რატომ არის აუცილებელი პატიმრობის გამოყენება.<sup>541</sup>
5. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისას გათვალისწინებული უნდა იქ-

<sup>534</sup> López Álvarez vs. Honduras, inter-American Court of Human Rights, 01/02/2006, §69; Peirano Basso v Uruguay, UNHRC, 19/10/2010, §84, 141-145; Prosecutor v Jean-Pierre Bemba Gombo, iCC Pre-Trial Chamber II, 14/08/2009, iCC-01/05-01/08, §38.

<sup>535</sup> Gusinsky v Russia, ECtHR, 19/05/2004, §71-78.

<sup>536</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 10/06/2009 წლის განჩინება, საქმე №458 II-7,8.

<sup>537</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 10/06/2009 წლის განჩინება, საქმე №458 II-7,8.

<sup>538</sup> იხ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2077(2015), Abuse of Pretrial detention in States Parties to the European Convention on Human Rights, §2, 01/10/2015.

<sup>539</sup> *Barker v Wingo*, U.S. 22/06/1972, 407, 514.

<sup>540</sup> *Aleksandr Makarov v Russia*, ECtHR, 12/03/2009.

<sup>541</sup> ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ. 2009, 587.

- ნეს ასევე: ბრალდებულის მიერ ზიანის ანაზღაურება, ბრალდებულის/მისი ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არსებობა, ქონებრივი მდგომარეობა, რჩება თუ არა ოჯახს მარჩენალი, ოჯახის წევრების ასაკი (ხანდაზმულები, არასრულწლოვნები/მცირეწლოვნები), სრულწლოვანი პირები, რომელთაც ჯანმრთელობის გამო არ შეუძლიათ მუშაობა და საკუთარი თავის/ოჯახის რჩენა და სხვა.
- 6.** პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება, გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში საგამონაკლისო ღონისძიების სახით,<sup>542</sup> როდესაც წარმოადგენს ბრალდებულის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენციის ერთადერთ ვარგის საშუალებას და უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალიზებულ შეფასებას იმისა, თუ რა იქნება გონივრული და საჭირო არსებულ პირობებში გაქცევის, მტკიცებულებებზე ზემოქმედების ან ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად<sup>543</sup>, როდესაც აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.<sup>544</sup> იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველყოფის ალტერნატიული საშუალებები, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა გირაო, უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს ამ უკანასკნელს, როგორც ბრალდებულის უფლებებისა და თავისუფლების შედარებით ნაკლებად შემზღუდავ ფორმას.<sup>545</sup> პატიმრობის, როგორც ერთადერთი ვარგისი აღკვეთის ღონისძიების, გამოყენების დასაბუთებისას შესაძლებელია მითითებულ იქნეს ბრალდებულის პიროვნულ მახასიათებლებზე, ნასამართლეობაზე, ჩადენილი დანაშაულის ხასიათზე და სხვა. მაგალითად, თუ სსკ-ის 260-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ბრალი ედება პირს, რომელიც თავადაც ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელია, და აღნიშნულ საქმიანობას აგრძელებს მას შემდეგ, რაც ერთხელ უკვე იხდიდა სასჯელს ხანგრძლივი თავისუფლების აღკვეთის სახით სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, დანაშაულის ჩადენისას იმყოფებოდა სხვა პირთან ერთად ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, ჩხრეკისას შეეცადა ნარკოტიკული ნივთიერების განადგურებას და ა.შ. მითითებებს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე, რაც ვერ იქნება თავიდან აცილებული რომელიმე სხვა სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით გარდა პატიმრობისა. იმავდროულად, მსგავსი დანაშაულებრივი საქმიანობის (გასაღება) გაგრძელების შემთხვევაში ის საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ საზოგადოებასაც, რისი პრევენცია გირაოს გამოყენების შემთხვევაში შეუძლებელია.
- 7.** სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობის მტკიცებისას ბრალდების მხარემ და სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს<sup>546</sup> ბრალდებულის მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის ან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენციას (და არა პირიქით). მიზანშეუწონლობა უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით და არა ზოგადად ბრალდებულის პიროვნებაზე ან დანაშაულის სიმძიმეზე, მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრეზე აპელირებით. მაგალითად, დაკავებისას ბრალდებულის მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობის განწევა პოლიციის თანამშრომლებისათვის და სხვა.
- 8.** ბრალდებულის საპროცესო მდგომარეობის მოსალოდნელი დამძიმება (ახალი ბრალის

<sup>542</sup> Recommendation no.R80(11)11 of the Committee of Ministers of the Council of Europe concerning Custody Trial.

<sup>543</sup> Eligio Cedeño v Venezuela, UNHRC, 29/10/2012, § 7.10; Torobekov v Kyrgyzstan UNHRC, 27/11/2011, § 6.3.

<sup>544</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 18/12/2014 წლის განჩინება, საქმე №1გ/1282.

<sup>545</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 18/12/2014 წლის განჩინება, საქმე №1გ/1282.

<sup>546</sup> Patsuria v Georgia, EctHR, 06/11/2007, §75-76.

- ნაყენება, კვალიფიკაციის შეცვლა დამძიმების კუთხით, ახალი ეპიზოდის ან სხვა სახის დანაშაულის ჩადენაში ბრალის ნაყენება), რასაც ბრალდების მხარის განცხადებით შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემდეგ – არარელევანტური მიზეზია, ვინაიდან ასეთის არსებობის შემთხვევაში ბრალდების მხარეს შეუძლია მოითხოვოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლა ან გამოყენება მოგვიანებით, ახალი ბრალის დამატების ან დამძიმების შემდეგ.
9. სხვა დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის მხილება არ მიიღება მხედველობაში აღკვეთის ღონისძიების შერჩევის საკითხის განხილვისას, ვინაიდან აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა უკავშირდება კონკრეტულ დანაშაულში ბრალდებას. გამონაკლისია, როდესაც ბრალდებულის მხრიდან სხვა დანაშაულის ჩადენა ხდება შეფარდებული მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების მოქმედების ფარგლებში ან პირველი ბრალით გათვალისწინებული დანაშაულის იდენტურია (მაგალითად, ორივე დანაშაული ძალადობრივია, რაც მიუთითებს ბრალდებულის „ტენდენციაზე“). იმავდროულად, ახალი ბრალის ნაყენება დროში შესაძლებელია მოსდევდეს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ განჩინების გამოტანას, მაგრამ უკავშირდებოდეს აღკვეთის ღონისძიების შეფარდებამდე ჩადენილ დანაშაულს. ამ შემთხვევაში „ტენდენციურობა“ არარელევანტური არგუმენტია, თუ პირის მიერ არ იყო დარღვეული აღკვეთის ღონისძიების პირობები.
  10. ბრალდებულის მხილება სხვა დანაშაულის ჩადენაში, თუ მას აღნიშნულისათვის ჯერ ბრალი არ აქვს ნაყენებული, არ არის საკმარისი ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის მტკიცებისათვის, ვინაიდან არ ექვემდებარება ობიექტურ გადამოწმებას, ბრალდების მხარის ვარაუდი შეიძლება არც დადასტურდეს და ა.შ. ამიტომ ბრალდებულისთვის ახალი ბრალის ნაყენების შემდეგ ბრალდების მხარეს შეუძლია მოითხოვოს აღკვეთის ღონისძიების დამძიმება, მაგრამ არა მოსალოდნელი ახალი ბრალდების მოტივით მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.
  11. პატიმრობის გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლები, რამაც უნდა შექმნას ან გამორიცხოს პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა. მძიმე ავადმყოფობა, ხანდაზმულობა ან არასრულწლოვნობა ავტომატურად არ გამორიცხავს ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბრალდებული ე.წ. მწოლიარე ავადმყოფია, რომელიც საჭიროებს მედიკამენტოზურ მკურნალობას და დახმარებას ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, მის მიმართ პატიმრობის გამოყენება გამართლებულია თუ მას ბრალად ერაყება, მაგალითად, კიბერტერორიზმი, ორგანიზებულ დაჯგუფებაში მონაწილეობა ორგანიზატორის ან ინტელექტუალური დამხმარის სახით და სხვა. თუ დასტურდება მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხის აღკვეთის სხვა ღონისძიების გამოყენებით პრევენციის არაეფექტიანობა. შესაბამისად, საფრთხის შეფასებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ბრალდებულის კონკრეტულ როლზე დანაშაულის ჩადენაში, მის იმ უნარებზე, რაც წარმოადგენს საფრთხის წყაროს და რომელთა განეიტრალება არის საჭირო. მაგალითად, კიბერტერორიზმის შემთხვევაში ბრალდებულისათვის ინტერნეტკომუნიკაციის და კომპიუტერთან სარგებლობის აკრძალვა გირაოს გამოყენებასთან ერთად არაეფექტიანია, ვინაიდან აღნიშნულის მონიტორინგის პრაქტიკული საშუალება არ არსებობს იმ პირობებში, როდესაც ხელმისაწვდომია უამრავი ღია ე.წ. უკაბელო ინტერნეტი (WIFI), სხვისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით ინტერნეტით სარგებლობა სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობით (მობილური ტელეფონიდან კომპიუტერთა და მათავრებული). მაგრამ ის, რომ ბრალდებულმა სეიფის გასაღებად გამოიყენა ასაფეთქებელი საშუალებები, არ გულისხმობს რომ მომავალშიც არსებობს მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის აშკარა და დასაბუთებული საფრთხე. ანალოგიურად, ის რომ პირს ბრალად ედება მძევლად ხელში აყვანა, არ გულისხმობს, რომ ვინაიდან ბრალდებული მოწმის მეზობლად



- ცხოვრობს, მოწმეზე ზემოქმედების ან მტკიცებულების განადგურების მიზნით, განახორციელებს მოწმის მძევლად ხელში აყვანას და ა.შ.
12. პატიმრობის გამოყენება (შუამდგომლობაც და განჩინებაც) უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს კონკრეტულ მტკიცებულებებს.
  13. არასწორია, როდესაც პატიმრობის გამოყენებისათვის გამოიყენება ერთდროულად ყველა წინაპირობაზე აპელირება. ბრალდების მხარის მიერ პატიმრობის გამოყენების დასაბუთება სსსკ-ის 198-ე მუხლში მითითებულ ყველა წინაპირობაზე ერთდროულად აპელირებით სათანადო დასაბუთების გარეშე არ ზრდის შუამდგომლობის/განჩინების დასაბუთებულობის ხარისხს. მნიშვნელოვანია თითოეული წინაპირობის დასაბუთებულობა ცალკე-ცალკე. პატიმრობის გამოყენება დამაჯერებელი დასაბუთების ნაცვლად სტანდარტული, შაბლონური არგუმენტაციით, წინასწარ დადგენილ ფორმასა და მის აბსტრაქტულ დებულებებზე დაყრდნობით, წარმოადგენს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის განსაკუთრებით სერიოზულ დარღვევას.<sup>547</sup>
  14. პატიმრობის გამოყენება დაუსაბუთებელია, თუ განჩინების დასაბუთება შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაული ბრალდებულმა სავარაუდოდ ჩაიდინა სასამართლოს მიერ განზრახ მძიმე დანაშაულში მსჯავრდების შემდეგ; ბრალდებულის მიმალვის საფრთხის დასაბუთება დანაშაულის სიმძიმით და მკაცრი სასჯელის შიშით, ხოლო ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის იმით, რომ ბრალდებული ნასამართლევია განზრახ მძიმე დანაშაულისთვის.<sup>548</sup>
  15. მხოლოდ შერაცხული დანაშაულის სიმძიმე,<sup>549</sup> მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის<sup>550</sup> შიში, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არარსებობა, ნასამართლეობა არ წარმოადგენს პატიმრობის გამოყენების საკმარის საფუძველს. მიმალვის საფრთხე ერთნაირი წარმატებით (ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე) შესაძლებელია არსებობდეს როგორც იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულს ემუქრება მკაცრი სასჯელის გამოყენება, ასევე მაშინაც, როდესაც მოსალოდნელი სასჯელი შესაძლებელია არ აღემატებოდეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთას. ამიტომ დანაშაულის სიმძიმე პატიმრობის დასაბუთებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს სხვა წინაპირობებთან ერთად.<sup>551</sup> მაგალითად, ბრალდებულის მიერ დარღვეულია ადრე შერჩეული აღკვეთის ღონისძიება; ძებნილია და სხვა.
  16. ის რომ ბრალდებულს არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მისი ვინაობა დაუდგენელია, უცხოელია და „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გარეშე დარჩენილ ბრალდებულებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს დატოვონ საქართველოს ტერიტორია და მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიშით მიიმალონ“ არ არის საკმარისი პატიმრობის გამოყენებისათვის. აღნიშნული შესაძლებელია მიუთითებდეს მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო პატიმრობის გამოყენებისათვის ბრალდების მხარემ უნდა ამტკიცოს მათ შორის აღნიშნული საფრთხის პრევენციისათვის ნებისმიერი სხვა აღკვეთის ღონისძიების არაეფექტიანობა პატიმრობის გარდა.
  17. მიმალვის საფრთხის დასაბუთებისათვის შესაძლებელია მითითებულ იქნეს შემდეგ ფაქტებზე, მაგალითად, ბრალის წაყენების შემდეგ (გაფრთხილების მიუხედავად) პირი დაკავებულ იქნა საზღვრის გადაკვეთისას, პირს გააჩნია მკაფიოდ გამოხატული განსაკუთრებული უარყოფითი დამოკიდებულება პატიმრობისადმი, წარმოდგენილია მიმალვის კონკრეტული გეგმის დამადასტურებელი მტკიცებულებები და სხვა.

<sup>547</sup> Pacuria v Georgia, ECtHR, 06/11/2007, §74.

<sup>548</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 18/12/2014 წლის განჩინება, საქმე №1გ/1282.

<sup>549</sup> Patsuria v Georgia, ECtHR, 06/11/2007, §67.

<sup>550</sup> მკაცრ სასჯელში არ იგულისხმება, მაგალითად, 2-5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

<sup>551</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28/01/2015 წლის განჩინება, საქმე № 1გ/93-15.

18. ბრალდებულის მიერ, გამოძიების დაწყების შემდეგ, სახელმწიფო საზღვრის არაერთგზის გადაკვეთა არ წარმოადგენს მიმალვის საფრთხის დამადასტურებელ გარემოებას. თუ საზღვრის გადაკვეთის ფაქტი ფიქსირდება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ, აღნიშნული გარემოება პირიქით – მიმალვის საფრთხის არ არსებობაზე უფრო მეტყველებს, თუ ბრალდებული საზღვრის გადაკვეთის შემდეგ ყოველთვის უკან ბრუნდებოდა საქართველოში.
19. მიმალვის საფრთხის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ასევე საქართველოს ტერიტორიაზე ბრალდებულის შემაკავებელი ფაქტორები: მიმალვის საფრთხე მცირდება, როდესაც ბრალდებულს საქართველოში ჰყავს ადამიანები ან/და აქვს ქონება, საკუთრებითი/სამეწარმეო ინტერესი, რომელიც მისთვის საკმარის შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს. კერძოდ, როდესაც ბრალდებულს ჰყავს ოჯახი, მის კმაყოფაზე მყოფი პირები (მცირეწლოვნები/ ხანდაზმულები, რომლებიც საჭიროებენ მზრუნველობას, ორსული მეუღლე), წარმოადგენს ოჯახის ერთადერთ ან ძირითად მარჩენალს, აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და სტაბილური სამსახური, უძრავ-მოდრავი ქონება, საქმიანობა/კერძო ბიზნესი, რომელიც მისი შემოსავლის ერთადერთი ან ძირითადი წყაროა.
20. საზღვარგარეთ კავშირების (ბრალდებულის ამჟამინდელი ან ძველი საქმიანობიდან ან თანამდებობიდან გამომდინარე), საბანკო ანგარიშების, უძრავი ქონების, ახლობლების (ბრალდებულის მეგობრები, ოჯახის წევრები, ახლო ნათესავები საზღვარგარეთ ცხოვრობენ) ყოლა სხვა გარემოებებთან ერთად წარმოადგენს მიმალვის საფრთხის დასაბუთებისათვის ვარგის ფაქტებს. თუმცა, იმავდროულად, ის გარემოება, რომ ბრალდებულს საზღვარგარეთ საკუთრებაში გააჩნია რამდენიმე უძრავი ქონება, თავისთავად არ მიუთითებს მიმალვის საფრთხეზე. „ფიქსირებული საცხოვრებელი ადგილის არსებობა არ წარმოშობს მიმალვის საფრთხეს.“<sup>552</sup>
21. ბრალდებულის მოქალაქეობა (თუ ბრალდებული უცხოელია), თავისთავად არ არის საკმარისი მიმალვის საფრთხის დასაბუთებისათვის.<sup>553</sup> ბრალდებულის სხვა ქვეყნის მოქალაქეობისადმი კუთვნილების ფაქტი არ გამორიცხავს, მაგრამ არც ადასტურებს მიმალვის საფრთხეს. ბრალდებულისათვის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის სიმარტივე ცალკე აღებული არ ადასტურებს მიმალვის საფრთხის არსებობას. აუცილებელია ასევე სუბიექტურ კრიტერიუმზე აპელირებაც და მიმალვის ობიექტურ შესაძლებლობასთან ერთად, ასევე სუბიექტური განზრახვის არსებობის დამტკიცება. მხოლოდ სხვა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში, რაც აშკარად მიუთითებს ბრალდებულის მხრიდან მიმალვის განზრახვაზე, მისი მოქალაქეობა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს დამატებით არგუმენტად. ამ შემთხვევაშიც ბრალდების მხარემ უნდა წარმოადგინოს სხვა ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი მტკიცებულება. იმავდროულად გასათვალისწინებელია ბრალდებულის საქართველოში ყოფნის მიზეზიც და ისიც, თუ რომელი სახელმწიფოს მოქალაქეა. მაგალითად, თუ ბრალდებულს თავისი მოქალაქეობის სახელმწიფოში სიკვდილით დასჯის შიშით არ შეუძლია დაბრუნება და მას არ გააჩნია ე.წ. შენგენის ქვეყნებში თავისუფალი მიმოსვლის უფლება, მაშინ მისი მიმალვის საფრთხე მოქალაქეობაზე აპელირებით მინიმალურია. მეორე მხრივ, თუ ბრალდებულს მოქალაქეობიდან გამომდინარე შეუძლია ე.წ. შენგენის შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოების ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილება, გააჩნია სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ქონება და კავშირები, მიმალვის საფრთხე უფრო მაღალია, თუმცა ცალკე აღებული აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება არ წარმოადგენს პატიმრობის ან ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებისათვის თვითკმარ საფუძველს.

<sup>552</sup> Aleksandr Makarov v Russia, ECtHR, 12/03/2009, §126-128.

<sup>553</sup> CCPR/C/GC/35, General Comment No35– Article 9 (Liberty and Security of Person) UNHCR, 28/10/2014; IV-38.

22. მიმალვის საფრთხის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და მხედველობაში იქნეს მიღებული, ერთი მხრივ, მაგალითად, გირაოს, ელექტრონული სამაჯურის (სისტემის ამოქმედების შემდეგ) ან/და პასპორტის მოქმედების შეჩერების გამოყენების შესაძლებლობა და, მეორე მხრივ, რომ ბრალდებული სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას შესაძლებელია შეეცადოს არალეგალურად, რა დროსაც პასპორტის მოქმედების შეჩერება არაეფექტიანი იქნება.
23. მიმალვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ყოველთვის არ არის აუცილებელი პატიმრობის გამოყენება, ვინაიდან აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია ბრალდებულისათვის საქართველოს ეროვნული პასპორტის/სამგზავრო დოკუმენტის ჩამორთმევით. გამონაკლისია, როდესაც ბრალდების მხარეს გააჩნია, მაგალითად, დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ ბრალდებულმა ადრე არალეგალურად გადაკვეთა საზღვარი/აპირებს სახელმწიფო საზღვრის არალეგალურად გადაკვეთას, რის გამოც სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერება ვერ უზრუნველყოფს მიმალვის საფრთხის ნეიტრალიზაციას. იმავდროულად, თუ ბრალდების შემდეგ ბრალდებულმა გადაკვეთა სახელმწიფო საზღვარი (ლეგალურად/არალეგალურად), მაგრამ უკან დაბრუნდა, თავი არ აურიდება გამოცხადებისათვის და გამომძიებელთან ცხადდებოდა დაბარებისას, აღნიშნული პრაქტიკულად გამორიცხავს მიმალვის საფრთხეს. ანალოგიურად, მიმალვის საფრთხე პრაქტიკულად გამომრიცხავია ბრალდებულის ბრალის აღიარებით გამოცხადებისას.
24. მიმალვის საფრთხე მთლიანობაში უნდა შეფასდეს. განხილულ უნდა იქნეს მიმალვასთან დაკავშირებული ყველა ფაქტორი და გარემოება, კონკრეტული მტკიცებულება პირის მიმალვის განზრახვასთან დაკავშირებით (მაგალითად, ბრალდებულმა ნაცნობისგან ისესხა დიდი ოდენობით თანხა, რომლითაც სხვა პირის პირადობის მოწმობით იყიდა მანქანა და დაამზადებინა ყალბი პასპორტი). თითოეული ფაქტობრივი გარემოება დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი და შემოწმებული რამდენად შეესაბამება პირის მიმალვის განზრახვას.
25. მიმალვის საფრთხის დასაბუთებისათვის ოპერატიული ინფორმაციის (ნებისმიერი სახით – პირდაპირ ან ირიბი ჩვენების სახით) გამოყენება, რომელიც მიუთითებს მიმალვის განზრახვაზე, როგორც წესი, არ არის საკმარისი, თუ აღნიშნული არ დასტურდება სხვა გარემოებებით. მაგალითად, მიმალვის საფრთხის არსებობის დადასტურება იმ გარემოებით, რომ ბრალდებულმა ნათესავებს სთხოვა მისი ქონების გაყიდვა და უცხოური ვალუტის შექენა, დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი პირების დაკითხვის/გამოკითხვის ოქმებით, მითითებული ქონების გასხვისების დამადასტურებელი გარემოებებით (ხელშეკრულა, საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, რომელიც ადასტურებს ქონების მესაკუთრის შეცვლას), უცხოური ვალუტის შექენის დამადასტურებელი მტკიცებულებით და ა.შ..
26. მიმალვის საფრთხე არ შეიძლება დადგენილ იქნეს დაუსაბუთებელი, აბსტრაქტული განცხადების საფუძველზე.<sup>554</sup> მიმალვის საფრთხე არ არის საკმარისად დასაბუთებული, როდესაც მიმალვის საფრთხის რეალურად არსებობის გადამოწმება არ ხდება საქმის სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში, რომლებიც ან დაადასტურებდა საფრთხის არსებობას ან იმდენად უმნიშვნელოდ წარმოაჩინდა, რომ პატიმრობის ვადის გაგრძელება ვეღარ იქნებოდა მიზანშეწონილი იმ პირობებში, როდესაც დაცვის მხარე საფრთხის არარსებობას ასაბუთებს პროკურატურასთან თანამშრომლობით, მტკიცებულების და დოკუმენტაციის ნებაყოფლობით წარდგენაზე, დაკითხვაზე მოთხოვნისამებრ გამოცხადებაზე, ბრალდებულის სანდოობასა და კარგ რეპუტაციაზე აპელირებით.<sup>555</sup>
27. მიმალვის საფრთხის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ასევე ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა (რამდენად არის შესაძლებელი მისი ტრანსპორტირება, საზღვარზე გადაყვანა ლეგალური/არალეგალური გზით), მოქმედი პასპორტის არსებობა,

<sup>554</sup> Patsuria v Georgia, ECtHR, 06/11/2007, §71.

<sup>555</sup> Patsuria v Georgia, ECtHR, 06/11/2007, §70.

საზღვარგარეთ ნაცნობ-მეგობრების/ნათესავების და ქონების არსებობა.

- 28.** დანაშაულის სიმძიმე და მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრე გასათვალისწინებელი ფაქტორებია მიმალვის საფრთხის შესაფასებლად, მაგრამ მხოლოდ ამ გარემოებებზე<sup>556</sup> აბსტრაქტულად მითითება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს პატიმრობის გამოყენებას.<sup>557</sup> იგი უნდა შეფასდეს სხვა რელევანტურ ფაქტორებზე მითითებით, რაც დამაჯერებელს გახდის მიმალვის განზრახვის არსებობას.<sup>558</sup> პირის მიმალვის საფრთხე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არ დასტურდება ბრალდებულისათვის მომავალში დასაკისრებელი დიდი ფინანსური ვალდებულებისათვის თავის არიდებით (მაგალითად, 150.000 აშშ დოლარის ოდენობა), როდესაც აღნიშნული საფრთხის არსებობას პროცესის მწარმოებელი ორგანო ასაბუთებს იმ გარემოებით, რომ „სასამართლო პროცესზე ბრალდებულმა ნათლად და კონკრეტულად არ დააფიქსირა თუ რა გზით აპირებს“ სადავო თანხის დაზარალებულისათვის დაბრუნებას<sup>559</sup> (იმისდა მიუხედავად, თუ როგორია ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა). როდესაც წარდგენილი ბრალდებების მიხედვით თანაბრადებულების მიერ მიყენებული ზარალი მილიონობით ლარს შეადგენს, ვარაუდი, რომ მოსალოდნელი სოლიდარული მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრების შიშით მიმალვის, მტკიცებულების განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე დასაბუთებული ვერ იქნება, როდესაც საქმის მასალებიდან გამომდინარე ადგილი არ ჰქონია მტკიცებულების განადგურების/მონქმეებზე ზემოქმედების ან ახალი დანაშაულის ჩადენის მცდელობას. საქმის მასალებით დგინდება, რომ ყველა ბრალდებული „უყოყმანოდ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე დადგინდეს დროს და ისინი არც გამოძიებას უქმნიდნენ პრობლემებს.“ ასეთ დროს აბსტრაქტული მსჯელობა იმაზე, რომ „აღნიშნულის მიუხედავად... კატეგორიულად იმის მტკიცება, რომ ისინი მომავალშიც არ დაარღვევენ რომელიმე ამ პირობას,<sup>560</sup> და ბრალდებულის მხრიდან სამომავლოდ საერთოდ არ ექნება ადგილი რაიმე დარღვევას, არ იქნება გამართლებული,“ და ამიტომ არსებობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი – საჭიროებს კონკრეტული მტკიცებულებებით საფრთხის რეალურობის დასაბუთებას. წინააღმდეგ შემთხვევაში აბსტრაქტულ სამომავლო საფრთხეზე მითითებით პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ეწინააღმდეგება სსსკ-ით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული მიდგომა პრინციპულად არასწორია და უკავშირდება სსსკ დადგენილი სტანდარტის ე.წ. „ამოყირავებას“. სასამართლოს და პროკურატურას ეკისრება კონკრეტულად იდენტიფიცირება, საფრთხის არსებობის და არა მისი გამორიცხვის სისრულის მტკიცება. თუ ასეთი საფრთხის არსებობა საკმარისი სიცხადით, კონკრეტულად და ობიექტური დამკვირვებლისათვის სარწმუნოების საკმარისი ხარისხით ვერ დასტურდება, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ვერ პასუხობს სსსკ-ის 198-ე მუხლის მიზნებს და დაუსაბუთებელია. რაც შეეხება მიმალვის საფრთხის მტკიცებას ზიანის ანაზღაურების მოსალოდნელი ვალდებულების დაკისრების გამო, აღნიშნული წარმოადგენს სსსკ-ით დადგენილი ინსტიტუტების აღრევის ნიმუშს, ვინაიდან სსსკ-ი ამ საფრთხის ნეიტრალიზებისთვის ითვალისწინებს ქონებაზე ყადაღის დადების და არა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას. სასამართლოს სისხლის სამართლის საქმისწარმოების ფარგლებში საერთოდ არ გააჩნია იმის გამორკვევის უფლება, თუ როგორ/რა გზით აპირებს ბრალდებული მის მიერ სავარაუდოდ მიყენებული დიდი ოდენობით ზიანის ანაზღაურებას (გამონაკლისია თუ

<sup>556</sup> Patsuria v Georgia, ECtHR, 06/11/2007, §69.

<sup>557</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 18/12/2014 წლის განჩინება, საქმე №1გ/1282; UN CCPR Argentina CCPR/C0/70/ARG (2000) §10 ; Moldova CCPR/C/MDA/CO/2 (2009) §19; Italy CCPR/C/ITA/CO/5 (2005) §14; López-Álvarez v Honduras, inter-American Court of Human Rights, 01/02/2006, §69.

<sup>558</sup> W. v Switzerland, ECtHR, 26/01/1993.

<sup>559</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 14/03/2013 წლის განჩინება, საქმე №1გ/157.

<sup>560</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24/05/2013 წლის განჩინება, საქმე №1გ/294.

- აღნიშნულ საკითხს თავად ბრალდებული ხსნის დისკუსიისათვის), ვინაიდან ზიანის ანაზღაურების წესის განსაზღვრა სამოქალაქო სამართალწარმოების და არა სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში განსახილველი საკითხია, სსკ-ი არ ითვალისწინებს ბრალდებულის სასჯელის დამძიმებას იმის გამო, რომ ბრალდებული ვერ/ არ ახდენს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზიანის არანაზღაურების ფაქტი თავისთავად (მით უმეტეს არანაზღაურების მიზნის გამორკვევის გარეშე) საერთოდ არ წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველს. იმავდროულად აპელირება იმაზე, რომ მიმალვა, მტკიცებულების განადგურება, ახალი დანაშაულის ჩადენა, მოწმეებზე ზემოქმედება მოხდება სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან თავის არიდების გამო თუ სხვა მოტივებით, გამოძიებისათვის ერთნაირი შედეგების მატარებელია,<sup>561</sup> რის გამოც ბრალდებულის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს პატიმრობა, არასწორია. პატიმრობის გამოყენება დაიშვება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. ამიტომ თუ მიმალვის პრევენცია შესაძლებელია სხვა საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტების გამოყენებით, პატიმრობის გამოყენება დაუშვებელია.
- 29.** მიმალვის საფრთხე, როგორც წესი, ასოცირდება სახელმწიფოს საზღვრის კვეთასთან, თუმცა მიმალვის საფრთხე, მართალია, ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ მაინც შესაძლებელია არსებობდეს მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე პირის მიმალვასთან მიმართებითაც.
- 30.** მიმალვის საფრთხის დასაბუთებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს: წინააღმდეგობის განევა სამართალდამცველებისათვის დაკავებისას, პირის მიმართ ძებნის გამოცხადება (თუ ბრალდებული უარს აცხადებს გამოცხადდეს გამოძიების ორგანოში/სასამართლოში, მაგრამ იმავდროულად არ ტოვებს საცხოვრებელ ადგილს და აგრძელებს ჩვეულებრივ რიტმში ცხოვრებას, აღნიშნული არ მეტყველებს მიმალვის სურვილის არსებობაზე და არ წარმოადგენს მიმალვის საფრთხის ქცევის მტკიცებულებას), მიმალვის გეგმის კონკრეტულად იდენტიფიცირებადი ნიშნების არსებობა, პირის მიერ წარსულში სასჯელის მოხდისგან თავის არიდების მიზნით გაქცევა ან გაქცევის მცდელობა და სხვა. როდესაც ბრალდებული გულწრფელად აღიარებს და ინანიებს ჩადენილს, მან თავად შეუწყო ხელი გამოძიებას მტკიცებულებათა მოპოვებაში (ნარკოტიკული ნივთიერება გამოიტანა სამალავიდან და სამართალდამცავებს წარუდგინა). სხვა სისხლის სამართლის საქმეზე არასოდეს დაურღვევია გირაოს გამოყენების პირობები, გამოძახებისთანავე ცხადდებოდა საგამოძიებო ორგანოსა და სასამართლოში(განაჩენის გამოტანამდე ის დაახლოებით ათჯერ მაინც იყო გამოძახებული), არ გააჩნია საზღვარგარეთის პასპორტი, საქართველოში ჰყავს დები, მამა და ის მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართალწარმოების ქვეყანასთან. მხოლოდ იმის დეკლარირება, რომ ბრალდება ეხება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, რაც ითვალისწინებს მკაცრ სასჯელს და ამის გამო ბრალდებული მიიძალევა – დაუსაბუთებელია და მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.<sup>562</sup>
- 31.** მტკიცებულების განადგურების საფრთხე შეიძლება გამოიხატებოდეს დოკუმენტების განადგურებაში, ან თანამონაწილეებსა თუ მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენაში.
- 32.** მტკიცებულებათა განადგურება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მტკიცებულების ფიზიკურად მოსპობით (მაგალითად, დოკუმენტის დანვა; ნივთმტკიცების დამტვრევა/ გადაგდება, აფეთქება და ა.შ.), ასევე მისი ნიშან-თვისებების არსებითად გამოცვლის, მასზე არსებული კვალის წაშლის გზით – მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოცვლა; იარაღზე არსებული კვალის წაშლა, მკვლელობის ადგილის დამუშავება იქ არსებული კვალის

<sup>561</sup> დანაშაულის ჩადენის საფრთხე არ შეიძლება ემყარებოდეს პირის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს/ ნასამართლეობას. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია რომ ეჭვი/ ვარაუდი დაკავშირებული იყოს პირის მიერ ამჟამად განხორციელებულ მოქმედებებთან. იმავდროულად, თანაბრად დაუშვებელია ასევე ისიც, რომ აღნიშნული ვარაუდი ეყრდნობოდეს სანდო, მაგრამ კონფიდენციალურ ინფორმაციას/ან გარდაცვლილი მოწმის ჩვენებას.

<sup>562</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 18/12/2014 წლის განჩინება, საქმე №1გ/1282.

- ნაშლის მიზნით, დანაშაულის ჩადენის ადგილისთვის ცეცხლის ნაკიდება კვალის ნაშლის მიზნით და ა.შ.
33. საფრთხის არსებობის დადასტურებისათვის წარმოდგენილ უნდა იქნეს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები მტკიცებულების განადგურების/მონმეებზე ზემოქმედების განზრახვის/ მცდელობის არსებობის შესახებ.
34. მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის არარსებობაზე მიუთითებს, როდესაც საქმის მასალებიდან გამომდინარე, ბრალდებულისათვის ცნობილი იყო მის მიმართ გამოძიების ორგანოს მიერ წარმოებული გამოძიების შესახებ, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, მას ხელი არ შეუშლია გამოძიებისათვის და თანამშრომლობდა მასთან (მიუთითა იარაღის, დანაშაულის საგნის, თანამონაწილეების ვინაობა და ა.შ.).
35. მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის დასაბუთებისთვის შესაძლებელია დამატებით მიეთითოს, მაგალითად, იმაზე, რომ „ბინის ჩხრეკის დანყებამდე ბრალდებული შეეცადა გადაემალა... კანონით აკრძალული ნივთები, რაც პირდაპირ მიუთითებს მის მიერ დანაშაულში მამხილებელი მტკიცებულებების მოპოვებაში ხელის შეშლასა და მათი ან სხვა მტკიცებულების განადგურების საფრთხეზე, რაც მომავალშიც არ არის გამორიცხული.<sup>563</sup>
36. მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის მტკიცება შედარებით იოლია ბრალდებულის სამსახურებრივ მდგომარეობაზე აპელირებით, თუ მისი ფუნქციონალური დატვირთვა შესაძლებლობას იძლევა განახორციელოს დოკუმენტალური მტკიცებულების განადგურება. აღნიშნული არ ეხება მხოლოდ საჯარო მოხელეებს და თანაბრად ვრცელდება ნებისმიერ პირზე, მაგალითად, გადასახადების გადახდისგან თავის არიდების დანაშაულის შემთხვევაში და ა.შ. თუმცა გათვალისწინებულ უნდა იქნეს რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული საფრთხის ნეიტრალიზება ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენებით ან თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისგან ჩამოცილებით. თუ თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში ბრალდებულს არ რჩება მტკიცებულებებზე ზემოქმედების არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი შესაძლებლობა (ძველ თანამშრომლებთან მეგობრული დამოკიდებულებიდან გამომდინარე და სხვა.), სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს არა მარტო პატიმრობის, არამედ საერთოდ რაიმე სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობა.
37. ბრალდებულის თანამდებობრივ მდგომარეობაზე აპელირებით მტკიცებულებათა განადგურების აღნიშნული საფრთხის არსებობის მტკიცება არარელევანტურია პატიმრობის გამოყენებისათვის, ვინაიდან საფრთხე შესაძლებელია აცილებულ იქნეს ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენებით/ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისგან დროებით ჩამოცილებით. აღნიშნული საფრთხის არსებობა პრაქტიკულად გამორიცხულია, თუ ბრალდებული თანამშრომლობს გამოძიების ორგანოსთან (მისცა აღიარებითი ჩვენება, მისი დახმარებით მოხდა სხვა მტკიცებულებების მოპოვება, დაასახელა თანამონაწილეების ვინაობა, ნარკოტიკული ნივთიერების/ ცეცხლსასროლი იარაღის რეალიზატორის ვინაობა და ა.შ.).
38. მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე მატულობს, როდესაც თანამონაწილეობით ჩადენილ/ ჯგუფური დანაშაულის საქმეებზე ბრალი წაყენებული აქვს ერთ მონაწილეს, ხოლო დანარჩენები თავისუფლებაში არიან, ვინაიდან გამოძიებისათვის უცნობია დანაშაულის ჩადენაში მათი მონაწილეობის შესახებ ან ბრალდებას არ გააჩნია საკმარისი მტკიცებულება მათი ბრალდებისათვის. ასეთ დროს ბრალდებული შესაძლოა შეეცადოს დანარჩენ თანამონაწილეებს შეუთანხმდეს საერთო პოზიციაზე, რაც გაართულებს დანაშაულის გამოძიებას და თანამონაწილეების იდენტიფიცირებას ან დაკავებას; თავისუფლებაში მყოფი თანამონაწილეების მეშვეობით შეეცადოს დანაშაულის კვალის ნაშლას, მტკიცებულების განადგურებას, მონმეებზე ზემოქმედებას და სხვა..
39. მონმეებზე ზემოქმედება: ბრალდების მხარემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს კონკრეტ-

<sup>563</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24/08/2013 წლის განჩინება, საქმე №1/გ-524.

- ული ფაქტობრივი გარემოებები და ინფორმაციის წყარო, რომელიც ნათლად მიუთითებს ბრალდებულის მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების შესახებ.
40. მოწმეებზე ზემოქმედება შესაძლებელია განხორციელდეს ორივე მიმართულებით, რათა არ მისცენ ჩვენება ბრალდებულის წინააღმდეგ ან მისცენ მისთვის სასურველი ჩვენება როგორც დაშინების, მუქარის, ასევე გარკვეული შეღავათების, პრივილეგიების, სარგებლის, მოწმის უკანონო ქმედების თუ პირადი ცხოვრების შემადგენელი ცალკეული დეტალების გაუხმაურებლობის და ა.შ. დაპირებით. შესაბამისად, მოწმეებზე ზემოქმედება შესაძლებელია განხორციელდეს ორი მიზნით: 1) რომ მოწმემ უარი თქვას ჩვენების მიცემაზე; ან 2) მისცეს ჩვენება, მაგრამ: ა) იმ ეპიზოდის გამოკლებით, რომელიც ეხება ბრალდებულის ინტერესებს, მის მონაწილეობას დანაშაულში/მიზანს/მოტივს/ ბრალს და ა.შ. საკითხებს; მოწმემ გამოძიების ორგანოებს მიაწოდოს შეგნებულად ცრუ ჩვენება.
41. როდესაც ბრალდების მხარე ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებას ასაბუთებს ბრალდებულის ნათესავების მხრიდან მოწმეების დაშინებასა და მოსყიდვაზე აპელირებით, აღნიშნული გარემოება საეჭვოა, თუ ბრალდების მხარეს არ აქვს წარმოდგენილი აღნიშნულ ფაქტზე რეაგირების დამადასტურებელი მტკიცებულება. მაგალითად, სასამართლომ უჩვეულოდ მიიჩნია, რომ პროკურატურამ, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ მოწმეებს აშინებდნენ, მიმართავდნენ ძალადობას ან ესწრაფვოდნენ ანგარიშსწორებას, არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, ან/და არ ჩაატარა წინასწარი მოკვლევა... გამოძიების ორგანოებმა არავითარი ღონისძიება არ გაატარეს, არ დაიწყეს გამოძიება და არც კი დაჰკითხეს შესაბამისი პირები მოწმეებით სავარაუდო მანიპულირებასთან დაკავშირებით“. რის გამოც ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები სადავოა და ვერ აკმაყოფილებს მოწმეებზე ზემოქმედების შესახებ საფრთხის არსებობის დასაბუთებული ვარაუდით მტკიცებისათვის საკმარის გარემოებას.<sup>564</sup>
42. როდესაც ბრალდებულის მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედება და მტკიცებულების განადგურება უკავშირდება ბრალდებულის თანამდებობრივ მდგომარეობას, და იმ ფაქტს, რომ საქმეზე დასაკითხ მოწმეთა უმეტესობა მისი ყოფილი ხელქვეითი იყო, სასამართლო აღნიშნავს, რომ ბრალდებულის თანამდებობრივი სტატუსი რელევანტური ფაქტორია მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხის არსებობისათვის, მაგრამ თუ ბრალდებული გადაყენებულია არჩევითი თანამდებობიდან და დაკავებულია, მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ისეთი სახის გამოყენება რაც არ უკავშირდება თავისუფლების შეზღუდვას, ვერ გამოიწვევს მის თანამდებობაზე აღდგენას. შეთქმულების რისკი არ არის საკმარისი დასაბუთდეს მხოლოდ ბრალდებულის თანამდებობაზე მითითებით. სასამართლომ უნდა გაანალიზოს ისეთი გარემოებებიც, როგორცაა, მაგალითად, გამოძიების/სასამართლო განხილვის მიმდინარეობა, ბრალდებულის პიროვნება, მისი ქცევა დაკავებამდე და დაკავების შემდეგ, სხვა სპეციფიკური მახასიათებლები, რაც გაამყარებს შიშს, რომ მას ობიექტურად შეუძლია ბოროტად გამოიყენოს თავისუფლება მტკიცებულებათა განადგურების ან გაყალბების მიზნებისათვის.<sup>565</sup>
43. აღკვეთის ღონისძიების შერჩევას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ასევე ბრალდებულის კავშირები მოწმეებთან/დაზარალებულთან. თუ ბრალდებულს გააჩნია ნათესაური, სამსახურებრივი, მჭიდრო მეგობრული კავშირები მოწმეებთან/დაზარალებულთან, ანდა მათ შორის არსებობს კონფლიქტური სიტუაცია, მაღალია ბრალდებულის მიერ პროცესის მონაწილეებზე ზეგავლენის საფრთხე. მაგრამ ბრალდების მხარეს ეკისრება აღნიშნული საფრთხის რეალურობის მტკიცების ვალდებულება, რისთვისაც შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს მოწმეებზე ზემოქმედების კონკრეტული ფაქტები, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებებით და არა მხოლოდ აღნიშნული ფაქტის არსებობის კონსტანტირებით ბრალდების მხარის მიერ მისი არსებობის სარწმუნოობის

<sup>564</sup> Aleksandr Makarov v Russia, ECtHR,12/03/2009, § 132.

<sup>565</sup> Aleksandr Makarov v Russia, ECtHR,12/03/2009, § 130.

გადამონების გარეშე. თუ ბრალდების მხარეს არ გააჩნია მონმეებზე ზემოქმედების მცდელობის დამადასტურებელი მტკიცებულება, მას შეუძლია აღნიშნული საფრთხის არსებობის მტკიცება ბრალდებულის წინარე ქმედებებზე/ქცევაზე აპელირებით.

44. „ის, რომ ბრალდებულის მეგობრები იყვნენ ძირითადი მონმეები მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში... უნარი გავლენა მოეხდინა მონმეებზე, არ შეიძლება გამოირიცხოს და შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია, მხედველობაში არ მიიღოს მსგავსი რისკის არსებობა.“<sup>566</sup> მაგრამ ის, რომ ბრალდებული თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში მაღალი ალბათობით შეეცდება ძირითად მონმეებზე ზემოქმედებას, ვინაიდან მას გააჩნია ახლო მეგობრული კავშირები საქმეში დასაკითხ ძირითად მონმეებთან და სარგებლობს ავტორიტეტით თანამშრომლებში, რომლებიც ასევე უნდა დაიკითხონ ბრალდებულისთვის შერაცხულ თანამდებობრივ დანაშაულთან დაკავშირებით არ წარმოადგენს ვარგის არგუმენტს მონმეებზე ზემოქმედების საფრთხის დასაბუთებისათვის. შუამდგომლობაში დაკონკრეტებულ უნდა იქნეს ის ბერკეტები, რომელთა მეშვეობით ბრალდებულს შეუძლია დასაკითხ მონმეებზე ზემოქმედება. მაღალი ავტორიტეტი და მეგობრული დამოკიდებულება, როგორც მონმეებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების საფრთხე, აქტუალობას არ კარგავს ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების შემთხვევაშიც კი. ზუსტად იმავე ალბათობით მონმეებმა შესაძლებელია ბრალდებულის სასარგებლო ჩვენება მისცენ ბრალდებულის მონაწილეობით წარმოებულ სასამართლო პროცესზე მასთან მეგობრული დამოკიდებულების ან მისი ავტორიტეტიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნება პატიმრობა, როგორც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების არგამოყენების შემთხვევაში. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მსგავს ვითარებაში მონმეებზე ზემოქმედება არ არის აუცილებელი უშუალოდ ბრალდებულის მიერ იქნეს განხორციელებული. შესაბამისად, პატიმრობის გამოყენების შემთხვევაშიც ბრალდებულის სახელით მონმეებზე ზემოქმედება შესაძლებელია დაცვის მხარის ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან იქნეს განხორციელებული მეგობრული საუბრის/თხოვნის ფორმატში. ამიტომ აღნიშნული საფრთხის დასაბუთებისათვის მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, თუ ზემოქმედების კონკრეტულად რა სახის ბერკეტი გააჩნია ბრალდებულს, რატომ შეიძლება მონმე მოკლებულ იქნეს თავისუფალი არჩევანის გაკეთების და ჩვენების თავისუფლად მიცემის შესაძლებლობას. მაგალითად, კომერციული მოსყიდვის/ცალკეული სამოხელეო დანაშაულის გამოძიებისას, ასეთი საფრთხის არსებობა შესაძლებელია დასაბუთებულ იქნეს იმ გარემოებით, რომ ბრალდებულის მხრიდან შესაძლებელია განხორციელდეს თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლება, ხელფასის დაქვითვა, დაქვეითება, შეღავათების გაუქმება, პროექტულ დაფინანსებაზე უარის თქმა (თუ მონმე დამოკიდებულია აღნიშნულზე) და ა.შ., რაც აქტუალური ვერ იქნება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული გადაყენებული იქნება თანამდებობიდან. ამასთან, აღნიშნულის აბსტრაქტულად მტკიცება, კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებაზე აპელირების გარეშე დაუშვებელია. მაგალითად, შუამდგომლობის დასაბუთებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, რომ შუამდგომლობის დაყენებამდე ბრალდებულის მხრიდან განხორციელდა ზემოქმედების/დაშინების/დაპირების მცდელობა, რაც დასტურდება მონმის დამოკითხვის/დაკითხვის ოქმით, მონმის ტელეფონზე ბრალდებულის ტელეფონიდან გაგზავნილი მუქარის შემცველი შეტყობინებით, სატელეფონო ზარებით, ოპერატიული ინფორმაციით, სხვა მონმის ჩვენებით და ა.შ. ამიტომ შუამდგომლობაში მითითებულ უნდა იქნეს რა სახის ზეგავლენის მოხდენაა სავარაუდო, რა ბერკეტები გააჩნია ბრალდებულს მონმეებზე ზეგავლენისათვის, რა ადასტურებს, რომ ზეგავლენის მცდელობის შემთხვევაში მონმეებს შეეზღუდებათ არჩევანის თავისუფლება და იძულებულნი იქნებიან დაემორჩილონ ბრალდებულის თხოვნას/მუქარას, რა ადასტურებს ასეთი ზეგავლენის საფრთხის რეალურობას. ის ფაქტი, რომ ბრალდებული კონკრეტულ პიროვნებებს იცნობს, ავტომატურ რეჟიმში არ

<sup>566</sup> Mikiashvili v Georgia, ECtHR, 09/10/2012, §102.



- გულისხმობს, რომ ის განახორციელებს მათზე ზეგავლენას და რომ ეს ზეგავლენა შედეგადად იქნება.
- 45.** მონმეებზე ზემოქმედების და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს:
- საქმეზე შეგროვებული მტკიცებულებების რაოდენობა (დევნის სანყის ეტაპზე, როდესაც მტკიცებულებათა ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ მოსაძიებელი და დასამაგრებელია, დასადგენია თანამონაწილეთა ვინაობა, მათი ადგილსამყოფელი, დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონება და ა.შ. – მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე უფრო მაღალია. ხოლო გამოძიების შემდგომ ეტაპზე, როდესაც საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა ძირითადი მტკიცებულება უკვე პრაქტიკულად მოძიებული და დამაგრებულია, მათი განადგურების საფრთხე მინიმალურია);
  - მონმეთა ვინაობა, მათი საქმიანობის სპეციფიკა, პიროვნული მახასიათებლები და ა.შ. – როდესაც მონმე სამართალდამცავი სისტემის თანამშრომელი/სამხედრო მოსამსახურე/პირი, რომელსაც სამსახურებრივი ფუნქციებიდან გამომდინარე გავლილი აქვს სპეციალური წვრთნა/მომზადება, მასზე ზემოქმედების ალბათობა ნაკლებია (თუმცა არ არის სრულად გამორიცხული. განსაკუთრებით ფსიქოლოგიური ზენოლა);
  - მონმეებთან ბრალდებულის კავშირის/ურთიერთობის სპეციფიკა – ბრალდებულზე მათი ნებისმიერი სახით დამოკიდებული მდგომარეობა, ბრალდებულთან მათი მტრული/დაპირისპირებული/დაძაბული/ძალიან მჭიდრო და ინტენსიური<sup>567</sup> მეგობრული/ნათესაური დამოკიდებულება.
  - შერაცხული დანაშაულის სპეციფიკა, მაგალითად, სსკ-ის 273-ე მუხლი.
- 46.** ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე აპელირებისას მომავალი დანაშაულის ხასიათი უნდა იყოს დაკონკრეტებული (მაგალითად, დანაშაულის კატეგორიის მითითებით – ეხება ძალადობრივ თუ ქონებრივ დანაშაულს) და ლოგიკურად გამომდინარეობდეს პირისთვის წაყენებული ბრალიდან ან/და ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებიდან. მაგალითად, თუ პირი არაერთხელ იქნა დაკავებული სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის და მის მიმართ თავდებობის გამოყენების შემთხვევაში კვლავაც არსებობს საფრთხე იმისა, რომ თავისუფლებაზე ყოფნის შემთხვევაში ის თავისი მიდრეკილების და ნარკოდამოკიდებულების გამო კვლავაც ჩაიდენს ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებას. ან, – ანგარიშფაქტურების გაყალბების ფაქტთან დაკავშირებით პირის დაკავებისას მის საცხოვრებელ ბინაში აღმოჩენილი იყო დიდი რაოდენობით ყალბი ანგარიშფაქტურები. შესაბამისად, იქმნება დასაბუთებული ვარაუდი, რომ თუ მის მიმართ არ მოხდება პატიმრობის გამოყენება, ის კვლავაც ჩაიდენს იმავე დანაშაულს. ასენოვის საქმეზე,<sup>568</sup> სადაც პირს ბრალად ედებოდა 16-ზე მეტი ქურდობა და ძარცვა, რომლის ნაწილიც ჩადენილ იქნა გამოძიების დანყების შემდგომ, სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია ბრალდების მხარის შიში, რომ ბრალდებული თავისუფლებაზე ყოფნის შემთხვევაში კვლავ ჩაიდენდა დანაშაულს. საფრთხე და შესაბამისად პატიმრობის გამოყენება დასაბუთებულია, როდესაც საქმის მასალებიდან გამომდინარე ბრალდების მხარე მიუთითებს ბრალდებულის მხრიდან გარკვეული კატეგორიის დანაშაულის ჩადენის ტენდენციურობაზე. მაგალითად, ბრალდებული 2008-2012 წლებში სასჯელს იხდიდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულში და 2013 წელს ბრალი წარედგინა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულში.<sup>569</sup>
- 47.** ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე ვერ დასტურდება, თუ ბრალდებულისთვის შერაც-

<sup>567</sup> თავისთავად ნათესაური ან მეგობრული დამოკიდებულების არსებობა არ მეტყველებს ასეთ მონმეზე ზემოქმედების საფრთხეზე.

<sup>568</sup> Assenov and Others v Bulgaria, ECtHR, 28/10/1998, §156.

<sup>569</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლო 14/03/2013 წლის განჩინება, საქმე №1გ/157.

- ხული ყველა დანაშაული უკავშირდებოდა მის თანამდებობრივ მდგომარეობას, რომლიდანაც ის უკვე გათავისუფლებულია.<sup>570</sup>
48. ბრალდებულის წინა ნასამართლეობის საფუძველზე პირის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის სრულიად გამორიცხვა არ არის სწორი. ბრალდებულის წინარე ნასამართლეობა მართლაც მიანიშნებს ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაზე, თუმცა საკმარისი არ არის ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოსაყენებლად. ამ მიზეზით პატიმრობის შესაფარდებლად საჭიროა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის დამადასტურებელი ისეთი გარემოებების წარმოდგენა, რომელთა მიხედვით დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების აღკვეთა მხოლოდ პატიმრობით იქნება შესაძლებელი. მაგალითად, ეს შეიძლება ეხებოდეს ძალადობრივ დანაშაულს, რაც ბრალდებულში ძალადობრივი მიდრეკილების არსებობასა და მოსალოდნელ რეციდივებზე მიუთითებს.
49. ნასამართლეობა – თუ ბრალდებული ნასამართლეოვია ვარაუდი, რომ ის განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციას. შესაბამისად, ბრალდებულის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხის არსებობისათვის ბრალდების მხარემ უნდა მიუთითოს ბრალდებულის ქმედებებში გარკვეული ტენდენციურობის, ძველ და ახალ დანაშაულებს შორის ლოგიკური კავშირის არსებობაზე, კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოუყენლობის შემთხვევაში არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული ჩაიდენს ახალ დანაშაულს. საჭიროა წინა დანაშაულის ხასიათის ანალიზი, იმის ჩვენება თუ როგორ გამოვლინდა წინა დანაშაულის ჩადენისას ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები, მისი ხასიათი, მიდრეკილება ძალადობრივი დანაშაულისკენ, როგორ იქცოდა ბრალდებული სასჯელის მოხდის შემდეგ, რამდენი ხანია გასული სასჯელის მოხდიდან ახალი დანაშაულის ჩადენამდე, ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულების ერთგვაროვანი ხასიათი, რაც ბრალდებულის გარკვეულ მიდრეკილებაზე მტყვევებს, საერთო მახასიათებლების/ტენდენციის არსებობა ძველ და ახალ დანაშაულებს შორის, კონკრეტული დანაშაულებრივი გეგმების არსებობა, რაც შეიძლება მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდებოდეს ანდა მოვლენათა განვითარების ისეთი ჯაჭვი, რაც გარდუვალად იწვევს სხვა დანაშაულის ჩადენას და ა.შ.<sup>571</sup> და როგორ შეიძლება ეს ყველაფერი აისახოს აღნიშნული ბრალდებულის ქცევაზე თუ მის მიმართ არ მოხდება პატიმრობის შეფარდება. მაგალითად, როდესაც პირი ადრე მსჯავრდებული იყო 40 ლიტრი სანვაისის მითვისების მცდელობისთვის და მოგვიანებით ბრალი დაედო სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, „ამ ორ სხვადასხვა ხასიათის დანაშაულში საგამოძიებო კოლეგიამ ვერ დაინახა ლოგიკური ბმა ბრალდებულის მიერ დანაშაულის გასაგრძელებლად“.<sup>572</sup> სსსკ-ი არ განსაზღვრავს ახალი დანაშაულების წრეს. შესაბამისად, ახალი დანაშაულის პრევენცია შესაძლებელია ეხებოდეს სსკ-ით გათვალისწინებულ ნებისმიერი და არა მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებული დანაშაულის პრევენციას. აღნიშნული საფრთხის არსებობისათვის ბრალდების მხარემ უნდა ამტკიცოს: 1) ძველ და ახალ დანაშაულს შორის ნებისმიერი სახის კავშირის არსებობა. მაგალითად, ორივე (ძველი და ახალი) დანაშაული ძალადობრივი ხასიათის მატარებელია – ძარცვა და ყაჩაღობა; ორივე დანაშაულის ჩადენის მიზეზი იდენტურია, თუმცა სხვადასხვა დაზარალებულები, მაგალითად, ბოროტი ხულიგნობა და ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება ჩხუბში/პოლიციის თანამშრომლისთვის ბოროტი დაუმორჩილებლობა თუ ეს დანაშაული უკავშირდებოდა დაზარალებულების მხრიდან ბრალდებულის მიმართ

<sup>570</sup> Aleksandr Makarov v Russia, ECtHR, 12/03/2009, §134.

<sup>571</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 18/12/2014 წლის განჩინება, საქმე №1გ/1282.

<sup>572</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 18/12/2014 წლის განჩინება, საქმე №1გ/1282.

გამოთქმულ შენიშვნებს/საყვედურს; ორივე დანაშაული მიუთითებს ბრალდებულის „საქმიანობის“ ხასიათზე – თაღლითობა და მითვისება/გაფლანგვა და სხვა; 2) დანაშაული, რომლის ხასიათიდან გამომდინარე არსებობს მისი გაგრძელების მაღალი ალბათობა, მაგალითად, ცივი იარაღის ტარება/ნარკოტიკული ნივთიერებების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება ადმინისტრაციულ სახდელდადებულო/ნასამართლევ პირის მიერ; ოჯახში ძალადობა და ა.შ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი აღნიშნული საფუძვლით პატიმრობის გამოყენებისას მოითხოვს არა ზოგადად დანაშაულის ჩადენის საფრთხის მტკიცებას, არამედ კონკრეტული, იდენტიფიცირებადი დანაშაულის ჩადენის საფრთხის არსებობას – აღნიშნული გულისხმობს არა აბსოლუტური სიზუსტით მოსალოდნელი დანაშაულის განსაზღვრას, არამედ მისი ელემენტის/მახასიათებლის იდენტიფიცირებას – მაგალითად, მტკიცებას იმის შესახებ, რომ ბრალდებული შეეცდება დაზარალებულის თავიდან მოშორებას; ბრალდებული კვლავაც განახორციელებს ქურდობას/რეკეტულ თავდასხმას, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს მისი შემოსავლის ერთადერთ წყაროს რაზეც ის აპელირებდა წინა ნასამართლეობის დროს როგორც შემამსუბუქებელ გარემოებაზე; ბრალდებული განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას. მაგალითად თაღლითობას – საზღვარგარეთ სამუშაოდ პირთა გაგზავნის მოტივით/ბინის ხანდაზმული მესაკუთრეების მოტყუებას ბანკიდან თანხის გამოტანის მიზნით და ა.შ. რაზეც მიუთითებს მის მიერ განხორციელებული ქმედებების სერია და ა.შ. კონკრეტულად სად, როდის, როგორ, ვის მიმართ განახორციელებს ახალ დანაშაულს და სხვა დეტალების მტკიცების ვალდებულება არ არსებობს. მთავარია, მეტ-ნაკლები სიზუსტით იდენტიფიცირებული იყოს საფრთხე მისი ობიექტურად არსებობის შესაძლებლობის გადამოწმებისათვის.

50. ნასამართლეობაზე აპელირებისას ნასამართლობის ფაქტი დადასტურებული უნდა იყოს და სასამართლოში წარდგენილ უნდა იქნეს ცნობა ნასამართლობის შესახებ. გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში მიიღება როგორც ბრალდებულის პიროვნული მახასიათებელი.
51. პიროვნულ მახასიათებლებში ყურადღება შეიძლება მიექცეს პირის განსაკუთრებულ ხასიათს, ზნეობას, სტატუსს, პასუხისმგებლობას (თუ ბრალდებული ბრუნდება საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ იცის შეიძლება მის მიმართ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა)<sup>573</sup>, ქონებას, რომლის დატოვებაც მას მოუწევს საქართველოში, წარსულში გამოძიების წინაშე გამოცხადებას და თანამშრომლობას; გარანტიების ხარისხს, რითაც უზრუნველყოფილია პირის გამოცხადება პროცესის მწარმოებელ ორგანოსთან. აღნიშნულის საპირისპიროდ, ზოგჯერ პრევენციული პატიმრობის გამოყენების დასაბუთებისათვის პროცესის მწარმოებელი ორგანო აპელირებს ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების ხასიათზე (ბრალი ედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში), საზოგადოებრივ საშიშროებასა და დამდგარ შედეგზე, რომ გამოძიება არ არის დასრულებული და გრძელდება საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, არსებობს ბრალდებულის მიმალვის, მონმეებზე ზემოქმედების და ობიექტური ქმედებების დადგენისათვის ხელის შეშლის საფრთხე. კერძოდ, რომ, ვინაიდან პირს ბრალად ედება „სამოხელეო დანაშაული, მიყენებული ზიანი ანაზღაურებული არ არის, საქმეზე გრძელდება აქტიური საგამოძიებო მოქმედებები, მოსაპოვებელია დამატებით მტკიცებულებები, – მათ შორის დასადგენია ხომ არ იმყოფებოდნენ ბრალდებულთან დანაშაულებრივ კავშირში სხვა პირებიც; დასაკითხია მონმეები... ბრალდების მხარის განცხადებით არ არის გამორიცხული ბრალდებულის ქმედებაში გამოიკვეთოს სხვა დანაშაულის ნიშნებიც და ამ კუთხით დასაკითხი არიან მონმეები, რომლებთანაც ბრალდებულს გააჩნია ახლო ნაცნობობა და ურთიერთობა და შესაძლოა მათზე განახორციელოს ზენოლა სასურველი ჩვენების მიღების მიზნით... ბრალდებულის ყოფილი სამსახურებრივი მდგომარეობა და ავტორიტეტი აძლევს მას რეალურ შესაძლებლობას, გავლენა მოახდინოს მონმის სახით დასაკითხ პირებზე, ვინაიდან ბრალდებულის ყოფილი

<sup>573</sup> Yagci and Sargin v Turkey, ECtHR, 08/06/1995.

- თანამდებობრივი სტატუსი საკმაოდ რელევანტური ფაქტორია ვარაუდისათვის, რომ მან კვლავ მოახდინოს ზემოქმედება დასაკითხ მოწმეებზე, ბოროტად გამოიყენოს კავშირები და ხელი შეუშალოს გამოძიებას დამნაშავე პირთა დადგენა-დაკავებაში.<sup>574</sup> მოცემულ შემთხვევაში დასაბუთებული უნდა იყოს საფრთხის რეალურობა და მისი ობიექტურად არსებობა ზ/ა კრიტერიუმების მიხედვით.
- 52.** პროცესის მწარმოებელმა ორგანომ უნდა ამტკიცოს კონკრეტული/ობიექტურად იდენტიფიცირებადი საფრთხის რეალურად არსებობა და არა, პირიქით, რომ: 1) მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის სსსკ-ის 198-ე მუხლით გათვალისწინებული საფრთხე გამორიცხულია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით; 2) ის, რომ გამოძიება გრძელდება და ჩასატარებელია რიგი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები აპრიორი არ/ვერ ადასტურებს ბრალდებულის მხრიდან ხელის შეშლის საფრთხის არსებობას. ამ შემთხვევაში საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების განხორციელების აუცილებლობა მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ გამოძიებას ჯერ კიდევ გადასამონმებელი აქვს ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალი და აღნიშნულმა შესაძლებელია გამოიწვიოს ბრალის როგორც დამძიმება, ასევე შემსუბუქება. ამიტომ ბრალდების მხარემ ამ შემთხვევაში უნდა ამტკიცოს, რომ ბრალდებულის წინარე ქმედებიდან გამომდინარე აშკარა და რეალურია ბრალდებულის მხრიდან ამ კონკრეტული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების განხორციელებაში ხელის შეშლის საფრთხე; 3) ის, რომ გამოძიების ორგანოებს გააჩნია ეჭვი თანამონაწილეების არსებობის შესახებ, შესაძლებელია წარმოადგენდეს საკმარის საფუძველს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელებისათვის, მაგრამ არა პატიმრობის გამოყენებისათვის. როგორც უკვე აღინიშნა, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება სუბიექტური ეჭვის საფუძველზე დაუშვებელია. ანალოგიურად, ყოფილი /მოქმედი თანამდებობრივი სტატუსი თავისთავად ვერ დაასაბუთებს ბრალდებულის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხის რეალურობას.
- 53.** „ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში... არ არის გამორიცხული რომ მან გამოძიებისათვის ზიანის მომტანი კავშირები იქონიოს შესაძლო დამნაშავე პირებთან; ასევე შესაძლოა შეეცადოს მოწმეებზე და სხვა მოსაპოვებელ მტკიცებულებებზე ზემოქმედებას<sup>575</sup> – აღნიშნული წარმოადგენს მტკიცების ვალდებულების ე.წ. „ამოყირავების“ მაგალითს. სსსკ-ის ითვალისწინებს კონკრეტული იდენტიფიცირებადი საფრთხის არსებობის და არა ზოგადად პირის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის ვერგამორიცხვის მტკიცებას. ასეთივე წარმატებით შესაძლებელია ნებისმიერი კეთილსინდისიერი მოქალაქის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხის ან დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის ვერგამორიცხვის მტკიცება. „72. დაუშვებელია პატიმრობის გამოყენება იმ მოტივით, რომ სასამართლომ „ვერ გამოიცილა“ ახალი დანაშაულის ჩადენის, მიმალვის ან/და მტკიცებულებების განადგურების ყველა შესაძლებლობა... ვარაუდის „ვერგამორიცხვის“ სტანდარტი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველს თითქმის ყოველთვის შექმნის... პატიმრობის გამოყენების მიმართ სასამართლოს მხრიდან სანინალმდეგო მიდგომა ფაქტობრივად ნიშნავს მტკიცების ტვირთის ბრალდებულზე დაკისრებას... დაუშვებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მხოლოდ იმ მოტივით, რომ დაცვის მხარემ ვერ უარყო ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და არგუმენტები.“<sup>576</sup>
- 54.** არც ოჯახისა თუ სამსახურის უქონლობა გულისხმობს, რომ პირი ახალი დანაშაულის ჩა-

<sup>574</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 28/01/2015 წლის განჩინება, საქმე №1გ-93-15.

<sup>575</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 28/01/2015 წლის განჩინება, საქმე №1გ-93-15.

<sup>576</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 15/09/2015 წლის გადაწყვეტილება, საქმე №646, II-72.

- დენისკენაა მიდრეკილი.<sup>577</sup>
55. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის შეფასებისას სასამართლომ უნდა განსაზღვროს რამდენად არსებობს პირის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების რეალური საფრთხე. მაგალითად, ხომ არ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის მომზადებაზე ან დაუსრულებელი დანაშაულის დასრულების განზრახვაზე. ასევე, ხშირ შემთხვევებში მნიშვნელოვანია განისაზღვროს ისევე არსებობს თუ არა ის გარემოებები, რომელშიც პირმა სავარაუდოდ ჩაიდინა დანაშაული. მაგალითად, სამოხელეო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს ისევე არის თუ არა საჯარო მოხელე თანამდებობაზე.<sup>578</sup> თუ პირს ბრალი ედება რამდენიმე დანაშაულის ან დანაშაულის ცალკეული ეპიზოდების ჩადენაში, ალბათობა, რომ ის განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას, შედარებით მაღალია. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ერთნაირი მიდგომა უნდა არსებობდეს განზრახვი და გაუფრთხილებლობითი ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხისადმი. „იმისდა მიუხედავად, შესაძლო/სამომავლო დანაშაული იქნება განზრახვი თუ გაუფრთხილებლობითი, პატიმრობის გამოყენებისას სასამართლო ვალდებულია, გადაამოწმოს, არსებობს თუ არა მისი შესაძლო ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი. რაც გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს ობიექტური ფაქტორები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის რეალურ საფრთხეზე მიუთითებენ... თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული ჩაიდენს ახალ დანაშაულს, მის მიმართ პატიმრობის გამოყენებას ვერ გამოირიცხავს ის ფაქტი, რომ შესაძლო დანაშაული გაუფრთხილებლობითია.“<sup>579</sup>
56. ვადა – აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნისას ვადის მითითება არ არის საჭირო. სასამართლოს წინაშე პროკურორი შუამდგომლობს მხოლოდ დაპატიმრების გამოყენებას. უაღრესად გაჭიანურებულმა პატიმრობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას უდანაშაულობის პრეზუმფციას.<sup>580</sup>
57. საკონსტიტუციო სასამართლომ პატიმრობის ვადის უდანაშაულობის პრეზუმფციასთან მიმართების საკითხზე მსჯელობისას აღნიშნა, იმისათვის, რომ პატიმრობაში ყოფნის ვადა, ვადის ხანგრძლივობის გამო, ბრალდებულის მიმართ დამნაშავესავით მოპყრობას გაუტოლდეს, მან უფლებაში ჩარევის ინტენსივობის მაღალ ხარისხს უნდა მიაღწიოს, უნდა გასცდეს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის ხელშეშლის აღკვეთის უზრუნველყოფას და მისი მიზნისა და მოქმედების ეფექტიდან გამომდინარე, გაუთანაბრდეს პირის დამნაშავედ გამოცხადებას<sup>581</sup>...
58. პატიმრობის 9- თვიანი ვადის ათვლა იწყება ბრალდებულის სტატუსის მოპოვებისთანავე – პირის დაკავების ან მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ განჩინების აღსრულების მომენტიდან. 9-თვიანი ვადის განმავლობაში სსსკ-ი მოიაზრებს როგორც წესი სამართალწარმოების მთელ ხანგრძლივობას – განაჩენის დადგენის ჩათვლით. თუ საქმის სირთულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარე ვერ ასწრებს დროულად გამოძიების დასრულებას, ან/და/რის გამოც სასამართლო 9-თვიანი ვადის ამონწურვამდე დარჩენილი მცირე დროის გამო ვერ ასწრებს, განაჩენის დადგენას, პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენ სერიოზული ობიექტური გარემოებით არის გამოწვეული ვადის გაშვება. შესაბამისად, იმისდამიუხედავად თუ რატომ ვერ ესწრება 9-თვიან ვადაში განაჩენის დადგენა – ობიექტური (საქმის მასალების მოცულობა, დანაშაულებრივი ეპიზოდების რაოდენობა, მოწმეთა/დაზარალებულთა/თანაბრალდებულთა სიმრავლე, დანაშაულის კატეგორია, მაგალითად, ჯაშუშო-

<sup>577</sup> Sulaoja v Estonia, ECtHR, 15/02/2005 §64.

<sup>578</sup> იბ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 15/09/2015 წლის გადაწყვეტილება, საქმე №646, II-62.

<sup>579</sup> იბ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 15/09/2015 წლის გადაწყვეტილება, საქმე №646, II-76.

<sup>580</sup> Cagas v Philippines, UNHRC, 23/11/2001, §7.3.

<sup>581</sup> იბ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/06/2015 წლის საოქმო ჩანაწერი № 646 , II-9.

- ბა; დანაშაულის ხასიათი – მაგალითად, ტრანსსასაზღვრო და ა.შ.) თუ სუბიექტური (მაგალითად, გამოძიების ორგანოს დაავიწყდა, არ გამოიჩინა ჯეროვანი გულმოდგინება მტკიცებულებების დროულად მოძიების და სამართალწარმოების დროულად განხორციელებაში, ადმინისტრაციული რესურსის ნაკლებობა (ფინანსური ან/და ადამიანური), გამოძიებლის ავადმყოფობა/დეკრეტული შვებულება/მივლინებაში ყოფნა და ა.შ.) მიზეზების გამო, პატიმრობის 9-თვიანი ვადის ამონურვისთანავე, ბრალდებული გათავისუფლებულ უნდა იქნეს. ამიტომ ვადის ამონურვამდე, სსსკ-ის 206-ე მუხლით აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის განხილვისათვის განსაზღვრული ვადების დაცვით, ბრალდების მხარემ უნდა დააყენოს შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ.
59. ვადის თავიდან ათვლის საფუძველს არ წარმოადგენს საქმეთა გამოყოფა ან გაერთიანება, მაგალითად, თუ პირს ბრალი აქვს წაყენებული 5 დანაშაულში ერთდროულად და აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებულია პატიმრობა, 8-თვიანი გამოძიების შემდეგ თუ ერთ-ერთი ბრალდების საქმე ცალკე იქნება გამოყოფილი, აღნიშნული არ იძლევა პატიმრობის თავიდან გამოყენების შესაძლებლობას ფორმალურად ცალკე წარმოებაში გამოყოფილი ბრალდების საქმეზე. ანალოგიურად, თუ ბრალდებულს დაუმძიმდა ბრალი ახალი ეპიზოდის დამატების გზით ან მოხდა ბრალის დაზუსტება – ვადის ათვლა არ იწყება თავიდან.
60. პატიმრობის ვადის ხანგრძლივობა არ უნდა ეფუძნებოდეს ბრალად წაყენებული დანაშაულისათვის მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრეს, მისი საჭიროების განსაზღვრის ნაცვლად. სასამართლომ უნდა შეაფასოს პატიმრობის ალტერნატივები – მაგალითად, გირაო, თავდებობა და სხვა ღონისძიებების არსებობის პირობებში რამდენად არის პატიმრობის გამოყენება კვლავაც აუცილებელი მოცემულ საქმეზე.
61. სასამართლო პატიმრობის გამოყენების საკითხის განხილვისას, მათ შორის გადასინჯვისას (როგორც სავალდებულო *ex officio*, ასევე დაცვის მხარის ინიციატივით), პატიმრობის ხანგრძლივობის მიუხედავად, ვალდებულია „გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმიერება აღნიშნული პროცედურის განხორციელებისას.<sup>582</sup> პატიმრობა, მისი ხანგრძლივობის მიუხედავად, უნდა იყოს ჯეროვანად დასაბუთებული.<sup>583</sup> “ სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ მიღებული გადაწყვეტილებები არ იყოს სტერეოტიპულად ფორმულირებული ან დასკვნების სახით მოწოდებული<sup>584</sup> და დასაბუთება არ იყოს დეკლარაციული ხასიათის, ზოგადი ან აბსტრაქტული.<sup>585</sup> შესაბამისად, „ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეასრულეს თავიანთი ვალდებულება, დაედგინათ სპეციფიკური ფაქტების არსებობა, რომლებიც გაამართლებდა წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელებას და განეხილათ ალტერნატიული არასაპატიმრო ზომა, როდესაც პატიმრობის ვადის გაგრძელება განხორციელდა არასაკმარისად დასაბუთებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომლებიც უმეტესად ეყრდნობა სტერეოტიპულ ფორმულირებებს და შეიცავდა სსსკ-ის ტერმინებს.<sup>586</sup>
62. როდესაც პირს ბრალი წაყენებული აქვს რამდენიმე დანაშაულში, ბრალდების მხარეს შეუძლია დააყენოს შუამდგომლობა ბრალდებულისთვის შერაცხულ სხვა დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს აღნიშნულ ფაქტზე ბრალის წაყენება განხორციელდა პირველ ბრალდებაში პირის ბრალდებამდე, ბრალდებასთან ერთად თუ ბრალდების შემდეგ; ბრალდების მხარეს ადრე დაყენებული ჰქონდა თუ არა ამ ბრალდებასთან დაკავ-

<sup>582</sup> Pacuria v Georgia, ECtHR, 06/11/2007, §63; Jablonski v Poland, ECtHR, 21/12/2000, § 80.

<sup>583</sup> Idalov v Russia, ECtHR, (GC), 22/05/2012, § 10; Castravet v Moldova, ECtHR, 13/03/2007, § 33; Belchev v Bulgaria, ECtHR, 08/04/2004, § 82.

<sup>584</sup> Mikiashvili v Georgia, ECtHR, 09/10/2012, §100; Panchenko v Russia, ECtHR, 08/02/2005, §107.

<sup>585</sup> Mikiashvili v Georgia, ECtHR, 09/10/2012, §100; Nikolov v Bulgaria, ECtHR, 30/01/2003, §73; Smirnova v Russia, ECtHR, 24/07/2003, §63.

<sup>586</sup> Janiashvili v Georgia, ECtHR, 27/11/2012, §86; Patsuria v Georgia, ECtHR, 06/11/2007, §§12,14,15; Nikolaishvili v Georgia, ECtHR, 13/01/2009, §§73,76, 79; Saginadze v Georgia, ECtHR, 27/05/2010, §139.

- შირებით ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახის გამოყენების შესახებ შუამდგომლობა (მთავარია, დაცული იყოს ქვემოთ 65-ე პუნქტში მითითებული პატიმრობის საერთო ხანგრძლივობის ათვლის წესი).
63. შესაბამისად, ახალი დანაშაულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისათვის მხედველობაში მიიღება ის გარემოებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ წარსულში, მაგრამ ეფექტი აქვთ სამომავლო რისკებისათვის, ვინაიდან ქმნიან სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფრთხეების არსებობის შესახებ დასაბუთებულ ვარაუდს.
64. სასამართლო კონტროლი პატიმრობის გამოყენებაზე ავტომატურად, გონივრული პერიოდულობით<sup>587</sup> უნდა ხორციელდებოდეს და არ უნდა იყოს დამოკიდებული პატიმრობაში მყოფი პირის მხრიდან გადასინჯვის მოთხოვნაზე.<sup>588</sup> სსსკ-ი ადგენს პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის გადასინჯვას: 1) სავალდებულო წესით – ავტომატურად, უწყვეტად და პერიოდულად 2-თვიანი ინტერვალით მოსამართლის ინიციატივით (დამატებით იხ., სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და 230<sup>1</sup> მუხლი). ex officio გადასინჯვებს შორის შუალედი არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს, თუმცა სასამართლოს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ გადასინჯვა განახორციელოს უფრო მცირე ინტერვალებითაც, მაგალითად, 45 დღეში ერთხელ; 2) ე.წ. მოთხოვნისამებრ პროცედურას, რომლის თანახმად, ორთვიანი ინტერვალის ფარგლებში პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის გადასინჯვა ხორციელდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. მხარეს უფლება აქვს დააყენოს შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ<sup>589</sup> სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, შეუზღუდავი რაოდენობით და წინასწარ განსაზღვრული სიხშირის გარეშე.
65. ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით. თუ აღნიშნული საფრთხეები ძალას ინარჩუნებს სამართალწარმოების მთელი ვადის განმავლობაში, მაშინ პატიმრობის გამოყენება ლეგიტიმურია სამართალწარმოების მთელი ხანგრძლივობის მანძილზე, საქართველოს კონსტიტუციით და სსსკ-ით დადგენილი ზღვრული ხანგრძლივობით.
66. როგორც წესი, ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც გამოიძიების ორგანოსთვის ცნობილი იყო აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნამდე დიდი ხნით ადრე, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ველარ გამოდგება პატიმრობის ვადის გაგრძელების დასაბუთებისათვის.
67. იმავდროულად, პატიმრობის ძალაში დატოვებისათვის ყოველთვის არ არის აუცილებელი ახალი გარემოების არსებობა. მაგალითად, მიმალვის საფრთხის მტკიცებისათვის ან/და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის დასაბუთებისათვის, როდესაც საფრთხის არსებობა გამომდინარეობს ბრალდებულის წინარე ქმედებებიდან. პატიმრობის გამოყენების გაგრძელებისათვის ახალი გარემოების არსებობა, როგორც წესი, აუცილებელია მონმეებზე ზემოქმედების ან/და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის კვლავაც არსებობის მტკიცებისათვის, ვინაიდან აღნიშნული საფრთხე დროის ხანგრძლივობის პირდაპირ პროპორციულად კლებულობს. მონმეთა ჩვენებების და მტკიცებულებების მოპოვება, როგორც წესი, გამოიძიების ადრეულ სტადიაზე სრულდება. შესაბამისად, აღნიშნული საფუძვლით პატიმრობის გაგრძელების მტკიცებისათვის ბრალდების მხარემ უნდა მიუთითოს, მაგალითად, ახალი მონმის არსებობაზე, რომელიც უნდა დაიკითხოს საქმისათვის მნიშვნელოვანი იმ გარემოების შესახებ, რომელიც აქამდე უცნობი იყო ბრალდების მხარისათვის და რომელთან დაკავშირებითაც საქმეში არ მოიპოვება სხვა მონმეების ჩვენებები (თუ ბრალდების მხარე მიუთითებს ახალ მონმეზე, რომელიც უნდა დაიკითხოს იმ გარემოებების შესახებ, რაც უკვე გამოკვლეულია და რომლის არსებობა/არ არსებობაც შესაბამის

<sup>587</sup> Assenov and Others v Bulgaria, ECtHR, 28/10/1998, §162.

<sup>588</sup> T.W v Malta, ECtHR, 29/04/1999, § 21.

<sup>589</sup> თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში მხარემ უნდა ამტკიცოს ახალი გარემოების არსებობა.

- მტკიცებულებითი სტანდარტით უკვე დადგენილია სხვა მტკიცებულებების მეშვეობით, აღნიშნული არ იქნება საკმარისი პატიმრობის გაგრძელებისათვის) და ბრალდებულის მხრიდან ამ მომენტზე ზემოქმედების პრვენციისათვის მნიშვნელოვანია პატიმრობის გაგრძელება.
- 68.** რამდენად დაიშვება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთება იმ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რომელიც გამოყენებული იყო პირველი ბრალდების საქმეზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის – მაგალითად, თუ ბრალდებულს წაყენებული ჰქონდა ბრალი 3 დანაშაულში და მიმალვის საფრთხიდან გამომდინარე (რაც ეყრდნობოდა ნასამართლეობას, საზღვარგარეთ კავშირებს, შერაცხული დანაშაულის და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმეს, საზღვრის გადაკვეთის მცდელობას და ა.შ.) მის მიმართ გამოყენებული იყო პატიმრობა. მოგვიანებით ბრალდებულს ბრალი წარედგინა მე-4 დანაშაულთან დაკავშირებით. მეოთხე ბრალდებასთან მიმართებით პატიმრობის გამოყენება მიმალვის საფრთხეზე აპელირებით დაიშვება წინა საქმეებში უკვე დასახელებულ გარემოებებზე აპელირებით (ის გარემოებები ამ საქმისთვისაც რელევანტურია) მხოლოდ იმ ნაწილში, რაც: 1) ახასიათებს თავად ბრალდებულის პიროვნებას (მაგალითად, ნასამართლეობის ფაქტი, გამოძიების ორგანოსთან თანამშრომლობისადმი ცინიკური დამოკიდებულება ზოგადად, საზღვარგარეთ დიდძალი ქონების და კავშირების/ „პარტნიორების“ არსებობა/ყოლა და ა.შ.) და 2) კონკრეტული დანაშაულისადმი/ბრალდებისადმი ბრალდებულის დამოკიდებულებას (მაგალითად, ბრალის სიმძიმე, მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრე, მიდრეკილება აღნიშნული დანაშაულის კვლავ ჩადენისადმი (მაგ., სსკ-ის 236/260/273-ე მუხლები) და სხვა).
- 69.** პატიმრობის ვადის გონივრულობის განსაზღვრისას ის, რომ გამოყენებული პატიმრობის ვადები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პატიმრობის ვადებს, თავისთავად არ უზრუნველყოფს პატიმრობის კანონიერებას და არ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული პატიმრობის ვადის გონივრულობისთვის.<sup>590</sup>
- 70.** იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმის გარემოებებიდან გამომდინარე არსებობს პატიმრობის შემდგომი გაგრძელებისათვის საკმარისი სამართლებრივი საფუძველი და საფრთხეების აქტუალობა შემდგომი გამოძიების პროცესში დასაბუთებულია, პატიმრობის საერთო ხანგრძლივობის გონივრულობის საკითხის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: საქმის სირთულე, გამოძიების ორგანოების მხრიდან საქმის წარმოება ჯეროვანი გულმოდგინებით, რაც გულისხმობს საქმის წარმოებას გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე (გამოძიებისას არ გვხვდება დროის მონაკვეთები, რომელთა განმავლობაში გამოძიება მოცემულ საქმეზე არ ახორციელებდა მტკიცებულების მოპოვებას. აღნიშნული არ გულისხმობს დაყოვნების იმ პერიოდებს, რაც ობიექტურად არის საჭირო გამოთხოვილი მტკიცებულების მოპოვებისთვის – მაგალითად, საექსპერტი დასკვნის მისაღებად), რითი იყო გამოწვეული საქმის გამოძიებაში არსებული დაყოვნება – ბრალდების თუ დაცვის მხარის ქმედებით, თუ ობიექტური აუცილებლობით, რა ღონისძიებები გაატარა ბრალდების მხარემ სამართალწარმოების დაჩქარებისთვის.<sup>591</sup> საქმის სირთულე თავის მხრივ დამოკიდებულია დანაშაულის ხასიათზე, სავარაუდო თანამონაწილეების რაოდენობაზე, სამართლებრივი საკითხების სპეციფიკაზე, მტკიცებულებათა მოპოვებასთან დაკავშირებულ ობიექტურ სირთულეებზე. მაგრამ თავისთავად საქმის გამოძიების სირთულე არ წარმოადგენს პატიმრობის ხანგრძლივობის გონივრულობის გადამწყვეტ გარემოებას.<sup>592</sup> ანალოგიურად, პატიმრობის ვადის გაგრძელება არ შეიძლება

<sup>590</sup> Moiseyev v Russia, ECtHR, 09/10/2008, §150.

<sup>591</sup> Kalashnikov v Russia, ECtHR, 17/07/2002, §114-120; Kevin O’Down v the UK, ECtHR, 21/09/2010, §68-70.

<sup>592</sup> Assenov and Others v Bulgaria, ECtHR, 28/10/1998, §153-158; Valle Jaramillo et al. v. Colombia, inter-American Court of Human Rights, 27/11/2008, §156.



ასევე დასაბუთებული იყოს იმ გარემოებით, რომ ბრალდებული იყენებს სსსკ-ით მისთვის მინიჭებულ უფლებებს, რაც ობიექტურად იწვევს სამართალწარმოების გახანგრძლივებას.<sup>593</sup> მაგალითად, როდესაც პირს ბრალად ედებოდა 16 ქურდობის ფაქტი, სტრასბურგის სასამართლომ არ გაითვალისწინა სახელმწიფოს არგუმენტი პატიმრობის ვადის ხანგრძლივობის საქმის სირთულით დასაბუთების შესახებ, ვინაიდან გამოძიების ორგანოების მხრიდან არ დასტურდებოდა საქმისწარმოება ჯეროვანი გულმოდგინებით – პატიმრობის განმავლობაში ბრალდების მხარე პრაქტიკულად არ ახორციელებდა მტკიცებულებების მოძიებას და ამ მიზნით შესაბამის საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებს<sup>594</sup> და სასამართლოში ბრალდების დასაბუთებისათვის წარდგენილი ყველა მტკიცებულება მოპოვებული იყო პირის დაკავებიდან რამდენიმე დღეში.<sup>595</sup>

71. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სსსკ-ის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებდა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში.<sup>596</sup> კერძოდ, პატიმრობის ზღვრული ვადის განსაზღვრასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ „ერთდროულად წარდგენილი რამდენიმე ბრალდების პირობებში ყოველ კონკრეტულ საქმეზე პატიმრობის ზღვრული ვადის განსაზღვრისას ბრალდებულ პირს უნდა ჩაეთვალოს ის პერიოდი, რომელიც მან ბრალის წაყენების შემდეგ, თუნდაც სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გაატარა პატიმრობაში“.<sup>597</sup> სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული არ კრძალავს, რომ ფაქტობრივი თავისუფლების შეზღუდვის ხანგრძლივობა, სხვადასხვა დანაშაულში ბრალდების საფუძველზე პატიმრობის ცალკე-ცალკე/დამოუკიდებლად გამოყენების შემთხვევაში, აღემატებოდეს სსსკ-ის 205-ე მუხლით განსაზღვრულ 9-თვიან ვადას, მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1) როდესაც ადგილი აქვს პატიმრობის განმეორებით გამოყენებას იმ დანაშაულთან მიმართებით, რომელიც პირმა პატიმრობის შეფარდების შემდეგ ჩაიდინა. მაგალითად, პირმა მეორე დანაშაული ჩაიდინა თავისუფლების შეზღუდვის ადგილას ყოფნისას მაშინ, როცა მის მიმართ პირველ დანაშაულთან დაკავშირებით გამოყენებული იყო სსსკ-ის 205-ე მუხლით გათვალისწინებული პატიმრობა. კერძოდ, მაგალითად, სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის მიმართ სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენა პატიმრობა და მოათავსა თავისუფლების შეზღუდვის ადგილას. აღნიშნულიდან მე-5 თვეს პირმა თავისუფლების შეზღუდვის ადგილას ჩაიდინა გაუფრთხილებლობითი მკვლელობა. ამ შემთხვევაში გაუფრთხილებლობითი მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში ვადის ათვლა თავიდან იწყება, რის გამოც, საერთო ჯამში ბრალდებულის თავისუფლების შეზღუდვის ხანგრძლივობა მე-2 დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით განაჩენის დადგენამდე შესაძლებელია ფაქტობრივად 14 თვეს გაგრძელდეს); ან 2) პატიმრობის 9-თვიანი ვადის განმეორებით შეფარდებისას თუ პატიმრობამდე ჩადენილ დანაშაულზე პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველი ბრალდების მხარისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ თავდაპირველ საქმეზე პატიმრობის შეფარდების შემდეგ. მაგალითად, სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ბრალდებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებიდან მე-7 თვეს გამო-

<sup>593</sup> Mamedova v Russia, ECtHR, 01/06/2006, §83.

<sup>594</sup> Assenov and Others v Bulgaria, ECtHR, 28/10/1998, §§153-158.

<sup>595</sup> Teesdale v Trinidad and Tobago, UNHRC, 01/04/2002, §9.3.

<sup>596</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 15/09/2015 წლის გადაწყვეტილება, საქმე №646.

<sup>597</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 15/09/2015 წლის გადაწყვეტილება, საქმე №646, II-34.

- ციების ორგანოსათვის ცნობილი გახდა და ბრალდებულს ბრალი წაეყენა პირველი ბრალდებით (სსკ-ის 260-ე მუხლი) გათვალისწინებული ქმედების ჩადენამდე ერთი წლით ადრე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმისათვის. ამ შემთხვევაში სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაში მის ბრალდებასთან დაკავშირებით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში ვადის ათვლა თავიდან იწყება. შესაბამისად, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის საერთო ზღვრულმა ხანგრძლივობამ ორივე დანაშაულზე ერთობლივად შესაძლებელია შეადგინოს 15 თვე. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ახალი ბრალის წაყენების გზით მანიპულირების თავიდან აცილების მიზნით, ახალი ბრალის წაყენების შემთხვევაში პატიმრობის ვადის თავიდან ათვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდების მხარისათვის ახალი ბრალის წაყენების საფუძველი ცნობილი გახდა პირველ საქმეზე ბრალის წაყენების შემდეგ. შესაბამისად, თუ პირველი ბრალის წაყენების დროს ბრალდების მხარისათვის ცნობილი იყო სხვა დანაშაულში ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობა, მაგრამ ბრალდების მხარემ უარი განაცხადა მეორე ბრალის წაყენებაზე ტაქტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე (რომ მოგვიანებით ახალი ბრალის წაყენების გზით მოეთხოვა პატიმრობის ვადის თავიდან ათვლა), პატიმრობის ვადის ათვლა გრძელდება (ანუ დასაშვებია მხოლოდ იმ ვადით, რა ხანგრძლივობითაც არის დარჩენილი პატიმრობის ვადა პირველი დანაშაულის საქმეზე) და თავიდან არ იწყება. მაგალითად, 1 იანვარს პირს ბრალი წაეყენა სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა პატიმრობა. ბრალდების მხარეს გააჩნდა საკმარისი ინფორმაცია პირისათვის სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ბრალის წაყენებისათვის, მაგრამ ბრალის დაზუსტების მოსაზრებიდან გამომდინარე, პირს არ წაუყენა ბრალი 1 იანვარს. 1 ივნისს ბრალდების მხარემ პირს ბრალი წაუყენა სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედების ჩადენაში და მოითხოვა პატიმრობის გამოყენება. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მეორე ბრალთან დაკავშირებით პატიმრობის გამოყენების ზღვრულ ხანგრძლივობას წარმოადგენს 1 სექტემბერი, ვინაიდან გამოძიების ორგანოსათვის აღნიშნულ ქმედებაში პირის ბრალდებისათვის საკმარისი საფუძველი ცნობილი იყო 1 ივნისს.
- 72.** ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, ბრალდებათა სიმრავლის მიუხედავად, პატიმრობის საერთო ფაქტობრივი ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს 9 თვეს. ამდენად, თუ პირს ერთდროულად ბრალი წაეყენა რამდენიმე ეპიზოდში, რამოდენიმე სხვადასხვა დანაშაულში (იმისდა მიუხედავად, ყველა მათგანი სსკ-ის ერთი და იმავე მუხლით არის კვალიფიცირებული თუ სხვადასხვა, დამთავრებულია თუ დაუმთავრებელი, განზრახია თუ გაუფრთხილებლობითი) და ერთ-ერთი ამ დანაშაულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით მის მიმართ გამოყენებულია პატიმრობა, ყველა სხვა დანაშაულთან მიმართებით მომავალში იკრძალება პატიმრობის გამოყენება ისე, რომ მისმა ჯამურმა საერთო ხანგრძლივობამ გადააჭარბოს 9 თვეს.
- 73.** თუმცა აღნიშნული არ გამოორიცხავს, რომ ერთდროულად წაყენებული თითოეული ბრალდების ფაქტთან დაკავშირებით ბრალდების მხარემ პატიმრობის გამოყენება მოითხოვოს ერთდროულად ყველა ბრალთან მიმართებით, ან მონაცვლეობით – სხვადასხვა დროს სხვადასხვა ბრალდებასთან დაკავშირებით, თუ საერთო ხანგრძლივობა არ აღემატება 9 თვეს. მაგალითად, პირს ბრალი ერთდროულად წაეყენა სხვადასხვა დროს ჩადენილი სსკ-ის 109-ე, 179-ე და 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. ბრალდების მხარეს შეუძლია მოითხოვოს პატიმრობა სსკ-ის 109-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების საქმეზე და თუ სსსკ-ით გათვალისწინებული პატიმრობის გამოყენების ex officio გადამოწმების შედეგად სასამართლო 2 თვის შემდეგ აღარ გააგრძელებს პატიმრობის ვადას აღნიშნული ბრალდების საქმეზე, ბრალდების მხარეს უფლება აქვს პატიმრობა მოითხოვოს სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების საქმეზე და ა.შ..

74. სასამართლოს განმარტებით, „თუ ბრალის წარდგენა ან/და პატიმრობის მოთხოვნა ხელოვნურად ჭიანურდება და გამოიყენება წინასწარი პატიმრობის ვადის ხელოვნურად გასაგრძელებლად, მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც გამოძიებისთვის ცნობილი იყო ის ფაქტები ან/და ინფორმაცია, რომელიც ახალი სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი გახდა, და ბრალის წაყენების საკმარის საფუძველს იძლეოდა, თუმცა, ამის და მიუხედავად, არ მოახდინა პირისათვის ბრალის წაყენება,“<sup>598</sup> პატიმრობის ვადის ათვლა თავიდან არ იწყება. მიუხედავად იმისა, რომ „სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, პროკურორს აქვს დისკრეცია, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, შეარჩიოს დრო, როდესაც, მისი აზრით, ყველაზე ხელსაყრელია ბრალის წარდგენა თუ პატიმრობის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.“<sup>599</sup> დაუშვებელია აღნიშნული დისკრეციული უფლებამოსილებით მანიპულირება და ბრალდებულის თავისუფლების შეზღუდვის ხანგრძლივობის თვითნებურად გაგრძელება ფორმალურად კანონიერი საფუძველით (მაგალითად, ბრალის დაზუსტების მოტივით). სასამართლოს განმარტებით, „ერთ საქმეზე შეფარდებული პატიმრობა ფაქტობრივად უზრუნველყოფს მეორე საქმეზე დევნის განხორციელების მიზნებსაც, დამოუკიდებლად იმისა, არსებობს თუ არა მეორე საქმესთან მიმართებით... პატიმრობის შეფარდების საფუძველები... იმ პირობებში, როდესაც ერთ საქმეზე შეფარდებულია... პატიმრობა, მას სამართლებრივი და პრაქტიკული ეფექტი აქვს ყველა სხვა ბრალდებასთან/საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ბრალდებულის მიმართ არსებობს.“<sup>600</sup> ბრალდებულ პირზე ზემოქმედების თვალსაზრისით, პატიმრობას უფლების შეზღუდვის ერთნაირი ეფექტი აქვს, განურჩევლად იმისა, თუ რომელ დანაშაულში ბრალდებისათვის არის იგი მოთხოვნილი. შესაბამისად, ერთდროულად წარდგენილი რამდენიმე ბრალდების პირობებში მართლმსაჯულების ინტერესების უზრუნველყოფისას ბრალდებულის პატიმრობის მაქსიმალური ვადით დაწესების მიზნები თანაბრად მიემართება თითოეულ საქმეზე სისხლის სამართლებრივ დევნას, მიუხედავად იმისა, თუ რომელ დანაშაულში ბრალდებისათვის იმყოფება პირი პატიმრობაში.<sup>601</sup>
75. პატიმრობის კანონიერების კონცეფცია არ შემოიფარგლება კანონით განერილი საპროცესო მოთხოვნების შესრულებით, ეს ასევე შეეხება იმ ეჭვის გონივრულობას, რის საფუძველზეც განხორციელდა დაპატიმრება, იმ მიზნის კანონიერებას, რა მიზანსაც ემსახურება დაპატიმრება და მის დასაბუთებულობას.<sup>602</sup>
76. სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე პატიმრობაშეფარდებული მსჯავრდებულის და იმ პირის მიმართ, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად უკვე გამოყენებულია პატიმრობა, ახალ ბრალდებასთან დაკავშირებით სასამართლო, როგორც წესი, უარს ამბობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე საერთოდ, მისი მხრიდან მიმალვის და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის შეუძლებლობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ მსგავს ვითარებაში არ არის გამორიცხული მოგვიანებით ბრალდებულის შეწყალება, პირობით ვადამდე გათავისუფლება, ამნისტიის გამოყენება და ა.შ. რის გამოც იმისდა მიუხედავად, რომ შუამდგომლობის დაყენების მომენტში პირს თავისუფლება შეზღუდული აქვს, და მისი მხრიდან მოცემულ მომენტში გამორიცხულია მიმალვა, ახალი დანაშაულის ჩადენა ან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აღნიშნული საფრთხეები შესაძლებელია რელევანტური გახდეს მოგვიანებით მისი გათავისუფლების შემთხვევაში. ამიტომ დეტალურად უნდა შეფასდეს საფრთხის რეალულობა და აღკვეთის

<sup>598</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 15/09/2015 წლის გადაწყვეტილება, საქმე №646, II-34.

<sup>599</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 15/09/2015 წლის გადაწყვეტილება, საქმე №646, II-37.

<sup>600</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 15/09/2015 წლის გადაწყვეტილება, საქმე №646, II-39.

<sup>601</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 15/09/2015 წლის გადაწყვეტილება, საქმე №646, II-33.

<sup>602</sup> Ramishvili and Kokhredze v Georgia, ECtHR, 27/01/2009§124; Lamy v Belgium, ECtHR, 30/03/1989, §30; Garcia Alva v Germany, ECtHR, 13/02/2001, §§ 39-43.

ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა.

77. სსსკ-ის 205-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიზანია ბრალდებულის უსაფრთხოების და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენცია. მე-4 ნაწილის თანახმად, ერთმანეთთან კომუნიკაციის (მაგალითად, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენციისათვის) შეზღუდვა დაშვება: 1. ერთ საქმეზე ბრალდებულ პირებს შორის; 2. სხვადასხვა საქმეზე ბრალდებულ პირებს შორის, მაგალითად, როდესაც პროცესის მწარმოებელ ორგანოს გააჩნია ეჭვი, რომ დანაშაულები, რომლებისთვისაც ამ პირებს წარედგინათ ბრალი შესაძლებელია ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული ან არსებობს ეჭვი, რომ ერთ-ერთი ბრალდებულისთვის ცნობილი იყოს სხვა ბრალდებულის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ ისეთი ინფორმაცია, რომლის დამალვის მიზნით შესაბამისი ბრალდებულის მხრიდან შესაძლებელია განხორციელდეს ბრალდებულზე ფიზიკური/ფსიქოლოგიური ძალადობა/მუქარა.
78. აღნიშნულის გამოყენების წინაპირობად სსსკ-ი ითვალისწინებს: 1) ბრალდებულები მოთავსებულნი უნდა იყვნენ ერთსა და იმავე საგამოძიებო იზოლატორში; 2) აღნიშნული წესი ვრცელდება მხოლოდ საგამოძიებო იზოლატორში (და არა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირებზე) მოთავსებულ ბრალდებულებზე; 3) იზოლაციის შესახებ სავალდებულო მითითების გაცემის უფლება აქვს როგორც სასამართლოს, ასევე პროკურორს და გამომძიებელს (გამომძიებელს არ სჭირდება პროკურორის თანხმობა ან დავალება)
79. ბრალდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსების წესი განისაზღვრება კანონმდებლობით. აღნიშნული წესი შესაძლებელია შეიცვალოს დროებით მხოლოდ სასამართლოში საქმის განხილვის ვადით და როდესაც აღნიშნული გადაწყვეტილება გამართლებულია ბრალდებულის ინტერესების დაცვის მიზნით.
80. მე-6 ნაწილი ბრალდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსების ზოგადი წესის შეცვლის წინაპირობად ადგენს კუმულაციურად: 1) ტერიტორიულ დაშორებას (დიდი გზა/მნიშვნელოვანი მანძილი) ბრალდებულის მოთავსების ადგილსა და სასამართლო სხდომის ადგილს შორის. მაგალითად, თბილისი-ქუთაისი; 2) ბრალდებულის გადაყვანასთან დაკავშირებულ სირთულეებს, მაგალითად, უსაფრთხოების/ტრანსპორტირება-ბადრაგირებასთან დაკავშირებული სირთულეები, მათ შორის, ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის, სტიქიური მოვლენების, არეულობის, მასობრივი გამოსვლების, კლიმატური პირობების (დიდი სიცხე/ყინვები, თოვლის საფარველის სიმაღლე და სხვა), რაც საფრთხეს უქმნის ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას ან სიცოცხლეს. მაგრამ აქ არ იგულისხმება ადმინისტრაციული/მატერიალური რესურსების სიმცირე ან/და სხვა სირთულეები; 3) სასამართლოს განჩინება – მე-4 ნაწილისგან განსხვავებით, ბრალდებულის დროებითი მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება არ აქვს არც პროკურორს და არც გამომძიებელს; 4) დროებითი მოთავსება დაიშვება მხოლოდ საქმის სასამართლო განხილვის ხანგრძლივობით, პირველ რიგში, იგულისხმება საქმის არსებითი განხილვა, რაც როგორც წესი რომოდენიმე დღე გრძელდება. სსსკ-ი არ არეგულირებს საკითხს, როდესაც განხილვებს შორის მხარის მოთხოვნით ცხადდება ხანგრძლივი შესვენება (მაგალითად, რამოდენიმე კვირის/თვის ხანგრძლივობით). შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია ბრალდებული მთელი სასამართლო განხილვის ვადით მოათავსოს მე-6 ნაწილით განსაზღვრულ დაწესებულებაში, თუმცა გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბრალდებულის ოჯახური ურთიერთობის და პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ვალდებულება. ამიტომ „განხილვისას“ განმარტებულ უნდა იქნეს ვინაობა – მხოლოდ უშუალოდ სასამართლო განხილვის მიმდინარეობის ვადით ბრალდებულის გადაყვანის შესაძლებლობა (გამონაკლისია, როდესაც სხდომებს შორის რამოდენიმე დღიანი შესვენება ცხადდება, რაც იმდენად მცირეა, რომ მიზანშეწონილი არ არის ბრალდებულის დაბრუნება მისი განთავსების ადგილას. მაგალითად, თბილისში განთავსებული ბრალდებულის საქმის ქუთაისში განხილვის შემთხვევაში, სასამართლო სხდომებს შორის ერთდღიანი ინტერვალის არსებობის შემთხ-

ვევაში, ბრალდებულის უკან დაბრუნება თბილისში, როგორც წესი, არ არის მიზანშეწონილი მგზავრობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, ვინაიდან სასამართლო განხილვაზე ბრალდებული, დადლილობისგან ვერ შეძლებს დაცვის უფლების ეფექტიანად განხორციელებას.

## მუხლი 206. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, შეცვლა და გაუქმება

1. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, შეცვლა და გაუქმება ხდება ამ კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული განსჯადობით. აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვა შესაძლებელია ასევე წინასასამართლო სხდომაზე და საქმის არსებითი განხილვისას, ამ კოდექსით დადგენილი წესით.
2. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით პროკურორი სასამართლოს მიმართავს დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა.
3. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობას მოსამართლე განიხილავს მისი წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლისა და გაუქმების საკითხები განიხილება ღია სასამართლო სხდომაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს სასამართლო სხდომის დახურვის ამ კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლები. მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად, მხარეთა მონაწილეობით. მოსამართლე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს, რა შუამდგომლობა განიხილება, ასახელებს პროცესის მონაწილეებს და არკვევს, არის თუ არა აცილებები. შუამდგომლობის ავტორი ასაბუთებს მას. შემდეგ სიტყვა ეძლევა მეორე მხარეს, რის შემდეგაც მხარეები უფლებამოსილი არიან ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები. მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.
4. მხარე უფლებამოსილია სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და ინფორმაცია.
5. შუამდგომლობაში უნდა აისახოს ბრალდებულის საიდენტიფიკაციო მონაცემები, ბრალდების არსი, აგრეთვე ნებისმიერი ინფორმაცია თუ მტკიცებულება, რომელსაც ბრალდება ემყარება, და მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება. შუამდგომლობის დასაბუთებულობისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე უფლებამოსილია სათანადო საფუძვლის მითითებით უარყოს შუამდგომლობაში აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება და ბრალდებულს შეურჩიოს სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ან საერთოდ არ გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიება. (8.07.2015 № 3976)
6. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინებაში უნდა აღინიშნოს: განჩინების შედგენის თარიღი და ადგილი, მოსამართლის, პროკურორის, ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ვინაობა, წარდგენილი ბრალდების არსი, მითითება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან მასზე უარის თქმის შესახებ. ამასთანავე, განჩინებაში ზუსტად უნდა მიეთითოს: რა არის განჩინების არსი და ვისზე ვრცელდება განჩინება; მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც მოსამართლე დარწმუნდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების აუცილებლობაში; რომელი თანამდებობის პირი ან ორგანოა ვალდებული, შეასრულოს განჩინება; განჩინების გასაჩივრების წესი; მოსამართლის ხელმოწერა (მათ შორის, ელექტრონული). (8.07.2015 № 3976)
7. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინების 1 ეგზემპლარი რჩება სასამართლოში და თითო ეგზემპლარი გადაეცემა ბრალდებულს ან მის ადვოკატს, გამოძიებელს, პროკურორს, აღკვეთის ღონისძიების აღმასრულებელ დანესებულებას, ხოლო იმ მსჯავრდებულისათვის, რომელსაც შეფარდებული აქვს არასაპატიმრო სასჯელი, ან პირობით მსჯავრდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების, შეცვლის ან

გაუქმების შესახებ განჩინების 1 ეგზემპლარი ეგზავნება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს. (04.10.2013. №1473)

8. მხარე უფლებამოსილია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მაგისტრატი მოსამართლე შუამდგომლობის წარდგენიდან 24 საათში, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხს, კერძოდ, წყვეტს, რა ახალი, არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხებია დასმული და მტკიცებულებებია წარმოდგენილი, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესაძლებლობაზე. შუამდგომლობის დასაშვებობის თაობაზე მაგისტრატ მოსამართლეს გამოაქვს განჩინება. შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში სასამართლო აცხადებს ზეპირ მოსმენას ამ კოდექსით დადგენილ ვადაში, ამ მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით. (8.07.2015 № 3976)

9. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცებების ტვირთი ყველა შემთხვევაში ბრალდების მხარეს ეკისრება. (8.07.2015 № 3976)

10. დაპატიმრების შერჩევის შესახებ შუამდგომლობა სასამართლოს შეიძლება წარედგინოს ბრალდებულის მიმალვის შემთხვევაშიც, ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით. ასეთ შემთხვევაში დაპატიმრების შემდეგ ბრალდებული გამოძიების ადგილას მიყვანიდან არა უგვიანეს 48 საათისა უნდა წარედგინოს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. ეს ვადა სტიქიური უბედურების დროს ან სხვა დაუძლეველი ძალის მოქმედებისას, აგრეთვე ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების დროს, რაც დადასტურებულია სამედიცინო ცნობით, რის გამოც შეუძლებელია ბრალდებულის წარდგენა შესაბამის სასამართლოში, შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 15 დღით, ხოლო ძებნილი ბრალდებულის უცხოეთში დაკავების შემთხვევაში საქართველოში გამოძიების ადგილზე ჩამოყვანიდან არა უგვიანეს 48 საათისა იგი უნდა წარედგინოს შესაბამის სასამართლოს. მოსამართლე ისმენს მხარეთა განმარტებებს, რის შემდეგაც იღებს გადაწყვეტილებას აღკვეთის ღონისძიების გაუქმების, შეცვლის ან ძალაში დატოვების შესახებ.

11. სასამართლო აცხადებს ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე გამოტანილი განჩინების სარეზოლუციო ნაწილს. თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, მოსამართლე ზეპირად, მოკლედ განუმარტავს მხარეებს, თუ რა მტკიცებულებების საფუძველზე გამოიყენა მან აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა და რატომ მიიჩნია, რომ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით აღკვეთის ღონისძიების მიზანი ვერ მიიღწეოდა. (8.07.2015 № 3976)

12. ამოღებულია (21.06.2011. №4868)

1. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცებების ტვირთი ყველა შემთხვევაში ბრალდების მხარეს ეკისრება, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მხარის ინიციატივით ხდება საკითხის განხილვა.<sup>603</sup> ბრალდების მხარეა ვალდებული წარმოადგინოს აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის პროპორციულობის და იმის დასაბუთება, თუ რატომ ვერ იქნება მიზანი მიღწეული სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით, უნდა ამტკიცოს იმ გარემოების არსებობა, რაც პატიმრობის საწყის ეტაპზე და შემდგომშიც ამართლებს პირის თავისუფლების შეზღუდვას.<sup>604</sup> მტკიცებების ვალდებულება ბრალდების მხარეს ეკისრება როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის ex officio, ასევე დაცვის მხარის ინიციატივით გადასინჯვის შემთხვევაში. დაცვის მხარის შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას, ბრალდების მხარე ვალდებულია ამტკიცოს როგორც დაცვის მხარის შუამდგომლობის დაუსაბუთებლობა და აღკვეთის ღონისძიების შეცვლის/

<sup>603</sup> Ilijkov v Bulgaria, ECtHR, 26/07/2001§84-85; UN A/HRC/4/26/Add.3, 14/12/2006, §34.

<sup>604</sup> Ilijkov v Bulgaria, ECtHR, 26/07/2001,§85

- გაუქმებისათვის საფუძვლების არარსებობა, ასევე შერჩეული აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების აუცილებლობა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის თავიდან აცილების და სამართლიანი სასამართლო განხილვის მიზნებისათვის. შესაბამისად, გადასინჯვის დაცვის მხარის მიერ ინიცირების შემთხვევაში, დაცვის მხარემ უნდა დაასაბუთოს შუამდგომლობის საფუძვლიანობა და დასაშვებობა, მაგრამ ბრალდების მხარე ვალდებულია ამტკიცოს, გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების კვლავ გამოყენების აუცილებლობა და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ირელევანტულობა ბრალდებულის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხის გაუქმებისათვის.
2. სსსკ-ის 206-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დასაშვებობის პირობად დაცვის მხარის მიერ ახალ გარემოებაზე მითითების კონსტიტუციურობაზე უდანაშაულობის პრეზუმფციასთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია არეგულირებს პირის ბრალეულობის საკითხს და ითვალისწინებს პირზე საკუთარი უდანაშაულობის მტკიცების ტვირთის დაკისრების აკრძალვას, ხოლო აღკვეთის ღონისძიების მიზანია ბრალდებულის ისეთი არაჯეროვანი ქცევის პრევენცია, რომელიც ხელს შეუშლის საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებას. შესაბამისად, ბრალდებულს არ ეკისრება ისეთი მტკიცებულების წარმოდგენა, რაც უკავშირდება მისთვის შერაცხულ ქმედებაში მონაწილეობის/ ბრალეულობის საკითხს, არამედ სათანადო ქცევის უზრუნველყოფელი გარანტიების ვარგისიანობას და პროპორციულობას უკავშირდება. შესაბამისად, „პირისათვის აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახის შერჩევა არ გულისხმობს მის დამნაშავედ ცნობას. აღკვეთის ღონისძიებას გააჩნია მკაცრად განსაზღვრული მიზნები... შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის მოთხოვნისას ბრალდებულისთვის ახალი გარემოების დადასტურების ვალდებულების დადგენა არ უნდა ჩაითვალოს მისი უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად. იმავე ლოგიკით სადავო ნორმებს არ აქვთ მიმართება კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტთან.“<sup>605</sup>
  3. აღკვეთის ღონისძიების შეცვლა/გაუქმება: სსსკ-ი ითვალისწინებს შერჩეული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის/გაუქმების შესაძლებლობას სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე.
  4. ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნის უფლება მხარეს გააჩნია ნებისმიერ სტადიაზე პირველი წარდგენის სხდომიდან წინასასამართლო სხდომამდე პერიოდში, წინასასამართლო სხდომაზე და საქმის არსებითი განხილვისას. იმავდროულად, სსსკ-ი არ ზღუდავს მხარეს მხოლოდ აღნიშნული სტადიებით და მხარის შუამდგომლობის საფუძველზე საკითხის განხილვის შესაძლებლობას ითვალისწინებს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, გონივრული პერიოდულობით. სსსკ-ი ადგენს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის/გადასინჯვის ერთადერთ წინაპირობას – ინიციატორმა მხარემ უნდა წარმოადგინოს ახალი გარემოება, რომელიც უცნობი იყო აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას. შესაბამისად, თუ მხარემ მოიძია ახალი არსებითი გარემოება იმისდა მიუხედავად, იმავე სტადიაზე უკვე იმსჯელა თუ არა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხზე, მას შეუძლია შუამდგომლობის თავიდან დაყენება.
  5. აღკვეთის ღონისძიების და მათ შორის პატიმრობის გამოყენების გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობა დასაშვებია, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ მხარის მიერ წარმოდგენილია ახალი გარემოება, რომელიც ადრე არ იყო გამოვლენილი აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას და ეს საკითხი არსებითად არ იყო გამოკვლეული და განხილული.
  6. კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ახალი გარემოების ცნებას. ეს შეიძლება იყოს შეცვლილი ვითარება – მაგალითად, თუ პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანს წარმოადგენდა მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლის პრევენცია, მაშინ გამოძიების დასრულებისას, როდესაც ყველა მტკიცებულება მოპოვებული და დამაგრებულია მცირდება მტკიცებულების განადგურების შესაძლებლობა და საფრთხე.

<sup>605</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/06/2015 წლის საოქმო ჩანაწერი № 646 , II-33-34.

7. ახალ გარემოებას მიეკუთვნება ასევე გარემოება, რომელიც განჩინების გამოტანის მომენტისათვის ცნობილი იყო მხარისათვის, მაგრამ არ იყო წარმოდგენილი სასამართლოში და მისი არსებობა უცნობი იყო მონინალმდევე მხარისა და სასამართლოსთვის.
8. ახალი გარემოება უნდა უკავშირდებოდეს სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ საფრთხეებს. უნდა მიუთითებდეს აღნიშნული საფრთხის შემცირებაზე ან იმაზე, რომ საფრთხე პრაქტიკულად აღარ არსებობს, ან, პირიქით, რომ აღნიშნული საფრთხე გაიზარდა. თუ მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ საფრთხე აღარ არსებობს, მაშინ არ არსებობს არც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი.
9. აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხი დაისმის იმ შემთხვევაშიც, როდესაც: 1) იცვლება აღკვეთის ღონისძიების ე.წ. სპეციალური სუბიექტი – მაგალითად, ბრალდებული რომლის მიმართაც გამოაყენებული იყო სსსკ-ის 204-ე ან 201-ე მუხლით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიება გახდა სრულწლოვანი და დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან; 2) ამოიწურა პატიმრობის გამოყენების ზღვრული ვადა; 3) თავმდები/ გირაოს შემტანი პირი უარს აცხადებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე; 4) ბრალდებულის მხრიდან ადგილი აქვს აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევას; 5) შეცვლილი ვითარებიდან გამომდინარე თავდაპირველი აღკვეთის ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს სსსკ-ის 198-ე მუხლით გათვალისწინებული საფრთხეების პრევენციას.
10. შუამდგომლობა შესაძლებელია დასაბუთებული იყოს მხოლოდ ახალი გარემოებით – შუამდგომლობას უნდა დაერთოს აღნიშნული გარემოების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება/მასალა, რაც მიუთითებს: 1) ერთი მხრივ აღნიშნული გარემოების მნიშვნელობაზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისათვის; და 2) რომ აღნიშნული გარემოება მოპოვებული იქნა მხარის მიერ განჩინების გამოტანის შემდეგ. თუ შუამდგომლობას არ ერთვის ახალი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, შუამდგომლობა დაუშვებელია. (სასამართლოს შეუძლია მხარეს მისცეს მცირეოდენი დამატებითი დრო აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუმცა სსსკ-ით სასამართლო განხილვისათვის განსაზღვრული დროის სიმცირის გამო, აღნიშნული სასამართლოს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული). როდესაც შუამდგომლობას ერთვის მასში მითითებული ახალი გარემოების დამადასტურებელი ინფორმაცია/ მასალა, სასამართლომ უნდა შეაფასოს რამდენად არსებითია ახალი გარემოება და ახდენს თუ არა ის გავლენას გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების მართლზომიერებაზე. თუ ახალი გარემოება არსებითად იგივე გარემოებაა, რომელიც შესწავლილი იყო სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის გადაწყვეტისას (მაგალითად შეცვლილია საპროცესო ფორმა, მაგრამ შინაარსობრივად აღნიშნული ინფორმაცია სხვა ფორმით ცნობილი იყო სასამართლოსთვის განჩინების გამოტანისას. მაგალითად, მიმალვის საფრთხეს ადრე ბრალდების მხარე ადასტურებდა მოწმის ჩვენებით იმის შესახებ, რომ ბრალდებული ცდილობდა საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას რის გამოც დახმარება სთხოვა მას ყალბი პასპორტის დამზადებაში. მოგვიანებით მხარემ წარმოადგინა აღნიშნული საუბრის ამსახველი ვიდეო ფირი და ითხოვა აღკვეთის ღონისძიების გამკაცრება) – დაკმაყოფილებული არ არის სსსკ-ის 206-ე მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან წარმოდგენილი ინფორმაცია არ ეხება ახალ გარემოებას და ის მართალია განსხვავებული სახისაა, მაგრამ მისი შინაარსი/ აღნიშნული გარემოება უკვე იყო სასამართლოს შესწავლისა და შეფასების საგანი.
11. შუამდგომლობის დასაბუთებისათვის მხარე უთითებს როგორც ახალ გარემოებებს, ასევე იმავე გარემოებებს, რომლებიც ცნობილი იყო განჩინების გამოტანისას – ამ შემთხვევაში შუამდგომლობის ნაწილი, რომელიც ეხება ახალ გარემოებას – ახალი გარემოების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოუდგენლობის გამო დაუშვებელია, ხოლო უკვე გამოკვლეული გარემოების ნაწილში სასამართლომ უნდა შეაფასოს რამდენად არსებითი ხასიათის მატარებელია ეს გარემოება და იყო თუ არა ეს გარემოება სასამართ-



- ლოს მიერ სრულყოფილად გამოკვლეული აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, ასევე – გამოკვლეული იყო თუ არა ადრე სასამართლოს მიერ არსებითად იგივე საკითხები და არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება გამოკვლეული, რომელსაც შეეძლო ზეგავლენის მოხდენა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხზე.
12. შუამდგომლობა დასაბუთებულია მტკიცებულებებით, რაც ცნობილი იყო განჩინების გამოტანისას, მაგრამ არ იყო გამოკვლეული/შესწავლილი და შეფასებული სასამართლოს მიერ – აღნიშნული არსებითად/შინაარსობრივად წარმოადგენს გასაჩივრებას/საჩივარს და არა შეცვლის შესახებ შუამდგომლობას.
  13. აღკვეთის ღონისძიების შეცვლა უფრო მკაცრი სახით შესაძლებელია გულისხმობდეს როგორც სხვა სახის ძირითადი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, ასევე იმავე აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას პირობის მოდიფიცირებით (მაგალითად, გირაოს ოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა, დამატებითი ღონისძიებების გამოყენება).
  14. ბრალდებულისთვის ბრალდების დამძიმება (ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა, იმავე დანაშაულის ახალი ეპიზოდის დამატება) არ იწვევს გარდაუვლად აღკვეთის ღონისძიების შეცვლის აუცილებლობას, თუ ბრალდებულს მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების პირობები არ დაურღვევია. ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბრალდებულისთვის ხდება ახალი ბრალის წაყენება სხვა დანაშაულში, რომელიც არ არის დაკავშირებული პირველ დანაშაულთან, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის / ახალი ბრალისთვის ცალკე აღკვეთის ღონისძიების განსაზღვრის საკითხი არ დაისმის, თუ ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია პატიმრობა. აღკვეთის ღონისძიების გამკაცრების საკითხი (შეცვლის ან ცალკე ბრალთან მიმართებით ახალი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი) დაისმის, თუ ბრალდებულის მიმართ გამოყენებული ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, ვითარების შეცვლის გამო აშკარად ვეღარ უზრუნველყოფს პრევენციულ მიზნებს. მაგალითად, თუ ბრალდებულის მიერ დარღვეულ იქნა მის მიმართ გამოყენებული ნებისმიერი აღკვეთის ღონისძიების პირობები და განხორციელდა მოწმეებზე ზემოქმედება, ჩაიდინა ახალი დანაშაული და სხვა. გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევა, მართალია, მიუთითებს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაზე, მაგრამ ცალსახად არ ადგენს პატიმრობის გამოყენების აუცილებლობას. განსხვავებულია ვითარება, თუ ბრალდებული მიიმალა – სსსკ-ი, მის მიმართ ითვალისწინებს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლას მხოლოდ პატიმრობით.
  15. ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი ავტომატურად არ გულისხმობს მის მიმართ ყველაზე მკაცრი სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებულობას. მაგალითად, როდესაც ბრალდებული არღვევს მის მიმართ 2000 ლარის ოდენობით გამოყენებული გირაოს პირობებს და არ ცხადდება სასამართლო განხილვაზე სასამართლოსთვის უცნობი მიზეზით, აღნიშნული ავტომატურად არ გულისხმობს ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების დასაბუთებულობას. სსსკ-ი სასამართლოს ანიჭებს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების და არა უპირობოდ პატიმრობის გამოყენების უფლებას, სასამართლო ვალდებულია გადაამოწმოს ბრალდებულის გამოცხადების პროცედურის სათანადოდ ჩატარება და დარწმუნდეს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, რომ ბრალდებულმა ცალსახად უარი თქვა სასამართლო სხდომაზე გამოცხადებაზე, არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ ბრალდების მხარის ზეპირ განმარტებას და შესწავლილ უნდა იქნეს საქმის კონკრეტული გარემოებები (დანაშაულის ხასიათი, ბრალდებულის პიროვნება, დააშაულის ჩადენის ხერხი, მიზანი, მოტივი, ბრალდებულის დამოკიდებულება დაზარალებულისადმი, გამოძიების ორგანოებთან თანამშრომლობის და სხვა გარემოებები). ამიტომ, პატიმრობის გამოყენება იმაზე აპელირებით, რომ „ბრალდებულის სასამართლოში გამოუცხადებლობამ საგამოძიებო კოლეგია

- დაარწმუნა ბრალდების მხარის საჩივრის საფუძვლიანობაში<sup>606</sup>, აღნიშნული ფაქტის გარდა საქმის სხვა გარემოებების შესწავლის/ანალიზის/ სხვა გარემოებებზე მითითების გარეშე დაუსაბუთებელია.
16. სასამართლო ბრალდებულის აღიარებით ჩვენებას და გამოძიებასთან აქტიურ თანამშრომლობას მიიჩნევს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძვლების შეცვლად, იმ ახალ არსებითი ხასიათის გარემოებად, რაც არ გამოუკვლევია სასამართლოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას და რომელთა გამოკვლევასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების /შეცვლის მართლზომიერებაზე და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე.<sup>607</sup>
  17. ბრალდებულის გამოძიებასთან აქტიური თანამშრომლობა გავლენას ახდენს გამოსაყენებელი აღკვეთის ღონისძიების სახეზე და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გამოძიების წინაშე არსებული რისკების ინტენსივობას. მაგალითად, თუ ბრალდებულმა დანაშაულის აღიარებით და აქტიური თანამშრომლობით ხელი შეუწყო გამოძიებას ნარკოტიკული საშუალების წარმომავლობის დადგენაში, დაასახელა გამომგზავნი და მიუთითა დანაშაულთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი ყველა გარემოება, ამით მნიშვნელოვანწილად შემცირდა ის საფრთხე, რაც მომდინარეობდა ბრალდებულისგან მისთვის პატიმრობის შეფარდების დროს. მისი ქმედება მიუთითებს, რომ ის ახლა გაცილებით ნაკლებ საფრთხეს უქმნის გამოძიებას მტკიცებულებათა მოპოვებაში, არ არსებობს მათი განადგურების რისკი, ნაკლებია ახალი დანაშაულის ჩადენის და მიმალვის ალბათობა.
  18. ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება და გამოძიებასთან აქტიური თანამშრომლობა წარმოადგენს ახალ არსებით გარემოებას, რაც ქმნის ბრალდებულისთვის შერჩეული აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობის და კვლავაც აუცილებლობის გადასინჯვის საფუძველს. „ბრალდებულის გამოძიებასთან აქტიური თანამშრომლობა სწორედ ისეთი არსებითი ხასიათის ახალი გარემოებაა, რაც გავლენას ახდენს გამოსაყენებელი აღკვეთის ღონისძიების სახეზე და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გამოძიების წინაშე არსებული რისკების ინტენსივობის საკითხს.“ თუმცა აქტიურ თანამშრომლობაში იგულისხმება ბრალდებულის მხრიდან გამოძიების ორგანოების დახმარება ახალი მტკიცებულებების, მათ შორის – დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირების იდენტიფიცირებაში, მაგალითად, შემკვეთის ვინაობა, ნარკოტიკული ნივთიერების გამომგზავნის ვინაობა, ნარკოტიკული საშუალების წარმომავლობის დადგენა და სხვა. აღნიშნული მიუთითებს რომ ბრალდებულის „ახლა გაცილებით ნაკლებ საფრთხეს უქმნის გამოძიებას მტკიცებულებათა მოპოვებაში, არ არსებობს მათი განადგურების რისკი, ნაკლებია ახალი დანაშაულის ჩადენის და მიმალვის საფრთხე.“<sup>608</sup> თუმცა აღნიშნული არ გამოირიცხავს ყველა საფრთხეს. ამიტომ ბრალდებულის მხრიდან თანამშრომლობის ფაქტი წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის, მაგრამ არა მისი გაუქმების ან უპირობოდ უფრო ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საფუძველს. ამ შემთხვევაშიც განხილულ უნდა იქნეს საქმეში არსებული ყველა გარემოება იმისათვის, რომ გამოირიცხოს ბრალდებულის მხრიდან გამოძიების ორგანოებით მანიპულირების და მიმალვის/ მტკიცებულების განადგურების/ მონმეებზე ზემოქმედების საფრთხე.
  19. დაცვის მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე იმ გარემოებაზე მითითებით, რომ არც ერთი მოწმე, რომელიც დაიკითხა ბრალდების მხარის მიერ. არ მუშაობდა ბრალდებულის უშუალო დაქვემდებარებაში, ყველა მათგანი იყო მედიაკომპანიის თანადამფუძნებლები, სასამართლომ მიიჩნია ახალ გარემოებად, მაგრამ არა ისეთი მნიშვნელობის, რომ მის საფუძველზე გამართლებული ყოფილიყო გამოყენებული აღკვეთის

<sup>606</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 06/06/2013 წლის განჩინება, საქმე № 1გ/333.

<sup>607</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29/01/2015 წლის განჩინება, საქმე №1გ/98.

<sup>608</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29/01/2015 წლის განჩინება, საქმე №1გ/98.

ღონისძიების გადასინჯვა.<sup>609</sup>

20. შუამდგომლობის განხილვის პროცედურა: აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის გაუქმების შუამდგომლობის განხილვა ხორციელდება ერთნაირი პროცედურით.
21. ერთზე მეტი პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნისას პროკურორს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს ერთი შუამდგომლობით და სასამართლოსაც გამოაქვს ერთი განჩინება, მაგრამ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები და დასაბუთება მოცემული უნდა იყოს თითოეულ ბრალდებულთან მიმართებით ცალ-ცალკე თითოეული მათგანის ინდივიდუალური მახასიათებლების და დანაშაულის ჩადენაში მათი როლის შესაბამისად.
22. მხარემ შუამდგომლობაში უნდა მიუთითოს ინფორმაცია, რომელიც ხასიათდება რელევანტურობით და სარწმუნოების თუნდაც მინიმალური ხარისხით, რომელიც პროცესის მწარმოებელ სუბიექტს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაარწმუნებს შუამდგომლობაში მითითებული მოთხოვნის დასაბუთებულობასა და შუამდგომლობის დასაშვებობაში (მათ შორის შეუძლია გამოიყენოს დაუშვებელი მტკიცებულებები, ვინაიდან მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი წყდება მოგვიანებით წინასასამართლო სხდომაზე). მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის დასაბუთებულობისათვის ბრალდების მხარემ შეიძლება გამოიყენოს ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაცია (პატაკი კონფიდენცის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესახებ), ირიბი ჩვენება, საგაზეთო პუბლიკაცია, ელექტრონული მიმონერა დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის და ა.შ). სასამართლო და დაცვის მხარე მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმონ აღნიშნული ჩვენების (პატაკის, პუბლიკაციის, მიმონერის) სანდოობა და პირველწყაროს რეალური არსებობა.
23. აღნიშნული ინფორმაციის დასაშვებობაზე მსჯელობა ანდა მისი შეფასება დასაშვებობის კუთხით დაიშვება მხოლოდ წინასასამართლო სხდომაზე. იმავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობის განხილვა ხდება ზეპირი მოსმენით სასამართლოზე, მხარეს არ აქვს შესაძლებლობა ეფექტიანად იდავოს აღნიშნული მტკიცებულების სარწმუნოების ან სანდოობის შესახებ (სსსკ-ის 206-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურა არ ითვალისწინებს შესაბამისი ინფორმაციის, მტკიცებულების გამოკვლევას მხარეს არ აქვს შესაძლებლობა უშუალოდ დაჰკითხოს პირები, ვისი ჩვენებითაც დასტურდება ბრალდებულის მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედება ან მიმალვის განზრახვა. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სხდომასთან მიმართებით). მოგვიანებით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ მხარეს შესაძლებლობა აქვს გაასაჩივროს სასამართლოს განჩინების დასაბუთებულობა/კანონიერება. თუმცა გასაჩივრების სტადიაზე, როგორც წესი, ყურადღების გამახვილება შესაძლებელია განჩინების დაუსაბუთებლობაზე და მასში მითითებული რისკების დამადასტურებელი მტკიცებულებების არასაკმარისობაზე ან წინააღმდეგობრიობაზე მიმალვის/მტკიცებულებების განადგურების/მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხის დასაბუთებულობისათვის. რაც შეეხება განჩინების გასაჩივრებას მტკიცებულების სანდოობის ან დაუშვებლობაზე აპელირებით, აღნიშნულის ამ ეტაპზე განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია.
24. შუამდგომლობასთან ერთად სასამართლოში სავალდებულოა არა მთლიანად საქმის მთელი მასალის, არამედ მხოლოდ „შუამდგომლობის განხილვისათვის მნიშვნელოვანი“ ყველა იმ მტკიცებულების ასლების წარდგენა, რომლებიც ადასტურებენ შუამდგომლობაში მითითებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას (მაგალითად, პატიმრობის გამოყენების მოთხოვნის შემთხვევაში – დაკავების ოქმი, რომელშიც მითითებული სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისას ბრალდებულის დაკავებისას მისი მხრიდან წინააღმდეგობის განყვის შესახებ, დაკავების განმარტაციელებელი პირების

<sup>609</sup> Ramishvili and Kokhraidze v Georgia, ECtHR, 27/01/2009, §39.

- ჩვენება და დაკავების ამსახველი ვიდეოფირი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც მიუთითებს, რომ ბრალდებულის სახელზე რიცხული მთელი ქონების გასხვისება განხორციელდა პირისთვის ბრალდების წარდგენის შემდეგ, ინფორმაცია საზღვარგარეთ ბრალდებულის კავშირების და ნათესავ-მეგობრების შესახებ, რომელთანაც ბრალდებულს ბოლო პერიოდში ჰქონდა მჭიდრო სატელეფონო/ინტერნეტკავშირი სატელეფონო საუბრის ამსახველ ჩანაწერთან ერთად და სხვა.
25. შუამდგომლობასთან ერთად სასამართლოს სავალდებულო წესით უნდა წარედგინოს: დადგენილება ბრალდების შესახებ, ინფორმაცია ბრალდებულის ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობის შესახებ, ყველა იმ წერილობითი მტკიცებულების ასლი, რომელიც მიუთითებს მიმალვის/მტკიცებულების განადგურების, ახალი დანაშაულის ჩადენის ან მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეებზე/მცდელობაზე, მათ შორის, გადაუდებელი აუცილებლობის ფორმატში განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების ოქმები, ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ცნობა ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ასაბუთებენ შუამდგომლობას.
26. სასამართლოს მხარის შუამდგომლობით უფლება აქვს მაგრამ ვალდებული არ არის მისცეს დამატებითი დრო ცალკეული მტკიცებულების სასამართლოში წარმოსადგენად. აღნიშნული არ ათავისუფლებს სასამართლოს შუამდგომლობის განხილვის 24 საათიანი ვადის დაცვის მოვალეობისგან.
27. შუამდგომლობის განხილვა შედგება ორი ეტაპისგან: 1) შუამდგომლობის დასაშვებობის შემოწმება; 2) შუამდგომლობის არსებითი განხილვა. დასაშვებობის სტადია უნდა გაიაროს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ ნებისმიერმა შუამდგომლობამ იმისდა მიუხედავად, თუ რომელი მხარის მიერ არის შეტანილი.
28. აღკვეთის ღონისძიების შეცვლის/გაუქმების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას დასაშვებობის ეტაპზე იხილება შემდეგი საკითხები:
- შუამდგომლობა შეტანილია უფლებამოსილი პირის მიერ
  - ეხება თუ არა ახალ გარემოებას
  - ეხება თუ არა არსებითად იმავე საკითხებს, რომლებიც სასამართლოს მიერ განხილული იყო აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას;
  - გამოკვლეული იყო თუ არა არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, რომლებსაც შეეძლოთ გავლენის მოხდენა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხზე.
29. შუამდგომლობის დასაშვებად/დაუშვებლად ცნობის თაობაზე სასამართლო ზეპირი განხილვის გარეშე იღებს გადაწყვეტილებას განჩინების ფორმით.
30. განჩინება შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში გამოტანიდან 48 საათში. ვინაიდან დასაშვებობის საკითხი წყდება ზეპირი განხილვის გარეშე, განჩინებაზე უნდა აღინიშნოს გამოტანის ზუსტი დრო. ამასთან, დროის სიმცირის გამო, განჩინების გამოტანისთანავე მხარეს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ, რომ მიეცეს გასაჩივრების შესაძლებლობა.
31. სასამართლო ვალდებულია შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების გამოტანისთანავე აცნობოს შუამდგომლობის შემტან მხარეს. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს ტელეფონით (ან სხვა ტექნიკური საშუალებით), და უნდა შედგეს შეტყობინების შესახებ შესაბამისი ცნობა, რომელშიც სხვა რეკვიზიტთან ერთად უნდა მიეთითოს შეტყობინების ზუსტი დრო და პირი, რომლისთვისაც განხორციელდა ინფორმაციის მიწოდება. ცნობა დაერთვის საქმის მასალებს.
32. მე-6 ნაწილით გათვალისწინებული განჩინება მხარეს შესაძლებელია ჩაბარდეს იმ დღესვე, თუ მხარე გამოცხადდება სასამართლოში ან ასლი შესაძლებელია გადაეგზავნოს კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი ფორმით (მაგ., კურიერის მეშვეობით). განჩინების უშუალოდ გადაცემის შემთხვევაში პირს ჩამოერთმევა ხელწერილი გადაცემის დროის მი-

- თითებით. თუ განჩინება გადაეცა რამდენიმე ბრალდებულს, ხელწერილი ჩამოერთმევა თითოეულ მათგანს. ხელწერილი დაერთვის საქმეს. როდესაც განჩინება პირს უშუალოდ არ ჩაბარდა, საქმეს უნდა დაერთოს იმ მიმართვის ასლი, რომლითაც მას გადაეგზავნა განჩინების ასლი.
- 33.** აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი დასაშვებად ცნობილი შუამდგომლობა (თავდაპირველი გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ) სავალდებულო წესით ზეპირი ფორმით უნდა იქნეს განხილული, როგორც წესი, ღია სასამართლო სხდომაზე (გამონაკლისია, მაგალითად, სსსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები).
- 34.** შუამდგომლობის განხილვისთვის დაწესებული დროის სიმცირიდან გამომდინარე, მხარის ან მხარეთა (ერთდროულად ორივე მხარის, მათ შორის შუამდგომლობის ინიციატორი მხარის გამოუცხადებლობაც კი) გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს შუამდგომლობის განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებას და არ იწვევს განხილვის გადადებას. ერთადერთი გამონაკლისია შუამდგომლობის უკან გათხოვა. შესაბამისად, სავალდებულო/იძულებითი დაცვის შემთხვევაში ადვოკატის გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით არ იწვევს განხილვის გადადებას, თუ განხილვის დრო და ადგილი მას დროულად ეცნობა. ამდენად, სასამართლოს უფლება აქვს შუამდგომლობა განიხილოს: 1. ორივე მხარის მონაწილეობის; 2. არც ერთი მხარის მონაწილეობის; 3. პროცესზე de facto გამოცხადებული პირების (მაგალითად, გამოცხადდა მხოლოდ ყრუ-მუნჯი ბრალდებული) თანდასწრებით.
- 35.** სასამართლოს უფლება აქვს, მაგრამ ვალდებული არ არის დააკმაყოფილოს მხარის შუამდგომლობა სხდომის მცირე ხნით გადადების შესახებ (მაგალითად, პროკურორის/ადვოკატის შუამდგომლობა, რომ საცობშია და ითხოვს სხდომის გადადებას 30 წუთით). ნებისმიერ შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ შუამდგომლობა განხილული უნდა იქნეს მისი წარდგენიდან 24 საათში. 24-საათიანი ვადა მოიცავს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხს, მისი არსებითი განხილვის დაწყებას და დასრულებას და შესაბამისი გადაწყვეტილების გამოცხადებასაც. 24-საათიანი ვადის ათვლა იწყება შუამდგომლობის წარდგენიდან. შუამდგომლობა წარდგენილად ითვლება კანცელარიაში მისი რეგისტრაციის თარიღიდან (რიცხვის, საათის და წუთის მითითებით).
- 36.** აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ პირველ რიგში უნდა შეამოწმოს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მატერიალური და საპროცესო კანონიერება, მათ შორის, ბრალდებულის სამსახურეობრივი ან დიპლომატიური იმუნიტეტის არსებობა. პროცესის მწარმოებელი ორგანოს უფლებამოსილება (ქვემდებარეობა/განსჯადობა), ქმედებაში დანაშაულის ნიშნების და პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობა (მაგალითად, ასაკი, შერაცხაობა, სპეციალური სუბიექტის არარსებობა და ა.შ.). თუმცა სასამართლო ამ ეტაპზე არ მსჯელობს პირის ბრალეულობაზე. როდესაც სასამართლო ადგენს ბრალდებულის ქმედებაში სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების არარსებობას, ის უარს აცხადებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე<sup>610</sup> (მაგრამ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრების წესით გაუქმების შემთხვევაში არ ახდენს სსსკ-ის 105-ე მუხლის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას)<sup>611</sup>.
- 37.** სასამართლო უნდა დარწმუნდეს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდისათვის წარმოდგენილი მტკიცებულებების საკმარისობაში, გადაამოწმოს პირის პასუხისმგებლობაში მიცემისას საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევის არარსებობა. მაგრამ ბრალდებულის ბრალეულობის საკითხის განხილვაში შესვლის უფლება ამ ეტაპზე არ შეუძლია. ამდენად, სასამართლომ უნდა შეამოწმოს: 1) ბრალდებულისთვის შერაცხული ქმედება რამდენად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს; 2) შერაცხული

<sup>610</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05/08/2014 წლის განჩინება, საქმე № 1გ/758.

<sup>611</sup> იხ., დეტალურად სსსკ-ის 105-ე მუხლის კომენტარი.

- დანაშაული მიეკუთვნება თუ არა იმ კატეგორიას, რომლისთვისაც დაიშვება შუამდგომლობაში მითითებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენება (მაგალითად, სამხედრო სარდლობის მეთვალყურეობაში გადაცემისას სამხედრო მოსამსახურეა თუ არა ბრალდებული, პატიმრობისას შერაცხული დანაშაული ითვალისწინებს თუ არა 2 წლით თავისუფლების აღკვეთას და ა.შ.); 3) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა საფრთხეების ნეიტრალიზაციისათვის; 4) პრევენციული მიზნებისათვის ვარგისი კონკრეტული სახის აღკვეთის ღონისძიების იდენტიფიცირება.
38. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საპროცესო და ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდგომ, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს რომელი აღკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას. აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა, შესაძლებელია სხვადასხვა სახის აღკვეთის ღონისძიებებით, რომელთაგან მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ყველაზე უფრო რელევანტური<sup>612</sup> და ქმედების პროპორციული ღონისძიება.
39. მხარეთა თანასწორუფლებიანობა არ არის დაცული, როდესაც დამცველს ხელი არ მიუწვდება გამოძიების მასალებში არსებულ იმ დოკუმენტებზე, რომლებიც აუცილებელია მისი კლიენტის დაპატიმრების კანონიერების ეფექტიანი გასაჩივრებისათვის. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ცალკეულ შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ეფექტიანად განხორციელება შესაძლებელია გულისხმობდეს შეგროვებული ინფორმაციის ნაწილის საიდუმლოდ შენახვას ბრალდებულის მხრიდან მტკიცებულებათა განადგურების ან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენციისათვის. თუმცა ამ ლეგიტიმური მიზნის განხორციელება არ უნდა მოხდეს დაცვის უფლების მნიშვნელოვანი ან/და არსებითი შეზღუდვის ხარჯზე. შესაბამისად, ინფორმაცია რომელიც აუცილებელია პირის დაპატიმრების კანონიერების შეფასებისათვის ჯეროვანი წესით ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაცვის მხარისთვის.<sup>613</sup>
40. შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს გაეცნოს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ და საქმის მასალებს. სასამართლო სხდომაზე არ ხდება დეტალურად მტკიცებულებათა გამოკვლევა/მონმეთა დაკითხვა, მაგრამ საქმეში არსებული მასალები, რომლებსაც ეყრდნობა ბრალდების მხარე გამოქვეყნებული უნდა იყოს. დაცვის მხარეს უფლება აქვს წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს აღკვეთის ღონისძიების საერთოდ გამოყენების მიზანშეწონილობაზე ან ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობაზე.
41. სსსკ-ის 206-ე მუხლი ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის შემჭიდროვებულ ვადებში განხილვის ვალდებულებას. აღნიშნულის მიუხედავად, ვინაიდან, როგორც წესი, დაცვის მხარისათვის სხდომის დანყებამდე უცნობია ბრალდების მხარის შუამდგომლობის შინაარსი, სასამართლო შესაძლებლობას აძლევს დაცვის მხარეს გაეცნოს შუამდგომლობას. თუმცა განხილვის შემჭიდროებული ვადებიდან გამომდინარე შუამდგომლობის გაცნობის შემდეგ დაცვის მხარე მოკლებულია პროაქტიური დაცვის განხორციელებას და, როგორც წესი, შემოიფარგლება ე.წ. პასიური დაცვის ტაქტიკით (აღნიშნული არ გამორიცხავს დაცვის მხარის შესაძლებლობას მოგვიანებით სსსკ-ის 206-ე მუხლის საფუძველზე მიმართოს სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის/გაუქმების შუამდგომლობით, თუმცა ამ შემთხვევაში ეკისრება ახალი გარემოების წარ-

<sup>612</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18/12/2014 წლის განჩინება, საქმე № 1გ/1282; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28/01/2015 წლის განჩინება 1გ/93-15.

<sup>613</sup> Garsia Alva v Germany, ECtHR,13/02/2001, §§42,43; Nikolova v Bulgaria, ECtHR,25/03/1999,§97; Shishkov v Bulgaria,ECtHR, 09/01/2003,§ 77; Migon v Poland,ECtHR,25/06/2002,§79; ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2077(2015), Abuse of pretrial detention in States Parties to the European Convention on Human Rights, 01/10/2015, §12.1.3.

- მოდგენის ვალდებულება).
42. შუამდგომლობის არსებითად განხილველ ზეპირ სხდომას ხსნის მოსამართლე და აცხადებს, რომელი შუამდგომლობა განიხილება, ასახელებს პროცესის მონაწილეებს და არკვევს, არის თუ არა აცილებები. აცილების არსებობის შემთხვევაში ინიციატორი მხარე ასაბუთებს მას. შემდეგ სიტყვა ეძლევა მეორე მხარეს, რის შემდეგაც მხარეები უფლებამოსილი არიან ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები.
  43. შუამდგომლობის განხილვა მიმდინარეობს სსსკ-ის 206-ე მუხლით გათვალისწინებული სტანდარტული პროცედურით, რაც გულისხმობს, რომ მოცემული სასამართლო სხდომის ფარგლებში მოსამართლე გარკვეულწილად ითავსებს სხდომის მდივნის ფუნქციებს და თავად ასახელებს პროცესის მონაწილეებს (ასევე, პროცესში მონაწილე თარჯიმნის ვინაობას და აფრთხილებს მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ), არკვევს აცილების არსებობის საკითხს. შემდეგ სიტყვას აძლევს ჯერ ინიციატორ მხარეს, შემდეგ მოწინააღმდეგე მხარეს (თუ სხდომას ესწრება როგორც ბრალდებული, ასევე ადვოკატიც, სასამართლოს უფლება აქვს ორივე მათგანს მისცეს შესაძლებლობა საკუთარი მოსაზრებების წარმოსადგენად), ხოლო დასასრულს, მხარეებს შესაძლებლობა აქვთ ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები. მოცემულ შემთხვევაში მოწმეთა დაკითხვა, დასკვნითი სიტყვები და რეპლიკა არ გამოიყენება. აღნიშნული არ გამოორიცხავს არც ერთი მხარის შესაძლებლობას საკუთარი პოზიციის დასაბუთებისათვის წარადგინოს მტკიცებულება. მაგალითად, დაცვის მხარემ დააყენოს შემხვედრი შუამდგომლობა და ითხოვოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება მხოლოდ 5000 ლარის ოდენობით და წარმოადგინოს ცნობა ბრალდებულის ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რაც მიუთითებს უფრო მაღალი ოდენობის გირაოს გამოყენების შემთხვევაში მისი გადახდის ობიექტურად შეუძლებლობაზე. დაცვის მხარემ წარადგინოს ექსპერტის დასკვა, რომლის თანახმად არ დასტურდება იმ ვიდეოფირის ავთენტიკურობა, რომელზეც ასახულია საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის მცდელობისას ბრალდებულის დაკავება.
  44. მოსამართლეს შუამდგომლობის განხილვისას უფლება აქვს: ა. დააკმაყოფილოს შუამდგომლობა; ბ. უარი თქვას აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე; გ. სათანადო საფუძვლის მითითებით უარყოს შუამდგომლობაში აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება და ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს სხვა, მაგრამ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.
  45. განჩინებაში სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული საკითხების გარდა ასევე სავალდებულო წესით უნდა მიეთითოს: 1) საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვის შესახებ ბრალდებისას, მტკიცებულებათა მოპოვების და დამაგრებისას; 2) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძველები; 3) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძველები; 4) რატომ ვერ უზრუნველყოფს უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიება სსსკ-ის 198-ე მუხლით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.
  46. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარე საეჭვოდ არ ხდის მტკიცებულებათა მოპოვება-დამაგრების კანონიერებას, მხარე მაინც ვალდებულია შეამოწმოს აღნიშნული საკითხი. თუ მხარე სადავოდ ხდის აღნიშნულ საკითხს, მაშინ სასამართლოს სხდომაზე მისი განხილვის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია მოკლედ, მაგრამ დასაბუთებულად აისახოს განჩინებაში. კერძოდ, უნდა მიეთითოს რატომ არ გაიზიარა სასამართლომ მხარის მოსაზრებები, საქმის რომელ ფაქტობრივ გარემოებაზე და სსსკ რომელ მუხლზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ საქმისწარმოებისას ადგილი არ ჰქონია იმ მტკიცებულებათა მოპოვება-დამაგრების წესის დარღვევას/ ან დარღვევა არ იყოს არსებითი, რასაც სადავოდ ხდიდა დაცვის მხარე.
  47. აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულის მიმართ გამოყენებული პატიმრობის გადასინჯვისას, სასამართლოებმა უნდა განსაზღვრონ პატიმრობის შეცვლაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობა. განჩინებაში უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ შეისწავლა ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და განჩინებაში მითითებული

- მიზეზების გამო (უნდა დასახელდეს და დასაბუთდეს კონკრეტული მიზეზები), მიიჩნია, რომ არ იქნება საკმარისი სსსკ-ის 198-ე მუხლში მითითებული მიზეზების მისაღწევად. როდესაც თითქმის ყველა მტკიცებულება მოპოვებულია და გამოძიების ხელთ იმყოფება, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და მან თავად შეუწყო ხელი სამართალდამცავებს მტკიცებულებათა მოპოვებაში, მიზანშეწონილია არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.<sup>614</sup>
48. განჩინებაში მოსამართლემ სხვა საკითხებთან ერთად უნდა მიუთითოს განჩინების არსი და ვისზე ვრცელდება იგი. აღნიშნულს დამატებითი მნიშვნელობა ენიჭება სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენებისას, როდესაც მკაფიოდ უნდა განისაზღვროს თითოეული ღონისძიების შინაარსი, მაგალითად, სახელმწიფო ორგანოში ყოველკვირეულად ან სხვა პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულების დაკისრებისას სასამართლომ ნათლად უნდა განსაზღვროს კონკრეტულად რომელ სახელმწიფო ორგანოში, როგორი პერიოდულობით (მაგალითად, ყოველი თვის პირველ რიცხვში) უნდა გამოცხადდეს ბრალდებული და რა სახის/რის შესახებ/როგორი ფორმით ანგარიშგების ვალდებულება ეკისრება მას.
49. სასამართლომ ასევე უნდა მიუთითოს ის თანამდებობის პირი/ორგანო, რომელიც ვალდებულია შეასრულოს შესაბამისი განჩინება. აღნიშნული პირის იდენტიფიცირების შემთხვევაში მხედველობაში უნდა მიიღოს იმ პირის სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლები, რომელსაც განჩინებით ეკისრება აღკვეთის ღონისძიების აღსრულების უზრუნველყოფა. თუ აღნიშნული სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, განჩინების მიუხედავად ის მოკლებული იქნება მასზე დაკისრებული მოვალეობის ფაქტობრივად განხორციელების შესაძლებლობას.<sup>615</sup>
50. შუამდგომლობის განხილვის შედეგად გამოტანილი განჩინების ასლი მხარეებს უნდა ჩაბარდეს გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული შეუძლებელია გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო.
51. მე-7 ნაწილით გათვალისწინებული გადაცემა, გულისხმობს როგორც განჩინების ასლის უშუალოდ გადაცემას მოსამართლის თანაშემწის მეშვეობით, ასევე მის გაგზავნას შესაბამისი პირებისათვის კანონით განსაზღვრული საშუალებით. გადაცემა დასტურდება შესაბამისი პირის ხელწერილით, რომელშიც აღინიშნება გადაცემის დრო და დაერთვის სასამართლო წარმოების მასალებს. თუ მე-7 ნაწილში მითითებულ პირებს ასლი უშუალოდ არ ბარდება, მაშინ მასალებს დაერთვის უფლებამოსილი პირისთვის აღნიშნული განჩინების ასლის გადაცემის და მიმართვის დამადასტურებელი საბუთი. აღნიშნული საბუთების დართვა საქმეზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოგვიანებით მხარემ შეიძლება გაასაჩივროს, რომ მას შეეზღუდა განჩინების გასაჩივრების უფლება, ვინაიდან განჩინების ასლი მას დაგვიანებით გადაეცა, რის გამოც ვერ მოასწრო საქმის მასალების შესწავლა და განჩინების სააპელაციო წესით გასაჩივრება სასამართლოში.
52. სსსკ ითვალისწინებს განჩინების ასლის გადაცემის ვალდებულებას დაცვის მხარის ერთერთი წარმომადგენლისთვის – ან დამცველის ან ბრალდებულისთვის. ის თუ კონკრეტულად ვის გადაეცემა ასლი დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე. მაგალითად, თუ საქმის განხილვას ესწრებოდა მხოლოდ ადვოკატი, მაშინ ადვოკატს, თუ განხილვას ესწრებოდა ადვოკატიც და ბრალდებულიც, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილებით ერთ-ერთ მათგანს (მკაფიო მითითების არ არსებობის მიუხედავად, სასურველია ასლის გადაცემა

<sup>614</sup> იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 18/12/2004 წლის განჩინება, საქმე № 1გ/1282.

<sup>615</sup> იხ., თბილისის საქალაქო სასამართლოს 22/12/2013 წლის განჩინება, საქმე №10ა/6915. განჩინების აღსრულების ორგანიზება დაევალა საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორს, ხოლო განჩინების დაუყოვნებლივ შესრულების შესახებ სასამართლოსთვის შეტყობინების ვალდებულება – თბილისის მეტიას.



- ბრალდებულისთვის, ვინაიდან: 1) დაცვის უფლება პირველ რიგში ეკუთვნის ბრალდებულს და მისი უფლებების დაცვას ემსახურება; 2) არ არის გამორიცხული, რომ შეიცვალოს ადვოკატი და ძველმა ადვოკატმა დაკარგოს/დაავინყდეს/დააგვიანოს და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტის გადაცემა ბრალდებულის/ახალი ადვოკატისთვის.<sup>616</sup>
53. სსსკ-ი ითვალისწინებს სავალდებულო წესით მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის საჯაროდ გამოცხადის ვალდებულებას, მაგრამ განჩინების საფუძვლების მოკლედ ზეპირად განმარტების ვალდებულება სასამართლოს ეკისრება მხოლოდ პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია მხარეებს განუმარტოს: 1) რა მტკიცებულებების საფუძველზე მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება (ჩამოთვალოს რომელ მტკიცებულებებს დაეყრდნო); 2) რატომ მიიჩნია პატიმრობა *ultima ratio*-დ.
54. ბრალდებულის დაკავების შემთხვევაში, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვის 24-საათიანი ვადა აითვლება პირის ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან და არა დაკავების ოქმის, ან დაკავებულის გამოძიების ორგანოში მიყვანის მომენტიდან.
55. მიმალვაში მყოფი ბრალდებულის მიმართ დაუსწრებლად აღკვეთის ღონისძიების გამოყენება არ ეწინააღმდეგება სასამართლოს ხელმისაწვდომობის/სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, ვინაიდან სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-10 ნაწილი ითვალისწინებს პირის დაპატიმრებიდან 48 საათში მის წარდგენას მაგისტრატ მოსამართლესთან. მიმალვაში მყოფი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დაკავშირებულია 2 თავისებურებასთან: 1) ბრალდებულის სასამართლოს წინაშე წარდგენამდე კანონმდებლობით ნებადართული ვადის ხანგრძლივობა; 2) ძებნილი ბრალდებულის მიმართ სასამართლო განხილვის თავისებურება.
56. დაკავების ორდინალური შემთხვევებისგან განსხვავებით, მიმავალვაში მყოფი ბრალდებულის მოსასამართლის წინაშე წარდგენის ვადა შესაძლებელია სსსკ 206-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გახანგრძლივდეს მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1) დაუძლეველი ძალის მოქმედებისას (მაგალითად, სტიქიური უბედურება, გადატრიალება, ფართომასშტაბიანი არეულობა, საომარი მოქმედებები და სხვა, რაც ობიექტურად შეუძლებელს ხდის პირის სასამართლოში წარდგენას), ან 2) ბრალდებულის ჯანმრთელობის გაუარესება – სსსკ-ით ვადის გახანგრძლივება დაიშვება ჯანმრთელობის მხოლოდ ისეთი მკვეთრი გაუარესება, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ბრალდებულის სასამართლოში წარდგენას (ან ჯანმრთელობის ისეთი გაუარესება, როდესაც ბრალდებულის სასამართლოში წარდგენამ შესაძლებელია გამოიწვიოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეუქცევადი ან არსებითი დამძიმება). თუმცა აღნიშნული მდგომარეობა არ არის საჭირო აუცილებლად უკავშირდებოდეს ბრალდებულისთვის ინტენსიური თერაპიული ან გადაუდებელი სტაციონარული მკურნალობის განხორციელებას. კიდურების მოტეხილობა, დაჟეჟილობა, ტვინის მსუბუქი შერყევა (რაც არ უკავშირდება სავალდებულო წესით ნოლით რეჟიმს), რესპირატორული დაავადება, მსუბუქი ინტოქსიკაცია, ვირუსული ინფექცია და სხვა არ იწვევს ვადის გახანგრძლივებას, თუნდაც აღნიშნული ფაქტი დადასტურებული იყოს სამედიცინო ცნობით. ვადის გახანგრძლივება დაიშვება მხოლოდ ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების შემთხვევაში (მაგალითად, მიოკარდის შეტევა, კრუნჩხვები, ინსულტი და ა.შ.), როდესაც პირის სასამართლოში წარდგენა წარმოადგენს პირდაპირ უკუჩვენებას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის ბრალდებულის მდგომარეობის სტაბილიზაციამდე და არა გამოჯანმრთელებამდე ვადით. ამასთან, ბრალდებულის ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო ცნობით.
57. ძებნილი ბრალდებულის მოსამართლის წინაშე წარდგენისას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვისას სასამართლო მხოლოდ ისმენს მხარეთა განმარტებებს, რის შემდეგაც პირდაპირ გამოაქვს გადაწყვეტილება, მხარეებისთვის კამათის შესაძ-

<sup>616</sup> Bekauri v Georgia, ECtHR, 10/04/2012, §22.

- ლებლობის მინიჭების ვალდებულების გარეშე (შეადარეთ სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-3 და მე-10 ნაწილები).
58. სსსკ ადგენს განსხვავებულ ვადებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული შუამდგომლობის განხილვისათვის. კერძოდ: 1) აღკვეთის ღონისძიების თავდაპირველად გამოყენების შესახებ შუამდგომლობა განხილულ უნდა იქნეს მისი წარდგენიდან 24 საათში; 2) შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ განხილული უნდა იქნეს საერთო წესის შესაბამისად. ამ შემთხვევაში სსსკ-ის 206-ე მუხლი ადგენს 24-საათიან ვადას მხოლოდ შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის განხილვა-გადაწყვეტისათვის და არა შუამდგომლობის არსებითად გადაწყვეტისათვის. დასაშვებად მიჩნეული შუამდგომლობის განხილვისათვის გამოიყენება საერთო წესები.
59. თუმცა ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული პრაქტიკა სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-3 და მე-8 ნაწილებით განსაზღვრული ვადას იდენტურ შინაარსის ანიჭებს, რაც გულისხმობს, რომ როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობის, ისე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობის განხილვა უნდა მოხდეს 24-საათიანი ვადის განმავლობაში.
60. სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-8 ნაწილი ითვალისწინებს ბრალდებულის პირველი წარდგენის შემდგომ ეტაპზე ვითარების შეცვლის ანდა ახალი გარემოების წარმოქმნისას მხარის უფლებას თავიდან დააყენოს შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ, მაგრამ არა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე (როდესაც წინა სტადიებზე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება არ მომხდარა). აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული პრაქტიკის თანახმად, ბრალდების მხარემ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობა პირველი წარდგენის სხდომაზე უნდა დააყენოს იმისდა მიუხედავად, შუამდგომლობის განხილვის მომენტში რეალურად არსებობდა თუ არა სსსკ-ის 198-ე მუხლით გათვალისწინებული საფრთხეები.

### მუხლი 207. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრების წესი

1. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინება შეიძლება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივროს პროკურორმა, ბრალდებულმა ან/და მისმა ადვოკატმა. საჩივარი შეიტანება განჩინების გამომტან სასამართლოში, რომელიც ამ საჩივარსა და მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. გასაჩივრება არ აჩერებს განჩინების აღსრულებას. (14.06.2013. №741)
2. საჩივარში უნდა აღინიშნოს, რა მოთხოვნები დაირღვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას და რით გამოიხატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა. აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებულ საჩივარში შესაძლოა აგრეთვე მიეთითოს, რა არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები და მტკიცებულებები არ გამოიკვლია ან არ შეაფასა ამ კოდექსით დადგენილი წესით პირველი ინსტანციის სასამართლომ, რომლებსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე. (8.07.2015 № 3976)
3. საჩივრის განხილვის დღე და დრო გონივრულ ვადაში ეცნობება მხარეებს.
4. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, ამ კოდექსის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, მისი შეტანიდან არაუგვიანეს 72 საათისა. მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის საკითხს, კერძოდ, წყვეტს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნებს, ამასთანავე, გამოიკვლია თუ არა ან შეაფასა თუ არა მან ამ კოდექსით დადგენილი წესით არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების

**შეფარდების მართლზომიერებაზე. საჩივრის დასაშვებობის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. (8.07.2015 № 3976)**

**5. საჩივრის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში მოსამართლე ატარებს ზეპირ მოსმენას ამ კოდექსით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით. მოსამართლე უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს საჩივარი, რომელიც არ შეეხება ალკვეთის ღონისძიების შესახებ განჩინებას. (8.07.2015 № 3976)**

**6. საჩივრის განხილვის შედეგად გამოტანილი განჩინების ასლები გადაეცემა მხარეებს, ეგზავნება გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს და განჩინების აღმასრულებელ ორგანოს.**

**7. ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად გამოტანილი განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.**

**8. მოსამართლე აცხადებს გამოტანილი განჩინების სარეზოლუციო ნაწილს და ზეპირად, მოკლედ განუმარტავს მხარეებს გამოტანილი განჩინების საფუძვლებს. (8.07.2015 № 3976)**

1. სსსკ-ი ითვალისწინებს ალკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების მხოლოდ ერთ ინსტანციაში გასაჩივრების შესაძლებლობას მისი გამოტანიდან 48 საათში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ მიღებული განჩინება საჩივრის თაობაზე საბოლოოა და მისი შემდგომი გასაჩივრება აკრძალულია (აკრძალულია არა მხოლოდ ცალკე გასაჩივრება, არამედ მოგვიანებით შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრებაც). სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში შესაძლებელია გასაჩივრდეს როგორც განჩინება შუამდგომლობის არსებითად გადაწყვეტის შესახებ, ასევე განჩინება შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ.
2. სსსკ-ის 207-ე მუხლი ითვალისწინებს პირობითად 3 ტიპის განჩინების გასაჩივრების მარეგულირებელ წესს:
  - განჩინება ალკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული შუამდგომლობის დასაშვებად/დაუშვებლად ცნობის შესახებ;
  - განჩინება ალკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე;
  - განჩინება სსსკ-ის 112-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების წარმოებაზე (მაგალითად, განჩინება ქონებაზე ყადაღის დადების, ჩხრეკის/ამოღების, ფარული საგამოძიებო მოქმედების წარმოების, პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ და სხვა).
3. სსსკ-ი განჩინების გასაჩივრების სუბიექტებად მიიჩნევს პროკურორს, ბრალდებულს ან/და მის ადვოკატს. შესაბამისად, საჩივარი შესაძლებელია შეტანილ იქნეს უშუალოდ ბრალდებულის ან ადვოკატის მიერ დამოუკიდებლად, ან ადვოკატის საჩივარს თან ახლდეს ბრალდებულის თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ხელმოწერა სარჩელზე, რწმუნებულება და სხვა). ამიტომ, თუ საჩივარი შეტანილია ადვოკატის მიერ, და მას არ ახლავს ბრალდებულის თანხმობის ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი საბუთი, პირველი ინსტანციის სასამართლო არ არის უფლებამოსილი არ მიიღოს საჩივარი წარმოებაში.
4. საჩივარი შეიტანება არა პირდაპირ სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, არამედ განჩინების გამომტან სასამართლოში, რომელიც საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ აგზავნის შესაბამის სააპელაციო სასამართლოში.
5. სსსკ-ი არ განსაზღვრავს საჩივრის შეტანიდან რამდენ ხანში უნდა გადმოეგზავნოს სააპელაციო სასამართლოს საქმის მასალები და ადგენს ქვემდგომი სასამართლოს მოვალეობას აღნიშნული მასალები გადააგზავნოს დაუყოვნებლივ. „დაუყოვნებლივ“ გულისხმობს დროის ხანგრძლივობას, რაც ობიექტურად არის საჭირო საქმის მასალების მომზადების და გადაგზავნისათვის, ვინაიდან სასამართლოში საჩივართან ერთად უნდა გადაიგზავნოს საქმის მასალებიც. კერძოდ, საჩივართან დაკავშირებული საქმის მასალების ერთ წარ-

- მოებად აკინძვა, სხდომის ოქმის მომზადება, ბრალდების მხარის თავდაპირველი შუამდგომლობის და მისი დანართების, ასლების მომზადება და სხვა. დროის სიმცირის გამო, მასალების გადაგზავნა უნდა განხორციელდეს კურიერის მეშვეობით.
6. გასაჩივრების ვადა აითვლება არა განჩინების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან, არამედ შესაბამისი განჩინების გამოტანის მომენტიდან. ამიტომ თავდაპირველ განჩინებაზე მითითებულ უნდა იქნეს მისი გამოტანის დროც (საათი და წუთი).
7. საჩივარში უნდა აღინიშნოს:
- სსსკ-ით დადგენილი რომელი მოთხოვნები დაირღვა განჩინების გამოტანისას;
  - განჩინებაში მითითებული რომელი დებულებებია მცდარი და რაში გამოიხატა აღნიშნული დებულებების მცდარობა;
  - აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისათვის, რომელი არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები და მტკიცებულებები არ გამოიკვლია მაგისტრატმა მოსამართლემ,
8. საჩივრის დასაშვებობის განხილვისას სასამართლომ სსსკ-ის 206-ე მუხლში მითითებული საკითხების გარდა ასევე უნდა განიხილოს:
- ა) ნებისმიერი განჩინების გასაჩივრების შემთხვევაში:
- საჩივრის დასაშვებობის ფორმალური კრიტერიუმები (გასაჩივრების ვადის დაცვა, უფლებამოსილი სუბიექტი, განსჯადობა, გასაჩივრების საგანი, საჩივრის რეკვიზიტები და სხვა);
  - სსსკ-ის რა მოთხოვნები დაირღვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას – გულისხმობს მატერიალური და საპროცესო საფუძვლების დარღვევას. მაგალითად, დაუსაბუთებელი განჩინება, საჩივრის განხილვა საპროცესო ვადების დარღვევით, არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ და სხვა;
  - რაში გამოიხატება გასაჩივრებული დებულებების მცდარობა.
- ბ) აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებულ საჩივარში დამატებით შეიძლება მიეთითოს (მაგრამ არ არის სავალდებულო და მათი მიუთითებლობა არ გამოიწვევს საჩივრის დაუშვებლად ცნობას):
- რა არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები და მტკიცებულებები არ განიხილა სასამართლომ, მაგალითად, გარემოებები, რაც მიეთითება ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხესთან დაკავშირებით, მაგალითად, ნასამართლობა, მტკიცებულების განადგურების მცდელობის, ბრალდებულის მიერ სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის შესახებ მონშის ჩვენება და სხვა.
  - რა არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები არ შეაფასა პირველი ინსტანციის სასამართლომ, რასაც შეეძლო ზემოქმედების მოხდენა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე – იგულისხება მტკიცებულების შეფასება სსსკ 82-ე მუხლით დადგენილი კრიტერიუმებით, მაგალითად, რელიევანტურობის, სარწმუნოობის მიხედვით.
9. საჩივრის განხილვის დროის და ადგილის შესახებ მხარეებს უნდა ეცნობოთ გონივრულ ვადაში. ვადის გონივრულობა გულისხმობს ვადას, რაც ობიექტურად საკმარისია მხარის სასამართლო განხილვაზე გამოცხადების უზრუნველყოფისათვის და საჩივრის შესწავლისათვის, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სსსკ-ის 207-ე მუხლი ადგენს შემჭიდროებულ ვადებს.
10. საჩივრის განხილვის წესი სსსკ-ის 206-ე მუხლით განსაზღვრული წესის ანალოგიურია შემდეგი განსხვავებით:
- სააპელაციო საჩივრის განხილვის (დასაშვებობის და არსებითი განხილვის) უფლება გააჩნია სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეს;
  - სასამართლოს, საჩივრის განხილვა-გადაწყვეტისთვის ენიჭება 72 საათი (24 საათის ნაცვლად);

- აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული საჩივარი განიხილება სავალდებულო წესით ზეპირი მოსმენით.
- 11. სსსკ-ის 207-ე მუხლის თანახმად, საჩივრის განხილვის ვადა შეადგენს 72 საათს, რაც მოიცავს როგორც დასაშვებობის, ასევე არსებითად განხილვა-გადანყვეტას. სსსკ-ი არ ადგენს აღნიშნული ვადის დაყოფის წესს. შესაბამისად, სასამართლოს გადასანყვეტია რამდენ ხანში მიიღებს გადასანყვეტილებას საჩივრის დასაშვებობის თაობაზე (ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული პრაქტიკის თანახმად, საჩივრის დასაშვებობის საკითხიც, როგორც წესი, 24 საათში იხილება). მთავარია, რომ საბოლოო გადასანყვეტილება საჩივრის არსებითად განხილვის თაობაზე გამოტანილი იყოს საჩივრის შეტანიდან 72 საათში.
- 12. საჩივრის დასაშვებობის თაობაზე (ისევე როგორც სსსკ-ის 206-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის შემთხვევაშიც) სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. აღნიშნული განჩინება გამოიტანება იმისდა მიუხედავად, საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად თუ დაუშვებლად. შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს ორი განჩინება: 1) შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის შესახებ და 2) განჩინება საჩივრის დაკმაყოფილების/დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, ორივე განჩინებას დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსი გააჩნია.
- 13. დასაშვებად მიჩნეული საჩივარი აღკვეთის ღონისძიების შესახებ განჩინებაზე განხილულ უნდა იქნეს ზეპირი მოსმენით (დაუშვებელია ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა). გამონაკლისია საჩივარი რომელიც არ ეხება აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებულ განჩინებას (მაგალითად, საჩივარი განჩინებაზე ქონებაზე ყადაღის დადების/დადებაზე უარის თქმის შესახებ). ასეთი განჩინება მოსამართლის შეხედულებისამებრ შეიძლება განხილულ იქნეს ზეპირი განხილვის გარეშეც, თუმცა ამ შემთხვევაშიც საჩივრის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს, და მისი მიზანშეწონილობა დასაბუთებული უნდა იყოს მოსამართლის მიერ.
- 14. განჩინების სარეზოლუციო ნაწილის სხდომის დარბაზში საჯაროდ გამოცხადების ვალდებულება მოსამართლეს ეკისრება იმისდა მიუხედავად, განჩინება ეხება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხს თუ სხვა საკითხებს, სასამართლო განხილვა მიმდინარეობდა ზეპირი მოსმენით თუ ზეპირი მოსმენის გარეშე. ამასთან, ყველა დასახელებულ შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია არამხოლოდ გამოაცხადოს სარეზოლუციო ნაწილი, არამედ იმავდროულად მხარეებს განუმარტოს განჩინების საფუძვლებიც – მტკიცებულებები, რომლებსაც დაეყრდნო სასამართლო გადასანყვეტილების მიღებისას.
- 15. განჩინების გასაჩივრების მიუხედავად მისი აღსრულება დაუყოვნებლივ ხორციელდება.
- 16. სსსკ-ის 207-ე მუხლის საფუძველზე მიღებული განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება. არ საჩივრდება არც განჩინება საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ და არც დასაშვებად ცნობის შემთხვევაში მიღებული ძირითადი განჩინება.

### **მუხლი 208. მაგისტრაცი მოსამართლის გადასანყვეტილება წინასასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ**

1. თუ მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმება არ არის დადებული, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ მაგისტრაცი მოსამართლე განსაზღვრავს წინასასამართლო სხდომის თარიღს.
2. წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრისას მაგისტრაცი მოსამართლე ითვალისწინებს მხარეთა პოზიციას, საქმის სირთულესა და მოცულობას. მოსამართლემ მხარეებს საკმარისი დრო და საშუალება უნდა მისცეს დაცვისა და ბრალდების მოსამზადებლად.
3. წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან (თუ ის არ დაუკავებიათ) არა უგვიანეს 60 დღისა. მხარეს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით აღნიშნული ვადის გონივრულ ვადამდე გაგრძელების ან შემცირების შესახებ, რის თაობაზედაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს. მეორე მხარე უფლებამო-

სილია საკუთარი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს სასამართლოს შუამდგომლობის წარდგენიდან 3 დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე. მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

4. თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, ამ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად წინასასამართლო სხდომის გამართვის ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისი დაკმაყოფილებიდან არაუგვიანეს 72 საათისა სასამართლო იწვევს მხარეებს, რათა დაადგინოს, აუცილებელია თუ არა აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვება. ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით.

1. ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლო განსაზღვრავს წინასასამართლო სხდომის თარიღს. წინასასამართლო სხდომა უნდა გამართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან (თუ არ დაუკავებიან) არა უგვიანეს 60 დღისა. მოსამართლე წინასასამართლოს სხდომის დანიშვნის დროს ითვალისწინებს მხარეთა პოზიციას, საქმის სირთულეს და მოცულობას. სასამართლომ წინასასამართლო სხდომა უნდა დანიშნოს ისეთ ვადაში, რომ მხარეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მოამზადონ დაცვა და ბრალდება. ამ პერიოდში ხდება მხარეების მიერ თავიანთი მტკიცებულებების და არგუმენტების მოძიება, ბრალდების მხარე აგრძელებს სხვადასხვა საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარებას. დაცვის მხარე ბრალდების წაყენების მომენტიდან ეცნობა საქმის მასალებს და იწყებს ზრუნვას დაცვის სტრატეგიის აგებაზე და რეალურად, ამ პერიოდიდან იწყებს გამოძიებას და მტკიცებულებათა მოპოვების პროცესს. ეს საკმაოდ შრომატევადი პროცესია და ამისთვის მას (ისევე როგორც ბრალდების მხარეს) უნდა გააჩნდეს საკმარისი დრო და საშუალებები. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის – სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ სპეციალურ უფლებას წარმოადგენს სწორედ ბრალდებულის უფლება, ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობები დაცვის მოსამზადებლად (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).
2. ასევე, სსსკ-ს 38-ე მუხლის მე-5 ნაწილი ადგენს, რომ „ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისათვის“. ამდენად, სსსკ-ის 208-ე მუხლის ზემოაღნიშნული ნორმა ბრალდებულის ამ მნიშვნელოვანი უფლების განმტკიცებასაც ემსახურება.
3. როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით წინასასამართლო სხდომის გადავადების ან ვადის შემცირების შუამდგომლობით. შუამდგომლობა აუცილებლად უნდა იყოს მოტივირებული. შუამდგომლობის შესახებ შუამდგომლობის შემტანმა უნდა აცნობოს მეორე მხარეს, რათა მას მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს თავისი საპასუხო მოსაზრებები. ასეთი წესი ემსახურება მხარეთა შეჯიბრებითობის უზრუნველყოფას. სასამართლოსთვის წინასასამართლო სხდომის გადავადების შუამდგომლობით მიმართვის საფუძველი შეიძლება იყოს საქმის დიდი მოცულება და სირთულე, გამოძიების ბოლო ეტაპზე გამოვლენილი მნიშვნელოვანი ახალი გარემოებები როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარისთვის, რაც მოითხოვს დამატებითი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებას და სხვ.
4. როდესაც ბრალდებულის მიმართ პატიმრობაა გამოყენებული, წინასასამართლო სხდომის გადავადების შესახებ მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ამ შუამდგომლობის განხილვიდან არა უგვიანეს 72 საათისა, მოსამართლე იწვევს მხარეებს, რათა განხილულ იქნეს პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხი. აღსანიშნავია, რომ ეს პროცედურა დადგენილ იქნა 2015 წლის 20 ივლისის კანონით „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“. მანამდე, პატიმრობის მხარეთა მონაწილეობით გადასინჯვის წესი არ არსებობდა და მოსამართლე ავტომატურად, წინასასამართლო სხდომის გადავადებასთან ერთად აგრძელებდა ბრალდებულის პატიმრობის ვადასაც. ამ

საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის 206 მუხლით დადგენილი წესებით და სტანდარტებით, რაც სხვა სტანდარტებთან ერთად გულისხმობს იმასაც, რომ ბრალდებულის პატიმრობის გაგრძელების დასაბუთების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს (სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-9 ნაწილი).

## თავი XXI საპროცესო შეთანხმება

### მუხლი 209. საპროცესო შეთანხმების არსი

1. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე (24.07.2014. №2517)

2. საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებული პროკურორს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პირობებთან ერთად შეიძლება შეუთანხმდეს თანამშრომლობაზე ან/და ზიანის ანაზღაურებაზე. (24.07.2014. №2517)

3. ამოღებულია (24.07.2014. №2517)

4. ამოღებულია (24.07.2014. №2517)

5. ამოღებულია (24.07.2014. №2517)

6. ამოღებულია (24.07.2014. №2517)

7. ამოღებულია (24.07.2014. №2517)

1. დანაშაულის ფაქტზე გამოძიებისა და კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დანყების შემდეგ თითოეულმა სისხლის სამართლის საქმემ შემდეგი ეტაპები უნდა გაიაროს:

- პირველი წარდგენის სხდომა (სადაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი);
- წინასასამართლო სხდომა (სადაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილება მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი და მიიღება გადაწყვეტილება საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ);
- საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში (სადაც მიიღება გადაწყვეტილება პირის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის შესახებ);
- სააპელაციო განხილვა (პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში);
- საკასაციო განხილვა (სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში).

2. საპროცესო შეთანხმება საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია. ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება შესაძლებელია სისხლის სამართალწარმოების ყველა ზემოაღნიშნულ ეტაპზე.

3. საქმის არსებითი განხილვა გულისხმობს განაჩენის გამოტანამდე სსსკ-ით გათვალისწინებული ყველა პროცედურის გავლას – მხარეთა მიერ შესავალი და დასკვნითი სიტყვების წარმოთქმას, მტკიცებულებების გამოკვლევას (მათ შორის მოწმეთა დაკითხვას) და ა.შ.

4. საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმე აღნიშნულ პროცედურებს აღარ გადის – მოსამართლეს განაჩენი გამოაქვს არსებითი განხილვის, მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე.

5. საპროცესო შეთანხმების გაფორმება ბრალდებულის უფლებაა. სწორედ ის იღებს გადაწყვეტილებას სსსკ-ით გარანტირებული საქმის არსებითი განხილვის უფლების შეზღუდვაზე, ხოლო მოსამართლე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამონმებს, ჰქონდა თუ არა ბრალდებულს გაცნობიერებული უფლების შეზღუდვის და შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები, გაენია თუ არა კვალ-



- იფიცირი იურიდიული დახმარება და ხომ არ იყო საპროცესო შეთანხმება მოტყუების, იძულების ან სხვა უკანონო მეთოდების გამოყენების შედეგი.
6. პირველი წარდგენის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცება გულისხმობს იმას, რომ სისხლის სამართლის საქმე აღარ გაივლის მომდევნო ეტაპებს (არ ჩატარდება წინასასამართლო სხდომა, საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში და ა.შ.). საპროცესო შეთანხმების დამტკიცება ნიშნავს პირის დამნაშავედ ცნობას, რაც იწვევს ნასამართლობას.
  7. 2014 წლის 24 ივლისამდე სსსკ-ის იცნობდა საპროცესო შეთანხმების ორ სახეს – საპროცესო შეთანხმება ბრალზე და საპროცესო შეთანხმება სასჯელზე. 2014 წლის 24 ივლისს სსსკ-ში განხორციელებული ცვლილების შედეგად გაუქმდა საპროცესოს შეთანხმება სასჯელზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ბრალის აღიარების გარეშე საპროცესო შეთანხმების მხოლოდ სასჯელზე გაფორმება შეუძლებელია. ხოლო ბრალზე საპროცესო შეთანხმების გაფორმება სასჯელზე შეთანხმებასაც მოიცავს.
  8. საპროცესო შეთანხმების გაფორმების აუცილებელი წინაპირობაა ბრალის აღიარება. აღნიშნულთან ერთად ბრალდებული უთანხმდება პროკურორს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ პირობაზე:
    - სასჯელზე (მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილი სასჯელის ერთ-ერთ სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით. ბრალის აღიარების შემთხვევაში, შესაძლოა ბრალდებული და პროკურორი შეთანხმდნენ, რომ ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ მინიმალურ ზღვარზე ნაკლები სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით);
    - ბრალდების შემსუბუქებაზე (მაგალითად, ბრალდებულს ბრალი ედება სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე შესაძლოა ბრალდებული და პროკურორი შეთანხმდნენ, რომ ბრალდებული დამნაშავედ იქნება ცნობილი სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მძიმე დანაშაულის ჩადენაში);
    - ბრალდების ნაწილობრივ მოხსნაზე (მაგალითად, ბრალდებულს ბრალი ედება სსკ-ის 177-ე და 178-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებში. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე შესაძლოა ბრალდებული და პროკურორი შეთანხმდნენ, რომ ბრალდებული დამნაშავედ იქნება ცნობილი მხოლოდ 178-ე მუხლით).
  9. სსსკ-ის 209-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს საპროცესო შეთანხმების დამატებით პირობებს, რომლებიც ძირითად პირობასთან (ბრალის აღიარებასთან) ერთად უნდა იქნეს გამოყენებული. ასეთი პირობებია:
    - თანამშრომლობა;
    - ზიანის ანაზღაურება.
  10. ბრალის აღიარებასთან ერთად შესაძლებელია ზემოაღნიშნული დამატებითი პირობებიდან ერთ-ერთის ან ორივეს ერთდროულად გამოყენება. მხოლოდ თანამშრომლობაზე ან/და მხოლოდ ზიანის ანაზღაურებაზე საპროცესო შეთანხმების გაფორმება ბრალის აღიარების გარეშე დაუშვებელია.
  11. საპროცესო შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი თანამშრომლობის დროს, არამედ სამომავლო თანამშრომლობაზეც. მხარეები ასევე შეიძლება შეთანხმდნენ ზიანის მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებაზე. პირობის შეუსრულებლობა საპროცესო შეთანხმების შედეგად გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების საფუძველია.

## მუხლი 210. საპროცესო შეთანხმების დადება

1. საპროცესო შეთანხმება იდება ზემდგომ პროკურორთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებით.

1<sup>1</sup>. საპროცესო შეთანხმების დადების შეთავაზება შეუძლია როგორც ბრალდებულს/მსჯავრდებულს, ისე პროკურორს. საქმის განხილვისას სასამართლო უფლებამოსილია გაარკვიოს მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობა.

1<sup>2</sup>. საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორი ვალდებულია გააფრთხილოს ბრალდებული საპროცესო შეთანხმების შედეგების შესახებ და განუმარტოს მას, რომ საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მტკიცებულებების უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე გამოაქვს და საპროცესო შეთანხმების დადება არ ათავისუფლებს ბრალდებულს სამოქალაქო და სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან.

1<sup>3</sup>. განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მოადგილეს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან სრულად ან ნაწილობრივ განთავისუფლების შესახებ. ამ შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება.

2. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორს უფლება აქვს, მოითხოვოს ბრალდებული-სათვის სასჯელის შემცირება ან დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე.

3. ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირების მოთხოვნისას ან ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი ითვალისწინებს საჯარო ინტერესს, რომელსაც იგი სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტების, ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის, დანაშაულის ხასიათის, ბრალეულობის ხარისხის, ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროების, პიროვნული მახასიათებლების, ნა-სამართლობის, გამოძიებასთან თანამშრომლობისა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ქცევის შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს.

4. დაუშვებელია საპროცესო შეთანხმების დადება ადვოკატის უშუალო მონაწილეობისა და მის დადებაზე ბრალდებულის წინასწარი თანხმობის გარეშე.

5. დაუშვებელია ისეთი საპროცესო შეთანხმების დადება, რომელიც უზღუდავს ბრალდებულს უფლებას, წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

6. საპროცესო შეთანხმების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც ასახულია ბრალდებულსა და პროკურორს შორის მოლაპარაკების პროცესი (საპროცესო შეთანხმების ოქმი). საპროცესო შეთანხმების ოქმის ასლი ბრალდებულსა და მის ადვოკატს გადაეცემა. ბრალდებულსა და მის ადვოკატს უფლება აქვთ, საპროცესო შეთანხმების ოქმზე გამოთქვან შენიშვნები. ისინი თან ერთვის ამ ოქმს. საპროცესო შეთანხმების ოქმს ხელს აწერენ პროკურორი, ბრალდებული და მისი ადვოკატი, აგრეთვე ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

1. საპროცესო შეთანხმება ფორმდება პროკურორსა და ბრალდებულს (მსჯავრდებულს შორის). საპროცესო შეთანხმების გაფორმების შეთავაზება შეუძლია როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. თუმცა პროკურორი არ არის უფლებამოსილი დამოუკიდებლად მიიღოს საპროცესო შეთანხმების გაფორმების გადაწყვეტილება, თუ არ არსებობს ზემდგომი პროკურორის წინასწარი წერილობითი თანხმობა.

2. როგორც უკვე აღინიშნა სსსკ-ის 209-ე მუხლის კომენტარებისას, საპროცესო შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე მას შემდეგ, რაც პირის მიმართ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა – პროკურორი გამოიტანს დადგენილებას პირის ბრალდების შესახებ. მხარეთა შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება კი შეიძლება განხორციელდეს სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ ეტაპებზე:

- ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე;
  - წინასასამართლო სხდომაზე;
  - პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას;
  - სააპელაციო განხილვისას;
  - საკასაციო განხილვისას.
3. შესაბამისად, თითოეულ ეტაპზე მოსამართლე მხარეებთან არკვევს საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობას. თუ შეთანხმება მიღწეულია, სასამართლო ამტკიცებს მას, ხოლო თუ მხარეებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, მოსამართლე განსაზღვრავს გონივრულ ვადას. გონივრულობის შეფასება უნდა მოხდეს იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია საპროცესო შეთანხმების მიზნების (სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება) მისაღწევად.
4. სასამართლო უფლებამოსილია არ დაამტკიცოს მხარეთა შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება სსსკ-ით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს მოლაპარაკების მიმდინარეობის და შეთანხმების გაფორმების პროცესში სსსკ-ის მოთხოვნათა დარღვევა. შესაბამისად, პროკურორმა ზედმიწევნით ზუსტად უნდა შეასრულოს ბრალდებულისთვის უფლებების განმარტების, მოლაპარაკების პროცესის კანონით დადგენილ ჩარჩოებში წარმართვისა და საპროცესო შეთანხმების ოქმის კანონის დაცვით შედგენის ვალდებულება. კერძოდ, საპროცესო შეთანხმების გაფორმების გადაწყვეტილების მიღებისას, პროკურორი პირველ რიგში უნდა დარწმუნდეს:
- ჰყავს თუ არა ბრალდებულს ადვოკატი;
  - აცხადებს თუ არა ზემდგომი პროკურორი თანხმობას საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე;
  - აცხადებს თუ არა ბრალდებული თანხმობას საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე.
5. საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე მოლაპარაკების დანყებისთანავე პროცესის მწარმოებელმა ორგანომ (პროკურორმა, სასამართლომ) უნდა უზრუნველყოს საქმეში ადვოკატის ჩართვა. აღნიშნული შემთხვევა სსსკ-ის 45-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სავალდებულო დაცვის შემთხვევებს მიეკუთვნება, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ ბრალდებულს არ ჰყავს დაცვა შეთანხმებით ან ის უარს აცხადებს დამცველზე, პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, მიუხედავად ბრალდებულის პოზიციისა, მას უნდა დაუნიშნოს დამცველი სავალდებულო წესით სახელმწიფოს ხარჯზე.
6. ბრალდებულის თანხმობის დასადასტურებლად, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებულ საპროცესო დოკუმენტს განცხადება წარმოადგენს. თუმცა, იმისათვის, რომ განცხადება საფუძვლად დაედოს საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, ის გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. კერძოდ, განცხადებაში, რომელსაც ხელმოწერით ბრალდებული და მისი ადვოკატი ადასტურებს, აღნიშნული უნდა იყოს იმის შესახებ, რომ:
- ბრალდებული თანახმაა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე;
  - ბრალდებული აღიარებს დანაშაულს (წარდგენილ ბრალდებას);
  - ბრალდებულს გაენია კვალიფიციური იურიდიული დახმარება;
  - ბრალდებული აცნობიერებს საპროცესო შეთანხმების მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს.
7. განცხადება საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე უნდა შეიცავდეს მითითებას შეთანხმების ბრალდებულისთვის სასურველი პირობების (სასჯელის სახისა და ზომის) შესახებ. ასევე მითითებას საპროცესო შეთანხმების დამატებით პირობად ზიანის ანაზღაურების ან თანამშრომლობის გამოყენების შესახებ.
8. თუ ბრალდებული თანახმაა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, ჰყავს ადვოკატი და ზემდგომი პროკურორი წერილობით თანხმობას აცხადებს, პროკურორსა და ბრალდებულს

- (მის ადვოკატს) შორის იწყება საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ მოლაპარაკებების პროცესი, რომლის მიმდინარეობისას პროკურორი ვალდებულია გააფრთხილოს ბრალდებული საპროცესო შეთანხმების შედეგების შესახებ. კერძოდ, განუმარტოს მას:
- რა შედეგებთან არის დაკავშირებული ბრალის აღიარება;
  - რა დანაშაულისთვის (სსკ-ის რომელი მუხლით ან მუხლებით) იქნება ბრალდებული დამნაშავედ ცნობილი;
  - სასჯელის რა სახე და ზომა იქნება მის მიმართ გამოყენებული;
  - რა შედეგებს იწვევს საპროცესო შეთანხმების დამტკიცება (მათ შორის ნასამართლობას);
  - როგორი წესით (მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე) გამოაქვს მოსამართლეს განაჩენი;
  - საპროცესო შეთანხმების დადება ბრალდებულს არ ათავისუფლებს სამოქალაქო და სხვა სახის პასუხისმგებლობისგან.
9. პროკურორმა აღნიშნული შედეგების შესახებ ინფორმაცია უნდა მიანოდოს ბრალდებულს იმის მიუხედავად, ეცნობა თუ არა ბრალდებულს ამ შედეგების შესახებ მისი ადვოკატისგან.
10. ბრალდებული სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება გათავისუფლდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის გადაწყვეტილებით, რომელიც შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს. სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას კანონი ითვალისწინებს განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუმცა არ მიუთითებს რა შეიძლება იქნეს მიჩნეული ამგვარ შემთხვევად. საპროცესო შეთანხმების მიზნებიდან და ზოგადი სულისკვეთებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბრალდებული საპროცესო შედეგათებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების სახით მაშინ მიიღებს, თუ სახეზეა სსსკ-ის 210-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები, რომლებიც თავისი არსით განსხვავდება საპროცესო შეთანხმების გაფორმების ჩვეულებრივი შემთხვევებისგან. მაგალითად, სახეზეა განსაკუთრებული თანამშრომლობა, სრულად არის ანაზღაურებული დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი, ბრალდებულის მონაწილეობის ხარისხი დანაშაულის ჩადენაში მინიმალურია და ა.შ..
11. პროკურორსა და ბრალდებულს (მის ადვოკატს) შორის მოლაპარაკებების მთელი პროცესი, მიღწეული შედეგების ჩათვლით, აისახება საპროცესო შეთანხმების ოქმში, რომელსაც ადგენს პროკურორი და ხელს აწერს ორივე მხარე (პროკურორი, ბრალდებული, ადვოკატი). ოქმში უნდა მიეთითოს, რომ:
- ბრალდებულისთვის ცნობილია წარდგენილი ბრალდების არსი და მისთვის გათვალისწინებული სასჯელი;
  - ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ცნობს;
  - ბრალდებული თანხმობას აცხადებს საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებულ სასჯელის სახესა და ზომაზე;
  - ბრალდებულისთვის ცნობილია საპროცესო შეთანხმების მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები;
  - ბრალდებულისთვის ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შემთხვევაში, მოსამართლეს განაჩენი გამოაქვს მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე.
12. მართალია, სსსკ-ის 210-ე მუხლი არ შეიცავს მითითებას აღნიშნულის შესახებ, თუმცა თუ საპროცესო შეთანხმების გაფორმებასა და მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობდა პროცესის სხვა მონაწილე (გარეშე პირი, თარჯიმანი), საპროცესო შეთანხმების ოქმი ხელმოწერით მანაც უნდა დაადასტუროს. ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა სსსკ-ის ის მუხლები, რომლებიც საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ოქმების

შედგენის ზოგად წესებს ადგენს. თუ ბრალდებული არასრულწლოვანია, ოქმს ხელმოწერით ადასტურებს მისი კანონიერი წარმომადგენელი.

**13.** საპროცესო შეთანხმების ოქმის ასლი გადაეცემათ ბრალდებულსა და ადვოკატს. მათ უფლება აქვთ ოქმზე გამოთქვან შენიშვნები, რომლებიც აისახება ოქმში.

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს:

- ბრალდებულისთვის სასჯელის შემცირება (მაგალითად, წარდგენილი ბრალდება ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მინიმუმ 5 წლის ვადით. პროკურორი უფლებამოსილია საპროცესო შეთანხმების საფუძველზე მოითხოვოს ბრალდებულისთვის სასჯელის ზომად 3 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა);
- ბრალდებულისთვის ბრალდების შემსუბუქება (მაგალითად, პირს ბრალი ედება სსკ-ის მე-19-108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. პროკურორი უფლებამოსილია საპროცესო შეთანხმების საფუძველზე მოითხოვოს პირის დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით);
- ბრალდებულისთვის ბრალდების ნაწილობრივ მოხსნა (მაგალითად, პირს ბრალი ედება სსკ-ის 177-ე და 178-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში. პროკურორი უფლებამოსილია საპროცესო შეთანხმების საფუძველზე მოითხოვოს პირის დამნაშავედ ცნობა მხოლოდ 178-ე მუხლით).

**14.** სასჯელის შემცირების, ბრალდების შემსუბუქების და მისი მოხსნის გადანყვეტილების მიღებისას პროკურორი მთელ რიგ გარემოებებს იღებს მხედველობაში:

- საჯარო ინტერესი;
- სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები;
- ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე;
- დანაშაულის ხასიათი;
- ბრალეულობის ხარისხი;
- ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროება;
- პიროვნული მახასიათებლები;
- ნასამართლობა;
- გამოძიებასთან თანამშრომლობა;
- დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ქცევა.

**15.** საპროცესო შეთანხმების გაფორმება ბრალდებულს არ ართმევს უფლებას მოითხოვოს იმ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, რომლებმაც მის მიმართ წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ჩაიდინეს.

## **მუხლი 211. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის ფორმა**

1. თუ პროკურორი, ბრალდებული და მისი ადვოკატი საპროცესო შეთანხმების დადებაზე შეთანხმდებიან, პროკურორი წერილობით ადგენს შუამდგომლობას, რომელშიც აღინიშნება:

- ა) ბრალდებულის სახელი და გვარი, დაბადების რიცხვი, თვე და წელი;
- ბ) ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;
- გ) ამ კოდექსის მე-3 მუხლის 11<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები;
- დ) ბრალდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის შემთხვევაში – თანამშრომლობის ფორმა და შინაარსი;
- ე) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლებითაც გათვალისწინებულია შესაბამისი დანაშაული;

ვ) პროკურატურის მიერ მოთხოვნილი სასჯელის სახე და ზომა;

ზ) მითითება ამ კოდექსის 210-ე მუხლის 1<sup>2</sup> ნაწილით გათვალისწინებული გაფრთხილების შესახებ ან იმავე მუხლის 1<sup>3</sup> ნაწილით გათვალისწინებული საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის დასაბუთებული გადაწყვეტილების შესახებ.

2. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობას თან ერთვის ბრალდებულის წერილობითი განცხადება, რომელსაც ხელს აწერენ ბრალდებული და მისი ადვოკატი. ბრალდებულის განცხადებაში დადასტურებული უნდა იყოს, რომ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანაზე თანხმობა ბრალდებულმა ნებაყოფლობით, ადვოკატისაგან იურიდიული დახმარების მიღების შემდეგ განაცხადა. ამასთანავე, ბრალდებული სრულყოფილად უნდა აღიქვამდეს საპროცესო შეთანხმების შინაარსს და მოსალოდნელი განაჩენის სამართლებრივ შედეგებს, რის შესახებაც უნდა აღინიშნოს ბრალდებულის განცხადებაში.

3. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობას ხელს აწერენ პროკურორი, ბრალდებული და მისი ადვოკატი, აგრეთვე ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. (ამოღებულია – 24.07.2014, №2517).

5. (ამოღებულია – 11.03.2011, №4430).

6. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა და საპროცესო შეთანხმების ოქმი საჯაროა, გარდა იმ ნაწილისა, რომელშიც მითითებულია ბრალდებულის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია. ბრალდებულის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ მის ხელმოწერა პირებსა და სასამართლოს, აგრეთვე იმ ბრალდებულს (მის ადვოკატს), რომლის შესახებაც სხვა ბრალდებული საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოძიებას მამხილებელ ინფორმაციას აწვდის. ასეთი ბრალდებულისათვის (მისი ადვოკატისათვის) აღნიშნული საპროცესო შეთანხმების შინაარსი სრულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

7. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობას თან ერთვის საპროცესო შეთანხმების ოქმი.

1. შუამდგომლობას საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე ადგენს და სასამართლოს წარუდგენს პროკურორი, მიუხედავად იმისა, ვისი (ბრალდების მხარის თუ დაცვის მხარის) ინიციატივით გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. შუამდგომლობა სასამართლოს საპროცესო შეთანხმების ოქმთან<sup>617</sup> და ბრალდებულის განცხადებასთან ერთად უნდა წარედგინოს. თუ სასამართლოს შუამდგომლობა წარედგინება გამოძიების სტადიაზე, მას ასევე თან ერთვის სისხლის სამართლის საქმე.

2. სსსკ-ის 211-ე მუხლი განსაზღვრავს საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის აუცილებელ რეკვიზიტებს. კერძოდ, შუამდგომლობაში აღინიშნება:

- ბრალდებულის სახელი და გვარი, დაბადების რიცხვი, თვე და წელი;
- ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;
- საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები – მტკიცებულებები, რომლებიც დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე. მტკიცებულებათა აღნიშნული სტანდარტი სსსკ-ში 2014 წლის 24 ივლისს განხორციელებული

<sup>617</sup> ოქმის შინაარსის და რეკვიზიტების შესახებ იხ., სსსკ-ის 210-ე მუხლის კომენტარი.

- ბული ცვლილების შედეგად დამკვიდრდა. მასში მოიაზრება როგორც დასაბუთებულ ვარაუდს, ისე ალბათობის მაღალი ხარისხის და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტები საქმის ფაქტობრივი გარემოებების და იმის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესის რომელ სტადიაზე განიხილება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების საკითხი;
- ბრალდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის შემთხვევაში – თანამშრომლობის ფორმა და შინაარსი. პროკურორმა შუამდგომლობაში უნდა მიუთითოს ფაქტობრივი ან სამომავლო თანამშრომლობის, აგრეთვე თანამშრომლობის პირობების დარღვევის შემთხვევაში, მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ;
  - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლებითაც გათვალისწინებულია შესაბამისი დანაშაული;
  - პროკურატურის მიერ მოთხოვნილი სასჯელის სახე და ზომა;
  - მითითება იმის შესახებ, რომ საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მტკიცებულებების უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე გამოაქვს და საპროცესო შეთანხმების დადება არ ათავისუფლებს ბრალდებულს სამოქალაქო და სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან. საქართველოს მთავარი პროკურორის ან მის მოადგილის გადაწყვეტილება ბრალდებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან სრულად ან ნაწილობრივ განთავისუფლების შესახებ.
3. სსსკ-ის 211-ე მუხლის მიხედვით შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს ბრალდებულის წერილობითი განცხადება, რომელსაც ხელს აწერენ ბრალდებული და მისი ადვოკატი. როგორც უკვე აღინიშნა სსსკ-ის 209-ე მუხლის კომენტარებისას, საპროცესო შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს როგორც ბრალდებულის (მსჯავრდებულის), ისე პროკურორის ინიციატივით. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ბრალდებულის (მსჯავრდებულის) განცხადება მხოლოდ მაშინ არის აუცილებელი, თუ საპროცესო შეთანხმება ამ უკანასკნელის ინიციატივით ფორმდება. პროკურორის მიერ საპროცესო შეთანხმების შეთავაზების შემთხვევაში კი, დგება ოქმი. აღნიშნული მსჯელობის საწინააღმდეგო მიზანი არც კანონმდებელს ჰქონია, როდესაც 2014 წლის 24 ივლისს სსსკ-ის 211-ე მუხლის მე-2 ნაწილში ცვლილება შევიდა. თუმცა, სასამართლო პრაქტიკა სხვა მიმართულებით წარიმართა და იმისათვის, რომ სასამართლომ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება, პროკურორის შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს ბრალდებულის წერილობითი განცხადება, მიუხედავად იმისა, ვისი ინიციატივით გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.
4. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს რომ:
- ბრალდებულს ადვოკატისგან გაენია კვალიფიციური იურიდიული დახმარება;
  - ბრალდებული სრულყოფილად აღიქვამს საპროცესო შეთანხმების შინაარსს (მისთვის ცნობილია წარდგენილი ბრალდების არსი და ქმედებისათვის გათვალისწინებული სასჯელი, საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული მოსალოდნელი სასჯელის სახე და ზომა);
  - ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ცნობს;
  - ბრალდებული საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე თანხმობას ნებაყოფლობით აცხადებს;
  - ბრალდებულისთვის ცნობილია საპროცესო შეთანხმების მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები.
5. საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობას ხელს აწერენ პროკურორი, ბრალდებული და მისი ადვოკატი, აგრეთვე ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
6. როგორც წესი, სისხლის სამართლის საქმე განიხილება და მტკიცებულებების გამოკვლევა ხორციელდება ღია სასამართლო სხდომაზე. აღნიშნული ზოგადი წესი ვრცელდება საპროცესო შეთანხმების ოქმისა და არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ შუამდგომლობის გამოკვლევაზეც. თუმცა, ამ წესიდან სსსკ-ის 211-ე მუხლი ითვალის-

წინებს გამონაკლისსაც. კერძოდ, საჯარო არ არის საპროცესო შეთანხმების ოქმის და შუამდგომლობის ის ნაწილი, სადაც მითითებულია ბრალდებულის მიერ გამოძიებისთვის მიწოდებული ინფორმაცია. აღნიშნული გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როცა საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთ პირობად გათვალისწინებულია თანამშრომლობა. ამგვარი კანონისმიერი შეზღუდვის მიზანია გამოძიებისთვის მიწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება, განსაკუთრებით მაშინ, როცა საპროცესო შეთანხმება სამომავლო თანამშრომლობაზე ფორმდება, რაც შემდგომში შეუძლებელს გახდის მიწოდებული ინფორმაციის რეალიზაციას.

7. შესაბამისად, ბრალდებულის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ საპროცესო შეთანხმების ხელმომწერ პირებსა და სასამართლოს, აგრეთვე იმ ბრალდებულს (მის ადვოკატს), რომლის შესახებაც სხვა ბრალდებული საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოძიებას მამხილებელ ინფორმაციას აწვდის. მაგალითად, სსკ-ის 260-ე მუხლით ნარკოტიკული საშუალების შემქმნმა ბრალდებულმა, რომელსაც პროკურორმა გაუფორმა საპროცესო შეთანხმება თანამშრომლობის პირობით, პროკურორს მიანოდა ინფორმაცია ნარკოტიკული საშუალების გამსაღებლის შესახებ და განაცხადა თანხმობა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შემთხვევაში, საგამოძიებო ოპერაციაში მონაწილეობის მიღებაზე. აღნიშნული თანამშრომლობის შინაარსი, რომელიც აისახება საპროცესო შეთანხმების ოქმში და არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ შუამდგომლობაში, ხელმისაწვდომია მხოლოდ ოქმის და შუამდგომლობის ხელმომწერი პირებისათვის და ბრალდების შემდეგ იმ პირისთვის, რომელმაც ნარკოტიკული საშუალება გაასაღა.

## მუხლი 212. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვა

1. საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით და დამტკიცდეს სასამართლოს მიერ. საპროცესო შეთანხმება უნდა აისახოს სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში.
2. სასამართლო ვალდებულია საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე დარწმუნდეს, რომ:
  - ა) საპროცესო შეთანხმება დადებულია ნამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების გარეშე;
  - ბ) საპროცესო შეთანხმება ნებაყოფლობით არის დადებული და ბრალდებული ნებაყოფლობით აღიარებს ბრალს;
  - გ) ბრალდებული სრულად აცნობიერებს საპროცესო შეთანხმების, მათ შორის, ნასამართლობის, სამართლებრივ შედეგებს;
  - დ) ბრალდებულს ჰქონდა კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა;
  - ე) ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება;
  - ვ) ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს;
  - ზ) ბრალდებულისათვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ;
  - თ) ბრალდებული აცნობიერებს, რომ, თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი საპროცესო შეთანხმების განხილვისას სასამართლოს მიანვდის;
  - ი) ბრალდებული აცნობიერებს, რომ მას აქვს შემდეგი უფლებები:
    - ი.ა) დაცვის უფლება;
    - ი.ბ) საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის უფლება;
    - ი.გ) სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლება;



კ) ბრალდებული ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს;

ლ) საპროცესო შეთანხმებაში ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმების ყველა პირობაა ასახული;

მ) ბრალდებული და მისი ადვოკატი სრულად იცნობენ საქმის მასალებს.

3. მოსამართლე ვალდებულია ბრალდებულს განუმარტოს, რომ მის მიერ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლის კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.

4. (ამოღებულია – 24.07.2014, №2517).

5. მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება.

1. არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ პროკურორის შუამდგომლობას განიხილავს მოსამართლე გამოძიების ადგილის მიხედვით ან იმ სასამართლოს მოსამართლე, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ჩატარდა პირველი წარდგენის სხდომა. მოსამართლე ამტკიცებს მხარეთა შორის გაფორმებულ საპროცესო შეთანხმებას ან უარს ამბობს მის დამტკიცებაზე. გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლო ვალდებულია დარწმუნდეს, რომ:

- საპროცესო შეთანხმება დადებულია წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების გარეშე;
- საპროცესო შეთანხმება ნებაყოფლობით არის დადებული და ბრალდებული ნებაყოფლობით აღიარებს ბრალს;
- ბრალდებული სრულად აცნობიერებს საპროცესო შეთანხმების, მათ შორის, ნასამართლობის, სამართლებრივ შედეგებს – კერძოდ, იმ ფაქტს, რომ საპროცესო შეთანხმების დამტკიცება ნიშნავს ბრალდებულის დამნაშავედ ცნობას, რაც იწვევს ნასამართლობას, რომ საპროცესო შეთანხმება არ ათავისუფლებს ბრალდებულს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან;
- ბრალდებულს ჰქონდა კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა – საპროცესო შეთანხმების შეთავაზების და მოლაპარაკების მიმდინარეობის პროცესში ჰყავდა ადვოკატი, რომელმაც მისთვის გასაგებ ენაზე განუმარტა საპროცესო შეთანხმების არსი, უფლება არსებით განხილვაზე და როგორც არსებითი განხილვით, ისე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები;
- ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება;
- ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს;
- ბრალდებულისათვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ;
- ბრალდებული აცნობიერებს, რომ, თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი საპროცესო შეთანხმების განხილვისას სასამართლოს მიანწვდის;
- ბრალდებული აცნობიერებს, რომ მას აქვს დაცვის, საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის და სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლება;
- ბრალდებული ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს;

- საპროცესო შეთანხმებაში ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმების ყველა პირობაა ასახული;
  - ბრალდებული და მისი ადვოკატი სრულად იცნობენ საქმის მასალებს.
2. მითითებული საკითხების გარკვევას მოსამართლე ბრალდებულისთვის კითხვების დასმის გზით ამოწმებს და გადაწყვეტილებას თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ბრალდებულის განცხადების, საქმის მასალებისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებს. გარდა აღნიშნულისა, მოსამართლე ბრალდებულს განუმარტავს, რომ მას აქვს უფლება საჩივარი შეიტანოს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე, რაც ხელს არ შეუშლის კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.

### მუხლი 213. სასამართლოს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე

1. სასამართლო უფლებამოსილია სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის, საქმის პროკურორისთვის დაბრუნების ან კანონით დადგენილი წესით საქმის არსებითი განხილვის თაობაზე.
2. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საკითხს იხილავს შესაბამისი სასამართლო სისხლის სამართლის საქმის განსჯადობის მიხედვით.
3. სასამართლო საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე ამოწმებს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება, არსებობს თუ არა ამ კოდექსით გათვალისწინებული გარემოებები და არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი.
- 3<sup>1</sup>. სასამართლომ არ უნდა დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება, თუ მას მიაჩნია, რომ ამ კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებზე დამარწმუნებელი პასუხები ვერ მიიღო.
4. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარდგენილია ამ კოდექსის მე-3 მუხლის 11<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები, ამ კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებზე დამარწმუნებელი პასუხები მიიღო და მოთხოვნილი სასჯელი არის კანონიერი და სამართლიანი, მას გამოაქვს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. აღნიშნული განაჩენი გამოტანილი უნდა იქნეს პროკურორის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის წარდგენიდან 15 დღის ვადაში.
5. თუ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე იხილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა და სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმება წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების შედეგად არის დადებული, იგი საქმეს ზემდგომ პროკურორს გადასცემს. ზემდგომი პროკურორი საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას სხვა პროკურორს აკისრებს.
6. სასამართლო უფლებამოსილია საპროცესო შეთანხმებაში ცვლილებები შეიტანოს მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.
- 6<sup>1</sup>. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ კოდექსის მე-3 მუხლის 11<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს, ან დაადგენს, რომ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევით არის წარდგენილი, იგი საქმეს პროკურორს უბრუნებს. პროკურორისათვის საქმის დაბრუნებამდე სასამართლო მხარეებს სთავაზობს, შუამდგომლობის სასამართლო სხდომაზე განხილვისას შეცვა-

ლონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რაც შეთანხმებული უნდა იყოს ზემდგომ პროკურორთან. თუ სასამართლოს საპროცესო შეთანხმების შეცვლილი პირობებიც არ აკმაყოფილებს, იგი საქმეს პროკურორს უბრუნებს.

7. ბრალდებულს უფლება აქვს, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანამდე, ნებისმიერ დროს თქვას უარი საპროცესო შეთანხმებაზე. უარის განცხადებას არ სჭირდება ადვოკატის თანხმობა. განაჩენის გამოტანის შემდეგ საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმა დაუშვებელია.

8. მხარეებს უფლება აქვთ, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანამდე შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები.

1. სასამართლოს საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენი გამოაქვს პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელსაც ერთვის განცხადება საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ, საპროცესო შეთანხმების ოქმი და სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომლებიც პირის მიერ ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენას ადასტურებენ.
2. შუამდგომლობა წარედგინება სასამართლოს განსჯადობის მიხედვით სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე (გამოძიებისას, წინასასამართლო სხდომაზე, პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისას). შესაბამისად, არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის უფლებამოსილება აქვს მაგისტრატ მოსამართლესაც (ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის და წინასასამართლო სხდომაზე).
3. სასამართლო არ არის ვალდებული დაამტკიცოს მხარეთა შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმება. გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლო საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე ამოწმებს:
  - დასაბუთებულია თუ არა ბრალდება;
  - არსებობს თუ არა ამ კოდექსით გათვალისწინებული გარემოებები (საპროცესო შეთანხმება გაფორმდა თუ არა სსსკ-ის მოთხოვნათა დაცვით);
  - არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი;
  - არსებობს თუ არა სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11<sup>1</sup>-ე ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები – მტკიცებულებები, რომლებიც დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე.
4. აღნიშნული გარემოებების შემოწმების შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
  - საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ – ამგვარ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე;
  - საქმის პროკურორისთვის დაბრუნების შესახებ – ამგვარ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს მაშინ, როცა არ არსებობს საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები, ან საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა სსსკ-ის მოთხოვნათა დარღვევით არის წარდგენილი. მითითებული საფუძველების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია საქმე პროკურორთან დააბრუნოს სამართალწარმოების ნებისმიერი ეტაპიდან. თუმცა, თუ სასამართლო საპროცესო შეთანხმებას არ დაამტკიცებს სხვა საფუძველით (მაგალითად, სასჯელის სიმკაცრის მოტივით), საქმის

პროკურორთან უკან დაბრუნება დამოკიდებულია იმაზე, თუ სამართალწარმოების რომელ ეტაპზე განიხილებოდა არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ შუამდგომლობა. თუ საკითხი იხილებოდა წინასასამართლო სხდომაზე, მოსამართლე, სასჯელის სიმკაცრის მოტივით, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის შემთხვევაში, საქმეს უბრუნებს პროკურორს, ხოლო თუ საკითხი იხილებოდა არსებითი განხილვის სხდომაზე, საქმე უკან არ უბრუნდება პროკურორს, კანონით დადგენილი წესით გრძელდება არსებითი განხილვა და მოსამართლეს გამოაქვს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენი.

- კანონით დადგენილი წესით საქმის არსებითი განხილვის თაობაზე – ამგვარ დადგენილებას სასამართლო იღებს მაშინ, როცა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების საკითხი განიხილება საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე და სასამართლო უარს ამბობს მის დამტკიცებაზე სხვა საფუძველით (მაგალითად, სასჯელის სიმკაცრის მოტივით). საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის შემთხვევაში, საქმე უკან არ უბრუნდება პროკურორს, კანონით დადგენილი წესით გრძელდება არსებითი განხილვა და მოსამართლეს გამოაქვს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენი.
5. სასამართლომ არ უნდა დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება, თუ ის ვერ მიიღებს დამარწმუნებელ პასუხებს შემდეგ საკითხებზე:
- საპროცესო შეთანხმება დადებულია ნაშვების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების გარეშე;
  - საპროცესო შეთანხმება ნებაყოფლობით არის დადებული და ბრალდებული ნებაყოფლობით აღიარებს ბრალს;
  - ბრალდებული სრულად აცნობიერებს საპროცესო შეთანხმების, მათ შორის, ნასამართლობის, სამართლებრივ შედეგებს – კერძოდ, იმ ფაქტს, რომ საპროცესო შეთანხმების დამტკიცება ნიშნავს ბრალდებულის დამნაშავედ ცნობას, რაც იწვევს ნასამართლობას, რომ საპროცესო შეთანხმება არ ათავისუფლებს ბრალდებულს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან;
  - ბრალდებულს ჰქონდა კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა – საპროცესო შეთანხმების შეთავაზების და მოლაპარაკების მიმდინარეობის პროცესში ჰყავდა ადვოკატი, რომელმაც მისთვის გასაგებ ენაზე განუმარტა საპროცესო შეთანხმების არსი, უფლება არსებით განხილვაზე და როგორც არსებითი განხილვით, ისე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები;
  - ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება;
  - ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს;
  - ბრალდებულისათვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ;
  - ბრალდებული აცნობიერებს, რომ, თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი საპროცესო შეთანხმების განხილვისას სასამართლოს მიანვდის;
  - ბრალდებული აცნობიერებს, რომ მას აქვს დაცვის, საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის და სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლება;
  - ბრალდებული ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს;
  - საპროცესო შეთანხმებაში ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხ-

მების ყველა პირობაა ასახული;

- ბრალდებული და მისი ადვოკატი სრულად იცნობენ საქმის მასალებს.
- 6. სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> ნაწილი სსსკ-ში 2014 წლის 24 ივლისს განხორციელებული ცვლილების შედეგად გაჩნდა. კანონმდებლის მიზანი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების პროცესში, კანონით გათვალისწინებული საკითხების გარკვევისას, სასამართლოსთვის მეტი სამართლებრივი ბერკეტის მიცემა იყო. მითითებული საკითხები მოსამართლემ ბრალდებულისთვის კითხვების დასმის გზით უნდა გაარკვიოს და გადაწყვეტილება თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ბრალდებულის განცხადების, საქმის მასალებისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიღოს.
- 7. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულ საკითხებზე დამარწმუნებელი პასუხები მიიღო, არსებობს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების მტკიცებულებითი სტანდარტი და მოთხოვნილი სასჯელი არის კანონიერი და სამართლიანი, სასამართლოს პროკურორის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის წარდგენიდან 15 დღის ვადაში გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე.
- 8. სასამართლო არ არის ვალდებული დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება პროკურორის მიერ წარმოდგენილი პირობებით, თუმცა მხარეთა თანხმობის გარეშე, არც ამ პირობების შეცვლის უფლებამოსილება აქვს. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლო უფლებამოსილია არ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება, თუმცა თუ დაამტკიცებს, მას არ აქვს პირობების საკუთარი ინიციატივით შეცვლის უფლება.
- 9. პირობების შეცვლა შეიძლება განხორციელდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლოს წინადადებით. ამგვარი შეცვლა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანამდე უნდა განხორციელდეს.
- 10. სასამართლო ძირითადად მაშინ ახდენს პირობების შეცვლის ინიცირებას, როცა სსსკ-ით განსაზღვრულ საფუძვლებზე დაყრდნობით არ აპირებს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო მხარეებს სთავაზობს შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები. პირობების ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს ზემდგომ პროკურორთან. თუ სასამართლოს საპროცესო შეთანხმების შეცვლილი პირობებიც არ აკმაყოფილებს, იგი არ ამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას და საქმეს პროკურორს უბრუნებს.
- 11. ბრალდებულს უფლება აქვს, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანამდე, ნებისმიერ დროს თქვას უარი საპროცესო შეთანხმებაზე. უარის განცხადებას არ სჭირდება ადვოკატის თანხმობა. განაჩენის გამოტანის შემდეგ საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმა დაუშვებელია. განაჩენის გამოტანის შემდეგ მოქმედებს სსსკ-ით დადგენილი გასაჩივრების წესი.
- 12. თუ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე იხილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა და სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმება წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების შედეგად არის დადებული, იგი საქმეს ზემდგომ პროკურორს გადასცემს. ზემდგომი პროკურორი საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას სხვა პროკურორს აკისრებს.

**მუხლი 214. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობა**

თუ სასამართლო გააუქმებს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენს ან ბრალდებული თვითონ განაცხადებს უარს საპროცესო შეთანხმებაზე, დაუშვებელია

### ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების მის სანინალმდეგოდ გამოყენება.

1. სსსკ-ის 214-ე მუხლი მნიშვნელოვან საპროცესო გარანტიებს ითვალისწინებს იმ ბრალდებულისთვის, რომელთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების თაობაზე ან რომელთან მიღწეული საპროცესო შეთანხმებაც უკვე დამტკიცებულია სასამართლოს მიერ.
2. როგორც უკვე აღინიშნა სსსკ-ის 209-ე-211-ე მუხლების კომენტირებისას, საპროცესო შეთანხმების გაფორმების აუცილებელი წინაპირობაა დანაშაულის აღიარება. ამავდროულად, სსსკ ითვალისწინებს საპროცესო შეთანხმებაზე უარის შესაძლებლობას, რაც მოლაპარაკების მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება განხორციელდეს, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე. სსსკ-ის 215-ე მუხლის თანახმად, სათანადო საფუძვლების არსებობისას საპროცესო შეთანხმება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.
3. სსსკ-ის 214-ე მუხლი სწორედ იმ ინფორმაციის ბრალდებულის სანინალმდეგოდ გამოყენებისაგან იცავს ბრალდებულს, რომელიც სამართალწარმოების მონაწილეთათვის ცნობილი გახდა საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე მოლაპარაკების მიმდინარეობის ან მისი დამტკიცების პროცესში. კერძოდ, თუ ბრალდებული უარს განაცხადებს საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გააუქმებს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე, დაუშვებელია იმ ინფორმაციის ბრალდებულის სანინალმდეგოდ გამოყენება, რაც მან მიაწოდა გამოძიებას და სასამართლოს.

### მუხლი 215. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა და გასაჩივრება

1. ამ თავით გათვალისწინებულ საქმეებზე სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე და საჩივრდება ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. (24.07.2014. N2517)
2. მხარეს უფლება აქვს, სასამართლოს უარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე 15 დღის ვადაში გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.
3. მსჯავრდებულს უფლება აქვს, ამ თავით გათვალისწინებული განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე, თუ: (24.07.2014. N2517)
  - ა) საპროცესო შეთანხმება იძულებით, მუქარით, ძალადობით, დაშინებით ან მოტყუებით დაიდო;
  - ბ) ბრალდებულს შეეზღუდა დაცვის უფლება;
  - გ) საპროცესო შეთანხმება ისე დაიდო, რომ ამ კოდექსის მე-3 მუხლის 11<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობდა;
  - დ) საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულებელყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და ამ თავით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნები.
4. თუ მსჯავრდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმების პირობა, პროკურორი უფლებამოსილია დარღვევის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე.
5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმებისას სასამართლო საქმეს უბრუნებს პროკურორს.

1. საპროცესო შეთანხმების თაობაზე სასამართლოს განაჩენი, როგორც წესი, არ საჩივრდება, გარდა სსსკ-ის 215-ე მუხლით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.
2. აღნიშნული მუხლის მიხედვით მხარეებს შეუძლიათ გაასაჩივრონ როგორც საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება, ისე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარი.
3. საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარი მხარემ შეიძლება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გაასაჩივროს განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში. რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გასაჩივრებას, სსსკ-ის 215-ე მუხლი განსხვავებულ ვადებს და საფუძვლებს ითვალისწინებს იმის მიხედვით, თუ ვინ არის საჩივრის ავტორი. კერძოდ, მსჯავრდებულს უფლება აქვს განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე, თუ:
  - საპროცესო შეთანხმება იძულებით, მუქარით, ძალადობით, დაშინებით ან მოტყუებით დაიდო;
  - ბრალდებულს შეეზღუდა დაცვის უფლება;
  - საპროცესო შეთანხმების დადებისას არ არსებობდა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები;
  - საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულებელყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და სსსკ-ის 209-ე-218-ე მუხლებით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნები.
4. პროკურორი მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი მიმართოს ზემდგომ სასამართლო ინსტანციას საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების მოთხოვნით, თუ მსჯავრდებული, რომელსაც გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება, დაარღვევს ამ საპროცესო შეთანხმების პირობას. მაგალითად, საპროცესო შეთანხმების პირობად გათვალისწინებული იყო ზიანის ანაზღაურება გარკვეული პერიოდულობით ან/და თანამშრომლობა, რაც სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის მამხილებელი ჩვენების მიცემას გულისხმობდა. პირის მიერ მითითებული პირობების შეუსრულებლობა პროკურორს აძლევს ბრალდებულთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების გაუქმების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას. პროკურორი უფლებამოსილია საჩივარი შეიტანოს დარღვევის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში.
5. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმებისას სასამართლო საქმეს უბრუნებს პროკურორს.

## მუხლი 216. განაჩენის გადაცემა (5.05.2011. №4631)

**განაჩენის გამოტანიდან 3 დღის ვადაში მსჯავრდებულს, მის ადვოკატს და პროკურორს გადაეცემა განაჩენის ასლები.**

1. არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილი განაჩენი, ისევე როგორც არსებითი განხილვის შედეგად მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება, გადაეცემა მხარეებს (მსჯავრდებულს, მის ადვოკატს და პროკურორს). სსსკ-ის 216-ე მუხლით კანონმდებელი ადგენს არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილი განაჩენის მხარეებისთვის გადაცემის განსხვავებულ ვადას, რომლის განმავლობაშიც სასამართლომ უნდა უზრუნველყოს განაჩენის ასლის გადაცემა მხარეებისთვის. კერძოდ, მსჯავრდებულს, მის ადვოკატს და პროკურორს განაჩენის გამოტანიდან 3 დღის ვადაში გადაეცემათ განაჩენის ასლები.

## მუხლი 217. დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების დადებისას

1. პროკურორი ვალდებულია საპროცესო შეთანხმების დადებამდე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადება, რის შესახებაც პროკურორი ადგენს ოქმს (24.07.2014. №2517).

1. სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას დაზარალებულს უფლება აქვს, სასამართლოს წერილობით ან სასამართლო სხდომაზე მოსამართლეს ზეპირად მიაწოდოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა (24.07.2014. №2517).

2. დაზარალებულს უფლება არა აქვს, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება.

3. საპროცესო შეთანხმება დაზარალებულს არ ართმევს უფლებას, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი.

1. მოქმედი სსსკ-ის მიხედვით დაზარალებული არ წარმოადგენს მხარეს, შესაბამისად, მას არ გააჩნია იმგვარი საპროცესო უფლებები, რომლითაც მხარე სარგებლობს სისხლის სამართალწარმოების მიმდინარეობის პროცესში. მიუხედავად ამისა, ცალკეული საპროცესო გადაწყვეტილების მიღებისას სსსკ პროცესის მწარმოებელ პირებს დაზარალებულის ინფორმირებას ავალდებულებს. ამგვარი ინფორმირების მიზანი ზოგიერთ შემთხვევაში დაზარალებულის თანხმობის მოპოვებაა, რომლის გარეშეც კანონი კრძალავს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ჩატარებას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – მხოლოდ მიმდინარე გამოძიების და დაგეგმილი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების შესახებ დაზარალებულისთვის ინფორმაციის მიწოდება.

საპროცესო შეთანხმების გაფორმებამდე პროკურორი ვალდებულია დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია, რომლის მიზანი საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე დაზარალებულის პოზიციის გარკვევაა. სსსკ-ის მიხედვით დაზარალებულის უარი არ აბრკოლებს საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. დაზარალებულს არც საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების უფლება აქვს. შესაბამისად, ისმის ლოგიკური კითხვა – რა მიზანს ემსახურება დაზარალებულთან კონსულტაცია? დაზარალებულის უარი, მართალია, სამართლებრივად არ არის საპროცესო შეთანხმების გაფორმების დამაბრკოლებელი გარემოება, თუმცა მის პოზიციას დიდი მნიშვნელობა აქვს პროკურორისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებით ისეთ სისხლის სამართლის საქმეებზე, სადაც დაზარალებულს მიადგა ფიზიკური ან დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი, რომელიც არ არის ანაზღაურებული.

2. დაზარალებულის პოზიცია ერთ-ერთია საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას გასათვალისწინებელ გარემოებებს შორის.

3. გარდა ამისა, პროკურორი ვალდებულია საპროცესო შეთანხმების გაფორმების ფაქტის შესახებაც შეატყობინოს დაზარალებულს. ანუ, პროკურორი არა მხოლოდ საპროცესო შეთანხმების გაფორმებამდე გადის დაზარალებულთან კონსულტაციას, არამედ საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებაც აწვდის მას ინფორმაციას. ზემოაღნიშნულ ორივე შემთხვევაში პროკურორი ადგენს შესაბამის ოქმს.

4. კანონი არ განსაზღვრავს რა ფორმით უნდა მოხდეს დაზარალებულის ინფორმირება – წერილობით თუ ზეპირად. შესაბამისად, პროკურორი უფლებამოსილია დაზარალებულთან კონსულტაცია გაიაროს როგორც პირისპირ, ისე კომუნიკაციის ტექნიკური საშუალების (მაგალითად, ტელეფონის) გამოყენებით. აღნიშნული გადაწყვეტილება პროკურორმა საქმის ფაქტობრივი გარემოებების, დაზარალებულთა რაოდენობის, მიყენებული ზიანის სიმძიმის, დაზარალებულთა ადგილსამყოფელის და სხვა გარემოებების გათვალისწინებით უნდა მიიღოს. ამოსავალია ის ფაქტი, რომ ოქმი ზუსტად ასახავდეს დაზარალებულის ნებას და ის სრულად იყოს ინფორმირებული მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

5. საპროცესო შეთანხმების გაფორმება დაზარალებულს არ ართმევს შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ზიანის ანაზღაურების



მოთხოვნით. მას ასევე უფლება აქვს სისხლის სამართალწარმოების მიმდინარეობისას წერილობით ან ზეპირად მიანოდოს სასამართლოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც დანაშაულის შედეგად მიადგა.

## მუხლი 218. ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან

სრულად გათავისუფლება და თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვა (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).

1. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის/ მსჯავრდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად ირკვევა დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ან/ და მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით იქმნება ამ დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობები, საქართველოს მთავარ პროკურორს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების ან მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის თაობაზე.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული შუამდგომლობის საფუძველია ბრალდებულსა/მსჯავრდებულსა და საქართველოს მთავარ პროკურორს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ.

3. განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადებისას საქართველოს მთავარმა პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი, რომელსაც იგი ამ კოდექსის 210-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს. მსჯავრდებულის შემთხვევაში საჯარო ინტერესის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე სასჯელის მოუხდელი ვადა. განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება იდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის გახსნა ერთმნიშვნელოვნად განპირობებულია აღნიშნული თანამშრომლობით და ამ დანაშაულის გახსნის საჯარო ინტერესი აღემატება პირის პასუხისმგებაში მიცემის, მისთვის სასჯელის დაკისრების ან მის მიერ სასჯელის მოხდის ინტერესს (24.07.2014. №2517).

4. განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში აღინიშნება, რომ თუ ბრალდებული/მსჯავრდებული არ ითანამშრომლებს საგამოძიებო ორგანოებთან, შეთანხმება, მისი პირობების შესაბამისად, ბათილად ჩაითვლება.

5. განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ხელს აწერენ ბრალდებული/მსჯავრდებული, მისი ადვოკატი და საქართველოს მთავარი პროკურორი.

6. ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბრალდებული ითვლება ნასამართლევად.

7. მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას – მსჯავრდებულის სასჯელის ვადის შემცირების, სასჯელის სახის შეცვლის ან მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების თაობაზე.

8. დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის ქასჯელისაგან სრულად განთავისუფლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 -144 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე (24.07.2014. №2517).

9. მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესახებ შუამდგომლობას განიხილავს განაჩენის გამომტანი პირველი ინსტანციის სასამართლო. სასამართლო უფლებამოსილია ეს შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

1. სსსკ-ის 218-ე მუხლი ითვალისწინებს ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესაძლებლობას, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის სასჯელის გადახედვას გარკვეული წინაპირობების არსებობისას.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული შეთანხმება, თავისი შინაარსით საპროცესო შეთანხმებას წარმოადგენს იმ განსხვავებით, რომ მის გასაფორმებლად აუცილებელია გარკვეული (საპროცესო შეთანხმებისგან განსხვავებული) წინაპირობების დაკმაყოფილება და მისი გაფორმება მხოლოდ მთავარი პროკურორის უფლებამოსილებაა.

2. ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება ან მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვა შესაძლებელია, თუ:
  - ბრალდებული/მსჯავრდებული თანამშრომლობს გამოძიებასთან;
  - თანამშრომლობის შედეგად ირკვევა დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა;
  - ბრალდებულის/მსჯავრდებულის უშუალო ხელშეწყობით იქმნება დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობები;
  - დანაშაულის გახსნა ერთმნიშვნელოვნად განპირობებულია აღნიშნული თანამშრომლობით და ამ დანაშაულის გახსნის საჯარო ინტერესი აღემატება პირის პასუხისგებაში მიცემის, მისთვის სასჯელის დაკისრების ან მის მიერ სასჯელის მოხდის ინტერესს.

ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან შეთანხმების გასაფორმებლად აუცილებელია ზემოაღნიშნული ყველა წინაპირობის დაკმაყოფილება.

3. სსსკ-ის 218-ე მუხლი საპროცესო შეთანხმების განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ ჩვეულებრივ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების გაფორმების წინაპირობაა ბრალის აღიარება. პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისგან სრულად გათავისუფლების ან სასჯელის გადახედვის შემთხვევაში, ბრალის აღიარება აუცილებელი არ არის, საკმარისია მხოლოდ ზემოაღნიშნული წინაპირობების დაკმაყოფილება.
4. ამგვარი განსაკუთრებული შეთანხმება ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან შეიძლება გაფორმდეს როგორც ფაქტობრივი თანამშრომლობის შემდეგ, ისე სამომავლო თანამშრომლობაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეთანხმებაში აღინიშნება, რომ თუ ბრალდებული/მსჯავრდებული არ ითანამშრომლებს საგამოძიებო ორგანოებთან, შეთანხმება ჩაითვლება ბათილად. მართალია, სსსკ-ის 118-ე მუხლი არაფერს ამბობს შეთანხმების გასაჩივრების წესზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება საპროცესო შეთანხმების სახესხვაობას წარმოადგენს, მასზე უნდა გავრცელდეს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების ზოგადი წესები. ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა სსსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას საპროცესო შეთანხმებად მოიხსენიებს. აგრეთვე ის ფაქტი, რომ სსსკ-ის 218-ე მუხლი სსსკ-ის „საპროცესო შეთანხმების“ თავშია მოთავსებული.
5. ამდენად, სსსკ-ის 218-ე მუხლი ადგენს განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ საპროცესო შეთანხმების გაფორმების სპეციალურ საფუძვლებსა და პროცედურებს. თუ კონკრეტული პროცედურა და წესი არ არის გათვალისწინებული აღნიშნული მუხლით, პროცესის მწარმოებელმა პირმა უნდა იხელმძღვანელოს საპროცესო შეთანხმების თავით განსაზღვრული ზოგადი წესებით. როგორც უკვე აღინიშნა, განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ფორმდება საქართველოს მთავარ პროკურორსა და ბრალდებულს/მსჯავრდებულს შორის.
6. იმის გათვალისწინებით, რომ განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ბრალდებულს/მსჯავრდებულს განსაკუთრებულ საპროცესო შეღავათებს სთავაზობს, საქართველოს მთავარმა პროკურორმა შეთანხმების დადებისას მხედველობაში უნდა მიიღოს მთელი რიგი გარემოებები. პირველ რიგში კი, საჯარო ინტერესი, რომელიც სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტების, ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის, დანაშაულის ხასიათის, ბრალეულობის ხარისხის, ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროების, პიროვნული მახასიათებლების, ნასამართლობის, გამოძიებასთან

თანამშრომლობისა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ქცევის მიხედვით უნდა განსაზღვროს.

ამასთან, თუ განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება იდება მსჯავრდებულთან, ზემოაღნიშნულ გარემოებებთან ერთად დამატებით უნდა იქნეს გათვალისწინებული სასჯელის მოუხდელი ვადა.

7. განსაკუთრებული თანამშრომლობის თაობაზე დგება წერილობითი შეთანხმება, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა, მისმა ადვოკატმა და საქართველოს მთავარმა პროკურორმა. წერილობით დოკუმენტში უნდა აღინიშნოს შეთანხმების პირობები, კერძოდ, რაში გამოიხატა თანამშრომლობა, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი ქმედებები, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის გახსნას. შეთანხმებაში აგრეთვე უნდა მიეთითოს იმ საპროცესო შეღავათების შესახებ კონკრეტულად, რასაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიიღებს თანამშრომლობის სანაცვლოდ. კერძოდ, მასში დეტალურად უნდა გაიწეროს ბრალდებულის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება თუ სასჯელისგან, მსჯავრდებულს სასჯელის ვადა შეუმცირდება, სასჯელის სახე შეეცვლება თუ სრულად გათავისუფლება სასჯელის მოხდისაგან.
8. შეთანხმებასთან ერთად სასამართლოს უნდა წარედგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების ან მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის (სასჯელის ვადის შემცირების, სასჯელის სახის შეცვლის ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების) თაობაზე. ბრალდებულის შემთხვევაში შუამდგომლობა წარედგინება სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს, ხოლო მსჯავრდებულის შემთხვევაში – განაჩენის გამომტან პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბრალდებულის ითვლება ნასამართლევად. როგორც ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, სასჯელისაგან სრულად შეიძლება გათავისუფლდეს როგორც ბრალდებული, ისე მსჯავრდებული. ამასთან, აღნიშნული წესი ვრცელდება სსკ-ის ნებისმიერი მუხლით ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებზე, გარდა ამავე კოდექსის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup>-ე მუხლებისა.

## კარი VI

# წინასასამართლო სხდომა და საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში

### თავი XXII

## წინასასამართლო სხდომა

### მუხლი 219. წინასასამართლო სხდომა

1. თუ ბრალდებულის მაგისტრატ მოსამართლესთან პირველი წარდგენის შემდეგ ბრალდება შეიცვალა, წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე ბრალდებულს განუმარტავს ბრალდების არსს და ამ ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის ზომას.
2. წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე არკვევს, ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და რა მოცულობით, და საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსით გათვალისწინებული დებულებები საპროცესო შეთანხმების შესახებ.
3. თუ ბრალდებულს ბრალი წაუყენეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენისათვის, მოსამართლე ვალდებულია ბრალდებულს განუმარტოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებები და მასთან დაკავშირებული ბრალდებულის უფლებები. ამის შემდეგ მოსამართლე არკვევს, თანახმაა თუ არა ბრალდებული, რომ მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილოს. თუ ბრალდებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარს არ განაცხადებს, მოსამართლე ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თარიღს (19.02.2015 № 3090).
4. წინასასამართლო სხდომის მოსამართლე:
  - ა) განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე;
  - ბ) ამ კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით განიხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობას. თუ ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი (8.07.2015 № 3976).
  - გ) განიხილავს შუამდგომლობას საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის მიზნით;
  - დ) განიხილავს მხარეთა სხვა შუამდგომლობებს;
  - ე) წყვეტს არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემის საკითხს.
5. არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა.
6. თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. განჩინება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 5 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. მოსამართლე საჩივარს ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე განიხილავს. წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინების გაუქმების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს საგ-

ამოძიებო კოლეგია საქმეს უზრუნველს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმის მიღებიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოფს წინასასამართლო სხდომის გამართვას ამ კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული საკითხების გადასაწყვეტად (19.02.2015 № 3090).

7. წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ ერთჯერადად, 5 დღის ვადაში საჩივრდება გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მეშვეობით, რომელიც საჩივარს, საქმის მასალებსა და წინასასამართლო სხდომის ოქმს დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე განხილავს საჩივარს მისი შესვლიდან 5 დღის ვადაში (19.02.2015 № 3090).

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია სასამართლო შეცდომების აღმოფხვრის ან მინიმუმამდე დაყვანის მექანიზმებიც. კანონით დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოში არანაკლებ ორი და ხშირ შემთხვევაში – სამი სხვადასხვა შემადგენლობის მიერ სისხლის სამართლის პროცესისათვის არსებითი საკითხების გადაწყვეტა (მაგ., პირის ბრალეულობის შესახებ საფეხურებრივად სამი სტანდარტის დაწესება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, გარდა საპროცესო შეთანხმების დასამტკიცებლად აუცილებელი სტანდარტისა; პატიმრობის აუცილებლობის არაერთხელ განხილვის ვალდებულება).
2. მოქმედი საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ბრალდებულისათვის ბრალდების არსის განმარტებას პირველი წარდგენის, წინასასამართლო და არსებითი განხილვის სხდომაზე. ამასთან, წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების არსი განიმარტება იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლესთან პირველი წარდგენის შემდეგ ბრალდება შეიცვალა, რაც გარკვეულწილად გაუგებარია, კერძოდ, კანონი ითხოვს ბრალდების არსის განმარტებას მაშინ, თუ წინასასამართლო სხდომამდე ბრალდება შეიცვალა და ასევე ითხოვს არსის განმარტებას არსებითი განხილვის სხდომაზეც (წინაპირობების გარეშე). აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ წინასასამართლო სხდომაზეც ბრალდების არსი განიმარტოს, მიუხედავად მისი ცვლილებისა, მით უფრო, რომ პირველი წარდგენის შემდეგ, წინასასამართლო სხდომამდე უფრო დიდი დროა, ვიდრე არსებით განხილვამდე.
3. არსი (შინაარსი, შემცველობა) არ გულისხმობს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემადგენლობის გააყვრებას. იგი მოიაზრებს ბრალად შერაცხული ქმედების ბრალდებულისათვის გასაგებად და მოკლედ აღწერას, დამამძიმებელი გარემოების (გარემოებების) ჩათვლით. ამას მნიშვნელობა აქვს ბრალად შერაცხული ქმედების აღიარების ან უარყოფის გარკვევისას, რამდენადაც ზოგ შემთხვევაში აღიარებული ქმედება არ არის კანონით გათვალისწინებული, არ არის მართლსაწინააღმდეგო ან/და ბრალეული (მაგ., ზოგ შემთხვევაში ბრალდებული აღიარებს, რომ მკვლელობა ჩაიდინა, მაგრამ „სხვა გზა არ ჰქონდა“).
4. სასჯელის ზომის გარდა, ბრალდებულს ასევე უნდა განემარტოს სასჯელის სახეც (სახეები).
5. ცხადია, ბრალდების არსის განმარტებას წინ უძღვის ბრალდებულის ვინაობის დადგენა.
6. ბრალდებულის ვინაობის დადგენისა და ბრალდების არსის განმარტების შემდეგ უნდა გაირკვეს, ცნობს თუ არა თავს დამნაშავედ და რა მოცულობით – სრულად თუ ნაწილობრივ. უკანასკნელ შემთხვევაში დასადგენია, ბრალად შერაცხულიდან რომელ ქმედებას აღიარებს პირი ან კონკრეტულად, რაში მიაჩნია თავი დამნაშავედ (მაგ., ყაჩაღობის ნაცვლად შესაძლოა ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნოს იძულებაში ან მუქარაში, თვითნებობაში, ძარცვაში და ა.შ. უარყოს რომელიმე დამამძიმებელი გარემოება, ხშირ შემთხვევაში – რაიმეს ჯგუფურად ჩადენა).

7. „საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობაში“ არ იგულისხმება მოლაპარაკების არსებობის გარკვევა. უნდა გაირკვეს, დადებულია თუ არა საპროცესო შეთანხმება და ითხოვს თუ არა ბრალდების მხარე მის დამტკიცებას. ამაზე მეტყველებს ნორმის მომდევნო წინადადება, რადგან, ცხადია, რომ საპროცესო შეთანხმების დებულებები სასამართლოში გამოიყენება მხოლოდ უკვე დადებული საპროცესო შეთანხმების პირობებში. ამასთან, საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში აღარ განიხილება სსსკ-ის 219-ე და 220-ე მუხლებით გათვალისწინებული საკითხები.
8. სსკ-ის 110-114-ე და 109-ე (მათ შორის – 18,109-ე, 19,109-ე, 25,109-ე) მუხლებით წარდგენილი ბრალდების პირობებში, საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის საკითხის განხილვის ეტაპზე, ბრალდებულს განემარტება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებები და ამასთან დაკავშირებული უფლებები, რის შემდეგ უნდა გაირკვეს ბრალდებულის პოზიცია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვის თაობაზე. ამ საკითხზე მხოლოდ მისი პოზიციაა გადამწყვეტი და თუ ბრალდებული უარს არ განაცხადებს და არსებობს საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის საფუძველი, ინიშნება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თარიღი.
9. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რაც უნდა გადაწყდეს წინასასამართლო სხდომაზე, არის მტკიცებულებათა დასაშვებობა. ამასთან, სასამართლო არ არის შეზღუდული მხარეთა შუამდგომლობით და ვალდებულია, დაუშვებლად ცნოს მტკიცებულება, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას.
10. სსსკ-ის 72-ე მუხლის შესაბამისად, კანონის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ აქვს. ამასთან, მტკიცებულება დაუშვებელია თუ იგი მოპოვებულია დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ.
11. ამდენად, მასალები დასაშვებია, თუ ისინი მოპოვებულია კანონის მოთხოვნათა არსებითი დარღვევის გარეშე და ამასთან, დადგენილ ვადაში და წესით გადაეცა მხარეს.
12. მტკიცებულების ცნება მოცემულია სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილში და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულება არ არის დადგენილება ბრალდების შესახებ, განჩინება ან სხვა საპროცესო გადაწყვეტილება, რაც სპეციალური ნორმებით დადგენილი წესით შეიძლება გაუქმდეს, შეიცვალოს ან ეს გადაწყვეტილება არ გაიზიაროს სასამართლომ, მაგრამ მათი დაუშვებლად ცნობა სამართლებრივად წარმოუდგენელია. ამდენად, არასწორია ხშირ შემთხვევაში მხარის მოთხოვნა, მაგალითად, ბრალდების შესახებ დადგენილების ან აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ განჩინების დაუშვებლად ცნობის თაობაზე. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება რაიმეს „მოპოვებად“ ჩაითვალოს, როგორც ეს სსსკ-ის 72-ე მუხლშია აღნიშნულია. ამასთან, ეს მსჯელობა არ ეხება დადგენილებებს, რაც მიმართულია მტკიცებულებების მოსაპოვებლად, მაგალითად, თუკი დაცვის მხარეს დადგენილი წესით არ გადაეცა დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე ან ეს დადგენილება არაუფლებამოსილმა პირმა გამოიტანა, შესაბამისი დასკვნა დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ იგი აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. მეორე მხრივ, არაუფლებამოსილი პროკურორის დადგენილება ბრალდების შესახებ უნდა გახდეს დევნის შეწყვეტის და არა – ამ დადგენილების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძველი. ანალოგიურად, დაკავების (და არა – დაკავებისა და პირადი ჩხრეკის) ოქმის არსებითი დარღვევით შედგენა, დაკავებულისათვის მისი უფლებების არგანმარტება და ოქმის ასლის დაკავებულისათვის გადაუცემლობა ვერ გამოიწვევს ოქმის დაუშვებლობას, რადგან ეს თავისუფლებაშეზღუდული (მათ შორის – დაპატიმრებული) პირის გათავისუფლების უპირობო საფუძველებია და არა – ოქმის დაუშვებლობის.

13. კანონი არ ითვალისწინებს და ვერც გაითვალისწინებს ყველა შემთხვევაში მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის უპირობო საფუძველზე, რამდენადაც ზოგჯერ ესა თუ ის გარემოება მტკიცებულების დაუშვებლობის საფუძველია, ზოგჯერ – არა. ამაზე მეტყველებს სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილიც, რომელიც დასაშვებობისა და დაუშვებლობის მტკიცების ტვირთს აკისრებს ბრალმდებელს. ცხადია, დაუშვებლობის მკაცრად დადგენილი კრიტერიუმების პირობებში რაიმეს მტკიცების ტვირთის არსებობა აზრს მოკლებულია.
14. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაიმიჯნოს მექანიკური შეცდომა და არსებითი დარღვევა, თუმცა ზოგჯერ შესაძლოა მექანიკური შეცდომაც დაუშვებლობის საფუძველი გახდეს, თუ სხვა გარემოება შეცდომის მექანიკურობაზე არ მეტყველებს. მაგალითად, თუკი პირად ჩხრეკაში მონაწილე 2 პირიდან ოქმს ხელს აწერს მხოლოდ 1, ეს არ შეიძლება გახდეს მტკიცებულების დაუშვებლობის საფუძველი, თუ საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილე და თავად ეს პირიც შემდგომ (დაკითხვისას, სასამართლოში) ადასტურებს საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობას. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, რომ ხელმოწერის არარსებობა მექანიკური შეცდომის შედეგია და არა – კანონის არსებითი დარღვევის. ამის საპირისპიროდ, თუ ერთ-ერთი პოლიციელის ჩხრეკაში მონაწილეობას უარყოფს პირი, ვისაც ჩაუტარდა ჩხრეკა და პოლიციელის განმარტებებიც არადაამაჯერებელია (ვერ იხსენებს საგამოძიებო მოქმედების მნიშვნელოვან დეტალებს), მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. მტკიცებულება ცალსხად დაუშვებელია, თუ ოქმს ხელს არ აწერს პირი, ვისაც ჩაუტარდა ან ვისთანაც ჩატარდა ჩხრეკა და მას არც ოქმის ასლი გადაეცა (ცხადია, შესაბამისი შენიშვნის არარსებობის პირობებში). ზოგჯერ შესაძლოა საგამოძიებო მოქმედების დაწყებისა და დასრულების დროის აღნიშვნა მექანიკურად გამორჩეს მის ჩამტარებელს, რაც ასევე გამოიწვევს მტკიცებულების დაუშვებლობას, თუ სხვაგვარად, დამაჯერებლად ვერ გაირკვევა ეს საკითხი და არც გადაუდებელი აუცილებლობა იარსებებს (სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილით, საგამოძიებო მოქმედების ღამით /22-დან 6 საათამდე/ ჩატარება დაუშვებელია, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა).
15. გარდა ამისა, დაუშვებელია მტკიცებულების მოპოვება უწყებრივი ან/და ტერიტორიული ქვემდებარეობის დარღვევით; არაუფლებამოსილი პირის მიერ (მაგ., არასრულწლოვანთა საქმეზე მტკიცებულების მოპოვება იმ გამოძიებლის მიერ, რომელსაც არ გაუვლია სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში); თუ დაირღვა დაცვის უფლება.
16. სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ არსებობს მტკიცებულების გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან კვალის არსებითი გაქრობის გონივრული ეჭვი, თუ მაგალითად, ჩხრეკის ოქმში მითითებული ლუქის ნომერი არ ემთხვევა ექსპერტიზაზე ან სასამართლოში გაგზავნილი ნივთმტკიცების ლუქის ნომერს; ლუქზე არ არის რომელიმე პირის ხელმოწერა, რაც ოქმის მიხედვით უნდა იყოს; ამოღებული და აღწერილი ნივთმტკიცება განსხვავდება წარდგენილისაგან (ამოღებულია აბები და აღმოჩნდა ფხვნილი; ამოღებულია 5 აბი და აღმოჩნდა 3; ჩხრეკის ოქმში აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღის ნომერი არ ემთხვევა შემდეგ წარდგენილი იარაღის ნომერს).
17. სსსკ-ის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, დასაშვებია ბრალდებულის სასარგებლო, არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებაც და მის საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებებიც.
18. მტკიცებულების კანონის არსებითი დარღვევით მოპოვება არ არის დაუშვებლობის ერთადერთი საფუძველი. არასარწმუნო (არაავთენტიკური) მტკიცებულებაც დაუშვებელია, ისევე როგორც სსსკ-ის 83-ე მუხლით დადგენილი წესისა და ვადის დარღვევით მასალების გადაუცემლობა წარმოადგენს დაუშვებლობის უპირობო საფუძველს. აქვე აღსანიშნავია, რომ მტკიცებულების არარელევანტურობა არ არის მტკიცებულების დაუშვებლობის კანონით განსაზღვრული საფუძველი, რამდენადაც საქმის გარემოებებთან მტკიცებულების შემხებლობის დადგენა მოითხოვს მის გამოკვლევას, სხვა მტკიცებულებებთან შეჯერებას,

- შეფასებას, რაც არ ხდება წინასასამართლო სხდომაზე. ამაზე მეტყველებს სსსკ-ის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილიც, რაც განსაზღვრავს მტკიცებულების შეფასების კრიტერიუმებს.
- 19.** არასარწმუნოა მაგალითად, მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტი, რომელიც არ არის შესრულებული შესაბამის ბლანკზე ან/და არ არის სათანადოდ დამოწმებული.
- 20.** რაც შეეხება სსსკ-ის 83-ე მუხლს, იგი განსხვავებს მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის ოქმსა და სასამართლოში მტკიცებულებად წარსადგენი მასალების შესახებ ინფორმაციას (სსსკ-ის მუხლი 83-ე, ნაწილი მე-4, მე-6). 220-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, წინასასამართლო სხდომაზე მტკიცდება სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების ნუსხა და არა – გაცვლის ოქმი, რამდენადაც მხარეებმა შესაძლოა ხელთ არსებული ყველა მასალა გაცვალონ, მაგრამ მოგვიანებით სასამართლოში გამოსაყენებლად წარადგინონ მხოლოდ მათი ნაწილი (მიზანშეწონილობიდან გამომდინარე). პირველი წარდგენის სხდომამდე ან შემდეგ გაცვლილი ინფორმაცია ზოგჯერ არ ემთხვევა გამოძიების ბოლო ეტაპზე წარსადგენი მასალების შესახებ ინფორმაციას, რაც მხარის უფლებაა. ამიტომ ბოლო ეტაპზე ინფორმაციის გადაცემის ვალდებულება ემსახურება არა მხოლოდ მხარეების ხელთ არსებული მტკიცებულებების შინაარსის ცოდნას, არამედ – მხარის ინფორმირებულობას (მაგ., დასაკითხ პირთა ვინაობისა და რაოდენობის შესახებ), რათა ჯეროვნად მოემზადოს კონკრეტული მასალის ირგვლივ ბრალდების ან დაცვის ფუნქციის განსახორციელებლად. თუკი ესა თუ ის პირი ან რომელიმე წერილობითი დოკუმენტი არ არის მითითებული ნუსხაში (ინფორმაციაში), მხარე ბუნებრივად ვარაუდობს, რომ ამ მასალის გამოყენება სასამართლოში არ სურთ და მათი გამოკვლევისათვის არ ემზადება. ზოგ შემთხვევაში დაცვის მხარე მიანიშნებს, რომ პირის გამოკითხვა (გამოკითხვის ოქმის წარდგენა) იმთავითვე ნიშნავს ამ პირის სასამართლოში დაკითხვის სურვილსაც, მაგრამ ამგვარი ლოგიკით ხელმძღვანელობა, ჯერ ერთი, რომ არ შეესაბამება კანონის მოთხოვნას და მეორეც – არაერთი სხვა სახის მასალის წარდგენაც შესაძლოა გულისხმობდეს მასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაშვების შესაძლებლობას, მათ შესახებ ინფორმაციის მხარისათვის გადაუცემლობის პირობებში. მაგ., სსსკ-ის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულება დასაშვებია, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაჰკითხოს მისი მომპოვებელი, ან ის პირი, ვისთანაც მტკიცებულება ინახებოდა. ბრალდების მხარემ შესაძლოა ივარაუდოს, რომ საქმის სასამართლოში წარმართვა იმთავითვე მეტყველებს ამ მასალების მომპოვებლის დაკითხვის სურვილზეც და ნუსხაში არ მიუთითოს გამოძიებელი, ან ივარაუდოს, რომ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენა საკმარისია კვლევის ობიექტის (ნივთმტკიცების), ექსპერტთა დაკითხვის ან/და ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილების შესახებ ინფორმაციის გადაუცემლობისათვის, რადგან მათი სასამართლოში გამოყენების სურვილი იმთავითვე იგულისხმება. შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ წარდგენილ ინფორმაციასთან არაერთი სხვა დოკუმენტი მეტ-ნაკლებად იყოს დაკავშირებული და გამიჯვნა, როდის, რა და როგორი ხარისხით უნდა ივარაუდოს მხარემ, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი გახდება. სწორედ ამიტომ მოქმედი კანონი ითხოვს წარსადგენი მასალების თაობაზე სრულ ინფორმაციას (ნუსხას) და ამ ინფორმაციაში მოიაზრება დასაკითხ პირთა სიაც. ამაზე მეტყველებს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-7 ნაწილი, რომლის მიხედვით მხარეს ინფორმაცია გადაეცემა დოკუმენტის ასლის სახით, ხოლო სხვა მასალის შემთხვევაში – ცნობის სახით. პირის გამოკითხვა იმთავითვე ვერ იქნება მისი სასამართლოში დაკითხვის სურვილის მიმანიშნებელი, ისევე როგორც – მოწმის დაკითხვის ოქმის გადაცემა, რის შემდეგაც ბრალდების მხარე ზოგჯერ აღარ ითხოვს ამ პირის სასამართლოში დაკითხვას.
- 21.** სსსკ-ის 83-ე მუხლი ასევე იმპერატიულად ითხოვს იმ მასალის სრულად დაუშვებლობას, რაც მხარეს არ გადაეცა არა მხოლოდ პირველი წარდგენის სხდომამდე ან წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე, არამედ – მოთხოვნის მიუხედავად – გამოძიების ნებისმიერ



- ეტაპზე.
- 22.** ამდენად, მტკიცებულება დასაშვებია, თუ მოპოვებულია კანონის მოთხოვნათა არსებითი დარღვევის გარეშე, სარწმუნოა და დადგენილი წესითა და ვადაში გადაეცა მხარეს.
- 23.** მოსამართლის ვალდებულება თავისი ინიციატივით პირველივე წინასასამართლო სხდომაზე განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი:
- კანონი ითვალისწინებდა ალკვეთის ღონისძიების (მათ შორის – პატიმრობის) საკითხის განხილვას მხოლოდ შუამდგომლობის საფუძველზე, რაიმე წესისა და სტანდარტის გაუთვალისწინებლად. ამასთან, სასამართლო ვალდებული იყო, თავისი ინიციატივითაც შეემოწმებინა დაკავებისა და დაპატიმრების (არა – ალკვეთის ღონისძიების) კანონიერება. ამ შემთხვევაში მხოლოდ პატიმრობის (მათ შორის – ძებნილისა და გირაოს უზრუნველსაყოფად გამოყენებული პატიმრობის) აუცილებლობა უნდა შეემოწმებინა შუამდგომლობის მიუხედავად. ამასთან, სსსკ-ის 206-ე მუხლით დადგენილი სტანდარტიდან გამომდინარე, წინასასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს პატიმრობის საკითხის განხილვას. აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-8 ნაწილი ითხოვს ახალ არსებით გარემოებას გამოყენებული ალკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე შუამდგომლობის დასაშვებად ცნობისათვის, მაგრამ პრაქტიკულად 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ერთი დონის სასამართლოში ერთი შემადგენლობის მიერ შერჩეული პატიმრობის გამოყენების გადაწყვეტილების რევიზიის შესაძლებლობას ითვალისწინებს სხვა შემადგენლობის მიერ.
  - პატიმრობის უცვლელად დატოვების შემთხვევაში ეს საკითხი სასამართლომ კვლავ უნდა განიხილოს თავისი ინიციატივით ორ თვეში ერთხელ მაინც, წინასასამართლო სხდომის ამ ვადით გაგრძელების პირობებში.
  - წინასასამართლო სხდომაზე ალკვეთის ღონისძიების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.
- 24. გ) განიხილავს შუამდგომლობას საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის მიზნით;**  
მოქმედი კანონი ცალკე ითვალისწინებს საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის მიზნით შუამდგომლობის განხილვას. რამდენადაც კონფისკაცია გულისხმობს სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების ჩამორთმევას, საუბარია, მაგალითად, დანაშაულის ჩადენის იარაღზე ან საგანზე ყადაღის დადების შესახებ, რამდენადაც ეს ნივთები ექვემდებარება საპროცესო კონფისკაციას.
- 25. დ) განიხილავს მხარეთა სხვა შუამდგომლობებს;**  
წინასასამართლო სხდომაზე განიხილება მხარეთა ნებისმიერი სხვა სახის შუამდგომლობა, მათ შორის – სასამართლოს მეშვეობით შესაბამისი მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ, თუ მხარემ ეს თავად უშედეგოდ სცადა (სსსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი). წინასასამართლო სხდომაზე ასევე შესაძლებელია გირაოს უზრუნველყოფის მიზნით უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების საკითხის განხილვაც.
- 26. ე) წყვეტს არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემის საკითხს.**  
არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემის საკითხი ძირითადაა, რაც უნდა გადაწყდეს წინასასამართლო სხდომაზე.
- 27. არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემა**
- სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-12 ნაწილი ადგენს ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტს, რაც აუცილებელია საქმის არსებითად განსახილველად გადასაცემად. ამგვარი სტანდარტის საფუძველია სხდომაზე წარმოდგენილი ურთიერთშეთავსებადი და დამაჯერებელი მტკიცებულებები, რაც საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისათვის, რომ ამ საქმეზე გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი და რომ დანაშაული სწორედ ამ პირმა ჩაიდინა. ეს დათქმა შემთხვევითი არ არის, რადგან ჯგუფური დანაშაულის პირობებში გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ

ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ და სხვების მიმართ – არა. ამასთან, წინასასამართლო სხდომაზე ბრალად წარდგენილი ქმედება არ ფასდება სამართლებრივად და არ ირკვევა კვალიფიკაციის საკითხი.

- პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ შესაბამისი სტანდარტით ვარაუდის საფუძვლის არარსებობისას (შესაძლოა ამგვარი საფუძვლის არარსებობა გამოიწვიოს წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულების დაუშვებლობამ) სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს ერთი, რამდენიმე ან ყველა პირის მიმართ. დევნის შეწყვეტის საფუძველია არა მხოლოდ არასაკმარისი მტკიცებულებები, არამედ – საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა, მაგალითად, ბრალდების შესახებ დადგენილების არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოტანა ან ბრალის წაყენება დადგენილების გამოტანიდან 24 საათის შემდეგ.
- დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინება ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, გამოტანიდან 5 დღის ვადაში. საგამოძიებო კოლეგია საჩივარს იხილავს მხარეთა მონაწილეობით ან ზეპირი მოსმენის გარეშე. გადანყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, საქმე უბრუნდება გადანყვეტილების მიმღები პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმის მიღებიდან (პირველი ინსტანციის სასამართლოში შესვლის რეგისტრაციიდან) 5 დღის ვადაში უბრუნველყოფს წინასასამართლო სხდომის გამართვას (საქმის განხილვის დაწყებას) მხოლოდ სსსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებული საკითხების გადასაწყვეტად. ფაქტობრივად, დევნის შეწყვეტის შესახებ გადანყვეტილების გაუქმების შედეგად პირველი ინსტანციის სასამართლო მხოლოდ საორგანიზაციო საკითხებს აგვარებს და არ აქვს უფლება, არ გადასცეს საქმე არსებითად განსახილველად.
- ისევე როგორც დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინება, მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე გადანყვეტილებაც ერთჯერადად საჩივრდება 5 დღის ვადაში გადანყვეტილების გამომტანი სასამართლოს მეშვეობით, რომელიც საჩივარს, საქმის მასალებსა და სხდომის ოქმს დაუყოვნებლივ უგზავნის ზემდგომ სასამართლოს (ანალოგიური წესით იგზავნება საქმე დევნის შეწყვეტის შემთხვევაში). სააპელაციო სასამართლოში საქმის შესვლის რეგისტრაციის მომენტიდან 5 დღის ვადაში გადანყვეტილება მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე ან მხარეთა მონაწილეობით.

## მუხლი 220. საქმის არსებითი განხილვისათვის მომზადება

წინასასამართლო სხდომის მოსამართლე მხარეთა მონაწილეობით საქმის არსებითი განხილვისათვის მოსამზადებლად:

- ა) განსაზღვრავს საქმის არსებითი განხილვის სხდომის დაწყების თარიღს;
- ბ) საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსაწვევ პირებს უგზავნის სასამართლო უწყებებს;
- გ) ამტკიცებს მხარეების მიერ წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხას, ასევე მათგან მიღებულ იმ მტკიცებულებათა ჩამონათვალს, რომლებსაც მხარეები სადავოდ არ ხდიან;
- დ) ბრალდებულს, რომელიც პატიმარი არ არის, წერილობით განუმარტავს საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგებს;
- ე) იღებს სხვა ზომებს სხდომაზე საქმის არსებითი განხილვისათვის მოსამზადებლად.

1. სსსკ-ის 225-ე მუხლის შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვა უნდა დაიწყოს წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან არა უგვიანეს 14 დღისა, თუ მხარის შუამდგომლობის გამო სხვა ვადა არ განისაზღვრება ან დამატებით გონივრული ვადა არ არის საჭირო ნაფიც მსაჯულთა შესარჩევად. მხარის შუამდგომლობა ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით დასაბუთებული უნდა იყოს (საქმის მოცულობა, სირთულე და ა.შ.).
2. წინასასამართლო სხდომის მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის არსებით

- განხილვაში (სსსკ-ის მუხ. 59-ე, მე-2) და ამდენად, კონკრეტული თარიღისა და დროის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ მართლმსაჯულების სწრაფი განხორციელების, არამედ – მხარეთა მიერ თავიანთი ფუნქციების ჯეროვნად განხორციელების ინტერესი.
3. საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსაწვევე პირებს ეგზავნება შესაბამისი უწყებები, თუმცა რამდენადაც მხარეებმა თავად უნდა უზრუნველყონ საკუთარი მოწმეების გამოცხადება სასამართლოში (228-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), მათთვის უწყებების გაგზავნა აზრს კარგავს, რადგან ასეთ შემთხვევაში სასამართლო დაადგენს მოწმის გამოცხადების კონკრეტულ თარიღს.
  4. უწყება შეიძლება გაეგზავნოს მაგალითად, თარჯიმანს.
  5. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკითხი ფორმალური ხასიათისაა, რადგან მტკიცებულებების დასაშვებობა წყდება 219-ე მუხლის ფარგლებში, რაც ავტომატურად ნიშნავს მტკიცებულებათა ნუსხის დამტკიცებას. ამასთან, დევნის შეწყვეტის თაობაზე გადწყვეტილების გაუქმების პირობებში მტკიცებულებათა ნუსხის შესახებ კვლავ არსებითი მსჯელობა წარმოუდგენელია.
  6. რამდენადაც მტკიცდება არასადავო მტკიცებულებების ნუსხაც, ეს საკითხი ბრალდებულს სათანადოდ უნდა განემარტოს, კერძოდ, მას განემარტება, რომ მტკიცებულებათა უდავოდ ცნობის შემთხვევაში სასამართლო საჯაროდ არ გამოიკვლევს მტკიცებულებებს, არ დაჰკითხავს მოწმეებს და გადაწყვეტილებას მიიღებს იმ მასალების მიხედვით (იმ სახითა და ფორმით), რაც წარდგენილია წინასასამართლო სხდომაზე.
  7. მიუხედავად არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებისა, ბრალდებულს წინასასამართლო სხდომაზე წერილობით განემარტება საქმის არსებით განხილვაზე გამოუცხადებლობის შედეგები. ცხადია, ამ წერილობით დოკუმენტში მითითებულია გამოცხადების თარიღი და დროც.
  8. წინასასამართლო სხდომის მოსამართლე იღებს ნებისმიერ სხვა ზომას საქმის არსებითი განხილვისათვის მოსამზადებლად. მაგალითად, გაიგზავნოს მიმართვა არსებითი განხილვის სხდომაზე პატიმრის ან/და ნივთიერი მტკიცებულების წარმოდგენის შესახებ.

## მუხლი 221. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიის შედგენა

1. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე მოსამართლე 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთიანი სიიდან, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ადგენს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიას არა უმეტეს 100 პირის შემადგენლობით. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე გონივრულ ვადაში საცხოვრებელი ადგილის მისამართზე ეგზავნებათ მოსამართლის მიერ დამტკიცებული კითხვარი. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია უპასუხოს კითხვებს კითხვარში მითითებულ ვადაში. კითხვარს მოსამართლე ამტკიცებს მხარეებთან მოთათბირების საფუძველზე. (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან.)
2. 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთიან სიას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 ივლისისა, უგზავნის შესაბამის სასამართლოს. (25.05.2012. №6317)
3. სასამართლო ვალდებულია შეატყობინოს მხარეებს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის ადგილისა და დროის შესახებ. მხარეებს უფლება აქვთ, დაესწრონ მსაჯულების შერჩევის პროცედურას. მხარეს უფლება აქვს, ერთჯერადად, 24 საათის განმავლობაში გაასაჩივროს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თავმჯდომარის უკანონო გადაწყვეტილება ან მოქმედება. საჩივარი შეიტანება საქმის განმხილველი სასამართლოს თავმჯდომარესთან, რომელიც ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით წყვეტს მას შეტანიდან 24 საათის განმავლობაში.
4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესით შერჩეულ ნაფიცი მსაჯულობის კან-

დიდატა სიაში მიეთითება პირის გვარი და სახელი. სიას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატა სიის ასლები გადაეცემა მხარეებს. (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან.)

5. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე ეგზავნებათ უწყება, სადაც მითითებულია სხდომის დანებების დრო, ადგილი და გამოცხადების სავალდებულოობა.

6. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია ამ კოდექსით განსაზღვრული აცილების საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ეს აცნობოს სასამართლოს უწყების მიღებიდან 2 დღის განმავლობაში.

1. მანამ, სანამ ნაფიც მსაჯულთა მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა დაიწყება, მხარეები წინასწარ მოწვეული კანდიდატებისგან ირჩევენ მსაჯულთა შემადგენლობას. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე მოსამართლე, სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს<sup>618</sup> მიერ წინასწარ გაგზავნილი 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთიანი სიიდან, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ადგენს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატა სიას, არა უმეტეს 100 პირის შემადგენლობით. შერჩეული ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატა სიაში მიეთითება პირის გვარი და სახელი. სიას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მის ასლებს გადაეცემს მხარეებს. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე ეგზავნებათ უწყება, სადაც მითითებულია სხდომის დანებების დრო, ადგილი და გამოცხადების სავალდებულოობა (სსსკ-ის 221-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 ნაწილები). ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე გონივრულ ვადაში საცხოვრებელი ადგილის მისამართზე ეგზავნებათ მოსამართლის მიერ მხარეებთან მოთათბირების საფუძველზე დამტკიცებული კითხვარი.
2. ნაფიც მსაჯულთა კანდიდატი ვალდებულია უპასუხოს კითხვებს კითხვარში მითითებულ ვადაში.
3. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობა მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და გამოიწვევს კანდიდატის დაჯარიმებას 500-1000 ლარამდე (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 173<sup>1</sup>-ე მე-12 – „ნაფიცი მსაჯულის (ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის) მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობა“). აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173<sup>1</sup>-ე მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი ასევე აწესებს პასუხისმგებლობას ნაფიცი მსაჯულის მიერ დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. მუხლის ამ ნაწილში პირდაპირ არ არის მითითებული, რომ პასუხისმგებლობა ვრცელდება მსაჯულობის კანდიდატზეც. თუმცა, თავად მუხლის სათაური „ნაფიცი მსაჯულის (მსაჯულობის კანდიდატთა) მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობა“ იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მოვალეობის შეუსრულებლობაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივად დასჯადი ქმედებაა. საუბარია, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მოვალეობაზე, კითხვარში მითითებულ ვადაში უპასუხოს მისთვის გაგზავნილ კითხვებს. ასეთ ვალდებულებას უწესებს კანდიდატებს სსსკ-ის 221-ე მუხლის მე-4 ნაწილი. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე, არამედ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების საერთო წესების შესაბამისად.
4. ამასთან, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიერ სასამართლოსთვის მისი მსაჯულობასთან შეუთავსებლობის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა ან შეგნებულად მცდარი ინფორმაციის წარდგენა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას (სსკ-ის 367<sup>2</sup>).

<sup>618</sup> ამჟამად სამოქალაქო რეესტრი წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სტრუქტურულ ნაწილს.

ამდენად, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია უპასუხოს მისთვის გაგზავნილ კითხვებზე და მიანოდოს სასამართლოს სწორი ინფორმაცია. აცილების ერთ-ერთი საფუძვლის არსებობის შესახებ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატმა უნდა აცნობოს სასამართლოს უწყების მიღებიდან 2 დღის განმავლობაში. მსაჯულობის კანდიდატის აცილების საფუძვლები მოცემულია სსსკ-ის 30-ე მუხლში, რომლის თანახმად, პირი ვერ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას ნაფიც მსაჯულად, თუ:

- იგი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია;
  - იგი გამომძიებელია;
  - იგი პოლიციელია;
  - იგი ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში;
  - იგი სასულიერო პირია;
  - იგი აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა;
  - იგი ბრალდებულია;
  - იგი ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირია;
  - მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად აღნიშნულ საქმეში აშკარად უსამართლო იქნებოდა ამ პირის მიერ გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე;
  - იგი ფსიქოლოგია;
  - იგი ფსიქიატრია;
  - იგი იურისტია.
5. ასევე, აცილების ზემოაღნიშნულ სპეციალურ საფუძვლებთან ერთად, დადგენილია მსაჯულობის კანდიდატის აცილების სხვა, ზოგადი საფუძვლებიც (რაც საერთოა სისხლის პროცესის სხვა მონაწილეებთან). კერძოდ, სსსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნაფიცი მსაჯული ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, თუ იგი:
- კანონით დადგენილი წესით არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული;
  - ამ საქმეში მონაწილეობს ან მონაწილეობდა, როგორც ბრალდებული, ადვოკატი, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი ან მოწმე;
  - ამ საქმეზე გამოძიება მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს;
  - არის ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი;
  - ისინი ერთმანეთის ოჯახის წევრები ან ახლო ნათესავები არიან;
  - არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.
6. კანდიდატთა სიის ასლები გადაეცემა მხარეებს. ასევე, მხარეებს ხელთ აქვთ კანდიდატებისთვის გადაგზავნილი კითხვარები და კანდიდატების მიერ გამოგზავნილი პასუხებიც. აღნიშნული კითხვარი მნიშვნელოვანია, რათა პროკურორმა/ადვოკატმა მოიპოვოს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის შესახებ ის საჭირო ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მას დასაბუთებული აცილების შესახებ საფუძვლის მოძიებაში და, შესაბამისად, დაუსაბუთებელი აცილებების მიზანშეწონილად გამოყენებაში.
7. მსაჯულობის კანდიდატებისათვის გადაგზავნილი კითხვარი შეიძლება მოიცავდეს შეკითხვებს მრავალ საკითხზე. მაგალითად, მსაჯულობის კანდიდატის სახელი და გვარი; საცხოვრებელი ადგილი; სამსახური; განათლება; ოჯახური მდგომარეობა; რაიმე ორგანიზაციის წევრობა; წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რომლებსაც კანდიდატი კითხულობს; კინოფილმები, რომელსაც ის უყურებს; სამხედრო სამსახური; შვილები; განსახილველ საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და მისი წყარო; ნაცნობობა მოცემულ საქმეზე ბრალდებულთან ან სხვა პროცესის მონაწილე პირებთან; განწყობა დაცვის ან ბრალდების მხარის, პოლიციის, კანონის, მტკიცების ტვირთის, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის, საექსპერტო კვლევ-

ბის მიმართ; კანდიდატის რელიგიური ან ფილოსოფიური შეხედულებები, რომელიც ხელს შეუშლის მის მიერ ვერდიქტის გამოტანას, რადგან მიაჩნია, რომ არ აქვს უფლება განსაჯოს სხვები; ხომ არ ფიქრობს კანდიდატი, რომ არავის სდებენ ბრალს ტყუილუბრალოდ; ხომ არ ფიქრობს ის, რომ ბრალდებულს უნდა მიეცა ჩვენება პოლიციისათვის ან აუცილებლად უნდა მისცეს ჩვენება სასამართლოზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მის საწინააღმდეგოდ იქნება აღქმული; ხომ არ იყო კანდიდატი ან მისი ახლო მეგობარი წარსულში დანაშაულის მსხვერპლი, ან დაპატიმრებული; ხომ არ გააჩნია კანდიდატს სპეციალური ცოდნა ან წარსული გამოცდილება საქმისთვის მნიშვნელოვან, რაიმე კონკრეტულ საკითხზე, როგორცაა, მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღები ან ოჯახური ძალადობა და სხვა.

## მუხლი 222 ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა

1. სხდომის თავმჯდომარე ხსნის სასამართლო სხდომას, რის შემდეგაც სხდომის მდივანი აცხადებს მსაჯულობის კანდიდატთა ვინაობას.
2. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლოში მსაჯულობის 50-ზე ნაკლები კანდიდატი გამოცხადდება, მოსამართლე უფლებამოსილია დაიწყოს სხდომა და მსაჯულთა შერჩევის პროცედურა.
3. სხდომის თავმჯდომარე:
  - ა) წარადგენს საკუთარ თავს და სხდომის მდივანს;
  - ბ) მიმართავს მსაჯულობის კანდიდატებს და განუმარტავს მათ მონვევის მიზანს;
  - გ) აცხადებს, რომელი საქმე განიხილება, და მსაჯულობის კანდიდატებს გააცნობს წარდგენილ ბრალდების შინაარსს;
  - დ) მსაჯულობის კანდიდატებს განუმარტავს კანონს, რომელიც გამოყენებული იქნება საქმის განხილვისას;
  - ე) აცხადებს საქმის განხილვაში მონაწილე მხარეებს;
  - ვ) განსაზღვრავს სხდომის ხანგრძლივობას და სხვა პროცედურულ საკითხებს.
4. სასამართლო მსაჯულობის კანდიდატებს მიაწვდის მხარეთა მონაწილეობით მომზადებულ განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე.

1. მსაჯულთა შერჩევის სხდომა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპია.
2. შერჩევის სხდომას უძღვება სხდომის თავმჯდომარე მოსამართლე. იგი უფლებამოსილია დაიწყოს სხდომა იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაბარებული 100 კანდიდატიდან 50-ზე ნაკლები კანდიდატი გამოცხადდება.
3. სხვადასხვა პროცედურული საკითხის განმარტებასთან (რაც მითითებულია „ა-ვ“ ქვეპუნქტებით) ერთად, სასამართლო, მსაჯულობის კანდიდატებს მიაწვდის მხარეთა მონაწილეობით მომზადებულ განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე. სამართლებრივ საკითხებზე აღნიშნული განმარტებების შესაბამისად იღებენ მსაჯულები გადაწყვეტილებებს ფაქტების შესახებ. განმარტებებში მსაჯულთათვის გასაგებად ახსნილი უნდა იყოს მნიშვნელოვანი მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი ცნებები და კატეგორიები. განმარტებები ნაფიც მსაჯულებს ეძლევათ სისხლის სამართლის პროცესის ორ ეტაპზე – სხდომის გახსნისას და მსაჯულების სათათბირო ოთახში გასვლამდე (სსსკ-ის 131-ე მუხლის პირველი ნაწილი). სსსკ-ის 131-ე მუხლში ჩამოთვლილი ის საკითხები, რასაც უნდა მოიცავდნენ განმარტებები. მაგალითად, განმარტებული უნდა იყოს ისეთი საკითხები, როგორცაა: უდანაშაულობის პრეზუმფცია და ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი, მტკიცებულებათა შეფასების წესები, ბრალდების შინაარსი და მისი სამართლებრივი საფუძვლები, მსაჯულების მიერ ვერდიქტის მიღების პროცესუალური წესები და სხვ. ამასთან, სსსკ-ის 131-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, შესაძლებელია დამატებითი განმარტებების გაკეთებაც, თუ მსაჯულები დამატებით

შეკითხვებს დაუსვამენ სხდომის თავმჯდომარეს. ასევე, დამატებითი განმარტებების გაკეთების შესაძლებლობას ითვალისწინებს სსსკ-ის 257-ე მუხლიც, რომელიც მიუთითებს დამატებითი განმარტებების განხორციელების შესაძლებლობაზე თუ სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას ან თათბირის პროცესში ნაფიცი მსაჯული მიიჩნევს, რომ სჭირდება დამატებითი განმარტებები კანონის, ფაქტობრივი გარემოებების, დასკვნითი სიტყვის შესახებ და სხდომის თავმჯდომარეს წერილობით ნარუდგენს დამატებითი განმარტებების თაობაზე მოთხოვნას შესაბამისი კითხვების მითითებით.

4. 2010 წელს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოქმედი სამუშაო ჯგუფის მიერ<sup>619</sup> შემუშავებულ იქნა დოკუმენტი – „სხდომის თავმჯდომარის განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მონაწილეთათვის სახელმძღვანელოდ. მოცემული ნაშრომი წარმოადგენს სანიმუშო ვერსიას. განმარტებები შეიძლება შეცვლილ იქნეს მოსამართლის მიერ როგორც მხარეების შუამდგომლობის საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით, კონკრეტული განსახილველი საქმის საჭიროებებიდან გამომდინარე. ძალიან მნიშვნელოვანია, მხარეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ განმარტებების მომზადებაში, რამდენადაც, მათი მიზნებიდან გამომდინარე, შეძლონ მსაჯულობის კანდიდატთა სათანადო ინფორმირება კონკრეტული საქმის აქტუალური სამართლებრივი საკითხების შესახებ. სსსკ-ის 131-ე მუხლი მხარეებს ანიჭებთ უფლებას შუამდგომლობით მიმართონ სხდომის თავმჯდომარეს და მოითხოვონ მის მიერ მომზადებულ განმარტებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. ამ უფლების გამოუყენებლობა მსაჯულთა სათანადო ოთახში გასვლამდე, ართმევს მხარეებს შესაძლებლობას სხდომის თავმჯდომარის განმარტებათა სამართლიანობა და კანონიერება სადავოდ გახადონ საკასაციო საჩივარში (სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის ერთ-ერთი საფუძველია თუ „სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულთა სათანადო ოთახში გასვლის წინ განმარტებების მიცემისას არსებითი შეცდომა დაუშვა“). შესაბამისად, გარდა იმისა, რომ მხარე თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული მისთვის საჭირო სამართლებრივ საკითხებზე განმარტება მიანოდოს მსაჯულებს, ამ უფლების გამოუყენებლობა, მას ართმევს შესაძლებლობას კონკრეტული საფუძველით (სსსკ-ის 266-ე მუხლი მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი) გაასაჩივროს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი.

### მუხლი 223. ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, აცილება და თვითაცილება

1. მხარე უფლებამოსილია დააყენოს მსაჯულობის კანდიდატის აცილების შესახებ შუამდგომლობა. აცილების უფლებას პირველად ახორციელებს ბრალდების მხარე, ხოლო შემდეგ – დაცვის მხარე.
2. მოსამართლე ამონებს ყველა გარემოებას, რომელიც შეიძლება გახდეს მსაჯულობის კანდიდატის აცილების (თვითაცილების) საფუძველი, და მხარეებს საშუალებას აძლევს, შეკითხვები დაუსვან მსაჯულობის კანდიდატებს და წარმოადგინონ დამატებითი მასალები აცილების თაობაზე.
3. მოსამართლე უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეებს მისთვის წინასწარ იმ შეკითხვების წარდგენა, რომელთა მსაჯულობის კანდიდატებისათვის დასმასაც აპირებენ; ეს არ ზღუდავს მხარეებს, რომ დასვან დამაზუსტებელი შეკითხვები. შეკითხვის დასასმელად და დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად სხდომის თავმჯდომარე მხარეებსა და მსაჯულობის კანდიდატს გონივრულ ვადას განუსაზღვრავს (10.07.2015 № 3990).
4. მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია სწორი და ამომწურავი პასუხები გასცეს მისთვის დასმულ შეკითხვებს, წარმოადგინოს სხვა აუცილებელი ინფორმაცია მისი პიროვნებისა და განსახილველი საქმის მონაწილეთთან მისი ურთიერთობის თაობაზე, აგრეთვე ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს საქმის ობიექტურად და მიუკერძოებლად

<sup>619</sup> სახელმძღვანელო ინფორმაცია ნაფიცმსაჯულთა სასამართლოსთვის, ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA/ROLI), თბ., 2010.

განხილვაში.

5. მსაჯულობის კანდიდატისთვის დასმული შეკითხვები არ უნდა ხელყოფდეს მის პერსონალურ მონაცემებს, პროფესიულ ან/და კომერციულ საიდუმლოებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებისთვის. მსაჯულობის კანდიდატს აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება მოეთხოვოს მხოლოდ მხარის დასაბუთებული მოთხოვნის არსებობისას. თუ ამ ინფორმაციის გამჟღავნებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მის ინტერესებს, მსაჯულობის კანდიდატი ინფორმაციას აწვდის მხოლოდ უშუალოდ სხდომის თავმჯდომარეს (25.05.2012. №6328).

6. დაუსაბუთებელი აცილება არ შეიძლება იმგვარად იყოს გამოყენებული, რომ მოხდეს მსაჯულობის კანდიდატთა დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური შეხედულებების, რაიმე გაერთიანების წევრობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის, ასაკის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე.

7. მსაჯულობის კანდიდატს შეუძლია მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა თვითაცილების შესახებ და მიუთითოს იმ გარემოებაზე, რომელიც მას ხელს შეუშლის ნაფიცი მსაჯულის უფლებამოსილების განხორციელებაში. თვითაცილება დასაბუთებული უნდა იყოს. მხარეებს უფლება აქვთ, გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება მსაჯულობის კანდიდატის თვითაცილები-სადმი.

8. აცილებისა და თვითაცილების შესახებ შუამდგომლობებს მოსამართლე განიხილავს საჯაროდ და გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. აცილებულმა მსაჯულობის კანდიდატმა უნდა დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი.

9. თუ თვითაცილებისა და აცილების შემდეგ მსაჯულობის კანდიდატთა რაოდენობა სიაში 14-ზე ნაკლებია, მოსამართლე არაუმეტეს 10 დღით გადადებს სხდომას და ამ თავით დადგენილი წესით მოიწვევს დამატებით არაუმეტეს 100 კანდიდატს ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობის ამ კოდექსით დადგენილ რაოდენობამდე შესავსებად (10.07.2015 № 3990).

10. თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, მხარეს 10 დაუსაბუთებელი აცილების განცხადების უფლება აქვს. დანარჩენ შემთხვევებში მხარე უფლებამოსილია 6 დაუსაბუთებელი აცილება განაცხადოს (10.07.2015 № 3990).

11. თუ საქმეში რამდენიმე ბრალდებულია, თითოეულ მათგანს დამატებით 3 კანდიდატის დაუსაბუთებელი აცილების განცხადების უფლება ეძლევა. იგივე უფლება ეძლევა ბრალდების მხარეს. თუ რომელიმე ბრალდებული სრულად არ გამოიყენებს აცილების განცხადების საკუთარ კვოტას, მისი გამოყენების უფლება ენიჭება იმავე საქმეში სხვა ბრალდებულს. ამ შემთხვევაში ბრალდების მხარე სარგებლობს იმდენივე დაუსაბუთებელი აცილების განცხადების უფლებით, რამდენითაც ისარგებლა ყველა ბრალდებულმა საერთო ჯამში.

1. მსაჯულთა შერჩევის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია მსაჯულობის კანდიდატთა აცილების შესახებ შუამდგომლობათა განხილვა. აცილების უფლებას ჯერ ახორციელებს ბრალდების მხარე, შემდეგ დაცვის მხარე. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 221-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თავად კანდიდატია ვალდებული აცნობოს სასამართლოს მისი შეუთავსებლობის შესახებ, მაინც, მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე სასამართლო ამონებებს ყველა იმ გარემოებას, რაც შეიძლება გახდეს მსაჯულობის კანდიდატის თვითაცილების ან აცილების საფუძველი. ამ მიზნით სასამართლო საშუალებას აძლევს მხარეებს კანდიდატებს დაუსვან დამატებითი შეკითხვები და დამატებითი მასალებიც კი წარმოადგინონ აცილების თაობაზე. დამატებითი მასალა შეიძლება იყოს, მაგალითად, საგაზეთო სტატია, რომელშიც მსაჯულობის კანდიდატი ავითარებს ისეთ მოსაზრებას, რაც წარმოშობს საფუძველიან ეჭვებს მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ეს გარემოება კი, აცილების საფუძველია სსსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად.



2. კითხვების დასასმელად სასამართლო მხარეებს განუსაზღვრავს გონივრული ვადას. ამიტომ მნიშვნელოვანია, მხარეებს წინასწარ ჰქონდეთ დამუშავებული საკუთარი კითხვები, რომ სათანადო ეფექტურობით გამოიყენონ მათთვის განსაზღვრული დრო. მოსამართლე უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეებს მისთვის წინასწარ იმ კითხვების წარდგენა, რომელთა მსაჯულობის კანდიდატისთვის დასამასაც აპირებენ. ასეთ შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ დასვან დამაზუსტებელი კითხვებიც. მხარეთა კითხვები შედგენილ უნდა იქნეს იმგვარად, რომ გამოირიცხოს მსაჯულობის კანდიდატთა პერსონალური, პროფესიული და/ან კომერციული საიდუმლოების ხელყოფა. თუმცა, მართლმსაჯულების ინტერესები მაინც უფრო დიდი ღირებულებაა ჩამოთვლილ ღირებულებებთან შედარებით. ამიტომ თუ მხარე კარგად დაასაბუთებს, რომ მართლმსაჯულების ინტერესებისთვის აუცილებელია კანდიდატისგან პირადი, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მიღება, ასეთი კითხვის დასმა შესაძლებელია. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა ინფორმაციის საჯაროდ, სხდომის დარბაზში, გამჟღავნებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მსაჯულობის კანდიდატს, ამ ინფორმაციას კანდიდატი აწვდის მხოლოდ სხდომის თავმჯდომარეს. მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია სწორი და ამომწურავი პასუხი გასცეს მისთვის დასმულ კითხვებზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ინფორმაციის მიუწოდებლობა ან შეგნებულად მცდარი ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს სისხლის-სამართლებრივად დასჯად ქმედებას სსკ-ის 367<sup>2</sup>-ე მუხლის საფუძველზე.
3. მხარეებს უფლება აქვთ განაცხადონ აცილება. აცილება ორი ტიპისაა – დასაბუთებული და დაუსაბუთებელი. მხარეს შეუძლია დააყენოს შეუზღუდავი რაოდენობის დასაბუთებული შუამდგომლობა აცილების თაობაზე. დასაბუთებული აცილების შუამდგომლობაში მხარეს მოჰყავს ფაქტები და არგუმენტები აცილების რომელიმე საფუძვლის არსებობის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, აცილების საფუძვლები მოცემულია სსკ-ის 30-ე და 59-ე მუხლებში. გაცხადებულ აცილებასთან დაკავშირებით მოსამართლე ისმენს მეორე მხარის აზრსაც და გამოაქვს დასაბუთებული განჩინება აცილების დაკმაყოფილების ან შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
4. დაუსაბუთებელი აცილება გულისხმობს შუამდგომლობის დაყენებას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, თითოეული მხარე უფლებამოსილია წარადგინოს 10-10 დაუსაბუთებელი აცილება. დანარჩენ შემთხვევაში, მხარეებს 6 განაცხადის წარდგენის უფლება აქვთ. თუ საქმეში რამდენიმე ბრალდებულია, თითოეულ მათგანს დამატებით 3 დაუსაბუთებელი აცილების უფლება ენიჭება. თუ რომელიმე ბრალდებული არ გამოიყენებს მის კვოტას, მისი გამოყენების უფლება ენიჭება იმავე საქმეში სხვა ბრალდებულს. სახელმწიფო ბრალმდებელი ისარგებლებს იმდენივე დაუსაბუთებელი აცილების უფლებით, რამდენითაც ისარგებლა ყველა ბრალდებულმა ერთად. დაუსაბუთებელი აცილება გულისხმობს, რომ მხარე არ არის ვალდებული გაამჟღავნოს მისი გადაწყვეტილების მოტივაცია – რატომ მიიღო მან ამა თუ იმ მსაჯულობის კანდიდატის აცილების გადაწყვეტილება. თუმცა, სსკ აკეთებს ერთ მნიშვნელოვან დათქმას – დაუსაბუთებელი აცილება არ შეიძლება იმგვარად იქნეს გამოყენებული, რომ მოხდეს მსაჯულობის კანდიდატთა დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რწმენის, მსოფლმხედველობის ან სხვა ნებისმიერი ნიშნის საფუძველზე. მაგალითად, თუ მხარე ყველა მის დაუსაბუთებელ აცილებას გამოიყენებს ერთი რელიგიური გაერთიანების წარმომადგენელი მსაჯულობის კანდიდატების ასაცილებლად, ეს გარემოება შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც აცილების უფლების გამოყენება რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციისათვის. ასეთ შემთხვევებში, მოსამართლე შეიძლება დაინტერესდეს, რატომ მოხდა დაუსაბუთებელი აცილების გამოყენება. ბუნებრივია, მოსამართლის საბოლოო შეფასებისთვის მნიშვნელობა ექნება ასევე საქმის კონკრეტულ გარემოებებსაც.
5. გარდა აცილებისა, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი საქმის განხილვას შეიძლება ჩამო-

შორდეს თვითაცილების შუამდგომლობის დაყენების შედეგად. შესაძლებელია, კანდიდატმა მისთვის უწყების და კითხვარის გაგზავნის ეტაპზე ვერ მოახდინა აცილების საფუძვლის იდენტიფიცირება, რაც საბოლოოდ მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე გამოიკვეთა. ასეთ შემთხვევაში, კანდიდატს არ ერთმევა უფლება და ვალდებულებაც კია განაცხადოს თვითაცილება. მოცემული მუხლის მე-7 ნაწილი ადგენს, რომ ნაფიც მსაჯულს შეუძლია განაცხადოს თვითაცილების შესახებ. თუმცა, თვითაცილების ვალდებულება გამომდინარეობს სსსკ-ის 221-ე მუხლის მე-6 ნაწილიდან, რომლის თანახმად ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია სასამართლოს აცნობოს მისი აცილების საფუძვლის შესახებ. თვითაცილების შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. ეს ბუნებრივი მოთხოვნაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულთა კანდიდატებს შესაძლებლობა მიეცემათ ბოროტად გამოიყენონ თვითაცილების უფლება და თავი აარიდონ საკუთარი მოვალეობის – მონაწილეობა მიიღონ მართლმსაჯულების განხორციელებაში ნაფიც მსაჯულებად – შესრულებას. გარდა, სსსკ-ის 30-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული აცილების საფუძვლებისა, სსსკ-ის 31-ე მუხლი ადგენს გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში კანდიდატს უფლება აქვს უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულობის მოვალეობის შესრულებაზე. ეს გარემოებებია:

- თუ უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული;
- თუ ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;
- თუ ხანგრძლივად იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ;
- თუ 70 წელს გადაცილებულია.

6. მხარეებს უფლება აქვთ გამოთქვან თავისი მოსაზრება თვითაცილების შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე და შესაძლოა, მან არ დააკამყოფილოს კანდიდატის შუამდგომლობა თვითაცილების შესახებ, თუ რეალურად არ არსებობს მსაჯულობის კანდიდატის აცილების საფუძველი.
7. აცილებისა და თვითაცილების საკითხის გადაწყვეტის შემდეგ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა რაოდენობა იკლებს. თუ ასეთი კლების შედეგად კანდიდატთა რაოდენობა სიაში 14 ნაკლები იქნება, სასამართლო არა უმეტეს 10 დღით გადადებს სხდომას და იწყებს კანდიდატთა ხელახალი მონვევის პროცედურას. თუმცა, წინა პროცედურით შერჩეული მსაჯულები რჩებიან და მათ დაემატებათ ახალი პროცედურის შედეგად მონვეული და შერჩეული მსაჯულები.

## მუხლი 224 კანდიდატის დანიშვნა ნაფიც მსაჯულად

1. აცილების შემდეგ დარჩენილ მსაჯულობის კანდიდატთაგან თორმეტს სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს ნაფიც მსაჯულად, ხოლო ორი საქმის განხილვაში მონაწილეობას მიიღებს, როგორც სათადარიგო მსაჯული. საქმის სირთულიდან გამომდინარე, მოსამართლე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება უფრო მეტი სათადარიგო მსაჯულის დამტკიცების შესახებ. ეს გადაწყვეტილება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.

2. სათადარიგო მსაჯული ესწრება სასამართლო სხდომას და სასამართლოს თათბირს. სათადარიგო მსაჯულს უფლება არა აქვს, გამოხატოს საკუთარი აზრი, გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულებზე ან მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში.

3. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს საქმის განხილვის დღეს, რომელიც უნდა იყოს არა უგვიანეს შერჩევის პროცედურის დასრულებიდან მესამე დღისა.

1. აცილების და თვითაცილების შემდეგ მსაჯულობის კანდიდატთაგან თორმეტს სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს ნაფიც მსაჯულად, ხოლო ორს სათადარიგო მსაჯულად. თუმცა,

- მოსამართლეს შეუძლია დაამტკიცოს მეტი სათადარიგო მსაჯული. საქმის განხილვის მიმდინარეობისას, სხვადასხვა მიზეზით, ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა შეიძლება შემცირდეს. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს მსაჯულის ავადმყოფობა ან კანონის დარღვევა, რაც მსაჯულის დათხოვნის საფუძველი გახდა. ზოგიერთი სახის კანონის დარღვევა სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებასაც კი წარმოადგენს. მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა თათბირის და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა (სსკ-ის 367<sup>1</sup>-ე მუხლი – ნაფიც მსაჯულთა თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა). ნაფიცი მსაჯულის დათხოვნის და მის მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობის შემთხვევებში საქმის განხილვაში ერთვება სათადარიგო ნაფიცი მსაჯული. საბოლოოდ, სსსკ-ის 27-ე მუხლის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის საქმეზე, რვაზე ნაკლები მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე და ათზე ნაკლები განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.
2. სათადარიგო მსაჯული ესწრება როგორც სასამართლო სხდომას, ისე სასამართლო თათბირს. თუმცა, არ მონაწილეობს კენჭისყრაში და არ აქვს უფლება გამოხატოს საკუთარი აზრი ამა თუ იმ განსახილველ საკითხზე ან სხვაგვარად მოახდინოს გავლენა ნაფიც მსაჯულებზე.

## თავი XXIII საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში

### მუხლი 225. საქმის არსებითი განხილვის დაწყების დრო

სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვა უნდა დაიწყოს წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან არა უგვიანეს 14 დღისა, თუ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხვა ვადას არ განსაზღვრავს ან დამატებით გონივრული ვადა არ არის საჭირო ნაფიც მსაჯულთა შესარჩევად.

1. აღნიშნული ნორმის მიზანია გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების უზრუნველყოფა, რაც წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ უფლებას, რომლის თანახმად, ყოველი ადამიანი აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.
2. სასამართლო არის ის ორგანო, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პირის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე. სასამართლოს ეტაპი და განსაკუთრებით საქმის არსებითი განხილვის ეტაპი არის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი სისხლის სამართლის პროცესში, რამდენადაც სწორედ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე შესაძლებელი ბრალდებულის სამართლიანი მოსმენის უფლების სრულად განხორციელება. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება, მისთვის წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველიანობის განსაზღვრისას, როგორც მინიმუმ, მიიღოს გარანტია, გაასამართლონ გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.
3. ცხადია, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლება შეიძლება ეფექტურად განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება გონივრულ ვადაში იქნება გამოტანილი. მხოლოდ ის, რომ გონივრულ ვადაში მოხდეს საქმის განხილვის დაწყება, არ ნიშნავს მის გონივრულ ვადაში დასრულებას, თუმცა ერთ-ერთი წინაპირობაა საამისოდ. აღნიშნული ნორმის მიზანია წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან გონივრულ ვადაში მოხდეს საქმის არსებითი განხილვის დაწყება, რაც პირდაპირ კავშირშია მის გონივრულ ვადაში განხილვასა და საქმეზე გადაწყვეტილების გონივრულ ვადაში გამოტანასთან. სასამართლო განხილვის ვადა კი გონივრულად ითვლება მანამ, სანამ ადგილი არ ექნება საქმის განხილვის გაუმართლებელ გაჭიანურებას.
4. ამ მხრივ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებთან (სამართლიანი სასამართლოს უფლება), რამდენადაც, გარდა იმისა, რომ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, იმ საქმეებზე, რომლებზეც ბრალდებულები იმყოფებიან პატიმრობაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის განხილვა უნდა დაასრულოს და გადაწყვეტილება გამოიტანოს პირის დაპატიმრებიდან არა უგვიანეს 9 თვისა, ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, რომელიც უნდა ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან, იმ საქმეებზე, რომლებზეც ბრალდებულთა მიმართ გამოყენებულია არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 24 თვისა. თუმცა აქვე უნდა აღინ-

- იშნოს, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე „გონივრული ვადის“ დროის ათვლა იწყება ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მიერ პიროვნებისთვის დანაშაულის შესახებ ოფიციალური შეტყობინების მიწოდების თარიღიდან და წყდება უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას.
5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 225-ე მუხლი ადგენს, წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან რა ვადაში უნდა მოხდეს საქმის არსებითი განხილვის დაწყება, რაც დამოკიდებულია კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მოცულობასა და სირთულეზე. აღნიშნული ვადის განსაზღვრისას წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც ის გარემოება, რომ საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს ჰქონდეს საკმარისი დრო საქმის გასაცნობად, ასევე, პროცესის მონაწილე მხარეებმა შეძლონ სათანადოდ მომზადება საქმის არსებით განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, კერძოდ, შესავალი სიტყვების მოსამზადებლად და, ასევე, მტკიცებულებების არსებითი განხილვის სხდომაზე წარსადგენად, წინასასამართლო სხდომაზე დამტკიცებულ, მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნუსხის შესაბამისად.
  6. კანონმდებელმა წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან საქმის არსებითი განხილვის დასაწყებად 14-დღიანი ვადის განსაზღვრით დაადგინა, რომ საქმის არსებითად განხილვა უნდა დაიწყო წინასასამართლო სხდომის დამთავრებიდან არა უგვიანეს მე-14 დღისა, რაც ნიშნავს მინიმუმ სასამართლო სხდომის გახსნას მოსამართლის მიერ.
  7. სსსკ-ის 225-ე მუხლი ანებს გარკვეულ გამონაკლისებს, რა შემთხვევებშიც შესაძლებელია, საქმის არსებითი განხილვა დაიწყო წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან 14 დღის გავლის შემდგომ. პირველი შემთხვევა, ეს არის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს მიერ სხვა ვადის განსაზღვრა. შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვის უფლებით სარგებლობს როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარე. მართალია, აღნიშნულ მუხლში არ არის მითითებული მხარის შუამდგომლობის დასაბუთებულობაზე, თუმცა, სსსკ-ის 185-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების თანახმად, რომელიც ადგენს მსგავსი შუამდგომლობების განხილვის წესს, მხარის (ან მხარეთა ერთობლივი) შუამდგომლობა სასამართლო განხილვის სხდომის თარიღის შეცვლის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული, რაც ემსახურება იმ მიზანს, რომ არ მოხდეს მხარეთა მიერ დაუსაბუთებელი შუამდგომლობების საფუძველზე საქმის განხილვის უსაფუძვლო და გაუმართლებელი გაჭიანურება.
  8. მეორე შემთხვევა, როდესაც შესაძლებელია, არ იქნეს დაცული საქმის არსებითი განხილვის დაწყების 14-დღიანი ვადა, არის ნაფიც მსაჯულთა შესარჩევად დამატებით გონივრული ვადის საჭიროება.
  9. ამდენად, ზემოთ განხილული, კანონით განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, მოსამართლე ვალდებულია, საქმის არსებითი განხილვა დაიწყო წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ განსაზღვრულ დროს, რაც არ უნდა აღემატებოდეს წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან 14 დღეს.

## მუხლი 226. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

1. თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, საქმეს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებული შუამდგომლობს, რომ საქმე განხილულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. თუ, დანაშაულის სიმძიმეიდან ან ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია საფრთხე შეექმნას ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვაგვარად არსებითად იქნეს ხელყოფილი მათი ხელშეუხებლობა, აგრეთვე როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით, საქმეს განიხილავს მოსამართლე ნაფიც მსაჯულთა

### მონაწილეობის გარეშე.

2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობა უნდა უზრუნველყოფდეს მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

3. თუ შეუძლებელია საქმის სამართლიანად და ობიექტურად განხილვის უზრუნველყოფა მასმედიით მისი ინტენსიური გაშუქების ან საქმისადმი კონკრეტული ტერიტორიის მოსახლეობის დამოკიდებულების გათვალისწინებით, საქმის განხილველი სასამართლო უფლებამოსილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით დაადგინოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადატანა ტერიტორიულად სხვა ადგილას მდებარე სასამართლოში.

1. აღნიშნული ნორმის მიზანია ბრალდებულის უფლების რეალიზება, ისარგებლოს მისი საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვის უფლებით, ამასთან, არსებითად არ დაირღვეს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლება და უზრუნველყოფილ იქნეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.
2. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და წესს კი ადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ არის მუდმივმოქმედი. ნაფიცი მსაჯულები იკრიბებიან პერიოდულად და განიხილავენ სისხლის სამართლის საქმეს პირველი ინსტანციით, როდესაც წარდგენილი ბრალიდან გამომდინარე, საქმე მათი განსჯადია.
3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მოიცავს იმ ჩამონათვალს, თუ რა შემთხვევაში განიხილავს საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. უპირველესად, ეს გახლავთ თავად ბრალდებულის უფლება, გააკეთოს არჩევანი საერთო სასამართლოსა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შორის. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქმეს არსებითად განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის სურვილს გამოთქვამს თავად ბრალდებული. პროკურორი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვა და არც სასამართლოა უფლებამოსილი, თავისი ინიციატივით დაადგინოს, რომ საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ.
4. მეორე და აუცილებელი გარემოება, რომ საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, არის ის, რომ ბრალად წარდგენილი ქმედება სასჯელის სახით ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთას. მაგალითად, თუ პირს ბრალად აქვს წარდგენილი საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება (ცემა), ის ვერ მოითხოვს მისი საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვას, რამდენადაც აღნიშნული ქმედებისთვის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.
5. მართალია, სსკ-ის 226-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს, თუ რა შემთხვევაში ხდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, თუმცა მოცემულ ეტაპზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქმეებს განიხილავს სსკ-ის 330-ე მუხლის საფუძველზე, რომლითაც განსაზღვრულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დროებითი განსჯადობა. კერძოდ, 2016 წლის 1 ოქტომბრამდე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებს. აღნიშნული სასამართლოები ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განიხილავენ, აგრეთვე, საქმეებს დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც ედება.
6. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილავს, ასევე,

- მისი ტერიტორიული განსჯადობისთვის მიკუთვნებულ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე-114-ე მუხლებით (მკვლელობები, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებებში) გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებს. ზემოაღნიშნული სასამართლოები ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განიხილავენ, ასევე, იმ პირთა საქმეებს, რომელთაც დანაშაულთა ერთობლიობისას ბრალი ედებათ ზემოთ მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლით.
7. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 2012 წლის 1 ოქტომბრამდე მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში მოქმედებდა და ისიც თავდაპირველად, 2011 წლის 1 ოქტომბრამდე, მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებულ დამთავრებულ დანაშაულთა საქმეებს განიხილავდა. შემდგომ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან უკვე ქუთაისის საქალაქო სასამართლოშიც ამოქმედდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელიც მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებს განიხილვას, მათ შორის, დანაშაულთა ერთობლიობით. ამდენად, ამ ეტაპზე მხოლოდ ორ სასამართლოში მოქმედებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ეს არის თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები. როგორც ზემოთ აღნიშნა, თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა განსაჯადი საქმეების წრე უფრო ფართოა, ვიდრე ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 18 იანვარს განხორციელებული ცვლილების თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობას დაემატა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსაჯადი გახდა, ასევე, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლში მითითებული თანამდებობის პირების და მათთან ერთად დანაშაულის ჩამდენ პირთა საქმეები, თუმცა 2015 წლის 19 თებერვალს განხორციელებული ცვლილებით აღნიშნული დამატება ამოღებულ იქნა.
  8. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალდებულის უფლებათა, ისარგებლოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მისი საქმის განხილვის უფლებით ან უარი თქვას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მისი საქმის განხილვის უფლებაზე, სისხლის სამართლის პროცესი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა ბრალდებულს შეეზღუდოს აღნიშნული არჩევანის გაკეთების უფლება.
  9. მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით, საქმე შესაძლოა განხილულ იქნეს მოსამართლის მიერ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე, თუ დანაშაულის სიმძიმე ან ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია, საფრთხე შეექმნას ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვაგვარად არსებითად იქნეს ხელყოფილი მათი ხელშეუხებლობა.
  10. მართალია, კანონის აღნიშნული ნორმა პირდაპირ არ განსაზღვრავს, თუ კონკრეტულად რომელი დანაშაულის საქმეზე შეიძლება მოხდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განრიდება, თუმცა მიუთითებს დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათზე, რაც კონკრეტულ საქმეზე, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საქმის განმხილველი მოსამართლის შესაფასებელია, უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარესთან ერთად. მოცემულ შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს მსაჯულთა მიმართ რეალური საფრთხე, რაც შეიძლება შეექმნას მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ან სხვაგვარად მოხდეს მათი ხელშეუხებლობის ხელყოფა, ოჯახის წევრების დაშინებით ან სხვა გზით. მაგალითისთვის, შესაძლოა ეს იყოს განსაკუთრებული სისასტიკით ჯგუფურად ჩადენილი მკვლელობის საქმე ან როდესაც ბრალი წარდგენილია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფისთვის სხვადასხვა საშიში დანაშაულების ჩადენისათვის (ბანდიტიზმი, ტერაქტი და ა.შ.).
  11. იმისათვის, რომ ზემოთ განხილულ შემთხვევებში მოხდეს საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განხილვა, აუცილებელია, ამის შესახებ შუამდგომლობდეს პროცესის მონაწილე ერთ-ერთი მხარე. მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, თავისი ინიციატივით

- მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც, როცა მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლე მიიჩნევს, რომ, დანაშაულის სიმძიმიდან ან ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია, საფრთხე შეექმნას ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვაგვარად არსებითად იქნეს ხელყოფილი მათი ხელშეუხებლობა და მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ საქმე განხილულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე, აუცილებელია, აღნიშნულ გადაწყვეტილებას დაეთანხმოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმეს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.
- 12.** ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე მოსამართლის მიერ საქმის განხილვა დასაშვებია, ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რაც გულისხმობს ისეთი გარემოებების არსებობას, როდესაც საზოგადოებაში წინასწარ არის შექმნილი აზრი პირზე, როგორც დამნაშავეზე, ან პირიქით, ფართოდ არის გავრცელებული აზრი მის უდანაშაულობაზე, რაშიც ხშირად მასმედიის საშუალებები აქტიურად მონაწილეობენ. საქმე ეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უხემ ჩარევას სამართალწარმოების პროცესში, როდესაც ისინი სასამართლოში საქმის განხილვის დასრულებამდე ფართოდ აშუქებენ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, აწყობენ საჯარო განხილვებს, მათ შორის, პროკურორების და ადვოკატების მონაწილეობით, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით და ამით ცდილობენ, საზოგადოების სახელით საკუთარი აზრი მოახვიონ ნაფიც მსაჯულებს. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს უნდა იყოს მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც აშკარაა როგორც საზოგადოების უდიდესი ნაწილის განწყობა, ასევე, აშკარაა, რომ ნაფიცი მსაჯულები მოქცნენ (ან მაღალი ალბათობით მოექცევიან) საზოგადოებაში შექმნილი განწყობის ზემოქმედების ქვეშ, რაც მომავალში აისახება მათ მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე.
- 13.** სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს, ზემოთ მითითებული გარემოებების არსებობისას, სასამართლოში საქმის განხილვის რა ეტაპზეა შესაძლებელი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვის თაობაზე მხარის მიერ შუამდგომლობის დაყენება, თუმცა ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ პირველ შემთხვევაში კანონმდებელი დანაშაულის სიმძიმიდან ან ხასიათიდან გამომდინარე უზღუდავს ბრალდებულს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მისი საქმის განხილვით სარგებლობის უფლებას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ მხარის მიერ ამგვარი სახის შუამდგომლობა დაყენებულ იქნეს წინასასამართლო სხდომაზე, მაშინ, როდესაც წყდება საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის საკითხი და არა მას შემდეგ, რაც დაინყება საქმის არსებითი განხილვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ.
- 14.** რაც შეეხება მეორე შემთხვევას, როდესაც საუბარია იმაზე, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მომდევნო ეტაპზეც, რამდენადაც არ არის გამორიცხული მასმედიის საშუალებების გააქტიურება მას შემდეგ, რაც საქმე განსახილველად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაეცემა, ან ობიექტურად ისეთი გარემოებები წარმოიშობა, რაც ეჭვქვეშ დააყენებს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას. მაგალითად, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან გარკვეული სახის მოწოდებებისა და საჯარო განცხადებების გაკეთება კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ.
- 15.** ამ მხრივ სასამართლო პრაქტიკაში მხოლოდ ერთი შემთხვევა ფიქსირდება, როდესაც ბრალდების მხარემ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას, მას შემდეგ, რაც მსაჯულებმა ვერ მიიღეს ვერდიქტი და დანიშნულ იქნა ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომა, იშუამდგომლა საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განხილვა იმ მოტივებით, რომ საზოგადოებაში არსებული განწყობა (დაუცველობის განცდა, წინასწარ შექმნილი მიდგომა, რომ ბრალდებული დამნაშავეა,



- ასევე, განცდა, რომ ნაფიც მსაჯულთა სისტემამ ვერ გაამართლა) აისახებოდა ნაფიც მსაჯულებზე, გადაწყვეტილების მიღებისას ისინი ვერ იქნებოდნენ ობიექტურები და მიუკერძოებლები, რითაც დაირღვეოდა ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლება, რაც სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული, რამდენადაც მოსამართლემ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო ის საფრთხეები, რაზეც ბრალდების მხარე აპელირებდა და ასეთი საფრთხეების არარსებობის პირობებში საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განხილვით დაირღვეოდა ბრალდებულის არჩევანის უფლება, საქმე განეხილა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. საინტერესოა, რომ აღნიშნულ საქმეზე თავად ბრალდებულმა უარი არ თქვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, მიუხედავად იმისა, რომ, საზოგადოებაში გავრცელებული აზრის თანახმად, ის მართლაც დამნაშავედ მიიჩნეოდა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ეს საქმე ჯერჯერობით ერთადერთია, როდესაც ნაფიცმა მსაჯულებმა ვერ გამოიტანეს ვერდიქტი. სხვა ყველა შემთხვევაში ნაფიცმა მსაჯულება გამოიტანეს ვერდიქტი – გამამართლებელი ან გამამტყუნებელი.
- 16.** შესაძლოა, გაჩნდეს მოსაზრება, თუ ნაფიცი მსაჯულები შეიძლება მოექცენ გარკვეული ზეგავლენის ქვეშ, რატომ არ შეიძლება იმავე ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ მოსამართლეები. აქ მთავარი და მნიშვნელოვანია ის, რომ ნაფიც მსაჯულებს მოეთხოვებათ ვერდიქტის გამოტანა მხოლოდ იმ მტკიცებულებების და იმ ინფორმაციის საფუძველზე, რაც მათ მოისმინეს სასამართლო სხდომის დარბაზში, მედიასაშუალებებით კი შესაძლებელია, ერთის მხრივ, მოხდეს საზოგადოებრივი აზრის ფორმირება საქმის ირგვლივ, რაც ზეგავლენის ქვეშ მოაქცევს ნაფიც მსაჯულებს, როგორც საზოგადოების წარმომადგენლებს, ხოლო, მეორე მხრივ, შეიძლება მსაჯულებს მიენოდოთ იმ სახის ინფორმაცია საქმის გარშემო, რომელიც მათ ბრალდების ან დაცვის სასარგებლოდ განაწყობს, ან ისეთი ინფორმაცია, რაც დაუშვებელ მტკიცებულებად იქნებოდა ცნობილი საქმის განხილვისას. მაგალითად, შესაძლებელია ეს იყოს, ბრალდებულის წარსული ნასამართლობა, მისი აღიარებითი ჩვენება გამოძიების ეტაპზე, საქმეში არსებული ისეთი ინფორმაცია, რაც წინასასამართლო სხდომაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი და ა.შ. ასეთ შემთხვევაში გაცილებით მაღალია ალბათობა ნაფიცი მსაჯულის გარკვეული სახის ზეგავლენების ქვეშ მოქცევის, როდესაც მათ არ მოეთხოვებათ დასაბუთებული ვერდიქტის გამოტანა, განსხვავებით მოსამართლისგან, რომელიც იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, საქმეში არსებული მტკიცებულებების უტყუარობისა და საკმარისობის თვალსაზრისით.
- 17.** ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფორმირებაში აქტიურ როლს ასრულებენ თავად მხარეები და მოსამართლე. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსამართლის როლი მსაჯულთა შერჩევის პროცესში აცილებების შესახებ შუამდგომლობების განხილვისას, მათ შორის, დაუსაბუთებელი აცილების საკითხის განხილვისას, რათა არ მოხდეს მსაჯულობის კანდიდატის დისკრიმინაცია. ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ ამ შემადგენლობით უზრუნველყოფილი იყოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. ნაფიცი მსაჯული მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული გარე ფაქტორების ზემოქმედებისგან.
- 18.** ნაფიც მსაჯულთა დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს ის გარემოება, რომ ისინი არავის წინაშე პასუხს არ აგებენ და აბსოლუტურად დამოუკიდებელი არიან გადაწყვეტილების მიღებისას. მნიშვნელოვანია, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, მათ, მოსამართლისგან განსხვავებით, არ მოეთხოვებათ მათ მიერ მიღებული ვერდიქტის დასაბუთება და გადაწყვეტილებას უმეტესად შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებენ. ნაფიცი მსაჯული თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი პირადი ინტერესისგან, ეს იქნება ანგარება, ნაცნობ-მეგობრობა, ავტორიტეტთა გავლენა თუ რაიმე სხვა გარემოება. პირის მიუკერძოებლობა პირდაპირ კავშირშია მის კეთილსინდისიერებასთან, რათა გამოირიცხოს მისი მოსყიდვის ალბათობა. სწორედ თითოეული ნაფიცი მსაჯულის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა უზრუნ-

ველყოფს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, რაც არის ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს გარანტი.

19. სისხლის სამართლის პროცესი, ასევე, ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადატანას ტერიტორიულად სხვა ადგილას მდებარე სასამართლოში, თუ შეუძლებელია საქმის სამართლიანად და ობიექტურად განხილვის უზრუნველყოფა მასმედიით მისი ინტენსიური გაშუქების ან საქმისადმი კონკრეტული ტერიტორიის მოსახლეობის დამოკიდებულების გათვალისწინებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას კანონმდებელი ანიჭებს საქმის განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს), საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით.

## მუხლი 227. სხდომის თავმჯდომარე

### საქმის არსებითი განხილვის სხდომას წარმართავს სხდომის თავმჯდომარე.

1. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე უზრუნველყოფს სასამართლო სხდომის წარმართვას და მის მიმდინარეობას.
2. სხდომის თავმჯდომარე სარგებლოს ყველა იმ უფლებით და აკისრია ყველა ის ვალდებულება, რითაც აღჭურვილია ზოგადად მოსამართლე. ამავდროულად, მას კანონი აკისრებს სპეციალურ უფლებამოსილებას, წარმართოს სასამართლო სხდომის მიმდინარეობა.
3. სსსკ-ის 22-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე საქმეს განხილვას ერთპიროვნულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმის განმხილველი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დადგენილია საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით.
4. საქმის ერთპიროვნულად განხილვისას სხდომას თავმჯდომარეობს მოსამართლე, რომელიც წარმართავს სხდომას, აცხადებს განსახილველ საქმეს, ადგენს ბრალდებულის ვინაობას, მხარეებს განუმარტავს მათ უფლება-მოვალეობებს, აძლევს შესაძლებლობას, დაუბრკოლებლად წარადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებანი, უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, აგრეთვე, ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
5. საქმის კოლეგიურად განხილვის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს და წარმართავს ერთ-ერთი მოსამართლე, რომელიც, ზემოთ მითითებულ საკითხებთან ერთად, უზრუნველყოფს სასამართლოს თათბირის მიმდინარეობას.
6. სხდომის თავმჯდომარეს ევალება საქმის განხილვის ოპტიმალურად დაგეგმვა და მისი შესრულების ორგანიზება, პროცესის მონაწილეთათვის მაქსიმალურად ხელის შეწყობა თავიანთი ფუნქციების უკეთ შესრულებაში. სხდომის თავმჯდომარემ თავისი უფლებამოსილება უნდა განახორციელოს იმდაგვარად, რომ არ დაირღვეს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი და მხარეებს არ გაუჩნდეთ განცდა, რომ სხდომის თავმჯდომარე მიკერძოებულია რომელიმე მხარის მიმართ. სასამართლო სხდომის სწორად წარმართვა დამოკიდებულია სხდომის თავმჯდომარის საერთო (როგორცაა მეტყველება, ქცევა, გარეგანი მონესრიგებულობა) და სამართლებრივ კულტურაზე, პროცესის ეფექტურად მართვის უნარზე, რაც ერთობლიობაში განაპირობებს სასამართლოს (მოსამართლის) ავტორიტეტს და ზრდის საზოგადოების ნდობას სასამართლოსადმი.

## მუხლი 228. მხარისა და მონმის გამოცხადება

1. მხარეებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი მონმეების გამოცხადება სასამართლოში.
2. თუ მხარე არ აპირებს რომელიმე პირის მონმედ დაკითხვას სასამართლოში, სასამართლოს მიერ ამ პირის საკუთარი ინიციატივით გამოძახება და დაკითხვა დაუშვებელია.

**3. სასამართლო სხდომის მდივანი სასამართლოს მოახსენებს მხარეებისა და მოწმეების გამოცხადების ფაქტს და გამოუცხადებლობის მიზეზებს.**

**4. სხდომის თავმჯდომარე აფრთხილებს პროცესის მონაწილეებს და სხდომაზე დამსწრე პირებს წესრიგის დაცვის მიზნით სასამართლოს მითითების სავალდებულობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების გატარების თაობაზე.**

**5. გამოცხადების შემონმების შემდეგ მოწმედ დასაკითხი პირები, გარდა ბრალდებულისა, ტოვებენ სასამართლო სხდომის დარბაზს. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გასცეს აღნიშნული პირების მათთვის განკუთვნილ ოთახში გაყვანის განკარგულება და იღებს ზომებს, რომ დაკითხვამდე მათ ერთმანეთთან კონტაქტი არ ჰქონდეთ.**

1. სსსკ-ის 228-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, მხარეებმა თავად უნდა უზრუნველყონ საკუთარი მოწმეების სასამართლოში გამოცხადება. აღნიშნული წარმოადგენს პროცესის მონაწილეთა ვალდებულებას და სასამართლო არ ერევა მხარეთა მიერ მოწმეთა სასამართლოში წარმოდგენის პროცესში.
2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მაქსიმალურად უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვას. დაუშვებელია სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით მოწმის გამოძახება და დაკითხვა. მიუხედავად იმისა, რომ პირი შესაძლოა შეყვანილი იყოს წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლის მიერ დამტკიცებულ მტკიცებულებათა ნუსხაში, დაუშვებელია მისი სასამართლო სხდომაზე სასამართლოს ინიციატივით დაკითხვა, თუ ბრალდების ან დაცვის მხარე თავად არ აპირებს ამ პირის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში. მხარეს უფლება აქვს, მის მიერ მოწმეთა სიაში შეყვანილი პირი არ წარმოადგინოს სასამართლო სხდომაზე და უარი თქვას მის დაკითხვაზე. დაუშვებელია, ასევე, მეორე მხარის მიერ ამ პირის დაკითხვის მოთხოვნა სასამართლო სხდომაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ პირის დაკითხვას თავად ეს მხარეც ითხოვდა და მტკიცებულებათა ნუსხაში შეყვანილია როგორც მეორე მხარის მოწმეც.
3. მოსამართლის მიერ სასამართლო სხდომის გახსნის და განსახილველი საქმის გამოცხადების შემდგომ სხდომის მდივანი სასამართლოს მოახსენებს გამოცხადებული მხარეების და მოწმეების ვინაობას, ასევე, გამოუცხადებლობის მიზეზებს, რის შემდგომაც სხდომის თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას სასამართლო სხდომის გაგრძელების ან გადადების შესახებ. სსსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოში საქმის განხილვის გადადება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით შესაძლებელია მხოლოდ მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, მხარის, მოწმის ან თარჯიმნის გამოუცხადებლობის, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, აგრეთვე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუმცა, კანონში ამგვარი ჩანაწერის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც სასამართლო სხდომაზე მხოლოდ ერთი მხარეა გამოცხადებული, არანაირი აუცილებლობა არ არსებობს, რომ გამოცხადებულმა მხარემ დააყენოს შუამდგომლობა მეორე მხარის გამოუცხადებლობის გამო სხდომის გადადების თაობაზე. შეჯიბრებითობის პრინციპი ისედაც მოითხოვს, რომ სასამართლო განხილვას ორივე მხარე ესწრებოდეს. ანალოგიურად, როდესაც საქმეს განიხილავს სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა და ერთ-ერთი მოსამართლე არ არის გამოცხადებული, საქმის განხილვა თავისთავად გადაიდება, თუმცა აღნიშნული საკითხის უფრო დეტალურად განხილვა იხილეთ სსსკ-ის 185-ე მუხლის კომენტარებში.
4. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე უზრუნველყოფს სხდომის დარბაზში პროცესის მონაწილე მხარეების და სხდომაზე დამსწრე პირების მხრიდან წესრიგის დაცვას. ამ მიზნით, სხდომის თავმჯდომარე აფრთხილებს პროცესის მონაწილე მხარეებს და სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირებს სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვის აუცილებლობისა და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი ღონისძიებების გამოყენების შესახებ. მოსამართლის (სხდომის თავმჯდომარის) მითითებები სავალდებულოა ყველასთვის და მისი

დარღვევის შემთხვევაში გამოყენებული იქნება სსსკ-ის 85-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები.<sup>620</sup>

5. ბრალდებულის გარდა, სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მონმედ დასაკითხი პირები, მათი გამოცხადების შემონმების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებით ტოვებენ სასამართლო სხდომის დარბაზს. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, გასცეს აღნიშნული პირების მათთვის განკუთვნილ ოთახში გაყვანის განკარგულება და მიიღოს ზომები, რომ მონმეებს არ ჰქონდეთ ერთმანეთთან კონტაქტი დაკითხვამდე, რასაც უზრუნველყოფს სასამართლოს მანდატურის სამსახური. აღნიშნული ემსახურება იმ მიზანს, რომ არ მოხდეს მონმეთა ურთიერთშეთანხმება სასამართლოს სხდომაზე მისაცემი ჩენების ირგვლივ.

### **მუხლი 229. სასამართლოს შემადგენლობის გამოცხადება. პროცესის მონაწილეთა საქმეში მონაწილეობის გამორიცხვის და აცილების საკითხის გადაწყვეტა**

1. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს სასამართლოს შემადგენლობას, ასევე აცხადებს, თუ ვინ უჭერს მხარს ბრალდებას და ვინ ახორციელებს დაცვას, და მხარეებს ეკითხება, ხომ არ აქვთ მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატის, სხდომის მდივნის, თარჯიმნის ან პროცესის სხვა მონაწილის აცილების საფუძველი.

2. სხდომის თავმჯდომარე მხარეებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ, აცილება მისცენ როგორც ცალკეულ მოსამართლეებს, ისე სასამართლოს მთელ შემადგენლობას.

3. სხდომის თავმჯდომარე პროცესის მონაწილეებს განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს.

1. აღნიშნული ნორმის მიზანია უზრუნველყოს საქმის განმხილველი სასამართლოს კანონიერი და მიუკერძოებელი შემადგენლობა და არ დაუშვას საქმის განხილვაში იმ პირთა მონაწილეობა, რომელთა მიმართაც არსებობს მათი მონაწილეობის გამომრიცხავი, კანონით გათვალისწინებული გარემოებები.

2. მოსამართლე აცხადებს რა სასამართლოს შემადგენლობას, ასევე, ბრალმდებლისა და დაცვის განმახორციელებელი პირების ვინაობას, სსსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, განმარტავს მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატის, სხდომის მდივნის, თარჯიმნის ან პროცესის სხვა მონაწილის აცილების საფუძველებს.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეს განიხილვას სასამართლო კოლეგიური შემადგენლობით, სხდომის თავმჯდომარე პროცესის მონაწილე მხარეებს განუმარტავს როგორც ცალკეული მოსამართლეების, ისე, სასამართლოს მთელი შემადგენლობის აცილების უფლებას. მხარემ მოსამართლეთა აცილების შესახებ შუამდგომლობა უნდა დააყენოს ერთდროულად და არა ცალ-ცალკე თითოეული მოსამართლის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ საქმეს ერთპიროვნულად იხილავს მოსამართლე, მის მიმართ დაყენებულ აცილების შუამდგომლობას განიხილავს თავად ეს მოსამართლე, ხოლო საქმის კოლეგიურად განხილვისას, თუ აცილების შუამდგომლობა დაყენებულია მოსამართლის ან მოსამართლეების მიმართ – ის მოსამართლე ან მოსამართლეები, რომლის (რომელთა) მიმართაც აცილების შუამდგომლობა არ დაყენებულა. თუ აცილების შესახებ შუამდგომლობა დაყენებულია სასამართლოს მთელი შემადგენლობის მიმართ, შუამდგომლობას განიხილავს საქმის განმხილველი სასამართლოს სრული შემადგენლობა.

4. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია საქმის განხილვისას სასამართლო შემადგენლობის უცვლელობა. თუ რომელიმე მოსამართლეს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება ან გაგრძელება, რისი აღმოფხვრაც მოკლე დროში შეუძლებელია, მაშინ საქმის განხილვა გრძელდება სათადარიგო მოსამართლის (ან სათადარიგო მსაჯულის) მონაწილეობით. მო-

<sup>620</sup> იხ., სსსკ-ის 85-ე მუხლის კომენტარი.

სამართლის სათადარიგო მოსამართლით შეცვლის შემთხვევაში აუცილებელია, მხარეებს განემარტოთ სათადარიგო მოსამართლის აცილების უფლება. რაც შეეხება საქმის განხილვაში სათადარიგო მსაჯულის ჩართვას, აღნიშნული არ საჭიროებს შერჩევის პროცედურის თავიდან გავლას, რამდენადაც სათადარიგო მსაჯულის შერჩევა ხდება მსაჯულთა შერჩევის ეტაპზევე.

5. აცილების შესახებ შუამდგომლობების განხილვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარე პროცესის მონაწილეებს განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და რა უფლებებითაც სარგებლობენ მხარეები საქმის არსებითი განხილვის დროს. კერძოდ, ეს არის როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგადი ნაწილით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები, ასევე, სსსკ-ის 239-ე მუხლით პირდაპირ გათვალისწინებული შუამდგომლობები, რომელთა დაყენების უფლებითაც მხარეები სარგებლობენ საქმის არსებითი განხილვის დროს.

### **მუხლი 230. სხდომის თავმჯდომარის მიერ ბრალდებულის ვინაობის დადგენა და უფლებების განმარტება**

1. სხდომის თავმჯდომარე ადგენს ბრალდებულის ვინაობას (სახელი, გვარი, დაბადების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი) და განუმარტავს მას უფლებებს, ბრალდების არსს, ინკრიმინირებული ქმედების კვალიფიკაციას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმსა და მაქსიმუმს, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით. სხდომის თავმჯდომარე ბრალდებულს ასევე განუმარტავს, რომ მისი ნებაა, ბრალდებასთან დაკავშირებით ჩვენება მისცეს, როგორც მოწმემ. თუ საქმეში რამდენიმე ბრალდებულია, ასეთი განმარტება ეძლევა თითოეულ მათგანს.

2. სხდომის თავმჯდომარე არკვევს, ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ და თუ ცნობს – რაში. ბრალდებულს უნდა განემარტოს, რომ იგი შეზღუდული არ არის გამოძიების დროს მის მიერ ბრალის აღიარებით ან უარყოფით, რომ არ არის ვალდებული, პასუხი გასცეს დასმულ კითხვას, და რომ დუმილის უფლებით სარგებლობა არ შეიძლება მის საწინააღმდეგოდ იქნეს გამოყენებული.

3. სხდომის თავმჯდომარე არკვევს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსით გათვალისწინებული დებულებები საპროცესო შეთანხმების შესახებ.

1. ბრალდებულის ვინაობის დადგენა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ, პირველ რიგში, არ მოხდეს არასწორი დემოგრაფიული მონაცემებით პირის მსჯავრდება და, მეორე, ბრალდებულის ასაკი არსებითი მნიშვნელობის მქონეა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნისა და სამართალწარმოების განსახორციელებლად, რამდენადაც არასრულწლოვანთა საქმისწარმოება განსხვავდება სრულწლოვანთა საქმისწარმოებისგან.

2. ვინაობის დადგენის შემდგომ მოსამართლე ბრალდებულს განუმარტავს კანონის საფუძველზე მინიჭებულ უფლებებს, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის 38-ე და 39-ე მუხლებით. მართალია, აღნიშნული უფლებები ბრალდებულს განემარტება დაკავებისთანავე, ან თუ დაკავებული არ არის, ბრალდების წარდგენისთანავე, თუმცა კანონმდებელი სავალდებულოდ ადგენს, ბრალდებულისთვის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას ბრალდებულს კიდევ ერთხელ სრულყოფილად განემარტოს იმ უფლებების შესახებ, რაც მინიჭებული აქვს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით საქმის არსებითი განხილვისას.

3. უფლებების განმარტების შემდგომ ბრალდებულს მოსამართლემ უნდა განუმარტოს ბრალდების არსი, ანუ რაში ედება ბრალი (ქმედების დისპოზიცია), ინკრიმინირებული ქმედების

- კვალიფიკაცია (სისხლის სამართლის კოდექსის თითოეული მუხლი და მუხლის ნაწილი ცალ-ცალკე), სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი და მაქსიმუმი (სისხლის სამართლის კოდექსის თითოეულ მუხლსა და მუხლის ნაწილზე ცალ-ცალკე მითითებით), შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით.
4. შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები ასახულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 თავში (სასჯელის დანიშვნა). სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით, სასჯელის დანიშვნის დროს გასათვალისწინებელი გარემოებებია: დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაცქევა ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მისი მისწრაფება, ანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. მართალია, კანონმდებელი აკეთებს ზოგად ჩამონათვალს აღნიშნული გარემოებების შესახებ, თუმცა სასამართლო არ არის შეზღუდული, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ესა თუ ის გარემოება მიიჩნიოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებად.
  5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ბრალდებულის დაკითხვას მონმის სახით. შესაბამისად, ბრალდებულის მონმის სახით დაკითხვისას ბრალდებულს დაეკისრება პასუხისმგებლობა შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის, რაც ფაქტობრივად ბრალდებულს ავალდებულებს, ჩვენების მიცემის შემთხვევაში, სასამართლოს მისცეს სწორი ჩვენება. ამავდროულად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბრალდებულს აძლევს არჩევანის გაკეთების საშუალებას, მისცეს ან არ მისცეს ჩვენება ბრალდების ირგვლივ.
  6. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულის ნებაა, ბრალდებასთან დაკავშირებით მისცეს ან არ მისცეს ჩვენება, როგორც მონმემ, აღნიშნული ნორმა წარმოადგენს გარკვეულწილად ბრალდებულის უფლების შემზღუდავ ნორმას, რამდენადაც კანონმდებელი ბრალდებულს ავალდებულებს, საქმეზე, სხვა მონმეების ანალოგიურად, მისცეს სწორი ჩვენება და ჩვენების მიცემის შემთხვევაში გამოძიება და სასამართლო არ შეიყვანოს შეცდომაში.
  7. იურისტთა ნაწილში აღნიშნული ნორმა იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, რამდენადაც ბრალდებულისთვის მონმის სახით ცრუ ჩვენების მიცემისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება გარკვეულწილად ბრალდებულს ზღუდავს, აირჩიოს დაცვის ტაქტიკა და განავითაროს ის ვერსია, რომელიც, მისი აზრით, გამოიწვევს მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.
  8. მართალია, სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი მიზანია ქვეყნის (სამართლის) დადგენა, რომლის შედეგსაც წარმოადგენს უდანაშაულოს გამართლება და დამნაშავის დასჯა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში არ უნდა დაგვაინყდეს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ორიენტირებულია ანგლოამერიკული სისტემის სისხლის სამართლის პროცესზე და ეფუძნება მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს, რაც მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, დამალონ და არ გამოაჩინონ მტკიცებულებები, რომლებიც მათი სასარგებლო არ არის და არ ემსახურება მათ ინტერესებს.
  9. სისხლის სამართლის მატერიალური კოდექსის მიხედვით, ბრალდებული (ისევე, როგორც სხვა პირები) პასუხს აგებს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის შეგნებულად ხელის შეშლის გამო, ეს იქნება ცრუ დასმენა; ზემოქმედების განხორციელება მონმეზე, ექსპერტზე, თარჯიმანზე; სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების ფალსიფიკაცია და ა.შ., თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეს ანიჭებს უფლებამოსილებას, სასამართლოს წარუდგინოს მხოლოდ მისი

- პოზიციის სასარგებლო მტკიცებულებები. ასეთ პირობებში ბრალდებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ჩვენების მიცემისას სასამართლოს მიაწოდოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც, მისი აზრით, მისთვის სასარგებლოა და არ უნდა დაეკისროს ვალდებულება, ყველა ფაქტობრივი გარემოების გარშემო სასამართლოს მისცეს ამომწურავი და ზუსტი ჩვენება.
10. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ბრალდებულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას მისსავე ბრალდების საქმეზე მონმის სახით მიცემული ცრუ ჩვენებისთვის, სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს არც ერთი შემთხვევა, რომ ბრალდებული სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიეცათ აღნიშნული ბრალდებით, რაც, ვფიქრობთ, გამონვეულია არა იმით, რომ ბრალდებულები ყოველთვის სიმართლეს ლაპარაკობენ სასამართლო სხდომაზე, არამედ იმით, რომ ბრალდების მხარე თავს არიდებს მათ პასუხისმგებაში მიცემას სწორედ იმ მიზეზით, რომ ძალიან ვიწრო ზღვარია დადგენილი ორ პრინციპულ საკითხს შორის: ბრალდებულის, როგორც მონმის, მიერ მატერიალური კანონმდებლობის მოთხოვნის დარღვევა ხომ არ იწვევს ბრალდებულისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კანონით მინიჭებულ უფლების არასათანადო რეალიზებას.
  11. მაშინ, როდესაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა და ბრალდებულის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული, მისცემს თუ არა ჩვენებას. მისი დავალდებულება, ჩვენების მიცემისას თქვას მხოლოდ სიმართლე და მისსავე ბრალდების საქმეზე დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მონმის სახით მიცემული ცრუ ჩვენების გამო, ნამდვილად იწვევს კითხვებს და იურისტთა წრეში რჩება სადავო თემად, რამდენადაც აღნიშნულით გარკვეულწილად მაინც იზღუდება და ზიანდება ბრალდებულის ინტერესები.
  12. იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის საქმეში რამდენიმე ბრალდებულია, სხდომის თავმჯდომარე თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე განუმარტავს, რომ მათი ნებაა, ბრალდებასთან დაკავშირებით ჩვენება მისცეს, როგორც მონმემ.
  13. კანონმდებელი აძლევს რა არჩევანის გაკეთების უფლებას ბრალდებულს, ბრალდებასთან დაკავშირებით მისცეს ან არ მისცეს ჩვენება, არ აკონკრეტებს, რა მოიაზრება ბრალდებასთან დაკავშირებით ჩვენების მიცემაში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც იურისტთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ბრალდებული მხოლოდ მის მიმართ წარდგენილი ბრალდების ფარგლებში თავისუფლდება ჩვენების მიცემისგან, ხოლო სხვა ბრალდებულებთან მიმართებაში მას არ აქვს არჩევანის გაკეთების უფლება, რა თქმა უნდა, თუ ეს არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც ბრალდებულებს იდენტური (ერთნაირი ან მსგავსი) ბრალი აქვთ წარდგენილი, მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ ბრალდებულს ყველა შემთხვევაში უნდა მიეცეს არჩევანის გაკეთების უფლება, მის მიმართ არსებულ ბრალდების საქმეზე, მიუხედავად იმისა, მის მიმართ წარდგენილი ბრალდება იდენტურია თუ არა ამავე საქმეში არსებულ სხვა პირთა ბრალდებისა.
  14. მაგალითად, ორ ერთმანეთთან დაპირისპირებულ მხარეს შორის მოხდა ჩხუბი, რა დროსაც ა.ბ.-მ სხეულის დაზიანება მიაყენა გ.დ.-ს, ხოლო ე.ვ.-მ მოკლა ზ.თ. ამ შემთხვევაში ა.ბ. თავისუფლდება მხოლოდ მის მიმართ წარდგენილი ბრალდების ფარგლებში ჩვენების მიცემისგან, თუ, ასევე, ე.ვ.-ს მიერ ზ.თ.-ს მკვლელობის ბრალდების შესახებ ჩვენების მიცემისგან? სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, პირი თავისუფლდება მხოლოდ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან და, ასევე, სსსკ-ის 50-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სხვა შემთხვევაში პირს ეკისრება ჩვენების მიცემის ვალდებულება. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, ა.ბ. უნდა გათავისუფლდეს მხოლოდ მის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით ჩვენების მიცემისგან და, პირიქით, ე.ვ. უნდა გათავისუფლდეს მხოლოდ მის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით ჩვენების მიცემისგან, მიუხედავად იმისა, ორივე ერთ სისხლის სამართლის საქმეზეა თუ არა ბრალდებული. ამიტომ ასეთ შემთხვევებში უმჯობესია,

ბრალდების მხარემ საქმე წარმართოს ცალ-ცალკე წარმოებად თითოეული ბრალდებულის მიმართ.

15. სხდომის თავმჯდომარე უფლებების განმარტების შემდგომ არკვევს, ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და თუ ცნობს – რაში. თუ ბრალდებულს ბრალად აქვს წარდგენილი რამდენიმე დანაშაულის ჩადენა, უნდა გაირკვეს, ბრალდებული სრულად ცნობს თავს დამნაშავედ ყველა წარდგენილ ბრალდებაში, თუ მხოლოდ ბრალდების ნაწილს აღიარებს და ნაწილს უარყოფს. ამავდროულად, ბრალდებულს უნდა განემართოს, რომ იგი არ არის შეზღუდული გამოძიების დროს მის მიერ ბრალის აღიარებით ან უარყოფით, ასევე, არ არის ვალდებული, პასუხი გასცეს დასმულ კითხვას, და რომ დუმილის უფლებით სარგებლობა არ შეიძლება მის საწინააღმდეგოდ იქნეს გამოყენებული.
16. დუმილით სარგებლობის უფლება – ეს არის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, სსსკ-ის მე-15 მუხლითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებული და დაცული ბრალდებულის უმნიშვნელოვანესი უფლება. არავინ არ არის ვალდებული, მისცეს საკუთარი თავის საწინააღმდეგო ჩვენება. აღნიშნული უფლების დაცვის გარანტია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილიც. სწორედ ამ უფლების დაცვის განსაკუთრებული მნიშვნელობა განაპირობებს იმას, რომ კანონმდებელი ცალკე ხაზგასმით ითხოვს, საქმის არსებითი განხილვისას ბრალდებულს კიდევ ერთხელ განემართოს დუმილის გამოყენების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ.
17. მართალია, კანონმდებელი ხაზგასმით უთითებს, რომ დუმილის უფლებით სარგებლობა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბრალდებულის საწინააღმდეგოდ, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ბრალდების მხარე იმ ფაქტზე აპელირებით, რომ ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, ბრალდებულს წარმოაჩენს უარყოფით კონტექსტში და სასამართლოს სთხოვს ბრალდებულის საწინააღმდეგო დასკვნების გაკეთებას, რაც დაუშვებელია და წარმოადგენს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან თავის შეკავების უფლების უხეშ შელახვას. ბრალდებულის მიერ დუმილის უფლებით სარგებლობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს მიჩნეული ბრალდებულის პიროვნების უარყოფით მახასიათებლად.
18. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ კრძალავს მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების მიღწევას სამართალწარმოების არც-ერთ სტადიაზე. შესაბამისად, მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების გაფორმება შესაძლებელია როგორც გამოძიების მიმდინარეობის, ასევე, საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მანამ, სანამ სასამართლო გადავა მხარეთა შესავალი სიტყვების მოსმენაზე, უნდა გაარკვიოს, მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის მიღწეულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო განიხილავს საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ პროკურორის შუამდგომლობას, სსსკ-ის 209-ე-218-ე მუხლების შესაბამისად.

**მუხლი 230<sup>1</sup>. აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის საკითხის გადანყვეტა საქმის არსებითი განხილვის დროს**

1. თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანამდე თავისი ინიციატივით პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილავს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხს. ეს ორთვიანი ვადა აითვლება წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან. ამ ნაწილით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართ-



**ლოს მიერ ამ კოდექსის 225-ე მუხლის და მხარის შუამდგომლობის საფუძველზე განსაზღვრული საქმის არსებითი განხილვის დაწყების ვადა 2 თვეს აღემატება.**

1. აღნიშნული ნორმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა 2015 წლის 8 ივლისს მიღებული კანონის საფუძველზე და მისი მიზანია პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის ხანგრძლივობისა და აუცილებლობის კონტროლი. ეს არის სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის პერიოდულად და ავტომატურად გადასინჯვის სრულიად ახალი საპროცესო მექანიზმი.
2. როგორც საერთაშორისო კანონმდებლობა და კონვენციები, ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა უპირატესობას ანიჭებს საპატიმრო საქმეებს და ადგენს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებს მის განსახილველად, რაც საქართველოს შემთხვევაში წარმოადგენს მაქსიმუმ 9 თვეს. მიუხედავად ამისა, კანონმდებელმა 9-თვიანი პერიოდის მანძილზე აუცილებლად მიიჩნია საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის საკითხის გადასინჯვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ვადებში.
3. საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე მოსამართლეს აქვს ვალდებულება, განაჩინოს გამოტანამდე, თავისი ინიციატივით, პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც, განიხილოს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი. აღნიშნული საკითხის განხილვისას მოსამართლე ხელმძღვანელობს სსსკ-ის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით, რაც გულისხმობს აღკვეთის ღონისძიების გაუქმების, შეცვლის ან ძალაში დატოვების შესახებ მხარეთა მოსაზრებების მოსმენას და აღნიშნულის საფუძველზე ერთ-ერთი რომელიმე გადაწყვეტილების მიღებას.
4. საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლის მიერ ორთვიანი ვადის ათვლა იწყება წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან. იმის მიხედვით, თუ რა გადაწყვეტილება იქნება მოსამართლის მიერ მიღებული, წყდება მომდევნო ეტაპზე აღნიშნული საკითხის კვლავ განხილვის ვალდებულების საკითხი. თუ მოსამართლემ გააუქმა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა ან შეცვალა იგი ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, თავისთავად მოეხსნება სასამართლოს მომდევნო ეტაპზე ამ საკითხის განხილვის ვალდებულება. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე მიიღებს გადაწყვეტილებას გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის ძალაში დატოვების შესახებ, მოსამართლემ კვლავ უნდა იმსჯელოს აღნიშნული ღონისძიების ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხზე, პერიოდულად, ყოველი მომდევნო 2 თვის ვადაში, მანამ, სანამ საქმეზე არ იქნება მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება.
5. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ კანონის ამოქმედებამდე საქმის არსებითი განხილვის დაწყების ვადა აღემატება 2 თვეს. ასეთ საქმეებზე მოსამართლე ვალდებულია, თავისი ინიციატივით, არა უგვიანეს 2 თვისა კანონის ამოქმედებიდან, განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი, ხოლო მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ყოველ მომდევნო 2 თვეში, ასევე, აკონტროლოს მისი ძალაში დატოვების აუცილებლობა.
6. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელმა არანაირი დათქმა არ გააკეთა ძებნილ პირთა მიმართ წარმოებულ საქმეებთან დაკავშირებით, რითაც ფაქტობრივად დაავალდებულა სასამართლო, რომ ამ კატეგორიის საქმეებზეც ყოველ 2 თვეში მოახდინოს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხის გადასინჯვა.
7. აღნიშნული ნორმის ამგვარმა შინაარსმა გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია იურისტთა წრეში იმ კუთხით, თუ როგორ უნდა გავრცელდეს ამ ნორმის მოქმედება იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც სამართალწარმოება ხორციელდება 2010 წლამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით. ნაწილი თვლის, რომ ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედების პირობებში აღნიშნუ-

- ლი ნორმის გავრცელებას არ აქვს არანაირი სამართლებრივი საფუძველი, ხოლო ნაწილს მიაჩნია, რომ ვინაიდან ახლად მიღებული კანონით სახელმწიფომ გამოხატა ნება, ასწია სტანდარტი და აიღო მაღალი პასუხისმგებლობა, მაქსიმალურად გაკონტოლდეს პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა და ვადები საქმეებზე, რომლებზეც აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა, ასეთ ვითარებაში აღნიშნული ნორმის გავრცელება უნდა მოხდეს ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზეც, რათა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული პირები არ აღმოჩნდნენ არათანაბარ, განსხვავებულ პირობებში და არ შეეზღუდოთ უფლება მათ მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადასინჯვის აუცილებლობის კუთხით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხარე არ არის შეზღუდული, საკუთარი ინიციატივით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლა ან გაუქმება.
8. პატიმრობაში ყოფნის ხანგრძლივობაზე მონიტორინგის განხორციელების საჭიროებაზე მითითებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე *Mamedova v. Russia*<sup>621</sup> რომელშიც „სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე ხელისუფლების ორგანოებს არ განუხილავთ, აჭარბებდა თუ არა განმცხადებლის პატიმრობა გონივრულ ვადას“.
  9. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Samolla and Clonca v. Romania*,<sup>622</sup> რომელშიც „სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი მოითხოვს სამართლებრივ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის გარანტიებს თავისუფლების აღკვეთის მსგავსი ღონისძიებებისთვის ... გამორიცხული არ არის, რომ სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის კანონიერების პერიოდული ავტომატური გადასინჯვის სისტემამ უზრუნველყოს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა დაკმაყოფილება...“ სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული აღნიშნული ცვლილება.

### მუხლი 231. სხდომის თავმჯდომარის განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი

1. სხდომის გახსნისას და სათათბირო ოთახში გასვლამდე სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აძლევს განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე. სხდომის თავმჯდომარის განმარტებები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, ამ კოდექსს და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს. ეს განმარტებები ნაფიც მსაჯულებს წერილობითი სახითაც გადაეცემა.
2. აღნიშნული განმარტებები წერილობითი სახით გონივრული ვადით ადრე უნდა გადაეცეთ მხარეებს. ისინი უფლებამოსილი არიან სხდომის თავმჯდომარეს მიმართონ მასში ცვლილებების დამატებების შეტანის შუამდგომლობით. თუ მხარეები ამ უფლებას არ გამოიყენებენ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე, სხდომის თავმჯდომარის განმარტებათა სამართლიანობა და კანონიერება არ შეიძლება გახდეს საკასაციო საჩივრის საფუძველი.
3. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სათათბირო ოთახში გასვლის წინ ნაფიც მსაჯულებს მოკლედ განუმარტოს სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესი. იგი აღნიშნულ განმარტებებს იძლევა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესით. განმარტებისას სხდომის თავმჯდომარეს ეკრძალება რაიმე ფორმით თავისი პირადი შეხედულების გამოხატვა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გადაწყვეტაც ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციას განეკუთვნება.
4. სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს:

<sup>621</sup> *Mamedova v. Russia* ECtHR, 01/06/2006.

<sup>622</sup> *Samoilă and Cionca v. Romania*, ECtHR, 04/03/ 2008.

- ა) ბრალდების შინაარსს და მის სამართლებრივ საფუძველს;
- ბ) მტკიცებულებათა შეფასების ძირითად წესს;
- გ) უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნებას და იმ გარემოებას, რომ ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება;
- დ) რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს სხდომის თავმჯდომარის მიერ განმარტებულ კანონს და სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას;
- ე) რომ სხდომის მიმდინარეობისას მათ უფლება აქვთ, აწარმოონ და გამოიყენონ ჩანაწერები;
- ვ) რომ ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სასამართლო პროცესის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რომ არც ერთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სხვისი მითითებით, რომ ვერდიქტი არ უნდა იქნეს გამოტანილი ვარაუდის საფუძველზე ან დაუშვებელ მტკიცებულებათა გამოყენებით;
- ზ) თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე ვერდიქტის გამოტანის წესს;
- თ) რომ ჯერ კენჭი უნდა უყარონ ყველა წარდგენილ ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს. თუ ვერდიქტი ვერ მიიღება, კენჭი ეყრება გამამტყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი თანამიმდევრობით;
- ი) რომ მათ ხელი უნდა მოაწერონ თითოეული ბრალდებისათვის წარდგენილი ვერდიქტის ფორმებიდან მხოლოდ ერთს – გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმას.
5. სხდომის თავმჯდომარე განმარტებას ამთავრებს ნაფიცი მსაჯულებისათვის იმის შესხენებით, რომ მათ ფიცი დადეს.
6. სხდომის თავმჯდომარის განმარტებების მოსმენის შემდეგ ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, სხდომის თავმჯდომარეს წერილობით დაუსვან დამატებითი შეკითხვები. დამატებითი განმარტებების მიცემა ხდება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესით.
7. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია მხარის შუამდგომლობით განუმარტოს ნაფიც მსაჯულებს, რომ ბრალდებულმა შესაძლოა ჩაიდინა შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომლის შემადგენლობის ელემენტებს შეიცავს წარდგენილი ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაულის ელემენტები. ამ შემთხვევაში ნაფიც მსაჯულებს დამატებით წარედგინებათ გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმა ამ მუხლის მე-4 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

1. აღნიშნული ნორმის მიზანია მოსამართლის (სხდომის თავმჯდომარის) მიერ მისაცემი განმარტებების ფარგლების დადგენა ნაფიცი მსაჯულებისადმი.
2. უპირველესი, რაც მოსამართლემ უნდა დაიცვას ნაფიცი მსაჯულებისთვის განმარტებების მიცემისას, არის ის, რომ არ გამოხატოს თავისი პირადი შეხედულება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გადაწყვეტაც ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციას განეკუთვნება. სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აძლევს განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე. მიცემული განმარტებები სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს როგორც საქართველოს კონსტიტუციასთან, ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებთან.
3. სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს:
  - ბრალდების შინაარსს და მის სამართლებრივ საფუძველს;
  - მტკიცებულებათა შეფასების ძირითად წესს;
  - უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნებას და იმ გარემოებას, რომ ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება;
  - რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს სხდომის თავმჯდომარის მიერ განმარტებულ კანონს და სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას;
  - რომ სხდომის მიმდინარეობისას მათ უფლება აქვთ, აწარმოონ და გამოიყენონ ჩანაწერები;

- რომ ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სასამართლო პროცესის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რომ არც ერთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სხვისი მითითებით, რომ ვერდიქტი არ უნდა იქნეს გამოტანილი ვარაუდის საფუძველზე ან დაუშვებელ მტკიცებულებათა გამოყენებით;
  - თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე ვერდიქტის გამოტანის წესს;
  - რომ ჯერ კენჭი უნდა უყარონ ყველა წარდგენილ ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს. თუ ვერდიქტი ვერ მიიღება, კენჭი ეყრება გამამტყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი თანამიმდევრობით;
  - რომ მათ ხელი უნდა მოაწერონ თითოეული ბრალდებისათვის წარდგენილი ვერდიქტის ფორმებიდან მხოლოდ ერთს – გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმას.
4. სხდომის თავმჯდომარე არ არის შეზღუდული აღნიშნული ჩამონათვალით და უფლებამოსილია, ნაფიც მსაჯულებს მისცეს განმარტება ყველა იმ გარემოების ირგვლივ, რასაც ის აუცილებლად მიიჩნევს იმისათვის, რომ ნაფიც მსაჯულებს გაუმარტივდეთ როგორც მიღებული ინფორმაციის შეფასება, ასევე, საქმეზე გადაწყვეტილების მიღება, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რაიმე სახის მინიშნების გაკეთება კონკრეტული პირის უდანაშაულობასთან ან დამნაშავეობასთან დაკავშირებით.
  5. სხდომის თავმჯდომარე ნაფიცი მსაჯულებისთვის განმარტებების მიცემისას მათ, ასევე, განუმარტავს სამართლებრივი ტერმინების ცნებებს, ისეთს, როგორიცაა მტკიცებულება, უდანაშაულობის პრეზუმფცია და ა.შ. თითოეული ტერმინი განმარტებულ უნდა იქნეს საფუძვლიანად და ამომწურვად, რათა ნაფიც მსაჯულებს არ დარჩეთ კითხვები მხარეთა მიერ გამოყენებულ ტერმინებთან დაკავშირებით. მართალია, რთულია (ხანდახან შეუძლებელიც) იურიდიული ცნებების ზედმინევით გასაგებად მიწოდება ყველა მსაჯულისთვის, თუმცა შესაძლებელია ინფორმაციის იმგვარად მიწოდება, რომ მათთვის ნათელი იყოს იმ ტერმინების მნიშვნელობა და შინაარსი, რომლებსაც გვერდს ვერ აუვლის სასამართლო. მნიშვნელოვანია, რომ თავად მხარეებმაც მიაქციონ ყურადღება აღნიშნულ საკითხს და სამართლებრივი ტერმინის გამოყენებისას ან უშუალოდ თავად განმარტონ გამოყენებული ტერმინის მნიშვნელობა, ან საერთოდ მოერიდონ ასეთი ტერმინების გამოყენებას და მსაჯულებს ინფორმაცია მიანოდონ მათთვის მარტივად გასაგებ ენაზე.
  6. სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული განმარტებები ნაფიც მსაჯულებს უნდა გადაეცეთ სათათბირო ოთახში გასვლამდე წერილობითი ფორმით. აღნიშნული განმარტებები, ასევე, წერილობითი სახით გონივრული ვადით ადრე უნდა გადაეცეთ მხარეებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან, სხდომის თავმჯდომარეს მიმართონ მასში ცვლილებების და დამატებების შეტანის შუამდგომლობით. თუ მხარეები ამ უფლებას არ გამოიყენებენ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე, სხდომის თავმჯდომარის განმარტებათა სამართლიანობა და კანონიერება არ შეიძლება მომავალში გახდეს საკასაციო საჩივრის საფუძველი.
  7. სათათბირო ოთახში გასვლის წინ სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს მოკლედ განუმარტავს სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესს. მოსამართლე განმარტებას ამთავრებს ნაფიცი მსაჯულებისთვის იმის შესხენებით, რომ მათ დადეს ფიცი.
  8. სხდომის თავმჯდომარის განმარტებების მოსმენის შემდეგ ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, სხდომის თავმჯდომარეს წერილობით დაუსვან დამატებითი შეკითხვები. რაც უფრო ნათელი და მკაფიოა ნაფიც მსაჯულთათვის მიცემული განმარტებები, მით ნაკლებია მათი მხრიდან დამატებითი შეკითხვების დასმა. ამავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ ნაფიც მსაჯულებს არ დარჩეთ პასუხგაუცემელი კითხვები, მათ ეძლევათ დამატებითი შეკითხვების დასმის შესაძლებლობა.
  9. მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, ასევე, ნაფიც მსაჯულებს განუმარტოს, რომ ბრალდებულმა შესაძლოა ჩაიდინა შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომლის შემადგენლობის ელემენტებს შეიცავს წარდგენილი ბრალ-

დებით გათვალისწინებული დანაშაულის ელემენტები. ამ შემთხვევაში ნაფიც მსაჯულებს დამატებით უნდა წარედგინოთ გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმა და მათ ხელი უნდა მოაწერონ თითოეული ბრალდებისათვის წარდგენილი ვერდიქტის ფორმიებიდან მხოლოდ ერთს – გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმას.

**10. 2010** წელს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოქმედი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა და ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA/ROLI) საქართველოს ოფისის სისხლის სამართლის პროგრამის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა სახელმძღვანელო ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის, რომელშიც მოცემულია სხდომის თავმჯდომარის სანიმუშო განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი, ასევე, განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე<sup>623</sup>:

**„სხდომის თავმჯდომარის სანიმუშო განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი**

ქალბატონებო და ბატონებო თქვენ ხართ ნაფიცი მსაჯულები მოცემულ საქმეზე და მე რამდენიმე წუთს დავუთმობ მითითებების მიცემას თქვენი, როგორც ნაფიცი მსაჯულების მოვალეობის შესახებ და მოგანვით გარკვეულ ინსტრუქციებს. ეს გახლავთ თავდაპირველი განმარტებები. პროცესის დასრულებისას მე მოგცემთ დეტალურ მითითებებს. აღნიშნული მითითებები დაარეგულირებს თქვენს თათბირსაც.

სასამართლო პროცესის მსვლელობისას რასაც ვიტყვი ან გავაკეთებ, თქვენ არ უნდა ჩათვალოთ იმის განმსაზღვრელად, თუ რას ვფიქრობ მე მტკიცებულებათა შესახებ ან თუ როგორი უნდა იყოს თქვენი ვერდიქტი.

ეს არის სახელმწიფო ბრალდების მიერ წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმე. სახელმწიფო ბრალდება ბრალს სდებს ბრალდებულს (საქმეში, ბრალდებაში). ბრალდებულის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება მოცემულია ბრალდების შესახებ დადგენილებაში. ბრალდების შესახებ დადგენილება უბრალოდ არის სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ბრალდების აღწერილობა ბრალდებულის წინააღმდეგ. ის არ წარმოადგენს მტკიცებულებას.

ბრალდებულს ბრალი ედება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის (ბრალდების შინაარსი და მისი სამართლებრივი საფუძველი: -----

-----  
-----  
-----).  
-----

მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, და-

<sup>623</sup> იხ., სახელმძღვანელო ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA/ROLI), თბ., 2010, 27-40.

საშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

საქმეში ფაქტებზე გადანყვეტილების მიღებისას, თქვენ შეიძლება მოგიხდეთ იმის გადანყვეტა, თუ რომელი ჩვენება დაიჯეროთ და რომელი – არა. თქვენ შეგიძლიათ დაიჯეროთ ყველაფერი, რასაც მოწმე ამბობს, ჩვენების ნაწილი ან საერთოდ არ დაიჯეროთ არაფერი.

მოწმის ჩვენების განხილვისას, თქვენ უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. მოწმის შესაძლებლობა და უნარი დაენახა, მოესმინა ან სცოდნოდა ის, რაზეც ის ჩვენებას იძლევა;
2. მოწმის მახსოვრობის უნარი;
3. მოწმის მანერა ჩვენების მიცემის დროს;
4. საქმის შედეგების მიმართ მოწმის ინტერესი და მიკერძოება ან წინასწარი აზრი;
5. ეწინააღმდეგება თუ არა რაიმე სხვა მტკიცებულება მოწმის ჩვენებას;
6. ყველა მტკიცებულების ფონზე მოწმის ჩვენების გონივრულობა; და
7. ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელიც დამაჯერებლობას უკავშირდება.

არ არის აუცილებელი, რომ მტკიცებულების წონა ფაქტთან მიმართებით დამოკიდებული იყოს ჩვენების მიმცემი მოწმეების რაოდენობაზე.

თქვენ უნდა გადანყვიტოთ, რა ფაქტებია ამ საქმეში. თქვენ უნდა გამოიყენოთ მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც წარმოდგენილი იყო სასამართლო დარბაზში. მტკიცებულება არის ფიცის ქვეშ მიცემული მოწმის ჩვენება, მტკიცებულების სახით დაშვებული ნივთმტკიცება და ყველაფერი ის, რაზედაც მე მიგიითებთ, რომ მიიღოთ, როგორც მტკიცებულება. არაფერი, რასაც მხარეები იტყვიან, არ არის მტკიცებულება. შესავალ და დასკვნით სიტყვებში მხარეები მიმოიხილავენ საქმეს, მაგრამ მათი განცხადებები არ არის მტკიცებულება. მათი შეკითხვები არ არის მტკიცებულება. მხოლოდ მოწმეთა პასუხები არის მტკიცებულება. მხარეების შეკითხვები არის მნიშვნელოვანი მხოლოდ იმისათვის, რომ თქვენ დაგეხმაროთ, უკეთ გაიგოთ მოწმის პასუხები. არ ჩათვალოთ, რომ რაიმე არის სიმართლე, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ-ერთმა მხარემ დასვა კითხვა, რომელიც მიუთითებდა, რომ აღნიშნული არის სიმართლე. პროცესის განმავლობაში შესაძლოა მხარეებმა გააპროტესტონ კითხვები ან მოწმეთა მიერ გაცემული პასუხები. მე წარვმართავ პროტესტის პროცედურას კანონის შესაბამისად. თუ დავაკმაყოფილებ დაყენებულ პროტესტს, თქვენ არ უნდა მიიღოთ მხედველობაში დასმული შეკითხვა. თუ მოწმეს არ მიეცა ნებართვა პასუხი გაეცა დასმული კითხვისათვის, არ შეეცადოთ, გამოიცნოთ თუ რა იქნებოდა პასუხი, ან რატომ მივიღე მე ასეთი გადანყვეტილება. თუ განვაცხადებ, რომ ჩვენება ამოღებულ უნდა იქნეს სასამართლო სხდომის ოქმიდან, თქვენ უნდა უგულველყოთ ის და არ გაითვალისწინოთ რაიმე სხვა მიზნისათვისაც კი.

თქვენ უნდა უგულველყოთ ყველაფერი ის, რასაც გაიგონებთ ან დაინახავთ სასამართლო პროცესის გარეთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს თქვა ან გააკეთა ერთ-ერთმა მხარემ ან მოწმემ. სასამართლო პროცესის დროს თუ თქვენ შეგატყობინეს, რომ სახელმწიფო ბრალდება და დაცვის მხარე შეთანხმდა გარკვეულ ფაქტებზე, ეს ნიშნავს, რომ მათ მიიღეს ეს ფაქტები, როგორც სიმართლე. რადგან აღნიშნულ ფაქტებზე არ არის დავა, თქვენ ასევე უნდა ჩათვალოთ ისინი, როგორც სიმართლე.

სასამართლო სხდომის მდივანმა ჩაინერა ყველაფერი, რაც პროცესზე ითქვა. თუ გადანყვეტთ, რომ თქვენთვის მნიშვნელოვანია ამ მასალის გაცნობა, შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ თქვენ წაგიკითხოთ სასამართლო სხდომის ოქმი. თქვენ უნდა მიიღოთ სასამართლო სხდომის ოქმი, როგორც ზუსტი დოკუმენტი.

გაითვალისწინეთ, რომ პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადა-

სტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

ბრალდებული არ თვლის თავს დამნაშავედ და ბრალდებულს არ სჭირდება იმის დამტკიცება, რომ ის უდანაშაულოა. ის ფაქტი, რომ პირი ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში, არ ნიშნავს იმას, რომ ბრალდება სწორია. თქვენ არ უნდა განენყოთ ბრალდებულის წინააღმდეგ, მხოლოდ იმიტომ, რომ ის იქნა დაკავებული, მას ბრალი დაედო დანაშაულის ჩადენაში ან მის წინააღმდეგ საქმე განიხილება სასამართლოში.

ახლა აგიხსნით, თუ რას ნიშნავს უდანაშაულობის პრეზუმფცია და მტკიცების ტვირთი. სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ. აღნიშნული პრეზუმფცია მოითხოვს, რომ პროკურატურამ დაამტკიცოს ბრალდებულის ბრალეულობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით.

მტკიცების ტვირთი ყოველთვის აწევს ბრალდების მხარეს იმისათვის, რომ დაამტკიცოს პირის ბრალეულობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით. ეს ტვირთი არასოდეს აწევა ბრალდებულს, რადგან კანონი არ ავალდებულებს ბრალდებულს, დაამტკიცოს მისი უდანაშაულობა, მოიყვანოს მოწმეები ან წარადგინოს რაიმე მტკიცებულებები. ბრალდებული ვალდებულიც კი არაა, რომ წარმოადგინოს რაიმე მტკიცებულება.

ბრალდების მხარე ვალდებულია, დაამტკიცოს ბრალდებულის ბრალეულობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით.

გონივრული ეჭვი არის ეჭვი, რომელიც დამყარებულია გონებასა და საღ აზრზე და არ არის დამნაშავეობის უბრალო ალბათობა. გონივრული ეჭვი არის ისეთი ეჭვი, რომელიც გონიერ ადამიანს აიძულებს, დაეჭვდეს ამა თუ იმ ქმედებისას. შესაბამისად, გონივრულ ეჭვს მიღმა მდგომი მტკიცებულება უნდა იყოს იმდენად დამაჯერებელი, რომ გონიერმა ადამიანმა შეძლოს მასზე დაყრდნობა და მის მიხედვით მოქმედება.

გამამტყუნებელი ვერდიქტი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ კანონს, რომლის მიხედვითაც თქვენ მოგცათ მითითებები, და ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო სასამართლო პროცესზე და რომლებიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

იმის გადასაწყვეტად დაამტკიცა, თუ არა სახელმწიფო ბრალდებამ ბრალდება გონივრულ ეჭვს მიღმა, თქვენ გამჭვირვალედ უნდა შეადაროთ და გაითვალისწინოთ ყველა ის მტკიცებულება, რომელიც გამოკვლეულ იქნა სასამართლო პროცესის დროს.

სანამ ბრალდების მხარე არ დაამტკიცებს, რომ ბრალდებულს აქვს ჩადენილი დანაშაული, მანამდე თქვენ ბრალდებული უდანაშაულოდ უნდა ჩათვალოთ. თუ გსურთ, შეგიძლიათ გააკეთოთ ჩანაწერი, რათა დაგეხმაროთ მოწმის მიერ ნათქვამის დამახსოვრებაში. თუ თქვენ ჩანაწერებს გააკეთებთ, გთხოვთ, არ გაუზიაროთ ისინი კოლეგა მსაჯულებს მანამ, სანამ თქვენ ერთად არ გახვალთ სათათბირო ოთახში საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად. არ დაუშვათ, რომ ჩანაწერების გაკეთება გახდეს იმის მიზეზი, რომ თქვენ ყურადღება გაგეფანტოთ და ვერ შეძლოთ მოწმეების პასუხის მოსმენა. როდესაც თქვენ ნახვალთ, თქვენი ჩანაწერები უნდა დარჩეს.

მიუხედავად იმისა, გააკეთებთ თუ არა ჩანაწერებს, თქვენ უნდა დაეყრდნოთ თქვენს მესიერებას იმის შესახებ, თუ რა ითქვა. ჩანაწერები მხოლოდ იმისთვის არის განკუთვნილი, რომ თქვენს მესიერებას დაეხმაროს. თქვენმა ჩანაწერებმა ზედმეტი გავლენა არ უნდა მოახდინონ თქვენზე.

ნაფიცო მსაჯულები ვერდიქტს იღებენ ერთხმად. თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 3 საათის განმავლობაში ვერ მოახერხებს გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას, გადაწყვეტილება მომდევნო 6 საათის განმავლობაში მიიღება ხმათა შემდეგი უმრავლესობით: თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება არანაკლებ 11 ნაფიცო მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 8 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 10 ნაფიცო მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 7 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 9 ნაფიცო მსაჯულ-

ლისაგან, ვერდიქტი მიიღება 6 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 8 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 5 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 7 ან 6 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 4 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულებს არ შესწევთ უნარი, მიაღწიონ საერთო შეთანხმებას, მე კიდევ ერთხელ განვიმარტავთ ვერდიქტის მნიშვნელობას და ვთხოვ უფროს ნაფიც მსაჯულს, მომასხენოს, არის თუ არა ისეთი მსაჯული, რომელიც უარს აცხადებს მსჯელობაში მონაწილეობის მიღებაზე ან რომელსაც აქვს ინტერესი საქმის მიმართ, რის შესახებაც არ განაცხადა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროს. აღნიშნული განმარტების შემდეგ თქვენ დაბრუნდებით სათათბირო ოთახში და გამოიტანთ ვერდიქტს კანონის შესაბამისად. თუ სათათბირო ოთახში დაბრუნების შემდეგ მომდევნო 3 საათის განმავლობაშიც ვერ მიიღებთ ვერდიქტს, მე უფლება მაქვს მოგცეთ დამატებითი გონივრული ვადა ან პირდაპირ დაგიტხოვთ და დავნიშნავ ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღს. თუ არც ამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესწევს უნარი, მიიღოს გადაწყვეტილება, ბრალდებული გამართლებულად ითვლება.

გასათვალისწინებელია, რომ ჯერ კენჭი ეყრება ყველა წარდგენილ ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს. თუ ვერდიქტი ვერ მიიღება, კენჭი ეყრება გამამტყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი თანამიმდევრობით.

თქვენ ხელი უნდა მოაწეროთ თითოეული ბრალდებისათვის წარდგენილი ვერდიქტის ფორმებიდან მხოლოდ ერთს – გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმას.

თქვენ უფლება გაქვთ, წერილობითი მიმართვის საფუძველზე მიიღოთ: სასამართლოსგან განმარტება გამოსაყენებელი კანონის თაობაზე; წინასწარი ინფორმაცია საქმის გარემოებებისა და გამოსაკვლევი მტკიცებულებების შესახებ; სასამართლო სხდომის დროს დამატებითი განმარტება: სხდომის თავმჯდომარისაგან — კანონის შესახებ, მოწმეთაგან — ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, მხარეთაგან — დასკვნითი სიტყვების შესახებ; ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირის დროს დამატებითი განმარტება მოსამართლისაგან კანონის შესახებ.

თქვენ გეკრძალებათ: სხდომის მიმდინარეობისას სასამართლო სხდომის დარბაზის დატოვება; ვერდიქტის გამოტანამდე საქმის განხილვისას მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება ან საკუთარი აზრის გამოთქმა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით;

განსახილველი საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა სხვა პირებთან ურთიერთობა; განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება სხდომის ფარგლებს გარეთ; ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა; სასამართლოს შენობაში წესრიგის დარღვევა და სხდომის თავმჯდომარის შესაბამისი მითითებების შეუსრულებლობა.

თქვენ ვალდებული ხართ დაესწროთ განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო სხდომებს და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირს.

თქვენ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

ამასთან, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩემი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გათავისუფლებული იქნებით ნაფიც მსაჯულის მოვალეობის შესრულებისაგან. სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას ან თათბირის პროცესში თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ გჭირდებათ დამატებითი განმარტებები კანონის, ფაქტობრივი გარემოებების, დასკვნითი სიტყვის შესახებ, შეგიძლიათ წერილობით წარმომიდგინოთ დამატებითი განმარტებების თაობაზე მოთხოვნა შესაბამისი კითხვების მითითებით, რაზედაც მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით მივიღებ გადაწყვეტილებას.

შეგახსენებთ, რომ თქვენ მიერ დადებულ იქნა ფიცი.

თქვენ უფლება გაქვთ, წერილობით დამისვათ დამატებითი შეკითხვები, რომლებზეც მოგეცემათ დამატებითი განმარტებები. ეს განმარტებები გადმოგეცემათ წერილობითი სახითაც<sup>624</sup>.

<sup>624</sup> იხ., სახელმძღვანელო ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA/ROLI), თბ., 2010, 27-35.



**„სხდომის თავმჯდომარის სანიმუშო განმარტებები  
ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე**

ნაფიცო მსაჯულებო, ახლა, როდესაც თქვენ მოისმინეთ მტკიცებულებები, ჩემი ვალდებულებაა, მიგიითითოთ იმ კანონზე, რომელიც მოცემულ საქმეზე ვრცელდება. ამ განმარტებების ასლი თქვენთვის ხელმისაწვდომი იქნება სათათბირო ოთახში.

თქვენი მოვალეობაა, დაადგინოთ ფაქტები საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე. ამ ფაქტებზე თქვენ ის კანონი უნდა მოარგოთ, რომელზეც მიგიითითებთ. თქვენ ვალდებულნი ხართ, დაიცვათ ის კანონი, რომელზეც მიგიითითებთ, მიუხედავად იმისა, ეთანხმებით მას თუ არა. გარდა ამისა, თქვენზე არ უნდა მოახდინოს გავლენა თქვენმა პირადმა სიმპათიებმა, ანტიპათიებმა, მოსაზრებებმა, წინასწარ შექმნილმა შეხედულებებმა და თანაგრძნობამ. ეს ნიშნავს იმას, რომ საქმეზე გადანყვეტილება უნდა მიიღოთ მხოლოდ და მხოლოდ თქვენ წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. გახსოვდეთ, რომ საქმის საწყის ეტაპზე, თქვენ დადეთ ფიცი, რომლის მიხედვით პირობა დადეთ, რომ სწორედ ასე მოიქცევით.

ჩემი განმარტებების შესრულებისას, თქვენ ვალდებულნი ხართ შეასრულოთ თითოეული მათგანი და არა მხოლოდ რამდენიმე და დანარჩენების იგნორირება მოახდინოთ. ისინი თანაბრად მნიშვნელოვანია. ამ განმარტებებში და სასამართლოს ნებისმიერ ნათქვამს ან ქმედებაში თქვენ არ უნდა ამოიკითხოთ მინიშნება იმაზე, თუ რა სახის ვერდიქტი უნდა გამოიტანოთ – ეს მხოლოდ და მხოლოდ თქვენი გადასაწყვეტია.

სანამ სათათბირო ოთახში გახვალთ, მე ვალდებული ვარ ერთ-ერთი თქვენგანი დავნიშნო უფროს მსაჯულად. ამისათვის, თქვენ ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობიდან უნდა აირჩიოთ უფროსი მსაჯული წილისყრის საფუძველზე. უფროსი მსაჯული უხელმძღვანელებს თათბირს და საჭიროების შემთხვევაში თქვენი სახელით წერილობითი შეკითხვით მომმართავს მე. იგი გადანყვეტილების მიღებისას შეაჯამებს კენჭისყრის საერთო შედეგებს, შეადგენს შესაბამის დოკუმენტებს, ხელს მოაწერს ვერდიქტს და სასამართლო სხდომაზე გამოაცხადებს მას.

სათათბირო ოთახში ყოფნისას, თქვენ უფლება გაქვთ, შეწყვიტოთ თათბირი მხოლოდ ჩემი თანხმობით.

სათათბირო ოთახში, თქვენ განიხილავთ საქმეს თქვენს კოლეგა მსაჯულებთან ერთად, რათა მიაღწიოთ შეთანხმებას, თუ ამას მოახერხებთ.

თითოეულმა თქვენგანმა თავისთვის უნდა მიიღოს გადანყვეტილება საქმეზე, თუმცა თქვენ ეს მხოლოდ მას შემდეგ უნდა გააკეთოთ, რაც შეაფასეთ ყველა მტკიცებულება, ისინი სხვა მსაჯულებთან განიხილეთ და მოისმინეთ თქვენი კოლეგა მსაჯულების მოსაზრებები.

ნუ შეგეშინდებათ თქვენი აზრის შეცვლა, თუ დისკუსიის შედეგად დარწმუნდებით, რომ ასე უნდა მოიქცეთ. მაგრამ, არ მიიღოთ გარკვეული გადანყვეტილება მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ნაფიც მსაჯულებს ის სწორად მიაჩნიათ.

მნიშვნელოვანია, რომ თქვენ ეცადოთ ერთხმად გამოიტანოთ ვერდიქტი, თუმცა, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითოეულმა თქვენგანმა მანამდე მიიღო გულისხმიერი გადანყვეტილება. არ შეცვალოთ პატიოსანი რწმენა მტკიცებულების ძალისა და ეფექტის შესახებ მხოლოდ ვერდიქტის მიღწევის მიზნით.

თქვენი ვერდიქტი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მტკიცებულებებს და კანონს, რომელზეც მე თქვენ ამ განმარტებებში მიგიითითეთ. თუმცა, არც ერთი ჩემი ნათქვამის მიზანი არ არის მინიშნება იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს თქვენი ვერდიქტი — ეს მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

ზოგიერთმა თქვენგანმა სასამართლო პროცესის განმავლობაში ჩანაწერები გააკეთა. მიუხედავად იმისა, გააკეთეთ თუ არა ჩანაწერები, თქვენ უნდა დაეყრდნოთ თქვენ მეხსიერებას იმის შესახებ, თუ რა ითქვა. ჩანაწერები მხოლოდ იმისთვის არის განკუთვნილი, რომ თქვენ მეხსიერებას დაეხმაროს. თქვენმა ჩანაწერებმა ზედმეტი გავლენა არ უნდა მოახდინოს თქვენზე. თქვენ მიერ საქმის განხილვის შემდეგ, უფროსი მსაჯული თანამიმდევრულად, ღია კენჭისყრ-

აზე დააყენებს თქვენს წინაშე თითოეულ საკითხს, ჩემ მიერ განსაზღვრული რიგითობითა და ფორმულირებით. თქვენ ვალდებული ხართ თავდაპირველად კენჭი უყაროთ ბრალდებულის მიმართ წარდგენილ ყველა ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს. თუ ასეთ ვერდიქტზე ვერ მიიღებთ გადაწყვეტილებას, თქვენ ვალდებული ხართ კენჭი უყაროთ გამამტყუნებელ ვერდიქტს ყველა წარდგენილ ბრალდებაზე რიგრიგობით, ბრალდების სიმძიმის მზარდი თანამიმდევრობით.

კენჭისყრის მიმდინარეობისას თქვენ ვალდებული ხართ უფროსი მსაჯულის მიერ დაყენებულ ყველა საკითხზე დააფიქსიროთ თქვენი დადებითი ან უარყოფითი პოზიცია, მხარი დაუჭიროთ ან, პირიქით, უარყოთ იგი. ამასთან, თქვენ უფლება არ გაქვთ, თავი შეიკავოთ რომელიმე საკითხზე ხმის მიცემისაგან. ხმის მიცემის რიგითობა წინასწარ განსაზღვრულია, მსაჯულთა სიაში თქვენი რიგითობის გათვალისწინებით. ამასთან, უფროსი მსაჯული ხმას აძლევს ბოლოს და აჯამებს კენჭისყრის შედეგებს.

თითოეული თქვენგანი ვალდებულია დაუყოვნებლივ მაცნობოს, თუ შეამჩნევთ, რომ რომელიმე მსაჯული თავს იკავებს ხმის მიცემისაგან, უგულვებლყოფს ჩემ მიერ გაკეთებულ მითითებებს, ითვალისწინებს იმ მტკიცებულებას, რომელიც არ გამოკვლეულა სასამართლოში, რაიმე ფორმით გამოხატავს აშკარა მიკერძოებას ან/და სხვაგვარად აშკარად არღვევს კანონს. უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ასეთის არსებობის შემთხვევაში მე კანონის შესაბამისად უფლება მაქვს დაგითხოვოთ ნაფიცო მსაჯულის მოვალეობის შესრულებისაგან, ხოლო თუ ამის საჭიროება იქნება, დავითხოვო მთელი შემადგენლობა და დავნიშნო ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი.

თუ თათბირის დროს აუცილებელი გახდება ჩემთან კომუნიკაცია, თქვენ შეგიძლიათ მანდატურის მეშვეობით გადმომცეთ უფროსი მსაჯულის ან ერთი ან მეტი მსაჯულის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეტყობინება. მასზე პასუხის გაცემამდე, მე კონსულტაციას გავმართავ ადვოკატთან და პროკურორთან, რასაც შესაძლოა გარკვეული დრო დასჭირდეს. თქვენ შეკითხვაზე პასუხის მოლოდინში, თქვენ შეგიძლიათ განაგრძოთ თათბირი.

სათათბირო ოთახში გასვლამდე თქვენ თითოეულ ბრალდებულზე გადმოგეცემათ ვერდიქტის ორი ფორმა – გამამართლებელი და გამამტყუნებელი, რომელთაგან კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით უფროსი მსაჯული შეავსებს, ხელს მოაწერს და გადმომცემს მხოლოდ ერთერთ მათგანს.

ამის შემდეგ, დავრწმუნდები, რომ თქვენ მიერ შედგენილი ვერდიქტი შეესაბამება კანონის შემდეგ მოთხოვნებს:

1. ვერდიქტი თითოეულ ბრალდებაზე სწორი კენჭისყრის შედეგად არის მიღებული;
2. არ არის აშკარა წინააღმდეგობა ვერდიქტის ფორმებს შორის;
3. ვერდიქტი გამოტანილია ყველა წარდგენილ ბრალდებაზე.

მე მივმართავ უფროს მსაჯულს, გამოაცხადოს ვერდიქტი. ან

მე გიბრუნებთ უკან თქვენ მიერ შედგენილ ვერდიქტს, სადაც მიგითითებთ თუ რა შეცდომები უნდა გამოასწოროთ, რათა თქვენი ვერდიქტი შეესაბამებოდეს კანონს. გთხოვთ, გაბრძანდეთ სათათბირო ოთახში<sup>625</sup>.

11. მითითებული ტექსტები წარმოადგენს მოსამართლისთვის სახელმძღვანელო ვარიანტს და კონკრეტული საქმის სპეციფიკიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, ის არ არის შეზღუდული, საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს იგი.

<sup>625</sup> იხ., სახელმძღვანელო ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA/ROLI), თბ., 2010, 36-40.

**მუხლი 232. ნაფიცი მსაჯულის შეცვლა სათადარიგო მსაჯულით**

1. თუ სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას აღმოჩნდა, რომ ნაფიც მსაჯულს არ შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობა, გამოვლინდა მისი აცილების საფუძველი, ნაფიცმა მსაჯულმა დაარღვია ამ კოდექსის მოთხოვნები, სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულს ათავისუფლებს მისი მოვალეობის შესრულებისაგან და მის ნაცვლად ნაფიც მსაჯულად ნიშნავს მსაჯულთა სიაში მომდევნო სათადარიგო მსაჯულს.

2. თუ ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა ნაფიც მსაჯულთა ამ კოდექსით განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, სხდომის თავმჯდომარე იწყებს მსაჯულთა ხელახალ შერჩევას და საქმის განხილვა ამ კოდექსით დადგენილი წესით იწყება თავიდან.

1. ნაფიცი მსაჯულების შერჩევა ხორციელდება სსსკ-ის 223-ე მუხლის საფუძველზე. აცილების პროცედურის დასრულების შემდეგ დარჩენილი მსაჯულობის კანდიდატებისგან თორმეტს სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს ნაფიც მსაჯულად, ხოლო ორი საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებს როგორც სათადარიგო მსაჯული. მოსამართლე უფლებამოსილია, საქმის სირთულიდან გამომდინარე, მიიღოს გადაწყვეტილება უფრო მეტი სათადარიგო მსაჯულის დამტკიცების შესახებ, რომელთა მაქსიმალური რაოდენობა კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის და დამოკიდებულია მოსამართლის გადაწყვეტილებაზე.

2. თუ სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას რომელიმე ნაფიცი მსაჯული რაიმე ობიექტური მიზეზით ვეღარ ასრულებს თავის მოვალეობას (მაგ., სასამართლო განხილვის დაწყების შემდეგ დაავადდა ან აღმოაჩნდა ისეთი დაავადება, რაც ხელს უშლის მოვალეობის შესრულებაში), ან გამოვლინდა მისი აცილების საფუძველი, რაც თავის დროზე ცნობილი არ იყო (მაგ., ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ნაფიცი მსაჯულის კომენტარი და შეფასება აღნიშნული დანაშაულის შემთხვევის შესახებ), ან ნაფიცმა მსაჯულმა დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები (მაგ., განსახილველ საქმესთან დაკავშირებით დაამყარა ურთიერთობა სხვა პირებთან), სხდომის თავმჯდომარე ათავისუფლებს ნაფიც მსაჯულს მოვალეობის შესრულებისაგან და მის ნაცვლად ნიშნავს მსაჯულთა სიაში მომდევნო სათადარიგო მსაჯულს.

3. იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვის მიმდინარეობისას წარმოიშვა რამდენიმე ნაფიცი მსაჯულის შეცვლის საფუძველი და აღმოჩნდა, რომ ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ნაფიც მსაჯულთა რაოდენობაზე ნაკლებია, სხდომის თავმჯდომარემ უნდა დაიწყოს მსაჯულთა ხელახალი შერჩევა და საქმის თავიდან განხილვა კანონით დადგენილი წესით.

4. აღნიშნული გარემოება პირდაპირ კავშირშია საქმის განხილვის ხანგრძლივობასთან და ამ მხრივ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსაკუთრებულ პრობლემას ქმნის იმ საქმეებზე, რომლებზეც ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა. სასამართლო პრაქტიკამ ცხადყო, რომ ნაფიცი მსაჯულების შერჩევა საკმაოდ ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს და არის შემთხვევები, როდესაც ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვა ვერ ესწრება კანონით განსაზღვრულ 9-თვიან პატიმრობის ვადაში, და მაშინ, როდესაც, შესაძლოა, კვლავ სახეზე იყოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა, სასამართლო იძულებულია, ბრალდებული დატოვოს აღკვეთის ღონისძიების გარეშე, ან პატიმრობა შეუცვალოს უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით.

5. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 232-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მიზეზის გამო, მსაჯულთა ხელახალი შერჩევის პროცესის დაწყებას დღეის მდგომარეობით საქართველოში ჯერ არ ჰქონია ადგილი, ზემოთ მითითებული გარემოებაც ცხადყოფს, თუ რა პრობლემასთან არის დაკავშირებული სათადარიგო მსაჯულთა შერჩევის ხელახალი პროცესის დაწყება.

### მუხლი 233. უფროსი მსაჯული

1. სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობიდან წილისყრის საფუძველზე ნიშნავს უფროს მსაჯულს.
  2. უფროსი მსაჯული თავმჯდომარეობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სახელით წერილობითი შეკითხვით მიმართავს სხდომის თავმჯდომარეს, აჯამებს კენჭისყრის საერთო შედეგებს, ადგენს შესაბამის დოკუმენტებს, ხელს აწერს ვერდიქტს და სასამართლო სხდომაზე აცხადებს მას.
  3. უფროსი მსაჯულის გათავისუფლების შემთხვევაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თავისი შემადგენლობიდან წილისყრის საფუძველზე ირჩევს ახალ უფროს მსაჯულს.
1. აღნიშნული ნორმის მიზანია უფროსი მსაჯულის უფლება-მოვალეობების განსაზღვრა.
  2. ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობიდან უფროსი მსაჯულის დანიშვნა (არჩევა) განპირობებულია იმით, რომ ნაფიცი მსაჯულებიდან ერთ-ერთმა შეასრულოს სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა, რაც დაკავშირებულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირის წარმართვასთან, რაშიც არ მონაწილეობს სხდომის თავმჯდომარე, ასევე, უზრუნველყოს ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედგენა და მათი სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.
  3. კანონის თანახმად, უფროსი მსაჯული თავმჯდომარეობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სახელით წერილობითი შეკითხვით მიმართავს სხდომის თავმჯდომარეს, აჯამებს კენჭისყრის საერთო შედეგებს, ადგენს შესაბამის დოკუმენტებს, ხელს აწერს ვერდიქტს და სასამართლო სხდომაზე აცხადებს მას.
  4. უფროს მსაჯულს ნაფიცი მსაჯულთა შემადგენლობიდან წილისყრის საფუძველზე თავდაპირველად ნიშნავს სხდომის თავმჯდომარე, ხოლო უფროსი მსაჯულის გათავისუფლების შემთხვევაში უფროს მსაჯულს უკვე ირჩევს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თავისი შემადგენლობიდან.
  5. საპროცესო კანონით არ არის განსაზღვრული უფროსი მსაჯულის გათავისუფლების შემთხვევები და, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი პირდაპირ არ არის მოწესრიგებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, თუმცა მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ზოგადად ნაფიცი მსაჯულის მოვალეობისგან გათავისუფლებისა და აცილების წესით.

### მუხლი 234. ნაფიც და სათადარიგო მსაჯულთა მიერ ფიცის დადება

1. უფროსი მსაჯულის დანიშვნის (არჩევის) შემდეგ მსაჯულები დებენ ფიცს. ფიცის ტექსტს კითხულობს სხდომის თავმჯდომარე: „ვფიცავ, პატიოსნად და მიუკერძოებლად აღვასრულო ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა, გავითვალისწინო ყველა კანონიერი მტკიცებულება, გადაწყვეტილება მივიღო შინაგანი რწმენის საფუძველზე, როგორც შეეფერება სამართლიან ადამიანს!“.
  2. ფიცის ტექსტის წაკითხვის შემდეგ მსაჯულთა სიაში რიგითობის მიხედვით ყოველი მსაჯული ამბობს: „ვადასტურებ!“.
  3. ასეთივე წესით დებენ ფიცს სათადარიგო მსაჯულები.
  4. ფიცის დადების პროცედურა შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.
  5. ნაფიცი მსაჯული ფიცს ფეხზე ამდგარი დებს.
  6. ფიცის დადების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს მათ უფლება-მოვალეობებს.
1. ნაფიცი მსაჯულები უფროსი მსაჯულის დანიშვნის (არჩევის) შემდეგ ფეხზე ამდგარი დებენ შემდეგი შინაარსის ფიცს: „ვფიცავ, პატიოსნად და მიუკერძოებლად აღვასრულო ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა, გავითვალისწინო ყველა კანონიერი მტკიცებულება, გად-

- ანყვეტილება მივიღო შინაგანი რწმენის საფუძველზე, როგორც შეეფერება სამართლიან ადამიანს!“.
2. ფიცის ტექსტს კითხულობს სხდომის თავმჯდომარე, ხოლო ნაკითხვის შემდგომ მსაჯულები სიაში რიგითობის მიხედვით ადასტურებენ ფიცის დადებას სიტყვით: „ვადასტურებ“. ანალოგიურად დებენ ფიცს სათადარიგო მსაჯულებიც. ფიცის დადების პროცედურა შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.
  3. ნაფიცი და სათადარიგო მსაჯულების მიერ ფიცის დადება სავალდებულოა, ისევე, როგორც ყველა მოსამართლე თანამდებობაზე გამწესებისას დებს ფიცს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე, გარდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და უზენაესი სასამართლოს წევრებისა, რომლებიც ფიცს დებენ საქართველოს პარლამენტის წინაშე. ამრიგად, მოსამართლის მსგავსად, ნაფიცი მსაჯული ვალდებულია, სასამართლო სხდომაზე დადოს ფიცი, რომ კეთილსინდისიერად შეასრულებს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, მონაწილეობა მიიღოს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე გადანყვეტილების – ვერდიქტის მიღებაში.  
მართალია, მოსამართლის ფიცის ტექსტი განსხვავდება ნაფიცი მსაჯულის ფიცის ტექსტისგან, თუმცა ორივე ტექსტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოსამართლემ (ნაფიცმა მსაჯულმა) მიუკერძოებლად და პატიოსნად აღასრულოს დაკისრებული მოვალეობა და განსაჯოს სამართლიანად.
  4. ფიცის დადების შემდგომ სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს უფლება-მოვალეობებს, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის 235-ე და 236-ე მუხლებით.

### მუხლი 235. ნაფიც მსაჯულთა უფლებანი

1. ნაფიც მსაჯულს უფლება აქვს, თავის წერილობით მიმართვაზე მიიღოს:

ა) სასამართლოსგან განმარტება გამოსაყენებელი კანონის თაობაზე;

ბ) წინასწარი ინფორმაცია საქმის გარემოებებისა და გამოსაკვლევი მტკიცებულებების შესახებ;

გ) სასამართლო სხდომის დროს დამატებითი განმარტება: სხდომის თავმჯდომარისაგან – კანონის შესახებ, მოწმეთაგან – ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, მხარეთაგან – დასკვნითი სიტყვების შესახებ;

დ) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირის დროს დამატებითი განმარტება მოსამართლისაგან კანონის შესახებ.

2. მოსამართლე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს სხდომის მიმდინარეობისას ჩანაწერების გაკეთების უფლებას. ნაფიც მსაჯულებს სათათბირო ოთახში გასვლამდე ეძლევათ სასამართლო სხდომის ოქმი, გარდა იმ ნაწილებისა, რომლებიც ეხება დაუშვებელ მტკიცებულებებს.

1. აღნიშნული ნორმა ადგენს ნაფიც მსაჯულთა უფლებებს, კონკრეტულად განსაზღვრავს იმ უფლებამოსილებას, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონით მინიჭებული აქვს ნაფიც მსაჯულს.

2. კანონმდებელმა ცალ-ცალკე ნორმებად დაყო მსაჯულთა უფლებები და მოვალეობანი. ნაფიცი მსაჯულებისთვის უფლებების განმარტება ხდება ფიცის დადების შემდეგ.

3. სსსკ-ის 235-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნაფიც მსაჯულებს აქვთ შემდეგი უფლებები:

- სასამართლოსგან მიიღონ განმარტება გამოსაყენებელი კანონის თაობაზე;
- მიიღონ წინასწარი ინფორმაცია საქმის გარემოებებისა და გამოსაკვლევი მტკიცებულებების შესახებ;
- სასამართლო სხდომის დროს მიიღონ დამატებითი განმარტება: სხდომის თავმჯდომარისაგან – კანონის შესახებ, მოწმეთაგან – ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, მხარეთაგან – დასკვნითი სიტყვების შესახებ;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირის დროს მიიღონ დამატებითი განმარტება

მოსამართლისაგან კანონის შესახებ.

4. მითითებულ განმარტებებს ნაფიც მსაჯულები იღებენ წერილობითი მიმართვის საფუძველზე.
5. სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს, თუ რომელი კანონით უნდა ისარგებლონ ნაფიცმა მსაჯულებმა გადაწყვეტილების მიღებისას, კერძოდ, განუმარტავს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის შინაარსს, რითაც ბრალდებულია პირი. ასევე, განუმარტავს საპროცესო ნორმებს, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება. აღნიშნული ნორმების ზუსტად და ზედმიწევნით განმარტებას დიდი მნიშვნელობა აქვს ნაფიც მსაჯულების მიერ მის სწორად აღსაქმელად. განმარტებების მიცემისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ ნაფიც მსაჯულებს არ აქვთ იურიდიული განათლება და კანონის მოთხოვნა და ნორმის შინაარსი უნდა მიეწოდოთ იმდაგვარად, რომ მათ მიერ კარგად იქნეს აღქმული გამოსაყენებელი კანონის შინაარსი. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ნაფიც მსაჯულებს აქვთ გარკვეული კითხვები, ისინი უფლებამოსილი არიან, დამატებით წერილობით დაუსვან შეკითხვები სხდომის თავმჯდომარეს.
6. ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, წინასწარ მიიღონ ინფორმაცია განსახილველი საქმის გარემოებებისა და გამოსაკვლევი მტკიცებულებების შესახებ. კერძოდ, სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს, თუ რაში ედება ბრალი ბრალდებულს (ბრალდების შინაარსი და მისი სამართლებრივი საფუძველი), ასევე, აწვდის ინფორმაციას გამოსაკვლევი მტკიცებულებების შესახებ, თუ ვინ არის დასაკითხი და რა სახის წერილობითი მტკიცებულებებია გამოსაკვლევი. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, ნაფიც მსაჯულებს განუმარტოს, რომ მტკიცებულება არის მონმის მიერ ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენება და ყველა ის დოკუმენტი და ნივთი, რაც მტკიცებულების სახით დაშვებულია სასამართლო სხდომაზე. ამავდროულად უნდა განუმარტოს, რომ მტკიცებულების წონა ფაქტთან მიმართებით არ არის დამოკიდებული მონმეთა რაოდენობაზე და არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ნაფიც მსაჯულებს, ასევე, განემარტებათ, რომ როდესაც მხარეები შესავალ და დასკვნით სიტყვებში მიმოიხილავენ საქმეს, მხარეთა განმარტებები არ წარმოადგენს მტკიცებულებებს და მტკიცებულებებია მხოლოდ მონმეთა პასუხები მხარეთა მიერ დასმულ შეკითხვებზე.
7. იმ შემთხვევაში, თუ ნაფიცმა მსაჯულებმა ვერ მიიღეს ამომწურავი პასუხები გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში, მათ უფლება აქვთ, დამატებით მოითხოვონ განმარტების მიღება როგორც სხდომის თავმჯდომარისგან – კანონის შესახებ, ასევე, მონმეთაგან – ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, ხოლო მხარეთაგან – დასკვნითი სიტყვების შესახებ. ნაფიც მსაჯულებს აღნიშნული განმარტებების მოთხოვნის უფლება აქვთ სასამართლო სხდომის დროს, სათათბირო ოთახში გასვლამდე. ამასთან, მოსამართლისგან კანონის შესახებ დამატებითი განმარტების მიღების უფლება ნაფიც მსაჯულებს აქვთ სათათბირო ოთახში გასვლის შემდგომაც, თათბირის დროს.
8. სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს, ასევე, განუმარტავს, რომ მათ აქვთ უფლება, სხდომის მიმდინარეობისას გააკეთონ გარკვეული ჩანაწერები, რაც დაეხმარება მათ მონმის ნათქვამის დამახსოვრებაში, რისი გამოყენებაც შესაძლებელია სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული თათბირისას. ამავდროულად, ნაფიც მსაჯულებს ეკრძალებათ, სათათბირო ოთახში გასვლამდე გაუზიარონ ერთმანეთს ჩანაწერები.
9. ნაფიც მსაჯულებს სათათბირო ოთახში გასვლამდე გადაეცემათ სასამართლო სხდომის ოქმი, გარდა იმ ნაწილებისა, რომლებიც ეხება დაუშვებელ მტკიცებულებებს. სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს, რომ ოქმში დაფიქსირებულია ყველაფერი, რაც სასამართლო სხდომაზე ითქვა და მათ აქვთ უფლება, მოისმინონ სხდომის ოქმის აუდიოჩანაწერი. როგორც წესი, სასამართლოში მიმდინარეობს სხდომის ოქმის აუდიოჩანაწერი. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული ტექნიკური ხარვეზის გამო, ვერ მოხდა სასამართლო

სხდომის მიმდინარეობის აუდიოჩანწერა, ნაფიც მსაჯულებს აქვთ შესაძლებლობა, გაეცნონ წერილობით შედგენილ სხდომის ოქმს.

### **მუხლი 236. ნაფიც მსაჯულთა (სათადარიგო მსაჯულთა, მსაჯულობის კანდიდატთა) მოვალეობანი**

#### **1. ნაფიც და სათადარიგო მსაჯულებს ეკრძალებათ:**

- ა) სხდომის მიმდინარეობისას სასამართლო სხდომის დარბაზის დატოვება;
- ბ) ვერდიქტის გამოტანამდე საქმის განხილვისას მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება ან საკუთარი აზრის გამოთქმა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით;
- გ) განსახილველი საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა სხვა პირებთან ურთიერთობა;
- დ) განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება სხდომის ფარგლებს გარეთ;
- ე) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა;
- ვ) სასამართლოს შენობაში წესრიგის დარღვევა და სხდომის თავმჯდომარის შესაბამისი მითითებების შეუსრულებლობა.

2. ნაფიცი მსაჯული ვალდებულია დაესწროს განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო სხდომებს და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირს.

3. მსაჯულის (მსაჯულობის კანდიდატის) მიერ ამ კოდექსით განსაზღვრული საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

4. სხდომის თავმჯდომარე აფრთხილებს ნაფიც მსაჯულებს პასუხისმგებლობის შესაძლო ზომების შესახებ, აგრეთვე მათ განუმარტავს, რომ საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გაათავისუფლებს მათ ნაფიც მსაჯულთა მოვალეობის შესრულებისაგან.

1. ნაფიც მსაჯულებს უფლებებთან ერთად აკისრიათ გარკვეული სახის მოვალეობები, რაც განსაზღვრულია ზემოაღნიშნული ნორმით.
2. ნაფიცი მსაჯულები ვალდებული არიან: სხდომის მიმდინარეობისას არ დატოვონ სასამართლო სხდომის დარბაზი; ვერდიქტის გამოტანამდე არ გაამჟღავნონ საქმის განხილვისას მიღებული ინფორმაცია ან გამოთქვან საკუთარი აზრი განსახილველ საქმესთან დაკავშირებით; არ დაამყარონ ურთიერთობა განსახილველი საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა სხვა პირებთან.
3. თითოეული ნაფიცი მსაჯული (მათ შორის, სათადარიგო მსაჯული) ესწრება სასამართლო სხდომას სრულად, საქმის განხილვის დაწყებიდან მისი განხილვის დასრულებამდე. ნაფიცი მსაჯული აქტიურად არის ჩართული სხდომის მიმდინარეობაში, რაც გულისხმობს მისი მხრიდან შეკითხვების დასმას მოწმისთვის მისთვის საინტერესო საკითხებზე, თუმცა ნაფიც მსაჯულს აკისრია ვალდებულება, არ გაამჟღავნოს საქმის განხილვისას მიღებული ინფორმაცია და წინასწარ არ გამოთქვას საკუთარი აზრი განსახილველ საქმესთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული გახდება მისი აცილების საფუძველი.
4. ნაფიც მსაჯულს განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ურთიერთობის დამყარების უფლება აქვს მხოლოდ ამ საქმის განმხილველი სასამართლოს სხდომის თავმჯდომარესთან. შესაძლოა, ნაფიც მსაჯულს რაიმე სახის პირადი ურთიერთობა (მეგობრობა, ნაცნობობა, ნათესაური კავშირი) ჰქონდეს რომელიმე მოსამართლესთან, თუმცა მას არ აქვს უფლება, იმ საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, რომელი საქმის განხილვაშიც ის მონაწილეობს ნაფიც მსაჯულად, რაიმე სახის შეკითხვები დაუსვას სხვა მოსამართლეს, გარდა თავად ამ საქმის განმხილველი სასამართლოს სხდომის თავმჯდომარისა. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი

- ნაფიცი მსაჯული სხდომის თავმჯდომარისგან ვერ მიიღებს მისთვის დამაკმაყოფილებელ პასუხს და მას კვლავ დარჩება გარკვეული კითხვები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, მას უფლება აქვს, დამატებით დაუსვას მოსამართლეს შეკითხვა, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაამყაროს ურთიერთობა სხვა მოსამართლესთან განსახილველ საქმესთან დაკავშირებით.
5. გარდა ამისა, ნაფიც მსაჯულებს ეკრძალებათ, მოიძიონ ინფორმაცია განსახილველ საქმესთან დაკავშირებით სხდომის ფარგლებს გარეთ და დაარღვიონ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოება. ნაფიც მსაჯულთა თათბირის შინაარსი ცნობილია მხოლოდ ნაფიცი მსაჯულებისთვის, მათ არ აქვთ თათბირის საიდუმლოების გამჟღავნების უფლება, ნაფიც მსაჯულთა თათბირის შინაარსი უცნობია, ასევე, სხდომის თავმჯდომარისთვის.
  6. საიდუმლოებას წარმოადგენს, ასევე, ნაფიც მსაჯულთა კენჭისყრის შედეგები. ცნობილი ხდება მხოლოდ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საჯაროდ ცხადდება მხოლოდ მათ მიერ გამოტანილი ვერდიქტი. უცნობი რჩება, თუ როგორ გადანაწილდა ხმები კენჭისყრისას.
  7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 367<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებას. იმ შემთხვევაში, თუ ნაფიცი მსაჯული გაამჟღავნებს ამ სახის ინფორმაციას, ის მიეცემა პასუხისგებაში ზემოაღნიშნული მუხლით.
- სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს, ასევე, ნაფიცი მსაჯულის (ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის) მიერ სასამართლოს შეცდომაში შეყვანა, რაც გამოიხატება სასამართლოსთვის მისი ნაფიც მსაჯულობასთან შეუთავსებლობის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობასა და შეგნებულად მცდარი ინფორმაციის წარდგენაში.
8. ნაფიც მსაჯულებს, პროცესის მონაწილე მხარეთა მსგავსად, აკისრიათ ვალდებულება, დაიცვან წესრიგი სასამართლოს შენობაში და შეასრულონ სხდომის თავმჯდომარის შესაბამისი მითითებები. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ნორმა ნაფიც მსაჯულს წესრიგის დაცვის ვალდებულებას აკისრებს არა მარტო სხდომის დარბაზში, არამედ მთლიანად სასამართლო შენობაში.

### **მუხლი 237. ნაფიცი მსაჯულების სავალდებულო ინფორმირება საპროცესო შეთანხმების არსებობის თაობაზე**

**სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს აწვდის ინფორმაციას განსახილველ საქმესთან არსებითი კავშირის მქონე საკითხებზე საპროცესო შეთანხმების არსებობის თაობაზე.**

1. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს ნაფიცი მსაჯულებისთვის ინფორმაციის მიწოდებას საქმესთან არსებითი კავშირის მქონე საკითხებზე საპროცესო შეთანხმების არსებობის თაობაზე.
2. მართალია, კანონმდებელი პირდაპირ არ განსაზღვრავს, რა მოიაზრება საპროცესო შეთანხმების არსებობის თაობაზე ნაფიცი მსაჯულების სავალდებულო ინფორმირებაში, თუმცა, სავარაუდოდ, ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოცემულ კონკრეტულ საქმესთან შემხებლობაში მყოფ სხვა პირთა მიმართ (ბრალდებულის თანამონაწილე პირები) გაფორმებულია საპროცესო შეთანხმება, რომლითაც დადგენილია საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები.
3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა გარკვეულ წინააღმდეგობაშია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ნაფიცი მსაჯულებისთვის დადგენილ ძირითად და უმთავრეს მოთხოვნასთან, რომ ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სა-



სამართლო პროცესის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებებს და არც ერთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სხვისი მითითებით, ასევე, წინააღმდეგობაშია სსსკ-ის 238-ე მუხლთან, რომლის თანახმად, ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან.

4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნულ ნორმასთან მიმართებაში შეგვიძლია მაგალითისთვის მოვიყვანოთ საქმე აშშ-ს სასამართლო პრაქტიკიდან. კერძოდ, საქმეზე დონელი დეკრისტოფოროს წინააღმდეგ<sup>626</sup> არამართებულად იქნა ცნობილი პროკურორის მიერ დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას მსაჯულთა ყურადღების გამახვილება იმ ფაქტზე, რომ ამავე საქმეზე ყოფილი თანაბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი.

### მუხლი 238. ბრალდებულის ნასამართლობა

ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ (თუ ეს არ არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მკვალიფიცირებელი ნიშანი ან/და გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს კონსტიტუციასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად, უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებების დაცვას. ბრალდებულის უფლების დაცვას ემსახურება აღნიშნული ნორმაც, რომელიც კრძალავს ნაფიცი მსაჯულებისთვის ბრალდებულის წარსული ნასამართლობის ან ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ ინფორმაციის მინოდებას, რომელსაც არ აქვს კავშირი წარდგენილ ბრალდებასთან. ნორმის მიზანია, ბრალდების მხარემ არ გააკეთოს ისეთი განცხადება, რაც ხელს შეუშლის ნაფიც მსაჯულებს, გადაწყვეტილება მიიღონ მხოლოდ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.
2. აღნიშნული ნორმა დაუშვებლად მიიჩნევს საქმეში არარსებული ფაქტების ხსენებას. იმ შემთხვევაში, თუ მხარე მაინც მიუთითებს ასეთ ფაქტებზე, მონინააღმდეგე მხარემ პროტესტი უნდა გამოთქვას და მოითხოვოს, მოსამართლემ შენიშვნა მისცეს დამრღვევს, ხოლო ნაფიც მსაჯულებს ხელახლა წაუკითხოს მტკიცებულების განმარტება.
3. ამერიკის იურისტთა ასოციაციის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტების მიხედვით (სტანდარტი 3-5.8(დ)), პროკურორმა არ უნდა გააკეთოს იმგვარი განცხადება, რომელიც ხელს შეუშლის მსაჯულებს საკუთარი ვალდებულების შესრულებაში, კერძოდ, საქმეზე გადაწყვეტილების მხოლოდ მტკიცებულებათა საფუძველზე მიღებაში, ხოლო სტანდარტი 3-5.9-ის მიხედვით როგორც პირველი ინსტანციით, ისე სააპელაციო წესით საქმის განხილვის დროს, პროკურორმა განზრახ არ უნდა მიუთითოს ან იდავოს ისეთ ფაქტებზე, რომელიც სცილდება საქმის მასალებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი ფაქტები საყოველთაოდ ცნობილია ჩვეულებრივი ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე ან ეხება ისეთ საკითხებს, რასაც მხარეები საეჭვოდ არ ხდიან.
4. სსსკ-ის 238-ე მუხლი პირდაპირ კრძალავს ბრალდებულის წარსულ ნასამართლობაზე ინფორმაციის გახმოვანებას, რამდენადაც ბრალდებულის წარსულმა ნასამართლობამ ზემოქმედება არ მოახდინოს ნაფიც მსაჯულებზე და წინასწარ არ განაწყობს ისინი ბრალდებულის წინააღმდეგოდ.
5. ამერიკის იურისტთა ასოციაციის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტანდარტი 3-5.8(გ) მიხედვით, პროკურორმა არ უნდა გააკეთოს ისეთი განცხადება, რომელიც გათვლილია მსაჯულთა წინასწარ განწყობაზე/დამოკიდებულებაზე ზემოქმედებისათვის.

<sup>626</sup> იხ., Donnelly v. DeChristoforo 416U.S.637, 645, (1974).

6. საქმეზე ფინჩი აშშ-ს წინააღმდეგ<sup>627</sup> მიუღებლად იქნა მიჩნეული პროკურორის მიერ სასამართლოს მქონე ბრალდებულის ჩვენების დახასიათება, როდესაც ის პროკურორმა დაახასიათა როგორც ქურდობაში და ნარკოტიკებით ვაჭრობაში მსჯავრდებული ადამიანის სიტყვებში.
7. სსსკ-ის 238-ე მუხლით დადგენილი აკრძალვები ემსახურება იმ მიზანს, რომ თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი ამგვარი ინფორმაციის მიწოდებით ბრალდებულის მიმართ ნაფიც მსაჯულების უარყოფითი განწყობის შექმნა და მსაჯულთა ემოციებზე არამართებული ზეგავლენის მოხდენა, რაც ბრალდებულს უსაბოზო სასამართლიანი სასამართლოს უფლებას, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით.

### მუხლი 239. შუამდგომლობის დაყენება და გადაწყვეტა

1. სხდომის თავმჯდომარე არკვევს, აქვთ თუ არა მხარეებს ამ მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობა. ერთგვაროვანი სახის შუამდგომლობები სასამართლოს ერთად წარედგინება. პირი, რომელიც დააყენებს შუამდგომლობას, ვალდებულია მიუთითოს, რა გარემოებათა დასადგენად არის დაყენებული შუამდგომლობა.
  2. საქმის არსებითი განხილვის დროს დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში სასამართლო მხარის შუამდგომლობით იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზს, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მტკიცებულების დაშვება-არდაშვების თაობაზე.
  3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი ნაფიცი მსაჯულების გარეშე განიხილება.
  4. წარდგენილი დამატებითი მტკიცებულების საქმეზე დაშვების შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გონივრული ვადით გადადოს საქმის განხილვა, თუ მხარეს დაცვის ან ბრალდების პოზიციის მოსამზადებლად დამატებითი დრო ესაჭიროება.
  5. შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვისას არსებითად ახალი მტკიცებულების მოპოვების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, თუ ამ მტკიცებულების მოპოვება ან მისი მოპოვების შესახებ შუამდგომლობის ამ კოდექსით დადგენილი წესით დაყენება მანამდე ობიექტურად შეუძლებელი იყო. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მტკიცებულების მოპოვება ხდება ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით.
  6. ამ მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებების გამოკვლევა ხდება ამ კოდექსით დადგენილი ზოგადი წესის დაცვით, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის თავისებურების გათვალისწინებით.
1. საქართველოს სსსკ-ის 93-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეებმა შეიძლება შუამდგომლობა დააყენონ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. სსსკ-ის 239-ე მუხლი ანესრიგებს საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე შუამდგომლობების დაყენებისა და გადაწყვეტის წესს.
  2. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, როგორც წესი, მხარეთა შუამდგომლობები განიხილება მხარეთა მიერ შესავალი სიტყვების წარდგენამდე. სსსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს, რომ ერთგვაროვანი სახის შუამდგომლობები სასამართლოს უნდა წარედგინოს ერთად. მაგალითად, თუ საქმეზე რამდენიმე ბრალდებულია და მხარე (ბრალდების ან დაცვის) შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ბრალდებულის მიმართ გამოყენებული ალკვეთის ღონისძიების შეცვლას ან გაუქმებას, ასეთი შუამდგომლობები სასამართლოს

<sup>627</sup> იხ., Finch v. Unites States 867A.2d222.227,(D.C.2005).

ყველა ბრალდებულის მიმართ ერთდროულად უნდა წარედგინოს. შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებას ყველა დაყენებული შუამდგომლობის ირგვლივ მიიღებს ერთად. ანალოგიურად, როდესაც მხარე სასამართლოს წინაშე შუამდგომლობს დამატებით წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებად ცნობას, რამდენიმე ასეთი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, მხარემ შუამდგომლობა უნდა დააყენოს ყველა მტკიცებულების მიმართ ერთად და სასამართლომაც ერთდროულად უნდა იმსჯელოს ყველა მტკიცებულების თაობაზე. მაგალითად, დაცვის მხარე სსსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ითხოვს როგორც დამატებით წარდგენილი წერილობითი მტკიცებულების დაშვებას, ასევე, კონკრეტული პირის მოწმის სახით დაკითხვას, ამ შემთხვევაში მხარემ მის მიერ წარდგენილი ყველა დამატებითი მტკიცებულების დაშვების თაობაზე შუამდგომლობა სასამართლოს ერთდროულად უნდა წარუდგინოს.

როგორც წესი, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სასამართლო ერთდროულად იხილავს ერთი მხარის მიერ დაყენებულ ერთი და იმავე შინაარსის შუამდგომლობებს, თუმცა, როდესაც ბრალდების მხარე შუამდგომლობს დამატებით წარდგენილი მტკიცებულების დასაშვებობის თაობაზე და იმავდროულად დაცვასაც აქვს ანალოგიური შინაარსის შუამდგომლობა, ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, მიზანშეწონილია, მხარეთა მიერ დამატებითი მტკიცებულებების წარდგენისას შუამდგომლობები მათი დასაშვებობის თაობაზე სასამართლოს ერთად წარედგინოს და სასამართლომ ერთად იმსჯელოს ორივე მხარის მიერ დამატებით წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობაზე.

3. შუამდგომლობის დაყენებისას მხარე ვალდებულია, მიუთითოს რა გარემოებათა დასადგენადაა დაყენებული შუამდგომლობა. თუ მხარე ვერ მიუთითებს, რა კონკრეტული გარემოების დადგენას ემსახურება დაყენებული შუამდგომლობა, აღნიშნული შუამდგომლობა სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნება დაუსაბუთებლად და არ დაკმაყოფილდება.

მაგალითად, მკვლელის საქმეზე დაცვის მხარე ითხოვს ბრალდებულის ავადმყოფობის ისტორიის დართვას სისხლის სამართლის საქმეზე. ასეთ შემთხვევაში დაცვის მხარემ უნდა მიუთითოს, კონკრეტულად რა გარემოების დადგენას ემსახურება აღნიშნული მტკიცებულების სასამართლოში წარდგენა. კერძოდ, სასამართლომ ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა სასჯელის დანიშვნისას უნდა გაითვალისწინოს როგორც მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, თუ ამ ავადმყოფობის ისტორიით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი შემთხვევის დროს იწვა საავადმყოფოში და, შესაბამისად, ვერ იქნებოდა დანაშაულის ადგილას; თუ ბრალდებულის ავადმყოფობის ისტორია ადასტურებს იმ გარემოებას, რომ შემთხვევის დროს მას მიღებული აქვს სხვადასხვა სახის დაზიანება და მიღებული დაზიანებების ლოკალიზაცია და ხარისხი მიუთითებს, რომ მას ბრალად წარდგენილი ქმედება ჩადენილი აქვს აუცილებელი მოგერიების ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში ყველა ზემოთ განხილული გარემოება წარმოადგენს შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველს, თუმცა, ამავედროულად, მხარემ სასამართლოს ასევე უნდა დაუსაბუთოს იმ გარემოების არსებობა, რამაც დაცვის მხარეს ხელი შეუშალა აღნიშნული მტკიცებულების წარდგენაში წინასასამართლო სხდომაზე.

4. დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში სასამართლო მხარის შუამდგომლობით იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მის წარუდგენლობის მიზეზს. ასეთ შემთხვევაში მხარეს აკისრია ვალდებულება, დაამტკიცოს, რა საპატიო მიზეზით მოხდა აღნიშნული მტკიცებულების წარუდგენლობა მტკიცებულებათა დასაშვებობის სტადიაზე წინასასამართლო სხდომაზე.

იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვერ დაასაბუთებს ისეთი გარემოების არსებობას, რის გამოც მხარემ ვერ შეძლო აღნიშნული მტკიცებულების წინასასამართლო სხდომაზე წარდგენა, სასამართლო არ დააკმაყოფილებს მხარის შუამდგომლობას და წარმოადგენს დამატებით მტკიცებულებას დაუშვებლად ცნობს.

მაგალითად, დაცვის მხარემ საქმის არსებითი განხილვისას წარადგინა შუამდგომლობა,

- რომლითაც მოითხოვა იმ მოწმის დაკითხვა, რომელიც გამოძიების ეტაპზე ბრალდების მხარეს დაკითხული ჰყავდა, თუმცა აღნიშნული მოწმე ბრალდების მხარის მიერ არ იქნა შეყვანილი ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნუსხაში, მაშინ, როდესაც დაცვის მხარე, მაღალი ალბათობით, ვარაუდობდა აღნიშნული მოწმის დაკითხვას ბრალდების მხარის მიერ საქმის არსებითი განხილვისას. აღნიშნული გარემოება ვერ გახდება დაცვის მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი მითითებული მოწმის სასამართლო სხდომაზე დაკითხვის თაობაზე, რამდენადაც დაცვის მხარისთვის სასამართლოში კანონით დადგენილ ვადაში მტკიცებულებების წარდგენამდე ცნობილი იყო ამ მოწმის არსებობის შესახებ და თუ მხარეს მიაჩნდა, რომ აღნიშნული მოწმის ჩვენება წარმოადგენდა დაცვის მხარის მტკიცებულებას, მას თავად უნდა მოეთხოვა ამ მოწმის, როგორც დაცვის მოწმის, სასამართლოში დაკითხვა კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
- განვიხილოთ მეორე შემთხვევა, როდესაც დანაშაულის ერთ-ერთი თვითმხილველი მოწმის ვინაობა, ასევე, თავიდანვე ცნობილი იყო მხარეთათვის, თუმცა აღნიშნულმა მოწმემ შემთხვევის შემდეგ დატოვა ქვეყანა, გამოძიების ეტაპზე ვერ დადგინდა მისი ადგილსამყოფელი და იგი საქართველოში დაბრუნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმე არსებითად განსახილველად უკვე გადაცემული იყო სასამართლოსთვის. ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთათვის თავიდანვე ცნობილი იყო ამ პირის ვინაობა, მათ ფაქტობრივად არ ჰქონდათ შესაძლებლობა, აღნიშნული პირი წარედგინათ სასამართლოსთვის და მოეთხოვათ მისი სასამართლო სხდომაზე დაკითხვა. შესაბამისად, სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში მხარეს უნდა მისცეს შესაძლებლობა, აღნიშნული მოწმე წარადგონოს სასამართლოში დაკითხვის მიზნით.
5. ყოველი ასეთი შუამდგომლობის განხილვისას სასამართლომ ჯეროვნად უნდა შეაფასოს, არის თუ არა არსებითად მნიშვნელოვანი იმ მტკიცებულების გამოკვლევა, რომელიც მტკიცებულების დასაშვებობასაც მხარე შუამდგომლობს, იმის გათვალისწინებით, რომ არ იქნეს დარღვეული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, თვითონ დაკითხოს ან დააკითხინოს მისი ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში.
- ამასთან, კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ბრალდებულს არ ანიჭებს აბსოლუტურ უფლებას, მოიწვიოს ყველა მოწმე და აიძულოს ეროვნული სასამართლო, მოუსმინოს მათ. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ადგენს მტკიცებულებათა, მათ შორის, მოწმეთა საქმის არსებით განხილვაზე დაშვების პირობებს, რისი გათვალისწინებითაც სასამართლოს შეუძლია, უარი უთხრას დაცვის მხარეს მოწმის მოწვევის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ, სავარაუდოდ, მის ჩვენებას არსებითი მნიშვნელობა არ ექნება. აღნიშნული საკითხი კი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე შესაფასებელ გარემოებას წარმოადგენს.
6. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, სსსკ-ის 239-ე მუხლის საფუძველზე დაშვებული დამატებითი მტკიცებულებების უმეტესობას წარმოადგენს მხარეთა მიერ ჩატარებული ექსპერტიზების დასკვნები და ამ ექსპერტიზების ჩამტარებელ პირთა ჩვენებები. სხვა სახის მტკიცებულებების დასაშვებად ცნობის შესახებ შუამდგომლობები საკმაოდ იშვიათია. აღნიშნული გარემოება, ერთი მხრივ, შესაძლოა მიუთითებდეს მხარეთა მაქსიმალურ მობილიზებაზე, რომ წინასასამართლო სხდომამდე სრულად მოიძიონ და ამოწონონ სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებები, ან პირიქით, მათ არასათანადო მობილიზებაზე, რომ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე სრული მოცულობით აწარმოონ ინფორმაციის მოძიება და სასამართლოში წარდგენა.
7. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მხარის შუამდგომლობას და წარდგენილ დამატებით მტკიცებულებას დასაშვებად ცნობს, მოსამართლე გადადებს საქმის

განხილვას, თუ მხარეს თავისი პოზიციის მოსამზადებლად დამატებითი დრო ესაჭიროება. საქმის განხილვა გადაიდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გონივრული ვადით, რაც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ მხარემ დამატებითი მტკიცებულების შესწავლა, მისი საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან ერთობლიობაში გაანალიზება და შესავალი სიტყვისთვის მომზადება უზრუნველყოს.

8. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტი გამოაქვთ ერთადერთ საკითხზე, პირი დამნაშავეა თუ არა. მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში განიხილება ნაფიცი მსაჯულების გარეშე სხდომის თავმჯდომარის მიერ იმავე წესით, რა წესითაც მოსამართლე მხარის შუამდგომლობას იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გარეშე.
9. საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე სასამართლო განიხილავს, ასევე, მხარის შუამდგომლობას ახალი მტკიცებულების მოპოვების თაობაზე. აღნიშნული შუამდგომლობა არსებითად განსხვავდება ამავე სტადიაზე განსახილველი შუამდგომლობისგან, რა დროსაც მხარე შუამდგომლობს უკვე მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე წარდგენილი მტკიცებულების დასაშვებად ცნობას, მაშინ, როდესაც ამ შემთხვევაში მხარე სასამართლოსგან ითხოვს ნებართვას ახალი მტკიცებულების მოპოვების თაობაზე, რაც შესაძლოა იყოს ჩხრეკის, ამოღების, დათვალიერების ან სხვა საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედების ჩატარების შედეგად მოსაპოვებელი მტკიცებულება.

მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ ასეთი შემთხვევა: საქმის არსებითი განხილვისას ერთ-ერთი მონმის ჩვენების შედეგად ცნობილი გახდა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე მანამდე უცნობი დეტალი, კერძოდ, ბრალდებულმა დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე მონმეს აჩუქა პერსონალური კომპიუტერი, რომლითაც მანამდე ბრალდებული სარგებლობდა და მის საკუთრებას წარმოადგენდა. მართალია, მონმის ჩვენების თანახმად, აღნიშნულ პერსონალურ კომპიუტერში ნაშლილი იყო ბრალდებულის მიერ შექმნილი ყველა ფაილი, თუმცა მხარეს გაუჩნდა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველი, რომ შესაძლოა აღნიშნულ ნოუტბუქში ყოფილიყო საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია, რომლის აღდგენაც შესაძლებელი იქნებოდა ექსპერტთა მონაწილეობით, რისთვისაც აუცილებელი იყო ამ ნოუტბუქის ამოღება მონმისგან, რის გამოც მხარემ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა აღნიშნული ნოუტბუქის ამოღების შესახებ. ასეთ შემთხვევაში მხარემ უნდა დაასაბუთოს, რატომ ვერ იქნა მის მიერ ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მანამდე მოპოვებული და ობიექტურად რამდენად შეუძლებელი იყო ამ ინფორმაციის მანამდე მოპოვება. თუ მხარე დაამტკიცებს, რომ მანამდე ობიექტურად ვერ შეძლებდა ამ ინფორმაციის მოპოვებას, სასამართლო დააკმაყოფილებს მხარის შუამდგომლობას ახალი მტკიცებულების მოპოვების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მტკიცებულების მოპოვება ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილი წესით, ისევე, როგორც გამოძიების ეტაპზე.

10. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 239-ე მუხლით გათვალისწინებული განსახილველი შუამდგომლობების არსებობის საკითხს მოსამართლე არკვევს შესავალი სიტყვების მოსმენამდე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ გამორიცხავს ამ სახის შუამდგომლობების მომდევნო ეტაპზე განხილვასაც, თუკი იარსებებს მათი განხილვისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გარემოებები. მაგალითისთვის შესაძლებელია განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ერთ-ერთმა მონმემ ჩვენების მიცემისას მიუთითა პირზე, რომლის არსებობის შესახებაც მანამდე მხარეთათვის ცნობილი არ იყო და მის ჩვენებას საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად არსებითი მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს მისი სასამართლო სხდომაზე მონმის სახით წარდგენის და დაკითხვის შესაძლებლობა.
11. სსსკ-ის 239-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებების, ისევე, როგორც წინასა-

სამართლო სხდომაზე დამტკიცებულ ნუსხაში მითითებული მტკიცებულებების გამოკვლევა ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ზოგადი წესის დაცვით, რომელსაც განსაზღვრავს სსსკ-ის 242-ე მუხლი, საქმის სასამართლოში განხილვის თავისებურებების გათვალისწინებით, ორივე მხარის მონაწილეობით.

#### **მუხლი 240. საქმის განხილვა პროცესის მონაწილეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში**

1. პროცესის რომელიმე მონაწილის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ამ კოდექსით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას საქმის არსებითი განხილვის გაგრძელების ან გადადების შესახებ. არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სხდომის თავმჯდომარე პროცესის მონაწილეს განკარგულებით აკისრებს ჯარიმას 100 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით, რაც მას არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისაგან. ეს განკარგულება არ გასაჩივრდება. მხარეს უფლება აქვს, მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა გამოძახებული პირის იძულებით მიყვანის თაობაზე.

2. საქმის არსებითი განხილვის გადადების შემთხვევაში სასამართლო მხარეებს ჰკითხავს გამოცხადებული მონაწილის დაკითხვის შესაძლებლობაზე. ამ წესით დაკითხულ მონაწილეს მხარის შუამდგომლობით გამოიძახებენ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.

1. აღნიშნული ნორმა ადგენს, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მხარეთა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობას.
2. პირველ რიგში, პროცესის რომელიმე მონაწილის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, გააგრძელებს თუ გადადებს საქმის განხილვას. ამ დროს მნიშვნელოვანია პროცესის რომელი მონაწილე არ გამოცხადდა სასამართლოში, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მისაღებად.
3. სსსკ-ის 190-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პროკურორის გამოუცხადებლობისას სასამართლო გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა, რასაც აცნობებს საქართველოს მთავარ პროკურატურასა და ზემდგომ პროკურორს, რომელიც ვალდებულია მომდევნო სხდომაზე უზრუნველყოს პროკურორის მონაწილეობა, ასევე, სასამართლოს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი.

აღნიშნული მუხლის ნაწილი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ პროკურორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო სხდომა უნდა გადაიდოს, რაც ნიშნავს, რომ პროკურორის მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვა არ უნდა გაგრძელდეს. იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია პროკურორის გამოუცხადებლობის მიზეზი, სასამართლო იმავე სხდომაზე მიიღებს გადაწყვეტილებას, გამოიყენებს თუ არა პროკურორის მიმართ სათანადო სანქციას ჯარიმის სახით. თუ პროკურორი მონაწილეობას იღებს სხვა საქმის განხილვაში, მან წინასწარ უნდა შეატყობინოს სასამართლოს ამის შესახებ, რაც ობიექტურად წარმოადგენს საპატიო მიზეზს და გამორიცხავს მის დაჯარიმებას გამოუცხადებლობის გამო. ასეთივე საპატიო მიზეზი შეიძლება იყოს სემინარში ან ტრენინგში მონაწილეობა, მივლინება და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი მომდევნო სასამართლო სხდომაზე არ წარადგენს მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს, სასამართლო იმსჯელებს მის მიმართ ჯარიმის დაკისრებაზე. ანალოგიურად ხდება ადვოკატის გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც.

4. ადვოკატის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგებს განსაზღვრავს სსსკ-ის 190-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად, თუ ადვოკატი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, სასამართლო ბრალდებულის დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფოს ხარჯზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა. ამავე მუხლით არის მოწესრიგებული ადვოკატის მომდევნო სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგე-

ბიკ. 628

ამდენად, ადვოკატის გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც (მსგავსად პროკურორის გამოუცხადებლობის შემთხვევისა) საქმის განხილვა გადაიდება და საქმის განმხილველი მოსამართლე მიიღებს გადაწყვეტილებას გამოუცხადებელი ადვოკატის მიმართ ჯარიმის გამოყენება-არგამოყენების თაობაზე. გამონაკლისია, როდესაც საქმე განიხილება ორი ან მეტი ბრალდებულის მიმართ და რომელიმე მათგანის ადვოკატი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია სხდომის გაგრძელება სხვა ბრალდებულთა მიმართ, თუ ამით არ შეილახება ბრალდებულის ინტერესები და გავლენას არ მოახდენს მტკიცებულებების გამოკვლევის სისრულესა და ობიექტურობაზე, რაც, ცალკეული კონკრეტული შემთხვევების საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად შესაფასებელი საკითხია. მაგალითად, თუ ბრალდებულებს აბსოლუტურად იდენტური ბრალი აქვთ წარდგენილი, მაშინ, ცხადია, საქმის განხილვის გაგრძელება ერთი ბრალდებულის მიმართ მეორე ბრალდებულის ინტერესებზეც აუცილებლად მოახდენს გავლენას.

5. განსხვავებით ზემოთ განხილული შემთხვევებისა, ბრალდებულის გამოუცხადებლობა ყველა შემთხვევაში არ იწვევს სასამართლო სხდომის გადადებას ან ბრალდებულის დაჯარიმებას სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო. სსსკ-ის 189-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დასაშვებია ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა, თუ იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვაში სავალდებულოა ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაპატიმრებული ბრალდებული სასამართლო სხდომაზე არ იქნა წარმოდგენილი ტრანსპორტირების განუხორციელებლობის გამო, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა, რის თაობაზეც უნდა ეცნობოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორს, რომელიც ვალდებულია, მომდევნო სხდომაზე უზრუნველყოს ბრალდებულის წარმოდგენა და სასამართლოს აცნობოს ბრალდებულის ტრანსპორტირების განუხორციელებლობის მიზეზი.
6. მხარეთა გამოუცხადებლობის გამო მათ მიმართ ჯარიმის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელია საქართველოს სსსკ-ის 185-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით მხარეთათვის მინიჭებული უფლების გათვალისწინება, რომელიც მათ უფლებას ანიჭებს, სასამართლოს წინასწარ მიმართონ დასაბუთებული შუამდგომლობით სასამართლო განხილვის სხდომის თარიღის შეცვლის (დადგენილ თარიღზე ადრე ან გვიან დანიშვნის) შესახებ.<sup>629</sup> ვფიქრობთ, თუ მხარეს ჰქონდა საკმარისი დრო იმისათვის, რომ მიემართა სასამართლოსთვის და მოეთხოვა დადგენილი თარიღის შეცვლა და მან არ ისარგებლა ამ უფლებით, მისი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა არ უნდა ჩაითვალოს საპატიოდ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება თავად გამოუცხადებლობის მიზეზი, თავის მხრივ, მართლაც საპატიო იყოს.
7. მხარეთა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა პირდაპირ კავშირშია როგორც პროცესის გაჭიანურებასთან, ასევე, სასამართლოს და სახელმწიფოს მიერ განეულ ზედმეტ ხარჯებთან, რამდენადაც პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის ხელახლა ბადრაგირება დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ დამატებითი ხარჯების განეგასთან ბრალდებულის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულით კი ზიანდება როგორც სახელმწიფოს, ისე, პროცესის მონაწილე კერძო პირთა ინტერესები. სწორედ ზემოთ მითითებული მოცემულობების შეფასების საფუძველზე იღებს სასამართლო გადაწყვეტილებას ჯარიმის დაკისრების და მისი ოდენობის განსაზღვრისას კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში, რაც შეადგენს ჯარიმას 100-დან 500 ლარამდე ოდენობით. მოსამართლის განკარგულება ჯარიმის დაკისრების შესახებ არ საჩივრდება. ამასთან,

<sup>628</sup> იხ., სსსკ-ის 190-ე მუხლის კომენტარი.

<sup>629</sup> იხ., სსსკ-ის 185-ე მუხლის კომენტარი.

- ჯარიმის დაკისრება მხარეს არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისგან.
8. მითითებული მუხლი პროცესის მონაწილე მხარეს უფლებას აძლევს, დააყენოს შუამდგომლობა პირის იძულებით მიყვანის თაობაზე. პირი, რომელსაც კანონით დადგენილ შემთხვევებში იძახებს სასამართლო, ვალდებულია გამოცხადდეს ზუსტად დანიშნულ დროს და ადგილას. გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი შეიძლება იძულებით მიიყვანონ. პირის იძულებით მიყვანის შესახებ შუამდგომლობის გადაწყვეტის და მისი აღსრულების წესი მონესრიგებულია სსსკ-ის 149-ე და 150-ე მუხლებით.
  9. სსსკ-ის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს საქმის არსებითი განხილვის გადადების შემთხვევაში, მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით, გამოცხადებული მოწმის დაკითხვის შესაძლებლობასაც. ამ წესით დაკითხულ მოწმეს მხარის შუამდგომლობით გამოიძახებენ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.  
უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნორმის პრაქტიკაში გამოყენება არ ხდება. სასამართლო პრაქტიკაში ვერ იქნა მოძიებული მოწმის ამ წესით დაკითხვის ვერც ერთი ფაქტი. აღნიშნული განპირობებულია თავად ნორმის ბუნდოვანებით, რომელიც ითხოვს მხარეთა პოზიციების გარკვევას გამოცხადებული მოწმის დაკითხვის შესაძლებლობაზე, მაშინ, როდესაც ერთი მხარე სავარაუდოდ გამოცხადებული არ არის, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ პროცესში მონაწილეობს ორივე მხარე, მაშინ გაუგებარია საერთოდ სხდომის გადადების მიზეზი პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობის მოტივით. რაც შეეხება ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხვა ბრალდებულთა მიმართ საქმის განხილვის გაგრძელების შესაძლებლობას, აღნიშნული საკითხი მონესრიგებულია სსსკ-ის 190-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რის შესახებაც ზემოთ უკვე აღინიშნა.  
ამასთან, თუ დაცვის მხარე, კერძოდ, ბრალდებული ან ადვოკატი, საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა სხდომაზე და მისი მონაწილეობის გარეშე დაიკითხა გამოცხადებული მოწმე, ვფიქრობთ, აღნიშნული გამოიწვევს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლების დარღვევას, რომლის თანახმადაც, ყოველ ბრალდებულს აქვს უფლება, თვითონ დაჰკითხოს ან დააკითხინოს მისი ბრალდების მოწმეები. აღნიშნული უფლების შეზღუდვა დაუშვებელია. დაცვის მხარეს უნდა მიეცეს ამ უფლების რეალურად განხორციელების შესაძლებლობა.

## მუხლი 241. მხარეთა შესავალი სიტყვები

1. სხდომის თავმჯდომარე ბრალდების მხარეს უფლებას აძლევს, წარადგინოს ბრალდების შესავალი სიტყვა. ამის შემდეგ ადვოკატსა და ბრალდებულს ეძლევათ უფლება, წარადგინონ დაცვის შესავალი სიტყვა.
  2. სხდომის თავმჯდომარე მხარეს შესავალი სიტყვის წარსადგენად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.
1. მტკიცებულებათა გამოკვლევის დაწყებამდე მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, სასამართლოს წინაშე წარდგინონ შესავალი სიტყვებით. შესავალი სიტყვით სასამართლოს წინაშე წარდგომა ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია მხარეთათვის. ეს არის პირველი ეფექტი, პირველი შთაბეჭდილება, რაც მხარემ უნდა მოახდინოს სასამართლო შემადგენლობაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორ წარადგინონ მხარეები შესავალ სიტყვებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე, რამდენადაც მხარეთა მიერ წარმოთქმული შესავალი სიტყვები ნაფიც მსაჯულებს შეუქმნის თავდაპირველ განწყობას საქმისადმი (განსხვავებით მოსამართლისგან, რომელიც წინასწარ გაცნობილია საქმის მასალებს) და მხარეთა მიერ ნაფიც მსაჯულებზე მოხდენილი პირველი შთაბეჭდილება მათ გაჰყვება მთელი სასამართლო პროცესის განმავლობაში.



შესავალი სიტყვა შედგება სამი ასპექტისგან:

I. ეს არის თემა, ერთი ან ორი წინადადებისგან შემდგარი განცხადება, რომელიც აჯამებს თუ რას ეხება საქმე და მოსამართლეს (ნაფიც მსაჯულს) უქმნის ფსიქოლოგიურ საყრდენს. შესავალი სიტყვის დასაწყისში კარგად მიწოდებული თემა ხანგრძლივი დროის განმავლობაში რჩება მოსამართლის (ნაფიც მსაჯულის) გონებაში.

მაგალითად, ეს შეიძლება იყოს პროკურორის სიტყვები: „ეს არის საქმე სასტიკი შურისძიების შესახებ“, ან ადვოკატის სიტყვები: „ეს არის საქმე, რომელიც კარგად დაგვანახებს, როგორ შეიძლება დანაშაული დააბრალო ადამიანს, რომელიც თავად არის დაზარალებული“. ამ სიტყვების მოსმენისას მოსამართლე (მსაჯული) უკვე განწყობილია, მოისმინოს ამბავი ბრალდებულის სასტიკი შურისძიების შესახებ ან დაზარალებული ადამიანის ისტორია.

II. ეს არის ამბავი, ისტორია, რომელსაც მხარე სთავაზობს სასამართლოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში, ანუ ეს არის მხარის ვერსია მომხდარის თაობაზე. ეს ისტორია გადმოცემული უნდა იყოს ლოგიკურად, მარტივად და გასაგებად და არ უნდა იყოს ძალიან ვრცელი, რომ არ გახდეს მოსასმენად მოსაწყენი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საქმე თავისი მოცულობითა და კომპლექსურობით ამას მოითხოვს.

შესავალი (ისევე, როგორც დასკვნითი) სიტყვის წარმოთქმისას მხარეები ხშირად მიმართავენ სასცენო ხელოვნების ელემენტებს, რაც გამოიხატება გარკვეული ფაქტების დრამატულად წარმოჩენაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ის აუდიტორია, ვისზეც მხარე ცდილობს შთაბეჭდილების მოხდენას. როდესაც საქმეს მხოლოდ მოსამართლე იხილავს, ზედმეტი დრამატულობა საჭირო არ არის, ეს უფრო წარმატების მომატანია ნაფიც მსაჯულებზე ეფექტის მოსახდენად.

შესავალი სიტყვის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მხარეებმა მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის დაწყებამდე სასამართლოს წინაშე წარმოაჩინონ ის მთავარი საკითხები, რაზეც მომავალში აპირებენ ყურადღების გამახვილებას, ეს არის ერთგვარი მომზადება მოსამართლის (ნაფიც მსაჯულების) იმისათვის, თუ რის მოსასმენად უნდა იყვნენ მზად, რაზე უნდა იქნეს გამახვილებული მათი ყურადღება და რა გარემოებების და ფაქტების დამტკიცებას აპირებენ მხარეები სასამართლოს წინაშე.

შესავალი სიტყვა უნდა შემოიფარგლოს მტკიცებულებებით, რომლებიც, მხარის აზრით, მოწმეთა ჩვენებებში იქნება მითითებული და საქმეში წარმოდგენილი ნივთიერი მტკიცებულებებით.

III. შესავალი სიტყვის მესამე ასპექტი ეს არის ვერდიქტის მოთხოვნა სასამართლოსადმი, თუ რა ვერდიქტის გამოტანას ელიან მხარეები სასამართლოსგან.

2. სასამართლოს წინაშე შესავალი სიტყვით პირველად წარდგება ბრალდების მხარე, პროკურორი, რომელიც თავის სიტყვაში წარმოაჩენს, თუ რაშია ბრალდებული პირი, რა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები ადასტურება ამ პირის მიერ ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენას და აღნიშნულის დამადასტურებელი რა მტკიცებულებები აქვს ბრალდებას სასამართლოში წარდგენილი, რომელთა გამოკვლევასაც გეგმავს.
3. პროკურორის გამოსვლის შემდეგ სასამართლოს წინაშე წარდგებიან ადვოკატი (მისი მონაწილეობის შემთხვევაში) და ბრალდებული. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის ინტერესებს იცავს რამდენიმე ადვოკატი, ყველა მათგანს აქვს შესავალი სიტყვის წარდგენის უფლება. ამ მხრივ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არანაირ შეზღუდვას არ ადგენს.
4. მოსამართლე მხარეებს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას შესავალი სიტყვის წარსადგენად. ვადის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს საქმის სირთულეს, ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმეს, მის შინაარსს, ეპიზოდების და პროცესის მონაწილეთა რაოდენობას.

როგორ წესი, შესავალი სიტყვის ხანგრძლივობა შეადგენს 15-30 წუთს. აღნიშნული დრო სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მხარემ ეფექტურად გადმოსცეს შესავალი სიტყვის

შემცველი ყველა არსებითი ელემენტი.

5. მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენად არის მხარე ვალდებული, სასამართლოს წარუდგინოს შესავალი სიტყვა, რამდენადაც, აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სხდომის თავმჯდომარე მხარეებს (ჯერ – ბრალდების, შემდეგ – დაცვის) უფლებას აძლევს, წარადგინოს შესავალი სიტყვა, თუმცა მისი წარდგენა არ წარმოადგენს მხარის ვალდებულებას. ამ მხრივ საინტერესოა მოსაზრება, რომ ბრალდების მხარემ შესავალი სიტყვა აუცილებლად უნდა წარმოთქვას, ხოლო დაცვის მხარე არ არის ვალდებული, იგივე გააკეთოს, რაც ახსნილია იმით, რომ შესაძლოა დაცვის მხარემ არ იცოდეს წინასწარ, როგორი იქნება მისი დაცვის სტრატეგია და რა სტრატეგიას განავითარებს ის პროცესის მიმდინარეობისას. თუმცა, სასურველია, დაცვა წინასწარ კარგად იყოს მომზადებული და წინასწარ ჰქონდეს არჩეული დაცვის სტრატეგია, რათა არ გამოტოვოს სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, მოახდინოს პირველი შთაბეჭდილება სასამართლოზე, რაც ხანგრძლივი ხასიათისაა.

## მუხლი 242. მტკიცებულებათა გამოკვლევის ზოგადი წესი

1. მტკიცებულებათა გამოკვლევა იწყება მხარეების მიერ შესავალი სიტყვების წარდგენის შემდეგ.
2. პირველად იკვლევენ ბრალდების მხარის, ხოლო შემდეგ – დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს. გამოსაკვლევად წარდგენილ მტკიცებულებათა რიგითობასა და მოცულობას განსაზღვრავს თვით წარმდგენი მხარე.
3. ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს დაცვის მხარე, ხოლო დაცვის მხარის წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში – ბრალდების მხარე.

1. აღნიშნული ნორმის მიზანია მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის თანმიმდევრობის დადგენა, რაც სასამართლოს ხელს უწყობს სხდომის მიზანსწრაფულად და ეფექტურად წარმართვაში.
2. მტკიცებულებათა გამოკვლევა იწყება მხარეთა მიერ შესავალი სიტყვების წარდგენის შემდეგ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმის თანახმად, პირველად უნდა მოხდეს ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა, ხოლო შემდგომ – დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა. რაც შეეხება მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების რიგითობას, მათ თანმიმდევრობას განსაზღვრავს თავად მხარე და თავისი შეხედულებისამებრ წარადგენს სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებებს. მხარეები მოწმეთა გამოძახების თანმიმდევრობის განსაზღვრისას თავად ირჩევენ სტრატეგიას, რა უმჯობესია, თავდაპირველად უფრო ძლიერი მოწმეების გამოძახება, ხოლო შემდგომ უფრო ნაკლებად საინტერესო და ნაკლებად გაფლენიანი მოწმეების დაკითხვა, თუ ყველაზე ძლიერი მოწმეების ბოლოს გამოძახება. ამ მხრივ სასამართლო არ არის უფლებამოსილი, რაიმე სახის ცვლილება განახორციელოს მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების თანმიმდევრობასა და მოცულობაში, თუმცა სასამართლო უფლებამოსილია, მხარეებს განუსაზღვროს ვადები, თუ რა ვადაში უნდა უზრუნველყონ მხარეებმა მტკიცებულებების სასამართლოსთვის გამოსაკვლევად წარდგენა.
3. ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს დაცვის მხარე, ხოლო დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში – ბრალდების მხარე. პირველად წარდგენილ მტკიცებულებებს იკვლევს მტკიცებულების წარმდგენი მხარე, ხოლო ამის შემდგომ უკვე მტკიცებულებას იკვლევს მეორე მხარე.
4. უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი სისხლის სამართლის პროცესი არ ითვალისწინებს მოსამართლის აქტიურ ჩართულობას წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაში, რაც განპირობებულია იმით, რომ სსსკ-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია მხარეთა შე-

- ჯიბრებითობა, რის საფუძველზეც სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა, ვინაიდან მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეთა კომპეტენციაა. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს მოსამართლისთვის უფლებამოსილების მინიჭება, მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, ისიც, იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.
5. მართალია, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მტკიცებულებათა მოპოვება და სასამართლოში წარდგენა ნამდვილად მხარეთა კომპეტენციას წარმოადგენს და, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც აუცილებელია სასამართლოს ნებართვა ცალკეული საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად, სასამართლო არ უნდა ერეოდეს მტკიცებულებების მოპოვებაში, თუმცა უკვე მოპოვებული და სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაში მოსამართლის როლის ამგვარი შეზღუდვა, რომ მხოლოდ ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში ეძლევა ერთადერთი შეკითხვის დასმის უფლება, მიზანშეწონილი არ არის და აკნინებს მოსამართლის როლს, რომელიც უმთავრეს ფიგურას წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელებაში.

### **მუხლი 243. მოწმის დეპონირებული ჩვენების გამოკვლევა და მისი დისტანციური დაკითხვა**

1. გამოძიების დროს მოწმის დეპონირებული ჩვენების სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა, ასევე, მისი ჩვენების აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება) დასაშვებია, თუ მოწმე გარდაიცვალა, არ იმყოფება საქართველოში, მისი ადგილსამყოფელი უცნობია ან ამონაურულია მისი სასამართლოში წარმოდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა და ჩვენება მიცემულია ამ კოდექსით დადგენილი წესით.
  2. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოწმე აიძულეს, დაემუქრნენ, დააშინეს ან მოისყიდეს და მიცემულ ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობაა, მხარეს უფლება აქვს, დააყენოს შუამდგომლობა მოწმის ჩვენების საჯაროდ წაკითხვის, ასევე მისი აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენის (დემონსტრირების) თაობაზე ამ მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნის დაუცველად. არ შეიძლება მხოლოდ ეს მტკიცებულება დაედოს საფუძველად გამამტყუნებელ განაჩენს.
  3. მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადანყვეტილებით შესაძლებელია მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან, რაც წინასწარ ეცნობება მხარეებს.
  4. თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმე ან მსხვერპლია, მისი ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის შემთხვევაში იგი უნდა დაიკითხოს ამ მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული წესით. (ამოღებულია 2016 წლის 1 იანვრიდან)
1. აღნიშნული ნორმის მიზანია, ზუსტად განსაზღვროს, რა შემთხვევაშია შესაძლებელი მოწმის დეპონირებული ჩვენების გამოკვლევა სასამართლო სხდომაზე.
  2. დეპონირებული ჩვენება არის მოწმის მიერ გამოძიების დროს მაგისტრი მოსამართლისთვის მიცემული ჩვენება (დეპონირებული ლათინური სიტყვაა და ნიშნავს: დადებას, წინასწარ შეტანას).
- სსსკ-ის 114-ე მუხლის ადგენს, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი მოწმის გამოძიების ეტაპზე დაკითხვა (იხ. აღნიშნული მუხლის კომენტარი),<sup>630</sup> სსსკ-ის 243-ე მუხლი კი ადგენს, რა შემთხვევაშია შესაძლებელი ამ წესით მიღებული ჩვენების საქმის არსებითი განხილვის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა, ასევე, მისი ჩვენების აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება).
- ეს შემთხვევებია, როდესაც:

<sup>630</sup> იხ., სსსკ-ის 114-ე მუხლის კომენტარი.

- მონმე გარდაიცვალა;
  - არ იმყოფება საქართველოში;
  - მისი ადგილსამყოფელი უცნობია ან ამოწურულია მისი სასამართლოში წარმოდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა.
3. მონმის გარდაცვალების შემთხვევაში, მხარემ, რომლის მტკიცებულებასაც წარმოადგენს გარდაცვლილი მონმის ჩვენება, სასამართლოს უნდა წარუდგინოს მონმის გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი, ამონაწერი სამოქალაქო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება აღნიშნული პირის გარდაცვალების ფაქტი. აღნიშნული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს გარდაცვლილი მონმის ჩვენების საჯაროდ წაკითხვა, ასევე, მისი ჩვენების აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის დემონსტრირება.
  4. ანალოგიურად მოხდება მონმის დეპონირებული ჩვენების გამოქვეყნება, თუკი სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას ვერ მოხდება მონმის ადგილსამყოფელის დადგენა და მისი სასამართლოში წარდგენა. სხვა საკითხია, როდესაც მონმე არ იმყოფება საქართველოში, თუმცა ცნობილია მისი ადგილსამყოფელი. ასეთ შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია, სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოს როგორც ამ მონმის გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების საჯაროდ წაკითხვა, ასევე, უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ მონმის დისტანციური დაკითხვა, თუკი ამის ტექნიკურად უზრუნველყოფა არ წარმოადგენს სირთულეს.
  5. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ასევე, ის გარემოება, თუ რამდენი ხნით არის მონმე წასული საქართველოდან. თუკი ეს არის დროის მცირე მონაკვეთი და საქმის არსებითი განხილვის გონივრულ ვადაში შესაძლებელია მონმის სასამართლო სხდომაზე წარდგენა, უმჯობესი იქნება, თუ მონმეს მიეცემა შესაძლებლობა, წარდგეს სასამართლო სხდომაზე და ისე მისცეს ჩვენება. იმ შემთხვევაში, თუ მონმე დიდი ხნის მანძილზე ვერ დაბრუნდება საქართველოში და მისი დალოდება გამოიწვევს საქმის განხილვის გაჭიანურებას, უმჯობესია მოხდეს მისი ჩვენების გამოქვეყნება ან დისტანციური დაკითხვა.
  6. მონმის უშუალოდ სასამართლო სხდომაზე დაკითხვა მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას მხარეებს შესაძლებლობა აქვთ, თვალი ადევნონ მონმის ქმედებას, მის ქცევას კონკრეტული შეკითხვის დასმისას და პასუხის გაცემისას დასამულ შეკითხვაზე, აკონტროლონ მისი ხმის ტემბრი, სახის მიმიკა და ა.შ.
  7. მხარეს უფლება აქვს, მონმის ჩვენების საჯაროდ წაკითხვის, ასევე, მისი აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენის (დემონსტრირების) თაობაზე შუამდგომლობა დააყენოს იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მონმე აიძულეს, დაემუქრნენ, დააშინეს ან მოისყიდეს და მიცემულ ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობაა. ამ შემთხვევაში სასამართლო ხელმძღვანელობს დასაბუთებული ვარაუდის სატანდარტით, ანუ სახეზე უნდა იყოს ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რომ დაესკვნა მონმეზე განხორციელებული ზეგავლენის შესაძლო მოხდენა. ასეთ შემთხვევაში მონმის ჩვენების დემონსტრირება ხდება სსსკ-ის 243-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის დაუცველად.
  8. მართალია, მონმეზე სავარაუდო ზემოქმედების განხორციელების გამო კანონმდებელი ადგენს გამონაკლისს ზემოთ მითითებული ნორმიდან, თუმცა ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ მხოლოდ ეს მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს.
  9. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი ისედაც ადგენს სტანდარტს, რომ გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, კანონმდებელმა მაინც საჭიროდ მიიჩნია იმაზე ხაზგასმა, რომ მხოლოდ ამ წესით გამოქვეყნებული მონმის დეპონირებული ჩვენება არ შეიძლება გახდეს გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის სა-

ფუძველი.

10. ყველა შემთხვევაში, როდესაც ხდება მონმის დეპონირებული ჩვენების სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა, ასევე, მისი ჩვენების აუდიო– ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება), აღნიშნული ჩვენება მიცემული უნდა იყოს სსსკ-ის 114-ე მუხლით დადგენილი წესით.
11. მონმის დისტანციური დაკითხვის შესაძლებლობას იძლევა სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-4 ნაწილი. ამ შემთხვევაში მონმის დისტანციური დაკითხვა ხორციელდება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან, რაც წინასწარ ეცნობება მხარეებს. მონმის დისტანციური დაკითხვა ხორციელდება ჩვეულებრივ, მონმის დაკითხვის დადგენილი წესის შესაბამისად.
12. მონმის დისტანციური დაკითხვის მოთხოვნის უფლებით სარგებლობენ არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი, როდესაც არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მონმე ან მსხვერპლია. აღნიშნული ემსახურება იმ მიზანს, რომ არასრულწლოვანი მსხვერპლი ან არასრულწლოვანი მონმე არ მოექცნენ სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფი მოძალადე ბრალდებულის ზემოქმედების ქვეშ. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად კანონმდებელი არასრულწლოვანს აძლევს შესაძლებლობას, დაიკითხოს პროცესის მონაწილეთაგან განცალკევებით, თუმცა მათი მონაწილეობით.

#### **მუხლი 244. პირდაპირი დაკითხვა**

1. პირდაპირ დაკითხვას აწარმოებს მხარე, რომელმაც დასაკითხი მონმე გამოიძახა.
  2. პირდაპირი დაკითხვისას დაუშვებელია პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა. მხარეს უფლება აქვს, დააყენოს შუამდგომლობა მიმანიშნებელი შეკითხვის განრიდების ან/და ასეთი შეკითხვისა და მასზე პასუხის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.
  3. შეკითხვის (შეკითხვების) დასასმელად და დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად სხდომის თავმჯდომარე მხარეს (მონმეს) განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.
1. მონმის პირდაპირი დაკითხვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტადიაა სისხლის სამართლის პროცესში. პირდაპირი დაკითხვის დროს ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს თავად მონმე და არა მხარე, რომელიც პირდაპირ დაკითხვას აწარმოებს.
  2. პირდაპირ დაკითხვას აწარმოებს მხარე, რომელმაც დასაკითხი პირი გამოიძახა. ძალზედ მნიშვნელოვანია, მხარემ ზუსტად განსაზღვროს, რა მნიშვნელოვან საკითხებზე სურს ყურადღების გამახვილება და მონმეს არ ათქმევინოს ყველაფერი, რაც მისთვის ცნობილია. შესაძლოა, მონმემ ბევრი რამ იცოდეს, მაგრამ მათგან მნიშვნელოვანი იყოს მხოლოდ რამდენიმე. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს თავად ბრალდების არსს, თუ რაში ედება პირს ბრალი და რა გარემოებებია მნიშვნელოვანი ამ ბრალდების დასამტკიცებლად ან უარსაყოფად. მაგალითად, როდესაც სახეზეა მკვლელობა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს ბრალდებულის მაისურის ფერი, რომელიც მას ეცვა შემთხვევის დროს, თუკი თვითმხილველი სწორედ მაისურის ფერის მიხედვით მიუთითებს მკვლელობის ჩამდენ პირზე და მისთვის უცნობია ამ პირის ვინაობა. სხვა შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც სახეზეა ოჯახური ძალადობის ფაქტი, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რა ფერის მაისური ეცვა შემთხვევის დროს ბრალდებულს ან დაზარალებულს.
  3. პირდაპირი დაკითხვა უნდა იყოს ისეთივე შთამბეჭდავი, როგორც სასამართლო პროცესის სხვა შემადგენელი ნაწილები. ზოგადად, სასურველია, მონმეები მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაიკითხონ. როგორც წესი, მხარეები მონმის დაკითხვას იწყებენ მათი პირადი მონაცემების დადგენით. იმ შემთხვევაში, თუ მონმის სახით იკითხება ექსპერტი, მნიშვნელოვანია მისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

4. მხარემ მოწმის დაკითხვისას უნდა არეგულიროს დაკითხვის ტემპი, ყურადღება უნდა გაამახვილოს მისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მოქმედება, რომელსაც მოწმე აღწერს, სულ რაღაც წამები გრძელდებოდა, მხარემ უნდა შეძლოს მისი შენელებულ მოქმედებაში წარმოჩენა, სასამართლოს უნდა მიანოდოს თითოეული დეტალი და ხაზი გაუსვას მათ მნიშვნელობას საქმისათვის.
5. პირდაპირი დაკითხვისას დაუშვებელია პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვის დასმა. შეკითხვა მიმანიშნებელია, როდესაც კითხვა კონკრეტულ პასუხს მოიცავს. მაგალითად, დაუშვებელია ასეთი შეკითხვის დასმა: „მართალია, რომ ბრალდებულს თეთრი მაისური ეცვა?“ შეკითხვა უნდა დასმულიყო შემდეგნაირად: „რა ფერის მაისური ეცვა ბრალდებულს?“ მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს მიმანიშნებელი შეკითხვის განრიდება ან/და ასეთი შეკითხვისა და მასზე გაცემული პასუხის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა.
6. სხდომის თავმჯდომარე მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას შეკითხვის (შეკითხვების) დასასმელად, ხოლო მოწმეს – დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად. აღნიშნული ნორმა ემსახურება იმ მიზანს, რომ მხარე მაქსიმალურად ორიენტირებული იყოს ძირითადი და მნიშვნელოვანი გარემოებების გამოსავლენად და დრო არ დაკარგოს საქმისთვის არაფრისმომცემი შეკითხვების დასმაში, ხოლო შემდგომ მათზე პასუხების მოსმენაში არ დაიხარჯოს პროცესის მონაწილეთა დრო და უსაფუძვლოდ არ გაინელოს საქმის განხილვის მიმდინარეობა.

#### **მუხლი 245. ჯვარედინი დაკითხვა**

1. **ჯვარედინი დაკითხვას აწარმოებს მხარე, რომელსაც დასაკითხი მოწმე არ გამოუძახებია.**
2. **ჯვარედინი დაკითხვისას დასაშვებია პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა.**
3. **შეკითხვის (შეკითხვების) დასასმელად და დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად სხდომის თავმჯდომარე მხარეს (მოწმეს) განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.**

1. ჯვარედინი დაკითხვა ტარდება ორი მიზნით: მხარის მიერ განვითარებული ვერსიისთვის სასარგებლო ჩვენების მიღება და მოწმის ან მისი ჩვენების დისკრედიტაცია.
2. ჯვარედინი დაკითხვას აწარმოებს მხარე, რომელსაც დასაკითხი მოწმე არ გამოუძახებია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მხარეს არ აქვს ვალდებულება, აწარმოოს ჯვარედინი დაკითხვა. აღნიშნული წარმოადგენს მხარის უფლებას, დაჰკითხოს მეორე მხარის მოწმე, თუკი მიაჩნია, რომ შესაძლებელია მისგან თავისთვის სასარგებლო ჩვენება მიიღოს.
3. ჯვარედინი დაკითხვის წარმოებისას მნიშვნელოვანია, მხარემ წინასწარ განსაზღვროს რა შედეგის მომტანი იქნება მისთვის აღნიშნული მოწმის ჩვენება. თუკი მისგან რაიმე მნიშვნელოვანის მიღება შეუძლებელია, მაშინ ჯვარედინი დაკითხვის საჭიროება არ არსებობს.
4. სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მოწმე გამოტოვებს თავისი ჩვენების მნიშვნელოვან ნაწილს და მის წარმდგენ მხარესაც გამორჩევა აღნიშნულ საკითხზე შეკითხვის დასმა, მეორე მხარე კი ჯვარედინი დაკითხვას სწორედ გამოტოვებული ნაწილით იწყებს. ასეთ შემთხვევაში მოწმეს ეძლევა შესაძლებლობა, დაამატოს გამოტოვებული მასალა ან თავის მხარეს მისცეს შესაძლებლობა, ხელახალი პირდაპირი დაკითხვისას გამოასწოროს დაშვებული შეცდომა. ამით მეორე მხარე თავად უშვებს შეცდომას და აძლევს მონიშნულ მხარეს შეცდომის გამოსწორების საშუალებას. ამიტომ მნიშვნელოვანია, მხარეებმა წინასწარ ზუსტად გათვალონ, რისი მიღება სურთ მეორე მხარის მოწმისგან.
5. განსხვავებით პირდაპირი დაკითხვისგან, ჯვარედინი დაკითხვისას დასაშვებია მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა, როდესაც მხარე თავადვე სთავაზობს კითხვის პასუხს მოწმეს თავის შეკითხვაში.
6. პირდაპირი დაკითხვისგან განსხვავებით, ჯვარედინი დაკითხვისას ყურადღების ცენტრ-

- ში თავად მხარე ექცევა. მიმანიშნებელი კითხვების გამოყენება ერთ-ერთი გზაა, რითაც მხარე ყურადღებას იქცევს და ხაზს უსვამს საკუთრი განცხადებების მნიშვნელობას. როგორც წესი, ჯვარედინი დაკითხვისას მხარემ ძირითად საკითხზე გადასვლამდე გზა მოკლედ, ფაქტობრივი განცხადებებით უნდა გაიკვილოს.
7. მხარე მოწმეს უსვამს ზუსტ კითხვებს, რომელთა პასუხებია: დიახ ან არა. ეს არის ერთგვარი კონტროლი მოწმეზე, რომ მისგან მიღებულ იქნეს მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი პასუხი. ჯვარედინი დაკითხვისას მხარე ცდილობს, დაამტკიცოს გარკვეული ვიწრო მნიშვნელობის საკითხები.
  8. ჯვარედინი დაკითხვისას მხარე, ცდილობს რა მოწინააღმდეგე მხარის ჩვენების დაზიანებას, საქმის შინაარსიდან გამომდინარე, ამოწმებს მოწმის აღქმისა და მახსოვრობის უნარს, რასაც შემდგომში იყენებს მის მიერ მიცემული ჩვენების სისწორის უარსაყოფად.
  9. მოწმის აღქმის უნარის შემოწმების მარტივი მაგალითია, როდესაც მოწმე ამოიცნობს ბრალდებულს და ამტკიცებს, რომ მან თავისი სახლის აივანიდან დაინახა, როგორ ამოიღო დანა ბრალდებულმა და დაარტყა დაზარალებულს, როდესაც მისი სახლის აივანიდან შემთხვევის ადგილი 50 მეტრითაა მოშორებული, სასამართლო სხდომის დარბაზში კი მოწმე 5 მეტრის მანძილზე ვერ გაარჩევს სანერ კალამს ხელის ფარნისგან.
  10. უნდა აღინიშნოს, რომ ჯვარედინი დაკითხვისას მხარე ყოველთვის არ ცდილობს მოწინააღმდეგე მხარის მოწმისთვის ზიანის მიყენებას. არის შემთხვევები, როდესაც მეორე მხარის მოწმეებს შეუძლიათ, გაამყარონ მისი პოზიცია. როდესაც მხარისთვის ცნობილია მოწმის გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენება და ჩვენებაში მითითებული გარემოებები ამყარებს მის პოზიციას, ის მოწმეს სწორედ ამ ჩვენების მისაღებად უსვამს შეკითხვას. იმ შემთხვევაში, თუ მოწმე შეცვლის ჩვენებას ან ავთენტიკური დოკუმენტის საწინააღმდეგოდ ისაუბრებს, ეს მისი იმპიჩმენტის<sup>631</sup> საფუძველი გახდება და მთელი მისი ჩვენება ეჭვქვეშ დადგება.
  11. მსგავსად პირდაპირი დაკითხვისა, სხდომის თავმჯდომარე მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას შეკითხვის (შეკითხვების) დასასმელად, ხოლო მოწმეს – დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად.

#### **მუხლი 246. ხელახალი პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა. სადავო შეკითხვები**

1. მხარეს უფლება აქვს, აწარმოოს ხელახალი პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა. ხელახალი პირდაპირი დაკითხვისას მხარე შეზღუდულია ჯვარედინი დაკითხვის ფარგლებით, ხოლო ხელახალი ჯვარედინი დაკითხვისას – ხელახალი პირდაპირი დაკითხვის ფარგლებით.

2. მოწმის დაკითხვის დროს დასმულ სადავო შეკითხვებს მხარის შუამდგომლობით განარიდებს სხდომის თავმჯდომარე.

1. პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვების დასრულების შემდეგ მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ხელახლა აწარმოონ პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა.
2. ხელახალი პირდაპირი დაკითხვისას მხარე შეზღუდულია ჯვარედინი დაკითხვის ფარგლებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარემ მხოლოდ ჯვარედინი დაკითხვის დროს განხილული საკითხების და თემების ირგვლივ უნდა დასვას შეკითხვები და არ უნდა გასცდეს დადგენილ ფარგლებს. მიუხედავად იმისა, რომ მხარეს, შესაძლოა, თავდაპირველი პირდაპირი დაკითხვისას გამორჩა საქმის მნიშვნელოვანი დეტალი, არ აქვს უფლება, ხელახალი პირდაპირი დაკითხვისას მოწმეს დაუსვას შეკითხვა ამ დეტალის ირგვლივ, თუ აღნიშნული დეტალი მეორე მხარის მიერ ჯვარედინი დაკითხვისას არ ყოფილა გამოკვლეული და განხ-

<sup>631</sup> იმპიჩმენტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ., სახელმძღვანელო ადვოკატებისათვის სასამართლო უნარჩვევებში, გაძლიერებული სწავლების პროგრამა, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა, ABA ROLI, თბ., 2012, 256-258.

- ილული. მაგალითად, პირდაპირი დაკითხვისას ბრალდების მხარეს თვითმხილველი მონ-  
მისთვის საერთოდ არ უკითხავს, თუ რა ფერის მაისური ეცვა შემთხვევის დღეს იმ პირს,  
რომელმაც დაზარალებული დაჭრა, როდესაც ამ საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანი იყო  
ბრალდების მხარისთვის, რადგანაც ბრალდებული დაკავებულ იქნა შემთხვევიდან მალევე  
იქვე მდებარე სკვერში, სწორედ ამ მოწმის ჩვენების საფუძველზე, რომელიც აცხადებდა,  
რომ დაზარალებული დაჭრა თეთრმაისურიანმა პირმა და გაიქცა სკვერის მიმართულებით.  
ჯვარედინი დაკითხვისას არც დაცვის მხარე დაინტერესებულა ბრალდებულის მაისურის  
ფერით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანი იყო  
საქმისთვის, ბრალდების მხარეს ხელახალი დაკითხვისას მოესპო ამ საკითხის ირგვლივ  
შეკითხვის დასმის შესაძლებლობა.
3. ხელახალი ჯვარედინი დაკითხვისას მხარე შეზღუდულია ხელახალი პირდაპირი დაკითხვის  
ფარგლებით, რაც იმის ნიშნავს, რომ მხარემ მხოლოდ ხელახალი პირდაპირი დაკითხვის  
დროს განხილული დეტალების ირგვლივ უნდა დასვას შეკითხვები და არ უნდა გასცდეს  
ამ ფარგლებს.
  4. როდესაც მხარე მოწმეს შეკითხვას უსვამს აღნიშნული ნორმით დადგენილი ფარგლების  
დარღვევით, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარე განარიდება  
სადავო შეკითხვას. ანალოგიურად განარიდება სხდომის თავმჯდომარე ხელახალი პირდა-  
პირი დაკითხვისას დასმულ მიმანიშნებელ შეკითხვებს.
  5. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ მხარეები ყოველთვის სათანადო დონეზე არ დგანან და  
ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეები არ რეაგირებენ არასწორად დასმულ შეკითხვე-  
ბზე და არ ითხოვენ მათ განრიდებას. არის შემთხვევები, როდესაც მოწმეთა პირდაპირი  
დაკითხვისას მხარე მიანიშნებდა სავარაუდო პასუხზე, რაც კანონმდებლობით დაუშვებე-  
ლია და რასაც მეორე მხარის რეაგირება და პროტესტი არ მოჰყოლია.
  6. მხარე უფლებამოსილია, ასევე, მოითხოვოს ისეთი კითხვების განრიდება, რომელიც  
ყოველგვარ აზრს მოკლებული და ძალიან დამაბნეველია; ან როდესაც მოწმეს სთხოვენ  
არა ფაქტების გადმოცემას, არამედ თავისი დასკვნების და ვარაუდების გაკეთებას; ან  
როდესაც შეკითხვა დასმულია საქმეზე არსებული მტკიცებულებების მიღმა არსებულ  
ფაქტებზე; ან როდესაც შეკითხვის დასმა ემსახურება მოწმესთან კამათს. მაგალითად,  
როდესაც მოწმე ერთმნიშვნელოვნად პასუხობს დაცვის მხარის შეკითხვას, რომ დიახ, მან  
დაინახა, როგორ დაარტყა ბრალდებულმა დანა მის მეგობარს, ბრალდებულის ადვოკატი  
კი მოწმეს უმტკიცებს, რომ ის ამის დანახავს ვერ შეძლებდა. ან როდესაც, მხარე მოწმეს  
იმას კი არ ეკითხება, მისთვის ცნობილია თუ არა დანაშაულის ჩადენის მოტივი, არამედ  
უსვამს შეკითხვას, მისი აზრით, რა შეიძლებოდა გამხდარიყო ბრალდებულის მიერ დანა-  
შაულის ჩადენის მოტივი. ასეთ შემთხვევებში მხარეები ყოველთვის მობილიზებული უნდა  
იყვნენ და მოითხოვონ ამგვარი შეკითხვების განრიდება. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმი-  
ტომაც, რომ ხშირად მსგავსი შეკითხვების მხარეთა მხრიდან რეაგირების გარეშე დატოვე-  
ბა იწვევს პროცესის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას.

#### **მუხლი 247. ბრალდებულის მიერ საქმის არსებით განხილვამდე მიცემული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების დაუშვებლობა**

1. თუ ბრალდებული წინააღმდეგია, საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ მოწმის სტატუსით  
მიცემული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა და ამ ინფორმაციის აუ-  
დიო– ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება), ასევე მისი მტკიცებულებად გამოყენება  
დაუშვებელია. მიცემული ინფორმაციის საჯაროდ წაკითხვაზე ან მისი აუდიო– ან ვიდეოჩანაწ-  
ერის მოსმენაზე (დემონსტრირებაზე) ბრალდებულის უარი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეუ-  
ლობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება ოპერატიულ-სამ-



**ძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.**

1. აღნიშნული ნორმით უზრუნველყოფილი და განმტკიცებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონით ბრალდებულისთვის მინიჭებული უფლებები, კერძოდ, ბრალდებულის უფლება, რომ მისი ნების საწინააღმდეგოდ მტკიცებულებად არ იქნეს გამოყენებული მის მიერ საქმის არსებით განხილვამდე მიცემული ინფორმაცია.
2. სსსკ-ის 74-ე მუხლის მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ბრალდებულის ჩვენება არის მის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. ჩვენების მიცემა კი ბრალდებულის უფლებაა. შესაბამისად, დაუშვებელია ბრალდებულის საქმის არსებით განხილვამდე მონმის ან ბრალდებულის სტატუსით მიცემული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა და ამ ინფორმაციის აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება), თუკი ბრალდებული ამის წინააღმდეგაა, რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებაც დაუშვებელია, რამდენადაც არ მომხდარა მისი სასამართლო სხდომაზე გამოკვლევა. მართალია, სსსკ-ის 247-ე მუხლის 1-ელ ნაწილში მითითებულია მხოლოდ ბრალდებულის მიერ მონმის სტატუსით მიცემული ინფორმაციის დემონსტრირების დაუშვებლობაზე, თუმცა ანალოგიური აკრძალვა ვრცელდება ბრალდებულის სტატუსით მიცემულ ინფორმაციაზეც. ამასთან, ბრალდებულის უარი მიცემული ინფორმაციის საჯაროდ წაკითხვაზე ან მისი აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენაზე (დემონსტრირებაზე) არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად, ვინაიდან, სსსკ-ის 74-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.
3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს გამონაკლის შემთხვევას, როდესაც ბრალდებულის ნების გაუთვალისწინებლად შესაძლებელია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოქვეყნება. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ან ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ინფორმაციის მოპოვება ხორციელდება თავიდანვე ბრალდებულის ნების გაუთვალისწინებლად და ემსახურება იმ მიზანს, რომ სწორედ მისგან დამალულად იქნეს მოპოვებული გარკვეული სახის ინფორმაცია, რაც პირს ამხელს დანაშაულის ჩადენაში. შესაბამისად, ამ გზით მიღებული ინფორმაციის გამოქვეყნება არც მომავალში საჭიროებს ბრალდებულის ნებართვას, განსხვავებით იმ შემთხვევებისა, როდესაც ინფორმაცია საქმის არსებითად განხილვამდე მოპოვებულია მისი თანხმობით და შემდგომში ბრალდებული წინააღმდეგაა მისი გამოქვეყნების.
4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა სრულ შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლთან. ევროპულმა სასამართლომ საქმეზე P.G. and J.H. v. the United Kingdom<sup>632</sup> დაადგინა, რომ „განმცხადებლების სასამართლო პროცესზე საიდუმლოდ ჩანერილი მასალის გამოყენება არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით უზრუნველყოფილი სამართლიანობის მოთხოვნებს“.

**მუხლი 248. მტკიცებულების დემონსტრირება სასამართლო განხილვის დროს**

1. მხარეს უფლება აქვს, სხდომის თავმჯდომარის თანხმობით მოახდინოს საქმეში არსებული მტკიცებულების სხდომაზე დემონსტრირება. საქმის არსებითი განხილვისას მხოლოდ ის მტკიცებულებაა დასაშვები მტკიცებულება, რომლის ავთენტიკურობაც დასტურდება.
2. წერილობით მტკიცებულებას საჯაროდ კითხულობს მხარე.

<sup>632</sup> P.G. and J.H. v. the United Kingdom, ECtHR, 25/09/2001.

1. მტკიცებულებათა გამოკვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, სასამართლო სხდომის თავმჯდომარის თანხმობით, მხარეთა მიერ საქმეში არსებული მტკიცებულებების დემონსტრირება.
2. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ უშვებს რაიმე სახის უპირატესობის მინიჭებას რომელიმე სახის მტკიცებულებისთვის, არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და თითოეული მათგანი უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. თუმცა მაინც უნდა აღინიშნოს, რომ წერილობითი სახის დოკუმენტალური მტკიცებულებები (განსხვავებით მონმეთა ჩვენებებისგან) უფრო მეტ სანდოობას იმსახურებს იმ კუთხით, რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი კონკრეტული გარემოების დადგენა ხდება არა რომელიმე მონმის ჩვენების საფუძველზე, რომლის მოსყიდვაც თეორიულად უფრო მეტადაა შესაძლებელი, არამედ – წერილობითი დოკუმენტის მეშვეობით, რომლის გაყალბების ალბათობა უფრო ნაკლებია.
3. საქმის არსებითი განხილვისას დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ ის მტკიცებულება, რომლის ავთენტიკურობაც დასტურდება. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარის მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია.
4. ავთენტიკური ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ნამდვილს, სარწმუნოს, პირველ წყაროზე დამყარებულს, დედნის შესაბამისს. მხარე ვალდებულია სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულების წარმომავლობის შესახებ. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაჰკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა, შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე.
5. მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი, როგორც წესი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, წყდება საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე, წინასასამართლო სხდომაზე, რა ეტაპზეც მხარეებს აკისრიათ ვალდებულება, სასამართლოს მიაწოდონ ინფორმაცია თითოეული მათი მტკიცებულების წარმომავლობის შესახებ. საქმის არსებითი განხილვის დროს ხდება უკვე დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებების სასამართლო სხდომაზე დემონსტრირება.
6. მხარეთა მიერ წერილობითი ფორმით წარდგენილ მტკიცებულებას (დოკუმენტს) საჯაროდ კითხულობს თვითონ ეს მხარე.
7. ამავე ეტაპზე ხდება საქმეში არსებული ნივთიერი მტკიცებულებების სასამართლო სხდომაზე დემონსტრირება მხარეთა მიერ. როგორც სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, მხარეები ხშირად უარს ამბობენ ნივთიერი მტკიცებულებების საჯაროდ დემონსტრირების უფლებაზე და სადავოდ არ ხდიან ამ მტკიცებულების სანდოობას, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როდესაც ნივთიერი მტკიცებულების სასამართლო სხდომაზე დემონსტრირებას სრულიად შეუცვლია საქმის ვითარება.
8. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნივთიერი მტკიცებულებების დემონსტრირება ნარკოტიკული ხასიათის დანაშაულზე. მაგალითად, როდესაც ბრალდებულს ბრალი ედება „ჰეროინის“ შექმნაში, სასამართლო სხდომაზე დალუქული პაკეტის გახსნისას და ნივთიერი მტკიცებულების დემონსტრირებისას კი აღმოჩნდება, რომ ნივთიერი მტკიცებულების სახით, ნაცვლად „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილისა, წარდგენილ პაკეტში მოთავსებულია აბები. ასევე, შეიძლება არსებითად გადამწყვეტი აღმოჩნდეს ნივთიერი მტკიცებულების დემონსტრირება მკვლელობის საქმეებზე, როდესაც ნივთიერი მტკიცებულების დათვალეირებისას აღმოჩნდება, რომ დანაშაულის იარაღი – დანა, რომელიც ამოღებულია ბრალდებულისგან, აბსოლუტურად განსხვავდება მონმეთა მიერ აღწერილი იარაღისგან.
9. ამდენად, მტკიცებულებათა დემონსტრირების ეტაპი საკმაოდ მნიშვნელოვანი ეტაპია სისხლის სამართლის პროცესში და ამ ეტაპმა შესაძლოა სრულიად შეცვალოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და გადამწყვეტი აღმოჩნდეს საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად.

## მუხლი 249. მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულება

მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, წარადგინონ დასკვნითი სიტყვები.

1. მტკიცებულებათა გამოკვლევა საქმის არსებითი განხილვის ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანია ეტაპია, იწყება ბრალდების მხარის მოწმეთა დაკითხვით და სრულდება დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა დემონსტრირებით.
2. მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდგომ მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, წარადგინონ დასკვნითი სიტყვები. სწორედ სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეული მტკიცებულებების შეფასებაზე უნდა იყოს დაფუძნებული მათ მიერ წარდგენილი დასკვნითი სიტყვები. აღნიშნული კიდეც ერთხელ მიუთითებს ამ ეტაპის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, რამდენადაც ის, თუ რამდენად შეძლო მხარემ მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების სრულად გამოკვლევა და თვალსაჩინოდ წარდგენა სასამართლოს წინაშე, პირდაპირ აისახება სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

## მუხლი 250. ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე უარის თქმა

1. ბრალდების მხარეს უფლება აქვს, ზემდგომი პროკურორის თანხმობით უარი თქვას ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე, ან არსებული ბრალდება შეცვალოს უფრო მსუბუქი ბრალდებით. ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე პროკურორის მიერ უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას ბრალდებაში ან ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლებით ბრალდების მხარე სარგებლობს ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში განაჩენის გამოტანამდე.
3. ბრალდების მხარის მიერ უარყოფილი ბრალდება ან ბრალდების ნაწილი და ის მტკიცებულებები, რომლებსაც იგი ეყრდნობა, არ შეიძლება ხელახლა წარედგინოს სასამართლოს იმავე ბრალდებულის მიმართ.

1. აღნიშნული ნორმა ბრალდების მხარეს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე, საბოლოოდ გადაწყვიტოს პირის ბრალეულობის საკითხი და განახორციელოს მისთვის სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილება – შეცვალოს ბრალდება.
2. სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ ბრალდების მხარეს (პროკურორს) კიდეც ერთხელ ეძლევა შესაძლებლობა, გადაწყვიტოს, მხარი დაუჭიროს ბრალდებას წარდგენილი მოცულობით, თუ ზემდგომი პროკურორის თანხმობით უარი თქვას ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე, ან არსებული ბრალდება შეცვალოს უფრო მსუბუქი ბრალდებით.
3. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარე სრულად ეთანხმება ბრალდებულისთვის წარდგენილ ბრალდებას, რითაც საქმე წარმართულია სასამართლოში არსებითად განსახილველად, მაშინ სასამართლო გადადის მხარეთა დასკვნითი სიტყვების მოსმენაზე, ხოლო თუ პროკურორი უარს იტყვის ბრალდებაზე სრულად ან ბრალდების ნაწილზე, ამ შემთხვევაში სასამართლო იღებს განჩინებას ამ ბრალდებაში ან ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.
4. სასამართლო სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ამ მხრივ არცთუ ბევრი შემთხვევა ფიქსირდება, როდესაც პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე და ამ მოტივით პირის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე.

5. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარე არსებულ ბრალდებას შეცვლის უფრო მსუბუქი ბრალდებით, მხარეები დასკვნითი სიტყვების წარდგენისას შემოიფარგლებიან უკვე შეცვლილი ბრალდების ფარგლებში და აღარ მოხდება მტკიცებულებების შეფასება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც მოხდებოდა თავდაპირველი ბრალდების ფარგლებში.
6. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა, ასევე, ადგენს აკრძალვას, რომ ბრალდების მხარის მიერ უარყოფილი ბრალდება ან ბრალდების ნაწილი და ის მტკიცებულებები, რომლებსაც იგი ეყრდნობა, არ შეიძლება ხელახლა წარედგინოს სასამართლოს იმავე ბრალდებულის მიმართ.  
აქ მნიშვნელოვანია ერთი მთავარი დეტალი, რომ ბრალდების მხარის მიერ უარყოფილი ბრალდება ან ბრალდების ნაწილი, ასევე, ის მტკიცებულებები, რომლებსაც წარდგენილი ბრალდება ეყრდნობოდა, არ შეიძლება ხელახლა წარედგინოს სასამართლოს იმავე ბრალდებულის მიმართ, თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა არ ადგენს რაიმე აკრძალვას, რომ იგივე ბრალდება წარედგინოს ან მითითებული მტკიცებულებები გამოყენებულ იქნეს სხვა ბრალდებულის მიმართ.
7. ბრალდების მხარე უფლებამოსილია, ბრალდებაზე ან მის ნაწილზე უარი თქვას, ან არსებული ბრალდება შეცვალოს უფრო მსუბუქი ბრალდებით მხოლოდ ზემდგომი პროკურორის თანხმობით. ამასთან, ბრალდების მხარე საქმის განხილვის არც ერთ სტადიაზე არ არის შეზღუდული, ისარგებლოს ბრალდების მოხსნის ან შეცვლის უფლებით. იგი უფლებამოსილია, მოხსნას ან შეცვალოს წარდგენილი ბრალდება ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში განაჩენის გამოტანამდე.

## მუხლი 251. მხარეთა დასკვნითი სიტყვები

1. დასკვნით სიტყვას პირველად წარადგენს ბრალდების მხარე, ხოლო შემდეგ – დაცვის მხარე. მხარეებს უფლება არა აქვთ, გამოსვლებში დაიმონმონ მტკიცებულება, რომელიც სასამართლოში არ გამოკვლეულა.
2. თუ საქმეში მონაწილეობს რამდენიმე ბრალმდებელი, ადვოკატი ან ბრალდებული, მაშინ სხდომის თავმჯდომარე მათ სთავაზობს, შეათანხმონ გამოსვლათა რიგითობა. პროცესის მონაწილეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ტარდება წილისყრა.
3. დასკვნითი სიტყვისათვის სხდომის თავმჯდომარე მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.
  1. აღნიშნული ნორმის მიზანია, მხარეებმა სასამართლოს წარუდგინონ საბოლოო შეფასებები წარდგენილი ბრალდებისა და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების ირგვლივ. დასკვნითი სიტყვის მიზანია მოწმეთა ჩვენებების ერთმანეთთან დაკავშირება იმის საჩვენებლად, თუ როგორ გამყარდა მხარის მიერ შესავალ სიტყვაში შემოთავაზებული ვერსია.
  2. დასკვნითი სიტყვა – ეს არის სასამართლოზე შთაბეჭდილების მოხდენის ბოლო შესაძლებლობა. ეს არის მხარეებს შორის კამათი საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან თუ სამართლებრივ შეფასებებთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დასკვნით სიტყვას სწორედ საკამათო სიტყვა ეწოდებოდა, რამდენადაც ეს არის მხარეთა მიერ თავიანთი შეხედულებებისა და პოზიციის წარმოჩენა, მსჯელობა და კამათი ამ შეხედულებებისა და პოზიციის განმტკიცების მიზნით.
  3. მხარეებს უფლება აქვთ, დასკვნით სიტყვაში გააანალიზონ განსახილველი საქმის გარემოებები, როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი, კონკრეტულად მიუთითონ მოწმეთა ჩვენებები ან სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ამყარებს მათ შეხედულებებსა და პოზიციას, მათ მიერ შემოთავაზებულ თეორიას, აგრეთვე, წარმოაჩინონ ბრალდებულის პიროვნების მახასიათებელი მტკიცებულებები და გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები,

- გამოთქვან აზრი ბრალდებულის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის, ქმედების კვალი-ფიკაციის და განაჩენში გადასაწყვეტი სხვა საკითხების ირგვლივ.
4. დასკვნითი სიტყვის წარდგენისას მხარეებს უფლება არ აქვთ, თავიანთ გამოსვლებში დაიმონონ მტკიცებულება, რომელიც არ გამოკვლეულა სასამართლო სხდომაზე. აღნიშნული მოთხოვნა (აკრძალვა) გამომდინარეობს სისხლის სამართალწარმოების უშუალო-ბის პრინციპიდან, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის მე-14 მუხლით, რომლის თანახმადაც, სასამართლოს არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისისა. ამავდროულად, სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განაჩენი უნდა ემყარებოდეს სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. შესაბამისად, მხარის მიერ კიდევ რომ იქნეს მოხსენიებული დასკვნით სიტყვაში ისეთი მტკიცებულება, რომელიც არ ყოფილა სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული, ის ვერ დაედება საფუძვლად სასამართლოს გადაწყვეტილებას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შესაძლოა მხარემ ბოროტად ისარგებლოს შემთხვევით, როდესაც საქმეს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და, მიუხედავად იმისა, რომ სხდომის თავმჯდომარე მხარეს აუცილებლად მიუთითებს ამის შესახებ, ასევე, ნაფიც მსაჯულებსაც მიუთითებს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინონ მხარის მიერ დამონშებული ის მტკიცებულება, რომლის სასამართლო სხდომაზე გამოკვლევაც არ მომხდარა, აღნიშნულმა შესაძლოა გარკვეულწილად მაინც მოახდინოს გავლენა ნაფიც მსაჯულებზე გადაწყვეტილების მიღებისას.
  5. დასკვნით სიტყვას პირველად წარადგენს ბრალდების მხარე, ხოლო შემდეგ – დაცვის მხარე. აღნიშნული წარმოდგენს მხარეთა ვალდებულებას. საჭიროების შემთხვევაში, მოსამართლე (სასამართლო) მხარეებს აძლევს გონივრულ ვადას დასკვნითი სიტყვების მოსამზადებლად. მხარეები ვალდებული არიან, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარადგინონ დასკვნითი სიტყვები. როდესაც საქმეში რამდენიმე ბრალმდებელი, ადვოკატი ან ბრალდებული მონაწილეობს, მაშინ სხდომის თავმჯდომარე სთავაზობს მათ, ერთმანეთთან შეათანხმონ გამოსვლათა თანმიმდევრობა. იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილეები ვერ შეთანხმდებიან, ტარდება წილისყრა.
  6. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არ არის განსაზღვრული დასკვნითი სიტყვის ხანგრძლივობა, თუმცა კანონმდებელი ამ მხრივ გარკვეულ შეზღუდვას აწესებს და სხდომის თავმჯდომარეს ანიჭებს უფლებამოსილებას, მხარეს განუსაზღვროს გონივრული ვადა დასკვნითი სიტყვისათვის. აღნიშნული ვადა თითოეულ საქმეზე განისაზღვრება მისი მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით. როგორც წესი, თუ საქმე მეტისმეტად რთული არ არის, დასკვნითი სიტყვისთვის მხარეს განესაზღვრება 30-40 წუთი.

## მუხლი 252. რეპლიკა

**დასკვნითი სიტყვის წარდგენის შემდეგ მხარეებს უფლება აქვთ, კიდევ ერთხელ, სხდომის თავმჯდომარის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში, რეპლიკის სახით, მოკლედ გამოთქვან საწინააღმდეგო აზრი ან/და შენიშვნა. საბოლოო რეპლიკის უფლება ნებისმიერ შემთხვევაში აქვს დაცვის მხარეს.**

1. მას შემდეგ, რაც პროცესის ყველა მონაწილე გამოვა დასკვნითი სიტყვით, თითოეულ მათგანს აქვს რეპლიკის უფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა მათგანს აქვს შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ, ოღონდ ამჯერად უკვე მოკლედ, გამოთქვან თავიანთი საწინააღმდეგო აზრი და შენიშვნა მეორე მხარის მიერ გამოთქმული მოსაზრებების ირგვლივ.
2. მოსამართლე მხარეებს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას რეპლიკისათვის, დაახლოებით

- 5-10 წუთის ფარგლებში. რეპლიკის დროს მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, მოკლედ უპასუხოთ მონინაალმდეგე მხარის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. აღნიშნული ემსახურება სასამართლოს მიერ საქმის გარემოებებში უკეთ გარკვევასა და მხარეთა მიერ შეჯიბრებითობის პრინციპის უკეთ რეალიზებას.
3. რეპლიკის უფლება მხარემ არ უნდა გამოიყენოს დასკვნითი სიტყვის ხელახლა ჩამოსაყალიბებლად ან მის შესავსებად, უკვე ნათქვამის თავიდან გასამეორებლად. ასეთ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა შეაჩეროს მხარე და მიუთითოს, რომ რეპლიკის უფლებით სარგებლობა ემსახურება იმას, რომ მხარეს მიეცეს შესაძლებლობა მოკლედ გასცეს პასუხი მეორე მხარის მიერ გამოთქმულ სანინაალმდეგო აზრსა თუ შენიშვნას.
  4. რეპლიკის უფლებით მხარეები სარგებლობენ იმავე თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც სარგებლობენ დასკვნითი სიტყვის წარდგენისას. საბოლოო რეპლიკის უფლება, მიუხედავად იმისა, რა თანმიმდევრობით ისარგებლებენ მხარეები, აქვს დაცვის მხარეს.

### მუხლი 253. ბრალდებულის საბოლოო სიტყვა

1. მხარეთა მიერ დასკვნითი სიტყვების წარდგენისა და რეპლიკით გამოსვლის შემდეგ ბრალდებულს უფლება აქვს, გამოვიდეს საბოლოო სიტყვით.
  2. სხდომის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს, დაადგინოს ბრალდებულის საბოლოო სიტყვის ხანგრძლივობა, მაგრამ მას შეუძლია შეაჩეროს ბრალდებულის, თუ ის ეხება გარემოებას, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან ან რომელიც არ გამოკვლეულა პროცესის განმავლობაში.
1. აღნიშნული ნორმის მიზანია ბრალდებულის მიერ საკუთარი თავის დაცვის უფლების სრულად რეალიზება, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ასევე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით.
  2. საბოლოო სიტყვა წარმოადგენს ბრალდებულის დაცვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ბრალდებულის სიტყვის მოსმენის შემდეგ სასამართლო ვალდებულია, გავიდეს გადაწყვეტილების მისაღებად, ბრალდებულის საბოლოო სიტყვის შთაბეჭდილების ქვეშ. ბრალდებულის საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ სხვა პირის გამოსვლის ან რეპლიკის მოსმენა დაუშვებელია. ბრალდებულს უფლება აქვს საბოლოო სიტყვაში უარყოს ბრალდება, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა ან ნაკლები ბრალი, ახსნას ჩადენილი ქმედების მოტივები, გამოთქვას აზრი განაჩენში გადასაწყვეტ ნებისმიერ საკითხზე.
  3. ბრალდებულს საბოლოო სიტყვის უფლება ეძლევა ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, ისარგებლა თუ არა დასკვნითი სიტყვით ან რეპლიკით. ამავდროულად, სასამართლოს არ აქვს უფლება, დაადგინოს საბოლოო სიტყვის ხანგრძლივობა, ასევე, არავის აქვს უფლება, საბოლოო სიტყვის წარმოთქმისას ან მისი დამთავრების შემდეგ ბრალდებულს დაუსვას შეკითხვა. ერთადერთი დათქმა, რაც გათვალისწინებულია აღნიშნული ნორმით, მდგომარეობს იმაში, რომ სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია შეაჩეროს ბრალდებულის, თუ ის ეხება გარემოებას, რომელსაც კავშირი არ აქვს განსახილველ საქმესთან ან რომელიც არ გამოკვლეულა პროცესის განმავლობაში.
  4. მართალია, რაიმე სხვა შეზღუდვას აღნიშნული ნორმა არ ითვალისწინებს, თუმცა სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, ასევე, შეაჩეროს ბრალდებულის, თუ ის უღირსად იქცევა და არღვევს წესრიგს სასამართლო სხდომის დარბაზში, რაც გამოიხატება მისი მხრიდან პროცესის მონაწილეთა მიმართ გაკეთებულ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებსა და განცხადებებში. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლე მოქმედებს სსსკ-ის 85-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

**მუხლი 254. ამოღებულია (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან)****მუხლი 255. სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება**

1. ბრალდებულის საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად.
2. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ადგილზე თათბირით.

1. სასამართლო განხილვის და ზოგადად მთელი სისხლის სამართლის პროცესის საბოლოო მიზანი და უმთავრესი შედეგი არის სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება.
2. ბრალდებულის საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა შესაძლებელია გადაწყვეტილების, სათათბირო ოთახში გაუსვლელად, ადგილზე თათბირით მიღებაც. ყველა შემთხვევაში საჯაროდ ცხადდება განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი.
3. მოსამართლეს არც ერთ შემთხვევაში არ აქვს უფლება, უარი თქვას მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ მოტივით, რომ მან, მიუხედავად დიდი ფიქრისა სათათბირო ოთახში, ვერ მიიღო განხილულ სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს შემთხვევებში, როდესაც სათათბირო ოთახში მყოფი მოსამართლისთვის წარდგენილი მტკიცებულებები არ იძლეოდა საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, სასამართლო უფლებამოსილი იყო, საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაებრუნებინა პროკურატურისთვის. დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მსგავსი შინაარსის ნორმას არ ითვალისწინებს და მოსამართლე (სასამართლო) ყველა შემთხვევაში ვალდებულია, განხილულ საქმეზე მიიღოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება.
4. ერთადერთი გამონაკლისი, რაც გათვალისწინებულია მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, არის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ ვერდიქტის მიუღებლობა, რაც ცალკე განხილვის საგანია.

**მუხლი 256. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირი**

1. სხდომის თავმჯდომარის განმარტებების მიღების შემდეგ ნაფიცი მსაჯულები გადიან სათათბირო ოთახში ვერდიქტის გამოსატანად. ნაფიც და სათადარიგო მსაჯულთა გარდა, არავის არა აქვს უფლება, იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში და რაიმე სახით გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე.
2. ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, შეწყვიტონ თათბირი მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობით.
3. ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვის შემდეგ უფროსი მსაჯული თანამიმდევრულად აყენებს ღია კენჭისყრაზე თითოეულ საკითხს სხდომის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული რიგითობით და ფორმულირებით. ჯერ კენჭი ეყრება ყველა წარდგენილ ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს. თუ ვერდიქტი ვერ მიიღება, კენჭი ეყრება გამამტყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი თანამიმდევრობით.
4. თითოეული ნაფიცი მსაჯული გამოხატავს თავის დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას საკითხისადმი. ნაფიც მსაჯულს უფლება არა აქვს, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. ნაფიცი მსაჯული ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მოსამართლეს, თუ რომელიმე მსაჯული თავს იკავებს ხმის მიცემისაგან, უგულებელყოფს მოსამართლის მიერ მიცემულ მითითებებს, ითვალისწინებს იმ მტკიცებულებას, რომელიც არ გამოკვლეულა სასამართლოში, გამოხატავს აშკარა მიკერძოებას ან/და სხვაგვარად აშკარად არღვევს კანონს. ამ შემთხვევაში მოსამართლე ვალ-

დებულია გააფრთხილოს ნაფიცი მსაჯული და მის მიერ დარღვევის განმეორების შემთხვევაში დაითხოვოს იგი. მოსამართლე ასევე უფლებამოსილია ამავე საფუძვლით დაითხოვოს ნაფიც მსაჯულთა სრული შემადგენლობა და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი.

**5. ნაფიცი მსაჯულები ხმას აძლევენ მსაჯულთა სიაში მათი რიგითობის მიხედვით. უფროსი მსაჯული ხმას აძლევს ბოლოს და აჯამებს კენჭისყრის საერთო შედეგებს**

1. ნაფიც მსაჯულთა თათბირის მიმდინარეობის ეტაპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია სისხლის სამართალწარმოებისათვის, ვინაიდან სწორედ ამ ეტაპზე ხდება ნაფიც მსაჯულთა მიერ მთავარი ამოცანის შესრულება, რაც გამოიხატება მათ მიერ გადაწყვეტილების – ვერდიქტის მიღებაში, რა დროსაც ისინი აბსოლუტურად დამოუკიდებელი არიან. ეს არის ყველა ნაფიცი მსაჯულისთვის ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტი მთელი სამართალწარმოების მიმდინარეობისას, რამდენადაც მათ უნდა გადაწყვიტონ ადამიანის ბედი.
2. მოსამართლის (სხდომის თავმჯდომარის) განმარტებებისა და მითითებების მოსმენის შემდეგ ნაფიცი მსაჯულები გადაიან სათათბირო ოთახში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. თათბირი მიმდინარეობს მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა წრეში და დაუშვებელია თათბირის დროს სხვა გარეშე პირების დასწრება. არავის არა აქვს უფლება, იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში, მათ შორის, სხდომის თავმჯდომარეს, და რაიმე სახით გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის მიღებაზე. აღნიშნული ნორმის მიზანია, ნაფიც მსაჯულს მიეცეს შესაძლებლობა, სხვათა ჩაურევლად, გარედან ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე მიიღოს პასუხსაგები გადაწყვეტილება, სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე.
3. გარდა იმისა, რომ საპროცესო კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს და ადგენს ნორმებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ნაფიც მსაჯულთა დაცულობა თათბირის მიმდინარეობისას ყველანაირი ზეგავლენისგან სხვა პირთა მხრიდან, მათ შორის, მოსამართლის (სხდომის თავმჯდომარის) ჩარევისგან, სისხლის სამართლის მატერიალური კოდექსის 364-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სამართალწარმოების განხორციელებაზე ზეგავლენის მიზნით ნაფიცი მსაჯულის (ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის) საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონოდ ჩარევისათვის, რაც უფრო მეტად ზრდის ნაფიცი მსაჯულების დაცულობას ყველანაირი სახის ჩარევისაგან.
4. ნაფიც მსაჯულთა თათბირს წარმართავს უფროსი მსაჯული. თათბირის დროს ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სასამართლოში განხილული ყველა მტკიცებულება, სხდომის აუდიოჩანაწერის სახით. ყველა ნაფიც მსაჯულს თანაბრად აქვს შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში და გამოთქვას თავისი მოსაზრება. ამ შემთხვევაში უფროსმა ნაფიცმა მსაჯულმა უნდა უზრუნველყოს, რომ თათბირის მიმდინარეობისას არ დაუშვას ერთი მსაჯულის მიერ მეორეზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენა, თათბირი უნდა მიმდინარეობდეს კანონის ფარგლებში. თუკი ნაფიცი მსაჯული დაინახავს, რომ რომელიმე მსაჯული გამოხატავს აშკარა მიკერძოებას, ან ცდილობს, გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს დანარჩენ ნაფიც მსაჯულებზე, ან სხვაგვარად არღვევს კანონს, მაგალითად, უგულვებლყოფს მოსამართლის მიერ მიცემულ მითითებებს, ითვალისწინებს იმ მტკიცებულებებს, რომლებიც სასამართლოში არ გამოკვლეულა და ა.შ., ამის შესახებ დაუყოვნებლივ უმდა ეცნობოს მოსამართლეს, რომელიც თავდაპირველად გააფრთხილებს ნაფიც მსაჯულს, ხოლო დარღვევის განმეორების შემთხვევაში დაითხოვს მას. აღნიშნული საფუძვლით მოსამართლე უფლებამოსილია, დაითხოვოს ნაფიც მსაჯულთა სრული შემადგენლობა და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი.
5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა არ ითვალისწინებს, რა



- ფორმით და რა პროცედურით ხდება ნაფიცი მსაჯულის ჯერ გაფრთხილება და შემდგომ მისი დათხოვა. სავარაუდოდ, აღნიშნული უნდა განხორციელდეს სასამართლო სხდომაზე, რომელსაც სპეციალურად მოინვეს სხდომის თავმჯდომარე. ამ მხრივ არსებული პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ მსგავს შემთხვევას საქართველოში ჯერჯერობით ადგილი არ ჰქონია, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ან ნაფიცი მსაჯულები ზუსტად იცავენ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ზემოაღნიშნულ მოთხოვნას და არ არღვევენ მას, რაც ნაკლებად სავარაუდოა, ან მსგავს ფაქტებს ნაფიცი მსაჯულები არ ანიჭებენ სათანადო მნიშვნელობას.
6. საქმის განხილვის შემდეგ უფროსი ნაფიცი მსაჯული თანმიმდევრობით აყენებს კენჭისყრაზე თითოეულ საკითხს სხდომის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული რიგითობითა და ფორმულირებით. კენჭისყრა არის ღია. ჯერ კენჭი ეყრება გამამართლებელ ვერდიქტს ყველა წარდგენილ ბრალდებაზე. თუ ვერ იქნება მიღებული გამამართლებელი ვერდიქტი, კენჭი ეყრება უკვე გამამტყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი თანამიმდევრობით.
  7. ნაფიც მსაჯულთა თათბირის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თითოეულ განსახილველ საქმეზე. იგი მარტივ საქმეზე შეიძლება რამდენიმე წუთშიც დამთავრდეს, მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე ნაფიც მსაჯულებმა გადაწყვეტილება 15 წუთში მიიღეს, ხოლო რთულ საქმეზე შეიძლება მთელი დღეც გაგრძელდეს. ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის გამოტანის წესს განსაზღვრავს სსსკ-ის 261-ე მუხლი.
  8. არც ერთ ნაფიც მსაჯულს არ აქვს უფლება, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. თუ რომელიმე მსაჯული თავის იკავებს ხმის მიცემისგან, ნაფიც მსაჯულს აქვს ვალდებულება, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს მოსამართლეს. ამ შემთხვევაშიც, მსგავსად ზემოთ უკვე განხილული შემთხვევებისა, მოსამართლე თავდაპირველად გააფრთხილებს ნაფიც მსაჯულს, ხოლო დარღვევის განმეორების შემთხვევაში დაითხოვს მას.
  9. ნაფიც მსაჯულთა მიერ ხმის მიცემა ხორციელდება სიაში მათი რიგითობის მიხედვით. სულ ბოლოს ხმას აძლევს უფროსი ნაფიცი მსაჯული, რომელიც აჯამებს კენჭისყრის საერთო შედეგებს.

### მუხლი 257. დამატებითი განმარტებების მიღება

თუ სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას ან თათბირის პროცესში ნაფიცი მსაჯული მიიჩნევს, რომ სჭირდება დამატებითი განმარტებები კანონის, ფაქტობრივი გარემოებების, დასკვნითი სიტყვის შესახებ, იგი სხდომის თავმჯდომარეს წერილობით წარუდგენს დამატებითი განმარტებების თაობაზე მოთხოვნას შესაბამისი კითხვების მითითებით. სხდომის თავმჯდომარე ამ კოდექსით დადგენილი წესით, მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეუზღუდოს ნაფიც მსაჯულს წერილობითი მოთხოვნის წარდგენა.

1. ნაფიცი მსაჯულები არ არიან შეზღუდული საქმის განხილვის მიმდინარეობისას ან თათბირის პროცესში სხდომის თავმჯდომარეს მოსთხოვონ დამატებითი განმარტებების მიცემა, როდესაც ამას საჭიროდ მიიჩნევენ. დამატებითი განმარტებები შეიძლება ეხებოდეს როგორც კანონის განმარტებას, ასევე, საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ან დასკვნით სიტყვას.
2. დამატებითი განმარტებების მიღების შესახებ მოთხოვნა, შესაბამისი კითხვებით, სხდომის თავმჯდომარეს წარედგინება წერილობით. არ არის აუცილებელი, რომ აღნიშნულ წერილობით მოთხოვნას ხელს აწერდეს უფროსი მსაჯული. წერილობითი მიმართვის უფლებით სარგებლობს თითოეული ნაფიცი მსაჯული.
3. წერილობით მოთხოვნასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარე გადაწყვეტილებას იღებს მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით, კერძოდ, ის კონსულტაციას მართავს

პროკურორთან და ადვოკატთან, რაც საჭიროებს გარკვეულ დროს. ამ დროის განმავლობაში, სანამ ნაფიცი მსაჯულები მიიღებენ პასუხებს მათ მიერ დასმულ შეკითხვებზე, ისინი უფლებამოსილი არიან, განაგრძონ თათბირი.

4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა, ასევე, ითვალისწინებს ნაფიცი მსაჯულის მიერ წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შეზღუდვას, როდესაც აღნიშნულის თაობაზე შუამდგომლობს მხარე. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ეს ნორმა პირდაპირ არ ადგენს, რა შემთხვევებშია შესაძლებელი ასეთი შეზღუდვის დადგენა, თუმცა ყველა შემთხვევაში აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს კონკრეტული საქმის განმხილველი მოსამართლის (სხდომის თავმჯდომარის) მიერ იმ ფარგლებში, რომ არ დაზარალდეს მართლმსაჯულების ინტერესი.

## თავი XXIV

### სასამართლოს განაჩენის დადგენა და მისი აღსრულება

**მუხლი 258. სასამართლოს განაჩენის დადგენა და გამოცხადება საქართველოს სახელით. სასამართლოს განაჩენი დგინდება და ცხადდება საქართველოს სახელით.**

1. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-4 ნაწილით, სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით და სწორედ კონსტიტუციის ეს ნორმაა ასახული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც. ყველა სასამართლო გადაწყვეტილების უკან დგას სახელმწიფო, როგორც ამ გადაწყვეტილების ავტორი, მისი აღსრულების გარანტი და პასუხისმგებელი მის შედეგებზე.

**მუხლი 259. სასამართლოს განაჩენის კანონიერება, დასაბუთებულობა და სამართლიანობა**

1. სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.
  2. სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში.
  3. სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.
  4. სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.
1. კანონი ადგენს კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განაჩენი და რომელთა მიხედვითაც იგი უნდა შეფასდეს. თუ რომელიმე ამ კრიტერიუმს განაჩენი ვერ დააკმაყოფილებს, ეს მისი დადგენილი წესით გაუქმების ან შეცვლის საფუძველია.
  2. კანონიერება მოიცავს მრავალ საკითხს – მტკიცებულებების დადგენილი წესით მოპოვება და წარდგენა, საქმის განხილვა დადგენილი პროცედურების შესაბამისად (დაცვის მხარის მასალების ისეთსავე პირობებში გამოკვლევა, როგორშიც ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა ხორციელდება, დაცვის უფლების უზრუნველყოფა, პროცესის ამა თუ იმ მონაწილის თარჯიმნის მომსახურებით უზრუნველყოფა და ა.შ.), ბრალად შერაცხული ქმედების სამართლებრივად სწორად შეფასება (მატერიალური კანონის სწორად გამოყენება).
  3. ამდენად, განაჩენი კანონიერია, თუ ეყრდნობა დადგენილი წესით მოპოვებულ და წარდგენილ მტკიცებულებებს, გამოტანილია დადგენილი პროცედურების დაცვის, მხარეთა უფლებების სრულად რეალიზების შესაძლებლობების უზრუნველყოფითა და მატერიალური კანონის სწორად გამოყენებით, მათ შორის – ქმედების სწორი კვალიფიკაციით.
  4. მაგალითად, განაჩენი ვერ იქნება კანონიერი, თუ ეყრდნობა უტყუარ მტკიცებულებებს, მაგრამ ეს მტკიცებულებები კანონის არსებითი დარღვევითაა მოპოვებული ან გამოკვლეულია პროცედურების დარღვევით.
  5. განაჩენი შეიძლება ეყრდნობოდეს პროცედურების დაცვით მოპოვებულ და წარდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობას, მაგრამ ეს მტკიცებულებები არ იყოს დამაჯერებელი ან/და სასამართლოში გამოკვლეული. მაგალითად, განაჩენი ვერ იქნება დასაბუთებული, თუ საეჭვოა ჩვენების ობიექტურობა მონმის ფიზიკური მდგომარეობის (მაგ., ცუდი მხედ-

- ველობის ან სმენის) ან ამა თუ იმ საკითხისადმი სუბიექტური დამოკიდებულების გამო. ამასთან, „დასაბუთებული განაჩენი“ არ არის თუნდაც უტყუარ მტკიცებულებათა ჩამონათვალი. ეს გულისხმობს ამ მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებასა და გაანალიზებას, მსჯელობას მათი დამაჯერებლობისა და მტკიცებულებითი მნიშვნელობის, საქმესთან შემხებლობისა და ამა თუ იმ დასკვნისათვის საკმარისობის შესახებ. სწორედ ამის შედეგად ყალიბდება დასკვნა ცალკეულ საკითხებზე, რაც მთლიანობაში ობიექტური და დამაჯერებელი გადაწყვეტილების მყარი საფუძველია.<sup>633</sup>
6. პირის დამნაშავეობის შესახებ დასკვნის შემდეგ გადასაწყვეტია შესაბამისი სასჯელის სახისა და ზომის შერჩევის საკითხი. რამდენადაც განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს, ცხადია, ეჭვს არ უნდა იწვევდეს შერჩეული სასჯელის სამართლიანობა – ადეკვატურობა და ეფექტურობა დადგენილი მიზნების მისაღწევად. ამდენად, სასჯელის ესა თუ ის სახე და ზომა უნდა დასაბუთდეს არანაკლებ პირის ბრალეულობის შესახებ მსჯელობისა. რარიც კანონიერი ან/და დასაბუთებული არ უნდა იყოს განაჩენი, იგი ნაკლებეფექტურია უსამართლო სასჯელის (მეტისმეტად მკაცრის ან ლმობიერის) პირობებში. უსამართლო სასჯელს იწვევს მტკიცებულებების (პიროვნების მახასიათებელი მონაცემების) სრულად და ობიექტურად გამოუკვლევლობა და შეუფასებლობა, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გაუთვალისწინებლობა ან მისი საშიშროების გაზვიადება ან დაკნინება.
7. შემთხვევითი არ არის, რომ სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილით, მტკიცებულებაა პიროვნების მახასიათებელი მონაცემებიც. ამდენად, ეს მტკიცებულებები ექვემდებარება სულ ცოტა ისეთივე სტანდარტით გამოკვლევასა და შეფასებას, როგორც მტკიცებულებები პირის ბრალეულობის შესახებ.

## მუხლი 260. განაჩენის დადგენისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხები

1. განაჩენის დადგენისას სასამართლო თანამიმდევრობით წყვეტს შემდეგ საკითხებს:
- ა) ჩაიდინა თუ არა ბრალდებულმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;
  - ბ) არის თუ არა ბრალდებულის ქმედება მართლსაწინააღმდეგო;
  - გ) შეერაცხება თუ არა ბრალდებულს ბრალად ჩადენილი ქმედება;
  - დ) უნდა დაისაჯოს თუ არა ბრალდებული მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის;
  - ე) რა სასჯელი უნდა დაენიშნოს ბრალდებულს და რა ზომის;
  - ვ) უნდა მოიხადოს თუ არა ბრალდებულმა დანიშნული სასჯელი;
  - ზ) შესაძლო საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის ღონისძიებების საკითხს;
  - თ) როგორი იქნება ნივთიერ მტკიცებულებათა ბედი;
  - ი) ვის და რა ოდენობით უნდა დაეკისროს საპროცესო ხარჯების ანაზღაურება.
2. რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში პირის მსჯავრდებისას სასამართლო თითოეული დანაშაულის მიხედვით ცალ-ცალკე და მთლიანად წყვეტს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ საკითხებს.
3. დანაშაულის ჩადენაში რამდენიმე ბრალდებულის მსჯავრდებისას ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საკითხები უნდა გადაწყდეს ყოველი ბრალდებულის მიმართ ცალ-ცალკე.

1. ა) ჩაიდინა თუ არა ბრალდებულმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება; კანონით განსაზღვრულია განაჩენის დადგენისას გადასაწყვეტი საკითხები და შემთხვევითი არ არის მათი თანამიმდევრობაც, კერძოდ, თავდაპირველად დასადგენია დანაშაულის – კანონით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობა ან არარსე-

<sup>633</sup> განაჩენის დასაბუთებულობის შესახებ იხ., სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, განკუთვნილია საერთო სასამართლოების მოსამართლეებისთვის, 2015, 40-68.

ბობა. ამ მხრივ, საპროცესო კანონით დადგენილი თანმიმდევრობა ემთხვევა მატერიალური კანონით განსაზღვრულ, დანაშაულის ცნების თანმიმდევრობას.

ცხადია, თუკი დადგინდა, რომ არ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის ამა თუ იმ მუხლის შესაბამისი ქმედება (მაგ., ხულიგნობის ბრალდების შემთხვევაში ქმედება უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, მაგრამ არ არის ჩადენილი ძალადობით ან/და ძალადობის მუქარით) ან არსებობს, მაგრამ იგი არ განუხორციელებია კონკრეტულ ბრალდებულს, სხვა არსებით საკითხებზე მსჯელობა აზრს მოკლებულია.

## **2. ბ) არის თუ არა ბრალდებულის ქმედება მართლსაწინააღმდეგო;**

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ ამ მუხლის სათაური – „განაჩენის დადგენისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხები“ – არ ნიშნავს, რომ ეს საკითხები და მათზე მსჯელობა აუცილებლად უნდა აისახოს განაჩენში. თუ აშკარაა, რომ არ არსებობს მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხავი რომელიმე გარემოება (აუცილებელი მოგერიება, დამნაშავის შეპყრობა და ა.შ.), მათზე მსჯელობა ხელოვნური და არაფრის მომცემია. მაგრამ, თუ ფაქტობრივი გარემოებები მართლსაწინააღმდეგობას ეჭვქვეშ აყენებს ან/და მხარე მასზე მიუთითებს, ამ საკითხზე მსჯელობა (სამართლებრივი კუთხითაც) ამომწურავი და დასკვნა – დასაბუთებული უნდა იყოს. ამ შემთხვევაშიც, თუ ქმედების მართლზომიერება დადგინდა, სხვა, არსებითი საკითხების განხილვა ასევე აზრს მოკლებულია.

## **3. გ) შეერაცხება თუ არა ბრალდებულს ბრალად ჩადენილი ქმედება;**

შემდეგ ეტაპზე დასადგენია, ხომ არ არსებობს ბრალის გამომრიცხავი რომელიმე გარემოება (შეურაცხაობა ასაკის ან ფსიქიკური დაავადების გამო). ამ შემთხვევაშიც, თუ აშკარაა, რომ არ არსებობს ამგვარი გარემოება, მასზე განაჩენში მსჯელობა ასევე ხელოვნურია.

## **4. დ) უნდა დაისაჯოს თუ არა ბრალდებული მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის;**

სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს შესაძლებლობას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდეს პირი, გარკვეული წინაპირობების არსებობისას. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა იმსჯელოს და განაჩენში მიუთითოს ამ საკითხზე შესაბამისი მოსაზრება და დასკვნა. ანალოგიურად, სსკ-ის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, რატომ მიაჩნია ან არ მიაჩნია მიზანშეწონილად დანაშაულის ჩადენისას შეზღუდული შეერაცხაობის მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება.

## **5. ე) რა სასჯელი უნდა დაენიშნოს ბრალდებულს და რა ზომის;**

განაჩენის სამართლიანობასთან დაკავშირებით მსჯელობისას აღინიშნა, რომ სასჯელის სახე და ზომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სათანადოდ უნდა დასაბუთდეს.

## **6. ვ) უნდა მოხდეს თუ არა ბრალდებულმა დანიშნული სასჯელი;**

ამ შემთხვევაში არ იგულისხმება მხოლოდ სასჯელის დანიშნისა და მისი მოხდისაგან გათავისუფლების სსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული პირობები, რომლებიც იმპერატიულად ითხოვენ სასჯელისაგან გათავისუფლებას. საუბარია ასევე, მაგალითად, დანიშნული თავისუფლების აღკვეთის პირობით ჩათვლაზე. სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში მყოფისათვის ძირითად სასჯელად ჯარიმის დანიშნისას, სასამართლო ამ სასჯელს ამსუბუქებს ან მთლიანად ათავისუფლებს მისი მოხდისაგან.

## **7. ზ) შესაძლო საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის ღონისძიებების საკითხს;**

განაჩენით წყდება ქონებაზე დადებული ყადაღის საკითხიც, თუმცა აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 158-ე მუხლის შესაბამისად, ქონებას ყადაღა ედება განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტამდე. ამდენად, ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს განაჩენში აღნიშვნის გარეშეც.

## **8. თ) როგორი იქნება ნივთიერ მტკიცებულებათა ბედი;**

როგორც ყველა საკითხი, გადაწყვეტილება ნივთიერ მტკიცებულებათა შესახებ ასევე არგუმენტირებული უნდა იყოს და გამომდინარეობდეს სსკ-ის 81-ე მუხლის მოთხოვნებიდან.

**9. ი) ვის და რა ოდენობით უნდა დაეკისროს საპროცესო ხარჯების ანაზღაურება.**

განაჩენში ასევე აღინიშნება საპროცესო ხარჯების ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილება.

**10. 2. რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში პირის მსჯავრდებისას სასამართლო თითოეული დანაშაულის მიხედვით ცალ-ცალკე და მთლიანად წყვეტს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ საკითხებს.**

შესაძლოა პირს ბრალი ედებოდეს არაერთ დანაშაულში და წარმოიშვას რომელიმე მათგანში პირის გამართლების აუცილებლობა. ამასთან, ცხადია, რომ პირს სასჯელი უნდა დაენიშნოს ყველა მუხლით ცალ-ცალკე ან/და გარკვეულ შემთხვევაში – მუხლის ნაწილებითაც (მაგ. 236-ე მუხლი). შესაბამისად, ბრალად შერაცხული ყველა ქმედებისათვის გადასაწყვეტი საკითხების ცალ-ცალკე განხილვის აუცილებლობა აშკარაა.

**11. 3. დანაშაულის ჩადენაში რამდენიმე ბრალდებულის მსჯავრდებისას ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საკითხები უნდა გადაწყდეს ყოველი ბრალდებულის მიმართ ცალ-ცალკე.**

წინა ნორმის კომენტარიდან გამომდინარე, ყოველი ბრალდებულის მიმართ გადასაწყვეტი საკითხების ცალ-ცალკე განხილვა მით უფრო აუცილებელია.

**მუხლი 261. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი**

1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსჯის და იღებს გადაწყვეტილებებს ფაქტების შესახებ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ფაქტების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს სხდომის თავმჯდომარის მიერ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებისა და განმარტებების საფუძველზე.

2. ნაფიცმა მსაჯულებმა თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე უნდა გადაწყვიტონ უდანაშაულობის ან ბრალეულობის საკითხი.

3. ნაფიცი მსაჯულები ვერდიქტს იღებენ ერთხმად.

4. თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 3 საათის განმავლობაში ვერ მოახერხებს გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას, გადაწყვეტილება მომდევნო 6 საათის განმავლობაში მიიღება ხმათა შემდეგი უმრავლესობით: თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება არანაკლებ 11 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 8 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 10 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 7 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 9 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 6 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 8 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 5 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 7 ან 6 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 4 ხმით.

5. თუ ნაფიც მსაჯულებს არ შესწევთ უნარი, მიაღწიონ საერთო შეთანხმებას, სხდომის თავმჯდომარე კიდევ ერთხელ განუმარტავს ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტის მნიშვნელობას და სთხოვს უფროს ნაფიც მსაჯულს, სხდომის თავმჯდომარეს მოახსენოს, არის თუ არა ისეთი მსაჯული, რომელიც უარს აცხადებს მსჯელობაში მონაწილეობის მიღებაზე ან რომელსაც აქვს ინტერესი საქმის მიმართ, რის შესახებაც არ განაცხადა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროს. აღნიშნული განმარტების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მიმართავს ნაფიც მსაჯულებს, დაბრუნდნენ სათათბირო ოთახში და გამოიტანონ ვერდიქტი კანონის შესაბამისად.

6. თუ სათათბირო ოთახში დაბრუნების შემდეგ ნაფიცი მსაჯულები მომდევნო 3 საათის განმავლობაშიც ვერ მიიღებენ ვერდიქტს ამ მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლე მისცემს მათ დამატებით გონივრულ ვადას ან დაითხოვს მათ სრულ შემადგენლობას და დანიშნავს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღს. თუ არც ამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესწევს უნარი, მიიღოს გადაწყვეტილება ამ კოდექსით დადგენილი წესით, ბრალდებული გამართლებულად ითვლება.

7. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი, თუ აღნიშნული ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერ-

თობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა. სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, გამოიყენოს ამ ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილება მხოლოდ იმ საფუძველით, რომ იგი არ ეთანხმება ნაფიც მსაჯულთა მიერ მოწმის ჩვენების სანდოობის შეფასებას ან რომელიმე მტკიცებულების მნიშვნელობას.

**8. უფროსი მსაჯული ავსებს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს, რომელშიც შეაქვს კენჭისყრის საერთო შედეგები და რომელსაც ყველა ნაფიცი მსაჯული ადასტურებს ხელმოწერით.**

1. ნაფიც მსაჯულებს გამოაქვთ ვერდიქტი – გამამტყუნებელი ან გამამართლებელი. ნაფიც მსაჯულებს გადაწყვეტილება გამოაქვთ ფაქტების შესახებ. თუმცა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ისინი ხელმძღვანელობენ სხდომის თავმჯდომარის და მხარეთა მიერ სამართლებრივ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და განმარტებების საფუძველზე. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია, კარგად მომზადებული განმარტებების შეთავაზება მსაჯულებისათვის, რათა მათ მკაფიო დასკვნები გამოიტანონ მათთვის მანამდე უცხო სამართლებრივი საკითხების შესახებ. განმარტებების შინაარსს, მათი განხორციელების წესებსა და პროცედურებს, მხარეთა მონაწილეობას ამ პროცესში დეტალურად ეხება სსსკ-ის 231-ე და 257-ე მუხლები.
2. სსსკ-ის 261-ე მუხლი ადგენს ვერდიქტის მიღების წესს. პირველი სამი საათის განმავლობაში მსაჯულებმა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ერთხმად. თუ ეს ვერ მოხერხდა, მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს გადაწყვეტილების მიღების სხვაგვარ პროცედურას. თუ ნაფიც მსაჯულებს არ შესწევთ უნარი გამოიტანონ ვერდიქტი, სხდომის თავმჯდომარე კიდევ ერთხელ განუმარტავს მსაჯულებს ვერდიქტის მნიშვნელობას, ასევე არკვევს, ხომ არ არის ისეთი მსაჯული, რომელიც უარს აცხადებს მსჯელობაში მონაწილეობაზე ან რომელსაც აღმოაჩნდა ისეთი საფუძველი, რაც მას არ განუცხადებია მსაჯულთა შერჩევის დროს. თუ მსაჯულებმა სათათბირო ოთახში დაბრუნებიდან მომდევნო სამი საათის განმავლობაშიც ვერ მიიღეს ვერდიქტი, მოსამართლეს აქვს ალტერნატიული მოქმედების შესაძლებლობა – კიდევ ერთხელ მისცეს მსაჯულებს დამატებით გონივრული ვადა ან დაითხოვოს მსაჯულთა სრული შემადგენლობა და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი. თუ ამ ახალმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომაც ვერ შეძლო გადაწვეტების მიღება, ბრალდებული ითვლება გამართლებულად.
3. სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილით დადგენილია მოსამართლის მნიშვნელოვანი უფლებამოსილება, გადახედოს ნაფიცი მსაჯულების მიღებულ გადაწყვეტილებას, გამამტყუნებელ ვერდიქტს და გააუქმოს იგი, თუკი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა. ნორმის ფორმულირების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ უნდა არსებობდეს ვერდიქტის აშკარა, თვალსაჩინო წინააღმდეგობა მტკიცებულებათა ერთობლიობასთან. სასამართლოსთვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭება გამართლებულია, რამდენადაც სხვაგვარად შეიძლება მოხდეს ბრალდებულის კონსტიტუციური უფლების – განაჩენის მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობის შესახებ, დარღვევა. უნდა ითქვას, რომ მუხლის ამ ნაწილის ფორმულირება ზოგადი და შეფასებითია. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ვერდიქტი ხომ არ არის აშკარად უსაფუძვლო და მტკიცებულებათა ერთობლიობის საწინააღმდეგო. ამ უფლებამოსილების გამოყენება სასამართლოს არ შეუძლია მხოლოდ იმიტომ, რომ არ ეთანხმება ცალკეული მოწმის ჩვენების სანდოობის შეფასებას ან რომელიმე ცალკეული მტკიცებულების მნიშვნელობას. სხდომის თავმჯდომარე, ვერდიქტის გაუქმების შემთხვევაში, ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღს. კანონი აღარ არეგულირებს სიტუაციას, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალი შემადგენლობის მიერ კვლავ გამამტყუნე-

ბლი ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში, როგორი უნდა იყოს სხდომის თავმჯდომარის რეაგირება.

### მუხლი 262. ვერდიქტის ფორმა

1. სხდომის თავმჯდომარემ ყოველ ბრალდებულზე უნდა მოამზადოს ვერდიქტის 2 ფორმა, რომლებიც ნაფიც მსაჯულებს წარედგინება: ერთი – გამამართლებელი ვერდიქტის, მეორე – გამამტყუნებელი ვერდიქტის.

2. ვერდიქტის ფორმა შემდეგნაირად უნდა იკითხებოდეს:

ა) გამამართლებელი ვერდიქტის ფორმა: ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ საქმეზე (საქმის ნომერი და დასახელება) ბრალდებული (სახელი და გვარი) არ ცნო დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით (ნაწილით, ქვეპუნქტით) (ნომერი) გათვალისწინებული დანაშაულის (დასახელება) ჩადენაში;

ბ) გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმა: ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ საქმეზე (საქმის ნომერი და დასახელება) ბრალდებული (სახელი და გვარი) ცნო დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით (ნაწილით, ქვეპუნქტით) (ნომერი) გათვალისწინებული დანაშაულის (დასახელება) ჩადენაში.

1. სსსკ ადგენს ვერდიქტის მარტივ ფორმას, რომელშიც მსაჯულები პასუხს სცემენ მხოლოდ ერთ შეკითხვაზე – დამნაშავეა თუ უდანაშაულო პირი. არსებობს ვერდიქტის სხვა, ე.წ. სპეციალური ფორმა, ძირითადად, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, სადაც ვერდიქტი ითვალისწინებს მსაჯულებისთვის დამატებით შეკითხვებს.
2. ამდენად, სსსკ-ის თანახმად, ვერდიქტი უნდა იყოს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარე, ნაფიც მსაჯულებს უმზადებს ვერდიქტის ორ ფორმას თითოეულ ბრალდებულზე – გამამართლებელი და გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმას. მუხლი ადგენს თითოეული ამ ფორმისთვის სავალდებულო რეკვიზიტებს.

### მუხლი 263. ვერდიქტის გამოცხადება

1. უფროსი მსაჯულის მიერ ვერდიქტის ხელმოწერის შემდეგ ნაფიცი მსაჯულები ბრუნდებიან სასამართლო სხდომის დარბაზში და უფროსი მსაჯული სხდომის თავმჯდომარეს გადასცემს ვერდიქტს.

2. სხდომის თავმჯდომარემ უნდა წაიკითხოს ვერდიქტი და უნდა დარწმუნდეს შემდეგში:

ა) ვერდიქტი თითოეულ ბრალდებაზე სწორი კენჭისყრის შედეგად არის მიღებული;

ბ) არ არის აშკარა წინააღმდეგობა ვერდიქტის ფორმებს შორის;

გ) ვერდიქტი გამოტანილია ყველა წარდგენილ ბრალდებაზე.

3. თუ სხდომის თავმჯდომარე ვერდიქტის ფორმას ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად მიიჩნევს, იგი ვერდიქტს სასამართლოს წინაშე გამოსაცხადებლად უბრუნებს უფროს მსაჯულს.

4. უფროსი მსაჯული აცხადებს ვერდიქტს სასამართლო სხდომის დარბაზში.

5. თუ სხდომის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ვერდიქტის ფორმა არ შეესაბამება ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, იგი ვერდიქტს უბრუნებს უფროს მსაჯულს და მოითხოვს ნაფიც მსაჯულთა დაბრუნებას სათათბირო ოთახში შეცდომების გასასწორებლად.

6. ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობისათვის მაღლობას უხდის ნაფიც მსაჯულებს და დაითხოვს მათ, გარდა ამ კოდექსის 264-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7. თუ ვერდიქტი მთლიანად გამამართლებელია, დაპატიმრებული ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია გამამართლებელი ვერდიქტის გა-



**მოცხადებისთანავე გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი.**

**8. გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოცხადებისთანავე სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს სასჯელის დანიშვნის სხდომის თარიღს. სასჯელის დანიშვნის სხდომა უნდა გაიმართოს ვერდიქტის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 დღისა.**

1. მას შემდეგ, რაც უფროსი მსაჯული ხელს მოანერს ვერდიქტს, მსაჯულები ბრუნდებიან სხდომის დარბაზში. თუმცა, ვერდიქტი პირდაპირ არ ცხადდება. თავდაპირველად ვერდიქტი გადაეცემა სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც ამოწმებს სამ საკითხს: სწორი კენჭისყრის შედეგად არის თუ არა ვერდიქტი მიღებული; ხომ არ არის აშკარა წინააღმდეგობა ვერდიქტის ფორმებს შორის და თითოეულ ბრალდებაზე თუ არის გამოტანილი ვერდიქტი. თუ ერთ-ერთი აღნიშნული საკითხი არასწორადაა გადაწყვეტილი, სხდომის თავმჯდომარის მითითებით, მსაჯულები გადიან სათათბირო ოთახში ხარვეზის აღმოსაფხვრელად. თუ ყველაფერი წესრიგშია ან ხარვეზი აღმოფხვრილია, უფროსი მსაჯული სხდომის დარბაზში საჯაროდ აცხადებს ვერდიქტს. ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მაღლობას უბდის მსაჯულებს და დაითხოვს მათ, თუ სასაჯელის დანიშვნის სხდომაზე ისინი არ იქნებიან მინვეუნი. სასჯელის დანიშვნის სხდომა გულისხმობს, ნაფიცი მსაჯულების გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში ჩანიშნულ სხდომას, რომელზედაც უკვე სხდომის თავმჯდომარე ადგენს სასჯელს, მის სახესა და ზომას.<sup>634</sup>
2. გამამართლებელი ვერდიქტის შემთხვევაში, გამართლებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს და მოსამართლე ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი. განაჩენი არ საბუთდება საერთო წესით.
3. გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოცხადების შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარე ვერდიქტის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 დღისა, ნიშნავს სასჯელის დანიშვნის სხდომას.

## **მუხლი 264. სასჯელის დანიშვნის სხდომა**

1. თუ საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მხარეები საქმეში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობის, ასევე სხვა წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს წარუდგენენ მოსაზრებებს სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით. თუ არც ერთი მხარე არ განაცხადებს უარს, სასჯელის დანიშვნის სხდომა იმართება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე შესაძლოა დაშვებულ იქნეს საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებაც.
2. თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები ხმათა უმრავლესობით მიიღებენ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე მეტი, ხოლო თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელის მინიმალური ზღვარი აღემატება მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედს, მსჯავრდებულს ენიშნება მინიმალური სასჯელი.
3. თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები ხმათა უმრავლესობით მიიღებენ სასჯელის დამძიმების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე ნაკლები.
4. თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არ შესწევს უნარი, მიიღოს სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია, სასჯელს ნიშნავს სხდომის თავმჯდომარე.
5. მხარეს უფლება აქვს, გამოხატოს პოზიცია მონაწილე მხარის მიერ სასჯელთან დაკავ-

<sup>634</sup> დეტალურად სასჯელის დანიშვნის სხდომის კომენტარი იხ., სსსკ-ის 264-ე მუხლის კომენტარებისას.

### შირებით წარდგენილ მოსაზრებაზე.

#### 6. სხდომის თავმჯდომარე ბრალდებულს სასჯელს უნიშნავს ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის გათვალისწინებით.

1. ნაფიცი მსაჯულების მიერ გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარე უნიშნავს სასჯელის დანიშვნის სხდომას. ამასთან, ამ სხდომაში შეიძლება კვლავაც მონაწილეობდნენ ნაფიცი მსაჯულები, რაც მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. კერძოდ, თუ რომელიმე მხარე არ იქნება წინააღმდეგი, მსაჯულები მონაწილეობას იღებენ სასჯელის დანიშვნის სხდომაში და მნიშვნელოვანი ფუნქციაც აკისრიათ. მათ აქვთ უფლებამოსილება, ხმათა უმრავლესობით, სხდომის თავმჯდომარეს მისცენ სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია. ერთ-ერთი ასეთი რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარე შეზღუდული იქნება გარკვეული ფარგლებით, რაც ამ მუხლშია დადგენილი. კერძოდ, სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, მოსამართლეს არ აქვს უფლება მსჯავრდებულს დაუნიშნოს მისთვის წარდგენილი მუხლისთვის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე მეტი. ხოლო სასჯელის დამძიმების რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, პირიქით, ორ მესამედზე ნაკლები. სასჯელის კონკრეტულ სახესა და ზომას განსაზღვრავს მოსამართლე. სასჯელის შეფარდების პროცესი, ისევე როგორც მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა, წმინდა სამართლებრივი საკითხია. ამიტომ, კანონმდებელმა აქ გამოორიცხა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა. თუ ნაფიცი მსაჯულები ვერ ახერხებენ ერთი ან მეორე ტიპის რეკომენდაციის გაცემას (ხმათა უმრავლესობა არ მოგროვდა), მოსამართლე მსაჯულების და მათი რეკომენდაციების გარეშე უნიშნავს სასჯელს.
2. მხარეებს უფლება აქვთ სასამართლოს წარუდგინონ მოსაზრებები სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით. ამასთან, მათი დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე შეიძლება მოსამართლემ დაუშვას საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება. კანონმდებელი მიუთითებს მხოლოდ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დაუშვებელ მტკიცებულებებზე, თუმცა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ წინასასამართლო სხდომაზე შეიძლება დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებებიც იქნეს დაშვებული. ამდენად, მიუხედავად მტკიცებულების არდაშვების გადაწყვეტილებისა არსებით განხილვაზე, მათი გამოყენება მაინც შესაძლებელია, სწორედ სასჯელის შეფარდების სხდომაზე. ბუნებრივია, აქ აზრი აქვს მხოლოდ ისეთი მტკიცებულების დაშვების შესახებ შუამდგომლობას, რომელსაც დამამძიმებელი ან შემამასუბუქებელი შინაარსი აქვს. სხვა ტიპის მტკიცებულება (მაგ., რომლითაც მხარე აპელირებდა არასწორ კვალიფიკაციაზე ან ალიბზე) არ დაიშვება მოსამართლის მიერ. დასახელებული ნორმის ფორმულირება იმგვარია, რომ არც ადრე დაუშვებლად ცნობილი შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი შინაარსის მტკიცებულება დაიშვება ავტომატურად. სასამართლოს უფლება აქვს დაუშვას ეს მტკიცებულებები შესაფასებლად ან არ დაუშვას.
3. მხარეებს უფლება აქვთ, სასამართლოს წარუდგინონ საკუთარი პოზიცია მეორე მხარის მიერ სასჯელთან დაკავშირებით წარდგენილ მოსაზრებაზე. მხარეთა არგუმენტებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა შეჯიბრებითი და მხარეთა თანასწორობის პრინციპზე აგებული პროცესის აუცილებელი პრინციპია. აქ ზოგადი წესია, რომ ბოლო სიტყვის უფლება აქვს დაცვის მხარეს.

#### მუხლი 265. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი

1. სასჯელის დანიშვნის სხდომაზე სხდომის თავმჯდომარეს გამოაქვს განაჩენი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად უნდა ეყრდნობოდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს.
2. სხდომის თავმჯდომარემ ეჭვი არ უნდა შეიტანოს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტ-

ში და არც სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციაში.

**3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის დადგენისას სხდომის თავმჯდომარე არ ასაბუთებს ვერდიქტს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის გათვალისწინებით მოტივირებული უნდა იყოს მხოლოდ სასჯელის ნაწილში.**

**4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.**

1. ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარეს გამოაქვს განაჩენი. როგორც აღინიშნა, ვერდიქტი და განაჩენი შეიძლება იყოს გამამართლებელი, რა დროსაც გამართლებული თავისუფლდება დაუყოვნებლივ და განაჩენი არ საბუთდება. განაჩენი შეიძლება იყოს გამამტყუნებელი, რომელიც გამოითანება სასჯელის შეფარდების სხდომაზე. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა დასაბუთდეს მხოლოდ სასჯელის შეფარდების ნაწილში. გამამტყუნებელი ვერდიქტი არ საბუთდება და ასევე, სხდომის თავმჯდომარემ განაჩენში ეჭვი არ უნდა შეიტანოს ვერდიქტის და სასჯელის შემსუბუქების/დამძიმების რეკომენდაციაში. მხოლოდ ერთ შემთხვევაშია სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილი ეჭვქვეშ დააყენოს და გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი ვერდიქტი. ეს საფუძველი მოცემული სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილში. ამგვარად, ნაფიცი მსაჯულების გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილი განაჩენი მნიშვნელოვანი თავისებურებით ხასიათდება იმ განაჩენისგან განსხვავებით, რომელიც ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშეა გამოტანილი და რომელიც უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.
2. აღსანიშნავია, რომ მოტივირებული სასამართლო განაჩენის უფლება ბრალდებულის ერთ-ერთი უფლებაა როგორც სსსკ-ით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად. კერძოდ, უფლება მოტივირებულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე კონვენციის მე-6 მუხლის – სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი შემადგენელი უფლებაა, რაც ევროპული სასამართლოს ერთმნიშვნელოვნად დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით საყოველთაოდ აღიარებულია. ამიტომ ჩნდება კითხვა, ხომ არ ხელყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, სადაც დასაბუთებულია მხოლოდ სასჯელის სახისა და ზომის გამოყენების საკითხი, ხოლო სხვა უმნიშვნელოვანესი ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხები არ არის დასაბუთებული.
3. ამ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მოუხდა მსჯელობა რამდენიმე საქმეში. ერთ-ერთი ასეთი საქმეა ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ<sup>635</sup>. აღნიშნულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ეჭვქვეშ არ დაუყენებია თავად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტის ლეგიტიმურობა, თუმცა გარკვეული პრინციპები დაადგინა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის სამართლიანი სასამართლოს პრინციპებთან შესაბამისობისთვის. „არჩევანის გაკეთებისას ხელმომწერი სახელმწიფოები სარგებლობენ მოქმედების ფართო თავისუფლებით, რათა მათი მართლმსაჯულების სისტემა მე-6 მუხლთან სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ. სასამართლოს ამოცანაა, საქმის კონკრეტული გარემოებების, ხასიათისა და სირთულის გათვალისწინებით, განიხილოს, თუ რამდენადაა კონვენციასთან შესაბამისობაში თითოეულ კონკრეტულ საქმეში ამა თუ იმ მეთოდით მიღწეული შედეგები. მოკლედ, სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანად წარიმართა“<sup>636</sup>. შემდეგ სასამართლოს მოჰყავს საკუთარი პრეცედენტული სამართლიდან<sup>637</sup> ამონარიდები და აკეთებს დასკვნას:

<sup>635</sup> Taxquet v Belgium, ECtHR, 16/11/2010.

<sup>636</sup> იქვე, §84.

<sup>637</sup> Papon v France, ECtHR, 25/10/2002; Bellerin Lagares v Spain, (dec), ECtHR, 04/11/2003. და სხვ.

- „კონვენცია არ ითხოვს მსაჯულებისგან მათი განაჩენის დასაბუთებას და მე-6 მუხლი არ ეწინააღმდეგება მსაჯულების მიერ განსაჯელის დამნაშავედ ცნობას მაშინაც კი, როცა ვერდიქტი დაუსაბუთებელია. მიუხედავად ამისა, იმისათვის, რომ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, ბრალდებულს და, რა თქმა უნდა, საზოგადოებასაც უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გაიგონ გამოტანილი განაჩენი; ეს წარმოადგენს თვითნებობისგან სასიცოცხლო მნიშვნელობის დაცვის გარანტიას. როგორც სასამართლო ხშირად აღნიშნავს ხოლმე, კანონის უზენაესობა და თვითნებობის თავიდან აცილება წარმოადგენს კონვენციის პრინციპების საფუძვლებს“<sup>638</sup>. სასამართლოს აზრით, იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოები თავის მოვალეობას სამოქალაქო მსაჯულებთან ერთად ახორციელებენ, ნებისმიერი სახის განსაკუთრებული პროცედურების ადაპტაცია უნდა მოხდეს, მით უმეტეს მაშინ, როცა მსაჯულებს არ მოეთხოვებათ, ან არ ეძლევათ უფლება წარმოადგინონ საკუთარი განაჩენის დასაბუთება. ასეთ შემთხვევაში, მე-6 მუხლი იმის შესწავლასაც მოითხოვს, თუ რამდენად საკმარისი გარანტიები არსებობს თვითნებობის რისკის თავიდან ასაცილებლად და მიეცემა თუ არა ბრალდებულს განაჩენის დასაბუთების გაგების შესაძლებლობა. ამგვარ პროცედურულ გარანტიებს შესაძლოა წარმოადგენდეს, მაგალითად, თავმჯდომარე მოსამართლის მიერ მსაჯულთათვის სამართლებრივ საკითხებთან ან მტკიცებულებებთან დაკავშირებით მიცემული ახსნა-განმარტებები ან მითითებები, მოსამართლის მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე დასმული ზუსტი, ცალსახა კითხვები, რომლებიც ჩამოაყალიბებენ მსაჯულების მიერ გამოტანილი განაჩენის დასაბუთების ჩარჩოებს და შესაბამისად, საკმარისად დააბალანსებენ იმ ფაქტს, რომ ნაფიც მსაჯულთა პასუხები არ იქნება დასაბუთებული.
4. ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სწავლობს რამდენად იქნა ზემოთ დასახელებული პრინციპები დაცული საქმის განხილვისას. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ დასახელებულ საქმეში (ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ) ნაფიც მსაჯულთა ხარვეზიანი სისტემის ერთ-ერთ არგუმენტად დაასახელა ის, რომ ბელგიური კანონმდებლობა შესაძლებლობას იძლეოდა ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი გასაჩივრებელიყო მხოლოდ სამართლის და არა ფაქტის საკითხებზე.<sup>639</sup>
  5. სსსკ-ით დადგენილ მსაჯულთა სასამართლოს მოდელში არ არის გათვალისწინებული მსაჯულთათვის ვერდიქტში კითხვების დასმის შესაძლებლობა. თუმცა, სსსკ საკმაოდ დეტალურად არეგულირებს და ადგენს სხდომის თავმჯდომარის მიერ სამართლებრივ და ფაქტობრივ საკითხებზე მსაჯულთათვის განმარტებების წარდგენის შესაძლებლობას და ამ პროცესში მხარეების მონაწილეობას.
  6. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი გამოცხადებისთანავე შედის კანონიერ ძალაში.

## მუხლი 266. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება

1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
2. მხარეს შეუძლია ერთჯერადად საკასაციო წესით სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი, თუ:
  - ა) სხდომის თავმჯდომარემ მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო;
  - ბ) სხდომის თავმჯდომარემ მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის განხილვისას უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, რითაც არსებითად დაირღვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი;
  - გ) სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლის წინ განმარტებების

<sup>638</sup> Taxquet v Belgium, ECtHR, 16/11/2010, § 90.

<sup>639</sup> Taxquet v Belgium, ECtHR, 16/11/2010, § 99.

მიცემისას არსებითი შეცდომა დაუშვა;

დ) სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანისას მთლიანად ან ნაწილობრივ არ დაეყრდნო ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს;

ე) სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევით გამოტანილ ვერდიქტს;

ვ) სასჯელი უკანონო ან/და აშკარად დაუსაბუთებელია;

ზ) სხდომის თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცემა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალ შემადგენლობას.

4. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“-„ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის სასჯელის ნაწილში გაუქმების შემთხვევაში საქმე სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის უბრუნდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს.

1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამართლებელი ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი არ საჩივრდება. რაც შეეხება გამამტყუნებელ განაჩენს, იგი საჩივრდება მხოლოდ საკასაციო წესით სააპელაციო სასამართლოში. განაჩენის გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილების ეჭვქვეშ დაყენების საფუძველით. ეს საფუძველები ამომწურავად არის ჩამოთვლილ მოცემულ მუხლში.

2. ა) **სხდომის თავმჯდომარემ მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო.** გასაჩივრების ერთ-ერთი საფუძველია, თუ სხდომის თავმჯდომარემ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხზე უკანონო გადაწყვეტილება მიიღო. მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, როგორც ცნობილია, მოსამართლე განიხილავს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე წინასასამართლო სხდომაზე. ხოლო, ახალი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში, სსსკ-ს 239-ე მუხლით გათვალისწინებული წესით არსებითი განხილვის ხდომაზეც. უკანონო გადაწყვეტილება შეიძლება მრავალგვარი იყოს. „უკანონობა“ გულისხმობას, რომ მტკიცებულებათა დაუშვებლობის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულ იქნა როგორც სსსკ-ის, ისე საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნები.

3. ბ) **სხდომის თავმჯდომარემ მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის განხილვისას უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, რითაც არსებითად დაირღვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი.** აღნიშნული საფუძველი გულისხმობს ერთდროულად ორი გარემოების არსებობას: 1) მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლის უკანონო გადაწყვეტილების გამოტანას და 2) ამ უკანონო გადაწყვეტილებით არსებითად უნდა დაირღვეს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი.

4. მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა შეიძლება შეეხებოდეს სხვადასხვა საკითხს. ასევე, მოსამართლის მიერ დაშვებული კანონდარღვევაც შუამდგომლობის განხილვის დროს შეიძლება მრავალნაირი იყოს. თუმცა, ეს არ არის საკმარისი. დაშვებული უკანონობა არსებითად უნდა არღვევდეს მხარეთა შეჯიბრებითობას. კანონმდებელი დამატებით იყენებს ტერმინ „არსებითს“, რითიც ხაზს უსვამს, რომ შეჯიბრებითობის დარღვევა არ უნდა იყოს ფორმალური, უმნიშვნელო, არამედ ის არსებითად უნდა ხელყოფდეს აღნიშნულ პრინციპს. ტერმინი „არსებითი“ შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მოხდება მისი გაანალიზება. მოსამართლის მიერ დაშვებული უკანონო გადაწყვეტილების მაგალითად (რომელიც არსებითად არღვევს შეჯიბრებითობას) შეიძლება დასახელდეს ვითარება, როდესაც მხარეებმა წარადგინეს საკუთარი განმარტებები ნაფიცი მსაჯულებისთვის წარსადგენად, თუმცა, მოსამართლემ დაუსაბუთებლად უარი განაცხადა ერთ-ერთი

- მხარის განმარტებების გადაცემაზე მსაჯულებისთვის; მხარემ იშუამდგომლა დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შესახებ და მოსამართლემ საერთოდ არ მოუხმინა ამ საკითხზე მეორე მხარეს და სხვ. ორივე დასახელებულ მაგალითში სასამართლოს გადაწყვეტილებებმა არსებითად ხელყვეს შეჯიბრებითობის პრინციპი. შეჯიბრებითობის პრინციპის არსი იხილეთ სსსკ-ის მე-9 მუხლის კომენტარში.
5. **გ) სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლის წინ განმარტებების მიცემისას არსებითი შეცდომა დაუშვა;** სსსკ-ის 261-ე მუხლის თანახმად, მსაჯულები გადაწყვეტილებას იღებენ ფაქტების შესახებ. თუმცა, ამ პროცესში ისინი ხელმძღვანელობენ მოსამართლის მიერ სამართლის საკითხებზე განხორციელებული განმარტებების საფუძველზე. მხარეებს, სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ განმარტებების მიცემის პროცესში და წარადგინონ საკუთარი ცვლილებები და დამატებები მოსამართლის მიერ შედგენილ განმარტებებზე. განმარტებები მსაჯულებს შემოუხაზავს იმ ფარგლებს, რომელშიც უნდა დარჩნენ ისინი ფაქტების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ამდენად, მოსამართლის მიერ მსაჯულებისადმი მიცემულმა არსებითად არასწორმა განმარტებამ მსაჯულთა გადაწყვეტილებაზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. აქაც ნორმა ადგენს, რომ შეცდომა უნდა იყოს არსებითი. მნიშვნელობა არ აქვს იმოქმედა თუ არა შეცდომამ მსაჯულების გადაწყვეტილებებზე. ამის შეფასება შეუძლებელიც კია, რამდენადაც ნაფიცი მსაჯულების სათათბირო საიდუმლოა და ისინი არ ასაბუთებენ ვერდიქტში, რამ განაპირობა მათი ესა თუ ის დასკვნა. მხარეთა მიერ, სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საკუთარი განმარტებების (სხდომის თავმჯდომარის განმარტებებზე ცვლილებების და დამატებების) წარუდგენლობა, ართმევს მათ შესაძლებლობას, მოცემული საფუძველით გაასაჩივრონ განაჩენი.
  6. **დ) სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანისას მთლიანად ან ნაწილობრივ არ დაეყრდნო ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს.** სსსკ-ის 265-ე მუხლის თანახმად, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მოსამართლის მიერ გამოტანილი განაჩენი ერთმნიშვნელოვნად უნდა ემყარებოდეს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ განაჩენი სრულად ან ნაწილობრივ არ ეყრდნობა ვერდიქტს, სახეზე იქნება განაჩენის გასაჩივრების მოცემული საფუძველი.
  7. **ე) სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევით გამოტანილ ვერდიქტს.** სსსკ-ის 261-ე მუხლი ითვალისწინებს მსაჯულთა ვერდიქტის მიღების წესს. ასევე, სსსკ-ის 262-ე მუხლი ადგენს ვერდიქტის ფორმას. თუ აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევით იქნა გამოტანილი ვერდიქტი და ამ ვერდიქტს დაეყრდნო მოსამართლის განაჩენი, ეს გარემოება საკასაციო გასაჩივრების ერთ-ერთი საფუძველია. გარდა ამისა, ამ საფუძველით შეიძლება გასაჩივრდეს კოდექსის სხვა მოთხოვნათა დარღვევით გამოტანილი ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილი განაჩენი. მაგალითად შეიძლება დასახელდეს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ვითარება, როცა მოსამართლეს აქვს უფლებამოსილება გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი, თუ აღნიშნული ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძველოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა. შესაბამისად, ვერდიქტი კოდექსის დარღვევით იქნება გამოტანილი, თუ ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას. ხოლო, მოსამართლის განაჩენის დაყრდნობა ასეთ ვერდიქტზე შეიძლება ქმნიდეს გასაჩივრების მოცემულ საფუძველს.
  8. რომელიმე ზემოთ განხილული ქვეპუნქტით საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცემა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალ შემადგენლობას.
  9. გარდა აღნიშნული საფუძველებისა, კიდევ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ორი საფუძ-

- ველი, რომელიც ეხება მხოლოდ სასჯელის საკითხს. კერძოდ, სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი – სასჯელი უკანონო ან/და აშკარად დაუსაბუთებელია და „ზ“ ქვეპუნქტი, სხდომის თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია.
10. სასჯელის უკანონობა ნიშნავს, რომ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და სასჯელის შეფარდების დროს გამოყენებული სხვა კანონების მოთხოვნათა დარღვევით. სასჯელის აშკარად დაუსაბუთებლობა ნიშნავს მისი ამა თუ იმ სახისა და ზომის გამოყენებას აშკარად არასაკმარისი არგუმენტაციის და მტკიცებულებების საფუძველზე. საკასაციო გასაჩივრების ერთ-ერთი საფუძველი იქნება ასევე, თუ სხდომის თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია. სსსკ-ის 264-ე მუხლის თანახმად, სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია სასჯელი დანიშნოს შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის გათვალისწინებით. თუ მაინც მოხდა ისე, რომ მოსამართლემ არ გაითვალისწინა რეკომენდაცია, სახეზე იქნება მის მიერ მიღებული განაჩენის გასაჩივრების საფუძველი.
  11. თუ ზემოაღნიშნული „ვ“ ან „ზ“ ქვეპუნქტების საფუძველით დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი, საქმე, სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის, უბრუნდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს.

### **მუხლი 267. სასამართლოს თათბირისა და საქმის ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი**

1. საქმის კოლეგიურად განხილვისას განაჩენის დადგენას წინ უძღვის სასამართლოს თათბირი ამ კოდექსით დადგენილი წესით.
  2. სხდომის თავმჯდომარე მოსამართლეთა გადასაწყვეტ საკითხებს სვამს ამ კოდექსის 260-ე მუხლში მითითებული თანამიმდევრობით. იმავე თანამიმდევრობით წყვეტს ამ საკითხებს მოსამართლე, რომელიც ერთპიროვნულად განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს.
  3. თითოეულ საკითხზე პირველად კენჭი ეყრება იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ბრალდებულისათვის ყველაზე სასიკეთოა. თუ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის გამართლება მოითხოვა ერთმა მოსამართლემ, ხოლო ორ სხვა მოსამართლეს სხვადასხვა აზრი აქვს ამ დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის შესახებ, გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის ხმა ბრალდებულის გასამართლებლად უერთდება იმ მოსამართლის ხმას, რომლის გადაწყვეტილებაც ბრალდებულისათვის ყველაზე სასიკეთოა.
1. საქმის კოლეგიურად განხილვისას განაჩენის დადგენას წინ უძღვის სასამართლოს თათბირი ამ კოდექსით დადგენილი წესით.  
ცხადია, რომ საქმის კოლეგიურად განხილვის დროს (მათ შორის – პირველი ინსტანციის სასამართლოში) განაჩენის დადგენას წინ უძღვის კოლეგიის წევრთა თათბირი.
  2. სხდომის თავმჯდომარე მოსამართლეთა გადასაწყვეტ საკითხებს სვამს ამ კოდექსის 260-ე მუხლში მითითებული თანამიმდევრობით. იმავე თანამიმდევრობით წყვეტს ამ საკითხებს მოსამართლე, რომელიც ერთპიროვნულად განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს.  
როგორც აღინიშნა, გადასაწყვეტ საკითხთა თანამიმდევრობის დადგენას აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი იწვება საქმისათვის ყველაზე არსებითი საკითხებით. ცხადია, ამავე თანამიმდევრობით უნდა დაისვას გადასაწყვეტად ეს საკითხები განაჩენის გამოტანამდე თათბირის დროს.
  3. თითოეულ საკითხზე პირველად კენჭი ეყრება იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ბრალდებულისათვის ყველაზე სასიკეთოა. თუ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის გამართლება მოითხოვა ერთმა მოსამართლემ, ხოლო ორ სხვა მოსამართლეს სხვადასხვა აზრი აქვს ამ დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის შესახებ, გადაწყვეტილების მიღებისას მო-

**სამართლის ხმა ბრალდებულის გასამართლებლად უერთდება იმ მოსამართლის ხმას, რომლის გადანყვეტილებაც ბრალდებულისათვის ყველაზე სასიკეთოა.**

სასამართლოს თათბირის ბრალდებულის სასიკეთო გადანყვეტილების კენჭისყრით დაწყება ასევე არ არის შემთხვევითი და შესაბამება სსსკ-ის 260-ე მუხლით დადგენილ თანმიმდევრობას. ბუნებრივია, თუ თავდაპირველად დადგინდა, რომ ბრალად შერაცხული ქმედება არ არის კანონით გათვალისწინებული ან გათვალისწინებულია, მაგრამ ამ ბრალდებულს არ ჩაუდენია, სხვა არსებითი საკითხების გადანყვეტა აზრს მოკლებულია. ამასთან, თუ ერთი მოსამართლე ემხრობა ქმედების სსკ-ის 108-ე მუხლით, ხოლო მეორე – 117-ე მუხლით დაკვალიფიცირებას, მესამე მოსამართლის ხმა, რომელიც გამართლებას ითხოვს, უერთდება სსკ-ის 117-ე მუხლით მოთხოვნილ კვალიფიკაციას და შესაბამისად, ქმედება სწორედ ამგვარად შეფასდება.

### **მუხლი 268. სასამართლოს განაჩენის სახეები**

1. სასამართლოს განაჩენი შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი.
  2. სასამართლოს განაჩენი შეიძლება ბრალდების ზოგ ეპიზოდში გამამტყუნებელი იყოს, ხოლო ბრალდების სხვა ეპიზოდში – გამამართლებელი.
- კანონით დადგენილია განაჩენი სახეები – სრულად გამამტყუნებელი ან გამამართლებელი, ან მხოლოდ ზოგ ეპიზოდში გამამართლებელი.

### **მუხლი 269. გამამტყუნებელი განაჩენი**

1. გამამტყუნებელი განაჩენი შეიცავს სასამართლოს გადანყვეტილებას ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შესახებ.
2. არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი.
3. გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება გამოტანილ იქნეს:
  - ა) მოსახდელი სასჯელის დანიშვნით;
  - ბ) სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით;
  - გ) სასჯელის დაუნიშნავად.
4. მოსახდელი სასჯელის დანიშვნით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს სასჯელის სახე, ზომა და სასჯელის მოხდის ვადის დაწყება. პირის დაკავების, პატიმრობისა და ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის ვადა ითვლება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადაში.
5. გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით სასამართლო ადგენს, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის:
  - ა) გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან;
  - ბ) გასულია ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა;
  - გ) ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას;
  - დ) პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი
  - ე) პირმა განახორციელა ქმედითი მონანიება;
  - ვ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322<sup>1</sup>, 344-ე ან 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> ან/და 143<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო. (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან.)
6. გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად სასამართლო ადგენს, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ბრალდებული გარდაცვლილია.



1. **გამამტყუნებელი განაჩენი შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებას ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შესახებ.**  
გამამტყუნებელი განაჩენი შეიცავს გადაწყვეტილებას ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შესახებ.
2. **არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი.**  
განაჩენი, რომელიც ეყრდნობა ვარაუდს, დაუსაბუთებელია. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ამდენად, დაუშვებელია ამგვარი მსჯელობა – „ამ დანაშაულს სხვა ვერაფერს ჩაიდენდა ან ეს მტკიცებულებები მისანიშნებენ სწორედ ამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენას“.
3. **გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება გამოტანილ იქნეს:**
  - ა) მოსახდელი სასჯელის დანიშვნით;
  - ბ) სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით;
  - გ) სასჯელის დაუნიშნავად.

კანონით დადგენილია გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელის გამოყენების ყველა შესაძლო შემთხვევა.
4. **მოსახდელი სასჯელის დანიშვნით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს სასჯელის სახე, ზომა და სასჯელის მოხდის ვადის დაწყება. პირის დაკავების, პატიმრობისა და ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის ვადა ითვლება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადაში.**  
ზოგადად, განაჩენი და მისი სარეზოლუციო ნაწილი იმგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ გამოირიცხოს ბუნდოვანება და გადაწყვეტილების სხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობა. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს სასჯელის სახე, ზომა და მისი მოხდის ვადის დაწყება. ამასთან, სასჯელის ვადაში მოხდილად ითვლება დაკავების, პატიმრობისა და ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის დრო. ეს ვადა მოხდილად ითვლება ძირითად სასჯელად ჯარიმის დანიშვნის შემთხვევაშიც, რა დროსაც ჯარიმის ოდენობა მცირდება ან პირი სრულად თავისუფლდება მისი მოხდისაგან.
5. **გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით სასამართლო ადგენს, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის:**
  - **გამოცემულია** ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან;  
საპროცესო კოდექსი ამომწურავად ადგენს სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძვლებს და მათგან პირველია ამნისტიის აქტი (სსკ-ის 77-ე მუხლი).
  - **გასულია ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა;**
  - სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადები განსაზღვრულია სსკ-ის 71-ე მუხლით. აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლა დევნის შეწყვეტის საფუძველია. ამჯერად იგულისხმება შემთხვევა, როდესაც გამამტყუნებელი განაჩენით იცვლება ქმედების კვალიფიკაცია და ეს მუხლი გათვალისწინებულია ამნისტიის შესახებ კანონით.
  - **ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას;**
  - თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ბრალად შერაცხულ ქმედებას აღარ ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსი, ეს ასევე სასჯელის დანიშვნისა და მისი მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველია.
  - **პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი**  
დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება განსაზღვრულია სსკ-ის 21-ე მუხლით, რომლის მიხედვით შესაბამისი პირობების არსებობისას პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა. სსკ-ის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით, დანაშაულზე ნე-

ბაყოფლობით ხელის აღება გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველია.

— **პირმა განახორციელა ქმედითი მონაწილეობა;**

ქმედითი მონაწილეობისას, სსკ-ის 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და ასეთ პირობებში, ეს სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძველია.

— **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322<sup>1</sup>-ე, 344-ე ან 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე ან/და 143<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო (24.09.2010. №3616 ამოქმედდეს 2010 წლის 30 სექტემბრიდან).**

პირი ასევე თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ ტრეფიკინგის შედეგად დაზარალებულად ყოფნის გამო ჩაიდენს სსკ-ის 322<sup>1</sup>, 344-ე ან 362-ე მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებას.

**6. გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად სასამართლო ადგენს, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ბრალდებული გარდაცვლილია.**

სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ბრალდებულის გარდაცვალება ასევე დევნის შეწყვეტის საფუძველია. ამდენად, სასჯელის დაუნიშნავად გამამტყუნებელი განაჩენი დგინდება პრაქტიკულად მხოლოდ იმ ვითარებაში, როდესაც ბრალდებული გარდაიცვლება განაჩენის გამოსატანად სასამართლოს სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ.

## მუხლი 270. გამამართლებელი განაჩენი

**1. გამამართლებელი განაჩენი ნიშნავს ბრალდებულისთვის წაყენებული ბრალის დაუდასტურებლობას.**

**2. გამამართლებელი განაჩენი არ უნდა შეიცავდეს გამართლებულის უდანაშაულობის გამომრიცხავ ან მისი სახელის გამტეხ ფორმულირებებს.**

**1. გამამართლებელი განაჩენი ნიშნავს ბრალდებულისთვის წაყენებული ბრალის დაუდასტურებლობას.** თუკი გამამტყუნებელი განაჩენი შეიცავს სასამართლოს გადანყვეტილებას ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შესახებ, გამამართლებელი განაჩენი ნიშნავს წაყენებული ბრალის დაუდასტურებლობას.

**2. გამამართლებელი განაჩენი არ უნდა შეიცავდეს გამართლებულის უდანაშაულობის გამომრიცხავ ან მისი სახელის გამტეხ ფორმულირებებს.**

ამასთან დაუშვებელია, განაჩენში მიეთითოს გამართლებულის უდანაშაულობის გამომრიცხავი ან მისი სახელის გამტეხი ფორმულირებები, მაგალითად მითითება, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ ამის უტყუარად დამადასტურებელი მასალები არ წარმოდგენილა ან არასაკმარისია.

## მუხლი 271. განაჩენის ფორმა

**1. განაჩენი შედგება შესავალი, აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.**

**2. განაჩენს ხელი უნდა მოაწეროს ყველა მოსამართლემ, განსხვავებული აზრის მქონის გარდა.**

**3. განაჩენში შეტანილი შესწორება განაჩენის გამოცხადებამდე წინასწარ უნდა შეათანხმოს და ხელმოწერით უნდა დაადასტუროს ყველა მოსამართლემ.**

**1. განაჩენი შედგება შესავალი, აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.**

კანონი ადგენს განაჩენის ფორმას, სტრუქტურას. განაჩენი შედგება შესავალი, აღწერილ-

- ობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.
2. **განაჩენს ხელი უნდა მოაწეროს ყველა მოსამართლემ, განსხვავებული აზრის მქონის გარდა.** საქმის კოლეგიურად განხილვის შედეგად განაჩენს ხელს აწერს ყველა მოსამართლე, გარდა იმ მოსამართლისა, რომელიც არ ეთანხმება გადანყვეტილებას მაგალითად პირის დამნაშავედ ცნობის შესახებ და, შესაბამისად, განსხვავებული აზრი აქვს.
  3. **განაჩენში შეტანილი შესწორება განაჩენის გამოცხადებამდე წინასწარ უნდა შეათანხმოს და ხელმოწერით უნდა დაადასტუროს ყველა მოსამართლემ.** განაჩენი შესაძლოა შესწორდეს მის გამოცხადებამდე, რაც წინასწარ უნდა შეათანხმდეს ყველა მოსამართლესთან და ეს შესწორება ხელმოწერით უნდა დაადასტუროს ყველა მოსამართლემ.

### მუხლი 272. განაჩენის შესავალი ნაწილი

განაჩენის შესავალ ნაწილში აღინიშნება:

- ა) რომ განაჩენი დადგენილია საქართველოს სახელით;
- ბ) განაჩენის დადგენის დრო და ადგილი;
- გ) განაჩენის დამდგენი სასამართლოს სახელწოდება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, ბრალმძებელი და ადვოკატი;
- დ) ბრალდებულის პერსონალური მონაცემები და მასთან დაკავშირებით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ცნობები;
- ე) სისხლის სამართლის კანონი, რომლითაც ბრალდებულს ბრალი წაუყენეს.

1. განაჩენის შესავალ ნაწილში აღინიშნება, რომ იგი დადგენილია საქართველოს სახელით; განაჩენის დადგენის დრო (რიცხვი, თვე და წელი), ადგილი (მაგ., თბილისი); სასამართლოს სახელწოდება (მაგ., მცხეთის რაიონული სასამართლო) და შემადგენლობა (მოსამართლის ან მოსამართლეების ვინაობა), სხდომის მდივნის, ბრალმძებლისა და ადვოკატის ვინაობა; ბრალდებულის პერსონალური მონაცემები (დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, ნასამართლობა, საცხოვრებელი მისამართი); სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი (მუხლები), რომლითაც პირი (პირები) ბრალდებულია.

### მუხლი 273. გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

1. გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დადგენილად ცნო. ამასთანავე, განაჩენში მითითებული უნდა იყოს მისი ჩადენის ადგილი, დრო და ხერხი, ბრალის ფორმა, დანაშაულის მოტივი, მიზანი და შედეგი. განაჩენში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა, და მოტივი, რომლის მიხედვითაც სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო მეორე. ამასთანავე, განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები, ხოლო თუ ბრალდების ნაწილი უსაფუძვლოდაა მიჩნეული ან დანაშაულის კვალიფიკაცია არასწორია – ბრალდებულის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის საფუძველი და მოტივები.

2. სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს აგრეთვე სასჯელის სახე და ზომა, პირობითი მსჯავრის გამოყენება, ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მინიმალურ ზღვარზე დაბალი სასჯელის დანიშვნა და ნაკლებად მკაცრ სასჯელზე გადასვლა, საპროცესო იძულების ღონისძიების გაუქმების ან შემდგომი გამოყენების შესახებ გადანყვეტილება (28.10.2011. №5170 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს).

1. 1. გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს იმ და-

- ნაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დადგენილად ცნო. ამასთანავე, განაჩენში მითითებული უნდა იყოს მისი ჩადენის ადგილი, დრო და ხერხი, ბრალის ფორმა, დანაშაულის მოტივი, მიზანი და შედეგი. განაჩენში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა, და მოტივი, რომლის მიხედვითაც სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო მეორე. ამასთანავე, განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები, ხოლო თუ ბრალდების ნაწილი უსაფუძვლოდაა მიჩნეული ან დანაშაულის კვალიფიკაცია არასწორია – ბრალდებულის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის საფუძველი და მოტივები.
2. განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი იწყება იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერით (ფაბულით), რაც სასამართლომ დადგენილად ცნო; უნდა აღინიშნოს ამგვარი ქმედების ჩადენის ადგილი, დრო და ხერხი (მით უფრო – თუ ეს ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ნიშანიცაა, მაგ., სსკ-ის მე-300 მუხლით დასჯადია ელექტროშოკით ან სხვა აკრძალული საგნით თევზჭერა აკრძალულ დროს ან აკრძალულ ადგილას); ბრალის ფორმა (განზრახია თუ გაუფრთხილებელი. ამასთან, უნდა დაკონკრეტდეს და დასაბუთდეს, ქმედება ჩადენილია პირდაპირი თუ არაპირდაპირი განზრახვით ან თვითიმედოვნებითაა თუ დაუდევრობით, რასაც მნიშვნელობა აქვს სასჯელის სახისა და ზომის შერჩევას); სსკ-ის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მტკიცებულება ფასდება საქმესთან მისი რელევანტურობითაც (შემხებლობით). ამდენად, განაჩენში სწორედ მხოლოდ რელევანტური მტკიცებულება უნდა აისახოს, რასაც ეყრდნობა სასამართლოს დასკვნა ამა თუ იმ საკითხზე, ასევე – მოტივი, რის გამოც სასამართლომ უარყო ერთი მტკიცებულება და მიიღო მეორე (მაგ. სასამართლომ არ გაიზიარა მოწმის ჩვენება იარაღიდან მიბჯენით სროლის შესახებ იმის გამო, რომ ეს გამოირიცხა შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით /დაზარალებულის ტანსაცმელზე ან სხეულზე არ აღმოჩნდა დენთის კვალი ან ჭრილობის სურათი არ მეტყველებს მიბჯენით გასროლაზე); განაჩენში ასევე აღინიშნება მხოლოდ ის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რაც დადგინდა საქმის მასალების გამოკვლევის შედეგად და არა – კანონით განსაზღვრული ყველა მათგანი (სსკ-ის 53-ე მუხლი); ასევე უნდა აღინიშნოს და დასაბუთდეს გადანყვეტილება ბრალდების შეცვლის დროს – ეპიზოდში გამართლების ან/და ბრალად შერაცხული ქმედების სხვაგვარად დაკვალიფიცირება პირობებში (ამ საკითხებზე, მათ შორის – პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებზე ვრცლად იხილეთ ასევე „სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე“, 2015 წელი).
  3. **2. სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს აგრეთვე სასჯელის სახე და ზომა, პირობითი მსჯავრის გამოყენება, ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მინიმალურ ზღვარზე დაბალი სასჯელის დანიშვნა და ნაკლებად მკაცრ სასჯელზე გადასვლა, საპროცესო იძულების ღონისძიების გაუქმების ან შემდგომი გამოყენების შესახებ გადანყვეტილება (28.10.2011. №5170 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს).**
  4. როგორც აღინიშნა, განაჩენი უნდა იყოს სამართლიანიც. სასამართლო ყველა დასკვნა და გადანყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს, მათ შორის – პირობითი მსჯავრის გამოყენება (მაგ. ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენა, დადებითი დახასიათება, ზიანის ანაზღაურება). სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ სსკ-ის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია პირის საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე ან მხოლოდ იზოლაციით.
  5. აღსანიშნავია, რომ მოქმედი მატერიალური კოდექსი მინიმალურ ზღვარზე დაბალი სასჯელის ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნას ითვალისწინებს მხოლოდ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე.

**მუხლი 274. გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი**

1. გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება:

- ა) ბრალდებულის სახელი და გვარი;
  - ბ) გადაწყვეტილება დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შესახებ;
  - გ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი (ნაწილი, ქვეპუნქტი), რომლის მიხედვითაც ბრალდებული მიჩნეულია დამნაშავედ;
  - დ) იმ სასჯელის სახე და ზომა, რომელიც ბრალდებულს დაენიშნა თითოეული დანაშაულისათვის, მოსახდელი სასჯელის საბოლოო ზომა;
  - ე) გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა, თუ გამოყენებულია პირობითი მსჯავრი;
  - ვ) გადაწყვეტილება სასჯელის ვადაში დაკავების, პატიმრობისა და სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის ყოფნის ვადის ჩათვლის შესახებ;
  - ზ) მსჯავრდებულისათვის განაჩენის აღსრულების გადავადების ხანგრძლივობა და მისთვის დაკისრებული მოვალეობები;
  - თ) ნივთიერი მტკიცებულების საკითხის გადაწყვეტა;
  - ი) ქონების ჩამორთმევის და საპროცესო კონფისკაციის საკითხის გადაწყვეტა;
  - კ) გადაწყვეტილება სახელმწიფო ჯილდოს, სამხედრო, საპატიო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევის შესახებ;
  - ლ) ამოღებულ იქნეს (28.10.2011. №5170 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.)
  - მ) განაჩენის გასაჩივრების უფლება, რა ვადაში და სად შეიძლება გასაჩივრდეს ის.
2. თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით ჰქონდა წაყენებული, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად უნდა მიეთითოს, რომელ ბრალდებაში გაამართლეს იგი და რომელში დასდეს მსჯავრი.
3. სასჯელის მოხდისაგან ბრალდებულის გათავისუფლების შემთხვევაში ეს უნდა აღინიშნოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში.
4. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ განაჩენის აღსრულებისას სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის შესახებ ეჭვი არ წარმოიშვას.

1. გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება:

- ა) ბრალდებულის სახელი და გვარი;
  - ბ) გადაწყვეტილება დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შესახებ;
  - გ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი (ნაწილი, ქვეპუნქტი), რომლის მიხედვითაც ბრალდებული მიჩნეულია დამნაშავედ;
  - დ) იმ სასჯელის სახე და ზომა, რომელიც ბრალდებულს დაენიშნა თითოეული დანაშაულისათვის, მოსახდელი სასჯელის საბოლოო ზომა;
  - ე) გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა, თუ გამოყენებულია პირობითი მსჯავრი;
  - ვ) გადაწყვეტილება სასჯელის ვადაში დაკავების, პატიმრობისა და სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის ყოფნის ვადის ჩათვლის შესახებ;
  - ზ) მსჯავრდებულისათვის განაჩენის აღსრულების გადავადების ხანგრძლივობა და მისთვის დაკისრებული მოვალეობები;
  - თ) ნივთიერი მტკიცებულების საკითხის გადაწყვეტა;
  - ი) ქონების ჩამორთმევის და საპროცესო კონფისკაციის საკითხის გადაწყვეტა;
  - კ) გადაწყვეტილება სახელმწიფო ჯილდოს, სამხედრო, საპატიო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევის შესახებ;
  - ლ) ამოღებულ იქნეს (28.10.2011. №5170 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.)
  - მ) განაჩენის გასაჩივრების უფლება, რა ვადაში და სად შეიძლება გასაჩივრდეს ის.
- განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება ბრალდებულის სახელი და გვარი, გად-

ანვეცილება მისი დამნაშავედ ცნობის შესახებ და სსკ-ის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლითაც ბრალდებული მიჩნეულია დამნაშავედ, სასჯელის სახე და ზომა თითოეული დანაშაულისათვის (მაგ., გიორგი გიორგაძე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს: 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 3 წლით, მე-2 ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ა.შ.); უნდა მიეთითოს სასჯელის საბოლოოდ სახე და ზომა, ასევე საფუძველიც – ეს ზომა განისაზღვრა სასჯელთა შთანთქმის, ნაწილობრივი თუ სრულად შეკრების შედეგად; ასევე აღინიშნება პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა (სსკ-ის 64-ე მუხლი); სარეზოლუციო ნაწილში ასევე მკაფიოდ აღინიშნება სასჯელის ვადაში დაკავების, პატიმრობისა და სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის ყოფნის ჩათვლა (თუ პირი დაკავებიდან განაჩენის გამოტანამდე არ გათავისუფლებულა, საკმარისია მხოლოდ დაკავების მომენტიდან სასჯელის მოხდაზე მითითება); განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელთა შეკრების შემთხვევაში ზუსტად უნდა მიეთითოს წინა სასჯელის მოუხდელი ნაწილი; სარეზოლუციო ნაწილში ასევე აღინიშნება განაჩენის აღსრულების გადავადების ხანგრძლივობა და მისთვის დაკისრებული მოვალეობები (სსსკ-ის 283-ე მუხლი), ნივთიერი მტკიცებულების საკითხის გადაწყვეტა (სსსკ-ის 81-ე მუხლი), ქონების ჩამორთმევის (სსკ-ის 52-ე მუხლი) და საპროცესო კონფისკაციის საკითხის გადაწყვეტა, გადაწყვეტილება სახელმწიფო ჯილდოს, სამხედრო, საპატიო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევის შესახებ, ასევე – განაჩენის გასაჩივრების უფლება, რა ვადაში და სად შეიძლება გასაჩივრდეს ის. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

**2. თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით ჰქონდა წაყენებული, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად უნდა მიეთითოს, რომელ ბრალდებაში გაამართლეს იგი და რომელში დასდეს მსჯავრი.**

განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად უნდა მიეთითოს, რომელ ბრალდებაში გაამართლდა პირი და რომელში დასდეს ბრალი (მაგ., გიორგი გიორგაძე გაამართლეს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნეს დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიესაჯოს).

**3. სასჯელის მოხდისაგან ბრალდებულის გათავისუფლების შემთხვევაში ეს უნდა აღინიშნოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში.**

ცხადია, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება გადაწყვეტილება ბრალდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების თაობაზე.

**4. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ განაჩენის აღსრულებისას სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის შესახებ ეჭვი არ წარმოიშვას.**

ყველა შემთხვევაში, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი მკაფიოდ და გარკვევით უნდა ჩამოყალიბდეს, რათა არ წარმოიშვას ეჭვი სასჯელის სახისა და ზომის შესახებ.

## **მუხლი 275. გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი**

გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება: წარდგენილ ბრალდების არსი, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს სასამართლოს დასკვნას ბრალდებულის უდანაშაულობის შესახებ; მოტივი, რომელიც ხსნის, თუ რატომ მიაჩნია სასამართლოს არასარწმუნოდ ან არასაკმარისად მტკიცებულება, რომელსაც ემყარებოდა წარდგენილი ბრალდება, ან/და რატომ მიაჩნია სასამართლოს, რომ არ არსებობს დანაშაულის შემთხვევა ან რომ ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული.

1. გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი იწყება იმ ქმედების აღწერით, რაშიც პირი ბრალდებულად ცნეს; სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს სასამართლოს დასკვნას ბრალდებულის უდანაშაულობის შესახებ; მოტივი, რის გამოც სასამართლოს არ მიაჩნია სარწმუნოდ ან არასაკმარისად მიაჩნია მტკიცებულება, რომელსაც ემყარებოდა ბრალდება, ან საფუძველი, რის გამოც არ არსებობს დანაშაულის შემთხვევა ან ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული.
2. აღსანიშნავია, რომ პირის გამართლებისათვის არ არის აუცილებელი უტყუარი მტკიცებულებები. თუ წარმოდგენილი მასალები არასაკმარისია (მხოლოდ 1 მოწმის ჩვენება) ან არ არის სარწმუნო (რამდენიმე მოწმის ჩვენება, მაგრამ ისინი აშკარად დაინტერესებული პირები არიან) ან არსებობს ეჭვი, ყველა შემთხვევაში პირი უნდა გამართლდეს. უფრო მოკლედ, პირისათვის წარდგენილი ბრალის უტყუარი და სარწმუნო მტკიცებულებებით დაუდასტურებლობა იმთავითვე იწვევს ბრალდებულის გამართლებას.

### მუხლი 276. გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი

გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება:

- ა) ბრალდებულის სახელი და გვარი;
- ბ) გადაწყვეტილება ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობისა და გამართლების შესახებ;
- გ) გადაწყვეტილება ბრალდებულისათვის შერჩეული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ, ხოლო თუ იგი პატიმარია – აგრეთვე მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ;
- დ) გადაწყვეტილება საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ;
- ე) გამართლებულის უფლება, აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი;
- ვ) განაჩენის გასაჩივრების უფლება, რა ვადაში და სად შეიძლება გასაჩივრდეს ის.

1. გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება ბრალდებულის სახელი და გვარი, გადაწყვეტილება ბრალდებულის უდანაშაულობის ცნობისა და გამართლების შესახებ (მაგ., გიორგი გიორგაძე უდანაშაულოდ იქნეს ცნობილი და გამართლდეს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში); აღკვეთის ღონისძიების არსებობის შემთხვევაში იგი უნდა გაუქმდეს, ხოლო პატიმარი – დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს; ასევე მიეთითება გადაწყვეტილება საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ, გამართლებულის უფლება, სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი, დაბოლოს, განაჩენის გასაჩივრების უფლება და წესი, რის შესახებ ვისაუბრეთ გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის კომენტარებისას.

### მუხლი 277. განაჩენის გამოცხადება

1. განაჩენი დგინდება სასამართლო სხდომის დარბაზში ან სათათბირო ოთახში, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარე სხდომის დარბაზში საჯაროდ აცხადებს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს.
2. თუ ბრალდებულმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, განაჩენი გამოცხადებისთანავე ან სინქრონულად უნდა ეთარგმნოს ბრალდებულს მშობლიურ ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე.
3. სხდომის თავმჯდომარე მხარეებს განუმარტავს განაჩენის გასაჩივრების წესსა და ვადებს. მსჯავრდებულს განემარტება შეწყალების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლებაც.

1. განაჩენი დგინდება სასამართლო სხდომის დარბაზში ან სათათბირო ოთახში, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარე სხდომის დარბაზში საჯაროდ აცხადებს განაჩენის სარეზოლუციო

- ნაწილს.** განაჩენი დგინდება სასამართლო სხდომის დარბაზში (ადგილზე თათბირით) ან საათბირო ოთახში, რის შემდეგ მის სარეზოლუციო ნაწილს აცხადებს სხდომის თავმჯდომარე.
2. **თუ ბრალდებულმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, განაჩენი გამოცხადებისთანავე ან სინქრონულად უნდა ეთარგმნოს ბრალდებულს მშობლიურ ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე.** თუ ბრალდებულმა სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, მას განაჩენი ეთარგმნება გამოცხადებისთანავე (გამოცხადების შემდეგ) ან სინქრონულად, მის მშობლიურ ან გასაგებ სხვა ენაზე.
  3. **სხდომის თავმჯდომარე მხარეებს განუმარტავს განაჩენის გასაჩივრების წესსა და ვადებს. მსჯავრდებულს განემარტება შეწყალების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლებაც.** მხარეებს განემარტებათ განაჩენის გასაჩივრების წესი და ვადები (რაც განსხვავებულია საპროცესო შეთანხმების დამტკიცების პირობებში), ასევე – მსჯავრდებულს განემარტება, შეწყალების თხოვნით საქართველოს პრეზიდენტისათვის მიმართვის უფლებაც.

### მუხლი 278. განაჩენისა და განსხვავებული აზრის ასლის გადაცემა

განაჩენისა და განსხვავებული აზრის ასლი მსჯავრდებულს ან გამართლებულს და ბრალმდებელს უნდა გადაეცეს განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის ბრალდების საქმეზე – არა უგვიანეს 14 დღისა. პროცესის სხვა მონაწილეს განაჩენის ასლი მისი მოთხოვნით იმავე ვადაში გადაეცემა.

1. განაჩენისა და განსხვავებული აზრის ასლი მსჯავრდებულს ან გამართლებულსა და ბრალმდებელს უნდა გადაეცეს განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღისა (როგორც აღინიშნა, ამ ვადაში არ იგულისხმება განაჩენის გამოცხადების დღე), ხოლო რთულ ან/და მრავალტომიან ან/და მრავალი პირის ბრალდების საქმეზე – არა უგვიანეს 14 დღისა. იმავე ვადაში გადაეცემა განაჩენის ასლი პროცესის სხვა მონაწილეს (ადვოკატს, დაზარალებულს), მოთხოვნის შემთხვევაში.

### მუხლი 279. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა და აღსასრულებლად მიქცევა

1. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიიქცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
2. განაჩენის გამოცხადებისთანავე პატიმრობიდან თავისუფლდება:
  - ა) გამართლებული;
  - ბ) ამოღებულია
  - გ) მსჯავრდებული სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებით;
  - დ) მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა იმ ვადით, რომელიც არ აღემატება მისი დაკავების, პატიმრობისა და სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის ყოფნის ვადას;
  - ე) მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა პირობით ან განაჩენის აღსრულების გადავადებით;
  - ვ) მსჯავრდებული, რომელსაც დაენიშნა ისეთი სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

1. **ნორმის მიზანი:** სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს. სისხლის სამართლის საქმის განხილვის დასრულების შემდეგ, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განაჩენი, სასამართლო ბრალდებულს



- ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას. განსახილველი ნორმის მიზანს წარმოადგენს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისა და აღსასრულებლად მიქცევის ნესების განსაზღვრა.
2. სისხლის სამართლის პროცესში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე (განაჩენი) კანონიერ ძალაში შედის სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გასაჩივრება არ აჩერებს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლას და მის აღსასრულებლად მიქცევას.
  3. განაჩენის გამოცხადებისთანავე მოსამართლემ სასამართლო სხდომის დარბაზშივე პატიმრობიდან უნდა გაათავისუფლოს:
    - გამართლებული;
    - მსჯავრდებული, რომელიც სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა;
    - მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა იმ ვადით, რომელიც არ აღემატება მისი დაკავების, პატიმრობისა და სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის ყოფნის ვადას;
    - მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა პირობით ან განაჩენის აღსრულების გადავადებით;
    - მსჯავრდებული, რომელსაც დაენიშნა ისეთი სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

### **მუხლი 280. განაჩენის, განჩინების, დადგენილების აღსასრულებლად მიქცევის წესი**

1. განაჩენის, განჩინების აღსასრულებლად მიქცევა ევალება ამ გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს. განაჩენის აღსრულების შესახებ განკარგულებას სასამართლო განაჩენის ასლთან ერთად უგზავნის იმ ორგანოს, რომელსაც ევალება მისი აღსრულება.
  2. განაჩენის აღმსრულებელი ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს განაჩენის დამდგენ სასამართლოს მისი აღსრულების შესახებ.
  3. თუ განაჩენი ითვალისწინებს მსჯავრდებულისათვის სახელმწიფო ჯილდოს ან სამხედრო, საპატიო ან სპეციალური ნოდების ჩამორთმევას, სასამართლო განაჩენის ასლს უგზავნის იმ ორგანოს, რომელმაც დააჯილდოვა მსჯავრდებული ან მიანიჭა მას სამხედრო, საპატიო ან სპეციალური ნოდება.
  4. დაჯარიმებისა და სხვა ქონებრივი სახდელის ნაწილში განაჩენის აღსასრულებლად იწერება სააღსრულებო ფურცელი.
  5. თუ სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის არასრულწლოვანი შვილი, აგრეთვე მის კმაყოფაზე მყოფი სხვა პირი მზრუნველობისათვის გადასცეს ნათესავს, სხვა პირს ან შესაბამის დაწესებულებას, იგი ამას აცნობებს ბავშვის ადგილსამყოფლის მიხედვით სამეურვეო ორგანოს, ასევე მსჯავრდებულს.
  6. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება (განჩინება) დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს იმ ნაწილში, რომელიც ეხება ბრალდებულის პატიმრობიდან გათავისუფლებას.
1. **ნორმის მიზანი:** ნორმის მიზანია, განაჩენის, განჩინების და დადგენილების აღსრულების წესის დადგენა.
  2. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე, ხოლო მისი გასაჩივრება არ აჩერებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას და აღსრულებას, განაჩენის, განჩინების და დადგენილების აღსასრულებლად მიქცევა ევალება ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, ანუ ყველა ინსტანციის სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება თავად უნდა

- მიაქციოს აღსასრულებლად.
3. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა გულისხმობს განკარგულების გაცემას და სააღსრულებო ფურცლის ამონერას. განკარგულებას სასამართლო გამოსცემს გადაწყვეტილების იმ ნაწილში აღსასრულებლად, რომელიც შეეხება:
    - თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის (ან სხვა სასჯელის) აღსრულებას;
    - თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის არასრულწლოვანი შვილის, აგრეთვე მის კმაყოფაზე მყოფი სხვა პირის მზრუნველობისათვის გადაცემას;
    - სააღსრულებო ფურცელი იწერება დაჯარიმებისა და სხვა ქონებრივი სახდელის ნაწილში განაჩენის აღსასრულებლად.
  4. განაჩენის აღსრულების შესახებ განკარგულებას და სააღსრულებო ფურცელს სასამართლო განაჩენის ასლთან ერთად უგზავნის იმ ორგანოს, რომელსაც ევალება მისი აღსრულება. განაჩენის აღმასრულებელი ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს განაჩენის დამდგენ სასამართლოს მისი აღსრულების შესახებ.
  5. მოსამართლემ (სასამართლომ) განაჩენის აღსრულება უნდა დაავალოს:
    - თავისუფლების აღკვეთის ნაწილში – საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფს – პენიტენციურ დეპარტამენტს;
    - იმ სასჯელის ნაწილში (ან პირობითი მსჯავრის), რომელიც განეკუთვნება პრობაციის სამსახურის კომპეტენციას – პრობაციის შესაბამის სამსახურს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
    - განაჩენით დანიშნული ჯარიმის ან სხვა ქონებრივი სახდელის ნაწილში – სააღსრულებო ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
    - მსჯავრდებულისათვის სახელმწიფო ჯილდოს ან სამხედრო, საპატიო ან სპეციალური ნოდების ჩამორთმევის ნაწილში – ორგანოს, რომელმაც მსჯავრდებული დააჯილდოვა ანდა მიანიჭა მას სამხედრო, საპატიო და სპეციალური ნოდება;
    - თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის არასრულწლოვანი შვილი, აგრეთვე მის კმაყოფაზე მყოფი სხვა პირი მზრუნველობისათვის გადაცემის ნაწილში მსჯავრდებულის არასრულწლოვანი შვილის ან მსჯავრდებულის კმაყოფაზე მყოფი პირის ადგილსამყოფელის მიხედვით სამეურვეო ორგანოს.
  6. თუ მსჯავრდებულს საქართველოს ტერიტორიაზე არ აქვს საცხოვრებელი ადგილი (ფაქტობრივი ან იურიდიული მისამართი), სამართლებრივი აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანო ვალდებულია აღსასრულებელ სამართლებრივ აქტში მიუთითოს შესაბამისი პრობაციის ბიურო, სადაც მსჯავრდებული გამოცხადდება. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას სამართლებრივი აქტის მიმღებმა (გამომცემმა) ორგანომ უნდა გაითვალისწინოს მსჯავრდებულის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების შესაძლებლობა (არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ კანონის მე-5 მუხლის 11-ლი ნაწილი).
  7. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება (განჩინება) დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს იმ ნაწილში, რომელიც ეხება ბრალდებულის პატიმრობიდან გათავისუფლებას.

### მუხლი 281. შეტყობინება განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შესახებ

იმ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისა და აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ, რომლითაც მსჯავრდებულს სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია ვალდებულია მსჯავრდებულის ოჯახს შეატყობინოს, სად გაიგზავნა იგი სასჯელის მოსახდელად, ასევე აცნობოს მას სასჯელის მოხდის ადგილის შეცვლა.

1. **ნორმის მიზანი:** ნორმის მიზანია მსჯავრდებულის ოჯახის წევრების ინფორმირება მსჯავრდებულის ამა თუ იმ სასჯელალსრულების დაწესებულებაში გაგზავნის შესახებ, რაც თავის მხრივ ემსახურება იმას, რომ მსჯავრდებულმა კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს ახლო ნათესავებთან შეხვედრის და მათთვის ინფორმაციის მიწოდების უფლებით.
2. თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია ვალდებულია მსჯავრდებულის ოჯახს შეატყობინოს, სად გაიგზავნა მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად. საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციამ მსჯავრდებულის ოჯახს ასევე უნდა აცნობოს მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოხდის ადგილის შეცვლის შესახებ.
3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს რაიმე კონკრეტულ ვადას, რომლის განმავლობაშიც საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციამ უნდა აცნობოს მსჯავრდებულის ოჯახს სასჯელალსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულის მოთავსების თაობაზე, მაგრამ აღნიშნული ვადა განსაზღვრულია პატიმრობის კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაცია ვალდებულია მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ადგილზე მიღების შესახებ დაუყოვნებლივ ან მისი მიღებიდან არა უგვიანეს 1 სამუშაო დღისა, აცნობოს განაჩენის გამომტან სასამართლოს და მსჯავრდებულის ახლო ნათესავს ან მსჯავრდებულის თხოვნით – სხვა პირს ან მსჯავრდებულის ადვოკატს, მის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში.

## მუხლი 282. მსჯავრდებულის ძებნა

1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ, აგრეთვე „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს ან არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტილების მიმღებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გამოაქვს განჩინება პოლიციის ორგანოების მეშვეობით მსჯავრდებულის ძებნისა და მოყვანის შესახებ.
  2. მსჯავრდებულის ძებნის პროცესში საპრობაციო ვადის ათვლა ჩერდება.
  3. მსჯავრდებულის წარმოდგენის შემთხვევაში სასამართლო განჩინებით წყვეტს დაკისრებულ სასჯელის უფრო მკაცრი სასჯელით შეცვლის საკითხს, ხოლო პირობითი მსჯავრის, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების და სასჯელის მოხდის გადავადების შემთხვევაში სასამართლო წყვეტს პირობითი მსჯავრის, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების და სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმების საკითხს და შეუძლია დაადგინოს, რომ აღსრულდეს განაჩენით დანიშნული სასჯელი ან სასჯელის მოუხდელი ნაწილი ან მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად გაიგზავნოს განაჩენით დანიშნულ ადგილას.
  4. მსჯავრდებულის მიერ პირობითი მსჯავრის პირობების დარღვევის შემთხვევაში, თუ მისი ადგილსამყოფლის დადგენა შეუძლებელია, ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული განხილვა წარმოებს მსჯავრდებულის მონაწილეობის გარეშე.
1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, განაჩენის (სხვა სასამართლოს გადაწყვეტილების) აღსრულების პროცესში მსჯავრდებულის ძებნის შესახებ სასამართლოს შეიძლება მიმართონ შემდეგ შემთხვევებში:
    - მოვალის მიმართ, როდესაც უცნობია მოვალის ადგილსამყოფელი, ან როცა მოვალე სპეციალურად არიდებს თავს მოვალეობის შესრულებას („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი).
    - თუ მსჯავრდებული არ ცხოვრობს სასამართლოს მიერ მიღებულ სამართლებრივ

აქტში მითითებულ მისამართზე ან ცხოვრობს ამ მისამართზე, მაგრამ თავს არიდებს პრობაციის ბიუროში გამოცხადებას („არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი).

2. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს აღსრულების ეროვნული ბიურო, ხოლო „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მსჯავრდებულის მიმართ ძებნის გამოცხადების შუამდგომლობით სასამართლოს მიმართავს პრობაციის ბიუროს უფროსი. ორივე შემთხვევაში შუამდგომლობა წარდგენილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიმღებ პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომელსაც გამოაქვს განჩინება პოლიციის ორგანოების მეშვეობით მსჯავრდებულის ძებნისა და მოყვანის შესახებ.
3. გადაწყვეტილებაში მითითებულ საცხოვრებელ მისამართზე მსჯავრდებულის არყოფნის ფაქტი მისი გამოვლენისთანავე ავტომატურად არ იწვევს სასამართლოსათვის მსჯავრდებულის მიმართ ძებნის გამოცხადების შესახებ მიმართვის აუცილებლობას. მანამდე სააღსრულებო ან პრობაციის სამსახურებმა უნდა მიიღონ გარკვეული ზომები მსჯავრდებულის ადგილსამყოფელის დასადგენად. მაგალითად, გამოჰკითხონ მსჯავრდებულის ახლობლები, გამოითხოვონ ინფორმაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან იმის დასადგენად, იმყოფება თუ არა მსჯავრდებული საპატიმრო დაწესებულებაში, გაემგზავრა თუ არა საზღვარგარეთ და ა.შ.
4. სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის მიმართ ძებნის გამოცხადება იწვევს საპრობაციო ვადის შეჩერებას მანამ, სანამ მსჯავრდებული არ იქნება დაძებნილი.
5. მსჯავრდებულის მიმართ ძებნის გამოცხადების მიზანია მსჯავრდებულის მოძებნა და მის მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება. მას შემდეგ, რაც დადგინდება მსჯავრდებულის ადგილსამყოფელი, პოლიციის ორგანოები მსჯავრდებულს წარადგენენ შესაბამის პრობაციის ბიუროში. ამის შემდეგ, პრობაციის ბიუროს უფროსს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შემდეგი წარდგინებით:
  - მსჯავრდებულისათვის დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სხვა სასჯელით შეცვლის შესახებ;
  - მსჯავრდებულისათვის დანიშნული გამასწორებელი სამუშაოს სასჯელის სხვა სახით შეცვლის შესახებ;
  - სასამართლოს მიერ პირობით მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების ან მისთვის ახალი მოვალეობის დაკისრების შესახებ;
  - პირობითი მსჯავრდების გაუქმების და განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულების შესახებ;
  - პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის აღსრულების შესახებ;
  - სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმებისა და განაჩენით დანიშნულ ადგილას მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად გაგზავნის შესახებ;
6. მსჯავრდებულის მიერ პირობითი მსჯავრდების პირობების დარღვევის შემთხვევაში, სასამართლო პრობაციის ბიუროს უფროსის წარდგინებას, როგორც წესი, განიხილავს მხარეთა მონაწილეობით, თუმცა კანონი ითვალისწინებს აღნიშნული წესიდან გამონაკლისს, რა დროსაც განიხილვა წარმოებს მსჯავრდებულის მონაწილეობის გარეშე. ამ წესის მიხედვით მსჯავრდებულის მონაწილეობის გარეშე წარდგინება განიხილება იმ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებულის ადგილსამყოფელის დადგენა შეუძლებელია. საერთო სასამართლოებში დღეს არსებული პრაქტიკის მიხედვით ასეთ შემთხვევაში წარდგინების განხილვა ხდება დამცველის სავალდებულო მონაწილეობით.

### მუხლი 283. განაჩენის აღსრულების გადავადება

1. იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, განაჩენის აღსრულება შეიძლება გადაავადოს განაჩენის გამომტანმა სასამართლომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განაჩენით, ხოლო მისი გამოტანის შემდეგ – განჩინებით, შემდეგი საფუძველების არსებობისას: ა) მსჯავრდებულის დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, – მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე;

ბ) მსჯავრდებულის განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულადაა – მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე.

1<sup>1</sup>. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია განაჩენის გამოტანის შემდეგ მისი აღსრულება გადაავადოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

2. განაჩენის აღსრულების გადავადების საკითხს სასამართლო განიხილავს მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის, კანონიერი წარმომადგენლის ან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შუამდგომლობით.

3. მძიმე ავადმყოფობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადებისას გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ იმავე განაჩენით (განჩინებით) უნდა დაადგინოს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის მიზნით ექსპერტიზის მსჯავრდებულის ხარჯით, წელიწადში სულ მცირე ერთხელ ჩატარებისა და მსჯავრდებულის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის პერიოდულობა. თუ მსჯავრდებულის გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შესაბამისი პერიოდულობით არ წარუდგენს ექსპერტიზის დასკვნას, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დანესებულებაში დაბრუნების შესახებ.

4. მსჯავრდებულის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის შემთხვევაში განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას განაჩენის აღსრულების გადავადების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ ან გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დანესებულებაში დაბრუნების შესახებ.

5. თუ მსჯავრდებულის უარს იცხადებს შეილზე ან თავს აარიდებს შვილის აღზრდას მას შემდეგ, რაც იგი გააფრთხილა პრობაციის ბიურომ, განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტან სასამართლომ შეუძლია ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით, პრობაციის ბიუროს წარდგინებით გააუქმოს სასჯელის მოხდის გადავადება და მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად გაგზავნოს განაჩენით დანიშნულ ადგილას.

6. როდესაც მსჯავრდებულის შვილი 1 წლის ასაკს მიაღწევს, განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით ათავისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისაგან ან სასჯელის მოუხდელ ნაწილს შეუცვლის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ანდა მიიღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დანესებულებაში დაბრუნების შესახებ.

7. განაჩენის აღსრულების გადავადებასთან დაკავშირებით არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო მოქმედებს „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

1. **ნორმის მიზანი:** ნორმა განსაზღვრავს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის აღსრულების გადავადების წესს.
2. თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირის მიმართ განაჩენის აღსრულება შეიძლება გადავადდეს:

- განაჩენის გამოტანისთანავე, ანუ იმავე განაჩენით, რომლითაც პირი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, თუ განაჩენის გამოტანის დროისათვის არსებობს განაჩენის გადავადების საფუძველი.
  - განაჩენის გამოტანის შემდეგ, მოსამართლის განჩინებით, თუ განაჩენის აღსრულების გადავადების საფუძველი გამოვლინდა, განაჩენის გამოტანის შემდეგ.
- 3. განაჩენის აღსრულების გადავადების საფუძველებია:**
- თუ მსჯავრდებული დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე;
  - თუ მსჯავრდებული განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულადაა – მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე.
- ორივე ზემოთ აღნიშნული საფუძველის არსებობა (როგორც მძიმე ავადმყოფობა, ასევე ორსულობის ფაქტი) უნდა დასტურდებოდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, რაც შუამდგომლობასთან ერთად უნდა იქნეს წარდგენილი სასამართლოში.
- ამასთან, ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობა განაჩენის აღსრულების გადავადების არა იმპერატიული, არამედ შეფასებითი საფუძველებია, ანუ ამ გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს განაჩენის აღსრულების გადავადებას. საკითხი უნდა განიხილოს და შეაფასოს მოსამართლემ ქმედების სიმძიმის, ხასიათის, მსჯავრდებულის პიროვნების, დაავადების სახის, სიმძიმის და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, რაც გავლენას ახდენს განაჩენის აღსრულებისა გადავადებაზე.
- 4. მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო განაჩენის გადავადებისას (პირველ რიგში) გათვალისწინებულ უნდა იქნეს საკითხი – უშლის თუ არა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს სასჯელის მოხდას. აღნიშნული გარემოება დადგენილ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ წარდგენილი მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე.**
- 5. განაჩენის აღსრულების გადავადების საკითხი სასამართლომ შეიძლება განიხილოს:**
- მსჯავრდებულის შუამდგომლობით;
  - მსჯავრდებულის ადვოკატის შუამდგომლობით;
  - მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით;
  - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შუამდგომლობით;
- 6. სასამართლო უფლებამოსილია განაჩენის გამოტანის შემდეგ მისი აღსრულება გადაავადოს ზეპირი მოსმენის გარეშე.**
- 7. მძიმე ავადმყოფობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადებისას განჩინებაში სასამართლომ კონკრეტულად უნდა მიუთითოს ის პირობა (გამოჯანმრთელებამდე თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე), რომლის დადგომისთანავე უნდა გაგრძელდეს განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულება.**
- 8. დღეს არსებული პრაქტიკის მიხედვით განაჩენის აღსრულების გადავადებისას მოსამართლების მიერ ხდება ორივე პირობის ერთდროულად მითითება, რაც არასწორია. აღნიშნული საკითხის სწორად გადანყვეტისათვის, მშენელოვანია დადგინდეს ის გარემოება, თუ რამდენად არის შესაძლებელი მსჯავრდებულის სრულად გამოჯანმრთელება. თუკი პიროვნება დაავადებულია ქრონიკული დაავადებით და მისი სრულად გამოჯანმრთელება შეუძლებელია, ასეთ შემთხვევაში განაჩენის აღსრულების გადავადება უნდა მოხდეს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე, ხოლო თუკი პირის სრულად გამოჯანმრთელება მკურნალობის შედეგად შესაძლებელია, განაჩენის აღსრულების გადავადება უნდა მოხდეს პირის გამოჯანმრთელებამდე.**
- 9. მძიმე ავადმყოფობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადებისას გადანყვეტილების გამოტანმა სასამართლომ იმავე განაჩენით (განჩინებით) უნდა დაადგინოს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის მიზნით ექსპერტიზის მსჯავრდებულის ხარ-**

- ჯით, წელიწადში სულ მცირე ერთხელ ჩატარებისა და მსჯავრდებულის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის პერიოდულობა. თუ მსჯავრდებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შესაბამისი პერიოდულობით არ წარუდგენს ექსპერტიზის დასკვნას, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.
10. მსჯავრდებულის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის შემთხვევაში განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:
- განაჩენის აღსრულების გადავადების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;
    - სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ;
11. იმ პირების მიმართ, რომელთაც განაჩენის აღსრულება გადაუვადდათ მძიმე ავადმყოფობის გამო, განაჩენის აღსრულების გაგრძელებაზე კონტროლს ახორციელებს სასამართლო, ხოლო ორსულობის გამო სასჯელგადავადებული პირების მიმართ კონტროლს ახორციელებს პრობაციის ბიურო. სწორედ პრობაციის ბიუროა ის ორგანო, რომელიც უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს წარდგინებით სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმებისა და მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად განაჩენით დანიშნულ ადგილას გაგზავნის შესახებ. პრობაციის ბიურო ასეთი წარდგინებით სასამართლოს მიმართავს იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული უარს იტყვის შვილზე ან თავს აარიდებს შვილის აღზრდას. მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებული გაფრთხილებული იქნეს მოსალოდნელი შედეგების თაობაზე.
12. როდესაც მსჯავრდებულის შვილი 1 წლის ასაკს მიაღწევს, განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
- ათავისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისაგან;
  - სასჯელის მოუხდელ ნაწილს შეუცვლის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით;
  - სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულს აბრუნებს შესაბამის დაწესებულებაში;
13. განაჩენის აღსრულების გადავადებასთან დაკავშირებით არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო მოქმედებს „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

### **მუხლი 283<sup>1</sup>. საქართველოში ექსტრადირებას დაქვემდებარებული მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა**

1. თუ უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება მსჯავრდებულის განაჩენის აღსრულების მიზნით საქართველოში ექსტრადირების შესახებ შუამდგომლობის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, ეს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განაჩენის გამომტან შესაბამის სასამართლოს.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეტყობინების მიღების შემდეგ განაჩენის გამომტანი სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას განაჩენის აღსრულების მთლიანად ან ნაწილობრივ გადავადების შესახებ.
3. განაჩენის აღსრულების მთლიანად ან ნაწილობრივ გადავადების საკითხს განაჩენის გამომტანი სასამართლო განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან ნებისმიერ დროს, მაგრამ არა უგვიანეს მსჯავრდებულის საქართველოს შესაბამისი ორგანოებისათვის გადმოცემიდან 48 საათისა.

4. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში განაჩენის აღსრულება მთლიანად ან ნაწილობრივ გადავადდება იმ პერიოდში, როდესაც შეუძლებელი იყო საქართველოში ექსტრადირებული მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენის აღსრულება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.

5. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით განაჩენის გამომტან სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლის ასლიც ეგზავნება მსჯავრდებულს და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული განჩინება სხვა მონაცემებთან ერთად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, თუ განაჩენის რომელი ნაწილი ექვემდებარება აღსრულებას და მთლიანად ან ნაწილობრივ გადავადდება.

7. თუ სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის აღსრულების მთლიანად ან ნაწილობრივ გადავადების შესახებ და მსჯავრდებულს აქვს განაჩენის გასაჩივრების უფლება, მისთვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება იმ დროიდან, როდესაც აღარ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოება.

8. მთლიანად ან ნაწილობრივ გადავადებული განაჩენი ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოების აღმოფხვრის შემდეგ; პირის მიმალვის შემთხვევაში განაჩენის გამომტან სასამართლოს ერთპიროვნულად გამოაქვს განჩინება მსჯავრდებულის პოლიციის ორგანოების მეშვეობით ძებნის შესახებ.

1. სსსკ-ის 283<sup>1</sup>-ე მუხლი განსაზღვრავს საქართველოში ექსტრადირებას დაქვემდებარებული მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტის წესებს.
2. აღნიშნული მუხლის საფუძველზე საქართველოში ექსტრადირებას დაქვემდებარებულ პირს წარმოადგენს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ მსჯავრდებული პირი, რომელიც იმყოფება იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელსაც ეგზავნება პირის ექსტრადიციის თაობაზე შუამდგომლობა.
3. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ მსჯავრდებული პირის საქართველოში ექსტრადირების მოთხოვნით უცხო სახელმწიფოს მიმართავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. პირის უცხო სახელმწიფოდან საქართველოში ექსტრადიციისას, პირველ რიგში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც პირი იქნა მსჯავრდებული. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის და საერთაშორისო შეთანხმებების თანახმად, ექსტრადიციას ექვემდებარებიან თხოვნის გამგზავნი ან მიმღები მხარის სამართლის მიხედვით თავისუფლების აღკვეთით ერთი წლით ან უფრო მკაცრი სასჯელით დასჯადი დანაშაულები.
4. პირის უცხო სახელმწიფოდან საქართველოში ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის პროცესში მხედველობაში მიიღება აგრეთვე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მისი საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობა, პირის საქართველოში ექსტრადირების, მისი შემდგომი მსჯავრდებისა და დასჯის საჯარო ინტერესი, ასევე სხვა გარემოებები, რომელიც განსაზღვრავს პირის საქართველოში ექსტრადირების მიზანშეწონილობას.
5. თუ უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას განაჩენის აღსრულების მიზნით საქართველოში მსჯავრდებულის ექსტრადირების შესახებ შუამდ-



- გომლობის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, აღნიშნული დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განაჩენის გამომტან შესაბამის სასამართლოს.
6. ასეთი შეტყობინების მიღების შემდეგ განაჩენის გამომტანი სასამართლო იმის მიხედვით, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანომ, იღებს გადაწყვეტილებას განაჩენის აღსრულების მთლიანად ან ნაწილობრივ გადავადების შესახებ (თუ მსჯავრდებულის ექსტრადიციის შუამდგომლობა მთლიანად არ დაკმაყოფილდა, ასეთ შემთხვევაში სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას განაჩენის აღსრულების მთლიანად გადავადების შესახებ, ხოლო თუ შუამდგომლობა ნაწილობრივ არ იქნა დაკმაყოფილებული, ასეთ შემთხვევაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას განაჩენის აღსრულების ნაწილობრივ გადავადების თაობაზე).
  7. განაჩენის აღსრულების მთლიანად ან ნაწილობრივ გადავადების საკითხს სასამართლო განიხილავს უცხო სახელმწიფოს გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღებიდან ნებისმიერ დროს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობა ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული, ასეთ შემთხვევაში გადავადების საკითხი განხილულ უნდა იქნეს საქართველოს შესაბამისი ორგანოებისათვის მსჯავრდებულის გადმოცემიდან არა უგვიანეს 48 საათისა.
  8. გადავადების საკითხს სასამართლო იხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე. განჩინება სხვა მონაცემებთან ერთად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, თუ განაჩენის რომელი ნაწილი ექვემდებარება აღსრულებას და მთლიანად ან ნაწილობრივ გადავადებას. განჩინების ასლი ეგზავნება მსჯავრდებულს და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს.
  9. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია საქართველოში ექსტრადირებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება ან პირის მსჯავრდება მის გადმოცემამდე რაიმე სხვა დანაშაულის ჩადენისათვის, გარდა იმ დანაშაულისა, რომლის ჩადენისთვისაც იგი საქართველოში იქნა ექსტრადირებული.
  10. სასამართლო განაჩენის აღსრულებას გადაავადებს იმ პერიოდის მანძილზე, რომლის განმავლობაშიც „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შეუძლებელი იქნება საქართველოში ექსტრადირებული მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენის აღსრულება.
  11. თუ სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის აღსრულების მთლიანად ან ნაწილობრივ გადავადების შესახებ და მსჯავრდებულს აქვს განაჩენის გასაჩივრების უფლება, მისთვის განაჩენის გასაჩივრების ერთთვიანი ვადის ათვლა იწყება იმ დროიდან, როდესაც აღარ იარსებებს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დამატარებელი გარემოება.
  12. მთლიანად ან ნაწილობრივ გადავადებული განაჩენი დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დამატარებელი გარემოების აღმოფხვრის შემდეგ; პირის მიმალვის შემთხვევაში განაჩენის გამომტან სასამართლოს ერთპიროვნულად გამოაქვს განჩინება მსჯავრდებულის პოლიციის ორგანოების მეშვეობით ძებნის შესახებ.
  13. არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და არც „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ განსაზღვრავს გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნება გადავადებული განაჩენის აღსრულება. ასეთ გარემოებას შეიძლება წარმოადგენდეს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-3

წინააღმდეგობის მითითებული ის გარემოებები, რომლებიც იძლევა გადმოცემული პირის მიმართ მის გადმოცემამდე ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების განხორციელების შესაძლებლობას. ეს გარემოებებია: სახელმწიფო, რომელმაც განახორციელა პირის ექსტრადირება, დათანხმდება გადავადებული განაჩენის აღსრულებაზე; ექსტრადირებულმა პირმა, რომელსაც ჰქონდა შესაძლებლობა დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია, არ დატოვა იგი მისი საბოლოო გათავისუფლებიდან 45 დღის განმავლობაში, ან ხელახლა დაბრუნდა საქართველოში მისი ტერიტორიის დატოვების შემდეგ.

## მუხლი 284. ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლება

1. სასამართლოს, ხოლო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდების შემთხვევაში – საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას შეუძლია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს ის, ვინც დანაშაულის ჩადენამდე ან ჩადენის შემდეგ დაავადდა მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას.
2. სასამართლოს, ხოლო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდების შემთხვევაში – საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას შეუძლია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს სასჯელის მოხდის პერიოდში ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი (ქალი – 65 წლიდან, მამაკაცი – 70 წლიდან), თუ მას მისჯილი არ აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდილი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი.
3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირის, აგრეთვე საექსპერტო დანებებულების დასკვნის საფუძველზე მძიმე ან უკუჩვენებელი სენით დაავადებული მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს, მსჯავრდებულის შუამდგომლობის საფუძველზე სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლების შესახებ განჩინება გამოიტანოს ზეპირი მოსმენის გარეშე.
4. ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლებისას შესაძლებელია იგი დამატებითი სასჯელის მოხდისგანაც გათავისუფლდეს.

1. **ნორმის მიზანი:** ნორმის მიზანია იმ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან ვადაზე ადრე გათავისუფლების უზრუნველყოფა, რომელიც დანაშაულის ჩადენამდე ან ჩადენის შემდეგ დაავადდა მძიმე ავადმყოფობით ან მიაღწია ხანდაზმულობის ასაკს.
2. სასჯელის მოხდისაგან ვადაზე ადრე უნდა გათავისუფლდეს ის მსჯავრდებული, რომელიც დანაშაულის ჩადენამდე ან ჩადენის შემდეგ დაავადდა მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას ან სასჯელის მოხდის პერიოდში მიაღწია ხანდაზმულობის ასაკს (ქალი – 65 წლიდან, მამაკაცი – 75 წლიდან), თუ მას მისჯილი არა აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდილი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი.
3. იმ მსჯავრდებულის გათავისუფლებაზე, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა, გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია, ხოლო იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც დანიშნული აქვს გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ჯარიმა ან თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, გადაწყვეტილებას იღებს სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლო.
4. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და საქართველოს

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიისათვის მსჯავრდებულის მძიმე ავადმყოფობის და ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლების მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვს მსჯავრდებულს, მის კანონიერ წარმომადგენელს (როცა მსჯავრდებული არასრულწლოვანია, შეზღუდულქმედუნარიანია, ან თუ მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაიცვას თავი) ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორს, ხოლო სასამართლოს მძიმე ავადმყოფობის გამო ან ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლების შუამდგომლობით მიმართავს თავად მსჯავრდებული.
5. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას მოთხოვნა ავადმყოფობის გამო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლების თაობაზე წარედგინება განცხადების სახით. განცხადების დაშვებისათვის აუცილებელია მას თან ერთვოდეს ცნობა მსჯავრდებულის პირადი საქმიდან, მსჯავრდებულის სამედიცინო (სტაციონარული ან/და ამბულატორიული) ბარათის ასლი – ფორმა №IV -100ა (უახლესი ინფორმაციით და გამოკვლევებით) და სტაციონარული მთავარი ექიმის/კლინიკური ხელმძღვანელის მიერ შედგენილი სამედიცინო ცნობა, რომელიც უნდა მოიცავდეს ზოგად ინფორმაციას მსჯავრდებულისათვის ჩატარებული გამოკვლევების, დიაგნოზის, დაავადების მიმდინარეობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის შესახებ, ასევე რეკომენდაციას განცხადების განხილვის შემჭიდროებულ ვადებზე, თუ ასეთი ზომების მიღება არის საჭირო.
  6. განცხადების დაშვების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით, კომისიის სამდივნო უზრუნველყოფს სამედიცინო პროფესიული ასოციაციების მეშვეობით და დიაგნოსტიკური ჯგუფის გათვალისწინებით, შესაბამისი პროფილის კვალიფიცილური ექიმ-სპეციალისტ(ებ)ის მონვენვას მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლის მიზნით.
  7. მონვენული ექიმ-სპეციალისტ(ებ)ის მიერ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლის და მსჯავრდებულის დიაგნოზის, დაავადების მიმდინარეობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის შესახებ მეორე სამედიცინო აზრის წერილობითი წარდგენის შემდეგ კომისია იღებს გადაწყვეტილებას.
  8. კომისია უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
  9. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დასკვნის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები. დასკვნას დაესმება კომისიის ბეჭედი.
  10. ხანდაზმულობის ასაკის შემთხვევაში მუდმივმოქმედი კომისიისათვის მიმართვისას განცხადებას თან უნდა ერთოდეს მსჯავრდებულის ასაკის დამადასტურებელი საბუთის (პირადობის დამადასტურებელი მოწმობა) ასლი (ასეთის არქონის შემთხვევაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ გაცემული ცნობა მსჯავრდებულის ასაკის დადასტურების თაობაზე), სასამართლოს განაჩენი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ გაცემული ცნობა მსჯავრდებულის პირადი საქმის მიხედვით, რომელშიც დაზუსტებული იქნება სასჯელის მოხდილი პერიოდი.
  11. სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში სასამართლოს წარედგინება მსჯავრდებულის განცხადება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლების თაობაზე, რასაც მსჯავრდებულის ავადმყოფობის შემთხვევაში თან უნდა ერთოდეს საექსპერტო დაწესებულების დასკვნა მსჯავრდებულის მძიმე ან უკურნებელი სენით დაავადების შესახებ, ასევე განაჩენი და ცნობა მსჯავრდებულის საპრობაციო საქმიდან, განაჩენით დაწინშული სასჯელის მოხდილი ნაწილის მითითებით. ხანდაზმულობის ასაკის გამო შუამდგომლობის აღძვრის შემთხვევაში შუამდგომლობას თან უნდა ერთოდეს მსჯავრდებულის

- ასაკის დამადასტურებელი საბუთის (პირადობის მოწმობის დამადასტურებელი მოწმობა) ასლი. სასამართლოს უფლება აქვს განჩინება გამოიტანოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენით შუამდგომლობის ავტორისა და სასჯელის მოხდაზე ზედამხედველი ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობით.
12. იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველს, დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 თებერვლის №01-6/6 ბრძანებით.
  13. ცალკე აღებული მძიმე ან განუკურნებელი სენით მსჯავრდებულის დაავადება არ წარმოადგენს მისი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან უპირობოდ გათავისუფლების საფუძველს, რადგან ამ გარემოებასთან ერთად სახეზე უნდა იყოს ასევე კანონით გათვალისწინებული მეორე გარემოებაც – დაავადება ხელს უნდა უშლიდეს სასჯელის მოხდას.
  14. ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შემთხვევაშიც თავისთავად მხოლოდ ხანდაზმულობის ასაკის არსებობა არ არის საკმარისი მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისათვის, ამასთან ერთად კანონით გათვალისწინებულ სავალდებულო პირობას წარმოადგენს მსჯავრდებულის მიერ დანიშნული სასჯელის არანაკლებ ნახევრის მოხდა. ანუ თუ პირმა მიაღწია ხანდაზმულობის ასაკს, მაგრამ დანიშნული სასჯელის ნახევარი არა აქვს მოხდილი, ასეთ შემთხვევაში იგი ვერ გათავისუფლდება ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან. ხანდაზმულობის ასაკის გამო ვერ გათავისუფლდება ასევე ის მსჯავრდებული, რომელსაც მისჯილი აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა.
  15. ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლებისას შესაძლებელია იგი დამატებითი სასჯელის მოხდისგანაც გათავისუფლდეს.
  16. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო მოთხოვნის განხილვის კონკრეტულ ვადებს, თუმცა მუდმივმოქმედი კომისიის შემთხვევაში ეს ვადები განსაზღვრულია „საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის დებულების“ მე-5 მუხლით, ხოლო სასამართლოს შემთხვევაში ასეთი ვადა განსაზღვრული არ არის. ვადის არარსებობა არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ შუამდგომლობის განხილვა განუსაზღვრელი ვადით გადადოს. ამ შემთხვევაში სასამართლომ მოთხოვნის შინაარსისა და საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით გონივრულ ვადებში უნდა მოახდინოს საკითხის განხილვა, რაც არ შეიძლება იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს „საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის დებულების“ მე-5 მუხლით არის განსაზღვრული.
  17. „საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის გადანყვეტილება (დასკვნა) ადმინისტრაციული წესით შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ერთი თვის ვადაში დასაბუთებული გადანყვეტილების (დასკვნის) მხარისათვის გადაცემის დღიდან („საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის დებულების“ 6.5 მუხლი), ხოლო სასამართლოს განჩინება ერთჯერადად საჩივრდება 10 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლის პირველი ნაწილი).

18. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლის პირველი ნაწილი, მუდმივმოქმედი კომისიის დებულებისგან განსხვავებით არ ადგენს გასაჩივრების 10-დღიანი ვადის ათვლის დაწყების დროს. დღეისათვის საერთო სასამართლოებში არსებული პრაქტიკის მიხედვით გასაჩივრების 10-დღიანი ვადის ათვლა იმ განჩინებებთან მიმართებაში, რომელიც მიიღებულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე, აითვლება მხარისათვის მისი ჩაბარების მომენტიდან, ხოლო იმ განჩინებასთან მიმართებაში, რომელიც მიიღებულ იქნა ზეპირი მოსმენი, განჩინების გამოცხადების მომენტიდან.

### **მუხლი 285. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა**

1. ის, ვისაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ან თავისუფლების შეზღუდვა, შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა, ხოლო თუ პირს სასჯელის სახით დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა, იგი შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა. ამასთანავე, იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან.

2. სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლო მსჯავრდებულს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე ათავისუფლებს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსის წარდგინებით.

3. საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს მსჯავრდებულად ყოფნის პერიოდში მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით. ამასთანავე, იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან (გარდა ქონების ჩამორთმევისა).

4. საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის დროს მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის (გარდა პირველი და მე-2 ნაწილებისა) მოთხოვნები. ამასთანავე, მსჯავრდებული შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან (გარდა ქონების ჩამორთმევისა).

4. საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი თავისუფლების შეზღუდვით, რომელსაც მსჯავრდებული მოიხდის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების მოთხოვნები. ამასთანავე, მსჯავრდებული შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან (გარდა ქონების ჩამორთმევისა).

5. გადაწყვეტილების მიმღებ პირველი ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს, მსჯავრდებულის შუამდგომლობის საფუძველზე რაიმე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ განჩინება გამოიტანოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

6. თუ სასამართლო უარს იტყვის ამ მუხლით გათვალისწინებული წარდგინების ან შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, იმავე საკითხზე წარდგინების ან შუამდგომლობის ხელახლა განხილვა შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა არ აღემატება 6 თვეს ან/და არსებობს განსაკუთრებული გარემოება. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა შესაძლებელია ყოველ 3 თვეში.

7. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას შეიძლება მსჯავრდებულს დაეკისროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობა.

1. **ნორმის მიზანი:** ნორმის მიზანია იმ მსჯავრდებულების სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების უზრუნველყოფა, რომლის გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა.
2. იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ან თავისუფლების შეზღუდვა, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხს განიხილავს სასჯელის მოხდის ადგილზე არსებული პირველი ინსტანციის სასამართლო.
3. იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს განიხილავს საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო.
4. საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო არის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი ორგანო.
5. საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის №151 ბრძანების საფუძველზე საქართველოში მოქმედებს საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შემდეგი ადგილობრივი საბჭოები:
  - აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭო, რომელიც განიხილავს საქართველოს დედაქალაქის ქ. თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულების საქმეებს, გარდა არასრულწლოვან და სრულწლოვან ქალ მსჯავრდებულთა საქმეებისა;
  - აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭო, რომელიც განიხილავს თვითმმართველი ქალაქი რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულების საქმეებს, გარდა არასრულწლოვან და სრულწლოვან ქალ მსჯავრდებულთა საქმეებისა;
  - დასავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭო, რომელიც განიხილავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულების საქმეებს, გარდა არასრულწლოვან და სრულწლოვან ქალ მსჯავრდებულთა საქმეებისა;
  - არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო, რომელიც განიხილავს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეებს;
  - ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო, რომელიც განიხილავს სრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეებს.

6. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება საბჭოს ტიპური დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი.
7. პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სრულწლოვანმა მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა:
  - ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი;
  - მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი;
  - განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედი;
  - სამი მეოთხედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელიც წინათ პირობით ვადამდე გაათავისუფლეს, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლება გაუქმდა სსკ-ის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე.
8. გარდა აღნიშნულისა, პირობით ვადამდე პირის გათავისუფლებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მსჯავრდებულის პიროვნება, მისი ქცევა სასჯელის მოხდის განმავლობაში და სხვა ისეთი გარემოებები, რაც გავლენას მოახდენს პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე. უფლებამოსილი ორგანო (სასამართლო ან ადგილობრივი საბჭო) მსჯავრდებულს პირობით ვადამდე ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ პირის გამოსწორებისათვის საჭირო არ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა. პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებული ასევე შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან.
9. ამასთან, პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულს შეიძლება დაეკისროს სსკ-ის 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობა, რომელიც მან უნდა შეასრულოს სასჯელის მოუხდელი ნაწილის ვადაში (სსკ-ის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილი).
10. მსჯავრდებულს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე ათავისუფლებს სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელსაც აღნიშნულის თაობაზე წარდგინებით მიმართავს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსი.
11. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს მსჯავრდებულად ყოფნის პერიოდში, მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით. ამასთანავე, იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან (გარდა ქონების ჩამორთმევისა).
12. სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მაშინ, თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი.
13. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის დროს მისივე თანხმობით, სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეუცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის (გარდა პირველი და მე-2 ნაწილებისა) მოთხოვნები. ამასთანავე, მსჯავრდებული შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან (გარდა ქონების ჩამორთმევისა).
14. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს მისივე თანხმობით სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეუცვალოს თავისუფლების შეზღუდვით, რომელსაც მსჯავრდებული მოიხდის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების მოთხოვნები.

- ოვნები. ამასთანავე, მსჯავრდებული შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან (გარდა ქონების ჩამორთმევისა).
- 15.** თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების შეზღუდვით შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მაშინ, თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა:
- ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;
  - მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი;
  - განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელ სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი;
  - ორი მესამედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელიც წინათ პირობით ვადამდე გაათავისუფლეს, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლება
  - გაუქმდა ამ კოდექსის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე. (სსკ-ის 73-ე მუხლის მე-4 ნაწილი).
- 16.** იმ მსჯავრდებულს, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებია 18 წელი, სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების შეზღუდვით შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მაშინ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა:
- ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მეოთხედი;
  - მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;
  - განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი.
- 17.** საბჭოს მიერ წარმოების დაწყების საფუძველია შუამდგომლობა. სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შუამდგომლობით ადგილობრივ საბჭოს მიმართავს მსჯავრდებული, მისი დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი ან ახლო ნათესავი, რომელიც საბჭოს შუამდგომლობასთან ერთად წარუდგენს საკითხის განხილვისათვის აუცილებელ დოკუმენტაციას. მსჯავრდებულს, მისი დამცველს/კანონიერი წარმომადგენელს და ახლო ნათესავს უფლება აქვთ, საბჭოს წარუდგინონ დამატებითი ინფორმაცია.
- 18.** საბჭოს განხილვა ტარდება ზეპირი მოსმენით ან/და ზეპირი მოსმენის გარეშე, ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით. ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო მინისტრის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ან საქმის ზეპირ მოსმენაზე განსახილველად დაშვების შესახებ.
- 19.** შუამდგომლობის განხილვისას საბჭო ითვალისწინებს მსჯავრდებულის ქცევას სასჯელის მოხდის პერიოდში, მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებს, მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს, მიღწეულია თუ არა სასჯელის მიზანი და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე. საბჭო მხოლოდ ზეპირი მოსმენით იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ. საბჭო გადაწყვეტილებას მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების შეზღუდვით შეცვლის შესახებ იღებს მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში.
- 20.** საბჭოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება ადმინისტრაციული წესით ერთჯერადად გასაჩივრდეს სასამართლოში.
- 21.** გადაწყვეტილების მიმღებ პირველი ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს, მსჯავრ-



- დებულის შუამდგომლობის საფუძველზე მსჯავრდებული გაათავისუფლოს რაიმე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან. სასამართლოს უფლება აქვს ეს განჩინება გამოიტანოს ზეპირი მოსმენის გარეშე.
22. თუ სასამართლო უარს იტყვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის ან თავისუფლების შეზღუდვის პირობით ვადაზე ადრე გაათავისუფლების წარდგინების ან რაიმე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან გაათავისუფლებაზე, იმავე საკითხზე წარდგინების ან შუამდგომლობის ხელახლა განხილვა შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა არ აღემატება 6 თვეს ან/და არსებობს განსაკუთრებული გარემოება. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადაზე გაათავისუფლების საკითხის განხილვა შესაძლებელია ყოველ 3 თვეში.
23. თუ საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ, იმავე საკითხზე მსჯავრდებულის შუამდგომლობის ხელახლა განხილვა შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა არ აღემატება 6 თვეს ან/და თუ არსებობს რაიმე განსაკუთრებული გარემოება.

### **მუხლი 286. განაჩენის აღსრულება სხვა აღუსრულებელი განაჩენის არსებობის დროს**

თუ მსჯავრდებულის მიმართ არსებობს რამდენიმე აღუსრულებელი განაჩენი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შუამდგომლობით სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება მსჯავრდებულისათვის სასჯელის ყველა აღნიშნული განაჩენის მიხედვით განსაზღვრის შესახებ.

1. სასამართლოს პრაქტიკაში შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც ერთი და იმავე პირის მიმართ არსებობს ორი (რამდენიმე) კანონიერ ძალაში შესული, მაგრამ აღუსრულებელი (სისრულეში მოუყვანელი) განაჩენი. ასეთ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა გამოიტანოს განჩინება მსჯავრდებულისათვის სასჯელის ყველა განაჩენის მიხედვით განსაზღვრის შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად.
2. სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობისა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეჯამებისას თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეესაბამება: თავისუფლების შეზღუდვის ორი დღე; გამასწორებელი სამუშაოს ან სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის სამი დღე; საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი. ჯარიმა ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა თავისუფლების შეზღუდვასთან ან თავისუფლების აღკვეთასთან მიმატების შემთხვევაში გამოიყენება დამოუკიდებლად.
3. განჩინება მსჯავრდებულისათვის სასჯელის ყველა განაჩენის მიხედვით განსაზღვრის შესახებ ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლოს. სასამართლო საკითხს განიხილავს და განჩინება გამოაქვს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შუამდგომლობის საფუძველზე.
4. სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი პირის მიმართ არსებობს ორი ან მეტი აღუსრულებელი განაჩენი, რომლითაც პირს განსაზღვრული აქვს პირობითი მსჯავრი ან სხვა არასაპატიმრო სასჯელი. ასეთ შემთხვევაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტი არ წარმოადგენს სასჯელის აღსრულების ორგანოს და შესაბამისად, არც დეპარტამენტის თავმჯდომარეა უფლებამოსილი მიმართოს სასამართლოს აღუსრულებელი განაჩენების მიხედვით საბოლოო სასჯელის განსაზღვრის

შუამდგომლობით.

5. საქართველოს საერთო სასამართლოებში არსებული პრაქტიკის მიხედვით პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი პირის მიმართ აღუსრულებელი განაჩენების მიხედვით სასჯელის განსაზღვრის თაობაზე სასამართლოს მიმართავს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი.

### **მუხლი 287. გადაწყვეტილების აღსრულებისას გამოვლენილი ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრა**

გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს უფლება აქვს, ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით აღმოფხვრას გადაწყვეტილებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობა, რაც არ გამოიწვევს მის გაუქმებას ან შეცვლას, კერძოდ:

- ა) დააზუსტოს დაკავებისა და დაპატიმრების თარიღები, აგრეთვე ვადა, რომელიც ჩაითვალა სასჯელის დანიშვნისას;
- ბ) შეასწოროს პროცესის მონაწილის პერსონალური მონაცემები;
- გ) დააზუსტოს და განაწილოს საპროცესო ხარჯები;
- დ) გადაწყვიტოს მტკიცებულებათა საკითხი;
- ე) დააზუსტოს ქონებაზე ყადაღის საკითხი;
- ვ) შეიტანოს სხვა დაზუსტება, რომელიც გავლენას არ მოახდენს სასამართლოს დასკვნაზე მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელის ღონისძიების შესახებ.

1. გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს უფლება აქვს, ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით აღმოფხვრას გადაწყვეტილებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობა, რამაც არ უნდა გამოიწვიოს განაჩენის გაუქმება ან შეცვლა.
2. განაჩენში შეიძლება დაზუსტდეს (შესწორდეს)
  - დაკავებისა და დაპატიმრების თარიღები;
  - ვადა, რომელიც ჩაითვალა სასჯელის დანიშვნისას;
  - პროცესის მონაწილის პერსონალური მონაცემები;
  - დაზუსტდეს და განაწილდეს საპროცესო ხარჯები;
  - გადაწყდეს მტკიცებულებათა საკითხი;
  - დააზუსტდეს ქონებაზე ყადაღის საკითხი;
  - შეტანილ იქნეს სხვა დაზუსტება, რომელიც გავლენას არ მოახდენს სასამართლოს დასკვნაზე მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელის ღონისძიების შესახებ.
3. გადაწყვეტილებაში დაშვებული ბუნდოვანება-უზუსტობების გასწორება, თუ იგი აღმოჩენილ იქნა, მოსამართლის (სასამართლოს) ვალდებულებაა (და არა უფლება). გადაწყვეტილებაში დაშვებული ბუნდოვანება-უზუსტობების გასწორების უფლება მოსამართლეს (სასამართლოს) აქვს როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე სხვა პირის ინიციატივით. მაგალითად: „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პრობაციის ბიუროს უფროსს უფლება აქვს მიმართოს აქტის მიმღებ ორგანოს აქტის გაუგებარი ან არაზუსტი ნაწილის განმარტების მოთხოვნით თუ აღსასრულებელი სამართლებრივი აქტი ბუნდოვანია ან რაიმე უზუსტობას შეიცავს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო ხელმძღვანელობს ზემოთ აღნიშნული დებულებებით და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
4. თუ გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის გადაწყვეტის დროისათვის აღარ მუშაობს ის მოსამართლე, რომლის გადაწყვეტილებაშიც შესწორება უნდა იქნეს შეტანილი, გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის უფლება აქვს იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლეს.

5. სასამართლოს განჩინება ერთჯერადად საჩივრდება 10 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად).

### **მუხლი 288. სასამართლოს მიერ ნასამართლობის მოხსნის საკითხის განხილვა**

1. ნასამართლობის მოხსნის საკითხს სასჯელმოსხმელი პირის შუამდგომლობით განიხილავს გადაწყვეტილების მიმღები ან სასჯელმოსხმელი პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) პირველი ინსტანციის სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე.

2. ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის შემთხვევაში შუამდგომლობის ხელახლა დაყენება შეიძლება მხოლოდ 3 თვის შემდეგ.

1. **ნორმის მიზანი:** ნორმის მიზანია სასჯელმოსხმელი პირის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და საზოგადოების სრულფასოვან წევრად მისი მიღების ხელშეწყობა.
2. ნასამართლობის მოხსნის შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვს სასჯელმოსხმელი პირს. პირს, რომელსაც სასჯელი სრულად არა აქვს მოხდილი არ არის უფლებამოსილი მიმართოს სასამართლოს ნასამართლობის მოხსნის თაობაზე.
3. ნასამართლობის მოხსნის თაობაზე მსჯავრდებულის შუამდგომლობას განიხილავს გადაწყვეტილების მიმღები პირველი ინსტანციის სასამართლო ან სასჯელმოსხმელი პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) პირველი ინსტანციის სასამართლო. სასამართლო შუამდგომლობას იხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე.
4. ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის შემთხვევაში, შუამდგომლობის ხელახლა დაყენება შეიძლება მხოლოდ 3 თვის შემდეგ.

### **მუხლი 289. უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მსჯავრდებული პირის მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში მოხდასთან დაკავშირებული პროცედურა**

1. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში მოხდის საკითხს განსჯადობის დაცვით, მსჯავრდებულის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო.

2. საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში მოხდის საკითხს სასამართლო განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების მიღებიდან 1 თვის ვადაში.

3. უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში მოხდის თაობაზე საქართველოს სასამართლოს გამოაქვს განჩინება.

4. განჩინებაში უნდა აღინიშნოს:

ა) უცხო სახელმწიფოს განაჩენის გამომტანი სასამართლოს დასახელება და ადგილი, აგრეთვე განაჩენის გამომტანის დრო;

ბ) მონაცემები მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირის საქართველოში უკანასკნელი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილებისა და საქმიანობის შესახებ;

გ) იმ ქმედების კვალიფიკაცია, რომლის ჩადენაშიც პირს ბრალი ედება სისხლის სამართლის კანონის საფუძველზე;

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია

პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის;

ე) სასჯელის სახე და ვადა, რომელიც მსჯავრდებულმა საქართველოში უნდა მოიხადოს, სასჯელის მოხდის დაწყებისა და დამთავრების თარიღებისა და ზიანის ანაზღაურების წესის მითითებით.

5. უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში მოხდა ხდება იმავე წესით და იმავე პირობებში, როგორშიც საქართველოს სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოხდა საქართველოში ჩადენილი დანაშაულისათვის.

6. საქართველოში სასჯელის მოსახდელად გამოყვანილი პირის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ განაჩენის გადასინჯვის, შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ასეთი განაჩენის აღსრულების საკითხი წყდება ამ მუხლის შესაბამისად.

7. საქართველოში სასჯელის მოსახდელად გამოყვანილი პირის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის აღსრულების თაობაზე საქართველოს სასამართლოს განჩინების ასლი შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების შემდგომი ინფორმირების მიზნით ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

8. საქართველოში სასჯელის მოსახდელად გამოყვანილი პირის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს ან/და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს განაჩენით დგება მსჯავრდების ისეთივე სამართლებრივი შედეგები, როგორიც საქართველოს სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის მიმართ.

9. საქართველოში სასჯელის მოსახდელად გამოყვანილი პირის მიმართ გამოიყენება განაჩენის გამომტანი უცხო სახელმწიფოსა და საქართველოს მიერ გამოცემული ამნისტიის ან შეწყალების აქტი ამ აქტით დადგენილი პირობებისა და წესების შესაბამისად, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1. **ნორმის მიზანი:** ნორმის მიზანია უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.
2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში მოხდის საკითხი განიხილება მხოლოდ საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირის მიმართ.
3. უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში მოხდის საკითხს განსჯადობის დაცვით, მსჯავრდებულის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო. სასამართლო საკითხს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების მიღებიდან 1 თვის ვადაში. თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს არ შეუძლია საკითხის ზეპირი მოსმენით განხილვა. ზოგ შემთხვევაში „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სასამართლო ვალდებულია უშუალოდ მოისმინოს მსჯავრდებული პირის მოსაზრებები უცხო სახელმწიფოს განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებასთან დაკავშირებით („სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი).
4. შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში უცხო სახელმწიფოს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შესახებ შუამდგომლობა და თანდართული მასალები შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით ან საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ სასამართლოს.
5. შუამდგომლობა და თანდართული მასალები სასამართლოს ეგზავნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო შესაძლებლად მიიჩნევს უცხო სახელმწიფოს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

- უცხო სახელმწიფოს განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების თაობაზე გად-  
ანყვეტილების მიღებად მსჯავრდებულს ეძლევა შესაძლებლობა, შესაბამის რაიონულ  
(საქალაქო) სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები განაჩენის აღსრულე-  
ბასთან დაკავშირებით. სასამართლო უფლებამოსილია მსჯავრდებულის მოსაზრებებს  
გაეცნოს როგორც სასამართლოს წინაშე მსჯავრდებულის პირადად გამოცხადებით, ისე  
სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის საშუალებით.
6. სასამართლო ვალდებულია მსჯავრდებულის მოსაზრებები პირადად მოისმინოს მხოლოდ  
იმ შემთხვევაში, როდესაც თავად მსჯავრდებული მოითხოვს აღნიშნული პროცედურის  
განხორციელებას.
  7. უცხო სახელმწიფოს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საქარ-  
თველოს ტერიტორიაზე აღსრულების საკითხის განხილვის დროს სასამართლო ამონიშნავს:
    - არსებობს თუ არა შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი უცხო სახელმწიფოს სა-  
სამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულები-  
სათვის;
    - უცხო სახელმწიფოს განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შემთხ-  
ვევაში დაირღვევა თუ არა ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით მსჯავრის  
დადების აკრძალვის პრინციპი;
    - არსებობს თუ არა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ინდივიდუალ-  
ური შეთანხმებით ანდა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დამ-  
აბრკოლებელი სხვა გარემოებები.
  8. უცხო სახელმწიფოს განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების საკითხის განხ-  
ილვის დროს შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლო შეზღუდულია იმ ფაქტო-  
ბრივი გარემოებებით, რომლებიც მოცემულია უცხო სახელმწიფოს განაჩენში ან გამომ-  
დინარეობს მისგან.
  9. უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის  
საქართველოში მოხდის თაობაზე საქართველოს სასამართლოს გამოაქვს განჩინება.
  10. განჩინებაში უნდა აღინიშნოს:
    - უცხო სახელმწიფოს განაჩენის გამომტანი სასამართლოს დასახელება და ადგილი,  
აგრეთვე განაჩენის გამომტანის დრო;
    - მონაცემები მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად  
მცხოვრები პირის საქართველოში უკანასკნელი საცხოვრებელი და სამუშაო ადგ-  
ილებისა და საქმიანობის შესახებ;
    - იმ ქმედების კვალიფიკაცია, რომლის ჩადენაშიც პირს ბრალი ედება სისხლის სამარ-  
თლის კანონის საფუძველზე;
    - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლითაც გათვალის-  
წინებულია პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის;
    - სასჯელის სახე და ვადა, რომელიც მსჯავრდებულმა საქართველოში უნდა მოიხა-  
დოს, სასჯელის მოხდის დაწყებისა და დამთავრების თარიღებისა და ზიანის ანაზ-  
ღაურების წესის მითითებით.
  11. უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენი საქართველოში უნდა აღსრულდეს იმავე  
წესითა და იმავე პირობებში, როგორც აღსრულდება საქართველოში ჩადენილი დანა-  
შაულისათვის საქართველოს სასამართლოს განაჩენი.
  12. საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ უცხო სახელმწი-  
ფოს სასამართლოს მიერ განაჩენის გადასინჯვის, შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში  
ასეთი განაჩენის აღსრულების საკითხი უნდა გადაწყდეს სისხლის სამართლის საპროცესო  
კოდექსის 289-ე მუხლის შესაბამისად.
  13. საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ უცხო სახელმწიფოს  
სასამართლოს განაჩენის აღსრულების თაობაზე საქართველოს სასამართლოს განჩინების

- ასლი შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების შემდგომი ინფორმირების მიზნით ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.
14. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის უცხო სახელმწიფოს მისი უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ. შესაბამისი თხოვნის შემთხვევაში უცხო სახელმწიფოს ეგზავნება საქართველოს შესაბამისი სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების ასლი.
  15. საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს ან/და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს განაჩენით დგება მსჯავრდების ისეთივე სამართლებრივი შედეგები, როგორც საქართველოს სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის მიმართ.
  16. საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ გამოიყენება როგორც განაჩენის გამომტანი უცხო სახელმწიფოს, ასევე საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ გამოცემული ამნისტიის ან შეწყალების აქტი, ამ აქტით დადგენილი პირობებისა და წესების შესაბამისად, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
  17. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, უცხო სახელმწიფოს განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების საკითხს სასამართლო განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს დოკუმენტების მიღებიდან არა უგვიანეს 4 თვისა, ხოლო ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება მიიღება განჩინების ფორმით და გასაჩივრდება იმავე წესით, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე გამოტანილი განაჩენი.
  18. უცხო სახელმწიფოს განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების საკითხის განხილვისა და გასაჩივრების განსხვავებულ ვადებს ადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის მიხედვითაც (სსსკ-ის 289-ე მუხლის მე-2 ნაწილი), უცხო სახელმწიფოს განაჩენის საქართველოში მოხდის საკითხს სასამართლო განიხილავს საქმის მასალების მიღებიდან 1 თვის ვადაში, ხოლო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლის თანახმად შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს 10 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.
  19. ორივე ზემოთ აღნიშნული კანონი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტია. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს.
  20. იქიდან გამომდინარე, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 289-ე მუხლი უფრო გვიან არის მიღებული (მიღებულია 24.09.2010 წელს), ვიდრე „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლი (მიღებულია: 21.07.2010 წელს), ამიტომ უცხო სახელმწიფოს განაჩენის აღსრულების საკითხის განხილვის ვადებთან დაკავშირებით გამოყენებულ უნდა იქნეს სსსკ-ის 289-ე მუხლით განსაზღვრული ერთ თვიანი ვადა. რაც შეეხება გასაჩივრების წესს, ამ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-9 ნაწილს და სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება უნდა გასაჩივრდეს საქართველოს ტერიტორიაზე გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების წესით ანუ ერთი თვის ვადაში, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლი, რომელიც ადგენს უცხო სახელმწიფოს განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გასაჩივრების წესს, უფრო გვიან მიღებული ნორმატიული აქტია (მიღებულია: 09.10.2009 წელს), ვიდრე „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“

საქართველოს კანონის 50-ე მუხლი.

**მუხლი 290.** უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან შესაბამისობის დადასტურება

1. თუ საქართველოს მოქალაქე უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა, საქართველოს მთავარი პროკურორი უფლებამოსილია გამამტყუნებელი განაჩენის მიღების მომენტიდან 3 თვის განმავლობაში მიმართოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან შესაბამისობის დადასტურების თაობაზე.

2. შუამდგომლობას 3 თვის ვადაში განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

3. განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვთ მსჯავრდებულს და მის ადვოკატს ან კანონიერ წარმომადგენელს. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს შუამდგომლობის განხილვას.

4. შუამდგომლობის განხილვის საფუძველზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან შესაბამისობის დადასტურებისა და შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან შესაბამისობის არარსებობისა და შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. განჩინებაში უნდა აღინიშნოს უცხო სახელმწიფოს განაჩენის გამომტანი სასამართლოს დასახელება და ადგილი, განაჩენის გამოტანის დრო, მონაცემები მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქის შესახებ, უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, სისხლის სამართლის კანონის შესაბამისი მუხლის მითითებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა შესაბამისი დანაშაულის ჩადენისათვის.

5. განჩინება საბოლოოა და კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.

6. პროკურორი უფლებამოსილია განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 წლის ვადაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით შეიტანოს სარჩელი მსჯავრდებულის უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ.

1. **ნორმის მიზანი:** ნორმის მიზანია უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის უზრუნველყოფა, ამ ქონებით მესამე პირების კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილება და ქონების კანონიერი მესაკუთრისათვის გადაცემა.

2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა. თუ საქართველოს მოქალაქე უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა, საქართველოს მთავარი პროკურორი უფლებამოსილია გამამტყუნებელი განაჩენის მიღების მომენტიდან 3 თვის განმავლობაში შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს უზენაეს

- სასამართლოს და მოითხოვოს ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან შესაბამისობის დადასტურება.
3. შუამდგომლობას განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა 3 თვის ვადაში.
  4. განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვთ მსჯავრდებულს და მის ადვოკატს ან კანონიერ წარმომადგენელს. ამასთან, მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს შუამდგომლობის განხილვას.
  5. შუამდგომლობის განხილვის საფუძველზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება:
    - უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან შესაბამისობის დადასტურებისა და შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ;
    - შესაბამისობის არარსებობისა და შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
  6. განჩინებაში უნდა აღინიშნოს:
    - უცხო სახელმწიფოს განაჩენის გამომტანი სასამართლოს დასახელება და ადგილი;
    - განაჩენის გამოტანის დრო;
    - მონაცემები მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქის შესახებ;
    - უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები სისხლის სამართლის კანონის შესაბამისი მუხლის მითითებით;
    - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა შესაბამისი დანაშაულის ჩადენისათვის;
  7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება საბოლოოა და კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.
  8. განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 წლის ვადაში, პროკურორი უფლებამოსილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით შეიტანოს სარჩელი მსჯავრდებულის უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ.

### **მუხლი 291. განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების გასაჩივრება**

1. ამ კოდექსის 282-ე, 283-ე, 284-ე, 285-ე, 286-ე, 287-ე, 288-ე, 289-ე მუხლების შესაბამისად სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება შეიძლება ერთჯერადად, 10 დღის ვადაში გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, რომელიც 1 თვის ვადაში იხილავს საჩივარს ზეპირი მოსმენის გარეშე.
  2. როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოში აღნიშნული საკითხების განხილვისას პროკურორი არ მონაწილეობს.
1. სსსკ-ის 291-ე მუხლი განსაზღვრავს განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების გასაჩივრების ვადას და წესს. კერძოდ, სსსკ-ის 282-ე, 283-ე, 284-ე, 285-ე, 286-ე, 287-ე, 288-ე, 289-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება შეიძლება ერთჯერადად, 10 დღის ვადაში გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, რომელიც 1 თვის ვადაში იხილავს საჩივარს ზეპირი მოსმენის გარეშე.
  2. როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოში აღნიშნული საკითხების განხილვისას პროკურორი არ მონაწილეობს.



## თავი XXV აპელაცია

### მუხლი 292. ზოგადი დებულებანი

1. სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომელიც აპელანტს უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად მიაჩნია.
2. სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვს ბრალმდებელს, ზემდგომ პროკურორს, მსჯავრდებულს ან/და მის ადვოკატს.
3. მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა მის დაუსწრებლად, უფლება აქვს, განაჩენი გაასაჩივროს 1 თვის ვადაში: დაპატიმრებიდან; ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან; ან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან, თუ მსჯავრდებული ითხოვს სააპელაციო საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე.
4. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილ განაჩენზე სააპელაციო საჩივრის შეტანა დაუშვებელია.

1. **ნორმის მიზანი.** აღნიშნული ნორმის მიზანია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე მხარეთა უზრუნველყოფა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადასინჯვის უფლებით.
2. „აპელაცია“ (appellatio) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მიმართვას. იურიდიულ ლიტერატურაში აპელაცია ნიშნავს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში, რომელსაც უფლება აქვს, არსებითად გადასინჯოს საქმე და გამოიტანოს გადაწყვეტილება. გასაჩივრებას ექვემდებარება როგორც გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი განაჩენი.
3. სსსკ-ის თანახმად, აპელანტს უფლება აქვს, გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის როგორც კანონიერება, ასევე, დასაბუთებულობა. კერძოდ, აპელანტი უფლებამოსილია, განაჩენი გაასაჩივროს იმ შემთხვევებში, როდესაც მიაჩნია, რომ განაჩენი უკანონოა ან დაუსაბუთებელია, ან უკანონო და დაუსაბუთებელია.
4. კანონიერების კუთხით სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ნიშნავს სასამართლო აქტის სამართლებრივი მხარის შემოწმებას, კერძოდ, მიღებული გადაწყვეტილება რამდენად შეესაბამება სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ასევე, საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის ნორმებს, სწორად არის თუ არა გამოყენებული მატერიალური სისხლის სამართლის კოდექსი და დაცულია თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები.
5. დასაბუთებულობის კუთხით სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ნიშნავს სასამართლო აქტის მტკიცებულებითი მხარის შემოწმებას, კერძოდ, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დამტკიცებულია თუ არა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და განაჩენი ემყარება თუ არა სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას.
6. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მიხედვით, გასაჩივრების უფლებით სარგებლობენ ბრალმდებელი (პროკურორი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის სასამართლოში), ზემდგომი პროკურორი (მაგალითად, თუ სახელმწიფო ბრალმდებელი იყო ერთ-ერთი რაიონის პროკურორი, სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილებით აღჭურვილია როგორც რაიონის პროკურორი ან მისი მოადგილე, აგრეთვე, ყველა ზემდგომი პროკურორი, ქალაქის პროკურორი და ა.შ.), მსჯავრდებული ან/და მისი ადვოკატი.

7. მსჯავრდებულის მიერ გასაჩივრების უფლება გარანტირებულია, ასევე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის №7 ოქმის მე-2 მუხლით, რომელიც ეხება სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლებას და რომლის მიხედვითაც, ყველას, ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადაასინჯვინოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს.
8. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია მის დაუსწრებლად, მას უფლება აქვს, განაჩენი გაასაჩივროს 1 თვის ვადაში: დაპატიმრებიდან (უფლებამოსილი პირის მიერ მისი დაკავებიდან), ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან (მსჯავრდებულის გამოცხადების მომენტიდან შესაბამის სამართალდამცავ ორგანოში). აღნიშნული ნორმა მსჯავრდებულს აძლევს შესაძლებლობას, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მის მიმართ საქმის გადასინჯვაში.
9. მსჯავრდებული, რომლის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია მის დაუსწრებლად, უფლებამოსილია, მოითხოვოს სააპელაციო საჩივრის განხილვა მისი მონაწილეობის გარეშე. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულს აღარ ექნება შესაძლებლობა, დაპატიმრების შემთხვევაში მოითხოვოს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების ან დასაბუთებულობის ხელახალი გადასინჯვა მისი მონაწილეობით. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრების ვადა აითვლება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოცხადებიდან.
10. სსსკ-ის 292-ე მუხლის მე-2 ნაწილში გასაჩივრების სუბიექტად არ არის მითითებული გამართლებული, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ელ პუნქტთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ #601 კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 518-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უგულებელყოფს გამართლებულის მიერ განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას და ამავე კოდექსის 546-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უგულებელყოფს გამართლებულის მიერ განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას.
11. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურადაა ცნობილი 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმების შინაარსი, რამდენადაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს №601 კონსტიტუციური წარდგინება ეხებოდა სწორედ მითითებულ ნორმებს, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ მითითებულ გადაწყვეტილებაში ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ქმნის სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიას და მოიაზრებს ყველა სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო წესით სრულყოფილი და ეფექტური დაცვის შესაძლებლობას. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით განმტკიცებული უფლების სასამართლო წესით დაცვის სისტემა მოიცავს კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლო ინსტიტუციებისადმი ხელმისაწვდომობის უფლებას... მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, რომ გამართლებულ პირებს შესაძლოა ჰქონდეთ გამამართლებელი განაჩენის გასაჩივრების კანონიერი ინტერესი... ამგვარად, გამამართლებელი განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობის შეზღუდვა იმ შემთხვევაში, როდესაც ამავე განაჩენით იზღუდება პირის სხვა უფლებები ან კანონიერი ინტერესები, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლებაში ინტენსიურ ჩარევას და ხელს უშლის ამ უფლებით სრულყოფილად სარგებლობასა და უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტიანად დაცვას“.

საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, ზოგ შემთხვევაში, როდესაც გამამართლებელი განაჩენით იზღუდება გამართლებული პირის სხვა უფლებები ან კანონიერი ინტერესები, გამართლებულს უნდა მიეცეს გადაწყვეტილების ამ ნაწილში გასაჩივრების უფლება.

12. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აწესებს გამონაკლისს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის გასაჩივრების თაობაზე. კერძოდ, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილ განაჩენზე სააპელაციო საჩივრის შეტანა დაუშვებელია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობას საკასაციო წესით, ხოლო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.<sup>640</sup>

### მუხლი 293. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა და ფორმა

1. სააპელაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.
2. სააპელაციო საჩივარში აღინიშნება:
  - ა) იმ სასამართლოს დასახელება, სადაც იგზავნება საჩივარი;
  - ბ) საჩივრის შემტანი პირის სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილი, საპროცესო მდგომარეობა;
  - გ) გასაჩივრებული განაჩენის გამომტანი სასამართლო და გამოტანის თარიღი;
  - დ) განაჩენის გასაჩივრებული დებულებანი;
  - ე) გასაჩივრებულ დებულებათა უკანონობის ან/და დაუსაბუთებლობის არსი;
  - ვ) მომჩივნის პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებანი;
  - ზ) მტკიცებულება, მათ შორის, ახალი, რომელიც უნდა გამოიკვლიოს სააპელაციო სასამართლომ;
  - თ) დამატებით წარმოდგენილი მასალები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3. სააპელაციო საჩივრის შეტანა არ აჩერებს განაჩენის აღსრულებას.
4. სააპელაციო საჩივარში მიეთითება, თუ რა ნაწილში საჩივრდება განაჩენი, და საჩივრის დამადასტურებელი არგუმენტები.

1. **ნორმის მიზანი.** სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა ადგენს სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადასა და ფორმას, რისი დაუცველობაც იწვევს სააპელაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმას.
2. სააპელაციო საჩივარი ყველა შემთხვევაში შეიტანება განაჩენის გამომტან პირველი ინსტანციის სასამართლოში. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში, გარდა იმ გამონაკლისისა, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის 292-ე მუხლის მე-3 ნაწილით და ეხება იმ მსჯავრდებულის მიერ განაჩენის გასაჩივრებას, რომლის მიმართაც დაუსწრებლად იქნა გადაწყვეტილება მიღებული.
3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა არ ადგენს, თუ რა სახით უნდა იქნეს შეტანილი სააპელაციო საჩივარი სასამართლოში. კანონმდებელი არ აწესებს არანაირ დათქმას ან შეზღუდვას, საჩივარი ხელით დაინერება თუ ტექნიკური საშუალების გამოყენებით მომზადდება. სამომავლოდ იგეგმება საჩივრების წარდგენის ელექტრონული პროგრამის ამოქმედებაც.
4. სსსკ-ის 293-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოიცავს იმ რეკვიზიტებს, რასაც უნდა შეიცავდეს სააპელაციო საჩივარი. კერძოდ, სააპელაციო საჩივარში უნდა მიეთითოს:
  - იმ სასამართლოს დასახელება, სადაც იგზავნება საჩივარი (თბილისის ან ქუთაისის სააპელაციო სასამართლო);

<sup>640</sup> იხ., სსსკ-ის 266-ე მუხლის კომენტარი.

- საჩივრის შემტანი პირის (ბრალმდებლის, ზემდგომი პროკურორის, მსჯავრდებულის, ადვოკატის, გამართლებულის) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილი, საპროცესო მდგომარეობა;
  - გასაჩივრებული განაჩენის გამომტანი სასამართლო და გამოტანის თარიღი (განაჩენის დამდგენი რაიონული ან საქალაქო სასამართლოს დასახელება და განაჩენის გამოცხადების თარიღი);
  - განაჩენის გასაჩივრებული დებულებანი (სასამართლოს მიერ დადგენილ რა ფაქტობრივ გარემოებებსა და არგუმენტებს არ იზიარებს საჩივრის ავტორი);
  - გასაჩივრებულ დებულებათა უკანონობის ან/და დაუსაბუთებლობის არსი (რაში გამოიხატება მატერიალური კანონის არასწორად გამოყენება ან საპროცესო ნორმების მოთხოვნათა დარღვევა);
  - მომჩივნის პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებანი (ის მტკიცებულებები, რაც ადასტურებს აპელანტის საჩივარში მოყვანილ არგუმენტებს);
  - მტკიცებულება, მათ შორის, ახალი, რომელიც უნდა გამოიკვლიოს სააპელაციო სასამართლომ;
  - დამატებით წარდგენილი მასალები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
5. ზემოაღნიშნული ნორმა მხარეებს სთავაზობს, თუ რა აუცილებელ მითითებებსა და არგუმენტებს უნდა ეფუძნებოდეს სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებების გასაბათილებლად.
  6. სსსკ-ის 279-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიიქცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე. სააპელაციო საჩივრის შეტანა არ იწვევს განაჩენის აღსრულების შეჩერებას. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის აღსრულება შეჩერდება მხოლოდ განაჩენის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში და აღსრულდება იმ ფარგლებში, რასაც დაადგენს ზემდგომი სააპელაციო სასამართლო.
  7. სისხლის სამართლის საპროცესო კანონი ითვალისწინებს განაჩენის მთლიანად ან ნაწილობრივ გასაჩივრების შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუ განაჩენი მხოლოდ ნაწილობრივ საჩივრდება, სააპელაციო საჩივარში უნდა აღინიშნოს, თუ რა ნაწილში საჩივრდება განაჩენი, საჩივრის დამადასტურებელი არგუმენტების მითითებით.

### **მუხლი 294. მხარისათვის სააპელაციო საჩივრის ასლის გადაგზავნა, შესაგებელი**

1. განაჩენის გამომტან სასამართლოში შეაქვთ სააპელაციო საჩივრის იმდენი ეგზემპლარი, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ იგი ამ სასამართლომ გადასცეს მხარეს.
  2. სასამართლო სააპელაციო საჩივრის ასლს არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნის მეორე მხარეს, რათა მან წარადგინოს საჩივრის შესაგებელი. მეორე მხარემ სასამართლოს შესაგებელი უნდა წარუდგინოს საჩივრის ასლის მილებიდან არა უგვიანეს 5 დღისა.
  3. აპელანტს უფლება აქვს, სასამართლოსაგან მიიღოს სააპელაციო საჩივრის შესაგებლის ასლი.
1. განაჩენის დამდგენ პირველი ინსტანციის სასამართლოში შეიტანება სააპელაციო საჩივრის იმდენი ეგზემპლარი, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ სასამართლომ უზრუნველყოს წარდგენილი საჩივრის გადაცემა პროცესის მონაწილე მხარისთვის. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის ეგზემპლარის ოდენობა დამოკიდებულია მხარეთა რაოდენობაზე კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში. მაგალითად, როდესაც საქმეზე რამდენიმე მსჯავრდებულია და პროკურორს შეაქვს საჩივარი მათ მიმართ დადგენილ გამამტყუნებელ განაჩენზე კვალიფიკაციის ან/და სასჯელის ნაწილში, მან სასამართლოში უნდა წარადგინოს სააპელაციო საჩივრის იმდენი ეგზემპლარი, რომ ყველა მსჯავრდებულისთვის (ან დამცველისთვის) მოხდეს აღნიშნული საჩივრის გადაცემა.

2. სასამართლო ვალდებულია, სააპელაციო საჩივრის ასლი არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს მეორე მხარეს. მიუხედავად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამგვარი ჩანაწერისა, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სააპელაციო საჩივრის ასლი ეგზავნება არა მარტო მონინალმდგე მხარეს, არამედ პროცესის ყველა მონაწილე მხარეს, რაც განპირობებულია იმით, რომ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე ყველა პირი ინფორმირებული იყოს იმ საპროცესო მოქმედებების თაობაზე, რაც ხორციელდება იმ საქმეზე, რომელზეც იგი წარმოადგენს ერთ-ერთ მხარეს.
3. სააპელაციო საჩივრის ასლი მეორე მხარეს ეგზავნება იმისათვის, რომ მან წარადგინოს შესაგებელი, რისთვისაც განსაზღვრული აქვს გარკვეული ვადა. კერძოდ, მეორე მხარემ სასამართლოს შესაგებელი უნდა წარუდგინოს საჩივრის ასლის მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა იმგვარად იკითხება, რომ იგი თითქოს მონინალმდგე მხარეს ავალდებულებს, სააპელაციო საჩივრის ასლის მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა სასამართლოს წარუდგინოს თავისი პოზიცია სააპელაციო საჩივარზე, თუმცა, როგორც სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, მხარეები არცთუ ხშირად იცავენ კანონის აღნიშნულ მოთხოვნას, რამდენადაც მათ მიერ კანონის ამგვარი ჩანაწერი არ არის აღქმული სავალდებულო მოთხოვნად და სასამართლოს მხოლოდ სურვილის შემთხვევაში წარუდგენენ შესაგებელს.
4. შესაგებელი წარმოადგენს მეორე მხარის წერილობით შეპასუხებას სააპელაციო საჩივარზე, რომელშიც მხარე უარყოფს საჩივრის ავტორის მოთხოვნას და აბათილებს მის მიერ საჩივარში მითითებულ მოტივებსა და არგუმენტებს. შესაბამისად, კარგი იქნება, თუ მას მართლაც სავალდებულოდ წარსადგენად მივიჩნევთ, რამდენადაც აპელანტის მონინალმდგე მხარის მოსაზრების წარდგენა სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი და ეფექტური იქნება სწრაფი მართლმსაჯულების განსახორციელებლად. კერძოდ, იმ კატეგორიის საქმეებზე, რომლებზეც შესაძლებელია მხარის საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა, ორივე მხარის პოზიციის წინასწარ ცოდნა უმეტეს შემთხვევაში სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, ზეპირი მოსმენის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივარზე, რაც ხელს შეუწყობს როგორც სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, ასევე, სახელმწიფო ხარჯების დაზოგვას.
5. აპელანტი უფლებამოსილია, სასამართლოსგან მიიღოს სააპელაციო საჩივრის შესაგებლის ასლი, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს არ აკისრია საჩივრის შესაგებლის ასლის სააპელაციო საჩივრის ავტორისთვის გადაგზავნის ვალდებულება, თუმცა, საჩივრის ავტორის მოთხოვნის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია, გადასცეს მას სააპელაციო საჩივრის შესაგებლის ასლი.

## მუხლი 295. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტა

1. საქმე, საჩივარი და მისი შესაგებელი პირველი ინსტანციის სასამართლოდან იგზავნება სააპელაციო სასამართლოში.
2. სააპელაციო სასამართლო საჩივრისა და საქმის მიღებიდან 10 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე ნყვეტს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს.
3. თუ საჩივარი არ შეესაბამება ამ კოდექსის 293-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, სააპელაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით აპელანტს აძლევს 5 დღის ვადას საჩივრის ხარვეზის შესავსებად. თუ აპელანტი არ შეასრულებს აღნიშნულ მოთხოვნას, სააპელაციო სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება. თუ აღნიშნულ ვადაში აპელანტი შეავსებს ხარვეზს, სააპელაციო სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება საჩივრის დასაშვებლად ცნობის თაობაზე და ნიშნავს სააპელაციო სხდომის თარიღს.
4. თუ სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივარი შეესაბამება ამ კოდექსის 293-ე მუხლის

მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, მას ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება საჩივრის დასაშვებად ცნობის თაობაზე და ნიშნავს სააპელაციო სხდომის თარიღს.

5. სააპელაციო სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში.

6. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოაქვს სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 თვის ვადაში.

7. სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 კვირის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ასევე საჩივარი მხოლოდ სასჯელის შემცირების თაობაზე. სასამართლო უფლებამოსილია დანიშნული სასჯელი ზეპირი მოსმენის გარეშე შეამციროს არა უმეტეს ერთი მეოთხედით.

8. აპელანტს უფლება აქვს, შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სააპელაციო საჩივრის განმეორებით შეტანა დაუშვებელია.

- პირველი ინსტანციის სასამართლო კანონით განსზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ სისხლის სამართლის საქმეს, საჩივარსა და მის შესაგებელს უგზავნის სააპელაციო სასამართლოს.
- „საერთო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 22-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო იქმნება და მისი სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოში მოქმედებს ორი სააპელაციო სასამართლო – თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები. სისხლის სამართლის საქმეებზე სააპელაციო საჩივრებს განიხილავს თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა პალატები.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, გორის, გურჯაანის, თეთრიწყაროს, თელავის, მცხეთის, სიღნაღის, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის, ხაშურის რაიონული და თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები.
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება ამბროლაურის, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ოზურგეთის, სამტრედიის, საჩხერის, სენაკის, ცაგერის, ხელვაჩაურის რაიონული და ბათუმის, ფოთისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები.
- სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს ნყვეტს საჩივრისა და საქმის მასალების მიღებიდან 10 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე. სააპელაციო სასამართლო საჩივრის დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს იმის საფუძველზე, წარდგენილი საჩივარი რამდენად შეესაბამება სსსკ-ის 293-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს.
- თუ სააპელაციო საჩივარი შეესაბამება სსსკ-ის 293-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე იღებს განჩინებას საჩივრის დასაშვებად ცნობის თაობაზე და ნიშნავს სააპელაციო სხდომის თარიღს საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში.
- იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი არ შეესაბამება სსსკ-ის 293-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სააპელაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინების საფუძველზე, აპელანტს აძლევს 5 დღის ვადას საჩივრის ხარვეზის შესავსებად. თუ დადგენილ ვადაში აპელანტი არ შეასრულებს აღნიშნულ მოთხოვნას, სააპელაციო სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება. თუ დადგენილ ვადაში აპელანტი შეავსებს ხარვეზს, სააპელ-

- აცოი სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანს განჩინებას საჩივრის დასაშვებად ცნობის თაობაზე და დანიშნავს სააპელაციო სხდომის თარიღს.
9. საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში უნდა გაიმართოს სააპელაციო სხდომა, ხოლო განაჩენი გამოტანილ უნდა იქნეს სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 თვის ვადაში.
  10. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოს მიერ სხდომის ჩატარების, ანუ ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. კერძოდ, სსსკ-ის 295-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე, სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია, საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 კვირის ვადაში ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ანუ ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაულის საქმეებზე, რომლის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას. სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, ასევე, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს საჩივარი მხოლოდ სასჯელის შემცირების თაობაზე. ამ შემთხვევაში კანონმდებელი ადგენს გარკვეულ დათქმას და სასამართლოს ზღუდავს სასჯელის ზომის შემცირების ფარგლებით, კერძოდ, ზეპირი მოსმენის გარეშე საჩივრის განხილვისას სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნული სასჯელი შეამციროს არა უმეტეს ერთი მეოთხედით.
  11. სააპელაციო სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე საპროცესო კანონმდებლობა უშვებს აპელანტის მიერ თავისი საჩივრის უკან გათხოვის შესაძლებლობას. სააპელაციო საჩივრის ავტორს უფლება აქვს, საჩივრის სააპელაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე, მანამ, სანამ სასამართლო გამოიტანს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება. აპელანტის მიერ საჩივრის გათხოვის შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განმეორებით შეტანა დაუშვებელია.

### **მუხლი 296. მხარეთა გამოცხადება**

1. პატიმარ მსჯავრდებულს უფლება აქვს, სააპელაციო საჩივრით მოითხოვოს სააპელაციო განხილვაში უშუალოდ მონაწილეობა, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო.
  2. თუ სააპელაციო სხდომაზე აპელანტი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება, სააპელაციო სასამართლო განჩინებით მის სააპელაციო საჩივარს განუხილველად ტოვებს. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
1. პირის უფლება, მონაწილეობა მიიღოს მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით. შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა უზრუნველყოფს პატიმარი მსჯავრდებულის უფლებას, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა სააპელაციო საჩივრის განხილვაში.
  2. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, პატიმარი მსჯავრდებული უფლებამოსილია, სააპელაციო საჩივრით მოითხოვოს სააპელაციო განხილვაში უშუალოდ მონაწილეობა, რის თაობაზეც გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო. სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ, როგორც წესი, პატიმარი მსჯავრდებულები უზრუნველყოფილი არიან ამ უფლების რეალიზებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
  3. მართალია, სსსკ-ის 296-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ეხება

- ისეთ შემთხვევებს, როდესაც სააპელაციო სასამართლოში საჩივარი წარდგენილია თავად მსჯავრდებულის მიერ, თუმცა სააპელაციო საჩივრის მეორე მხარის მიერ წარდგენის დროსაც პატიმარ მსჯავრდებულს, სურვილის შემთხვევაში, უნდა მიეცეს საჩივრის განხილვაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.
4. სააპელაციო საჩივრის ავტორის სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა იწვევს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას. სსსკ-ის 296-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სხდომაზე აპელანტი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება, სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივარს დატოვებს განუხილველად სასამართლო განჩინებით. აღნიშნული განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა მიუთითებს, რამდენად მნიშვნელოვანია აპელანტის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება. შესაბამისად, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის ავტორმა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე დროულად უნდა აცნობოს საჩივრის განმხილველ სასამართლოს.
  5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა არაფერს ამბობს აპელანტის მონაწილეობის მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში უნდა იხელმძღვანელოს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისთვის დადგენილი ნორმებით.

#### მუხლი 297. სააპელაციო სხდომა

სააპელაციო საჩივარი განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოქმედი ნორმების შესაბამისად, შემდეგი ცვლილებებით:

ა) შესავალი და დასკვნითი სიტყვებით პირველად გამოდის აპელანტი, ხოლო შემდეგ – მონაწილე მხარე;

ბ) განაჩენის უკანონობის ან/და დაუსაბუთებლობის მტკიცების ტვირთი აკისრია აპელანტს;

გ) სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულების გამოკვლევა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულება გამოკვლეულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით და მხარე აყენებს შუამდგომლობას ამგვარი მტკიცებულების ხელახლა გამოკვლევის თაობაზე;

დ) მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით ახალი მტკიცებულება შესაძლოა გამოკვლეულ იქნეს სააპელაციო სასამართლოში, თუ შუამდგომლობის ავტორი დაასაბუთებს, რომ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოზიციის დასაბუთებლად და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მისი წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელი იყო;

ე) მტკიცებულებების გამოკვლევა არ უნდა გასცდეს სააპელაციო საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებს;

ვ) მტკიცებულებათა გამოკვლევის ამ მუხლით დადგენილი წესი არ ვრცელდება სისხლის სამართლის იმ საქმეებზე, რომლებზედაც პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი ბრალდებულის დაუსწრებლად გამოიტანა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა, მსჯავრდებულის მოთხოვნის შესაბამისად, სააპელაციო წესით საქმე მისი მონაწილეობის გარეშე იხილება;

ზ) სააპელაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში.

(ძალადაკარგულია “ზ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ერთი და იმავე დანაშაულისათვის პირის განმეორებით მსჯავრდება)–

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/1/608,609 – ვებგვერდი, 13.10.2015 წ.



1. სააპელაციო სასამართლო წარმოადგენს ფაქტებისა და სამართლებრივი საკითხების განმხილველ მეორე ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ ხდება არა მარტო სამართლებრივი, არამედ, აგრეთვე, ფაქტობრივი გარემოებების (მტკიცებულებების) გადასინჯვა საქმის მეტ-ნაკლები სისრულით, ხელახალი არსებითი განხილვის გზით.
2. სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო საჩივრის განხილვა წარმოებს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოქმედი ნორმების შესაბამისად, გარკვეული გამონაკლისებით, კერძოდ:
  - შესავალი და დასკვნითი სიტყვებით პირველად გამოდის აპელანტი, ხოლო შემდეგ მონინაალმდეგე მხარე (მაშინ, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოში შესავალი და დასკვნითი სიტყვებით ყველა შემთხვევაში პირველად გამოდის ბრალდების მხარე);
  - განაჩენის უკანონობის ან/და დაუსაბუთებლობის მტკიცების ტვირთი აკისრია აპელანტს (მაშინ, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოში ბრალდების მტკიცების ტვირთი აკისრია ბრალმდებელს);
  - სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულების გამოკვლევა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულება გამოკვლეულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით და მხარე აყენებს შუამდგომლობას ამგვარი მტკიცებულების ხელახლა გამოკვლევის თაობაზე;
  - მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით ახალი მტკიცებულება შესაძლოა გამოკვლეულ იქნეს სააპელაციო სასამართლოში, თუ შუამდგომლობის ავტორი დაასაბუთებს, რომ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოზიციის დასაბუთებლად და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მისი წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელი იყო;
  - მტკიცებულებების გამოკვლევა არ უნდა გასცდეს სააპელაციო საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებს;
  - მტკიცებულებათა გამოკვლევის ამ მუხლით დადგენილი წესი არ ვრცელდება სისხლის სამართლის იმ საქმეებზე, რომლებზედაც პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი ბრალდებულის დაუსწრებლად გამოიტანა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა, მსჯავრდებულის მოთხოვნის შესაბამისად, სააპელაციო წესით საქმე მისი მონაწილეობის გარეშე იხილება;
  - სააპელაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში.
3. სისხლის სამართლის პროცესის აღნიშნული ნორმის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა და მათი ხელახალი დადგენა დაიშვება ორი საფუძველით:
  - ახალი მტკიცებულების წარდგენით, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ შუამდგომლობის ავტორი დაასაბუთებს, რომ იგი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა მისი პოზიციის დასაბუთებლად და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მისი წარდგენა ობიექტურად შეუძლებელი იყო;
  - მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმეში არსებული მტკიცებულებების ხელახალი გამოკვლევით, როდესაც მტკიცებულება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით, რაც გულისხმობს პირველი ინსტანციის სასამართლოში მტკიცებულების გამოკვლევას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დაუცველად.

#### სააპელაციო საჩივრის განხილვის ფარგლები:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის **2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილებაში განმარტა:** „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპს და აცხადებს, „არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის“. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება საყოველთაოდ აღიარებული „ne bis in idem“ პრინციპის ხორცშესხმაა, რომელიც დეკლარირებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ეროვნულ დოკუმენტებში, მათ შორის 1966 წლის საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მუხლი მე-14, პუნქტი მე-7) და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის №7 ოქმში (მუხლი მე-4). აღნიშნული პრინციპი, ერთი მხრივ, იცავს ინდივიდს ერთი და იმავე ქმედების გამო განმეორებითი სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდებისგან, მეორე მხრივ კი, ემსახურება სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებებით სახელმწიფო ორგანოების ბოჭვას. აღნიშნული პრინციპი სახელმწიფო ორგანოებს აკისრებს პასუხისმგებლობას სისხლისსამართლებრივი დევნის სათანადოდ განხორციელებისთვის, რადგან ხელისუფლების ორგანოები არ არიან უფლებამოსილი, წარუდგინონ პირს დამატებითი ან უფრო მძიმე ბრალდება იმ ქმედების გამო, რომლისთვისაც პირი უკვე გასამართლებული იყო. შესაბამისად, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს უმნიშვნელოვანეს გარანტიას ინდივიდების ხელისუფლების თვითნებობისგან დასაცავად, რამდენადაც უზრუნველყოფს, რომ, თუ პირს ერთხელ დაეკისრება მსჯავრი და მოიხდის სასჯელს ან გამართლება კონკრეტული ქმედებისთვის, ის თავისუფალი უნდა იყოს შიშისგან, რომ ხელისუფლება იმავე ქმედების გამო კიდევ განახორციელებს მის მიმართ დევნას. აღსანიშნავია, რომ განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპიდან გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც ქმედების გამო სამართალწარმოება შეიძლება განახლდეს ახლად გამოვლენილი ან აღმოჩენილი მტკიცებულებების გამო ან როდესაც გამოვლინდება სამართალწარმოების მნიშვნელოვანი ხარვეზები, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა სამართალწარმოების შედეგზე და რაც მისი ხელახლა დანყების საფუძველს ქმნის ნათელი, განჭვრეტადი და წინასწარმიღებული კანონმდებლობის საფუძველზე. თუმცა აღნიშნული გამონაკლისის გარდა, განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი აბსოლუტურ და იმპერატიულ კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს. ერთი და იმავე ქმედებისთვის პირის განმეორებით მსჯავრდება წარმოადგენს პირის თავისუფლების ცალსახა უგულებელყოფას და აზრს უკარგავს სამართლებრივი სახელმწიფოს იმგვარ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორცაა სამართლის განჭვრეტადობა და კანონის გარეშე პასუხისმგებლობისა და დასჯის აკრძალვა. თუ პირს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა ერთი ქმედებისთვის რამდენჯერმე შეიძლება დაეკისროს და ხელისუფლება არ იზღუდება ამ მიმართებით, იმპერატიული მოთხოვნა, რომ პირმა წინასწარ იცოდეს, რა სასჯელი დაეკისრება კონკრეტული ქმედებისთვის და შეეძლოს საკუთარი ქცევის შესაბამისად კონტროლი, თავისთავად აზრს მოკლებული ხდება. შესაბამისად, პირის განმეორებით მსჯავრდება არის კონსტიტუციის და მისი ფუნდამენტური პრინციპების მიუღებელი და უხეში დარღვევა, რომელიც არ შეიძლება ექვემდებარებოდეს გამართლებას რაიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საბაბით. როგორც 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ანალიზისას აღინიშნა, ეს ნორმა არ ითვალისწინებს გამონაკლისს, როდესაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, გასცდეს აპელანტის მოთხოვნის ფარგლებს საქმის განხილვისას (გარდა იმავე საქმეზე სხვა მსჯავრდებულის მიმართ საკითხის გადაწყვეტის შემთხვევისა). ნორმის მკაფიო შინაარსი სააპელაციო სასამართლოს არ აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ინიციატივით და მხარეთა მოთხოვნის გარეშე შეამოწმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს სადავო გადაწყვეტილება, ხომ არ არღვევს განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, გააუქმოს ან ცვლილება შეიტანოს სხვა საფუძვლით გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში. შესაბამისად, სადავო ნორმა ქმნის პროცესუალურ წესრიგს, სადაც სასამართლოს არ აქვს განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის ფუნდამენტური და უპირობო

კონსტიტუციური პრინციპის დაცვის უფლებამოსილება. სასამართლოს მიერ ერთი და იმავე ქმედებისთვის განმეორებითი მსჯავრდების ძალაში დატოვება, სადავო ნორმის საფუძველზე ამ პრინციპის დარღვევას წარმოადგენს და, შესაბამისად, სადავო ნორმა არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტს.<sup>641</sup>

4. შესაბამისად, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ №609 კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული სსსკ-ის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ერთი და იმავე დანაშაულისთვის პირის განმეორებით მსჯავრდება

## მუხლი 298. სააპელაციო განაჩენი და შებრუნება საუარესოდ

1. სააპელაციო სასამართლო განაჩენით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს;
- ბ) აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს;
- გ) ცვლილება შეაქვს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში;
- დ) უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

2. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს.

3. სააპელაციო სასამართლოს უფლება არა აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან მიიღოს მსჯავრდებულისთვის არასასიკეთო სხვა გადაწყვეტილება, თუ საქმე განიხილება მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის საჩივრის საფუძველზე და ბრალდების მხარეს საჩივარი არ შეუტანია.

4. სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ ბრალდების მხარემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

1. სისხლის სამართლის პროცესის აღნიშნული ნორმის მიზანია სააპელაციო სასამართლოს მიერ მისაღები გადაწყვეტილებების განსაზღვრა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების პირის საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა, როდესაც აპელანტს აღნიშნული მოთხოვნა არ დაუყენებია.
2. სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს განაჩენის სახით, რომელიც ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს.
3. სააპელაციო სასამართლო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
  - აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს;
  - აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს;
  - ცვლილება შეაქვს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში;
  - უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს

<sup>641</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 29/09/2015 წლის №3/1/608,609 გადაწყვეტილება.

სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

4. სააპელაციო სასამართლო აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს, თუ სააპელაციო სხდომაზე არ დადასტურდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რაც გახდა პირის მსჯავრდების საფუძველი, არასწორად იქნა გამოყენებული სისხლის სამართლის მატერიალური ნორმები, ან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევისას და გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულ იქნა საპროცესო ნორმები, რაც გავლენას ახდენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და მტკიცებულებათა საკმარისობაზე.
5. სააპელაციო სასამართლო აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ სააპელაციო სხდომაზე დადასტურდა იმ ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რაც ბრალად ჰქონდა პირს წარდგენილი. გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე დამტკიცდება პირის მიერ დანაშაულის ჩადენა.
6. სააპელაციო სასამართლოს ცვლილება შეაქვს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში, რაც შესაძლოა ეხებოდეს როგორც კვალიფიკაციის, ასევე, სასჯელის ნაწილს, რაც იწვევს განაჩენის შეცვლას.
7. სააპელაციო სასამართლო უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, როდესაც წარდგენილ სააპელაციო საჩივარს უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევს. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლო ადგენს ახალ განაჩენს, რომელშიც უცვლელად აისახება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი დებულებები.
8. როგორც სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების უმრავლესობა სააპელაციო სასამართლოს მიერ დატოვებულია უცვლელად. გამონაკლისია 2013 წელი, რა დროსაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების მხოლოდ 35,6%-ია უცვლელად დატოვებული, ხოლო 52,3%-ზე შეცვლილია სასჯელი, რაც განპირობებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის 28 დეკემბერს „ამნისტიის შესახებ“ კანონის მიღებით, რაც გამოირჩეოდა თავისი მასშტაბურობით.
9. ბოლო 2 წლის (2013-2014 წლები) მანძილზე სააპელაციო სასამართლოში გამამართლებელი განაჩენი გამამტყუნებელი განაჩენით შეცვლილია 18 პირის მიმართ, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი გამამართლებელი განაჩენით – 38 პირის მიმართ. კვალიფიკაციის ნაწილში განაჩენი შეიცვალა 59 პირის მიმართ, ხოლო სასჯელი შეიცვალა 709 პირის მიმართ, რაც შეადგენს განხილული საჩივრების დაახლოებით 30%-ს.
10. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა უზრუნველყოფს პირის (გამართლებულის ან მსჯავრდებულის) დაცვას მის მიმართ დადგენილი განაჩენის საუარესოდ შეზღუდვისგან, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარეს არ შეუტანია სააპელაციო საჩივარი და საქმე განიხილება მსჯავრდებულის ან მისი ადვოკატის საჩივრის საფუძველზე.
11. სააპელაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად დაადგინოს გამამტყუნებელი განაჩენი, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან მიიღოს მსჯავრდებულისთვის არასასიკეთო სხვა ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ საქმე განიხილება მსჯავრდებულის ან მისი ადვოკატის საჩივრის საფუძველზე და ბრალდების მხარეს სააპელაციო საჩივარი არ შეუტანია.
12. სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად დაადგინოს გამამტყუნებელი განაჩენი, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან სხვა გზით გააუარესოს

- მსჯავრდებულის მდგომარეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა სწორედ ამ მოთხოვნით და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში. სხვა შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარეს ასეთი პოზიცია არ ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში, ან აღნიშნული მოთხოვნა არაა დაფიქსირებული მის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივარში, სააპელაციო სასამართლო ვერ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რაც გააუარესებს მსჯავრდებულის ან გამართლებულის მდგომარეობას.
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ 2014 წლის 25 თებერვალს მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების პირის საუარესოდ შებრუნების საკითხზე (საქმე №227აპ-13).
14. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით შ.ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით. აღნიშნულმა სასჯელებმა შთანთქა კიდევ ერთი ადრე გამოტანილი განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი – 2 წელი და მსჯავრდებულ შ.ქ.-ს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურორის სააპელაციო საჩივარი და იმ პირობებში, როცა პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებელს ირიბადაც კი არ მიუთითებია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის განაჩენის თაობაზე, მით უმეტეს, განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის წესზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ მიუმატა წინა განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელიდან 1 წელი და მსჯავრდებულ შ.ქ.-ს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.
15. დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ პროკურორის საჩივრის საფუძველზე მსჯავრდებულის მდგომარეობა გააუარესა განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის კუთხით – შთანთქმის ნაცვლად გამოიყენა ნაწილობრივი შეკრების პრინციპი, მაშინ, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებელს ირიბადაც კი არ მიუთითებია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის განაჩენის თაობაზე, მით უმეტეს, განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის წესზე. დიდმა პალატამ განმარტა, რომ განაჩენთა ერთობლიობისას სახელმწიფო ბრალმდებელს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის და, შესაბამისად, სასამართლოს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბრალმდებელს ასეთივე პოზიცია ეკავა ყველა ინსტანციის სასამართლოში. შესაბამისად, თუ სახელმწიფო ბრალმდებელს აღნიშნულ საკითხზე პირველი ინსტანციის სასამართლოში არ დაუფიქსირებია პოზიცია, შემდგომში იმავე საკითხზე მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების თვალსაზრისით გასაჩივრება სამართლებრივად საფუძველსმოკლებული და უპერსპექტივოა.

### მუხლი 299. სააპელაციო საჩივრის სარევიზიო საწყისი

თუ სააპელაციო საჩივარი შეტანილია მსჯავრდებულის მიერ და სასამართლო მას მთლიანად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს განაჩენით ამ საქმეში მსჯავრდებული სხვა პირის მიმართაც, რომელსაც სააპელაციო საჩივარი არ შეუტანია.

1. აღნიშნული ნორმის მიზანია სისხლის სამართლის საქმეზე მსჯავრდებული პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის უზრუნველყოფა სარევიზიო საწყისზე, რაც გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის

ვალდებულებას იმ პირის მიმართ, რომელსაც განაჩენი არ გაუსაჩივრებია, იმ შემთხვევაში, თუ მასთან ერთად იმავე საქმეზე მსჯავრდებულმა სხვა პირმა სააპელაციო საჩივრით მიმართა სასამართლოს.

2. „რევიზია“ (revisio) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გადასინჯვას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს საქმიანობაში სარევიზიო სანყისის ჩადებაზე. კერძოდ, აღნიშნული ნორმა სააპელაციო სასამართლოს ავალდებულებს, იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე მსჯავრდებული ერთი პირის სააპელაციო საჩივარს, იმავდროულად იმსჯელოს იმავე საქმეში მსჯავრდებული სხვა პირის მიმართაც, რომელსაც სააპელაციო საჩივარი არ შეუტანია.
3. სისხლის სამართლის პროცესის აღნიშნული ნორმა ერთმნიშვნელოვნად უშვებს განაჩენის შეცვლას მხოლოდ მსჯავრდებულის სასიკეთოდ. სააპელაციო სასამართლო არც ერთ შემთხვევაში არ არის უფლებამოსილი, განაჩენი შეაბრუნოს ამ პირის საუარესოდ, თუკი ბრალდების მხარეს არ ჰქონდა აღნიშნული მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი შეტანილი.

## თავი XXVI კასაცია

### მუხლი 300. ზოგადი დებულებანი

1. საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი, რომელიც, კასატორის აზრით, უკანონოა. განაჩენი უკანონოა, თუ:

ა) არსებითად დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რაც არ გამოუვლენია პირველი ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოს ან რაც მან დაუშვა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს;

ბ) მსჯავრდებულის ქმედებას არასწორი კვალიფიკაცია მიეცა;

გ) გამოყენებულია სასჯელის ისეთი სახე ან ზომა, რომელიც ამკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას.

2. საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვს ბრალმდებელს, ზემდგომ პროკურორს, მსჯავრდებულს ან/და მის ადვოკატს.

3. მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა მისი მონაწილეობის გარეშე, უფლება აქვს, განაჩენი გაასაჩივროს 1 თვის ვადაში: დაპატიმრებიდან; ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან; ან სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან, თუ მსჯავრდებული ითხოვს საკასაციო საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე.

1. „კასაცია“ (cassatio) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გაუქმებას. იურიდიულ ლიტერატურაში სიტყვა „კასაცია“ ნიშნავს სასამართლო განაჩენისა და გადაწყვეტილების გასაჩივრებასა და გადასინჯვას ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში. საკასაციო წესით სისხლის სამართლის საქმის განხილვის მიზანია, მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა, გადასინჯოს სააპელაციო სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

2. საკასაციო ინსტანციის სასამართლო არის ბოლო რგოლი საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში და წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლეს ორგანოს. საქართველოში არის მხოლოდ ერთი საკასაციო ინსტანციის სასამართლო. ეს არის საქართველოს უზენაესი სასამართლო. სისხლის სამართლის საქმეებზე საკასაციო საჩივრებს განიხილავს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, რომელიც შედგება სამი მოსამართლისგან.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს საკასაციო საჩივრებს მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შემაჯამებელ გადაწყვეტილებებზე. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენის პირდაპირ საკასაციო წესით გასაჩივრება დაუშვებელია. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი ვერდიქტი, რომელიც პირდაპირ საკასაციო წესით საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.

4. მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს წარმოადგენს უზენაესი სასამართლო, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლი უშვებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრებას სააპელაციო სასამართლოში და ადგენს გასაჩივრების საფუძვლებს.<sup>642</sup>

5. საკასაციო სასამართლოში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის

<sup>642</sup> იხ., სსკ-ის 266-ე მუხლის კომენტარი.

- საქმეთა პალატის მიერ გამოტანილი განაჩენის კანონიერება. საკასაციო საჩივრის შეტანა დასაშვებია მხოლოდ განაჩენის უკანონობის მოტივით, მაშინ, როდესაც სააპელაციო წესით საჩივრდება როგორც განაჩენის კანონიერება, ასევე, დასაბუთებულობა. კასაცია არსობრივად სწორედ იმით განსხვავდება აპელაციისგან, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლო მხოლოდ განაჩენის კანონიერებას ამოწმებს, განსხვავებით სააპელაციო სასამართლოსგან, რომელიც, კანონიერებასთან ერთად, ასევე, ამოწმებს განაჩენის დასაბუთებულობას. საკასაციო ინსტანციის სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასამართლოს და არ იკვლევს არც ახალ და არც საქმეში არსებულ მტკიცებულებებს ხელახლა. საკასაციო ინსტანციის სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე ახდენს სამართლებრივი საკითხების შემოწმებას. კერძოდ, ამოწმებს სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენი გამოტანილია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კოდექსების, სხვა კანონებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების მოთხოვნათა დაცვით.
6. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაშია განაჩენი უკანონო. კერძოდ, განაჩენი უკანონოა, თუ:
- არსებითად დაირღვა სსსკ-ი, რაც არ გამოუვლენია პირველი ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოს ან რაც მან დაუშვა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს;
  - მსჯავრდებულის ქმედებას არასწორი კვალიფიკაცია მიეცა;
  - გამოყენებულია სასჯელის ისეთი სახე ან ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას.
7. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებით დარღვევად მიჩნეულ უნდა იქნეს ისეთი დარღვევები, რომლებმაც შეზღუდა მხარეთა უფლებები და ხელი შეუშალა საქმის ყოველმხრივ და ობიექტურ განხილვას, დაირღვა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, რამაც გავლენა მოახდინა კანონიერი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე. განაჩენი უკანონოა, თუ იგი ემყარება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, თუ დაირღვა მსჯავრდებულის დაცვის უფლება, თუ მსჯავრდებული არ იქნა უზრუნველყოფილი თარჯიმნის მონაწილეობით, თუ მსჯავრდებულს არ მისცეს საბოლოო სიტყვის თქმის უფლება, თუ განაჩენი დაადგინა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ ან არაგანსჯადმა სასამართლომ და ა.შ. განაჩენი ყველა შემთხვევაში გასაუქმებელია, თუ არსებითად დაირღვა საპროცესო კანონი, რამაც გამოიწვია უკანონო განაჩენის დადგენა და პირის უკანონო მსჯავრდება.
8. საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად განაჩენის შეცვლის საფუძველია მსჯავრდებულის ქმედებისათვის არასწორი კვალიფიკაციის მიცემა, რაც გამოიხატება სისხლის სამართლის მატერიალური კანონის არასწორ გამოყენებაში. კერძოდ, როდესაც სასამართლომ გამოიყენა სისხლის სამართლის კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; ან არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ან არასწორად განმარტა კანონი. თითოეული ასეთი შემთხვევა იწვევს პირის ქმედების არასწორ კვალიფიკაციას და არასწორ მსჯავრდებას. შესაბამისად, წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს.
9. განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს, ასევე, პირველი და სააპელაციო სასამართლოების მიერ სასჯელის ისეთი სახის ან ზომის გამოყენება, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას. განსხვავებით ზემოთ განხილული საფუძველებისგან, აღნიშნული საფუძველით განაჩენის გაუქმება მეტ-ნაკლებად შეიძლება წარმოადგენდეს სუბიექტურად შესაფასებელ გარემოებას, რამდენადაც მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც, მართალია, არ სცილდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით (მეტისმეტი სიმკაცრის ან სიმსუბუქის გამო) აშკარად უსამართლოა.



10. საკასაციო წესით გასაჩივრებას ექვემდებარება სააპელაციო სასამართლოს როგორც გამამტყუნებელი, ასევე, გამამართლებელი განაჩენი. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების უფლებით სარგებლობენ ბრალმდებელი (პროკურორი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში), ზემდგომი პროკურორი (მაგალითად, როდესაც სახელმწიფო ბრალმდებელი იყო ერთ-ერთი რაიონის პროკურორი, საკასაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილებით აღჭურვილია როგორც რაიონის პროკურორი ან მისი მოადგილე, აგრეთვე, ყველა ზემდგომი პროკურორი, ქალაქის პროკურორი და ა.შ.), მსჯავრდებული ან/და მისი ადვოკატი.
11. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულის მიმართ სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია მის დაუსწრებლად, მას უფლება აქვს, განაჩენი გაასაჩივროს 1 თვის ვადაში: დაპატიმრებიდან (უფლებამოსილი პირის მიერ მისი დაკავებიდან), ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან (მსჯავრდებულის გამოცხადების მომენტიდან შესაბამის სამართალდამცავ ორგანოში). აღნიშნული ნორმა მსჯავრდებულს აძლევს შესაძლებლობას, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მის მიმართ საქმის გადასინჯვაში.
12. მსჯავრდებული, რომლის მიმართაც სააპელაციო სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია მის დაუსწრებლად, უფლებამოსილია, მოითხოვოს საკასაციო საჩივრის განხილვა მისი მონაწილეობის გარეშე. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულს აღარ ექნება შესაძლებლობა, დაპატიმრების შემთხვევაში მოითხოვოს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების ხელახალი გადასინჯვა მისი მონაწილეობით. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრების ვადა აითვლება სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენის გამოცხადებიდან.
13. სსსკ-ის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილში გასაჩივრების სუბიექტად არ არის მითითებული გამართლებული, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ელ პუნქტთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ №601 კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 518-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უგულებელყოფს გამართლებულის მიერ განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას და ამავე კოდექსის 546-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უგულებელყოფს გამართლებულის მიერ განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას.
14. აღნიშნული გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ზოგ შემთხვევაში, როდესაც გამამართლებელი განაჩენით იზღუდება გამართლებული პირის სხვა უფლებები ან კანონიერი ინტერესები, გამართლებულს უნდა მიეცეს გადაწყვეტილების ამ ნაწილში გასაჩივრების უფლება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №-601 კონსტიტუციური წარდგინება ეხებოდა გამართლებული პირის მიერ მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის გასაჩივრების საკითხს უზენაეს სასამართლოში. მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ დაუშვა გამართლებულის მიერ განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა გამართლებულის საკასაციო საჩივარი, სააპელაციო სასამართლოს განაჩენიდან ამორიცხა მითითება გირაოს სახით შეტანილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის თაობაზე და აღნიშნული თანხა დაუბრუნა გამართლებულს (საქმე №149აპ-14).

### მუხლი 301. საკასაციო საჩივრის ფორმა

1. საკასაციო საჩივარში კასატორმა უნდა განმარტოს, რა მოცულობით ასაჩივრებს განაჩენს და მის რა მოცულობით გაუქმებას ან შეცვლას ითხოვს, ასევე უნდა დაასაბუთოს თავისი მოთხოვნა.

2. საკასაციო საჩივარში აღინიშნება:

ა) იმ სასამართლოს დასახელება, სადაც შეიტანება საჩივარი;

ბ) მონაცემები იმ პირის შესახებ, რომელსაც შეაქვს საჩივარი (სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილი, საპროცესო მდგომარეობა);

გ) გასაჩივრებული განაჩენი, მისი გამომტანი სასამართლო და გამოტანის თარიღი;

დ) მომჩივნის აზრით, რომელი სამართლებრივი საკითხი გადაწყდა უკანონოდ და რა ადასტურებს ამას;

ე) დამატებით წარმოდგენილი მასალები.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო საჩივრის შეტანის ფორმას, რისი დაუცველობაც იწვევს საკასაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმას.
2. სისხლის სამართლის საპროცესო კანონი ითვალისწინებს განაჩენის მთლიანად ან ნაწილობრივ გასაჩივრების შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუ განაჩენი მხოლოდ ნაწილობრივ საჩივრდება, საკასაციო საჩივარში უნდა აღინიშნოს, თუ რა მოცულობით საჩივრდება განაჩენი და მის რა მოცულობით გაუქმებას ან შეცვლას ითხოვს საჩივრის ავტორი, ასევე, უნდა დაასაბუთოს, თუ რას ეფუძნება მისი მოთხოვნა.
3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა არ ადგენს, თუ რა სახით უნდა იქნეს შეტანილი საკასაციო საჩივარი სასამართლოში. კანონმდებელი არ აწესებს არანაირ დათქმას ან შეზღუდვას, საჩივარი ხელით დაიწერება თუ ტექნიკური საშუალების გამოყენებით მომზადდება. სამომავლოდ იგეგმება საჩივრების წარდგენის ელექტრონული პროგრამის ამოქმედებაც.
4. სსსკ-ის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოიცავს იმ რეკვიზიტებს, რასაც უნდა შეიცავდეს საკასაციო საჩივარი. კერძოდ, საკასაციო საჩივარში უნდა აღინიშნოს:
  - იმ სასამართლოს დასახელება, სადაც შეიტანება საჩივარი (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა);
  - მონაცემები იმ პირის შესახებ, რომელსაც შეაქვს საჩივარი (სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილი, საპროცესო მდგომარეობა);
  - გასაჩივრებული განაჩენი, მისი გამომტანი სასამართლო და გამოტანის თარიღი (გასაჩივრებული განაჩენის სახე – გამამართლებელი თუ გამამტყუნებელი, განაჩენის დამდგენი სააპელაციო სასამართლოს დასახელება და განაჩენის გამოტანის თარიღი);
  - მომჩივნის აზრით, რომელი სამართლებრივი საკითხი გადაწყდა უკანონოდ და რა ადასტურებს ამას (კერძოდ, რომელი მატერიალური ან პროცესუალური ნორმა იქნა დარღვეული, შესაბამისი მტკიცებულებების მითითებით);
  - დამატებით წარმოდგენილი მასალები.
5. ზემოაღნიშნული ნორმა მხარეებს უდგენს, თუ რა აუცილებელ მითითებებსა და არგუმენტებს უნდა ეფუძნებოდეს საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების უკანონოდ მიჩნევის თაობაზე.
6. სსსკ-ის 301-ე მუხლი არ ითვალისწინებს არანაირ განსხვავებას ან რაიმე სახის მითითებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის სააპელაციო სასამართლოში საკასაციო წესით გასაჩივრებასთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში კასატორმა საკასაციო საჩივრის შედგენისას უნდა იხელმძღვანელოს იმავე პრინციპებით, რაც დადგენილია ზოგადად საკასაციო საჩივრის წარდგენისათვის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრების საფუძვლების გათვალისწინებით, რაც მოცემულია სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილში.

## მუხლი 302. საკასაციო საჩივრის შეტანა

1. საკასაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.
2. განაჩენის გამომტან სასამართლოში შეაქვთ საკასაციო საჩივრის იმდენი ეგზემპლარი, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ იგი ამ სასამართლომ გადასცეს მხარეს.
3. სასამართლო საკასაციო საჩივრის ასლს არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნის მეორე მხარეს, რათა მან წარადგინოს საჩივრის შესაგებელი. მეორე მხარემ სასამართლოს შესაგებელი უნდა წარუდგინოს საჩივრის ასლის მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა.
4. კასატორს უფლება აქვს, სასამართლოსაგან მიიღოს საჩივრის შესაგებლის ასლი.
5. საქმე, საჩივარი და მისი შესაგებელი სააპელაციო სასამართლოდან იგზავნება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო საჩივრის შეტანისა და აღნიშნული საჩივრის საფუძველზე საქმის საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადასაგზავნად მომზადების წესს.
2. საკასაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სააპელაციო სასამართლოში. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში, გარდა იმ გამონაკლისისა, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის მე-300 მუხლის მე-3 ნაწილით და ეხება იმ მსჯავრდებულის მიერ განაჩენის გასაჩივრებას, რომლის მიმართაც დაუსწრებლად იქნა გადანიშნული მიღებული.
3. სააპელაციო სასამართლოში შეიტანება საკასაციო საჩივრის იმდენი ეგზემპლარი, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ სასამართლომ უზრუნველყოს წარდგენილი საჩივრის გადაცემა პროცესის მონაწილე მხარისთვის. შესაბამისად, საკასაციო საჩივრის ეგზემპლარის ოდენობა დამოკიდებულია მხარეთა რაოდენობაზე კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში.
4. სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, საკასაციო საჩივრის ასლი არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს მეორე მხარეს. მიუხედავად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამგვარი ჩანაწერისა, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საკასაციო საჩივრის ასლი ეგზავნება არა მარტო მონაწილემდგე მხარეს, არამედ პროცესის ყველა მონაწილე მხარეს, რაც განპირობებულია იმით, რომ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე ყველა პირი ინფორმირებული იყოს იმ საპროცესო მოქმედებების თაობაზე, რაც ხორციელდება იმ საქმეზე, რომელზეც იგი წარმოადგენს ერთ-ერთ მხარეს.
5. საკასაციო საჩივრის ასლი მეორე მხარეს ეგზავნება იმისათვის, რომ მან უზრუნველყოს შესაგებლის წარდგენა სააპელაციო სასამართლოში, რისთვისაც მას განსაზღვრული აქვს გარკვეული ვადა. კერძოდ, მეორე მხარემ სააპელაციო სასამართლოს შესაგებელი უნდა წარუდგინოს საჩივრის ასლის მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა იმგვარად იკითხება, რომ კანონმდებელი საკასაციო საჩივრის შემტანი პირის (კასატორის) მონაწილემდგე მხარეს ავალდებულებს, საკასაციო საჩივრის ასლის მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა სასამართლოს წარუდგინოს თავისი პოზიცია საკასაციო საჩივარზე, თუმცა, როგორც სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, მხარეები ყოველთვის არ იცავენ კანონის აღნიშნულ მოთხოვნას, რამდენადაც მათ მიერ კანონის ამგვარი ჩანაწერი არ არის აღქმული სავალდებულო მოთხოვნად და სასამართლოს მხოლოდ სურვილის შემთხვევაში წარუდგენენ შესაგებელს.
6. შესაგებელი წარმოადგენს წერილობით შეპასუებას მონაწილემდგე მხარის საკასაციო საჩივარზე, რომელშიც მხარე უარყოფს საკასაციო საჩივრის ავტორის მოთხოვნას და აბათილებს მის მიერ საჩივარში მითითებულ მოტივებსა და არგუმენტებს. შესაბამისად, მხრეთათვის შესაგებლის წარდგენის დაავალდებულება ნაადგება სწრაფი მართლმსაჯუ-

- ლების განხორციელების პროცესს, რამდენადაც საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის შესვლისთანავე სასამართლოსთვის ცნობილი იქნება ორივე მხარის პოზიცია და მოსაზრება საკასაციო საჩივარში მითითებულ სამართლებრივ საკითხებზე.
7. მართალია, კანონმდებელი სასამართლოს არ ავალდებულებს, შესაგებლის წარდგენის შემთხვევაში მხარეს გადაუგზავნოს მისი ასლი, თუმცა, კასატორის მხრიდან შესაგებლის ასლის მოთხოვნის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია, გადასცეს მას საჩივრის შესაგებლის ასლი.
  8. მას შემდეგ, რაც სააპელაციო სასამართლო ამონაწერს კანონით განსზღვრულ პროცედურებს, სისხლის სამართლის საქმეს, საჩივარს და მის შესაგებელს აგზავნის საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

### მუხლი 303. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის გადანყვეტა

1. თუ საჩივარი არ შეესაბამება ამ კოდექსის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით კასატორს აძლევს 5 დღის ვადას, რომელიც საქროა საჩივრის ხარვეზის შესავსებად. თუ კასატორი არ შეასრულებს აღნიშნულ მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით საჩივარს განუხილველად ტოვებს. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
  2. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმოს საკასაციო საჩივრის დასაშვებობა.
  3. საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ:
    - ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;
    - ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;
    - გ) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.
  4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სასამართლო საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების გამოტანიდან 5 დღის ვადაში წერილობით აცყობინებს მხარეებს, ხოლო თუ დაუშვებლად ცნობილია პროკურორის საკასაციო საჩივარი – აგრეთვე ზემდგომ პროკურორს.
  5. თუ საკასაციო სასამართლო განჩინებით საჩივარს დასაშვებად მიიჩნევს, იგი ნიშნავს საკასაციო სხდომის თარიღს. საკასაციო სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში.
  6. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.
  7. კასატორს უფლება აქვს, შემაჯამებელი გადანყვეტილების გამოტანამდე გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება. საჩივრის განმეორებით შეტანა დაუშვებელია.
  8. საკასაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარზე შემაჯამებელი გადანყვეტილება მიიღება საკასაციო სასამართლოში საქმისა და საჩივრის შესვლიდან არა უგვიანეს 6 თვისა.
1. საკასაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენა არ ნიშნავს, რომ სასამართლო აუცილებლად განიხილავს წარდგენილ საჩივარს. იმისათვის, რომ სასამართლომ განიხილოს საკასაციო საჩივარი, ჯერ უნდა მოხდეს შემოწმება, თუ რამდენად აკმაყოფილებს მხარის მიერ წარდგენილი საჩივარი სსკ-ის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს და აღნიშნულის შემდეგ მიიღოს გადანყვეტილება საჩივრის დასაშვებად ან დაუშვებლად ცნობის თაობაზე.

2. იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივარი არ შეესაბამება სსკ-ის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ მოთხოვნებს, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინების საფუძველზე, კასატორს აძლევს 5 დღის ვადას საჩივრის ხარვეზის შესავსებად. თუ დადგენილ ვადაში კასატორი არ აღმოფხვრის ხარვეზს და არ შეასრულებს სასამართლოს მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანს განჩინებას საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება.
3. როგორც ბოლო წლების სტატისტიკა ცხადყოფს, 2013-2014 წლებში საკასაციო სასამართლოს მიერ სულ 11 პირის მიმართ იქნა დატოვებული საკასაციო საჩივარი განუხილველად, რაც წარდგენილი საკასაციო საჩივრების 1,6%-ს შეადგენს.
4. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, საკასაციო საჩივრის დასაშვებობა შეამოწმოს ზეპირი მოსმენის გარეშე. საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
  - საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;
  - სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;
  - სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.
5. საკასაციო განხილვის ძირითად საფუძველს წარმოადგენს სამართლის განვითარების მიზანი და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დადგენა. სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვნად შეიძლება მიჩნეულ იქნეს საქმეები, როდესაც ქმედების დასჯადობა ან/და კვალიფიკაცია სხვადასხვა სამართლებრივ შეფასებას იწვევს, ან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იძლევა ნორმის სხვადასხვანაირად განმარტების საშუალებას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, ასეთ საქმეებზე ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ იქნეს მიღებული გადაწყვეტილება ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების კუთხით.
6. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე საქმე უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ განხილული საქმეებიდან:
7. **საქმე №265ა-15** – აღნიშნულ საქმეზე პირი დამნაშავედ იქნა ცნობილი არასრულწლოვნობის პერიოდში ჩადენილი მძიმე დანაშაულისათვის. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა რა მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი, დანიშნული სასჯელი ჩაუთვალა პირობითად, როდესაც განაჩენის გამოტანის დროს ის უკვე სრულწლოვანი იყო. სააპელაციო სასამართლომ, პროკურორის საჩივრის საფუძველზე გააუქმა მის მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრი და განუსაზღვრა რეალური სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, იმ მოტივით, რომ, საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ არასრულწლოვან ბრალდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა თვრამეტი წელი, სასამართლო უფლებამოსილი არ არის, მის მიმართ გამოიყენოს პირობითი მსჯავრი.
8. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საერთო სასამართლოების მხრიდან ადგილი ჰქონდა არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ საქმის განხილვის გაჭიანურებას და საქმის განხილვა აშკარად გასცდა გონივრულ ვადებს, ამასთან, საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულება წინააღმდეგობაშია საერთაშორისო აქტებსა და კონვენციებთან, მათ შორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად კი, ამ დროს უპირატესი ძალა ენიჭება საერთაშორისო აქტებით აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს, შესაბამისად, საკასაციო პალატამ უპირატესი ძალა მიანიჭა საერთაშორისო სტანდარტებს და იმსჯელა მსჯავრდებული პირის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხზე.

9. **საქმე №385აპ-14** ეხება საქართველოს სსკ-ის 371<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას – მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემას. აღნიშნულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი და პირი უდანაშაულოდ ცნო მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლის მიზნით მოწმის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემაში. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული სააპელაციო სასამართლოს მიერ. პირველი და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ მოწმის სახით დაკითხვის ოქმი „შეიცავდა ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის წინადადებებს; ასეთ ვითარებაში, ტექსტის ორაზროვანი აღქმის გამოსარიცხად, გამომძიებელს დამატებითი შეკითხვის დასმით არ აღმოუფხვრია არსებული წინააღმდეგობა, რაც არ იძლეოდა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ მოწმემ სასამართლოს მისცა გამომძიებაში მიცემული ჩვენების არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება“. სასამართლოების აღნიშნული დასკვნა ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ მოწმის დაკითხვის ოქმში სიტყვა „დროს“ იყო ფრჩხილებში ჩასმული და შემდეგ ჩამატებული იყო სიტყვა „მერე“.
10. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, პროკურორის საკასაციო საჩივრის საფუძველზე გადასინჯა რა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე, მიიჩნია, რომ მითითებული ჩამატება არანაირად არ ცვლიდა მოწმის მიერ მიცემული ჩვენების შინაარსს. ის გარემოება, რომ გამომძიებელს ჩამატებულ სიტყვაზე არანაირი შენიშვნა ოქმის ბოლოს არ გაუკეთებია, წარმოადგენდა არაარსებითი ხასიათის დარღვევას, რაც ვერ გახდებოდა მოწმის სახით დაკითხვისას მიცემული ჩვენების მიუღებლობის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში მთავარი იყო მოწმის მხრიდან ფაქტების დამახინჯება და მოწმის განზრახვა, ხელი შეეშალა მართლმსაჯულებისთვის, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან სასამართლოში კატეგორიულად უარყო მძღოლის დანახვის ფაქტი, რომლის ვინაობაც და მისი დანახვის ფაქტიც დადასტურებული ჰქონდა გამომძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში, ხოლო მისი დაკითხვის ოქმში გამომძიებელი სიტყვა „მერე“ დაწერდა თუ „დროს“, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა მის განზრახვასთან.
11. **საქმე №314აპ-14** – აღნიშნული საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში შევიდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდებით – თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. პირველი ინსტანციის სასამართლომ შეცვალა კვალიფიკაცია და პირი დამნაშავედ ცნო არა თაღლითობაში, არამედ – მითვისებაში სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რამდენადაც მიიჩნია, რომ პირს ავტომანქანის ჯართში ჩაბარების განზრახვა წარმოეშვა მას შემდეგ, რაც ავტომანქანა მის კანონიერ მფლობელობაში მოექცა, რის გამოც სახეზე იყო სხვისი ნივთის მითვისება და არა – თაღლითობა, რაც გაზიარებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ. აღნიშნულ საქმეზე საკასაციო პალატა არ დაეთანხმა პირველი და სააპელაციო სასამართლოების მსჯელობას, სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის დანაშაულებრივ ქმედებამდე არსებული ურთიერთობიდან და საქმეში არსებული მტკიცებულებების ანალიზიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ მსჯავრდებულს თავიდანვე დანაშაულებრივი განზრახვა ამოძრავებდა. შესაბამისად, პირის ქმედება მითვისებიდან კვლავ თაღლითობაზე გადააკვალიფიცირა.
12. როგორც აღინიშნა, საკასაციო საჩივრის დასაშვებად მიჩნევის ერთ-ერთი საფუძველი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან. აღნიშნული ნორმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ სააპელაციო სასამართლო მიიღებს ისეთ

- გადაწყვეტილებას, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მანამდე დადგენილ პრაქტიკას, აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გახდეს უზენაესი სასამართლოს მსჯელობის საგანი, რათა გადაიხედოს დადგენილი პრაქტიკა და, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს მისი შეცვლა.
13. საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის მესამე საფუძველს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დაშვებული მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევები, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებათა დასაშვებობის ეტაპზე, ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში, სრულად მოწმდება, მტკიცებულებათა მოპოვებისას დაცულ იქნა თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ნორმები, აღნიშნული ნორმის საფუძველზე მხარეს უფლება ეძლევა, იმ შემთხვევაში, თუ მას მიაჩნია, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დაშვებული იყო მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევები, აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივროს საბოლოო ინსტანციის სასამართლოში. ამავდროულად, საკასაციო საჩივარი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მიჩნეული დასაშვებად, თუ მხარის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ სამართლებრივ ან საპროცესო დარღვევებს შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.
  14. ამდენად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრას იმ სამ საფუძველს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც საკასაციო სასამართლო დასაშვებად ცნობს საკასაციო საჩივარს და განიხილავს მას. იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ იქნება ზემოთ განხილული საფუძველებიდან ერთ-ერთის არსებობა მაინც, სასამართლო საკასაციო საჩივარს მიიჩნევს დაუშვებლად.
  15. საკასაციო სასამართლოს განჩინება საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება. სასამართლო საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების გამოტანიდან 5 დღის ვადაში აღნიშნულის შესახებ წერილობით აცხობინებს მხარეებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაუშვებლადაა ცნობილი პროკურორის საკასაციო საჩივარი, აგრეთვე, ზემდგომ პროკურორს.
  16. როგორც 2010-2014 წლების სტატისტიკა ცხადყოფს, წარდგენილი საკასაციო საჩივრების დაახლოებით 10-13%-ია მხოლოდ დასაშვებად ცნობილი, გარდა 2013 წლისა, როდესაც საკასაციო სასამართლოს მოუხდა საკასაციო საჩივრების განხილვა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოყენების თაობაზე. ზემოაღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა მკაფიოდ განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველებს, რომლებიც იძლევა საქმის საკასაციო წესით გადასინჯვის საშუალებას. აღნიშნულის გამო ბოლო პერიოდში გააქტიურდა მსჯელობა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველების გაფართოების შესახებ. აღნიშნულის თაობაზე კანონპროექტიც მომზადდა, რომელზეც ვენეციის კომისიამაც (ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად) იმსჯელა 2014 წლის ოქტომბერში ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) ადამიანის უფლებათა დირექტორატთან (DHR) ერთად.
  17. აღნიშნული ერთობლივი დასკვნის საფუძველზე მიჩნეულ იქნა, რომ, მართალია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი არ ზღუდავს სახელმწიფოებს, დაადგინონ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში მიმართვის წესები, თუკი აღნიშნული შეზღუდვები მოემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, ამასთან, საკასაციო სასამართლოსთვის საჩივრით მიმართვის უფლება შესაძლოა დაექვემდებაროს უფრო მკაცრ შეზღუდვებს, თუმცა აღნიშნული შეზღუდვები არ უნდა იყოს იმ ხასიათის, რომ საკასაციო წესით გასაჩივრების უფლება იმგვარად შეზღუდოს ან შეამციროს, რომ დააკნინოს თავად საკასაციო საჩივრის უფლების არსი. ამავდროულად, ვე-

- ნეციის კომისია და დირექტორატი მიესალმებიან იმ ფაქტს, რომ საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ სასამართლომ გამოიტანოს დასაბუთებული განჩინება და ამ განჩინებით მოახდინოს კასატორის მიერ მითითებული დასაშვებობის საფუძვლების არგუმენტირებულად უარყოფა.
18. სსსკ-ის 303-ე მუხლი საკასაციო სასამართლოს არ უდგენს განსაზღვრულ ვადას საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად, განსხვავებით სააპელაციო სასამართლოსგან, რომელიც ვალდებულია, სააპელაციო საჩივრისა და საქმის მასალების მიღებიდან 10 დღის ვადაში ზეპირი მოსმენის გარეშე გადანყვიტოს საჩივრის დასაშვებობის საკითხი.
  19. თუ საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, საკასაციო სასამართლო მიიღებს განჩინებას საჩივრის დასაშვებად ცნობის თაობაზე და დანიშნავს საკასაციო სხდომის თარიღს, რომელიც უნდა გაიმართოს საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში.
  20. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა საკასაციო სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს მსგავსად, ანიჭებს უფლებამოსილებას, საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, თუმცა, განსხვავებით სააპელაციო სასამართლოსგან, საკასაციო სასამართლო არ არის შეზღუდული დანაშაულის კატეგორიებითა და საჩივრის მოთხოვნით.
  21. ყველა შემთხვევაში შემაჯამებელი გადანყვიტდება საკასაციო საჩივარზე მიღებულ უნდა იქნეს საქმისა და საჩივრის საკასაციო სასამართლოში შესვლიდან არა უგვიანეს 6 თვისა.
  22. საკასაციო სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადანყვიტების გამოტანამდე საპროცესო კანონმდებლობა უშვებს კასატორის მიერ თავისი საჩივრის უკან გათხოვის შესაძლებლობას. კასატორის მიერ საჩივრის გათხოვის შემთხვევაში საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე. აღნიშნული გადანყვიტდება საბოლოოა და არ საჩივრდება, ხოლო კასატორის მხრიდან საკასაციო საჩივრის განმეორებით შეტანა დაუშვებელია.

### მუხლი 304. საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის საქმის განმხილველ შემადგენლობას შეუძლია განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს დიდ პალატას, თუ:

- ა) საქმის განხილვასა და გადანყვიტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;
- ბ) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას.

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის საქმის განმხილველი შემადგენლობა უფლებამოსილია, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საქმე განსახილველად გადასცეს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, რომელიც საქმეს განიხილავს 9 მოსამართლის შემადგენლობით. დიდ პალატაში საქმის განხილვას თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით – უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარე.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა, ისევე, როგორც უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, რომელიც საქმეს განსახილველად გადასცემს დიდ პალატას, არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-17 მუხლის თანახმად, საქმის განმხილველი დიდი პალატის შემადგენლობაში შედიან ამ საქმის თავდაპირველი განმხილველი მოსამართლეები, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი იმავდროულად დიდი პალატის წევრები.
3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი, საქმე გადაეცეს დიდ პალატას. ეს შემთხვევებია, თუ:
  - საქმის განხილვასა და გადანყვიტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთგვარო-



- ვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;
- საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას.
4. ამდენად, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საკასაციო საჩივარს განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა და, ამასთან, განიხილავს მხოლოდ იმ საჩივრებს, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ან წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას. უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქმე თავისი შინაარსით იშვიათ სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს, შესაბამისად, მის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ამ კუთხით ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვისაც. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საქმე #227აპ-13, რომელიც უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 10 თებერვლის განჩინებით განსახილველად გადაცემულ იქნა დიდი პალატისთვის იმ მოტივით, რომ სისხლის სამართლის საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენდა იშვიათ სამართლებრივ პრობლემას და მის გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. საქმე ეხებოდა მსჯავრდებულისთვის განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის განსაზღვრის საკითხს და სასჯელთა შეკრების წესის გამოყენებას.
5. სსსკ-ის 304-ე მუხლში არ არის მითითება საქმის დიდი პალატისთვის განსახილველად გადაცემის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას). აღნიშნული საკითხი მოწესრიგებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 ნაწილით, რომლის თანახმად, საქმის საკასაციო წესით განმხილველი სასამართლო მოტივირებული განჩინებით საქმეს განსახილველად გადასცემს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას). უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასება (ნორმის განმარტება) სავალდებულოა ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოებისათვის.

**მუხლი 304<sup>1</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი საკონსულტაციო დასკვნისათვის მიმართვა (29.05.2015 № 3668 ამოქმედდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-16 ოქმის საქართველოს მიმართ ამოქმედებისთანავე)**

1. საკასაციო სასამართლოს უფლება აქვს, საკასაციო სასამართლოში საქმისა და საჩივრის შესვლის შემდეგ საქმესთან დაკავშირებულ იმ პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებას ან გამოყენებას შეეხება, საკონსულტაციო დასკვნისათვის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართოს.
2. საკასაციო სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი საკონსულტაციო დასკვნისათვის მიმართვის მოთხოვნა უნდა დაასაბუთოს და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქმესთან დაკავშირებული სათანადო სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები უნდა წარუდგინოს.
3. საკასაციო სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი საკონსულტაციო დასკვნისათვის მიმართვის შესახებ მხარეებს აცნობებს.
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას სავალდებულო ხასიათი არ აქვს.
5. საკასაციო სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი საკონ-

**სულტაციო დასკვნისათვის მიმართვიდან საკონსულტაციო დასკვნის მიღებამდე ამ კოდექსის 303-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული ვადის დინება ჩერდება.**

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ საკონსულტაციო დასკვნისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას და დამოკიდებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-16 ოქმის ამოქმედებასთან.
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-16 ოქმის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აღნიშნული ოქმი ძალაში შედის კონვენციის ათი მაღალი ხელშემკვერელი მხარის მიერ მის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვიდან 3 თვის გასვლის შემდეგ, მომდევნო თვის პირველ დღეს. ამ ეტაპზე აღნიშნული ოქმი ძალაში არ არის შესული, თუმცა საქართველო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც მისი რატიფიცირება მოახდინა.
3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-16 ოქმი მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2013 წლის 2 ოქტომბერს, ხოლო საქართველომ აღნიშნულ ოქმს ხელი მოაწერა 2014 წლის 19 ივნისს. კონვენციის მე-16 ოქმი ევროპის საბჭოს მაღალი ხელშემკვერელი მხარის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებსა და ტრიბუნალებს უფლებამოსილებას ანიჭებს, მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნით იმ პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც ეხება კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებას ან გამოყენებას. ამასთან, მოთხოვნის წარმდგენ სასამართლოს ან ტრიბუნალს საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ მის წარმოებაში არსებულ საქმეთან დაკავშირებით.
4. საქართველოში აღნიშნული უფლებამოსილება მინიჭებული აქვს საკასაციო სასამართლოს, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-16 ოქმი მოცემული ეტაპისთვის არ არის ამოქმედებული, საქართველოს უზენაესი სასამართლო ვერ სარგებლობს მინიჭებული უფლებამოსილებით.
5. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-16 ოქმის საფუძველზე, სისხლის სამართლის კოდექსის 304<sup>1</sup>-ე მუხლი საკასაციო სასამართლოს ანიჭებს უფლებას, საკასაციო სასამართლოში საქმისა და საჩივრის შესვლის შემდეგ საქმესთან დაკავშირებულ იმ პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებას ან გამოყენებას შეეხება, საკონსულტაციო დასკვნისთვის მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნისას უნდა დაასაბუთოს თავისი მოთხოვნა და, ამავდროულად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს უნდა წარუდგინოს საქმესთან დაკავშირებული სათანადო სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები.
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნით მიმართვის შესახებ საკასაციო სასამართლომ უნდა აცნობოს მხარეებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი საკონსულტაციო დასკვნისათვის მიმართვა აჩერებს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული 6-თვიანი ვადის დინებას ევროპული სასამართლოსადმი მიმართვიდან საკონსულტაციო დასკვნის მიღებამდე.
7. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის კოლეგია ხუთი მოსამართლის შემადგენლობით (რომელშიც შედის მოსამართლე, რომელიც არჩეულია იმ მაღალი ხელშემკვერელი მხარისგან, რომელსაც განეკუთვნება მოთხოვნის წარმდგენი სასამართლო

- ან ტრიბუნალი, ხოლო ამ მოსამართლის არყოფნის ან მის მიერ საქმის განხილვაში მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში, განხილვაში მონაწილეობს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ამ მხარის მიერ წინასწარ წარდგენილი კანდიდატების სიიდან შერჩეული პირი) განიხილავს საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის მიღებაზე თანხმობის საკითხს. კოლეგიის უარი მოთხოვნის მიღებაზე უნდა იყოს დასაბუთებული.
8. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-16 ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარსა და მაღალ ხელშემკვერელ მხარეს, რომელსაც განეკუთვნება მოთხოვნის წარმდგენი სასამართლო ან ტრიბუნალი, უფლება აქვს, წარადგინონ წერილობითი მოსაზრებები და მონაწილეობა მიიღონ ზეპირ განხილვაში. სასამართლოს თავმჯდომარეს, მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების მიზნით, შეუძლია შესთავაზოს ნებისმიერ სხვა მაღალ ხელშემკვერელ მხარეს ან პირს, ასევე, წარადგინონ წერილობითი მოსაზრებები ან მონაწილეობა მიიღონ ზეპირ განხილვაში.
  9. საკონსულტაციო დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული. თუ აღნიშნული დასკვნა არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთობლივ აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს თავისი მოსაზრება.
  10. საკონსულტაციო დასკვნა გადაეცემა სასამართლოს ან ტრიბუნალს, რომელმაც წარადგინა მოთხოვნა და მაღალ ხელშემკვერელ მხარეს, რომელსაც ეს სასამართლო ან ტრიბუნალი განეკუთვნება. ამავდროულად, საკონსულტაციო დასკვნა უნდა გამოქვეყნდეს.
  11. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას არ აქვს სავალდებულო ხასიათი. იგი წარმოადგენს ევროპული სასამართლოს მოსაზრებას იმ პრინციპულ საკითხზე, რომელზე დაინტერესებაც გამოხატა მაღალი ხელშემკვერელი მხარის უფლებამოსილმა სასამართლომ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, ძირითად შემთხვევებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება საკასაციო სასამართლოს მიერ გადწყვეტილების მიღებისას.

### მუხლი 305. მხარეთა გამოცხადება

1. პატიმარ მსჯავრდებულს უფლება აქვს, საკასაციო საჩივრით მოითხოვოს საკასაციო განხილვაში უშუალოდ მონაწილეობა, რის შესახებაც გადწყვეტილებას იღებს საკასაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო.
  2. თუ საკასაციო სხდომაზე კასატორი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება, საკასაციო სასამართლო განჩინებით მის საკასაციო საჩივარს განუხილველად ტოვებს. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა უზრუნველყოფს პატიმარი მსჯავრდებულის უფლებას, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა საკასაციო საჩივრის განხილვაში, რაც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით.
  2. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, პატიმარი მსჯავრდებული უფლებამოსილია, საკასაციო საჩივრით მოითხოვოს საკასაციო განხილვაში უშუალოდ მონაწილეობა, რის თაობაზეც გადწყვეტილებას იღებს საკასაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო. სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ, როგორც წესი, პატიმარი მსჯავრდებულები უზრუნველყოფილი არიან ამ უფლების რეალიზებით საკასაციო სასამართლოში.
  3. სსსკ-ის 305-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც საკასაციო სასამართლოში საჩივარი წარდგენილია თავად მსჯავრდებულის მიერ, თუმცა საკასაციო საჩივრის მეორე მხარის მიერ წარდგენის დროსაც პატიმარ მსჯავრდებულებს, როგორც წესი, ეძლევათ მათ წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრის განხილვაში მონაწილეობის უფლება.

- ილვაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.
4. საკასაციო საჩივრის ავტორის სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა იწვევს საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა მიუთითებს, რამდენად მნიშვნელოვანია კასატორის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის ავტორმა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე დროულად უნდა შეატყობინოს საჩივრის განმხილველ სასამართლოს, რათა არ იქნეს მიღებული გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. საკასაციო სასამართლო საჩივარს განუხილველად ტოვებს სასამართლო განჩინებით, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება.
  5. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა არაფერს ამბობს კასატორის მოწინააღმდეგე მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე, თუმცა მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ, სააპელაციო სასამართლოს მსგავსად, უნდა იხელმძღვანელოს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისთვის დადგენილი ნორმებით.

### მუხლი 306. საკასაციო სხდომა

1. სხდომის თავმჯდომარე ადგენს, რომ სხდომაზე გამოცხადდნენ მხარეები.
  2. შემდეგ სიტყვით გამოდიან მხარეები. თავდაპირველად სიტყვა ეძლევა კასატორს.
  3. განაჩენის უკანონობის მტკიცების ტვირთი აკისრია კასატორს.
  4. საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში.  
(ძალადაკარგულია მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს საკასაციო სასამართლოს შსაძლებლობას, გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს და პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლოს პირი იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედების შემდგომ მიღებული კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას.)
  5. მხარეთა სიტყვით გამოსვლის შემდეგ რეპლიკის უფლებით სარგებლობს ჯერ კასატორი, ხოლო შემდეგ – მოწინააღმდეგე მხარე.
  6. თუ მსჯავრდებული (გამართლებული) ესწრება სხდომას, მისი საბოლოო სიტყვის უფლება გარანტირებულია.
  7. სხდომის თავმჯდომარე მხარეს სიტყვის წარსადგენად და რეპლიკისათვის განუხაზღვრავს გონივრულ ვადას.
  8. სხდომის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს, დაადგინოს მხარის საბოლოო სიტყვის ხანგრძლივობა, მაგრამ მას შეუძლია შეაჩეროს პირი, თუ ის ეხება გარემოებას, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან.
1. საკასაციო სხდომა იწყება სხდომის თავმჯდომარის მიერ მხარეთა სასამართლო სხდომაზე გამოცხადების დადგენით. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს საქმის განხილვის გაგრძელების დამაბრკოლებელი გარემოება და ორივე მხარე გამოცხადებულია სხდომაზე, სასამართლო გადადის მხარეთა სიტყვების მოსმენაზე.
  2. საკასაციო სასამართლოში, ისევე, როგორც სააპელაციო სასამართლოში, თავდაპირველად გამოდის საჩივრის წარმდგენი მხარე, ანუ კასატორი, რომელსაც აკისრია განაჩენის უკანონობის მტკიცების ტვირთი. ამის შემდგომ სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა ეძლევა მოწინააღმდეგე მხარეს.
  3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ №608 კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს

საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს და პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლოს პირი იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედების ჩადენის შემდგომ მიღებული კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას.<sup>643</sup>

4. იმ შემთხვევაში, თუ სხდომას ესწრება მსჯავრდებული ან გამართლებული, მას აუცილებლად უნდა მიეცეს საბოლოო სიტყვის უფლება. სხდომის თავმჯდომარეს არ აქვს უფლება, მსჯავრდებულს (გამართლებულს) დაუდგინოს საბოლოო სიტყვის ხანგრძლივობა, მაგრამ მას შეუძლია, შეაჩეროს იგი, თუ ის ეხება ისეთ გარემოებას, რომელსაც კავშირი არ აქვს განსახილველ საქმესთან.

### მუხლი 307. საკასაციო განაჩენი

1. საკასაციო სასამართლო განაჩენით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს;
  - ბ) აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს;
  - გ) ცვლილება შეაქვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენში;
  - დ) უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.
2. საკასაციო სასამართლოს განაჩენი ცვლის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს.
3. საკასაციო სასამართლოს განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

1. სისხლის სამართლის პროცესის აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს საკასაციო სასამართლოს მიერ მისაღები გადაწყვეტილებების სახეებს. საკასაციო სასამართლო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
  - აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს;
  - აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს;
  - ცვლილება შეაქვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენში;
  - უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.
2. საკასაციო სასამართლო აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს, თუ საკასაციო სხდომაზე დადგინდა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გამოყენებული სისხლის სამართლის მატერიალური კანონი, ან მტკიცებულებათა გამოკვლევისას და გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულ იქნა საპროცესო ნორმები, რამაც შეზღუდა დაცვის უფლებები და, ამავდროულად, გავლენა მოახდინა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე.
3. საკასაციო სასამართლო აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურებულია პირის მიერ დანაშაულის ჩადენა.
4. საკასაციო სასამართლოს ცვლილება შეაქვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენში, რაც შესაძლოა ეხებოდეს როგორც კვალიფიკაციის, ასევე, სასჯელის ნაწილს, რაც იწვევს გა-

<sup>643</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 29/09/2015 გადაწყვეტილება №3/1/608,609.

- ნაჩენის შეცვლას, თუ მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორადაა გამოყენებული სისხლის სამართლის მატერიალური კანონი და პირის ქმედება არასწორადაა დაკვალიფიცირებული, ან პირის მიმართ დანიშნული სასჯელი არასამართლიანია.
5. საკასაციო სასამართლო უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, თუ წარდგენილ საჩივარს უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევს.
  6. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2013-2014 წლებში საკასაციო სასამართლოში გამამართლებელი განაჩენი გამამტყუნებელი განაჩენით შეცვლილია მხოლოდ 5 პირის მიმართ და, ასევე, 5 პირის მიმართ შეიცვალა გამამტყუნებელი განაჩენი გამამართლებელი განაჩენით. კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში განაჩენი შეიცვალა 39 პირის მიმართ.
  7. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს განაჩენის სახით, რომელიც ცვლის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს. საკასაციო სასამართლოს განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება. აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილებას შიდასახელმწიფო სასამართლო სისტემაში.
  8. მართალია, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გადასინჯვას არ ექვემდებარება, თუმცა უფლებადარღვეულ პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გათვალისწინებული ძირითადი უფლების თუ თავისუფლების შეზღუდვას, შეუძლია, საქმეზე შიდასახელმწიფოებრივი საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან 6 თვის ვადაში მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ინდივიდუალური საჩივრით.

### მუხლი 308. შებრუნება საუარესოდ

1. საკასაციო სასამართლოს უფლება არა აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან მიიღოს მსჯავრდებულისთვის არასასიკეთო სხვა გადაწყვეტილება, თუ საქმე განიხილება მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის საჩივრის საფუძველზე და ბრალდების მხარეს საჩივარი არ შეუტანია.
2. საკასაციო სასამართლოს უფლება აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ ბრალდების მხარემ შეიტანა საკასაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებში.
1. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა უზრუნველყოფს პირის (გამართლებულის ან მსჯავრდებულის) დაცვას მის მიმართ დადგენილი განაჩენის საუარესოდ შებრუნებისგან როგორც სააპელაციო სასამართლოში, ასევე, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.
2. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად დაადგინოს გამამტყუნებელი განაჩენი, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან მიიღოს მსჯავრდებულისთვის არასასიკეთო სხვა ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ საქმე განიხილება მსჯავრდებულის ან მისი ადვოკატის საჩივრის საფუძველზე და ბრალდების მხარეს სააპელაციო საჩივარი არ შეუტანია.
3. საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად დაადგინოს გამამტყუნებელი განაჩენი, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ ბრალდების მხარემ საკასაციო საჩი-

ვარი შეიტანა სწორედ ამ მოთხოვნით და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ასევე, სააპელაციო სასამართლოში. სხვა შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარეს ასეთი პოზიცია არ ეკავა პირველი ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოში, ან აღნიშნული მოთხოვნა არაა დაფიქსირებული მის მიერ შეტანილ საკასაციო საჩივარში, საკასაციო სასამართლო ვერ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რაც გააუარესებს მსჯავრდებულის ან გამართლებულის მდგომარეობას. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების კუთხით სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება სამართლებრივად საფუძველსმოკლებული და უპერსპექტივოა.

- ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2014 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე N227აპ-13, რომელზეც ზემოთაც გვქონდა საუბარი სამართლებრივი პრობლემისა და მისი გადაწყვეტის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო საკასაციო საჩივრის დიდი პალატისთვის გადაცემასთან დაკავშირებით და რომელიც უფრო ვრცლად განხილულია აპელაციის თავში.<sup>644</sup>

### მუხლი 309. საკასაციო საჩივრის სარევიზიო საწყისი

თუ საკასაციო სასამართლო მსჯავრდებულის საჩივრის საფუძველზე მის სასარგებლოდ აუქმებს ან ცვლის განაჩენს იმ საფუძველით, რომ სისხლის სამართლის კანონის გამოყენებისას დაირღვა კანონი და ეს სამართლებრივი შეცდომა განაჩენით ამ საქმეში მსჯავრდებულ სხვა პირსაც ეხება, რომელსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანია, საკასაციო სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს ამ მსჯავრდებულის მიმართაც.

- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნულ ნორმას, სააპელაციო სასამართლოს მსგავსად, საკასაციო სასამართლოს საქმიანობაში შემოაქვს სარევიზიო საწყისი. აღნიშნული ნორმის მიზანია სისხლის სამართლის საქმეზე მსჯავრდებული პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის უზრუნველყოფა სარევიზიო საწყისზე, რაც გულისხმობს საკასაციო სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის ვალდებულებას იმ პირის მიმართ, რომელსაც განაჩენი არ გაუსაჩივრებია, იმ შემთხვევაში, თუ მასთან ერთად იმავე საქმეზე მსჯავრდებულმა სხვა პირმა საკასაციო საჩივრით მიმართა სასამართლოს.
- აღნიშნული ვალდებულება საკასაციო სასამართლოს აკისრია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო, ერთ-ერთი მსჯავრდებული პირის საჩივრის საფუძველზე, მის სასარგებლოდ გააუქმებს ან შეცვლის განაჩენს იმ საფუძველით, რომ სისხლის სამართლის კანონის გამოყენებისას დაირღვა კანონი და აღნიშნული სამართლებრივი შეცდომა ეხება იმავე საქმეზე მსჯავრდებულ სხვა პირსაც, რომელსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანია. ასეთ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ვალდებულია, იმსჯელოს ამ მსჯავრდებულის მიმართაც.
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არც ერთ შემთხვევაში არ არის უფლებამოსილი, სარევიზიო საწყისზე განაჩენი შეაბრუნოს მსჯავრდებული პირის ან გამართლებულის საუარესოდ, თუკი ბრალდების მხარეს არ ჰქონდა აღნიშნული მოთხოვნით საკასაციო საჩივარი შეტანილი. საკასაციო საჩივრის სარევიზიო საწყისზე გადასინჯვის დროს საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენი შეცვალოს მხოლოდ მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

<sup>644</sup> იხ., სსსკ-ის 298-ე მუხლის კომენტარი.

## თავი XXVII

## ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი

მუხლი 310. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძვლები

განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

- ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;
- ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;
- გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;
- დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;
- ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;
- ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო; ზ) წარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.
- თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

1. **ნორმის მოიზანი:** ნორმის მიზანია, კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძვლების განსაზღვრა.
2. განაჩენი, როგორც წესი, კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შეიძლება გადასინჯოს განაჩენი, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული და საბოლოოა.
3. ახლად გამოვლენილი გარემოებებია:
  - სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;
  - არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;
  - სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ამ საქმესთან დაკავშირე-



- ბით ჩაიდინა დანაშაული;
- სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ნაფიცო მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;
  - არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;
  - არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;
  - ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;
  - წარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;
  - არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.
4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვა შეიძლება მოხდეს თუ წარდგენილი იქნება ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თუ ეს ფაქტი ან მტკიცებულება სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს:
- მსჯავრდებულის უდანაშაულობას;
  - მსჯავრდებულის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას;
  - მსჯავრდებულის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას;
  - გამართლებულის ბრალეულობას;
  - დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.
5. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი შეიძლება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის „ზ“ პუნქტის საფუძველზე გადასინჯოს იმ შემთხვევაშიც, თუ არაიდენტიფიცირებული პირის ვინაობა დადგინდება მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ და ეს გარემოება გავლენას მოახდენს დანაშაულის კვალიფიკაციაზე ან სასჯელის ზომაზე, ან გამოიწვევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას. ასეთ შემთხვევაში განაჩენი უნდა გადასინჯოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს იწვევს სასჯელის შემსუბუქებას ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას. საუარესოდ შებრუნების შემთხვევაში განაჩენი არ გადასინჯება.<sup>645</sup>
6. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად, პირს, რომლისთვისაც სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოების დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, შეუძლია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება, 1 თვის განმავლობაში

<sup>645</sup> იხ., სსსკ-ის 179-ე მუხლის კომენტარი.

გასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება აღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან.

7. ასეთი საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიღებული სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს, წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველს.

### **მუხლი 311. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ვადა**

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ვადა შეუზღუდავია, გარდა ამ კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. პირი უფლებამოსილია ამ კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 წლის ვადაში.

1. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ვადა შეუზღუდავია. აღნიშულიდან გამონაკლისს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გამო განაჩენის გადასინჯვა, რა დროსაც პირი უფლებამოსილია, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოს მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 წლის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ პირი კარგავს ამ საფუძვლით სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას.

### **მუხლი 312. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაყენება**

1. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობა წერილობით შეაქვთ სააპელაციო სასამართლოში განსჯადობის მიხედვით.
  2. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობის დაყენების უფლება აქვს პროკურორს, მსჯავრდებულს ან/და მის ადვოკატს, ხოლო მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში – მის კანონიერ მემკვიდრეს ან/და მის ადვოკატს.
  3. შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს განაჩენის გადასინჯვის საფუძველი და მტკიცებულებები.
  4. შუამდგომლობის დაყენება არ აჩერებს განაჩენის აღსრულებას.
1. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობა წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს განაჩენის გადასინჯვის საფუძველი და მტკიცებულებები.
  2. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობა შეტანილ უნდა იქნეს სააპელაციო სასამართლოში განსჯადობის მიხედვით.
  3. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება აქვს:
    - პროკურორს;
    - მსჯავრდებულსა და მის ადვოკატს;
    - მსჯავრდებულის ადვოკატს;
    - მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში მის კანონიერ მემკვიდრეს;

- გარდაცვლილი მსჯავრდებულის კანონიერ მემკვიდრეს და მის ადვოკატს;
  - გარდაცვლილი მსჯავრდებულის კანონიერი მემკვიდრის ადვოკატს.
4. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაყენება არ აჩერებს ამ განაჩენის აღსრულებას.

### მუხლი 313. შუამდგომლობის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმება

1. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის შეტანიდან 2 კვირის ვადაში სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე ამოწმებს, დაყენებულია თუ არა შუამდგომლობა ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად და რამდენად არის ის დასაბუთებული.
  2. თუ შუამდგომლობა ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად არ არის დაყენებული ან დაუსაბუთებელია, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით დაუშვებლად ცნობს მას. განჩინებაზე შეიძლება შეტანილ იქნეს საკასაციო საჩივარი ამ კოდექსით დადგენილი წესით, მისი გამოტანიდან 2 კვირის ვადაში.
  3. საკასაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, ისე, რომ არ ამოწმებს მის დასაშვებობას. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია ძალაში დატოვოს სააპელაციო სასამართლოს განჩინება ან გააუქმოს იგი და მიუთითოს სააპელაციო სასამართლოს, რომ მან დაუშვას შუამდგომლობა.
  4. თუ შუამდგომლობა ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად არის დაყენებული და დასაბუთებულია, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით დაუშვებს მას, ნიშნავს საქმის არსებითი განხილვის თარიღს და მხარეებს აძლევს გონივრულ ვადას საქმის არსებითი განხილვისათვის მოსამზადებლად.
1. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის შეტანის შემდეგ სააპელაციო სასამართლო პირველ რიგში განიხილავს ამ შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხს. სასამართლო შუამდგომლობის შეტანიდან 2 კვირის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე ამოწმებს, დაყენებულია თუ არა შუამდგომლობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად და რამდენად არის ის დასაბუთებული.
  2. იმ შემთხვევაში, თუ შუამდგომლობა არ არის დაყენებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად ან არის დაუსაბუთებელი, სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ. აღნიშნულ განჩინებაზე შეიძლება შეტანილ იქნეს საკასაციო საჩივარი მისი გამოტანიდან 2 კვირის ვადაში. საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვს შუამდგომლობის ავტორს. საკასაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს განჩინების გამომტან სასამართლოში, რომელიც საჩივარს გადაგზავნის საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
  3. საკასაციო სასამართლო დასაშვებობის შემოწმების გარეშე საჩივარს განიხილავს ზეპირი მოსმენით. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია ძალაში დატოვოს სააპელაციო სასამართლოს განჩინება ან გააუქმოს იგი და მიუთითოს სააპელაციო სასამართლოს, რომ მან განსახილველად დაუშვას შუამდგომლობა.
  4. თუ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობა დაყენებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად და დასაბუთებულია, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით დაუშვებს მას განსახილველად და ნიშნავს საქმის არსებითი განხილვის თარიღს. სასამართლო მხარეებს აძლევს გონივრულ ვადას საქმის არსებითი განხილვისათვის მოსამზადებლად.

### მუხლი 314. სასამართლო სხდომა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. განაჩენი

1. საქმის არსებითი განხილვა ტარდება სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოქმედი ნორმების შესაბამისად. სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.
  2. საქმის არსებითი განხილვის შედეგად სასამართლო ან უცვლელად ტოვებს განაჩენს, ან ცვლის მას, ან აუქმებს მას და ადგენს ახალ განაჩენს.
  3. სააპელაციო სასამართლოს განაჩენზე შეიტანება საკასაციო საჩივარი ამ კოდექსით დადგენილი წესით.
  4. საკასაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესით, მისი დასაშვებობის შემონიშნების გარეშე.
1. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის შემდეგ, სააპელაციო სასამართლო ნიშნავს საქმის არსებითი განხილვის თარიღს. საქმის არსებითი განხილვა ტარდება სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოქმედი ნორმების შესაბამისად.
  2. სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.
  3. საქმის არსებითი განხილვის შედეგად სააპელაციო სასამართლო იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:
    - უცვლელად ტოვებს განაჩენს;
    - ცვლის განაჩენს;
    - აუქმებს განაჩენს და ადგენს ახალ განაჩენს.
  4. სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს განაჩენით. სააპელაციო სასამართლოს განაჩენზე შეიძლება შეტანილი იქნეს საკასაციო საჩივარი. საკასაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში. საკასაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს განაჩენის გამომტან სასამართლოში, რომელიც საჩივარს გადაგზავნის საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
  5. საკასაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, მისი დასაშვებობის შემონიშნების გარეშე.

## კარი VII ცალკეული კატეგორიის საქმეთა წარმოება

თავი XXVIII ამოღებულია (12.06.2015 № 3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)

პროცესი არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე

**მუხლი 315. გამოყენების სფერო ამოღებულია (12.06.2015 № 3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)**

1. არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე პროცესის განხორციელების წესი ვრცელდება იმ პირზე, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 18 წლის შესრულებამდე. 18 წლის შესრულების შემდეგ პირის მიმართ სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება ამ კოდექსით დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად.

2. არასრულწლოვანი ბრალდებული სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი.

**მუხლი 316. არასრულწლოვნის ღირსების დაცვა ამოღებულია (12.06.2015 № 3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)**

არასრულწლოვანს პროცესის ყველა სტადიაზე ეპყრობიან განსაკუთრებული ყურადღებით. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი ასაკი და რესოციალიზაციის განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი, ასევე მისი ხელახალი აღზრდისათვის ხელის შეწყობის აუცილებლობა. არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში სავალდებულოა არასრულწლოვნის უფლებათა საერთაშორისო გარანტიების სრული დაცვა.

**მუხლი 317. არასრულწლოვნის პროცესის ზოგადი პრინციპები ამოღებულია (12.06.2015 № 3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)**

1. სასამართლო სხდომა, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებული ესწრება, დახურულად ტარდება.

2. არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობელს, კანონიერ წარმომადგენელს ან ახლო ნათესავს, ასევე პედაგოგს უფლება აქვთ, დაესწრონ სასამართლო სხდომას ან საპროცესო მოქმედებას, რომელშიც არასრულწლოვანი მონაწილეობს. თუ სასამართლო ან პროკურორი მიიჩნევს, რომ ეს არასრულწლოვანი ბრალდებულის ინტერესებს ემსახურება, მას შეუძლია სავალდებულო წესით უზრუნველყოს მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის ან ახლო ნათესავის, ასევე პედაგოგის მონაწილეობა.

3. არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით სასამართლოს ან პროკურორს შეუძლია აუკრძალოს არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობელს, კანონიერ წარმომადგენელს ან ახლო ნათესავს, ასევე პედაგოგს სასამართლო სხდომაზე დასწრება ან საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობა.

**მუხლი 318. ერთობლივი საქმიდან არასრულწლოვნის საქმის გამოყოფა ამოღებულია (12.06.2015 № 3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)**

თუ არასრულწლოვანს ბრალი ედება იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელშიც ასევე იმხილება სრულწლოვანი, არასრულწლოვნის საქმე შეძლებისდაგვარად ცალკე გამოიყოფა და ის გასამართლდება სრულწლოვნისაგან განცალკევებით, თუ ამით არსებითი დაბრკოლება არ შეექმნება საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას.

**მუხლი 319.** მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი არასრულწლოვნის პროცესში ამოღებულია (12.06.2015 № 3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)

არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე პროცესს ახორციელებენ მხოლოდ ის მოსამართლეები, პროკურორები და გამომძიებლები, რომლებმაც პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში სპეციალური მომზადება გაიარეს.

**მუხლი 320.** არასრულწლოვნის საქმის გამოძიების თავისებურებანი ამოღებულია (12.06.2015 № 3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)

არასრულწლოვნის პროცესში გამოკვლევულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის ცხოვრების, აღზრდის, განვითარების პირობები, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც მისი ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

**მუხლი 321.** არასრულწლოვანი ბრალდებულის სავალდებულო დაცვა ამოღებულია (12.06.2015 № 3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)

არასრულწლოვანი ბრალდებულის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, დამოუკიდებლად შეარჩიოს და მოინვიოს ადვოკატი.

**მუხლი 322.** არასრულწლოვანი ბრალდებულის გამოძახება ამოღებულია (12.06.2015 № 3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)

არასრულწლოვანი ბრალდებულის გამოძახება, თუ ეს შესაძლებელია, უნდა განხორციელდეს მისი მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის ან იმ დანესებულების ხელმძღვანელის მეშვეობით, სადაც არასრულწლოვანი ბრალდებული ცხოვრობს.

**მუხლი 323.** არასრულწლოვანი ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდება ამოღებულია

(12.06.2015 № 3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)

არასრულწლოვანი ბრალდებული, რომელსაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეული აქვს პატიმრობა, უნდა მოთავსდეს სრულწლოვანი ბრალდებულებისაგან (მსჯავრდებულებისაგან) და არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით.

**მუხლი 324.** არასრულწლოვანი ბრალდებულის გაყვანა სასამართლო სხდომის დარბაზიდან ამოღებულია (12.06.2015 № 3715 ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)

1. სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით გამოიტანოს განჩინება არასრულწლოვანი ბრალდებულის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესახებ, რათა მის დაუსწრებლად გამოიკვლიოს მტკიცებულებები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მასზე.

2. არასრულწლოვნის სასამართლო სხდომის დარბაზში დაბრუნების შემდეგ სასამართლო საჭირო მოცულობითა და ფორმით აცნობს მას მისი არყოფნისას გამოკვლევულ მტკიცებულებათა შინაარსს.

3. არასრულწლოვანი ბრალდებულის ადვოკატი ყოველთვის ესწრება სასამართლო სხდომას.

## თავი XXIX

## პროცესი იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს

### მუხლი 325. კოდექსის ნორმების მოქმედება იურიდიული პირის მიმართ

1. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობს ამ კოდექსით დადგენილი ზოგადი წესისა და ამ თავის შესაბამისად. იურიდიულ პირებზე ამ კოდექსის ნორმები ვრცელდება მათი შინაარსის გათვალისწინებით.
2. ამ თავის მიზნებისათვის, იურიდიული პირი ნიშნავს სამეწარმეო (კომერციულ) ან არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (მის უფლებამონაცვლეს).

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24.1 მუხლი).
2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის იურიდიული პირი ნიშნავს სამეწარმეო (კომერციულ) ან არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (მის უფლებამონაცვლეს).
3. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ზოგადი წესისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXIX თავის შესაბამისად. იურიდიულ პირებზე ამ კოდექსის ნორმები ვრცელდება მათი შინაარსის გათვალისწინებით.

### მუხლი 326. იურიდიული პირის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებისა და სხვაგვარი შეზღუდვების გამოყენება

დაუშვებელია იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო ან რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება მის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე.

1. **ნორმის მიზანი:** ნორმის მიზანი არის იმ იურიდიული პირის მიმართ, რომელმაც სისხლის სამართლის კანონი დაარღვია, სისხლის სამართლის საპროცესო იძულებითი ღონისძიებისა და სხვაგვარი შეზღუდვის გამოყენების უზრუნველყოფა.
2. დაუშვებელია იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო ან რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება მის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე.
3. იურიდიული პირის ლიკვიდაცია ნიშნავს იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტას, ხოლო რეორგანიზაციის შემთხვევაში შეიძლება დღის წესრიგში დადგეს უფლებამონაცვლეობის საკითხი. ორივე შემთხვევა ხელს შეუშლის იურიდიული პირის მიმართ, სისხლის სამართლის

თლის პროცესის წარმოებას და მის მიმართ კანონით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას.

### **მუხლი 327. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნა**

იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ პროკურორი აცნობებს იურიდიული პირის ადვოკატს და განუმარტავს მის უფლებას, გაეცნოს საქმის მასალებს. საქმის მასალების გაცნობის წესი განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

1. მას შემდეგ, რაც პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის თაობაზე, იგი აღნიშნულის თაობაზე აცნობებს იურიდიული პირის ადვოკატს და განუმარტავს მის უფლებას, გაეცნოს საქმის მასალებს. საქმის მასალების გაცნობის წესი განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

### **მუხლი 328. იურიდიული პირის მიმართ გამოტანილი სასამართლოს განაჩენის გამოქვეყნება**

1. იურიდიული პირის მიმართ გამოტანილი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გამოქვეყნდეს. განაჩენი ქვეყნდება მსჯავრდებული იურიდიული პირის ხარჯით.

2. სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს, თუ რა ფორმით უნდა გამოქვეყნდეს განაჩენი. განაჩენის გამოქვეყნების დროს დაზარალებულის ვინაობის გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით.

1. იურიდიული პირის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ უნდა გამოქვეყნდეს. გამოქვეყნება გულისხმობს გამამტყუნებელი განაჩენის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებას. განაჩენი ქვეყნდება მსჯავრდებული იურიდიული პირის ხარჯით.
2. სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს, თუ რა ფორმით უნდა გამოქვეყნდეს განაჩენი. განაჩენის გამოქვეყნების დროს დაზარალებულის ვინაობის გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით.



## კარი VIII გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

### თავი XXX გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

**შენიშვნა:** გარდამავალი დებულებების სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ თავის ზოგიერთი ნორმა დღეისათვის არ მოქმედებს, რის გამოც კომენტირებულია მხოლოდ ის ნორმები, რომლებიც აგრძელებს მოქმედებას, ან რომელთა მოთხოვნების დაცვის (შეფასების) აუცილებლობაც შესაძლებელია დადგეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას და სასამართლო განხილვისას.

#### მუხლი 329. ძალადაკარგული ნორმატიული აქტი

1. ამ კოდექსის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (პარლამენტის უწყებანი, '13-14, 8.04.1998, გვ. 31).

2. ამ კოდექსის ამოქმედებამდე მიღებულ საპროცესო გადაწყვეტილებებს უნარჩუნდება კანონიერი ძალა.

3. ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, გარდა ამავე კოდექსის 168 და 168 მუხლებით გათვალისწინებული განრიდების გამოყენების შემთხვევებისა.

1. სსსკ-ი მიღებულ იქნა 2009 წლის 09 ოქტომბერს, მაგრამ მისი ძირითადი ნაწილი ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან. ამ კოდექსის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

2. ამ კოდექსის ამოქმედებამდე, საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე, მიღებულ საპროცესო გადაწყვეტილებებს უნარჩუნდებათ კანონიერი ძალა.

3. როგორც წესი, სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება ის საპროცესო ნორმა, რომელიც მოქმედებს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს, მაგრამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილმა დაადგინა განსხვავებული რეჟიმი იმ სისხლის სამართლის საქმეების მიმართ, რომლებზეც ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებული იყო სისხლისსამართლებრივი დევნა. კანონის ამ ნორმის თანახმად, ასეთ საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესი უნდა გაგრძელდეს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, გარდა განრიდების გამოყენების შემთხვევებისა. ასეთ საქმეებზე განრიდების საკითხი უნდა დადგინდეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168<sup>1</sup> და 168<sup>2</sup> მუხლებით დადგენილი წესით.

4. 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცავს ერთმანეთისაგან განსხვავებულ დებულებებს ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, პირის ბრალდებულად ყოფნის ვადა, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, განისაზღვრება 12 თვით. ამასთან, ამავე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილია, რომ ამ ვადაში არ ითვლება დრო, რომლის განმავლობაშიც ბრალდებული

- ემალეობდა გამოძიებას და მის მიმართ გამოცხადებული იყო ძებნა ან თავს არიდებდა გამოძიებას (ანდა მას იცავდა იმუნიტეტი). პატიმრობის განსხვავებული ვადებია დადგენილი 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რომლის 169-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულია ბრალდებულად ყოფნის 9-თვიანი ვადა. ამასთან, ახალი კოდექსი არ ითვალისწინებს ამ ვადის შეჩერებას რაიმე საფუძვლით.
5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე (2010 წლის 1 ოქტომბერი) დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე პირის ბრალდებულად ყოფნის ვადა განისაზღვრებოდა 12 თვით, ხოლო იმ პირების მიმართ, რომელთა სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედების შემდეგ, ვრცელდებოდა (ვრცელდება) ბრალდებულად ყოფნის 9 თვიანი ვადა. ანუ აღნიშნული ნორმის თანახმად შესაძლებელი იყო ერთი და იმავე სტატუსის (ბრალდებული) მქონე პირების მიმართ პატიმრობის განსხვავებული ვადების გამოყენება.
  6. სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კრძალავს ამავე კოდექსით გათვალისწინებული წინასასამართლო სხდომამდე ბრალდებულად ყოფნის მაქსიმალური 9-თვიანი ვადის გამოყენების შესაძლებლობას ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე.
  6. 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის 330-ე მუხლი, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით ასევე ითვალისწინებს გარკვეული პირებისათვის ნაფიცო მსაჯულების მონაწილეობით განხილვის შესაძლებლობას.
  7. საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილებით, ასევე არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კრძალავს ამავე კოდექსით გათვალისწინებულ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვის შესაძლებლობას ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე.

### მუხლი 330. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დროებითი განსჯადობა

1. 2011 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში და განიხილავს მისი ტერიტორიული განსჯადობისთვის მიკუთვნებულ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (მხოლოდ დამთავრებულის) სისხლის სამართლის საქმეებს. დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (მხოლოდ დამთავრებულის) ჩადენაშიც ედება, სისხლის სამართლის საქმეს ამ კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

1. 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში და განიხილავს მისი ტერიტორიული განსჯადობისთვის მიკუთვნებულ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებს. დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც ედება, სისხლის სამართლის საქმეს ამ კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

2. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2016 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილავს მისი ტერიტორიული განსჯადობისთვის მი-

კუთვნიებულ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე-114-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებს. დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე-114-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც ედება, სისხლის სამართლის საქმეს ამ კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

3. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2016 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები. დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც ედება, სისხლის სამართლის საქმეს ამ კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

3<sup>1</sup>. (ამოღებულია 19.02.2015, №3090)

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისათვის თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობის წესს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ნაფიცი მსაჯულები კი შეირჩევიან შესაბამისად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთიანი სიიდან.

1. სსსკ-ის 226-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს ისეთი ბრალდების საქმეებს, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებული შუამდგომლობს, რომ საქმე განიხილულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.  
მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმის განმხილველი სასამართლოს გადამწყვეტილებით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით, მოსამართლე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე საქმეს განიხილავს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ დანაშაულის სიმძიმიდან ან ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია საფრთხე შეექმნას ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვაგვარად არსებითად იქნება ხელყოფილი მათი ხელშეუხებლობა, აგრეთვე, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას.
2. სსსკ-ის 330-ე მუხლი ადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის დროებით წესებს, რომლის მიხედვითაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში.
3. გარდამავალი დებულებების მიხედვით განსხვავებულია თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში ნაფიც მსაჯულთა განსჯადობას მიკუთვნიებული დანაშაულთა წრე.
4. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2016 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილავს მისი ტერიტორიული განსჯადობისთვის მიკუთვნიებულ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე-114-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებს (მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით; განზრახ მკვლელობა უცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში; დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა; მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით; მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით);
5. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2016 წლის 1 ოქტომბრამდე თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებს.
6. დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდ-

- ექსის 110-ე-114-ე და 109-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც ედება, სისხლის სამართლის საქმეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.
7. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 1 თებერვლის №1/9 გადაწყვეტილებით, რომელშიც ცვლილება განხორციელდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 14 სექტემბრის №1/118 გადაწყვეტილებით 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2016 წლის 1 ოქტომბრამდე დადგინდა თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობის წესი.
  8. ამ გადაწყვეტილებების თანახმად, სსსკ-ის 330-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვრა ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, გორის, გურჯაანის, თეთრიწყაროს, თელავის, მცხეთის, სიღნაღის, სოხუმის, გაგრა-გუდაუთისა და ხაშურის რაიონული, თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები.
  9. სსსკ-ის 330-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისათვის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვრა ამბროლაურის, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ოზურგეთის, სამტრედიის, საჩხერის, სენაკის, ცაგერისა და ხელვაჩაურის რაიონული, ბათუმის, ფოთისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები.

### **მუხლი 331. დამსწრე (ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 2012 წლის 1 ოქტომბრიდან)**

### **მუხლი 332. გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესი**

1. 2015 წლის 31 დეკემბრამდე გამოძიებისას დაკითხვა წარმოებს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (გარდა 305-ე მუხლის მე-6 ნაწილისა) დადგენილი წესით.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირის დაკითხვისას გამოიყენება ამ კოდექსის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილი, მათ შორის, იმ საქმეზე, რომელზედაც სისხლის-სამართლებრივი დევნა ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაიწყო.
1. 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებულად აწესრიგებს გამოძიების დროს დაკითხვის წესს.
2. 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის 114-ე მუხლის მიხედვით მოწმეს მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით კითხავს მაგისტრადი მოსამართლე სსსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას. სხვა შემთხვევაში კი ხდება პირის გამოკითხვა.
3. 2015 წლის 31 დეკემბრამდე გამოძიებისას დაკითხვა წარმოებს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, რომლის თანახმადაც გამოძიების დროს პირის დაკითხვას აწარმოებს გამომძიებელი და არა სასამართლო.
4. მართალია, 2015 წლის 31 დეკემბრამდე დაკითხვა წარმოებს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, მაგრამ, თუკი გამოძიების დროს საჭირო ხდება მოწმის დისტანციური დაკითხვა, ამ შემთხვევაში ნაცვლად 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 305-ე მუხლის მე-6 ნაწილისა, მოქმედებს 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გად-

ანყვეტილებით შესაძლებელია მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან, ან სხვა ადგილიდან, რაც წინასწარ ეცნობება მხარეებს.

5. სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით დაიკითხება მოწმე ასევე იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზედაც სისხლისსამართლებრივი დევნა 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე დაიწყო.

### **მუხლი 332<sup>1</sup>. დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესის შეცვლასთან დაკავშირებით ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის დამატებითი საფუძველი**

ამ კოდექსის 310-ე მუხლში ჩამოთვლილ საფუძვლებთან ერთად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება იმ შემთხვევაშიც, თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 414-ე მუხლის მე-8 ნაწილი იწვევს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

1. **ნორმის მიზანი:** ნორმის მიზანია იმ მსჯავრდებულთა მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის დამატებითი საფუძვლის შექმნა, რომელთაც სასჯელი დანიშნული ჰქონდათ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების ამოქმედებამდე, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით.
2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლი ადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძვლების სრულ ჩამონათვალს, განსახილველი ნორმა ადგენს იმ მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის დამატებით საფუძველს, რომელსაც სასჯელი დანიშნული ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით განხორციელებული ცვლილებების ამოქმედებამდე.
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 414-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილ სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის რედაქციას აქვს უკუძალა იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც დანაშაულთა/განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელი დაენიშნა აღნიშნული ცვლილების ამოქმედებამდე სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის არსებული რედაქციის შესაბამისად.
4. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონი ამოქმედდა 2013 წლის 08 მაისს, შესაბამისად ამ კანონით დადგენილ სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის რედაქციას უკუძალა აქვს 2013 წლის 08 მაისამდე დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით დანიშნულ სასჯელებთან მიმართებაში.

### **მუხლი 332<sup>2</sup>. სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ნივთიერი მტკიცებულების სახით ამოღებული სატრანსპორტო საშუალების შემძენისათვის დაბრუნება**

1. ამ კოდექსის მე-80 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევაში, როდესაც მესაკუთრემ (კანონიერმა მფლობელმა) დადგენილ ვადაში არ დაიბრუნა სატრანსპორტო საშუალება, აგრეთვე იმავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი არ არის ცნობილი, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ნივთიერი მტკიცებულების სახით ამოღებული სატრანსპორტო საშუალება უბრუნდება იმ პირს, რომელმაც შეიძინა იგი და შეძენის მომენტისათვის არ იცოდა და არც შეი-

ძლებოდა სცოდნოდა სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის თაობაზე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესი ვრცელდება მხოლოდ იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზედაც გამოძიება დაწყებულია 2013 წლის 1 ივნისამდე და სამართალწარმოება არ არის დასრულებული.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის სატრანსპორტო საშუალების დაბრუნებას გამოძიების სტადიაზე უზრუნველყოფს გამოძიებელი დადგენილებით, ხოლო სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე – სასამართლო განჩინებით.

4. მესაკუთრეს (მფლობელს) სატრანსპორტო საშუალება უბრუნდება ამ მუხლის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში.

1. **ნორმის მიზანი:** სსსკ-ის განსახილველი ნორმა გარკვეულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ადგენს ნივთიერი მტკიცებულების სახით ამოღებული სატრანსპორტო საშუალების შემძენისათვის დაბრუნების წესებს.
2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ ნივთიერი მტკიცებულება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არის სატრანსპორტო საშუალება – საგანი, რომელიც მესაკუთრის (მფლობელის) ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი კანონიერი მფლობელობიდან, საქმისმწარმოებელმა ორგანომ წერილობით უნდა შესთავაზოს საგნის მესაკუთრეს ან კანონიერ მფლობელს, დაიბრუნოს თავისი კუთვნილი საგანი. საგნის მესაკუთრემ (კანონიერი მფლობელი) წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 90 დღის ვადაში საკუთარი ხარჯით უნდა უზრუნველყოს თავისი კუთვნილი საგნის დაბრუნება და ტრანსპორტირება, ხოლო თუ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი არ არის ცნობილი, არ არსებობს ამ საგნის კანონიერი წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მისი დაბრუნება შეუძლებელია სხვა მიზეზით, საგანი შეიძლება ჩაბარდეს შესაბამის პირს (ორგანიზაციას) გამოსაყენებლად, შესანახად, მოსაველეად და მისგან ამ საგნის ამოღებიდან 90 დღის გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სასამართლოს შუამდგომლობა საგნის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ.
3. როგორც აღინიშნა, განსახილველმა ნორმამ სატრანსპორტო საშუალების ბედის გადანყვეტის განსხვავებული საპროცესო წესი დაადგინა იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზედაც გამოძიება დაწყებულია 2013 წლის 1 ივნისამდე და სამართალწარმოება არ არის დასრულებული. ამ ნორმის თანახმად, თუ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე (კანონიერი მფლობელი) დადგენილ ვადაში არ დაიბრუნებს სატრანსპორტო საშუალებას, ან იმ შემთხვევაში, როდესაც სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი არ არის ცნობილი, ნივთიერი მტკიცებულების სახით ამოღებული სატრანსპორტო საშუალება უნდა დაუბრუნდეს იმ პირს, რომელმაც იგი შეიძინა და შეძენის მომენტისათვის არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის თაობაზე.
4. გამოძიების სტადიაზე სატრანსპორტო საშუალების შემძენისათვის დაბრუნებას უზრუნველყოფს გამოძიებელი, რომელსაც აღნიშნულის თაობაზე გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე, სატრანსპორტო საშუალების დაბრუნებას უზრუნველყოფს სასამართლო განჩინებით.
5. აღნიშნული ნორმის საფუძველზე მესაკუთრეს (მფლობელს) სატრანსპორტო საშუალება უნდა დაბრუნებოდა ამ მუხლის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, ანუ 2013 წლის 29 აგვისტოს ჩათვლით.

მუხლი 332<sup>3</sup>. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის ამოქმედება (30.11.2014 №2870) საქართველოს შინაგან საქმეთა

**სამინისტრომ 2015 წლის 31 მარტამდე უზრუნველყოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალების შექმნა.**

1. მოცემული მუხლით დადგენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი სისტემის ამოქმედებისთვის შესაბამისი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალების შექმნის ვადა. რაც გულისხმობს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ორეტაპიანი მოდელის დამკვიდრებას, კავშირგაბმულობის საშუალებებზე წვდომის და ინფორმაციის მოპოვების, ასევე ამ პროცესებზე ზედამხედველობის სისტემის ჩამოყალიბებას და კავშირგაბმულობის საშუალებებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მიღების მექანიზმის შემუშავებას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით ფარული საგამოძიებო მოქმედებების და უფლებამოსილი ორგანოს მონაცემთა ბანკებში განხორციელებული აქტივობების კონტროლს ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი. იმავდროულად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოსთან ერთად, არის ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი შემადგენელი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე შეუძლებელია სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩანერის განხორციელება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ერთდროულად წარმოადგენს როგორც ფარულ მოსმენა-მიყურადების პროცესზე გარე კონტროლის მექანიზმს, ასევე თავად ამ პროცესის ერთ-ერთი შემადგენელია.

**მუხლი 332<sup>4</sup>. 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ პირებთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება გარდამავალ პერიოდში**

ამ კოდექსის მიზნებისათვის 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირის კანონიერ წარმომადგენლად ითვლება მისი მეურვე, სანამ ქმედუუნარო პირის ინდივიდუალური შეფასება არ მოხდება.

1. **ნორმის მიზანი:** ნორმის მიზანია 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ პირებთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფა გარდამავალ პერიოდში.
2. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის ასეთი პირის კანონიერ წარმომადგენლად, სანამ ქმედუუნარო პირის ინდივიდუალური შეფასება არ მოხდება, ითვლება მისი მეურვე.

**მუხლი 333. კოდექსის ამოქმედება**

1. ეს კოდექსი, გარდა 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან.
2. ამ კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2012 წლის 1 იანვრიდან.
- 2<sup>1</sup>. ამ კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) გამოტანილ იქნა 2012 წლის 1 იანვრამდე და რომლებიც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო

- განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოს მიმართავენ 2012 წლის 1 ივლისამდე.
3. ამ კოდექსის 331-ე მუხლი ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 2012 წლის 1 ოქტომბრიდან.
4. (ამოღებულია – 24.09.2010, №3616).
5. ამ კოდექსის ამოქმედებამდე საქართველოს იუსტიციის მინისტრმა განსაზღვროს ამ კოდექსის 35-ე-36-ე მუხლებით გათვალისწინებული საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობა.
6. დაცვის მხარის უფლება ამ კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაყენების თაობაზე ამოქმედდეს 2012 წლის 1 ოქტომბრიდან.
7. თუ ამ კოდექსის 182<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოს ვალდებულების შესასრულებლად ცალკეულ სასამართლოებში აუცილებელია დამატებითი ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება, 182<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი ამოქმედდეს ამ ღონისძიებების დასრულებისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს 2013 წლის 1 ივნისისა .
8. პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის ამოქმედების მომენტისათვის სასამართლოში განსახილველად არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენი გამოაქვს იმავე ნაწილის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 36 თვისა.
9. ამ კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილები ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.
1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, გარდა 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან.
  2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი (რომლის თანახმადაც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება თუ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება), ამოქმედდა 2012 წლის 1 იანვრიდან.
  3. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ამოქმედდა 2012 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მისი მოქმედება გავრცელდა იმ პირებზეც, რომელთა მიმართაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) გამოტანილ იქნა 2012 წლის 1 იანვრამდე და რომლებიც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოს მიმართავენ 2012 წლის 1 ივლისამდე.
  4. დაცვის მხარის უფლება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შუამდგომლობის (პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების თაობაზე შუამდგომლობის დაყენების უფლება) დაყენების თაობაზე ამოქმედდა 2012 წლის 1 ოქტომბრიდან.
  5. სსსკ-ის 182<sup>1</sup>-ე მუხლი (სასამართლო სხდომის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქების წესი) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა 2013 წლის 1 მარტის „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და კოდექსიდან ამოღებულ იქნა 2013 წლის 1 მაისის „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ საქართველოს კანონით.
  6. 2016 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილები: მე-6 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 24 თვისა.
  7. მე-7 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი ვადა არ გამოიყენება იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ბრალდებული თავს არიდებს სასამართლოში



გამოცხადებას ან/და ბრალდებულის მიმართ გამოცხადებულია ძებნა.“

8. 2016 წლის 1 იანვრისათვის სასამართლოში განსახილველად არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი უნდა გამოიტანოს 2016 წლის 1 იანვრიდან არა უგვიანეს 36 თვისა.



საქართველოს სისხლის სამართლის  
საპროცესო კოდექსის კომენტარი

2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით

**Commentary on the Criminal  
Procedure Code of Georgia**

As of October 1, 2015

---

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
ალ. ყაზბეგის გამზ. №47  
E – mail: [meridiani777@gmail.com](mailto:meridiani777@gmail.com) ტ. 239-15-22